ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ა ნ თ ო ლ ო გ ი ა

IV
ტომი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2015

UDC(უაკ)908(479.22)
ა-659

იუნესკოს მსოფლიო დესპანი, მსოფლიოს სპორტსმენი, გაეროს ბუ-ნების დაცვის ელჩი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ვე-ლო-მოგზაური, მოგზაური დიპლომატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი, მსოფლიო 2009 წლის ადამიანი, საქართველოს 2002 წლის ადამიანი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მო-ქალაქე, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავი-სუფ-ლების ოქროს მედლის მფლობელი, ევროპის ბიოგ-რაფიული ცენტრის გენერალური დი-რექტორის მოადგილე, 5 ა-კადემიის აკადემიკოსი, შეყვანილია ევროპის ბი-ოგრა-ფიული ცენტრის 400 წარჩი-ნებულში, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტი-ტუტის მიერ კი – მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

ასეთი პოპულარული პიროვნების სახელობის აკადემიის შექმნა, და-სა-ფიქრებელია და საპასუ-ხისმგებლოც. ჟურნალმა „ათინათმა” მკითხვე-ლის ყურადღება მიიქცია და დღითიდღე საინტერესო ხდება.

ჯუმბერ ლეჟავამ ცათა სასუფეველში დაიდო ბინა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მისი სულის წინაშე ფიცი დავდოთ და ვიშრომოთ მის უკვდავ საყოფად.

აკადემიის წევრების ფიცი

რამდენი ლექსი გირძღვენით მაგრამ,
სიტყვა ვერა ვთქვით შენი საქები.
ვეფერებოდით შენს ჯიშს და ნაგრამს.
კვლავ ბევრი დაგვრჩა ისევ სათქმელი.

შენი სახელის უკვდავებისთვის,
სიცოცხლის ბოლო წუთსაც განაცვლებთ...
კვლავაც ვიბრძოლებთ იდეებისთვის,
არ მოვდუნდებით, წუთს არ გავაცდენთ...

თაობებს შევკრებთ დარუბანდამდე,
ნაბიჯს ავაწყობთ ნიკოფსიიდან...
ვიბრძოლებთ ცაში წასვლის ვადამდე.
და არ ამოგშლით ჩვენი სიიდან.

გულნაზ ხარაიშვილი

© ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია,2015

გამომცემლობა „უნივერსალი”, 2015
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-883-2
ISBN 978-9941-22-656-4



წმინდა ნინო

ლურჯ ზეციდან შენ
გმფარველობ წმინდა ნინო,
იქნებ შენებრ იანუსზეც
ქება გვეთქვა.
მისი არ გვწამს,
ორპირია არ გვიწყინო,
შენი ხატით „ათინათის"
გული ფეთქავს.

უწმინდესი და უნეტარესი, ილია II

*** * ***

უწმინდესი მყავს... რაღად დავღონდე,
ერის მხსნელი და ერის საჩინო...
სიკვდილი?.. უკვე რწმენით ჩავღობე,
სიცოცხლე უნდა გადავარჩინო.

გულნაზ ხარაიშვილი

გულნაზ ხარაიშვილი, გელა ლარიაშვილი, ყამარ ბლიაძე, დავით ტიგინაშვილი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე – (აღმაშენებელი), ნუგზარ ნადარაია, მანანა ქორიძე, ნინო ნადარაია (უწმინდესის ნათლული) ნათია გიგაური და ეკა გიგაური

მეუფე თადეოზი
(იორამ იორამაშვილი)

შენი ლოცვით

სიცოცხლეშივე მზედ ბრწყინავდი შენი სიმშვიდით...

ახლა სიონში განისვენებ ოლიანდრებთან.

როს ჩემში წვიმდა, გულის დარდებს გადაგიშლიდი,

ვძლიერდებოდი... და ვომობდი, ბედის ავდრებთან



მამა გაბრიელი
(ბეგლარ კულუმბეგაშვილი –
მირიან იორამაშვილის მოყვარე)

*** * ***

გარდაცვალებას, მეუფისას ვერ შევეჩვევი...

შენმა ლოცვებმა, მომირჩინოს იქნებ იარა...

ღმერთს ცაში მიჰყავს კეთილები, ყველა შერჩევით,

აი, ამიტომ ტკივილებმა არ გამიარა.

(მამა ანდრია აბაშიძეს)

დამლოცე მამა ანდრიავ,
მოვინანიებ ცოდვებს...
იქნებ ჯერ კიდევ ადრეა,
რადგან დარდებით ვგოდებ.
რწმენა შემოდის ჩემს გულში,
შემოდის ჩემთან რჩება,
მინდა რომ დარჩეს წარსულში,
არ მიტევების ჩვევა...

გულნაზ ხარაიშვილი

უფლის საგალობელი

ქრისტე პანტოკრატორი
ხატმწერები **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

ხარება

ხატმწერი **ხატია ლარიაშვილი**

პეტრე და პავლე

ხატმწერები **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

წმინდა გიორგი
ხატმწერი **ხატია ლარიაშვილი**

მაია ტყემალაძე

სიყვარულის ნაჭური

ლამაზი მოგონებები დიდი სიყვარულის ნაჭურია. სიყვარული ღვთით ნაბოძები გრძნობაა, რომელიც ზოგიერთ ადამიანს მოჭარბებულად, ზოგსაც – საშუალოდ აქვს...

ვბედავ და ვწერ ღვთიური ნიჭით სხივმფინარე სასულიერო პირზე, რომელიც თხემით ტერფამდე სიყვარულის, სიკეთის სამოსელით იყო გარშემობურული.

მიტროპოლიტი კონსტანტინე მელიქიძე (მამა აკაკი მელიქიძისა და მამა ნიკოლოზ მელიქიძის ხორციელი მამა)!

გუშინდელივით მახსოვს: ჭიათურის მღვიმევის დედათა მონასტრის დაღმართს ნელ-ნელა მიუყვებოდა. მონასტრის მრევლი ვაცილებდით. გვახარებდა მის სიახლოვეს სიარული. გზადაგზა მეუფის ტკბილნაუბარს ვისმენდით. ფოთოლთა ხასხასა სიმწვანეში შეყუჟული ჟრუტუნია, ნაზი ყვავილებიც კი თავდაკვრით მოწიწებას გამოხატავდნენ თითქოს. უცებ, ანაფორის კალთა ეკლის დიდ ბუჩქს წამოედო და კაბა დაიჭირა. მეუფე შეყოვნდა. ერთ-ერთი უკან მდგომთაგანი მყისვე ეკლის ღეროს წაეტანა, რომ სამოსი გაეთავისუფლებინა. მე კი დაუფიქრებლად, ჩემდაუნებურად აღმომხდა: „მეუფეო, ნახეთ, აქედან თქვენი წასვლა ეკალსაც კი არ უნდა-მეთქი.“ ვთქვი თუ არა, საკუთარი სითამამე ვინანე. ჩემსკენ შემობრუნდა, გამიღიმა. წრფელმა, ალალმა, ბავშვურად უმანკო, გულუბრყვილო მზერამ შემომანათა. გავიბადრე, შებოჭილობა მყისვე მომეხსნა. ისეთი სითბო ჩამეღვარა, ეს ამბავი ჩემი თვალთახედვის არედან არასოდეს წაიშლება...

საკურთხეველში მყოფი მეუფე, ზეცისაკენ ხელაპყრობილი, რომ ლოცვას, „მეუფეო ზეცათაო-„ს აღავლენდა, გეგონებოდა, კამკამა წყარო მორაკრაკებსო მისი ბაგეებიდან. ისეთი მსასოებელი ხმა ჰქონდა, ტანში ჟრუანტელი გივლიდა. უფალთან მყოფისა და თანაზიარის ხატება ირეკლებოდა მრევლის თვალწინ...



მიტროპოლიტი კონსტანტინე მელიქიძე დაიბადა 1925 წლის 19 თებერვალს.1992 წლიდან 1998 წლამდე ქიმოფარა-სარჩერის ეპარქიის მართველი.გარდაიცვალა 2000წ.20 ივლის

მართლმადიდებლობის ბურჯი და საიმედო მცველი, მოსიყვარულე და უკეთილშობილესი სულიერი მამა! არ არსებობდა ადამიანი, რომ მასთან მიახლების დაბრკოლება შექმნოდა. ტკბილმოუბარი, ყველას საიმედო რჩევა- დარიგებას აძლევდა. მეუფე კონსტანტინე ცდილობდა ადამიანებს საკუთარ სულში აეგოთ სულიერი ტაძარი და მრევლს პირადი მაგალითით უჩვენებდა, ეცხოვრა თავმდაბლობით და მორჩილებით.

მიტროპოლიტი კონსტანტინე, ერისკაცობაში დიმიტრი, ბორჯომის რაიონის სოფელ ბალანთაში დაიბადა. პატარა დიმიტრი სწავლობდა ჯერ ბალანთის დაწყებით სკოლა-

ში, შემდეგ ბაკურინის შვიდწლიან სკოლაში, რომლის დამთავრებისთანავე სწავლა გაგრძელა ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში, მერე კი– საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. იგი, საბჭოური ათეისტური პროპაგანდის მიუხედავად, ბავშვობიდან სწავლობდა საღვთო წიგნებს და მისი სული უფლისაკენ იყო მიდრეკილი. 1972 წლის 3 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის დავით მეხუთის ლოცვა-კურთხევით სიონის საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად აკურთხეს, 1973 წლის 21 ოქტომბერს კი– მღვდლად და დაინიშნა რუის-ურბნისის ეპარქიის სოფელ ატოცის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად. 1974-75 წლებში მამა დიმიტრი მსახურობდა ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვრად. 1978 წლის 20 ოქტომბერს იგი აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელი კონსტანტინე, 22 ოქტომბერს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ლოცვა-კურთხევით აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში... შემდეგ გამორჩეულ იქმნა ურბნისის ეპარქიის ეპისკოპოსად. ძალზე შთამბეჭდავი იყო მეუფე კონსტანტინეს მიმართვა მისი უწმიდესობისადმი: „..აღგითქვამთ ყველას ნეტარების მომნიჭებელ იმ მორჩილებას, რომელიც წუთისოფლის ნარეკლიან, ძნელსავალ გზებს გვიადვილებს ქრისტეს სარწმუნოების მიმდევართ.

მოკლედ მოგითხრობთ, რომ ჭეშმარიტებისაკენ ლტოლვა ძალიან ადრე ვიგრძენი. ბავშვობისას ხშირად ვხედავდი ჯვარს სიზმრად, მაგრამ მინახავს ცხადადაც ჰაერში ჩამომდგარი, გაბრწყინებული ჯვარი პატიოსანი. ყოველ ხილვას ძელი ცხოვლისას რაღაც სიკეთე მოჰქონდა ჩემთვის. მაშინვე იმსხვრეოდა დამაბრკოლებელი ჯებირები, ქრებოდა უძლურება, ითრგუნებოდა ბოროტება.

ჩვენებათაგან, რაც ახალგაზრდობისას მეღირსა ხილვად, მთავარი ის იყო, რომ ცის სამხრეთ აღმოსავლეთით ვიხილე ოქროსფერი ნათლით გაბრწყინებული ღვთისმშობელი და მის გარშემო სხვა წმიდანები, ასეთივე ნათლით გაბრწყინებულნი, მაგრამ უფრო მომცრონი. დედა ღვთისა უხმოდ შთამაგონებდა მაღლიდან, რომ სასოება არ დამეკარგა მის მიმართ, გადამეწერა პირჯვარი და მქონოდა მისი დახმარების იმედი.

სხვა ჩვენებაში თეთრ-სპეტაკი ღრუბლით მოსილი მამაღმერთი და ძე-ღმერთი ვიხილე ცასა და ქვეყანას შუა ჩამომდგარი და მარჯვენით დედა-ღვთისა. ჯერ იყო დუმილი ცათა შინა და მერე მამა ღმერთმა წარმოთქვა: „მე მსურს დედამიწა ცას შევუერთო...“ და იქვე დასძინა: „დაე, მიწამ შეიგნოს და თვითონ მიუახლოვდეს ცას...“

სწრაფვა სულიერი განათლებისაკენ იმთავითვე მქონდა, რაღაცა იდუმალი გულისხმა ღვთიური მომიწოდებდა. ადრე დავეწაფე ძველი და ახალი აღთქმის სიბრძნეს, ქართლის ცხოვრებას, ლიტერატურასა და ფილოსოფიას. მე დიდხანს ვიყავი სამოქალაქო სამსახურში და უფალს ვთხოვდი გზების გახსნას...

თუმცა მოწოდება იყო ღვთიური, მაგრამ, საოცარია, კეთილი ძალა მაინც თავისუფალ ნებას მიტოვებდა. სურვილი, თანაც ძლიერი, ჩემი უნდა ყოფილიყო. ბოლოს სულმა იმძლავრა და მე ეკლესიაში აღმოვჩნდი...“

მეუფე კონსტანტინე 1979 წლიდან დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარედ. 1980 წელს მისი უწმინდესობის კურთხევით აყვანილი იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის 1984 წელს მას მიებოძა მიტროპოლიტობა. 1985-1995 წლებში მიტროპოლიტი კონსტანტინე ბათუმ- შემოქმედის ეპარქიის მმართველია. 1995 წლიდან 2000 წლამდე კი მარგვეთის ეპარქიას განაგებდა.

მეუფე კონსტანტინე მიიჩნევდა, რომ ეკლესიას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რათა საზოგადოების უმრავლესობა ჭეშმარიტად მორწმუნე მრევლად ექცია. მისი ქადაგებები იყო სადა, ყველასათვის გასაგები. ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტ მცოდნეს კარგად ესმოდა ინტელექტის, განათლების მნიშვნელობა. ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი," თავადაც წერდა ლექსებს. მისი პოეზია სამშობლოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს დასტრიალებდა.

უყვარდა შემოქმედი ადამიანები. ანა კალანდაძე იგონებს: „სიონის ტაძრის ქორეპისკოპოსმა, მეუფე კონსტანტინე მელიქიძემ, ერთხელ საუბარში მითხრა: ტაძრებზე ბევრს წერთო... დიახ,– მივუგე,– უნივერსიტეტში ვსწავლობდი და...

– არა!– ხმას აუწია მან,– ეს თქვენში უფრო ადრე იყოო!..

„ო, არის რაღაც უსაზღვროდ დამაფიქრებელი..."

იმ დროს, როდესაც მეუფე კონსტანტინე მარგვეთის ეპარქიას განაგებდა, ჭიათურის მრევლს მოგვეცა ბედნიერება მასთან დაახლოებისა. მეუფეს ძალიან უყვარდა ჭიათურა. პატარა ქალაქმაც, საპასუხოდ, საოცრად დიდი სიყვარული შეაგება. მეუფე ხშირად მიბრძანდებოდა მღვიმევის დედათა მონასტერში, კაცხის ტაძარში... მისი ყოველი გამოჩენა მრევლისთვის დაუვიწყარი ზეიმი იყო. რამდენი ადამიანი უნუგეშებია, რამდენის ფიზიკურ თუ სულიერ ტკივილებს სალბუნად, მალამოდ მოსცხებია მისი მაკურნებელი ლოცვა, მამაშვილური დარიგებანი. იგი, შეჭირვებულთათვის უტყუარი მკურნალი იყო... წერილის მომზადების დროს რამდენიმე ადამიანს ვთხოვე, მეუფეზე თუ რაიმეს გაიხსენებდნენ. გაზაფხულის მონატრებული, შხაპუნა წვიმასავით წამოვიდა სასიამოვნოდ მაბკურებელი მოგონებები. მხოლოდ რამოდენიმე მათგანს გაგაცნობთ.

ნინო ჭანკვეტაძე: "მეუფე კონსტანტინესთან ერთად ყოფნა იყო სულის ზეიმი, სამოთხეში ყოფნა. იგი გახლდათ ტკბილმოუბარი, მეტყველებდა დარბაისლური ქართულით. მასთან მისასვლელად წინასწარ შეთანხმება არავის სჭირდებოდა ... მარგვეთის ეკლესიაში ახლადმოსული ბრძანდებოდა, როდესაც ჭიათურის სოფელ ნავარძეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში სამეუფო წირვა უნდა აღესრულებინა. რადგან ტაძარში მგალობლები არ იყვნენ, მე და ჩემი სამი მეგობარი გვაკურთხეს, რომ იმ დღეს გვეგალობა. წირვა დამთავრდა. მეუფე მოგვიახლოვდა და მზენათელი ღიმილი შემოგვაფრქვია, სახელები გვკითხა. „ ნინო, ნინო, მზია, მზია,– " ვუპასუხეთ ჩვენ-ჩვენი სახელები. „ორი ნინო, ორი მზეა! – " მოგვეფერა და სულში მართლა მზის სხივები ჩაგვიღვარა...

ერთხელ, ეპარქიის საჭირო საკითხებისათვის, მეუფესთან ზესტაფონში უნდა ჩავსულიყავით. ზამთარი იყო. უსაშველოდ თოვდა. მანქანა, რომლითაც უნდა გვემგზავრა, ძველი და მოჯაყჯაყებული იყო. მე დავიჟინე, რადგან მეუფე გველოდება, აუცილებლად უნდა ჩავიდეთ მეთქი... გზაზე მანქანები კანტი-კუნტად მოძრაობდნენ. დილიკაურის სერზე ისეთი ქარბუქი იყო, არაფერი ჩანდა... როგორც იქნა ზესტაფონამდე ჩავაღწიეთ. მეუფეს გაუკვირდა, ასეთ ამინდში რამ ჩამოგიყვანათო. ვისაუბრეთ. ჩვეული რჩევა-დარიგება არ დაიშურა. რადგან თოვა თანდათან მატულობდა და ამინდი ბობოქრობდა, შემოგვთავაზა, იქნებ დარჩენილიყავითო. შეგვატყო, ამისთვის მზად არ ვიყავით და წასასვლელად გვაკურთხა, გზა დაგვილოცა. საოცარი იყო, თუმცა თოვა არ შეწყვეტილა, იმ ადგილებზე, სადაც ჭიათურიდან წამოსვლისას მანქანას ძალიან გაუჭირდა, ნამქერი თითქმის დაკლებულიყო და თოვლი დამდნარიყო. მეუფის ლოცვა-კურთხევით შინ მშვიდობიანად დავრუნდით."

ნუგზარ პაპიძე: „მეუფე კონსტანტინე იყო ადამიანი, რომელიც ყველას ფიქრსა და სატკივარს ხვდებოდა. მე მქონდა მასთან ახლოს მყოფობის ბედნიერება. ის იყო ხორციელი და სულიერი მამასავით თბილი, მზრუნველი და მოსიყვარულე. სტიხარს რომ ჩავიცვამდი და მეუფის გვერდით დავდგებოდი, თითქოს სულ სხვა ადამიანი ვიყავი. ძალიან მენატრება ის დრო და ძალიან მენატრება მეუფე. მან ჩემს ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა".

დეკანოზი მამა ამირან მოდებაძე (კაცხის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარი): „მეუფე კონსტანტინე ბრძანდებოდა საოცრად დიდსულოვანი ადამიანი, არაჩვეულებრივი მლოცველი და უფლის მსასოებელი. სხვისი ცოდვების გამო მას თავად მოსდიოდა ცრემლები. იყო ძალიან შემწყნარებელი. მან მასწავლა მართლმადიდებლობის ანა-ბანა და კიდევ რამდენი რამ... მეუფის მადლი ჩემს ოჯახს დღესაც შემწედ მოჰყვება. ჭიათურასა და საჩხერეში რომ მობრძანდებოდა, ღამით ჩემს ოჯახში რჩებოდა. ეს უდიდესი სიხარული იყო. ჩემი უმცროსი ვაჟი, ზურაბი დაიკაპიწებდა სახელოებს და უცხობდა „პეჩენიებს," რომელიც მეუფეს ძალიან უყვარდა და მასზე „მზრუნველი" ჩემი შვილის გამო კმაყოფილებას გამოხატავდა. მიტროპოლიტის ჩამობრძანებისას მოძღვრები ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენთან, საღამოს ლოცვებისას მოდიოდნენ მეზობლები და ირგვლივ უთბილესი გარემო სუფევდა...

რა დამავიწყებს, ერთხელ თბილისიდან მოვდიოდით. გზაში მანქანა გამაჩერებინა. ორი დიდი ვედროთი მარწყვი იყიდა. გავიოცე და ვკითხე: მეუფე, ამდენი მარწყვი რად გინდათ მეთქი. ამით ფოფოდია კომპოტებს გააკეთებს და ზამთარში მივირთვათ ხოლმეო...

ერთხელ მეუფემ პატრიარქთან წამიყანა. შეხვედრისას მისი უწმინდესობა ფეხზე წამოუდგა და მეუფეს თითქმის შუა ოთახამდე შეეგება. ორივეს თვალებიდან სიხარულის, მონატრების ცრემლები სდიოდა. ეს იყო ღვთის ორი რჩეულთაგანის ღვთიური სიყვარული. შორიახლოდან ვუცქეროდი და ბედნიერებისაგან მეც ვტიროდი...

უაღრესად საინტერესოა დასაქორწინებელი წყვილისათვის მეუფე კონსტანტინეს დარიგება. აი, რას წერს იგი: „დასაქორწინებელი წყვილისათვის 6 თვე საკმარისი დროა, რომ კარგად გაიცნონ ერთმანეთი. მათ ამ პერიოდში მეგობრულად უნდა იარონ ეკლესიაში, ეზიარონ, ერთმანეთისათვის იკითხონ სახარება, ფსალმუნები, პარაკლისები, დაუჯდომლები, სასურველია ერთი თვე გაატარონ სტუმრად მონასტერში. ერთი თვის შემდეგ სულიერი მოძღვრისა და მშობლების ლოცვა-კურთხევით ეზიარონ და დაიწინდონ ეკლესიაში. თვენახევრის შემდეგ კვლავ ეზიარონ და დაიწერონ ჯვარი.

ჯვრისწერიდან რვა დღის განმავლობაში მოილოცონ წმიდა ადგილები, ასევე წინაპართა და ოჯახის გარდაცვლილ წევრთა საფლავები, მერვე დრეს მოძღვარს წააკითხონ გვირგვინის გახსნის ლოცვა, მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ კურთხევა გაიყონ სარეცელი და ამრავლონ ერი. სწორედ ასეთი ქორწინებაა ღვთივკურთხეული.“

ამის წამკითხველნი მყისვე იტყვიან, ამას ვინ შეძლებს და გააკეთებსო. შეეძლოთ და აკეთებდნენ კიდეც ჩვენი წინაპრები. როდესაც რწმენა დიდი იყო, ერში მადლი ისადგურებდა, ოჯახები მყარი და ძლიერები ხდებოდნენ. ამიტომაც უმკლავდებოდა ერთი მებძოლი მომხვდურთაგან ათს, ოცს, ოცდაათსაც კი...

მეუფე კონსანტინეს ლოცვით ღმერთმა გააძლიეროს და აღორძინოს ჩვენი ქვეყანა!

გულნაზ ხარაიშვილი

შეხვედრა მამა აკაკისთან

მეუფე კონსტანტინე მელიქიძეზე დაწერილმა სტატიამ ღვთის მადლით შემოიშუქა ჟურნალ „ათინათის“ ფურცლებში. ღვთიური ნიჭით სხივმფინარე სასულიერო პირი იყოო, – წერს ავტორი. როცა საკურთხეველში მყოფი მეუფე ზეცისკენ ხელაპყრობილი ლოცვას აღავლენდა, გეგონებოდა კამკამა წყარო მორაკრაკებდა მისი ბაგეებიდან. ეს დიდი სულის ტაძარი მეუფე იყო მამა აკაკი მელიქიძის და მამა ნიკოლოზ მელიქიძის ხორციელი მამა.

ჟურნალ „ათინათის“ მეთექვსმეტე ნომრის ავტორი („სიყვარულის ნაჟური“) უფაქიზესი სულის ქალბატონია, იგი ყოველთვის დარდს, მწუხრს მიქარწყლებს და სიცოცხლის ჯაჭვით მიქსოვს იმედის სამოსელს. მაინც როგორ მოესალბუნება ხოლმე გულს მისი სიტყვები: მოითმინე, მიუტევე, იწამე ცათა სოფელი. თითქმის ყოველდღე ველი მისი ტელეფონის ზარს. მისი ხმა სიმხნევეს მმატებს და სიცოცხლისაკენ მაქეზებს.

ჟურნალ „ათინათის“ მეთექვსმეტე ნომერი გამოვუშვი, შემიქო და ჰქონდა შენიშვნებიც, ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა ახალი რუბრიკები დაგვემატებინა უკვე დანერგილი თემატიკისათვის, როგორ გაგვეხადა კიდევ უფრო საინტერესო ჟურნალი მკითხველისათვის.

გემოვნებიან მრჩეველს ვუჯერებ და ფიქრის გორიდან დავცქერი ბატონ რეზო ადამიას წმინდა ნინოსა და მთავარანგელოზის ხატებში გაბნეულ სხვადასხვა ჟანრის სტრიქონს, ყველაფერი მიყვარს, მაგრამ არ ვკმაყოფილდები. ვცდილობ, მეორე ნომერი პირველზე საინტერესო იყოს. ლამაზი სურვილები კი ხარჯის აღმართს უყურებს და შიშით ცახცახებს, რადგან ხალხს ისედაც ლუკმა– პურის შოვნა უჭირს და ჟურნალი რითი შეიძინონ, ან სტატია როგორ დაბეჭდონ. ვისაც ფული აქვს, იმას არც დაბეჭდვა აინტერესებს და არც ჟურნალის შეძენით იკლავენ თავს. მაინც გამოჩნდებიან ხოლმე კეთილი ადამიანები. ლიტერატურაზე, მეცნიერებაზე, მომავალ თაობაზე შეყვარებულნი.

ადამიანები მოკვდავნი და უკვდავნიც არიან, ხილული და უხილავიც. მგრძნობიარეს და მოაზროვნეებს ხელეწიფებათ აღიქვან ხილულ სამყაროში რაც ხდება. მათ სულში მზე ანათებს და ანაწილებენ სითბოს შესაბამისად იმისა, თუ რამდენი შეუძლია დაიტიოს ადამიანის გულმა.

ასეთ მზისხივოსან ადამიანებს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიაში მიეკუთვნება უმრავლესობა. რამდენიმეს ჩამოვთვლი: მეცნიერებაში: ტიტე მოსია და ლუარა სორდია (პროფესორები), ხოლო ლიტერატორს (სერგი ლომაძეს) სტატიების გამოქვეყნებაში პირველი ადგილი უკავია. ბატონ რეზო მიშველაძეს (მწერალთა კავშირის თავჯდომარეს), ხშირად რჩევებს ვეკითხებით და მისი ნოველები წითელ ზოლად გასდევს პროზის განყოფილებას. ეკონომიკის განყოფილების რედაქტორია ბატონი ვალერი მოსიაშვილი (სეუს უნივერსიტეტის დეკანი). სისტემატიური ავტორები არიან: ბატონი ვანო შუშტაკაშვილი (პროფესორი), ჯუმბერ და ნოდარ ხარაიშვილები, ქალბატონი ჯულიეტა ალავიძე (რექტორი), ბატ. სულხან მახათაძე (ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელი). სამასგვერდიანი ჟურნალის ავტორების ჩამოთვლა თემატიკიდან გადამახვევინებს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო კახა ბაციკაძე. იგი ერთი ლამაზი ვარსკვლავია ჟურნალ „ათინათში“, როგორც პოეზიაში, ასევე კლასიკურ მუსიკაში. ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა (მწერალთა კავშირის თანათავჯდომარემ) სიყვარულის მარგალიტებით დაამშვენა ჟურნალი როგორც პოეზიაში, ასევე თარგმანებში. საბავშვო განყოფილებამ (ხელმძღვანელი მეცნიერებათა დოქტორი ქალბატონი ლამარა გერგედავა) ახალი მეთოდი დანერგა ჟურნალში, მალე გამოვა წიგნი „ნორჩი ათინათელების“ ინტერვიუები ცნობილ სახეებთან.

ეს შემოქმედებითი არეალი ხდებოდა მეუფე თადეოზის ლოცვა-კურთხევით. ახლა იგი დაკრძალულია სიონის ეკლესიის ეზოში. მისი ადგილი დაიკავა მამა გაბრიელმა (მეუფის მოყვარემ ბეგლარ კულუმბეგაშვილმა). ჟურნალ „ათინათით“ დღითიდღე ინტერესდებიან და ფართო ლიტერატურული ასპარეზობის ჰორიზონტები იქმნება.

დავუბრუნდები იმ თემას, საიდანაც დავიწყე. მეუფე კონსტანტინე მელიქიძეზე დაწერილმა სტატიამ ღვთის მადლით შემოაშუქა ჟურნალ „ათინათის“ ფურცლებში, სტატიის ავტორია ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგე ქალბატონი მაია ტყემალაძე. ამ თბილი წერილის საშუალებით შევიტყვე მეუფე კონსტანტინე მელიქიძის დიდსულოვნების შესახებ, ეს სულით ამაღლებული მეუფე ძალიან ყვარებია ჭიათურის მოსახლეობას, რომლის ხორციელი შვილი მამა აკაკი მელიქიძეა და ქალბატონმა მაია ტყემალაძემ

მირჩია, რომ მივსულიყავი მეტეხის ეკლესიაში მამა აკაკისთან. მისი ლოცვა-კურთხევით „ათინათს“ უფრო მეტი თაყვანისმცემელი გამოუჩნდებაო.

მამა აკაკიზე მეც ძალიან ბევრი მქონდა გაგონილი. ის, რომ მამა აკაკის კაცთა მოდგმის მამაპაპეული სიბრძნის სიყვარული სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი, მას საღვთო ნათელი გარემოცავს, სიბრძნით აღვსილია და ამაღლებული ღვთაებრივი ცეცხლის შარავანდეთით ეფინება ხალხის გულებსო.

ღვთისმოსავ ადამიანთან მისვლის დღედ შაბათი ავირჩიე. ჩემს მეგობარს დავურეკე, პოეტ ლამზირა შეყილაძეს, მან უამრავი იმ დღისთვის დაგეგმილი საქმე გვერდზე გადადო და ზუსტად ცხრა სააათზე რუსთავიდან თბილისში გამოვემგზავრეთ. გზაში მამა აკაკიზე ვსაუბრობდით, სიხარულისა და იმედის სხივები გვიბრწყინავდა გულში. მეტეხის ხიდთან სამარშუტო მიკროავტობუსი გავაჩერეთ, გზის მეორე მხარე გადავკვეთეთ, გზადაგზა ათასნაირი ფრთახატულა ჩიტუნების ჰანგები მიგვაცილებდნენ, უფრო მეტად მტრედები აქტიურობდნენ, ჩვენ წინ დაბაჯბაჯებდნენ, მათში გარდაცვლილთა სულებს ვხედავდი და ვეფერებოდი, ჩემს მეუღლეს (ვახტანგ სხირტლაძეს), შვილს (გელა სხირტლაძეს), დიდ მოგზაურს (ჯუმბერ ლეჟავას), მეუფეს (თადეოზს), მეუფე (კონსტანტინე მელიქიძეს), ჩვენი აკადემიის წევრს, აწ/გარდაცვლილს, დიდ მეცნიერს (ამირან ლომაძეს). სხვადასხვა მხარეს გაფანტულ მტრედებში ვხედავდი აფხაზეთში დაღუპულთა სულებს. აჩიკო მიშველაძის სულს (ბატონ რეზო მიშველაძის ვაჟს), პოეტ დათა გულუას, წყლის ნაპირებზე მოფარფატეები იყვნენ მდინარე ვერეს გარდაცვლილები. თითქოსდა მშველელს ეძებდნენ.

გვერდზე რომ მომყვებოდა, ლამზირა შეყილაძის არსებობა დამავიწყდა და გულმა ამომაკვნესა: დაღლილი გული რით გავაჩუმო, ლაგუნა ვერე როდესაც ღელავს... ღრუბელო, ზეცის კაბის სარჩულო, შემოგაფხრიწა სამოსი ელვამ. ძირს მოეფინე წვიმების ცრემლად, დაახრჩე შვილნი... სიავით ზმუი, ო, საქართველო, ვინ დამიწყევლა, მთაწმინდის სერზე მგლები რად ყმუის?... ამ ფიქრებით მეტეხის ერთი მხარის კიბე ავიარეთ. ჩემ წინ მეორე კიბის ასასვლელთან მანქანა გაჩერდა, მამაო გადმოვიდა, თითქოს მის მოსვლას ელოდებოდნენ ეკლესიის მსახურნი, ზარი დაირეკა, მამამ პირჯვარი გადაიწერა, შემოტრიალდა და სანამ კიბის საფეხურს გადაადგამდა ფეხს, მის წინ ქანდაკებასავით აღვიმართე. თავი დავხარე და მოკრძალებით მივმართე: მამა აკაკის ნახვა მინდა, პირადად არ ვიცნობ, როგორ შეიძლება, რომ შევხვდე? მამაომ შემომხედა, და-

ფიქრდა... მერე თვალები მაღლა აღაპყრო, ალბათ გაიფიქრა (დიდება უფალო, კიდევ ერთი ადამიანი შეემატება ღვთის სამწყსოსო).

– მე გახლავართ მამა აკაკი, ეკლესიაში ამოდით და იქ მომახსენეთ რაც გნებავსო. მამაომ გზა გააგრძელა, კიბეზე მის ნაფეხურებს მივდევდი, ფიქრით ვეფერებოდი. ეკლესიაში შესვლის დროს ხელჩანთიდან თავსაფარი ამოვიღე, თავზე დავიფარე და დაველოდე მამა აკაკის. მან კვლავ პირჯვარი გადაიწერა და უამრავი ხალხის შუაგულში მოხვდა. სხვადასხვა სათხოვარით დატვირთული ხალხი მორჩილებით სთხოვდა რჩევა-დარიგებას. მეც მომიწია რიგის შემდეგ გასაუბრებამ.

ჯურნალი „ათინათი“ ამოვიღე, გავუწოდე და თან შევახსენე, მე ის ქალბატონი გახლავართ ეკლესიის შემოსასვლელთან რომ შეგხვდათ და მამა აკაკის გაცნობა რომ უნდოდა-მეთქი. მამა აკაკიმ ჟურნალი „ათინათი“ გადაათვალიერა, მოიწონა, თავზე ხელი დამადო და დამლოცა. ისე ბედნიერი ვიყავი, თითქოს იმ მტრედების ფრთები გამომესხა ჩემ წინ რომ ფართხალებდნენ. გამბედაობაც მომემატა მოკრძალებასთან ერთად და კვლავ თხოვნით მივმართე, რომ მასთან პატარა ნორჩ ათინათელს ინტერვიუს გავაკეთებინებდი, თუ კურთხევას მომცემდა.

მამა აკაკი თავზე ხელით შემეხო და სამჯერ გაიმეორა. დამილოცნიხარ ამ ღვთიური საქმეების საკეთებლადო... ვიდექი თავდახრილი და ვრძნობდი, რომ მადლი ჩემში გადმოდიოდა, კვლავ მივენდე ჩემს გულისთქმას და კრძალვით მივმართე: ტატო ხარატიშვილი თქვენთან რომ მოვიყვანო, შეიძლება? მამა აკაკიმ კურთხევა მომცა. კვლავ ჟურნალის ფურცლები გადაათვალიერა, მეუფე თადეოზის სურათს დახედა, პირჯვარი გადაიწერა და საუბარი პოეზიაზე გააგრძელა. ვცდილობდი, ზედმეტად არ შემეწუხებინა, დიდი სიყვარულით დავტოვე და ეკლესიიდან გამოვედი. იქვე, ეზოში, გრძელ სკამზე ჩამოვჯექი. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრების სახეები თვალში მიტრიალებდა და მე ვლოცავდი მათ. უფალს ვევედრებოდი, რომ დაეცვა ყველა და სიხარული, ბედნიერება ჰქონოდათ.

გადავყურებდი მეტეხიდან სიონს და ჩემს მეგობართან საუბრით გამოვხატავდი იმ დიდ სიხარულს, რაც მამა აკაკისთან შეხვედრით განვიცადე. დიდი დარდის ტყვეობიდან გამოვედი, არც დაღლას ვგრძნობდი და აღარც სულიერ შიმშილს... ღმერთის სიყვარულით დაჭრილი სულიდან დაიღვარა ცრემლნარევი სიხარული. ვგრძნობდი, რომ მზე ამოვიდოდა და გამითბობდა გაყინულ სხეულს. ამ წინათგრძნობამ ისე მოიკალათა ჩემში, რომ გულს სხვა რამეზე ფიქრი აღარც აინტერესებდა, იმედი ჩასახლდა.

მეტეხის ეკლესიიდან ფეხით ჩამოვედით მე და ლამზირა სიონის ეკლესიაში. შესასვლელს მივუახლოვდი თუ არა, დედა თამარმა დამირეკა, დედა თამარი ყოველ დარეკვაზე ასე მეფერება ჩემო საყვარელო დე... როგორ ხარ? დედა თამარი ასაკით მართლაც ჩემი შვილის ტოლია, საუბარი ჟანა ხვიჩიას წიგნს შეეხებოდა. სხვადასხვა პოეტის თუ პროზაიკოსის შეხედულებებია წიგნში შეტანილი და დედა თამარი ყველას აზრს აანალიზებდა... კრიტიკულად უდგებოდა. ამ საუბარში ვერ შევამჩნიე ლამზირა შეყილაძე როგორ გაუჩინარდა, ფეხს ავუჩქარე, ის იყო სიონის ეკლესიაში უნდა შევსულიყავი, რომ მეგობარი ტელეფონით შემეხმიანა: გთხოვ, ჯერ მეუფის საფლავთან მოდი და სანთლები შემდეგ ავანთოთ. სასწრაფოდ გამოვტრიალდი.

ოლიანდრები ვარდისფერად ღაღანებდნენ, თვალით დანახული სამოთხე იყო. ყვავილების სურნელებით გაბრუებული ვუახლოვდებოდი მეუფის საფლავს. ირგვლივ სამარისებული სიჩუმე იდგა. საფლავს ხელით შევეხე. ლამზირა არსად ჩანდა, ვიფიქრე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი და

ტელეფონით ზარი გავუშვი, ყვავილების ტოტებში მიმალული პოეტი გამოჩნდა და პირიქით, იქით მიმიპატიჟა, მოდი, მოდი, მეტად საინტერესო პიროვნებას გაგაცნობ, მივუახლოვდი უცნობს, ჩემ წინ იდგა მაღალი, ლამაზი ტანის მომხიბლავი მამაკაცი.

გულნაზ... გააგრძელა საუბარი ლამზირამ, როდესაც მეუფის საფლავთან მივედი, ეს პიროვნება დაჩოქილი იდგა და მეუფეს ესაუბრებოდაო. ჩემი მისვლა არც უგრძვნია და მეც მყუდროება არ დავურღვიე. მე პირადად გავიგონე ასეთი სიტყვები: მეუფეო, დამიფარე მაცდური სურვილებისაგან, მომმადლე ლმობიერება, განმინათლე გონება, დამაყენე სწორ გზაზე, რადგან შენ ხარ უკვე ჩემი საფიცარიო. უცნობს თავაზიანად შევეკითხე, თქვენ? თქვენ რაღას იტყვით?

– ციხიდან ახალი გამოსული ვარ, რუსთავის ციხეში ვიჯექი, მეუფე ხშირად დადიოდა ჩვენთან, მას გარდაცვლილი შვილი ჰყავდა, გიორგი, უფრო სწორად მოუკლეს, მეუფის შვილის მკვლელთან ვიჯექი. მეუფემ მკვლელს აპატია ჩადენილი დანაშაული. ამან თითოეულ ჩვენგანში მხეცი ჩაკლა და გააღვიძა ადამიანი. ხელოვნების მიზანიც ხომ ეს არის, მეუფე, გარდა იმისა, რომ სასულიერო პირი იყო, ის პოეტი იყო, ხელოვანი, ჩავილაპარაკე და კვლავ უცნობის საუბარს დავუგდე ყური, ციხიდან როცა გამოვედი, განაგრძო უცნობმა, მეუფე გარდაცვლილი დამხვდა, სიონის ეკლესიაში შევედი, ფიცი დავდე უფლის წინაშე, რომ მეუფის საფლავზე ყოველდღე ვივლიდი და უნებლიედ ჩადენილ ცოდვებს მოვინანიებდი. ეს არის და ეს.

გამახსენდა 1969 წელს მეუფის დაწერილი ლექსი ოთარ ჩხეიძისადმი დასტურად იმისა, რომ მეუფის მიერ ნაწინასწარმეტყველები ზუსტად ასრულდა.

„მას კი, მას სულში მზე უნთია
მამულის ფარად
და ამ მზესავით ნათელია ამგვარად
თქმული...
დაფნის რტოებმა ერს მარადი
სიცოცხლე ამცნონ...
ეს დიადება შორს მწვერვალზე
თქვენ აგეტანოთ
ღიმილიანო, დიდებულო, კეთილო კაცო.

მეუფე თადეოზი ჩვეულებრივი პოეტი არ იყო, მისი წინასწარმეტყველური ლექსის სტრიქონები: „სპეტაკი ტვირთი მწვერვალებზე ააქვთ ტიტანებს“ – ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი სიტყვები მოვლენათა წინასწართქმული ნიმუშია. ბატონი ოთარ ჩხეიძე, მარადიულ შარავანდედად ანთია ქართულ ლიტერატურაში.

„შენ მაპატიებ ჩემს ხასიათს, ველურს, ჯინიანს“, თუკი ცხოვრებამ გაახევა გული ტიალი,“ მეუფემო, ამბობდა „უცნობი“ ციხეში შვილის მკვლელი ნახა და აპატია დანაშაულიო, ჰო, აპატია ჟინიანი ველური თვისებები, რადგან ცხოვრებას გაუხევებია მკვლელის გული.

ბატონი ოთარ ნიკოლაიშვილი მამა გაბრიელის ნათქვამს იხსენებს: თქვენ არ იცით, ვინ არის მეუფე თადეოზი. რატომღაც მგონია, რომ მის დაფარულ სულიერ თვისებებს მისი პოეზიაც გულისხმობდაო.

ნინო ჩხიკვიშვილი ამტკიცებს, რომ მეუფის სტრიქონებში ქართველი მკითხველი იპოვის იმ ჭეშმარიტებას, რომელიც პოეზიისათვის მოყოლებული ჰიმნოგრაფიიდან ორიგანული იყო,

უფალთან სიახლოვე ქართულ პოეზიას აკლიაო. და მართლაც მეუფის ყველა ლექსი უფლის შთაგონებულია.

„ვის ცრემლს მადლი აქვს, ის ღმერთის შვილია...

და მას ნუღარაფრის ეშინია. მეუფეს სიკვდილის არ ეშინოდა, რადგან მას სწამდა, რომ ცათა სასუფეველში მარადიულობა ელოდებოდა, თავისი კეთილი და მიმტევებელი თვისებების გამო.

„ერიდე ცოდვის პირველ ხაფანგს,
არ გაჰყო ფეხი,
თორემ დაგამსხვრევს, როგორც მუხა
ტანძლიერს მეხი“.
როგორ ჩააგონებს ყველას, რომ ცოდვას უნდა განერიდო.
„მე ჩემი პაპის
პაპის პაპების
პაპის პაპები
მგონია მთები“.

მე კი იმაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „უცნობი“, სწორედ მეუფისაგან შთაგონებული, არასოდეს დანაშაულს არ ჩაიდენს. ის, ასე მგონია, ჭიანჭველასაც არ დააბიჯებს ფეხს. იგი ვიხილე ღმერთთან მიახლოებული, სულით ამაღლებული, „უცნობს“ არავითარი სიამაყე არ ეტყობოდა, მასში ანათებდა ღვთიური მადლი.

ჰოი, უფლის მთავარანგელოზო, გულში გავიფიქრე და მეუფის საფლავისკენ შევტრიალდით მე და სასწაულის მხილველი, ლამზირა შეყილაძე. ორივემ დავიჩოქეთ, ვემთხვიეთ საფლავს, ორივეს ცრემლები გვცვიოდა, ორივეს გვტკიოდა და ორივეს გვიხაროდა, რადგან ვივსებოდით მამა აკაკის მადლით, ვგრძნობდით მეუფე კონსტანტინესა და მეუფე თადეოზის სულის მფარველობას.



რამდენიმე დღის შემდეგ ლაგოდეხის რაიონის №1 საჯარო სკოლის მოსწავლის ტატო ხარატიშვილის მშობლებს დაუკავშირდი და ვაცნობე, რომ ღვთის მამის, მამა აკაკი მელიქიძესთან მათ შვილს პატარა ვუნდერკინდსა და სტიქაროსანს კურთხევა ჰქონდა, რომ ინტერვიუ გაეკეთებინა. ქალბატონ ია თანდიშვილს (ლაგოდეხიდს რაიონის საბავშვო ექიმს), ძალიან გაუხარდა, მაგრამ ორი დღის შემდეგ ტატო ბულგარეთში მიყავდათ, როგორც ცეკვის ერთ-ერთი მონაწილე. დედა ძალიან განიცდიდა, რადგან ერთადერთ შვილს დაფოფინებს და ათი დღით მონატრების ცრემლს

უნდა შეგუებოდა. უფლის ნებაა ყველაფერი, გავამხნევე ქალბატონი ია და დავპირდი, რომ მამა აკაკის და მამა გაბრიელს დავალოცვინებდი. ასეც გავაკეთე, იმ წუთშივე დავუკავშირდი მამა აკაკის და მამა გაბრიელს. ავუხსენი მდგომარეობა, ორივე მამაომ დალოცა ანსამბლი, უსურვეს ყველა ხელოვანს წარმატებით ევლო ხელოვნების დიდ გზაზე.

ლაგოდეხის ანსამბლმა (ხელმძღვანელები კახა კობახიძე და სოფო ტყემალაძე), ბულგარეთში პირველი ადგილი აიღო და წარმატებით დაბრუნდა საქართველოში. რამდენიმე დღეში დაიგეგმა შეხვედრა მამა აკაკისთან. დილის ათ საათზე მეტეხის ეკლესიაში შესასვლელთან ხალხის დიდი რაოდენობა იყო. რწმენით აღვსილნი ელოდებოდნენ მამა აკაკის. ლოდინიც არ დაგვჭირვებია. გამოჩნდა თუ არა მამა აკაკი, იმედის სანთელი აინთო ჩემს გულში, წინ მოკრძალებით წავდექი და მასთან შეხვედრის მიზეზი კვლავ გავიმეორე. კურთხევა მოგვცა და ზუსტად იმ სკამზე მოვხვდით, სადაც მე და ლამზირა ვისხედით მასთან პირველად შეხვედრისას, საიდანაც სიონს გადავყურებდით. სკამის კუთხეში პატარა ტატო დაჯდა და მეც გვერდით ისე მოკრძალებით ჩამოვჯექი, რომ ვცდილობდი არ შევხებოდი სკამსაც კი... საუბრის დროს ხალხის მთელი არმია ჩვენ გარშემო იყო, ალბათ ასზე მეტი იქნებოდა, ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდა იქ მყოფნი. ჩვენ მოვხვდით ადამიანთა ცოცხალი პიროვნებებით ამოშენებულ ქვევრში ეს იყო დაუგეგმავი საოცრებათა სცენა. ორმოცი წუთი ისე გავიდა, ვერავინ გრძნობდა დროის გასვლას. თვით მამაოც კმაყოფილი იყო დასმული კითხვებისა, ვგრძნობდი და დასასრულს პოეტ ლამზირა შეყილაძის ლექსი წავუკითხე, ესიამოვნა, დალოცა ლექსის ავტორი. მე კი ამ სიტყვებით გამოვემშვიდობე. ხალხის მკურნალო მამავ, ლოცვას გვირიგებ წამლად... დამლოცე სულკამკამავ, დამლოცე, გზას რომ წავალ. რა დამავიწყებს მამა აკაკის გაბრწყინებულ თვალებს, დამლოცა მეც და დალოცა მთელი მრევლი. რა დამვიწყებს იმ ა\ადამიანებს, სურათებს რომ იღებდნენ, იყვნენ უცხოელებიც. როცა ყველაფერი დამთავრდა, მამა აკაკი ეკლესიაში შევიდა, მრევლიც თან გაყვა. აი, რა გადაარჩენს საქართველოს. რწმენა, უფლის სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემა, საქართველო მზიური ვაზის ქვეყანაა, დასაფიქრებელია რაში ვხარჯავთ ჩვენი სიცოცხლის წუთებს...

პოეზია



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

აღსაყდრებისათვის

უწმინდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს

თქვენს ამქვეყნად მოვლინებას
მადლი ახლდა მზედა,
გიკურთხევდათ მომავლის გზებს
ღვთისმშობელი დედა.
საქართველოს სიხარული
ცაზე ფრთებსა შლიდა,
მოდიოდით მაგ ღიმილით
კეთილად და მშვიდად.

მხოლოდ უფლის კურთხევა და
მხოლოდ უფლის ნება,
საქართველოს გახარება,
ქართველთ გაბრწყინება.
საღმრთო ჭვრეტით, მაღალ ხედვით,
წარუვალზე ფიქრით,
ვით წარვდგებით მაცხოვართან
დღეის ამას იქით,
შინაგანი წამებით და
შინაგანი ტანჯვით,
ღვთაებრივი ენერგიის
მხოლოდ შუქად ხარჯვით,
მირონმდინარ სვეტიცხოვლით
და სიონის მადლით,
გელათის მზით, იყალთოთი,
ალავერდის ნათლით,
წმინდა ნინოს ვაზის ჯვარით,
მზე თამარის ხატით,
გზით, რომელიც აქ იწყება
და სულ მაღლა ადის.
გორგასლიან, დავითიან,
მახვილ დროშით, ფიცით,
რწმენის ცეცხლით, განუკვეთელ
ანდამატზე მტკიცით.
ლომ დიმიტრის თავდადებით,
ქეთევანის სევდით,
არაგველთა ზვავის ქარით,
სიკვდილს ელდად ვდევდით.
დედა ცხრა ძმას აწოვებდა
საფიცარი მკერდით,
მხოლოდ ღმერთით ვიმარჯვებდით
ხშირად ასზე ერთით.
უკვდავების წილნაყარი
მუხა იყრის ყლორტებს,
წინაპართა კვალზე ვდგებით,
რომ მზეს გავუსწორდეთ...
მადლიერი, კვლავ ძლიერი,
ფეხზე დგება ერი
და ღვთიური ენერგიის
საგალობელს მღერის.
მამულს ბევრი ეყოლება
ვაჟი – ლომისფერი...
ქართველთ გამარჯვების იყოს
მრავალჟამიერი!

* * *

ვინ აპატიებს შეცდომას დიდ კაცს?
მისთვის მძიმედ სჩანს შეცდომაც მცირე,
დარჩება ლაქად აქაც და იქაც,
ჟამი დასცინებს.

1979 წ.

სვეტიცხოველი

სვეტო ცხოველო, სვეტო ნათელო,
ანგელოზთ ხელით სვეტად ნათალო,
ვიდრე შენ ფარავ მთელ საქართველოს
მტერმა და ავმა ჩვენ ვერ გაგვთელოს.
სახლო ღვთისაო, ცად მისათვალო,
აზრო მაღალო, რწმენავ მართალო,
წმიდათა წმიდავ, შენ საკართანო,
მუხლმოყრით ვდგავართ შენსა კართანო.
სიცოცხლის ბაღით მოსულო ხეო,
ცამდე ასულო სხივ-სამოთხეო,
შენ განგვინათლე ბნელი ღამეო,
ცამდე მნათობო, მაღალო დღეო.

გარეჯი

უტეხი სული, სიმხნე და სიბრძნე,
და კიდევ რაღაც სხვა უფრო მეტი...
მათ ზე სამყაროს მიწვევა იგრძნეს,
გაბრწყინდნენ როგორც სინათლის სვეტნი.
გმირები რწმენის, სიმართლის მაღლის,
გაუღუნავი ბურჯები ერის,
მეჩუქურთმენი საუფლო სახლის,
ტკბილად მღერალნი ღვთაებრივ ენით...
ყაყაჩოდ ანთებს იმათ სისხლს, დაღვრილს,
სამშობლოს მიწა, მამული ჩვენი.

გაზაფხულია... ვაზის ცრემლით ატირებული

გაზაფხულია... ვაზის ცრემლით ატირებული
მდინარეების აზვირთება, ჩანჩქერთ ქუხილი...
თითქოს მოსულა სიყვარული დაპირებული
და ერთიანად წაუშლია ყველა წუხილი...
აყვავილება... სიცოცხლედ წვა... ღელვის საგანი...
გრძნობა აღმტაცი, ცად აღმფრენი ლურჯი ფრთებია,
უგრძნობელობის წაუშლია ყველა სამანი
და სილამაზე დედამიწას მოფერებია...
ლაღი ფუტკარი სანექტაროდ ყვავილს ესევა,
დიდი სიცოცხლე უშურველად ყველას გვახარებს...
კურთხეულ იყოს ზეცით მოსვლა გაზაფხულისა,
ვინც მარადისზე გვაფიქრებს და ნათელს გვაყვარებს.

* * *

სურნელოვანი ყვავილი ველის...
ვაჰ, რომ დაჭკნობა უდროოდ ელის.

* * *

განაგდე შიში სიკვდილისა შენგან სრულიად
და ბოროტება თავით თვისით განბასრულია.



მდაბალი მამა გაბრიელი
(ბეგლარ კულუმბეგაშვილი)

მეუფე თადეოზს

ფეხზე ამდგარი, ტკბილი ღიმილით წახვედი ღმერთთან,
ჩვენ დაგვიტოვე უსაზომოდ მძიმე ნაღველი,
უკვდავებისკენ მიმავალ ამ შორეულ გზაზე,
გზას გინათებდეს შენ მარადჟამს წმინდა სანთელი.
აქ შენს საფიცარ სამშობლოსთვის მარად მლოცველი,
ვიცი, რომ იქაც კვლავ ილოცებ შენ დაუღლელად,
და სიო, ზეცით მონაქროლი, თავისუფლების,
შენს ტკბილ სამშობლოს დადგრება შარავანდედად.
ბევრს ვერას გეტყვი, ვერ გაგაოცებ ჩემის ნაყბედით,
ვერ გამოვდგები ქართულ სიტყვის მე დიდ მეხოტბედ,
ილოცე ჩვენთვის, ქართულ სიტყვის დიდო ოსტატო,
დიდო მეუფევ! მოგვიტევე თუ რამ შეგცოდეთ.

08.02.2015წ.

დამილოცნიხართ

დამილოცნიხართ! თუ ჩემს ლოცვას
რამე ძალა აქვს,
დამილოცნიხართ! ვისთანაც გსურთ, ვინაც გინდოდეთ,
დე ეტლი თქვენი ბედნიერების მშვიდად ვიდოდეს,
კაცი არ ვიყო, ამის მეტი თუ რამ მინდოდეს,
მე კი ჩემს ტკივილს, გულზეც ნაჭდევს, მშვიდად ავიტან,
ჩემს გოლგოთაზედ გაჭირვებით ჩემს ჯვარს ავიტან,
ნეტავი იმას! ვინც თავის ლელოს მაინც გაიტანს,
შენთან იქნება საქართველოვ!
და შენს სიყვარულს არვის გაატანს.
ამას გთხოვთ მხოლოდ, სამუდამოთ ნუ დამივიწყებთ,
მეხსიერების ქარს ნუ გაატანთ თქვენ ჩემს ხატებას,
და იმ ქვეყნიდან? თუ ჯოჯოხეთს არ მიკრეს თავი,
მე მაინც გეტყვით: დამილოცნიხართ!
დამილოცნიხართ!!
დამილოცნიხართ!!!

1989წ.

* * *

ვიღაცა შთაგონებას მოუცავს,
ვიღაცას სევდა შემოჰყრია,
ვიღაცას დაკარგული მოუვალს,
ვიღაცას თავისიც დაჰკარგვია,
ნეტავს მას, ვისაც უპოვნია,
ვაი მას! ვისაც დაჰკარგვია,
ო, როგორ სანატრელი გაგვხდომია,
ამ ქვეყნად ყველაფერი რაც კარგია,
სიცოცხლეს ნაბოძებს წამიერად,
ფუჭად ნუ გაატარებ ავ-კარგიანს,
გოლგოთას აიტანე ჯვარი შენ და,
საყვედურს ნუ ეტყვი ადამიანს,
თორემ უკან რომ მოიხედავ,
ნახავ, რომ ყველაფერი დაგკარგვია.

* * *

უსიყვარულოდ სიცოხლეც კი ფასს კარგავს მუდამ,
უნდა გიყვარდეს და ვიღაცას უყვარდე უნდა,
არ გიტაცებდეს მაცდურობა ამაოების,
უნდა გიყვარდეს უბრალოდ და ღვთის სასოებით.
თუ გინდა კვალი რომ დასტოვო ამქვეყნიური,
შენ სიყვარული უნდა გახლდეს მუდამ ღვთიური,
და უკვდავებას ეზიარო შენ თუ კი გინდა,
ღვთის სიყვარული გულით ატარე შენ მარად წმინდად.

მუდამ გახსოვდეს, თუ ამქვეყნად რისთვის მოვედით,
რომ სიცოცხლეა ნაბოძები მხოლოდ დროებით,
განვლილ სიცოცხლის რომ არ გქონდეს შენ გულისწყვეტა,
შეუშრობელი ცრემლით ევედრე ღვთისმშობელ დედას.
შესთხოვე უფალს მიტევება შენი ცოდვების,
და იმის, რომ ტარება ჯვრის გესიმძიმება,
იყავი მუდამ მადლიერი შენ შენის ხვედრის,
რომელიც ღმერთმა მხოლოდ შენთვის, შენთვის ინება.

ივერი 24.01.2011.

ავი სიზმარი
(ღმერთმა ნუ ამიხდინოს)

მე არც ღვინო მწყუროდა,
და არც პური მშიოდა,
აქ იმიტომ მოვედი,
სიზმრად ნანახს ვძიობდი,
დედა ნინო ტიროდა,
ცრემლი ჩამოსდიოდა,
ამდენი მკრეხელობის მოწმეს,
გული სტკიოდა
მიშველება მეწადა,
ძალა არ მომდიოდა,
მთაში ლაღი ქორბუდა,
ძველებურს ვერ ჰყიოდა.
არაგვი და ლიახვი
მტკვარს აღარ ასდიოდა,
ენგურს იქით სოფლებსაც
ღვარად ცრემლი სდიოდათ.
ოსმალო და ურჯულო
ლაღად მიმოდიოდა.
თეთრონზე ამხედრებულ
მხედარს ლოცვით ვნატრობდი.
გაჩეხილი მკერდიდან
სისხლი გადმომდიოდა.

1 ივნისი 1983 წ.
(ვაი, რომ ამიხდა!)

სამადლობელი დედაღვთისმშობელს

შენ უნეტარესო დედავ! ჩვენის ღვთისა,
გმადლობ! ამქვეყნიურ ყველა მადლისთვისა,
პატარა ვიყავ და ეშმამ ვერ მითვისა,
დედამ დამტოვა და მამამ გამასხვისა,
შენ სულ გვერდით მყავდი,
რადგან მთვლიდი ღვთისად,
გმადლობ! ამისთვისაც, სიტყვისათვის ღვთისა,
რომელმან ცოდვანი სოფლისა მიითვისა,
ცოდვილნო! ისმინეთ სიტყვა მაცხოვრისა,
„ნუ ისურვებთ სხვისას, ნურც გშურთ ეშმაკისა,
სული არის ღვთისა, თიხა კი სულ სხვისა“,
გესმათ სიტყვა ღვთისა, ჩვენთვის ჯვარცმულისა,
უფალო! შეისმინე ლოცვა ცოდვილისა,
დედავ! დაიფარე მკვიდრნი ამ მიწისა,
შენწილხვედრილისა, მრავალტანჯულისა,
სისხლით მორწყულისა, შენის მვედრებლისა,
გმადლობ დედავ ღვთისა!
ყველა მადლისთვისა.

21 სექტემბერი, 1983წ.

მაყვალა გონაშვილი

ღვთისმშობლის მონოლოგი

რატომ დამხატეთ მწვანე წალკოტში
ბაგით მღიმარით? თვალებით მშვიდით?
თქვენ ხომ არ იცით, როგორ გავრბოდი,
ნაკვალევს ცრემლით როგორა ვშლიდი,
თქვენ ხომ არ იცით, როგორ ვეწამე,
როგორ ვთრთოდი და როგორ ვტიროდი
და ჩემს სარკმლიდან შემოსულ ლანდებს
ჰქონდათ პროფილი დიდი ჰეროდის.

ვნება – ზმანება, შვილი – სიშორე,
სისხლის ცრემლებით გამოტირება.
რწმენა – სიმაღლე, გოლგოთა – ჯვარცმა...
მამაუფალმა ასე ინება.
ჰო, აღასრულა, რაც გარდუწყვიტეს,
რაც დაუწერა განგებამ ბედად,
თქვენთვის ის ღმერთის ძეა მაღალი,
მაგრამ მე მაინც დედა ვარ, დედა.
და მეც ვიტვირთე თქვენი ცოდვები,
მეც რწმენის ჯვარზე ათასჯერ მაცვეს.
ზეცის ბილიკზე დამზრალ შროშანებს
ცრემლებით რწყავდა შემკრთალი მაცნე.
სხივი, რომელიც გინათებთ გზაწვრილს,
ჯვარზე გაკრული ღმერთის წულია,
ხეებს რომ ასე აკვნესებს ღამით,
ქარი კი არა, დედის გულია.
თუ განსაცდელი ელის ქვეყანას,
დღეები სევდით თუ დაიბინდა,
გფარავდეთ ჩემი ტანჯული შვილი,
მამაუფალი და სულიწმინდა.

ვალი

არა მარტოდენ მამულის, ანდა,
არა მარტოდენ წინაპრის ვალით
საქართველოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.
ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი
გაჰყვე ეკლიან უცნობ ბილიკებს,
ვიღაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,
ვიღაც ქარივით გაგაქილიკებს,
ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე
მზის სხივით ქსოვდე ჩალისფერ დროშებს
და სიმართლისთვის ზღაპრის გმირივით
რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს,
ეს იმასა ნიშნავს, რომ ცალი ხელით
აკვანს არწევდე, სად სხივი ჩადგა,
ხოლო მეორით კემსავდე ძველი
მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს.
იყო ერთგული დედა და ცოლი,
თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,
ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,
სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო.
და სხვა კეკლუცი ქალების დარად,
არ შეგისრულდეს ნატვრა აროდეს,
არ იყოს ვინმე, სიმარტოვიდან
შენს დასახსნელად მოუხაროდეს,
ეს იმას ნიშნავს, არ განუგეშონ,
როცა სიცოცხლედ გიღირს ნუგეში,
ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი
კაცის და მიწის მძიმე უღელში.
არა მარტოდენ მამულის, ანდა,
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.

მანამდე ისე შორი გზებია

ვინ გპატიებს, რომ ხარ კეთილი,
სათნო, უმწიკვლო და უშურველი,
რომ სული სავსე გაქვს მაჩიტებით,
რომ საზრდოდ გყოფნის იის სურნელი,
რომ ვინც გაგწირა, ყველას შეუნდე
და მიწასავით იყავ მდუმარე,
რომ უდარდელი ცხოვრების მაცნეს
დაუფიქრებლად უთხარ უარი,
შენ ჰგავხარ ატმის ხეს აყვავებულს,
რომელსაც ფერადს ამტვრევენ რტოებს,
მოვა დაღლილი მგზავრი შენს ჩრდილში,
სულს მოიბრუნებს და მერე გტოვებს,
ვით კუზიანი კითხვის ნიშანი
ბედი მოგდრეკს და იტყვი... სანამდე?!
ჯერ ასჯერ მაინც უნდა წაიქცე,
რომ ერთხელ მაინც ზეცად ამაღლდე.
მანამდე ისე შორი გზებია,
მანამდე ისე ახლო გზებია,
მანამდე ვის არ გასთენებია,
მანამდე ვის არ დაღამებია,
მანამდე უნდა იყო მორჩილი,
ლექსით და ლოცვით ღამის მთეველი,
მანამდე უნდა გაექცე პატივს,
როგორც დაღლილი ნაზარეველი.
ვერ გაგიგია,
რატომ გკენწლავენ,
ტალახის გუნდას გესვრიან რატომ?
ჯერ უნდა შურის ჯვარზე გაგაკრან,
რომ დაგინახონ და მოგინატრონ...

მერაბს

თუმც არ მასვენებს ბედი – მდევარი,
მაინც სიმშვიდის ვეძებ სამანებს.
მე შენი დიდი სიყვარულისთვის,
ალბათ, ლექსებსაც დავასამარებ.
ისე მიყვარხარ, რომ ვიტანჯები,
სავსე ვარ შენით და ბედნიერი,
შენით ნათდება აღმოსავლეთი,
შენით ბაცდება დასალიერი.
ათასწლეულთა იქითაც, ალბათ,
ერთურთს ეძებდნენ ჩვენი სულები,
უერთმანეთოდ ამ ქვეყანაზე
მარტოსულები, დაკარგულები.
მე მიყვარს შენი სული მღელვარე,
სავსე მთოვარის იდუმალებით.
შენში წვიმს ჩემი თეთრი სიზმრები,
ჩემში წუხს შენი შლეგი ქარები.
მე რომ ვიცოდე, გზა გაქვს ტკივილის,
ტკივილის გზაზეც არ შეგელევი,
გამაუკვდავე, განმამეორე,
შენი სისხლით და შენი გენებით.
თუმც თავს ვიმკობდი ლექსის მძივებით,
მე უკვდავება შენით ვიწამე.
ღმერთო, გვაშორე თვალი მოშურნე,
ერთად გვამყოფფ ცაშიც, მიწაზეც.



ვაჟა ეგრისელი

მიწა

მზე უგზო-უკვლოდ მიაჭენებს
სინათლის რაშებს,
მთვარეც ბაძავს და უკან მისდევს
სიბნელის რაშით
და ჩვენ მოკვდავებს ცოტა გვრჩება გასახარელი.
წევს უდარდელად –
დრო და ჟამის
ამღვრეულ ზღვაში
და ჩვენს სიცოცხლეს კვლავ იცოხნის მიწა
ხარივით.

1977

* * *

არც ოქრო,
არც ვერცხლი,
არც ფული,
არ გშველის...
შურში ხარ ჩაფული...
და აღმოგაჩინონ, ვით ტროა,
დროა,
პოეტო, დროა!

1988

* * *

ცივია ახლა ეს მოგონება,
უფრო ცივია სინანულის
გზა უპირქუბო
და ეს წუხილი შენ მომანიჭე,
გახსოვს?
როდესაც უნდა შეელო
შენი კეთილი გულის კარიბჭე,
და სწორედ მაშინ,
სიყვარულს რომ ფეხი დაუსხლტა.

1967

დედა, ყოფნა რა იქნებოდა

თითქოს სოფელში ვიყავი და...
უკუქცეული
ბინდი შუკებში უხმოდ ქრებოდა.
მოხველ,
ვით წინათ
შემისწორე თავსასთუმალი.
გამომეღვიძა...
დედა,
ყოფნა რა იქნებოდა,
რომ აღარ იყო ჩემი სიზმრის
ხშირი სტუმარი.

1984.

და მერე გვიან...

მომწყდება ცრემლი, როგორც ვარსკვლავი,
და ცას მიპყრობილ
ღია თვალებში –
ჩამეყინება შენი მზე და
შენი ბორცვები
და...
საქართველოვ!
შენ მოგიკვდები,
გაჩენის დღიდან შენზე მლოცველი.

1977

ციხე და ციტადელი

ღმერთმა ნუ ქნას და,
სამშობლოს მთა
ნისლს თუ მოიხვევს,
და თუ ღრუბლებმა,
იმედის მზე
ცით განდევნა,
მაშინ ზურაბი,
მამულის მტერს
დახვდება ციხედ,
ხოლო დაჩი კი –
ციტადელად.
1986

ქვევრები

ღვინის კი არა,
სამარხი ქვევრი
ცრემლის და თიხის ნარევით ზილეს
წინაპრებმა და...
როს დაღლილებს ეწვიათ
ძილი,
ჩაწვნენ ქვევრებში...
მძიმე მიწა აღარ
ემძიმათ
და ათას წელზე უფრო მეტი
ქვევრში ეძინათ,
არქეოლოგებმა სანამ აღარ გამოაღვიძეს.
1963

დედა

თბილი სიჩუმე –
შენი ხმაა გაქვავებული,
სამშობლოზე ფიქრს რომ მაძალებს მე –
საღამოთი.
შენი,
ო, შენი არყოფნაა –
აქ რომ შებინდდა.
დილით,
მზე არა,
დედა!
შენი სული ამოდის,
უნდა გელოდო აწ მარადჟამს –
ღამეებიდან.
1985



თეიმურაზ ლანჩავა

* * *

სიმშვიდით მომავალს იბევებდე,
წესია მორჩილთა ამაქვეყნის,
ბავშვობა მიგიყვანს სიბერემდე,
თუმცა შენ მორჩილი აღარ გეთქმის.

წარსულს რომ უვლიდე, რა შრომაა,
რაც გიყვარს, ცხოვრობდე მხოლოდ იმით,
სიბერე, დაღლილი ბავშვობაა,
ხანგრძლივი სიცოცხლის მოლოდინი.

* *

ხომ არ გძულვარ, ხომ არ წუხარ,
თავი ხომ არ მოგაწყინე,
შენთან ერთად მინდა ვიყო,
მწუხარების მონაწილე.
რა ვქნა ჩემი მწუხარება
გზაშია და იგვიანებს,
სხვის საწუხარს შეეჩვია,
შორიდან თვალს მიბრიალებს.
ჩემი მწუხარება არ წუხს,
შესაშურად მიგრიალებს,
მოთმინება მიჭერს მარწუხს,
შემაგუა იღბლიანებს.
თავი ხომ არ მოგაწყინე,
რომ მწუხარობს, რა თავია,
მე ვარ დამნაშავე, თორემ,
მწუხარება მართალია...
ხომ არ გძულვარ, ხომ არ წუხარ,
თავი ხომ არ მოგაწყინე,
შენთან ერთად მინდა ვიყო,
მწუხარების მონაწილე.

* * *

ზეცა გამოისხამს ყვავილს,
პური ამოთავთავდება,
არ იწყება არაფერი,
არაფერი არ მთავრდება.
ევა ისევ ქალწულია,
ადამს ელოდება ბაღში,
დრო მოძველდა, გართულია,
ახალ ვარსკვლავების თვლაში.
ისევ კვდება ,ისევ ცოცხლობს,
ისევ ჩნდება,იბადება.
რაც ძველია, ყავლგასული,
მოგონებებს მიბარდება.
გაუსაძლისია ჟამი,
დროც წარსულში იძირება
და იწყება მარადყოფნის
სამუდამო მიძინება.
წევხარ მარადისობაში,
ვით ჰამაკში ,გარწევს ქარი,
მომავალში ეძებ საშველს.
წარსულს დაემდურა თვალი.
გრძნობ სიცოცხლე გართულდება,
ყველაფერი შეიძლება,
სივრცე ამოქართულება,
დედამიწა შეიძვრება.

* * *

დამიხატეს გაზაფხული,
უჩიტებოდ დამიხატეს,
უჩიტებო გაზაფხული
როგორ უნდა გამიხარდეს?!
უფოთლებო ხეებიდან
არაფერი არ გალობდა,
მზე ღრუბლებში მოქცეული,
შემცივნული კანკალებდა.
დამიხატეს გაზაფხული,
შენს გარეშე დამიხატეს,
შენს გარეშე გაზაფხული,
როგორ უნდა გამიხარდეს!?

* * *

ტორტმანებს შენი ბროლივით მკერდი
ნეტარებისთვის ამობურცული,
ვით ჩაფრენილა უბეში მტრედი,
დაუბრყრობელი ორი კუნძული.

ჩამოშლილ თმებში,ვით მთის ჩანჩქერში
აბრწყინებულა კალმახის მსგავსად
შენი საყურე,მე ვარ მეთევზე,
შენს იქით საშველს არ ვეძებ არსად.

ვარ დამბყრობელი,მსურს მოგიხელთო,
თუმც ვერ ვძალადობ,ვკარგავ სიმშვიდეს,
ქსურს ჩამიარო,არ მომიხედო,
შენი სხეული ნერვებს მიშლიდეს.

აღიმართება ერთხელაც ცისგან
დამორჩილების თეთრი ალამი,
და შენს სიმშვიდეს გამოგონებულს,
წალეკავს გრძნობა დაუმალავი.

* * *

მომისამძიმრეთ, სამშობლოში,
სამშობლოს ვეძებ,
საძებარია გოჯი მიწა,
საფლავი ხვალის,
დაფიქრებულხართ დარდად ქცეულ
სამშობლოს ბედზე,
დაგსიზმებიათ დასაკლავი
ბღავილი ხარის?
მივათრევ ტკივილს, ვით დაჟანგულ
ძველთაძველ სახნისს,
აღმოცენებულს სევდას, მწარეს
გლერტა ბალახად,
სხეულს მიჭრელებს მოქნეული
სიმწარე სახრის,
სიცოცხლეს ასეთს უარყოფდით,
რომ დაგანახათ,
როგორ ყიდიან ძვალთშესალაგს
სანაცვლოდ გროშის,
როგოე ჰყიდიან სინდის-ნამუსს
სულით ჩარჩები,
როგორ ძირმწარობს განწირული ,
სიმართლე ბრბოში,
მაინც ლოცულობ ,იმედს ეძებ,
რომ გადარჩები.
მომისამძიმრეთ სამშობლოში
სამშობლოს ვეძებ,
და ჭირისუფალს დაფიქრებულს,
სამშობლოს ბედზე.

იამზე ჭელიძე

სად არის ჩემი სიხარული და სულის შველა

გრძელი გვირაბი რატომ შეხვდა ჩემს მატარებელს
ო, ეს წუთები გვანან ღრმად, ატირებულს
გზაც გრძელი, მძიმე, ფიქრით სავსე, შიშველი ფიქრით
საით წავიდე აღარ ვიცი, აქეთ თუ იქით.
წვიმს, წვიმის წვეთებს ენაცვლება ან უკვე თოვლი
ნუთუ სინათლე დამეკარგა, ხალისი ყოვლის,
მოვდივარ ისევ გრძელ ბინდ–ბუნდში და ქარი კივის
ო, რა ცივია დღეს განწყობა: მჩხვლეტავი ცივი.
შენ კი არ გესმის: ჩემს გვირაბში ჯერ ისევ ბნელა
სად არის ჩემი სიხარული და სულის შველა.
ო, გათენებავ ჩემი სული იხსენ ბოლომდე
ო, გათენებავ მომანიჭებ ხალისს მხოლოდ შენ.

სული ამტკივდა, ისევ ბინდია

მე გამოვრბივარ გაუთავებლად
თითქოს ძახილი მომდევს მთებიდან,
დროის მოწოლა აღარ თავდება
არ ვიცი სადღაც, რა დამრჩენია,
ტრიალებს ფიქრი დაბინდულ დროში
ხმა ნაცნობია თითქოს უცნობიც,
არ ვიცი, მმართებს რამე ამ სოფლის?
ახლა სახე მაქვს თითქოს უნდობლის
ჩამესმის ისევ ხმა შორეული,
გადასახედთან ჯერ ვერ მივდივარ
ისევ ტკივილი მაქვს მორეული.
სული ამტკივდა, ისევ ბინდია,
ო ,შემაჩერეთ ან გამაქროლეთ
გადაიკეტა ეს ხედვაც დროში
ან თვით შევიგრძნო რაც მსურს, მადროვეთ,
ჩემი ნაბიჯი შევიცნო მოსვლის.
ახლა გარიყულ გზებიდან ძახილს
რაღაც უცვნია, ჩემთან სურს მოსვლა
მე ვგავარ უკვე დროისგან დაღლილს
უკვე ნაოჭი ფიქრების მმოსავს.
ჩემი ცხოვრების ეს შემოდგომა
ცრემლიანია მე კარებს ვაღებ,
მიახლოვდება ნუთუ გოლგოთა
ვიგრძენ ყოველი და დავინახე.
ო, შემაჩერეთ ან გამაქროლეთ
გადამეკეტა ეს ხედვაც დროში,
ან თვით შევიგრძნო რაც მსურს, მადროვეთ,
ჩემი ნაბიჯი შევიცნო მოსვლის.

18/VIII–2014 წ.

დაიმახსოვრე

და ტკივილებში ნაქსოვი ლექსი
მე უფრო მომწონს, ვიდრე დიდების,
რადგან პირველში ძირი და ფესვი
ცხოვრების ღრმაა, ხვდება და გესმის;
და კარებს უღებ მშიერს და ობოლს,
რომ უფრო მეტი სიკეთე შობო.
დაიმახსოვრე მკითხველო აზრი
მაშინ იქნები სულით ლამაზი.

მწარე ღიმილი ისევ ფრთებს მასხამს

რატომ მიხერგავ ლამაზ გზა-შარას,
შენ ჩაჩეხე თუ ქარმა აშარმა
დროვ, რატომ მართმევ ვარდისფერ სამოსს
ისევ შეფარვით გინდა მაწამო?
მწარე ღიმილი ისევ ფრთებს მასხამს
ჟამო, შენგან კი ყოველი რას გავს?
მე გამარჯვება ისევ მეძახის,
არ დავმარცხდები და თავს ვერ დავხრი
მაწრთობს ბუნება, მაღლიდან ღმერთი,
გამარჯვება მსურს მე ერთადერთი,
შენ კი რა გინდა დროვ; რომ დავეცე?
არა. სიმაღლე ისევ დამეძებს
ხალისის ტალღა არა მთმობს, არა,
მიგრძნო ძლიერად და გადამფარა
ახლა მე ისევ წინსვლით ნავარდი
მინდა, დროვ რატომ უნდა დავვარდე!
სითბო ჭირდება ადამიანებს
ავბედითობით არ დაზიანდნენ,
აზრებო ისევ გაშალეთ ფრთები
ლამაზ გაგების სიღრმეში ვრჩებით.

23/ IV – 2015 წ.

სული დააპურე პოეტო, შენი ხმა სამყაროს მოედოს

ჭენებით მიქრიან რაშები
ეს გაკმაყოფილებს სავსებით,
ვხედავ გსურს მწვერვალებს მოევლო
შენი გზა იქით არს პოეტო.
სამყარო ლამაზი, მახინჯიც
შენშია შეუმცდარ კაცივით
ყოველი ფერი და სურვილი
გხატავს და გაღელვებს წყურვილი.
შეიცნო მრავალი სიღრმენი
მერე წარმოსახო სიმღერით.
მაშ გასწი, ჭენებით რაშების
შეიგრძნო ჩვენს დროის მსგავსები,
სული დააპურო პოეტო
შენი ხმა სამყაროს მოედოს.

ისევ იმედი მე მაცმევს სამოსს

ამდენი ფიქრი ლოდინის კართან.
დაგვიანება ისევ და ისევ
და გარემოცვა შლეგიან ქართა
ო, დაკარგულო შენ სიხალისევ.
მჭირდები ძლიერ, შენ როგორც სუნთქვა
შენთან წამები სულ სხვაა, სულ სხვა,
მაინც იმედის ფერი დამყურებს
ვიცი დრო მაინც რომ დამაპურებს,
მაგრამ ამინდი ცივია, ცივი
და შეუცნობი რაღაცა კივის,
თუმც მზის საფარი მოიწევს ჩემსკენ
უნდა რომ მისი სხივები შემრჩეს.
ისევ იმედი მაცმევს სამოსს
ვფიქრობ შემოვა ჟამი საამო.

ალექსანდრე გოგინაშვილი

„საქართველო წმინდანების ადგილია“

საქართველო ნუთუ მართლა
წმინდანების ადგილია,
ერთი მუჭა მიწის დაცვა
განა ასე ადვილია?

გარს ეხვევა მტერთა ჯარი
მათი ენა მახვილია,
ამ პატარა ერის შვილი
დაბადებიდან გმირია.

ქვეყანაზე დასაცავი
არის ერი, არის მიწა,
მტერთა ჯარი შემოვიდა
ეკლესია წაიბილწა.

ქართველ ვაჟკაცს ომში უხმობს
საქართველოს სიყვარული,
იგი მტერთან შესახვერდად
ამაყია და დიდგული,

ერკინება იგი მტერს და
თითქოს უნდა დაეცესო,
რადგან მტერი ურიცხვია
ებრძოლება იგი მგლებსო,

მაგრამ ვაჟკაცს მხარში უდგას
გმირობაში გამოცდილი,
დავით მეფე ახოვანი
მრისხანე და დალოცვილი.

ერთი ათზე შეერკინა
ქართველთ ჯარი სასახელო
და დიდგორის ველზე იხსნა
მტრისგან მეფემ საქართველო,

საქართველო ნუთუ მართლა
წმინდანების ადგილია,
ერთი მუჭა მიწის დაცვა
განა ასე ადვილია?!

2015 წელი

„ვედრება“

ღმერთო ერთსა გთხოვ ისმინე
ეს ჩემი ერთი ვედრება,
ქართველ ვაჟკაცთა გმირობას
სხვა ხომ ვერავინ ედრება,

მაგრამ ერია პატარა,
ვაჟკაცნი დარჩნენ ცოტანი,
ქართულსა მიწას ყოველთვის
გარს ეხვეოდა ყორანი.

უფალო მიეც წყალობა
ქართველსა, ერსა ბედკრულსა,
მიეცი ძალა ერთობა,
როგორც ერთ მუჭად შერკულსა,

რათა გამრავლდნენ ვაჟკაცნი
ვით ძმანი მარაბდისანი,
ერისთვის თავდადებულნი
რწმენისა ჰქონდეთ მიზანი.

დაე იხარონ დედებმა,
ცოცხალი ჰყავდეთ შვილიო,
ღმერთო აშორე ყველასა
დარდი და გასაჭირიო,

დაე იხაროს მამულმა
მიწას არ აკლდეს ხარია,
დიდი ხანია ამ მიწას,
რომ აღარ გაუხარია.

მარადჟამ მხიარულობდეს
ვაჟკაცია თუ ქალია,
მრავალსა ზრდიდნენ შვილებსა,
საზღვარი დასაცავია.

ბავშვების ჟრიამულობამ
სიცილით შეძრან მთანიო,
მტერი თუ საზღვარს გადმოცდა
ყველა ვართ მეომარიო.

გამოიდაროს ქვეყნადა
სიცივე დარჩეს მტერსაო,
ხორბალი მარავლად გვქონოდეს,
ღორებს ვაჭმევდეთ ქერსაო.

მტერსაცა პური მიეცი
მასაცა ჰქონდეს ლხინიო,
დედა ხომ ყველგან დედაა,
არ დაუკარგო შვილიო,

მტერსაცა რწმენა მიეცი
ნათელი ქონდეს გულიო,
რათა ყველგანა მშვიდობის
მოვიდეს გაზაფხულიო.

ღმერთო ერთსა გთხოვ ისმინე
ეს ჩემი ერთი ვედრება,
ქართველ ვაჟკაცთა გმირობას
სხვა ხომ ვერავინ ედრება.

2015 წელი

მაია მახარაშვილი

ჩემს თბილისს
(„თბილისობაზე“სათქმელი)

შენ ტოლს არ უდებ სატახტოთ ძველთა, –
ბუმბერაზებმა გიგეს კარიბჭე,
შენ ქვეყნის ბურჯად გაკურთხა მცხეთამ
და უფლის ნება ძალას განიჭებს.

შენ ქართველთ ბზა ხარ, სულის ვენახი,
ვარსკვლავთ ციალი ლაჟვარდოვანი,
შენი ძირძველი ფუძის შეძახილს
სდევს ფოლიანტი ათასწლოვანი.

შენ ხოხბის ფრთებით სული შთაბერე
მარადისობის მზისფერ ტახტრევანს,
ჭიდილმა ჟამთა ვერ დაგაბერა –
არ ღალატობდი მრწამსს და არჩევანს.

კავკასიონთან შუმერთა სუნთქვას
ერთვის წინაპართ გადაძახილი...
გორგასალს ლაღი სიმღერა უთქვამს
და დაუტეხავს მტერზე მახვილი,

თავს დაულეწავს შუბთა ხორომი,
დღე დაუნისლავს სისხლის წვეთებით,
ხმლით დაულოცავს ვაზთა კორომი
ცად აფრენილი სულისკვეთებით...

შენ ბალავარად გულს ჩამეკირე,
შორიდან მმოძღვრავს მამათ საძვალე.
შენს მხნე წარსულში კლდედ ჩაწნეხილებს,
მომავლისათვის ვკირწყლავ საფლავებს.

შენი კენჭიც და შენი ნაფოტიც,
ციხე-სიმაგრეთ ჟამთ მძლე ცხაური,
ძირძველ ჩუქურთმად მტკვართან განტოტვილ
შენი ქუჩების მტვერთა ხმაური

გულის ფიცარზე დამდუღებია
წრფელი ლოცვით და უფლის საჭრეთლით,
შენი ტაძრები – თავთუხებია
საფერები და მზისებრ საჭვრეტი...

თბილისო, ერის ფესვო და ფრთებო,
ხელთუქმნელ ნიჭთა ბჭევ და ნათელო,
ცისკრის სურნელო, მომავლის გზებო,
თვალშეუდგამი სივრცის სანთელო,

ნავსაყუდელო, დროთა ყივილო,
გაზაფხულო და სიკეთის ზვარო!
ვარ შენი მიწის ერთი ღიღილო –
შენი საუნჯით ვსუნთქავ და ვხარობ...

უფლება მომეც, ვემთხვიო სარკმელთ
სიონის ტაძრის სპეტაკ კედლების, –
აქ ხომ სიცოცხლე სიყვარულს აკმევს
შენს მადლმოსილთა შვილთა ვედრებით.

ნამარხულევი აღვაპყრობ ხელებს,
ლოცვას აღვავლენ ზენისკენ სამგზის,
ფიქრით გადვუფრენ მამულის ველებს,
ჩავიკარგები ხვეულში ვაზის...

16.10.2015.

ПИСЬМО ГРУЗИНКИ К ИСТИННЫМ БРАТЬЯМ С КАВКАЗА

(сердцем надеясь, что таковые все еще здравствуют)

С печальным бременем времен,
С поблекшим бисером седин,
Пишу грузинка вам письмо, –
Бог милостив и он един...

Братья кавквзцы, вам пишу,
Как к древним родичам своим,
И внемля слушать попрошу,
Как давних кунаков моих.

Пишу, надеждой вдохновясь, –
Взывая к звону наших душ,
Сердцам безмолвным поклонясь,
Признав права друг друга вслух, –

Принять ваш дружеский ответ,
Всмотреться в чистые глаза,
Добром унять вражду и желчь,
Труды разумные познав.

Мы все Отечеству верны,
Лелеем веру, мощи предков,
Мы все прикованы к земле
Проросшими корнями крепко.

Мы все страдаем, позабыв
Законы гор о долге, чести,
Мы все неправы, обхватив
Кинжал войны в нелепой смерти...

Простим друг другу боль и зло, –
В вражде нет чести, нет и правды.
Несправедливости позор
Не превращается в награды.

Не пожалею жизнь отдать
Святым стенам древнейшей Мцхеты,
Но признаюсь: близки вовек
Душе Сухумские рассветы.

Нежнейшей прелестью цветет
Тбилиси, словно ветвь миндали...
Но сознаю: седой Кавказ
Прекрасен у ворот Цхинвали.

Верьте, Кавказ мой теплый дом,
Судьбой принадлежу всецело
Земле, народу, предкам и
Златому солнцу Сакартвело!

27.05.2010

ОТЗВУК ЛУЧЕЗАРНОГО ДЕТСТВА

В плену раздумий: о тленности бытья,
О неизбежности всех преломлений жизни,
О бренной кутерьме, суете сует,
Об отголосках душ давно ушедших близких,

О быстротечности нравов и времен,
О вкусе горечи в паленом ветре встречном, –
Со скороспелыми мыслями скрипя,
Сопровождал меня тот хмурый вечер в вечность...

Печалясь и молясь, взывая к небу сердцем,
Паря и растворясь в лоскут лазурной выси, –
Мне снился частокол замшелых крепостей,
Как символ, след и глас борьбы, забот и жизни.

Мне отблески судьбы на гранях хрупкой призмы,
Как журчание ручьев весенних у ворот,
Как хоровод лучей в окне под старой крышей
И неимоверный сплав цветистых лепестков.

Когда небытие, порхая в лунном свете,
Из пепла и рассветов сплело везенья ком,
Вновь подарило мне благоуханье детства,
Улыбку горной речки и песенки сверчков...

18.03.2015.

ნაირა მარშანია

სულის სიმღერა

მიწაო, სამშობლოს მიწავ წმინდაო,
მიწაო დედავ, მიწავ ღვთისაო,
მე შენს კალთაში ჩამათაბუნე და
შენთან დამტოვე, არ გამიშვაო!
გულსაც გაჩუქებ და ბოლო სუნთქვას,
ოღონდ მიმიღე, არ გამიშვაო!
სული ზეცაში ინავარდებს და
შენ კი არასდროს, არ გამიშვაო!
ო, რა ტკბილი ხარ, დედა სამშობლოვ,
წმინდაო მიწავ, მიწავ ღვთისაო!!!

2015

შეიყვარე უფალი!

სულის გადასარჩენად,
მე თავს ვერ მოვერიე.
დიდი ტანჯვა წამებით
ბეწვის ხიდზე ვიარე.
და ღმერთს გულით შევსთხოვე:
ღმერთო გადამარჩინე,
შენის რწმენის იმედით
გზები ხსნისა მაჩვენე.
ისევ ძალა მომეცი,
კვლავ სიკეთე დავთესო...
ყველას გული მივცე და...
არ მსურს დანა ავლესო.

2008წ.

ვარდი გათელილი

ძირს დაგდებული, ვარდი ვიპოვე
ფეხით გათელილი...
ვიღაცის განწირული, ის გზაზე ეგდო
დამჭკნარ დაგლეჯილი...
ვარდი შევიცოდე, ხელში ავიტაცე,
გვირგვინ დაცვენილი...
გული ამიჩუყდა, მკერდზე ავიკარი
დავრჩი დაცრემლილი!!!

2011წ.

მოღალატენო გპატიობთ
რადგან...

დავბადებულვარ სიყვარულისთვის
სიძულვიკი კი შორს მოვისროლე...
ცხოვრება წამში ჩავატიე და....
წლებით ცხოვრებას გადაუქროლე.

მე მინდა ხალხნო რომ დაგარწმუნოთ
ბევრჯერ ამჩეხეს ერთგულებისთვის
მოღალატენო გპატიობთ რადგან...
მსურს განვიწმინდო აღსარებისთვის.

2014წ.

ბედისწერა

არავინ იცის ბედისწერა,
ვის რას გვიქადის...
მთელი ცხოვრება ბედისწერის
მოლოდინში ვართ.
და ხდება ასე:
ზოგს ააფრენს მაღლა ცაში,
ზოგს ჩაძირავს წყალში.
ზოგს სიმდიდრით აჯილდოვებს,
ზოგს კი ახრჩობს დარდში.
ზოგი ჩინოსანია და
ზოგი მათხოვარი.
ზოგი გენიოსია და
ზოგი გარეწარი.
ზოგსაც სილამაზეს ჩუქნის
ზოგიც ყრუ და მუნჯია,
საბოლოოდ რაც რამ ხდება.
ბედისწერის ფუნჯია.

2004წ.

მე მოვალ შენთან

მე მოვალ შენთან,
რომ დარდი გაგანდო
მე მოვალ შენთან
მთვარე განახო.
მე მოვალ შენთან
რომ, გული გაგითბო
მე მოვალ შენთან,
რომ სანთლად აგენთო.
მე მოვალ შენთან
ქებით აგავსო,
მე მოვალ შენთან,
ალერსით დაგათრო...
ჩაგიხუტო და
ტრფობით დაგღალო!
მე მოვალ შენთან...

1964წ.

ჭაღარა

სიბერემ არ შეგაშინოთ
და ნუ გაშინებთ ჭაღარა...
ჩვენ, ჩვენი ხვედრი ყველას გვაქვს,
გული ფიქრებმა დაღალა.
მერე რაა, რომ ვბერდებით
გული, ხომ ახალგაზრდაა!!!
ეკლებო, ფეხს ნუ ედებით
თორემ სიკვდილი მზადაა.

2010

გარდავიცვლები...

გარდავიცვლები გაზაფხულის მთვარიან ღამეს,
დავიმარხები იქ ვაკეში, ნაძვების მხარეს.
მუხლმოდრეკილი შემომხვდება ლამაზი ქალი,
ჩამიკრავს გულში და გამიღებს სამოთხის კარებს.
ბევრი დამხვდება, საყვარელი ადამიანი,
მონატრებული მელოდება დედა და ქმარი...
სული ნავარდობს, მათთან ერთად ზეცაში ნაზად,
აღვიკვეთები სამყაროდან მე ფიანდაზად.
გარდავიცვლები, მოგონება დარჩება ჩემი...
აღარ ვიქნები... მონატრება დარჩება ჩემი...
იქ საიქაოს წავიმძღვარებ სიყვარულს თქვენსას,
ზეცის სახლიდან მე დაგლოცავთ თითოეულ
თქვენგანს.

2007წ.

შალვა ილურიძე

უხილავი ცოდვა

ერთიანად?!
დანმაშავე კაცი ვარ,
ცოდვა დამაქვს
გულში არ საპატიო!
ერთიანად?!
ადვოკატიც ვყოფილვარ,
მინდა ჩემს თავს
ბევრი რამ ვაპატიო...
ერთიანად?!
მოსამართლეც გავმხდარვარ,
ჩადენილი!!!
ცოდვა არ ვიპატიო...

ჩემო სამშობლო

ჩემო სამშობლოვ, ღიმილი გშვენის,
როგორც გაზაფხულის ნუში,
რომელი ტკბილი სიტყვით შეგამკო,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
მე შენ ძველ წარსულს არ შეგახსენებ,
მწარე სევდა გაქვს სულში.
უფლის წილხვედრო უნდა გაბრწყინდე,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
შენს ლამაზ ფლორას, ლამაზ ფაუნას,
მარცვალს ჩავუგდებ ხნულში.
მუხლ-მოყრით ტკბილად ჩაგეხუტები,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
ჩემო სამშობლოვ, ჩემო სამკვიდრო,
ჯვარი ჩამასვი შუბლში.
საქრისტიანოვ დედულ-მამულო,
სისხლზე მეტი ხარ გულში.
ხარ ირემივით გადმოვფრინდები,
შენს ბაღ-ვენახის წნულში...
მთაზე ვდგავარ და იქიდან ვკივი,
სისხლზე მეტი ხარ გულში.
ეს სიყვარულიც შენგან ვისწავლე,
ბავშვს ჩამიწანი სულში,
ახლა თეთრ წვერას უფრო უყვარხარ,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
მიყვარხარ ძლიერ ჩემო სამშობლო,
ვერ გაგცვლი ოქრო, ფულში.
ტკბილო მშობებლო, შენი შვილი ვარ,
სისხლზე მეტი ხარ გულში!!!

უმუხთალო წუთისოფელო

ხან ტკბილი ხარ და ხან მწარე,
სიცოცხლევ ძვირად მყოფელო.
მაგ ქცევით თავს რად მაძულებ,
მუხთალო წუთისოფელო?!
ან რატომ გავჩნდი ვიწყევლი,
უფლის ნაჩუქარ სულსაო.
ჩემს კერაზე ვერ ეღირსა,
სიბერე ამ ჩემს გულსაო...
ბარს დამიბერა ტკივილმა,
ჯვარიც მიკვეთავს მუხლსაო.
რამდენი ქსნელი დევნილი,
ჩემებრ კვნესის და სწუხსაო...
მაინც ასე რად მიმეტებ,
ავის და კარგის მყოფელო?!
ხან მამღერებ ხან მატირებ,
მუხთალო წუთისოფელო!..

თავთხის პური

ყანაში ვდგავარ, ფიქრთა მთოველი,
ვხედავ თავთუხი, როგორ ღიღილობს,
დამძიმებული პურის თავთავი,
ჩუმად თავისთვის ტკბილად ღიღინობს.
მაგრამ ყაყაჩო შემოპარულა,
უფლის ყანას რომ წითლად ამშვენებს.
ო, ეს ფერები, ეს სილამაზე
თავთუხის პურს თუ გადააშენებს...
აი უფლისა საბადებელი
მისცა ადამსა სარჩენად მისა,
სიკეკლუცით და მის სილამაზით
თავთუხსა უთხრის ყაყაჩო ძირსა.
ოხ სილამაზევ, თვალის მომჭრელო,
როგორ გინდა რომ გაიბატონო,
მაგრამ თავთუხზე თუ მაღლა სდგახარ,
უფალსა ჰკითხე! – წადი ბატონო!!!

როგორ არ მინდა

როგორ არ მინდა!
ამ საწუთროდან
შენს უნახავად გარდავიცვალო.
როგორ არ მინდა!
სიმწრის დღეები
დევნილობაში ვთვალო და ვთვალო.
როგორ არ მინდა!
ლომისის ხატში
სანთელს უჩემოდ ანთებდე ქალო.
როგორ არ მინდა!
ჩემს სამების მთას,
წეროვანიდან უცქერდე თვალო...
როგორ არ მინდა!
აქ ბარში მოვკვდე
არ გადაგსერო ჟამურის მთანო.
როგორ არ მინდა!
ჭურთის კალმახსა
ზურგზე ვარსკვლავნი აღარ ვუთვალო...
როგორ არ მინდა!
წინაპრის საფლავს,
ეკალ-ბარდები არ მოვაცალო.
როგორ არ მინდა!
ჩემსა სამკვიდროს
ბარიდან მწარედ ვუმღერდე ქალო...
როგორ არ მინდა!
წეროვნის ველზე
სიბერის ტკბილი დღეები ვთვალო,
როგორ არ მინდა!
ჩემო სამკვიდროვ!
პაპის სახლ-კარო!
ჩემო სიცოცხლევ!
შენ გაგეყარო!!!

მკვლელი ხარ მკვლელი
სიკვდილო

კიდევ ერთი მეგობარი
ხომ წამართვი სიკვდილო,
როგორ გინდა შე ქოფაკო
დევნილს გულზე მიკბინო.
საძმო გამინახევრე და
ვერა სძღები სისხლითა,
სუყველას რომ გვემუქრები
მაგ ბოროტი თითითა.
ძმების სულის სახსენებლად
ვდგავარ უფლის კართანა,
ძაან ადრე ნუ მაყენებ
მკვლელო, –გლოვის ზართანა!!!

მანანა დანგაძე

***

ტარიელ ხარხელაურს

მზეო, სიყვარულით ანთებულო,
სულო, ტკივილისგან ხვავრიელო,
ღამევ, სევდიანად გათეულო,
მთათა მეციხოვნევ, ტარიელო.
გულო, ხანჯლისაგან დასერილო,
მაინც ვაჟკაცო და ჟამიეორო,
უფლის ხატის სახედ დაწერილო,
ცვლიად დაღვენთილო, ტარიელო,
ქვევრო, მირონივით ღვინით სავსევ,
აღვსილ სიყვარულით ცარიელობ,
სხივი ნათელივით გადგას თავზე,
შუქო, შუბლნათელო ტარიელო.
ძმისთვის ერთგულების მაგალითო,
მტრისთვის კედელო და ბარიერო,
გულო ბაჯაღლოვ და მარგალიტო,
თვალთა შუქმფინარო, ტარიელო.
ხმელო წიფელო და ცრემლო შვლისა,
ლომო ვერკვლისციხის, სანაღველო,
ძუძუ დაგელოცოს დედავ ღვთისა –
ეს ვინ გაგიზრდია, საქართველოვ!

ჩემი ბავშვობის ქალაქს

არ მომაკლო შენი სითბო,
შენი წყაროს ბადაგი,
შენ ხარ ჩემი დედა, მამა,
ნატვრა-სულის სადაგი,
შენსკენ ილტვის გული წრფელი,
მსურს სიმღერით გეფერო...
ჩემო ბავშვობის აკვანო,
გრძნობავ, უბერებელო!
მოზღუდულო ლურჯი მთებით,
გაბრძნობილი მძლეველობ,
მტრისა მტრულად დამრისხავო,
სტუმრის გამლაღებელო.
ვხარობ შენი ალიტ, წრომით„
ტაშისკარით, სურამით...
ქვის კედელში კვლავაც კვნესის
სული უკვდავ ზურაბის...
ღორინამკლის ფერდობს გავცქერ,
და შენს „სამარადისო“-ს,
მიწის ქვეშა საქართველო,
წმინდა ძვლებით აივსო.
სამაროვან-სამარიდან
მომძახიან სულები,
ჩემი დიდი წინაპრების –
მზიდან გარდმოსულების.
მეც მანდ მინდა დავსამარდე,
შენი მიწა მეფაროს,
რომ სიმშვიდით განისვენო,
გულო, დაუდეგარო.
რომ სულის გზა მარადისი
გამიმზიანმთვარისო,
ჩემო ბადაგაურო და
წმინდა „სამარადისო“.

გვიანია

მეძახი?!
გვიანია ყველაფერი,
დამთოვა,
ვერ გითხარი ვერაფერი.
ინანე?
სინანული ტკივილია,
მზე ჩადის –
მზეს შენფერი ღიმილი აქვს.
მარტია
არეული ამინდებით,
გზას მივდევ
უცნაური გარინდებით,
დარია?
აღარ მათბობს მზის სხივები,
დავდივარ –
დედამიწას ვემძიმები.
მომბღავის
ტკივილი და განსაცდელი,
არ მწყალობს
ქრისტე-ღმერთი გზას აცდენილს...
ერთ დღესაც
მოვღვარდები ციდან წვიმად,
რადგანაც
ბედმა ცრემლებს დამაწყვილა.
შენი ხმა
თან დამყვება ტყვიად ავად
აღდგომის
ბატკანივით დასაკლავად...
არ ვნანობ
შენთვის დაღვრილ
ცრემლს და ტკივილს,
ღამობით
ჩემს სენაკში ჩუმად ვტირი...
ვიცი, რომ
არ მოხდება სასწაული,
მივიღე
ჩემი გრძნობის საზღაური...
მეძახი?!
ნაზამთრალ სულს
ბინდი მოსავს,
ჩიტების
გადაფრენას მოგილოცავ!..

P.S.

გეგონათ? სევდამ სივრცე დასერა,
გეგონათ, ჩაქრა ცეცხლი ვნებების?...
დრომ განაჩენი უკვე დაწერა,
უკვე ბნელეთში მივესვენები?..
არ დაიჯეროთ, არა, ბატონო,
ალბათ მოგესმათ სიტყვა – მშვიდობით,
და შენც ქალწულო, თუ ქალბატონო,
გეგონათ, მართლა დაგემშვიდობეთ?!..
მწუხრი დასრულდა, თოვლს მივაცილებ,
ზამთრის სუსხსა და სიცარიელეს,
სულს მწვანე ხავსი შემოვაცილე,
ვგრძნობ, გაზაფხულიც მალე იელვებს...
თქვენ კი... გეგონათ, დაგემშვიდობეთ!

უშანგი მოსიაშვილი

მოკლეა წუთისოფელი

მოკლეა წუთისოფელი
და ვეღარ ვასწრებთ ვერასა.
მაინც ვუმღეროთ შოთას ქნარს
და უკვდავ ტატოს „მერანსა“.
ილიას ამაღლებულ სულს,
აკაკის ქნარის წკრიალსა,
ვაჟას ბუნების სიყვარულს,
„ბედის უკუღმა ტრიალსა“.

შურიან კაცს

მოგცეს უფლება არ ნიშნავს იმას,
წერო ყოველი რაც რომ თქვენ გჯერათ,
შურით აღვსილ და ბოროტ სულიდან,
გადმოანთხიო ნაღველი მთელად.
რომ სწერ იცოდე მაგ შენ ნაწერებს,
სადღაც უნდა ხომ ელოდეს ლხენა,
რომ სამომავლოდ შენმა ნაღველმა –
არ შეგახვედროს დიდ გზაზე წყენა.
თუმც ოდითგანვე სჩვევიათ მავანთ.
რომ ბოროტებით სძლიონ კეთილი,
მაგრამ ცხოვრება თავისას შვრება,
მათ ვერ უშველით თუნდაც ვექილი,
თუ ცხოვრებაში გზას ვერ დაადექ,
ვერ ჩადექ ძმათა ფერხულში შენა.
სხვისი ძაგება შენ რას მოგიტანს,
თუნდაც წიწაკით დაიწვა ენა.
და თუ შენ ასე ძლიერად გჯერა,
შენ შენი ნიჭის გაქვს დიდი რწმენა.
კარგი კაცობით უფრო აჯობებ,
თუ ვინმემ შენზე ცუდი დაწერა,
მაგრამ თუ სულში გიზის სატანა,
გაგიჭირდება კარგის ატანა.
თუ ასე ცხოვრობ, იცოდე, ყველას
გაუჭირდება შენი გატანა.
თუ დაიჯერებ, სჯობს, დაიხიო,
სულში ჩაიდო სიკეთე ქვეყნის,
რაც გიჯღაბნია, სულ მთლად დახიო,
კარგ კაცის სახელს ვერვინ შერყვნის.
როცა ვფიქრდები, მსურს, დავიჯერო,
რომ ეშმაკი ხარ უფრო მელაზე.
თუ არ შეჩერდი, მალე გიხილავთ
ჩამოკიდებულს სახრჩობელაზე.

1987წ.

სამშობლოს

ვაჟას უყვარდა სამშობლო,
ვით აკაკის და ილიას.
ვინა სთქვა მათი ფიქრები,
სამწილად გაყოფილია!
ჩამოგვაცალა მხარ-მკლავი,
დავრჩით მტრის გასამეტადა.
„ღმერთო სამშობლო მიცოცხლე“,
ვნატრობ ყველაზე მეტადა.
ღვთისმშობელს შევთხოვ მოგვხედოს,
რომ ძალა მოგვცეს ძლიერი,
მან გაგვიმთელოს სამშობლო
და მისცეს ძველი იერი.

2008წ.

შეგონებები

თუ აირჩიე ქვეყნად კაცობა
და გინდა, შექმნა კარგი ყოველი,
სანთლად აენთე შენს დიდ სამშობლოს,
და ხატად გყავდეს სვეტიცხოველი.
თაყვანი ეცი შენს დიდ წინაპრებს,
ვინც ისტორიას შენსას გილამპრებს,
მუდამ გახსოვდეს კაცობაზე მარტო ღაღადი,
არარას გარგებს, მეცხრე ცამდე თუ არ ამაღლდი.
ქვეყნად ყოფას და არსებობას არა აქვს ფასი,
თუ არ შეივსო წმინდა აზრით ცხოვრების თასი.
თუ გიგიზგიზებს სამშობლოსთვის გულში სანთელი,
შენს ნაკვალევს უნდა აჩნდეს ყველგან ნათელი,
უნდა ტკბებოდე ქვეყნად ყველას ბედნიერებით,
არ ერთობოდე მხოლოდ სულის ნებიერებით.
თუ კი კაცობა მიგაჩნია ცხოვრების მიზნად,
არაკაცებსაც მიხედე და... იყავი ფხიზლად.
გინდა, არ გინდა სიკვდილი მოვა,
ულმობელო დრო ყველაფერს განსჯის,
ვცადე, მუდამ დასტოვო ხსოვნა –
კაცობისა და კეთილი გარჯის.

1986წ.

ლამაზ ქალს

თმებში ჭაღარა შემომერია
და სახე უფრო გამიხდა მკრთალი.
რა კარგად მახსოვს, ოცი წლის წინათ –
გვერდით რომ მეჯდა ლამაზი ქალი.
მე ჩემს ჭაღარას კიდევ ავიტან,
გული გაუძლებს სიბერით ჭმუნვას,
მაგრამ შენს თავზე ჭაღარას კიაფს,
ველარ ავიტან და მიტომ ვდუმვარ.
მე შენს თვალებში ამომიკითხავს,
სიყვარული და სიბრძნე მრავალი,
ტყუილად ფიქრობ, რომ არ მიყვარხარ,
მუდამ შენს გვერდით მე ვარ მავალი.
შენი თვალების მზერა ირიბი, –
ჩემს სხეულს ტანზე ჟრუანტლად უვლის.
თუ შენს მღელვარე სულს არ გავათბობ,
მაშინ რად მინდა, მიძგერდეს გული.
ჩემო სულისთქმავ და სიხარულო,
მსურს, ამოგიშრო თვალი ალერსით.
და შენ გეკუთვნის, რაც მაბადია –
სიცოცხლე ჩემი – უმხურვალესი.

1986წ.

მუდამ ვფიქრობ

მუდამ ვფიქრობ, ჩვენ ქართველებს
სად გვაქვს გზა გასაყარი,
ან სად ვპოვოთ ჩვენ გულებზე მიწა გადასაყარი.
ან ვის გასცა ჩვენი მიწა
მის ლამაზი მთებითა,
რატომ დუმან წინაპრები,
რად არ აღდგნენ ხმლებითა.
ჩვეენ სადა გვაქვს გასაცემი
მიწა ანდა წყალიო,
ჩვენ წინაპრებს მოხდილი აქვთ
მთლად ყველასთვის ვალიო.
მათ არასდროს ჩაუგიათ
თვის ქარქაშში ხმალიო,
ყველას რისხვა მიუღიათ,
ვინც დაადგა თვალიო.
უნდა დავგმოთ, არ გვიყვარდეს
კაცი ჩვენი ორგული,
გინდა იყოს გმირთა გმირი,
გინდა იყოს ლომგული.
გავაჩუქოთ? ის რისთვისაც,
ხალხმა სისხლი დაღვარა.
ვერც მონღოლმა და თათრებმა
აქედან ვერ აგვყარა?
ეს ხომ ქვეყნის ღალატია
ღაღადია სხვისიო,
ვერასოდეს გაიხარებს
მისი გასაგისიო.

1988წ.

აბულ-მესხი
დავით აბულაძე

ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲓᲣᲠᲐᲕᲘ

გულო რატომ დაღონდი? რატომ დაგიჩივლია?
ტიალ წუთისოფელში ჩვენ სულ ასე გვივლია,
რითღა უნდა მეტკინოს გული დაგლეჯილია?..
ბევრი მწარე მინახავს, ბევრიც გამომივლია.
მხოლოდ უფლის იმედით, მისი მადლით მივლია!
ხშირად კიდეც დავეცი, მიწა მუხლით მითლია.
თუმცა ღმერთის წყალობით წამოდგომაც მიცდია.
რადგან დავით მასწავლა: -„ყველა ცოდვის შვილია,
სათნოაო უფლისთვის გული შემუსვრილია!“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

სანამ ვცოცხლობთ გავიტანოთ უნდა ლელო,
 სანამა ვართ მოვიაროთ მთა-გორები.
არ შეშინდე, არ დანებდე საქართველო,
 მტრის ჯინაზე ერთხელ კიდევ წამოდექი!
ქართულ სიტყვას დავეწაფოთ მეგობრებო,
 დაფარული სიბრძნე არის ნაგროვები.
არასოდეს დაგვავიწყდეს ბრძნული კითხვა,
 – სამშობლოსთვის ოდესმე თუ გამოვდექი?!
რას გვასწავლის საქართველოს ისტორია,
 ვინ ვიყავით ქართველები, როგორები?
თუ გვინდა რომ მაგალითი თვალწინ გვედოს,
 გავიხსენოთ წინაპართა გმირობები.
ვერ ახშობდა მათ გმირულ სულს მტერთა რისხვა.
 ვერც წამება და დუხჭირი პირობები.
ერისათვის, ღმერთისათვის, ქვეყნისათვის, -
 სისხლით მორწყეს საქართველოს ველ-მინდვრები.
ლაჟვარდი ცა რომ დაგვნათის, ესეც კმარა.
 ამ ცაშია მათი სულთა სამყოფელი!
ოდესმე ხომ შევიყრებით ყველა ერთად
 ნუ იქნება ცოდვა ჩვენი გამყოფელი!..

ᲛᲘᲖᲐᲜᲘ

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ცაც კი არარის ერთფერა.
ვაჟამ, ილიამ, აკაკიმ
ბევრი შეცვალეს ჩემფერა.
რასაც რომ გუშინ ვნატრობდი,
დღეს ის არ მიღირს ჩალადა,
სულ სხვაა ჩემი მიზანი,
მასზედ ვიდგები მყარადა!
რა ვუყოთ, მსხვერპლს თუ მოითხოვს,
განა ეს დასაწუნია?!
ავისგან კარგი გარჩევით
ასე ვის დაუწუნია?
თვით ქრისტე ღმერთმა გვასწავლა
მსხვერპლად შეწირვა თავისა,
მაშ, ჩვენ რად უნდა დავბრკოლდეთ,
რად გვეშინოდეს ამისა?!-
სულაც არ უნდა დავბრკოლდეთ,
არც გვეშინოდეს ამისა,-
ვინც თავს გასწირავს მოძმისთვის,
ის მოყვარეა თავისა!

დეკემბერი 2005წ.

ელენე აბულაძე

ადამიანი

ვინა ვართ ნეტა, რანი ვართ ნეტა?!
ალბათ ვიცით რომ არ ვართ მოკვდავნი,
უკვდავი სული მოგვმადლა ღმერთმა,
ჩვენთვის ეს არის გასაოცარი.
არ გვითხოვია ეს უკვდავება
და თუ ვითხოვეთ ეს აღარც გვახსოვს,
სადაც არ უნდა ვიყოთ ყოველთვის,
უფალი გვხედავს, იცის რას ვდარდობთ,
რაზე ვიცნებობთ, რას გავურბივართ, -
ჩვენი ფიქრები ღმერთს თვალწინ უდევს,
ამიტომ სინდისს მოვუხმოთ, გვიჯობს,
ნუ გავურბივართ უფლის თბილ უბეს.
მივდიოთ, ღვთის ძემ რაც გვიქადაგა,
განკაცდა ჩვენთვის,-ისე დამდაბლდა,
ისე ვუყვარვართ, მოკვდა უფალი!

რა დაითმინა... რა გადალახა...
ჯვარზე სიკვდილით სიკვდილი მოკლა.
ნუ გავაცოცხლებთ ამ სიკვდილს ჩვენთვის;
საკუთარ სისხლით გამოგვისყიდა,
ზურგს ნუ შევაქცევთ სიყვარულს ღმერთის!
დაე, დავიცვათ უფლის მცნებები,
ეს დამიჯერეთ არ არის რთული,
ძნელია მიჰყვე ბოროტის ნებას,
უფალთან თუ ხართ, ხართ კურთხეული!
რადგან მოკვდავად შეგვქმნა უფალმა,
ნუ მივეცემით ბოროტის მახეს,
სული იმისთვის იქმნა უკვდავად,
სულ ღმერთთან იყოს, იგი უყვარდეს!
ათასი წელი, ვით ერთი დღეა,
მარადისობას არა აქვს ბოლო,
როცა კი წავა ქვეყნიდან სული,
უფალთან უნდა იყოს ის მხოლოდ.
თავისუფლების დიპლომი მოგვცა,
ამ ქვეყნად ისე დაგვიშვა ღმერთმა,
არჩევნის ნიჭი, უნარი, ნება
მან არ წაგვართვა, ასე ინება.
არავის მისცეთ ამ ნების მოკვლა,
ყველა სურვილი ჩვენვე გვეკუთვნის,
დრო უქმად გაგვყავს და არა ვნაღვლობთ,
როგორ წუხს ჩვენზე ჩვენი უფალი.
შემოქმედების ნიჭიც მან მოგვცა:
წერის, ფერწერის, სიმღერის, დაკვრის.
ღმერთმა იმდენი გონი მოგვმადლა,
რომ დედამიწის გარდაქმნაც ძალგვიძს.
სხვა საკითხია რაში ვიყენებთ
ამ გონს, ამ ნებას, ამ დროს და სურვილს?
ჩვენივე სულის ცხონებისათვის
არ ვზრუნავთ, მივდევთ ბოროტის წყურვილს.
ნუ, გევედრებით ჭკუას მოუხმეთ.
სულზე ძვირფასი არაფერია,
არ დაიღუპოთ, ქრისტეს მისდიეთ,
უკვდავება ხომ ყველაფერია!
დაემორჩილეთ ღვთის წმინდა მოძღვრებს,
მართლად ადიდეთ ოღონდ უფალი.
მისდიეთ უფალს, მის წმინდა მცნებებს,
სხვა ნურაფერი გაქვთ საწუხარი.
რა ვარ, ვინა ვარ, – ადამიანი?!
ერთი შეხედვით არავინ არ ვარ,
მაგრამ რადგანაც უფალს ვუყვარვარ,
ღირს დაფიქრებად, ამ ქვეყნად რა ვარ?!

07.05.2015წ.

მანანა ზაზიკაშვილი

ღიმილს ვერ გადავეჩვევი

ღიმილს ვერ გადავეჩვევი,
ვერც ლექსის წერას მოვიშლი,
მოვდივარ, მომაქვს სამყარო,
ფარჩა-ატლასებს მოვიშლი.

სწორი გზა

სვეტლანა ჟდანოვას

დედა რუსი გყავს, მამა – აფხაზი,
გასასმელია, მართლა, აქ ხაზი,
რუსი რუსსაც კლავს, ქართველი – ქართველს,
აქ დაფიქრება სუყველას გვმართებს.
გნახე თუ არა, შეგიცან მოყვრად,
შენი ღიმილი მზის სხივად მომყვა.
ყველა ერშია კარგი და გლახა...
რა დააშავა კეთილმა ხალხმა?!
აფხაზი ხარ და რუსის ნარევი,
მართლა კარგი ხარ, გადასარევი!
შენი ღიმილი ჩემ თავს მაგონებს,
შენი ტკბილი ხმა, კვლავ გამაგონე!
ყველას გვჭირდება სწორი გზა, ფართო,
მოდი მსოფლიო ღიმილით ვმართოთ!!!

შენ ხარ

შენ ხარ ჩემი ფიქრი, განცდა,
მგონი უკვე გულის დარდიც,
შენ გგონია არტისტულად?!
არა, მართლა შემიყვარდი!!!

თბილისი. 10.09.2015 წელი

რა უცნაურად მიყვარხარ

რა უცნაურად მიყვარხარ,
მგონი ველარ ვძლებ უშენოდ,
თითქოსდა ფრთები მესხმება,
ნეტავ გულს როგორ ვუშველო?!
დღე და ღამ შენზე ფიქრებში,
დრო მიდის, არ ჩანს საშველი,
სრულიად გამოვიცვალე,
დავიღუპე თუ ავშენდი?!
ჩემი პატარა ანანო,
მიმზადებს შოუ სლაიდებს,
ჩიხს ჩავკეტილვარ, რაღა ვქნა,
ჩიხიდან როგორ გავიდე?!

რა უცნაურად მიყვარხარ,
„დამაბერეო“, მითხარი,
ღმერთია ჩვენი მსაჯული,
შემწევი და განმკითხავი.
დრო, ასე ჭენებ-ჭენებით,
სულ ოცნებებში მიფრინავს,
მეც ხშირად ვფიქრობ და მიკვირს,
ხორცშესხმული თუ მითი ვარ?!
ჩემი ცხოვრება სიზმარს ჰგავს,
შლეგური, გადარეული,
არ დავბერდები მანამდე,
სანამ ამ ქვეყნად მეგულვი!!!

სულ ტყუილად ვშიშობდი

ამ ქვეყნიდაენ როცა წავალ,
ლექსებს გადანაგები,
პოეზიის ქალღმერთივით,
დიდ მწერლებთან წარვდგები.
ვნახავ ღმერთკაც გალაკტიონს,
გოგლას, ბერდოს
(ბერდია ბერიაშვილი),
ტიციანს,
იმ პოეტებს, ვინც ეს ჩემი,
ლექსები რომ იციან.
წავუკითხავ ფრიდონ ხალვაშს,
მის ლექსს, ცაში ატანილს,
ქვეყნის კარგი ხალხი იქ გვყავს,
შიში არ მაქვს სატანის.
სათითაოდ ჩამოვუვლი
ჩოხელს,
ქალდანს,
ნონეშვილს,
არ გეგონოთ ლექსის წერას,
თითქოს უკვე მოვეშვი.
ქაღალდს?! იქაც უხვად ვნახავ,
(მეტი არაა ჩემი მტერი),
საწერ-კალამს?! ვიშოვი,
ამ ქვეყნიდან, იქ წასვლაზე
სულ ტყუილად ვშიშობდი.

ნიკო ბაღაშვილი

ცაში შევკრავ კამარას

ტატოს მერანს გავაჭენებ,
ცაში შევკრავ კამარას,
სიმხნევეს და სიჩაუქეს,
ვერაფერი დამალავს.
მტერო, რას მედიდგულები,
შარო, აქ რად მოდიხარ?!
შურიანო, ვერ მაჯობებ,
ერთი-ერთზე მოდი ხვალ!!!

ხელოვანი კაცი

მე ხელოვანი კაცი ვარ,
უფრო ხშირად რომ მიმართლებს,
შეგხვდები, ცამდე ამტყორცნი,
თვალს მომიმატებ სინათლეს.

როგორ არ შემყვარებოდი

პირიდან ლუკმას იღებდი,
მე რომ მეცხოვრა ხალისით,
და სიყვარულიც მოვიდა,
ასე შორიდან, თავისით.
ყოველ წამს შენს ხმას ვისმენდი,
მიყუჩდებოდა იარა,
ადამიანი ვიყავი,
გულქვა ვიღაცა კი არა.
მთელი ამ წლების მანძილზე,
შენი ხმა ისე მამშვიდებს,
თითქოს სულ ერთად მოგვევლოს
გრემი,
იყალთო,
სამშვილდე!
როგორ არ შემყვარებოდი,
სულ სიყუჩებდი იარას,
ჩემთვის ქალღმერთი იყავი,
უბრალოდ, ქალი კი არა!!!

05.10.2014 წ.

ყველა ჯადოქარს დავჯაბნი

კინორეჟისორს გია გონაშვილს

ყველა ჯადოქარს დავჯაბნი,
ოღონდ ჩემს გვერდით გიგულო,
შენით ვარ ასე ძლიერი,
ჩემო ძმაო და ძმის გულო!!!

არ მავიწყდები

ქალაქის ქუჩებში გეძებდი დიდხანს,
შენით გაიკაჟა ჩვენი სიყვარული,
ამპარტავნობდა ცივი ოქტომბერი,
სულ მენატრები და დარდი მაქვს შენი.
ჩემს გულში რამხელა ადგილი გიჭირავს,
მე, თუში თინათინის, ალალი ბიჭი ვარ,
ხეცოიძეთა წარმომადგენელი,
შენი სიყვარულით, სავსე მაქვს გენები.
შენგან მაკისრია რამხელა მისია,
ეს ჩვენი სიყვარულის არც დასაწყისია,
უშენოდ ვეღარ ვძლებ, მიყვარხარ, მომენდე,
რა ძნელი ყოფილა, გაუგო პოეტებს.
დავდივარ, ყოველთვის დავეძებ შენს სახეს,
რა მეშველებოდა, შენ რომ არ მენახე?!
ფიქრებით შენთან ვარ, დღითა და ღამითა,
არ მავიწყდები არც ერთი წამითა!!!

კუდაანთ ტყეში

კუდაანთ ტყეში
ტყემლებს და პანტებს,
შერჩათ ქუხილის
მაღალი ექო,
ლამაზ ქიზიყის
ციაგს ვუმზერდით,
დაფეთებულნი,
ორივე ერთობ.

ქუხილის შემდეგ
წვიმამ შხაპუნამ
მირეცხ-მორეცხა
გზები, ველები,
სახლში გავრბოდით
გახარებულნი,
გაოცებულნი,
სულმთლად სველები...

მარინა ყიფიანი

* * *

ზვირთნაპკურები, ზვავდაფიფქული,
უფსკრულნაცვამი, ცაჩასუნთქული,
რკინანასვამი, მთვარედაღვრილი,
მზედაღვენთილი, გრიგალნაგრილი,
ვარ ივერიის აზრის ატომი,
მარად ერთგული ღვთიურ გვარ-ტომის.

არ დაჩოქილო ქვეყანავ.....

****

ლექსო! ნუ ამიტირდები,
მუხლებზე ჩუმად ნაწერო,
დღეს ჩემი ქვეყნის დიდება
უცრემლოდ მინდა ავღწერო.

საზღვრების გარეთ მამულო,
ო...რა ტკივილი გცოდნია,
შენთან სიშორემ გამტეხა,
გამანადგურა მგონია.

ხატად ნაფიცო სამშობლოვ,
სისხლით მორწყულო მხარეო.
არ დაჩოქილო ქვეყანავ
რამდენი სისხლი ღვარეო.

მოყვარე მტრად გადაგექცა
სამარე გაგითხარაო,
გაგყიდა, გაგასაჩუქრა,
წარბი არ შეიხარაო.

ყველამ სახლ-კარი მოგთხოვა,
ვინც ფრთებქვეშ შეიფარეო,
თავად მშიერო, სხვას ლუკმა
გაუყავ, შეიბრალეო.

მრავალ ჭირ-ვარამ ნახულო,
მედგრად ხვდებოდი მტერსაო,
უწვერულვაშო ბიჭები
ტყვიას უშვერდნენ მკერდსაო.

აგიწიოკდნენ შვილები,
შავი ჩაიცვა დედამო,
შენს ძლიერ, ბორჯღა ფესვებში
ხვალის მომავალ ვხედავო.

არ დაეცემი სანამდის
ცაზე მზის შუქი ნათობსო,
სანამდის კავკასიონზე
თოვლის ფანტელი ათოვსო.

თავისუფლების დღე დგება,
თითქოს განათდა ზეცაო,
ემიგრანტების სახელით
შორიდან გლოცავ მეცაო.

24.05.2015

არ დაგვიკარგავს, არაფერი არ დაგვიკარგავს.....

****

(ვუძღვნი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს)

****

ოი... მამულო, რამდენი მაქვს შენზე საწერი,
მაგრამ დღეს სულ სხვა სიხარულის შემესხა ფრთები,
რამდენი ლექსი მომიძღვნია ცრემლში ნაწერი,
დღეს კი სიცოცხლე მემატება და ახლა ვხვდები.
გულის ნაპირებს ეხეთქება რითმები მწველი,
ადუღდა სისხლი, მონატრებას არა აქვს ზღვარი.
თავისუფლების დღეს ზეიმობ, გული გაქვს მკვდარი,
რადგან გაფანტულ შვილებისა არ იცი კვალი.
თენდება, თავზე გადმოგყურებს კაშკაშა ზეცა,
შენს არსებობას ღმერთს ავედრებს ერი და ბერი,
ცად აზიდული მონასტრების რეკენ ზარები,
შორიდან გლოცავ კურთხეულო, შორიდან ვმღერი.
მამულო ჩემო, რა მწარე ხარ, რაოდენ ტკბილი,
რამდენჯერ გულში დაგიმიზნეს სასროლად ტყვია,
ბოღმანარევი შურითაც კი აღმართეს ხელი,
მოყვარე მტრად რომ გაგჩენოდა, ხვდებოდი გვიან.
არ შეგარჩინეს აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი,
ცეცხლი დაგინთეს გულისპირზე ხელის სათბობად
და მაშინ, როცა ამაზრზენად გმინავდა მიწა,
სადღაც იმედის ნაპერწკალი მაინც ნათობდა.
არ დაგვიკარგავს, არაფერი არ დაგვიკარგავს,
დადგება ჟამი ლტოლვილები აწყვეტენ ბორკილს,
კმარა, ატანა-მოთმინების დაწყდა სიმები,
ვერ გაიხარებს შენი მტერი ამდენი ცოდვით.
შენ არ გაშინებს ერთეულთა გადიდკაცება
და არც არასდროს შეგილახავს სახელი შენი,
ზურგიდან გჭრიან, თავი მოაქვთ ნამდვილ კაცებად,
ხოლო სახეზე ირონიის ღიმილი შვენით.
გული მიტირის, როცა ვხედავ გულჯავრიანი,
შენივე შვილი დაუნდობლად გესვრის იარაღს,
მამულო ჩემო, გწამდეს მათი, ვისაც უყვარხარ,
შეგიხორცებენ, მოგირჩენენ გახსნილ იარას.

25.05.2015

მაია ტყემალაძე

ათასწლოვან ცაძარს

კაცხის ტაძარს უბრწყინვალეს ყელსაბამად,
აემძივა წელიწადი ათასი,
ცაზე მადლი აფერადდა ცისარტყელად,
ხნულში გათბა თესლი უხვად ნათესი.
დიდებული ამბის მაცნედ ექო მთათა,
სიონსა და სვეტიცხოველს გადასწვდა,
აღიმილდა ბაგრატი და მოწამეთა,
აზეიმდა მრავალტანჯული ხანძთა.
აისს აჰყვა ზეციური ხმით გალობა,
ფოთოლცვენა თითქოს ტაძრის წლებია,
სასაჩუქრედ გვირგვინსა სწნავს კაცხის სვეტი,
წუხელ ღამით სულ არ ჩასძინებია.
ცისკრის ვარსკვლავს კელაპტარი აუნთია,
მთვარეს წრფელი გული შემოუწირავს,
თეთრჩოხიან მლოცველებს ჰგავს ლურჯი მთები,
მზეს სხივებით ოქროს ყანწი უჭირავს.
სუროს ხლართში ჩახვეულა ჟამთა ფიქრი,
შემოდგომა მანდილს ფენს ფარდაგივით,
ათასწლოვან ცოდვით გულ-მკერდ დაისრული
დუმს ტაძარი ბრძენი დედოფალივით.
სასოებით მუხლმოყრილა ბერი,ერი,
წარსულიდან ლოცვა ისმის მამათა,
სამრეკლოდან აგუგუნდა დედოზარი,
გაიღვიძა საძვალემაც ბაღვაშთა.
მოსალოცი ბარათები მოაქვთ ფოთლებს,
ყველა სტუმარს გულს უთბუნებს კანკელი,
მაცხოვრის ხატს თითქოს ცრემლი ჩამოსდინდა,
ცახცახებს და მის წინ თრთოლავს კანდელი.
...დგას ტაძარი – ათასი წლის დედოფალი,
ღრუბლის ქულა ფატად ჩამოენისლა,
მაცხოვარი მკვიდრობს იმის გულ-მკერდში და
რას დააკლებს „ბჭენი ჯოჯოხეთისა.“

ბ ო დ ბ ე

„ ნინოს ხსენება სიხარულისა ღირს არს“

(ნინოს საცისკრო მერვე გალობა)

წმიდა ნინო - სულიწმიდის ქნარი,
მზის სხივებით ჩამოწნული ნაწნავი,
ამ სხივებში ოქრო-მადლი მცურავი,
თმა გიშერით შეკონილი ჯვარი.
ბოდბე–მშვიდი ნავსაყუდი მრევლის,
მუხლმოყრილი,შავოსანი დედები,
ხის ფესვიდან მოწანწკარე წვეთები,
წმიდა ნინოს უშრობელი ცრემლი.
მხცოვან მიწას კურნავს წმიდა ცრემლები,
დიდ გვალვაში ზოგჯერ მოდის წვიმებად,
გათოშილ სულს ხან ეღვრება სხივებად,
ვაზს წამლობს და მსხმოიარობს მტევნები!
თუმცა რისხვით გვეძალება მტერი
და წალკოტის მითვისება კვლავ უნდა,
ბოროტს თესავს და მძვინვარებს იუდა,
სისხლით ისევ იღებება მტკვარი!
მაგრამ,ერო, შიშით ნეტავ,რად კრთი?!
მტერი როგორ მოგერევა როცა,
ზესკნელიდან წმიდა ნინო გლოცავს,
სიდონიას შენს მკერდში აქვს კვართი!
წილხვედრი ხარ თავად ხვთისმშობელის,
მტერი როგორ მოგერევა როცა,
შუშანიკი, ქეთევანი გლოცავს,
შენ უთუოდ გაბრწყინება გელის.
წმიდა ნინოს შვილობილი დედები...
ხარობს ბოდბე, გვიხმობს ცისკრის ზარი,
აქ მრთელდება გულის ყველა ბზარი...
ბოდბე – რწმენით დახუნძლული ედემი!

წ ი თ ე ლ ბ ა ტ ო ნ ე ბ ი

თუ დედა გეძახის – გაიგონე, დედის ძახილი ძალიან, ძალიან შორიდანაც გესმის.

ოტია იოსელიანი

ფანტელები ცვიოდა ციდან,
თოვდა, თეთრ ზღაპარად თოვდა,
სულ პატარა ვიყავი, ციდა,
წითელა ბატონები მქონდა.
ფიფქების ცეროდენა ზღაპარს
საწოლში მიამბობდა დედა,
კეთილ გულს მინათებდა ლამპრად,
თვალებში ჩაგდგომოდა სევდა.
წითელა ბატონების თოვა,
სახეზე მეფრქვეოდა უხვად,
ფიფქები მელოდიას ქსოვდა,
ზღაპარი ბატონებზე წუხდა.
თითქოს მახატავდნენ წინწკლებს,
ფუნჯით მიღებავდნენ სახეს...
ო, რა დამავიწყებს იმ წლებს,
ბავშვობის სამოსში რომ მახვევს.
დედა, არ გეძინა ღამით,
არც ერთი წამი და წუთი,
შუბლზე მეხებოდი ბაგით,
ყელში გაწვებოდა ბურთი;
ბავშვი დამეწვაო სიცხით,
შიშით აღვიძებდი მამას,
მაგრილებდი ჩუმ-ჩუმი ცრემლით,
ნაზად მიმღეროდი“ ნანას...“
ო, რა თბილი იყავ, დედა,
ო, რა ტკბილი იყავ, დედა,
ძლიერი იყავი, დედა,
შენ, აბა, ვინ შეგედრება?!
ქვეყნის სიავკაცე ახლა,
წითელა ბატონებზე მეტად,
მტკივა, სულ ძალიან მტკივა,
ჰოდა, მომეშველე,დედა!
ჰოდა, დამიფარე, დედა!

მზეგული ტყეშელაშვილი

რა სჯობია

ჩემი ეზოს კოინდარი,
ჯონჯლის ძირში – „ციკნისყურა“,
აქეთ-იქით გამეფანტნენ:
მარი, გიო, ვახო, ზურა!..
ვერაფერმა ვერ შეგცვალა...
უშენობა გულს მაკლია,
შენ – ალთას ხარ, მე კი – ბალთას,
სოსო, მაკა, ნინო, ლია!..
თხილიანში „ერბოქილა“,
(იასამნის სუნი მათრობს),
ტყემლის ტოტი – გაფოთქილი...
რა სჯობია ავნევს – ამ დროს!

2014 წ.

შვება იგრძენი?

გულში თუ დარდი შემოგეპარა,
რა გემართება... მაინც ვერ ხვდები,
უნდა გაუძლო... გადაიტანო,
ან შეგიძლია... წერო ლექსები!

ცოტა დაწყნარდი, შვება იგრძენი?
თავს შეუძახე, არ მოისვენო!
უმჯობესია ღმერთი ახსენო!
დაჯდე და... ლექსი გამოიგონო.

თუ გაგიგებენ, ხომ კარგი არის,
თანაგიგრძნობენ? – მთლად უკეთესი,
ოქროს თევზს ყველა კი ვერ დაიჭერს,
ვისაც უსვრია წყალში ანკესი...!

2009 წელი

ასე მგონია

ზოგჯერ... კი არა, ძალიან ხშირად,
თავსმოხვეული წყენა, ნაღველი,
შეეცდება და... გამანადგურებს,
ან გამყინავს და... ველარ გავთბები.

ასე მგონია ისრით დამკოდეს,
მალამოს ვეძებ... არსად არა ჩანს,
და, რომ მეგონა ახლა დაიწყო,
სუყველაფერი მაშინ დამთავრდა.

გულის ტკენა და ჭირთა დათმენა,
ენა ვერ იტყვის: ტკბილი ხილია,
თავს ვერასოდეს გადავაბიჯებ
და ისე ვივლი, როგორც მივლია.

2009 წელი

ძალა ერთობაშია

ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს,
მჯობნის მჯობნი რამ დალია ჩვენში,
აღმა ხვნა და მერე დაბლა დაფარცხვა,
ჩვევად გვექცა, გაგვჯდომია გენში.
ჩრდილოეთით ჩასაფრებულ „უფროს ძმას“,
არა სძინავს, კბილს ილესავს ჩვენზე...
ერთობა კი – ვით ბასრი იარაღი,
დრო დამდგარა, გამოვცადოთ მტერზე!
მოდით, ერთად შევერკინოთ ურაგანს;
კეთილ რჩევას, ნუ გავატანთ ქარს,
პირადულზე მაღლა დავდგეთ, სულ მაღლა,
მტრის წისქვილზე ნუ დავასხამთ წყალს!

2009 წ.

ისევ გნახავ!

ქართლის გულო, ხილ-ბაღნარო,
გულის, თვალის გასახარო,
დღეს ვერანად დარჩენილო,
ტყეო მწვანევ, გადამწვარო.
ბუდევ, ძალით დანგრეულო,
უწესრიგოდ არეულო,
მარანო და ფუძის კარო,
მინდა გნახო... თუნდაც ხვალო!
დღეს მიწასთან ნასწორებო,
გული მწყდება... დაგვტოვეო,
ეზოვ, ყვავილნარიანო,
ღობევ, მავთულბადიანო!
რკინის კარო, მედგრად მდგარო,
სახლო... უკვე ნასახლარო..
ქვევრო... თავქვეჩაქცეულო,
ღვინოვ... მტრისგან დალეულო!
ისევ გეტყვი: მენანები,
არ მასვენებს ეგ დარდები...
დრო დადგება, ისევ გნახავ,
ისევ გულში ჩაგეკვრები!

2009 წელი

მარაბდელებს

ალგეთს მუმლი შეესია უხვი,
მეჩვიდმეტე საუკუნე გახლდათ,
მომხვდურები გვიოხრებდნენ მამულს,
გვიგინებდნენ რწმენასა და ადათს.

ითათბირეს... დაბანაკდა ჯარი,
ერთადაა: ერი, ბერი, მეფე...
სააკაძეს გაუელვებს ფიქრად,
მსურსო სიკვდილს ვაჟკაცურად შევხვდე!

ირანიდან გადმოხვეწილ ყაჯარს
ცხრა ძმა ჰკვეთდა, ვით მუხის ტოტს მეხი,
მარაბდელებს გაუგრძელდათ ომი,
ახლოს იყო გამარჯვების ღმერთი!

კოჯრის ტყიდან მონაბერი ქარი,
იმ გმირების მოგვიყვება ამბავს...
ღალატი რომ არ გვიღებდეს ბოლოს,
მტერი ვეღარ მოგვერევა ალბათ!

ფაცურია მარინა
МАРИНА ПАЦУРИЯ-ШАТИРИШВИЛИ

МОЛИТВА

Жизнь сама по себе ведь странна,
То она легка, то трудна.
Вот порой даже в сердце огонь
Пылает,приносит нам боль.

В жизни чувства владеют тобой,
Радость,горе,удача порой...
Лишь молитвой,одной молитвой
Ощущаешь в душе покой.

Бог создал человека не зря.
Он желает ему добра,
Только правильно надо жить,
Бога за жизнь благодарить.

В храме мы зажигаем свечу,
И шепчем молитву свою:
За отчизну, родных и друзей,
За здоровье и счастье людей.

Мы выходим из храма легко,
А в душе ведь так хорошо.
Вера силы всегда придаёт,
Лишь к любви, всех к любви зовёт.

ТВОЙ ОБЛИК
(посвящается супругу-Г.Шатиришвили)

К снам была я равнодушна,
Но не знаю отчего:
То ль боялась,не боялась,
Не любила оттого.

Вот теперь люблю их очень,
И волнуюсь оттого.
Ты приходжишь в сновиденьях,
Жду тебя лишь одного.

В них ты снова милый,нежный,
Мой чарующий герой,
Но вот в горле что-то перчит,
А слеза бежит рекой...

Слышу я твои советы,
Громкий голос,твердый тон,
Но в глазах я вижу нежность,
И одну, одну любовь.

Мне тебя так не хватает,
Плечи ведь мои нежны.
Тяжесть жизни налегает
Затянуть свои ремни.

Мне воинственной быть трудно,
Я же баба, не мужик.
Ну, а коли это нужно,
Так несу же свой ярлык?!.

Чудный друг мой,добрый друг мой,
Будь спокоен,дух един.
Я тебя не подкачаю,
А позднее слюсь,как клин.

Просыпаться очень трудно,
Но я знаю, ты со мной.
Весь твой облик – это вера,
И надежда за спиной...

«ШОТАОБА»

Вот и осень у порога-
Наступила «Шотаоба».
И в Кахети это «оба»
Яркий праздник для народа.

Урожай уже ведь собран,
Полон явств крестьянский дом.
Заслужил ведь,отработал,
Погулять теперь сезон.

Можно петь и веселиться,
Пить вино,друзей хвалить
И гнездом обзаводиться,
В дом невест своих вводить.

В октябре,хотя и осень,
Солнце греет сердце вновь.
И в Кахети приезжают
Гости с разных уголков.

А природа их балует
Красками своих цветов.
А дорога же радует
Божественностью тонов.

Перечень довольно долгий
Кахетинской красоты:
Шуа Мта и Алазани,
Икалто-Алаверди,
Греми и Кавкасиони,
Кварели –Телави.

Да ведь слов уж не хватает,
Лишь смотри,смотри,смотри.
Но зовут сюда ещё всех
Отзвуки старины.
Голоса больших поэтов
Из дали,дали,дали.

Икалто и Руставели-
Вот,что тянет всех сюда:
Писателей,артистов,
Учёных и людей труда.

На трибуне льются речи...
«Витязь в тигровой...»-ожил.
И звучит он,словно вечный,
Дух грузина – победил!

Вот,что значит «Шотаоба»,
Потому он всем любим.
«Шотаоба», «Шотаоба» –
Праздник ведь не победим.

Позывные «Шотаоба»
Будут звать всегда грузин,
Оттого,что дух народа, –
Никогда не победим!

ანა ერისთავი

* * *

ქართლის ზეცაზე
ჯვარი აღმართე,
მაცხოვრის სიტყვით
ერი გაზარდე,
ხარ ჩვენი სულის მაკურნებელი,
წმინდა სამების მსასოებელი,
მაგ თმების სურნელს
ჯვარი ინახავს,
იები გვათოვს,
დედავ, გვიყვარხარ!

* * *

ფეხშიშველა ხარ,
ლაზარე გქვია,
სიცოცხლე წყლული
ხომ დაგაჩნია?
შენზე უმეტეს, აბა ვინ უწყის,
რა სამყაროა
ღრუბლების მიღმა,
ხომ შეგიგრძვნია უფლის ხელები,
ამა ცხოვრების ავიც და კარგიც,
ხომ კარგად იცი,
რაა ნუგეში
ცად გაკიდებულ მოკვდავისათვის.

* * *

უფალო, ნათლით ამავსე,
იების ცრემლში განმბანე,
შემაძლებინე შენდობა,
ერთგულებაში დამხარჯე,
ეკლის გზა გამაწალდვინე,
ხორცი, ცოდვისგან განწმინდე,
ველი სასწაულს შენმიერს,
მოძულეც დამალოცვინე,
შვენობ ანგელოზთ კრებულით,
ჟამი დგეს სიყვარულისა,
ვისა ცარ უხმობს ეგ ზარი,

* * *

უფლის ნაკურთხია
ვაზის ფესვები,
ტაძრს შემოწვნია
უკვდავაი ხელებით,
ღვთის თვალი ტრიალებს,
იღვრება ქარვა,
მზიანი მტევნები
აავსებს მარანს,
ედემი უჭკნობია,
მეზვრე დიადია,
ვაზის გამრავლება
მამაღმერთს უხარია.

* * *

უდაბნო არწყულა,
ბაღი გააშენა,
სახარების მადლით
ქვეყანა დაამშვენა,
დედად მივიჩნიეთ,
ვაზის ჯვრით გვაკურთხა,
ცოდვისგან დაგვიხსნა,
ხმატკბილმა ქალწულმა.

უფლისადმი

შენ რომ არა,
მწუხარების დავჯდებოდი ნანგრვებთან,
ეს ცხოვრება ცცოდვიანი,
ჩმითრევდა, დამახღცობდა,
ვერ ვიგრძობდი ამაღლებას
და სიყვარულს მოყვასისას,
ვერც მოწყალე ვიქნებოდი,
ვერც ვითმენდი ათას ჭირსა,
მთლად უდაბნოს ვიქნებოდი,
დამხრუკავდა ცხელი ქვიშა,
შენითა ვარ ბედნიერი,
ღრუბლის სასთუმალსა მძინავს,
მოციაგე სანთლის შუქი,
დანთებულა სულსა შინა,
შენითაა მოწყალეო,
მუხლს რომ ვიყრი ტაძარს წმინდას
ცის გუმბათი მისი ყელი,
მოჭიქული ვარსკვლავითა,
დავინთქმოდი ცრემლის ტბაში
და გოდების ნანგრვებთან,
აღარ აახელდა თვალებს,
ვაზის კვირტი ჩუქურთმაში,
ვინ მასმენდა ლოცვას წმინდას,
შენმიერი სიყვარული მომანიჭე,
სხვა რა მინდა?..

წმინდა მარიამს

ღვთიურ ნაყოფის გამომღებო,
სიცოცხლის ხეო,
მიუწვდომელო
მადლით მოსილო
მშვიდობის ბჭეო,
მწიფე თავთავო
დამპურებელო
და გადამრჩენო,
სულის და ხორცის
გამკურნებელო
და საფარველო,
საკმევლის ხეო,
სამოთხის ხმავ,
ხმავ მშვენიერო,
მზევ დაუსვლელო,
ღვთის საიდუმლოს გადამრჩენელო,
ანგელოზები გიგალობენ
ბნელის გამკვეთო,
გშვენის დიდება
დედათა შორის
უსათნოესო.

წიწამურთან

ქვეყანა თვალდავსილია,
ედემის ვაზი გაჩეხეს,
მზეზე აგვისტო
კანს იცვლის,
წინასწარმეტყველთ ვიმეტებთ,
ვისა აქვს ცრემლის უფლება,
ვინ, ვის უმზადებს სატანჯველს?
– ის ქრისტეშია მარადჟამს,
ქრისტე კი მასში ისვენებს.

წმინდა ნინოს საგალობელი

წარმართთა მიწა ელოდა,
მადლი ზეციდან ებოძა,
ვაზის ჯვარი და სანთელი
მოჰქონდა,
ტანს მზე ემოსა,
მცხეთას ემბაზი აკურთხა,
უფლისგან სიტყვა ნაკურთხმა,
ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას,
გულზე მირონი აპკურა.

გვანცა ხარაიშვილი

* * *

დამარწიე,
სირინოზებთან პაემანზე წასასვლელი
მიმღერე ოდა.
გიგანტურ ქვებზე გამაწვინე,
უნდა გავაშრო სველი თვალები –
იქნებ, ალოკონ მზის სხივებმა
ტკივილების მარილიანი გუბე.
დამამშვიდე,
სანამ გავხსენი მდინარის სხეულში
სიცოცხლის სუნთქვა.
მიპატრონე,
მე ხომ შეშინებული ბაყაყივით
გადმოვხტი შენი თვალების უსასრულობაში.

* * *

შენს სხეულზე დავარწიე
ჩემი ხასიათის ცვლილებები და
ყველა მოგარგე.
რა დღეა დღეს?
რამდენს ხანს ვიგვიანებდით?
ან ახლა თუ ვართ საჭირო დროს
ერთმანეთის სულის სათავეებთან?
წვიმს.
ან ეს წვიმა გამოვიგონეთ.
მე ვეფარები
შენს მარცხენა ნეკნს –
სადაც სახლია.
მაინც, როდის იქნება,
შავი ღამეების უკანონო ნაშიერი,
შენში რომ დავიდებ ბინას?
არ მაქვს ძალები.

ჩემი ფიქრებიც კი ვერ შემოვლობე
მიწაზე რომ დატეულიყვნენ
და ვერც სიჩუმე გამჯობინე,
ვერც სევდა.
ახლა ვწევარ.
თავში არეული მიზნებით,
დაუსრულებელი და წამოუწყებელი
საქმეებით
და მჯერა,
გესიზმრები.
გარეთ მარტია,
რომელსაც ვერ ვგრძნობ
და ვიცი,
გიყვარვარ
და უფრო მეტიც –
დაუფარავად.

* * *

სირბილის დაწყებამდე უნდა შეჩერდე,
ყური მიუგდო სხეულის სიჩუმეს
და მერე გაიქცე.
მოგზაურობის დაწყებამდე
უნდა ააშენო სახლი.
წასვლამდე უნდა დარჩე.

* * *

მეგობრებს,
რომლებისთვისაც არ მრჩება მთავარი –
დრო,
სიყვარულს,
რომელსაც ვერ ვპატიობ წასვლას –
უმისამართოდ,
ღმერთს,
რომელიც მოვკალი დილის ლოცვაში,
დღეებს,
რომლებმაც ოცნებები დაასაფლავეს,
ლექსებს,
რომლებმაც გამცეს,
ამბებად დამანაწევრეს:
მე ისევ აქ ვარ.
კვირის მერვე დღეს ვაცხობ
შეშის ღუმელში,
რომლის ირგვლივაც შემომსხდარებს
მოგონებების პლედი გვათბობს,
გვა-სულ-დგმულებს.
მე ისევ აქ ვარ.
მთის ძირში,
მარტო,
რადგანაც ჩემი სიყვარულის სახლი
ზამთარში ხეზე მიტოვებული ბროწეულივით
დასკდა –
მისი სიტკბო სიცივემ წაიღო.
მე ისევ აქ ვარ.
ვანთებ სანთელს,
შობის ღამეა,
და ღმერთს ვთხოვ იშვას
არცერთხელ მისთვის გაღებულ გულში.
მე ისევ აქ ვარ.
ოცნებების მესაფლავე დღეებს
ვუკოცნი წამებს –
ახალი სურვილების ნაყოფს,
მუცლით ვატარებ.
მე ისევ აქ ვარ.
ახლაც გამცემს
ვიცი, ეს ლექსი.
ახლაც გამცემს
ვიცი, ეს ლექსი.



ბეჟან ხარაიშვილი

ზამთრის სურათი

შებინდებისას მოცახცახე ხეების სული
შემოაპარა ქარმა სარკმელში
და მძინარ თვალებს დააცრიცა თეთრი სიზმარი...
გამთენიისას აღარ სჩანდა სულის ნაფლეთიც,
სიცარიელეს ამოევსო სიცარიელე;
იცოხნებოდა ბუხრის ყელი ცისფერი ბოლით,
ფანჯრებზე ყინვას გაეცინა ფიროსმანისთვის.

ხატობაში

ხევსურეთის ხმლისებრ იელვა არაგვმა
და მთების უბეს შეასხიპა რუხი ნისლები.
მოგონებები სიმწარემ ალაგმა და
რძისფერმა იჭარბა ჩანჩქერებში.
გოგოლაურთას შევესწარ ხატობას,
ყელში ჩაუკლეს სიცოცხლე ჭედილებს...
– დღეს, რა თქმა, უნდა მომიწევს დათრობა
და საქართველოს სისხლიანი, ავი წარსული,
წვეთ-წვეთ, თანდათან გამოჟონავს ჩემს თვალებიდან.

გაზაფხული

მზესთან
იანვარში შენათვალ მიჯნურობას,
მწვერვალებზედაც უარყოფს თოვლი
და ისე თეთრად
და იმგვარი სიჩუმით კვდება,
რომ შინდის კვირტებს გული უსკდებათ.
რა დროს სიკვდილია,
კიდევ ერთგან გაჭრიან მიწას...
ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და
სული მომთხოვონ...
მწვანე შუქნიშნად ინთებიან
გზაზე ხეები,
ეს იმას ნიშნავს, გავიარო,
– წინ მამულია!

* * *

ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადე?!
ამ კითხვას ათასი კითხვა უერთდება –
მთას ძარღვი გაუსკდა ცივ მდინარეებად
თუ საქართველოს სისხლი უერთდება...
თბილისი თვალს ხუჭავს,
მტკვარს გულში იხანჯლავს,
დიაცი ძაღლებთან სეირნობს...
და ბოლოს:
წახდა საქართველო, – ამბობს ქალიშვილი
და ამერიკულ სიგარეტს აბოლებს!

შემოდგომით

ფოთლის ცრემლში ტყის ლოცვათა ციმციმი,
ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება,
ყვავილისკენ გადახრილი ყვავილი
და პასუხად კოცნის არ დაყოვნება...
მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე
სიმინდებში მთვარის ჩანამგალება,
კლდის ქვებიდან გადმომდუღარ ჩანჩქერის
თვალით შესმა და წყურვილის წვალება...

მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ
გაშლილ ცაზე გადაწინწკვლა ვარსკვლავთა,
თავთუხებზე ხოხბის ფერთა ფენაში
უშენობა დაჭრილივით ჩავა და...
ვდგევარ ხოლმე... და ვიხსენებ იმ ღამეს
მტევნების თვე მიმაწურე ბაგეზე,
ფოთოლ-ფოთოლ გადაივლის ყვითლობა
შენ კი ისევ სიცოცხლეზე მაქეზებ.

ვრაგვს

შენ, ფშავ-ხევსურთა გიჟო ქალწულო,
ო, როგორ გშვენის მტკვართან წაწლობა,
ვაჟას ჩანგეთში ჩაიტკბე ეგ ხმა,
თუ გუდანისჯვრის მოგაქვს წყალობა.
სვეტიცხოველთან, ჯვართან...
მითხარ, ლაშარგორს რაი ითქმების,
კაი ყმათაგან, განა ენებით?!
იახსრის ფერდობს თუ კვლავ მიჰყვება
ჭაღარა ვეფხვი სვენებ-სვენებით –
საქართველოზე
ჯვარცმით!
მარქვი, ტალღაა მკერდს რომ გიტოკებს,
თუ ბუნების წიგნს იფურცლავ ხელში,
მაგ თმებს ჩამოაქვს ლუდ-არყის სუნი,
თუ საქართველოს ვბარბაცებ ეშხით –
გიჟო ქალწულო, მარქვი!

ნაცვრა

და როგორც ლოთი, ლუდის ჯიხურთან
ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,
ისე ვინატრებ შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.
და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა,
ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,

რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში
თავთან დაკლული სიკვდილი მედოს,
ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,
ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო მესვას!

* * *

სამოცს გადასცდაო, –
თქვა ერთმა დანანებით,
– რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები
ვართ, –
თქვა მეორემ და ხელები გაშალა,
ღმერთმა აცხონოს, –
ჩაურთო მესამემ,

– აპა, გვიჭამია ხაშლამა!
. . . . . .
წადი, გაასწარი ტყისკენ, გაასწარი
ჩემო სისხლისფერო მოზვერო,
ყელში ჩაგიკლავენ სიცოცხლეს ხანჯლებით
არც შენ დაგინდობენ, ოხერო!

ჯგუფ „ზღვარის“ შემოქმედება

კახა ბაციკაძე

ზეციისკენ

აზრი არა აქვს ზამთარზე ჩივილს, –
ცხოვრება მაინც უფრო მხეცია;
და მე არა მწამს ისეთი ჩიტის,
ფრთები რომ მუდამ დაუკეცია.

ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად,
და მე არა მწამს ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება.

ცხოვრებისათვის კვლავ არ მცალია,
სული იგუბებს სევდის ნაწვიმრებს,
პოეზია კი ის მწვერვალია,
რომ შეიფარებს გრძნობის არწივებს.

ისევ თან დამაქვს ხმა უწინდელი,
გული ცხოვრებას კვლავ ეურჩება,
და მე არა მწამს ისეთ ფრინველის,
ცას რომ ვარსკვლავად ვერ შემორჩება.

ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად;
ვამბობ: არ მესმის ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება...

ფსკერი

მე მაიძულებს ჩემი სამშობლო, –
დავთმო კალამი, სხვა რამ ვაკეთო,
სხვაგვარ ცხოვრებას მივცე სალამი
და ჩემი სული გადავაკეთო.

მე მაიძულებს ჩემი სამშობლო, –
რომ საკუთარ თავს ვეღარ შევხედო...
არა აქვს ზღვარი, არა აქვს ბოლო
პოლიტიკოსთა ყალბ–მზრუნველ კრედოს...

აწ რაღა გიჭირთ, პრაგმატულობას
ხომ მიაჯაჭვეთ მეფე–პოეტი,
მივემართები მატერიისკენ
და იდეალებს ვემშვიდობები.

აწ შეგიძლიათ დროშაც ასწიოთ
და იზეიმოთ შედევრთა კვდომა,
უფრთებო სული ვეღარ არწივობს
და ქრება სულში სინათლის კრთომაც...

მე მაიძულებს ჩემი სამშობლო, –
დავთმო კალამი, სხვა რამ ვაკეთო,
სხვაგვარ ცხოვრებას მივცე სალამი
და ჩემი სული გადავაკეთო...

წყვდიადის ეფემერა

ვინ არის იგი, ვინაც დაამსხვრევს
შავ მარმარილოსგან შექმნილ
ღამის ქანდაკებას...
მკვდარი ოცნება თვალს ისევ აახელს,
როცა გაიგონებს ზეცის ქადაგებას.
სისხლის ფრინველები ძარღვებს დაკორტნიან,
სანამ არ ნახავენ მზიურ ელვარებას;
გზები არსებობის მინორთა აკორდია,
სული, პოეტისა, უფალს ედარება.
ან ვით შეაჩერებს ლექსის ოკეანეს
რაღაც უსუსური ყოფის ჯებირები...
გულო, არასოდეს შენ არ იგვიანებ,
როცა შეშლილ დოღში სიკვდილს ეჯიბრები.
კლდეთა მდუმარება მუხლზე დავიმსხვრიე,
სუფრას მივუჯექი ლექსის ტიტანებთან,
ჩემს სულში ახლა ისეთი სიცოცხლეა,
თავად სიცოცხლეც რომ მარად ინატრებდა.
ვიცი, ინათებდა ალბათ უცხო დროში,
მაგრამ სანთელივით ქრება მოლოდინი;
მოველ საწუთროში, მივალ საწუთროში,
როგორ განათდება, ნეტავ, ბოლო დილით...
სისხლის ფრინველები ძარღვებს დაკორტნიან,
ისე ესწრაფვიან ღვთიურ ელვარებას;
ვიცი, დავარღვიე ყოფის ჰარმონია,
სული, პოეტისა, უფალს ედარება!..
ვინ არის იგი, ვინაც დაამსხვრევს
შავ მარმარილოსგან შექმნილ
ღამის ქანდაკებას...

მარადიული მებრძოლი
(გიორგი სააკაძეს)

წარსულის მტვერი, დაფენილი ფიქრების თაროს,
გამომწვევია მოგონების ტკბილ-მწარე შუქის,
ჩემი სამშობლოს ოქროსფერო, მზიანო დარო,
უგვიანდები ხშირად იმათ, ვინც თვის გულს გჩუქნის.
    მე ახლაც მესმის გიორგ-გმირის ხმლის ლაღი ჟღერა,
    ხმალი მტკიცეა, უფრო მტკიცე: მზერა-ლითონი!
    ბრძოლა ესმოდა, ვით გონაშვილს – ჰანგი, სიმღერა,
    ედგათ ქართველის მტრებს ბნელი დღენი, უამინდონი...
არ შეიძლება სააკაძეს ქება არ ვუთხრათ,
მარტყოფისათვის სტრიქონი არ ავახმიანოთ,
და ამ სტრიქონებს სინანულსაც მიტომ დავურთავთ, -
უღვთოდ განგდევნეთ, ჩვენო დიდო ადამიანო!
    შენ ესწრაფვოდი საქართველოს ერთიანობას,
    ქართული სულის ციურ სიღრმეს მუდამ ყვარობდი,
    შენს უბედობას, ალბათ, თავად ღმერთიც ნანობდა,
    თუმც ქარი იყავ და საკუთარ ბედზეც ქარობდი...
მარადიული მებრძოლების რიგს შეუერთდი,
თვით ნაპოლეონს, მაკედონელს, აქილევს, ჰექტორს...
შენთვის სიცოცხლეც და სიკვდილიც არის სულერთი,
მხოლოდ ბრძოლის ჟინს, ვაჟკაცობას, სამშობლოს ვერ თმობ!..



გიორგი ზუხბაია

მეც გავჩუმდები შენზე ფიქრებად,
მტვრად რომ მაქციო, რომც დამიმონო,
არ დავთმობ არა ამ გარინდებას,
დროს როცა ვცდილობ გამოგიგონო...

ის არასოდეს შეწყვიტავს წერას...

იგი კვდებოდა, და სხივთა რიგი
ცოცხლობდა მასში, როგორც სიმბოლო,
ფერმკრთალ ოთახში კვდებოდა იგი,
იწვა, ფანჯარას უმზერდა მხოლოდ.
  იყო პოეტი, თუმც ახლა, იმას,
  აღარ შეეძლო ეწერა რამე,
  მზე კი არ მოკვდა, რაც ჰქონდა წინათ,
  კვლავ თრთოდა სულში "მზიანი ღამე".
აღარ შეეძლო მხოლოდ მის თითებს,
მხოლოდ მის სხეულს შეეძლო აღარ,
სული კი ქმნიდა, და ფიქრთა იქეთ,
რაღაც საოცარ სიცოცხლის გაღმა,
  კვლავ ანათებდა გრძნობა ეული,
  რაც აღარ გაქრა და არც მინავლდა...
  მაშინ დგებოდა ლანდი სხეულის,
  ჯდებოდა იქვე – მის მაგიდასთან...
და ღამეებში, როს ფერთა ფარდი
სამყარო თვითონ გადავა სევდად,
სანთელის შუქზე, პოეტის ლანდი,
წერდა სტრიქონებს, გიჟივით წერდა...

სინათლის სიმეტრია

ფარდა სავსეა მზის გაოცებით,
შენც უნაზესი შუქით ინთქმები,
ცოტაც კიდევ და ანგელოზებით,
გაგეჟღინთება წყნარი თითები...
  მერე ამ თითებს შეახებ ფარდას,
  სავსეს სხივებით, სავსეს ჰაერით
  და შენს ტუჩებზე სიჩუმის გარდა,
  აღარ იქნება სხვა არაფერი...

ფარდა სავსეა მზის გაოცებით,
მდუმარე სულის სიღრმის მიმრთველი...
ცოტაც კიდევ და ანგელოზებით,
გაგეჟღინთება წყნარი თითები,
მერე ამ თითებს შეახებ ფარდას...

ნისლიანი ტყე

ტყეა ნისლების, ნისლების შემდეგ
გზა გადის სველი ხეების ირგვლივ,
და მას ვინც გზაზე შეჩერდა ერთხელ,
სწამს, რომ სიცოცხლის შემდეგაც ივლის...

  ანგელოზები წლებივით ფრინავს,
  ის კი კვლავ მიდის, ფიქრი ინელებს..
  მხოლოდ, ხეების ტოტებზე სძინავთ,
  ნისლის ტირილით სოველ ფრინველებს...

წვიმის წვეთების მსუბუქ აჩრდილებს,
გადაღებული წვიმა თუ დარდობს,
იგი? გზას ხედავს და სინამდვილე,
მისთვის შორია როგორც არასდროს...

  აქ კი ნისლია, ვის უნდა შეხვდე?..
  გზა გადის სველი ხეების ირგვლივ,
  და მას ვინც გზაზე შეჩერდა ერთხელ,
  სწამს, რომ სიცოცხლის შემდეგაც ივლის...

ყვავილი-ბავშვი

ქალღმერთმა ერთხელ უნაზესი დათესა ვარდი,
მიწაზე ღრუბლით გაშენებულ უთეთრეს ბაღში,
მაგრამ მიწიდან სილამაზის და გრძნობის ფარდი,
ამოიზარდა ვარდის ნაცვლად პატარა ბავშვი...
ყვავილი-ბავშვი სათუთი და საბრალო იყო,
ფერადი თმების ცისარტყელა დაჰღვროდა ირგვლივ...
ქალღმერთის ხელებს დანდობილი, სიზმარი თითქოს...
და უნაზესი გარინდების - სინათლის შვილი...
დიდხანს იფიქრა ახალგაზრდა ქალღმერთმა მაშინ,
თუ რა დაერქვა ამ პატარა ყვავილისათვის,
უფრო და უფრო ღვივდებოდა ყვავილი-ბავშვი,
გამოუთქმელი, თვალუვლები მშვიდი სინათლით...
ბოლოს როდესაც ვარსკვლავებმა ქალღმერთის თმებთან,
მბრწყინავი ცეცხლის წვეთებივით დაისადგურეს,
როცა სამყარომ დაიმკვიდრა ღელვა და ფეთქვა,
როცა სამყარო ოცნებებმა სულმთლად დაღუპეს,
ის მიხვდა მაშინ თუ რა უნდა დაერქვა მისთვის,
(ყვავილი-ბავშვი გაირინდა სხივებზე წყნარად...)
მაგრამ როდესაც უნდა ეთქვა სახელი მისი
სამარადისოდ ტუჩებიდან მოსტაცა ქარმა
ყვავილი-ბავშვის უნაზესი, ნელი სახელი...

შემოდგომა

ფოთლებს ჩამავალი მზის
ოქრო გადაეთოვა
და ველების სიზმარი
ყვავილებმა დატოვა.
შემოდგომის ზიარი
მხოლოდ სულის ცრემლია,
შემოდგომა რა არის?
შემოდგომა ფერფლია..
ჩამავალ მზედ მლოცველი,
გულის სივრცე, სულის ზღვა,
ფერფლი ყველა ოცნების,
ფერფლი სიყვარულისა...

იგი ერთადერთია,
ვისაც ძალუცს იცოდეს,
რომ ფოთლების ბედია
მარტოსული სიცოცხლე,
ვისაც ძალუც ეგონოს,
რომ ის მოვა არროდეს,
მაგრამ მაინც ელოდოს
იდგეს ქარში ბოლომდე...
მზე დაღუპვას ვერ იშლის,
ფოთლებს ოქროდ მოელტვის,
შემოდგომა - შეშლილი
შემოდგომა - პოეტი...

სერგი ლომაძე

გული

ვთრთი, ფეხაკრეფით მივდივარ სადღაც,
შენი დაღლილი ხმა მწვდება, მათოვს;
და მე არ ვიცი, რასა ვგრძნობ ახლა;
და შენ არ იცი, ვარ როგორ მარტო;
ფეხდაფეხ მომდევს შუქები ღამის,
შუქები ფიფქთა თაიგულს ანთებს;
იცი? - თქმა მინდა უთვალავ რამის,
მაგრამ თეთრ ღამეს სიტყვას ვერ ვკადრებ.
აი, შენი ხმა კი მკრთალად ისმის,
ისმის, ვით ფიფქთა შრიალის ექო,
ან ვით ცახცახი ნაძვის ხის წიწვის,
მე კი სულ ვფიქრობ, სულ ვფიქრობ მე ხომ!..
მივდივარ, სულში იღვრება სისხლი,
მარტო ვარ, ფიფქის სულს ვხედავ თითქოს,
და უთეთრესად წითელი ფიფქი
მკვდარი გულივით ეცემა მინდორს...

პოეტი
(იდეალიზმი)

მოვედი, რადგან უაზრო ყოფას
მე იარაღი უნდა ავყარო;
თუ პოეზია არს უაზრობა,
მაშინ უარვყოფ მე მთელს სამყაროს!..
(ლექსიდან - „მეამბოხე“).

ამ მელნისფერი ღამით, გსურს, წერო,
და ვარსკვლავეთის იეროგლიფებს
ნელა მოგიფრენს ზღაპრული წერო,
ხატავ ფურცელზე გაცვეთილ რითმებს.

შენ არ გაღელვებს ნაწერის დონე,
ნელა მიჰყვები სტრიქონთა ჩეროს,
გული ყოველთვის სიყვარულს ჰმონებს,
და მთავარია მისთვის, რომ წერო.

ეს, შენ არა ქმნი, ქმნის შენი გული,
მერე კი ღამე სიზმრებში გძირავს,
და ხედავ პოეტს, დაჭრილს და მწყურვალს,
სტროფზე რომ ფიქრობს სიკვდილის პირას.

თენდება, მოკლავს სიზმარს სხივი მზის,
ჩამოჰგავს დილა ცის გაფითრებას,
შენს წინ კი მოჩანს თეთრი თბილისი,
როგორც სინათლე და ჩაფიქრება...

სიცოცხლემისჯილი

აზრი არა აქვს ლექსებსო, - მითხრეს, -
ეგ პურს ვერ გაჭმევს, ეგ დაგღუპავსო;
მე რომ არ ვწერო, უფალო ქრისტე,
არ შემიძლია!.. მე ვწერ უფასოდ.

იქნებ არც ვიცი, როგორ ვწერ, რას ვწერ...
მაგრამ კალამი თავისით ხატავს
ქართული სიტყვის უამრავ ნაწერს,
ამისთვის ვმადლობ ღმერთსა და კალამს.

იესო, ჩემო ლამაზო ძმაო,
მე, სხვა რამ ქვეყნად, არ შემიძლია;
თუ ჩემი შრომა არის ამაო,
მე ლექსებს დავწერ ისე, ნისიად,

სულაც უფასოდ, აზრით, უაზროდ...
ბოლოს ცეცხლშიაც შეაგდონ იქნებ
ის ერთადერთნი, მართლა რომ ვგრძნობდი,
და რომ იტევდნენ ჩემს გულს და ფიქრებს...

მადლობელი ვარ შენი, რომ ვწერდი,
და მე ბოლომდე ასევე დავწერ,
და ეს ცხოვრება - ჩამქრალი გემი,
მიჰყვება ტალღებს, კალმისგან ნაწერს...

მისტიკური გალერეა

მის სილამაზეს, საოცრად ქართულს,
მე გადავაწყდი ნახატთა შორის,
ფერთა სიზმრების ახსნაში გართულს,
თვალებში ენთო შუქურა ორი.
და სიყვარული, ქცეული ჯვარცმად,
მისი თვალებით მიყურებს ეხლაც,
რომ მაიძულოს რითმების გახსნა,
რომ მაიძულოს ლექსებთან შეხლა.
და პოეზია გამხდარა სისხლი,
და სიყვარული გამხდარა ჯვარი,
რადგან ვიხილე ნახატთა შორის
მყოფი ნახატი–შედევრი: ქალი,
ის - ერთადერთი ყველა ქალს შორის.
უფერადესი ფიქრებით გართულს,
თვალებში ენთო შუქურა ორი,
და სილამაზეს იხდენდა – ქართულს....

თამარ გავაშელაშვილი

უკეთესი აბა რა დამრჩენია?

სულით წმინდას უძახიან მუზასო,
მას ეშმაკი ვერაფერს ვერ უზამსო,
პოეტები სულით ნაზი არიან
და მიწაზე სხვის ტკივილით დადიან.
სიხარულით უცებ ცაში ადიან,
ბერდებიან სხვაზე უფრო ადრიან,
მე ხალხში ვარ, მქვია ქვეყნის მსახური
და არ მინდა უფროს ხვა სამსახური.
ეს ტანჯული მიწა-წყალი ჩემია,
უკეთესი აბა რა დამრჩენია,
უნდა იყო მართლის მთქმელი,თამამი
მეგობრებო, შემოგევლოთ თამარი.

სიყვარულისთვის

სიყვარულისთვის თუ არ ატირდი,
არ გაჟრიალა გრძნობებმა ტანში,
გული თუ ერთხელ არ შეგიწუხდა
რა სიყვარული იქნება მაშინ?
სიყვარულისთვის თუ ვერ შეცურე
აბობოქრებულ,აზვირთულ ზღვაში
ყველა ტკივილებს თუ ვერ გაუძლებ
რა სიყვარული იქნება მაშინ?
სიყვარული თუ დროებითია
იგივეს ხედავ რასაც რომ სხვაში,
თუ მასში კარგი ვერ დაგინახავს
რა სიყვარული იქნება მასში?
სიყვარულისთვის თუ ვერ ამაღლდი
და ვერ ახვედი საფრენად ცაში
სიყვარულს თუკი ვერ ეწამები
სიყვარულისთვის თუ ვერ გაბედე,
შეგეშინდა და ვერ ჩაჯექ ნავში,
სიყვარულისთვის თუ გზა გრძელია
რა სიყვარული იქნება მაშინ?
სიყვარულისთვის ეს სულ ერთია
წვიმაში ივლი,ბუქში თუ ქარში
სიყვარულისთვის თუ დაიღალე
რა სიყვარული იქნება მაშინ?
სიყვარულისთვის ეს სულ ერთია
ბარში იცხოვრებ,თუ სადმე მთაში.
ხის ძირიც ოდად მოგეჩვენება
თუ სიყვარული არსებობს მაშინ...
სიყვარულისთვის თუ არ გარისკე
თავი არ დადე სასწორზე წამში
სიყვარულისთვის თუ არ მოკვდები
რა სიყვარული იქნება მაშინ?
სიყვარულისთვის თუ არ იბრძოლე
არ შეგეპარა ცრემლები ხმაში
თუ გული გრძნობა დაგემორჩილა
რა სიყვარული იქნება მაშინ?
სიყვარული თუ გულთან ვერ მივა
ვერ გაიბჯნება რბილში და ძვალში,
სიყვარულისთვის თუ არ გიჟდები
რა სიყვარული იქნება მაშინ?
სიყვარულისთვის თუ მიგაჩნია
შენი გრძნობები ჩათვალე ვალში,
თუ სიყვარული დაჭკნა და მოკვდა
რა სიყვარული ყოფილა მაშინ?

წავალ შენიდან გულში დაჭრილი

ვერ გამიგია რაა მიზეზი
ამ განშორების, ვერ მოველ აზრზე..
შემშურებია, რომ ვარსკვლავები
ეხუტებიან ერთმანეთს ცაზე..
ეშმაკი არის ეს სიძულვილი
და ის ადგია ყოველთვის ვარზე..
ჩამტერებია იგი სიყვარულს,
აქილიკავებს და აგდებს ბანზე..
შენთანაც მოვა სიყვარული,
რომელიც მერე დადგება ვარზე..
თვალზე ცრემლები ჩამოგადნება
და ის იქნება მლოცველი სხვაზე,
წავალ შენიდან გულში დაჭრილი,
აღრიალებულს მიცნობენ ხმაზე
და ქვის ლოდებზე ასე დავაწერ
"რომ შენ მეტი ხარ უგულო ქვაზე"
ღამე ნათევი ჩემი ცრემლია,
ფეხს რომ აბიჯებს დადიხარ ცვარზე,
მივდივარ, მაგრამ მაინც დაგლოცავ
ბედნიერ იყავ ცხოვრების გზაზე.

ვერ ვხვდები მიზეზს

შენი სურვილი მომძალებია,
და ჩემი გული ახლა გიგონებს,
ვინმე თუ გულთან ახლოს არაა
მაშინ მის ძახილს ვერ გაიგონებ.
ჩემთან შორსა ხარ,რა ვქნა არ ვიცი,
მე მონატრება ამ გულს მიღონებს,
როდესაც მუზა მომძალებია
შენ ეფერები მაშინ სტრიქონებს.
უშენოდ ყოფნას აზრი არა აქვს,
გული გამხდარა შენზე მიმდობი,
ვისი ხარ ახლა მე არ ვკითხულობ
ჩემგან წასული იყავ მშვიდობით.
მე არ ვკითხულობ, რაზე ოცნებობ,
არ მიყვარს სხვაში ქექვა, ძიება,
სადაც ნამდვილი სიყვარულია
არასდროს ხდება შურისძიება.
სიყვარულს როცა კაცი გაურბის
რა მიზეზია მაინც ვერ ვხვდები,
წუთისოფელში ჩემგან წასულო,
სიკვდილის შემდეგ მაინც შეგხვდები..

არ მოვითხოვ შენგან შეწყალებას

შენი სიყვარული ტკივილს ეფარება,
დილის გათენება შენზედ მეხარება,
შენი სიყვარული გულზედ მეტანება,
შენი თვალები— თვალებს ელანდება,
შენი გასაჭირი მუდამ მედარდება,
ყველა მუზები შენზედ მეხმარება..
სული არ ჩერდება, შენსკენ ეხარება,
გულში ჩაგიხუტო,აღარ მეხათრება,
შენი არსებობა მუდამ მეყვარება.
ყველა დანარჩენი ფიქრი მეზარება,
არ მინდა ვიცოდე შენგან შებრალება,
ან სად გაგონილა ძალად შეყვარება.
იყავ ბედნიერი ვინც შენ გეყვარება,
მთელი ცხოვრებაო გქონდეს ნეტარება,
შენზედ ფიქრები ახლაც მეწვალება
უშენოდ ყოფნა, ძლიერ მემწარება,
შენი სიყვარული ისევ მეზღვავება,
უშენოდ დახარჯული წამი მენანება..
შენი მოლანდებით თვალი მეწყალება..
შენ კი არად აგდებ ვიცი ამ წვალებას,
ახლაც მონატრება გულზე მეძალება,
არა არ მოვითხოვ შენგან შეწყალებას.

თამარ ჯაჭვაძე

მხატვარი

ზეცა გვეძახის უსასრულო ფერებით სავსე
და ჩვენ, მხატვრები, ვედარებით უჩინ-მაჩინებს...
სული მომთხოვეს, მაგრამ სული ჩარჩოში ჩავსვი
მე სული ჩემი სხვა სხეულში გადავარჩინე.

ოსტატო, ყველა გუთნისდედას და ღამის მეხრეს
წუთისოფელმა უძლეველი ძალა აჩვენა...
თუ საქართველოს მკლავებივით ჩამოგაჩეხეს,
დამიძახე და... მე ვიქნები შენი მარჯვენა!

ერთიანი საქართველო

როცა მტერზე ილესები, როცა ბრჭყალს უსინჯავ ბოკვერს,
როცა უფალს მიაბარებ რუსთაველს და სარგის თმოგველს,
როცა ბოღმა დამარცხების გადაგივლის გულის წვერზე,
როცა ლექსი წამოგცდება ჭირში გაუტეხელ ერზე.
    დაიღლები როცა ძებნით წინაპართა ნატერფალის,
    სხვის მიწაში ატირდება პაპის ქვევრის ნატეხარი,
    შეეყრები საქართველოს, როცა უცხო ქვეყნის გზაზე
    და თვალები გეფეთება ძველქართული ცრემლით სავსე.
როცა გინდა ვინმეს ეძმო და ვიღაცა აქართველო,
მტერმა არა, როცა შიშობ მოყვარემ არ გადაგვთელოს,
ილოცები: – ღმერთმა მოგვცეს ერთიანი საქართველო!
შენ თუ არა, მე თუ არა, ვინ გვინდა რომ გაგვამრთელოს?!
    სალამური გახარებს თუ ფანდური და გუდასტვირი,
    ვიღაც დარდობს და სიყვარულს ბულბულივით ლექსად ტირის,
    თუ კითხულობ მეგრელია, კახელია თუ რაჭველი,
    სწორედ შენ ხარ, შენი ხელით საქართველოს გულდამჭრელი.
ყველა ბრძენობს, ყველა ზეობს, საკუთარ ძმის დამარცხებით,
სიამაყევ რად არ გვტოვებ, ქედმაღლობავ რად არ ცხრები?!
სწორედ მაშინ მესევიან ყვავ-ყორანი ფრთაგაშლილი,
როცა მკითხავ შენ ვინა ხარ ან რომელი კუთხის შვილი?!
    დღესაც ისევ ქუცმაცდები ჯგუფებად და პარტიებად,
    სიყვარული კი არა და ჭირს მოყვასის პატიება,
    სისხლში მიდუღს საქართველოს ყველა კუთხის თითო წვეთი,
    მიხარია, საქართველო ჩემით როა ერთით მეტი!

საყვედური ვეფხვსა და მოყმეს

(აფხაზთა, ოსთა და ქართველთა(ც) გასაგონად)
„მათ დაუხოცავთ ერთურთი“

ბედო, რამდენჯერ ინებე
შვილზე ტირილი დედისა...
ცრემლით ბალადებს გვიწერენ
მოყმისაა თუ ვეფხისა.
  გააოცებენ სამყაროს
ქართველი მელექსეები,
მკვლელის შვილმოკლულ დედასთან
როდის წასულან დედები?!
  ბედის საყვედურს მოჰგავდა -
„წავიდე, მეც იქ მივიდე“–
როცა თვალებში ჩაიქცა,
სისხლის ტბორების სიდიდე.
  კავკასიონზე ვეფხვის ტორს
და ვკიდებ მოყმის მარჯვენას...
სად გზაში შემოაღამდა
ქვრივი დედაქს მარჩენალს...
  შენც დედისერთა ყოფილხარ,
ჭკვათამყოფელი ვერ განახე...
ვეფხვო, საიდან მოხვედი,
მთებში რად შემომესახლე?
  თუ დაესახლე იცხოვრე,
თვალს რად მარისხებ ღვთისასა...
ვერა ხვდებიან შენფერნი
ფანდს მოყვარის თუ მტრისასა.
  სიმწარემ ამომალექსა
შვილმოკლულ-მგლოვიარესა...
დედა მოუკვდეს, ის ხმალი
ვეფხვისთვის როდის ალესა!
  მტრის დედავ, მიცქერ უნდობლად,
სამძიმარს შენ არ ინებებ?!
ვეფხვის მოკვლა რად უნდოდა,
ჯიხვების მომნადირებელს?!
  რას მისი ხორცი არგებდა,
რას მისი ტორის ტრიალი...
თუ გზად არ გადაეღობა,
არ აუშარდა ტიალი.
  ჯიხვებზე ენადირა და
მშვიდობის ღამე ეთია...
ის ჩემი პირტიტველაი
სამტროდ ვის, როდის ეტია?!
  სიკვდილს რად ეთამაშებით,
შვილო, წინ არ იხედებით,
რა ომობანა აგიტყდათ,
რას დაგვაშავეთ დედები...
  ახლა მიწექით, იძინეთ....
ცარიელ ბილიკს მივყვები....
თქვენს ნასახლარზე მოვლენ და
დალაღდებიან ჯიხვები!

მადლობელი ვარ

რისთვის შემოველ?
გამაბრუა სანთლების სუნმა!
ყველა ჩუმია და სევდიანი ეკლესიაში...
რაღაც ძლიერი,
ზებუნებრივი შეიგრძნო სულმა
და აფარფატდა საკმეველის მსუბუქ ნიავში.
ადამიანურ სურვილს
აბა რა ძალა დათვლის?
მე რა ვინატრო? სანატრელი რაოდენია!
სიცოცხლისათვის, ტანჯვისათვის,
ამ წვიმისათვის...
არაფერს ვითხოვ,
სულ უბრალოდ მადლობელი ვარ!

რუსუდან კალანდაძე

გრაალის ვარდები

ეძღვნება ყველა შეყვარებულს

შესცივდათ ვარდებს, წვიმისგან დაღლილთ
და ატუზულა კართან ზამთარი,
არა ხარ მარტო, ლოცულობს შენთვის
შეშლილი გული, ტრფობის ტაძარი.
დაჭრილი ვარდი იღვრება თასში –
წამებულ ტრფობით შენთვის მლოცველი.
მომეცი ნება, რომ ვიყო მონა
და შენ კი ჩემი მონათმფლობელი.
რით დავემონე თავად ვერ ვხვდები,
ქვეყნად ვერ ვპოვე სხვა შენებრ მსგავსი.
ქვეყნად მე შენი მშვენიერება
ვაიდუმალე გრაალის თასში.
მე სიყვარულის ისეც მონა ვარ,
გრაალის თასში ვპოვე ვარდები,
ქვეყნად კიდევაც რომ არ ვიცოცხლო,
მარადჟამ მაინც შენ მეყვარები.
თასში შენც ჰპოვებ გრაალის ვარდებს,
თუ სიყვარულით გაახელ თვალებს,
და დაიჯერებ, რომ წმინდა გრაალს
დაჭრილი გულის წვეთები ავსებს.
ვარ დაფერფლილი, როგორც ფენიქსი,
წმინდა გრაალთან ლოცვა ვინდომე,
და დაფერფლილი ვარ ბედნიერი,
რადგან ფერფლშია, ალბათ, სიცოცხლე.
კვლავ გავიშლები გრაალის ვარდად
დაჭრილი გული რომ შეგთავაზო.
გახსენ კარები შენი ტაძარის
და შემომიშვი, რომ გეთაყვანო“.

უკანასკნელი ფოთოლი

საცაა ქარი მოსწყვეტს ფოთოლს – კვლავ უკანასკნელს.
მაგრამ რა მერე, რა დარჩება შიშველ ტოტებზე?
მხოლოდ წვიმა, დარდი, ცრემლი დაეკიდება,
და უკაცრავად, – თუ ჰკიდია ზამთარს ფეხებზე.
გინდა გაექცე მოწყენილ თავს, სევდას, რეტინას,
ირგვლივ ქარია, კვლავ დღეები შექანებული.
ჩემთვის ზამთარი ეს ისედაც განაჩენია,
რადგან სულში მყავს გაჩენიდან შესახლებული.
ვიცი, წაიღებს ერთ დროს ქარი ნაცრისფერ ღრუბლებს,
ახლა ხატებთან, კვლავ ხატებთან ვდგევარ ვედრებით.
იქნება ხვალ როგორმე გამოიდაროს,
მაგრამ ამ ფოთოლს – უკანასკნელს – ვეღარ შევხვდები.
განშორების მწარე სევდა ისე მაწვალებს,
რომ არც კი ვიცი, როგორ შევძლებ, მოვიდე გონზე.
ბოლო ფოთოლს მე ამბორით ვემშვიდობები
და მის ნაცვლად ჩემი ცრემლი ჰკიდია ტოტზე...

16.10.2015

პეტრე ჯაჯანიძე

კაცხის მაცხოვარი

წამომართულა ახლოს კაცხურის,
მხრებზე მოსხმული იმერთ ხედებით,
ულამაზესი ასომთარულით
დამშვენებული თლილი კედლებით.
ვარიაციის რთული მოტივით,
ფოთოლთა წყობის გადამეტებით,
ჯვართამაღლების კომპოზიციით,
ორმაგად გრეხილ ორნამენტებით.

კარნიზები ქმნის სამმაგ ტეხილ ხაზს.
ჯვრით ყავილები ჯვრებზე სხდებიან.
ანგელოზები სტუმრად ზეციდან,
კვლავ გასაფრენად ემზადებიან.
პლასტიკურ ფონზე ჩრდილი ვარდნილი,
ორნამენტების ბრწყინავს ნატურა
ნაკეცები კი ცერად ჩაჭრილი,
ჭედურ ხატების ჰგვანან ფაქტურას.
მარადმორწმუნე და დიდებული,
კელაპტრების წინ ლოცულობს ერი,
დუმს კონქის თაღებს დაბჯინებული,
თორმეტწახნაგა გუმბათის ყელი.
მაცხოვრის ტაძარს ხვთის ნაზიარებს,
ამშვენებს სვეტი ბოლნისურ კვეთით,
ხელთ ეპყრათ ბაღვაშ-ორბელიანებს,
საერისთაო დიდი არგვეთის.
გვყავდნენ მეფენი ჩვენ სასახელო,
სისხლს რომ ადენდნენ მტერს ნიაღვარად,
შეუპოვრობით ის საქართველო, -
ხახადაღებულ ლომს მიაგავდა.
დიდი ამარის საფლავზე ფიქრი,
ყველა ქართველს ხომ დღემდე აწვალებს
იქნება გახდა, არავინ იცის,
ტაძრის ეკვდერი მისი საძვალე.
კირითხურო და ჩუქურთმის მჭრელი
იყვნენ ხელდასხმით ბაგრატ მეფიდან
და გადმოგვცქერის ათასი წელი
მორთულ-მოკაზმულ სარკმელებიდან.

29.09.2014წ.

გრიგოლ აბაშიძეს

დღეობაზე მოძღვნილი,
დაწერილი ამ დილით,
ლექსი, როგორც ძმობილი,
მინდა იყოს ნამდვილი.
სიტყვებს ბრილიანტივით
ვარჩევ ფიქრში გართული,
როგორც დიდი ნათლიის
ხათრიანი ნათლული.
ძალუძს შეცვლა გუნების
თბილ რომანებს არნახულს,
გარდაქმნაში ბუნების
ეხმარებით გაზაფხულს.
ღამეც დილად გიღირდათ
ტრფობის ქარით გასენილს,
მცხუნვარე მზის სხივის და
გორგასალის გაჩენილს.
შემართებით იბრძოდით
დარიალის ჭიშკართან,
შამქორით და დიდგორით
საქართველო გიყვარდათ.
სიყვარულის ძახილი
უნიკალურ თარგმანზე,
ამკობს როგორც მახვილი
შანდორ პეტეფს საფლავზე.
მეტეხით და არმაზით
საუკუნე გეძახის,
საქართველო ლამაზი, –
თქვენი ოქროს ვენახი.



მიხეილ თუმანიშვილი

პოეტი – პარტიზანი

გარეთ ქარი ქრის, ხმაურობს, ანგრევს,
ეს ქარი მოჰგავს პოეტ-პარტიზანს,
მიუსაფრობის მიზეზად ზიდავს
ბეთჰოვენის სულს, სულს მოცარტისა,

იქ, სადაც ბჭობენ ვაჟა-ფშაველას
ფიქრებით მქადაგებელი მთები,
არ ეცლებიან ქარიშხლებს გზიდან
და გარიჟრაჟებს ხვდებიან ქებით.

მათი დუმილის ხმა მოდის გულთან,
იმათ მოლოდინს ჯვარივით ვითმენ,
გალობისათვის სულს სივრცე უნდა,
ვით იდუმალი მუსიკა რითმებს.

მე ქარი მიხმობს, მიხმობენ მთები,
მეტი საერთო აქვთ ჩემთან იმათ,
ამოუსვლელი მზის ცეცხლით ვთბები
და ვარსკვლავები სხეულზე მცვივა.

გალობი სათვის სულს სივრცე უნდა,
ვით ფრენისათვის ჰაერი – მტრედებს,
ფიქრნი ელტვიან მტრედების გუნდად
დავიწყების და არყოფნის ედემს.

გარეთ ქარი ქრის, ხმაურობს, ანგრევს,
ეს ქარი მოჰგავს პოეტ-პარტიზანს,
მეც მსურს ჯვარცმული ღმერთივით გავქრე,
ეს მუსიკაა ქრისტეს დარდისა.

ეს მუსიკაა დამპყრობი, სულ რომ
მოიცავს სიკვდილ-სიცოცხლის მანძილს,
მშვიდობა თქვენდა, ნეტართა სულნო,
ამაღლებულნო უფსკრულთა თვალწინ!

მშვიდობა მთებო, ცისკრის ბერებო,
სულს აღუდგინეთ მოთმენა მკვდრეთით,
ცა ჰაერია საგანსვენებო,
ნეტარი ბერის სულია მტრედი.

და ვიდრე უფლის სიტყვას და საქმეს, –
თავს მივცემ უფსკრულ დარდს და მოწყენას,
თუ არ მომიტანს ყორანი საჭმელს,
თუ პური მზეზე არ გამოცხვება,

თუ არ იქმნება ღვინო წყალისგან,
თუ ვერ უძლებენ ლურსმნებს თითები,
თუ ზეციდან არ ისმის ზარის ხმა,
თუ არ გალობენ მხრებზე ჩიტები,

ფრესკებზე უნდა ვემთხვიო ნებით
ჩემგან ჯვარცმული ძალის ბრძანებას,
თუ არ ჭირდება ცას ჩემი მხრები,
მიწას თუ ბრუნვა არ ეზარება,

თუ ვარსკვლავეთი უკიდუგანო
ერთი პატარა ფიქრია პეპლის,
ერთ გულში ერთად თუკი ზეგანობს
ტანჯული ღმერთის ძალა და მსხვერპლი!..

ადამიანთა მკვდრეთით აღდგომას
ელიან მთები, ჭაღარა მთები,
ამ სასაფლაო დღეთა დაფრთხობას,
ჯვრებად გარდაქმნას წამიერ გზების.

გარეთ ქარი ქრის, ხმაურობს, ანგრევს,
ეს ქარი მოჰგავს პოეტ-პარტიზანს,
ეს მუსიკაა წამებულთ დარდის,
ეს მუსიკაა ქრიტეს დარდისა.

ესაა წამი, შერისხულ მგოსნებს
ჯვარს რომ აკრავენ იესოს მარცხნივ,
თავის ვერდახსნას თავისით მოსდე ვს
ცის გამარჯვება და მიწის მარცხი.

როცა წარსული სულს ესაზღვრება
მისწრაფებაზე უფრო მაღალი,
და სურს სიჩუმე დაუსაბამო
სულს უცოდველად ცამდე აყვანილს!

გულჩათხრობილო, მაღალო მთებო,
მასწავლეთ ნატვრა განსვენებისა,
გზას თქვენით ვიკვლევ მაღალი ცისკენ
მარადისობის გახსენებისას...

მივმართავ ზეცას, ტანჯვაზე ვმსჯელობ,
დროა სიცოცხლის ბედთან კამათის,
მშვიდობით იყავ შენ, სულო ჩემო,
მშვიდობით იყავ, აწ და მარადის!..
მშვიდობით იყავ, აწ და მარადის!..

2015 წ.

ნაილი ხარაიშვილი

ცისკრისეული გაელვება

თუ ვერ მიწვდება ცას შენი მზერა, – ძლიერ იწვიმებს. სუნთქვაც შეეკვრით ფრთებთან ერთად ქარის წისქვილებს, დაენანები გასალუმპად წითელ ვარდებს, იებს პატარებს, ვეღარ გაარჩევ წვეთებია, თუ მისი ცრემლი, ცეცხლივით გულში რომ დაგატარებს. მას ვისაც ძალუძს, ბედის ჩარხის წაღმა ბრუნება, ლეგა ღრუბლებიც ბულბულივით ესალბუნება. წმიდა სულს, სხეულს, უბიწო გულს, თუ მოედები ალმურივით, – აციაგდება... მაშინ იპოვნი, ნაკვერჩხალი ნაცარმიყრილი სად იმალება.

სევდა, წუხილი, თუნდაც დარდი, გამოდგება სულის საკვებად?! ან მარტოობა ჩააქრობს ხანძარს?! – ასვი ბარძიმი და გული მთელი აღარ გასკდება. სასურველია მჭექარე ჰანგი დატალღულ მთა-ველს ხშირად ასმინო, ნუ შეშინდები მდინარის პირას, თუ აგისხლტება ფეხი ყმაწვილო; ცისარტყელას გადააბიჯე, ასტყორცნე და ამოუდე ზეცას ლაგამი, ვიდრე ტრიუმფებს წალეკავს ჟამი, ხელს დაგიქნევს და გეტყვის ნახვამდის..

შუქ-ჩრდილებით დახატე საუკუნე დღეებად, ნახე, ჯიხვი ქარაფებს როგორ გადაევლება.

ისწავლე წერა აჩურჩულებულ ნაკადულის მუსიკის ნოტის, რადგან ნეტარი ბუნების ჯილდო – ყვავილის სუნთქვა, ამ ხმიდან მოდის. მწუხრიან თვალშიც ჰპოვე ნათელი, მიეც სამკვიდრო გულში ღვთიური, დაადასტურე, რომ ეს ტრფიალი, არის ქვეყნად მარადიული.

რადგან გიბოძეს, გაუფრთხილდი შენ სიცოცხლეს უმჯობესია, არ მოიხმარო ის უდიერად, არ მოისროლო ფსკერის მესიად.

სიბერეც მოვა, ნასაზრდოები ფარისევლური სიბრძნის ეფექტით, მოითხოვს პატივს და ფაქიზად მოეფერები. იმ უზრუნველი სიზმრების ხროვა ტურფა აპრილის, ცისკრისეულ გაელვებად სულში გაივლის...

18 სექტემბერი – 2015

სასაფლაოზე

ქვებზე მომღიმარ ამოტვიფრულ მკვდართა ბაგეებს,
გაოგნებული ჩიტბატონა ტოტიდან უცქერს,
ხის ფესვებიდან იბზარება საფლავის ლიბო,
სასწორი ცოდვებს თავად ადგამს სიმართლის უღელს.

ოქრო და ვერცხლში განბანილი მეფე სვიანი,
გლახაკთა შორის იმ სოფელში მაგიდას უზის,
ცხოვრებამ შთანთქა თავბრუმხვევი სეფე დარბაზიც,
სასაფლაოზე ხმაურია სიკვდილის მუზის.

24 ოქტომბერი – 2015

იმერული პეიზაჟი

კაკლის ტოტებში ნიავთან ერთად,
ტანს იგრილებს და ნავარდობს ციყვი,
წაჰკიდებია ხანძარი ძეძვნარს,
და სიყვარულით ჩემსავით იწვის.

წყაროს ვაფინე გვირილის ფრთები,
იმედს ატყუებს ეს ჩემი ქცევა...
ფიქრად შეკრული ჩალის კონები
ბრძენ შემოდგომას ჯიღად ედება.

მოდინახესთან იასამანი
ჰგავს აგზნებული მორწმუნის ლოცვას,
ყვირილას, – ზეცის ჩამოჭრილ მანდილს,
ტალღებით ყრმობის ზმანება მოაქვს.

მე თანავუგრძნობ წარსულზე ვნებით,
ნაწინდი ვაზის აქვითინებას,
თუ შევაბიჯებ ღვთიურ კარიბჭეს,
იქ იმერეთიც გამიბრწყინდება.

23 ნოემბერი – 2015

ღამის ქალაქი

იდუმალებამ მთვარის შუქზე შთანთქა შორეთი,
გადაიკლაკნა სილუეტი ღამის ქალაქის,
ლამპიონის ქვეშ დაწერილ ნოტს ჭრიჭინობელა,
სულში ჩამწვდომი სიყვარულის ჰანგად გარდაქმნის.

12 ნოემბერი – 2015

მეგონა

მუდმივ აპრილად ჩასახლდებოდი სულში მეგონა,
ყველა სურვილი ყვავილნარად აიშლებოდა,
ცხადი სიზმარი, – სილამაზის ფორმა სიცოცხლის,
თავად ღვთაებრივ სასწაულად გადიქცეოდა.

დროის კავშირებს ალაგმავდი ჩემი წადილით,
დასამშვიდებლად უსაზღვრობას მაზიარებდი,
და გარიჟრაჟზე, აისს მსხვერპლად შეიწირავდნენ,
უკიდეგანოდ ანთებული ვნების ხანძრები.

მეგონა, რომ დავეწეოდით დროს, – სულმოუთქმელს,
შევაჩერებდით ტრფიალების ტალღისებრ კადრებს,
დღეს იმ სიყვარულს კინძავს ნოტად ღამის სონეტი,
შენი სურნელი შერჩენიათ ნაჩუქარ ვარდებს.

21 ოქტომბერი – 2015

ლამზირა შეყილაძე

* * *

განა შენ ჩემზე დიდი ხარ,
ფულია ჩვენსა შუაო.
ამა ქვეყნიდან შენც წახვალ,
შენც შეგჭამს ჭია-ღუაო...

მრევლის სულსა და გულს ანეტარებ

მამა აკაკის

შენს წმინდა სულში უფალი სახლობს,
უფალს მოსავ და უფალს ადიდებ,
როცა წარსული აწმყოზე დარდობს,
ბნელით დახშულ კარს ლოცვით გაგვიღებ.

უსპეტაკესი გულის კარნახით,
სიყვარულსა და მზეს დაატარებ,
ლახვრის ლოცვებით, ტკბილი გალობით,
მრევლის სულსა და გულს ანეტარებ.

შენი სამშობლოს გულში ანთიხარ,
ანთიხარ ისე, როგორც მზისთვალი.
მეტეხის ტაძრის წმინდა კარიბჭეს
იცავ უებრო, ბრძენი, მციხარი.

ხარ ღმერთკაცივით უერთგულესი
და წარმართების ფიქრის მკვესავი.

ყველას ტკივილის გულის ტალკვესი,
სიკეთისა და მადლის მთესავი.

ყოველი დილის ცისფერ ალიონს,
ღვთაებრივ ხიბლის ქარიზმას აფრქვევ.
შური და მტრობა ქარმა წაიღოს,
სულთა საამოდ საკმეველს აკმევ.

ვინ იცის შენი მამულის დარდში,
რამდენი ღამე გამოათენე.
უმეცარობას ლოცვებით წაშლი,
შეჭირვებულთა გულებს ამრთელებ.

გამიგონია სხვა ქვეყანაში,
არ ჭიკჭიკებენ ჩვენი მერცხლები.
ისმის მეტეხის ძირძველ ტაძარში,
მამა აკაკის ტკბილი ლოცვები.

მე რა ვიცოდი

შენზე მოლოდინს გულში ვიდნობდი,
მენატრებოდა შუქი მცირედი.
თუ ჩუმად მსჯიდი, მე რა ვიცოდი,
შენში ტკივილს თუ მოვიძიებდი.

მეფიცებოდი, - გიერთგულებო,
გულში ვარდები გამლაღებია,
ახლა კი, ხვდება გული უებრო,
რომ სიყვარული არ შეგძლებია.

რტოებს ილეწავს მწუხარე ვერხვი,
გაუდაბურდა ცხოვრება მრუმე.
„როცა ვიფიქრე მოვიდა მეთქი,
შენ სწორედ მაშინ წასულხარ, თურმე.“

აწი ტყუილად ნუ შეწუხდები,
ნუღარ დახარჯავ სიტყვებს ვნებიანს.
შენთვის ცივია გულის ფერდობი,
ქალის შეცნობა არ შეგძლებია.

მეტკბილმწარეები

მტანჯავს დუმილი, იდუმალების,
თავხედი ქარი მიწეწავს ნერვებს.
მწვავს შორი მზერა შეუვალობის,
უჩინოსავით ვაცეცებ ხელებს.

ვიცი, ვერ მოხვალ, მე მაინც გელი,
შენზე ლოდინით ტყვილა ვწვალდები.
რადა ხარ ასე შორი და მწველი,
რა სასწაულად მეტკბილმწარები.

დრო უმოწყალო ტკივილით მიდის
და ნელა-ნელა სიცოცხლეს მპარავს.

დღემეხვალიე

ზღვის ნაპირზე ვარ, ვუსმენ ზღვის ხმაურს,
ამოქიაქდა მოსაგონარი...
შენ მოგიძღვენი სითბო ზღვაური
და ჩემი გულის მოსაფონარი...

ზღვა ხან წყნარია, ხანაც ბობოქრობს,
ხანაც ზღვის ტალღა ებრძვის ნაპირებს.
ალბათ, სურს შენზე ფიქრი წარმტაცოს
და ჩემს დაძლევას ასე აპირებს.

მე შენზე ფიქრი მაფორიაქებს,
შენზე ოცნებას კვლავ არ ვეშვები.
ზღვის შმაგ ტალღებში დავბორიალობ,
ზეცის კაბადონს ფიქრით ვეხები.

მზე ნელა-ნელა ეშვება ზღვაში,
მე კი, ვაგროვებ ნაპირზე კენჭებს.
ხომ არ გამცვალა ნეტავი სხვაში,
გულში ვიდუღებ მოჯარულ ეჭვებს.

შენ იდექ გემზე, დღემეხვალიე,
ნაპირზე დავრჩი მწირი, ეული.
შენზე ოცნებით სული დავლიე...
და ზღვას ვაჩუქე ჩემი სხეული.

შენზე მოლოდინს ვისიზმრებ დღემდე,
შენზე ლოდინის სისუსტე მღალავს.

მზერას მიბინდავს ნოტიო თვალი,
დარდი საწუთროს მიუდღეურებს,
რად მეჩვენება მთვარე ფერმკრთალი,
„რად ვერ ვიშუშებ სულის ხვეულებს.“

დაუთმენელი ტკივილით გეტრფი,
ოცნებას მიკრთობს ღამის ჭინკები...
რა გამახარებს? – მკითხე და გეტყვი,
თუ სიყვარულში გამეჯიბრები.

დარდით დაღლილი

წლები გავლიე ვაი-ვარამში,
ახლა სიცოცხლე თოკზე ჰკიდია,
გაჩხერილი ვარ დროის ხაფანგში,
დრო გველეშაპზე უფრო დიდია...

ცხოვრება მიდის ჭექა-ქუხილით,
ოცნების ფერდობს ალპობს წვიმები.
დაღარული მაქვს გული წუხილით,
დედაო მიწავ, რად გემძიმები?

ვქსოვ და ვერა ვქსოვ ოქროსფერ ბადეს,
თეთრ ანგელოზებს ვისიზმრებ მხოლოდ.
თუ დანაშაულს ჩავიდენ ოდეს,
სინდისის ქეჯნა მომიღებს ბოლოს...

დარდებითა მაქვს გული ავსილი,
ლაბირინთებში მივიბინდები...
ისე ძლიერ ვარ დარდით დაღლილი,
სიკვდილო, ახლა ნაღდად მჭირდები!

თინათინ ხაბურზანია

როდის დაბრუნდებით

შორეთს გაფრენილი მე მერცხლები მტკივა
და თვალცრემლიანი ცაში ბილიკებიც.
ან მუხთალი ბედის რამდენ მათრახს იტანს,
თქვენი სუსტი მხრები, სავეს ტკივილებით.

ნისლში გახვეულა ზეცა ჩემი ქვეყნის,
სად მიმოიფანტნენ ნეტავ ეს მერცხლები?
ჩვენი გული გახდა მოთმინების ქვევრი,
თქვენ, რომ უკუღმართი ბედის ხართ მძევლები.

შორეთს გააგტანეთ მონატრება, სითბო,
ბუდეს დარჩენილი თქვენი მართვეების.
თქვენი სიყვარულის ექო მაინც გვითბობს
კერას, აქ დარჩენილ მუჭა ქართველებით.

სად ვის ბუდეს ატკბობთ თქვენი სურნელებით,
ვაგლახ! თავსაც უხრით უცხოს მოწიწებით.
ქედმოუხრელი და ერთ დროს უძლევლების
რიგები დამდგარა ეხლა მორჩილების.

ჩვენს მშობლიურ მიწას ველარ მოვწყდით ვინაც,
მაინც ნატრული ვართ თქვენი მწარე ხვედრის.
ცრუ ბედს მიჭედებულ დღეთა ტყვეები ვართ,
ახლა სიღარიბის წინ ჩამოყრილ მხრებით.

ნისლში გახვეულა ზეცა ჩემი ქყეყნის,
სად მიმოიფანტნენ ნეტავ ეს მერცხლები?
ნეტავ ამ გაზაფხულს მაინც თუ მოჰყვებით,
როდის დაგვიშრება თვალზეც ეს ცრემლები.

ხსოვნის კედლებში

ქვაზე სიკეთედ დავდე ლექსები,
ვახსენე ღმერთი და გავიარე.
თუ შეაჟრჟოლებს ჩემი ცრემლები,
ლექსის სტროფებზე ვინც გაიარეს.

ვერც პოეზიის ცაში დავფრინავ
და მეცხრე ცასაც ვერასგზით მივწვდი.
ჩემი სიცოცხლე ისე გაფრინდა,
დღემდე წარსულის ღადარზე ვიწვი.

ფესვები ისე ღრმად მაქცს გადგმული,
ფრთებს ვშლი და მაინც მისკენ ვიხრები.
ხსოვნის კედლებში ვარ მე ჩარგული,
ვით ყრმა ზურაბი სურამ-ციხეში.

ქარიშხალივით თვალდათვალ მომსდევს,
ხსოვნა ურიცხვი დიდი წინაპრის.
რომლებმაც ძვლებით ეს მიწა მოხნეს,
ქედებს იპყრობდნენ ლექსის წრიაპით.

სულს მირონად მდის ხსოვნა პაატას,
ეს – გადატეხილი ვადაში ხმალი.
ალგეთს მგლის ლეკვი ერთი პატარა,
მზე გუშინდელის, დღეის და ხვალის.

ვით პოეზიის ერთგული ძაღლი,
ისევ წარსულის კარებთან ვწვები.
ხვიჩას და გოჩას ცრემლების მადლი,
სულზე წამაცხეს თარეშმა წლების.

მე მოცელილი ბასრი ნიჩბებით,
ტიტებიც მახსოვს აპრილის დღეთა
და დაღდასმული გლოვის ნიშნებით,
შავებჩაცმული რამდენი დედა.

აი, ამიტომ ვერ მივწვდი დღემდე,
მე პოეზიის მზეს და ლურჯ ზეცას.
მამულში ტყვიის წვიმების მერე,
ცრემლით გათელილ ბილიკებს ვკეცავ.

გიჟმაჟი წვიმის ბიჭები

გული გადაგიხსნა წვიმის ისრებმა,
სისხლი აღარ მოგდის ძარღვებში ჩემო.
დრო დაიშალა კოშმარული სიზმრებად,
ცრემლი ადუღდა შენს ქუჩებში ღმერთო!

რით აღარ კმარა ამდენი ტკივილი,
ბუნებაც ჩვენი ჭირის სუფრაზე ღრეობს.
აკმარე ასე სიკვდილით, სიკვდილი,
ამ შენს წილხვედრილ ქვეყანას ღმერთო!

ქვეყანა ცნობილი სიბრძნით და სიმშვიდით,
ზოგჯერ სისხლისმსმელ მტერსაც არ მტერობს.
სად ყველა ცოცხლობს ლექსების შიმშილით,
ამ ხვედრისთვის რატომ გაწირე ღმერთო!

ქართველნი ტკივილით დღეს თავდახრილნი,
გმირულ თავდადებად გადადნენ ერთობ.
რამდენი პაატა, ცოტნე, დავითი,
გულზე სიყვარულით დაგადნა ღმერთო!

გაგლეჯილ მკერდიდან ვიღაცა კივის,
ისაა, ვინც ალგეთს ლეკვობას ჩემობს.
მხარზე მხრის დადებით გირჩენენ ტკივილს,
გიჟმაჟი წვიმის ბიჭები ღმერთო!

ვერ იტევ გულზე მოფენილ ყვავილებს,
აბორგდით საფლავში პაპათა ძვლებო!
შეხედეთ ამ წვიმით დაბანილ ყმაწვილებს,
მხარულით გააქვთ დღეს ქვეყნის ლელო.

უმწეოთა სასადილოში

ბევრისთვის იქნებ სათაკილოა,
ბევრი იქარვებს აქ გულის დარდებს.
ეს უმწეოთა სასადილოა
და სიღარიბის ურდული ადევს.
    თავის ფეხით აქ ყოველდღე დადის,
    სასოწარკვეთა, უიმედობა,
    მომავლის შიში, უთქმელი დარდი
    და გატეხილი სულის მხნეობა.
ვინც ვერ გაუძლო ბედის გამოცდას,
ველარ მოირგო გენერლის ქუდი.
ვინც დოღის ცხენად ველარ გამოდგა,
ქანცგამოცლილი თვის სასჯელს უცდის.
    აქ ყოველ მათგანს თან დააქვს მკერდით
    პატიოსნება და გული თბილი.
    დამსახურება წინაშე ერის,
    აწ, მოსროლილი კუთხეში ნივთი.
მაგრამ ქართველი რის ქართველია,
ჭირს თუ არ შეხვდა თმენით და ლხინით,
ერთმანეთს მაინც ესალმებიან,
თვალებში ჩამდგარ იმედის სხივით.
    სიმწრით ღიმილსაც გამოძერწავენ,
    ხან საყვედურიც დასცდებათ მწარე.
    მერე კი ოხვრით გამოკეტავენ,
    უკვე სახლივით მეგობარ კარებს.
ეს უმწეოთა სასადილოა
ვერ დაიმალა რაც ჭირი ვმალეთ.
ღია კარებში შორიახლოდან,
შიშის თვალებით გვიცქერის ხვალე.

გულნაზი ხარაიშვილი

ფიქრი

ფიქრი ბრძოლასა და წვიმას ნაჩვევია,
ახლა ყვავი კორტნის... აცხა... სატიალო,
სხივი იმედისა, მაინც დამრჩენია,
გული ღალატით რომ ნატყვიარობს.
გეყოთ, ყვავ-ყორნებო, გეყოთ ჩემთან ჯიბრი,
ნუღარ შეეცდებით რკინის შერკინებას,
ნისკარტს დაიმტვრევთ და გულს ვერ გამომჯიჯგნით,
რკინას არაფერი აღარ ეტკინება.

აღსდექ გიორგი

დიდო სარდალო, როგორ შეძელი,
მძლევად, რომ შახთან დატოვე შვილი.
ეს იყო ჯვარცმა იყო ქვესკნელი,
ან რად გონიათ მავანთ ადვილი.
გახსენებითაც გული მიკვნესის,
ამ თავგანწირვას, ნისლი რად ფარავს...
ახლაც შავ ზღვაში უცხო კვლავ ხვნეშის,
სანაპიროზე სხვა იშლის კარავს.
ნეტავ სარდალო, წამოგახედა,
ქარი ჯიუტად როგორ ბატონობს...
მჯერა შექმნიდი უთაო მხედავრს,
კვლავ ჩვენ მიწებს რომ დაეპატრონო.
ღვთის პოეტები, დიდი მწერალი,
მზეს მოაფენდა დარდის ნაპირებს...
აჭიხვინდება ტატოს მერანი,
თავისუფლებას გავიაპრილებთ...
ო, მოურავო ბრძოლის ველია,
კრუხი წიწილებს მწარედ დაწივის, –
ამის აღწერა მართლაც ძნელია,
აღსდექ! გვჭირდება მხსნელად არწივი.

ქარო

ქარო, ჩემთან საბოლოოდ ჩაიჭერი,
ბოროტებით ღამეები არა გძინავს...
დამამშვიდე, გულში ნუღარ შეიჭერი,
შენ, წარსულის ერთგულებას, წყალში ძირავ,
ხან ნიავად გადიქცევი, მშვიდად ქროლავ,
ხან კი ღორღი ვარდის ბუჩქად გეჩვენება
ბედმა შენთან შერკინება დამაყოლა,
ვერ დამძალავ, კვლავ მოგიწევს შეჩერება.
დავივიწყებ გულში მაგ შენს არსებობას,
ჩემში შენი ნდობა უკვე დახშულია,
არც ვიკადრებ... შენნაირთან ომობანას,
წლები მიდის, სიცოცხლე კი საშურია.

იყო წვიმები

ნისლმა დაფარა იმედების მთელი სამყარო,
იყო წვიმები, სეტყვაც მომხვდა დასერილ გულში.
ო, ფიქრო ჩემო, სევდის ღრუბლებს უნდა გაგყარო...
აღარ დაგტოვებ, დარდის სავსე გამოქვაბულში.
გასულა წლები, ნათოვლარებს, ლექსით გავაშრობ.
რადგან ნათელს მფენს ღამის მთვარე, სულის სიწმინდით....
უიმედობას, იმედების ფიქრით გავართობ
ქარო შეჩერდი! იქონიე მწირი სინდისი!

ფიქრის ფესვები

ამ დღეის სითბომ გამოალღო გულის კედლები...
თუმც ყვავთა გუნდი, შორიახლოს დაფარფატებდნენ,
მზეო, იბრწყინე, შავი ღრუბლით ნუღარ ბნელდები...
ხალხი ზღვის პირთან,ფეხშიშველა დატანტალობენ
გულო, დამშვიდდი, დარდთა დღეთა გამონახადო,
ხომ გეფერება, ლურჯი ტალღის სუფთა შხეფები,
მეც შევეცდები, დარდიანი აღარ გაგხადო,
გარდავიცვლებით... რომ გაგვიხმეს ფიქრის ფესვები.

წვიმა

წვიმა გარდაცვლილთა ცრემლებია,
ცისარტყელა, ცას გუთნით კვალავს...
ვარსკვლავები მთოვარის მცველებია,
მოსაღამოვდა ზეცა მზეს მალავს.

მეგონა

მეგონა ტანზე სინდისს ჩაგაცმევდი,
მოგანანიებდი ცოდვებს,
გულში სიკეთეს მოგინცვრევდი და...
შევქმნიდი სიმშვიდის ნოტებს.

პოეზია

პოეზია... იდუმალი ფიქრების გზები,
ცაში დაფრინავს, ზეციური უკიდეგანო...
დედამიწაზე მოიარა, ტყეები, ზღვები,
ცდილობს მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს
რომ დაემგვანოს.
ის არწივია, ლურჯ სივრცეში მაღლა
აჭრილი,
ხან ცოცხალ დილის, სიხარულის
შესატყვისია...
ასეც მგონია ირმებია, მთებში გაჭრილი
ეს ლექსებია, ჩემია თუ ყველა
სხვისია.
ჯინიანია, თავნებაა ,ურჩიც, კეთილიც,
ქართვლის ვაზია, ჩვენი მიწის
მთის და მდელოსი...
ბევრჯერ ცრემლია, სიყვარულით
გულდაფლეთილი,
დიდი დარდია, ჩემი ტანჯულ
საქართველოსი.

მოვიწადინე

მოვიწადინე რუსთაველის ფუნჯით დახატვა,
ო, ღმერთო ჩემო, ნეტავ მგოსნის
სულს მოვწვდებოდე...
და თუ დავხატავ, ამისრულდეს ასეთი
ნატვრა,
ცაში სიცოცხლე, ხელმეორედ დაიწყებოდეს.
არ იქნებოდეს, შური, მტრობა
ბილწსიტყვაობა,
გაუტანლობა, მრუშობა და კაცთსიძულვილი,
იქ ვისწავლიდი ხელმეორედ ვეფხისტყაოსანს,
აღარ მომკლავდა ერთგულების
ფიქრის წყურვილი.

ნდობათა ჯაჭვები

იმ დღეს დაწიწკნა ნდობათა ჯაჭვები.
ჩემში სევდის მდგმური ჩადგა...
კი მქონდა წარსულშიც რაღაცა ეჭვები.
ყველაფერის იმ სიტყვის გარდა.
მას შემდეგ მოვიდა თოვლი და სიცივე
ცრემლები სახეზე დადნა...
ბედით ვარ ტანჯული,
ვერასდროს ვიცინებ,
მაზოლზე ფეხს ნუღარ მადგამ.

მხატვრის სული

მხატვრის სულია, ფაქიზი და იდუმალება,
დიდი სარკეა, წარსულსა და აწმყოს, რომ ხედავს.
პალიტრას მიღმა ჩანაფიქრი იმალება და...
დიდი ქარიშხლით... მტრის ისრებით არასდროს კვდება.
ფუტკარი არის, ყვავილების ხიბლით დამთვრალი,
ნიჭის ბარდვნაა, ზეციური მთვარის ნაპირი...
ხან ზაფხულია, გაზაფხული, ხანაც ზამთარი,
ისე ნაზია მხატვრის სული, როგორც აპრილი.
ხელოვნებაა, ღვთიურ მადლით მირონცხებული,
აბრწყინებული ცისკრის დილა, ფერებში იწვის.
დედას პურია, უფლის ხელით გამოცხობილი...
ის სუნთქვა არის, უკვდავება ქართული მიწის.

არაფერია

გულს მკურნალობით მოირჩენ თუკი,
მოყვასის ზრუვით გადაღლილია...
ენით არ არის განათუთქი და...
შენ სატრფოს სხვასთან არ გაუვლია.

არაფერია მოხვდე დანის ქვეშ,
განიკურნები ერთი თვის თავზე.
უფრო ძნელია აუგი თუ თქვეს,
ან გულისწორმა გაგცვალა სხვაზე.

* * *

ნაზამთრალ ვერხვივით გადაშიშვლდა დროის იმედი,
ნეტავი ბედის მწერლები, ცოტახანს არ მადროვებენ?
მე ტკივილები დამიგროვდა ქარით იმდენი,
ადამიანი – თაგვები, კი არ ფანტავენ,
გამოხრულ გულში მიგროვებენ.

* * *

არა მგონია ყოჩივარდების ხიბლით გავბრიყვდე,
ალბათ არავარ თანმედროვე.
ახლა შენ გიჭირს, წყენის წუთი უკვე გავრიყე,
მოგიბრუნდები ძველებურად, ცოტა მადროვე.

ჩემო საქართველო

ჩ — ემი მიწის სურნელებით დამათვრე,
ე — კლები კი მომაცილე ღმერთო.
მ — ივსტირივარ, ის რაც ძალით წამართვეს,
ო, — ამ გულში ცეცხლი ისეც მენთო.
ს — ევდას მინდა ფიქრის კარი მიუხურო,
ა — რ დავიხრჩო ცრემლის მლაშე ზღვაში...
ქ — არბუქშიდაც სამშობლოს მსურს ვემსახურო,
ა — რ გადავცვლი ერთ გოჯ მიწას განძში.
რ — ეროჭრელა მომიმრავლდეს ჩემს ბაღნარში,
თ — ბილ ბუდეში მოვეფერო ჩიტებს...
ვ — ეტრიალო ძველებურად ძველ მარანში,
ე — ს იმედი გულში ამიტვირთეთ.
ლ — ომის ხახას ამაცილე გამჩენო,
ო — ლიანდრებს ფერი სევდით ეცვალა,
ჩემო ღმერთო, ცას როს მოვალ მაჩვენო,
დამანახე ის ვინც გარდამეცვალა.

ფიქრის გუდა

ზოგჯერ ფიქრი ზღვის და ზეცის ტოლია,
დაქრის ყველგან, არ სჭირდება მაშველი...
ღრუბლები კი სიგარეტის ბოლია,
გავიჭვარტლე, აღარა მაქვს საშველი.
რეალობით? მზე ძალიან შორია,
სევდაშია ჩემი გულის სამყარო...
არ დავიწყებ უკვე არსად ბორიალს,
ფიქრის გუდა აქვე უნდა დავყარო,

ქარო

ჰმ! შენ არ იცი ვის შეერკინო,
ვის დაადინო ცრემლი თვალიდან...
ო, გულო ჩემო არ გაეტირო
ჩვენ ამოვედით დარდის ვალიდან,
მერცხლის ჭიკჭიკი შორიდან ისმის,
მზე ზენიტზეა,ახურავს ჩადრი...
აღარ მაწუხებს ხმაური წვიმის,
რადგან მფარველობს ღვთაება არდი.

სიბრძნის მდინარე

(აკაკი წერეთელს)

საუკუნეებს სულს უბერავენ,
შენი ლექსები სიბრძნის მდინარევ...
გაზაფხულს სამოსს შეუკერავენ,
გააღვიძებენ,ზაფხულს მძინარეს...
და ვაფრთხიანებთ მტრედების ხუნდებს,
თუმცა სიმები დაფანტულია...
შენ ბრძნულ ნააზრებს რა გაახუნებს,
სულთშესაფარის საფლობელია.

სიმშვიდის ბაღი

ნუღარ ჩამაცმევთ სევდის სამოსელს,
აღარა ძალმიძს ცრემლის ატანა...
ეს ბედისწერა ჩემს სულს ჩამოსერს,
ნეტავ ცის იქით გადამატარა.
იქ მეგულება სიმშვიდის ბაღი,
ჩემში წვიმები გადაიკარებს...
გულს დავასვნებ ნასეტყვს და დაღლილს,
ზეწრად ცის საბანს გადავიფარებ.

ნანა მესხი

ЛЮБИМОЙ АБХАЗИИ

Ароматом евкалиптов и магнолий,
Пропитался моей юнности дурман,
Криком чаек над волнами отзовется,
Прежних дней, воспоминаний караван.
Не забыты те тропинки улиц,
В ярких солнечных лучах окутанных всегда,
Синева, лазурь моего моря
Стелит сумрачный душе моей туман.
Снятся лиственницы улицы Октябрьской
Олеандров зелень и цветы,
Снится город мой давно оставший в детстве,
Но, до горечи любимый и родной, в дали.
Мысли непокорные тревожат,
Возвращаясь на ту улицу в тот дом
И из сказски в жизнь я попадаю,
Как покинутая птица своей стаей вновь.

РИСУЮ

Я рисую дерево.
Я рисую дом,
И хочу что б кто-то
Поселился в нем.
Жили бы там люди,
Радовались все,
Радугой - дугою,
Солнцем на заре.
Был бы в этом доме
Ребятишек смех,
Собирались вместе бы
Семья за обед.
Пели б за застольем
Песеньки свои,
Жили б не тужили
Проходили б дни.
Подрастали б дети
И вели бы в дом,
Любящих их девушек,
Умных женихов,
Старались родители
Видя счастье их
И спокойно собирались
В вечность уходить,
Продолжался б вечно,
Человечий род,
Не было бы зависти,
Правила б любовь.
Я рисую дерево,
Я рисую дом
Так и было б вечно
Да была б любовь.

09.03.15

ВСЕМ БЛИЗСКИМ

Скажи мне:ведь нечасто так бывает,
Когда душа и сердце рвется от любви,
Когда весь мир от счастья замирает
И хочется парить над садом всей земли,

Поднявшись в верх сознаньем понимая,
Что может вдруг закончится полет
Ты держишся за нить и уповаеш
И просиш и молиш продлить все то-
Что дарит тебе жизнь и благоденство,
Что возвышает всё над звездами всегда
Продлить минуту ту, и день - блаженства
И превратить в столетия года....

Ведь создан человек-творцом своего счастья,
Он волен выбирать и изменять свою стизю
Судьбой, которой мы ведомы и небесной властью
Мы получаем как расплату жизнь свою.

28. 03. 15

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

მანასი

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის მე-3 ტომში

. . .
გაირბინეს შრომაში
წლებმა, როგორც წამებმა,
გაზაფხული შეცვალა
ზაფხულმა – მზის თვალებამ.
შემოდგომაც გავიდა,
გაილია ზამთარიც,
მთებში ქარი ღმუოდა,
ვით მშიერი აფთარი.
ხმა გავარდა ჩიირდი,
რომ ფეხმძიმედ არისო,
ჟაკიბ-ბაის იურტა
მოლოდინით აივსო.

. . .
მზესაც ახლავს ჩრდილები და
ზოგჯერ ლოცვას მოსდევს წყევლა,
ბაიბიჩის სიხარული
ტკივილებმა გაანელა.
დღე და ღამე ტირის, მოსთქვამს,
აღარა აქვს მოსვენება,
ცრემლი ერთვის ნაკადულებს,
მისი ოხვრა ზეცას წვდება,
არ აკარებს პირს არაფერს
არაფერი აღარ უნდა,
გუნებაობს, ჭირვეულობს
ხასიათი გაუცუდდა.
„მიშველე და მიაქიმე,
ჟაკიპ, ჩემო თვალის ჩინო,
ვაჟკაცი და უშიშარი,
თუ გსურს ვაჟი გაგიჩინო,
თუნდაც ცხრა მთა გადალახე,
თუნდაც უღრან ტყეში წადი,
ვეფხვის გული მომიტანე,
დავიამო ხვაშიადი.
თუ არა და, ხედავ კარგად,
გულს რომ მიღრღნის დარდის ჭია“.
ერთ დღეს ჟაკიპს უთხრა მწყემსმა
მერგენჩს ვეფხვი დაუჭრია.
გაიხარა ბაიბიჩმა,
აჰა, ბადალ, ოქროს ზოდი,
ვეფხვის გული მომიტანე,
გევედრები მალე მოდი.
და მოხარშეს წყაროს წყალში
გულმამაცი ვეფხვის გული,
და დამშვიდდა ჩიირიდი
უჭმელობით გათანგული.

. . .
დღე-დღეს მიჰყვა, გაირბინა
ცხრა თვემ, როგორც ერთმა წამმა
და ფეხმძიმე ბაიბიჩი
ტკივილებმა გააწამა.
კივილით და ვაი-ვიშით
გააყრუა არე-მარე,
მგონი ვკვდები, კინდივ-ენე,
მომხედე და მომეხმარე.
გადავყვები, ვხედავ, მუცელს,
ვერ მიშველის ახლა ღმერთიც,
ძუნწ ჟაკიპს კი რჩება მხოლოდ
ახალგაზრდა ბაკდოლეთი.
მდიდარია ჟაკიბ-ბაი,

მე კი ვნახე რა ხეირი,
მე აქ ტკივილს შევეჭამე,
თავად დადის არხეინი.
იქნებ გულში კიდეც ხარობს,
მე კი მერგო ტანჯვა წილად,
მოიყვანეთ შავრა ცხენი,
კოკ-თენგირის შესაწირად.

. . .
ლოცულობდა ჟაკიპ-ბაი,
აღაპყრობდა ხელებს ზეცად,
გულს გაჰქონდა ბაგა-ბუგი
წამი საუკუნოდ ექცა.
დაუძახა მეზობლის ცოლს
ბერდიკ, ჩემს ქალს მიხედეო,
მოლოდინმა ლამის მომკლას
მთაში უნდა წავიდეო.
აღარ მერჩის უკვე მუხლი,
მიკანკალებს ხელებიო,
არ მსურს, ვინმემ დაინახოს
ბერიკაცის ცრემლებიო.
თუკი ქალი მეყოლება,
მთაში არვინ მომაკითხოს
ბებიაქალს ასე უთხარ,
სუიუნჩის[1] ნუ მოითხოვს.
ღმერთი თუკი ვაჟს მიბოძებს,
არ დავეძებ წლობით ნაშრომს,
მახარობელს მე ორმოცი
რაში უნდა ვუფეშქაშო.

. . .
მთვარის ბილიკს ცხენოსანი
მისდევს, როგორც მთვარეული,
თითქოს იყოს ხელი ვინმე,
ვინმე ჟამ-კარარეული.
როცა ცაზე მიილია
მთვარე, ზეცის ავგაროზი,
მთის ფერდობზე დაინახა
ბაიმ თავის ჟორგობოზი.
აი, ცხენი სანაქებო,
უთვალავი ჩემი ფარა,
თქვა ჟაკიპმა და აღმართი
ნელა, ჩორთით აათავა.
ეს ცხენებიც და ეს ცხვრებიც
შვილს ველი და მისთვის მინდა,
თქვა ჟაკიპმა, ამ დროს შავრა
ბალახებში აჭიხვინდა.
სავრასაი მაკედაა?
ყოჩაღ, ჩემი ჟორგობოზი,
მალე შვილი გეყოლებათ,
მალი კვიცი – აიმანბოზი
რა თქმა უნდა, ჯიშიანი,
რა თქმა უნდა სანაქებო,
თუ მემკვიდრე გამიჩნდება,
კვიცს ჩემს ვაჟკაცს ვაჩუქებო.
ვერსად ნახავთ ქვეყანაზე
ფაშატს სავრასაის ბადალს.
მოეფერა კაცი ცხენს და
ამ დროს კვიციც დაიბადა.

თავის ჯოგთან და ფარასთან
დაე, დარჩეს ბაი მთაში,
მივაკითხოთ ბაიბიჩეს
მშობიარეს იურტაში.
თვალი არც კი მოუხუჭავს,
კვნესის, შფოთავს მთელი კვირა,
ბაიბიჩეს ასე ტანჯვამ
ყველა ძლიერ გააკვირვა.
„რით ვერ გაჩნდა ნეტა ბავშვი
არ ასვენებთ კითხვა ქალებს,
ზოგი აწვება მუცელზე,
ზოგი თავთან დასტრიალებს.
როგორც იქნა, აწრიალდა
ღვთის წყალი და დაიღვარა,
მზე დაწვა და მთვარე შობა,
ყველამ გულით გაიხარა.
იურტაში დღე ნათელობს,
თუმცა გარეთ წვება ბინდი,
დასთამაშებს პირზე სხივი,
აღარ კივის ჩიირიდი.
ვაჟია თუ ქალიშვილი,
დამანახეთ, ვინ არიო,
მოდი ჩქარა სულაიკა,
გადაუჭერ ჭიპლარიო.
მადლსა გწირავ კოკე-თენგირ!
ჩიირდიმ შვილს გადახედა
ათ ქალს ძლივს ეჭირა ბალღი
ხუთი – თეთრ ზეწარში ხვევდა.
და ქალები აჩურჩულდნენ,
ბალღია თუ დევიაო,
ბაკდოლეთმა ძვრაც ვერ უყო,
ათმა ვტაცეთ ხელიაო.
ბალღია თუ ბოკვერია,

[1]სუიუნჩი — მახარობლის ჯილდო.

ეს რა ხმა აქვს საზარიო,
ისე ძლიერ დაიყვირა,
მთებმა იწყეს ზანზარიო.
დაეწაფა დედის ძუძუს,
თვალიც გაუნაბიაო,
ბალღი არის თუ ვაჟკაცი,
ეს რა ჩიტი აბიაო.
ვერაფერი შეგვიტყვია,
ბალღია თუ აფთრის ძეო,
ძუძუს სისხლი დაადინა,
როცა შესვა დედის რძეო.
„დედა ვარ და თანაც, ვაჟის,
გულით გავიხარე, დებო“ –
თქვა ჩიირდიმ და გოლიათს
პირში გამოავლო ერბო.

მოხუცი თუ ახალგაზრდა
ყველა ეძებს ჟაკიპ-ბაის,
მათ ფეშქაშად უნდათ ცხენი,
შეაჯერეს მთა და ბარი,
სულაიკაც მიდის სახლში: –
„შენს ხელთაა, კაცო, ბედი!
არაფერი გაგიგია?
აკბალტ, ნუთუ გამოშტერდი.
წადი ძმასთან მახარობლად,
განა გვაწყენს კარგი ძღვენი,
ყველა ეძებს მოხუც ჟაკიპს,
ადექ, კაცო, გაინძერი!“
„კარგი ერთი, სულაიკა,
გეშინოდეს ღმერთის რისხვის,
სად ვეძებო ძუნწი ჟაკიპ,
სად წავიდე, ანდა რისთვის?
ნეტავ მე რა სარგებელი,
ბაი სიტყვით გავახარო.
იქნებ გზაზე დამხვდეს ქურდიც,
იქნებ ხიფათს შევეყარო.
მთელი კვირა გაწყდი წელში
მთელი კვირა არ გეძინა
რა გაჩუქა ბაიბიჩმა,
როცა ვაჟი შეეძინა?“
„მომცა აი, ეს ჩაპანი[2],
ბურდუკი[3] და ხილაბანდი“.
ჟაკიბ-ბაი ცხენს გიბოძებს,
ბერიკაცო, ძმასთან წადი.

[2]ჩაპანი — ყირგიზული ხალათი
[3] ბურდუკი – ტყავის ტომარა.

რაღა ექნა საწყალ აკბალტს,
აღარ ჰქონდა მეტი ჩარა,
კეკჩოლოკს შოლტი გადაჰკრა
და ჯაგლაგი ააჩქარა.
სწორედ ამ დროს მთის ჩანჩქერთან
ჟაკიპ-ბაი კვიცსა ბანდა,
მიახარა მას აკბალტმა: –
„ძმაო, შვილი დაგებადა.
ბაიბიჩემ შობა ვაჟი,
მართლაც ლომის ბოკვერია!“
მოხუც ჟაკიპს სიხარულის
ცრემლი თვალზე მოერია.
აჰა, ძმაო, მახარობელს
გიფეშქაშო ოქროს ზოდი,
წყალობისთვის, მადლი უფალს,
ამისრულდა, რასაც ვთხოვდი.
შენთვის არც რა მენანება,
შენი იყოს ცხენთა რემაც,
გავაჭენო უნდა რაში
ლომი მელის იურტაში.

. . .
გათენდა და მზემ ზეციდან
ჩამოუშვა სხივთა ფარდა,
ბაიბიჩე ვაჟით ხელში
იურტიდან გამობრძანდა.
სად იყო და სად არ იყო,
მხედარს ჰკიდა უცებ თვალი,
ლხენით სავსე ჟაკიპ-ბაი
მოჰქრის, როგორც ნიავქარი.
ძველი დარდი, ძველი სევდა,
დაავიწყდა ყველაფერი,
აქვითინდა ჟაკიპ-ბაი
ამაყი და ბედნიერი.
დაიჩოქა ცოლის ფერხთით
როგორც ქალღმერთ მარიამთან,
უფალს სთხოვა: – ჩემი ვაჟი
გამიმრავლე ერთი ათად.
მე თუნდ მოვკვდე, აღარ ვდარდობ,
თუნდ გავთავდე სულ ერთ წუთში: –
თქვა მოხუცმა, ვაჟიშვილი
ჩაიხუტა თბილად გულში.

. . .
ვინ თქვა, ჟაკიპ ძუნწია და
ვინ თქვა, არის ქვაწვიაო,
რა ძეობა გადიხადა,
ეს რა ხარჯი გასწიაო.

საგვარეულო ალამი,
მაღლა ცისკენ ასწიაო.
მოიწვია მან სტუმრები
ლხინში ყველა აულიდან
და კაზანებს[4], ხორცით სავსეს,
ოხშივარი აუვიდა.
სამოცდაათ იურტასთან
გაიშალა ხის ლანგრები,
და ჩამოსხდნენ ყირგიზები
ჩინელები, ყალმუხები.
არა მყოფნის მე სიტყვები,
ის ძეობა როგორ ვაქო,
ქეიფი და დროსტარება
იყო მართლაც საარაკო.
გაილია დღე და ბინდი
შეეპარა როცა ზეცას,
როცა მამაც ფალავანებს
ჯილდოები გადაეცათ,
როცა მორჩა მარულა და
როცა ლხინის ჟინი დაცხრა,
როცა შვიდასი კოცონი
მიინავლა, ჩაინაცრა.
ჟაკიპმა იხმო სტუმრები,
სთხოვა: – ყური დამიგდეთო,
რა შევარქვა ჩემს ნანატრ ვაჟს,
გევედრებით, მირჩიეთო.
ვინც შეურჩევს ჩემს ძეს სახელს,
მას ერგება ჩემგან ძღვენი,
გამოჩნდება ახლა თქვენში
თუ ვინ არის ბრძენთა-ბრძენი.
იკამათეს, იმკითხავეს,
გაიხსენეს ყველაფერი,
სახელი ვერ შეარჩიეს
ვაჟკაცისთვის შესაფერი.
უცებ სტუმრებს გამოეყო
მაწანწალა, ჯოხით ხელში,
გამხდარი და საცოდავი
გახვეული ძონძ-მანძებში.
მე შევარქმევ ვაჟკაცს სახელს,
მინდა, ყველა გაგახაროთ,
პირველ ასოდ „მანს“ შევარჩევ
მუჰამედის სათაყვანოდ.
როგორც უფლის მოციქული,
სულით, ხორცით იყოს წმინდა,
შემდეგ ასოდ „ენ-ის“ ვიტყვი,
ვაქებ ნოეს ბიბლიიდან.
ნოესავით იხსნას ერი,
უკვდავების შესვას თასი,
იყოს გულით უშიშარი,
რა შევარქვათ ვაჟს? – მანასი.
ჯილაგს უნდა გამრავლება,
გაფრთხილება უნდა სახელს,
უცებ გაქრა მაწანწალა,
ეძებეს და ვერსად ნახეს.
და სტუმრებმაც მიაშურეს,
როცა ქვეყნის ოთხსავ მხარეს,
ბრძენთა ბრძენმა აკბალტბაიმ
მოახსენა ძმას მწუხარედ: –
„არ გეგონოს ეს თვალები
სიხარულით არის სველი,
უნდა გითხრა, რას აპირებს
ესენ-ხანი – სისხლის მსმელი.
ყირგიზების წინამძღოლი
დაიბადა, უთქვამს მისანს,
გმირთა-გმირი გოლიათი
მტერს შეუნგრევს გულის ფიცარს.
გაანადგურებს ბეიჟინს,
გაილაშქრებს ჩინთა მხარეს,
შეკრიბავს ყირგიზებს ერთად
და მშობელ ხალხს გაახარებს.
თუკი ნახეთ სადმე ბავშვი,
ვისაც ჰქვია მანასიო,
გინდა იყოს ასი ყმა და
გინდა კიდევ ათასიო,
თქვენ, ერთგულო მეომრებო,
ანდერძივით გავალებთო,
ამოჟლიტეთ, არ დაინდოთ,
ყველას მუსრი გაავლეთო.
ჰოდა, ჟაკიპ, ჩემო ძმაო,
ვერაგია მტერი რაკი,
შენს შვილს მანასს ნუ უწოდებ,
მას შეარქვი აკარაკი[5].
ჯერ ყრმაა და არასმცოდნე,
რა აზრი აქვს ნეტა სახელს?
გაიზრდება გმირთა-გმირი
და კვლავ მანასს დავუძახებთ.

(გაგრძელება იქნება)

[4]კაზანები — ფლავის და ხორცის მოსახარში სპეციალური ქვაბები.

[5]აკარაკი – სულელი (ქიზიყური დიალექტი).

კახა სამყურაშვილი

მადლიერება

სულ უფრო მეტად გააქვს გნიასი
ჯოჯოხეთური ამ საუკუნეს
და გადაღლილ სულს ისევ ძვირფასი,
მხოლოდ ძვირფასი ლექსი უკურნებს.

მზე-ლექსი რითმში გადაჰყრის უკუნს,
ჩაახშობს გნიასს, შობს ჰარმონიას,
დააწყებინებს ბნელ ძალებს სლუკუნს,
მოჰგვრის მათ ძრწოლას, შიშს, აგონიას!

ამაოებას ლექსი მოდენთავს,
და დასაქცევზე ცეცხლს დაამატებს,
სითბო გათოშილ სხეულს მოთენთავს
და დამწყვდეულ სულს ააფარფატებს.

იძვრება ზეცა, იძვრება სივრცე,
იფეთქებს ლექსი ახალ ტიტულით,
ციური შუქი მან უნდა მისცეს
მიწას და დასწვას კერპი-ფიტული...

მყისვე ნათელი ზეცა გაეხსნა –
იწამა სულმა პოეზია რა,
აღარ სჭირდება სხვა შველა, სხვა ხსნა –
ქართული სიტყვის მადლს ეზიარა.

არის ზეიმი, მადლიერება
გულიც ლექსად ძგერს, ულექსოდ ვერ ძლებს,
ლექსით ნუგეშობს მეხსიერებაც
და მგოსნებს უდგამს ლექსადვე ძეგლებს

* * *

დეკემბერია მთლად მილეული,
დავდივარ მარტოდ, ისევ ეული.
მამშვიდებს ქარი გადარეული
და ძალას მმატებს „ნაფარეული“.

ეს აგრე რიგად წელი სნეული
მიიზლაზნება წელათრეული,
ლექსით ივსება ჩემი რვეული,
როს მახსენდება ხსნა ჩემეული.

შენი ლოდინით ფიქრარეული
გავხდი, ვიქეცი მთლად გალეული.
შენთან არყოფნა არს მტკივნეული.
არც მწარე მინდა, არც – ტკბილეული.

ღამღამობით ვარ მზის ყარეული,
გადარეული და მთვარეული.
დავდივარ მარტოდ, ისევ ეული...
დეკემბერია მთლად მილეული...

გვალვა

ნეტავ არ მობერდეს
ეს ეთეროვნება,
ნეტავ არ მომბეზრდეს
ეს ერთფეროვნება!

დაშრა მიწას ოფლი,
დასკდა ნაოჭები,
დასხდა ყველგან ჭორფლი,
გაშრა წყარო, ჭები...

ცეცხლმა მზის და მთვარის
იქნებ ალი სცვალოს,
წლები გადამწვარი
მწვანედ აბრიალოს!

წვიმამ შეივედროს
მიწა გადაღლილი,
მისცეს იმავედროს
მას ცამ სუნთქვა გრილი!

ნეტავ, ყველა კუთხით
შვებით შევძლოთ გავლა,
წვეთით ცადნაკურთხით
დასცხრეს გვალვა! გვალვა...

სამი მეთევზე

შემოსაზღვრულნი გარეშე ხმათგან
ძმურად იყოფენ თავის ულუფას.
უცხო არ არის არცერთი მათგან,
ყველას ასე სწამს –როგორც სურს უფალს.

მდინარის მღერით გულმიცემულნი
მშვიდი თვალებით უმზერენ ხედებს,
სუფთა სამოსით ტანთგადაცმულნი
ერთ-ერთს ირჩევენ – სუფრას მიხედე!

სიყვარულს ამბობს პირი თამადის
და მზით სავსე აქვთ თასი პირთამდის,
თუხთუხებს ქვაბი აღმძვრელი მადის,
ქეიფი მიდის, საღამო გადის...

რჩენილი თევზი ტოლად დათვალეს,
(ცხოვრობენ ასე – ზედმეტის თმობით)
ერთურთს სურვობენ იღბლიან ხვალეს,
ოჯახს მიდიან ამაყი გრძნობით.

შემოსაზღვრულნი გარეშე ხმათგან,
მადლიერები თავის ულუფის,
უცხო არ არის არც ერთი მათგან,
მარად სწამს სიტყვა სამთა გულს უფლის.

გამოუთქმელი გაგებით

შიში შიშხინებს ვით კუნძი შეშის,
დათმენილია ვნებების ჟინი.
გადაღლილ ჩემ თავს ვამსგავსებ შეშლილს,
როს არ მასვენებს განსჯის კიჟინი.

დგება საღამო. გავცქერი სივრცეს.
(აქვს სიამაყე ოთახის ქაოსს)
შენზე ფიქრებით მზერა განვივრცე,
გასამხნევებლად მივმართე ლაოს.

გამჭვირვალეა წინაშე მზერის
ყოველი. ბრუნვის სიკეთის გამო
დამღვალ სივრცეთა დიდ გადათქერით
კვლავ დაბრუნება არის საამო.

წინაა სასტიკ ბრძოლათა რიცხვი,
მიღწეულია მთავარი – რწმენა.
თუმცა ბობოქრობს ცხოვრება ურცხვი,
გამოძებნილი მაქვს მისთვის ენა.

შიში შიშხინებს ვით კუნძი შეშის,
დათმენილია ვნებების ჟინი.
გადაღლილ ჩემ თავს ვუწოდებ შეშლილს,
როს მე აღმაგზნებს ბრძოლის კიჟინი.

სათვალის ფული

მდოგვის მარცვალი ქრება და ჩნდება
გაქრობის ჯილდოდ ხე ფესვმაგარი,
მუსიკის ჟღერა ნელ-ნელა წყდება,
ხდება გასული ექოს მაგვარი.
ლხინიც და ჭირიც ბეზრდება წრფელ გულს,
უმღვრევი სივრცე იჭერს მის ალაგს.
სათვალისათვის გადანახულ ფულს
განათებისთვის მე ვჩუქნი ქალაქს.
საათს დღეასწრებს და იწერება,
რომ ჰანგი თუ გსურს – იგი სიმში დევს
და კარგად ვხედავ რომ ეწირება
ჩემში-პოეტი ჩემში-სიმშვიდეს...

* * *

მოსვენებაა ის ფორიაქი,
ლექსს ვქმნი როდესაც,
მოჩვენებაა, რული, თრიაქი
სოფელი დღესაც.

რა ადვილია, როს ვერ გედება
სიკვდილის რული,
სინამდვილეა შემოქმედება,
ხილული სული.

დადუმებაა, ქრება ზვავობა
გზადაგზა ავთა,
დაბრუნებაა მთელი მგზავრობა
საკუთარ თავთან.

პოეტურ ალღოს ვეღარ აბრკოლებს
შლეგი დღეს-ხვალე,
ლექსი-მზე ალღობს, ათბობს, აბროლებს
გაყინულ თვალებს.

რა ადვილია ზემოქმედება,
ლექსს ვქმნი როდესაც,
სინამდვილეა შემოქმედება,
ვით ადრე, დღესაც

გორიჯვრისაკენ

ისევ წყალობა, აღმართნო თქვენსკენ
მუხლი, ვით მაშინ, გზად არ დავარდა,
მოვდივართ თქვენსკენ და ვტოვებთ ქვესკნელს,
ლოცვის კოკორი გზაში დავარდდა.

ამინდიც ჩვენსკენ! წვიმა უხდება
ყვავილს – იზარდოს, მალე ივარდოს;
მივსრისავთ სერებს, ნისლი წუხდება,
იავდროს, გული ხარობს იმავდროს!

და მონატრებულ, მშობლიურ საყდარს
ვუძღვნით მადლობას, ყვავილს სულისას,
ვიღებთ განწყობას სამოთხის სადარს,
გვსურს, არ განგვშორდეს, გაგვყვეს სულ ისა...

დაგვრჩა განწყობა!!! (უბრწყინვალესი
იქნება ხვალის მასზე აწყობა.)
შემდეგ ჩვენ ბარში მოვყევით ლექსი
და გადავადეთ ხალხს ის განწყობა!

ბავშვები ჩვენი მომავალია

ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)

მერცხალი:
სალამი ჩემო სამშობლოვ,
ჭიკ-ჭიკ-ჭიკ – გენაცვალები,
შენს ნახვამ სიხარულისა
ცრემლით ამივსო თვალები

ბუდეც ადგილზე დამიხვდა,
აღარ მჭირდება შრომაო,
ვუმადლი კეთილ მასპინძლებს
აქვთ სიყვარულის გრძნობაო...

ბეღურა:
შენ შემოგევლე მერცხალო,

საქართველოს მონატრება

ავტორი:

გაზაფხულის დღე გათენდა
მშვენიერი და წყნარი...
აგერ მერცხალიც გამოჩნდა
მომართა თავის ქნარი...

მაგ მოჭიკჭიკე ხმაშია,
შენ სრიალს დიდხანს ვნატრობდი
ნამგალა ფრთებით ცაშია...
ისე მიყვარხარ ვერ გარჩევ
ჩემს ღვიძლ დასა და ძმაშია.

მერცხალი:
მოვფრინდი ჩემო ბეღურავ...
მეც მომენატრე ძალიან...
როგორ გადურჩი სიცივეს,
გქონდა თავშესაფარია?

ზამთარი როგორი იყო
თბილი თუ აბეზარია?
თუმცა რა საკითხავია
ზამთარი ხომ ზამთარია.

ბელურა:
გამიჭირდა... ნოემბრიდან,
რომ დაიწყო ცივი ქარი,
მარტის თვემდე არ დასრულდა
დიდთოვლობა... ავი დარი...

ეჰ, შენსავით რომ შემეძლოს
თბილ ქვეყნებში გადაფრენა...
ბარემ კარგი იქნებოდა,
ამცდებოდა ზამთრია წყენა.

მაგრამ წინაპართა წესის
მე არ ძალმიძს უკუგდება,
ქმარ-შვილის და სახლ-კარისა
ძლიერ მიჭირს მიტოვება.

მერცხალი:
თუ გგონია მე არ მიყვარს
ჩემი მხარე სანუკვარი,
შრომა-ჯაფით ნაშენები
ბუდე – სახლი საკუთარი.

მაგრამ რა ვქნა, სიცივეს და
შიმშილს ვერ გავუძლებ დაო,
ლაჟვარდში ვერ ვისრიალებ...
თოვლის ფიფქს დამაყრის ცაო.

ამიტომაც შორს მივფრინავ,
სარისკოა თუმც ეს გზაო...
მაგრამ უხვად მაქვს საკვები...
არ მაკლია სითბოცაო.

ბელურა:
ვიცი, რომ გიყვარს სამშობლო,
შენი ჭერი საკუთარი...
ისიც ვიცი სიყვარულით
გადმოლახე ზღვა, მთა ბარი...

ისიც მჯერა უცხო მხარეს
იქნებოდი ვით სტუმარი,
ალბათ ჭიკჭიკს მოკლებული
უხალისო და მდუმარი.

მერცხალი:
ყველაფერს სწორად მიმიხვდი
ჩემო კარგო მეგობარო,
მაგრამ მაინც მსურს ზამთარი
თბილქვეყნებში გავატარო.

კარგს იზამ თუ გამომყვები
მუდამ ბედზე მატირალი,
შენს ხელთ იქნება დაიკო,
სანეტარო მომავალი.

ბელურა:
თუკი ჭკუაში დამიჯდა
შენი რჩევა, ვით წამალი,
მოვიფიქრებ, მოსაზრების
დღეები მაქვს წინ მრავალი...

II მოქმედება

ავტორი:
შემობრძანდა შემოდგომა...
მედიდურად... მეფურადო,
კვლავ სითბოა, მზე სხივებით
კვლავ დგას ქვეყნის მსახურადო.

გადამფრენი ფრინველები
ამ დროს მაინც არ სთვლის სანდოდ,
დიდ სამზადისს შესდგომიან
შორს...შორს გადასაფრენადო.

ერთი ბჭობა-ბაასი აქვთ...
შეკრებილან გუნდ-გუნდადო,
გამოცდილ ბელადს არჩევენ,
რომ გამოდგეს მეგზურადო.

ბელურა:
მიფრინავ კუდმაკრატელავ?
შენ გენაცვალე, შენაო,
მოგიწყენია... რატომ დუმს
ეგ მოჭიკჭიკე ენაო?

გზას დაგილოცავთ სუყველას
გქონდეთ მშვიდობა, ლხენაო,
ზურგის ქარი არ მოგაკლდეთ,
რომ შესძლო ლაღად ფრენაო.

მერცხალი:
მივფრინავ, ჩემო ჩიორა,
თუმც გული მწყდება ძალიან,
იქნებ გაბედო წამოსვლა,
ვიცი არა ხარ მხდალია.

ბელურა:
მიჭირს, ვერ გამიბედია
როგორ დავტოვო შვილები,
უჩემოდ როგორ გასძლებენ
ჩემს ალერსს მოწყვეტილები.

ბულბული (ბელურას)**:**
მჯერა შვილებისთვის რომ ხარ
დედა თბილი და მზრუნველი,
მაგრამ არ ხარ მეგობარო,
გონიერი, შორსმჭვრეტელი.

ლამაზ, ლაღი ცხოვრებისა
თუკი იქნები მსურველი,
გზას გაუკვლევ... შენი მოდგმის
იქნები ზამთრისგან მხსნელი.

ოფოფი:

ცხოვრების გემო არ იცი
ნაცარავ, თვალხატულაო,
შენნაირები რამდენი
გათოშილ-გაყინულაო.

შოშია:
გაბედე, ჩვენო ჩიორა,
გაბედე, გენაცვალები,
შენთვის სიკეთე გვწადია,
რომ აგეხილოს თვალები.

ტოროლა:
გაზაფხულზე კვლავ დაგხვდება
შენი ტკბილი სამფლობელო,
ერთი სიტყვით სიკეთე გვსურს,
რაღა ბევრი გავაგრძელო.

ავტორი:
მათი რჩევა-დარიგება
ბელურამ რა მოისმინა,
გული ლხენით აუთრთოლდა
და ნისკარტში ჩაიცინა.

გადაფრენა გადაწყვიტა,
დაემშვიდობა ქმარ-შვილსა,
ფრინველთა გუნდს შეუერთდა,
აჰყვა მგზავრულ შეძახილსა...

მერცხალი:
ასე არა სჯობს დაიკო?
როცა ადგილზე ვიქნებით,
თავად იხილავ, მომავლით
რა ბედნიერი იქნები.

ბელურა:
რა ვიცი, ჩემო ჭიკჭიკა,
რა ხანია მოვფრინავთ და...
დავიქანცე... ეს გრძელი გზა
არ ილევა... არ დამთავრდა...

შოშია:
აბა, რა გგონია დაო,
აქეთ წამოსვლაა ძნელი...
ეჰ, ვინ იცის გზადაგზა კი
მოგველის რა განსაცდელი.

ოფოფი:
რისკია, ჩვენი მგზვრობა,
რისკია, ჩვენო ბელურავ,
მაგრამ არჩევანს ვაკეთებთ,
რომ დრო ვატაროთ მეფურად.

ავტორი:
ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ
მიაღწიეს ნაცნობ მხარეს,
ისევ გუნდად შეიკრიბნენ
და ერთურთით გაიხარეს.

თუმცა ბევრი გამოაკლდათ
ახლობელი და მოყვარე,
ვინც ადგილს ვერ მიაღწია
მათთვის ცხარე ცრემლი ღვარეს.

ბელურა:
მართლაც გმირები ყოფილხართ,

რა რთული გზა გავიარეთ...
უჰ, შვებით ამოვისუნთქე
გულიც უკვე დავიწყნარე...

ოფოფი:
განსაცდელი, ფათერაკი...
ყველაფერი ჩავლილია...
დამერწმუნე ბეღურ-ქალო,
აქ ცხოვრება ადვილია.

ტოროლა:
ჩვენთან ყოფნა, მეგობრობა
ნამდვილად არ მოგწყინდება,
შეეჩვევი... დაბრუნება
მგონი არც კი მოგინდება...

* * *

ავტორი:
სხვადასხვა ჯურის ფრინველი
მოსდებია მინდვრებს, ტბებსა...
გვარ-ტომებად დაყოფილნი
ატარებენ ტკბილ დღეებსა.

დაღვრემილი ბეღურა კი
გაჰყურებს მათ ჟივჟივს, გნიასს...
ხედავს როგორ მიირთმევენ
ხარბად საკენკს... მწერს და ჭიას.

თავად იქვე მიყუჟულს კი
მოსწოლია გულს ნაღველი
არც ეგვიპტის მხარე ხიბლავს,
არც ფრინველთა ღრიანცელი...

ბულბული:
რად მოიწყინე ჟღურტულა,
და რატომ ხარ თვალებსველი?
რამ შეგაწუხა, მითხარი
ჩემთან იყავი გულწრფელი.
ოფოფი:
მეც გამჩნევ დაღვრემილობას,
შფოთავ არა გაქვს ძილიო,
რამ გადაღონა, გვითხარი,
იქნება გაგვანდო ჭირიო.

ტოროლა:
რით დაგეხმაროთ, განვკურნოთ
შენი დარდი გულის მწველი?
შენს გვერდით ვდგავართ, ვიქნებით
მწუხარებისგან დამხსნელი.

მერცხალი:
მე ვხვდები რადაც დაღონდა
ჩვენი ჩიორა ფრთამალი,
ისიც ვიცი რა მოარჩენს
რა არის მისი წამალი...

სამშობლო მისი დარდია,
სულის და გულის მკურნალი...
მისგან გაუჩნდა ნაღველი...
მიტომ არს მშიერ-მწყურვალი...

ბეღურა:
სწორად მიმიხვდი მერცხალო,
და მეც ვარ გულახდილია,
დიდი შეცდომა დავუშვი,
ეს ჩემთვის გაკვეთილია.

მომნატრებია სამშობლო,
ჩემი ოჯახი ტკბილიო...
აქ სიცოცხლეს მირჩევნია
ჩემს მამულში სიკვდილიო.

ავტორი:
მათ სჯა-ბაასს ყურს უგდებდა
იქვე ბუჩქს მჯდომი გუგული,
ახლოს ეახლა ბეღურას
დაუწყო ტკბილი კურკური.

გუგული (ბეღურას):
მე კი დავსძენ, რომ ჩიტუნი,

გაქვს ერთი გამოსავალი...
და მჯერა, რომ ეს იქნება
შენთვის მალამო... წამალი...

ბარტყების ძიძად დამიდექ,
ვიცი ხარ ყოჩაღი, მარდი...
მათ ზრუნვაში და მოვლაში
გადაგეყრება გულს დარდი...



გასამრჯელოსაც კარგს მოგცემ,
თუკი გამიზრდი შვილებსა...
ქმარ-შვილს სიმდიდრეს მიუტან,
ატარებ შემოსილებსა...

ბელურა (გუგულს)**:**
გუგულო, შენ თავისუფალ
ცხოვრებას ხარ მიჩვეული,
დედურ გრძნობას მოკლებული...
არ გაქვს შვილთა სიყვარული.

შენი ბარტყების აღმზრდელად
ვერ გამოვდგები, ვერაო,
ბევრი დაეძებს სამსახურს,
ძიძას იპოვნი მჯერაო.

რომელი ჭკუათმყოფელი
იქნება ჩემო გუგულო,
თავის შვილები დატოვოს
სხვის შვილებს დაუგურგუროს?

ავტორი:
ბელურას ასეთ პასუხმა
გააგულისა გუგული,
ბოლმით აივსო, ჩიორას
ჰკადრა სიტყვები უგნური.

გუგული (ბელურას)
ბელურავ, შენც კარგად ხვდები,
თავად ხარ ცივი, უგულო...
რომ ეს ასეა, დასტურს გთხოვთ,
ტოროლავ, ოფოფ-ბულბულო...

ტოროლა (გუგულს):
გუგულო, განა არ იცი,
რომ არ ხარ თავთან მართალი?
კარგად იცი ვინც ბრძანდები,
არ გაქვს სირცხვილის მარცვალი...
ოფოფი:
კვერცხებს სხვას უდებ ბუდეში,
სხვას აზრდევინებ ბარტყებსა
და სანამ სიტყვას წარმოთქვამ
მისი აწონვა გმართებსა.

ბულბული:
განა ბელურას არ ჰყოფნის
თავისი გასაჭირია?
შენ კი ნავთს უსხამ ცეცხლზედა
ჭირზე დაურთე ჭირია.

გუგული (ბელურას):
მაპატიე ბელურ-ქალო,
სალანძღავი სიტყვა თქმული,
ნუ გგონია არ მიყვარხარ,
არ მაქვს შენი სიბრალული...

თქვენც ბოდიში მეგობრებო...
მაქვს შეცდომის სინანული,
ნიადაგ თქვენთან მწადია,
არ მსურს ვიყო გარიყული.

III მოქმედება

ავტორი:
უსმელ-უჭმელი ბეღურა
ჩამოჭკნა, დაილიაო...
ცხადშიც და ძილშიც ჩაესმის
სამშობლოს ძახილიაო...

ბეღურა (თავისთვის):
ეჰ, ნეტავ, როდის დადგება
ნანატრი გაზაფხულიო,
ვიხილო ჩემი სამშობლო,
გავიხალისო გულიო...

ავტორი:
ამ დროს მერცხალი მოფრინდა
ჭიკჭიკით გულანთებული,
აუწყა და მიახარა
საქართველოს გაზაფხული...

მერცხალი:
ბეღურავ, ჩემო ძვირფასო,
მაცნე ვარ, მახარობელი,
ხვალ დილით ადრე მივფრინავთ,
დარდი გაფანტე ყოველი.

ბეღურა:
შენ გენაცვალე მერცხალო,
რომ მაჩუქე სიხარული,
ბედნიერი დღე მეღირსა
სანატრელი, დიდებული.

ავტორი:
ფრინველებმა კვლავ ხალისით
გადმოლახეს მთები...ზღვები...
სამშობლოს საზღვარზე დახვდათ
ნაზამთრევი ჩიტუნები.

ბეღურას ცრემლი მოადგა,
რა დაინახა ქმარ-შვილი,
თვალს ვერ უსწორებს... მათ წინ დგას
პირშავი და დარცხვენილი.

ბეღურა:
ჩემო ტანჯულო შვილებო,
თქვენ გენაცვალოთ დედაო...
მადლობელი ვარ უფლისა,
ყველას ცოცხალს რომ ვხედავო.

უჩემოდ როგორ ცხოვრობდით
და გაატარეთ ზამთარი?
ალბათ მრავალჯერ გესტუმრათ
თოვლის მაღალი საფარი.

როგორ გაუძელთ შიმშილსა,
ალბათ იყავით საპყარი,
არ გქონდათ დილის საუზმე,
სადილი და არც სამხარი.

შვილები:
უფლის შეწევნით დედიკო,
გადავაგორეთ ზამთარი,
თუმც ბევრჯერ ძლიერმა ქარმა
წაგვართვა თავშესაფარი.

ბევრჯერ ვყოფილვართ სიცივით,
შიმშილითაც ძილგამკრთალი,
გვენატრებოდი, გვწყუროდა
დედის ფრთებქვეშ სასთუმალი.

კაკანათიც კი დაგვიგეს,
გაშალეს პურის მარცვალი,
ბეწვზე გადვურჩით სიკვდილსა
საძმო დავკარგეთ მრავალი.

უშენოდ ძნელი ყოფილა,
ჩვენო ძვირფასო დედაო,
უდედო, გამოუცდელი
ხშირად მტრის მსხვერპლი ხდებაო.

ბელურა (ტირილით)**:**
მეც გამიჭირდა უთქვენოდ,
მენატრებოდით ძალიან,
თავისუფლებას ვერ ვგრძნობდი
თითქოს გარს მერტყა გალია.

ვფიქრობდი თქვენს მომავალზე...
რა ვქნა, არც ჩემი ბრალია...
თურმე არ უნდა დაკარგო
წინაპართ გზა და კვალია.

არ მხიბლავდა უცხო ქვეყნის,
არც სითბო და არც საჭმელი,
ეჰ, რაც გადამხდა, „ვიგემე“
ენით ძნელია სათქმელი.

უცხო მხარეში ცხოვრება
ჩემთვის იყო სატანჯველი,
თუმც ბევრს მოსწონს და მიილტვის
რამდენია უდარდელი...

ჩემი შეცდომა არასდროს
გაიმეოროთ, არაო,
იქ მყოფმა რაც განვიცადე
ჩემთვის ესეცა კმარაო.

სად დაბადებულ-გაზრდილხართ,
სადაც შეგსხმიათ ფრთებიო,
ისაა თქვენი სამშობლო,
ღვთის მადლით ნაპკურებიო.

ავტორი:
ბელურამ რა შთააგონა,
შვილებს სიტყვები თბილიო,
ერთურთს შეუწყეს ხმები და
იწყეს გალობა ტკბილიო.

ერთად:
გვიყვარს ჩვენი სამშობლო,
ჯადოსნური მთა-ბარი,
მომხიბვლელი ტყე, ჭალები...
თუნდაც მკაცრი ზამთარი...

აქ დავიბადეთ, ვისწავლეთ
ჭიკჭიკი და ფრენა,
სხვა უცხოურს გვირჩევნია
ჩვენი ტკბილი ენა.

მინაწერი:

ხედავთ? ბელურა ჩიტმაც კი
იცის თავის ფუძე-ჭერი...
მხოლოდ თავის ქვეყანაში
იგი არის ბედნიერი...

ზოგ-ზოგ კაცს რა ემართება,
მაძღარია თუ მშიერი,
უცხო ქვეყნისკენ მიილტვის
მოსწონს მისი ყველაფერი.

ავიწყდება სჯული, რწმენა,
ადათ-წესი მშვენიერი...
ავიწყდება დედა ენა,
ჭირნანახი თავის ერი...

კაცი უნდა კაცობდეს და,
იყოს ბრძენი, გონიერი...
სხვაგან განცხრომას ერჩივნოს
თვისი ‘მრავალჟამიერი“.

ლია ბეჟანიშვილი

გულმოჯლეული ციყვი

საახალწლო გოზინაყი -
თავს იკლავდა ციყვი -
შესანახად სხვენში ავდგი
არ გეგონოთ ბრიყვი.
თაგუნებმა შემისანსლეს,
გამოუღეს წირვა.
დედა თაგვს რომ მოვახსენე
ისე გაიკვირვა,
ვითომც გემო არ ენახა,
დავაყარე მეხი!
ჩემთან მოსვლა ავუკრძალე,
ავუკვეთე ფეხი.

დედოფალას დღეობა

დედოფალას დღეობა აქვს,
დაფუსფუსებს ნათია,
გრძელი შარფი მოუქსოვა,
ორი ღამე ათია.
ახლა ტორტსაც გამოუცხობს,
გოგო არის ყოჩაღი,
სტუმრად მურა ეყოლება
მთელი თავის ოჯახით.

საჩუქარი

გუშინ სოფომ დათუნას,
შეუკერა ხალათი,
ჩაუცურა ჯიბეში
პაწაწინა ბარათიც.
მშვიდობაში გაცვითე
შემოგევლე დათუჩა,
ეს ხალათი დაიკომ
სიყვარულით გაჩუქა.

აცა–ბაცა მაჭია

იცრემლება აცა-ბაცა,
სიბნელეში ბილიკს ასცდა,
ვერ იპოვა სახლი, კარი,
შუა ტყეში მარტო არის.
გულს იმშვიდებს: მომძებნიან,
უსათუოდ მეგობრები,
ამ ღამეს კი – ვიხმაურებ,
მგელს მარტო არ ვეგონები.

კვერცში

დღეს ბებიკომ თონეში
გამომიცხო კვერები,
ისე გამოვისკვინჩე,
მუცელს ვეღარ ვერევი.
ცოტა ლეკვსაც ვაჭამე,
დაწკავწკავებს, არ ეყო,
რა ვქნა, ვერ გავიმეტე
შუაზე რომ გამეყო.

მეტრაული ნატალი

დღეს ნატალიმ დედოფალას
შეუკერა კაბა,
თმებიც კოხტად დაუვარცხნა,
გრძელი, სქელი, წაბლა.
კაბა ისე მოეწონათ
მურიას და ფისოს,
ერთმანეთში ჩურჩულებენ
როგორ მიითვისონ.

ყოჩაღელი

ორი დღეა სიცხე აქვს,
ცუგრუმელა მურიას,
ირაკლი და ზურაბი
გულმოდგინედ უვლიან.
დაიკოც ეხმარებათ,
თვალბრიალა თეა,
ნემსები გაუკეთა,
ღამეც გაუთია.

ყოჩაღი ვასილი

ხვალ სათიბში მიჰყვება
თედო პაპას ვასილი,
მთელი ღამე ფხიზლობდა
სიხარულით აღვსილი.
ადრიანად წამოხტა,
წყლით აავსო ხელადა,
გზას გაუდგნენ, ვიდრე მზემ
ცხრა მთა შეაფერადა.

თვალბრიალა ქეთი

ქეთი გულმოსულია
აბრიალებს თვალებს,
ბოჩოლამ გააბრაზა
თხებმაც გააწვალეს.
შეიპარნენ ბოსტანში,
გადაძოვეს სტაფილო,
ახლა ფიქრობს, ბებოსთან
ეს როგორ გაამხილოს.

მკვეხარა

– სანადიროდ მივდივართ
მე და ჩემი ბიძები,
რკინის თოფიც თან მიმაქვს,
პიპი, პიპი, ვიძვრებით.
– ნეტავ შენ ვის ატყუებ,
კოტრიანო ვალა,
გუშინ პაპამ ეგ თოფი
ხისგან გამოთალა.

ლალი კახიძე

პირველი ლექსი 20 წლის ასაკში დავწერე. შემდეგ ისეთი დატვირთული ცხოვრების რეჟიმი მქონდა, არც მიფიქრია წერაზე.

როცა 50 წლის გავხდი, გამთენიისას 5სთ-ზე გონება გამინათდა, ლექსების კორიანტელი მოდიოდა თავში, მე თვითონ მიკვირდა ამ რეალობის გაანალიზება. თუ არ დამეზარებოდა წამოვხტებოდი თბილი ლოგინიდან და ფურცელზე გადავიტანდი ჩემს ლამაზ ლექსებს და თუ დამეზარებოდა ძილს გავაგრძელებდი მაშინ დილით უკვე ჩემს მეხსიერებაზე ისე წაიშლებოდნენ ეს ლამაზი ლექსები, რომ მე თვითონ მრცხვენოდა ჩემი თავის. ნუთუ შეიძლებოდა ის დაუშვა, რომ ეს ულამაზესი ლექსები ქარს გავატანო? უფრო სწორედ სიზარმაცეს. ვწერდი და ვწერდი, ძალიან მიხაროდა. 60 წელი რომ შემისრულდა ისევ გამთენიას მუზა მოვიდა, უკვე ზღაპრების. 5 წელია ვწერ ზღაპრებს, რომლებიც მე ძალიან მიყვარს. ასე გავხდი ლალი კახიძე მეზღაპრე. ვარ 60 ზღაპრის ავტორი. ვგეგმავ ზღაპრების კრებული გამოვცე. ჩემი პირველი ზღაპარია „ურძღები შვილის ზღაპარი“. რომელიც მიუძღვენი ჩემს უფროს ქალიშვილს, მაკას. ამ ზღაპარმა კანადაში გაიმარჯვა პირველ ტურში. მე-2 ტური გადაიდო მაისის თვეში. თუ ბედის ბორბალი საჩემოდ დატრიალდა და მე გავიმარჯვე, მაშინ კანადაში გადაიღებენ მულტ-ფილმს წინასწარ არ მინდა ამაზე ლაპარაკი, დაველოდოთ. ჩემი ზღაპრების უმრავლესობა რეალურ თემებზეა აგებული.

კიდევ ერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან: 50 წლის რომ გავხდი სულ ვფიქრობდი: უკვე მოვიდა სიბერის წლები, რა მეშველება? – ვერ ვეგუებოდი ამ აზრს. გამოსავალი მოვძებნე. 50 წლიდან 60 წლამდე ვიძახდი – 50 წლის ვარ. როგორ მიხაროდა, რომ არავის ეჭვი არ შეპარვია ჩემს ხრიკებში? – თუმცა მე ხომ მეზღაპრე ვარ?

ეხლა 65 წლის ვარ და მივხვდი, ჩემს თავს ვუთხარი: – უფალმა ნეტა დამაბეროს ეს ხომ დიდი საჩუქარია? მეც გადავწყვიტე სიბერეს ფართოდ გავუღო კარები.

არ შეგვეშინდეს – მოვედით ამ ქვეყანაზე. ხომ ვიყავით ახალგაზრდები? უნდა დავბერდეთ და როცა უფლის ნება იქნება დავტოვებთ ამ ქვეყანას. უნდა ვეცადოთ, რომ დავტოვოთ ღირსეულად.

მცრედები

ზღაპარი

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო და ხვთის უკეთეი რა იქნებოდა იყო ერთი მეტად უცნაური ოჯახი. უცნაურობა იმაში გამოიხატებოდა, დავტრიალებ მე მეზღაპრე ამ ოჯახს და ვერ ამოვხსენი ვინ არიან ეს ორი შესანიშნავი ცოლ-ქმარი. მოხუცებს ვერ დავარქმევ. მათ პირობითად ვუწოდოთ ასაკოვნები ბებია კატო და ბაბუა კაკო.

ესენი ცხოვრობენ ჩვენი საყვარელი ქალაქის პრეს-

ტიჟულ უბანში. შვილები, შვილიშვილები ცალკე ცხოვრობენ და იშვიათად სტუმრობენ, ვინაიდან 21-ე საუკუნეა და დრო ელვის სისწრაფით გარბის, უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, მეორე დღე თენდება სულ ეს არის იმის მიზეზი, რომ ხშირად ვერ სტუმრობენ ბებია-ბაბუას. ე. ი. დრო ...

8 წელია ბებია კატო თავის დიდ აივანზე ყოველ დილით 50-მდე მტრედს აპურებს.

ისე მიეჩვიენ მტრედები ამ საკვების რიტუალს, რომ ერთი და იმავე დროს დილის 8 საათზე მოეფინებიან აივანს და ნეტა მოგასმენიათ რა ჟღურტულით და ღუღუნით ელოდებიან თუ როდის აანთებს შუქს კატო ბებო და საკვებით დაანაყრებს ამ ღვთისგან მოვლენილ ულამაზეს არსებებს მტრედებს. სასწაული იცით რა არის? რომ მიირთმევენ საკვებს, მერე მადლიერების გრძნობას ეტყობა ღუღუნით გამოხატავენ. მწკრივში ჩადგებიან ღუღუნებენ, შემდეგ ერთდროულად აფრინდებიან და..

კიდევ იცით რა არის სასწაული, საღამოს შემოივლიან ამ უზარმაზარ აივანს თუ კი რამ არის დარჩენილი აკენკავენ, გაასუფთავებენ იქაურობას და შემდეგი დილისთვის გაამზადებენ.

გადავინაცვლოთ ბაბუა კაკოსკენ. ერთ დროს ძალიან მდიდარი ბაბუა კაკო ეხლა ძალიან დაჩაგრულად გრძნობს თავს. დაკარგა ყველაფერი უზარმაზარი ქონებები. ხელიდან გამოგლიჯა ავაზაკია ბრბომ და ეხლა ელოდება იქნებ რაიმე შეიცვალოს და დამიბრუნონ ყველაფერი აქ დავსვათ დიდი კითხვის ნიშანი?

დაელოდოს ბაბუა, იქნებ შემოტრიალეს ბედის ბორბალი? 8 წლის განმავლობაში ყოველ დილით ანთებს სანთელს, ევედრება უფალს. უფალი თუ საჭიროდ ჩათვლის მის ცხოვრებაშიც შემოანათებს დიდებული მზის სხივი და შემოსძახებს!

– გაიხარე კაკო ბაბუ სამართალმა იზეიმა. ჩვენც დაველოდოთ.

ვუსურვოთ კარგი სიბერე და დიდხანს სიცოცხლე ამ მოლოდინში მყოფ ადამიანებს.

კაქტუსი
(ზღაპარი)

ზღაპარ იყო ზღაპარ იყო და იყო ულამაზესი მხარე, საოცარი ადგილ-მდებარეობით გამოირჩეოდა ამ მხარეში სულ ცხელოდა. აქეთ ტყე, იქით ოკეანე. ძირითადად მოსახლეობა დაკავებული იყო მეთევზეობით.

ერთ-ერთ ოჯახს შევუღოთ კარი. ოჯახის მამა ნიკოლა შესანიშნავი მეთევზე იყო. დედა ნატაშას შესანიშნავი დიასახლისი, არაჩვეულებრივ ღვეზელებს აცხობდა, ქარგავდა. შვილები იგორი და კაცია. ბავშვები მუსიკალური ნიჭით იყვნენ დაჯილდოვებულები, არაჩვეულებრივად მღეროდნენ.

ტყეში ცხოვრობდა ჯადოქარი, რომელიც ღიზიანდებოდა წარმატებული ადამიანებით. გადაწყვიტა ბავშვები თავისთან წაეყვანა, რათა მათი სიმღერა მყუდროებას ურღვევდა.

მოსაღამოვდა... ბავშვები ეზოს გარეთ ტყის პირას თამაშობდნენ ჩამობნელდა, მაშინ მთვარემ თვალი გააპარა მზისკენ და... მოხდა სასწა-

ული – გამოჩნდა ჯადოქარი, მან ბავშვები წაიყვანა ტყისკენ. ღრმად შევიდა ტყეში გაშალა ფრთები, ცხრა მთა გადაიარა ბავშვებთან ერთად გაუჩინარდა სამუდამოდ.

ჯადოქარს მოეწონა ბავშვები და მათი შესრულებული სიმღერაც. ფრინველთა ორკესტრი მოიწვია და ისეთი კონცერტები იმართებოდა გულს უხაროდა. ჯადოქარი სიმღერამ და მუსიკამ კეთილშობილ ფერიად აქცია, რომელიც ძალიან ზრუნავდა ბავშვებზე. ბავშვებიც ისე დაკავდნენ თავიანთი ვოკალით დრო არ ქონდათ დარდის.

ეხლა გადავხედოთ იმ ოჯახს, სადაც დიდი წუხილი იყო მშობლებისა. ძალიან განიცდიდნენ შვილების დაკარგვას. დედა სულ ლოცვაში იყო. უფალს ევედრებოდა შვილები ჯანმრთელები და ცოცხლები ყოფილიყვნენ. ნიშანი მომეცი დიდო უფალო, რომ კარგად არიან.

გავიდა დრო – ერთ მშვენიერ დილას დედამ თვალები გაახილა და რას ხედავს – თეთრ ქოთანში, კაკტუსი – რომელშიც ორი ყვავილი გაშლილიყო: ვარდისფერი და თეთრი. კაკტუსი დედას ეძახდა: ძვირფასო დედა – ჩვენ ცოცხლები ვართ, კარგად ვართ. დიდი გრძნობაა დედა-შვილობა ძილი ნებისა ჩემო პატარებო.

ღირსეული ექიმი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ულამაზესი ქალაქი, რომელიც მხოლოდ სითბოთი და სიყვარულით გამოირჩეოდა. ამ ქალაქს ერქვა „თბილი ქალაქი“ ამ ქალაქში ყველა ოჯახი ცდილობდა შვილებისათვის განათლება მიეცა – ვის რისი ნიჭი ჰქონდა იმის მიხედვით. ამ ქალაქში ცხოვრობდა მეფის შვილი, რომელსაც ძალიან დიდი ბაღი ქონდა. ამ ბაღში იყო მხოლოდ ყვავილთა უამრავი სახეობა ვარდების უამმრავი ფერთა კორიანტელი იყო შერწყმული, რა ფერის ვარდს არ ნახავდა ადამიანის თვალი ამ ედემის ბაღში.

ერთ მშვენიერ დღეს მეფის ვაჟმა მოწყვიტა თეთრი ვრდი. დაყნოსა და ერთი ვარდის ფურცელი მოწყდა ვარდს და ეს ერთი ფურცელი ვარდისა გადაიქცა უმშვენიერეს ქერათმიან ქალწულად – ის თეთრ ხალათში იყო შემკობილი. იმ წუთში მიხვდებოდი, რომ ეს მშვენიერი ასული ექიმი იყო. მის თვალებში იკითხებოდა ყოველივე მისი ნიჭის ირგვლივ. – შენ რა გქვია მშვენიერო? ჰკითხა მეფის ვაჟმა.

მე ნუნუ ექიმი ვარ. ჩემს ქალაქში ყველას ვკურნავდი ანგარების გარეშე. უამრავი გაჭირვებული ადამიანი გადამირჩენია.

გაიხარა მეფის ვაჟმა. დაუფიქრებლად პირდაპირ ცოლობა სთხოვა. მისი სუსტი წერტილი იყო: „ღირსეული ასული, ულამაზესი, ქერა თმით, ცისფერ თვალება ექიმი“.

ამბავი ასე ყოფილა: მთებს იქით ცხოვრობდა ღირსეული ოჯახი. ეს ნუნუ ექიმის ოჯახი იყო. ყველა ოჯახის წევრები ექიმები იყვნენ. მიუხედავად ამისა ცხრათავიანი დევი დრაჯარობდა ექიმებს, ის იღებდა ხარკს ოქრო-ვერცხლის სახით მკურნალობის საფასურად. ნუნუ ექიმი კი ჩუმად დადიოდა ოჯახ-ოჯახ ავადმყოფებთან სახლებში, უანგაროდ მკურნალობდა მათ. ცხრათავიანი დევის თვალებს არ გამოპარვია ეს ამბავი, საშინლად განრისხდა. ნუნუს სილამაზით მოჯადოებულმა დევმა ვერ გაიმეტა ის სასტიკი დასჯისთვის.

„თბილ ქალაქში“ გადაისროლა, მეფის ვაჟის მირიანის სამფლობელოში. ვარდების ბაღში ულამაზეს „ვარდად“ აქცია. ერთ მშვენიერ დილას როდესაც ბაღის სილამაზით ტკბებოდა მირიანი, ყურადღება მიაქცია ულამაზეს ვარდს, ვარდი მოწყვიტა დაყნოსა და მოხდა სასწაული ვარდი ქალწულად გადაიქცა. ეს მშვნიერი ნუნუ იყო. მირიანმა პირდაპირ ცოლობა სთხოვა ამ ულამაზეს ასულს და უთხრა: პატიოსანი მარგალიტი ხარ ვარსკვლავცვენიდან.

მირიანი და ნუნუ დაქორწინდნენ. თბილ ქალქში დიდი სიხარული იყო. ხედავთ ჩემო ძვირფასებო ისევ და ისევ სიკეთე.

ძილი ნებისა ჩემო პატარებო.

კარტოფილი

მთელს მსოფლიოში არ არსებობს ბავშვი, რომ არ უყვარდეს შემწვარი კარტოფილი.

მეზღაპრმაც გადაწყვიტა აიღოს თავის ჯადოსნური ჯოხი, საქართველოს ყველა კუთხეს შემოუფრინოს, სადილობისას დააკვირდეს, პატარებს თუ რას მიირთმევენ.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო და ჩვენი მეზღაპრე პირველად კახეთს ესტუმრა. შეაღო კარი სადილობისას ერთ-ერთ ოჯახში.

სადილობენ: ოჯახის ბურჯი მამა-მარჩენალი, დედა შესანიშნავი დიასახლისი, ბებო თამარი. ორი პატარა დები ნია და ქეთო. სუფრაზე დახვავებულია საჭმელ-სანოვაგე. ხაშლამას ორთქლი ასდის, გულ-ღვიძლი სასწაული სურნელით. კახური ღვინო და კახური პური, რაც მთავარია კეთილი გული, მაგრამ... ეს ორი პატარა თავჩაღუნული ზის ლამის იტირონ.

– გოგონებო რატომ არაფერს მიირთმევთ? – ეკითხება დედა.

ჩვენ შემწვარი კარტოფილი გვინდა, ბებოს შემწვარი. გასაგებია – კარი გამოიხურა მეზღაპრემ და... ახლა ქართლს მიაშურა. იქაც შეაღო ერთ-ერთ წარმატებული ოჯახის კარი. უძვირფასესი სუფრა. შენ მხოლოდ ინატრე ადამიანო და ყველაფერი უხვად ამშვენებს ქართლის სუფრას. ოჯახს ოთხი შვილი ყავს: ნინო და გიო ოთხი წლისები ტყუპები, ლევანი და მედიკო მოზრდილები. ამ ბავშვებმაც შემწვარი კარტოფილი მოითხოვეს. დატრიალობდა დედა და შებრაწულ კარტოფილი მიართვა თავის საყვარელ შვილებს.

ყველა კუთხე შემოიარა მეზღაპრემ. თავის ჯადოსნურ ჯოხს სადაც შემოკრავდა ის კარი თავისით იღებოდა სასწაული კი ის იყო, ყველა ბავშვს უყვარს შემწვარი კარტოფილი.

სასაცილო იყო სამეგრელოს ისტორია. სამეგრელოს ერთ–ერთ ლამაზ სოფელში, მაგიდასთან ძალიან ბევრი ბავშვი ზის. ამ ოჯახის შვილები. ჯამებში მადის აღმძვრელი სიმინდის ფაფაა. დედა ხშირად შემოდის და ეუბნება შვილებს:

– ჭკომით თქვანი ჭირიმათ.

– ვა გვოკო, კარტოფილი გვოკო.

დედამ უარი უთხრა. ყველა ბავშვმა თავზე დაიმხო ფაფიანი ჯამები. დედა იძულებული გახდა შეეწვა კარტოფილი.

დაფიქრდა ჩვენი მეზღაპრე. გადაწყვიტა როდესაც დაბრუნდა დედაქალაქში, ბაზარში წასულიყო, ვინაიდან მასაც მოუნდა შემწვარი კარტოფილი.

რას ხედავს: გოდრებით იყიდება კარტოფილი. უამრავი კარტოფილია. რაც არ მოეწონა, ეს იყო რომ კარტოილი ძალიან ტალახიანი იყო. ის დადიოდა და ეძებდა ლამაზ კარტოფილებს. მხოლოდ ერთ ადმაიანთან შენიშნა ულამაზესი თეთრი კარტოფილები.

– რა ლამაზია თქვენი კარტოფილი. რა ღირს? ამ კარტოფილს შევიძენ რა თეთრი და ფითქინაა.

– დეიდა ეს კარტოფილი ეგვიპტურია. არ გირჩევ მის შეძენას ნიტრატებით არის სავსე, ალალად უთხრა ქუთაისელმა ახალგაზრდა კაცმა.

– ეს ტალახიანი კარტოფილი კი ჩვენია. ქართული, ჯანმრთელი. ბიოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელ ჰაერზე გაზრდილია, ნატურალური წყლით ნაპკური.

მადლობის მეტი რა მეთქმის ამ ახალგაზრდა ქუთაისელისთვის. შენი მიწა-წყლის უნდა დაიფასო. ეს მაგალითი იყოს მშობლებისთვის, რომ შეიძინონ ჩვენი-ჩვენი კარტოფილი. იზრუნონ ბავშვების ჯანმრთელობისთვის.

ტკბილ ძილს გისურვებთ ჩემო პატარებო.

სიზმარში კი დაბრაწულ კარტოფილს.

ოქროსხელება ზურიკელა

ამბავი ასე ყოფილა: ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდა პატარა ბიჭუნა, რომელსაც ნაცნობ-მეგობრები „ოქროს ხელებას“ ეძახდნენ. მას სახელად ზურიკელა ერქვა. სამეზობლოში თუ კი ვინმეს რაიმე გაუფუჭდებოდა ყველა მას ეძახდა.

– ზურიკელა ონკანი გამიფუჭდა, გთხოვ შემიკეთე...

– ზურიკელა კარები ჩამეკეტა გთხოვ გამოირე...

ზურიკელაც უსიტყვოდ, ყოველგვარი შეწუხების გარეშე გარბოდა და ყველას ეხმარებოდა.

სიცოცხლით სავსე ენერგიული, კარგად აღზრდილი ბიჭუნა ყველას სიყვარულს იმსახურებდა.

ერთ დღეს მისმა მეგობარმა კოტემ მიაკითხა ზურიკელას და დახმარება თხოვა:

– ზურიკელა ტელევიზორი გამიფუჭდა ხომ არ შეგიძლია დამეხმარო?

ვინაიდან ტელევიზორი ახალი შემოსული იყო, ყველას არც ენახა და არც საშუალება არ იყო მისი ყიდვის ყველასათვის. ზურიკელა დაფიქრდა, მას ხომ ტელევიზორი არც უნახავს და როგორ დაეხმაროს მეგობარს? უარის თქმა ნამდვილად არ შეეძლო და უნებლიედ დათანხმდა.

წავიდნენ მეგობრები – გზაში ფიქრობს ზურიკელა, ნეტა როგორია ტელევიზორი? ნეტა

შევძლებ გავკეთო? მისი ოცნება იყო ტელევიზორი, მაგრამ ოჯახს მისი შეძენა არ შეეძლო. მივიდნენ კოტეს სახლში აი ეს არის ზურიკელა ჩემი ტელევიზორი შეხედა ზურიკელამ ტელევიზორს და გაუკვირდა.

– ეს ყუთია? – გაიფიქრა და ხელიც შეახო უტრიალა, დაშალა, ააწყო. მოხდა სასწაული ტელევიზორი ჩაირთო. გაიხარა კოტემ. მადლობა გადაუხადა მეგობარს დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ამასობაში დაღამებულიყო კიდეც. მიდის ზურიკელა სახლში, თან ტელევიზორზე ოცნებობს.

– რა კარგი რამე ყოფილა ტელევიზორი? ცას ახედა, მას ცაში უამრავი მეგობარი ვარსკვლავი ყავდა. ერთი ვარსკვლავი გამოეყო დანარჩენებს. ზურიკელას მიჰყვება ფეხდაფეხ თან ელაპარაკება:

– ზურიკელა ძალიან გინდა ტელევიზორი?

– ზურიკელამ ახედა ვარსკვლავს და მორცხვად უპასუხა – ძალიან მინდა.

ამასობაში ზურიკელა სახლში მივიდა, მაგრამ ეზოში დედა შემოეგება. დედა-შვილმა სასიამოვნო ლაპარაკი დაიწყო. უნებლიედ ზურიკელამ თვალი ცისკენ გააპარა. ისევ ის ვარსკვლავი.

– ზურიკელა შენს სახლში კომედის შოუ იწყება, შენ კიდევ ეზოში ზიხარ?

– შევარდა ზურიკელა სახლში და რას ხედავს უზარმაზარი ტელევიზორი...

ოცნებები სრულდება ჩემო ძვირფასო მკითხველო. მთავარია იმედი...

მგელი და კრავი

ზღაპარი

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო... იყო ერთი ჩრდილოეთით მცხოვრები საშიში რუხი მგელი. სამხრეთით მცხოვრები კი გახლდათ კეთილი, ლამაზი, სულ მუდამ მოკუნტრუშე თეთრი კრავი.

მგელი არ ერჩოდა კრავს, პირიქით, დახმარების ხელს უწვდიდა, მაგრამ კრავი იყო ამაყი და ზედაც არ უყურებდა მგელს. მგელი ძალიან მომთმენი აღმოჩნდა. დაზამთრდა. მგელს წინასწარ განსაზღვრული ჰქონდა სიცივეების მოახლოება და ზამთრისთვის მოემზადა როგორც საცხოვრებლით, ასევე სანოვაგით.

კრავი სამხრეთით ცხოვრობდა და არ ანაღვლებდა სიცივე, იმიტომ, რომ მის ქვეყანაში სულ ცხელოდა. სანოვაგე კი სულ ჰქონდა. ყველა ეპატიჟებოდა, იმდენად ლამაზი, საყვარელი იყო კრავი, ყველა მასზე ზრუნავდა

ამიტომაც იყო ეს სამხრეთელი აბეზარი გათამემებული, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

ერთხელაც გადაწყვიტა კრავმა:

– მოდი, ვნახავ ერთი ჩრდილოეთში რა სიცივეა ამისთანა, რომ ყველა ამას ლაპარაკობსო, არავის არ უთხრა, დაადო თავი და გასწია ჩრდილოეთს. იარა, იარა და თოვლში პაწაწუნა ფეხები გაეყინა. საჭმელიც არ არის, რა ქნას? ვერც ფეხებს აბაკუნებს, რომ მოითხოვოს. ძალიან ცუდ დღეში ჩავარდა, ვერც უკან ბრუნდება. თირის, ყრის ცრემლებს.

სად იყო და სად არა გამოჩნდა რუხი მგელი:

– კრავო, კრავო, საით გაგიწევიათ?

კრავმა ტირილი დაიწყო: – მგელო, მგელო, დახმარებას ვითხოვ შენგან – გთხოვ დამეხმარო.

მგელმა არც კი გაახსენა, რამდენჯერ ატკინა კრავმა მას გული. როგორ კუნტრუშობდა და დასცინოდა მგელს. ი, ხედავთ? გასაჭირში მგელს მოუხმო. მგელმა კი ის მიიღო ისეთი, როგორიც იყო. გულში ჩიაკრა კრავი და თავის საცხოვრებელში მიიყვანა. ფეხები თბილი წყლით გაუთბო. დააპურა, საწოლში ჩააწვინა. კრავს ძალიან შერცხვა თავის საქციელის გამო და მგელს მეგობრობის ხელი გაუწოდა. მგელი და კრავი დამეგობრდნენ. სანამ გაზაფხული არ დადგა, კრავი მასთან ცხოვრობდა, ხოლო გაზაფხულზე ზარ-ზეიმით გააცილა მგელმა კრავი და უთხრა: – კრავო, ეს დღე კარგად დავიმახსოვრო, ეს დღე მე და შენთვის მზიანი დღეა.

რა კარგია, როცა ყვედლაფერი კარგად მთავრდება.

ძილი ნებისა.

„მეზღაპრე“

მეფე და მეზღაპრე

ზღაპარი

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო და იყო და არა იყო რა. საქართველოს ულამაზეს კუთხეში, რომელიც იყო ღმერთის რჩეული ქვეყანა, მთის წვერზე საუკეთესო ხუროთმოძღვრები და საუკეთესო ოსტატები მრავალი წლის განმავლობაში აშენებდნენ მეფისთვის სასახლეს. სასახლე იყო ოქროსი, სახურავი მოჭედილი ჰქონდა უძვირფასესი თვლებით: ლალი, ფირუზი, მარგალიტი, ვარდისფერი ალმასები თითქოს ''იავნანას" მღეროდნენ. ეს იყო თვალისმომჭრელი სილამაზე, რომელიც სულს ამშვიდებდა და უფალს გვაახლოვებდა.

დილა იწყებოდა მუსიკის ჰანგებით. თუ კი რამე ფრინველი არსებობდა ტყეში, ყველა მოდიოდა სასახლესთან და თავის ნიჭს ამჟღავნებდა.

დიდებული მეფე უფალს მადლობას უხდიდა, რომ იყო მისი რჩეული და არასოდეს უღალატებდა, მიხედავდა ამ მშვენიერ ქვეყანას და მის ხალხს.

ასეც იყო – ქვეყანა შენდებოდა, ქვეყანა ხარობდა. სანატრელი იყო ამ ქვეყანაში ცხოვრება.

– მაგრამ ჩვენი მეზღაპრე თავს დაჩაგრულად გრძნობდა.

გადაწყვიტა: – მეფეს ვეახლები და ჩემს დარდს და გაჭირვებას ვუამბობ – არ არსებობს არ მომისმიოს და თუ საჭიროდ ჩათვლის, დამეხმარება კიდეც. ეს იყო მეზღაპრის ოცნება.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ოქროს სასახლეს, სანატრელ სასახლეს. წუთში გაჩნდნენ მცველები. სტაცეს ხელი საწყალ მეზღაპრეს. გაჩხრიკეს. წესისამებრ, თავისი ზღაპრების კრებულის მეტი არა ებადა საცოდავს. მათ უთხრეს – აქეთ მეორეჯერ არც გაბედო, თვალიც არ გამოაპარო სასახლისკენო.

წავიდა მეზღაპრე გულგატეხილი. ცნება ოცნებად დარჩა – რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი მეფისთვის?

ყოველ დილით ზის მეზღაპრე და წერს თავის ზღაპრებს. უცებ კარზე კაკუნი მოესმა: – კაკ.. კუკ... არავინ არის სახლში, რომ კარი გამიღოს?

გააღო კარი მეზღაპრემ და რას ხედავს: ულამაზესი ბატკანი, წითელი ბაფთით – ჩემს მეგობარ ბატკანს ვეძებ, აქ ხომ არ არის? – მობრძანდით,– შემოიპატიჟა მეზღაპრემ. ბატკანიც შემობრძანდა. – ეს უამრავი წიგნი თქვენია?

დიახ, მე მწერალი ვარ, მეზღაპრე, ზღაპრებს ვწერ.

– როგორ გამეხარდა თქვენი გაცნობა. იცით თქვენ თუ არა მეფე ბატონი მეზღაპრეებს რომ ეძებს. ისინი ხომ ძალიან ცოტაა ჩვენს ქვეყანაში? გთხოვთ, გამატანეთ თქვენი ზრაპრები, მეფეს მივუტან. გადახედავს, ძალიან გაუხარდება.

– დიდი სიამოვნებით. – გაიხარა მეზღაპრემ.

გაატანა ბატკანს ზღაპრები. თვითონ ბუხართან დაჯდა და ნეტარებას მიეცა ოცნებებისა, ეს ხომ უფლის ნებაა? უფალმა გამოგზავნა ბატკანი. რა ბედნიერი ვარ.

მეფემ წაიკითხა ზღაპრები, აღფრთოვანებული დარჩა. გასცა ბრძანება: – მომგვარეთ მეზღაპრე!

გახარებულმა მეზღაპრემ სულმოუთქმელად გაირბინა იადონების, ფარშევანგებით მოფენილი სასახლის ედემის ბაღი, როდესაც ოქროს კიბეებს აუყვა, კარებთან დახვდა მეფის პირველი ვეზირი.

მეზღაპრეს თავის ოცნებებში მრავალჯერ წარმოედგინა თუ როგორ შეხვდებოდა თავის სათაყვანებელ მეფეს, თუ როგორ ჩახედავდა სიკეთითა და სიყვარულით სავსე თვალებში, თუ როგორ ემთხვეოდა მის წმინდა სამოსს, თუ როგორ გაუზიარებდა თავის გულისნადებს, მაგრამ ოცნებები დაიმსხვრა, ვინაიდან პირველმა ვეზირმა ყველა ღონე იხმარა იმისთვის, რომ ეს შეხვედრა არ შემდგარიყო.

სასოწარკვეთილი, გულგატეხილი და იმედგაცრუებული მეზღაპრე ტირილით გაბრუნდა უკან, სად იყო და სად არა, მეზღაპრის წინ ჩვენი ნაცნობი წითელ– ბაბთიანი ბატკანი ციდან დაეშვა.

– შენთან მოვედი. კარგია, რომ მოგისწარი. აბა, ჩქარა, ვბრუნდებით მე და შენ მეფესთან.

მეფისა და მეზღაპრის შეხვედრა იყო დიდებული, ისეთი, როგორიც არც ერთ ოცნებაში არ ჰქონდა მეზღაპრეს წარმოდგენილი.

ამიტომ მოგიწოდებთ ყველას, დიდსა და პატარას, რომ ოცნებები აუცილებლად სრულდება, მთავარია, ძალიან გინდოდეს და იმედს არ კარგავდე. შეგეძლოს ლოდინი.

ძილი ნებისა.

თქვენი მეზღაპრე.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია

დათო ყანდაშვილი

რა არის დრო და სივრცე? საიდან შემოვიდა ეს საზომები და რისთვის?

თვითკმარი არსება, რომელმაც მიაღწია შინაგან დონეზე სიმეტრიულობის დაცვის ფორმას და რაც კი მასში იქნა აკუმულირებული და დაფიქსირებული გაჯერების ისეთ მდგომარეობას მიაღწევს, რომ ადრე თუ გვიან ამ აკუმულირებული მარაგის გენერირება უკვე გარდაუვალი საჭიროება და აუცილებლობა გახდება. ამის წინა პირობასავით (ერთგვარად საბაბივით) მოხდება ის, რომ ეს არსება შეეხება ისეთ რაღაცას, რაც აქამომდე არ ყოფილა მასთან კონტაქტში. ამ უნებური კონტაქტის წარმოქმნისთანავე დაიწყება პროცესი, რომელშიც თავისდაუნებურად ჩაირთვება („გამოცოცხლდება“) მთელი აკუმულირებული მარაგი, რამეთუ ეს არსება რეალურად სწორედ ეს აკუმულირებული მარაგია. უკლებლივ ყველაფერი უნდა შევიდეს ცოცხალ კონტაქტში ახალ, აქამომდის უცნობ „რაღაცასთან“, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ნაწილი, რომელიც არ შევა კონტაქტში სიახლესთან მას ერთიან მთლიან, ორგანულ ნაწილად, ანუ თავის თანამოაზრედ („ორგანიზმის“ ბუნებრივ თანაშემადგენელად, ე. წ. „მე“-დ) ვერ აღიქვამს, ყოველ შემთხვევაში იქამდე ვიდრე არ მოინდომებს ცნობიერ კონტაქტში შესვლას.

მაშ ასე, დავუბრუნდები არსებას (როგორც ამ ზემოთხსენებული ნაწილების მიერ შექმნილ ერთიან მთლიანობად ჩამოყალიბებულ თვითკმარ „ორგანიზმს“, „ორგანიზაციას“, „სახელმწიფოს“). ახალ ენერგო-ინფორამციულ წარმონაქმნთან კონტაქტში შესვლა არსებაში გამოიწვევს, ჩასახავს მასთან თამაშის დაწყების სურვილს. სხვა ენაზე რომ ითქვას, ის სრული თვითკმარი მდგომარეობიდან გამოვა და ერთგვარი ვირტუალური თამაშით დაკავდება, სადაც როგორც უკვე ავღნიშნე უკლებლივ ყველა მისი შემადგენელი ნაწილაკი ამ თამაშის მონაწილე გახდება.

იქამდე ვიდრე არსება ამ თამაშის პროცესით იქნება დაკავებული სწორედ ეს არის ის პერიოდი რომელსაც შემოაქვს დროის ცნება და სწორედ ეს პერიოდი თავისი მსხვილი, წვრილი ან სრული სახით იქნება თამაშის მონაწილეთათვის დროის მონაცემებისა და გავლენის მატარებელი.

ზუსტად ასევე იქნება საკითხი სივრცესთან დაკავშირებითაც. ის ელექტრო-მაგნიტური ველი, სადაც ამა თუ იმ პერიოდში თამაშის მიმდინარეობის პროცესისა ექნება ადგილი, ეს იქნება სივრცის ცნება და სწორედ ამ ელექტრო-მაგნიტური ველის მსხვილი, წვრილი ან სრული სახით იქნება თამაშის მონაწილეთათვის სივრცის მონაცემებისა და გავლენის მატარებელი.

ალბათ უკვე ადვილი მისახვედრია ის, რომ ვიდრე არსება იქნება თამაშით დაკავებული, იქამდე იარსებებს დროისა და სივრცის ცნება. მას შეუძლია ერთგვარად დააპაუზოს (დროებით გააჩეროს), გადაახვიოს (პერიოდი და ელექტრო-მაგნიტური ველი ცვალოს), სხვა უფრო დიდ თამაშს შეუერთოს (მთელი პერიოდი და მთელი ელექტრო-მაგნიტური ველი სხვა ახალი ენერგო-ინფორმაციული ველის საფუძველზე შექმნილი თამაშისთვის წარმოქმნილ პერიოდსა და ელექტრო-მაგნიტურ ველს შეუერთოს), ან საერთოდ დაკეტოს, დაამთავროს თამაში (საკუთარ

ენერგო-ინფორმაციულ ველში (მის შემადგენლობაში) არსებული კონგრუენტულ-კოგერენტულ მდგომარეობაში მყოფი ნაწილაკების მიერ ეს ახალ ელექტრო-მაგნიტურ (მის შემადგენლობაში) ველში არსებული ნაწილაკები იქნან მიღებული თავის ორგანულ ნაწილად და სრული ინტეგრირების შედეგად შემდეგ მათ ახალი უფრო გამდიდრებული ენერგო-ინფორმაციული ველი ჩამოაყალიბონ) და ისევ თვითკმარ მდგომარეობაში გადავიდეს.

აი დაახლოებით ასე გამოიყურება პასუხები კითხვებზე – რა არის დრო და სივრცე, საიდან შემოვიდა ეს საზომები და რისთვის

ნანა ყანდაშვილი

ჩემო ძვირფასებო
(ახალი დაბადება)

ჩემო ძვირფასებო! ხელმეორედ დაბადება მინდა გაუწყოთ...
პირველად როცა მოვევლინე ამ ქვეყნად, თქვენთან,
მუდმივად კითხვა იბადებოდა ჩემში – აქ **რა** მინდოდა?
როდის ეს იყო? **სად** დატრიალდა ჩემი ბორბალი ბედისწერისა?
რისთვის გაიხსნა „ცხოვრების“ დიდი თეატრის ფარდა?
სცენაზე **რატომ** გათამაშდა ეს „ტრაგედია“?
ან **როგორ** მოვხვდი უნებურად მის შუაგულში?
ვინ მეპოვნა, ან ვისთვის ამეხსნა,
ჩემს „როლთან“ რომ ვერ ვგვარდებოდი?
და, ან **რამდენი** ხანი იყო საკმარი
დაკარგული წერილივით
უმისამართო ბორიალისთვის?

მოკლედ აი, ეს იყო... ჩემო ძვირფასებო...
ეს კითხვები კი... მუდმივად ტრიალებდნენ
როგორც ბზრიალა...
რიგ-რიგობით ტივტივდებოდა ყველა მათგანი...
„უამინდობით“ გადარეული ტალღებივით
ვეხეთქებოდი ჯებირებს
და საერთოდაც...
ყველაფერი უ-ტოლდებოდა უ-არყოფის, უ-შნო,
უ-ღიმღამო, უ-შუქო, უ-შინაარსო, უ-აზრო არსებობას...
მაგრამ იმედი არ ქრებოდა....
ჩემი დაჭრილი, გაბზარული და მგლოვიარე გული
ეძებდა პასუხს ამ კითხვებზე, ეძებდა ყველგან
და ყველაფერში...
ბევრი რომ აღარ გავაგრძელო... ყველაფერი მუქ ფერებშია...
ნათელი კი არაფერია... ტრაგედიას ცვლის ტრაგედია...

მუქი ფერი ხანაც მუქდება, ხან კი ბაცი და ნაცრისფერია...
შუქი კი ვერ აღწევს ჩამოშვებული ფარდების მიღმა....
რა, **როდის**, **სად**, **რისთვის** ან **რატომ**,
როგორ, **ვინ** ან **რამდენი**? – ეს კითხვები
ტრიალებდნენ კარუსელივით...
მეკითხებიან – რა არ გასვენებს? რით ვერ ჩერდები?
სულ მუდამ ცისკენ იყურები, აქ კი ვერა ხარ!
ვერა ხარ???
აი, ეს მიწა!, სახლი-კარი! ესეც ო-ჯახი!
ეს მი-და-მო! ეს სათამაშო! გაერთე, დატკბი!
რა გინდა ცაში? ფეხს ვერ დაადგამ, ფრენა არ იცი,
ჩიტი ხომ არ ხარ?!
ეს სიტყვები ლურსმნებივით მერჭობა გულში.
შიგნიდან ახსნას ითხოვს ყოველი
და მეც, თურმე, მუდამ ველი და ვარ სულ-ელი...
(ის ვინც სულ ელის არის სულ-ელი)

ბოლოს... დაჭრილი, დაღლილ გედივით
შეწყდა ფართხალი, სასოწარკვეთის დადგა წუთები
და ღმერთს მივენდე მთელი არსებით...
ვთქვი: „აჰა, მოვედი, შენი ვარ ღმერთო,
რაც გინდა იგი გამოძერწე ჩემი სულისგან,
მე მივენდობი შენს ნებას სრულად,
რასაც მეტყვი და როგორც მეტყვი
მე ვიქნები შენი მორჩილი (და არა მონა).
რაც გინდა იგი გამოძერწე ამ არსებისგან
ახლა ნანა რომ ჰქვია...
დადგა სიჩუმე...
ყველაფერი გაჩერდა თითქოს,
დრო? ადგილი? არსი და შინაარსი?
ყველაფერმა დაკარგა ფერი.
ყველაფერი გავუშვი,
შეწყდა ტრიალი ბედის ბორბალის...
და როგორც ამბობენ:
გვირაბის ბოლოს გამოჩნდა შუქი...
არივედერჩი ძვირფასებო...
კარგად იყავით...
მშვიდობით...

და ამ დროს „ვიღაცის“ ძლიერმა ხელმა მომკიდა ხელი
– მოიცადე, შენ! სად მიდიხარ?!
შენ ხომ კითხვებზე პასუხების მიღება გსურდა?
სად გეჩქარება??? დაიღალე??? მოგბეზრდა??? თუ...
და უკან დატრიალდა ბედის ბორბალი...
ყველა შეშფოთდა.. გარდა, რა თქმა უნდა, ჩემი „სულისა“...
ხელმეორედ დაბადების ვიგემე მადლი...
ხარბად დავეწაფე აღმოჩენილ წყაროს ანკარას...

ჩემო კარგებო – ბუნებრივი განათ(ელ)ება რომ დაინახოთ
ხელოვნური „განათება“ უნდა გამორთოთ...
თუ გინდა იგრძნო, დაინახო ირვგვლივ ყოველი –
ჩქაროსნული მატერებლიდან უნდა ისკუპო...
შიშველი ფეხით გაიარო, ხელი შეახო ნამიან ბალახს...

დავეშვი უცნობ ბაქანზე... განახლებული შემართებით...
ამოცანას ამოცანაზე ვხსნიდი... ჩემში ახსნა-განმარტებას ვდებდი
ფურცელს ფურცელზე „ვშლიდი“ (გადაშლა-წაშლა)
ნაბიჯ-ნაბიჯ ვბრუნდებოდი პირველწყაროში...
და-სასრული გადადიოდა და-საწყისში...
„ძველი“ იყო საფუძველი, ბაზა „ახლისა“...
ყველაფერი ლაგდებოდა, ყველაფერი მშვიდდებოდა...
„უამინდობა“ შეწყდა... ზღვაში ტალღებმა თამაში იწყეს...
თავი ზღაპარში გადავასახლე და ყოველი დღე,
წუთი, წამი და გაელვება
მარადისობის უსასრულო „წამს“ შეურთდა...
განვლილი გზა კი მარადიულ „გზის“ ნაკვეთი გახდა...
ამ „კვეთის“ შედეგად მიღებული გამოცდილება –
ათვისებულ „გა-კვეთილებად“
ასე მოვედი დაბადების პირველ საწყისთან და
ვაგრძელებ მუდმივ „გარდა-მავალ-ცვალებას“
რომ დავიბადო ახალ „ყოფილ მიწაზე“ და
გარს მერტყას ახალი „ზეცა“ მე...
ასე ვი-წამე – გავხდი წამი – ვიქეცი წამად...
მუდმივ ცვალების გამო
არც ერთი წამი წინა წამს არ ჰგავს..
ერთ-ერთი „გზა“ ვარ... „სიცოცხლის“ მიერ
ქსოვილ „გზებს“ შორის...

ჩემო ძვირფასებო... რითიც დავიწყე,
უსასრულოდ ვაგრძელებ იმით:
ხელმეორედ დაბადება მინდა გაუწყოთ...
ახალი მიწა – „მე“ აღმოვაჩინე ძველის ბაზაზე
და მითხრა – „მიწა-მე“...
ახალი ზეცა დავინახე ამ ცის კარი როცა შევაღე...
და ასე უსასრულოდ გრძელდება დღემდე....
გარდა-მდინარე-უწყვეტ-ცვალება

„მე“
ვერ მოვკვდები,
ვერ დავბერდები
სანამ ასეა....

«Я» и «я»

Начиная ныть,
Я теряю нить
поддерживающая жизнь...

Начиная пыт(ки),
забываю о-пыт
соправаждающая жизнь...

Начиная пить,
Я теряю лиц
насящаяся жизнь...

А вот, – теряя лиц и
Украшая[6] жизнь,
разрывая ныть «Я»,
потеряя суть «Я»,
забывая путь «Я»,
и в место «жизнь-ткасть»[7]
привращаясь в тленнаЯ
содержащая прах
и пепел «я»

И пройдя сквозь время и
пересекая пространства
мне придётся как птица Феникс
из праха и пепла
возрадить себя...

возвращаясь в пыт(ки),
соединяя о-пыты...
Найдя нить «Я»,
соединяя лиц «Я»,
(воедино)
сливая опыт «Я»,
начиная лить «Я»,
зараждая жизнь «Я»,
найдя дорогу «Я»,
понимая суть «Я»...
увидь-«Я» дорога-«Я»....

Найдя суть шествия –
начать су(ть)ществ-овани-«Я» –

Воспринимая
«Я есмь присутствия»
восстановливая
состояние «Бог-ин-«Я»»

[6] крошить – დაქუცმაცება.
[7] жизнь-ткасть – жидкость – вода.

ელგუჯა მამუკელაშვილი

დრო, სივრცე და უპასუხო კითხვები

კაცობრიობის გონითი სიბრძნე გამუდმებით სწავლობს დროის, სივრცისა და ადამიანის ამოუხ-სნელ ფენომენს!
10.05.2014წელი

მარადიულ დროსა და სივრცეში ხანმოკლედ ცხოვრობს ადამიანი!
26.07.2014წელი

უსასრულოდ მოძრავი დრო სცვეთავს ადამიანს!
16.09.2014 წელი

დედამიწისეული სივრცე ზღუდავს ადამიანს!
18.11.2014 წელი

დააკვირდი როგორ გაიარე ცხოვრების მოკლე გზა!
23.10.2014 წელი

ადრეული ქართველების დროის ერთეულები:
მზის ამოსვლა
მზის ჩასვლა . . .
დილა, შუა დღე, საღამო . . .
საუზმის, სადილის, ვახშმის დრო.
მამლის ყივილი (ორჯერ, სამჯერ) . . .
მავნის ჯვრის წერა, . . .
მავნის ნათლობა . . .
პურის გამოცხობის დღე . . . და სხვ.
ცაზე მრავლის ამოსვლა („მრავალი“ - უშორესი ვარსკვლავების ჯგუფი)

დრო აჩენს და დრო კლავს ყოველივეს!

31.10.2014

გასულაო ხანი დიდი – ზებედე!
გასულაო დრო დაუღლელი მდინარებით!
გასულაო წლები შორს!
გასულაო სიცოცხლის ღონე ჩემგან! – ჩიოდა სხვავინარი!
მოუსვენრობდაო ბრძენი ღვთის მსახური სხვავინარი.
რა არისო დრო?! ეძიებდა სხვავინარი დაეჭვებით!
რა არისო დრო – უსასრულო მარადიულობა?!
რა არისო დრო – მარადიული უსასრულობა?!
რა არისო დრო – კაცთაგან დაცალკევებული?!

რა არისო დრო – შეუცნობელი დანაწილებით!. . .

წამი . . .
წუთი . . .
საათი . . .
დღე . . .
ღამე . . .
კვირა . . .
თვე . . .
წელიწადი . . .
საუკუნე . . .
უსასრულობა . . .

არისო დრო კაცთაგან ცალკე – ზებედე, მოძღვარო! . . .
არისო დრო მიწაზე კაცთმოდგმისათვის სხვა! . . .
არისო დრო ცისკიდეს მიღმა სხვა . . .
არისო დრო საძებარი სიცოცხლისათვის . . .
არისო დრო დღეს, უძველესიდან სამომავლოდ!
ბეჯითობდაო სხვავინარი ზებედესთან! . . .
არ პატიობსო დრო არავის, რაფერს!
არ ჩერდებაო დრო არასოდეს,
არ ცოცხლობსო არავინ და არაფერი დროის იქით.
არ კარგავსო დრო დიდს თუ მცირეს.
არ მალავსო დრო არავის და არაფერს.
ახუნებსო დრო წარსულს.
აფერმკრთალებსო დრო ხსოვნას კაცისა!. . .
მბრძანებლობსო დრო სამყაროზე! – ბუზღუნებდაო სხვავინარი!
გაქცეულაო წლები, ზებედე! – ხმაურობდა ხანგადასული.
გაქცეულაო წლები მარადიულობაში, ხმაურით!. . .
გაქცეულაო წლები უსასრულობაში, ტკივილით!
გაქცეულაო წელი ოცზე მეტი საქართველოს თავისუფლებიდან! . . .
გაქცეულაო მოსაგონებლად - სხვავინარ! . . . იმეორებდა ზებედე ბრძენი.
გაიარაო გზა ვინ როგორ! . . .
გაიარაო გზა ვინ სად! . . .
გაიარაო გზა ვინ ვისთვის! . . .
გაიარაო გზა ვინ კეთილმსახურად! . . .
გაიარაო გზა ვინ უკეთურ-უგვანოდ!
გაიარაო გზა ვინ მშრომელ-მშენებლად! . . .
გაიარაო გზა ვინ მზაკვარ-მოშურდენ! . . .
გაიარაო გზა ვინ დიდ-ბრძენ-გონიერად! . . .

გაიარაო გზა ვინ მცირედ-უნიჭო-ამპარტავნობით!
დარჩაო ვინ ღვთისა და კაცის მსახურად!
დარჩაო ვინ ერის მოყვარედ! . . .
დარჩაო ვინ ქვეყნის მფარველად! . . .
დარჩაო ვინ მამულის მცველად! . . .
დარჩაო ვინ სოფლის მშენებლად! . . .
დარჩაო ვინ სალოცავ-სადიდებლად! . . .
დარჩაო-ზებედე! დარჩაო !!
არ შეუნდესო კაცთ ქრისტეს ქრისტეობა! . . .
არ შეუნდესო კაცთ ღმერთს ღმერთკაცობა!
არ შეუნდოო კაცთ დრომ, არავის არაფერი!
ხმაურობდა ზებედე, სხვავინართან! . . .
არ შეუნდესო სტალინს ხალხის მსახური ქრისტეს მსგავსი . . .
არ შეუნდესო ახლის შენება! . . .
არ შეუნდესო ხალხს თავისუფლება . . .
არ შეუნდესო ნიკიტას აშენებულის ნგრევის დაწყება! . . .
არ შეუნდობენო გორბაჩოვს ქვეყნის გაპარტახებას! . . .
არ შეუნდობსო დრო არავის არაფერს ! . . .
არ შეუნდობსო, არა!!
ტკივილით მიიბარაო უსასრულო დრომ კაცობრიობის XX-ე საუკუნე.
გახდაო მეოცე საუკუნე დროის კუთვნილება!
გახდაო საუკუნის ბოლო წლები საკითხავი! . . .
გახდაო საქართველო აბობოქრებული! . . .
გახდაო ქართველთა პირისპირობა აშკარა! . . .
გახდაო საქართველოს მომავალი საეჭვო! . . .
გახდაო ქვეყნის ტერიტორია დასაცავი! . . .
დაეცნენო ამისთვის ყმაწვილები!
დაეცნენო აფხაზეთში 1991-1993 წლებში. . .
დაეცნენო თბილისის ქუჩებში . . .
დაეცნენო სამოქალაქო ომში თბილისში . . .
დაეცნენო ძმათამკვლელ ომში ახალგაზრდები . . .
დაეცნენო ცხინვალში მომდევნონი. . .
მიიზლაზნებოდაო ტკივილით გასისხლიანებული მეოცე საუკუნე!
მიიზლაზნებოდაო საქართველო ოცდამეერთეში ხმაურით! . . .
მიიბარაო უსასრულო დრომ ადამიანთა სულები! . .
მიიბარაო უსასრულო დრომ სამარადისოდ ძნელი წლები! . . .
მიიბარაო! ზებედე! . . .
მიიბარაო! . . . .
აფიქრებსო ხვალის ხვალეს მოსვლა ქართველებს.
აფიქრებსო შორი გზა! ოკეანეს იქით!

აფიქრებსო ახლო მეზობლობა კავკასიონს მიღმა!
აფიქრებსო – სხვავინარ!
აფიქრებსო! აფიქრებს!!
მოძრავ დედამიწაზე ბობოქრობს ადამიანთა მოდგმის შვიდმილიარდიანი თანამედროვეობა:
შვიდი მილიარდი განსხვავებული ხასიათი,
შვიდი მილიარდი განსხვავებული პიროვნებ.
განსხვავებული ინტერესი,
განსხვავებული გონიერება.
განსხვავებული სულიერება
განსხვავებული მისწრაფება,
განსხვავებული სიმდიდრე,
განსხვავებული სიღატაკე,
მუდმივი სიღატაკე,
მუდმივი დაპირისპირება,
მუდმივი ბრძოლა,
მუდმივი დაუნდობლობა,
მუდმივი მტრობა,
მუდმივი ქიშპობა,
მუდმივი ურთიერთკვლა,
მუდმივი გაბატონება,
მუდმივი სასტიკი ომები.

საუკუნეების იქითა წყვდიადის ლაბირინთებიდან გამოეყვნენ ცხოველთა სამყაროს ადამიანთა წინაპრები - „საზოგადოებრივი ცხოველები" და იწყეს გონიერი მუდმივი განვითარება, მუდმივი ამაღლება, მუდმივი დაკვირვება გარე ბუნებასა და თავის შინაგან სულიერებაზე, შექმნეს მეცნიერებები, ახალი ტექნოლოგიები, შექმნეს უთვალავი ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება ადამიანის ადამიანურობაზე. ჯერ კიდევ ვერ ახსნეს მათ თავისი წარმოშობის საიდუმლო, ჯერ კიდევ არ იციან საიდან მოსულები, საით მიდიან. ისინი ცდილობენ გაარკვიონ უზოგადესი კანონების ზემოქმედება, ამასთანავე კი არ უფრთხილდებიან სივრცეში დედამიწისეულ სიმდიდრე – სიკეთეებს, ანადგურებენ თავის სასიცოცხლო გარემოს, გამუდმებით მიილტვიან თანამოძმეთა დაჩაგვრისაკენ, გაბატონებისაკენ, სიმდიდრისაკენ და არ იციან საიდან მოვიდნენ აქ, საით მიდიან აქედან, ვინ, როგორ მოაწესრიგებს ადამიანთა განუსაზღვრელ მიზნებს დედამიწაზე.

კაცობრიობამ ჯერ ბეჯითად არ იცის საით მიდის ადამიანური სიცოცხლე და რას უპირებს ადამიანი თავის თავს სამომავლოდ!

დალი ზერაგია

ბავშვთა მიმართ ძალადობა

ბავშვთა მიმართ ძალადობა, განსაკუთრებულად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს,როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მთელი მსოფლიოსთვის. ამმიმართულებით,სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორი თანამშრომლობს ერთიანი გეგმის თუ სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის.

ეს პრობლემა გვხვდება ყველგან: ოჯახში, ქუჩაში ,სკოლაში და სხვ. ძალადობის განხორციელების ძირითადი ფორმაა ფიზიკური,ფსიქოლოგიური,სექსუალური, ეკონომიკური და სხვ.. ვინაიდან თანამეროვე ბავშვი, ძირითად დროს რდოს ატარებს სკოლაში და ოჯახში(თუმცა არა მხოლოდ აქ),ამიტომაც ძალადობის ძირიდადი შემთხვევები სკოლაში და ოჯახებში უნდა ვეძებოთ.

სამწუხაროა,რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ბავშვის აღზრდის ერთ-ერთ მეთოდად დასჯას მიიჩნევს, აგრეთვე ოჯახის შიდა პრობლემად თვლიან და ამით სამართლებრივ პასუხისმგებლობას არიდებენ თავს. ნებისმიერი სახის ძალადობას ახლავს ღირსების შეურაცმყოფელი გამონათქვამები,საჯარო თუ ფარული ფორმით. ხშირად მშობლის, პედაგოგის ცუდი გუნება-განწყობილება აისახება ბავშვთან ურთიერთობაშიც, რა თქმა უნდა ეს არ ამართლებს ასეთ შემთხვევებს.მოძალადე ბევრი შეიძლება იყოს, მაგრამ ძირითადად მშობელია.ხშირად ვერც კი წარმოვიდგენთ,რომ კონკრეტული პიროვნება შეიძლება იყოს თავდამსხმელი,ისინი საზოგადოებაში გაწონასწორებული ადამიანების წარმოდგენას ტოვებენ, „ასეთი წესიერი" ადამიანები სისტემატურად სცემენ შვილებს,საზოგადოებაში კი გაწონასწობულები არიან. ხშირია კონფლიქტები,სკოლაში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის.როგორც წესი,თითქმის ყოველთვის მასწავლებლის „გამარჯვებით" მთავრდება.მასწავლებელი ყოველთვის„მართალია"და უფლება არ აქვს ვინმემ საწინააღმდეგო აზრი გამოხატოს მისი„ შეგონების" წინააღმდეგ.ბავშვის თავდაპირველი დისკომფორტი,რომელსაც „ყოვლისშემძლე" პედაგოგი უქმნის, იქცევა „მოჩილის" როლად,რომელიც თანადათანობით შეიძლება „მონის"როლში გადაიზარდოს. სახეში სილის გაწვნა,წამორტყმა, სხვადასხვა სახის საგნის გამოყენებით თავდასხმაც ძალადობაა. არანაკლებ მყარ კვალს ტოვებს სიტყვიერი შეურაცყოფა, მეტსახელი ,მუქარა, ცილისწამება და სხვ. მაშინ როდესაც მშობელი ხელს იღებს ყოველნაირი პასუხისმგებლობისაგან შვილის მიმართ, ეს არის კვების, საცხოვრებლის, ჰიგიენური თუ სხვა სახის ვალდებულება–ასეთი ტიპის უგულებელყოფაც ითვლება ძალადობად.

ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოცდილება უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. ისტორიიდან უამრავი ძალადობის მაგალითია ბავშვთა წინააღმდეგ სასტიკი მოპყრობისა. მშობელს ყველანაირი მოპყრობის უფლება ჰქონდა შვილზე. ეს იყო მსხვერპლად შეწირვა,ცემა,გათხოვება, მონად გაყიდვა,იძულებითი შრომა და სხვ.მიუხედავად საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა,ბავშვთა მიმართ არაადამიანური მოპყრობა დღესაც გრძელდება, რომელსაც ბევ-

რი ხელშემწყობი მოვლენა განაპირობებ ვს. თანამედროვე კულტურაში, კინო, ტელევიზია, ინტერნეტი, როგორც ჩვეულებრივი ყოველდღიურობა ბევრ შემთხვევაში ძალადობისკენ უბიძგებს,ნერგავს უზნეობას...სახელმწიფოში სათანადოდ ჯერ კიდევ არ მუშაობს ის ინსიტიტუტები,რომლებიც სრულად დაიცავს ბავშვს აგრესიისაგან. ბავშვი ვერ იცავს საკუთარ თავს, პირიქით, მალავენ კიდეც.. უნდა აღინიშნოს,რომ მშობლები მეტწილად ვერ აცნობიერებენ ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობრივ საკითხებს, ანდა არ იციან ვის შეიძლება მიმართონ. შეიძლება ითქვას ,რომ არც პრესა,ტელევიზია, სკოლა, სოციალური სამსახურები,თუ სამედიცინო დაწესებულება არ ფლობს და ვერც აგვარებს(შეიძლება თავიდან იცილებენ) არსებულ პრობლემას ბავშვთა მიმართ.

ერთი სიტყვით, ბავშვზე ძალადობის ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს. არსებობს მიზეზთა სისიტემა, რომელიც ძალადობრივ შედეგს აყენებს. ეს არის კულტურის გავლენა, იჯახის სტრუქტურა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, სიღარიბე, ოჯახური კონფლიქტები და სხვ.

ყოველგვარი გავლენა ბავშვზე, შემდგომში მოზარდის ქცევაში აისახება. შედეგები შეიძლება მოკლე, ან გრძელვადიანი იყოს. პირველ რიგში ბავშვი,როგორც პიროვნება მახინჯდება, ჯანმრთელობა ერყევა ფიზიკურ და მენტალურ დონეზე. წარუმატებლობა გარდაუვალია განათლებაში, კარიერაში. ვეღარ ეგუება რეალობას, რომელიც არის მის ირგვლივ და იქცევა პოტენციურ დევიანტად. კვლევები აჩვენებს ,რომ დამნაშავეთა 60-70 % ბავშვობაში ძალადობრივ გარემოში იმყოფებოდნენ.

საჭიროა შეიქმნას და ამუშავდეს სპეციალური დაწესებულებები,სადაც ერთდროულად გაერთიანებული იქნება, როგორც ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, იურისტი, სამართალდამცავი, სოციალური მუშაკი რათა კომპლექსურად და კვალიფიცირებულად განიხილონ კონკრეტული შემთხვევა, გამოააშკარაონ მოძალადე, სრულყოფილი დახმარება გაუწიონ ბავშვებს, რომლებიც ჯერ კიდევ შეიძლება საზოგადოებისკენ შემოვაბრუნოთ და აღვზარდოთ.

ამისათვის სახელმწიფომ კიდევ უფრო აქტიურდ უნდა განახორციელოს ბავშვთა მიმართ ძალადობისაგან დაცვის ორგანიზაციების შექმნა და ხელშეწყობა, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირება, საჯარო სემინარების მოწყობა მშობელთა და მასწავლებელთათვის. აღნიშნული ფაქტების ყურის მოკვრის ან გაგების შემთხვევაში დაუყოვნებლი ეცნობოს სათანადო ორგანიზაციებს,რომელიც აუცილებლად შედეგს გამოიღებს. იმ ეკონომიკურ სიდუღჭირეშიც კი ,როგორშიც საქართველოს მოსახლეობა ცხოვრობს,მაინცაა შესაძლებელი შვუქმნათ და დავეხმაროთ ბავშვებს, ჩვენს მომავალ თაობას, მომავლის შენებაში.

UNISEF-ის მიერ საქართველოში ჩატარებული ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელების ეროვნული კვლევის მიხედვით, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელების მასშტაბები ასეთია: ფიზიკური ძალადობა, ყურის აწევა, თმის მოქაჩვა, ხელით ცემა, ხელის ან ფეხის კვრა - 54 პროცენტი. ფსიქოლოგიური ძალადობა, დაყვირება, განზრახ დამცირება, სხვა ბავშვისგან დაჩაგვრა, დათრგუნვა ან შერცხვენა - 59.1 პროცენტი. სექსუალური ძალადობა, სექსუალური საუბარი, პორნოგრაფიის ჩვენება, სექსუალური შეხება, სექსუალური ურთიერთობის მცდელობა - 7.8 პროცენტი. კვლევის მიხედვით სკოლაში ფიზიკური ძალადობა - 47%, ფსიქოლოგიური ძალადობა - 47.5, ხოლო სექსუალური ძალადობა - 5.6%-ია.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNISEF) 2014 წლის ანგარიშის მიხედვით,მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს:

მკვლელობა: მკვლელობის მსხვერპლთა ერთი მეხუთედი მთელი მსოფლიოს მასშტაბით არიან ბავშები და 20 წლამდე ახალგაზრდები. 2012 წელს დაფიქსირდა დაახლოებით 95,000 სიკვდილის შემთხვევა. მკვლელობა წარმოადგენს მამაკაცის სიკვდილის წამყვან მიზეზს 10-დან 19 წლის ასაკობრივ ჯგუფში ისეთ ქვეყნებში როგორიცაა პანამა, ვენესუელა, ელ სალვადორი, ტრინიდადი და ტობაგო, ბრაზილია, გვატემალა და კოლუმბია. ნიგერიაში ფიქსირდება ბავშვის მკვლელობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 13000. დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვლელობის მაჩვენებელი არის ყველაზე მაღალი.

დაშინება: მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველი სამიდან ერთი სტუდენტი 13-დან 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში არიან სკოლაში დაშინების რეგულარული მსხვერპლები. სამოაში ეს მაჩვენებელი შეადგენს 3-ს ყოველ 4 სტუდენტში. ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში სტუდენტების დაახლოებით მესამედი 11-დან 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში აღიარებენ სხვების დაშინებას, ლატვიასა და რუმინეთში კი ეს მაჩვენებელი შეადგენს 10-დან 6 მოსაწავლეს.

ძალადობრივი დისციპლინა: 58 ქვეყანაში ბავშვების დაახლოებით 17% არის მკაცრი ფიზიკური სასჯელის ობიექტი (თავში, ყურში ან სახეში დარტყმა; მძიმედ და განმეორებით დარტყმა). 2-დან 14 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების 40%-ზე მეტი ყოფილა მკაცრი ფიზიკური დასჯის ობიექტი ჩადში, ეგვიპტესა და იემენში. ზოგადად, 10-დან სამი სრულწლოვანი პირი ფიქრობს, რომ ფიზიკური დასჯა საჭიროა ბავშვის კარგად აღზრდისთვის. სვაზილენდში 82% აღნიშნავს, რომ ფიზიკური დასჯა აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ოჯახურიძალადობა-სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის GCRT არასამთავრობო ორგანიზაცია 2014
2) ბავშვთა აგრესია- ლია ქურხული, „საარი“-გამომცემლობა ,თბილისი 2006.
3) UNICEF Georgia-www.unisef.ge Geo
4) Phf.org.ge
5) WWW.netgazeti.ge

რეზიუმე

ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემა მწვავედ დგას ჩვენს ქვეყანაში. მას ვაწყდებით ყველგან, ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში და სხვაგან.

ძალადობა სხვადასხვა ხასიათისაა. სამწუხაროა, რომ ბავშვს არ შეუძლია თავის დაცვა მოძალადისაგან, ამიტომ ხელისუფლების და საზოგადოების როლი ამ პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვანია. სტატისტიკური მონაცემები არ გვაძლევს დამამაშვიდებელ რეალობას,მიუხედავად საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლებისა(სხვა საუკუნეებთან შედარებით) დღესაც ვაწყდებით ბავშვის წინააღმდეგ სასტიკი მოპყრობის ფაქტებს.

პროზა

რევაზ მიშველაძე

ჯოჯოხეთი

– როგორაა საქმე?

– ძველებურად ბატონო.

– არც ერთი ცალი?

– არა.

– რაშია ვითომ საქმე?

– არ უნდათ, ბატონო. საჩუქრადაც რომ გაატანონ, არ კიდებს ხელს ის კაცი. გაზეთს, ასე თუ ისე, კიდევ ყიდულობენ, ჟურნალს სათოფეზეც არ ეკარებიან.

რა ექნა დომენტი ბიბიჩაძეს. ვიტრინაშიც გამოადებინა თავისი ჟურნალი მეჯიხურეებს. იქნებ უფრო მიაქციონ ყურადღებაო და ქუჩაშიც, ცალკე, ტაბურეტის სკამზეც დააწყობინა, მაგრამ ყოველდღე ზუსტად ისეთი საუბარი ჰქონდა პრესის გამყიდველებთან, როგორც ამ ნოველის დასაწყისში წაიკითხა, ძვირფასმა მკითხველმა.

ვერ ვიტყვი, მეჯიხურეები არ წუხდნენ-მეთქი, ჟურნალი „გრდემლი“ რომ არ საღდებოდა. ისინი უთანაგრძნობდნენ კიდეც ჭარმაგ რედაქტორს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ამ ეტაპზე ჯიხურში გამომწყვდეულ კეთილშობილ მოქალაქეებს თანაგრძობის გგარდა არაფერი შეუძლიათ.

დომენტი ბიბიჩაძემ ჯიხურებს ჩამოუარა, „გრდემლის“ მკვიდრადგაუსაღებელი ტირაჟი თავის ძველთაძველ, ცისფრადმბოლავ „ჯიგულში“ ჩააწყო და გადაწყვიტა, ბაზრებში ეცადა ბედი. ბაზარში მილეთის ხალხი ირევა და, ვინ იცის, იქნებ ჟურნალის მყიდველიც გამოჩნდესო.

თბილისში, ახლა, ოცდათვრამეტი ლეგალური და თოთხმეტი არალეგალური ბაზარია. ლეგალურ ბაზარში ძირითადად თურქეთის საქონელი, პომიდორი, და ნაგვიანევი ალუჩა იყიდება. არალეგალურში თევზი, ხიზილალა, ზეთისხილი და შიგადაშიგ ნარკოტიკებიც.

დომენტი ბიბიჩაძე თავს წესიერ კაცად თვლიდა და საქმეს მხოლოდ და მხოლოდ ლეგალურ დაწესებულებებთან იჭერდა.

ბაზარ „სარეჯგველას“ დირექტორის კაბინეტში დომინოს ატკაცუნებდნენ. კარი ღია ჰქონდათ. ინტელექტუალური თამაშით გართულებს კარებში დომენტის შესვლა არ გამოპარვიათ, ერთმა გამხდარმა თაგვისფერპიჯაკიანმა კაცმა საანგარიშოს ჩამოჰკრა და ისეთი ღიმილი შეაგება სტუმარს, დაგვიანებით მოვლენილ უცხოელ დამკვირვებლებს რომ შეაგებებენ ხოლმე სინდისის პატიმრები.

ორი მოდომინე უკანსვლა – ღიმილით გაუჩინარდა.

– ბოდიშს ვიხდი, მგონი, უდროო დროს შეგაწუხეთ... მე, ისა „გრდემლის“ მთავარი რედაქტორი დომენტი ბიბიჩაძე ვარ.

– გიცნობთ, ბატონო, მამაჩემის და ვოროშილოვის არ იყოს. თქვენ არ გვიცნობთ, თორემ ბაბიჩაძეს ვინ არ იცნობს კაი მწერალი, კაი კაცი.

– მაგდენის პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ რაღაცას ვცდილობთ, ვჩირთიფირთობთ... რაზე შეგაწუხეთ ახლა ჩემო... თქვენი სახელი?

– ბეჟანი, ბატონო.

– რაზე შეგაწუხეთ, ჩემო ბეჟან. ჩვენს ჟურნალს, თუ კითხულობთ, არაა ცუდი ჟურნალი. გულის მოსაფხან სიტყვას მაინც ამბობს ხანდახან.

– მართალი ბრძანებაა.

– მე და ჩემი თანამშრომლები, იმ მკვდარ შვილს ვფიცავ, უხელფასოდ ვმუშაობთ და არც გვინდა კაპიკი აქედან, მაგრამ სტამბის ხარჯი ხომ მაინც უნდა გავისტუმროთ. არა და უსაშველო ხარჯს გვაწერს ამ ბოლო დროს სტამბა, რა ჰქნას იმანაც. ეგებ მოგვეხმაროთ.

– რაში პატივცემულო? ჩვენ ბანკში ერთი კაპიკი არა გვაქვს. გაგვიუქმეს ანგარიში. რომც გვქონდეს, მაინც აკრძალული გვაქვს სპონსორობა. წავიდა ის დრო. ახლა სახელმწიფომ – მარტო მე მაჭამეთო.

– არა, ბატონო, სპონსორობას არ გთხოვთ. სპონსორის ძიება რომ მათხოვრობასთან გააიგივეს ამ ბოლო დროს, კარგად ვიცი, ამიტომ ჩემ თავს არ ვაკადრებ მათხოვრობას. იქნებ ჟურნალის გასაღებში მოგვეხმაროთ-მეთქი. წაიღებს კაცი, წაიკითხავს.

– მიწა გამისკდებოდეს ახლა და ჩამიტანდეს, არ სჯობია? – შეიცხადა ბაზრის დირექტორმა – თქვენისთანა კაცისთვის უარის თქმას სიკვდილი არ მირჩევნია? ჟურნალს უხსენებ შენ, ლექსს და მოთხრობას უხსენებ მთავრობაზე გამწარებულ, ამ, დამშეულ ხალხს?

– მთავრობა სხვაა და ჟურნალი სხვაა, ბატონო ბეჟან, ამათ ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ!

– მე ვიცი, მაგრამ ამათ იციან? ჰგონიათ ლექსი და მოთხრობაც ხელისუფლებიდან მოდის. როგორც ზღარბს. ისე იღებენ წიგნს ხელში.

– ხომ არ გვეცადა მაინც.

– ყოველდღე მაგ საკითხზე არ მაქვს ჩხუბი, ბატონო? თქვენ პირველი კი არ ხართ. არ ამოგითვლით ახლა გვარებს, ვინ არ მომიტანა ლიტერატურა გასასაღებლად. ახლა დატოვებითაც აღარ ვიტოვებ. არ უნდათ, მორჩა და გათავდა. მე თქვენ არ მიცნობთ, თორემ არც მე ვარ მწერლობიდან მთლად შორს მდგომი კაცი ბეჟანი გახლავართ, მე გარაყანია, – ბეჟამა უჯრა გამოსწია და ორი წიგნი დაუდო წინ „გრდემლის“ გაწამებულ რედაქტორს. ერთს, თხელყდიან, მომცრო წიგნს „ბეჟან გარაყანია, ლექსები“ ეწერა და ყდაზე რატომღაც მარტორქა ეხატა.. მეორეს – „ბეჟან გარაყანია, ლექსები და პოემები“. წიგნის ტიტულზე ავტორის თმაშეთხელებული მაგრამ იმედენერგიულად გამომზირალი სახე შემოგანათებდათ.

– ა, ამ წიგნების ავტორი ვარ მე.

– თქვენ ბრძანდებით გარაყანია? – ასე ყალბად ჯერ არაფერი უთქვამს მწერალ დომენტი ბიბიჩაძეს – მეც არა ვთქვი... მეც არა ვთქვი? როგორ არ გიცნობთ.... წამიკითხავს... უბრალოდ აქ არ გელოდით.

– წაიკითხეთ არაფერი გექნებათ ჩემი, წაკითხული, რადგანაც ამ წიგნებამდე სტრიქონი არ დამიბეჭდეს რედაქტორებმა. მაგრამ წყენა რა შუაშია. მწერლები და პოეტები ძმები ვართ ერთმანეთის. მერე რა, მე პოეტი ვარ, თქვენ პროზაიკოსი. ჩემთვის დიდი სხვაობა არ არსებობს. მე პოეტობის გამო ზემოდან არასოდეს დავყურებ პროზაიკოსს. პროზაიკოსსაც თავისი ადგილი აქვს.

– ოღონდაც... ოღონდაც... პროზაიკოსიც, ასე ვთქვათ, მწერალია...

დომენტი ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა სიტყვებით დამშვიდობებოდა პოეტ გარაყანიას. „გრდემლის“ გასაღების იმედი ამ ბაზარში მას საბოლოოდ გადაეწურა.

პირველს აღარაფერი აკლდა დომენტი ბაბიჩაძემ ბაზარ „ოჩხამურის“ ახლოს, დემოკრატიის ჩიხში რომ შეაყენა მანქანა და კიბეს აუყვა.

ცხელოდა ზუსტად ისე, როგორც შეიძლებოდა ცხელოდეს შუაზაფხულის თბილისში დღის პირველ საათზე.

კარგა ხანს იცადა დირექტორის კარებთან, მაგრამ შესვლა ვერ მოახერხა. ერთადერთხელ, მდივანთა ინნსტიტუტის შემოღების ასწლოვანი ისტორიის მანძილზე, ბაზრის დირექტორის მდივანი არ ცრუობდა. დაკავებულია, სტუმრები ჰყავსო, უთხრა მან ბიბიაძეს და ბაზრის დირექტორს, მართლაც, სტუმრები ჰყავდა.

– შესვენებაზე ხომ არ წავა? – საათზე დაიხედა „გრდემლის“ რედაქტორმა.

– არა, ბატონო, შესვენებაზე საერთოდ არ მიდის. ახლა... რა ვიცი... შეიძლება სტუმრებს გაჰყვეს.

– იქნებ მოახსენოთ, მწერალთა კავშირიდან გელოდებიან-თქო, თუ შეძლებს დღეს მიღებას, თუ არა და სხვა დროს გეახლებით...

მდივანი გოგონა კაბინეტის კართან შეჩერდა და მოიხედა.

– ბოდიშს ვიხდი, რა საქმეზეო რომ მკითხოს?

– ვერლიბრის, – ანგარიშმიუცემლად მიუგო დომენტიმ, ცნობისმოყვარე ქალს – ვერლიბრის ჟანრულ-სტილურ თავისებურებებზე უნდა ვესაუბრო.

მდივანი შევიდა და ორი მამაკაცი ფეხდაფეხ გამოიყოლა.

ერთს –თეთრპერანგოსანს ხელთ სომბრერო ეჭირა, მეორეს – უსომბრეროს, ზუსტად ისე

ეცვა, როგორც საბჭოთა კავშირში ამ ორმოციოდე წლის წინათ ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ ინდოეთის პრეზიდენტ –ჯავახარლალ ნერუს.

– შებრძანდით – მდივანმა „ვერლიბრის თეორეტიკოსს“ გაუღიმა.

ერთს – თეთრპერანგოსანს ხელთ სომბრერო ეჭირა, მეორეს უსომბრეროს, ზუსტად ისე ეცვა, როგორც საბჭოთა კავშირში ამ ორმოციოდე წლის წინათ ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ ინდოეთის პრეზიდენტ – ჯავახარლალ ნერუს.

– შებრძანდით – მდივანმა „ვერლიბრის თეორეტიკოსს“ გაუღიმა.

ბიბიჩაძემ ხერხს მიმართა:ვაი თუ ჩემი მწერლობით დიდად არ ვეპიტნავო ამ პატიოსან დირექტორსო და რესპუბლიკის ხელისუფლების ავტორიტეტს ამოეფარა.

მეო, ხელისუფლების თხოვნა-შუამდგომბოლით ვარ თქვენთან მოსულიო, პარლამენტის ერთ-ერთი სპიკეტი გირეკავდათ, მაგრამ ვერ დაგიჭირათო, ჭირს მწერლობას და თოხვნაა ზემოდან – უნდა დაგვეხმაროთ ჟურნალ „გრდემლლის“ გასაღებაშიო.

– რად მინდა ბატონო ხელისუფლების ხსენება. ხელისუფლება დღეს არი და ხვალ არ იქნება. ხელისუფლება მინდა მეე? რომელ ხელისუფლებას არ სჯობიხართ თქვენ ჩემთვის. ხომ ბიბიჩაძე ბრძანდებით, თვალი ხომ არ მატყუებს? სხვას რომ ეთქვა ერთი კვირის წინ, არ დავიჯერებდი, თუ ბიბიჩაძეს ჩემს კაბინეტში ვნახავდი და ხელილს ჩამორთმევა მომიწევდა. თქვენ რომ ტელევიზორში დაგინახავთ, იმ საღამოს თქვენ სადღეგრძელოს სვამს მთელი სადარბაზო. ჩვენს სახლში ასეა, და სხვაგან, რა ვიცი. ალბათ, მაგინებელიც ბევრი გეყოლებათ. რად უნდა თხოვნა მაგ საქმეს. თქვენ თუ არ დაგეხმარებით, აბა ვის უნდა დავეხმაროთ. ბაზარი იმისია, რომ უნდა გავასაღოთ „გრდემლი“, აბა რა უნდა ვქნათ. რამდენი ცალი გაქვთ?

– ჩვენ ხუთასი გვაქვს, მაგრამ თქვენ მხოლოდ ას ცალს შემოგთავაზებთ. მეტით აღარ შეგაწუხებთ.

– თუ შეიძლება სამი ცალი ამოვიღოთ?

ბაბიჩაძემ ჩანთა გახსნა და ბაზრის დირექტორს სამი ჟურნალი გაუწოდა.

დირექტორს ჟურნალისთვის არც დაუხედავს.

– ა, ბატონო, ჩამოვიაროთ ერთად. თქვენ შორიახლო მომყევით. მე შევთავაზებ, მე თვითონ ხომ დირექტორი ვარ. თქვენ იმიტომ გთხოვთ გვერდში დადგომას, რომ დარწმუნდეთ, ვისთან მაქვს საქმე.

დომენტი უარის თქმას აპირებდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. დირექტორმა კაბინეტის კარი გამოიკეტა და ორივენი სკასავით მობზუილმოფუსფუსე ბაზრის პირისპირ დარჩნენ.

მერე რაც მოხდა, ჯოჯოხეთში გათამაშებულ სცენას წააგავდა. ბაზრის დირექტორი ჯიხურს მიუახლოვდებოდა; ჟურნალი მივიღეთ გადასარევიო. მეჯიხურე ჯერ სიცილძიგძიგს დაიწყებდა, მერე რაკი სახეზე შეატყობდა, რომ დირექტორი არ ხუმრობდა, სიცილს მოსხეპდა და ამოიოხრებდა:

– ხუმრობთ იოსიპოვიჩ? ჟურნალი უნდა ჩემს მშიერ ბავშვებს? თავზე არ დამახევს ჩემი ქმარი საღამოს პურის მაგივრად ჟურნალი რომ მივიტანო სახლში? დილის რვა საათიდან აქ ვარ და ჯერ ერთი „სნიკერსი“ არ გამიყიდია.

– ეს კაცი ფულს კი არ ითხოვს, უფასოდ გირიგებთ ჟურნალს, - ფირფიტას შეცვლიდა დირექტორი, მაგრამ მეჯიხურეები არც ამ ანკესზე ეგებოდნენ. არ გვინდა, დიდი მადლობა, არ გვინდაო, ხელებს ასავსავებდნენ.

მეორე ჯიხურშუკაში შესვლა უაზრობა იყო. ბიბიჩაძემ ჭიშკართან სამივე ჟურნალი გამოართვა მკითხველთა გულგრილობით შეძრწუნებულ დირექტორს და მანქანისკენ გააბიჯა.

კარის გაღებისთანავე ცხელი ოხშივარი ცხვირპირში ეცა.

ორივე კარი გააღო და დაელოდა, სანამ მანქანაში ტემპერატურა იმ დონემდე დაიწევდა, ფალავანთა კლუბის ორთქლის აბანოში რომ არის ხოლმე.

ბაზარ „ჩაილურის“ დირექტორმა ყურადღებით მოუსმინა, ჰაერმბერი თავისკენ შეატრიალა და ჰკითხა:

– რა წერია თქვენს ჟურნალში პატივცემულო?

– ლექსები, მოთხრობები, წერილები...

– ვისი?

– თანამედროვე პოეტების... წაიკითხავთ, მოგეწონებათ...

– ვის ლექსებს და მოთხრობებს გვთავაზობს თქვენი ჟურნალი, ბატონო, იმ მწერლებისას ხომ არა, ზვიადის გათავისუფლებული საქართველო ისევ იმპერიაში რომ შეათრიეს? როგორ ფიქრობთ ახლა თქვენ, ამ ხელისუფლების ტაშის კვრაში ხელზე სამპირტყავგამძვრალი მწერლების ნაწერს წავიკითხავთ ჩვენ? ერთი კარგი პოეტი სხვას რომ აფრთხილებდა, არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნავშიო და თვითონ ისე საიმედოდაა ჩამხტარი, რომ გიგანტამწევითაც ვერ ამოჰყავთ იქედან? ამ ოცი წლის წინ საქართველოს დაქუცმაცების წინააღმდეგ მშვენიერი ლექსი რომ დაწერა და ახლახან საჯაროდ რომ უარჰყო თავისივე ლექსი? ვისი ლექსები და მოთხრობები წავიკითხოთ, ბატონო, ვის გვირჩევთ? ზოგი მწერალი კრინტს რომ არ ძრავს საქართველოს დღევანდელ სატკივარზე და პირგამშრალ ჟურნალისტებს პასუხობს: მე ჩემი დუმილით ვამბობ ჩემს სათქმელსო იმის ნაწერს წავიკითხავ მეე?

– თქვენ ერთი კაცი ხართ. იქნებ სხვა ასე არ ფიქრობს.

– ვინ სხვა, პატივცემულო?

– სხვა... მყიდველ-გამყიდველი... ბაზარი დიდია.

– ამ ბაზარში შვიდლარხელფასიანი მომხმარებელი დადის ბატონო და დიდი უმრავლესობა ჩემსავით ფიქრობს. თუ გნებავთ, გავიაროთ და ახლავე დაგარწმუნებთ. რა შეეხება გამყიდველებს, გეცოდინებათ, ალბათ, ჩვენს ბაზარში ოთხმოცდაათი პროცენტი არაქართველი დგას დახლთან. ვინ იყიდის და ვინ წაიკითხავს ჟურნალ „გრდემლს“, მემწვანილე ბაჯი თუ მწვრილმანე არტაშეს პოღოსიანი?

– კი მაგრამ... რატომ მოხდა ასე?

– მე მეკითხებით ამას ბატონო? დაგავიწყდათ, რას გაჰყვიროდნენ საქართველოს ცეკას პირველი მდივნები? ჩვენი სიძლიერე ჩანს მრავალეროვნულობაშიო! ჯერ არ მომხდარა ისტორიაში ეროვნულად ჭრელი ქვეყანა ბოლომდე ძლიერი ყოფილიყოს. ადრე თუ გვიან იგი აუცილებლად იქცევა ეთნოომების ასპარეზად.

– ეგ მართალია.

– მერე? სწერია თქვენს ჟურნალში საქართველო წასვლადაგვიანებლი სტუმრებისაგან უნდა გაიწმიდოსო?

–ეგ... ახლა.. მთლად ასე პირდაპირ... ეთიკური არ გამოვა... მსოფლიო ვერ გაიგებს.

– რას ვერ გაიგებს მსოფლიო? დღეს სომხეთში არ ცხოვრობს არც ერთი აზერბაიჯანელი და აზერბაიჯანში არ ცხოვრობს არც ერთი სომეხი, მაგრამ მსოფლიოს თავი არ მოკლავს. სამა-

გიეროდ, ჩვენ ვართ ინტერნაციონალური ლაბორატორია. დღეს საქართველოში ნახევარზე მეტი არაქართველი ცხოვრობს. ეს იცი რას ნიშნავს? მალე საქრთველოში ქართველ პრეზიდენტს ვეღარ ავირჩევთ. ჩვენ 1993 წელს რუსეთთან ომში რომ დავმარცხდით, ეგ არ იყო ისე დიდი უბედურება, როგორიც დემოგრაფიულ ომში ჩვენი დამარცხება გახლავთ. რატომ გაუჩუმდით თქვენ ქართველები ქართულ მიწაზე უცხო ტომის ასე გულუხვად ჩამოთესლებას?

– არ გავუჩუმდით, მაგრამ...

– ჰოდა მაგ „მაგრამმა“ და პირში წყლის ჩაგუბებამ დაგვღუპა ჩვენ...

* * *

მკითხველის ნერვებს მოვერიდები და დიალოგს აქ ვწყვეტ.

... 1996 წლის 19 ივლისს თბილისში, შუაღამისას, თავისი ოროთახიანი ბინის შეუმინავ აივანზე ჟურნალ „გრდემლის“ მთავარმა რედაქტორმა დომენტი ბიბიჩაძემ თავი ჩამოიხრჩო.

ჰუმანიტარული დახმარება

ინტელიგენტი ვარლამ ქესაძე თავისი ოროთახნახევრიანი ბინის გაცივებულ ლოჯიაში პალტომოხურული იჯდა და ძველ გაზეთს კითხულობდა.

ინტელიგენტი ცუდ ხასიათზე იყო.

ყოველღამე ესიზმრებოდა, თითქოს ეთიოპიაში, ათასობით განწირულ ეთიოპიელს შორის ქვიშზე იწვა და შიმშილით კვდებოდა. დილით გაბურბუსალებული იღვიძებდა და უკვირდა, რომ ცოცხალი იყო.

ინტელიგენტმა უშაქრო ჩაი დალია. ფეხზე ნივერსალური წებო „მომენტით“ სამ ადგილას დაწებებული რეზინის ჩექმები ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა.

თებერვლის ცივი, გაუსაძლისი დღე იყო.

ვარლამ ქესაძეს ეგონა, რომ ქარი იმის მიხედვით იცვლიდა მიმართულებას, საითკენაც ინტელიგენტი შეატრიალებდა თავს, რათა ცხოვრებისგან ისედაც გაწამებული კაცისთვის ერთმანეთში არეული ნამქერი და მტვერი სახეში შეეყარა.

გამგებლის მისაღები ცარელი იყო.

„ალბათ არ მოსულა, მაგრამ ლოდინითაც რომ არავინ ელოდება? თუმცა რა უნდათ, რომ აკითხონ, მე შენ გეტყვი, მიხვალ ახლანდელ გამგებელთან და სარჩო-საბადებელს გაგიჩენს, ან სამსახურის და ბინის პრობლემას გადაგიწყვეტს“.

მდივანი გოგონაც არსად ჩანდა.

კარი შეაღო.

– შეიძლება?

მაგიდასთან მჯდომმა გამგებელმა წამოუდგომლად დაუქნია ხელი. გამგებელს ყურებიანი კრაველის ქუდი ეხურა და მოლისფერი დრაფის პალტოს საყელოში დათვისფერი „მოხერის“ რიდე ჰქონდა ჩატენილი.

– მე ყოფილი მასწავლებელი გახლავართ, ბატონო, ვარლამ ქესაძე, მათემატიკოსი ვარ. თქვენ, ალბათ, არ გეცოდიენბათ, ახალი კაცი ბრძანდებით – დაიწყო ინტელიგენტმა, მოსულ-

დამხვდურმა სალამ-სალამი რომ დაამთავრეს და, როგორც იმერეთში საქმიანი საუბრის დაწყებამდე აუცილებლად მიღებულია, – ერთი-ორი სიტყვით ამინდსაც შეეხნენ.

– გიცნობთ ბატონო, რატომ ყოფილი?

– სკოლაში აღარავინ დადის ბატონო და უმოსწავლო მასწავლებელი არ გამიგონია მე.

– დროებითი ამბავია, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. რომ არ შეგვეწყვიტა სწავლა, დაგვეყინებოდნენ ბავშვები. დათბება და აპრილიდან განვაახლებთ.

– კი განაახლებთ, თუ დარჩა სკოლა. მერხებს იპარავს გამწარებული ხალხი, ბატონო, და შეშად ჩეხავს.

– შეგნების ამბავია, პატივცემულო. ეს ვართ სუულ? მეტი ვერ უნდა მოვითმინოთ? რომელი სკოლაა თქვენი?

– მეთოთხმეტე.

გამგებელმა შარშანდელი კალნედრის ფურცელს რაღაცა მიაწერა.

– მე სხვა რამის სათქმელად გეახელით, ბატონო. გაქვთ ცოტა დრო რომ მომისმინოთ?

გამგებელმა თავი დააქნია. თუმცა ინტელიგენტმაც უკვე მშვენივრად იცოდა, რომ გამგებელს დრო თავზე საყრელად ჰქონდა.

– რა არის იცით? გუშინ ჩამოიარა ვიღაცამ და; ოცდახუთიდან სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში გამოცხადდით ჰუმანიტარული დახმარების მისაღებადო.

– მერე? ოცდახუთია დღეს?

– დღეს ოცდაორია. ქე ვიცი, ნუ გეშინიათ, მთლად მასეც არაა ჩემი საქმე, მარა მე წინასწარ იმიტომ მოვედი, რომ გამოგიცხადოთ; უარს ვამბობ ჩემს წილ ჰუმანიტარულ დახმარებაზე და ეგება, საერთოდაც, მთელმა რაიონმა ვთქვათ უარი.

– იქნებ თქვენ არ გიჭირთ, პატივცემულო, სხვას რას ერჩით, ხალხი შიმშილით კვდება.

– მე რომ მიჭირს, ისე გაუჭირდა შენს დამაწყევარს, ბატონო, მაგრმ მაინც უარს ვამბობ, ასეა ეს...

– რატომ მაინც? – გამგებელმა პალტოს ჯიბიდან ხელთათმანები ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

– რატომ და მესამე წილწადია ამ დახმარებაზე ვღაღადებთ და ჩვენამდე პირველად მოვიდა. თუმცა, მოვა თუ არა ნამდვილად, ესეც საკითხავია. მაგრამ, როგორც ხმა იმის, ვიღაცას მაინც ხმარდება ეს დახმარება. მეორეც, ბატონო, დამიჯერეთ მე, სამოცდაშვიდი წლის კაცი ვარ, ამათხოვრებს, აბეჩავებს, ამონავებს კაცს ეს დახმარება. გთრგუნავს, თუ ცოტა ვაჟკაცობა და სიამაყე მაინც შეგრჩა, თავმოყვარეობას გილახავს. ამასაც რომ თავი გავანებოთ, სხვის ხელში შემყურეობა აზარმაცებს ადამიანს. დახმარების იმედი რომ აღარ ექნება, ხელს გამოიღებს კაცი. ფრჩხილებით მოჩიჩქნის, ცხვირით მოხნავს მიწას და რაღაცას მოიყვანს, რაღაცას დათეასავს. ხომ ხედავთ, წელსაც დაუმუშავებელი გვრჩება ყანები. ტრაქტორი და საწვავი არ გვაქვსო, თავს ვიმართლებთ. სად ჰქონდა ჩვენს წინაპარს ტრაქტორი, მარა რავარი ლურჯი პური მოდიოდა საქართველოში. დავანებოთ ამასაც თავი, თუ გინდათ. გადაიხედეთ ფანჯრიდან: ე, ეგერ იყიდება ჯიხურებში ჰუმანიტარული დახმარება. ჩემნაირ საწყალ კაცს არ ხვდება ეგ, ბატონო, მაფიას და სპეკულიანტს ამდიდრებს. ჩვენ ისე გადმოგვიგდებენ, უბრალოდ, ფიცში ჩასაყოლებლად. არ გვინდა არანაირი დახმარება, ხომ შეიძლება რომ არ გვინდოდეს? ერთი მომენტიცაა

მანდ. გაგაზარმაცებს, შრომას გადაგაჩვევს ჰუმანიტარული დახმარებით ის კაცი და ბოლოს, რომ მოსწყინდები, იმნაირ დროს შეგიწყვეტს იმ დახმარებას, რომ უკვე გვიან იქნება, შიმშილით ჭუკივით ამოგძვრება სული.

გამგებელმა მშვიდად მოუსმინა.

რაიონის პირველ კაცს არც მაშინ გაუღია ხმა, როცა ინტელიგენტმა თავისი სათქმელი დაამთავრა და მასპინძელს კითხვის ნიშნიანი სახით მიაჩერდა.

ჩანს, გამგებელმა „იდეების მატარებელი“, ენააქავებულ მორიგ მთოხვნელად მიიჩნია ქესაძე და კამათი არ გაუმართავს.

გამგებელმა მშვიდად მოუსმინა.

ინტელიგენტმა კარგა ხანს იცადა, ბოლოს ქუდი დაიხაურა და ისე დასტოვა კაბინეტი, რომ დამხვდურს არ დამშვიდობებია.

ბრუნდებოდა შინ მწარე ფიქრებისგან ნერვებდაღრღნილი ინტელიგენტი და სხვათა შორის ისიც უკვირდა, რატომ არ მიიტანა გულთან გამგებელმა მისი ჭკუით, აზრიანი წინადადება.

რა იცოდა ვარლამ ქესაძემ, რომ თვით გამგებელიც მაფიის წევრი იყო.

აეროპორტის მოსაცდელში

აეროპორტის მოსაცდელში მშობლებს შემოჰყვა თექვსმეტიოდე წლის ქერათმიანი გოგო.

ლოდინისაგან გათანგულები მის დანახვაზე კინაღამ ფეხზე წამოვცვივდით.

ენით აუღწერელი სილამაზე რასაც ჰქვია, ის იყო სწორედ.

მოდიოდა ზოოპარკიდან გამოპარული შველი, მოდიოდა დედასადევნებული ფურირემი, მოდიოდა ამობურცულტუჩებიანი, თეთრ-ფაფარიანიკვიცი, მაღალი ყელით, სიმსუბუქისაგან ათამაშებული ფეხებით.

წამის შემდეგ ყველანი გამოვერკვიეთ და წელში გავსწორდით.

დარბაზს თვალი მოვავლე.

უკლებლივ ყველა მამაკაცის (და ქალთა დიდი უმრავლესობის) თვალი მას შესცქეროდა.

კონდიციონერის ქვეშ დასხდნენ და აბგა-ჩემოდნები წინ დაიწყვეს.

დედამ (სხვათაშორის დედასაც წუნს ვერ დასდებდი, მაგრამ ახლა დედა ვიღას ახდოვდა) მტკაველისხელა „ნოუთბუქი“ ამოიღო და დააცქერდა, მაგრამ თავი გადასწია და თვალები დახუჭა.

გოგო კი თავისივე სილამაზით დაღლილი გოგო, წამდაუწუმ ოხრავდა და საათს დასცქეროდა.

აშკარად ჩანდა, თუ რაიმე არ უყვარდა, ეს იყო ერთ ადგილას ჯდომა და ლოდინი. ერთი შეხედვით არავის ყურადღებას არ აქცევდა. მისთვის ახლა ყველაფერი მოსაწყენად და თავისმომაბეზრებლად სულერთი იყო.

ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა.

მაგრამ მე ვინ ოხერი ვარ, რომ აეროპორტის მოსაცდელში შემოფრენილი ამ თეთრი გედის განწყობილებას ჩემი უხეში ფიქროგონებით ვეთამაშები.

ლამაზ ქალთა შინაგანი სამყაროს წვდომა არც ისე ადვილია, ძვირფასო მკითხველო, როგორც ზოგიერთ გულუბრყვილო მწერალს ჰგონია. გოგომ კარგად იცოდა თავისი თავის ფასი. აშკარად გრძნობდა, რა ტვირთს ატარებდა თავისი სილამაზის გადამკიდე.

მძიმე და დამღლელი იყო ეს ტვრითი, მაგრამ სასიამოვნო.

კარგად იცოდა, სად იყო და რა ხდებოდა მის თავს.

უხილავი ბრძოლის, განგაშის, მოსაცდელში დანთებული უალო ხანძრის გამჩაღებელი რომ თვით იყო, ეს იგრძნობოდა მის თითოეულ ამოოხვრაში.

ამ ამოოხვრებას ჩვენც ვაყოლებდით გულს და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. ვინ უფრო დამაჯერებლად მივიღებდით გულგრილი მგზავრის სახეს. თითქოსდა არაფერი ხდებოდა. მერე რა, მოსაცდელში ლამაზი გოგო იჯდა.

წამოდგა, დედას რაღაც უთხრა და ირმის ნაბიჯებით, წელში ზღაპრულად გამართული, თავაწეული და დაუჯერებლად ლამაზი ცნობათა ბიუროს ჯიხურისკენ გაემართა.

ხომ ბავშვობიდან ახლახან გამოსული გახლდათ, მაგრამ მან უკვე იცოდა, რომ ერთ ადგილზე მისი დიდხანს გაუნძრევლად ჯდომა დანაშაული იყო მოსაცდელში მყოფი ყელა კაცის წინაშე.

ჯიხურში შეყუჟულ ქალს რაღაც ჰკითხა და უკან მობრუნდა.

ყველამ შვებით და მადლიერებით ამოვისუნთქეთ.

5.08.2014.

მაკე ძროხა და მაკა

კიწი ნარმანიას თორმეტი წლის გოგო მაკა დილაუთენია ძროხის ბღავილმა გააღვიძა. ფოსტლებში ფეხები წაყო, ოლაჭვათირე გაირბინა და პერანგისამარა გომურში შევიდა.

თეთრშუბლა უშობელს – ჩეჩეს, თავი სოხანეზე ჩამოედო და ქშინავდა.

მაკამ ქედზე და ზურგზე ხელი გადაუსვა.

ძროხას გუგები ისე გაფართოვებოდა, ლამაზი ბრიალა თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, დრუნჩზე თეთრი ქაფი ხაზად აჩნდა, ფიცარნაგზე გარდიგარდმო იწვა ოდნავ კუდაწეული.

მაკამ გომურის კარი გამოუგდო.

ბოსტნის გასწვრივ სამყურა მობღუჯა და ამოიიღლიავა.

და თვით დაუყარა, მაგრამ ჩეჩემ ბალახი არც დასუნა.

გაგანიერებული ნესტოებიდან თბილ ჰაერს საბერველივით უშვებდა.

მაკა გამოტრიალდა და დედა გააღვიძა.

– დე, მშობიარობს.

ორივენი თავზე დაადგნენ ჩეჩეს.

ცოტა ხანში ცოლმა შეანჯღრია კიწი.

– გესმის? ჩეჩეს დაეწყო.

– ნამდვილად?

თვალების ფშვნეტით წამოჯდა კიწი.

– ჰო.

– გაგზავნე მაკა ჯგვეჯვესთან.

– ამ რიბრაბოზე სად გოვუშვა ბაღანა. ეგება არ წამოყვეს არ იცი ჯგვეჯვეს ამბავი? – კარგი აბა, მე წავალ.

კიწიმ შარვალი ამოიცვა და შუკაზე დაეშვა.

დედა გომურში შებრუნდა.

მაკა ჯორკოზე იჯდა და ტიროდა.

– რა გატირებს გოგო შენ?

მაკამ ხმა არ გასცა.

– ამის მეტი საქმე არა გაქვს, გოგო შენ?

მაკამ ზლუქუნს მოუმატა.

– ადექი ახლავე, მე შენ გელაპარაკები, გადაიბანე ხელ-პირი და გაკვეთილები გადაიმეორე. ნუ გეშინია, მამაშენი ჯგვეჯვეს მოიყვანს და ჯგვეჯგვე უშველის ამას.

– ხომ ხედავ, დედა, როგორ ტირის.

– უჭირს და აბა რა ქნას. პირველი დედობაა ჩეჩესთვის. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. ადექი, ადექი!..

მაკა წამოდგა, ერთხელ კიდევ გადაუსვა ჩეჩეს რქა-შუბლზე ხელი და გავიდა.

მზე ალვის ხეების ქარსაცავს წელამდე წვდებოდა, როცა კიწიმ ვეტექიმი ჭიშკარს მოაყენა.

– სად ხართ აქამდე.

თანამეცხედრე გომურის კარებში იდგა.

– არ დამხვდა სახლში. გაბუნიებს წაუყვანიათ. ფეხით გამასწრეს. გავვარდი მერე გაბუნიებთან და ა, აქამდე ვერ მოხერხდა. იმშობიარა უკვე?

– არა, ნამეტანი უჭირს.

ჯგვეჯგვეს არაფერი უკითხავს, პირდაპირ გომურს მიადგა.

სამშობიარო ფაცი-ფუცი... „აბა, ჩეჩე, ნუ გეშინია და აბა ცოტა გაიჭირვე“... „აბა შენ იცი, ჩეჩე“, „ო ასე, კარგი ჩეჩე ხარ შენ“, „ცოტაც და ა, ესაა სულ“...

ორთქლადენილი, ულამაზესი ბოჩოლა, შვლის ნუკრის მსგავსი ხბო, დედის ფეხებთან იწვა და თვალებს ნაბავდა. მას ვერაფრით ვერ გაერკვია, რა მოხდა მის თავს, რატომ გამოიყვანეს თბილი, რბილი სამყოფლოდან ამ უხეშ სიცხადეში.

ჩეჩე ზმუილით შეჰყურებდა თავის ნაშიერს და შიშით გახედავდა ხოლმე ვინც მისკენ დაიხრებოდა.

უეცრად სიბნელეს მაკა გამოეყო.

ხბოსთან მიირბინა, დაიჩოქა და მისი ორთლოწოვანი თავკისერი მკერდზე მიიკრა.

– შენ კიდევ აქ ხარ გოგო? სკოლაში არ წახვედი, შენ არ მოუკვდი დედაშენს?!

შეიცხადა ოჯახის დიასახლისმა.

– გაანებე თავი – უთხრა კიწიმ ცოლს.

ჩეჩე მშვიდად იყო.

22.07.2014წ.

სამაგიერო

ბიძაჩემი ქიშვარდი გარაყანიძე პარიზში დეიბადა და გეიზარდა. როგორც მაგენმა იციენ თქმა, მეოთხე თაობის ემიგრანტი იყო. იქანა, რავარც თვითონ მითხრა, ბროწეულის წვენის გამოსახდელი პატარა ფირმა ჰქონდა და ჩირთიფირთობდა თავისთვის. ფრანგი ცოლი ჰყავდა. შვილი არ მიცემია. ასე სამოცდაათის იქნებოდა, ქუთაისში რო ჩამევიდა თავისი ბებერი ცოლით. ბებერს იმიტომ ვამბობ, რომ ცოლი ერთი ათი წლით უფროსი მაინც იქნებოდა ბიძაჩემზე. ქე უშოვია ცოტა ფული ბიძაჩემს ბროწეულის წვენით პარიზში და იმ ფულით ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე,

კაი დიდი ორსართულიანი სახლი იყიდა. გეცოდინება ის სახლი შენ, ღოღობერიძეების ნაქონი სახლი იყო, მერვე შესახოვთან. იმნაირი ლამაზი სახლი ნინოშვილის ქუჩაზე ახლაც არ დგას.

მამაჩემს ოთხი შვილი ვყავდით. მე უმცროსი გახლავართ. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩამოსვლიდან სამ წელიწადში წეიღო წერილი ფრანგმა ქალბატონმა და დარჩა ბიძაჩემი მარტო. მიშვილა ბიძაჩემმა (ჩემი თანხმობით, რასაკვირველია) და ცოლ-შვილს მის ხელში მევეკიდე. ცხონებული ქიშვარდი შარშანწინ გარდაიცვალა. რას ვიზამთ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და დავასაფლავე ჩემი მამობილი ბიძა კარქათ, ღირსეულად, რავარც ეკუთვნოდა ისე. მერე ვალიკო მიზანდარის შვილიშვილს კუკურა მიზანდარს ბიუსტი შევუკვეთე და დავადგი საფლავზე ჩემ კაი ბიძას.

ეგენი კაი ხნის მოსული იყვნენ, ერთ უბედურ საღამოს პროკურორის მოადგილემ კუკური ბარამიძემ რო დამიბარა. მე ვთქვი, რა უნდა ჩემთან პროკურატურას. მეოთხე სკოლაში ვმუშაობ შრომის მასწავლებლად, რაცხა ორ კაპიკ ჯამაგირს ვღებულობ და რომ იტყვიან, რწყილს არ ვაღვიძებ. ეგაა, ფიცში რო არ შევიყოლო, ერთი-ორჯერ „ოცნების“ მიტინგზე ვიყავი. მიდიოდნენ მეზობლები და წავყევი მეც, ისე საყურებლათ.

მივედი პროკურატურაში, საღამო ხანი იყო, „მოამბე“ ახალი გათავებული იქნებოდა.

სუფთა ფურცელი დამიდო კუკურიამ წინ. ახლაო, თუ არ გინდა საქმე გაგიფუჭდესო, დაწერე ამ ქაღალდზე, რო ბიძაშენის დანატოვარ და შენს სახელზე გაფრმებულ სახლს შენი ნებით ჩუქნი სახელმწიფოსო.

გავშრი კაცი. ასეთი რამ სხვას რო ეთქვა, არ დევიჯერებდი. კი მარა, მე სა წევიდე ჩემი სამი ბოვშვით, მე ვუთხარი. გაქ შენ წასასვლელი, გადადი მამაშენის პატარა სახლშიო. იქანა ჩემი ორი ძმა ცხოვრობს თავისი ცოლ-შვილით, მე რანაირად დევეტევი-მეთქი. ახლაო, ბევრი ლაპარაკი არ უნდა ამ საქმესო. შენ, ქე უნდა მიხვდე, რო ეს ამბავი ზევიდან მოდის, უარი არ გაგივაო.

რავარც ჩემი ხელით ყელს არ გამევიჭრი, ისე ვერ მოვაწერ ბიძაჩემის პარიზში წვით და დაგვით ნაშოვი ფულით მოსისხლფასებული ქონების თქვენთვის ჩუქებას, მე ვუთხარი. რა გოუჭირდა სახელმწიფოს ასეთი, რო მე მართმევს უკანასკნელ თავშესაფარს და ქუჩაში მაგდებს-მეთქი.

გავწიე ქაღალდი განზე და მივაჩერდი კუკური ბარამიძეს.

ჭკუას მოუხმე, მე შენ გელაპარაკები, მთავრობასთან ჯაჯგური რომ არ გაგივა, კარგათ უნდა იცოდე შენო.

შენ არ მომიკვდე კუკურია, მე მაგი არ გავაკეთოთქვა, მე ვუთხარი.

აბა, აწი რაც მოგივა, შეს თავს დააბრალეო.

გლახა არაფერი ჩეიფიქრო კუკურია, ქუთაისი პატარა ქალაქია და ყველამ ყელასი ყველაფერი იცის. ბოლოსო ყველაფერი გეიგება და არ შეგრცხვეს მერე, მე ვუთხარი.

წადი ახლა და ბევრს ნუ ტლიკინებ.

შენ თვითონ გადმოუწყვიტე შენს თავს განაჩენი. მე ხელები დამიბანია და შენი საქმე შენ იცი. ირბინე მიტინგებზე და რაცხას გიშველის ბიძინა, ქე დეინახავ, მაგასაცო.

ერთი კვირა არ გასულა და სკოლაში მომაკითხა პატრულის მანქანამ. გაკვეთილს ვატარებდი. სამშაბათი დღე იყო, რა დამავიწყებს. სამშაბათს მესამე და მეოთხე გაკვეთილი მქონდა. პატარა რაღაცაა განყოფილებაში გასარკევი, ერთ კითხვას დაგისვამენ და ქე მოგიყვან ისთევლე უკან, სულ ათი წუთის საქმეაო. კი მარა, ამის მერე კიდო რომ მაქ მეოთხე გაკვეთილი-მეთქი?

იმას ქე მოუსწრებო, ერთმანეთს გადახედეს.

ისე მოუსწრო შენმა დამაწყევარმა, მე რო მეოთხე გაკვეთილს მოვუსწარი. მიმიყვანეს, გამჩხრიკეს და პიჯაკის ჯიბეში ოცდაათი ტაბლეტ „სუბოტექსი“ და ხუთი ჩეკი მარიხუანა „აღმომი-

ჩინეს“. ესეც არ მაკმარეს. სახლში გაჩხრეკის დროს ჩემი ცოლ-შვილის თვალწინ ძველთაძველი პარაბელუმი „მიპოვეს“ სამი მჭიდით.

არაფერი ჩემი არ გევიდა. სიტყვაც არ მათქმევინეს. იყიპყიპა ისევ მაგენის დანიშნულმა ადვოკატმა, უდანაშაულოა, გირაოთი მაინც გაათავისუფლეთო, მარა ისე მომისაჯეს სამი წელი, რო კინაღამ მადლობა მაძახებინეს.

მერე ის იყო, წელიწად-ნახევარში ბიძინას ამინისტია შემეხო და გამომიშვეს. აღარ მოგიყობი, რა დამცირება, რა წამება, რა წიხლით შედგომა და გაბითურება გადამხდა ციხეში. ერთი ეგ იყო, ცოცხით გაუპატიურება ვერ გამიბედეს (იცოდნენ თავს შევაკლავდი), თვარა სხვა არაფერი დოუკლიათ.

გამომიშვეს ნერვებდაგლეჯილი, განახევრებული კაცი, მარა ამას დეევეძებ? ახლა ნახონ რავარია უდანაშაულო კაცის ჯიჯგნა-მეთქი, გულში ვამბობ. ახლა გამოჩნდება ჩემი სიმართლე და ამ ჯალათების „ოხტში“ ამოვა მთავრობა, ამგენის ჯავრს მაინც ამოგვყრის ტყუილ-უბრალოდ რეპრესირებულებს-მეთქი.

გაგიგონია? გევიდა ერთი თვე, ორი, სამი, ოთხი... კუკურია ისევ თავის ადგილზე მუშაობს. კუკურია კი არა, პროკურორი და პოლიციის უფროსი ერთი საფეხურით ჩამოაქვეითეს, ისე, ფასონათ, თვარა ყველა თავის ადგილზეა.

დევიწყე განცხადებების წერა. ასე და ასე მიქნეს მე, მართალ კაცს, მთელმა ქუთაისმა იცის ჩემი ამბავი-მეთქი. ჯერ აქოური სასამართლოები ხო მევიარე, მერე თბილისის სასანართკიებს ოვუტალახე კარი და ბოლოს მინისტრებს მივადექი. მინისტრებთან მე ვინ შემიშობდა, მარა იმგენის მისაღებში შინაური კაცი გავხდი; ყველა თბილად მესალმებოდა და მეკითხებოდა, კიდე არ დაადგა შენს საქმე საშველიო?

ფიცში ვერ ჩავიყოლებ, ქე შემახვედრეს ერთ-ორ გამომძიებელს, მარა ყველა დარიგებულივით ერთსა და იმავეს მეუბნებოდა; მტკიცებულება არ გაქვთო. თქვენ ქე ამბობთ, რომ ნარკოტიკი და იარაღი არ გქონიათ, მარა მოწმე არ გყავთ და უმოწმოდ საქმეს ვერ აღვძრავთო.

ერიჰაა, რავარც ვატყობ, ის კახური ანდაზა მართლდება, კახელმა რო თქვა, რამდენი ვირი ვიყიდე, ყველა კუანა გამოდგაო, ეგენი ისე ითრევენ ფეხს, რომ საშველს არ დამაყენებენ, შეიძლება ამ ფეხის ათრევით ჭკუიდან გადამიყვანონ, მე თუ ჩემს თავს არ მივხედე და სამართალი მე თვითონ არ გავაჩინე-მეთქი.

დავიწყე იმით, რომ მივედი კუკურია ბარამიძესთან. რაც იყო იყო, სანამდე ვიყოთ მე და შენ უბრად, ბოლოს და ბოლოს ორივე ქუთაისელები ვართ და შევრიგდეთ-მეთქი. გაეხარდა. შერიგება მაგენს ყოველთვის უხარიათ. მეც მაწუხებდა ეს ამბავიო. შენ ჭკვიანი კაცი ხარ და ქე მიხვდებოდი, რო შენთვის სახლის წართმევის დავალება თბილისიდან მოდიოდაო. მე პატარა კაცი ვარო. შემეძლო, რასაკვირველია, უარი მეთქვა, მარა მაშინ უდა წავსულიყავი სამსახურიდანო.

შერიგებიდან ორი თვის თავზე კუკურიას ცოლს დოვურეკე, მე პროკურატურის სტაჟიორი ვარ, მე ვუთხარი, კუკური სასწრაფოდ თბილისში გაგზავნეს, იქანა ხუთი ადამიანი გვყავს დასაკითხი და რამდენიმე დღე დააგვიანდება, არ შეგეშინდეს-მეთქი.

ამ დარეკვიდან ათ წუთში, სასადილო შესვენებაზე გამოსულ კუკურის ჩემი ჟანგიანი ჟიგულით წამოვეწიე, დაჯექი, მეც იქით მივდივარ-მეთქი.

დაჯდა, მივაყენე გიორგიბიანის ჩიხში მანქანა და ვუთხარი, აგერ პურმარილია გაშლილი ჩემს ნათესავთან და წევისადილოთ-მეთქი. კი ბატონო, მარა ერთ საათზე მეტი დრო არ მაქვსო.

დავაწექი პედალს და ბაკისუბნის ბოლოს, არხის მარცხენა მხარეს, ტყის პირას ბიძაჩემს საღორე ჰქონდა. ახლა, ორად ორი ღორი მყავს და ერთი წუთით გავჩერდები, ღორებს სალაფავს

დოვუდგამ და პაწაწუნა გოჭებსაც გაჩვენებ-მეთქი. ცხელოდა. პიჯაკი გაიხადა და მანქანაში ჩატოვა. კაბურა არ ეკეთა მხარზე, ესე იგი ტაბელური იარაღი თან არ ჰქონდა.

გავამზადე სალაფავი, დოვუდგი ღორებს და მოვუბრუნდი კუკურიას, შეიხედე, რა საყვარლები არიან-მეთქი. რომ მევიდა ახლოს, ვკარი ხელი და საღორეში შევაგდე. გარედან ბოქლომი დავადე საღორეს, კაი მაგარი საღორეა, მუხის მორებით გაკეთებული. მობილური პიჯაკის ჯიბეში დარჩა. გამოვრთე მაშინვე, რა სალაპარაკოა.

გევიდა სამი დღე. მივდივარ დღეში ერთხელ. ღრიჭოდან ვაწვდი კუკურიას ღორის სალაფავს. ხმას არ იღებს. არ ყვირის სხვათაშორის, რცხვენია, ამ დღეში რო ჩავარდა.

მესამე დღეს მივედი ახალდანიშნულ პროკურორთან, შარიქაძეა, ხარაგაულელი, კაი ბიჭია სხვათაშორის, გოჩა ჰქვია.

ბატონო გოჩა, მე ესა და ეს კაცი ვარ. თუ გაქვთ დრო, წამომყევით, მარტო თქვენ გენდობით, სხვას არ გავუმხელ ამ საქმეს-მეთქი.

წამომყვა, შენ წარმოიდგინე.

მივიყვანე საღორესთან, გავხსენი ბოქლომი, გამოვუშვი კუკურია ბარამიძე და მისი თანდასწრებით მოვუყევი ყველაფერი პროკურორს.

ახლა აგერ ვარ თქვენ წინ. მე ჩემი გავაკეთე. სამი დღე ხო ვაჭამე კუკურიას ღორის საფლავი, არ ვიზამდი ამას, სამართალს რო პური ეჭამა, მარა ჩემკენ არავინ გამეიხედა. როგორც ჩანს, მართალი კაცის შველის დრო ჯერ არ დამდგარა-მეთქი. ახლა დამიჭირეთ და გამასამართლეთ. რაც გავაკეთე, ყველაფერზე პასუხისმგებელი ვარ-მეთქი.

წამომყვა, შენ წარმოიდგინე.

მივიყვანე საღორესთან, გავხსენი ბოქლომი, გამოვუშვი კუკურია ბარამიძე და მისი თანდასწრებით მოვუყევი ყველაფერი პროკურორს.

ახლა აგერ ვარ თქვენ წინ. მე ჩემი გავაკეთე. სამი დღე ხო ვაჭამე, კუკურიას ღორის სალაფავი, არ ვიზამდი ამას, სამართალს რო პური ეჭამა, მარა ჩემკენ არავინ არ გამეიხედა. როგორც ჩანს, მართალი კაცის შველის დრო ჯერ არ დამდგარა-მეთქი. ახლა დამიჭირეთ და გამასამართლეთ. რაც გავაკეთე, ყველაფერზე პასუხისმგებელი ვარ-მეთქი.

რას იტყვიო, თავიდან ფეხებამდე ღორის სკორეში ამოგანგლულ კუკურიას მიუბრუდა პროკურორი.

თავი ჩაჰკიდა კუკურიამ. იფიქრა და ამოილუღლუღა:

– რაც იყო იყო, მე არ ვჩივი. იცის მაგან, რომ მთლად ჩემი ბრალი არ იყო მაგის დაჭერა, თვითონ თუ გაჩერდება მე მჩივლებელი არ ვარო.

შემეცოდა მაინც, ხომ იცი შენ. ეტყობა, მეც გულშვილი კაცი ვარ.

ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს.

ამით დამთავრდა ეს ამბავი.

აგერ თითქმის წელიწადი გადის, არც კუკურიას ამოუღია ხმა და არც მე გამიხდია სალაპარაკოთ ეს ამბავი.

პროკურორი გოჩა შარიქაძე, რო შემხვდება, თავს გადააქნევს და იღიმება.

კუკურია ისევ იქ მუშაობს.

12.02.2014წ.
თბილისი

კოჭლი მტრედი

პაპანაქებაა.

თბილისელთა იმ კატეგორიას ვეკუთვნი, წასასვლელი რომ არსად აქვს. რომც მქონდეს დასვენების საშუალება, ჩემს მტრედებს ვერ ვუღალატებ.

ელექტრონის მავთულზე გამწკრივებულნი სხედან და მელოდებიან.

ტომსიკით ხელში დამინახავენ თუ არა, ჩამოწყდებიან მავთულიდან და ჩემს წინ ქვაფენილზე დაყრილ სიმინდს შეესევიან. საკენკს რომ მოაქრობენ, ცოტა ხანს დარბიან წინ და უკან. კიდევ ხომ არაფერი დარჩაო. იმედი რომ გადაეწურებათ, ოცდაათამდე მტრედი წყლით სავსე ვარცლთან გამწკრივდება. ერთ ნახვად ღირს ყურებად მორიგეობით, ჯერ წყალში ჩაყოფენ პაწაწინა ნისკარტებს, მერე ჩახტებიან ვარცლში, ფრთებს ააბათქუებენ, თავკისერფრთებიანად დასველდებიან და გაფრინდებიან.

ვიქნები სწორი მივატოვო მტრედები და დასასვენებლად გავემგზავრო?

ჰოდა, ჩემი მტრედების ტყვე ვარ.

ამ ერთი თვის წინ თეთრი, შავხალებიანი მტრედი გაერია მარაქაში.

ვხედავ, ორივე ფეხი შეკრული აქვს. ასფალტს მუცლით ეკვრის და ხტუნვა-ხტუნვით გადაადგილდება.

შიმშილისაგან ისეა დასუსტებული, რომ ქარი წაიღებს. წკირს ძაფი გამოვაბი, ყუთს შევუყუდე, შიგნით სიმინდი მიმოვყარე და ახლომახლო დავჯექი.

დაბორკილი მტრედი ტკუპტკუპით შევარდა ყუთში. ძაფი დავქაჩე და ჩემი ტყვე ერთი აფართხალება აფართხალდა, მაგრამ მალევე გაჩერდა.

ხელში ავიყვანე.

ეტყობა ვიღაცას გამოექცა.

ფეხის თითებთან და წვივს ზემოთ ისე გამეტებულად აქვს შემოჭრილი ნეილონის ძაფი, რომ მარჯვენა ფეხი სისხლის უმოძრაობისგან გაშავებია, მარცხენა კი ჩაჭრილი აქვს და სისხლი სდის.

ჩანს დიდხანს ჰყავდათ დატყვევებული, რადგანაც ნეილონის ძაფს კანი ძვლამდე ჩაუჭერია და ზოგ ადგილას კანი გარედანაა შემოზრდილი.

მოვიმარჯვე „ბრიტვა“ და შევუდექი ოპერაციას.

მტრედი მარცხენა ხელში პირაღმა მიჭირავს და, თქვენ წარმოიდგინეთ, არ ფართხალებს, გაქცევას არ ცდილობს. როგორც ჩანს, ხვდება, რომ ცუდს არას ჩავდივარ.

შემოვაჭერი ძაფები, სისხლიანი ადგილები არყით მოვწმინდე და ბამბით იოდი წავუსვი.

რა ვუყო ახლა?

მარჯვენა ხელზე სიმინდი დავიყარე. რა თქმა უნდა, მტრედისთვის ხელი არ გამიშვია. ხელისგული ნისკარტთან მივუტანე.

საოცრება მოხდა; აკენკა.

მეორე სართულის აივანზე ავიყვანე, სიმინდი „მეტლახის“ ფილაქანზე დავუყარე და დავსვი.

გაფრინდა, მაგრამ შორს არ წასულა, იქვე სამიოდე მეტრში, ლეღვის ტოტზე დაფრინდა და მიცქერის.

სამსახურში წავედი და რომ დავბრუნდი, ისევ იმ ადგილას, ლეღვის ტოტზე დამხვდა.

დილით ფრთხილმა კაკუნმა გამაღვიძა.

ფანჯარას მივვარდი.

ჩემი „პაციენტი“ მუცლით დაშვებულა „მეტლახის“ ფილაქანზე და კენკავს. რომ გაათავა, გაფრინდა.

ქილით წყალი დავუდგი და სიმინდი კვლავ დავუყარე.

დილამდე არ გამოჩენილა.

მალე თვე შესრულდება, ყოველდღე აივანზე მხვდება ჩემი შავხალება.

ფეხები თითქმის მოურჩა.

შავ ფეხს სიწითლე დაუბრუნდა, ოდნავ კოჭლობს, მაგრამ არა უშავს.

ჰოდა, შენ მეუბნები, მთელი წლის ნაბრძოლ-ნაჯახირევი, ერთი შურით გაბერილი, მწერლობადაბრალებული, თვითმარქვია ნაძირალას გადამკიდე გადაღლილი ხარ, წადი დაისვენეო.

სად წავიდე?

ვის დავუტოვო ეს ჩემი თეთრყირმიზა შავწინწკლებიანი ძლივს გადარჩენილი მტრედი, ვის?

8.08.2014წ.

და აი ასე, ბატონმა რეზო მიშველაძემ 25 ტომით დაგვასაჩუქრა... გასაკვირი ისაა, რომ მკითხველს კიდევ შესთავაზა ახალი წიგნები

ოცდახუთი ტომეულის მესაკუთრევ,
საქართველო, მოკრძალებით შემოგცქერის...
ბედო, მწერალს კვლავ წიგნები დააკურთხე...
ღრუბლები კი მზის სხიევებით გამოცერი.

გულნაზ ხარაიშვილი

ბეჟან ხარაიშვილი



წამალი

მოთხრობა

გაზაფხულის პირმცინარი მზე საამო სხივებით დაჰხაროდა მდინარის პირას მდგომ ასწლოვან მუხის ფოთლებს. ბებერ მუხასაც ხელის გულივით გადაეშალა ფართო, განიერი ტოტები ქვეშ მსხდომი მოკისკისე გოგო-ბიჭებისათვის გრილ ნიავს ნარნარად მოჰქონდა ყვავილთა ნორჩი სურნელი და მომეტებული სიამტკბილობით ყმაწვილების ნორჩ გულებში აქსოვდა. იქვე ახლოს, ბუჩქებში, ბულბული გაუჩინარებულიყო და საამო ჰანგით ეტკბილ-დასტურებოდა ბავშვების კისკისსა და ხუმრობას. მოუსვენარი მდინარე თითქოს განგებ მიაქანავებდა ასე მიმზიდველ ტალღებს და ბავშვებს საბანაოდ მოუხმობდა.

– ვიბანაოთ! – დაიძახა ბავშვების შუა გულიდან ერთმა ტანმაღალმა ხუჭუჭთმიანმა ბიჭმა.

– ვიბანაოთ, თორემ შენც ყვინთვაში არ მაჯობო! – გამოექომაგა შავგვრემანი, საოცარი სილამაზის ბიჭი. ამ ბიჭს მეტსახელად ტრაბახას ეძახდნენ, მეგობრები. ბიჭები წამოიშალნენ. ტრაბახამ ნაჩქარევად გაიძრო ტანსაცმელი და წყალში შეტოპა. დანარჩენებმაც ტრაბახას მიჰბაძეს და ყირამალა გადაეშვნენ მდინარეში.

ნაპირზე მხოლოდ ორი ბიჭი დარჩა, ეს ბიჭები თბილისელი ძმები იყვნენ. ფრიადოსნები, ზრდილობიანები და ერთი მეორეზე ლამაზები. უფროსი მათგანი ტარიელი, გონებამახვილობით თავის ძმას სჯობდა. და აი, ახლაც ბიძინას აფრთხილებს:

– მთელი მონდომებით იმოქმედე. იცოდე თუ ტრაბახამ გაჯობა მთელ სოფელს შეყრის და იტრაბახებს: ბიძინას ვაჯობე-ო. ბიჭები სულ-მოთქმელად მოელოდნენ ბიძინას წყალში ჩასვლას. და აი! გაიძრო ტანსაცმელი და ნამდვილი სპორტსმენივით წყალში გადაეშვა. ტარიელიც მოემზადა, მაგრამ ბიჭებმა ნება არ მისცეს – ნაპირზე იყავი, ბიძინას და ტრაბახას „უმსაჯეო“.

– მაგას როგორ ვენდობი, ეგ ხომ თავის ძმას მიუდგება? იძახდა ტრაბახა.

– მე წამმზომი მაქვს და ამით გავიგებ რომელი აჯობებთ.

– სხვებმაც „იმსაჯონ“, მარტო შენ როგორ დაგიჯერებ! – ბუზღუნებდა ტრაბახა.

– მოდით, მეგობრებო! ყველა დააცქერდით წამმზომს. – შესთავაზა ტარიელმა, მაგრამ „მსაჯს“ ახლოს არავინ მიჰკარებია, რადგან ყველა გულწრფელად ენდობოდა ტარიელს.

– დავიწყოთ მეგობრებო! ომახიანად წარმოსთქვა ტარიელმა.

ბიძინამ შურიანი თვალით გადახედა მეტოქეს და ქვაზე შველივით შეხტა. ეს ქვა მდინარეში აღმართულიყო, რომელიც თავის მოხატულობით მხარ-თეძოზე წამოწოლილ ვეფხვსა ჰგავდა. მეტოქეების მოლოდინში თითქოს განგებ დადუმებულიყო და გაფერმკრთალებულიყო.

– ერთი... ორი... სამი... და ბიძინა კისრით პირდაპირ ისარივით ჩაეშვა წყალში. ტარიელი წამზომს დასცქეროდა.

– ერთი წამი... ორი... ოცი... ოცდათხუთმეტი... ორმოცი... და სწორედ ამ დროს ამოჰყო თავი ბიძინამ.

– ვაშა! იგრიალეს გოგონებმა და ბიძინა ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

– შენი ჯერია, ტრაბახა. შეახსენეს მეგობრებმა ტრაბახას, რომელიც ერთ ადგილზე გაშეშებულიყო და გულში ფიქრობდა „ეს რა დავიტრაბახე-ო“. ტრაბახა ძლივს-ძლივობით აცოცდა ქვაზე და შეშინებული თაგვივით დაიწყო თვალების იქით-აქეთ ცეცება.

– რას გაფითრებულხარ ტრაბახა, ხომ არ შეშინდი? – დასცინეს მეგობრებმა.

– შევშინდი არა, ქალაჩუნა ხომ არ გგონივართ?

– მოემზადე... ერთი... ორი... სამი... ტრაბახა გადახტა, მაგრამ ვაი, იმ გადახტომას. მდინარის ზედაპირზე მუცლით დაეცა და „ვაი დედაო“ ესღა შესძახა, დანარჩენი სიტყვები მდინარის ტალღებმა შთანთქეს.

– ოცი წამი... ორმოცი... ერთი წუთი...

„მაჯობა“ გაიფიქრა გულში ბიძინამ და მოუსვენრად აფორიაქდა. ტარიელი ისევ განაგრძობდა თვლას.

– წუთ ნახევარი... ორი წუთი... დაიხრჩო ძმებო! და ტარიელი ტანგაუხდელად გადაეშვა მდინარეში. მას სხვებიც მიჰყვნენ. ნაპირზე მდგომმა გოგონებმა შემზარავი კივილი მორთეს და აქეთ-იქით სირბილი დაიწყეს. უცებ ერთმა გოგონამ ხმამაღლა წამოიძახა:

– აგერ! იმ ქვის უკან არის ამოფარებული, ვხედავ! ვხედავ! დარცხვენილი ტრაბახა ნაპირზე გამოვიდა და ტანსაცმლის ჩაცმა დაიწყო. ცდილობდა მალე მოშორებოდა იქაურობას რადგან მეგობრების წინაშე იცრუა.

... მეორე დილით ოთხი მეგობარი: ტარიელი, თემო, ხვიჩა და ბიძინა ტყის პირას, მწვანედ აბიბინებულ მინდორზე ბურთს თამაშობდნენ. ეტყობოდათ გუშინდელი შემთხვევით არც ისე გახარებულნი იყვნენ, მაგრამ ბავშვურ გატაცებას მაინც თავისი გაეტანა.

იქვე ახლოს, იელის ბუჩქებს ამოფარებული ტრაბახა სულგანაბული ადევნებდა თვალყურს მეგობრების თამაშს. ახლოს მისვლას ვერ ბედავდა.

დიდხანს ველარ მოითმინა მარტოდ ყოფნა, გამბედაობა მოიკრიფა და მინდორზე გამოვიდა. მეგობრებისგან კარგს არაფერს მოელოდა და ამიტომ თვითონ წამოიწყო წინასწარ მომზადებული სიტყვები: – ბიჭებო! მე თქვენთან ბურთის სათამაშოდ კი არ მოვედი, არამედ პატიების სათხოვნელად! დღეიდან პირობას ვდებ, აღარც ვიცრუებ და აღარც არაფერს დავიტრაბახებ. გჯეროდეთ ჩემი.

ტარიელს გული მოულბო ტრაბახას სიტყვებმა.

– ვაპატოიოთ! – ერთხმად თქვა ყველამ.

– დღეის შემდეგ შენ ისევ თამაზი ხარ! – უთხრა ტარიელმა.

– თამაზ! წამოდი, ბურთი ვითამაშოთ. მხარზე ხელი დაადო ხვიჩამ.

თამაზს რცხვენოდა, მაგრამ ბურთის თამაშზე უარს როგორღა იტყოდა. სულ ცოტა ხანში გაღმა უბნელი ბიჭები მოვიდნენ. გაჩაღდა ფეხბურთის თამაში. პირველ წუთებში გაღმა უბნელთა მეკარე ომახიანად გამოიყურებოდა, ხოლო როდესაც ტარიელის ძლიერი დარტყმული ბურთი შიგ თვალებში მოხვდა, წაიქცა და ღრიალი მორთო. მერე ხვიჩამ ჩამოაწოდა ბურთი, მაგრამ მეკარე კარიდან დაფეთებული გაიქცა, გაღმაუბნელი დამცველი იძულებული შეიქმნა ბურთი ხელით აეღო. თხუთმეტ მეტრიანი საჯარიმო დარტყმა... გაღმა უბნელთა მეკარე კარში ძლივს შეიტყუეს კარში, ზოგი რას შეჰპირდა და ზოგი რას. თემო ბურთის დასარტყმელად ემზადებოდა, ხოლო მეკარე კარიდან გასაქცევად. გამორბენი! დარტყმა! მეკარემ ერთი ნაბიჯი ძლივს გა-

დადგა კარიდან გასაქცევად და თემოს დარტყმული შიგ შუბლში მოხვდა. ბურთმა მიმართულება შეიცვალა, მეკარემ კი მდგომარეობა.

– აიღო! აიღო! – ყვიროდნენ გაღმა უბნელები.

თავი II

მზე უკვე ამოსულიყო და დილის პირმცინარე სხივებს დედამიწას უგზავნიდა. ბურუსი ნელ-ნელა მიიწევდა მაღლა და ოქროს მძივებივით მოკამკამე ცვარსს ანაზდად სტოვებდა მდელოზე გაფანტულ ყვავილთა გვირგვინებზე. ყვავილებსაც თითქოს განგებ დაეხარათ თავი ათასფრად მოელვარე მზის სხივების წინაშე. ტოროლები მაღლა-მაღლა მიიწევდნენ ფრენით და თითქოს დასცინოდნენ ბუჩქის პირას წამოწოლილ თამაზს. „ჩვენ უკვე სივრცის დასაპყრობად მოვფრენთ და თქვენ ერთად შეგროვებაც ვერ მოგიხერხებიათ-ო“.

ნეტავ რად დაიგვიანეს? ფიქრობდა თამაზი და მოუსვენრად იშმუშნებოდა. თამაზი ბუნების სიმშვენიერეს გაეტაცნა და დროდადრო შარაგზისაკენ გასცქეროდა. თვითონ ამ გზით მოვიდა და ამ გზით უნდა მოსულიყვნენ დანარჩენი მეგობრებიც. უცებ თამაზს კუდმაკრატელა მერცხალმა გადაუფრინა ძალიან ახლოს. შეეპოტინა, შეირხა და წამოწოლილმა მარჯვენა ფეხი უნებლიედ გაიქნია. მერცხალმა არხეინად ჩაიქროლა და თამაზის ფეხი წითელზოლებიან კალათას მოხვდა და თავდაღმართში დაგორდა. თამაზს არც გაუგია, თვალი ისევ კუდმაკრატელა მერცხალს გააყოლა. თემო, ტარიელი, ბიძინა და ხვიჩა აღმართზე ამოდიოდნენ და სულგანაბული გასცქეროდნენ ბუნების მომაჯადოებელ სანახაობას, რომ უეცრად თავზე კალათა გადაახტათ.

– ჰეი! რომელი ხარ მანდ! გასძახა თემომ. თამაზი ფიქრებიდან გამოერკვა, კალათას მოუფათურა და რომ ვერსად ნახა შეცბუნდა.

– რომელია? – იკითხა ახლა ტარიელმა.

– თამაზია, თამაზი! – იძახდა ბიძინა.

ბიჭები დიდხანს იცინოდნენ თამაზის ოინბაზ კალათაზედ. ხუმრობით რომ გული იჯერეს ყველანი ტყეს შეერივნენ და სოკოს კრეფას შეუდგენენ. შუადღემდე ისე ჰკრეფდნენ სოკოებს. არც შიმშილი უგრძვნიათ და არც დაღლა. უცებ თემომ წამოიძახა:

– ბიჭებო! ამინდი იცვლება, ალბათ სულ მალე იწვიმებს. სახლში წავიდეთ თორემ წვიმა მოგვისწრებს ტყეში.

ბიჭები თავქვე დაეშვნენ. მდინარის ნაპირს რომ ჩააღწიეს, სოფლის სამანქანო გზაც გამოჩნდა. გზის პირას ტარიელმა წყალი შენიშნა, რომელიც ქვებში გამოწანწკარებდა. „ამ წყაროს მოწყობა შეიძლება, გზის პირას არის და მგზავრებს გამოადგებათ.“ გაიფიქრა ტარიელმა და თავისი განზრახვა მეგობრებს გაანდო.

– საჭირო იარაღები ვიშოვოთ და ხვალვე მუშაობას შევუდგეთ!

– მე ძალაყინს მოვიტან! – ცოცხლად წარმოსთქვა თამაზმა.

დღესვე ჩამოვალ ხვიჩასთან და ძალაყინთან ერთად წამალს ჩამოვიტან!

– რა წამალს ჩამოიტან? – შეეკითხა ბიძინა.

– ხვიჩას დედა ავადაა და წამალი მამაჩემს უნდა მოეტანა.

– კი, მაგრამ მამაშენი რატომ მოიტანს?

– მამაჩემი, დასასვენებლად იმყოფება, შავი ზღვის სანაპიროზე, დედა ავადაა და თამაზის მამამ სთქვა; წამალს მე მოვუტანო. – უპასუხა ხვიჩამ.

– კარგი, დღეს ჩამოდი ხვიჩასთან და ყველაფერი ჩამოიტანე, ხვალ კი საქმეს შევუდგეთ! – მიმართა ტარიელმა თამაზს.

–თამაზ! ჩვენს სოფელში რომ თებროლე ბებო ცხოვრობს ხომ იცნობ? – შეეკითხა თემო.

– კი.

– ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ხუთ-ხუთი სოკო შევკრიბოთ და თებროლე ბებოს მივუტანოთ. თებროლე ბებოს სოკოს მიმტანი აღარავინ ჰყავს, ისე კი, სოკო ძლიერ უყვარს?

– შენ რას იტყვი?

–მე შემიძლია მთელი კალათა დავთმო, თებროლე ბებოსათვის, სახლში ერთ ცალსაც არ წავიღებ. – დაუფიქრებლად უპასუხა თამაზმა.

– ეგრე არ გვინდა!

– აბა როგორ?

– როგორ და ხუთ-ხუთი სოკო შევკრიბოთ, იმას მაინც ეყოფა.

– მე ექვს სოკოს ვდებ.

– მაშ, ჩვენც ექვს-ექვს დავდებთ და ერთი კალათა შეგროვდება.

მეგობრები ასეც მოიქცნენ. ექვს-ექვსი სოკო ერთ ცარიელ კალათაში მოათავსეს, რომელიც ბიძინას საგანგებოდ ჰქონდა წამოღებული. წვიმამ მოუხშირა. ბიჭები სოფელში მიმავალ გზას დაადგნენ.

ცოტა ხანში ავტომანქანის მოტორის დუდუნი მოისმა. ბიჭები შეჩერდნენ მძღოლმა მანქანა შეაჩერა.

– მოდით ბიჭებო, მოდით! აი თქვენ გენაცვალეთ თქვენ, რამდენი სოკო მოგიგროვებიათ.

ბიძინამ ეჭვიანი თვალით შეხედა მძღოლს და ადგილიდან არ დაძრულა. თემო მიუხვდა ბიძინას ჩანაფიქრს და უდარდელად ჩაიხითხითა.

– ნუ შიშობ ბიძინა, ეს მამაჩემია, სოკოებს არ წაგართმევს.

– მოდი ბიძიკო აქ! რისი გეშინია, მე კაცის მჭმელი კი არ ვარ, მაჩვენე აქ ეგ კალათა!

ბიძინამ კალათა გადასცა და ზედ სევდიანი მზერა გააყოლა. დიდხანს ვეღარ მოითმინა და დასძინა – თებროლე ბებოსია-ო.

– რა არის ბიძიკო თებროლე ბებოსი, კალათა?

– არა, სოკო.

– კი, მაგრამ ეს როგორ?

– როგორ და ყველამ ერთად შევაგროვეთ.

– თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო, აი ბიჭებიც თქვენ ყოფილხართ! ასე უნდა, მოხუცებს უნდა დაეხმაროთ. თქვენ როგორ გგონიათ მათ არა ჰყავდათ შვილები? ჰყავდათ, როგორ არ ჰყავდათ, მაგრამ ბრძოლის ველზე გაგზავნეს, მაშინ, როდესაც სამშობლოს უჭირდა, ისინიც იბრძოდნენ იმისათვის, რომ თქვენთვის, ახალგაზრდა თაობისათვის ბედნიერი და ნათელი გზა გაეხსნათ.

– ჩვენც ვიცით, ძია ბონდო – ყველამ ერთხმად თქვა.

ძია ბონდო ცოტა ხანს ჩაფიქრდა. ეტყობოდა თავისი ტოლ-მეგობრები მოაგონდა. ბრძოლის ველიდან ყველა ვერ დაბრუნდა. ზოგი ცალფეხი, ცალხელი, ან კიდევ ნატყვიარი ჩამოვიდა. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ძია ბონდო ისევ თავის საყვარელ სპეციალობას დაუბრუნდა და

სოფლის ავტომანქანის საჭეს მიუჯდა. სოფელშიც კარგი სახელი აქვს. ფიქრებში წასული ბონდო ძია ისევ ბავშვებმა გამოაფხიზლეს.

– წავიდეთ, ბონდო ძია, წვიმამ მოუმატა და მთლად დავსველდებით.

– აბა ჰე! თქვენ ძარაზე შესხედით და წავედით.

ავტომანქანის მოტორი აგუგუნდა. ათიოდე წუთის შემდეგ თემომ მამას გადმოსძახა:

– გააჩერე მამი. აქედან პირდაპირ თებროლე ბებოს სახლისაკენ გადავივლით. ბიჭები ავტომანქანიდან ჩამოვიდნენ.

– მე ვერ წამოვალ თებროლე ბებოსთან. – ჩაილაპარაკა თამაზმა.

– რატომ?

– ხომ გითხარით, ხვიჩას დედას წამალი უნდა ჩამოვუტანო. ხვალ ხვიჩას დედაც უკეთ იქნება და ჩვენც წყარო გავაკეთოთ.

– ოღონდ ტრაბახი და ტყუილი არ იყოს თამაზ, ვაჟკაცურად უთხრა ტარიელმა.

– ტრაბახი არ იქნება! მე წავედი, ნახვამდის მეგობრებო.

მეგობრები ერთმანეთს დაშორდნენ. თამაზი ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას...

მწვავე ტკივილებისაგან შეწუხებული ხვიჩას დედა საბრალოდ ქვითინებდა, ხვიჩას მოსვლა რომ გაიგო, შვილისაკენ გადმობრუნდა და საბრალო ხმით შეეკითხა:

– შვილო კალათით რა მოიტანე?

– სოკო მოგიტანე დედილო, იცი როგორი მიქლიოებია? შეგიწვავ და შენ თვითონ ნახე.

– არ მინდა, გენაცვალოს დედა. საჭმლის ჭამის თავი არ მაქვს. სუნთქვა მიჭირს და გული მეხუთება. მოდი, აქ, ახლოს დამიჯექ, მოგესიყვარულო, მგონი ამაღამ ვერც გავათენო, მოდი ბიჭო, მოდი, შენი დედიკოსი ხომ არ გეშინია? ერთხელ მაინც გაკოცო შვილო მოდი, მომიახლოვდი! – ტიროდა თემო, ქვითინებდა თემოს დედაც...

– ნუ გეშინია დედილო. თამაზის მამა მოსული იქნება და წამალს მოგიტანდა. თამაზმა სთქვა ეხლავე წამალს ჩამოვიტანო. თან ძალაყინს ჩამოვიტან და წყარო უნდა გავაკეთოთ...

– მარჯვე ბიჭი ხარ ხვიჩა, მაგრამ შენი საყვარელი დედიკო რომ აღარ გეყოლება?..

– ნუ... ნუ... დედილო, შენ არ მოკვდები, მე არ მოგშორდები ჩემო დედიკო-ო...

ქვითინებდა შვილი. ქვითინებდა დედაც.

თამაზი არ ჩანდა...

...ძლივს ვაი ვაგლახით გაათენა ხვიჩას დედამ წყვდიადი ღამე. მეორე დილით ტარიელი, თემო და ბიძინა მოვიდნენ.

ავადმყოფი რომ საშინელ მდგომარეობაში დაინახეს იმ წამსვე ხვიჩას შეეკითხნენ:

– თამაზი არ ჩამოსულა?

– არა! – ნაღვლიანად უპასუხა ხვიჩამ.

ტარიელს ბოღმა ახრჩობდა; „კიდევ იცრუა“ ფიქრობდა თავისთვის და გულში რაღაც ნემსივით ჩხვლეტდა.

– ჩვენ წავიდეთ ქალაქში და წამალს აუცილებლად ვიშოვნით. ტარიელის ეს აზრი ყველას მოეწონა.

ცოტა ხნის შემდეგ სამი მეგობარი: ტარიელი, ბიძინა და თემო ქალაქისაკენ მიმავალ ღია ავტომანქანას მოჰყვებოდნენ. გადაუღებლად წვიმდა. ბიჭები მთლად დასველდნენ. მაგრამ ისინი ეხლა ამაზე არ დარდობდნენ, ბიჭები ქალაქში ჩამოვიდნენ. თითქმის არც ერთი ადგილი არ

დაუტოვებიათ გაუსინჯავად, ისეთი, სადაც წამალი ეგულებოდათ, მაგრამ ყოველთვის ხელცარიელნი გადადიოდნენ ადგილიდან ადგილზე. ბოლოს იმედგაცრუებულნი ფიჭვის ძირში გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ და დაფიქრდნენ.

– რა ვქნათ? – იკითხა ბიძინამ.

– სხვა საშუალებას მივმართოთ, იქნებ წამალი როგორმე ვიშოვნოთ – უპასუხა თემომ.

– მე თბილისში წავალ. მცირე ხნის დუმილის შემდეგ წარმოსთქვა ტარიელმა.

– თბილისში წახვალ?

– დიახ! თბილისში წავალ, მამასთან.

– მერედა სამგზავრო ფული რომ არ გეყოფა?

– სამგზავრო ფული ყველამ ერთად შევკრიბოთ.

– როდის ჩამოხვალ?

– ხვალ აქ ვიქნები.

– ჩვენ როგორ გავბრუნდეთ უფულოდ უკან? იკითხა კვლავ ბიძინამ.

– როგორ და ფეხით წადით სოფლამდე ვერ შესძლებთ თუ?

– შევძლებთ, როგორ არ შევძლებთ.

სამი მანეთი შეუგროვდა ტარიელს. სამი მანეთით თბილისამდე ადვილად ჩავიდოდა, იქ კი მამას გამოართმევდა სამგზავრო ფულს... ტარიელს მატარებელში თვალი არ მოუხუჭავს დილით უკვე თბილისში იყო და თავისი სახლისაკენ მიემართებოდა და აი! შევიდა ოთხსართულიანი შენობის შესასვლელში.

ღელავდა ტარიელი. ღელავდნენ კიბის სახელურებიც. „რას მეტყვის მამა?“ „იქნებ, დედამ დამტუქსოს?“ „არა დედა არ დამტუქსავს ის ხომ დასასვენებლადაა წასული?“ ფიქრობდა თავისთვის და კიბის საფეხურებს მოწყენილი მიუყვებოდა. დააკაკუნა ოთახიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. კვლავ დააკაკუნა ამჯერად მეზობლის ცოლმა გამოიხედა მეორე ოთახიდან და გაკვირვებით შეეკითხა:

– რა ამბავია ტარიელ?

– მშვიდობაა, რა უნდა იყოს, ცუდი არაფერია. მამაჩემი სად არის?

– მამაშენი რუსთავში წავიდა, ასე თქვა ქარხნისათვის რაღაც რკინები უნდა ჩამოვიტანოო.

– როდის წავიდა?

– დღეს წავიდა, დილით.

– მე ვერ ვნახავ?

– ვერა ვერ ნახავ.

– მაშ რა მეშველება?

– რა იყო, რა დაგემართა, არ იტყვი?

– არაფერია ისეთი, მაგრამ, რომ არ ვნახო არ შეიძლება!

– აქ დაელოდე, საღამოთი მოვა, აუცილებლად.

– არა, უნდა წავიდე. ნახვამდის!

– ნახვამდის ტარიელ!

ტარიელი გამობრუნდა. მეზობელმა კი კარი მიიხურა. ტარიელი საგონებელში ჩავარდა. „ჯიბეში ერთი საწყალი მანეთიანი მილიცლიცებს და ამით რუსთავში ჩავალ? როგორმე ჩავალ

მაგრამ მამა რომ ვერ ვნახო?“ ტარიელი ავტომობილის საყვირმა გამოაფხიზლა. ტაქსიდან მძღოლმა თავი გამოყო და ტარიელს უტიფრად მიმართა:

– გამეცალე, ვა! რა მამიჩემის ვირივით აყუდებულხარ? საით აპირებ წასვლას?

– ავტოსადგურში. – ძლივს ამოღერღა ტარიელმა.

– რას უცდი, ტო! მოდი დაჯექი. სხვა გზა არ იყო ტარიელი ტაქსში უნდა ჩამჯდარიყო.

ჩამოსვლის დროს ტარიელმა შენიშნა რომ მრიცხველზე 34 კაპიკი წითელი ციფრებით ეწერა. მძღოლმა მანეთიანი მომუჭნა, ავტომობილი ადგილიდან მოწყდა... წავიდა ტარიელის მანეთიანი, თან გაჰყვა ტარიელის სული, გული და სახიდან სიმწრის ოფლმა ჩამოჟონა.

რუსთავში მიმავალი ავტობუსი დაიძრა. „დარჩენა სიკვდილს უდრის“ გაიფიქრა ტარიელმა და ძლივს ძლივობით ავტობუსს შეახტა. რუსთავი ახლოვდებოდა და აი! მოვიდნენ კიდეც. ტარიელმა მგზავრების ნახევარზე მეტს წინ გაუსწრო და ავტობუსის მძღოლს კარისკაცივით გამოეჭიმა. – ბიძაჩემი გადაიხდის-ო. მძღოლს თითით უკან ანიშნა და ავტობუსიდან ჩახტა. სულ ცოტა ხანში ავტობუსი დაიცალა. მძღოლმა კბილები გააკრაჭუნა და ჩაილაპარაკა „მომატყუა იმ ციგლიანმა-ო“. ეს იყო და ეს.

ტარიელმა უგზო-უკვლოდ დაიწყო იქით აქეთ ხეტიალი. უკვე დღენახევარი გადიოდა, რაც საჭმლის ხემსიც არ ეჭამა, მაგრამ თავს მაინც, რატომღაც, ბედნიერად გრძნობდა. აგერ! საფუნთუშეს ჩაუარა, იქიდან სასიამოვნო სუნმა შემოჰკრა და ჭამის სურვილი უფრო მოემატა „ვაიმე! რა ძლიან მშია, ლამის წავიქცე“. ისევ უკან გამობუნდა და სხვა ქუჩას გაჰყვა. აქაც საფუნთუშეები, სასადილოები „მეტი აღარ შემიძლია, მუხლები აღარ მიჯერის, ვაიმე, დედა!“ ტარიელი გზის პირას ქვაზე ჩამოჯდა. გაფითრებული, მომშეული და ფერდაკარგული უმწეოდ ამოძრავებდა ფეხებს. მის კუნთებს გავარჯიშება აღარ ესაჭიროებოდა, მხოლოდ ასი გრამი პური და მორჩა. ტარიელიც თამამად ივლიდა.

იქვე ახლოს ქარხნის მსგავსი შენობა შენიშნა და ბარბაცით იქითკენ გაეშურა. ეს შენობა მართლაც ქარხანა აღმოჩნდა, მაგრამ არა ისეთი, როგორც ტარიელს უნდოდა. უკან გამობრუნდა. მთელი ძალღონე მოიკრიბა და გზა განაგრძო. მოულოდნელად ცენტრალურ ქუჩაზე აღმოჩნდა. მორჩა, მეტის ატანა აღარ შეუძლია, აქ დარჩება მანამ, სანამ მშველელი არავინ გამოჩნდება. მიზანი კი, მხოლოდ ერთი ჰქონდა; მთავარია, წამალი ეშოვნა ხვიჩას დედისათვის და შემდეგ ცოტა რაიმე ეჭამა. საღამო ახლოვდებოდა სად წავიდეს? ქალაქში ერთი ნაცნობი მაინც ჰყავდეს. ფული რომ ჰქონდეს თბილისში მაინც წავიდოდა, მაგრამ ფულიც რომ არა აქვს?

ამ განსაცდელში იყო ტარიელი, როდესაც ნაცნობ მანქანას მოჰკრა თვალი.

– ჩემი მამა... მამა! მამიკო!.. – და ტარიელი ხელის ქნევით მირბოდა მანქანისაკენ. მანქანა გაჩერდა.

ვანო თვალებს არ უჯერებდა. „ჩემი შვილია? ნუთუ ის არის, ტარიელ შვილო! აქ რა გინდა?“

– მამა! მამიკო! გენაცვალე!.. და ტარიელი მამას ყელზე შემოეხვია.

– შვილო! რა გაგიჭირდა არ მეტყვი?

– როგორ არა მამი, ოღონდ მაჭამე რამე, შიმშილით ვკვდები.

ვანომ ავტომანქანა გზიდან გადასწია და შვილი სასადილოში წაიყვანა. ტარიელმა, სული რომ მოითქვა ყველაფერი დაწვრილებით უამბო მამას.

– წამალს ვიშოვნი აუცილებლად. ერთი ნაცნობი ექიმი მყავს და სახლში ექნება.

თავი III

განთიადი ნელ-ნელა შლიდა ფრთებს. მამლებმა იყივლეს. ხეებზე მძინარმა ფრინველებმა გამოიღვიძეს და საამური ჭიკჭიკ-გალობით მიეგებნენ განთიადს. ბულბული თავის მომაჯადოებელ ჰანგებს მღეროდა, ხოლო შაშვი თავის ჭახჭახს სალამურივით აყოლებდა ბულბულის გალობას. ბუნება ცოცხლდებოდა. მზე მაღალი მთის კენწეროზე ამოიწვერა და ბრწყინვალე სხივები უხვად მოაფრქვია დედამიწას. მზის სხივები შეიჭრნენ იმ ოთახშიც, სადაც ხვიჩას დედა იწვა და ქვითინებდა. ქვითინებდა ხვიჩაც, მხოლოდ ბიძინა სდუმდა და ხვიჩას დედის ყოველ ამოკვნესაზე გული უკვნესოდა.

წვერგაუპარსავი, ტანმაღალი, პირხმელი კარისკაცი საავადმყოფოს კარებში ჩამდგარიყო და ჩასისხლიანებულ თვალებს აბრიალებდა.

აგერ! საავადმყოფოს კარებს ერთი ბიჭი მოაწყდა, სახიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და საავადმყოფოში შესვლას ითხოვდა.

– არ შეიძლება! მკვახედ უპასუხა პირხმელმა კაცმა და კარი მიუხურა. ბიჭი გაბრუნდა და ხელსაყრელ მომენტს დაელოდა.

მალე კარისკაცი თეთრხალათიანმა გოგონამ შეცვალა.

– შემიშვი რა საავადმყოფოში, ავადმყოფთან წამალი მიმაქვს! – სთხოვა ბიჭმა

– წამობრძანდი! უთხრა გოგონამ და უკან გაიყოლა.

მერე შეეკითხა – ვისთან მიხვალ?

– ხვიჩას დედასთან!

– აა! ორი ბიჭი რომ ადგია ქალს თავზე?

– არა, სამი ბიჭი იქნება.

– ორი ბიჭია მეთქი, ნუცა ქებულიძეს არ ამბობ?

– დიახ! ნუცა ქებულიძეს.

კარი გაიღო... ხვიჩამ თავი მაღლა ასწია და აღტაცებით წამოიძახა:

– ტარიელ მოხვედი?

– მოვედი, ხვიჩა და თანაც...

– წამალი იშოვნე? ეჭვნარევად შეეკითხა ბიძინა.

– ვიშოვნე, აბა რა!

მეგობრები დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს. ავადმყოფმა შვებით ამოისუნთქა. ბიჭებმა ექიმს გამოუძახეს და წამალი აჩვენეს. ექიმი დიდხანს დასცქეროდა წამალს და ბოლოს იკითხა:

– საიდან მოიტანეთ?

– თბილისიდან! მოკლედ უპასუხა ბიძინამ.

– ყოჩაღი ბიჭები ყოფილხართ, აწი ნუღარაფრის გეშინიათ, პირობას ვდებ, ხვიჩას დედას ერთ კვირაში მოვარჩენ!

ტარიელს გაეღიმა.

ოთახში კიდევ ხუთი ადამიანი შემოვიდა. ერთი მათგანი ხვიჩას მამა იყო, ოთხიც ნათესავი.

ბიჭები გავიდნენ.

ტარიელი სიხარულს ვერ ფარავდა და ცდილობდა მეგობრებიც გაემხიარულებინა. ტარიელის ცდა ამაო აღმოჩნდა.

– თუ მეგობარი ვარ, ჭირშიაც მეგობარი უნდა ვიყო და ლხინშიაც. რისთვის მიმალავთ რა გაგჭირვებიათ?

– გეტყვით! რატო, არ გეტყვით!

– მაშ დაიწყეთ.

– როცა იქედან მოვედით, ხვიჩას დედა უკვე საავადმყოფოში წამოყვანილი დაგვხვდა. ხოლო თემოს მამა ავარიაში მოყოლილიყო. უპასუხა ბიძინამ.

– თემოს მამა?

– ჰო! თემოს მამა.

– კი, მაგრამ როგორ?!

– თავისი მანქანა გადაბრუნებოდა იმ დღეს, როცა ჩვენ ტყიდან წამოგვიყვანა.

– ძლიერ დაშავებულია?

– ფეხი აქვს დაშავებული, სხვა მხრივ არაფერი უშავს.

– ფეხს ხომ არ მოჰკვეთენ?

– არა!

წავიდეთ ვნახოთ, თემო თავზე ადგია?

– არა, თემო სახლშია, მაგრამ იმასთან მაინც არ შეგვიშვებენ.

– მაშ თემოსთან სახლში მივიდეთ, საოჯახო სააქმეები ექნება გასაკეთებელი.

– კარგი წავიდეთ!

– წეღან საავადმყოფოს კარებში თამაზის დედა შენიშნეთ?

– ჩვენი ტრაბახასი.

– თუ ძმა ხარ იმის სახელს ნუღარ გამაგონებთ. გულმოსულად ჩაილაპარაკა ხვიჩამ.

* * *

სამმა კვირამ შეუმჩნევლად გაირბინა. ხვიჩას დედა საავადმყოფოდან გამოვიდა სრულიად გაჯანსაღებული. ერთ მშვენიერ დღეს, მეგობრები საჭირო იარაღებით ესტუმრნენ ტარიელის მიერ ამორჩეულ წყაროს. მუშაობდნენ დაუღალავად. ცოტა რამ დარჩათ გასაკეთებელი, რომ ამ დროს ბიძინამ წამოიძახა

ბიჭებო! თამაზი მოდის!

იარაღები დაჰყარეს და ყველამ იქით გაიხედა, საიდანაც ჯოხდაბიჯგებული თამაზი მოდიოდა.

– ახლოს არ მოგვეკარო, დაიკარგე აქედან, შენ მოღალატე ხარ! ბიჭები წამოიქოჩრნენ. თამაზი ხმას არ იღებდა. თავდახრილი მიუახლოვდა და საბრალო ხმით მიმართა მეგობრებს:

– გამარჯობათ ბიჭებო!

– შენი „გამარჯობა“ არ მჭირდება. დაიკარგე-მეთქი, აქედან! – ცხარობდა ხვიჩა.

– ნუ გამაგდებთ, ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი.

– თქვი, რაღაცა გინდა და აქედან მოშორდი. შეუტია თემომ. თამაზმა ღრმად ამოისუნთქა და დაიწყო:

* * *

იმ დღეს, როდესაც მე თქვენ დაგშორდით, სახლისაკენ სწრაფად მოვკურცხლე. თემოს მამისათვის აღარ მიცდია. ისე კი, მითხრა თქვენსკენ მოვდივარ-ო. მაგრამ მე მოკლე ბილიკით წასვლა ვარჩიე. სახლში რომ მივედი, მამა მოსული დამხვდა, მაგრამ წამალი ვერ ეშოვნა. უხერხულობაში ჩავვარდი, ვიფიქრე კაპლს მაინც წავიღებ ხვიჩას დედასთან-მეთქი და ასეც მოვიქე-

ცი. ძალაყინი არ დამვიწყებია, ხელი დავავლე და თავქვე დავეშვი. ბილიკზე აღარ დავყოლივარ, რადგან ტყე სველი იყო და მე მშრალი ტანსაცმელი მეცვა. სამანქანო გზით დავუყევი და თავს რატომღაც მოწყენილად ვგრძნობდი. უცებ! რას ვხედავ გზას იქით მანქანა გადაბრუნებული გდია და თან ადამიანის ხმამაღალი კვნესა ისმის. თვალებს არ ვუჯერებდი, რამდენჯერმე მოვისრისე კიდეც, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იგივეს ვხედავდი. გზიდან გადავუხვიე. ვხედავ მძღოლს ავტომანქანის კარი აწევს და კვნესის. აღარ დამიყოვნება, ერთი მოზრდილი ქვა ახლოს მივაგორე. ძალაყინის დახმარებით კაბინა ავწიე და მძღოლს ფეხი გაუნთავისუფლდა. ფეხის გამოღება სცადა მაგრამ ამაოდ, ოდნავ ვერ დასძრა.

– კი, მაგრამ მანქანა როგორ ასწიე? – შეაწყვეტინა ხვიჩამ.

– როგორ ავსწიე და ძალაყინი ბერკეტად გამოვიყენე, ქვა საყრდენ წერტილად და ძალაყინის უკანა მხარეს, მთელი ჩემი ძალით დავაწექი. პირველი ცდა უნაყოფოდ დამთავრდა. ძალაყინი ვეღარ დავიჭირე და მძღოლს კვლავ ფეხზე დააწვა მთელი სიმძიმე, კიდევ ამოიგმინა და გამწარებულმა ხელი მკრა. მე გვერდზე გადავარდი, მაგრამ გონი არ დამიკარგავს. მეორე ცდამ სასურველი შედეგი გამოიღო. ჩემი ფეხით მისი ფეხი გვერდზე მივწიე – როგორც კი მანქანა ავწიეთ მძღოლი განთავისუფლდა, მაგრამ წელში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. გადავწყვიტე, იქვე, ახლო მეზობელთან გავქცეულიყავი, რადგან ვიცოდი დაზიანებულს სხვას ვერაფერს ვუშველიდი. გაქცევა ვერ შევძელი. ოციოდე მეტრი არ მქონდა გავლილი, რომ მაღალ ბალახებში წავიქეცი. ვიფიქრე; აქ რომ დავრჩე დავიღუპები-თქო და მუცელზე ხოხვით გზამდე მივხოხდი. ვფრთხილობდი ხვიჩას დედისათვის წამოღებული კაპლის შუშა არ გამტეხოდა და ცალი ხელით ხშირად ვსინჯავდი ხოლმე. ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს. გონს რომ მოვედი დედა მელაპარაკებოდა: შენი მეგობრები ვნახე და სალამი არ მითხრეს-ო. მე მწარედ ამოვიხვნეშე.

– თემო, მამაშენი გადაურჩენია, მამაშენი. ყოჩაღ თამაზ. გვაპატიე, რაც შეგცოდეთ. ჩვენ შენი გმირობისა არაფერი ვიცოდით. – სერიოზულად ლაპარაკობდა ტარიელი. მეორე დღეს ბიჭები ისევ შეიკრიბნენ და რამდენიმე დღეში გზისპირზე მშვენიერი წყარო გააკეთეს.

სექტემბერი ახლოვდებოდა. თემო და მისი მეგობრები ტარიელსა და ბიძინას თბილისში აცილებდნენ.

– ნახვამდის, ტარიელ, ბიძინა არ დაგივიწყებთ თქვენს ამაგს...

1971 წელი 17 თებერვალი

ციალა ხაჟალია-ანდრიაძე

27 სექტემბერი – დაუვიწყარი ტკივილი

ბატონი ჟიული შარტავა, რომელთა მსგავსი არც თუ ისე ხშირად შეგხვდება.

იგი თავდაჭერილი, განათლებული ინჟინერი, გამოჩენილი პარტიული მუშაკი, სამშობლოსათვის თავდადებული პასუხისმგებლობით სავსე, შესანიშნავი ოჯახის ღირსეული თავკაცი, კარგი შვილი, კარგი მამა, კარგი დედმამიშვილი, ნათესავი, მეგობარი, ახლობელი და ა.შ. მეზობელი (სამწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ) იყო.

ბატონო ჟიული!

უზომოდ გვიყვარდით თქვენც და თქვენი დარბაისელი ოჯახის თითოეული წევრიც გვიყვარს.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ წერილის დაწერისაკენ ღირსეულმა ადამიანმა, დიდმა პოეტმა და მამულიშვილმა – ბატონმა რეზო ამაშუკელმა მიბიძგა.

ერთ დილას უჩვეულოდ ადრე გამეღვიძა. ფიქრებმა სად არ წამიღეს, ავფოქრიაქდი ავანთე ღამის ნათურა და გადავშალე წიგნი – „რაც მეხსიერებას შემორჩა“.

ამჯერად, იმ წიგნიდან ხელში ბატონი რეზოს წერილი შემხვდა, რომლის სათაურია „ჩემი მეგობარი – ბატონი ირაკლი ანდრიაძე“.

აქვე წერილიდან ამონარიდსაც გაახლებთ:

„ქვიშის საათივით მალე იცლება ცხოვრება. ამიტომაც რამდენიმე სიტყვით მინდა მოვასწრო იმ სიყვარულის და პატივისცემის დადასტურება, რომელიც მე ყოველთვის გამაჩნდა მის მიმართ, როგორც ქვეყნისა და ქართველების ერთგული ოჯახიშვილის დღენიადაგ მშრომელისა და თავდადებული პიროვნების, ირაკლი ანდრიაძისადმი.

მახსოვს, ბევრი რამ მახსოვს სიყვარულითა და თანადგომით ბეჭედდასმული, რისი ჩამოთვლაც ბევრ დროს მოითხოვს...

მახსოვს, ბევრი რამ მახსოვს!

მახსოვს კედლისკენ მიბრუნებული, ატირებული ირაკლი ანდრიაძე, რომელიც ბავშვივით ზლუქუნებდა! – იმ დღეს დაეცა სოხუმი!...

ის ცრემლი დღესაც არ მოშორებია საქართველოს!..

ბატონო ირაკლი!

ჩემო ჭაღარა, ლამაზო მეგობარო!..

ცხოვრება ალბათ ასეთია: ჩვენ, ქართველები ადამიანებს ხშირად პატივს გარდაცვალების შემდეგ მივაგებთ.

ბატონო რეზო!

კიდევ და კიდევ ჩვენი ოჯახისგან უღრმესი მადლობა. წერილის წაკითხა ირაკლიმ გარდაცვალებამდე მოასწრო. დიდი სიყვარულით ბევრი რამ მოიგონა თქვენთან, ბატონ ზაურ გომართელთან და სხვებთა დაკავშირებითაც...

ნეტავ იმ დროს, ირაკლიც ცოცხალი მყავდა და ბევრიც ვიცინეთ.

ამჯერად მივუბრუნდები ჩემს სათქმელს...

მაინც რა მოხდა?

დაეცა სოხუმი. ჟიული შარტავა და მასთან ერთად უამრავი საჯიშე სამშობლოსათვის თადადებული ვაჟკაცი. ორ მოძმე ხალხს შორის სიყვარულის ხიდი (დროებით მაინც) ჩატყდა... აფხაზეთი გადაიწვა, ჭუბერზე მშიდობიანი ადამიანები ჩაიხოცნენ.

რუსეთთან ქართველები ომით რომ ვერაფერს გავხდებოდით (მითუმეტეს მავანთ გაგვაფრთხილეს კიდეც).. უნდა გვცდოდნოდა. არაა ახალი ისიც, რომ რუსები საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ ულამაზესი და რეგიონალურად მათთვის მეტად საჭირო აფხაზეთის ტერიტორია ჩვენთვის წაეგლიჯათ...

ამას კარგად ვგრძნობდით და ყოველივე კარგად ვიცოდით...

მაგრამ...

ძნელია ჭიდაობა, როდესაც მოწინააღმდეგეთა შორის ძალთა თანაფარდობა განუზომლად დიდია.

დაახლოებით 20-25 წელია ჩვენში შინააშლილობამ ძალიან იმძლავრა. ურთიერთ უნდობლობა, მტრობა სიძულვილი, დაპირისპირება ცხოვრების ნორმა გახდა და გადავდგით ისეთი ნაბიჯები რომელთა ღრმად გაანალიზება ჯერ კიდევ სამომავლო საქმეა ... (თანაც თუ ობიექტურნი ვიქნებით, ძალიან სერიოზული და უმნიშვნელოვანესი ამბავიც გახლავთ.)

ჩვენ რუსებს ომით მოვუგებდით? ეჰ, იმთავითვე ხომ განწირული ვიყავით?

წინაპრები გვასწალიდნენ: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

ისტორიამ იცის მსოფლიოში რამდენი დიდი და კულტურული ქვეყანა შთანთქა დროთა ქარტეხილებმა.

მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, ალბათ, მუდამ „ორ ზღვას შუა საომარი ლელო“ – საქართველო, – „ედემი მიწაზე გადმოსული“, უთანაბრო მტრებთან გამუდმებული და გააფთრებული ომებისას, სამშობლოს დაცვის დიდმა ჟინმა, ბრძოლის უნარიანობამ, ქეყნისთვის თავდადების შეგრძნებამ, სამშობლოსადმი დიდმა სიყვარულმა და უთუოდ გონივრულმა ხერხიანობამაც – უამრავი მომხვდურისაგან იხსნა.

ჩვენმა წინაპრებმა უეჭველია ძალიან კარგად იცოდნენ თავის დროს და ადგილზე ნათქვამი დადებული სიტყვის ფასი. ზოგჯერ ტკბილი, ზოგჯერ უკან დასახევი, თუ ზოგჯერ მომთხოვნი და გარდუვალი მნიშვნელობა, ამდენად, ხშირად კარგად გამოსდიოდათ დიპლომატიური ურთიერთობები დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

ამგვარი მაგალითები საქართველოს ისტორიაში მრავლად მოიპოვება. ამჯერად რა ხდება?

დიდი მოთმინებით, განჭვრეტით, უდიდესი დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმით რუსეთს საქართველოდან ჯარი გაჰყავდა... მაგრამ მჩვენ რა ვქენით? რა ვთქვით ისეთი, რომ ისინი უკან დავაბრუნეთ? ეს როგორ მოვახერხეთ?

ხომ შეიძლებოდა, რომ ისე არ მოვქცეულიაყავით როგორც მოვიქეცით, საქმე ჩვენთის სასარგებლოდ წარგვემართა?

განა შეიძლება რუსეთს, დიახაც, დამპყრობელი და აგრესორი ქეყნის თაკაცისთის ამოდენა ქვეყნის ხელმძღვანელისთვის, - პუტინის ნაცვლად, გაღიზიანებულად ლილიპუტინი ეძახა?

რისი იმედით ა...?

ან პუშკინის, ლერმონტოვის, ლომონოსოის, ტოლსტოის, ბელინსკის, დობროლიუბოვის,

ახმადულინას, ევტუშენკოს და ა.შ. ბევრ სხვათა მშობელ ხალხმა ღვინის ემბარგოსთან კავშირში ის სიტყვები უთხრა, რომელიც შენსავე თავს, თავად არ უნდა ჰკადრო? (მათ უფრო თუ თანამდებობის პირი ხარ?)

ეს დიპლომატიაა?

ღმერთო დიდებულო!!!

დაგვიფარე ასეთი დიპლომატიისაგან...

მართალია (და არც ახალია) ქართველებს თვალი ყოველთვის ევროპისკენ გვეჭირა...

მაგრამ, ყველა ვისაც ჩვენ მეგობრებად მივიჩნევთ, ხომ გვეუბნებიან და გვირჩევდნენ კიდეც, რუსეთთან საქმე თავად მოაგვარეთო?..

მართალია ჩვენც და სხვა ქვეყნებმაც კარგად იციან, რომ რუსეთთან საუბარი ძნელია...

მაგრამ რა ვქნათ?!

ერთმანეთისკენ დიპლომატიური ნაბიჯები არ გადავდგათ? ან კეთილმეზობლობა არ ვცადოთ? ჩენ ხომ ისედაც მოსაზღვრე და მეზობელები ქვეყნები ვართ?

თანაც, ხომ მომსწრე ვართ მსოფლიო მასშტაბის უდიდესი რყევებისა, რამაც საბჭოთა ქვეყანასთან ერთად უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოზედაც.

მაგრამ არსებობს ცივილიზებული დიალოგი, რაც უპირველესად დაპირისპირებულ მხარეებს შორის გადაწყვეტილებათა გონივრული გამოსავლის საშუალებაა...

მადლობა უფალს!

რთულად, მაგრამ XX საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ მაინც მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა.... ასე რომ, რაც მივიღეთ ამდენი ძალმომრეობისი მერე ვფიქრობ მაინც დიდი მიღწევაა...

შემდეგ, შემდეგ როგორ ვიქცევით?

საუკუნეების მანძილზე ხალხის ნაოფლარი და სისხლით მორწყული მიწა-წყალი გაასხვისეთ. ყველაფერი (სხვათაშორის ძალიან ბევრი რამ გვქონია და ვერ ვაცნობიერებდით), რისთვისაც დღემდე თავდაუზოგავად ვშრომობდით და ვქმნიდით, მაგრამ შემდეგ საკუთარი ნაღვარით შექმნილი დანაზოგი დავანგრიეთ, დავლეწეთ, მოვშალეთ სოფლები, ქალაქები...

ეჰ... დანგრევა ადვილი ყოფილა... აშენება კი? ძნელი...

მით უფრო, რომ ყოველი მთავრობა თუ პარტია ცალ-ცალკე გუნდებს ქმნის. პარტიებიც უამრავი გვყვას ხილული თუ უხილავი მტრებიც ქვეყნის შიგნით, თუ მის გარეთ ბევრზე ბევრი. ჩვენ კი გათითკაცებულად ყველას გვგონია ჭკვიანები და მართალი ქვეყნის წინაშე მთლად ჩვენ ვართ. ამ დროს საქართველო ერთადერთია. იგი თითოეული ჩვენგანის გათითოკაცებულად კი არა სწორედ რომ გაერთიანებულად და ერთ მუშტად შეკრული ღირსეული და სამშობლოსათვის თავდადებული მუხლჩაუხრელი შრომითა და უდიდესი ერთგულებით მოსაპატრონებელია...

ვფიქრობ ჯერ შიგნით ჩვენივე უნდა შევიყვაროთ, დავინდოთ და მივეთბოთ ერთმანეთს... შემდეგ ვნახოთ რა იქნება მაგრამ ის კი ცხადზე ცხადია, რომ გათითოკაცება არ ვავრგა. ჩვენთვის ჩვენი ქვეყანა ერთადერთია და ჩვენივე უნდა ვიბრძოლოთ. მისი სიკეთისათის. მისი გაერთიანებისათის წართმეული მიწების დაბრუნებისათის დიახადაც ერთ დიდ კონა წკნელთან შეკრულებმა.

ამ მთავრობამ მემკვიდრეობით უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი სათაყვანო სამშენებლო მიიღო. თან გასაგებად გვითხრა, – პირველი წელი რთული იქნება, მერე და მერე თანდათანობით დიდი შრომით უკეთესი შედეგები გვექნება.... მაგრამ?.. როგორც ჩანს (ვფიქრობ) მე-

ტი სამართლიანობა და მეტი ტემპია საჭირო, რომ ამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილ თანამემამულეებს ეშველოთ რამე.

ძვირფასო მკითხველო!

მინდა ვთქვა, რომ ჟიული შარტავა ჩვენივე თანამედროვე იყო. თითოეულ ჩვენთაგანთან ერთად იღწვოდა. მისი ნაშრომით, ნაოფალარით და დანაზოგითაც აშენდა ეს ჩვენი სათაყვანო ქეყანა...

ალბათ, ამიტომც გამექცა კალამი...

ყველას ბოდიშს გიხდით!

და გთხოვთ მომიტევოთ!

მაშ ასე, 27 სექტემბერს, როგორც წესი დაღუპული გმირის პატივსაცემად მის საფლავზე უამრავი ადამიანი მოდის... მეც სასაფლაოზე წავედი და ყვავილების თაიგულს ვარჩევდი. ამ დროს – ბატონები ჯემალ ბერიძე და გრიშა შონია მოადგნენ მანქანას.

ძალიან გამიხარდა მათი ნახვა (მართალი გითხრათ ბევრი სიკეთე ახსოვს ჩვენს ოჯახს ამ ადამიანებისგან). მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთურთი. ამასობაში ბატონმა გრიშა შონიამ ფული გადაიხადა და ყავილების ჩემს მიერ შეერჩეული თიაგული მომაწოდა...

ბევრი მონატრებული ნაცნობი შემხვდა ქალბატონ ლიასთან მისვლამდე... გადავეხვიე ჭირისუფლებს. ერთხანს შევჩერდი...

შემდეგ კი, მე და ჩემი გელა სიბაშვილი ირაკლის საფლავზე წავედით...

ემოციები მომეძალნენ და დავიწყე ბუტბუტი:

ჩემო ირა! შენ საქართველოში ძალიან ბევრი საყვარელი და კეთილისმყოფელი ადამინები დაგრჩნენ (ღმერთმა ყველა დალოცვილი გიმყოფოს) რომელნიც წუთისოფელში ცხოვრებას გილამაზებდნენ. ძალიანაც გიყვარდათ ერთმანეთი...

მანდ კი, ჩემო ძვირფასო ბატონებო – ჟიული, ნუგზარ ენდელაძე, გივი ლეჟავა, დიმიტრი ქართველიშვილი, პეტრე იოსელიანი. – ქალბატონი ნინო ჟვანია და ბევრი სხვა ჩვენთვის საყვარელი ადამიანებიც ახლოს ხართ დაკრძალულნი, რომელთათვისაც თქვენგან გაწეული ღვაწლის გამო, ალალია ქართული მიწა...

აქედან კი, მინდა უფალმა წყალობა მიიღოს ჩენზე და სულ მალე ჩამოგძახოთ: – ქართველებმა დაიბრუნეთ ჩენი სათაყანო აფხაზეთი, კოდორის ხეობა, ოსეთი და ახალგორითქო.

ამინ!

მამაზეციერო, გვისმინე ვედრება, დაე, მალე ასე მოხდეს...

9 ოქტომბერი 2014 წ.

ჯიხაიში – დიდი მოგზაური და მისი ფესვები

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დაასაწყისისათვის მსოფლიოში უამრავი ქვეყნისათვის გამოჩენილი პიროვნება გახლდათ.

იგი მის მიერ მიღწეულ ღირებულებათა გამო გინესის წიგნშია შეტანილი. თუმცა საზოგადოების დიდმა ნაწილმა მხოლოდ ის იცის, რომ ბატონი ჯუმბერი სპორტსმენი იყო და მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით შემოუარა.

არადა, ბატონმა ჯუმბერმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ლენინგრადის საზღვაო აკადემიაში. აუხდა ოცნება. უნდა გამხდარიყო მეზღვაური, მაგრამ ამ დროს დედა გარდაეცვალა. და, – მაშინ მარტო ვერ დარჩებოდა. და ამის გამო, ეს უდიდესი ნებისყოფის მქონე ახალგაზრდა კაცი საკუთარ თავზე ამაღლდა. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, უარი თქვა მიღწეულ წარმატებაზე და იმავე წელს განმეორებით მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიბერნეტიკის ფაკულტეტზე ჩააბარა.

იგი წარჩინებული სტუდენტი იყო და იქვე სამეცნიერო მოღვაწეობა განაგრძო. ბატონი ჯუმბერი 24 ნაშრომის ავტორი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატიც გახდა.

ასე, რომ ეს ნიჭიერი კაცი დიდი მეცნიერებიდან დიდ სპორტში წავიდა და განუმეორებელი მიღწევებით წარმოჩინებული მსოფლიო მოქალაქეც გახდა. რომელმაც ერთობ მნიშვნელოვანი და საინტერესო ოცტომეულით გაამდიდრა საზოგადოების წიგნიერი სამყარო. შექმნა საუკეთესო რუკები და ჩანახატები...

ვფიქრობ, რომ დიდი მოგზაურის მიერ ამ ტომებში მოცემული მასალები, მნიშვნელოვანია დღესაც და საინტერესო იქნება სამომავლოდაც. განსაკუთრებით სხვადასხვა სახის კვლევებისათვის დიდ მეცნიერებაში.

ბატონი ჯუმბერის წარმატებებით ამაყობს სრულიად საქართველო. მსოფლიოში გაიჭრა მისი დიდება და რა გასაკვირია ამ განუზომელ

მიღწევათა გამო, – უაღრესად კმაყოფილი იყვნენ (და არიან კიდეც) თანასოფლელები. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამტრედიის რაიონში, მდებარეობს ჯუმბერ ლეჟავას (და სხვათა მრავალთა) სოფელი დიდი ჯიხაი. ეს სოფელი ვრცელ, გაშლილ ადგილას მდებარეობს. რომელიც სიდიდის გამო დაყოფილია ცალკეულ უბნებად.

კონტაქტურად, იმთავითვე, ლეჟავეები სერგეთის
მინდორზე, ლეჟავების უბანსა და ყაზბეგის უბანში
ცხოვრობენ.
ჩვენი წერილის გმირის, ბატონი ჯუმბერ ლეჟავას
ფესვები ყაზბეგის უბნის ლეჟავათაგან მოდის.
მართალი გითხრათ, ჯიხაიშვილებს და განსაკუთ
რებით ყაზბეგის უბნელებს ძალიან ეამაყებათ, რომ მათი
თანასოფლელი ვაჟკაცის ფესვები იმდენად გასაოცარი,
გამძლე აღმოჩნდა, რომ მსოფლიოშიც გაიჭრა და კაცობ
რიობა განაცვიფრა ადამიანის უდიდესი შესაძლებლობებით.

ულამაზესი სოფელი დიდი ჯიხაიში მწვანე ხეებით, ბუჩქანარებით და მდელოებითაა გადაქუჩქუჩებული.

ამ სოფელში მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი. აქვთ თითქმის ყველა სახის ბოსტნეული თვალ-

სა და გულს ახარებს გეომეტრიულ და პარალელურ ხაზებივით სწორად გადაჭიმული სხვადასხვა ჯიშის ვაზი. წყალი კარგია, ჰაერი საამო. ხშირად ნაზი იმერული ნიავი ქრის. მდელოები ზღვასავით ირწევიან. აშოლტილ ხეთა ფოთლები თავმომწონედ შრიალებენ, მაგრამ ზოგჯერ ცას ღრუბლები გადაეკვრება. უკუნითი სიბნელე ჩამოწვება. კუნაპეტ ღამეში შეჩერდება ფოთოლთ შრიალი. ნიავიც არ იძვრის. თითქოს ამ უკიდეგანო დედამიწაზე აღარც ზღვა არსებობს, აღარც მთა და აღარც სიცოცხლე.

ამ დროს ადამიანის სულში შიში ისადგურებს.

ბუნების კანონია ასეთი. თუმცა ღამეს დღე მოსდევს, ბნელს სინათლე, გამყინვარებას სითბო, უკეთურებას სიკეთე და ასე შემდეგ...

საღამოობით მდინარე გუბისწყალის ნაპირას განსაკუთრებით სასიამოვნოა გარინდებით ჯდომა. წყლის ჩხრიალისა და ფრინველთა ჭიკჭიკ-გალობის საოცარი, მუსიკალურ ხმათა ჰარმონიების მოსმენა და ოცნებაში წასვლა... ხშირად დღე იწურება ლამაზად. მზე დასავლეთისკენ ცეცხლისფრად მიექანება. შემდეგ კი, თნდათანობით ფერმკრთალდება და ბინდში იძირება...

ამ დროს, ზოგჯერ, ფიქრებში წასული გაიგონებ გარუჯულ, კუნთ და ქედმაგარ დამუშტულ, ძლიერ ხელში სახრით – ჰამო, შე სამგლევ შენა – შემოძახებასაც...

ფიქრებიდან გამოერკვევი, პირზე ნათელი გადაგეფინება და გაიხარებ მოვლილი პირუტყვის ხილვით... ბიჭი საღამოს შინ ნახირს მიერეკება.

ძლიერია სოფელი, შრომობს სოფელი. თუმცა რთულია ყოველივე ეს. მაგრამ ამ ადამიანებმა დასვენებაც ლაზათიანი და ძარღვიანი იციან.

მახსოვს, ფაშისტურ გერმანიასთან ომის დროს (მაშინ ჩვენ საბჭოთა მოქალაქეებად ვითვლებოდით) ქალაქებიდან ხალხი სოფელს მოაწყდა. ეს ადამიანები საკუთარ ქვეყანას უვლიდნენ და უამრავმა მათგანმა სიცოცხლეც და ოჯახიც გადაარჩინა და გამოკვება...

ყოველ შემთხვევაში, – საკუთარი ქვეყანა არ დაუტოვებიათ. მოუარეს თავს, ოჯახსაც და, რაღა თქმა უნდა, სამშობლოსაც.

დიდი ჯიხაიშიდან, კერძოდ, სერგეთის უბნელი გახლავთ ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი, ეკლესიური სახელდებით, ნაზარი – ლეჟავა.

ნაზარი დიდად წიგნიერი ოჯახისშვილი, თავადაც განსწავლული და დამსახურებული საუკეთესო პიროვნება, კორნელი კეკელიძისა და კალისტრატე ცინცაძის მეგობარი ბრძანდებოდა, რომელიც 1924 წლის რეპრესიების დროს ბოლშევიკებმა ბევრ სხვა ღირსეულ თანამემამულესთან ერთად ძმათა ვაისაფლავში ჩაუშვეს.

ცნობილია, რომ გვამები საფლავში კარგა ხანს ცოცხლები იყვნენ.

წერილობითი ცნობებით – მათ გულზე დაყრილი მშობლიური მიწა ზემოთ კარგა ხანს თრთოდა, გმინავდა, ბორგავდა...

ამავე სოფლიდან, ლეჟავათა გვარში ბევრი განსწავლული და სანტერესო საზოგადო მოღვაწეები იყვნენ წარსულში და არიან დღესაც.

მაგალითად, ქართულ სინამდვილეში ერთობ მნიშვნელოვანი პიროვნებაა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი თეიმურაზ ლეჟავა. რომელმაც მრავალი თაობები აღზარდა. ბევრმა მათგანმა კი მისი თავკაცობით სამეცნიერო ხარისხები მოიპოვეს.

ერთერთი მათგანია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი, ლენინგრადის ციტოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი, მრავალი სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიების ავ-

ტორი – მარინა ანდრიაძე.

ბატონი თეიმურაზი მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწეც გახლავთ. ასევე ძალიან საინტერესო პიროვნებაა ხელოვნებათმცოდნე ბატონი გელა ლეჟავა. იგი ფლობს რამდენიმე ენას, არის საზოგადო მოღვაწე და დიდი ბიზნესმენი. ბატონი გელა სოფლისა და თანასოფლელთა ქომაგი და თანამდგომია...

აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ ლეჟავათა გვარში მრავალთაგან საინტერესო და ღვაწლმოსილი პიროვნება იყო გელას მამა – ბატონი გივი ლეჟავა.

ამ სოფლის ფესვებიდან ლეჟავების გარდა, ბევრი სხვა გვარის წარმომადგენლებიც მოდიან. რომელთა ღვაწლი და საქმიანობა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც დიდი და სასახელოა.

ძვირფასო მკითხველო!

მარტო ის რად ღირს, რომ ამ სოფლის მკვიდრი ბრძანდებოდა ბატონი ნიკო ნიკოლაძე. რომელსაც ჩვენს ქვეყანაში დიდი ილია ჭავჭავაძის ტოლფას მოღვაწედ მიიჩნევენ.

ბატონი ნიკოსა და ქალბატონი ოლღას (ლორთქიფანიძე) ქალიშვილი რუსუდან ნიკოლაძე გახლდათ მიხეილ ლომონოსოვის საყვარელი მოსწავლე. რუსუდანი შემდგომ ნიკო მუსხელიშვილის მეუღლე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ჯიხაიშსს. განსაკუთრებით სოფელში ქალთა აღზრდისა და განათლების საქმეში.

ნიკოსა და ოლღას ვაჟიშვილი – გიორგი დიდი მეცნიერი საუკეთესო სკულპტორი, ასევე საუკეთესო მთასვლელი და კარგი ადამიანი იყო.

რომელმაც ერთ დროს საკავშირო მნიშვნელობის მქონე „იმელის“ შენობა მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ბარელიეფით დაამშვენა.

მაგრამ „ვარდოსნებმა“ ბარელიეფი მოგლიჯეს და გაანადგურეს. სადღეისოდ, ეს ერთ დროს საუკეთესოთა რიგებში შესული შენობა რუსთველის გამზირზე თვალებდათხრილი, უენო ბუმბერაზ კაცივით დგას. აყრილია იატაკი, ჩამონგრეულია კედლები. ამოგლეჯილია ფანჯრები.

ნეტავ რატომ?!

ეჰ, ამ წლებში რამდენი რამ დაიმსხვა, განადგურდა ჩვენს სა-თაყვანო ქვეყანაში და მათ შორის ჩვენს სოფელშიც...

რას ვიზამთ. მაშინ იყო „ჟამი ნგრევისა და არა შენებისა“...

ამდენად, აღსანიშნავია ისიც, რომ იმ წლებში უამრავი რა დაუნდობლად გაჩანაგდა... და არც ის არის გასაკვირი, რომ ბატონი პალიკო მიქაძის დროს, თანასოფლელთა დიდი ძალისხმევითა და თანადგომით აშენებულ ტექნიკუმის ახალ შენობასაც დასანგრევად მიადგნენ...

მაგრამ ბატონი ნუგზარ მიქაძე და მისი მეგობრები, სიცოცხლის ფასად, იარაღით ხელში, სადღეღამისოდ შენობას იცავდნენ და ამ ადამიანების წყალობით ტექნიკუმის შენობა დანგრევას გადაურჩა.

ეს ხომ ჩვეულებრივად, გმირობის ტოფლფასი საქმეა.

ამჯერად, როგორც მითხრეს ახალგაზრდები სოფლის მეურნეობებისათვის საჭირო სათანადო განათლებას ამ შენობაში იღებენ.

მადლობა უფალს!..

თორემ, დღეს ჯაიხაშლებს ტრაქტორები აქვთ, მაგრამ მიწას ვერ ხნავენ. ვინაიდან ტრაქტორისტები არ ჰყავთ...

ვფიქრობ ჩვენი მომავალი თაობის წყალობით ფეხზე წამოვდგებით. თუმცა, დანგრეულის აღდგენა და ქვეყნის შემდგომი წინსვლა, არც თუ ისე იოლად მისაღწევ საქმედ მიმაჩნია...

გულში ბევრი თქმული და ბევრის ართქმული ტკივილი მაქვს. მაგრამ ესეც ხომ მოხდა, – ბატონი ნუგზარ მიქაძის ხელმძღვანელობით. აუტანელ პირობებში სოფლის ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა თერთმეტჯერ საქართველოში სპორტის ამ სახეობაში პირველი ადგილები მოიპოვა... რითაც ცხოვრების გაუსაძლისი პირობებით გულდაშაშხული ხალხი უზომოდ გაახარა...

გარკვეული და საინტერესო მიღწევები ბევრი სხვა საქმეთა მიხედვით დღესაც გვაქვს, მაგრამ მეტი გვინდა...

თუმცაღა ოცი-ოცდახუთი წლის გასაკეთებელი საქმე ორ-სამ წელიწადში ვერ გაკეთდება...

დანგრევა ადვილია, აშენება კი ძნელი...

მიუხედავად ამისა ვფიქრობ, რომ ღვაწლითა და გარჯით ქვეყანა ფეხზე უნდა დავაყენოთ.

იმედია, – ასეც იქნება...

ამჯერად, ყურადღება და-ძმა ცისანა და რეზო კაკაბაძეებზე მინდა შევაჩერო. უნდა მოგახსენოთ, რომ ისინი დიდი ჯიხაიშზე განუზომლად შეყვარებული პიროვნებები იყვნენ.

ეს ბუნებრივიცაა. ბატონმა რეზომ და ქალბატონმა ცისანამ ბავშვობა დიდი ჯიხაიშში გაატარეს. ამდენად მშობლიური ჯიხაიშისადმი განსაკუთრებული და ხალასი სიყვარული მათში იმთავითვე გამოიკვეთა.

ქალბატონი ცისანა ხელოვნებათმცოდნეობის პროფესორი იყო, რომელმაც თავი საზოგადოებას ბატონ რეზოზე დაწერილი წიგნითაც გააცნო.

რეზო კაკაბაძე გახლდათ საქართველოს სახალხო არტისტი. შალიაპინის სახელობის პირველი პრემიის ლაურეატი და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი. რეზო თავის საოცარი ხმით, სიმღერის დროს მკაფიო მეტყველებით, მსმენელზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

მაესტრომ იმღერა მუსორსკის „ბორის გოდუნოვში“ – იეზუიტი რანგოზი, მოცარტის „დონ-ჟუანი; ბოროინის „თავადი იგორში” – იგორის პარტია; ვერდის „რიგოლეტიში“ – ყველა ბარიტონისათვის ოცნება – რიგოლეტო; „სეველიელი დალაქიდან“ –

იგარო; ჯუზეპე ვვერდის „აიდაში“ –ამონასრო; ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“ – მურმანი; „იავნანამ რა ჰქნა” – ჯაფარი; „დაისში“ – კიაზო...

მუსიკათმცოდნეთა აზრით ბატონი რეზო უდაოდ დიდი მომღერალია. მისი ნამღერიდან კიდევ ბევრი წამყვანი პარტიის დასახელება შეიძლება, მაგრამ ვთვლი, რომ საკმარისია...

ასე, რომ, ბატონო ჯუმბერ, რეზო კაკაბაძეზე საუბრით, საზოგადოებას კიდევ ერთჯერ შევახსენებ, რომ ამ ადამიანის ფესვებიც გარკვეულწილად დიდი ჯიხაიშიდან მოდის და ეს ჯიხაიშვილებს, კიდევაც, გვეამაყება.

ქალბატონი ცისანა თავის წიგნში „მას სიმღერა სიცოცხლეზე მეტად უყვარდა” წერს: „რე-

ზოს ჯიხაიში ფანატიკურად უყვარდა. როგორც დროს იხელთებდა უკანასკნელ წლებშიც კი სოფლისკენ გარბოდა. ჯიხაიშლები რეზოს ამ სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობდნენ: პატივს ცემდნენ, აფასებდნენ, ესახელებოდათ ჯიხაიშში მისი ჩასვლა."

აქვე მინდა ვთქვა, რომ მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერი გახლდათ აკადემიკოსი ივერი ფრაგიშვილი. მისი ფესვებიც სწორედ ჯიხაიშის ყაზბეგის უბნიდანაა. ამჯერად მისი შვილი, ბატონი არჩილ ფრანგიშვილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი გახლავთ. ამავე უბნელი იყო ცნობილი მათემატიკოსი, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი მათემატიკაში ბატონი ათანასე ხარაბაძე. დიდი ფილოლოგი, პრეოფესორი – ტრიფონ რუხაძე, პოეტი გიორგი კაჭახიძე. ჯიხაიშიდან გახლავთ ძალიან საინტერესო ლირიკოსი პოეტი ქალბატონი ზოია ვაშაკიძე. საბავშვო პოეტი ვახტანგ კახაძე, ვიქტორ ლეჟავა. საინტერესო მხატვრები – ბატონი გივი ვაშაკიძე. და აწ გარდაცვლილი ბატონი თამაზ ნუცუბიძე... დიდებული ექიმი-გინეკოლოგი პრეოფესორი პავლე ვაშაკიძე. გამოჩენილი ექიმი, საზოგადო მოღვაწე და დიდად საინტერესო პიროვნება გახლავთ ბატონი ლადო კახაძე. მწერალი და მეცნიერი გიზო ჭელიძე.

ბევრია ამ სოფლიდან ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც ცნობილი ინჟინრები, მასწავლებლები, სხვადასხვა განხრით საინტერესო სპეციალისტები, რომელთა თავდადებული ღწვა ჩვენს ქვეყანას დიდად წაადგა. უნდა აღვნიშნო, რომ სწორედ ამის გამო, ეს ადმიანები ხალხის ნდობას, სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს იმთავითვე მიწათმოქმედ ქვეყანად მოიხსენიებდნენ. ეს ასეცაა... ჩვენში მიწები უხვმოსავლიანია, ხალხი მშრომელი, მაგრამ, როგორც ვიცი, სოფლებში, ამჯერად, ბევრი დიდებული სახლი დგას, თუმცა კუნთმაგარი, ბრძენი და დინჯი გლეხი ნაკლებად ჩანს. ჭიშკარს არავინ გაგიღებს და გეტყვის იმერული კილოთი „შენ არ მომიკვდე არ გაგიშვებ მობრძანდი გენაცვალეო"...

ეჰ, რას ვიზამთ ეს ჩვენი დღევანდელი რეალობაა... ხალხი ლუკმა პურის საშოვნელად სხვადასხვა ქვეყნებშია გადახვეწილი.

ვფიქობ, ღმერთი არ გაგვწირავს და სოფელში მშრომელ ადამიანს ბარაქას არ მოუშლის, რითაც უდაოდ ქალაქიც გაძლიერდება.

საქართველოში, ტრადიციულად, ბიჭი რომ გაჩნდებოდა თოფს გაისვრიდნენ და ამცნობდნენ კუთხე-მეზობელს ოჯახში გვარის გამგრძელებელი გაჩნდაო.

მომავალი თავკაცი თავის ოჯახს თუ მოუვლიდა იტყოდნენ, ნამდვილი ოჯახის კაციაო. თუ სოფელსაც თავის ხელს დაატყდებოდა იმ სოფლის შვილს ეძახდნენ, თუ ქალაქშიც იგივე პიროვნება თავს გამოიჩენდა, რომ გარდაიცვლებოდა გულისწყვეტით აღნიშნავდნენ: ეს იყო კაცი, რომელიც ქალაქს დააკლდაო. მაგრამ კაცი, რომელიც სამშობლოს გარეთაც თავს გამოიჩენდა, თანამემამულეები თავმომწონედ ამბობდნენ – ეს ადამიანი ჩვენი ქვეყნის შვილიაო.

მოგეხსენებათ, რომ ბატონმა ჯუმბერმა თავის უკიდეგანო მიღწევებით მსოფლიოში საკუთარი თავიც წარმოაჩინა და ჩვენი ქვეყანაც ასახელა.

ასე, რომ ძვირფასო მკითხველო, დიდი ჯიხაიში დიდი სოფელია არა მარტო ტერიტორიულად, მინდა ვთქვა, რომ ამ სოფელში უამრავი სასახელო პიროვნება დაიბადა და აღიზარდა რომელთა საქმიანობა უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გაცდა.

მათ შორის ერთერთი მათგანი გახლავთ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა. ჯუმბერმა ველოსიპედით ქვეყანას არა მარტო შემოუარა, ღვთის წყალობით უამრავი სასახელო საქმეები აკეთა და

დიდი მოღვაწეობით საკუთარი თავიც და ქვეყანაც ასახელა.

ამჯერად თავს არ შეგაწყენთ მისი ტიტულოვან საქმეთა ჩამოთვლით, მაგრამ ამას კი ვიტყვი: ჩვენი ქვეყნის დიდებული შვილი, ბატონი ჯუმბერი 5 აკადემიის აკადემიკოსი – შეყვანილია ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში. ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი – მსოლიოს 500 წარჩინებულთა სიაში...

გმადლობთ ბატონო ჯუმბერ, ქართველები და საქართველო ძალიან ამაყობენ თქვენით. 2015 წლის 2 აპრილი

თინათინ ჯაჭვაძე

ბეჟან ხარაიშვილი 1954 წელს დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ ხვანში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა. უყვარდა ქართული ლიტერატურა, ფოლკლორი, ლექსი... ზოგადად, ყოველივე ქართული.

ახოვანი და მოკრძალებული იყო – ასეთი დარჩა ჩვენს ხსოვნაში. ნიჭიერი, იმედისმომცემი, სულით პოეტი. ბევრი კარგი ლექსის ავტორი... დღეს მოგონებათა ლურჯ სამყაროში გადასული...

... კვლავ რაჭაში ვარ. ყველაფერი კარგი და ლამაზი ორ სამყაროს უკავშირდება. უნიერსიტეტს და სოფელს. იქ არის მთელი ჩემი ბავშური სამყარო ჩაკარგული. ვზივარ ბებერი კაკლის ქვეშ, გავცქერი ხვამლის დანისლულ მთებს ჩემი ეზოდან და თბილი, თბილი მოგონებები მიწვდიან ხელს.

რა მოიტანა და რა წაიღო დრომ?!
ო, რა საოცარი განცდა მიპყრობს!

ნუთუ ოდესმე მართლა ვიყავი თეთრი ტაძრის ყოველდღიური სტუმარი?! იქნებ ფერადი სიზმარი იყო ყოველივე? როგორი შინაური მეგონა თავი, ყველაფერი ჩემი იყო გარშემო. რუსთაველის კაბინეტი – ჩემი სულის სადგური – იდუმალებით მოცული მეგონა რატომღაც. უჩვეულო დაბნეულობა შემიპყრობდა, როცა შიგ შევდიოდი. ძირითადად მეორე სართულზე ვიკრიბებოდით: მე, ციცო, ანა, რუსიკო, ლევანი, ლექსო, ბეჟანი, – ოი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი!

...ავტობუსი თეთრ ტაძართან გაჩერდა. ხალხის ტალთა ძლივს გამოვარღვიე და გაჭირვებით ჩამოვედი. უეცრად სამხედრო ტანსაცმელში ჩაცმული ვაჟი მომეჭრა და, ყურებამდე გაღიმებულმა გადამკოცნა. სასაცილი იყო: ჯერ კოცნა დავუბრუნე, ცნობით კი მერე ვიცანი – ბეჟანი იყო. ბეჟანი დაბრუნდა ჯარიდან! ეს ამბავი იმ საღამოსვე აღვნიშნეთ უნივერსიტეტის ბაღში, ზოოპარკს რომ გადასცქერის. იქ ხშირად ვიკრიბებოდით. ვითომ ვმხიარულობდით. ყველას ერთად და ცალ-ცალკე გული გვტკიოდა:

„გულთან არ დამადო ხელი,
მტკივა...
მტკივა...
და
დანაღმული ვარ მკერდზე ძარღვებით.
ეჭვის მახრეებით“.
რა აწუხებდა?
ხვედრი პოეტთა!

მირზას ბედზე ხშირად დაფიქრებულა „პოეტები ბრძოლაში ადრე მიდიანო“. მაინც სად დასრულდა მირზას ლექსის სტრიქონი? მძიმე ჰქონია ხვედრი:

„ტყვიებს უკორტნია ყორანივით,

კშილებს უფრქვევიათ ბროლი,
პირიდან მძიმე-მძიმე
ბოლო ამოსვლია,
დაუწერელი ლექსების ბოლი“.
ბეჟანის ნატვრა უნაკლო და, მართლაც, საოცნებო ჰქონდა.
„იქნებ ვინმე მადლიანმა
მოგვთხოვოს სული იაკობივით
და მოგვჭრას მარჯვენა
გაღმა-გამოღმა ნაშენები კედლებისათვის“.



სულს უშფოთებდა „დაცლილი სოფლების სიცარიელე“.

რაჭაზე ვსაუბრობდით, თვითონ იმერელი იყო. მე, დედით რაჭველი, რაჭველობას ვჩემულობდი მუდამ, რადგან სოფელს იქ გავეცანი და შევიყვარე. მამა და მისი წინაპრები თბილისლები იყვნენ.

ბეჟანი მახსენებდა ხშირად, თითქოს ნიშნისგებით:

„იმერეთო, მაინც შენ მირჩევნიხარ,
კარზე ბოქლომაკიდებულ რაჭას“.

მაგრამ ეს ასე არ იყო. მასაც ტკიოდა რაჭის ტკივილი. მთელი საქართველო გულზე ეკიდა. „დღეგრძელი იყოს საქართველო უკუნისამდეო“. – წერდა.

წითლად ღვიოდა მისი ახალგაზრდული, ვაჟკაცური შემართება და სპეტაკი სული. მაგრამ, როგორც წითელ „ყაყაჩოს თხელ ფარფლებზე შავად ნაფერი შავი წყვეტილი“, მის სიცოცხლესაც შავი მრავალწერტილები დასტრიალებდნენ, თურმე თავს. გრძნობდა ამას? მაშ, რატომ ეკითხებოდა თავის თავს:

„ვისთვის კვდებოდი,
ვისთვის ქრებოდი,
თაფლიც, ო, თაფლიც, ხედავ? – გემწარის,
ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწარი
ისე დათოვა შენი მწვერვალი“.

ტყემლების თეთრმა სიმფონიამ იმარჯვა, მთაში შეციებულმა ღელეებმა ბარად იწყეს ჩამოსვლა, ბუხარი დუმილში ხრჩოლავდა, ქარი – შეშლილი ფოსტალიონი ბარათებს უმისამართოდ ჰკარგავდა, მგლების ამარა დარჩენილი სოფელი შვილებს უხმობდა.

„ჯვარი აქაურობას,

ჯვარი აქაურობას
რამ გამახსენა ნოეს კიდობანი?!“

შეძრწუნებულმა იკითხა ბეჟანმა.

ფიროსმანს შესცინა და მასავით ბახუსში ჩაეფლო. სძლია ბახუსმა: გალაკტიონი, ფიროსმანი, ტერენტი გრანელი...

ბახუსი და დეპრესია... ნელ-ნლეა, ნელ-ნელა შემოეპარა და მოეძალა ვაჟკაცრ სხეულს და უნაზეს სულს თეთრი თოლია – ზამთარი – დაეპატრონა თეთრი ქარი თმას უწეწავდა, თმასთან ერთად – სულს. გული კი ცხელი, ცხელი დარჩა. იმედთან ალერსი სურდა, მაგრამ.

„გამთეინისას აღარ სჩანდა სულის ნაფლეთიც
სიცარიელეს ამოევსო სიცარიელე“.

რა მოხდა, ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადეო – იკითხა მან. რა დაემართა დავითის, თამარის, ცოტნეს საქართველოს? „მთას ძარღვი გაუსკდა ცივ მდინარეებად, თუ საქართველოს სისხლი უთეთრდება“.

ვერ ეგუებოდა ვერაფერს არა ქართულს.

XX საუკუნის 70-იანი წლები იყო. რუსიდიკატული აპოლიტიკა. მე „საქართველოს ეშხით ვბარბაცებო“ – ამბობდა.

სვეტიცხოველი, ჯვარი, ალავერდი... თუში-ფშავი-ხევსურეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთი – ყველაფერი, რაც ქართული იყო, მისი სალოცავი იყო, მისი საფიცარი. უნაზესი ფერებით ამკობდა მათ, სიყვარულშიც ფაქიზ სულს:

„ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!“

გაზაფხულის ერთ თბილ დღეს ყინწვისს ვესტუმრეთ. სანთელი ავუნთეთ ანგელოზს, შევავედრეთ საქართველოს მომავალი. შენ რა შეთხოვე, ბეჟან, ყინწვისის ფრთიან ანგელოზს: ქვეყნის კეთილდღეობა? საყვარელი გოგონას თანაგრძნობა? რად არ შესთხოვე ცოტაოდენი ბედნიერება, ნახევარი საუკუნის სიცოცხლე, რომ დავაჟკაცებული გენახა შენი ლაშა, ახლა უკვე კაცობაში შესული, შენი ტოლივით რომ დააბიჯებს თბილისის ქუჩებში.

მუდამ ბავშვი დარჩები ჩვენს ხსოვნაში. კუნთმაგარი, ჯანმრთელი აგებულების, გულუბრყვილო, სუფთა, უაღრესად ნიჭიერი, თანდაყოლილი პოეტური სულით.

... უამრავმა მსემენლმა მოიყარა თავი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, როცა ბეჟანის ლექსების განხილვა მოეწყო. ჯერ კიდევ მაშინ ვაღიარეთ იგი პოეტად. იდგა ჩვენს წინ სრულიად ჭაბუკი, ყველასათვის უცნობი მომავალი პოეტის (შეწყვეტილი სიმღერა) და ნაწყენი შეთხოვდა განგებას:

„... და ახლა, როცა მესხეთ-ჯავახეთს
ასდინდა სუნი ქართველთ სიმცირის,
მე უნდა აქეთ, აწყურთან ვიდგე,
ჯიშიან ძვლებთან, მკბენდეს სიცივე...
და კარს უღებდეს უცხო ტურისტებს
ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო,

გადამავიწყე დიდი თურქობა,
გადმიშვი, მთაო!“

საკუთარ ქვეყანაზე დარდი ბოჭავდა. უყვარდა ლექსი, სადაც მისი სადარდელი კარგად იყო გასიგრძეგანებული. ამიტირდაო მუხრანი, ანა... გათეთრებული ქართველის სისხლზე ამოსულაო ძახველი. ხმელი წიფლისათვის სანედლო ფესვი მინდა ვიყოო.

საქართველოს ეძებდა ყველგან:

„ჭია-ჭია, მაპოვნინე საქართველო!
თორემ სისხლი უცხო სისხლთან აღარ ფერობს,
სხვისმა მიწამ ამომთუთქა ფეხის გული,
დარდი ღმუის ჩემანირთა, განა ვმღერი?!
ჭია, ჭია, მაპოვნინე საქართველო.“

ბეჟანი ყოველთვის პოეტური იყო, სიტყვასთან ჭიდილშიც და ყოველდღიურ ყოფაშიც. მახსოვს, ერთხელ უნივერსიტეტის ბაღიდან გადავედით ზოოპარკში. შორს, მიუვალში, უცნობი თეთრი ყვავილი ჩანდა. მოგვეწონა გოგონებს. არაფერი გვითხოვია, ისე ამოგვიტანა იმ ღელიდან ბუნების მშვენება.

მოყვრებთან ერთად, მეგობრებიც მიგვიპატიჟა იმ მარტის თვეში, ხვანში. ვეება გვირილების თაიგული გამომატანა წამოსვლისას. იცოდა, ძალზედ რომ მიყვარდა ეს მინდვრის პატარძალი

უჭირდა ბეჟან ხარაიშვილს, ფხიზელი თვალით ემზირა „ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფლისათვის“ არ ასრულდა მისი წინასწარმეტყველება:

„მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!“

გული შეგვიღონდა, როცა საახალწლოდ სამზადისში გართულებს, „წუნკალ“ დეკემბერში ბეჟანის სიკვდილი შეგვატყობინეს. ვაჟკაცი გალეული ვიხილეთ სიკვდილის სარეცელზე!

იანვრის ქარბუქში მიწას მივაბარეთ ეს გულუბრყვილო და დიდი ბავშვი. ამოტივტივდა ბეჟანის ბაგეებით წარმოთქმული გალაკტიონის „თოვლი“, ასე რომ უყვარდა მას:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან დენა“

დამეუფლა „მწუხარე გრძნობა ცივი სისველით“... გვენატრები, ბეჟან, ისე, „ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“. ეს მონატრება ვეღარ დაიტია შენი უახლოესი მეგობრის ლევანის გულმა. თვითონაც პოეტმა კარგად იცოდა შენი ლექსის და სიტყვის ფასი. მივიწყების საშუალება არ მისცა მათ.

1992 წელს ლევან ბაბუხადიამ გამოსცა ბეჟან ხარაიშვილის ლექსთა კრებული „სადღეგრძელო“.

გარეკანის პირველ გვერდზე ვკითხულობთ:

„ბეჟან ხარაიშვილს ძალიან უვარდა კარგი სადღეგრძელოები... მისი მეგობრები და ახლობლები კარგა ხანია მისი სპეტაკი სულის შესანდობარს ვსვამთ. გვინდა, ეს პატარა წიგნი მისი ალალი ლექსების სადღეგრძელო იყოს!“

ამინ!

რედაქტორისაგან



ამ წერილის დაწერის შემდეგ ძალიან ბევრი რამ მოხდა. საჩხერის რაიონის ჭალვანის საჯარო სკოლას მიენიჭა ბეჟანის სახელი. გამოვიდა პოეტური და პროზაული წიგნი „ხვედრი პოეტთა“, ლევან ბაბუხადიას რედაქტორობით. ლევანმა ოცდაათი წლის შენახული გაცრეცილი ფურცლები, ბეჟანის ხელნაწერები მოიძია და გამოუშვა ახალი წიგნი. ახლა კი კვლავ მესამე წიგნზე მუშაობს. ლევანი ასეთი სიტყვებით ეფერება ბეჟან ხარაიშვილს: ყველაფერი უნდა გაგიკეთო ბეჟან, მერე კი მოვალ, აბა, სად წავალო. ანა ბოდბელი, მისი თანაკურსელი კი, ბეჟანის სულისათვის ლოცულობს ბოდბის მონასტერში. მე კი, მისი და (გულნაზ ხარაიშვილი), შევთხოვ ბეჟანის სულს: ილოცოს საქართველოსათვის, მისი საყვარელი მეგობრებისათვის და თავისი დანატოვარი შვილის, რძლისა და შვილიშვილისათვის. 30 წლის ბეჟანი ახლა უკვე ბაბუაა და ორი თვალხატულა შვილიშვილი ჰყავს, გვანცა და ბარბი ხარაიშვილები.

თინათინ კაპანაძე

ძილგატეხილი საქართველო

დინჯად ლივლივებდა ღრუბელში მთვარე. ელოდა როდის მიეცემოდა ღრმა ძილს ერი, რომ ამოეხსნა საქართველოს უცნაური მოწყენილობა, უკვე საუკუნეებია გასული რაც მხოლოდ მან იცის მეგობრის სევდა.

რას აღარ მოსწრებია: ომს, ცეცხლს, ნგრევას, მაგრამ საქართველო ასეთი? არასოდეს უნახავს.

ფრთხილად შემოიძარცვა ღრუბელი ტანზე და მოციმციმე ნათელით ჩამოხედა საქართველოს, სურდა მეგობრის გაღიმება.

– გესმის? – ჩამოსძახა ჩუმად, გულდაწყვეტილი საქართველო კი სადღაც ფიქრებში მიკარგულიყო

– გესმის? რა დაგემართა?

– ეჰ– დარდიანმა ახედა ქვეყანამ და ცრემლი ასაკში მიმალა.

– არ გრცხვენია? ასე რამ დაგაღონა?

პასუხად მძიმე დუმილი მიიღო.

– მეგობარო, მოდი, ჩამოჯექი. ასეთი რა ამბავია შენს თავს, რა არ გინახავს, რა არ გადაგიტანია, როგორ მტერთან არ გქონია საქმე , მაგრამ მაშინ არ გატეხილხარ, მიამბე რატომ განიცდი ასე.

– ჩვენი საუკუნე მაწუხებს, მთვარე, ნერვები ეკლებივით მაყრია და ისე მტკივა ეს ეპოქა, რომ ათასი თემურ ლენგი, შაჰ-აბასი და მისთანანი მირჩევნია შემომესივნონ, ამას უფრო ადვილად გავუმკლავდები, – ამოიოხრა საქართველომ, – შეხედე ქართველს, დღეს როგორია, შენ ხომ ყველაფერი იცი, ნეტავ გესმოდეს როგორ მიკარგავს მოსვენებას ოცდამეერთე, ეს საუკუნე სადაც ასე ადვილი დასათმობი გახდა ღმერთი, როგორ ლოდებად მაწვებიან ნებით მიტოვებული სოფლები, როგორ გულს მიტეხს ქალაქში გაზრდილი სვანი, ხევსური... გარემო, სადაც ყველაფერი ასე რთული და ასე მარტივია. ნუ მკითხავ რა მაწუხებს, ნუ მკითხავ რა მტკივა, თორემ დავიხრჩობი, გესმის?! ჩემი ერის დარდით დავიხრჩობი, – ცრემლი მოაწვა საქართველოს და თავი მთვარის მხრებში ჩარგო.

– ნუ წუხარ მეგობარო, შენ ხომ წილხვედრი ხარ, ღვთისმშობლის წილხვედრი– ამშვიდებდა მთვარე, – ამასაც გადაიტან, გესმის? ამასაც გადალახავ – და რწმენად ნელა აპარებდა მზის ამოსვლას.

ქარის მონათხოობი

მთის წვერზე ყელმოღერებული სხივები ღამის გაცილებას ამცნობდნენ სოფელს... ქალაქში განთიადს ძილში ვერ ამჩნევდნენ. გლეხი ამ დროს გაჯიბრებული მიჰყვებოდა გზას ვენახისკენ. შორს შავი ზღვიდან მონაბერი ქარი ჩუმად უმღეროდა საქართველოს... სადღაც საზღვრებთან დაღვრემილი ხეები იდგნენ უკანასკნელი მცველებივით.

– ყოვლისშემძლენი– ირონიით კიოდა ქარი და ნოტებივით ფანტავდა ბგერებს.

– ყოვლისშემძლენი -იმეორებდა ახლა უკვე სიბრალულით.

– ყოვლისშემძლენი– ზუზუნებდა და საფრთხეს ამცნობდა დედამიწას.

გაკაფული ტყეები უცნაურად დუმდნენ, ხელოვნური სიმწვანე ელფერს კარგავდა, უცხო კალაპოტები აბრკოლებდნენ მდინარეებს, ყლორტის გარეშე დარჩენილი ფესვები გლოვობდა დაღუპულ მომავალს და მაინც სწამდათ გადარჩენის. გლეხი უფალს შესთხოვდა მოწყალებასა და ამინდით ხელშეწყობას...

ამ დროს ხალისიანად იდგნენ ცამდე აშოლტილი შენობები, რომლებსაც არაფერი ადარდებდათ, ხარობდნენ წამიერი ბედნიერებით. მანქანების აურზაურში, კვამლში გარეული ქალაქი კი უკეთეს მომავალზე ოცნებობდა, ფიქრობდა ღმერთთან გატოლებას და ფრთებს ისხამდნენ შეუვალი ფანტაზიები...

ცა გადმოყურებდა სამყოფელს, საოცარი სურვილით შეპყრობილს უნდოდა საკუთარი უმწეობა გაეხსენებინა ხალხისთვის და იქმნა უფლის ნება, მოწმენდილ ცაზე მიწა იძრა, შემცბარი ხალხი ერთხანს უჩუმრად იდგა, მაგრამ მოძალებულ ამპარტავნებას მაინც ვერ ძლევდნენ, ბიძგები ძლიერდებოდა, ძლიერდებოდა და პირდაღებული მიწა ჭამდა შენობებს, ხალხს, ცრუ პატრიოტებს.

მხოლოდ ახლა იგრძნობოდა შიში, აცახცახებული ქალაქი იხსენებდა უფალს და ბუნებას სთხოვდა შემწობას, იმ ბუნებას, რომელსაც არასოდეს გაფრთხილებია.

გრიალით შთანთქა მიწამ ქალაქი....

ყოვლისშემძლენი– სიბრალულით აბობოქრდა ქარი.

ცეცხლისფრად იყო მისვენებული ჩამავალი მზე ჰორიზონტთან და ხრიოკ მიწაზე მოსისინე გველები თითქოს მასში იკარგებოდნენ...

გაფანტული ნოტები ჰაერს ერწყმოდნენ, იდგა ჯავრამოყრილი დედამიწა...

შორენა ზაქუტაშვილი

გადავარჩინოთ ქართული სული!!!

საქართველოში ამაზე ფიქრი ნაკლებად აწუხებთ,რადგან იქ ფართო არჩევანია იმისთვის თუ მშობლებმა რომელ სკოლაში მიაღებინონ განათლება შვილებს, და ან მრევლმა რომელ ეკლესიაში ილოცოს. აქ კი მადრიში განსხვავებული პირობებია ამისათვის. მინდა აგიღწეროთ და გაგაცნოთ ცოტაოდენი რამ მადრიდში არსებულ ქართულ წმ.გიორგის სახელობის ეკლესიასა და საკვირაო სკოლაზე. ორივეს ერთად წარმოგიდგენთ რადგან სკოლა ასრესობს ეკლესიასთან შეთანხმებით.

ეკლესია დაარსდა 2011 წ. ხალხის მოთხოვნის საფუძველზე,ქართული დიასპორის დახმარებით.დაარსებიდან მისი ხელმძღვანელი არის არქიმანდრიტი პიროს გოცირიძე.წირვა-ლოცვა ტარდება ყოველ შაბათ-კვირას და ასევე კვირის სხვა დღეებშიც.ეკლესიას ჰყავს მგალობლები.ეკლესია არსებობს ხალხის შემოწირულობით.აქ მრევლი მხოლოდ დიდ ქრისტიანულ დრესასწაულებზე თუ იგრძნობა,დანარჩენ დღეებში მრევლი ძალზედ ცოტაა,შესაბამისად შემოწირულობაც ცოტაა.მაგრამ როგორც მამა პიროსიმ აღნიშნა ჩემთან საუბარში „ვარსებობთ ღვთის წყალობით'' და ეკლესიაც განაგრძობს არსებობას.ეკლესიის ხსენებაზე ალბად ბევრმა თქვენგანმა წარმოიდგინა გუმბათებიანი,მოხატული და მოჩუქურთმებული ეკლესია. არა! ეს არის საკმაოდ მოზრდილი ფართობის ოთახი რომელიც მოწყობილია ხატებით,სასანთლებით და ზოგადი აუცილებელი ეკლესიური აღჭურვილობით,რაც შეძლო ეკლესიამ რომ შეეძინა ხალხის შემოწირულობით,რაც აქამდე ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ეს ლეგალიზაციაა.

მინდა ავღნიშნო რომ, ქართველების გარკვეული რაოდენობა დადის სხვა ორთოდოქსულ მაგრამ არა ქართულ ეკლესიაში. ზოგს ქართული ლოცვა ურჩევნია,ქართული გალობა,ზოგი კი შემორჩა ბერძნულ და რუსულ ეკლესიებს,რადგან ეს მრევლი წლების განმავლობაში აქ ლოცულობდა და ახლა მათთვის ამ გარემოს გამოცვლა არც თუ ადვილი აღმოჩნდა.მე პირადად ბეძნულშიც მილოცია,რუსულშიც და ქართულშიც.ამ ეკლესიებიდან ხშირად დადის მრევლი სხვადასხვა წმინდა ადგილების მოსანახულებლად.ერთხელ მეც გავყევი უკრაინელების ჯგუფს პორტუგალიაში წმ.ფატიმას ადგილების მოსანახულებლად და სალოცავად.რამაც დიდი სიამოვნება მომანიჭა,სამწუხაროა რომ ჩვენ ეკლესიამ ამ პირობებს ჯერ ვერ მიაღწია.

აქ ხშირად მოხვდებით მსგავს სიტუაციაში მაგალითად;ბავშვი მოვნათლე; მამით ესპანელი-კათოლიკი,დედით ქართველი-ორთოდოქსი,ბერძნულ ეკლესიაში,უკრაინელი მამაოს რუსულ-ესპანური წირვა-ლოცვით.ეს უფრო იმიტომ ავღნიშნე,რომ მინდოდა ამეღნიშნა ამ ქართველი დედის ბრძოლა და მიღწევა რომ მისი შვილები მართლმადიდებლები ყოფილიყვნენ.მაგრამ არც ფართობს,არც ადგილს და არც ქვეყანას მნიშვნელობა არ აქვს თუ სად ილოცებ,მთავარია გულით და რწმენით ილოცო,ღმერთი ხომ ყველგანაა „ჩვენთან არსს ღმერთი! არსს და იყოს!!!''

მათთვის ქართული სკოლის ზარი მხოლოდ კვირა დღეს ირეკება, როგორ ეუფლებიან ქართულ წერა-კითხვას და განათლებას მადრიდში მცხოვრები პატარა ქართველები? საკვირაო სკოლა „აისი'' დაარსდა ეკლესიის დაარსებიდან რამდენიმე თვეში, ეკლესიის დახმარებით და ქალბატონ თამარ მეტრეველი-ჩადუნელის ხელმძღვანელობით,რომელიც ამჟამად გახლავთ სკოლის დირექტორი.სკოლა არის ეკლესიის ერთ ძალზედ პატარა ოთახში.სკოლას სულ 15 მოსწავლე ჰყავს,3 წლიდან 12 წლამდე.ბავშვები ორ ჯგუფად იყოფიან,დიდები და პატარები. შეისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა,საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, და რელიგიის ისტორიის საფუძვლები. სკოლას სულ 3 პედაგოგი ჰყავს,თავად ქალბატონი თამარი,ცირა მელქაძე და თეა ქურხული.

ალბად გაგიკვირდებათ რატომ არის ასე ცოტა მოსწავლე.გაკვეთილები ტარდება მხოლოდ კვირა დღეს რამოდენიმე საათით.ბავშვების მოყვანა მშობლებისთვის რთულია,ზოგი შორს ცხოვრობს,ზოგი მუშაობს,ზოგს ეს კვირა დღე დასვენება უნდა და ათასი სხვა მიზეზი,იმ თხუთმეტი ბავშვიდანაც ყოველთვის ყველა ვერ დადის.სკოლის დირექტორის თქმით ბავშვებს ძალიან უჭირდათ და უჭირთ ქართული მოთხრობების თუ ლექსების აღქმა,რადგან მათთვის ბევრი

უცხო სიტყვაა.ამიტომ საქართველოში მათთვის სპეციალურად დაიწერა შემოკლებული და გამარტივებული ფორმით წიგნები,რომლებიც გადაეცა სკოლას.სკოლას ასევე საჩუქრად გამოუგზავნეს მწერლებმა საკუთარი შემოქმედებები; ბატონმა გია ჯიჭონიამ პოეზიის ხუთტომეული „ოქროს ხანა'', საბავშვო მწერალმა და აკადემიკოსმა ქბ. ყამარ ბლიაძე-ტიელიძემ ორი ტომი „ყამარ ბებოს ნობათი'' და საბავშვო მწერალმა ქბ.მანანა ტონიამ თემატური ლექსების და მოთხრობების კრებული „სოფოს ბებო''.რაზეც დიდ მადლობას უხდის სკოლა.

სკოლაში ტარდება საშემოდგომო,საახალწლო და წლის დასკვნითი ზეიმები. ქართული ცეკვით,სიმღერით და ტრადიციული მხარეების წარმოჩენით.ბავშვებისთვის მაინც ყველაზე საყვარელი საშემოდგომო ზეიმია,რადგან ამ დროს ყველაზე გემრიელი პროცესია „ჩურჩხელების დავლება'' ეს პროცესი ხომ ყველა ასაკში სასიამოვნო და მოუბეზრებელია,როცა მოთმინებით ელოდებიან რიგს რათა გემრიელად ამოავლონ და ჯოხზე მოკონწიალე სხვა ჩურჩხელებს შეუერთონ.წარმოიდგინეთ ეს პატარები სიხარულთან ერთად სიამაყესაც რომ განიცდიან,რადგან ეს ტრადიცია ხომ მხოლოდ ჩვენს პატარა საქართველოშია და მეტი არსად.

ქალბატონმა თამარმა ცოტა დანანებით აღნიშნა რომ ბავშვები გასცდებიან თუ არა საკლასო ოთახს მაშინვე ესპანურად იწყებენ ლაპარაკს,მაგრამ ის იმ შედეგითაც კმაყოფილია რასაც მან მიაღწია,რომ არსებობს ქართული სკოლა.ბედნიერია იმ შრომით და ღვაწლით რასაც ის გასცემს ამ ბავშვებისათვის.

მინდა გითხრათ რომ ამ მასწავლებლებს არც ხელფასი აქვთ და ფაქტიურად არც დასვენების დღე.სკოლა არსებობს მშობლების და ეკლესიის დახმარებით.მაგრამ, ისტორიკოსმა ქალბატონმა ცირა მელქაძემ აღნიშნა რომ კვირა დღე მისთვის დასვენების დღეცაა და დიდი სიამოვნების მომტანიც,როცა კვირა დილით მიეშურება სკოლისაკენ რათა ქართველ პატარებს ქართული სული შეუნარჩუნოს და გადაარჩინოს.ბავშვებს რომლებსაც ზოგს საქართველო მხოლოდ რუკაზე უნახავთ. ის ამბობს რომ ამ შრომით მან პირველ რიგში საკუთარი სული გადაარჩინა,რადგან მანამდე მოწყვეტილი იყო თავის საყვარელ პროფესიას.მისი და მისი ვაჟის ალექსანდრეს დამსახურებაა სკოლის ზეიმების ორგანიზაცია.ქალბატონი ცირა მშობლების დახმარებით თავად უკერავს პატარებს საზეიმო კოსტიუმებს.

მაგრამ უფრო რთული წარმოსადგენია თუ რატომ ტოვებს ქალბატონი თეა ქურხული 4 თვის პატარას სახლში დასთან და ახლობლებთან და რატომ მიიჩქარის კვირა დღეს სკოლისაკენ, მიზანი ერთია,მას უნდა თავის პატარას მომავალი შეუნარჩუნოს.მას უნდა თავისი შრომით გააძლიეროს ქართული სკოლის არსებობა და როცა მისი შვილი წამოიზრდება მის შვილმაც გაიაროს „ანი-ბანი''-ს გზა.

გაკვეთილები წირვა-ლოცვის დროს მიმდინარეობს,და ზოგჯერ პატარები ხელს უშლიან მამაოს ლოცვების მშვიდად წაკითხვაში,მაგრამ მამაოს გულს უხარებს მათი იქ ჯღურტული და მშობლებიც ორმაგად მადლობლები არიან ამ ორმაგი წყალობით,რადგან კვირა დღეს მათ შვილებს საშვალება აქვთ მიიღონ ქართული სწავლა-განათლება,ასევე დაესწრონ წირვა-ლოცვას და ეზიარონ,ეს მართლაც დიდი წყალობაა ამ უცხო ქვეყანაში. ეკლესიის ამ პატარა ოთახში რომელშიც ოთხიოდე პატარა მერხი დგას,კედელზე არის საქართველოს რუკა, გენიოსი მწერლების სურათები და ფრაზები როგორიცაა; „მე პატარა ქართველი ვარ'' „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო''. და რამოდენიმე სხვა.მე როცა ამ ოთახში შევედი, ვიგრძენი რომ ამ პატარა ოთახში მთელი საქართველო იყო მოქცეული!!!

მინდა მადლობა მოვუხადო ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს ამ ჟურნალის მთავარ რედაქტორს,რომელმაც თავის მხრივ წვლილი შეიტანა ჩემი, როგორც ერთ-ერთი დაკარგული ქართველი შვილის ფართო საზოგადოებაზე წარდგენისათვის,და მე ჩემის მხრით მოგიყვეთ და დაგანახოთ აქაური ის პატარ-პატარა რეალობები რომლებიც საქართველოში არსებულ რეალობებიდან განსხვავდება.

საზღვარგარეთაც არ ივიწყებენ ქართველები ქართველობას.
ეს სურათები ესპანეთშია გადაღებული

გაზეთ „მამულის“ რედაქტორი და გამომცემელი (კანადა)

ონერ ძაძუა



ღვთიური სიყვარულის ძალა, ანუ შორეულ კანადაში ქართველი ემიგრანტების მართლმადიდებლური მრწამსის აღზევება....

გასული წლის იანვრის თვეში ბატონ სიმონ ზაქარაიამ გადმომცა კანადის ქ. ტორონტოს ქართველთა ყოველთვიური გაზეთი „მამულის“ რამდენიმე ნონემერი (ვანკუვერის ბიუროს ხელმძღვანელი და გამომცემელი დავით ხუფენია, გაზეთის მთავარი რედაქტორი ალეკო ჩაჩანიძე), სადაც მოთავსებულია საინტერესო სტატიები ჩვენი თანამემამულე ემიგრანტების ცხოვრებაზე, მათ პრობლემებზე თუ უკვე დასტაბილურებულ ყოველდღიურობაზე.

რა თქმა უნდა გაზეთი „მამულის“ თითქმის ყოველ ნომერში გამოქვეყნებულია ბ-ნ სიმონ ზაქარაიას კვალიფიციური და სინტერესო სტატიები ჩვენი უძველესი წინაპრების (პელაზგები, ეტრუსქები, იბერები, ტროელები, შუმერები, საკუთრივ კოლხები) მიერ შექმნილი მაღალი კულტურის ცივილიზაციის შესახებ, რაც უდაოდ ჰაერივით სჭირდება შორეულ კონტინენტზე მცხოვრებ ჩვენი თანამემამულეების ფსიქოლოგიურ განწყობილებას.

მაგრამ მე ამ სტატიაში მკითხველების განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო მთავარზე – გაზეთ „მამულის“ თითქმის ყოველ ნომერში კანადაში მართლმადედებელი ერთადერთი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დამაარსებლისა და მისი წინამძღვრის მამა პავლეს (მოქალაქეობში პაატა ზაქარაია) ღვთიური სიყვარულით აღსავსე მიმართვებზე იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისადმი. წინამძღვრის მიმართვის მიზანია სამშობლოს, ახლობლებს და ოჯახებს მოშორებული ქართველი კაცი გაამხნევოს, გააძლიეროს და დაარწმუნოს, იმაში რომ ის იქ მარტოდ არ არის, ამ შორეულ ქვეყანაშიც მათზე ლოცულობენ, ღმერთს შესთხოვენ მათ ბედნიერ მომავალზე.

მე აქვე მოვიტან გაზეთ „მამულიდან“ ერთ-ერთ სტატიას, რომელიც მამა პავლეს ახლახან კანადიდან სამშობლოში გამომგზავრებსთან არის დაკავშირებული.

ეს ის სტატიაა, რომელიც მოგვითხრობს კეთილშობილობაზე, ღვთიურ სიყვარულზე, რაზედაც მკითხველს თავად შეექმნება წარმოდგენა.

გზა მშვიდობისა მოძღვარო!

აგერ უკვე 23 წელი ხდება, რაც სამშობლოდან წამოვედი, რა არ გადამხდარა თავს, რამდენი საინტერესო და საოცარი ადამიანი შემახვედრა ცხოვრების გზაზე ღმერთმა, ბევრმა მათგანმა წარუშლელი კვალი დაატყო ჩემს ცხოვრებას. დღეს სიამოვნებით და სიამაყით მინდა გესაუბროთ ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებაზე, ვინც არა მარტო ჩემს, არამედ მრავალი ემიგრანტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას განსაკუთრებული აზრი

მიანიჭა. სიამოვნებით იმიტომ, რომ არ შეიძლება მიანიჭო ადამიანს იმაზე მეტი სიამოვნება, რაც მისთვის სულიერი საზრდოს გაზიარებაა და სიამაყით, რადგან სხვებთან ერთად ასეთი ადამიანის სიახლოვეს რამდენიმე წელი მომიწია არსებობა. ეს პიროვნება კანადაში პირველი და ერთადერთი, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამაარსებელი და მოამაგე, ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილის სულიერი მამა და მეგობარი – დეკანოზი პავლეა (პაატა ზაქარაია).

იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ასეთი რუდუნებითა და საქმის ერთგულებით ასრულებს თავის მოვალეობას, სამშობლოდან გადმოხვეწილი ათასი მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულების, აღზრდის, მრწამსისა თუ ყველაფერი ამის უქონელთა სულიერ მწყემსად მოგვევლინა მამა პავლე ტორონტოში. როგორც ყოველი საქმე, რასაც საფუძველი ახლად ეყრება, კანადის ქართველთა რჯულზე მოყვანა და ეკლესიური ცხოვრების გაზიარებაც იმდენად ძნელი და შრომატევადი მიაჩნდა ყველას, რომ დასაწყისში მრავალი ჩვენგანი სკეპტიკურად უყურებდა საქართველოდან მოვლინებული დეკანოზის გულმოდგინე მცდელობას. ამ პერიოდში მე კანადაში არ ვიმყოფებოდი და გადმოცემით ვიცოდი, რომ მამა პავლე კარდაკარ, ქუჩა-ქუჩა აგროვებდა ქართველ ქრისტიანებს, ნათლავდა მათ შვილებს, ქადაგებდა ჭეშმარიტი რელიგიის უზენაესობას და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა აქაურთა გულებისაკენ.

ჩემი პირველი შეხვედრა მამა პავლესთან, მისი ძალისხმევით გახსნილ მცირე ეკლესიაში მოხდა, მანამდე ასეთი რუდუნებით და სითბოთი განმსჭვალული წირვ-ლოცვა მე არ მინახავს. შესანიშნავი ქართული საგალობლები, რომელსაც რამდენიმე ადამიანი ასრულებდა ისე ორგანულად ჯდებოდა ლოცვაში თავი სამოთხეში გეგონებოდათ მამაოს წირვას მედავითნის ლოცვა ენაცვლებოდა, მერე ისევ საგალობლები და...სულგანაბული ვუსმენდი და მიხაროდა, რომ მეც ამ ამაღლებული ზეიმის ნაწილი ვიყავი, წირვის შემდეგ ვიკითხე რომელი ქრისტიანული დღესასწაულია მეთქი დღეს და ახალგაზრდა სტიქაროსანმა მორიდებული ღიმილით მიპასუხა კვირაო. აღმოჩნდა, რომ ღვთისმშობლის სახელობის ქართული ეკლესია ტორონტოში მისი წინამძღვრის თაოსნობით ყოველკვირეულად აღასრულებს წირვას, ყოველ შაბათს ლოცვებს, ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს საეკლესიო მსახურებას. აღარაფერს ვამბობ ქრისტიანული დღესასწაულების დროს ჩატარებულ მსახურებაზე. ბევრად უფრო დიდი ქართული დიასპორის მქონე ქვეყანაში ვერ ნახავთ ქართველ ბავშვებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიბადნენ და ასეთი გულმოდგინებით ღებულობენ ზიარებას, გალობენ ქართულ საგალობლებს და რაც მთავარია სწავლობენ ისევ და ისევ მამაო პავლეს თაოსნობით შექმნილ საკვირაო სკოლაში. დიდი მადლობა ამ ადამიანს იმ უსაზღვრო სიყვარულისათვის, რაც მან კანადის ქართველებს გვაჩუქა, რითაც გაგვაერთიანა და ერთ მუშტად შეგვკრა დაქსაქსული და ერთმანეთზე დამდურებული ემიგრანტები. მადლობა იმისათვის, რომ თავისი წვრილშვილი და მეუღლე საქართველოში ყავდა და ჩვენ აქ გვიწევდა სულიერ მამობას და მეგობრობას.

ყველაფერს თავისი დრო აქვს, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, სულ ცოტა ხანში საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებით მამაო პავლე საქართველოში მიემგზავრება, ალბათ უფრო საჭირო და საპატიო მისიის შესასრულებლად, აქაც გამოჩნდა მისი ჩვენდამი სიყვარული და მზრუნველობა, მრევლს თავის მაგივრად ადგილზე აღუზარდა სულიერი მწყემსი, რომელიც იმედია კარგად გაართმევს თავს დაკისრებულ ვალდებულებას.

დასაწყისი და დასასრული მეთქი ვწერდი, არა, დეკანოზი პავლეს საქართველოში გამგზავრება ნამდვილად არაა მისი აქაური საქმეების დასასრული, რადგან კელაპტარი მისგან დანთებული, უკვე ნამდვილად აღარ ჩაქრება, ვიდრე კანადაში ერთი ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი მაინც დარჩება.

მშვიდობით გატაროთ ღმერთმა მოძღვარო!“

გულნაზ ხარაიშვილი

ღამის სიზმარო

ყოველი დღის ფიქრო, ღამის სიზმარო, უსაზღვრო მონატრებავ, გაუსაძლისო ტკივილო, დედის ამოსუნთქვის ცრემლიანო ჰაერო, ზეცის ბინადარო შენი გარდაცვალებიდან დღემდე ძალიან ბევრი შენთვის ნაცნობები ინება უფალმა, რომ თავისთან წაეყვანა.

ჩამოგითვალო? ჰმ! რა გაეწყობა, სხვა რა გზა მაქვს, უნდა გაგესაუბრო:

დიდი მოგზაური, მეცნიერი და ფილოსოფოსი, ჯუმბერ ლეჟავა, რომელსაც ძალიან უყვარდი, გაფასებდა და ბევრჯერ უამაყნია კიდეც შენი ვაჟკაცობით... ყველასათვის საყვარელი მეუფე მირიან იორამაშვილი (პოეტი), რომელიც უწმინდესის კურთხევით სიონის ეკლესიაში დაკრძალეს. დათო მელიქიძე, რუსთავის ღიმილიანი, უსაყვარლესი ბიჭი. ჯერ-ჯერობით დაუდგენელი პიროვნების მანქანის მსხვერპლი გახდა. არ იცნობდი? იცნობდი დედი, ის ლიანა ოსიაშვილის შვილია. არ გახსენდება? თუმცა რა გასაკვირია, ეს პოეტი ქალბატონი შენი გარდაცვალების შემდეგ გავიცანი დურმიშხან კუპატაძის დაკრძალვაზე. დურმიშხანს ხომ იცნობდი, მწერალი რომ იყო, ყოველ გაზაფხულზე ყვავილების თაიგულით რომ მანებივრებდა, თავის ქალიშვილად მთვლიდა. გაიცანი დათო შვილო და იმეგობრეთ ერთად, ის შენნაირი სამართლიანი და მშრომელი ვაჟკაცია. მურადი ჭოლოკავას ვაჟს, ირაკლის უკვე გაიცნობდი. გთხოვთ ორივეს, ერთად მოატარეთ დათო მელიქიძე ცათა სასუფეველი. დათოს გარდაცვალების სამი დღის შემდეგ პროფესორ სულიკო თავბერიძეს ექიმი შვილი გარდაეცვალა შენნაირი დიაგნოზით – „პროტრომბინით“. გიორგი რობაქიძე, ის ისეთივე თბილ წერილებს წერდა დედამისს, როცა საზღვარგარეთ სწავლობდა, როგორი შინაარსითაც შენ მწერდი ხოლმე, თბილ და ალერსიან სიტყვებს, შვილო. მას ისე ძალიან ეამაყებოდა ქალბატონი სულიკო, როგორც შენ ამაყობდი ჩემით. მისი დანაკლისით ტიროდა თბილისელების ზღვა ხალხი. როცა შენ დამტოვე და ჩემს წინ გამიფრინდი, ისე, როგორც მამაშენი, ჩემი ხელი რომ დაიდო სიყვარულის ნიშნად გულზე და სული ამოუშვა. ამ ტკივილის შემდეგ გადავწყვიტე თქვენი სული რომ მომესვენებინა ზეცაში უფრო კეთილი გავმხდარიყავი და წარმოგიდგენია რამდენ ცრემლს ვხარშავ თვალის ქვაბში. გავიცანი ახალგაზრდა ჯგუფ „ზღვარის“ ბიჭები, სერგო და ვასო ლომაძეები, ამირან ლომაძის შვილები. ამირანს ხომ იცნობ, ის თვითონ გაგიცნობდა ისეთი თავმდაბალი და დიდი კოლორიტი მეცნიერი იყო. ჩვენი აკადემიის აკადემიკოსი. გიორგი ზუხბაია (პოეტი) და კახა ბაციკაძე (შეუდარებელი მუსიკოსი და პოეტი), ოთხ ვაჟკაცს ერთი საერთო სახელი დავარქვი – „ჩემი ბიჭები“. კახას სიდედრი გარდაეცვალა, პედაგოგი ქალბატონი იყო, მას ვაჟი არ ჰყავდა

გელა სხირტლაძე

მარტოდ ერთი ულამაზესი ფერია გოგო – ირმა, კახას მეუღლე. ისიც უნდა გაიცნო და დედასავით უნდა მოეფერო.

ბოლოს, ყველაზე ტკბილი ლუკმა, შენი ცოლ-შვილი კარგად არიან, მხოლოდ მონატრების ცრემლი სცვივათ. დათო – შენი ძმა პატრონობს... აბა დედი, მე რაღა შემიძლია შენი დაკარგვის შემდეგ სული რომ მიდგია, ეს უნდა მიკვირდეს. თამუნამ უმაღლესი დაამთავრა. თეონა ფსიქოლოგიის განყოფილებაზე სწავლობს ილიას უნივერსიტეტში. ლევანი – შენი საამაყო ძმისშვილი – ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სწავლობს. ნანიკო – მეთორმეტე კლასშია. ეკას – შენს მეუღლეს, გამძლეობა უნდა ვუსურვოთ ორივემ, შვილო. შენი საყვარელი რძალი – ცირა, ბაღში ფსიქოლოგად გადაიყვანეს. ასე, გენაცვალოს დედა! მომიკითხე ყველა და, განსაკუთრებით, ჩემი ძმები: ლევანი და ბეჟანი, რამაზი კი ყოველთვის შენს გვერდით იქნება... შენი ბიძაშვილი (გიჟმაჟი ზუპი)...

მენატრებით, შვილო!

უსამართლოა ბედისწერა

გაზაფხულივით ლამაზი იყო, მაყვალივით შავ თვალებში დიდი ნიჭი იყო ჩაბუდებული. ნაზი ფერია გოგო სკოლაშიც გამოირჩეოდა სწავლით და ორგანიზატორული ნიჭით. ამიტომ იყო, რომ რაიონის გაზეთებში ხშირად ბეჭდავდა სტატიებს. წერდნენ თვითონ მასზეც. ეს ადრე იყო, ახლა იგი დარწამოსხმული შეჭიდებიხარ ძალიან მწარე ბედს, ჩემო კეთილო ქალბატონო. ჯერ იყო და შვილების გაზრდასა და ოჯახის შექმნას შეალიე სიცოცხლის ყველაზე ლამაზი წლები. ყადაღადადებულ შენს ნიჭს აღარანაირი აღმაფრენა არ ღირსებია იმ დღიდან დღემდე. სამი შვილი, მეუღლე და სირცხვილ-ნამუსი, ეს იყო შენი ყოველდღიური ცხოვრების კრედო.

ძალიან ახალგაზრდამ გამოცადე ქვრივობა. არაფერი დაგიკლია შვილებისთვის, მაგრამ უსამართლოა ბედისწერა, დედაშვილის დაშორებაში რომ იღებს მონაწილეობას, ეს კანონი ზეციურია და ამის განსჯას ღმერთი არ მაპატიებს. არც მაპატია ანალოგიური გზები გამომატარა, ტყუპისცალებს ჰგავს ჩვენი ბედისწერა, მეუღლე, შვილი, ამ მწარე დღეებს მეც მოვესწარი. ჩვენ თვალებს ცრემლები აღარ შერჩა, დაიღვარა, დაიცალა... გულები კვნესის დედათა გულები დასერილია მწარე ბედისწერით. არადა როგორ უდექით ერთმანეთს გვერდში, ჩვენ ერთნაირი სახლები ავაშენეთ, ძალა ერთობაში იყო, ამ ერთობით ვიყავით ძლიერები. ეს იშვიათობაა, მაზლისცოლები ასე ერთმანეთს უგებდნენ, ალბათ, არც გამიგონია.

ჯერ ჩემი სახლი ავაშენეთ, გვერდით შენი სახლი დავდგით, ერთნაირად გაგვირემონტა გარედან ჩემმა ძმამ (ლევან ხარაიშვილმა) შიგნით კაპილატური რემონტი ერთნაირები გვქონდა, ღობეები, ეზო და დიდი სიყვარული გვაერთიანებდა.

სტუმარი როდესაც მოგვდიოდა, ერთმანეთის სუფრას ვავსებდით. ისეთი კარგი მეუღლეები და კარგი დედამთილ-მამამთილი გვყავდა (შალვა სხირტლაძე და ვარა გოგატიშვილი), მათი რჩევით იქმნებოდა ოჯახები. ჩვენი დიდი ოჯახი ცალკე ცხოვრობდა. ჩვენ კი ერთად, გვერდიგვერდ მივყვებოდით ცხოვრების აღმართს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ ერთმანეთს გავბუტოდით. თუ რამე გაუგებრობა მოხდებოდა, სახლში მშვიდად ვაანალიზებდით და მტყუანი მტყუნდებოდა (ეს შენ იქნებოდი თუ მე, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა).

უფროსი რძალი მე ვიყავი, ასაკით ტოლებს ერთი ფიქრი და ერთი მიზანი გვაერთინებდა, უფროსებისადმი პატივისცემა და ოჯახის სიყვარული. შენ როცა მოგიყვანეთ, ოჯახმა ათასნაირი დაპირებით გამოგკვება, ცხოვრებაში ისე აღარ განახორციელეს. გაკრვეულ მიზეზთა გამო. სწავლა ვეღარ გააგრძელე, შვილები წამოგეწია, ფიზიკურად მუშაობა გიწევდა, მე სხვადასხვა სერიოზული სამსახურით ვიყავი დაკავებული, ეს შენ არ გაღიზიანებდა, პირიქით, ამაყობდი ჩემით.

ერთხელ სიტყვიერი შელაპარაკება მოგსვლია ერთ-ერთ ქალბატონთან. შენს გასაღიზიანებლად უთქვამს, შენი მაზლის ცოლი შეგნებით სავსეა და შენ რა უსამართლო ხარო. (არადა შენ ძალიან სამართლიანი იყავი, დარწმუნებული ვარ, იმ ქალბატონთან მართალი იქნებოდი). პასუხი ასეთი გაგიცია. დიახ! ის ჩემი რძალია და მე ვამაყობ მისითო. ასეთ პასუხს, დარწმუნებული ვარ, დედმამიშვილიც ვერ გასცემდა.

დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი, დაიფანტა მოსახლეობა, შეწყდა ყოველგვარი კულტურული და ფიზიკური სამუშაო. იძულებით გადაადგილებულმა ხალხმა სხვადასხვა რაიონს და ქალაქს მიაშურა. მეტმა წილმა საქართველო დატოვა. მე თბილისში მომიწია მუშაობა და ასე შეწყდა ჩვენი ერთად ფუსფუსი. შენ არ დატოვე სახლი. შრომაში გალეულმა ქალმა არ მიატოვე სახლკარი და ორ ოჯახს პატრონობ შენსას და ჩემსას.

ერთხელ სოფელს ტყვიებს უშენდნენ რამოდენიმე სახლს ცეცხლიც წაუკიდეს, იყო მსხვერპლიც. შენ კომშის ხეზე ასულხარ და იქ დაღლილს დაგძინებია, ძირს ჩამოვარდნილხარ და მიწაზეც გაგირძელებია ძილი... ასე შეინარჩუნე ორი ოჯახი შენი და ჩემი.

თბილისიდან ოცდაათი ადამიანი მოუყვანია ერთ-ერთ ჩემს ნაცნობ ქალბატონს, ისე რომ მეც არ გაუფრთხილებივარ, იმას თავისი ამბიციები აწუხებდა მეტი არაფერი, შენ იმ დროს ერთი თვის დამწუხრებული დედა იყავი. შენთან მოსულან. მეზობლები შეკრებილხართ და ჩემი ხათრით კიდეც დაგიპურებიათ. ამისთვისაც დიდი მადლობა შენ და იმ მეტიჩარას ღმერთმა აპატიოს უაზროთ და უმიზნოთ ხეტიალი.

გიყვარს ინტელიგენტი და განათლებული ადამიანი იმიტომ, რომ თვითონ ხარ, გიყვარს პოეზია, იმიტომ რომ შენ სულით ამაღლებული ხარ, ჩემო ტკივილიანო, სამართლიანო, შრომაში გალეულო ქალბატონო.

არ შეიძლება არ გავიხსენო ჩემი ძმის სტუმრობა, ბეჟან ხარაიშვილი მაშინ სტუდენტი იყო, მე სამსახურში ვიყავი, შენ საოჯახო საქმით იყავი დაკავებული, იმდენათ გავდნენ ჩვენი სახლები ერთმანეთს. ბეჟანი შენთან შემოსულა, შენც გაგხარებია და ჩუმად გასულხარ გარეთ და ქათამი მეზობლის ვაჟისთვის დაგიკვლევინებია, ეს რომ ბეჟანის დაუნახავს, უთქვამს კი მაგრამ გულნაზი სად არისო. შენ გაგცინებია და გითქვამს, გულნაზი ახლა უკვე სამსახურიდან მოვიდოდა და სახლში იქნებაო. ბეჟანის მაშინ მიხვდა, რომ შენს სახლში შემოვიდა, მას თან ახლდა ქარელის განყოფილების გამგე ბატონი მერაბ მიქელაძე (მაშინ ასე უწოდებდნენ რესუს ცენტრებს) ისე ბატონმა მერაბიმ სკოლის დირექტორად უფრო დიდხანს იმუშავა და მას ამ საქმიანობით უფრო ცნობენ დიდებული ადამიანი იყო. რათქმაუნდა ჩემმა სტუმრებმა ჩემსკენ გადმოინაცვლეს და გავშალეთ საერთო

სუფრა. იმ დღეის სამასპინძლოს შემოუეთდა მეურნეობის დირექტორი ბატონი ტარიელ სხირტლაძე (იგი ჩვენი მამამთილის მამის ძმიშვილი იყო) მისი პიროვნებით ვამაყობდით ბატონი ტარიელი ცნობილი სახე იყო რაიონისა. სადღეგრძელოები ჩვეულებრივ წარიმართა, როგორც ჩვევია ქართველობას.

სუფრას ბატონი მერაბ მიქელაძე თამადობდა, იგი განთქმული ამ კუთხითაც გახლდათ. ჩემო კეთილო ქალბატონო იზოლდა ტეფნაძე ეს ფაქტი იმიტომ გავიხსენე, რომ ბატონმა მერაბიმ აღნიშნა: არ მაკლია ხალხისგან ასეთი სუფრები, ყურადღება, მე ეს არ მიკვირს მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ მაზლისცოლებს ასეთი ურთიერთობა ჰქონდეთ ასეთი მართლაც არ მინახავსო.

ქალაქში გულხელდაკრეფილი არ ვყოფილვარ ათასნაირ ფიზიკურ თუ გონებრივ დატვირთვასთან ერთად, ჩემში პოეზიის ნიჭმა გაიღვიძა, აკი ვაღიარებ, რომ არასოდეს ლექსებს არ ვწერდი, მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოლილი მადლის დაფარვა ეს დიდი დანაშაული იქნება ღვთის წინაშე. ამ ნიჭმა ბევრი აალაპარაკა (მაბრალებდნენ, რომ ბეჟანს ლექსები მქონდა შენახული და იმას ჩემს სახელზე ვაქვეყნებდი) ბეჟანი რადგან გავიხსენე არ შეიძლება არ მოვიგონო ის მწარე დღე, როდესაც ის ოცდაათი წლის ასაკში მოკლეს თბილისში (ეროვნულობისა და დიდი ნიჭისათვის ქართველებში ეს მოდის, კაენის ჯიშისანები ვართ) შენ ჩემი ძმა იმდენი წლები იგლოვე, რომ საკუთარი უბედურებაც წამოგეწია (მეუღლე გარდაგეცვალა) ძალიან კარგი ხმა გქონდა, მღეროდი ისე ჰავაის ბულბულს გიძახოდი, ბეჟანის გარდაცვალების დღიდან დღემდე შენი სიმღერა არავის გაუგონია.

ახლა უკვე ცხრა წიგნის ავტორი ვარ და ჩემი წიგნები თავთით გიდევს, კითხულობ და ამაყობ, სადაც შემთხვევა ხელში ჩაგივარდება ქების სიტყვებს არ იშურვებ. როგორ არ მოგეფერო ამდენი დადებითი თვისებების შემდეგ, როგორ არ გაღიარო. იქნებ ეს ჩვენი ურთიეთობა გამოადგეს ჩვენს მომავალს, იქნებ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მკითხველებშიც გაიღვიძოს მიძინებულმა სიკეთემ, იქნებ ასეც მოხდეს რას გაიგებ წინასწარ.

დაჩი ივანიშვილის თავგადასავალი

პატარა დაჩი ივანიშვილი, მშობლებთან ერთად ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიას ესტუმრა. წლის და რამოდენიმე თვის პატარამ, სამუშაო ოთახს თვალი მოავლო. ფაჯრის რაფაზე წითლად აღაღანებული ყვავილი შენიშნა, დედას მიუბრუნდა და დამაჯერებლად შეეკითხა: დედიკო, ეს ხომ ციცინათელაა?

კი, გენაცვალე, ნამდვილად მაგ ყვავილს, „ციცინათელა“ ჰქვია, „ციცინათელაა“. ქალბატონი სოფიკო ძაძუა მომიბრუნდა და დიალოგი გაიმართა ჩვენ შორის: ქალბატონო, ამბობს დაჩის დედა, უცნაური ბავშვია, ასეთ ასაკში ბავშვებს ყველაფერი უნდა აინტერესებდეს, მაგრამ დაჩი, იაკობ გოგებაშვილის დედა ენის ყველა ასოს სცნობს. სანამ მე და ქალბატონი სოფიკო ძაძუა ვსაუბრობდით, დაჩიმ იფიქრა ესენი მე ყურადღებას აღარ მაქცევენო და ახლა მამიკოს მიუბრუნდა. პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ცნობილ ფრენბურთელს გიორგი ივანიშვილს.

– მამიკო, ყველაფერი მომწონს, აქ რაც არის, უჰ! რამდენი ნახატებია, მაგრამ წიგნები უფრო მაინტერესებს.

– აბა, რომელი წიგნი გინდა შვილო, აქ ბევრი წიგნია.

– ყველა! წამოძახა დაჩიმ და ანთოლოგიის მესამე ტომს მიეტანა.

უჰ! რა მძიმეა მოტრიალდა ჩემსკენ და დაიწყო ტიკტიკი: ბევრი წიგნი მინდა, ბევრი! შეხედე ამდენი და მაჩვენებს გაშლილ ხელის თითებს. დაჩი ეგ რამდენია შევეკითხე.

– ათი! წამოიძახა. მაჩუქებ წიგნს?

– კი! ჩემო პატარავ, აუცილებლად გაჩუქებ.

– ამ წითელ წიგნს მაჩუქებ? დაჩი ანთოლოგიით დაინტერესდა.

– აუცილებლად საყვარელო, კიდევ რომელი წიგნი გინდა?

– კიდევ ეს წიგნი და მიმანიშნა ჩემს ახალ გამოსულ წიგნზე.

– შენ რომ ჯერ კითხვა არ იცი?

– ვიცი!

– აბა წაიკითხე...

–

– დარდის პირამიდები, ამოიკითხა წიგნის სათაური. და მე დავრწმუნდი, რომ ჩემი სტუმარი იყო პატარა ვუნდერკინდი. დაჩი ივანიშვილი.

დაფაჩუნობდა დაჩი ბიჭი რედაქციაში,
წიგნთა თაროსთან, სულ უშიშრად
თვით მიდიოდა...
მით ბრწყინდებოდა, დარდის ნისლი
გულის წყვდიადში,
წამით მიშრობდა მდუღარე ცრემლს
მე რომ მდიოდა.

გვანცა ხარაიშვილი

ვის უნდა საქართველოში?

რომ იკითხოთ, რაა სადღესასწაულო სუფრის მთავარი ელემენტი, სავარაუდოდ, დაგისახელებენ გოზინაყს, საცივს. ჩემს ოჯახში ყველაფერი სხვაგვარადაა. მაგიდის ცენტრალური ადგილი ნიგვზის წვენში ჩამხრჩვალ ინდაურს კი არა, ლეპტოპს უჭირავს. სკაიპში, ხშირად, რამდენიმე ქვეყნიდან გვერთვებიან: ძმა – ესპანეთი, ბიძა – რუსეთი, მეგობარი – გერმანია და ასე დაუსრულებლად. ყველაზე მეტად სუფრები ჩემი კომპიუტერის ვიდეოთვალს უნდა სძულდეს. ყოველ სადღეგრძელოზე მასთან ისეთ ჭახა-ჭუხს ავტეხავთ ხოლმე, რომ მინის ჭიქების შეჯახების ხმისგან ვერც გაარჩევ. წლებია, როცა ეკრანის ყურება მბეზრდება, თვალებს ვხუჭავ და წარმოვიდგენ, რომ ყველანი აქ არიან, ჩემთან, რომ ყველანი დავბრმავდით და ცქერის ნაცვლად ერთმანეთს ვეხუტებით, ვკოცნით. წლებია, ასე ხდება.

დღეს სკაიპით სიღრმისეულ ინტერვიუებს ვატარებ. თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმის ფარგლებში ემიგრანტების შერჩევითი გამოკითხვის ჩატარება გადავწყვიტე. ყველაზე ადვილი მათი პოვნა აღმოჩნდა, საქართველოში ხომ არ მოიძებნება ოჯახი, საზღვარგარეთ ვინმე რომ არ ჰყავდეს. ჩემი პირველი რესპონდენტი 43 წლის ქალია, თურქეთიდან:

– 6 თვეა რაც ჩამოვედი. ყველაზე რთული იმ ფაქტთან შეგუება აღმოჩნდა, რომ ფიზიკურად მუშაობა მიწევს. პროფესიით ექიმი ვარ. საბჭოთა საქართველოსა და მოსკოვში იმ დროისათვის საუკეთესო განათლება მივიღე, თუმცა ჩემი პროფესიით თავის რჩენა ბოლო დროს ძალიან გამიჭირდა. ქალაქის ახალ საავადმყოფოში მხოლოდ გამგებლის ნათესავ-მეგობრებისთვის მოიძებნა ადგილი. მათ უმეტესობას რომელიღაც უსახელო კოლეჯებში აქვთ გავლილი პრაქტიკები და ექიმის კი არა, ექთნის მოვალეობასაც ვერ ასრულებენ ისე, როგორც წესი და რიგია.

შემდეგი რესპონდენტი საბერძნეთიდან მერთვება. ასაკს არ მიმხელს. ჩემი ინფორმაციით, 50 წელს გადაცილებული არ უნდა იყოს, თუმცა ბევრად უფრო ხნიერს ჰგავს:

– 3 წელია მოხუცს ვუვლი. საქართველოში დიდი ოჯახი მყავს, მუშაობით კი არავინ მუშაობს. ქვეყნის დატოვება უკიდურესმა გაჭირვებამ მაიძულა. ჩემს გარდა ოჯახის ფიზიკური გადარჩენის პასუხისმგებლობა ვერავინ აიღო. ბებია, რომელსაც ვპატრონობ, ჭირვეულია და ისედაც აუტანელ შრომას ერთი-ორად მიმძიმებს. შვილებთან არაფერს ვიმჩნევ. როცა მირეკავენ ხალისიანი ხმით ვპასუხობ. მინდა ეგონოთ, რომ კარგად ვარ. ბავშვობაში მსახიობობაზე ვოცნებობდი. ახლაც კი, როდესაც ტელევიზორში რაიმე ფილმს აჩვენებენ და ბებია ყურებას მაცლის, ცრემლებს ვერ ვიკავებ. სცენა უკვე სიზმრებშიც აღარ მიცოცხლდება.

სკაიპის ზარს საფრანგეთში პასუხობს ჩემი ტოლი გოგონა, რომელიც სოციალური ქსელის საშუალებით გავიცანი:

– სკოლა რაიონში დავამთავრე. როცა თბილისში ჩავაბარე და სტუდენტი გავხდი, მთელი სამყარო ჩემი მეგონა, რეალობა კი მწარე აღმოჩნდა. შეუძლებელი თუ არა რთულია იმ ქვეყანა-

ში ცხოვრება, სადაც არაფერი გაქვს გარანტირებული განათლების დონის თუ შენი უნარების მიუხედავად. სულ მაწვალებდა კითხვა, მაინც, სად და როდის იწყება ნამდვილი ცხოვრება? ერთადერთი კი რაც ზუსტად ვიცოდი ის იყო, რომ საქართველოში და სტუდენტობისას ნამდვილად არა. დავამთავრე თუ არა ნათესავების დახმარებით ევროპაში წამოვედი. მაღაზიაში კონსულტანტად მუშაობით და წუწუნით რა გამეგო აბა სამყაროზე, ადამიანებზე ან საკუთარ თავზე. საფრანგეთში მივხვდი, რომ ჩემი ჭეშმარიტი მოწოდება კულინარიაა. აქ დიდი შესაძლებლობები აქვთ მონდომებულ ადამიანებს. მეც ვსწავლობ. ზოგჯერ თბილისი უსაშველოდ მენატრება, მაგრამ მწარე მოგონებები მონატრებას მალე მავიწყებს ხოლმე.

რესპონდენტი, რომელიც მეგობრების დახმარებით აღმოვაჩინე, ინგლისიდან მირეკავს, მე კი ჩასაწერად ვემზადები:

– 12 წელზე მეტია ინგლისში საცხოვრებლად მთელი ოჯახი გადმოვედით. სწავლას, მე და ჩემმა ძმებმა მიწაზე მუშაობა ვამჯობინეთ, რაც საკმაოდ მომგებიანი საქმე აღმოჩნდა. ახლა უკვე დიდი ფერმა და საჯინიბო გვაქვს. ჩვენმა შვილებმა ქართული კარგად იციან, თუმცა არ ვიცი მანდ ჩამოსვლა ოდესმე მოუნდებათ თუ არა. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ მიჩვენა, რომ სამშობლო იქაა, სადაც ვინმეს სჭირდები. მადლიერი კლიენტებისგან უამრავ სამადლობელ წერილს, სახელმწიფოსგან კი ყოველთვიურ დახმარებას ვიღებ, საქართველოში კი ჩემმა მშობლებმა არაერთხელ სცადეს მცირე ბიზნესის დაწყება, მაგრამ ვალების გარდა სანაცვლოდ არაფერი მიუღიათ. ნათესავები, რომლებსაც ჯერ კიდევ ახსოვთ ჩვენი ოჯახი (უფრო კი მაშინ, როცა დახმარება სჭირდებათ) ხშირად მეკითხებიან ხოლმე, ბედნიერი თუ ვარ. მე ვპასუხობ, რომ იმდენას ვშრომობ, რომ მაგაზე ფიქრის დრო არ მრჩება. მათ უკვირთ და ამ გაკვირვებას ტახტზე გვერდის შეცვლით გამოხატავენ.

ინტერვიუები ჩაწერილია. მობილურიდან ჩანაწერები კომპიუტერში გადამაქვს და ტრანსკრიპტის გაკეთებას შემდეგი დღისთვის ვდებ. ამ ისტორიების მოსმენით ისედაც ძალიან დავიღალე. ჩაის ვადუღებ და ვფიქრობ, განსაკუთრებული რა უნდა დავწერო ანალიზში, როდესაც ყველაფერი ასე ცხადია. ამ დროს სახლში მეზობლის ბავშვი შემორბის და მეხვეწება „სამეფო კარის თამაშები“ ვაყურებინო. თხოვნის საპასუხოდ ვდგები, ლეპტოპთან ვსვამ და ვეკითხები, დიდი რომ გაიზრდება სად უნდა რომ იცხოვროს.

– იქ, სადაც „სამეფო კარის თამაშებს“ იღებენ.

მის პასუხზე მეცინება. სიმწრის სიცილით, რა თქმა უნდა. მახსენდება, რომ ჰოლივუდს უნდა გადაეღო ფილმი დავით აღმაშენებელზე. სცენარიც დაწერეს ტურაშვილმა და აკა მორჩილაძემ. მოლაპარაკებები რატომ არ შედგა ეგ აღარ მახსოვს. ეკრანზე ბრძოლის სცენებს ვაკვირდები და ვფიქრობ, დიდგორზეც არანაკლები ხოცვა-ჟლეტვა იქნებოდა მეთქი.

PARTLY-HELL JOB

ბავშვობიდან ყველამ ვიცით, რომ რაღაც უნდა გამოვიდეთ. სტუმრად მოსული ნათესავები ხომ ხშირად და დაჟინებით გვეკითხებიან, რა უნდა ვაკეთოთ როცა დიდები გავიზრდებით. ჩვენც ვპასუხობთ. ეს პასუხები თავიდან გულწრფელი და გულუბრყვილოა, ხოლო დროთა განმავლობაში სიტყვა „შრომა“ რთული ქვეტექსტებით იტვირთება.

როცა პირველად ტერმინი „გაუცხოებული შრომა“ მოვისმინე, მაშინ ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენის ვიყავი შრომის ფენომენზე და ბევრი ვერაფერი გავიგე რა უნდოდა მარქსს. ახალი დაწყებული მქონდა სტუდენტობა და მეგონა, რომ ამქვეყნად სოციოლოგიის შესავალზე მეტი სირთულე კარგა ხანს არ შემხვდებოდა ცხოვრებაში. უნივერსიტეტში ადაპტაციის პირველი სირთულეები გადალახული მქონდა, როცა ძველი ნაცნობი შემხვდა და სამუშაო შემომთავაზა. აღვფრთოვანდი. ყოველთვის ვოცნებობდი სწავლის პარალელურად ნახევარი განაკვეთით დასაქმებაზე ზუსტად ისე, როგორც ეს თინეიჯერულ ფილმებში მქონდა ნანახი. წარმოვიდგინე, როგორ გავაჯაზებდი თანამშრომლებთან ერთად, როგორ მოვშხამავდით აუტანელ უფროსებს და როგორ შემიფრთხიალდებოდა გული ყოველი ხელფასის ჩარიცხვისას. დავთანხმდი-მეთქი და პირველი სამუშაო დღეც დადგა. ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში მიმავლინეს ასევე ერთ-ერთი საუკეთესო ღვინის დეგუსტაციაზე, მიმტანად. მისვლისთანავე მენეჯერმა გაგვაფრთხილა, რომ წვეთიც კი არ უნდა დაგვსხმოდა მაგიდაზე, სტუმრებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. წარმოიდგინეთ, უზარმაზარ საბანკეტო დარბაზში სოკოებივით მომრავლებულ, თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდებთან შემოსკუპული უამრავი ადამიანი და მე, რომელსაც ღვინო დიდიდიდი საკუთარი თავისთვის თუ ჩამომისხამს სადილობისას. ძალიან შემეშინდა. საკუთარ თავს ვუთხარი, ეს საღამო თუ მშვიდობიანად ჩაივლის ჩათვალე, რომ მომავალში ნებისმიერ პრობლემას გადალახავ მეთქი. ალბათ უფრო იღბლის და ნაკლებად ჩემი მოხერხებულობის წყალობით, არც სტუმრები შემიღებავს წითლად და არც მაგიდა გადამიყირავებია. ასე ვეზიარე ანაზღაურებად შრომას და ისიც კი არ მახსოვს პირველი ოცი ლარი რაში დავხარჯე...

მერე? მერე იყო კიდევ უარესი დღეებიც. ბევრ რამეს ვურევდი, მაგრამ ის მაწყნარებდა, რომ ეს დროებითი იყო მხოლოდ, დროებითია დღესაც. ამას არ დავჯერდი და ნახევარი წელი მოსწავლეები მყავდა ინგლისურში და ერთადერთი, რაც იმ დროიდან კარგად მახსენდება მათი საახალწლოდ ნაჩუქარი სუნამო და ის ფაქტია, რომ ინგლისური ჯერ კიდევ მიყვარს.

დამეთანხმებით ალბათ, რომ ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია. მალევე მივხვდი, რომ ჩემს ირგვლივ უამრავი ადამიანი იყო უარეს დღეში. მაგალითისთვის ჩემი მეგობარიც იკმარებს, რომელიც ძალიან პოპულარულ სუპერმარკეტში კონსულტანტია. კონსულტანტი ოფიციალურად, თორე ასევე ითავსებს დამლაგებლის, ტუალეტების მხეხავის და სხვათა და სხვათა ფუნქციებს. როცა ღამის ცვლიდან ბრუნდება ხოლმე დაღლილ-დაქანცული, ადამიანობადაკარგული, საკუთარ თავს მონას ეძახის. ეს სტატუსი შემთხვევით არ აურჩევია, მართლა თვლის რომ მისი მდგომარეობა ზუსტად ამას იმსახურებს. ამაზე გამახსენდა, ინტერნეტში ბუკოვსკის წერილს წავაწყდი, სადაც ჯერ საკუთარ თავზე ამბობს, 50 წელი მონასავით ვმუშაობდი მანამ, სანამ მწერალი გავხდებოდიო და შემდეგ ასეთ რამეს წერს: “მონობა არასდროს გაუქმებულა, უფრო ფართო მასშტაბი მიიღო იმისათვის, რომ ყველა ფერი და რასა მოეცვა.” მოდი და ნუ დაეთანხმები მაშინ, როცა გამოსაცდელი ვადით აგიყვანენ სამსახურში, ვირივით გამუშავებენ და არაფერს გიხდიან რამდენიმე კვირის, ან თვის განმავლობაში, არ გასვენებენ დასვენების დღეებში, არ გაძლევენ დამსახურებულ შვებულებას, გიხდიან მათხოვრულ ხელფასს, გამცირებენ ისეთი ვალდებულებებით, რომლებიც შენს პოზიციას არ შეესაბამება, შესვენების დროს ჰყოფენ სამზე და მიდი მერე თუ მაგარი ხარ და მართლა ნუ გასვენდები.

კარლ მარქსი წერს, რომ ადამიანს თავისივე შრომის შედეგი უპირისპირდება გარეგანი მტრული ძალების სახით და მალევე ის გაუცხოებას იწყებს შრომის პროცესისგან, საზოგადოე-

ბისგან და საკუთარი თავისგანაც კი. ვერ გეტყვით რომ სრულიად მესმის ამ სიტყვების არსი, მაგრამ შემიძლია აღვწერო რას ვგრძნობ ხოლმე თორმეტსაათიანი, ხშირად, რუტინული სამუშაო დღის შემდეგ – საკუთარი თავისგან, მეგობრებისგან, ჩემივე სურვილებისა და მიზნებისგან ძალიან შორს ვარ. იქნებ მარქსიც ამას გულისხმობს გაუცხოებაში. არ ვიცი.

მშვენივრად მესმის, რომ დიდი ფუფუნებაა ამქვეყნად აკეთებდე იმას, რაც გიყვარს და ამაში ფულს გიხდიდნენ, მაგრამ არც ისე დიდი ფუფუნება მგონია აკეთებდე იმას, რაც მინიმუმ არ გეზიზღება მაინც. მე ამ მხრივ გამიმართლა და ვიმედოვნებ, მომავალში კიდევ უფრო გამიმართლებს, თუმცა ვერც მურაკამის სიტყვებს ვიგდებ თავიდან: "ყოველთვის როცა კი ფულის შოვნის გზებზე ფიქრობ, საკუთარი თავის რაღაც ნაწილს ჰკარგავ."

კახა სამყურაშვილი



მზის სხივები, აკაკი და საიუბილეო წელი

აკაკი წერეთელი მოგვიწოდებდა, რომ ყოველი საქმის დაწყების წინ დავით წინასწარმეტყველის სიტყვები წარმოგვეთქვა: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა". მეც სულითა და გულით ვიზიარებ ამ მოწოდებას და ვიდრე ამ წერილის დაწერას შევუდგებოდე, აკაკის რჩევას მივყვები.

ამ ცოტა ხნის წინათ, თბილისი-საჩხერის მიკროავტობუსში ჩაჯდომამდე, მგზავრობის გასახალისებლად ერთ ჩემს ჩვეულებას მივმართე, - შევიძინე კროსვორდების ჟურნალი. სხვადასხვა სახის კროსვორდებთან ერთად ამ ჟურნალში ბევრ საინტერესო ამბავსა და გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამებს მივაგენი. აქედან ნაწილმა უკვალოდ ჩაიარა, ნაწილი სრულად, ნაწილი ნახევრად, ნაწილი მეოთხედად და ერთი მათგანი მეათასედი სიზუსტით (როგორც შემდგომ გაირკვა) დამამახსოვრდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გონებაში ეს უკანასკნელი ამომიტივტივდა - თურმე მზეს იმხელა სიდიდე აქვს, ისეთი უზარმაზარი სხეულია, რომ მისი ბირთვიდან ზედაპირამდე სხივების ამოსვლას 170 დედამიწისეული წელი სჭირდება, ამის შემდეგ კი ეს სხივები დედამიწამდე 8 წუთში აღწევენ.

რა წარმოუდგენელი ამბავია!

170 წელი... 170... 170.....

ჩემი კუთხის მცხოვრებლების მსგავსად, არა მაინცადამაინც საჩხერლობის, არამედ პირველ რიგში ქართველობის გამო, გონში სულ აკაკი წერეთლის სახელი და მისი საიუბილეო თარიღები (დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წელი) მიტრიალებს და აი, 170-ის, ამ რიცხვის ხშირმა გამეორებამ ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილ აკაკის 170 წლის იუბილემდე მიმიყვანა; და მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენის გახსენებისას მუდამ მხნეობა მემატება და საზეიმო განწყობა მეუფლება, ამ ჯერად ჯერ არგანცდილი სიხარული ვიგრძენი, - ამ ხუთი

წლის წინ, როცა აკაკი წერეთლის 170 წლის იუბილესთან დაკავშირებით მეუფე დანიელის ძალისხმევით სხვიტორში, აკაკის სახლში ჩვენი ძვირფასი პატრიარქის, მისი უწმინდესობის სტუმრობა მოეწყო (ამ მოვლენის შესახებ ხალხი ხატოვნად ამბობდა, რომ ილია და აკაკი კვლავ ერთმანეთს შეხვდნენ), თურმე აკაკის ეზოში სწორედ ის სხივთა გუნდი გვეფინებოდა, რომლებიც მზის გულიდან ზუსტად მაშინ დაიძრნენ, როცა აკაკი საქართველოს შუაგულში დაიბადა!... რა ბედნიერებაა!... აკაკისთან ერთად დაბადებული სხივები!... აკაკის სხივები!... აკაკის ნათელი!... აკაკის „ ანაკადულებული ღვთიური მზეობა''!...

პატრიარქი აკაკის კაკალთან დგას და გვმოძღვრავს: „აკაკი ის ჩაუმქრალი სანთელია, რომელიც ყველა ქართველს გზას უნათებს სასუფეველისაკენ''.

ასეა, „მზეს და გენიოსებს ორი თვისება აქვთ: ორივე საოცრად ნათელია და ორივე სიცოცხლის შემოქმედი'' (ნ. დუმბაძე)

მოგვიანებით გადამოწმება მოვინდომე... მზე... იტერნეტი... გუუგლი... ვიკიპედია.... და აღმოჩნდა,რომ მთლად ზუსტად ვერ დამიმახსოვრებია! ნაცვლად 170-ისა, 170 ათასი ყოფილა... ეს ხომ შემაძრწუნებელია... რა უმასშტაბობაა... უსასრულობა... რა უსაზღვრო მოთმინებაა... მაშინ გამოდის, რომ... როდინდელი სხივები ეფინება ახლა სამყაროს?...

შემდეგ სახლში ის ჟურნალიც მოვიკითხე, მეუღლემ ჩემი ბიჭების, ზვიადისა და აკაკის მიერ მელნითა და ფლომასტერებით აჭრელებული და ალაგ-ალაგ ფურცლებმოხეული ჟურნალი მომიძებნა... ასეა, აქაც 170 ათასი წელი წერია... მეწყინა..... ესე იგი აკაკისთან ერთად დაბადებული სხივები ჩვენამდე 170 ათასს გამოვაკლოთ 175 წლის შემდეგ მოაღწევენ?... ესე იგი ათასჯერ მეტი დრო ყოფილა?! აღარც ვაპირებ წერილის გაგრძელებას!...

არადა დასანანია, მიუხედავად იმისა, რომ ახლად გაგებული საინტერესო ინფორმაცია უკვე ჩავლილ ამბავთან დავაკავშირე, მაინც უზომო სიხარული განვიცადე!...

თუმცა კარგი, დროებით მოვეშვათ ფიზიკასა და ქიმიას, აკაკის სხივები ხომ უკვე კარგა ხანია გვინათებენ, აკაკის სული ანათებს საქართველოს!...

და მაინც, რატომ?! აქ რაა დასაღონებელი? - არ ვყრი ფარ-ხმალს!.. სად გავლილი და სად მომავალი ამბავი? მომავალი სასიხარულო ამბის მოლოდინი უფრო მეტი ბედნიერებაა, თუ ვერშემჩნეული უკვე გავლილი სიხარული? პირიქით, ასე უკეთესიცაა! ვიმხნევებ თავს...(მაგრამ მაინც, ის წაკითხული ათასჯერ ზუსტად რომ დამემახსოვრებინა, ხომ ავცდებოდი ამ ფიზიკასა და მეტაფიზიკას?... ისევ გაისმის წყრომის ხმა.)

კეთილი, მაგრამ ეს როდის იქნება? 170 ათასს გამოვაკლოთ 175 წლის შემდეგ? ჰმ, ზოგიერთს იქნებ მართლაც სურდეს აკაკის სათანადო დაფასებამ სწორედ ამ უშორეს პერსპექტივაში გადაიწიოს. აკი მას არც თავის თანამედროვეთაგან და არც ახლა აკლია არაკეთილმოსურნეები?! რაღაც ზღაპარს ხომ არა ჰგავს ეს ამბავი, რეალურია?... ეს ამბავი ნამდვილად ჩვენ გვეხება?... რათქმაუნდა, ჩვენ გვეხება, მერე რა... თუ ჩვენ არა, მომავალი შორეული თაობები ხომ დახვდებიან იმ სხივებს?! ჩვენც ხომ ასე გვირჩევნია, ყველაფერი საუკეთესო მათთვის არ გვინ-

და?... რას გაიხარებენ?... გაბრწყინებული ივერიაა იმ სხივების მიმღები!... თუმცა ნამდვილად მიჭირს ამ ამბის მშვიდად აღქმა, შემაძრწუნებელია ამხელა დროის მარტო გონებით გააზრებაც კი! მაგრამ მე მწამს უკვდავების!...

უკვდავებასთან ათასწლეულებიც არაფერია!

ათასი!.... ათასი... ათასი... ახლა ეს რიცხვი ამეკვიატა!

და სწორედაც, რომ ათასჯერ მეტი სიზუსტე მმართებს! ათასჯერ მეტი სიზუსტე გვმართებს!!!

და აკაკისაც ათასჯერ მეტად უნდა ვიცნობდეთ და ვაფასებდეთ!

დიახ, თუ გვსურს, რომ კარგად გავერკვეთ ჩვენს დღევანდელობასა თუ ჩვენს მომავალში, ჩვენც ათასჯერ მეტად გვმართებს აკაკის ღვაწლის დაფასება, მისი სახელის მოფრთხილება. რამეთუ „აკაკი ქართველობის იდუმალი თანამეტყველი სახეა, ქართლის მომავალი ბედი ამ სახის გამოცნობაშიც სდევს''(გ. რობაქიძე).

ესე იგი, აკაკის გაცნობით ჩვენს თავს შევიცნობთ, ჩვენს ბედს ვჭედავთ, ჩვენს მომავალს ვაშენებთ...

და დღეს ძნელად გამოსაცნობი და გასაგები ჩვენ არაფერი გვაქვს!!!

წელს საქართველოს წინ ორი ძვირფასი თარიღი უძევს: აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წელი!

21.03.2015წ.

ნუნუ გოგოლაძე

აკაკის იუბილე ბოდბეში

/ 175-100 /

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის (პრეზიდენტი გულნაზი ხარაიშვილი) მიწვევითა და საჩხერის კულტურის ცენტრის ხელშეწყობით (დირექტორი კახა სამყურაშვილი) ბოდის მონასტრის სპეციალურად მომზადებულ ადგილზე (ამისთვის დიდი მადლობა ძვირფას ქალბატონ ანა ბოდბელს) საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის 1-ლმა საჯარო სკოლამ (დირექტორი ირმა კაპანაძე) გამართა დიდი მგოსნის საიუბილეო საღამო.

საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, საჩხერის კულტურის სახლის დირექტორმა კახა სამყურაშვილმა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიამ ბოდბეში ჩაატარა აკაკი წერეთლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.

განსაკუთრებულად მომხიბვლელი იყო იმ ლამაზ დღეს კახეთი. აქა-იქ თეთრი ქუნქულა, ფაფუკი ღრუბელი ამშვენებდა კახეთის ფირუზისფერ ცას, ზეციური საქართველოდან გვიმზერდა ლომივით ფაფარაშლილი სულმნათი მგოსანი. თითქოს აკაკის მეფური ლანდი ვიდოდა ბოდბის კრიალა ცაზე და წმიდა ნინოს ამ საყვარელ, მადლცხებულ მიწას გასაოცარი შუქით აცისკროვნებდა.საჩხერელი სტუმრებიც (დიდი და პატარა) და მასპინძლებიც გასაოცარ ამაღლებას ვგრძნობდით.

ზოგჯერ სიტყვები მათლაც უძლურია ემოციის გამოსახატავად და მაინც, თუ ვინმეს სიტყვა დაიტევს უდიდეს გრძნობას, ექნება უძლიერესი ემოციური დატვირთვა, ეს, პირველ რიგში, აკაკის სიტყვაზე ითქმის, როგორც თავის გმირზე ბრძანა მგოსანმა;

„ქართულ ლექსის გაგონებამ იოანე ააჩქარა,

ტანში რაღაც უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა“ – აი, ამ უცნაურმა ჟრუანტელმა შეგვიპყრო ჩვენც – მონაწილენიცა და მსმენელნიც – მრავლად რომ იყვნენ იმ დღეს ჩამობრძანებულნი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, თითქოს მათთვის დაიწერაო;

„ჩონგური საქართველოა ,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,.
სხვადასხვა კუთხის შვილები,
ოდელ-დელა, დელაო!“

ამ სიმებს შეხაროდა დიდი მგოსანი, ამ სიმების სიძლიერეს ნატრობდა, არც სიმდიდრე უნდოდა, არც სხვა რამ დიდება, არანაირი საპირადო!

„ რას მიქვიან პირადი მწუხარება,
მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება!“

ამ გენიალურმა მგოსანმა კაცობრიობას ადამიანობის ისეთი ფორმულა დაუტოვა, რომლის მსგავსი, ალბათ, მთელ ქვეყანაზე არავის უთქვამს:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე- მთელი ქვეყანა“

და ხმიანობდა მგოსნის სულშიჩამწვდომი სიტყვები, უკვდავ ჰანგებად დაღვრილი. „გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა, როგორც პირველი საფეხური კაცობრიობის მისწრაფებისა, ოღონდ იმისთანა სიყვარულით, რომელსაც სარჩულად გულწრფელობა უდევს.“ ეს გულიანობა, როგორც აკაკის უყვარდა თქმა, მთელ საიუბილეო საღამოს ბოლომდე გასდევდა და ცოცხლდებოდნენ აკაკის დაუვიწყარი გმირები; ქართველი დედა, თორ-

ნიკე ერისთავი თუ პატარა კახი, ცოტნე თუ ნათელა, ბაში-აჩუკი თუ აბდუშაჰილი, პირიმზისა თუ პირიმთვარისა, ბიძინა ჩოლოყაშვილი თუ ზაალ ერისთავი, ნინო, ქეთევან თუ თვით თამარი“.

ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საჩხერის მგოსნის სახელობის სკოლის მოსწავლეები; ნინო იაშვილი, სანდრო გუდაძე, ლალი კვიჟინაძე, მარიამ გიორგაძე, გოჩა ცაბაძე ,ნინო ტყავაძე, მიშიკო და ნიკა კაპანაძეები, გიორგი აბჟანდაძე, ნიკა, შოთა და ზვიად სამყურაშვილები,ზუკა ცერცვაძე, ავთო ჩაჩანიძე, ანა სოფრომაძე, ანა კუსიანი, ნანა გულორდავა, სალომე ფარქოსაძე...

ბოდბის ამ უწმიდესი მიწიდან კიდით-კიდემდე ისმოდა აკაკის ხმა. მთელმა საქარველომ უნდა მიაპყროს ამ ხმას ყური, რამეთუ არც მტკვრის დუდუნში, არც არაგვის მჩქეფარებაში არ არის საქართველოს ხმა, საქართველოს ხმა არის – აკაკი.’’(ილია).

საჩხერელ მოსწავლეებს შეუერთდნენ და დიდი მგოსნის ნათელ სულს შეეხმიანენ საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები, პოეტები, მწერლები:

რეზო ადამია, კახა ბაციკაძე, სერგი ლომაძე....

ერისკაცები არასოდეს კვდებინ , ისინი მხოლოდ იბადებიან, მარად უკვდავ, თანამდევ სულებად რჩებიან, დიახ,

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდა
და ხალხს შესწირა დღენია,
მკვდრად იგი თქმულა,
ვისაც აქ სახელი არ დარჩენია!“

და ბოლოს აკადემიის პრეზიდენტმა ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა მადლობა გადაუხადა საიუბილეო საღამოს მონაწილეებს, მასწავლებლებს, ბავშვებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს, საჩხერის კულტურის ცენტრის დირექტორს კახა სამყურაშვილს, საღამოს ორგანიზატორს ნუნუ გოგოლიძეს. ყველა მონაწილეს გადასცა საჩუქრები: წიგნები,ჟურნალები, ხატები,

„ასე ლამაზად ჩატარებული საიუბილეო საღამო მთელმა საქართველომ უნდა ნახოს-აღნიშნა თავის გამოსვლაში აკადემიის პრეზიდენტმა,-დიდი ერისკაცების დაფასება თვით შენი ერის სიყვარულის გამოხატვაა და პატივისცემა, ამიტომ ამ საღამომ უფრო ფართო მასშტაბები უნდა შეიძინოს, რათა ერი გაძლიერდეს, ის ცეცხლი, რომელიც აქ დაანთეთ აკაკის მშობლიური კუთხიდან ილიას საფიცარ კახეთში, მეტად უნდა აბრიალდეს დანარჩენ საქარველოშიც. საიუბილეო წელს თქვენ იყავით პირველი მერცხლები იმ დიდ საშვილიშვილო საქმეში, რასაც ერისკაცის დაფასე-

ბა და სათანადო პატივის მიგება ჰქვია, თქვენი მიმდევრები უნდა გაჩნდნენ საქართველოს ყველა რეგიონში, სკოლებში''

გვიანობამდე ისმოდა აკაკის ჰანგები, მისი უკვდავი სტრიქონები.

ჩვენ კი ჩვენდათავად კიდევ ერთხელ გადავუხდით მადლობას ქალბატონ გულნაზს ასე რომ გაალამაზა ჩვენი საიუბილეო საღამო და მოგვცა საშუალება, სიცოცხლეში განუშორებელი საქართველოს სულიერი მამები -ილია და აკაკი-ასე ცოცხლად ერთად წარმოგვეჩინა.

მთელი გზა ხმიანდებოდა თითქოს საგანგებოდ ამ დღისთვის დაწერილი სტრიქონები;

ეს დღეც ღამდება, ეს დღეც ღამდება ,
ეს დღეც ფრთებს კეცავს და მიილია,
და ისევ მათი გამოცხადება
ისევ აკაკი , ვაჟა, ილია!

კურთხეული იყოს მათი გამოცხადება! დიდება მათ ნეტარ აჩრდილებს!

სერგი ლომაძე

ფერადი აპრილი – ოცდამეთექვსმეტე საჯარო სკოლაში

მოგეხსენებათ, მაისში ჩვენი აკადემიის ერთპიროვნული ლიდერის – ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის სამოცდახუთი წლის იუბილეა და რაოდენ მნიშვნელოვანი იქნება წლევანდელი მაისის დიდი თვე აკადემიისათვის, უკვე ნათელია. რაც შეეხება აპრილს, ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც წინასაიუბილეო დღეები. თუმცა პირადად ქალბატონი გულნაზი შესაშური თავმდაბლობით გამოირჩევა, ჩვენ, – აკადემიის წევრები, მაინც, უკვე აქედანვე, ვემზადებით იუბილესათვის, დღეობისათვის.

როგორღაც ისე გამოვიდა, ისე დაემთხვა, რომ სწორედ ამ რანგში შეიძლება განხილულ იქნას ჩვენი სტუმრობა ოცდამეთექვსმეტე საჯარო სკოლაში, – იქ, პირველკლასელებმა, ძირითადად, სწორედ ქალბატონი გულნაზის ლექსებზე (სულ ზეპირად ამბობდნენ) ააგეს შესანიშნავი პოეტური საღამო-შეხვედრა, რისთვისაც გულმხურვალე მადლობა ეკუთვნის ამავე სკოლის დირექტორს მაია კვინიკაძეს, ასევე – კლასის პედაგოგს, ციური ხუჭუას, და ამ სკოლაში ჩვენს ერთ-ერთ მიმწვევს – მრავალმხრივ ხელოვან ჟანა ხვიჩიას (იგი, თავის დროზე, დედა თამარის უშუალო ჩარევით, ერთხმად გავაწევრიანეთ ჩვენს აკადემიაში).

ყოველთვის ქედს ვიხრი იმ ადამიანების წინაშე, რომელნიც პატარა ბავშვებთან„ დაწყებით კლასებში, წარმატებით მუშაობენ, რამეთუ ვიცი, რა უძნელესი საქმეა ეს (საერთოდაც უძნელესია შრომა პედაგოგისა). აი, მაგალითად, ყველგან ჩამიტარებია შემოქმედებითი საღამო აკადემიისა და ჯგუფ „ზღვარის“ წევრებთან ერთად, ვთქვათ, მოხუცთა თავშესაფრებშიც ვიყავით, ფიზიკურ თუ სულიერ ავადმყოფებთანაც, პატიმრებთანაც გვქონია შეხვედრები (თუნდაც აი, ახლახანს გვქონდა დაუვიწყარი ღონისძიება რუსთავის საპატიმროში)... მაგრამ მივხვდი, რომ ყველაზე რთული, ხელოვნების საღამოს გამართვა, მაინც პატარა ბავშვებთან არის (ყველაზე საინტერესო კი, მაინც, უნივერსიტეტებში ჩატარებული საღამოებია), ხოლო ასჯერ უფრო რთული ისაა, როცა თვით პატარა ბავშვებს ატარებინებ ღონისძიებას მაღალი დონისას, როცა თემის, არსი, მეტად მაღლაა აწეული, და აი, ასეთი ღონისძიება დაგვახვედრა, აპრილის იმ დღეს, ქალბატონმა მაიამ და ქალბატონმა ციურიმ. ეს იყო, უპირველესად, სიურპრიზი ჩვენი გულნაზისათვის, ხოლო შემდეგ – თითოეული ჩვენთაგანისათვის. აგერ, სტუმრების სია: ქალბატონები – გულნაზ ხარაიშვილი, ლამზირა შეყილაძე, ნაირა მარშანია; ბატონები – ჯუმბერ ხრაიშვილი, ლევან ბაბუხადია; სტუმრებში ვიყავით ჩვენც – მე და კახა ბაციკაძე, როგორც ჯგუფ „ზღვარის“ წევრები. ჩვენ, „ზღვარელებს“, აღიარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული წელიწადი გვაქვს ახლა: მთელს ჯგუფს გადმოგვცეს, სწორედ წელს, პატივდების სიგელიც, და ორი ლიტერატურული პრიზიც – გრანელის სახელობის პრემია (მწერალთა კავშირმა), გალაკტიონის სახელობის აკადემიური სიგელ-დიპლომი (ჯუმბერ ლეჟავასეულმა აკადემიამ), და გასაკვირი არაა რომ გახარებულნი, ამაღლებული განწყობით ვიყავით მისულნი ღონისძიების სანახავად, მითუმეტეს, ეს ამ სკოლაში

ჩვენი არაპირველი სტუმრობა იყო და წინასწარ ვიცოდით – აქ მაღალ დონეზე აკეთებენ ყოველთვის, თუმცა ნანახმა მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

მაშ ასე წლევანდელი – ორიათასთხუთმეტი (2015) წელი, გაზაფხული, აპრილის დასაწყისი. საშუალო სიდიდის ოთახი, სადაც შეკრებილია ბავშვები მოსწავლეები) და მშობლები. აქვეა სკოლის დირექტორიცა და კლასის პედაგოგიც. ჩვენ, როგროც საპატიო სტუმრები, პირველ რიგში ვზივართ, ვუყურებთ „სცენას“, რომელზედაც წარმოდგენილნი არიან მაართლაც გაზაფხულივით ლამაზი პატარა გოგობიჭები. მათ თვითონ მიყავთ წარმოდგენა, უფროსების დახმარების გარეშე, და ქალბატონი გულნაზის ლექსების გვარიან რაოდენობას სულ ზეპირად ამბობენ, ფაქტიურად, უშეცდომოდ!

განწყობა – საზეიმო. სევდა მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდში მოეძალა მსმენელს, ვთქვათ, ეს მაშინ იყო, როცა გაჟღერდა სახელები ქალბატონი გულნაზისათვის უძვირფასესი რამოდენიმე ადამიანისა, რომელნიც, სამწუხაროდ, ამქვეყნად აღარ არიან. მაგალითად, როცა ითქვა დღეს უკვე ლეგენდად ქცეული, ადრეწასული პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის სახელი... აჩვენეს კინოფირიც, საინტერესო კადრებით... წარმოიდგინეთ, აქ საუბარი მიდის საღამოს მომწყობებზე, ბავშვებზე, რომელნიც, ალბათ, შვიდი წლისანიც კი არ არიან, თერთმეტ-თორმეტ წლიან სასწავლებელში მხოლოდ და მხოლოდ პირველ კლასს წარმოადგენენ მაგრამ უკვე მართავენ ისეთ სერიოზულ ღონისძიებას, რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს ქალბატონი გულნაზის დიდი იუბილეს თითქმის გენერალურ რეპეტიციად!

განსაცვიფრებელია!..

ღონისძიების ბოლოს სტუმრები სიტყვით გამოვედით. ყველამ პატარ-პატარა შეფასება გავაკეთეთ დიდი საღამოსი, გარდა ქალბატონი გულნაზისა, რომელმაც შედარებით ვრცლად ისაუბრა. მისი აღტაცება იმდენად აშკარა იყო, რომ ერთად გადავწვიტეთ – ეს ბავშვები უნდა იყონ სცენაზე მთავარი იუბილეს დღესაც – მაისის თვეში.

ახლა ცოტა გადავუხვევ თემას:

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ აკადემიას, გულნაზ ხარაიშვილთან ერთად, ყოველთვის ამშვე-

ნებდა სხვა უზენაესი ავტორიტეტებიც, მაგალითად – დიდი მოგზაური-ფილოსოფოსი ჯუმბერ ლეჟავა, გენიალური პოეტი მეუფე თადეოზი და ზოგი სხვანი. ეჰ, რა ცუდია, რომ ბატონი ჯუმბერი და ჩვენი დიდებული თადეოზი დღეს ცოცხალნი აღარ არიან! (მეუფეს, სულ ბოლოს, მისკენ მიმავალი ქრისტე, ღვთისმშობელი და სხვა მნათი პიროვნებანი უხილავს თურმე, და, ფეხზე წამომაყენეთო, – უთხოვია იქ მყოფთათვის, – ფეხზე მდგომი უნდა შევეგებო იესოს, მარიამს და ამდენ წმინდანსო! იგი საწოლიდან მართლაც წამოუყენებიათ, ფიზიკურად ავადმყოფი, დაუძლურებული, მაგრამ სულით მაღალი, გაუტეხელ, და ასე ფეხზემდგომი, მარადგამარჯვებული გადასულა ზეციურ საქართველოში ეს პოეტი, მეუფე-ბერი და წმინდანი!) ამ დაუვიწყარ პერსონებს, როგორღაც, ჩანაცვლება სჭირდება, რომ არ გაჭირდეს დიდი აკადემიური საქმე, ღვაწლი აკადემიისა, და ჯუმბერ ლეჟავას ადგილი, ჩვენს შორის, ახლა თითქოს დაიჭირა მისმა სეხნიამ – ჯუმბერ ხარაიშვილმა. აი, მეუფის ადგილი კი ჯერაც ცარიელია...

დავუბრუნდეთ თემას: ქალბატონები – გულნაზი, ლამზირა და ნაირა ფერად-ფერადი, ანთებული ყვავილებით გამოაცილეს პატარებმა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბატონი ლევან ბაბუხადიას, ანუ, უბრალოდ, ჩვენი ძვირფასი ლეოს იმ ღონისძიებაზე ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რამეთუ იგია, სწორედ, საბავშვო ჟურნალ „ხატის“ რედაქტორი და ყოველწამს შეიძლება დასჭირდეს ნიჭიერ ბავშვს ამ ჟურნალთან ურთიერთობა. ჩვენს ჟურნალ „ათინათთან“ ერთად, „ხატიც“ დიდ საქმეს აკეთებს, ოღონდაც, „ათინათი“ თუ ყველა სეგმენტზეა გათვლილი და ძალიან მრავალმხრივია (ისევე, როგროც ჯუმბერ ლეჟავას მრავალპროფილიანი საერთაშორისო აცადემია), „ხატი“, მაინც, მხოლოდ ბავშვებზეა ორიენტირებული...

მოკლედ, ოცდამეთექვსმეტე სკოლამ გაუხუნარი ზეიმი გვაჩუქა.

დიდი მადლობა მათ აპრილის იმ ფერადი დღისათვის!..

თბილისი 2015 წელი.
აპრილი

თბილისელი და საჩხერელი ვუნდერკინდები ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნის საღამოზე

გაზაფხულის თბილი დღე.

პერსპექტიული სასწავლებელი, რომლის რექტორ-ხელმძღვანელი ბრძანდება ბატონი ვახტანგ ფერაძე.

ქალაქ თბილისში (თბილისქალაქში), აქ, ამ სასწავლებელში, გაიმართა ლეგენდარული პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნის საღამო. თავიდან ღონისძიება ჩაფიქრებული იყო, როგროც გაგრძელება ბეჟანის უფროსი დის – პოეტ გულნაზ ხარაიშვილის დიდი იუბილისა, თუმცა თავად ქალბატომა გულნაზიმ არჩია, რომ ძმის ხსოვნისათვის, მისი სახელისათვის მიენიჭებინა უპირატესობა.

საღამოს თვითონ ქალბატონი გულნაზი უძღვებოდა. მე და კახა ბაციკაძე, მას, ასე ვთქვათ, ასისტენტობას ვუწევდით, თუ – თანაშემწის როლით შემოვიფარგლებოდით.

ღონისძიების წინარე დღეებში მე და ქალბატონი გულნაზი ბევრს ვკამათობდით იმის შესახებ, ღირდა თუ არა, რომ თითქმის მთელი ღონისძიება ბავშვებს გაეფორმებინათ. მე, როგორც აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანი, და ყველაზე უფრო დაუმორჩილებელი ხელქვეითი, რო-

მელიც ხშირად ცდილობს და ახდენს კიდეც ლიდერებზე, ხელმძღვანელებზე ზეგავლენას, ახლაც ჩემს აზრს ვიცავდი, რომ პატარები ასეთ საპასუხისმგებლო საღამოს ვერ გაართმევენ თავს.არადა, შევცდი. ჩვენი აკადემიის პრეზიდენტის გამოცდილება-ალღომ ამჯერადაც გაჭრა, – ბავშვებმა ბრწყინვალე ღონისძიება შემოგვთავაზეს.

საღამოზე, ძირითადად, მოზარდთა ორი ჯგუფი იყო დაკავებული: ოცდამეთექსვმეტე საჯარო სკოლის პირველი კლასი, რომლის პედაგოგიც გახლავთ ციური ხუჭუა, ხოლო ხელოვანი ჟანა ხვიჩია არის ის ადამიანი, ვინც ამ სკოლასთან დაგვაკავშირა (დირექტორია ქალბატონი მაია კვინიკაძე); და საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სტუდია „სხივები“, პედაგოგ გაგა გულიაშვილის თაოსნობით მათ ახლდათ, ასევე, მუსიკოსი (პედაგოგი) მანანა აბრამიშვილი. რაც შეეხება თვითონ ბავშვებს, საჩხერეს წარმოადგენდა მარიამ ზამბახიძე, ნინი კომლაძე, ნინი ჩაბრაძე, ნინი იაკობიძე, გიორგი ჭიღლაძე, თამარ კუჭაშვილი, მარიამ ვაჭრიძე, ზუკა ფხალაძე, ლიზი სამხარაძე, ნიკა ბარბაქაძე, ნატალი გელბახიანი, ელენე ნადირაძე, ანა ხვედილაძე და თაკო ლომიძე; რაც შეეხება თბილისური სკოლის ბავშვების სიას, ეს სია ახლა აქ არა მაქვს, თუმცა რედაქტორმა შესაძლოა დაამატოს ამ წერილს, თუნდაც – პოსტ სკრიპტუმის სახით.

მაშ – ბავშვები;

საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სტუდია „სხივების“ ხელმძღვანელები: გაგა გულიაშვილი და პედაგოგი მანანა აბრამიშვილი მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად.

მაშ – თბილისი და საჩხერე, ანუ – აღმოსავლეთი და დასავლეთი (ორივე ამ მხარის კოლორიტი ძალუმად არის ჩემს სულში, ჩემს ბუნებაში);

და ისე გამოვიდა, რომ საქართველოს ორივე ძირითადმა ნაწილმა აიღო თავის თავზე ბეჟანის იუბილე, და სრულიად საქართველო ალაპარაკდა ამ ბავშვების ენით.

საღამოს დაწყებამდე სასწავლებლის დიდი, ნათელი ფანჯრებიდან შემომზირალ მთებს გავცქეროდი, და პოეზიაზე ფიქრმა გამიტაცა.

ვფიქრობდი ჩემს პოემებზე, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი გმირებია მარადგამოუცნობი თეთრი ბაღი, პოეტი-მოგზაური ოლირი, და ერთი მოქანდაკე, ისიც, ოლირივით, პოეტურ-ფილოსოფიურად განწყობილი, რომელსაც ასევე სურს წვდომა მიუწვდომლის. დიახ, ესაა ერთ-ერთი უმთავრესი პერსონაჟები...

და ამ მიუწვდომლობა-შეუცნობლობაში უკვე თვით ჩაკარგული, ვფიქრობდი:

– შეძლებენ კი ბავშვები, მიუწვდომლის, ანუ ხელოვნების წვდომას, დაუფლებას, პოეტთა საკადრისად აჟღერებას?

– შეძლებენ კი ისინი ღირსეული პატივი მიაგონ უდროოდ წასული დიდი ადამიანის სახელს?

და ჩემი პოეზიიდან, ფიქრი, ბეჟანის პოეზიაზე გადადიოდა.

მალე საღამოც დაიწყო, რომლის გახსნის პატივი მე მერგო წილად, ხოლო წამყვანის ფუნქცია ქალბატონ გულნაზს გადავაბარე.

ოცდამეთექვსმეტე სკოლის პირველკლასელებს, რომელნიც თერთმეტ-თორმეტიწლიანი განათლების ყველაზე პატარა საფეხურზე დგანან, უკვე მეოთხედ შევყურებდი, და მეოთხედაც მოახერხეს, მათ, ჩემი გაოცება, თავიანთი ვეებერთელა ტალანტითა და ლექსთა სულ ზეპირად დამახსოვრების საოცარი უნარით. მთელი პროგრამა, როგორც ყოველთვის, ზეპირად ჩაარაკრაკეს. დიახ, უნდა ამაყობდეს ეს სკოლა ამ კლასით, ამ კლასის სუპერმასწავლებლითა და მთელი სკოლის სუპერდირექტორით!

სანამ საჩხერის წარმომადგენლებზე გადავიდოდნენ, იქამდე, სხვადასხვა ადამიანებმა, ბეჟანის პიროვნება-ხელოვნება უკეთ გააცნეს დარბაზში მსხდომთ. მე იმ დღეს სათანადო ფორმაში ვერ ვიყავი, და ამიტომ ქალბატონ გულნაზისა და კახას აეღოთ, მთლიანად, საღამოს სადაავეები ხელში. ბეჟანის ლექსებით აივსო სივრცე დარბაზისა. ქალბატონი გულნაზი საღამოს ორგანიზებაში,გაძღოლა-ლიდერობაში ყოველთვის უბადლოა. იმ დღეს,როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა გვანცა ხარაიშვილიც...

რაც შეეხება კახას, იგი წელს – ორიათასთხუთმეტი წლის გაზაფხულზე, „ზღვარის“ პარალელურად მეორე ჯგუფის – „კახას ბენდის“ („კახას ჯგუფის”) ლიდერიც გახდა, და როგორც ერთბაშად ორი შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელს, კიდეც მოეთხოვება დიდი ენერგია. სხვათა შორის, „კახას ბენდი“ ჩემი იდეით შეიქმნა, „ზღვარის“ მიერ, და ზღვარისავე ბაზაზე. ამ ახალ ჯგუფს ასევე მე შევურჩიე სახელი, ჯერ-ჯერობით ამ სახით, ამ სახელით არსებობს. როდესაც „ზღვარი“ საბოლოოდ დაკავდება მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურით, „კახას ბენდი“ მკვეთრად გააქტიურდება მუსიკალური თვალსაზრისით.

დავუბრუნდეთ ძირითად თემას.

ქალბატონ გულნაზისა და ჩვენს კახას არც ღონისძიების სხვა წევრები ჩამორჩნენ პოეტური ცეცხლის დანთებაში.

და მერე დადგა საჩხერელი სტუმრების ჯერიც.

პირდაპირ ვიტყვი: რაც ოცდამეთექსვმეტე სკოლის ბავშვებმა პოეზიით შეძლეს, იგივე შეძლეს საჩხერელმა სტუმრებმა მუსიკით. „სხივები“ მართლაც ანათებდნენ. ეს პატარები, უბრწყინვალესნი, გამაოგნებელ ზემოქმედებას ახდენდნენ მნახველებზე.

ბრავო! ბრავისიმო!

და დარბაზშიც, საერთოდ, მთელი საღმოს განმავლობაში არ წყდებოდა აპლოდისმენტები.

ხოლო ჩვენმა გულნაზიმ საღამოს მონაწილენი მადლობის ბარათებითა და ქების სიგელებით დააჯილდოვა, – დააჯილდოვა ისინი დიდი ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის სახელით...

მერე ქალბატონმა გულნაზიმ რამდენჯერმე მკითხა: აბა, გაამართლეს თუ არა ბავშვებმაო, ვიყავი თუ არა მართალიო?

დიახ, ის მართალი აღმოჩნდა და მე დავმარცხდი.

დიახ, გულნაზ ხარაიშვილი, როგორც ორგანიზატორი და მოღვაწე, ჩემზე ბევრად მეტია! თუმცა მე ზოგი სხვაც მჯობნის.

განა ჩემზე უკეთესი მოღვაწე არაა, ვთქვათ, ნიკო ხერკელაძეც, რომელმაც ყველანი გაგვაერთიანა საინტერესო პოეტურ-ისტორიული ტელეგადაცემის ირგვლივ?!

და განა ჩემზე უკეთესი, ბევრად უკეთესი პიროვნება და მოღვაწე არ იყო, ვთქვათ, ჯუმბერ ლეჟავა, ან გენიალური მეუფე თადეოზი?!

და განა არ მჯობდა, ვთქვათ, მამაჩემი – დიდი ფილოსოფოსი ამირან ლომაძე?! ბევრად, ბევრად მჯობდა!..

დიახ, როგორც პიროვნებას, მე საკმაოდ ბევრი აღმემატება, ბევრი მამარცხებს თავისი დიდსულოვნებით, დიდმოღვაწეობით.

მაგრამ როგორც პოეტი...

ო, ეს სხვა საქმეა!..

მიმაჩნია, რომ როგორც პოეტები, ხელოვანები, მე და კახა, სწორედ მე და კახა ვართ ლიდერები (საღამოზეც ვთქვი, რომ კახას გენიოსად მივიჩნევ).

ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ასე მიმაჩნია, რომ ჩვენ ახლაც სუპერპროფესიონალები ვართ.

ხოლო სხვამ თუნდაც თქვას სხვა რამ (მე ყველას აზრს პატივს ვცემ).

თორემ ის, რომ ორგანიზაციის თვალსაზრისით, ღონისძიებასთან მიმართებაში, ასი პროცენტით მართალი აღმოჩნდა, ჩემთან კამათში, პრეზიდენტი და რედაქტორი ჩვენი აკადემიური სივრცისა, ეს გასაკვირი არაა. ქალბატონი გულნაზი, (ისევე, როგორც ქალბატონი მაყვალა გონაშვილი), ორგანიზატორ-მოღვაწედ არის დაბადებული და ასეთ ადმიანებთან კამათი მართლაც არა ხამს.

დიახ, ღონისძიებამ ზუსტად ისე ბრწყინვალედ ჩაიარა, როგორც ამას წინასწარმეტყველებდა ჩვენი აკადემიის პრეზიდენტი.

პოეზიაა, პოეტურობაა უმთავრესი.

და პოეზიაში,

და პოეტურ მუსიკაში,

მართლაც რომ შესანიშნავად იყვნენ მომზადებულნი როგორც თბილისელი, ასევე საჩხერელი ბავშვები!..

თბილისი. 2015 წელი.

ხაშური, როგორც დიდქართველური კულტურის ქალაქი

ორიათასცხრა-ორიათასთხუთმეტი წლების შუალედში ხაშურში ათჯერ მაინც ჩავედით ჩვენ – ჯგუფი „ზღვარი“, შემოქმედებითად, ოღონდაც მეათედ – აკადემიასთან ერთად, ამიტომაც ამ ბოლო შემოქმედებით ექპედიციას აკადემიის ხელმძღვანელი – ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი მეთაურობდა. იქ კი გველოდნენ იქაური ბიბლიოთეკის თანამშრომლები, დირექტორ მაკა დიდებულიძის ხელმძღვანელობით. მაშასადამე, ორი სხვადასხვა მხრიდან ორი ქალბატონის ინიციატივით შედგა ის დაუვიწყარი დღე. თანაც, რაღა თქმა უნდა, მაკა დიდებულიძემ სხვა მასპინძელნიც დაგვახვედრა, ბიბლიოთეკის თანამშრომელთა გარდა. ნელ-ნელა ყველაფერს მოგახსენებთ შეძლებისდაგვარად.

ხაშურის ცენტრალურ
ბიბლიოთეკაში - „ანთოლოგიის“
მესამე ტომის პრეზენტაცია

ვაჟა შუბითიძე
ხაშურის საკრებულოს
თავმჯდომარე

თბილისიდან დილით გავედით ორი მოზრდილი მანქანით. ჩვენ ბატონი ონერ ძაძუას ავტომანქანაში ვისხედით – მე და კახა ბაციკაძე, აქვე იყვნენ: ლამზირა შეყილაძე, ანი ყალიჩავა და ბატონი სიმონ ზაქარაია, რომელიც ამდენ პოეტ-მწერლებში ერთადედრთი იცავდა მეცნიერების ინტერესებს (ბატონი ონერიც მეცნიერი გახლავთ, მაგრამ ის საჭესთან იჯდა და კამათში არ ერეოდა). პარალელურად, სიმონი გვართობდა თავისი გასაოცარი ენამოსწრებულობით, მახვილი იუმორით.

მეორე მანქანის საჭესთან პოეტი ნუგზარ ხუციშვილი იჯდა, ხოლო ქალბატონი გულნაზი, ბატონი ჯუმბერ ხარაიშვილი და ზოგნი სხვანი ასევე იყვნენ იქ. სიმართლე გითხრათ, ახლა არ მახსოვს ზუსტად, თუ რა შემადგენლობით ჩავედით ხაშურში. შეიძლება იყო მესამე ავტომობილიც, მაგრამ კონცენტრირებული ვიყავი იქაურ შემოქმედებით საღამოზე, და სხვას ვერაფერს ვაკვირდებოდი. ერთი კი მაინც დანამდვილებით ვიცი, რომ ნაირა მარშანიაც ჩვენთან იყო, რომელმაც ახლახანს გამოსცა საინტერესო წიგნი საკუთარი ლექსებითა და ნახატებით.

მე, ნელ-ნელა, მემატიანე გავხდი ჩვენი აკადემიისა (და არა მარტო აკადემიის). აღვწერ ხოლმე ჩემს სტატიებში მთელ რიგ მოვლენებს. ვწერ ბევრს, და ეს სტატიები კარგი სავარჯიშოა ჩემივე პოეზია-პროზისათვის. თანაც, ამათ დოკუმენტური ღირებულებაც გააჩნიათ, – ამ ჩემს სტატია-წერილებს.

ამ საუკუნის ათიან წლებში გააქტიურდნენ პერიფერიები და კულტურულ სივრცეში ფეხი აუწყვეს მეფე-ქალაქს თბილისს. ხაშური, როგორც ჩანს, ერთ-ერთ ყველაზე უფრო გააქტიურებულ პერიფერიად გვევლინება. იქ გახშირდა როგორც ადგილობრივი ღონისძიებები, ასევე მნიშვნელოვანი სტუმრების მიღება.

და აი, თანამედროვე ქართული კულტურის ყველაზე უფრო წარმატებული ქალბატონი – გულნაზ ხარაიშვილი (ასეა: პოეტ მაყვალა გონაშვილთან ერთად, სწორედ იგი ჩანს, დღეს, ყველაზე მეტად, ლიტერატურულ-კლტურულ-საზოგადოებრივ-სამოღვაწეო სივრცეში) აკადემიასთან ერთად მოიწვიეს, მისივე იუბილიდან რამოდენიმე კვირის შემდეგ.

ხოლო ოცდარვა მაისს შეხვედრაც შედგა. უნდა ვთქვა, რომ მაკა დიდებულიძეს დიდებულად მოუმზადებია ყველაფერი. რად ღირს თუნდაც ის მოზარდები, სკოლის მოწაფენი, რომელნიც დაგვახვედრა: რუსუდან ხაჩიძე, თემო ცაცანაშვილი, ნიკა ქიმერიძე, ლიკა ლაბაძე, ნინო რომაშვილი, რომელთაც არა მარტო აკადემიის წევრთა ლექსები წაიკითხეს, არამედ, ზოგიერთმა, თავისი შემოქმედებაც კი გააცნო მსმენელს და დარბაზს ოვაციაც აართვა.

იქ დაგვხვდნენ ადგილობრივი პოეტებიც – ხათუნა ჩიტაძე, დალი ხაჩიძე, მანანა ღონღაძე, და უმაღლესი დონის პროფესიონალი პოეტი მიხეილ (მიშა) თუმანიშვილი, რომელიც ჩემი და კახას მეგობარია. ეს ხცისელ-ხაშურელი კაცი იმ დღესაც ბრწყინავდა თავისი უნიკალური პოეზიით. სხვათა შორის, ძალიან გამიხარდა, რომ მამამისიც – ნუგზარ თუმანიშვილიც დაესწრო ღონისძიებას. ბატონ ნუგზარს დიდი ხანია ვიცნობთ, ჩვენ, „ზღვარელებს“, მის ოჯახში, მის ჭერქვეშ, დაუვიწყარი დღეები გაგვიტარებია, ხცისში სუფრის გარშემო...

საღამო მე და ქალბატონ მაკას მიგვყავდა. პრეზიდიუმში ვისხედით – მე, კახა, მიშა და ორი ქალბატონი: მანანა დანგაძე, შესანისნავი ლექსების ავტორი, კოლორიტული ფიგურა, როგორც ხაშურის, ასევე თბილისისათვის; და გულნაზ ხარაიშვილი, რომლის მშობელ ქალაქობაში თბილისი და რუსთავი ეცილება ერთმანეთს – ორივე ქალაქს ეამაყება ეს ადამიანი, სინამდვილეში კი იგი დასავლეთიდან გახლავთ, საჩხერიდან, სოფელ ხვანიდან, ასე რომ, ამ შემთხვევაში გამართლდა ხაშურელთა ნათქვამი ჩვენდამი, თბილისელებისადმი, – კი, პირველობა თქვენია, მაგრამ ერთიც გახსოვდეთ: თუკი ვინმე დიადი გყავდათ (და ბევრიც გყავდათ ასეთი), მათი უმეტესობა სულ პროვინციებიდან ჩამოგვიდათო. მართალი გვითხრეს, რამეთუ ერთ ეპიზოდში მე და კახამ თავს უფლება მივეცით ცოტა წაგვეტრაბახა ჩვენი თბილისელობით, დედაქალაქის, მთავარქალაქის აბსოლუტური უპირატესობით, და ჯერ მიშამ, შემდეგ კი ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ვაჟა შუბითიძემ მოგვაგონეს ის, რაც სრული ჭეშმარიტებაა. მერე ჩვენ ვეღარც გენიალური ბარათაშვილის მოგონებამ გვიშველა (რომელიც თბილისელი იყო სწორედ), და ვერც სხვა პოლემიკურმა საბუთმა. ამ კამათს ღიმილით, დარბაისლური ღიმილით ადევნებდა თვალს ქალბატონი გულნაზი. აენთო დარბაზიც. საღამომ მეტი აზარტი, მეტი ინტერესი შეიძინა, და რომ არა ჩემი ლექსი („მწვერვალი“), რომ არა კახას უზადო პოეტურ-მუსიკალური ხელოვნება, იმ დღეს „ზღვარელთა“ საქმე წასული იქნებოდა. დიახ, მე დამავიწყდა, რომ სადაც ჩადიხარ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო, და კაცი, რომელიც ოც წელზე მეტხანს ვარ პროფესიონალი პოეტი, კინაღამ დავისაჯე. არა, ეს ხუმრობით, თორემ ხაშურში, ამ დიდებულ ქალაქში, სტუმარს ვინ გაწყენინებს! მითუმეტეს, თუ გვერდით კახასნაირი ფენომენი გახლავს! მან ორი სიმღერა შეასრლა აკუსტიკური, შავი გიტარის თანხლებით – „ჩემი ქალღმერთი“ და „დროის მკვლელი“, რომელმაც საერთოდ დაასრულა საღამო და ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აფეთქდა დარბაზი. ეს არცაა გასაკვირი: მას შემდეგ, რაც ჩემი იდეით, ჯგუფ „ზღვარის“ წევრებმა, წელს, „კახას ბენდი“ ჩამოვაყალიბეთ – ახალი მუსიკალური ჯგუფი, როკზე ორიენტირებული, რომელიც „ზღვარის“ პარალელურად იარსებებს (სხვადასხვა დროს ორივე ამ შემოქმეებით გაერთიანებას მე შევურჩიე სახელი), ჩვენი კახა იძულებულია სულ ფორმის პიკზე იყოს, რამეთუ იგი უკვე რამდენიმე დაჯგუფების ლიდერია.

თუმცა კახას დამასრულებელ გამოსვლამდე ჩვენ, წამყვანებმა, აკადემიის ყველა წევრს (ვინც კი ხაშურს სტუმრობდა) სიტყვით გამოსვლის საშუალება მივეცით, და ყოველმა მათგანმა თავისი წვლილი შეიტანა შეხვედრა-საღამოს წარმატებაში. რაც შეეხება აკადემიის პრეზი-

დენტს – ქალბატონი გულნაზი რამდენჯერმე წარსდგა მსმენელთა წინაშე, თქვა სიტყვა, წაიკითხა ლექსები. მისმა ლირიკულმა ქმნილებამ, „წიგის საჩივარმა“, იქაც, ხაშურშიც, დიდი დაფიქრება, ინტერესი, აპლოდისმენტები გამოიწვია...

მაშ, შედგა ღირსეული საღამო, რომელშიაც როგორც მასპინძლებმა, ასევე სტუმრებმა ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი სიტყვანი და სიტყვა-ლექსნი. მოკლედ, ეს იყო, რაღაც, გულების გაცვლის მსგავსი, და თუკი ქალბატონი გულნაზისნაირი, ბატონი ჯუმბერისნაირი ადამიანები დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აერთიანებენ თავიანთ პიროვნებაში და ისედაც სულ ქვეყნის ერთობის, სრულქმნილების ცდაში არიან, ჩვენ, ყველამ ერთად, იმ დღეს, თბილის-ხაშური გავაერთიანეთ, შევუზავეთ ერთმანეთს. მაშ, მოხდა დიდი ქართლური და ქართული დიფუზია – შერწყმა, შეერთება, ხოლო ერთობა ყოველთვის იმარჯვებს.

აქვე, ქალბატონი მაკას გარდა, უნდა აღვნიშნო ბიბლიოთეკის სხვა თანამშრომლებიც: ლეილა მარგველაშვილი, მანანა არაჯანოვი, ელენე (ლენა) ლაბაძე, ნუნუ გიორგაძე, ნონა ტეფნაძე, სოფო ივანიშვილი, ნინა კახიშვილი, ნინა კიკნაძე, ლია გოგოლაძე, მანანა მჭედლიძე, ხათუნა ლომიძე, მავრა გელაშვიილი, ქეთინო მეტრეველი, თამარ შუბითიძე, ნათია გოგოლაძე, მაკა ლეჟავა, ლარისა ახალკაცი, ლონდა მუჯიკნელი, ნინა შილაკაძე, ირინა ლომიძე,მარინა აკოფოვი, ხათუნა ლაცაბიძე, ნინო ქიმერიძე, ნუნუ წიქარიშვილი, მზია ყიფშიძე, ლალი ბარბაქაძე – აი ის სია, რომელიც მე გადმომცეს და მითხრეს, რომ ყველა ეს ადამიანი იღებდა მონაწილეობას ღონისძიების მომზადებაში, ხოლო მოწაფეები ბიბლიოთეკას, თუ არ ვცდები, მეოთხე, მეექვსე, მეცხრე და კიდევ სხვა სკოლებმა დაახმარეს. ხო, საქმეში ჩართული იყო, აქტიურად, პირველი საჯარო სკოლაც, ხოლო მისი დირექტორი მორის დანდურიშვილი, თუ არა ვცდები, ესწრებოდა კიდეც ამ ღონისძიებას.

ხაშურიდან ჩვენი ჟურნალის – „ათინათის“ რედაქციამ საკმაოდ გრძელი სია მიიღო: ჩამონათვალი იმ ადამიანებისა, რომელნიც სულით და გულით ჩაებნენ ამ შეხვედრის წარმატებულად დაგვირგვინებაში. ამიტომაც არა ხამს რომელიმა მათგანის გამოტოვება, და მეც უნდა გავაგრძელო ეს ჩამონათვალი უკვე აქ – ჩემს სტატიაში.

მაშ ასე: ხაშურის საკრებულოს წევრებმა – ირინა გელაშვილმა, ლაშა მესხმა, მამუკა წიქარიშვილმა, უკვე ნახსენები ბატონი ვაჟა შუბითიძის მეთაურობით, თავიანთი მკვეთრი წვლილი დაიდეს ღონისძიების წარმატებით დაგვირგვინების საქმეში. მათ მხარი აუბეს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმაც – ნინო ღონღაძემ, მარიამ პიფიაშვილმა, ნინო ლომთაძემ, ასევე – საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ – ინეზა ელისაშვილმა...

რა ვიცი... რომელი ერთი ჩამოვთვალო...

როგორც ჩანს, მართლაც უზარმაზარმა გუნდმა იშრომა, და შედეგიც ღირსეული მოიმკეს. ძალიან მიხარია, რომ ასეთი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ხაშურელები ამ საქმეს: თითქოს მთელი ქალაქი ჩაება შეხვედრის ორგანიზებაში.

როდესაც შეხვედრის შემოქმედებითი ნაწილი დასრულდა, იქვე, ბიბლიოთეკის პირველ სართულზე (ღონისძიება ზედა სართულზე მიმდინარეობდა, დარბაზში), სუფრა დაგვხვდა გაწყობილი, შესანიშნავი სუფრა. ლხინის დროს ისევ გამოჩნდა ლიდერული ბუნება ხარაიშვილთა გვარისა – მე და კახამ თამადობა დავუთმეთ, ხოლო ბატონმა ჯუმბერ ხარაიშვილმა სუფრის გაძღოლა ითავა და ბოლომდე შესანიშნავად გაართვა თავი ამ საკმაოდ რთულ მისიას; რაც შეე-

ხება ქლბატონ გულნაზ ხარაიშვილს, იგი ახლაც, ქეიფის დროსაც კი, ყოველივეს აკონტროლებდა, ცდილობდა წამითაც არ გაეშვა ხელიდან მოვლენათა სადავეები, და ახერხებდა კიდეც ამას.

გულნაზ ხარაიშვილი, მანანა დანგაძე

ვახა ბაციკაძე, სერგი ლომაძე

მარინე დიდებულიძე

მიხეილ თუმანიშვილი

საერთოდ ამ დიდი ქალბატონით ყოველთვის აღტაცებული დავრჩები.

ყოველთვის აღტაცებული დავრჩები, ასევე, ხაშურით, რომელსაც, ზუსტად აღარც მახსოვს, თუ რამდენჯერ ვეწვიე შემოქმედებითად (სხვადასხვა გაერთიანებებთან ერთად).

მე თითქმის მთელი საქართველო მაქვს მოვლილი, რომელ კუთხეში აღარ ვყოფილვარ, დაყოველი მათგანით აღტაცებული დავრჩენილვარ. ქართლ-კახეთი, გურია, მესხეთი ჩემზე მაინც განსაკუთრებლ შთაბეჭდილებას ახდენს. ამბობენ, რუსთველი მესხი იყოო, მეფე-პოემა რომ დაგვიტოვა, სისხლისა და ცრემლის კოსმიური სიმბოლიკით, ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონის დაუვიწყარი სახისმეტყველებით... შოთაზე მეტის თქმა მინდა, ვერ ვამბობ!...

ხოლო დასავლეთმა რაღა დააშავა:

იმერეთ გურია-სამეგრელომ, გალასა და გრანელის დაუვიწყარი პოეტური დუეტით. ესენი თითქმის ტოლ-სწორი გენიოსებია, მაგრამ როცა მათ ერთმანეთს ვადარებ, უფრო მეტი რამ უთქმელი მრჩება, ვიდრე – ნათქვამი, და ის უთქმელი ათასჯერ მირჩევნია ნათქვამს, ათასჯერ!..

ხოლო მთელს დანარჩენს საქართველოს რაც შეეხება... საოცრებაა ისიც...

მოკლედ, ქართლ-კახეთია გული ჩვენი ქვეყნისა (თუმცა გურიაც აქედან მოდის – გულიაო, გული!)

სიტყვა ქართველი ქართლოსიდან იღებს სათავეს, ქართლიდან იღებს სათავეს და –

ქართლშია, სწორედ, ჩვენი დედაქალაქი თბილისი;

ქართლშია, სწორედ, ხაშურიც – ჩვენი პატარა მარგალიტი, რომელმაც ასეთი დაუვიწყარი საღამო გვაჩუქა მთელს ჩვენს აკადემიას (ყოველ შემთხვევაში, აკადემიის დიდ ნაწილს მაინც)...

დიახ ხაშურმა თქვა, კიდევ ერთხელ თქვა, თავისი დიდებული სიტყვა!...

.შ. სინამდვილეში ჩვენ ხაშურში იმიტომ მიგვიწვიეს, რომ იქ შემდგარიყო, ძირითადად, აკადემიის ანთოლოგიის განხილვა, მაგრამ ამ ამბავმა, საბოლოოდ, ცეცხლოვანი პოეტურ შემოქმედებითი საღამოს სახე მიიღო, მრავალ სხვადასხვა თემას შევეხეთ, (თუმცა ცენტრში ყოველთვის პოეზია იყო მოქცელი), და ეს ყოველივე, ეს პოლემიკაცა და პოეტურ-მუსიკალური ცეც-

ხლიც, რომელიც სწრაფადვე დაენთო იქ, გაცილებით უფრო საინტერესო, უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა, ვიდრე ერთი კონკრეტული (თუნდაც-შესანიშნავი) ნაშრომის განხილვა.

ვთვლი, რომ ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენი სტუმრობა ხაშურში...

სტატია-რეცენზია
ნუგზარ ხუციშვილის წიგნის შესახებ

მე ისევ ჩემს აზრზე ვრჩები ამ საკითხში, – არიან პოეტი პროფესიონალები, მთელს თავიანთ პიროვნებას, მთელს ცხოვრებას რომ სწირავენ პოეზიას, და არიან პოეტი-მოყვარულები, ანუ ადამიანები, რომელთაც, უბრალოდ, უყვართ პოეზია, წერენ ლექსებს, მოყვარულთაც ძალუძთ მშვენიერების შექმნა, ისინიც ემსახურებიან მაღალ იდეებს (არის, თითქოს, მესამე გზაც, ამ ორიდან გამომდინარე, ამათ შეზრდილი: ნახევრად-პროფესიონალები).

ადამიანმა ერთი შედევრიც რომ დაწეროს, შეიძლება უკვდავად დარჩეს მისი სახელი, რადგანაც იმ ხუთი ცენტრალური ხაზიდან, რომელიც, ძირითადში, წარმართავს კაცობრიობას (ხელოვნება და რელიგია, მეცნიერება, პოლიტიკა, სპორტი), ხელოვნება არის პირველი, (ერთ-ერთი პირველთაგანი მაინც), ამიტომ, როგორც პროფესიონალი, ისე მოყვარული ხელოვანები გონებრივად ემსახურებიან მაღალ მატერიებს, უფრო სწორად – მაღალ იდეებს, უმაღლეს იდეებს.

რეზო მიშველაძე გადასცემს მწერალთა კავშირის მოწმობას ნუგზარ ხუციშვილს.

ზოგადად, პოეტის კლასიკური სახე ასეთია, ადრეული ეპოქებიდან დღემდე: მზერა – ყველზე უფრო დასამახსოვრებელი, ხშირად – არამიწიერი შუქით სავსე (სულაც – ზეცისკენ მიმართული), მთელი სახიერება – მაღალი ფიქრით მოსილი, თვალები, შუბლი და თავის მთელი მოყვანილობა მიუთითებს მის განსაკუთრებულ გონიერებაზე, მაგრამ – არმაიწიერებაზეც ლაპარაკობს მზერა პოეტთა, ამიტომაც პროფესიონალი პოეტები ალღოს იშვიათად უღებენ ცხოვრებას და სხვადასხვა სივრცეში დაკარგულნი (ხანდახან პოლიტიკაშიც, პარტიებშიაც დაიკარგებიან ხოლმე), არაიშვიათად რჩებიან რეალობისაგან, ცხოვრებისაგან გარიყულნი...

ბატონი ნუგზარის სტრიქონი დაგამახსოვრდებათ... და შეიძლება ცხოვრების ბოლომდეც კი გაგყვეთ. იგი ნამდვილად საინტერესო პიროვნებაა.

აი, ორიათასთორმეტ წელს, დედაქალაქში, მისსმა წიგნმაც იხილა დღის სინათლე: ასეთი სათაურით – „ქალიაყვანა“ (ლეგენდა სიყვარულის მთაზე),ხოლო წელს (2015), როცა თვითონ ბატონმა ნუგზარმა და ჩვენი აკადემიის რაღაც ნაწილმა ამ წიგნის პატარა, მაგრამ ლამაზი, უჩვეულო განხილვა მოვაწყვეთ პირდაპირ რესტორან „ათინათში“ (დიახ, ეს რესტორანი სეხნიაა, მოსახელეა ჩვენი „ლურჯი“ ჟურნალისა), იქვე გადაწყდა, რომ სტატია-რეცენზია დამეწერა ნუგზარ ხუცისშვილის წიგნის შესახებ.

ამ წიგნში დაახლოებით ოთხი ათეული ლექსია, ხოლო ეს ლექსები, თავიანთი მინაწერებითურთ, ფაქტიურად, გადმოსცემენ თვითონ ავტორს, მის ბუნებასა და ცხოვრებას. ეს ლექსთა კრებული თითქოს მოზაიკური პოემა უფროა, ანუ რაღაც ერთი მთლიანობა (საერთოდ პოემაში, ანუ ეპიკურ სივრცეში, ხომ ლირიკაც ჩანს! აი, ლირიკაში კი ნაკლებად ჩანს ეპიკურობა). ბატონი ნუგზარი, ისევე, როგორც ზოგი სხვა პოეტი აცნობიერებს, ლირიკულ-ეპიკური ხაზების თავისებურ გაერთიანებას.

წიგნში ყველაზე საინტერესოდ სწორედ ავტობიოგრაფიული ლექსები მეჩვენა – „ცხრა აპრილი”, „ცხრა აპრილი, ცხრა წლის გოგონა“, „ომი სამაჩაბლოში,“ „დრო გადიოდა...“ ეს ქმნილებები წარმოადგენენ მთელს ვრცელ (მოზაიკურ) ტილოს საქართველოს ბოლო დროების სისხლიანი ისტორიისასაც, ხოლო ბატონი ნუგზარი, (რომელმაც, თუმცა მოკრძალებული კაცია, საკუთარი თავის ფასი მაინც კარგად იცის), ლექსებად მოგვითხრობს, თუ როგორ მოუწია მონაწილეობის მიღება ყველა საკვანძო, სანიშანსვეტო მოვლენაში. აი, ცხრა აპრილის იმ საზარელ დღეს, ისიც იქ არის, რუსთაველზე, პატრიოტთა ჯგუფებს შორის, ხოლო როცა იწყება სისხლისღვრა, დიდი რისკის ფასად გადაარჩენს პატარა გოგონას მომხდურთაგან. მერე აი, იგი სამაჩაბლოშია, უკვე – როგორც მეომარი. დიახ, ის მართლაც იბრძოდა საქართველოს მთლიანობისათვის, და როგორც მეომარმა, ერისათვის მოღვაწე კაცმა, საკუთარი სისხლიც დაღვარა იქ – რამდენჯერმე დაიჭრა. აი, უკვე აფხაზეთის (სოხუმის) საბედისწერო კადრები:

„ჯარისკაცი კიბეზე ადიოდა,
მე დავინახე – სისხლი სდიოდა...
ჩვენ ყველას ერთად, სანგარში,
სიკვდილის ოფლი გვდიოდა...“

დიახ, სოხუმშიაც ომობდა ბატონი ნუგზარი, და შექმნა იქიდან „გამოყოლილი“ საოცარი, მართლაც გაუხუნარი სურათ-ხატი, ზოგადად, ომისა-კაცობრიობის ამ მარადილი ჭირისა –

„მზე ჩადიოდა, დრო გადიოდა,
ომის აჩრდილი დადიოდა“...

საზარელი, საბედისწერო სიტყვებია, მარადიული მეომრის მიერ დანახული: ჩასვენებული მზე საკუთარი სამშობლოსი, საკუთარი იდეებისა!

აქვეა ლექსი თბილისის ომის შესახებაც – „თბილისის ქაოსი“...

მოკლედ, ლამის სრულადაა წარმოჩენილი ოთხმოცდაათიანი წლების ბნელი „პანორამა“ ოთხმოცდაათიანების წყვდიადი.

და რომ ამ ყოველივეს მოსდევს ლექსი წმინდა ილია მართლის შესახებ (ილია და ექვთიმე ხომ ჭეშმარიტი ღვთისკაცნი იყვნენ), არც ესაა შემთხვევითი – პოეტს სურს, რომ ილიას შუქმა დაიცვას, უფალ იესოს და ღვღისმშობელ მარიამის შუქმა დაიცვას ჩვენი (თვით უფალივით ჯვარცმული) ერი. და მოადევნებს ლექსს ღვთაებრივი საფარას შესახებაც. ხოლო წიგნის ბოლო ლექსი ადრესად სიმბოლური სათაურისაა – „ვაზი, ღვინო და საქართველო“. დამეთანხმებით ალბათ, რომ ამ სამსიტყვედში (ვაზი, ღვინო, საქართველო) ქართველ კაცის მთელი მსოფ-ლმხედველობის, მთელი პოეტური ბუნების უდიდესი ნაწილია ჩატეული. ესაა ჩვენი პოეტური სიალალე, მაგრამ, აგრეთვე, – პოეტურადვე ბრძნული ხედვა მარადისობაში. ვაზი, ვაზის ჯვარი, – გული ქართველი ადამიანისა, ანდრია პირველწოდებულისა და მისი მეგობრების, ასევე – წმინდა ნინოს გზით, ღვაწლით დამკვიდრებულა უკვდავ გეორგიანაში...

მთელს წიგნს რომ ამ სტატიაში ვერ ჩავატევ, ნათელია, მაგრამ ბატონი ნუგზარის მიერ შექმნილ სატრფიალო ლირიკაზე რომ მთლად არაფერი ვთქვა, ეს არაფრით შეიძლება, დიახ, ერთი ასეთი ლექსის შესახებ მაინც ვისაუბრებ, და ესაა „ქალიაყვანა“ (ლეგენდა სიყვარულის მთაზე). იგი, თავისივე მინაწერიანად, ერთ-ერთი საუკეთესოა მთელს წიგნში. ალბათ ამიტომაც ეწოდა წიგნსაც ამ ლექსის სათაური.

ლეგენდარული ქალიაყვანის მთა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. მეც მსმენია მის შესახებ ერთი ძველი ამბავი, რომელიც, ზოგი ცნობით, მეთხუთმეტე საუკუნისა უნდა იყოს, ზოგი სხვა ცნობით კი – უფრო ადრეულიც. ეს ამბავი პირადად მე ასე მიამბეს: პოეტ ბიჭს გოგო შეუყვარდაო. პოეტს აქვს თავისებური ხიბლი, სულიერი-ფიზიკური, და გოგოსაც მოეწონა ბიჭი. (ახალგაზრდა ქალი ულამაზესი იყო თურმე, და ამიტომ ცოტა გათამამებულიც). უთხრა ჭაბუკს – ხელშიაყვანილი აი იმ მთის მწვერვალზე თუ ციმციმ ამიყვან, ისე, მთის მწვერვალამდე მიწას ფეხი რომ არ დავაკარო, შენი ვიქნებიო, სხვა შემთხვევაში არაო. ბიჭი არც დაფიქრებულა, ისე აიტაცა ხელებში გოგო, და მწვერვალამდე შეუსვენებლად იარა. იქ კი, სულ ზევით, ცასთან ახ-ლოს, მეტისმეტი გადაღლისა და გამარჯვების უდიდესი სიხარულისაგან ატანილს, სწრაფად, წამში გაუჩერდა გული, მწვერვალზე მკვდარი დაეცაო. დარდისაგან განადგურებული გოგო, ამის შემდეგ, დედათა მონასტერში წასულა და სიკვდილამდე იქ დარჩენილა თურმე. მასაც და-უწყია მონასტერში ლექსების წერა, წერდა დღიურებსაც მონასტრულ ცხოვრებაზე, სხვა თემებ-ზეც.

არ ვიცი, მართალია თუ არა ამ ქალ-ვაჟის პოეტობის ამბავი, ზოგი ამას არ აღიარებს. ის ვა-ჟი არც პოეზიის დიდ ქართულ შვიდეულში მოიხსენება (ლაპარაკია ძველ შვიდეულზე, რაღა თქმა უნდა, ახალი ხომ ჯერ სანდოდ შედგენილი არცაა), არც – სხვაგან სადმე. არც ქალი მოიხ-სენიება ქართველ ქალ პოეტთა შორის. არადა, ზოგი მაინც ჯიუტად ამბობს, იმეორებს – ორივე-ნი გასაოცარ ლექსებს წერდნენო.

ზუსტად ვეღარავინ იტყვის, რა როგორ იყო.

მაგრამ იმის თქმა კი ზუსტად შემიძლია, რომ ნუგზარ ხუციშვილმა ლიტერატურულად (პოეტურად) დააფიქსირა და საბოლოოდ დაამკვიდრა, გააუკვდავა ეს ლეგენდა, როცა მას ვრცელი ლექსი (ბალადასავით) უძღვნა...

შორენა ელისაბედაშვილი, სერგი ლომაძე, ნაირა მარშანია, ლამზირა შეყილაძე, ჯუმბერ ხარაიშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, კონსტანტინე ხაჭაპურიძე, ნუგზარ ხუციშვილი, კახა ბაციკაძე.

ბოლო ხანებში დავწერე ერთი პატარა პოემა – „პოემა არარსებულ ადამიანზე“, რომელზედაც მუშაობას დასრულებულად ჯერაც არა ვთვლი, თუმცაღა გამოსაქვეყნებლად მაინც გავამზადე. დავწერე ლექსებიც. საერთოდ, რამდენიმე ათეული პოემა დამიწერია და რამდენიმე ათასეული ლექსი, და ამ ათასებმაც კი ვერ მიმიყვანა, ჯერ, სრულყოფილებამდე. ჯერაც ძალიან ბევრს ვმუშაობ. ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვიტყვი, რომ მე, სრულიად შეგნებულად, ხელოვნებას შევწირე საკუთარი ბედნიერება. ნამდვილი პროფესიონალი პოეტების უმეტესობა ასე იქცევა. ჩვენ საოცრად გვიყვარს პოეზია, ფანატიკურად...

პოეზია უყვარს ბატონ ნუგზარსაც, მაგრამ ის საკუთარ ბედნიერებას კი არა სწირავს ლექსს, არამედ, პირიქით, პოეზიიდან აქეთ ღებულობს ბედნიერებას. იგი კარგი პოეტი, კარგი პიროვნებაა. მისი ლექსები ახლოა ხალხურ მთქმელთა ლექსებთან, და ამ კონტექსტშიც შეიძლება მათი განხილვა. ეს არაა მკაცრად ჩასაკირკიტებელი ნაწერები, ესაა ქმნილებანი, რომელნიც მსუბუქად უნდა წაიკითხო და მათით ტკბობა განიცადო. თუმცა, მერე და მერე, აქ უკვე თავისებურ სიღრმესაც, ტრაგიკულობასაც წააწყდებით. ტკბილია სატრფიალო ლირიკა, მაგრამ მძი-

მეა, ტრაგიკული ლირიკა ომისა. ცხოვრებაც ხომ ასეა, ზუსტად ასე, როგორც პოეზია: სიხარული და ცრემლი ერთმანეთს ენაცვლება, ოღონდაც, – პოეზია, მაინც, ცხოვრებაზეც, და საერთოდ ყველაფერზეც, ბევრად მეტია. იგი სიხარულიც არის, მაგრამ იგი არის სევდის მწვერვალი.

აი, ასეთ რთულ საქმეს (პოეზიას) მოჰკიდა ხელი ბატონმა ნუგზარმა და კიდეც შექმნა თავისი წიგნი. მაშ, ვუსურვოთ მას სხვა წიგნების შექმნაც, – შემოქმედებითობაზე უკეთესი ხომ არაფერია!..

2015 წელი. აპრილი.

„ლამპარი“

საუკეთესო ჟურნალი ყმაწვილთათვის

იმ პროექტთაგან, რომელნიც ჩვენი აკადემიის გარემოცვაში კეთდება, ერთ-ერთი წარმატებული არის ქალბატონ ყამარ ბლიაძის თაოსნობით ჩამოყალიბებული საბავშვო ჟურნალი „ლამპარი“ (მთავარი რედაქტორი – ნანა ბლიაძე), რომელიც, ჟურნალ „ხატთან“ ერთად, ამაგრებს აკადემიის მუშაკთა გარჯას საბავშვო ლიტერატურის განხრით. ორივე ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრია ორგანიზაციის (აკადემიის) ერთპიროვნული და უპირობო მეთაური გულნაზ ხარაიშვილი, რაც აორკეცებს პირადად ჩემს ყურადღებას აღნიშნული ჟურნალისადმი.

გადავწყვიტე რა, რომ რეცენზია დამეწერა „ლამპარის“ მესამე ნომრის შესახებ, რომელიც ოცდაათამდე გვერდს შეიცავს, საფუძვლიანად შევისწავლე აღნიშნული ნომერი და მასში ბევრი საყურადღებო რამ დავაფიქსირე. მაგალითად: პირველად ჩავაკვირდი სარედაქციო კოლეგიას, სადაც, ქალბატონი გულნაზის გვერდით, აღმოვაჩინე არაერთი სხვა საინტერესო გვარ-სახელებიც, მათ შორის – ქალბატონი მაყვალა გონაშვილიც, და ის, რომ ყამარ ბლიაძე, ანუ პოპულარული საბავშვო მწერალი, ფსევდონიმით „ყამარ ბებო“, ჰკრავს ასეთ ტრიუმვირატს (ქალურ ტრიუმვირატს) მისი ჟურნალის ირგვლივ, როგორიცაა ქალბატონების – მაყვალა-გულნაზი-ყამარის სამეული, ეს უკვე დიდი საქმის დიდი დასაწყისია, მით უმეტეს, რომ დღეს აშკარად დეფიციტია კარგი საბავშვო გამოცემებისა, და აჰა, ბოლო დროს გამოსწორების გზაზე დადგა ეს საშვილიშვილო საქმე!

ახლა რაც შეეხება თვითონ ჟურნალს: მესამე ნომრის დასაწყისში საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობის – „დავითიანის“ საქმიანობაა გადმოცემული, იმის თაობაზე, რომ მათ დააარსეს კლუბი „წიგნის მეგობრები“, და ატარებენ ღონისძიებებს უკვე ამ კუთხითაც.

შემდეგი სამი-თორმეტი გვერდები რელიგიურ თემებს ეხება. სწორი მიდგომაა საკითხისადმი: ადამიანი ბავშვობა-ყრმობაშივე უნდა ეზიაროს ღვთის მადლს, რამეთუ სწორ, მართებულ საფუძველზე ამოშენდეს მისი სული, მისი მსოფლმხედველობა. სხვათა შორის, ჩემს მიერ წელან ნახსენები ორგანიზაცია „დავითიანნიც“ რელიგიური სივრციდან იღებს სათავეს. დღეს სასულიერო წარმომადგენელნი და მათი მიმდევარნი ძალიან გააქტიურებულნი არიან ქართული კულტურის საკითხებში.

სასულიერო თემებს მოსდევს ასევე რელიგიური ხედვის ერთი დიდმნიშვნელოვანი ასპექტი – „პატივი ეცით მშობლებს“ – წერილი ერთ-ერთი მოძღვარისა, და ამონარიდები წიგნიდან „სულიერი მდელო“.

ამის შემდეგ კი უკვე ქართული ხუროთმოძღვრებიდან არის მოწოდებული მასალა. ეს ძველი ისტორიაა. საქმე ეხება ბებრისციხეს (ბელტისციხეს), რომელიც ისედაც ისტორიული ძეგლებით გადაძეძგილი წმინდა ქალაქის – მცხეთის სივრცეებშია აღმართული. მოგეხსენებათ, მცხეთა ყველაზე ცნობილია სვეტიცხოველით, ჯვრით, სამთავროთი და ბებრისციხე, აი, სწორედ ასეთ ღვთითკურთხეულ შედევრებს უმშვენებს მხარს...

შემდეგ კი ჟურნალი ბავშვებს აცნობს ქართველი პოეტისა და მეფის – არჩილ მეორის ცხოვრება-მოღვაწეობას...

დიახ, ასეთი ფართოა, მრავალფეროვანი, ყოვლისმომცველია თვალსაწიერი ამ ჟურნალისა. ასე ასრულყოფილებს იგი პატარების ცოდნას, თუმცა...

თუმცა ჯერ ყველაფერი წინაა.

მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე გვერდები იერუსალიმის იერუსალიმურ-ქართულ ლეგენდას – ჯვრის მონასტერს ეხება (ჯვარი – ამ სიმბოლური სახელით ხომ არაერთი ცნობილი მონასტერი არსებობს მსოფლიოში). როგორც ამბობენ, სწორედ იერუსალიმის სასულიერო ცენტრს შეაფარა თავი, სიცოცხლის ბოლო წლებში, პოეტმა – ბერმა შოთა რუსთაველმა, რომელიც დღესაც რჩება ქართული გენიალობის უპირველეს სიმბოლოდ. ამ თემაზე აბა მეტი რაღა უნდა ვთქვა, უკვე ესეც ყოვლისმთქმელია.

შემდეგ კი ოცდაექვსი მაისის – ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის ამბავია მოთხრობილი. სხვათა შორის, ოცდაექვსი მაისი არის დიდი მერაბ კოსტავას დაბადების დღეც. ასე რომ, ეს თარიღი ორმაგად საამაყოა და აღმატებული. ოცდაექვს მაისსა და ცხრა აპრილს საქართველომ თავი იხსნა იმპერიისგან. კარგია, როცა ბავშვი იმყარებს ცოდნას ამგვარ საკითხებში, მაღალ საკითხებში, და ივსება, ადრიდანვე, თავისუფლების ზოგადსაკაცობრიო იდეით.

შემდეგ ჟურნალი „ლამპარი“ გრძელდება ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ლექსებით. ჩვენი გულნაზის შემოქმედება მართლაც ლამპარივით ანათებს ჟურნალის მაღალხარისხიან, პრიალა ფურცლებს.

დიახ, გამოცემა მართლაც მაღალი ხარისხისაა, ფერადი, შესანიშნავად გაფორმებული. ასეთი ხარისხის გამოცემები დღეს სანთელითაა საძებარი. ქალბატონი ყამარი და მისი გარემოცვა თუ ასე გააგრძელებენ, ისინი, ალბათ, ლიდერნი გახდებიან საბავშვო გამოცემების სფეროში. ეგ კი არა, უკვე ახლაც შეიძლება ლაპარაკი მათს მოწინავე პოზიციაზე. შემდეგი გვერდები ეთმობა ჩვენი ბუნების საოცრებებს – საქართველოს ტერიტორიაზე არსებული განსაცვიფრებელ მღვიმეებსა და მდინარეთა მეფეს – მტკვარს. ძალიან კარგი იქნება, თუ მშობლიური ბუნების განხილვის კუთხით „ლამპარის“ შემდეგ გამოცემებში არაერთ წერილს ვიხილავთ მსოფლიოს ულამაზესი ქედების – კავკასიონისა და ბახმაროულნის (ბახმაროს ქედის) შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი წერილების შექმნას ადვილად შეძლებს ეს ყოვლისმცოდნე რედაქცია, ხოლო ყოველივე ამით პატარებს კიდევ უფრო მეტად ჩაუნერგავს მშობლიური ლანდშაფტისა და, საერთოდ, მთელი სამშობლოს სიყვარულს.

შემდეგი წერილი ქართულ სინემას ეხება. თვალში იმავწამს მომხვდა, ვთქვათ, ნატა ვაჩნაძის სურათი, და თუმცა ჯერაც არ გადავცილებივარ ოთხ ათეულ წელს, ჯერ ახლა შევდივარ ნამდვილი საშუალო ასაკის სამყაროში, მაინც კი იმ ძველმა ნოსტალგიამ შემიპყრო. სადღაა ახლა ნატოს, ვერიკოს, სესილიას, მედეას, ლეილას, ლიასა თუ ლიკას მსგავსი მსახიობები!. ეს პლეადა იყო ბრწყინვალებისა... დარჩა მათგან ლიკა ქავჟარაძე, მაგრამ იგი უკვე კარგა ხანია, რაც, ფაქტიურად, ჩამოშორდა დიდ კინოს. ან, საერთოდ, სადღაა დიდი ქართული კინო, სადღა არის დღეს ქართული კინოს ფენომენი! და თუკი რაიმე მაინც კეთდება ამ კუთხით, ზოგი ფრანგული, ზოგი ესტონური და ზოგი კიდევ რომელიმე სხვა გზით ფინანსდება, ამიტომ აღიარებანიც სხვა ქვეყნებისათვის უფრო მოაქვთ, ვიდრე ჩვენთვის. ჩვენ კი სულ ახლახან მივაბარეთ მიწას გენიალური „ჯარისკაცის მამის“ რეჟისორი...

შემდეგი გვერდი ეთმობა მხატვრისა და მწერლის, ფილოსოფოს ნიკო ხერკელაძის ჩანაწერებს. ეს ის კაცია, რომელმაც საუკუნის ნაშრომი დადო სააკაძის შესახებ. კარგია, რომ ასეთი შთამბეჭდავი ფილოსოფოსი-ხელოვანის პოპულარიზება ხდება უკვე პატარებს შორისაც. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჟურნალის სულ ბოლოში (უკანა ყდა) მთელი გვერდი ეთმობა ამ დიდი ადამიანის სურათს, გადაღებულს თავის ნახატებთან. სხვათა შორის, ბატონი ნიკო, მეგობრებთან ერთად, ტელე-რადიო ობიექტივში ქმნის ციკლს პოეტურ-ფილოსოფიურ-ისტორიულ გადაცემებისას, ხოლო ამ ამბის მონაწილენი ვართ სწორედ მე და კახა ბაციკაძე ჯგუფ „ზღვარიდან“. აქვე იმასაც დავამატებ, რომ „ზღვარის“ ხუთწიგნეულში ვერ მოხვდა ჩვენი ჯგუფის ზოგი მნიშვნელოვანი ნაწარმოები „ვთქვათ – „მეორე ტრილოგიის დასასრული“, „მარტოობა“, „უდროობა“, „პოემა არარსებულ ადამიანზე“ და ზოგი სხვაც), ამიტომაც, და სხვა მიზეზთა გამოც, ჩვენ ვაპირებთ შემოქმედებით ჯგუფ „ზღვარის“ ახალი წიგნების გამოცემას. მაგრამ დავუბრუნდეთ სტატიის თემას – ჟურნალ „ლამპარს“.

დიახ, მას ასრულებს ნიკო ხერკელაძის, ასე ვთქვათ, შემოქმედებითი ფოტოსურათი. ხოლო მანამდე წარმოდგენილია მისი ქალიშვილის – ასევე მხატვარ სოფო ხერკელაძის ფოტოსურათი, და მისივე ნახატი. როგორც ამბობენ, სოფო, თავიდან, მისი ცნობილი მამის მოწაფე და მიმდევარი იყო, მაგრამ შემდეგ სულ სხვა სტილი აირჩია. იგი დღესაც რჩება თავისი მამის სულიერ მიმდევრად, მაგრამ ხატვის სტილი მართლაც უაღრესად თვითმყოფადი აქვს, ძალიან თავისებური და საინტერესო. ნიკოც ხომ ასეთი თავისებურია, სრულიად გამორჩეული, ოღონდაც, ჯერჯერობით, ნიკო უფრო ღრმაა, მასშტაბური, არაერთგვაროვანი, ცვალებადი... ნიკო დიდი ხელოვა-

ნია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მისი ქალიშვილიც დიდი ხელოვანი გახდება, ბევრ სიმაღლეს მიაღწევს, ოღონდაც – თუ არ გაჩერდა, თუ იაქტიურა, რამეთუ განსაცვიფრებელი ნიჭი აქვს, თანაც ევროპაში ცხოვრობს, იტალიაში, მხატვართა და მოქანდაკეთა უმთავრეს სამშობლოში!.

ჟურნალის ოცდამეხუთე გვერდს პოეზია ამშვენებს. აქვეა ღვთაებრივი პედაგოგის – იაკობ გოგებაშვილის სურათიც: ერთ-ერთი ლექსი სწორედ მას ეძღვნება. მეორე ლექსი ქართული ენის შესახებ არის. ამ ლირიკულ ქმნილებებს ქვევით ასეთი მინაწერი აქვს „ყამარ ბებოს ნობათიდან“, ხოლო მესამე – მეოთხე ლექსები ხალხურია. საინტერესო წერილი, ქართული ენის შესახებ, რომელიც თითქოს პირდაპირ ფეხდაფეხ მოსდევს პოეზიას, ლოგიკური გაგრძელებაა ყამარ ბებოს ნობათის იმ ლექსისა, რომელიც ლოცვასავით, ფსალმუნივით ჟღერს და ქებათა-ქებაა მშობლიური ენის.

შემდეგი რუბრიკაა „რა გქვია შენ“ და „მცირე ლექსიკონი“. ხოლო ჟურნალს თითქმის აბოლოებს სპორტის რუბრიკა, სადაც ასევე ბრწყინვალედაა შერჩეული მასალა, – ჭადრაკი – ქართულ სპორტად რომ ვაქციეთ, და დედოფალი ამ სპორტისა, ჩვენი საამაყო ნონა გაფრინდაშვილი!

სპორტის რუბრიკას მოსდევს სულ პატარა დანართი ანდაზა – რებუს-გამოცანებისა, ხოლო ბოლოში, რაღა თქმა უნდა, სარჩევია მოთავსებული...

ასე რომ, მე თითქმის სრული შთაბეჭდილება შეგიქმენით ჟურნალზე, მაგრამ ხომ არის ნათქვამი – გაგონილს ნანახი სჯობსო, და ამიტომაც ვურჩევ მათ, რომელთაც პატარები ჰყავთ სახლში, რომ ნახონ, შეიძინონ ჟურნალი „ლამპარი“, წააკითხონ იგი ბავშვებს, და სინათლით აუვსონ პატარებს სულიერი თვალსაწიერი.მაშ, ჩემი რჩევაა, კეთილი რჩევა: წააკითხეთ ბავშვებს ჭეშმარიტად მაღალი დონის საბავშვო ჟურნალი, რომელიც თვით პატრიარქის ლოცვაკურთხევით იბეჭდება და ამგვარად ნახულობს მზის მაცოცხლებელ სინათლეს, ამგვარად ივსება ზეციური მადლით... აქვე მინდა ერთი რამეც ვთქვა: რამოდენიმე ადამიანს ვკითხე აზრი ჟურნალ „ლამპარის“ შესახებ, მათ შორის, ჩემს მეგობარს, პოეტ და მუსიკოს კახა ბაციკაძეს, რომელსაც მე, როგორც შემოქმედს, ძალიან მაღალ შეფასებას ვაძლევ და ყოველთვის განსაკუთრებულად მოვიხსენიებ (ხანდახან „ხელოვნების გულს“, „მისტერ ხელოვნებას“ და მსგავს მჟღერ ეპითეტებსაც კი ვუწოდებ, თავისი განუსაზღვრელი პოეტურობის, პოეტური ენერგიის გამო). კახამ მითხრა: „ეს არის სუპერჟურნალი ყმაწვილთათვის. მასთან კონკურენცია, დღესდღეობით, ამ კუთხით, თითქმის შეუძლებელია“... როგორც ხედავთ, უმაღლესი შეფასებაა, მითუმეტეს, დასაწყისისათვის, ხოლო თუ „ლამპარმა“ და ლამპრელებმა დროს გაუძლეს, მაშინ ისინი ადგილს დაიმკვიდრებენ განსაკუთრებული გამოცემების, განსაკუთრებულ მოღვაწეთა სახელების გვერდით.

თბილისი, 2015 წელი, მაისი.

ნაწარმოებს ხომ ერთი ან რამდენიმე მთავარი გმირი ჰყავს, ზოგჯერ ძალიან ბევრი მთავარი გმირიც კი. მაგალითად: ჩემს ერთ-ერთ პოემას უამრავი მთავარი გმირი ჰყავს, რომელნიც თეთრ ბაღში არიან, და იქ, იმ ნაწარმოებში, მეორეხარისხოვანი გმირები ძნელად საპოვნია საერთოდ... აი, ასეა რედაქციაც, – კარგ რედაქციაში ძნელად იპოვი მეორეხარისხოვან გმირს. აქ ყველა ფაქტიურად, არის მთავარი. ასე გამოდის კარგი ჟურნალ-გაზეთები.

მაშ, ქალბატონ ყამართან ერთად, მთელს მის საგამომცემლო ჯგუფს ეკუთვნის მადლობა

აკაკის იუბილე ბოდბეში

წელს ოთხი დიდი იუბილე მაინც გაიმართა საქართველოში (თბილისში).

მეხუთე და ყველაზე მთავარი აკაკის იუბილეა, რომელიც, ალბათ, „სერიებად“ გაიმართება სხვადასხვა ქალაქსა თუ დაბა-სოფელში.

საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, საჩხერის კულტურის სახლის დირექტორმა კახა სამყურაშვილმა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიამ ბოდბეში ჩაატარა აკაკი წერეთლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.

„თორნიკე ერისთავისა“ და „გამზრდელის“ ავტორის დაბადებიდან ასსამოცდათხუთმეტი, ხოლო გარდაცვალებიდან ასი წელიწადი მოლეულა.

პირველმა ოცმა საუკუნემ, საქართველოდან, შვიდი გენიოსი პოეტი მაინც წარმოშვა, თუ მეტი არა: რუსთაველი, ნიკო ბარათაშვილი, ილია („განდეგილის“ დიდი ავტორი), აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, გრანელი.

საბედისწერო იყო ათასცხრაასთხუთმეტი წელი. აკაკი და ვაჟა ერთად დავკარგეთ, და თუმცა ცხრაასთხუთმეტ ცხრაასთექვსმეტ წლებში „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი კოლექტივი გამოჩნდა ასპარეზზე, დანაკლისი მაინც უზომო იყო.

აკაკი გახლდათ ნამდვილად პროფესიონალი პოეტი. მე სიტყვა პოეტს ან – პროფესიონალ პოეტს ხანდახან უადგილოდ ვამბობ, ვაჭარბებ. პროფესიონალი ძალზე ცოტაა, მე კი, სწორედ ამიტომ, არა მარტო მოყვარულებს, არამედ ზოგ პროზაიკოსსაც, მხატვარსაც, მოქანდაკესაც თუ სხვას პოეტთა რიგს მივაკუთვნებ ხოლმე, თავიანთი პოეტურობისა გამო, თუმცა ნამდვილი პოეტურობა, პოეტობა ისაა, როგორიც იყო, ვთქვათ, აკაკი წერეთელი.

იგი იყო სული – პოეტი, სული-მგალობელი, მგოსანი ჭეშმარიტი, მსუბუქ-ლაღი და რთულ-გენიალური ერთად.

და აი, ორიათასთხუთმეტ წელს ჩვენმა აკადემიამ და საჩხერის პირველმა საჯარო სკოლამ ერთად გადავწყვიტეთ, რომ პირველებს აღგვენიშნა, მთელი თავისი სიმკვეთრით, იუბილე საქართველოს ბულბულისა. ჩვენს ჯგუფს, როგორც ყოველთვის, ახლაც ქალბატონი გულნაზ ხა-

რაიშვილი სარდლობდა. ამ მოზრდილ თბილისურ აკადემიურ ჯგუფში შევდიოდით: მე, კახა ბაციკაძე და გიორგი ზუხბაია „ზღვარიდან“, ასევე – ჯუმბერ ხარაიშვილი, სიმონ ზაქარაია, ონერ ძაძუა, შალვა ილურიძე, ნოდარ ხარაიშვილი, ლეო ბაბუხადია, ანი ყალიჩავა, თამარ სხირტლაძე, ლეო სხირტლაძე, დიანა მუჯირი, ჯაბა პერანიძე, გვანცა ხარაიშვილი, ნინო სალუქვაძე, მირანდა წიკლაური.

ჯუმბერ ხარაიშვილი, გოდერძი გორდეზიანი, ნინო სალუქვაძე, ანა ბოდბელი და რეზო ადამია

მე, კახას და ზუხბას თან გვახლდა შორენა ელისაბედაშვილიც;

ცალკე მინდა აღვნიშნო მხატვარი რეზო ადამია, რომელსაც „ზღვარის“ წევრები განსაკუთრებით ვაფასებთ და შვიდი მხატვრის ერთ-ერთ ვერსიაშიც კი მოვიხსენიე, მაგალითად, ასე: ფიროსმანი, გუდიაშვილი, გაბაშვილი და კაკაბაძე, კალანდაძე და ნიჟარაძე, და ჩვენი რეზო ადამია. თუმცა ეს არაა, მაინც, სრულყოფილი ვერსია. თოიძე, ვარაზი, ქობულაძე, ხერკელაძე თუ სხვები ასევე პრეტენდენტობენ ადგილებს ფერწერულ შვიდეულში. (ქართველ მხატვართა შვიდეულში).

ჩვენ დილაადრიან გავედით საქართველოს გულიდან – თბილისიდან წმინდა ბოდბეში. სიამაყით მევსებოდა ფიქრები, როცა გავიაზრებდი, რომ ვარ ნამდვილი ქართველი, რომლის წინაპარი რუსთაველია და რომლის წინარე გენიოსები არიან, ვთქვათ, ილია, აკაკი და ვაჟა-ფშაველა... ჩვენ, ყველას, გვიხაროდა ზაფხულის დასაწყისის ეს დღე, სულმნათი აკაკის დღედ რომ გარდავსახეთ.

ხოლო დასავლეთიდან, ლიხს იქიდან, მოდიოდა ასევე მოზრდილი ჯგუფი ბოდბისაკენ, რომელსაც მეთაურობდა კახა სამყურაშვილი – ხელმძღვანელი კულტურის სახლისა, ასევე – ირმა კაპანაძე – სკოლის ხელმძღვანელი, და ნუნუკა გოგოლიძე – ქართული ენისა და ლიტერატურის სუპერმასწავლებელი, რომელმაც გაგვაოგნა ჩვენაც კი ყოვლისმნახველი თბილისელებიც, თავისი დიდებულად მომზადებული მოწაფეებით.

გოდერძი გორდეზიანი, ანა ბოდბელი
და რეზო ადამია

ბოდბე სავსე იყო ტურისტებით (ასეთივე ამბავი ყოფილა სიღნაღშიც – სიყვარულის ქალაქში). ჩვენ ვნახეთ წმინდა ნინოს მონასტერი და ვილოცეთ წმინდანის საფლავზე, დავანთეთ სანთლები წინაშე ხატთა. მერე ვიხილეთ თვალუწვდენელი ალაზნის ველი, მეფე-ველი, მეფე-მთებითურთ, ანუ კავკასიონის მთებით, და აღვივსენით სამყაროს განცდით, სამყაროს სრული განცდით. აჰა, კაცმა თითქოს ღმერთიც კი შეიცნო თეთრი სამება, თავისი სამივე წმინდანური, მამაკაცური სახისმეტყველებით. და სული, პოეტური, აღივსო ღმერთით, სინათლით.

მერე იქვე მდგარი უფრო დიდი ტაძარიც მოვინახულეთ, პირველ ტაძარზე უფრო ახალი და დიდი, თუმცა ჯერაც დაუსრულებელი, მაგრამ უკვე ძალზედ ლამაზი. ვილოცეთ იქაც, იქაც დავანთეთ წმინდა სანთლები, ასევე წმინდა ხატთა წინაშე. (რატომღაც მომაგონდა პაოლოს პოემა „სამი ტკივილი“ და ტიციანის პოემა „ცხენი ანგელოსით“)...

მხოლოდ შემდეგ დაიწყო ღონისძიება იმ ადგილას, რომელსაც ყველანი ანა ბოდბელის ადგილს, მის სამოსახლოსაც კი ვუწოდებთ. (თუმცა ზუსტად არც ვიცი, თუ სად ცხოვრობს ეს დი-

დებული ქალბატონი და მისი ოჯახი. სხვათა შორის, სწორედ ამ ოჯახმა აღზარდა საუკეთესო სპორტსმენი ქალი, უპირველესი მოცურავე რუსუდან გორდეზიანი).

საჩხერის სკოლამ შესანიშნავი პოეტური დადგმა წარმოგვიდგინა, თავისებური სპექტაკლი, აგებული აკაკის ლექსებზე. მოწაფეები ყველაფერს ზეპირად ამბობდნენ, ამბობდნენ გამოთქმით, მაღალმხატვრულად, ბოლოს კი თვითონ მათმა მოძღვარ-მასწავლებელმა ქალბატონმა ნუნუკამ დააგვირგვინა ყოველივე, როცა მისივე აღზრდილების გვერდით გამოვიდა სცენაზე.

შემდეგ, ქალბატონი გულნაზის მეთაურობით, აკადემიის წარმომადგენლებმა შევაფასეთ ნანახ-მოსმენილი. დიდი იყო ჩვენი აღტაცება. რომ არა შალვა ილურიძე და მისი ერთგული ფანდური, არცკი ვიცი, რა უნდა დაგვეპირისპირებინა მოწაფეთა იმ ბრწყინვალე წარმოდგენისათვის.

ირმა კაპანაძე, ნინო გოგოლაძე, სიმონ ზაქარაია,
გულნაზ ხარაიშვილი, შალვა ილურიძე და კახა სამყურაშვილი

მერე დაიწყო პურობა, მაგრამ ეს დიდი პურობა შემოქმედებითი ღონისძიების გაგრძელებას უფრო ჰგავდა. სუფრას ორი კახა თამადობდა (სამყურაშვილი და ბაციკაძე) ხოლო მათი თითოეული სადღეგრძელო პოეზიის ნიმუშებად იქცა. ამას ზედ დაერთო ანა ბოდბელის დიდად საყურადღებო ლექსიც. ასევე ყველას ლექსები და სიმღერები.

კახა ბაციკაძე უკვე ორი ჯგუფის ლიდერია – „ზღვარისა“ და „კახას ბენდის“ (ორივე ამ ჯგუფის შექმნასა და მათთვის სახელთა დარქმევაში პირადად მე მიმიძღვის დიდი წვლილი).

„ზღვარში“ ვრჩებით ძირითადი ოთხეული – კახა, ზუხბა, მე და ვასო, აქ ასევე მოიაზრებიან – გია, ლუკა, მეორე კახა (კახა ლომაძე) და სხვები.

რაც შეეხება ახალ პროექტს – კახა ბაციკაძის ბენდს, აი აქ, ჯერჯერობით, მოვიაზრებით, თუ გაწევრინებულნი ვართ – კახა ბაციკაძე, გია მიჩიტაშვილი, ჯონი მდივანი, სანდრო შენგელია, და მე, ანუ – სერგო ლომაძე. ეს, ძირითადად, მუსიკალური ჯგუფია. სიმღერებს მე და კახა ვწერთ. ჩვენ, როგორც თბილისელ-გურულებს (ქართლელ გურულებს), ჩვენს ხაზზე მიგვყავს ეს ახალი, თბილისური ჯგუფი, და ვცდილობთ, რომ ნელ-ნელა გამოვიყვანოთ იგი ასევე ჩვენი „ზღვარის“ ჩრდილიდან, ლეგენდის ჩრდილიდან: დიდი „ზღვარიც“ ხომ თბილისური ჯგუფია...

სუფრა აანთო თამადების ლექსთათქმამ.

სხვათა შორის, კახამ წაიკითხა ჩემი „პოეტური გრძნობის სივრცეც“, რაც მეტისმეტად მოიწონეს. ამ პოეტურ დოღში ჩაება ქალბატონი გულნაზის ლექსებიც. აპლოდისმენტები ყოველი მხრიდან მოაწყდა სუფრას. ისე კი, ყველაზე მეტი ლექსი, მაინც, დიდი აკაკისა წავიკითხეთ (აქ უნდა ითქვას, რომ ილიას, აკაკის, ვაჟას, ისევე, როგორც შოთა რუსთაველს, ჩვენი მეუფე თადეოზი წმინდანებად თვლიდა).

იმ დღეს, ყველაზე მეტად, მაინც შალვა ილურიძე აქტიურობდა – მთელი დღის განმავლობაში. იგი სიმღერების ავტორ-შემსრულებელია და ჯგუფ „ლომისის“ ლიდერი. ყველაზე ძლიერად „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა შეასრულა. აქ ტექსტი ხალხურია, ხოლო მუსიკაც ხალხური აღმოჩნდა. ბატონმა შალვამ პატიოსნად აღიარა – არა, მე არ დამიწერიაო. კარგია, როცა ასეთი გულწრფელია აღიარება, თუმცა არის სხვაგვარი შემთხვევებიც, მაგალითად, როკ-ჯგუფ „ბერმუხას“ დიდებული ჰიტის („ჩვენ კვლავ ერთად ვართ“) ავტორი დღემდე ვერ დავადგინე: ქიტიაშვილი, ფანცულაია, იობაშვილი... იმდენი გახმაურებული გვარი ამოვარდა ერთად, რომ ბოლოს ის როკ-ჰიტი მთელი ჯგუფის ნამუშევრად მივიჩნიე...

რაც შეეხება „ვეფხის და მოყმის“ ფოლკლორულ ბალადას, მისი შექმნის ზუსტი დრო უცნობია. არც ისაა ზუსტად ცნობილი, როგორი იყო პირველადი ტექსტი და მუსიკა, თუმცა ალბათ, ძირითადი ხაზები შენარჩუნებულია.

მოკლედ, საოცარი ღონისძიება ჩატარდა ბოდბეში. მერე, როცა ყველაფერი უფრო დავალაგე გონებაში, გავიაზრე, რომ იმ დღეს, მთლიანობაში (ღონიძიებაზედაც და სუფრაზეც), აკაკის ასზე მეტი ლექსი გახმოვანდა!. .

აი, ასეთი იყო ერთი პოეტური დღე წმინდა ბოდბეში.

თბილისი, 2015 წელი.

P.S. უდიადესთა ერთ-ერთი შვიდეული ასე დავწერე: ღმერთკაცი იესო, რუსთველია, დანტე, გოეთე, ბეთჰოვენი, ნიცშე, თაგორი... შეიძლება სჯობდა, რომ რუსთველის გარდა აქ სხვა ქართველი პოეტებიც დამესახელებინა.

ელგუჯა ნოზაძე – 75

წელს რამდენიმე დიდი იუბილე ერთად გადაიხადა ქართულმა კულტურულმა სამყარომ – რევაზ მიშველაძეს, ნუგზარ ნადარაიასა და მაყვალა გონაშვილს ერთმანეთის მიყოლებით მოვუწყვეთ ფერადი ზეიმები. სწორედ ამ რკალში უნდა განვიხილოთ ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის – ელგუჯა ნოზაძის სამოცდათხუთმეტი წლის იუბილეც, საჯარო ბიბლიოთეკის ერეთ-ერთ დარბაზში, რომლის ინიციატორი ჩვენი აკადემია გახლდათ, რაღა თქმა უნდა აკადემიის პრეზიდენტის – გულნაზ ხარაიშვილის მეთაურობით, რომელიც თვითვე უძღვებოდა ამ ზეიმს. (სხვათა შორის, ქალბატონი გულნაზის იუბილეც არის დაგეგმილი მაისის თვეში).

თბილისის 147-ე საჯარო სკოლის პედაგოგი ზეინაბ ბეჟაშვილი თავის სადამრიგებლო კლასთან

ღონისძიება კარგად იყო ორგანიზებული, ხოლო ამაში ხელი შეგვიწყო ეროვნული ფორუმის პარტიის რუსთავის განყოფილებამ. მოგეხსენებათ, ეს პარტია თბილისში ჩამოყალიბდა ორიათასიან წლებში. ამ პროცესების სათავეში იდგნენ ნამდვილი გმირის – ჟიული შარტავას შვილი – კახა შარტავა, და დიდებული მწერალი-ისტორიკოსის შვილი – გუბაზ სანიკიძე. სწორედ გუბაზისა და კახას ლიდერობით ჩამოყალიბდა პარტია, რომლის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფრთა – მათი წარმოდგენილი იუბილეზე, როგორც უფროსი, ასევე საშუალო და სულ ახალ-

გაზრდა თაობითაც კი. რუსთაველებმა ჩამოიტანეს შესანიშნავი დადგმაც, პატარა სპექტაკლი, რომლის ნახვამაც აღტაცებაში მოიყვანა იუბილარი.

წამყვანს ღონისძიებისას, – ქალბატონ გულნაზს, ასე ვთქვათ, „პრეზიდიუმში“ გვერდს ვუმშვენებდით მე და დავით შუბითიძე – დეპუტატი იმერეთიდან. ჩვენს გვერდით იჯდა აკადემიკოსი კარლო ნადირაძეც. რაც შეეხება იუბილარს, რომელიც ცოტა მოშორებით დაბრძანებულიყო „პრეზიდიუმში“, მას გვერდს უმშვენებდა ბატონი ჯუმბერ ხარაიშვილი და ნოდარ ხარაიშვილი.

ღონისძიებას ნამდვილი საზეიმო ელფერი შემატა მასში 147-ე საჯარო სკოლის ბავშვების მონაწილეობამ, მათმა მრავალფეროვანმა რეპერტუარმა – ცეკვა, სიმღერა, დეკლამაცია და სხვა.

საღამო უხვად იყო გაჯერებული პოეზიითა და სიტყვა-თქმანით. პოეზიაში, იმ დღეს, სწორედ ქალბატონი გულნაზი იყო უბადლო, ხოლო სიტყვათაგან ყველაზე უფრო დამამახსოვრდა ბატონი ჯუმბერის გამოსვლა, მან განიხილა და შეაფასა გზ-მოღვაწეობა დიდი მეცენატის – ელგუჯა ნოზაძისა, რომელიც აგრძელებს ლეგენდარული დავით სარაჯიშვილის და სხვათა და სხვათა გაკვალულ ბილიკს.

მოგეხსენებათ, დავით სარაჯიშვილი იყო პირველი დამფინანსებელი, ხელისშემწყობი თავისი დროის ქართული კულტურისა, ხოლო ცოტა მოგვიანებით იმავე კულტურის პირველი საოპერო მომღერალი გახლდათ ბატონი დავითის მოგვარე, ასევე ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილი.

მაგრამ ეს წარსულია.

და წარსული თუ არ გაგრძელდა, ისე, რაღა თქმა უნდა, მომავალი არ იქნება.

და აი, დიდი დავით სარაჯიშვილის მასშტაბს მეცენატებმა, ისეთმა მილიონერებმა თუ მილიარდერებმა, როგორიც იყო, ვთქვათ, ბადრი პატარკაციშვილი, და არის ვთქვათ ბიძინა ივანიშვილი...

აი სწორედაც რომ ასეთი მეცენატების რიცხვში განიხილება, დღეს, ელგუჯა ნოზაძეც, რომელიც აფინანსებს ქართველ ხელოვანებს, მეცნიერებს, რომელმაც, როგორც ამბობენ ხოლმე, აღაშენა და განამშვენა რამდენიმე ქართულ- მართლმადი-

დებლური ეკლესია და მთელი საქართველო ამაყობს დღეს სამამულო კულტურის ამ ქომაგით...

არ ვაპირებ იუბილის დეტალურ აღწერას, არ ჩავუწვრილმანდები მოვლენებს, მაგრამ ის, რომ იმ საღამოს გამშვენებაში კახა ბაციკაძის სამი გამოსვლის როლი არ აღვნიშნო, ყოლად გაუმართლებელი და დაუშვებელია. ყველამ იცის, რომ კახა ჩემი საუკეთესო მეგობარია, მაგრამ მე მას ხშირად ვაქებ არა როგორც მეგობარს, არამედ, როგორც პირველ პოეტსა და პირველ მუსიკოსს, ხოლო არასოდეს მომწყინდება მისი დაუსრულებელი ქება, არასოდეს, რამეთუ იგი არის სუპერპროფესიონალი სუპერფენომენი თავისი საქმისა. ბაციკაძეების გვარი ბოლო დროს ძალიან აენთო, ამ ადამიანის შემყურე, და ის, რომ, ვთქვათ, რუსთავის ფორმშიც, თუ მის ირგვლივ, ბაციკაძენი მძლავრად არიან წარმოდგენილნი, ძალიან მახარებს. ეს უნიჭიერესი გვარი ნელ-ნელა სხვა ადგილებშიც გამოდის წინა პლანზე. მიხარია, რომ ლომაძეებმა და ბაციკაძეებმა დაიწყეს თავიანთი დიდი სიტყვის თქმა...

მაგრამ დავუბრუნდეთ თვით იუბილეს, იუბილარს. ელგუჯა ნოზაძის ღვაწლი დაფასდა, ასე ვთქვათ, წარმოდგენა შედგა, გულნაზ ხარაიშვილის კიდევ ერთმა გაბედულმა ნაბიჯმა გაამართლა და იუბილე ჭეშმარიტ ზეიმად იქცა, დაგვირგვინდა რა იგი წმინდა ქალაქ, ღმერთის ქალაქ მცხეთაში, ერთ-ერეთ რესტორანში – დიდი პურობით. სუფრას ჩვეული სახით უძღვებოდა ბატონი კარლო, რომელიც, მეცნიერების გარდა, თამადობაშიაც აკადემიკოსი აღმოჩნდა.

თბილისის 147-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები დიდი მეცენატის, ბატონ ელგუჯა ნოზაძის საიუბილეო საღამოზე

მერე ის იყო, ქალბატონმა გულნაზიმ რომ იქვე, სუფრაზევე მოითხოვა ლექსის წაკითხვა კახასაგან.

და სუფრის წევრებმა მოისმინეს ბარხატოვანი სტრიქონები ცას ვარსკვლავად შენივთებული ფრინველის შესახებ.

მერე კი თვითონ ქალბატონი გულნაზი გამოვიდა საკუთარი ლექსით...

და, ნელ-ნელა, სუფრა პოეზიად გადაიქცა.

იცის, კარგად იცის ჩვენი ადაკამიის პრეზიდენტმა, რომ ქართული სუფრად აკადემიაა, დიახ, მართლაც არის იგი თავისებური აკადემია, თუ სწორად წარმართავ, თუ ჯეროვნად უდირიჟორებ...

მაშ ასე: ბოლოს ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებდი:

თუკი თბილისი საქართველოს და პოეზიის დედაქალაქია, მაშინ იგი ღმერთის ქალაქი ყოფილა;

ხოლო თუკი მცხეთა სვეტიცხოვლის, მცხეთისჯვრის, სამთავროს ქალაქია, მაშინ იგიც ასევე ყოფილა ღმერთის ქალაქი;

და აი, ორ ასეთ წმინდა ქალაქში, ერთ დღეს, ერთდროულად ვიზეიმეთ დიდებული მამულიშვილის – ბატონ ელგუჯა ნოზაძის იუბილე...

თბილისი. 2015. მარტი.

სტუმრად
ბატონ ელგუჯა ნოზაძესთან

ელგუჯა ნოზაძის ოჯახი

თებერვლის ერთ ჩვეულებრივ დღეს მუხრანში წავედით, თუმცა იქ სრულიად არაჩვეულებრივ სამყაროში მოვხვდით. ის სამყარო ადამიანის გრძნობა-გონების, ნებისყოფისა და გამოცდილების ურთიერთშერწყმას, ადამიანური შრომის ზეიმს შეექმნა. ეს იყო გარემო, სადაც სწორედაც რომ შრომის კულტი გახლდათ ყველაზე უფრო ზეაწეული, ფეტიშადქმნილი: ეს გახ-

ლდათ საქვეყნოდ ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის – ბატონ ელგუჯა ნოზაძის თავისებური იმპერია, იმპერია შრომისა და მისი შედეგების.

მუქმწვანე „ოპელში“ ოთხნი ვისხედით: მე, ჩემი უერთგულესი და განუყრელი მეგობარი – პოეტი კახა ბაციკაძე, ჩვენი აკადემიის პირველი, უცვლელი პრეზიდენტი – ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი და ბატონი დავით შუბითიძე – დეპუტატი იმერეთიდან. მოკლედ, რომ ვთქვათ, კარგი კრებული ვიყავით.

თბილისს სწრაფად გავცდით და მივუახლოვდით დაბა მუხრანს. გვინდოდა საკუთარი თვალით გვენახა ის საკმაოდ ვრცელი იმპერია, რომელიც იქ ბატონმა ელგუჯა, შექმნა, პირადად მე კი მსურდა გავლაპარაკებოდი ამ ადმიანს, უფრო ახლოს გამეცნო, პოეტირ-ფილოსოფიურად შემესწავლა პირვოენბა – მსოფლმხედველობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო აღიარებული ქართველი მილიონერისა და მეცენატის (იგი რამდენჯერმე ცნეს წლის საუკეთესო ბიზნესმენად, თანაც რეგულარულად ეწევა ქველმოქმედებას).

ბატონმა ელგუჯამ საკუთარ კაბინეტში მიგვიღო. ესაა საშუალო აღნაგობის, სოლიდურ ასაკში მყოფი ადამიანი, საოცრად ცოცხალი და მეტყველი ლურჯ-ცისფერი თვალებით. ეტყობა, მართლაც ბევრი რამ აქვს ნანახ-გამოვლილი, ცხოვრების ჭაპანს შეჭიდულ ამ გაუტეხელ კაცს. ჩვენ, ყველანი, პატარა მაგიდას შემოვუსხედით, და იგი ხალისიანად ამყვა საკმაოდ რთულ, საკმაოდ ფილოსოფიურ საუბარში, რომელიც სხვადასხვა საკითხებს ეხებოდა.

– თქვენი აზრით, რაა მთავარი ადამიანის ცხოვრებაში? – ვეკითხები, – მაინც რისთვსის ვცხოვრობთ, რატომ, რისთვის ცხოვრობს ადამიანი?

–მთავარი შრომაა, – მეუბნება იგი გულდინჯად, – ადამიანი ცხოვრობს იმისათვის, რომ იბრძოლოს, რომ იშრომოს. შრომის გარეშე არაფერი შექმნილა, დიდი კი არა, პატარა საქმეც არ გაკეთდება შრომის გარეშე, თუ ის მართლა საქმეა. ნამდვილი შრომაა, სწორედ, ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულება.

ლაპარაკის მანერაზე, აქცენტზე ეტყობა, რომ თბილისელი არაა, მაგრამ ჩანს, – მკვეთრია მისი განათლების დონე და საოცრად ფართო თვალსაწიერი აქვს გონებისა. მოკლედ, მე აღმოვ-

ჩნდი თავისებური ფლოსოფოსის წინაშე, რომელსაც მყარად აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი შეხედულებანი, პრინციპები, არსი მთელი ცხოვრებისა.

– მარტო შრომა? რას იტყვით ნიჭის შესახებ?

– ნიჭი და შრომა ერთობლივადაა ჰარმონიული, სრულყოფილი. ნიჭიერი კაცი ყოველთვის დაუზარელი და შრომისმოყვარეა იმ საქმეში, ნამდვილ საქმეში, რომელიც რჩეულია მისთვის, რომელიც მას გულით უყვარს.

მე შეძლებისდაგვარად ვიმახსოვრებდი მის პასუხებს, და ვსვამდი ახალ კითხვებს.

– ბატონო ელგუჯა, რას იტყვით საკუთარი პერსონის შესახებ?

– ბევრს არაფერს. თვითრეკლამა არ მიყვარს, მხოლოდ საქმის კაცი ვარ. ისე, ერთი ეგ კია, აგერ, სამოცდათხუთმეტი წლის იუბილე მექნება მალე და, ესე იგი, ბევრი ვიცხოვრე, აქედან გამომდინარე – ბევრი ვნახე. ორი საუკუნე, ორი ეპოქა გამოვცადე, ათწლეულები გადავლახე. გამოვიარე საბჭოეთის დრო, მერე – ცეცხლოვანი, უმძიმესი ოთხმოცდაათიანები, და აი, ახალი საუკუნის ათწლეულებსაც მოვესწარი. ყველგან, ყველა დროში ვცდილობდი საკუთარი ადგილი მეპოვნა, რათა საკუთარი თავისთვისაც, ოჯახისთვისაც და სხვათათვისაც უაღრესად სასარგებლო ვყოფილიყავი. ეს არის და ეს.

– ბატონო ელგუჯა, თქვენისთანა გამოცდილი ადამიანისაგან მინდა გავიგო; ბოლოს და ბოლოს, რა სჭირს ჩვენს ქვეყანას? თითქმის ოცდახუთი წელია უკვე, რაც დამოუკიდებულნი ვართ, და საშველი მაინც არ დაგვადგა. ბოლო-ბოლო, ის მაინც თუა განსაზღვრული, სადაც ჩვენი ადგილი: ევროპასა თუ აზიაში?

– აი, თქვენ წეღან ნიჭსა და შრომაზე მკითხეთ, – მეუბნება იგი ღიმილით, მერე კი, უცებ„ ღრმად ჩაფიქრდება და ისე განაგრძობს, – ჩვენს ქვეყანას ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშინელი ავადმყოფობა ჭირდა და ჭირს, - ესაა ნიჭის, შრომის დაუფასებლობა სწორედ. ხოლო როცა შრომა არ ფასდება, იგი აღარც უყვარს ხალხს. თუნდაც შრომის ნიჭის დაკარგვა, არქონა, ასევე –განათლების დეფიციტი, ზოგი სხვა ფაქტორიც, ო, ესენი ურტყამს, ძალიან, ხალხის ბედს, ვთქვათ – მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას... რაც შეეხება ჩვენს ევროპელობას თუ აზიელობას: ევრაზია, ანუ – ორივე ეს კონტინენტი ერთად, – აი ჩვენი ზუსტი ადგილი. ევროპა უმთავრესია, მაგრამ ჩვენში ძალიან ბევრია აზიური ნაკადი, და ამის დაკარგვა არაფრით შეიძლება! „აზიატობა“ არა მგონია ხელწამოსაკრავი ტერმინი იყოს მაშინ, როცა ქართველი კაცი, დიდწილად, აზიის პირმშოა.

– რას ფიქრობთ, რომელი ორიენტაცია უნდა აირჩიოს ჩვენმა ქვეყანამ, რომელი კურსი: დასავლაური თუ აღმოსავლური?

– უფრო, ალბათ, მაინც დასავლური, თუმცა აკი ყველას სჯობია, რომ ქართველთა სახელმწიფომ ქართული კურსი, ქართული ორიენტაცია, ქართული იდეოლოგია აირჩიოს და მიიყვანოს ეს სრულყოფილებამდე.

– გეთანხმებით, აქეთ-იქით ყურებას საკუთარ გულში ყურება სჯობია... ახლა ის მითხარით, რას ფიქრობთ ხელოვნების შესახებ და რამდენადაა აუცილებელი ხელოვნება იმ ადამიანთათვის, რომელნიც სრულიად სხვა საქმით არიან დაკავებულნი. საერთოდ, რას ფიქრობთ, მაინც, ევროპულ ხელოვნებაზე, და ქართულ ხელოვნებაზე? რას ფიქრობთ, ვთქვათ, რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ... და საერთოდ, ვინ მიგაჩნიათ უდიდეს პიროვნებად ყველა დროის საქართველოსა და მსოფლიოში?

– კარგ კითხვებს სვამთ, – მეუბნება ბატონი ელგუჯა, – თუმცა ეს არაა მარტივი კითხვები. ხელოვნების შესახებ ბევრი მიფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მე ვარ ის ადამიანი, რომელიც, ერთი შეხედვით, კარდინალურად სხვა სფეროში მუშაობს. თუმცა, დამეთანხმებით ალბათ, რომ კარგად რასაც აკეთებ, ყველაფერი ხელოვნებაა, მათ შორის – კარგად ქმნილი ბიზნეს – საქმიანობაც. ასე რომ, რაღაც გაგებით მეც ხელოვანი ვარ. ისე კი, ჭეშმარიტ, დიდ ხელოვნებას, მეტ-ნაკლებად, ყველა უნდა ეზიაროს. აბა თქვენ თუ წარმოგიდგენიათ ნებისმიერი პროფესიის ქართველი კაცი, რომელლსაც წარმოდგენა არა აქვს თქვენს მიერ წეღან დასახელებულ „ვეფხისტყაოსანზე“?! არა, ეს აბსურდია! შოთას პოემა საქართველოსთან ასოცირდება. რა აზრისა ვარ ევროპულ კულტურაზე? მათ ხელოვნებაზე? ძალზე მაღალი აზრისა! თუმცა იგივე ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“ მოიცავს, საკუთარ თავში, როგორც ევროპულ, ასევე აზიურ კულტურას. ეს წმინდაწყლის ევრაზიული მოვლენაა, ნამდვილი მოვლენა, ღრმა და სრულყოფილი, იდეალური. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის უდიდესი პიროვნება საკაცობრიო ისტორიაში, ახლა, უცებ, რთულია ამის ზუსტად თქმა. ჩვენში კი, ჩვენს საქართველოში, ასეთებია შოთა რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე. არჩევანს ხომ არ მიწუნებთ? (იცინის).

– არა, რას ბრძანებთ, პირიქით, – ჩემი არჩევანიც იგივეა. ახლა კი ბოლო კითხვა დამრჩა, და, ასე თუ ისე, თემა ამოვწურე (ამ ჯერზე მაინც). რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, აი, ერთი ფრაზით რომ გადმოსცეთ.

– ადამიანთა შორის სიყვარული, საერთოდ – სიყვარული...

მივხვდი, რომ ჩემი სახელდახელო ინტერვიუსთვის ეს იყო, სწორედ, გენიალური დასასრული. სიყვარული, მთელს სამყაროში –სიყვარული, უსასრულოდ განფენილი, როგორც ღმერთი, არის უმაღლესი ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება – ერთბაშად ასეთი შეცნობილიც და ასეთი შეუცნობელიც...

ელგუჯა ნოზაძის ბიზნესი სიკეთის სათესადაა შექმნილი

ჩემი და ბატონი ელგუჯას საუბარს დიდი გულისყურით უსმენდნენ კახა, დათ და ქალბატონი გულნაზი. ისინი ხანდახან საკუთარ აზრებსაც ურთავდნენ ხოლმე ამ ნახევრად-ფილოსოფიურ მასლაათს, რომელიც გასცდა სიმარტივის საზღვრებს, მაგრამ მაინც კი ვცდილობდით

იმას, რომ ბოლომდე არ ჩავკარგულიყავით სირთულის ზღვაში. პოეტური ფილოსოფია ნაწილობრივ იყო ჩვენს აზრთა თანამდევი, მაგრამ არ ვიხედებოდით უფრო და უფრო ღრმად, სადღაც რეალობისა და ირეალობის ზღვარზე გავედით, ხოლო ზღვარი აღარ გადაგვილახავს. პირველსავე გასაუბრებისას ეს არც იყო საჭირო...

ამის მერე ბატონი ელგუჯას მეურნეობა დავათვალიერეთ. ხუთეულს თან გამოგვყვა რამდენიმე იქაური თანამშრომელი, საინტერესო, მოკრძალებული, დასამახსოვრებელი ადამიანები.

ეს მეურნეობა რამდენიმე ათეულ ჰექტარ მიწაზეა გაშენებული. აქაა სხვადასხვაგვარი ბაღები, ვენახი, და პატარა ხელოვნური ტბა, რომელშიაც თურმე სხვადასხვა ჯიშის თევზი მოუშენებიათ. ვნახეთ იქაური, განთქმული საფრინველეებიც, ვრცელი შენობებია, რომელბშიაც ათაასობით წიწილა და ქათამი ბინადრობს. როგორც ამბობენ, იქაური ფრინეველის კვერცხი და ხორცი საუკეთესოა და უნიკალური...

ხოლო ყველაზე მეტად რამაც გამაკვირვა, ესაა ბატონი ელგუჯას მესვეურობით აშენებული ეკლესია, თავისი სამრეკლოთი, სატრაპეზოთი და, საერთოდ, ყველაფრით. რაღა თქმა უნდა, ეს პატარა ტაძარი უამბიციოა, არაა ისეთი გრანდიოზუი, როგორებიც გახლავთ მზისფერი სამება, გაფითრებული სვეტიცხოველი, თეთრი ალავერდი ან დავითის გელათი, არც სიძველე აქვს, არც ისე მთის წვერზე, არწივის ბუდესავით, როგორც გენიალურთა შორის მყოფი მცხეთისჯვარი, მაგრამ იქ, იმ ბიზნესურ-სამეურნეო გარემოში, ტაძარს – უმაღლეს სულიერებას არ ველოდი. დიახ, ეს ისეთი მოულოდნელი იყო!.. აქ ჩანს, სწორედ, ბატონი ელგუჯას პიროვნების კიდევ ერთი შტრიხი, – იგი იდეალისტი უფრო ყოფილა, ვიდრე მატერიალისტი ან, თუნდაც, დუალისტი. ამიტომა აფასებს ხელოვნებას, ამიტომაცაა ასეთი მრავალმხრივი პიროვნება, რომ ასე ახლოა სულიერებასთან. მერე გავიგე, რომ მას, თურმე, სულ სხვვაგან სხვა ტაძარი აუშენებია. ტაძართმაშენებლი კაცი კი ისტორიულ ფიგურად უნდა განიხილებოდეს ყველგან და ყოველთვის.

კარგად დაგვებედა ბატონი ელგუჯას ტაძრის მონახულება: თბილისში რომ დავბრუნდით, სულ მალე, შვიდ თებერვალს, მე და კახას პატივდების სიგელები გადმოგვეცა სამების მეფე-ტაძარში, და ამით კიდევ უფრო გამრავლდა ჩვენს მიღწევათა, აღიარებათა ვრცელი ჩამონათვალი (ეს სიგელი, უფრო ადრე, ქალბატონ გულნაზსაც გადასცეს. საერთოდ კი, აი, მას ხანდახან ვფიქ-

რობ, რომ მე და კახას ღმერთი აშკარად გვმფარველობს და ბევრ ცოდვას, ბევრ საჩორთო საქმეს გვპატიობს. ბოლო თვეებში, მგალითად, რამდენიმე პიროვნება სასტიკად გავაკრიტიკეთ. ახლა ძალაინ ვნანობთ. არ უნდა გაგვეწყენინებინა ეს პიროვნებანი. კიდევ უფრო ადრე, მახსოვს რომ უნივერსიტეტში შემდგარი იკა ქადაგიძის წიგნის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვედი და მისი წგინი, „ძირს ომერტა“, მიწასთან გავასწორე. ეს გამოსვლა იმაზე მეტად გახმაურდა, ვიდრე ჩემივე სტატია ამ წიგნის შესახებ. არ ველოდი ამგვარ ხმაურს. მთელი შემდგომი დღეები მოლოცვებს ვიღებდი გარკვეული პირებისაგან, – ეს რა მაგარი გამოსვლა გქონდაო! მე კი, მართალი გითხრათ, არ მიხაროდა მათი სიტყვები. იკას თავისი ცოდვებიც ეყოფა, და ასე მძიმედ არ უნდა გამეემეტებინა. ხოლო უფრო ადრე მასზე არანაკლები ლიტერატორებიც გამიმეტებია, და დღეს ამას, ყველაფერს, ვნანობ. საერთოდ, მე ბევრი ადამიანისთვის მიტკენია გული. ყველას, ყველას ვთხოვ პატიებას. ეტყობა, უფალი ხედავს, რომ საკმაოდ გულრწრფელია ჩემი სინანული, მძიმეა ჯვარი მომნანიებლისა და ეს ასეც უნდა იყოს. იქნებ არ მომწონს ჩემი პიროვნება, მაგრამ ვცდილობ მაინც, რომ უკეთესი ვიყო, არც კი ვიცი, რა გამოდის ამ მცდელობიდან: უამრავი სხვდასხვა ცოდვა მამძიმებს, მაგრამ ტაძარში შუქი არის ამ ყოველივეს უებარი წამალი.

იქ, ბატონი ელგუჯას თაოსნობით აშენებულ ტაძარში ყველამ ვილოცეთ (ქალბატონ გულნაზს ახასიატებს განსაკუთრებული ღვთისნიერება, ლოცვა, და, სხვვათა შორის, დაკვირვებული ვარ, რომ მართლაც აქვს ძალა მის ლოცვა-დალოცვას)...

აქ ვასრულებ თხრობას სტუმრებისა და დიდებული მასპინძლის შესახებ.

მე, ერთი სტატიის ფარგლებში, როგორც შემეძლო ისე დავხატე ელგუჯა ნოზაძის – ამ შთამბეჭდავი ბიზნეს – ბატონისა და მეცენატის ლიტერატურული პორტრეტი, სიტყვიერი პორტრეტი. როგორც შევძელი, ისე გადმოვეცი მისი მსოფლმხედველობა, საერთოდ – მისი პიროვნება. დიახ, ასე ჩანს, ჩემი მზერიდან, ერთი ტაძართმაშენებელი ადამიანი...

თბილისი 2015წ. თებერვალი

ქალბატონ მაყვალა გონაშვილის ტრიუმფი

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლამაზი საღამო-იუბილე, მე ვიტყოდი, საღამო-სიზმარი: ყვავილებში ჩაფლული პოეტი ქალი და აპლოდისმენტებით მრავალჯერ აფეთქებული დარბაზი... მწერალთა სახლი... გაზაფხულის დასაწყისი (ორი მარტი)...

ეს გახლდათ წლის ერთ-ერეთი უმთავრესი კულტურული მოვლენა, ბატონ რეზო მიშველაძისა და ბატონ ნუგზარ ნადარაიას იუბილეებთან ერთად, და მე მიხარია, რომ თვითონვე აღმოვჩნდი წამყვანი და ერთი ორგანიზატორთაგანი პოეტი მაყვალა გონაშვილის იუბილისა.

თანაწამყვანი და ასევე თანაორგანიზატორი იყო კახა ბაციკაძე, ხოლო მთავარი რეჟისორ-ორგანიზატორი ამ ყველაფერისა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი უძვირფასესი გულნაზ ხარაიშვილი გახლდათ, ლამის ყველას დედად და ყველაფრის ხელმძღვანელ-ორგანიზატორად რომ გადაქცეულა თანამედროვე ქართულ კულტურაში...

მაინც ვინ არის ქართული პოეზიის მეფე? დედოფალი?

მეფე, (ჩემი აზრით), რუსთაველია.

დედოფლობას კი, ანა კალანდაძესთან ერთად, რამდენიმე სხვა პოეტსაც (პოეტი ქალი) იმშვენებს, ხოლო მათ შორის არის ქალბატონი მაყვალა გონაშვილიც, თავისი ტკბილ-მწარე ცხოვრებით, ძალზედ წარმატებული კარიერითა და ხელოვნებით, შედევრთქმადობით. საბოლოო ჯამში იგი ბედნიერ პიროვნებად აღიქმება (თუკი, საერთოდ, შეიძლება ლაპარაკი პოეტის ბედნიერებაზე). სხვათა შორის, იგი პირველი და დღემდე ერთადერთი ქალია, რომელმაც მწერალთა კავშირის თავჯდომარე გახლავთ. მაგრამ ეს არაა მთავარი: მთავარი, რაღა თქმა უნდა, მისი დიდებული პოეზიაა. როგორც მითხრეს, ქალბატონი მაყვალა პირველ ან ორ მარტს იხდის დაადების დღეს. დარწმუნებული ვარ, რომ წლევანდელი ორი მარტი მისი ცხოვრების უბედნიერესი დღე იყო.

„სცენაზე“, მაგიდასთან, ერთად ისხდნენ, გვერდიგვერდ, ბატონი რეზო, ქალბატონი მაყვალა და ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი იქვე იყო ბატონი ენრიკო (რომელმაც ჯანსუღთან ერთად შესრულებული სიმღერით მოხიბლა ხალხი. გაოცებული იყო მსმენელი, – ჯანსუღი, აღიარებული პოეტი, მომღერალიც როგორი ყოფილაო. არადა, ირაკლი და მამუკა ჩარკვიანების შემდეგ ამ გვარის წარმომადგენლის სიმღერა როგორ უნდა გაუკვირდეს ვინმეს... ეგ კი არა, ვთქვათ, კანდიდად და გელა ჩარკვიანებსაც კარგი მუსიკალური მონაცემები ჰქონიათ), ასევე მათთან იყო ცეკვის ხელოვნების ერთ-ერთი მეფე (ილიკო სუხიშვილთან და ფრიდონ სულაბერიძესთად ერთად) – ომარ მხეიძე.

რეზო ადამია, ქეთი ნათელაძე, გულნაზ ხარაიშვილი, გვანცა ხარაიშვილი

დამამახსოვრდა სახეგაცისკროვნებული ქალბატონი მაყვალას სიტყვები: სამი რაინდის გარემოცვაში ვარ, ახლა, მე, და რაღა მიჭირსო, – რეზო პროზის რაინდად არის აღიარებულიო, ჯანსუღი – პოეზიის რაინდადო, ხოლო ჩვენი ომარი ხომ ქართულ-ეროვნული ცეკვის რაინდიაო!

შემოვიდა თუ არა „სარკეებიან დარბაზში“ იუბილარი, დამსწრენი ყვავილებითა და აპლოდისმენტებით მიეგებნენ მას. ბევრი ხალხი იყო მოსული, სახალხო ზეიმის მსგავსი სახე მიიღო ამ ყელაფერმა. დამსწრეთაგან ბევრი იყო ცობილი ადამიანიც, ამიტომ მათ ჩამოთვლას აღარ დავიწყებ, ვინმე რომ არ გამომგრჩეს. აი, თვითონ ღონისძიების მონაწილეებად კი მოამვალი თაობა შევარჩიეთ: ქეთი ნათელაძე, გვანცა ხარაიშვილი, ნიკა ქვრივიშვილი და პატარა ტატო ხარატიშვილი, რომელთაც ქალბატონი მაყვალას ქმნილებები წაიკითხეს. პროგრამაში ჩავრთეთ 147-ე საშუალო სკოლის ბავშვებიც მათ შემოგვთავაზეს როგორც ლექსები ცნობილი პოეტისა, ასე-

ვე ჩვენი ეროვნული ცეკვა-სიმღერები (ომარ მხეიძე განსაკუთრებით მოხიბლა ბავშვების ცეკვამ, რომელთაც რთულ პირობებში, არასაცეკვაო, პიტერატურულ გარემო-სცენაზე, ცეკვისათვის შეზღუდულ სივრცეში, მაინც ბოლომდე და ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი ნომრები).

მაყვალა გონაშვილი და ჯანსუღ ჩარკვიანი

„სცენაზე“, რეზოს, მაყვალას, ჯანსუღის გვერდით ვიყავით მე და კახაც, და წარვმართავდით ზეიმის მსვლელობას. კახამ უპირატესობა მე დამითმო, ხოლო ჩვენი აკადემიის პრეზიდენტი – გულნაზ ხარაიშვილი, ერთი ჩვეულებრივი მსმენელივით იჯდა დარბაზში და მხოლოდ რამდენჯერმე ჩაერია დიდებულად ორგანიზებული საღამო-ზეიმის მსვლელობაში. კიდევ ერთხელ კეთილად გაოგნებული დავრჩი მისი თავმდაბლობით. რაღა თქმა უნდა, კახას იმდღევანნდელი თავმდაბლობაც არის დასანახი და დასაფასებელი.

მუსიკალურ გამფორმებლებად სპეციალურად მოვიწვიეთ ოცდახუთწლოვანი ისტორიის მქონე ანსამბლი „ლომისი“ (მისი პირველი ხელმძღვანელი ნუგზარ ფსუტური იყო, ახლა –შალვა ილურიძეა), მარინა კოლხიდაშვილი და პატარა ანი დოლიძე. სამივემ შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. „ლომისი“ სულაც სამი ნომრით წარსდგა მსმენელთა წინაშე, პირველი ამათგანი იყო ყველაზე ეფექტური, – ქალბატონი გულნაზის ტექსტზე აღმოცენებული სიმღერა „ლომისისა“, რომელიც პირადად მაყვალა გონაშვილს ეძღვნებოდა. მოგეხსენებათ, დღეს მწერალთა კავშირში „ექვსეულის“ მმართველობა სუფევს, ხოლო ამ ექვსიდან სამეული

(თავისებური ტრიუმვირატი) გამოირჩევა მაინც თავისი გავლენით – რეზო, მაყვალა, ჯანსუღი. ისე მოხდა, რომ ყოველმა მათგანმა დააგვირგვინა იუბილე თავისი გამოსვლით. ჩემგან, როგორც ძირითადი წამყვანისაგან (თუმცა გულნაზიმ და კახამ, სინამდვილეში, გაცილებით მეტი გააკეთეს საღამოს წარმატებისათვის, მათი წვლილი განუზომელია, ჩემს წვლილზე ბევრად მეტი), საბოლოო სიტყვა ბატონ რეზო მიშველაძეს ერგო, რომელმაც, თავისი ორატორული ხელოვნებით, ხოტბა შეასხა, ქებათა-ქება უძღვნა პოეტ ქალს, ასევე სხვანიც შეაქო, და ჩვენც სამივე ორგანიზატორს (აკადემიის თავისებურ ტრიუმვირატს) გვითხრა არაერთი ტკბილი სიტყვა. ჩვენ ქალბატომა მაყვალამაც გამოგვარჩია, განსაკუთრებით კი იგი მადლიერი იყო ქალბატონი გულნაზისა.

სულ ბოლოს (რევაზ მიშველაძის სიტყვის მერე) „ლომისის“ მრავალჟამიერი აგუგუნდა, წმინდა ლომისის მადლივით, და ასე დასრულდა ეს გრანდ-ღონისძიება.

მოდით, ასეთი კითხვა დავსვათ: მაინც რომელი ქართული იუბილეა ყველაზე ლამაზი?

ალბათ ეს იყო აკაკის იუბილეთა ჯაჭვი ათას ცხრაას რვაში. ისტორიას შემორჩა გრანდიოზულ, სუპერგრანდიოზულ ზეიმთა რიგი, რომლის ცენტრად თბილისი და ქუთაისი იქცა. ის მოვლენა, მაშინ, გასცდა საქართველოს საზღვრებს, ხოლო აკაკის უწოდეს „უგვირგვინო მეფეც,“ „სულიერი მეფეც“ და, უბრალოდ, „მეფეც“. ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენჯერ მომხდარა ჩვენს ქვეყანაში პოეზიის მეფის ანუ – უდიადესი პიროვნების დასახელება, მაგრამ „განდეგილის“ ავტორის –წმინდა ილიას სიკვდილის შემდეგ რომ ეს წოდება ერთსულოვნად მიაკუთვნეს, თავისივე იუბილეს დღეებში, „თორნიკე ერისთავისა“ და „გამზრდელის“ ავტორს) წმინდა აკაკის, ეგ კი ცნობილია. (ცოტა მოგვიანებით აღიარეს გენიალური ვაჟა-ფშაველა).

თბილისის 147-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები

ხოდა აი, სწორედ იმ ყველა დროის იუბილის – აკაკის იუბილის თეთრი ჩრდილი მოვიდა, თითქოს, ამა წლის ორ მარტს, მწერალთა სახლში. რაღა თქმა უნდა, აკაკის დღეებს არა და არ ვუტოლებ ბოლოდროინდელ მოვლენებს, თუნდაც – ორი მარტის ზეიმს, მაგრამ სულისკვეთება კი თითქოს იგივე იყო: აღტაცებული ხალხი პატივს მიაგებდა თავის რჩეულ პოეტს (ამ შემთხვევაში – პოეტ ქალს) ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, რომელმაც თავისი შრომითა და მოღვაწეობით მართლაც დაიმსახურა საყოველთაო აღიარება...

თბილისი. 2015 წელი. გაზაფხული.

დიდი იუბილე ჰროზის რაინდისა

ამ ბოლო დროს ხშირად მიწევს წერა რევაზ მიშველაძის შესახებ, მაგრამ ეს კანონზომიერია, რადგანაც ბატონი რეზო, ასეთ სოლიდურ ასაკშიაც კი, მეტად აქტიური პერსონაა, ტრიალებს რა ქართული ლიტერატურის ცენტრში. აი, აგერ ახლახანს, მას გრანდიოზული იუბილე მოუწყვეს საჯარო ბიბლიოთეკის საუკეთესო დარბაზში. ეს ვრცელი დარბაზი ხომ მინითაა გადახურული (ზედა სართულზეა) და მაღლა ახედვისას პირდაპირ ცას უმზერ, რაც ეფექტს ზრდის, ადამიანიც იზრდება უსასრულობის განცდით: ცა ხომ, (მთებთან ერთად), ყველაზე დიადი, უდიადესი რამაა, ზეცა ხომ პოეზიითაა სავსე!

საღამო-იუბილე ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა. საწყის საათებში დარბაზში საერთოდ ტევა არ იყო, თუმცა ინტერესი, ღონისძიებისადმი, მერეც არ განელებულა. ეს იუბილე, რომელიც იანვარშივე ჩატარდა (აღინიშნებოდა მწერლის სამოცდათხუთმეტი წლისთავი და მისი ოცდახუთტომეულის გამოცემა), წლევანდელი წლის ერთ-ერთი მთავარ ლიტერატურულ მოვლენად დარჩება. ეს მითუმეტეს დიდი მიღწევაა მაშინ, როცა წელიწადი გენიოსების – აკაკისა და ვაჟას წლად არის მიჩნეული (ზუსტად საუკუნის წინ გარდაიცვალნენ სამამულო და მსოფლიო ლიტერატურას ეს მზეები).

ჰროზის რაინდი, რეზო მიშველაძე

საღამოს ინიციატორობა თავიანთ თავზე აიღეს აკადემიებმა, რომელნიც, ბოლო წლებში აღზევებულნი, თითქოს მთავარ ძალად იქნენ ჩვენი ხელოვნებამეცნიერებისა. შვიდი სხვადასხვა აკადემია მესვეურობდა იუბილეს, ხოლო მერვე (მთავარი, ძირითადი) აკადემიიდანაც იყვნენ ცალკეული წარმომადგენელნი. შესანიშვნავმა შვიდეულმა იმ დღეს დაამტკიცა, რომ ეთანაბრებიან მერვეს და უმაღლესი რანგის ორგანიზაციებად მიიჩნევენ თავს. რაც შეეხება ბატონ ნუგზარ ნადარაიასა და ვაჟა ეგრისელს, ისინი, ორი სხვადასხვა აკადემია-ორგანიზაიის პრეზიდენტები, უმთავრესი ინიციატორები იყვნენ ამ გრანდიოზული, დამაგვირგვინებელი იუბილესი. ერთი ეგ კია, – ბატონმა ნუგზარმა და ვაჟა ეგრისელმა ჯენტლმენურად დაუთმეს საღამოს წამყვანობა ქალბატონ გულნაზის, და ამით თავისიანი დიდბუნებოვანობას კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი.

ღონისძიებაში მრავალი ადამიანი მონაწილეობდა, რომელთა სრული ჩამოთვლა ძნელია. დიდი მწერლის, ნოველის დიდოსტატის პატივსაცემად, თავისთავად ცხადია, მრავალფეროვნება აირჩიეს, და საღამოც ასე დაგეგმეს. აქ იყვნენ სიტყვით გამომსვლელები, მომღერლები, მოცეკვავენი. მაგალითად – მომღერალთაგან, თბილისში, სპეციალურად ამ დღისთვის, მთელი შემადგენლობით ჩამოვიდა საკმაოდ ვრცელი ფოლკ-ანსამბლი „ლომისი“, ოცდახუთწლიანი ისტო-

რიისა, რომელსაც ადრე – ნუგზარ ფსუტური, ახლა კი – შალვა ილურიძე ხელმძღვანელობს. რაღა თქმა უნდა, იყვნენ სხვა მომღერალ-შემსრულებელნიც, ხოლო ყოველივე ამას ცეკვის ოსტატებიც ემატებოდნენ. ასე რომ, ეს სრულიადაც არ გახლდათ მხოლოდ ლიტერატურული ხასიათის იუბილე, პირიქით, – ერთი სამეჯლისო მოცეკვავეც კი წარსდგა მაყურებელთა წინაშე, და თუმცა ეს სრულიად განსხვავებული ჟანრია, იმ გოგონამ მაინც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ლაგოდეხის ფოლკლორის წრის წევრებმა: ხელმძღვანელი თენგიზ გოგოლაძე.

რაც შეეხება ღონისძიების მეცნიერულ მხარეს, ეს სივრცე შეავსეს ისეთმა პროფესორებმა, პროფესიონალებმა, როგორებიც არიან ტიტე მოსია, ლუარა სორდია და სხვები. ხოლო ხელოვნების მხარეს პოეტები და მწერლები ამაგრებდნენ, რომელნიც მეტად ვრცლად იყვნენ წარმოდგენილნი, ამიტომაც მათს სრულ ჩამოთვლას ამითაც არ დავიწყებ, უბრალოდ რამოდენიმე მათგანი კი მაინც მინდა გამოვარჩიო: აკადემია ქალდეას სახე და სიმბოლო ვაჟა ეგრისელი თავისი ცნობილი ლექსით – „შავლეგოთი“ წარსდგა მსმენელის წინაშე, და აპლოდისმენტებიც აართვა დარბაზს; მას არც თანამედროვე კახეთის კოლორიტი – დავით (დათო) ტიგინაშვილი ჩამორჩა პოეტურ ცეცხლის დანთებაში; ამათ კოლხი ქალბატონი – მიმოზა ცანავა შეემატა თავისი ლექსით... მოკლედ, ფრთიანმა სიტყვამ დარბაზი სულ სხვანაირად გაანათა. ქალბატონმა გულნაზიმ ახალგარზდებსაც დაუთმო ასპარეზი და აი, ბატონი რეზოს წინაშე პოეტი ქეთი ნათელაძე წარსდგა, მისთვის დამახასიათებელი შთამბეჭდავი გამოსვლით...

მე და კახას რაც შეგვეხება, გასულ წლებში აკადემიებმა ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი „ზღვარი“ საუკეთესოდ აღიარეს პოეზიაში. (ლიტერატურაში, საერთოდ – ხელოვანებაში), და წელს თითქოს აღარ ვაპირებდით ზედმეტ აქტიურობას, მაგრამ უკვე იანვარშივე მოგვიწია რამოდენიმე გამოსვლა საღამოებზე, დიდ იუბილეშიც ორივემ მივიღეთ მონაწილეობა. მე პატარა სიტყვა ვთქვი, ხოლო კახამ ჩემი ლექსი წაიკითხა – „პოეტურ გრძნობის სივრცე“.

„მე ქართველი ვარ,
ეს იგი – მე ვარ პოეტი;
მე პოეტი ვარ,
ესე იგი – მე ვარ ქართველი“.

ეს ლექსი რამდენჯერმე წავიკითხეთ საღამოებზე და ყველგან, აღტაცებასთან ერთად, კამათიც გამოიწვია. – როგორ, პოეტობა მაინცდამაინც ქართველობას ნიშნავსო? – მეკითხებოდა ზოგი, – რა, ვთქვათ, პოეტი გოეთე, დიდებული პოეტი, ქართველი იყოო? ჩემი მშვიდი პასუხი კი ასეთი გახლდათ: დიახ, გარკვეული გაგებით, (პოეტური გაგებით), გოეთეც ქართველი იყო და თვით იესო ქრისტეც კი... ოღონდაც, ჩემს სიტყვებს კარგი გააზრება-ჩაწვდომა ესაჭიროება მეთქი.

ზაალ ლომსიანიძე – ბიბლიის მეცნიერული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, გულნაზ ხარაიშვილი – ლეჟავას სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ნუგზარ ნადარაია – ფაზისის საერო, სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, თემურ გაბელიშვილი – ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მაყვალა გონაშვილი – მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, ზურაბ ლომთათიძე – აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

რაც შეეხება იუბილეს, იქ ჩემს ლექსს, კახას მიერ წაკითხულს, მხოლოდ აღტაცებით შეხვდნენ. წინა რიგში მსხდომმა ლიტერატორმა – თამაზ ჩადუნელმა პირადადაც მოგვილოცა წარმატება...

არ შეიძლება ბატონი რეზოს იუბილეზე ვისაუბროთ და არ აღვნიშნოთ მისი ორი უერთგულესი თანმებრძოლი – ბატონი სოსო სიგუა და ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. რაღა თქმა უნდა, ამათ გარეშე იუბილეს არ ჩაუვლია, ასეც უნდა ყოფილიყო, რამეთუ ამ სამეულზეა (რეზო-მაყვალა-სოსო) ამოშენებული თანამედროვე მწერალთა კავშირი, რომელიც, ადრე თუ გვიან, ალბათ ისევ მოიკრებს ძალებს, მითუმეტეს, თუ მასში ახალგაზრდების ინტენსიური თავმოყრა დაიწყება, თუ ამ, ერთ დროს ძლევამოსილი ორგანიზაციით, ისევ მკვეთრად დაინტერესდება მთავარი ძალა – ახალგაზრდობა, მომავალი თაობები...

დიდი იუბილის სრულად, დეტალურად აღწერა შეუძლებელია. ვიტყვი კი იმას, შეჯამების სახით, რომ აკადემიებმა მართლაც შეუდარებელი საჩუქარი მიართვეს, ამ დღესასწაულის სახით, პროზის რაინდს – რეზო მიშველაძეს, რომელიც თვითონვე გამოვიდა მეტად შთამბეჭდავი დამამთავრებელი სიტყვით, ხოლო სიტყვა დააბოლოვა დიდი ოთარ ჭილაძის – ამ განსაცვიფრებელი პოეტი-პროზაიკოსის გულშიჩამწვდომი სტრიქონებით...

სხვათა შორის, იმ დღეს დიდი ბიბლიოთეკის შენობაში ბევრ ადამიანს პირადად გავესაუბრე, მათ შორის – ირინა თურქიას, ნიკო ხერკელაძესა და გელა ლარიაშვილს, ლევან ბაბუხადიას, მარინა სხირტლაძეს, ნაირა მარშანიას, ლამზირა შეყილაძესა და სხვებს კიდევ, ყველა აღნიშნავდა, რომ დიდებული იუბილეაო, ოღონდაც... იყო ერთი მძიმე ამბავი, რომელმაც ლაქა დაატყო დღესასწა-

ულს. არა, საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში მძიმე ამბებს რა დალევს, მაგრამ ერთი ისეთი იყო, სწორედ ლიტერატურა რომ სასტიკად დააზიანა, – იანვარშივე, ნათლისღება დღეს, დილით, გარდაიცვალა უპირველესი რელიგიური პოეტი ყველა დროისა – მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი). ეს ლეგენდა-ადამიანი, ჩვენი აკადემიის დიდი მეგობარი, პოეტებს წმინდანებად აღიქვამდა, ასეც უწოდებდა მათ, ამიტომაც, როგორც თავიდან ბოლომდე სასულიერო პირი, მკვეთრი რელიგიოზი, თავს მაინცდამაინც არ ადრიდა პოეტთ (წმინდანებად აღქმულთ), და თუმცა პოეტობა ყველაფერს ერჩია, პროფესიონალ ხელოვნად თავს თითქოს მაინც არ მიიჩნევდა და ნახევრად-პროფესიონალად აღიქმებოდა. მე კი ასე ვიტყოდი: იგი იყო უპირველესი ოსტატი მოყვარულთა შორის, ხოლო ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი – პროფესსიონალ, ნამდვილ ოსტატთა შორისაც. მეუფესთან ჩვენ, „ზღვარის“ წევრები, ძალიან ვახლობდობდით, ისიც მეტად გვათამამებდა, მითუმეტეს კახას, რომელიც მეუფის დღეს – თორმეტ ოქტომბერს არის დაბადებული, და დიდი თადეოზი მის გამორჩევით აფასებდა, როგორც ადამიანს, პოეტს. ხოლო რადგანაც მეუფე გარდაიცვალა, ეს წმინდა კაცი რადგანაც წავიდა ჩვენგან, კახამ ვეღარ შეასრულა ცნობილი სიმღერები პროზის რაინდის იუბილეზე. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ვთქვი, მან მაინც მიიღო მონაწილეობა წლის ერთ-ერთ უმთავრეს ლიტერატურულ და საერთოდ – სახელოვნებო, კულტურულ მოვლენაში...

ელიზბარ შათირიშვილი – იყალთოს აკადემიის პრეზიდენტი, ვაჟა ეგრისელი – აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი, ზაალ ლომსიანიძე – ბიბლიის მეცნიერული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, რეზო მიშველაძე – მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ნუგზარ ნადარაია – ფაზისის საერო, სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, თემურ გაბელიშვილი – ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მაყვალა გონაშვილი – მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, ვაჟა აზარაშვილი – კომპოზიტორი, გულნაზ ხარაიშვილი – ლეჟავას სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი

ბატონი რეზო მიშველაძის იუბილე შედგა, შედგა ისე, როგორც ეკუთვნოდა რჩეულ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ხოლო შვიდი აკადემიის მესვეურობით ჩატარებულმა ამ დაუვიწყარმა ღონისძიებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რაც არ უნდა მოხდეს, რა არ უნდა შეიცვალოს ამ დუღჭირი ცხოვრების გამო ჩვენს ქვეყანაში, სიტყვის ოსტატი, (სიტყვის დიდი ოსტატი) აქ ყოველთვის განსაკუთრებულ ადამიანად დარჩება. საქართველო ლიტერატურის ქვეყანაა, ზოგადად – ხელოვების ქვეყანაა, ქვეყანა კულტურისა, მაღალი კულტურისა, და თუმცა ბოლო ათწლეულებში ხელოვნებასაც კი ვეღარ ვაფასებთ აქ სათანადოდ მათ მაინც რჩებათ განსაკუთრებული ავტორიტეტი, რომელსაც ვერაფერი გაახუნებს, ვერაფერი წაშლის.

თბილისი, 2015 წელი, იანვარი.

უდიადესი

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) იყო უდიადესი სასულიერო პირი, ჭეშმარიტი მოღვაწე, პროფესიონალი პოეტი. ბოლო ათეული წლების საქართველოში იგი ყველაზე უფრო რჩეული პიროვნება გახლდათ, პატრიარქ ილია მეორესთან და კიდევ ორ-სამ სხვა რჩეულთან ერთად.

მეუფე თადეოზი იყო მოძღვარი-მეგობარი ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილისა და მთელი მისი აკადემიისა, ანუ – მთელი ჩვენი აკადემიისა, და ყოველი ჩვენგანი ვამაყობთ იმით, რომ ამ დიდბუნებოვან ადამიანთან, მართლაც რომ მეუფესთან, გვქონდა ასეთი თბილი, მეგობრული ურთიერთობა, ამაყობს პოეტი კახა ბაციკაძეც, რომელიც, მეუფის მსგავსად, თორმეტ ოქტომბერსაა დაბადებული (იქნებ ამიტომაც გამორჩეულად აფასებდნენ სწორედ ესენი ერთმანეთის შემოქმედებას).

დღეს გენიალური მოძღვარი, რომელსაც ჩვენ წმინდანად მივიჩნევთ, თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში განისვენებს. იქ, მზიან ადგილას, ორი დიდებული მიტროპოლიტი ერთადაა დაკრძალული, გვერდიგვერდ. ჩვენი დაუვიწყარი მეუფე თადეოზი, უბადლო ბერი-პოეტია.

გიორგი ზუხბაია წერდა თავის გრანდიოზულ პოემაში:

„და აი, კუპლეტებს შორის
შემოატანა, მზის, ბროლის ლამბაქებივით
გამჭირვალე ნათებამ,
მან მუსიკასავით შემოაღწია პოემაში. თანაც, ნათება ისე ცოცხლობდა,
როგორც აკაკის ლექსი,
ან – შოპენის მელოდია...“

აი, სწორედ ასე შემოაღწია მეუფე თადეოზის დიდბუნებოვანმა პიროვნებამ თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში და წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს სულზე, გონება-გულზე, ხოლო ერთი გენიალური ინგლისელის სიტყვები რომ მოვიშველიოთ

„ის იყო კაცი, როგორ შველის
კაცსა კაცობა,“ –

სწორედ რომ ჩვენი წმინდა ადამიანი მოგვაგონდება, ისეთი გრდანდიოზული, თან კი ისეთი უბრალო, თავმდაბალი, როგორიცაა წმინიდანთა ხატნი ძველქართულნი.

და მერე როგორ ცხოვრობდა იგი...

ხოლო აღესრულა როგორ:

– ფეხზე წამომაყენეთ, – უფალი ქრისტე, ღვთისმშობელი მარიამი და კიდევ სხვანი, წმინდანნი, ანგელოსნი, მოდიან ჩემთან შესახვედრად, და მათ ფეხზემდგომი უნდა შევეგებოო!..

იგი სწორედაც ფეხზე მდგომი შეხვდა სიკვდილს, მაგრამ სიკვდილმა მხოლოდ ზეციური კარი გაუღო, ქრისტემ განაწესა იგი წმინდანთა თანა იქ, ზეციურ საქართველოში;

და სიკვდილის შემდეეგ დაიწყო პოეტი-ბერის ჭეშმარიტი სიცოცხლე...

აი, ვინ იყო და ვინ არის მეუფე თადეოზი!

ის ზეცაშია, მთელი თავისი ბრწყინვალებით, ხოლო აქ მიწაზე საფლავი დარჩა, საფლავი, სადაც ვიდექით ივნისის ცხელ დღეს აკადემიის წევრები, და ვიგონებდით დიდი გულის კაცს, გრძნობის კაცს. ბევრი მოსულთაგანი ცრემლს ვერ იკავებდა. ზოგი ისე ესაუბრებოდა გარდაცვლილს, როგორც ცოცხალს, და არა ცდებოდნენ: დარწმუნებული ვარ, რომ მეუფეს მართლა ესმოდა მათი.

აი, წარმომადგენელნი აკადემიისა: ლამზირა შეყილაძე, მანანა დანგაძე, თამარ ჯაჭვაძე, ყამარ ბლიაძე, დიდი რეზო ადამია და ჩვენი გელა ლარიაშვილი, თინათინ ხაბურზანია, საჩხერიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსული კახა სამყურაშვილი და კიდევ სხვები (თუნდაც – პოეტი მანანა ზაზიკშვილი და მრავალმხრივი ხელოვანი მარინა კოლხიდაშვილი, თავისი განუყრელი ფანდურით)... იყვნენ ჩვენთვის უცნობი ადამიანებიც, რომელთაგან ერთ-ერთმა ქალბატონმა, მეტად დამწუხრებულმა, სიტყვაც წარმოთქვა საფლავზე. არაფრით დამავიწყდება, ასევე ქალბატონ მირანდა წიკლაურის სიტყვაც, რომელმაც თავისი ადრედაღუპული შვილიშვილი, ფენომენალური პატარა მომღერალი შეავედრა მეუფე თადეოზს: შენ გაბარებო მას, – იქ, ზეცაში, შენ უპატრონეო, დაე, შენმა მშვენიერმა სულმა უპატრონოს ჩემი პატარა გოგონას სულსო...

ამ სპეტაკ დღეს ორი ადამიანი ჩაუდგა სათავეში აკადემიის წარმომადგენლობას: ერთი იყო თვითონ ქალბატონი გულნაზი, რომელიც გახდლათ უახლოესი მეგობარი მეუფისა (სწორედ ამ ორი ლიდერის ხელში მიაღწია ჩვენმა აკადემიამ ყველა მნიშვნელოვან წარმატებას აქამომდე), ხოლო მეორე იყო თეთრ– თმაწვეროსანი, შავანაფორიანი მამა გაბრიელი (დიდი მამა გაბრიელის მოსახელე), რომელიც მეუფე თადეოზივით ბერი-პოეტია და მისი ადგილიც ახლა სწორედ მას უჭირავს აკადემიაში. ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობაა, თუმცა ღირსეულად უძღვება აკადემიის ახალი მოძღვარი თავის საქმეს.

რაც შეეხება „ზღვარის“ წევრებს, როგორც უმეტესად ხდება ხოლმე, აკადემიის იმ შეკრებაზეც, რომელიც მეუფის საფლავზე გაიმართა მისსავე მოსაგონრად, მე და კახა ბაციკაძე წარმოვადგენდით პირადად ჩვენს შემოქმედებით ჯგუფს და, სულ ცოტა, სამ აკადემიას მაინც.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი ადამიანი: თაკო სხირტლაძე, რომელიც სურათებს იღებდა მთელი ღონისძიების მსვლელობისას. სხვათა შორის, თაკო წარმატებული გოგონაა, სტუდენტი, იგი უკვე ნამდვილი ინტელექტუალია, და დაიკოს მსგავსად, გარეგნობითაც ფრიად სიმპათიური ახალგაზრდაა...

ღონისძიება ლოცვა-კურთხევით გახსნა მამა გაბრიელმა, ხოლო ამის შემდეგ უკვე ქალბატონი გულნაზი წაუძღვა ყოველივეს, ასე რომ, სწორედ მან მოგვცა საშუალება სიტყვათა თქმისა, ლექსთა თქმისა, მარინა კოლხიდაშვილმა შემოგვაშველა შესანიშნავი სიმღერები, რომელთაც სევდა-ხალისთან ერთად გააჯერეს გარემო.

ყველაზე კარგი ის იყო, რომ ყველა გულწრფელი გახდლათ იმ დღეს, იქ გრამი სიყალბე არ მინახავს, საოცრად გულწრფელი იყო ის ცრემლები, და ვფიქრობდი:

– რა ბედნიერი ხარ, მეუფეო, ასე როგორ შეაყვარე თავი ყველას!...

ხოლო გულწრფელმა ხალხმა გულწრფელი სიტყვა თქვა, გულწრფელი ლექსები წაიკითხა... და ყოველივე იყო განსაკუთრებით საუკეთესო, და ყველა იყო საუკეთესო.

მოგეხსენებათ, ჩვენს კახას როგორ უყვარს ყველას დაჩრდილვა, მაგრამ აქ რადგან ეს აღარ გამოვიდოდა, მან ხერხს მიმართა: მეუფის საფლავზე მეუფისავე ლექსი წაიკითხა. ეს იყო ლექსი-შედევრი, რომელიც მეუფე თადეოზმა მიუძღვნა დიდ პოეტს – ნიკო სამადაშვილს, და როცა კახა ბაციკაძე ამ ლექსს კითხულობდა, ზუსტად იმ დროს, ღვთიურ ნიშანივით, ზარის ხმა გაისმა სამრეკლოდან... გავოგნდით ყველანი, სასწაულად მივიჩნიეთ ეს დამთხვევა: წმინდა მეუფის ლექსის სტრიქონები და წმინდა ზარის ხმა!..

იქვე, მეუფის საფლავზე, ქალბატონმა გულნაზმა კიდევ რამდენიმე ადამიანი გააწევრიანა ჩვენს აკადემიაში, მათ შორის, – თვით მამა გაბრიელი (მეორე გაბრიელი), და კახა სამყურაშვილი – უნიჭიერესი ახალგაზრდა კაცი საჩხერიდან, რომელსაც პირადად მე გადავეცი დიპლომი, ჯერ მეუფე თადეოზის საფლავის მომწვანო ქვაზე დადებული, დიდ წმინდა ქვაზე დადებულ-დასვენებული დიპლომი აკადემიისა.

მოგვიანებით მხატვართა კავშირის თავჯდომარეც შემოგვემატა, თავისი ხალხით...

მოკლედ, მეუფე თადეოზის ხსოვნას ღირსეული პატივი მიეგო. თან იქვე გადაწყდა, რომ ყოველ წელს არაერთხელ მოვინახულოთ როგორც დიდი თადეოზის, ასევე დიდი ჯუმბერ ლეჟავას საფლავები....

როცა სახლში ვბრუნდებოდი, გონებიდან არ ამომდიოდა მეუფე თადეოზის გულზე (მისი საფლავის ქვაზე) დასვენებული უახლესი ნომერი ჩვენი ჟურნალისა – „ათინათისა“, –

დიახ, მეუფეო, ქალბატონმა გულნაზმა თავისი პირობა შეასრულა: მან ახლაც მოგართვათ ჩვენი ჟურნალის ახალი ნომერი...

ასე რომ, სიკვდილი მართლაც არაა გადაულახავი ბარიერი ადამიანებს შორის...

თბილისი. 2015 წელი. ზაფხული

.შ. ეკლესიის წიაღს არაერთხელ წარმოუქმნია ისეთი ადამიანები, რომელთაც თავიანთი სიდიადით თვით მეფურ და პატრიარქულ ძალამდეც კი მიუღწევიათ, თუმცაღა თვითონ არასოდეს გამხდარან მეფენი და პატრიარქნი. ასეთები იყვნენ, მაგალითად, დიდი გრიგოლ ხანძთელი (მისი ამბავი მერჩლემ უკეთ აღწერა, ვიდრე თვით ბარნოვმაც კი), დიდი გაბრიელ ბერი... ზოგი სხვაც. ხოლო აი, სწორედ ასეთთაგანი იყო დიდი თადეოზიც – ნამდვილი მეუფეც და თვით მეფეც კი სასულიერო სამყაროსი; ყველაზე უფრო პოეტური სასულიერო მოღვაწე; უერთგულესი მეგობარი პატრიარქისა; ამაყი, მაგრამ, ამავე დროს უბრალო, თავმდაბალი მიმდევარი უფლის გზისა.

მეუფე თადეოზი ჭეშმარიტად იყო ერთ-ერთი უპირველესთაგანი, უდიადესთაგანი, ყველა იმ პიროვნებას შორის, ვინც კი ოდესმე მინახავს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ის ორი ათას თორმეტ (2012) წელს გავიცანი, (ქალბატონი გულნაზის წყალობით), ზუსტად იმავე წელს, როცა აკადემიაში გავწევრიანდი. აკადემია ჩვენთვის, „ზღვარისთვის“, თითქმის ისეთივე დიდ მოვლენად იქცა, როგორც „ცისფერყანწელებისათვის“ თბილისი. როგორც ჩანს, ეს ჯგუფი ათას ცხრაას ოცდაათ (1930) წლამდე მაინც ბობოქრობდა დედაქალაქში...

აღზევება
ბატონ სულიკო სამხარაძისა

ის, რომ დღევანდელი ქართული ხელოვნება-მეცნიერება სულ რამდენიმე ორგანიზაციის ძალისხმევითაღა არსებობს, აღარავისთვისაა საიდუმლო. წლევანდელმა ორი ათას თხუთმეტმა წელმა, გარკვეული მიღწევების მიუხედავად, ყველაზე უფრო ნათლად დამანახა, რომ ამ სფეროს (კულტურის სფეროს) ხელისშეწყობა უნდა გაძლიერდეს მკვეთრად, თორემ უახლოეს ხანში ერთადერთ მართლაც წარმატებულ სფეროშიც პრობლემები დიდად მოიმატებს, მით უმეტეს, რომ კულტურის მოღვაწეთა ბედი, ჩვენს ქვეყანაში, სახარბიელო ნამდვილად არაა.

ასეთ სიტუაციაში, უნივერსიტეტთან და მთავარ აკადემიასთან ერთად, ბოლო წლებში ლიდერის პოზიციამდე ამაღლდა აკადემია ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას სახელობისა, რომელიც თუმცა თვითონაც არაა დალხინებულ-გალაღებული, მაინც ბოლომდე იბრძვის ეროვნული კულტურის გადარჩენა-აღორძინებისათვის. ასე გრძელდება სულ ცოტა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ხოლო მთელი ეს ხანი ამ პროცესებს სათავეში უდგას დაუცხრომელი მოღვაწე, პოეტი ქალბატონი – გულნაზ ხარაიშვილი. სწორედ ამიტომ, აკადემიას, ხანდახან, ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიასაც ვუწოდებთ ხოლმე ჩვენ, მისი წევრები.

ამ დღეებში გულნაზის აკადემიას მნიშვნელოვანი ძალა შეემატა ბიზნესმენისა და მეცენატის – ბატონი სულიკო სამხარაძის სახით. ეს ისეთი შენაძენია, რომ ამ ფაქტზე აუცილებლად სპეციალურად უნდ შევჩერდეთ.

ბატონი სულიკო ფილოსოფიურად (მეცნიერულად) განწყობილი ცნობილი ბიზნესმენია, რომელიც, ძირითადად, საქართველოსა და რუსეთში მოღვაწეობს. ცნობილია მისი გულგახსნილობა და ხელგაშლილობა, მისი მეცენატური დამოკიდებულება მეგობრებისადმი, ასევე სხვადასხვა პიროვნებისადმი, ორგანიზაციებისადმი ასეთი ძლიერი ადამიანის დამკვიდრება ქართულ კულტურაში დიდი იმედია, ხოლო ბატონი სულიკოსათის ეს დიდი პატივიც არის და დიდი ტვირთიც, ანუ – მაღალი პასუხისმგებლობაც...

კაცობრიობას ხუთი ძირითადი ხაზი წარმართავს, – ხელოვნება და რელიგია, მეცნიერება, პოლიტიკა, სპორტი. ამათ, ერთად აღებულს, შეიძლება კულტურაც ვუწოდოთ (პირობითად), ხოლო გული, გული, კულტურისა, ხელოვნება და მეცნიერებაა. აი, სწორედ ამ ფრთაზეა გაჩაღებული ახლა მთავარი ბრძოლა (თუმცა სხვა ხაზებზეც გვარიანად დაძაბულია სიტუაცია). ოცდამეერთე საუკუნეში მწერალთა კავშირიც კი მძიმე დღეშია. ხოლო ასეთ დროს კულტურის მოღვაწე-მუშაკთა წინა რიგებში ჩადგომა მართლაც გმირობის ტოლფასია.

ბატონი სულიკოს ჩვენს აკადემიაში გაწევრიანება მისი სამოცდათხუთმეტი წლის იუბილეს

დაემთხვა. ეს ზეიმი-იუბილე შედგა მისსავე რესტორან „ჭინჭილაში“, და იქ იყო როგორც იუბილარის მეუღლე, ასევე ბევრი სხვა ადამიანიც, მათ შორის: სახელოვანი ძმები – ჯუმბერ და ნოდარ ხარაიშვილები, ცნობილი ექიმი-ქირურგი დავით დევიძე, პოეტი ლამზირა შეილაძე, „ზღვარის“ ლეგენდა – კახა ბაციკაძე, მეუღლესთან ერთად (მის ქერათმიან და ცისფერთვალება მეუღლეს, ირმას, გვერდს უმშვეებდა ასევე სიმპათიური პიროვნება სტუდენტი თამუნა სხირტლაძე), იქვე იყო აკადემიის ლიდერი – ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი და სხვა ადამიანებიც. საზეიმო ღონისძიებას მეც ვესწრებოდი.

დარბაზში რამდენიმე მაგიდა გაეწყოთ, თუმცა თამადა ერთი იყო – ბატონი

ზედგინიძე. სიტუაციის წარმმართველიც ის, რუსეთში კარგა ხანს მოღვაწე ერთ წარმატებულ, ასაკოვან ქართველ რეჟისორთან და ორ-სამ სხვა პიროვნებასთან ერთად. თამადა ბრწყინავდა, თუმცა იგი არ იყო დიქტატორული ბუნებისა, სხვებსაც აძლევდა თავის გამოჩენის საშუალებას, და ამიტომ ჩვენმა გულნაზმაც გაიბრწყინა თავისი ჩვეული დარბაისლობით. მან რამდენჯერმე თქვა სიტყვა, წაიკითხე ლექსებიც. (სიტყვა-თქმებში, ლექსებში მე და კახამაც წავაშველეთ ხელი სუფრის წინსვლას). ხოლო როცა ქალბატონმა გულნაზმა აკადემიის დიპლომა გადასცა იუბილარს, ეს აპოთეოზი გახლდათ ზეიმისა, ეს იყო ღვაწლმოსილი მეცენატის შესაფერისი დაფასება-აღიარება...

ჩატარდა ნამდვილი ქართული დღეობა, ქეიფი პოეზიისა და მუსიკის თანხლებით.

ხოლო მთლიანობაში, ეს დღე იყო დიდი გამარჯვება ბიზნესმენისა და მეცენატის – სულიკო სამხარაძისა...

იმ დღეს მითხრა ბატონმა ნოდარ ხარაიშვილმა (სხვათა შორის, სუფრაზე მას მეუღლეც თან ახლდა და ორივენი ჩვენს მაგიდასთან ისხდნენ), – კაცმა მარტო ფულის შოვნა კი არ უნდა იცოდეს, უნდა იცოდეს ფულის ხარჯვაც, და ეს ორი რამ ბატონ სულიკოს ყველაზე უკეთ აქვს შეზავებული ერთმანეთთანო. ვაღიარებ: ფრიად საინტერესო დაკვირვებაა.

ჩვენ კი ჩვენის მხრივ დიდებულ ქართველ მოღვაწეს, – სულიკო სამხარაძეს კიდევ ერთხელ ვულოცავთ იუბილეს, და ვუსურვებთ მის მიერ დაასახული ყოველი გეგმის, ყოველი საქმის ბოლომდე მიყვანას, სრულს გამარჯვებას!..

თბილისი. 2015 წელი. ზაფხული.

.შ. მე მიყვარს ზეაღმატებული შეფასებანი, მაგალითად ისეთი, როგორსაც იმეტებდა, ჯგუფ „ზღვარის“ შესახებ მიშო თუმანიშვილი, ლაშა მარგიანი და ზოგი სხვაც.

თუმცაღა ამ შემთხვევაში, ბატონი სულიკო სამხარაძის შემთხვევაში, ზეაღმატება, გადაჭარბება საჭირო არაა. ის მართლაც უძლიერეს პიროვნებად წარმოგვიდგება, რომელსაც ყველა ცხოვრებისეული მავთულხლართი წარმატებით გადაულახავს.

დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი სულიკოს ბიზნეს-მეცენატური მოღვაწეობა უდიდეს წვლილს შეიტანს ქართული კულტურის აღმავლობის მამულიშვილურ საქმეში...

დიდი დღე
მუხრანსა და მცხეთაში



ელგუჯა ნოზაძეს

როცა გავიგე, რომ ოცდაათი ივლისის ღონისძიება ჩვენს აკადემიას, ბატონ ელგუჯა ნოზაძის სამფლობელოში უნდა მოეწყო, მუხრანში, გულწრფელად გავიხარე: ბატონი ელგუჯა ხომ დიდი ბიზნესმენი და მეცენატია, ამიტომაც წინასწარ ვიცი, რომ რაც მას ეხება, ყველაფერი მაღალ დონეზე ხდება, მით უმეტეს, თუ ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილიც არის.

თბილისიდან დილით გავედით სხვადასხვა ავტომობილით. ჩვენს ავტოს ბატონი ნოდარ ხარაიშვილი მართავდა; მისი მეუღლე მედეაც წამოვიდა; დანარჩენი ორნი პოეტები გახლდით – მე და კახა ბაციკაძე. ასეთი შემადგენლობით ავაკითხეთ ლისის ტბასთან მდებარე აგარაკზე ქართული ლიტერატურის კლასიკოსს – რევაზ (რეზო) მიშველაძეს, რათა დაედო ჩვენთვის პატივი და ჩვენთან ერთად დასწრებოდა მუხრანულ ზეიმს. მას დიდი თავპატიჟი არ დასჭირვებია, სწრაფად დაგვთანხმდა: გულნაზს პირობა მივეცი, რომ წამოვიდოდი, მე მწერალი ვარ, პოლიტიკოსი კი არა, სიტყვას როგორ გავტეხავო?!

მოკლედ, ჩვენი ხუთეული მუხრანისაკენ დაიძრა. გავიარეთ წმინდა ქალაქი მცხეთაც, თავისი შესანიშნავი ხედებითურთ რომ შემოგვეგება, და სხვა ფერად-ფერადი ადგილებიც. ზაფხულის მოლურჯო დღე კამკამებდა. მანქანაში ბევრი ვიბაასეთ. დრო-მანძილი მაინც ელვისუმალ დავწვით. თითქოს ჩქარა ვიარეთ, თუმცა იქ, მუხრანში მაინც ბოლოს მივედით – სხვა მანქანებმა მიგვასწრეს.

აი, ელგუჯა ნოზაძის ძალისხმევით აშენებული, პატარა, მაგრამ შესანიშნა-

ვი თეთრი ტაძარი, იქვე ვრცელი სატრაპეზოა, რომელსაც დარბაზი უფრო ეთქმის. შევაღეთ დარბაზის კარი და ვინ აღარ დაგვხვდა იქ – ბატონები ვახტანგ გაჩეჩილაძე, სულიკო სამხარაძე, ჯუმბერ ხარაიშვილი, სოსო ლონდრიშვილი, ენრიკო ჯანელიძე, შალვა ილურიძე თავის ანსამბლ „ლომისით“ (და აგრეთვე პატარა „ლომისელებით“), ქალბატონები: გულნაზ ხარაიშვილი, ლამზირა შეყილაძე, ნაირა მარშანია, ყამარ ბლიაძე, მაია კვინიკაძე...

იყვნენ, რა თქმა უნდა, სხვა ადამიანებიც, მათ შორის – თამუნა სხირტლაძე – ჩვენი აკადემიის ლიდერის შვილიშვილი, რომელიც ბოლო დროს გაუშინაურდა ჩვენს ღონისძიებებს და ფოტო თუ ვიდეო გადაღებათა მოზრდილი ნაწილი სწორედ ამ მშვენიერი ქალიშვილის შექმნილია.

დარბაზში მალევე შემოვიდა ბატონი ელგუჯა და ღონისძიებაც დაიწყო.

პრეზიდიუმში ისხდნენ ბატონი რეზო და ქალბატონი გულნაზი, ასევე – ბატონები – ენრიკო ჯანელიძე და ვახტანგ გაჩეჩილაძე, აქვე ვიყავით მე და კახაც (როგორც ჯგუფ „ზღვარიდან“, ასევე – აკადემიიიდან). დანარჩენი, რამდენიმე ათეული ადამიანი, წინ განთავსდა.

ქალბატონმა გულნანზმა გახსნა ღონისძიება და წამყვანობაც თვითვე ჩაიბარა. საქმე თავიდანვე წარმატებით დაიძრა წინ. სიტყვა-თქმებმა, ლექსებმა, სიმღერებმა აავსო სივრცე. ანსამბლ „ლომისსა“ და ბატონ ენრიკოს შორის ლამის პაექრობაც კი გაიმართა. ორივე ბრწყინავდა იმ დღეს, ორივემ დიდი ესთეტიკური ტკბობა გაგვაცდევინა. „ლომისის“ ახალთაობელებმა ხომ საერთოდ ყველას შეგვაყვარეს თავი (ესენი იყვნენ ორი გოგონა და და ერთი ბიჭი. ეს ბიჭუნა ყველაზე უფრო პატარა იყო მათ შორის). ორატორთაგან, რაღა თქმა უნდა, ბატონი რეზო გამოირჩეოდა, მაგრამ, სიმართლე ითქვას, იმ დღეს როგორღაც ისე მოხდა, რომ მან ღონისძიების შემდეგ, სუფრაზე, გასაოცარი თამადობით უფრო დაგვამახსოვრა თავი. ამაზე გვექნება საუბარი ცოტა მოგვიანებით.

მანამდე კი ვიტყვი, რომ ღონისძიების ყველა მონაწილე შესაბამის სიმაღლეზე იდგა. არ ყოფილა ჩავარდნა, ზეიმს არა ჰქონია სუსტი წერტილი. რაღაც ეპიზოდში ისეთ ამაღლებულ ხასიათზე დავდექით, რომ გავკადნიერდი და ბატონ რეზოს (ასევე – მთელს დარბაზს) მივმართე: ძალიან გთხოვთ, მივანიჭოთ გენიალური გალაკტიონის სახელობის პრემია ღვაწლმოსილ ადამიანს – გულნაზ ხარაიშვილს, რომელიც ორმოც წელზე მეტია მუხლჩაუხრელ შრომაშია საზოგადოებისა და ლიტერატურის სიკეთილდღეოდ-მეთქი. ეს თხოვნა მე და კახამ მერეც გავიმეორეთ, უკვე სუფრაზე. ორივეჯერ აპლოდისმენტები გაისმა. მივიღეთ თანხმობაც.. ახლა ჯერი მწერალთა კავშირის სამდივნოზეა. მათი ლიდერი ბატონი რეზოა, რომელსაც არ ჩვევია პირობის დარღვევა. ჩვენ გვაქვს როგორც მისი, ასევე ქალბატონ მაყვალა გონაშვილის (თანათავმჯდომარის), ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანის (საპატიო თავმჯდომარის) და სხვათა და სხვათა იმედი, რომ ჩვენი გულნაზი მიიღებს ლეგენდარული პოეტის სახელობის პრემიას. თუმცა მისთვის ძალიან მოულოდელი იყო ჩემი და კახას ინიციატივა. – არაო, – ამბობდა, არა, ასეთი დიდი ჯილდოს ღირსი მე არა ვარო, – და გაოგნებული გვიყურებდა ხან ჩვენ, ხან კი მწერალთა „გენერალი-სიმუსს“. – ბატონო რეზო, ეს რა დღეში ჩამაგდეს ამ ბიჭებმაო, – გაოგნებული ამბობდა აკადემიის „შეფი“ და თან სიცილს ვერ იკავებდა, – ყველაფერს ველოდი ახლა, ამის გარდაო. დიახ, მართლაც რომ გულწრფელი იყო მისი გაოგნება. თუმცა ბატონმა რეზომ იმ დღეს თქვა: „დიახ, ის მიიღებს გალაკტიონის პრემიას!..“

მოკლედ, მე იმ დღეს კიდევ ერთხელ ვცადე, რომ ჩვენდამი გაწეული ამაგი დამეფასებინა ჩვენი გულნაზისათვის.

ხოლო რაც შეეხება კახას, მან შავი გიტარის თანხლებით შეასრულა უკვე გალეგენდებული ჰიტი – „დროის მკვლელი“, და კიდევ ერთხელ ააფეთქა დარბაზი.. ამ სიმღერას (ასევე – „ჩემს ლირიკას“) ბოლო ხანებში ყველაზე ხშირად ასრულებს. ისეთი ენერგია ჩადო სიმღერაში, რომ მერე ვუთხარი: შენ მეფე-კახა ხარ ნამდვილად-მეთქი! გაიცინა და მიპასუხა: სინამდვილეში შენ ხარ მეფე-სერგი, მე კი... მე, უბრალოდ, ვგიჟდები ხელოვნებაზეო... კახამ სცადა თავმდაბალი ყოფილიყო, მაგრამ არა, თავმდაბლობა მაინცდამაინც კარგად არ გამოსდის. მისი პასუხი ფანატიკოსი ხელოვანის პასუხს უფრო ჰგავდა, ნათქვამს თავდაჯერებული კაცისას. ასეთიც არის. სიმბოლოდაც მიმაჩნია ფანატიკოსი ხელოვანისა...

გასაკვირი კი სხვა რამაა:

როცა გვეგონა, რომ ღონისძიება დასრულდა, ყველაფერი მაშინ დაიწყო თურმე.

ჩვენ, ყველანი, მცხეთაში გადმოვედით და ბუბუტეიშვილის დიდებულ რესტორანში შევედით. რესტორანიც ბატონმა ელგუჯა ნოზაძემ იკისრა ჩვენთვის, ხელოვანთა და მეცნიერთათვის. იგი საოცრად ხელგაშლილად ირჯებოდა იმ დღეს და ქალბატონ გულნაზთან ერთად უძღვებოდა ყველაფერს.

მე და ბატონმა ჯუმბერ ხარაიშვილმა თამადობა ბატონ რეზოს შევთავაზეთ. მისი თამადობა იქამდეც არაერთხელ მენახა, თუმცა იმ დღეს...

იმ დღეს რეზო მიშველაძის თამადობა მისსავე პროზას გაუთანაბრდა, ხოლო ორივე ერთად ხომ პოეზიაა უმაღლესი!

ბატონი რეზოს სადღეგრძელონი რაღაც ერთ მთლიან პოეტურ რომანს წარმოადგენდა თითქოს. ეს იყო ცხოვრებისეულ-ფილოსოფიური დემარში, იუმორით გაჯერებული. სახალისოც იყო სმენა მისი სიტყვებისა, და ამავე დროს დიდ ინფორმაციას იღებდი ყველასა და ყველაფერზე. ლამის მსოფლიო შემოგვატარა იმ დღეს თამადის სიტყვებმა, ხოლო საბოლოოდ კი, მაინც ყოველივე ჩვენი სამშობლოს გარშემო ტრიალებდა ფერადი მორევივით, მის (საქართველოს) რკალს უბრუნდებოდა.

დიახ, ქართული სუფრა მართლა აკადემიაა,

ოღონდაც, –

თუ თამადა ვარგა,

და თუ მსმენელნიც ვარგანან!

მოკლედ, თანამეინახეებმა ერთად უნდა შექმნან ლეგენდა.

და ჩვენ, ყველამ ერთად, იმ დღეს ლეგენდა შევქმენით...

სადღეგრძელოებს, შიგადაშიგ, „ლომისის“ სიმღერებიც ათბობდა. მერე, ერთგან, კიდევ შეერკინნენ-შეესიმღერნენ ერთმანეთს ბატონი შალვას დჯგუფება და ბატონი ენრიკო. შემეტოქების მაგივრად დიდებული დუეტი უფრო გამოვიდა. სხვათა შორის, ენრიკო ჯანელიძეს, დიდი ჯუმბერ ლეჟავას მსგავსად, რამდენჯერმე აქვს მოვლილი მსოფლიო, ოღონდაც ფილოსოფოსი-მოგზაური, მოღვაწე, სპორტსმენ ჯუმბერ ლეჟავა თუ ველოსიპედით მოგზაურობდა, მომღერალი-მოგზაური, მოღვაწე ენრიკო ჯანილიძე იმავეს გემით აკეთებდა. ორივეს „ქართველი მაგელანი“ შეარქვა ხალხმა. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ჯუმბერ ლეჟავას ეკუთვნოდა უამრავი მსოფლიო რეკორდი...

მოკლედ... სადღეგრძელოებს სიმღერები (ლექსებიც) ცვლიდა, ხოლო სიმღერებს – სადღეგრძელოები (ერთი-ორჯერ ბატონმა რეზომაც იმღერა).

და სიტყვისა და ღვინის ეშხში, ნახევრად-სიურეალისტურ ფერადებში ჩაიძირა მთელი სუფრა;

და უცებ, ერთს წამს, ემოციასაყოლილმა შალვა ილურიძემ... მიხარიაო, რომ თითქოს თვით ილია ჭავჭავაძესთან ერთად ვქეიფობთო, ო, როგორ მიხარიაო!.. ბატონი რეზო იგულისხმა, – თვით ილიასთან გააიგივა ლამის!

გაეღიმა ბატონ რეზოს, მაგრამ ასეთი შედარება გულწრფელად აირიდა: გენიალურ ილიასთან ჩემს სახელს რა ესაქმებაო?! ვშიშობ, მეგობრებო, რომ კიდევ დიდხანს არ მოგვიწიოს მეორე ილიას ლოდინიო; მეტიც – ბევრი ჩვენგანი ალბათ ისე წავალთ, ვერ ვეღირსებით მისი დარი ადამიანის მოვლინებასო...

სევდა იდგა იმ წამს მწერლის თვალებში. აბა რა იქნებოდა: კაცი რომ ამდენს იშრომებს (ოცდახუთი ტომი გამოსცა!),

შვილსაც რომ მამულს შესწირავს, და მაინც, სამოცდათხუთმეტი წლის ასაკშიც კი, პირქვედამ-ხობილს ხედავს თავის სამშობლოს, სულიერად, ტერიტორიულად, ეკონომიკურად... მოკლედ, ყველანაირად გაძარცვულს, დამცირებილს, შიდა და გარეშე მტერთაგან შეშინებულ-დაბეჩავე-ბულს...

მაგრამ მისმა თაობამ, ასე თუ ისე, ხომ მაინც მიიტანა თავისი ტვირთი ბოლომდე;

და შემდეგმა თაობებმაც;

და ჩვენი თაობაც ხომ ცდილობს რაღაცას, თვით რუსთაველის ქვეყანაში...

და ყველა ერთად ხომ მაინც ვიბრძვით, ვთქვათ, აი, კულტურის სფეროში ხომ ვაცოცხლებთ სივრცეს...

ხოლო კულტურა ხომ საფუძველთასაფუძველია ყოველივესი!..

თუნდ აი, ახლაც, ჩემი ჯგუფი, „ზღვარი“, მეშვიდე ძირითად ალბომზე მუშაობს (ამ მუსიკა-ლურ ალბომს, ალბათ, „მეშვიდე სივრცე“ ერქმევა), და ლიტერატურასაც – ჩვენს უმთავრეს საქმეს, არაფერს ვაკ-ლებთ.

სხვანი კიდევ სხვაგვარ იღწვიან.

ვთქვათ, აგერ, აკადემიის ჟურნა-ლიც უკვე ამდენი ხანია წარმატებით გამოდის...

მოკლედ გრძელდებოდა ჩვენი ქეი-ფი, ქეიფი მოყვრის გასახარად და მტრის დასაღონებლად;

და ილეოდა დიდი დღე, რომელსაც სარდლობდნენ ბატონი რეზო, ბატონი ელგუჯა და ჩვენი გულნაზი...

მზე ჩადიოდა მცხეთისჯვრით მოჩუქურთმებულ ცაზე...

ულამაზესი იყო მზის ჩასვლა...

თბილისი, 2015 წელი, აგვისტო.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამარჯვება

მოგეხსენებათ, რომ საქართველოში, აკადემიების პარალელურად, რამდენიმე შემოქმედე-ბითი კავშირი ისევ არსებობს, და სწორედ ეს აკადემიები, კავშირები, ასევე – თეთრი ტაძარი (დედაუნივერსიტეტი) არიან დღეს ძირითადი ბურჯები ჩვენი კულტურისა. ქვეყანას კვლავაც უჭირს და უჭირს კულტურის ამ კერებსაც, ამიტომაც მათს ხელმძღვანელობას გაუორმაგდა პა-სუხისმგებლობა.

საქართველო ბევრთათვის, ძირითადად, ლიტერატურის , მუსიკა-სიმღერის, ცეკვის, არქი-ტექტურის ქვეყანაა, მაგრამ როგორც კი ზოგ ცნობილ სახელს გავაჟღერებთ, მაგალითად – ფი-როსმანს, მაშინვე იელვებს ჩვენს წინ ფერთა ოკეანე სამამულო მხატვრობისა.

საქართველოს მხატვართა კავშირს დღეს დაუღალავი მოღვაწე-ხელოვანი-ქალბატონი ცისანა მჭედლიძე უდგას სათავეში. იგი უზარმაზარი ენერგიის პატრონია და ამ დუღჭირ დროშიც კი აწყობს საღამო-ღონისძიებებს, უშვებს დიდებულ წიგნებს, ეძებს ურთიერთობებს სხვადასხვა შემოქმედებით კავშირებთან, აკადემიებთან. ყველა დიდ წამოწყებაში, მას, მხარში უდგანან მისი თანამშრომლები, საბოლოო ჯამში, დიდი საერო საქმეები კეთდება!..

შუა შემოდგომაზე, ოქროსფერი წვიმების ხანაში, ქალბატონმა ცისანამ მორიგი ღონისძიება დაგეგმა და ჩაატარა კიდეც. ეს მოხდა მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისი ცენტრში " მუზა." მისი დირექტორი კი გახლავთ მუსიკოსი დავით გეგელაშვილი . აქ შედგა დიდი თავყრილობა ხელოვანთა, რომელსაც თვითონ ქალბატონმა ცისანამ "უსარდლა," ხოლო დარბაზში, უმეტესად, პოეტებსა და მხატვრებს მოეყარათ თავი.

პირველივე რიგში, სცენასთან, სამი სხვადასხვა აკადემიის (ფაზისის, ლეჟავას სახელობის, იყალთოს) პრეზიდენტები ისხდნენ, –ბატონი ნუგზარ ნადარაია, ქალბატონი გულნაზ ხარაიშ-

ვილი, ელიზბარ შათირიშვილი (სწორედ მისი მამის აღდგენილია იყალთოს ის ლეგენდარული აკადემია, სადაც ოდესღაც გენიალური ქართველი –შოთა სწავლობდა). აი, ასეთი კომპანიის გულში მოგვიწია ყოფნა ჯგუფ "ზღვარის" ლიდერებს –მე და კახა ბაციკაძეს. ჩვენსავე (პირველ) რიგში ქალბატონი მაყვალა გონაშვილიც შევნიშნე – დიდებული პოეტი და დიდებული პიროვნება, ერთ-ერთი ლიდერი მწერალთა კავშირისა... საერთოდ, ბევრ სხვა ცნობილ ადამიანსაც მოვკარი თვალი იმ დღეს, იმ დარბაზში.

საღამოს პირადად გაუძღვა ქალბატონი ცისანა. მრავალს მოგვცა სცენაზე გასვლის საშუალება. ზოგმა სიტყვა ვთქვით, ზოგმა ლექსიც წავიკითხეთ, ანსამბლმა "ლომისმა" სიმღერა დააგუგუნა და ასე შემდეგ. მოკლედ, კარგი შემოქმედებითი ღონისძიება გამოვიდა. იყო ერთი სახალისო ეპიზოდიც: ქალბატონმა ცისანამ გამომაცხადა, როგორც პოეტი სერგი ლომაძე, მე კი ხუმრობით ვუთხარი: შეგეშალათ, ასე უნდა გამოგეცხადებინათ, –გენიალური პოეტი სერგი ლომაძე– მეთქი. გაეცინათ დამსწრეებს, გულწრფელად გახალისდნენ. მაგრამ რაღა თქმა უნდა, ჩემი გამოსვლა სრულიადაც არ იყო მთავარი იმ საღამოზე.

მთავარი კი იყო წიგნის პრეზენტაცია. მომწვანო ფერის უზარმაზარი წიგნი, უმაღლეს დონეზე გაფორმებულ-გამოცემული, წიგნი, რომელიც დარჩება, როგორც ანთოლოგია–ენციკლოპედია თუ –როგორც სახე, სიმბოლო თანამედროვე ქართული მხატვრობისა. აქ, ამ ფურცლებზე, 700 მხატვრის თითო ნამუშევარმა და 20 პოეტის ლექსმა მოიყარა თავი. ეს უკვე ისტორიაა. არ ვიცი, ამ ეკონომიკური კოლაფსის, ამ უსახსრობის პერიოდში, როგორ შეძლო ქალბატონმა ცისანამ ასეთი მაღალი დონის, ასეთი ძვირად ღირებული წიგნის გამოშვება. ეს საქმე, მთლიანობაში, ალბათ ტოტალურ შრომად დაუჯდა მას და მის გარემოცვას. წიგნში აღმოვაჩინე, აგრეთვე, ჩემი, კახას, ქალბატონი გულნაზის და სხვათა ლექსებიც, და ამან კიდევ უფრო გამახარა.

საღამოზე, მოეწყო ამ წიგნი-შედევრის გათამაშებაც, და პირველივე ჯერზე მომწვანო წიგნი პოეტმა ლამზირა შეყილაძემ მოიგო. მან იმ დღეს სცენიდან შესანიშნავი ლექსიც წაიკითხა, ხოლო საღამოს ბოლოს იდგა შენობის გარეთ, ჩვენს წინ, თავისი ნადავლით –გრანდიოზული წიგნით ხელში, და სახეგაბრწყინებული გვეუბნებოდა: – ეს პირველი შემთხვევაა მთელს ჩემს ცხოვრებაში, როცა რაღაცა მოვიგე. იმ დღეს ბევრი გახარებული მხატვარი და პოეტი წავიდა მოგებული წიგნებით.

მინდა ავღნიშნო , ბევრნი ჯერაც ახალგაზრდა კაცად მთვლიან, არადა, უკვე ოც წელზე მეტია, რაც პროფესიო-

ელიზბარ ბათირიშვილი და ცისანა მჭედლიძე

ნალი პოეტი ვარ და ათასზე მეტ პოეტურ ღონისძიებებში მიმიღია მონაწილეობა, ასე რომ, თავს, უკვე, ხელოვნების ვეტერანად მივიჩნევ.

რითი ფასდებიან ხელოვნების ვეტერანები (ბევრ მათგანს ხომ ჩემზე უფრო დიდი სტაჟი აქვს) ჩვენს ქვეყანაში?

პასუხი მოკლეა: არაფრით ან – თითქმის არაფრით.

ქალბატონი ცისანა მეომარია ხელოვნების ფრონტზე, იგი იბრძვის თავისი იდეალისათვის – ხელოვნებისათვის, და აქვს იმედი, რომ ამ ბრძოლით მივა ჭეშმარიტებამდე.

მისი დიდებული საქმენი, უკვე სახეზეა, თუმცა მთავარი სათქმელი, მთავარი მწვერვალი, ალბათ, ჯერ კიდევ წინაა...

თბილისი. 2015 წელი. შემოდგომა.

სტუმრობა ბატონ ბახვა სამხარაძესთან იმერეთში

ოქტომბრის ბოლოს აკადემიის წევრები ბატონ ბახვა სამხარაძეს ვეწვიეთ იმერეთში, უკვე ლეგენდარულ ძირულას ხეობის ერთ-ერთ სოფელში, და ეს სტუმრობაც დაუვიწყარია ჩემთვის.

ძირულას ხეობა ხომ ხარაიშვილებისა და სამხარაძეების გახმაურებულ გვართა სამკვიდროა. მაგალითად, ხვანი და ჭალოვანი ქალბატონი გულნაზის სახელითაა აღბეჭდილი, აქვეა სკოლა, რომელიც მისი ძმის – პოეტ ბეჟან ხარაიშვილის სახელობისაა, ხოლო სოფელ ლიჩიდან

არიან ბატონები – ჯუმბერ და ნოდარ ხარაიშვილები, ჩვენს აკადემიას ასე რომ ამშვენებენ. კიდევ სხვა დიდებული ადამიანებიც მისცა ამ ლამაზმა ხეობამ ჩვენსავე ქვეყანას.

თბილისიდან დილით გავედით. ჯიპის საჭესთან ბატონი ნოდარი იჯდა, გვერდით – მე, ხოლო ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, ასევე ქალბატონი ლამზირა შეყილაძე, უკან განთავსდნენ, მათ გვერდით იჯდა ჩემი მეგობარი – პოეტი კახა ბაციკაძე. ცოტა არ იყოს მეუხერხულებოდა, რომ, ქალბატონი გულნაზის კომპანიაში მყოფი, წინა სავარძელში მაინც მე აღმოვჩნდი, მაგრამ რას იზამ, –აკადემიის პრეზიდენტმა თვითონ გადაწყვიტა ასე...

დაიწყო ჩვენი კიდევ ერთი თავგადასავალი.

ამინდი დასავლეთისკენ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა. გზაში ვყვებოდით სხვადასხვა თავშესაქცევ ისტორიას. მაგალითად, ნოდარ ხარაიშვილმა გვითხრა, – გალაკტიონის ერთ პატარა ამბავს გეტყვითო. არ დაიჯეროთ, რომ ამბობენ, თითქოს არ სვამდა ლოთის როლს კი სპეციალურად თამაშობდაო. როგორ გეკადრებათ, რა როლი, რის როლი, გალაკტიონი, საუბედუროდ, ბევრს სვამდა, ამ უკუღმართი ცხოვრების გადამკიდეო. აი, ერთხელაც, სცადა, რომ სმისთვის თავი დაენებებინა, გავიდა სახლიდან და, თუმცა ვინ აღარ იცნობდა, ყველას უარი უთხრა მიპატიჟებაზეო (სმას რომ არ დაბრუნებოდა!). თუმცა მერე, უცებ, შეჩერდა ერთ ადგილზე და თქვა: კი მაგრამ, ის ხომ უნდა აღვნიშნოთ, სმას რომ თავი დავანებეო, და თანამეინახეებთან ერთად ისევ გვარიანად მოულხენია წითელ ღვინოთი... – თან გვაცინა, თან კი ჩაგვაფიქრა ბატონი ნოდარის მიერ მოყოლილმა ამ პატარა ისტორიამ...

გზა შედარებით სწრაფად განვლეთ და ვეწვიეთ ბატონი ბახვას საკარმიდამოს. ესპატარა სამოთხე, მაგალითია იმისა, რომ სოფელში ცხოვრებაც შესანიშნავია, თუკი ოჯახს მართლაც მშრომელი კაცი უძღვება.

სტუმართა რიცხვი გაიზარდა. ჩვენ შემოგვემატნენ ბატონები: ჯუმბერ ხარაიშვილი, სულიკო სამხარაძე, გიორგი ლაშქარაშვილი, ბენო გველესიანი, გოგი სეინიშვილი...

მასპინძლის ეზოში ორი სახლი დგას. ერთ-ერთში, უფრო პატარა რომ არის, თურმე ლეგენდარულ მოგზაურსა და ფილოსოფოსს – ბატონ ჯუმბერ ლეჟავას უყვარდა დასვენება. მიგვითითეს კონკრეტულად მის ოთახზეც, იქ ახლა ბატონი ჯუმბერის სურათი

იმზირება კედლიდან. იქვეა საწოლი და ორი მაგიდა. ერთ-ერთზე, კუთხეში რომ არის მიმდგარი, თურმე მას უყვარდა მუშაობა: კითხულობდა წიგნებს, ჩაჰკირკიტებდა რუკებს... მოზრდილი რუკა კედელზეცაა გაკრული. ღია ფანჯარაში ლეღვის ხის ტოტები შემოსულა. არის შეგრძნება სუფთა ჰაერისა და სოფლური სიმყუდროვე - იდილიის.

შორს დარჩა თბილისი – თეთრი ქალაქი, თავისი აჩქარებული (თანამედროვე) ტემპით, დედაქალაქში (და სხვაგანაც) გამართული პოეტური პაექრობებით, იმ ათასზე მეტი პოეტური საღამო- ღონისძიებით, რომლებშიაც მიგვიღია მონაწილეობა, სუპერგენიალური გალაკტიონისა და გრანელის აჩრდილებით, მწერლობის გენერალსიმუსთა იმ სიით, მრავალტანჯული კოტე მაყაშვილით რომ იწყებს ზოგი... და ასე შემდეგ...

აქ კი, სოფელში, სიწყნარეა და სიმწვანე, ირგვლივ ლამაზი ეზოა, მოშორებით – ტყიანი მთები, სივრცეები.

სერგო ლომაძე და ბახვა სამხარაძე
სტუმრად ბახვა სამხარეძესთან

ეზოში სპეციალურად არის მოწყობილი რამოდენიმე ალაგი სოფლური კოლორიტის უკეთ შესაგრძნობად. აქ ვიხილეთ სასიმინდე, ქვევრები, ორშიმო, უამრავი კიდევ სხვადასხვა ისეთი რამ, გლეხკაცის ცხოვრებას უკეთ რომ შეგაცნობინებს, საქართველოს კუთხეებს რომ ცალ-ცალკე და ერთიანად, სულ, უკეთ გაგააზრებინებს. ეს იყო დეტალები, რომლითაც აწყობილია მთელი სისრულე, ეს იყო შტრიხები, რომლითაც დახატულია დიდი სურათი.

დავათვალიერეთ ფოტოსურათებიც, რომლებზედაც ბატონი ბახვა აღბეჭდილია ლეგენდარულ ადამიანებთან ერთად: აგერ "სამოსელი პირველის" ავტორი გურამ დოჩანაშვილი, აგერ ბატონი ერქომაიშვილი, რომელსაც გურიაში იმავე კუთხისა და მთელი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სიამაყის – ექვთიმე ღვთისკაცის გვერდითაც კი მოიხსენიებენ. ერქომაიშვილებისა და სიმონიშვილების გვარი სამუდამოდ დარჩა გურულ (ქართულ!) ფოლკლორში. ერქომაიშვილებს თვით გენიოსი ჰამლეტ გონაშვილიც კი ეთაყვანებოდა, რომელიც თანახელმძღვანელი, თანალიდერი იყო ანსამბლ "რუსთავის".

მართლაც ვინ აღარ ვნახეთ ამ სურათებზე, ვისთვის აღარ გაუწევია მასპინძლობა ბატონი ბახვას ისტორიულ კარ-მიდამოს... ახლა კი, აგერ, ჩვენ ვართ სტუმრები. მასპინძელი ჩოხოსანთა წევრი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ჩოხა ყოველთვის დარჩება ქართველი კაცისთვის, როგორც სამოსელი პირველი.

სხვათა შორის, ეზოში, ერთ მომენტში, ბატონი ჯუმბერის პირისპირ მოვხვდი, რომელმაც იცის, რომ მე, ისევე როგორც კახა, თბილისელი-გურული ვარ (თბილისი ხომ ქართლშია და "ქართლელი-გურულები" გამოვდივართ, თან ორივეს გვირევია სხვა კუთხეების სისხლიც, მაგალითად – მესხური... მოკლედ, აბსოლუტური ქართველები ვართ, ერთიან, დიდ საქართველოზე

მეოცნებე ქართველები), იცის ისიც, რომ ხანდახან გადაჭარბებული წარმოდგენა მახასიათებს საკუთარ თავზე, მიყვარს ტრაბახიც კი, და ვითომ ისე, შემთხვევით, ერთი ანეგდოტი მომიყვა:

ორი კაცი ესაუბრება ერთმანეთს თურმე:

– გინდა გამდიდრდე? – ეკითხება ერთი.

– რა თქმა უნდა! – რითი – პასუხობს მეორე.

– მაშინ გურული იყიდე იმ ფასად, რა ფასიც ღირს, ხოლო მერე იმ ფასად გაყიდე, რა წარმოდგენაც აქვს მას საკუთარ თავზე!..

ატონი ჯუმბერის ანეგდოტზე ყველას გულიანად გაეცინა, ყველაზე მეტი კი სწორედ მე ვიცინე, – კარგად ნათქვამ ხუმრობას ოქროს ფასი აქვს, ხოლო კარგ მთქმელს მართლაც სჭირდება კარგი გამგონი...

მერე იყო სუფრა.

თუმცა სუფრამდე მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ამბავი: ქალბატონი გულნაზისა და ბატონი სულიკოს რეკომენდაციით, ბატონი ბახვა გახდა აკადემიის წევრი, ხოლო დიპლომი საკუთარი ხელით გადავეცი იმ ოთახში, რომელსაც დღესაც ჯუმბერ ლეჟავას ოთახს ეძახიან.

სტუმრად ბახვა სამხარაძის ოჯახში

აი, სუფრას კი სულიკო სამხარაძე გაუძღვა, დიდებულადაც დაიმშვენა თამადობა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ საოცარი სუფრა გაგვიწყო მასპინძლის მეუღლემ–ქალბატონმა კლარამ (რადგან დედაჩემსაც კლარა ჰქვია, ძალიან ადვილად დამამახსოვრდა დიასახლისის სახელი. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ვერ დავიმახსოვრე სახელი იმ სიმპატიური ქალისა, რომელიც ქალბატონ კლარას ეხმარებოდა სუფრის გაწყობაში).

ქეიფის შემდეგ კი, იქვე, შემაღლებულზე მდგარი ეკლესია მოვინახულეთ, რომლის აღდგენაშიაც თურმე სწორედ ბახვა სამხარაძეს მიუძღვის განსაკუთრებული წვლილი. მოკლედ, საერთო ჯამში, იგი დიდად მოღვაწე კაცია, ვალმოხდილი ერისა და ბერის წინაშე.

ეკლესია გორზე დგას, რომლიდანაც სხვადასხვა ხედები იშლება. ამ გორზე, ამ შემაღლებაზე, საფლავებია, ხოლო საფლავთა შორისაა აღმართული წმინდა შენობა, რათა განანათლოს სული წინაპართა.

თითქოს სიმბოლურია ის, რომ ეკლესიის კარი ვერავინ გააღო ჩვენს შორის, ქალბატონი გულნაზის გარდა. ტყობა, უფალს სურდა, რომ პირველი სწორედ ის ადამიანი შესულიყო ეკლესიაში, რომელმაც პირველმავე მიუტანა ძირულის ხეობას პრემია დიდი გალაკტიონისა, თავისი პოეზიითა და მთელი თავისი ღვაწლით.

ჩვენ, ყველამ, ვილოცეთ ეკლესიაში, წმინდა სანთლების შუქთა ლიცლიცში, შემდეგ დავათვალიერეთ ირგვლივეთიც, და გამოვწიეთ თბილისისკენ.

ღამდებოდა უკვე, როცა წამოვედით. ციდან მოთეთრო–მოოქროსფრო მთვარე დაგვყურებდა.

დიახ, ღამდებოდა.

მაგრამ სულში პირიქით – გათენება დაწყებულიყო: ჩვენ ხომ კიდევ ერთხელ გაგვიცოცხლა ზღაპარი იმერეთმა, ზღაპარი სახელწოდებით–საოცრება!

თბილისი. 2015 წელი. შემოდგომა.

P.S. ჩვენს აკადემიაში გაყოფილია ერთმანეთისგან სრული აკადემიკოსობა და წევრობა, მაგრამ მხოლოდ წევრობაც კი, გარკვეული თვალსაზრისით, მაინც ნიშნავს თვით აკადემიკოსობას (მითუმეტეს, თუ გამორჩეულ წევრზეა საუბარი).

მაშასადამე, ბატონ ბახვა სამხარაძეს თამამად შეუძლია თქვას, რომ იგი ახლა აკადემიკოსებს გაუთანაბრდა, ხოლო როგორც ეკლესიის მაშენებელი კაცი, იქნებ ყველაზე წინაც კი აღმოჩნდა...

უკვდავება
მეუფე თადეოზისა

ორიათასთხუთმეტი წლის ოც ოქტომბერს ისევ მივედით მეუფე თადეოზის საფლავზე, ავიტანეთ აკადემიის ჟურნალის კიდევ ერთი – მეჩვიდმეტე ნომერი, და ისევ ჩავატარეთ იქვე, საფლავთან, პატარა, ლამაზი შემოქმედებითი საღამო.

პოეზია უფლის სულისა, ადამიანში ჩასახლებული. ესაა ხელოვნება, რომელიც თავის თავში მოიცავს ყველაფერს – რელიგიასაც, მეცნიერებასაც, და ყოველივე უკეთესს, ნათელს, რაზედაც დგას აზრი, იდეა კაცობრიული. პოეზია – პოეტიკაზე ფიქრობდნენ ჯერ კიდევ უხსოვარი დროის მოღვაწენი, ეს იყო კამერტონი, რომელზედაც ეწყობობა, ლაგდებოდა სამყაროული ჰარმონია.

და აი, ჩვენს წინაშე არის საფლავი გენიალური პოეტი–ბერისა, მთელი ერის მოძღვარის, მიტროპოლიტ თადეოზისა, დიდი მეუფის, რომელიც თანაბარი გულრწფელობით ემსახურა პო-

ეზიასა და რელიგიას – ამ ორ სულს წმინდას, რომელნიც ერთიდაიგივენი არიან გარკვეული გაგებით, და აქვეა მუსიკაც, მესამე სული ზეციური.

ჩვენს მეუფე თადეოზს ანთებდა პოეზია, და უხაროდა, როცა მის ლექსებზე მუსიკასაც წერდნენ. ასე იქმნებოდა შესანიშნავი სიმღერები, ასე ეფინებოდა ხალხს მადლყ უნივერსალური ადამიანის ხელოვნებისა.

აი, ვდგავართ მის საფლავთან– მე, კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხბაია (ჩვენი ზუხბა), მარინა კოლხიდაშვილი, მაია მახარაშვილი, მირანდა ხოდელიძე, ლევან (ლეო) ბაბუხადია, ანი ყალიჩავა, ახალგაზრდა უცხოელ ამხანაგთან ერთად, და კიდევ რამოდენიმე ადამიანი. რაც მთავარია, აქვეა ორი სხვადასხვა აკადემიათა პრეზიდენტებიც: ბატონი ნუგზარ ნადარაია და ამ ღონისძიების ინიციატორი – ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი – ჩვენი აკადემიის ყველა ღონისძიების ერთ-ერთი უმთავრესი ორგანიზატორი.

კახა ბაციკაძე, მაია მახარაშვილი, ანი ყალიჩავა, სერგი ლომაძე, გიორგი ზუხბაია

ამბობენ: დღეს რომ ნამდვილი აკადემიკოსი გერქვას, ორმა-სამმა აკადემიამ მაინც უნდა დაგიდასტუროს ეს წოდება. თუმცა ნუგზარ ნადარაია და გულნაზ ხარაიშვილი მრავალგზის აკადემიკოსები არიან, უამრავი სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ აღიარებული ინდივიდები. ორი თუ სამი აღზევება, მათთვის, ზღვაში წვეთია მხოლოდ.

სანამ ღონისძიება დაიწყებოდა, მანამდე თბილისის სიონი მოვილოცეთ... და აი ის ადგილი, ეზოში, სადაც ორი დიდებული მიტროპოლიტი განისვენებს – გვერდიგვერდ დევს მომწვანო ქვები საფლავისა... სანთლები დავანთეთ ტაძარშიც და საფლავზედაც. ქალბატონმა გულნაზიმ (ახლა უკვე – გენიალური გალაკტიონის, პრემიის ლაურიატიც რომ გახლავთ), წამყვანობა მე დამითმო. პირველი სიტყვის უფლება ქალბატონ მაიას გადავეცი, როგორც დიდი ოჯახის (აკადემიის) ახალ წევრს. მან, მეუფე თადეოზისა და მეორე მამა გაბრიელის ლექსებთან ერთად, საკუთარი პოეტური ქმნილებებიც წაიკითხა. უნიჭიერესი ადამიანი ჩანს. სასიხარულოა, რომ ასეთი პიროვნება მოვიდა ჩვენს აკადემიაში.

ბატონმა ნუგზარმა კი გასაოცარი ამბავი მოგვიყვა იმის შესახებ, თუ როგორ ათხოვა ერთხელ მას, მეუფემ, მიტროპოლიტის აღკაზმულობა, ანუ – საკუთარ პოზიციაში ბატონი ნუგზარი ჩააყენა! თურმე ამ ფაქტის დამადასტურებელი სურათიც არსებობს. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენს თადეოზს თვით პატრიარქსაც კი ადარებდნენ ზოგნი, ხოლო ამ მასშტაბის, ასეთი გრანდიოზული სასულიერო ფიგურის ადგილას ყოფნა, თუნდაც სულ მცირე დროით, ეს ისეთი ამაღლებაა რომ!.. ამ ამბავში ორი ძირითადი რამ იკვეთება პირველი: თავმდაბლობა უდიდესი პოეტი-ბერისა, რომელიც ერთდროულად იყო როგორც ბერი, ასევე, –მეუფე-მიტროპოლიტი, მეო-

რე: განსაკუთრებული პატივისცემა მეუფე თადეოზისა ბატონი ნუგზარისადმი. მართლაც უმაღლესი აღიარება ხვდომია წილად ფაზისის აკადემიის ლიდერს!..

შემდეგ კი, მესამედ, სიტყვა ერგო ჯგუფ "ზღვარის" ლიდერს – კახა ბაციკაძეს. "ზღვარმა" ყველა რეკორდი მოხსნა, თუმცა მე და კახა, მის პარალელურად, სხვა ჯგუფების შექმნა-აღზევებაზედაც ვმუშაობდით. ჯერ რთულია თქმა, ეს ექსპერიმენტები თუ რა შედეგებს მოიტანს. სახელოვნებო სივრცე კი, დღემდე, აგერ უკვე თხუთმეტ წელზე მეტია, ინტესიურად, განუწყვეტლად, მთლიანად რჩება "ზღვარს". სხვათა შორის, შემოდგომის დასაწყისში აღვადგინეთ "ზღვარის" სტუდია – ტექნიკური თვალსაზრისით გავმართეთ. ეს პატარა სტუდია გულია ჩვენი სახმოსი. მის ხელმძღვანელებად ყოველთვის მე და კახა ვითვლებოდით, ახლა კი უკვე ოფიციალურად აგვირჩიეს მე და ის (ორივენი ერთად) ამ სტუდია-ცენტრის პრეზიდენტებად (თუ, უბრალოდ, ლიდერებად, დირექტორებად, მმართველებად... რა ვიცი... როგორც გინდათ, ისე ჩათვალეთ). ვაღიარებ: ეს არჩევნებიც, ისევე, როგორც თითქმის ყველა არჩევნები ჩვენს ქვეყანაში, მისტიფიკაცია იყო: აქაც წინასწარვე ვიცოდით, თუ ვინ იქნებოდა გამარჯვებული, –მე და კახა ხომ უკვე ამდენი წელია „ზღვარის" ლიდერები ვართ!

მეტად პოეტური იყო კახას სიტყვა, რომელიც ასევე პოეტურად გააგრძელა ზუხბამ. დიდი გრძნობის კაცთა სიტყვა პირდაპირ გულიდან იბადება და სხვათა გულებისკენაც ადვილად პოულობს გზა-სავალს.

ქალბატონი მარინა კი შიგადაშიგ ალამაზებდა ღონისძიებასფანდურზე დამღერებული გასაოცარი სიმღერებით. ამ ადამიანის საოცარი ოსტატობა ცალკე საუბრის თემაა. ოდესმე ამაზე დავწერ სტატიას ალბათ. მე, როგორც „ლეჟავა-ხარაიშვილის" აკადემიის მემატიანე, (სინამდვილეში, რაღა თქმა უნდა, ჩვენი აკადემია დიდი მოგზაურ–ფილოსოფოსის ჯუმბერ ლეჟავას სახელობისა გახლავთ), ვცდილობ, რომ ჩემი კალმით, შეძლების ფარგლებში, თითქმის ყველაფერს შევეხო.

ლევან ბაბუხადიამ ერთი დაუვიწყარი ამბავი მოგვითხრო მეუფისა და მარტოსული ბერის შესახებ. ეს ამბავიც ცალკე სტატიის თემაა. ვურჩევ ლევანს, რაც იქ მოყვა, იქ, წმინდა საფლავზე, ის სტატიად ან მოთხრობად აქციოს.

მშვენიერმა ანიმ მისნაირად მშვენიერი ლექსი წაიკითხა. ეს გოგონა მომავალი იმედია აკადემიის, ერთ-ერთი უმთავრესი იმედი.

ხოლო ქალბატონმა მირანდამ კიდევ ერთხელ შეავედრა მეუფეს სულს თავისი შვილიშვილის – ადრე წასული ფენომენალური მომღერლის, პატარა მირანდას სული (იგი ბებიის სეხნია გახლდათ, მისი მოსახელე). პატარა მირანდა წიკლაურის სახელოვნებო შესაძებლობებზე დღეს ლეგენდებიც კი დადის.....

ღონისძიების მსვლელობისას ჩვენს კრებულს შემოუერთდა ჩვენივე მეგობარი გიორგი ფა-

რეშიშვილი, დიდად ენერგიული ახალგაზრდა მოღვაწე, და უცხოელი სტუმრები მოიყვანა. მათ შორის სასულიერო პირებიც ერია. ორი სტუმართაგანი მიუახლოვდა საფლავს. მათგან ერთმა, შავი ანაფორით შემოსილმა, რუსულენოვანი ლექსების კითხვა დაიწყო. მშვენიერი ლექსები წაგვიკითხა. სამწუხაროა, რომ ვერ დავიმახსოვრე ამ კაცის სახელი. თადეოზის მადლგაყოლილი, დარწმუნებული ვარ, რომ იგი ბევრ სიმაღლეს დაიპყრობს თავის სასულიერო (და პოეტურ) გზაზე...

და აი ბოლო გამომსვლელიც – თვითონ ქალბატონი გულნაზი – ერთი რიგითი ჯარისკაციც და მთავარსარდალიც (ერთდროულად) ჩვენი აკადემიისა! მწერლობას როგორც ჰყავს თავისი გენერალისიმუსები, ლიტერატურის ყველაზე გავლენიანი ხალხი, ასევე ჰყავს ავტორიტეტები აკადემიურ წრეებსაც. ჩვენ, გარკვეულ სიტუაციებში, ვართ ავტორიტეტნი, და მაინც, – ქალბატონი გულნაზი, უპირველესი მიმდევარი დიდი თადეოზის და დიდი ჯუმბერ ლეჟავას იდეებისა, ჩვენს შორის სრულიად განსაკუთრებული ავტორიტეტია.

როდიდან დაიწყო ჩვენი აკადემიის აღზევება? (ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, ლეჟავას აკადემიას).

ხანდახან სიამაყით და, ცოტა არ იყოს, ტრაბახითაც ვამბობ, რომ ეს მაშინ დაიწყო, როცა აღნიშნულ აკადემიაში „ზღვარის“ წევრები გავწევრიანდით.

დიახ, ეს ნაწილობრივ მართალაც ასეა.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩვენ ყველაფერი მივიღეთ აკადემიიდან, და „ზღვარის“ სახელს ამან ბევრი რამ შემატა.

და ამ ყოველივეს ქალბატონ გულნაზის ვუმადლით...

აი, ვდგავართ, ყველანი ერთად, მეუფის საფლავთან. აქ ყვავილებია, და საფლავის თბილ ქვაზე, როგორც მეუფის გულზე, ასვენია ახალი ნომერი ჩვენი ჟურნალისა – „ათინათისა“.

და ქალბატონი გულნაზი ამბობს სიტყვას.

იგი სიტყვებით მოგვეფერა ყველას. არავინ გამორჩენია. გახარებულია და ბედნიერი ღონისძიების დიდებულად ჩატარებით. არ ვიცი, ეს უკვე მისი მერამდენე გამარჯვებაა.

ვთქვათ ასეთი თემა: ყველა მეტოქე დაამარცხა დიდებულმა როკი მარჩიანომ, მაგრამ ორი (თუ-სამი) საეჭვო გამარჯვება მას მაინც ჰქონდა, და ეს ადრეც მითქვამს.

ჩვენ კი საეჭვო გამარჯვებები არა გვქონია.

აკადემია მუდამ იმარჯვებს, მითუმეტეს, თუ იგი წმინდანის მადლითაა აღვსილი.

და წმინდა იყო კაცი იგი – მეუფე თადეოზი!....

ღონისძიებაზე, სიტყვით, ქალბატონი გულნაზის შემდეგ, არავინ გამოსულა. გაისმა, მხოლოდ, კიდევ ერთი სიმღერა – მარინა კოლხიდაშვილის შესრულებით.

თუმცა, უკვე ფინალის მერე, მაინც იყო ერთი უცნობი გამომსვლელი.

და კიდევ ის იყო, რომ ჩვენს აქ ყოფნას დაემთხვა ქორწილი –სიონში ზუსტად ღონისძიების დროს მოვიდა წყვილი მაყრიონითურთ.

ბედნიერების ნიშანია.

ასეთია რკალი – წმინდანის მოგონება სიონის ეზოში, და იქვე – წმინდა ცერემონიალი ბედნიერებისა – ჯვრისწერა...

მოკლედ, ყველაფერი ერთად იყო იმ დღეს, ყველაფერი – კარგი და ნათელი.

საერთოდ კი, უნდა გამოვტყდე, რომ პირადად ჩემს ცხოვრებაში მუქი დღეები მკვეთრად აჭარბებს სიმრავლით ნათელ დღეებს.

მაგრამ იმ დღეს, იქ, წმინდანის საფლავთან, საოცარი სინათლე ვიგრძენი.

და ბედნიერი ვიყავ.

თბილი სევდითა და ღვთით კურთხეული სიხარულით ერთად გვავსებდა ცასთან კავშირში მყოფი საფლავი მეუფისა.

წავიდა კაცი იგი, რათა დაეძლია სიკვდილი, ეპოვა მარადისობა.

კაცსა მას არავინ და არაფერი სძულდა, დიახ, არც სიკვდილი სძულდა.

სწორედ ამიტომ შეძლო, იმ კაცმა, მარადიული სიცოცხლის პოვნა.

დიახ, იპოვა მარადისული სიცოცხლე, რამეთუ ის ადამიანი – ჩვენი მოძღვარი, წმინდა მეუფე თადეოზი, თვით იყო სიყვარული, და ასე შეემსგავსა კაცი ღმერთს (ღმერთია, ხომ, უზენაესი სიყვარული).

ასე გაუკვდავდა ადამიანი.....

თბილისი. 2015 წელი.

P.S. იმ დღეს, სიონის ეზოში, ერთი კურიოზი მაინც მოხდა: მე რომელიღაც ეპიზოდში, ვერ შევიკავე თავი და ისევ დავიწყე ტრაბახი ჩემი პოეტური შესაძლებლობების შესახებ. მერე ისიც ვთქვი, რომ ხუთასზე მეტი პოეტური პაექრობა მაქვს მოგებული, ხოლო, ამათგან სამასზე მეტი გავიმარჯვე დროზე ადრე, ხოლო ასზე მეტი პირველივე რაუნდში მოვიგე თუნდაც კარგ მეტოქეზე ჩემი აშკარა უპირატესობის გამო. (საერთოდ, პაექრობებში, ძირითადად ხუთ, ათ, ან თორმეტ ლექსს ვკითხულობდით, რაუნდებივით თუმცა წაგვიკითხავს სხვა რაოდენობაც, წაგვიკითხავს, ასევე, პოემებიც კი!). პოეტური პაექრობები მართლაც არის თბილისური ანდეგრაუნდის ყველაზე უფრო აზარტული, მძაფრი დაპირისპირებანი, და ერთ დროს მე მართლაც ვიყავი ამ თავისებური პოეზი-შოუების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორიც, მონაწილეც, მაგრამ... ქალბატონმა გულნაზიმ ისევ არ მომიწონა მეტისმეტი გაამაყება და ისევ გამაკრიტიკა, თანაც – კარგა გვარიანად, და ღირსიც ვიყავი, მაგრამ იქვე, ჩემთან ახლოს, ხომ კახაც იდგა, რომელსაც ყველაზე მეტი ადამიანი გაუმწარებია პოეტურ პაექრობებში! თუმცა ის ჩუმად იდგა, იმ დღეს არ ტრაბახობდა თავისი „საგმირო საქმეებით“ და, ამიტომაც, მხოლოდ მე დავისაჯე... ასეა: ვერაფრით ვისწავლე ჩუმად ყოფნის ხელოვნება, და ეს მაშინ, როცა გენიოსი შეგვაგონებს, რომ ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასო, მაგრამ ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო...

სერგი ლომაძე

დიდებული ადამიანის იუბილე

(სიმონ ზაქარაია – 75)

2015 წელი

ოქტომბრის თვეში, სამოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა ბატონ სიმონ ზაქარაიას – რჩეულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით ორჯერ მაინც შეიკრიბნენ ცნობილი ადამიანები: ჯერ იყო ფაზისის აკადემიის სპეციალური სხდომა, კონკრეტულად აკადემიკოსის იუბილესადმი მიძღვნილი, ხოლო შემდეგ დაეთმო რესტორანი "ჭინჭილა", მხოლოდ რჩეულთა შეკრებას. „ფაზისის" სხდომას როგორც ყოველთვის, ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ უთავკაცა, ხოლო მეორე შეკრების ორგანიზატორი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი იყო. საერთოდ, აკადემიურ წრეებში გახმაურებულია ასეთი სამეული: ნუგზარ ნადარაია, სიმონ ზაქარაია, გულნაზ ხარაიშვილი. ისინი, ხშირად, და-ძმებს უწოდებენ ერთმანეთს. ორი ამათგანი აკადემიათა პრეზიდენტები არიან (ქალბატონი გულნაზი ერთადერთი ქალი პრეზიდენტია ყველაზე ცნობილ აკადემიათა მეთაურებს შორის) ხოლო ბატონი სიმონი მათი ღირსეული კოლეგაა.



30 ოქტომბერს ფაზისის აკადემიის სხდომა ორ ნაწილად იყო გაყოფილი: თავიდან ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილი მეუღლითურთ, აკადემიის წევრად მიიღეს. ისე მოხდა, რომ თვითონ, ჯამლეტმა უფრო მეუღლის დამსახურებაზე ისაუბრა, მაგრამ ეს ძალიან კოლორიტული სპორტუ-

ლი კომენტატორი მაინც ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცევა ხოლმე. თვით მისი მეუღლის პიროვნება-მშვენიერებამაც კი ვერ დაჩრდილა სუპერენერგიული მოღვაწე-კომენტატორი, ბატონი ჯამლეტი, ლეგენდარული ეროსი მანჯგალაძესა და კოტე მახარაძეს (ორივენი საუკუნის საუკეთესო სპორტულ კომენტატორებად რომ აღიარეს, თანაც ორივენი დიდი მსახიოები იყვნენ!), გზის ღირსეული გამგრძელებლები.

სხდომის ძირითადი დრო კი ბატონ სიმონს დაეთმო. უამრავმა ადამიანმა ისაუბრა მის შესახებ. თავშეყრას ოთხი სხვადასხვა აკადემიის პრეზიდენტი მაინც ესწრებოდა, ოთხივე მონაწილეც იყო სხდომისა: ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემია ქალბატონმა გულნაზიმ წარმოადგინა, „ქალდეა“ ბატონმა ვაჟა ეგრისელმა, ხოლო იყალთოს რუსთაველის სახელობის, ბატონმა ელიზბარ შათირიშვილმა, ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტმა. რაც შეეხება ფაზისის დიდი გაერთიანების სიმბოლოს – ნუგზარ ნადარაიას, როგორც უკვე ვთქვი, სწორედ მას მიჰყავს სხდომები. გამოვიდა ბევრი სხვა ცნობილი ადამიანებიც, ხოლო ცნობილმა მეცნიერ-მკვლევარმა, ფესტოსის დისკოსა და სხვა მონათესავე დამწერლობების გამშიფრავმა, კვაშილავამ ვრცლად გაგვაცნო საზოგადოებას მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ფაზისის აკადემიის სხდომას მე და პოეტი კახა ბაციკაძეც ვესწრებოდით. ბოლო წლებში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჩვენ უკვე მოვიაზრებით, სულ ცოტა სამი სხვადასხვა აკადემიის აკადემიკოსებად (ისევე, როგორც ჩემი კიდევ ერთი უერთგულესი მეგობარი – გიორგი ზუხბაია), ამიტომაც პასუხისმგებლობა უფრო მეტი შეგვშვენის. აქ არ ვისაუბრებ სიმონ ზაქარაიას მეცნიერულ მოღვაწეობაზე, იმ დარგში, რომელშიაც მან დიდ წარმატებებს მიაღწია, თითქმის 50 წლის განმავლობაში მე, პოეტი კაცი, კომპეტენტური არა ვარ. სამაგიეროდ შემიძლია ვისაუბრო ბატონი სიმონის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. დიახ, იგი შესანიშნავ მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად, შესანიშნავი ლიტერატორიც არის. ამის თქმის საფუძველს თუნდაც ის წიგნი-შედევრი მაძლევს, რომელიც ამ კაცმა მიუძღვნა გოლგოთად ქცეულ გზას, „დევნილები გოლგოთის გზაზე“ უღელტეხილს, რომელზედაც ლტოლვილნი გადმოდიოდნენ აფხაზეთის დაცემის შემდეგ. ბატონი სიმონი იყო მეომარი ომის დროს, შემდეგ კი უკვე თვითონ გაიარა ცრემლიანი გზა უღელტეხილისა, სხვა დევნილებთან ერთად. დიახ, იგი მებრძოლი კაცია, ომგამოვლილი პატრიოტი, რჩეული, თავისი სამშობლოს ერთგული, თავისებური ფილოსოფოსი (საერთოდ მე ყველა ნამდვილ ხელოვანში პოეტს ვხედავ, ხოლო ყველა ნამდვილ მეცნიერში ფილოსოფოსს. უფრო მეტსაც ვიტყვი: ადამიანი, ზოგადად არის პოეტურ-ფილოსოფიური არსება, ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს გვირგვინი, აი, ასე ვფიქრობ მე).

...და ფაზისის აკადემიის სხდომაზე „ფაზისის“ აკადემიის პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნადარაია ადიდებდა იუბილარს, როგორც წამყვანი,

ხოლო შემდეგ უკვე სუფრაზე, მას ადიდებდა ლიტერატურის ერთ-ერთი ლიდერი პოეტი-აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი, როგორც თამადა.

ქალბატონმა გულნაზიმ ყველაფერი ჩადო იუბილისადმი მიძღვნილი სუფრის ორგანიზებაში, მთელი რესტორანი ჩვენ დაგვითმეს, როგორც რჩეულთ, დიდი სუფრა გაგვიწყვეს ბუხართან, შეგვიქმნეს მყუდრო გარემო და სრული კომფორტი. გულნაზისა და კახას გარემოცვაში მოვხვდი მე. იქვე ისხდნენ ბატონები: ვაჟა ეგრისელი, ჯუმბერ ხარაიშვილი, სულიკო სამხარაძე, ონერი ძაძუა, შარაბ ხოჭოლავა, რეზო კინწურაშვილი, რამინ ქეცბაია, ვანო მეგრელი, შალვა

სიჭინავა, ნუგზარ სართანია, რაჟდენ ქარდავა, და სხვები და სხვები. გრძელი მაგიდის თავში თვით იუბილარი დაბრძანებულიყო.

ჭეშმარიტად ქართული სუფრის მთავრსარდლობა დიდი პასუხისმგებლობაა, ამიტომაც ბატონი ნუგზარი და ბატონი ვაჟა, კარგა ხანს არიდებდნენ თავს თამადობას, ბოლოს მაინც იტვირთა თამადობა ვაჟა ეგრისელმა და ლხინის სადავენი ბოლომდე (შუაღამემდე) არ გაუშვია ხელიდან (ჩვენ უფრო ადრე წამოვედით სუფრიდან).

სუფრაზე შემოგვესწრო ფენომენალური ხმის პატრონი – პატარა 8-9 წლის მარი ხვედელიძე (ბებიასთან ერთად). ამ ამბავს ქალბატონი გულნაზის გენიალურ სვლად მივიჩნევ. მოკლედ, ყველაფერი იყო, სიმღერაც არ დაგვკლებია, პატარა მარიამმა თავისი გასაოცარი სიმღერა, ოპერის არია ყოველგვარი მუსიკალური ინსტრუმენტის თანხლების გარეშე ბატონ სიმონს მიუძღვნა და გაანათა ირგვლივეთი. მარიამი თვითონ მშვენიერებაა. მისი საოცარი სიმღერით გაზაფხული დაგვიბრუნდა თითქოს. ეს გოგონა არის ჩვენი გულნაზის მიერ აღმოჩენილი კიდევ ერთი ნათება. მოკლედ, გულნაზისეული კონცეფცია, თაობათა კავშირისა, გრძელდება, ხოლო ყველაზე მეტი წარმატება, ჩვენს ქალბატონს მომავალ თაობასთან მუშაობაში აქვს. ბატონმა სიმონმა გზა დაულოცა პატარა მომღერალს.

ჩვენი წამოსვლისას, ბატონმა ვაჟამ მე და კახას გვაჩუქა ცნობილი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ლუარა სორდიას წიგნები, თვითონ ვაჟა ეგრისელის შესახებ დაწერილი, გასაოცარი წარწერებით. ადრევე ხელთ მქონდა ქალბატონი ლუარას უზარმაზარი წიგნი ბატონი რეზო მიშველაძის შესახებ, ესაა ფილოლოგიური წიგნი – ეპოპეა, ფერადი მონუმენტი.

ახლა ხელთ მაქვს ამ ქალბატონის ეს ხალი წიგნიც, რომელიც ბატონ ვაჟას ეძღვნება. მალე შევუდგები ამ ნაშრომის წაკითხვა-გაანალიზებასაც.

თბილისი, 2015 წელი

ანა ბოდბელი

ᲘᲘᲡᲤᲔᲠᲤᲠᲗᲔᲑᲐ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲨᲘ
IN VIOLET WINGED WIND OF APRIL

მზე ჰგავს წიქარას – ცალრქა მოტეხილს
და მეც მწყურია კივილი ხარის,
წიქარასავით შენთვის მოვკვდები,
მიწავ და ცაო მშობელო მხარის!

მთებო, მე თქვენთვის ვარ დანაბადი... მე თქვენთვის ვცოცხლობ, თქვენით ვარ მთვრალი – ამბობს პოეტი შალვა მჭედლიშვილი ერთ-ერთ ლექსში და „ცისფერ ციაგით ტყვედქმნილი ყოვლის“ თითქოს უსიტყვოდ სვამს ადამიანის დაბადების, მზის სხივების და ღვთაებრივი ქალის ხატების სადღეგრძელოს.

მე პირადად არასდროს შევხვედრივარ ბატონ შალვას. მხოლოდ ლექსებით და პრესაში გამოქვეყნებული ინტერვიუებით შემოვიდა ჩემში „სიყვარულის ჰანგით სავსე, იადონის პატარა გულის გულა“ ადამიანი, რომლის სულშიც მამისეული სალამურის „ტკბილი ენა ნარნარებს მარად“.

შალვა მჭედლიშვილი ლექსების რამდენიმე კრებულის ავტორია. ერთ-ერთ მათგანს ასეთი სათაური აქვს „მგზავრო იჩქარე“ (1986წ.).

მგზავრო იჩქარე...
და თან წაიღე კეთილი ტვირთი,
თორემ ჩაგძირავს
მივიწყების წყეული ზვირთი.

როგორ ჰგავს პოეტის ეს სტრიქონები უფლის მცნებიდან გამომდინარე რჩეულ მამათა ბრძნულ დარიგებას, – რომ დრო და ჟამი კეთილ საქმეს უნდა მოვახმაროთ. დრო მირბის, მიფრინავს „თითქოს ვიღაცა უჩინარი გვაჩქარებს ყველას“... ღვთისა და კაცის წინაშე ვალის აღსრულებაა.

ოდეს გიჭირდეს ჭირთა თმენა,
გაიხსენე ის წინაპარი,
ვინაც კლდის ქიმზე –
ამ საზარელი უფსკრულის პირად,
სისხლიან ხელით
უზარმაზარ ლოდს მიათრევდა
დიდებულ ტაძარს აღსაშენებლად.

ალაზნის ველი, მამის საფლავი, პაწია ქოხი ვენახის ბოლოს, მზე ოცნებისა „ბროილს თითებ-ბა“, თბილისის ქუჩის, „ტალღა და თქორი“ დიდი ზღვაურის პატარა ტალღასავით მოსვნებას უკარგავს პოეტს, ქარიშხალივით აწვალებს და ხანდახან მარტო დარჩენის სურვილს უჩენს. ასეთ წამებშიც კი – სიმშვიდის და სიმყუდროვის გადათეთრებულ არემარეში, სისპეტაკის და სინაზის

შორეული მიუწვდომელი ლანდი გვერდიდან არ შორდება შემოქმედს მუდმივი მოლოდინი, განშორების ჟამს დაღვრილი ცრემლის მარადიული ათინათი არ ნებდება „ბნელ მივიწყებას“.

წავიდნენ წელნი
.....
.....
შევიყვარებდი მეგონა ვინმეს,
შმაგმა შენს ღიმილს ისევ ქედს ვუხრი.

2001 წელს ქ. სიღნაღის საქალაქო ბიბლიოთეკაში (მენეჯერი ლ. ხატიაშვილი) შეხვედრა მოუწყეს ბატონ შალვა მჭედლიშვილს. ეს დღე სასიამოვნო მოგონებად დარჩა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა და მკითხველთა მეხსიერებაში. ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრეს, უამრავი შეკითხვა დაუსვეს, ლექსები მოისმინეს.

– ბევრგან მოუწყვიათ ჩემთბის თბილი შეხვედრა – აღნიშნავდა მაშინ ბატონი შალვა, მაგრამ ეს დღე ჩემთვის რაღაც განსაკუთრებულია. მშობლიური ქიზიყი, ნაცნობი ადამიანები.. ასეთი სითამამე და სილაღე არსად მიგრძვნია. მიყვარს კავკასიონი, სიღნაღი, ალაზნის ველი, „ეს მთები ჩემი ფრთები მგონია“, ბედნიერი ვარ – სიამაყით და სიხარულით გულწრფელად ამბობდა პოეტი და კვლავ თავისი მეგობრების, ოჯახის, (მეუღლის, შვილების და ახლობლების) შესახებ საუბრობდა. (შალვას დიდი მეგობრული გრძნობა აკავშირებდა პოეტ ქალ მერი ბარნაბიშვილთან, პოეტ ლერი ბეგიაშვილთან და ქიზიყის მცხოვრებლებთან. იგი გარკვეულ დროის განმავლობაში ხირსის საექიმო უბნის თერაპევტად მსახურობდა.

დამასამარეთ სიღნაღის ბჭესთან
ქონგურებად რომ მაღლდება ცადა,
სადაც პირველად გრიგალთა კვნესა
სულმა შეიგრძნო და განიცადა.

პოეტმა ბიბლიოთეკის მკითხვველებს აცნობა, რომ სულ მალე საზოგადოება მიიღებდა მის რომანს „კვიპაროსები“, (სადაც პირადი ცხოვრებიდან ბევრი რამაა აღებული) და აღუთქვა, რომ რომანის რამდეინმე ეგზემპლარს საჩუქრად გამოგზავნიდა. ჩამობნელდა. არავის სურდა პოეტთან განშორება. „როდესაც მან ლექსი „სალამური“ წაიკითხა უდიდესი სურვილი დამებადა, ხელმეორედ მოწვევის დროს, სალამური გადამეცა საჩუქრად ბიბლითეკის მკითხველთა სახელით“, – აღნიშნავს ლ. ხატიაშვილი.

მამისეულო სალამურო,
ეგ ტკბილი ენა,
თითქოს სულია, შენი სული
და მუდამ მჯერა,
სული შენი
არ დადუმდება!

არაფერი უკითხავთ... ბატონ შალვას თვითონ დაუწყია ქალბატონ ანა კალანდაძეზე საუბარი. პოეზიისათვის იყო დაბადებული, მიუწვდომელი, შეუცნობელი, მდინარესავით ანკარა და სიოსავით დაუდგომელიო. სიყვარულით საუბრობდა, ფრთხილად, კრძალვით, თითქოს ძვირფასი ბროლის ხატთან იდგა ახლოს.

გიხმობ, გეძახი, უღვთო ღვთაებავ,
მუხლს ვიხრი შენი ხატის წინ ახლაც,
ლხენად ვრაცხ ახლაც ამ მწუხარებას,
ამ სულის მსახვრელ, უხილავ ლახვარს.

მას არ უთქვამს თუ ვის უძღვნა ზღვის პირას, გაზაფხულის წვიმის დროს დაწერილი ეს ლექსი. არც არვის უკითხავს! ძნელია ჩასწვდე იადონის ბუდედ ქცეულ გულის სიმღერას. ცხოვრებას თავისი კანონები აქვს. ყოველგვარ მდგომარეობაში თავისი ხვედრი ჭირი და მწუხარება ადგას ადამიანს. ეს ჩვენი განსაკითხი არ არის. ერთი კი ცხადია – ღვთის მადლში მყოფ ადამიანს ყველა საქმე უადვილდება. ბოროტების მძლეველს და სიკეთეში გამარჯვებულს „უფალმან მასთანჯდომა აღუთქვა მისი დიდების საყდარზედ“. სიკეთისა და ბოროტების განსჯა უფლის საქმეა. ამ ქვეყნის ყოველი სიკეთე ჩვენ სესხად მოგვცემია. „ვინც სისრულის გზას დასდგომია და ამისათვის რაღაც მოუპოვებია, ის ყოველს გუშინდელს და ხვალინდელს შუა ისეთ უსფკრულს დაინახავს, რომ გუშინდელის ნაკლულოვანების მარტო მოგონებაც კი შიშის ზარს დასცემს.“

ბატონო შალვა, სიღნაღში (ბულვარი) თქვენი ცხოვრების ლამაზ სიზმარში“ დგას თქვენი ბიუსტი.

ხშირად მივდივარ იქ. ვფიქრობ დღევანდელი საქართველოს ხვალინდელ დღეზე.

მიყვარს თქვენი ცისკრის „ფრთანათქორი მერცხალი“, გაზაფხულის გრიგალი“, იისფერ-ფრთება აპრილის ქარი.“

ბიუსტთან ხშირად ჩემი თქვენდამი ადამიანური სიყვარულის სურნელის ყვავილები აწყვია.

თამარ თედიაშვილი

ღვთაებრივი ტრიადა

ადამიანმა აზროვნების განვითარებასთან ერთად, ფართო გზა მისცა ქვეცნობიერის ფსკერზე ღრმად დალექილ ნიჭსა და შესაძლებლობებს, რამაც თავის მხრივ ფარდა ახადა მრავალ საიდუმლოებას. ისინიც ბოთლიდან განთავისუფლებული ჯინებივით მიმოიფანტნენ სხვადასხვა ასპარეზზე. ზოგად საკაცობრიო თემებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისტორიებს, როგორც სამყაროს შექმნაზე, ისე უზენაესისა და საიქიოს რაობაზე. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში, ნათლად იკვეთება სამყაროს პირველსაწყისების შეცნობის დაუღალავი მცდელობა. ეს ლტოლვა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. რაც მრავალი ლიტერატურული ნაშრომის საფუძველი გახდა, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესი – იტალიურსა და არაბულ-მუსლიმურ ტრიადაში ჰპოვა.

ფლორენციელი დანტე ალიგიერის უდიდესი ლიტერატურული ნაშრომი – „ღვთაებრივი კომედია“ , ალ-მი’რაჯ – მოციქული მუჰამადის ზეცაში მოგზაურობის ამბავი და აბუ ლ-ალა ალ-მა’არის „შენდობის ეპისტოლე“. ლიტერატურული შედარებების ანალიზზე ნათელია, რომ „ღვთაებრივი კომედია“ არაბული წინამორბედების გავლენით უნდა ყოფილიყო შექმნილი. რაც შეეხება „შენდობის ეპისტოლეს“ უდაოდ „მი’რაჯის“ წაბაძვით არის დაწერილი, ამაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს, უპირველესყოვლისა, ის რომ აბუ ლ-ალა X საუკუნის მოღვაწეა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მათ V-VI საუკუნის სპარსული ანალოგიც ჰყავდათ. ეს არის ვირაფის შვიდ დღიანი მოგზაურობა საიქიოში, რათა მიწაზე მიეტანა ამბავი. იგი სროშ და ათურ მთავარანგელოზების დახმარებით ნახულობს ადამიანთა სულებს, რომლებიც უძრავად დგანან, მათი კეთილი და ბოროტი საქმეები ერთმანეთის ტოლია. აწყდება მდინარეს, რომელიც ჭირისუფალთა ცრემლებს წარმოადგენს, თუ ნათესავები ბევრს ტირიან მდინარე დიდება და გარდაცვლილს უჭირს მისი გადალახვა. ვირაფმა ნახა ჯოჯოხეთი და სამოთხე, რის შემდეგაც გააცნობიერა, რომ ყოველივე მატერიალური უფასური და წარმავალია.

რაც შეეხება, ღვთაებრივ ტრიადას, გადმოცემულია საიქიოში მოგზაურობის ამბები, შინაარსული და ეპიზოდური მსგავსებებით. სამივე მათგანში ფიგურირებს შვიდი ცის, სამოთხისა და ჯოჯოხეთის, ანგელოზების და ეშმაკების, მოციქულებისა და წმინდანების ისტორიები.

„ღვთაებრივი კომედიის“ პირველივსავე სტროფებში დანტე აწყდება: ლომსა და ძუ მგელს. ისინი სამი მომაკვდინებელი ცოდვის – მგრძნებელობის, ძალაუფლების სიყვარულსა და სიხარბის ალეგორიას განასახიერებენ. მი’რაჯშიც ისახება ანალოგიური სურათი.

„ანაზდეულად შემომენთო შიშისა ზარი:
შემდეგი ვიხილე მომავალი ჩემსკენ ძუ მგელი...
გამომეცხადა დაღრენილი, მძვინვარე ლომი...
...გამხდარი იყო, ეტყობოდა ვნება ყოველი...
ტორების ჩქამზე ცახცახებდა თავათ ჰაერიც.
ხორცისმიერი, ბიწიერი მას დაკისროდა...“
(„ღვთაებრივი კომედია“)

სამივე ისტორიაში საიქიოში მოგზაურს გამყოლი ჰყავს. მოციქულ მუჰამადს გამყოლად მთავ არანგელოზი გაბრიელი მოევლინა, ალი ბ. მანსურს – ლიტერატორი იბნ ალ-კარიჰი, ხოლო დანტეს – ვირგილიუსი „პოეტი ვიყავ ანქიზეს ვაჟს ვუმღეროდი...“.

აღსანიშნავია, რომ სამივე ნაწარმოების ამომავალი წერტილი არის იერუსალიმი. მის თავზე ზეცაში სამოთხეა, ქვემოთ ჯოჯოხეთი, რომელიც ისლამურ წყაროებში „იბლისის სამყოფელად“, ხოლო დანტესთან „ლუციფერის ციხედ“ მოიხსენიება.

„ღვთაებრივ კომედიაში“ იუპიტერის ცაში მოსჩანს არწივი. ის ნელ-ნელა დაბლა ეშვება და ათასობით ფრთიანი ანგელოზის სახეს იღებს, ნათელს აფრქვევენ და ამავდროულად ფსალმუნების მშვიდი, მელოდიური მუსიკა აყრუებს არემარეს. ეს ეპიზოდი მოციქულ მუჰამათან, მამლის მონაწილეობით სრულდება. ხოლო ეპისტოლეში ლიტერატურული კამათის დროს მოფრინდებიან ბატები, რომლებიც მიწაზე დაეშვებიან, თუ არა ქალწულებად გადაიქცევიან და მღერიან, რასაც ლიტერატორები მოისურვებენ.

„ალ-მი'რაჯი“ ასახავს მოციქულის მოგზაურობას შვიდ ცაზე სადაც მის წინამორბედებს - ადამს, იესოს,იოსებს, იდრისს, ჰარუნს, მოსესა და იბაჰიმს ხვდება. „შენდობის ეპისტოლეში“ ალი ბ. მანსური ჯაჰილიის პოეტებს ხვდება, დანტე -ანტიკური ხანის დიად ელიტას. სამოთხისა და ჯოჯოხეთის ეპიზოდები ფართოდ არის განხილული თითოეულ ნაწარმოებში. აბუ ლ-ალას სამოთხეში, ვხვდებით ღვთისგან შეწყალებულ პოეტებს, რომლებიც განცხრომით ცხოვრობენ, მუდამდღე ლიტერატურულ კამათსა და კასიდების გარჩევაში არიან, აღარც ღვინის სმა ეკრძალებათ. ხშირად სამოთხისთვის ყოვლად შეუფერებელი კონფლიქტები იმართება. შემდეგ შეიხი „იბლისის სამყოფელში“ თავად იბლისთან გააბავს დიალოგს, სადაც ერთ საინტერესო კითხვას იღებს იბნ მანსური. „მე მხოლოდ ორი რამის გაგება მაინტერესებს. როგორ მოხდა, რომ ალაჰმა, რომელმაც წარმავალ წუთისოფელში სასტიკად აკრძალა ღვინო, სამოთხეში ნება დართო ამდენი ღვინის სმისა? და მინდა ვიცოდე კიდევ ერთი რამ, სამოთხის მცხოვრებნი ისეთსავე ჩვეულებებს მისდევენ მარადი ჭაბუკების მიმართ, როგორსაც ორ ქალაქში(სოდომსა და გომორში)?“

რაც შეეხება „ალ-მი'რაჯს“ მეშვიდე ცაზე მივლინებისას ვხვდებით სამოთხის და ჯოჯოხეთის აღწერას. ბოლოს კი კულმინაციას „გამოჩნდა ალაჰი იმგვარი შუქით, როგორითაც უდიდესი თეთრი მარგალიტი ბრწყინავს“. მსგავსი ეპითეტებია „ღვთაებრივი კომედიიში“ იმ განსხვავებით, რომ სამოთხეში მოგზაურობისას დანტე ნახულობს იმპერატორ იუსტინიანეს, რჯულის მასწავლებლებს, სარწმუნოებისთვის წამებულებს, იესო ქრისტეს წმ. მარიამს და ბოლოს მის წინაშე იშლება „ღვთაებრივი ვარდი“ – კურთხეულთა ადგილსამყოფელი.

„მარადჟამულო ძლიერებავ უფლისმიერო,
...ამიერიდან რა ვიხილე და განვიცადე
შენის იმედით გავუშტერე თვალი იმ ნათელს,
ამას ყველაფერს ენა ჩენი მოგითხრობთ უფრო
რომლის შიაღშიც აჰქრა მზერა ჩემი ანაზდად...
უმწეოდ, ვიდრე გიამბობდათ ძუძუთა ბალღი...“
„ღვთაებირივი კომედია“

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

ჯადოსნური საჩუქრები

ამ ქვეყნად მილიარდდაგვარი საჩუქარი არსებობს, მაგრამ არ არსებობს ფიზიკური თუ გონებრივი, ხილული თუ უხილავი ისეთი ბარომეტრ-ინდიკატორული საწყაო, რომელიც მის ზომა წონა, სიმყარე-სიძვირფასესს, მისხალ-მისხალ თუარა, თუნდაც მიახლოებით მაინც რომ გაზომავს და დააკონკრეტებს.

ადამიანს შეიძლება იის კონა, საპალნე ოქრო, სასახლე, სახელმწიფო აჩუქო და ამ პარადოქსულთაგანაც ვერ განისაზღვეროს, ის ალალგულზე მირთმეული იის კონა უფრო მეტი ძვირფასია თუ ის სასახლე ან სახელმწიფო, რომელიც ათიიმდენის უკან დაბრუნებას, ანუ ადამიანის პოტენციურ ყოფნა-არყოფნას ითვალისწინებს კიდეც.

სწორედ, ამ ერთშეხედვით რიგითსასმენ, ყურმიჩვეულ, ვითომდა ერთმნიშვენელოვან სიტყვა საჩუქარმა, რამდენი საშინელ-კოშმარული შეგრძნება ან პირიქით გულში სალბუნ საღვრელი განცდა შეიძლება გამოიწვიოს და რომელმაც აღმასაფრენი ანუ საარსებო მნიშვნელობაც შემატოს ადამიანს. მას ერთი უბოროტო ატრიბუტ-იარლიყიც გაჩნია: - „კეთილი გულით მიძღვნილიო".

უპრიანი იქნება აქვე განსაზღვრება-განზოგადებაც, თუ რამდენ ხანს შეიძლება საჩუქრის მისტიურ ძალა-აურამ გასტანოს კიდეც შემეცნებაში.

წამიერად გაუფერულდება, თუ გვერდიდან არ მოცილდება იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში.

არმოსაცილებელში ჩაითვლება თუნდაც თითით სატარებელი ბეჭედიც, რომლის სიძვირფასის დამდგენი, სწორედ, მხოლოდ მისი სილამაზე და პომპეზურობაცაა, თუმცა კია, იგი უტყვია გარდა გატანებული ერთდაიგივე საფიქრისა, რომელიც ზოგჯერ ნელ-ნელა ფერმკრთალდება ან იცვლება შემდგომი დადებით-უარყოფითი მოქმედების მიხედვით მჩუქნებლისაგან. მითუმეტეს ნებისმიერი საჩუქრები დათვლადია, რომელიც ყოველწამს შეიძლება დაიკარგოს ანუ მოიპარონ კიდეც. რის ანალოგიც შეიძლება ითქვას ყელსაბამზე, კულონზე, სამაჯურებზე და ა.შ. და ა.შ. გარდა ამგვარ ნიშანდობლიობისა ადრესატს იგი რა საფიქრს უჩენს ეს უკვე სხვა პრიზმაში დასანახ-განსასჯელია.

მსჯელობა-შედარებანი ლიტონ, შაბლონურად რომ არ იხედებოდეს, იმ კონკრეტულ საჩუქრებს დავასახელებ, რომელიც უტყვთაგან განსხვავებულია, მეტყველ-მორუკრუკეა, უკვდავ-საამურია და რომელიც მიუძღვნეს დღევანდელ უნივერსალ, მოსიარულე ლეგენდას, დიდ ქალბატონს, პოეტს გულნაზ ხარაიშვილს. („სჩანს შენს გზაზე შენი ნიჭი, სხივნათელ გზებსა ფენდა და კიდევაც ამ ლექსებით ქალი იქეც ლეგენდად", ტარიელ მუმლაძე). („ლამაზი ქალბატონი ხარ, გულუხვი საფერებელი, ყველას უყვარხარ ლექსს გიწერს, საჩხერელი თუ ლებელი". მანანა ზაზიკაშვილი).

ეს საჩუქრები იმ ჟესტიკულაციის მსგავსადაა მირთმეული, მრავალი საუკუნის უკან განუმეორებელ ფენომენს, დედოფალ თამარს რომ მიართვეს.

თუმცა, ვფიქრობ მაინცდამაინც გულით მიძღვნილსაც აქვს თავისი ნიუანს-მისია, თორემ, მაშ რა უნდა ეთქვას იმ უდიდეს და უწრფელეს საჩუქარს, რომელიც დღევანდელობის მემატიანე მწერალმა სერგი ლომაძემ სტროფად კიარა, საპირისპირო ამპლუით, უწმინდესი სიყვარულის ამსახველ უვრცელეს წიგნად მიუძღვნა ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, რასაც მოფიქრებული უბრძენეს-უჭკვიანესი სათაური უწოდა: „გზა მწვერვალისკენ"?

როგორ იქცა პოეტი ქალბატონი ავტორთა კოლორიტ-ფავორიტად? ეს ვრცელი, უძირო ისტორიაა, რასაც საჟურნალო ლიმიტი კიარა ტომეული არ ეყოფა. ან ის ხომ არაა თავი მიზეზი, ვინმეთაგან ენის ძვლის უქონლობისას რომ უუბნებია: - „რაც უნდა ისარი მესროლონ მე სიკეთით გადავიხდიო? („სიძულვილი რომ სიყვარულით უნდა ალაგმო, ეს შენებრ წმინდა და გულნაზი ქალის ხვედრია", თინათინ ხაბურზანია) როგორ უნდა იარსებოს ან მოისვენოს ვინმემ ასეთ წმინდანზე ისრის მსროლელმა? ამით ხომ ყველა იმ ადამიანის გულს ესვრიან ვისაც ამ უდიდესი, ღვთიური, შვილმკვდარი დედის საერო საქმიანობა სწამს?

საჩუქრებს ხშირად განსაკუთრებულ პერიოდებში ჩუქნიან; ახალ წელს, დაბადების, ქორწინების თუ რაიმე საყოველთაო ზეიმ-დღესასწაულებზე, ლექსს თუ თბილსიტყვიან პროზით მიძღვნილ მისაფერებელ, ასამაღლებელ სიტყვებს კი პერიოდი და განზოგადება არ სჭირდება. იგი იქმნება დღისით,

ღამით ყოველ წუთს, წოველ წამს. სიფრთხილით, მეცნიერულ შემეცნებით,

რიგითი ცოდნით, სიყვარულით. მეტადრე როცა იგი ცივი და უტყვი კიარა ცოცხალი, მეტყველი, შეფასებული და თანაც საუკუნოა. (გნებავთ ადრესატისთვის)...

„ყოველი კაცი მისი საქმეების მიხედვით უნდა განვსაჯოთ", უბრძანებია სერვანტესს. სწორედაც, ქალბატონი გულნაზისადმი მიძღვნილ უმშვენიერეს სიტყვა-საჩუქრებშია აღწერილი მისი დიდი საერო საქმიანობანი, ცოდნის ორგანიზებულად, სახალხოდ გავრცელება, მისი ეროვნული არაერთი საქმის იდეის ავტორობა. („ქალბატონ გულნაზს როგორც საზოგადო მოღვაწეს, ძნელად რომ დღევანდელ საქართველოში, რომელიმე ქალი შეედაროს''. „გარდა ხელოვნებისა (პოეტი და პროზაიკოსი) იგი არის ასევე მეცნიერიც (თავისებური ფილოსოფოსი) ბიბლიოგრაფიც და ჟურნალისტიც''. „იგი როგორც ლიდერი და როგორც მმართველი თავისთავადი ფენომენია''. „იგი თითქმის თავადის ქალად არის დაბადებულ-აღზრდილი''. „ქალბატონი გულნაზი ფრთხილად მიჰყვება ქართველთა დიდი მასწავლებლის გზას, - მამული და სარწმუნოება, მასაც უმთავრესად უწამებია'', „როგორ საოცარი მსგავსებაა ორ სიტყვას – გულნაზისა და გულს შორის'', „ პირადად მე გულნაზ ხარაიშვილი მაგონებს ქართველ მანდილოსნებს ნიკოლოზ ბარათაშვილი რომ უმღეროდა, იმავე საუკუნეში ილია ხატავდა დაახლოებით ამგვარ პერსონაჟებს, თუნდაც ოთარაანთ ქვრივი, თუნდაც აკაკის მიერ შექმნილი ქართვლის დედის ტიპიური პორტრეტები. ეს იყო ამაღლებული ხატებანი, რომლებიც ხანდახან გაკრთებოდა ფიროსამანის ნახატებშიც'', „მგონია, რომ ქალბატონი გულნაზი მეთვრამეტე, მეცხრამეტე საუკუნიდან მოგვევლინა და ამიტომ გვიჭირს ბოლომდის მისი შეცნობა ჩვენ''. გულნაზ „ხარაიშვილს ვერავინ ასწრებს სხვათა დადებით მხარების შემჩნევას, ბევრი ადამიანი პირადად მისი აღმოჩენილია ლიტერატურაში''. „იგი ზრუნავს თვითეულ ჩვენთაგანზე'', ამდაგვარი აზრები ბრძანა სერგი ლომაძემ სწორედ ხსენებულ წიგნში „ გზა მწვერვალისკენ'').

რთულია იმ შედარებათა მიმართულების ანუ დაჯგუფების ანალიზი, თუ ვის რას აგონებს გულნაზ ხარაიშვილი. ზოგი დედას ადარებს (მათ შორის ასაკით უფროსნიც), ზოგი დას, ზოგი ღმერთკაცს, ზოგი ღმერთქალს, ზოგი ძმას უწოდებს, ბევრი თამარს ადარებს. ერთი პოეტი უწერს: „დითსულოვანო ქალღმერთო ვინა შენი სადარი''. „თყვანს სწორედ ამადა გცემთ პირადზე რომ არ ზრუნავ, რომ ყველაზე წინ აყენებ საზოგადო საზრუნავს''. ამდაგვარ გადასახედიდან ვგრძნობ იმპულსურად, რომ მას აქვს ისეთი ანდამატი რითაც ათასობით ადამიანს აწერინებს აზრებს თავის ბრწყინვალებაზე. ერთ-ერთი ასეთი სტრიქონიცაა აქროსტიკით მისადამი მიძღვნილ ლექსში: „ლ-ამაზ რითმის ლექსთა ბაირაღებით, ს-აქართველოს დიდ ჩირაღდნათ ანთიხარ''. ზოგი კი უბრალოდ, თანაც პირდაპირ, მეფედ აღიარებს. პოეტი იამზე ჭელიძე წერს: „იარე დიდხანს შენ ლექსის მეფედ, დაგლოცავ ისევ, ასი წლის შემდეგ''. იგივე ავტორი მის შორსმჭვრეტელობაზეც საუბრობს: „მხატვრული სულით აშენებ ყველგან, შორეული გაქვს ეგ ბრძნული ხედვა''. აქვე აღვნიშნავ თუ სერგი ლომაძე გულნაზის გზას მწვერვალისკენ უფრო შემდგომ პერიოდისთვის ხედავს, იამზე ჭელიძე რამდენიმე წლის წინ საპირისპირო ამპლუაში წერს ამ თემაზე: „მწვერვალი დაიპყარ და ლაშქარს მთებისკენ წაუძეხ, შესძახე გენიას, სიკეთის კარები ვგრძნობ უფრო ღიაა შენთვის და გალობით გელიან''. „მწვერვალისკენ შორეთის... სული ხატავს ქონგურებს''...

სულშემძვრელი სტრიქონ-აზრები, რომლებიც ქალბატონ გულნაზის მიუძღვნეს, სულ სხვადასხვა დროითაა დათარიღებული. ქალთაგან, კაცთაგან. ცოცხალთაგან, გარდაცვლილთაგან. პოეტი გიზო ჭელიძე (აწ გარდაცვლილი) წერს: „მადლობას ვუთვლი იმ შენს ნათლიას, ვინაც დაგარქვა სწორედ გულნაზი'', „ცდილობ ზეცაში ვარსკვლავთა კრებას'', „წმინდაა შენი ქალის მანდილი'', „გულში გიხუტებ ქალს გულმადლიანს, შენ და კიარა ძმაი ხარ ჩემი''.

პოეტი დარეჯან მიმინოშვილი საქვეყნოდ ამბობს: „დედაკაცობის ეტალონი ხარ, სულით ნაზი და გულით მდიდარი, კდემამოსილი სასწაული ხარ, დედა ქართვლისა დასაფიცარი''.

თითქმის ერთ-ერთი ძირეული ლაიტმოტივია, რომ მასში დედის სახეს ხედავენ. ახალგაზრდა პოეტი ვაჟა ყოჩიაშვილი ამბობს: „დააფარე დედის თბილი კალთა, დააფარე ჯერ არ არის გვიან''.

საზოგადოებრივი აზრის ხელოვნურად გაერთიანებაც ხომ შეუძლებელია, მაგრამ ამ ფონზე ისაა საინტერესო თუ რას ამბობენ ის შინაურნიც, ვინც თვალით ხედავენ მის ცხოვრებას. მაშინ, როცა ვიცით უამრავი ფაქტები, რომ წერენ ერთს და უკეთებიათ მეორე. (ამის მაგალითია თავად დიდი ჯეკ ლონდონი,) აი სწორედ რას ამბობს პოეტი ელგუჯა სხირტლაძე: „თვალწინ მიდგია ჩემი ბავშვობა, აურაცხელი შენი ამაგი, მეგობარივით მედექი გვერდში, ხან დედა იყავ, ხანაც დაქალი. შენგან ვისწავლე მე ანი-ბანი, პირველმა წიგნი შენ შემაყვარე, შენი სამშობლოს სიყვარულისა, შენი ლექსებით ბევრს შეაყვარე'', „ბევრმა თუარა მე მაინც ვიცი, ქვეყნად რამდენი ნორჩი აღზარდე''.

სწორედაც, რამდენი ნორჩი „ათინათელი'' გააერთიანა უდიდეს პოეტებთან ერთად თავის პირმშო ჟურნალ „ათინათში''?

ზღვასავით მოდის ამ უდიდეს ქალბატონზე ყველას სათქმელი. არ მინდა მის შინაურთაგან ნათქვამებს გადავუხვიო. მწერალი, კრიტიკოსი ნაილი ხარაიშვილი, რომელიც სწორედაც ერთ-ერთი მათგანია, მიძღვნილ ლექსში „რედაქტორს'' ამბობს: „მწერალი თავის ნაფერებ ფიქრს შენ ჩაგაბარებს, ცისკარზე ერთი კარგი ლექსიც თუკი შობილა, უნდა მონათლო, ლექსს ჩააცვა მად-

ლის პერანგი, სულის სამოსი რომ არ დარჩეს დედიშობილა''. ვერ ჩავწვდები ყველა მკითხველის აზრს, მაგრამ აღნიშნული ლექსები ძირითადად ჩემი გულის ძირამდის დადის. „ყოველი ბწკარის, თუ აბზაცის დგახარ დარაჯად, რომ არა ევნოს დასაფიცარს მამულს, ქვეყანას, თავად შემოქმედს ჯარისკაცის გმოსავს ფარაჯა'', „რადგან გავბედე, რაკი გთხოვე ეგ მზრუნველობა ისე ვით დედას, შენს სითბოსაც ვერ შეველევი, სიყვარულის და დედობრივი გრძნობის მედროშეს'', „ეახლოები უკვდავებას ორთავ სოფელში, რამე თუ სიტყვას მეუფენი გწირვენ მადლობას''. გავმეორდები: - უახლოვდები უკვდავებას ორთავ სოფელში, ეს შინაურის სიტყვებია (პოეტის)...

ხოლო სწორედაც, მისი აღმოჩენილი ჩემს თვალსაწიერში მეტეორივით გაელვებული და შემდეგ გაუჩინარებული პოეტი ვაჟა აქიმიშვილი, რომელსაც პირველი ლექსები თავისსავე ჟურნალში გამოუქვეყნა, ერთ-ერთ მართალც უბრწყინვალეს ვრცელ ლექსში „ცოდნის მოძღვარი,'' რომელიც სწორედაც თავად გულნაზს მიუძღვნა დასასრულ ამბობს: „იგრძნო, გამანდო სად მიდიოდა ჩემი ლექსების სიბრძნე და ზღავრი, ჩვენ მას ქალბატონ გულნაზსს ვუწოდებთ ცხადად კი არის ცოდნის მოძღვარი''.

პოეტი რუსუდან-ანასტასია კალანდაძე ლექსში „უმშვენიერეს ქალბატონს გულნაზ ხარაიშვილს'' ამბობს: „ქართული სულის დიდო დარბაზო, სულ სიყვარულით მოგიძღვნი ვარდებს, მასაც შენსავით ახლავს ეკლები, შენსავით ებრძვის ტკივილს და დარდებს'', „ვით იალბუზი გასცქერი ნათელს''.

პოეტი ნაზი კაპანაძე კი ლექსის დასასრულ „ჟურნალისტი'' ამბობს: „გამოიარე შრომის ქარცეცხლი, აი ამიტომ ქალღმერთს მაგონებ''...

სწორედ, ვისაც არ უნდა ეწყინოს, თუ ეამოს, მრავალმა იგი სწორედ ქალღმერთს და თან თამარს შეადარეს, მოხეთქილი პოეტური გრძნობებით და არა რაიმეგვარ ანგარებით... გამორჩენით... პოეტი ლევან გვიჩიანი „თამარის ენით'', ლექსის ბოლოს წერს: „თამარის ენით ლოცულობ, გვლოცავ, ვით დედოფალი სათნო გულნაზი''. ვიცით სულ სხვა დატვირთვისაა კაცის და თანაც პოეტის ლოცვა...

ორიათასხუთ წელს პოეტი გიული შალიკაშვილი გულნაზისადმი მიძღვნილ ლექსს ამთავრებს: „შეკონილი ფიქრით აზრით, დღიდან ჩემი დაი გქვია''!!!

ზრდასრულნიც, თანაც მეგობრებიც, ცხოვრების გზის მასწავლებლად აღიქვამენ გულნაზს, ამადაა ორიათასრვა წელს პოეტი ქალბატონი თინათინ ხაბურზანია მიმართავს ლექსში: „მეგონა სწორი გზით დავდიოდი,

რა დაგრეხილი გზებით მივლია''.

იგივე ორიათასხუთ წელში დაწერილ, აკადემიკოს გარი ჩაფიძის უვრცელეს უსათაურო ლექსში, ერთ-ერთი სტრიქონია: „სიყვარული ბღუჯა-ბღუჯა არიგე''.

სამოცი წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ელისო ფიჩხაია ვრცელი ლექსის ბოლოს სიცოცხლის გალამაზებისთვის მადლობას უხდის იუბილარს: „და მადლობა თქვენ პოეტო ქალბატონო, სიცოცხლეს რომ გვილამაზებ ყველას''.

ამ თარიღთან, ანუ სულის საზეიმო საღამოსთან დაკავშირებით პოეტი ეთერ ფირცხალავა ხალხურ მოტივზე დაწერილ ლექსში ღაღადებს: „ხუთ მაისს დაბადებულხარ დაულოცნიხარ ღმერთსაო''.

ასაკით დაუღვინებელი და პოეტად დაღვინებული თოჯინისფერი ქეთი ნათელაძე ქალბატონი გულნაზის დაბადების დღეზე მიძღვნილ ლექსში „ხუთი მაისია'' ღუღუნებს: „და თქვენ

სულ სხვას უმზერთ ლამაზ სამყაროებს, თავად უფალთან და ლექსთან თანაბრდებით''. „თქვენ არ დაეცემით რადგან პოეტობა, მხოლოდ პოეტობა გიხსნით ავისაგან და თუ პოეტობა არის განაჩენი, და თუ პოეტობაც არის სასჯელივით''.

ეს კი უცილო უტკბილესი სიტყვებია, როცა ასაკით უფროსი ქალბატონი ლექსში უწერს: „ჩემს ცხოვრებაში პირველად მხოლოდ მის ხმაში ჩემი დედის ხმა მესმის''.

მოკლედ, სიტყვა დედა უამრავჯერ ჟღერს ამ ლექსსაჩუქრებში. დარეჯან მიმინოშვილი თავის შემოქმედებაში მის დედურ გრძნობას უსვამს ხაზს. „კდემამოსილი სასწაული ხარ, დედა - ქართველის დასაფიცარი''.

ლექსთა ბუმ-საჩუქრები მღერიან, მეტყველებენ, სმენას აამებენ. არ მსმენია არცერთ ბელადზეც კი ამდენი მიძღვნილი ლექსები თუ მოთხრობები ლიტერატურის ისტორიაში...

ყველა ამ აღნიშნული თუ ჯერ აღსანიშნავ ლექსებს პოეტ ქალბატონს იმ ცხოვრების პარალელურად ჩუქნიან სალბუნად, რომელი ცხოვრება მას დიდ სეტყვას თავს აფრქვევს. უახლოესი გულშემატკივარმეგობარი პოეტი ქალბატონი („ყვავილების დედოფალი'') მიმოზა ცანავა სწორედ ამიტომ წერს ლექსში „გვედრებ უფალო'', შემდეგს: „ასე დასეტყვილს, გაგიტაცებს ცხოვრების ტალღა, იღბლის მძიმე ჯვარს ეზიდები დაღლილი ახლა''. ხოლო ავტორი, რომელიც მას „ღმერთს და კაცსშუა მავალს'' უწოდებს ვრცელ მშვენიერი სტატიის ერთ-ერთ აბზაცში უწერს: „დიდ ადამიანთა თანადგომამ, უფლის ნებამ შეაძლებინა ქალბატონ გულნაზის ის შეუძლებელი, რასაც შვილის ცხედრის გვერდით ჟურნალის ნომერის არჩავარდნა ჰქვია. (ხოლო მისი პრეზენტაციის ჟამს ეს უდრეკი ქალბატონი თავს მაგიდაზე დებდა უცაბედად წამსკდარი ცრემლის დასაფარად, ასწევდა სადედოფლო სახეს და ხალხს არავითარ ცრემლს არ ანახებდა). აი რატომ შეადარა სერგი ლომაძემ იგი ილიას ოთარაანთ ქვრივს. და გარკვეულ მომენტებში მეტსაც.

აღიარებული, დღევანდელობის უბრწყინვალესი პოეტი ქალბატონი თამარ ჯაჭვაძე, რომლის არამხოლოდ პოეტურობაზე, არამედ ბრწყინვალე სილამაზეზეც საუბრობენ, ერთ-ერთ გულის ამაჩუყებელ ლექსში ასე უგალობს „დასეტყვილ'' ქალბატონს: „იცინი, რადგან ხარობენ სხვები, თუმც შენი დარდი გიდევს უბეში, რაღაცას იტყვი, რაღაცას ყვები, თვით უნუგეშო, სხვათა ნუგეში''. ერთ-ერთი, მგრძნობიარე პოეტი კი თავის ტკივილიან და ცრემლიან ლექსში „მომენატრე დედა'', ქვის გულიანიც რომ ატირდება ისეთ სტრიქონებს უწერს მისივე შვილის ენით: „ის დრო მენატრება იცი, რომ ლექსს მიკითხავდი დედა''.

თითქოს შეიძლება იფიქრო: - ასეთ ლექსებს აღარ უნდა შეახსენებდე ამ ტკივილით და უსაშველო ბოღმით გაჯერებულ დედასო, მაგრამ იმას რასაც ყოველ წამს მის თვალებში ისეც ამოიკითხავ შეხსენება აღარც ქვია.

ვისაც კალამთან ჭიდილი მოუსინჯია, ყველამ კარგად იცის, აქროსტიქთან შერკინება რა გემოსია. ეს არის რამოდენიმეჯერ ლექსის წერის ილეთის გართულება. სწორედ ასეთ აქროსტიკის მოყვარული პოეტი ცინარი-მარიამ ხმიადაშვილი უსურვებს მიძღვნილი ლექსის ბოლოს „გულნაზ ხარაიშვილს'': „ლ-ოცვით უფალს ვთხოვ მოგმადლოს, ს-იცოცხლე მრავალ წლობითა''.

ამდაგავრ ლექსთა ზომა-წონა, ისევე ვერ აიწონება და გაიზომება, ეს დასწყისში საჩუქრებზე საერთოდ როგორც ვახსენე, მაგრამ არსებობენ უმარავი, აურაცხელი, იმდაგვარნი, რომლთა თუნდაც სტრიქონად ამონარიდნი შორს წაგვიყვანს. ამ სიტყვებში ზუსტად რა იგულისხმება ვერც განვსაზღვრი, მაგრამ ის ვიცი ყველა ისინი საოცარი, ერთნაირი სიწრფელით, რუდუნე-

ბით, სიყვარულითაა დაწერილნი, წრფელნი, პატიოსანნი. აი ერთ-ერთი მათგანი: „გაგიცანი, სიყვარული გამიჩნდა, შეხვედრისას ოცნებები ამიხდა''. „მინდა ვიქცე წამლად გულზე დაგედო''. „გითხრა რა ხარ? ხატად გარდასახული, ბრილიანტი, ბაჯაღლოში ჩასმული''. ეს წმინდა სიტყვები მამაკაცს პოეტისა არ გეგონოთ. იგი ეკუთვნის პოეტ ქალბატონს ნელი გიუნაშვილს. აფერუმ.

და საერთოდ, ეს აკვიატება არაა, ეს ხლახის აზრებია, ხალხისა, რომელთაც ელიტალური სამყარო ჰქვია, სამყარო, რომელიც მარტო მთლიან საქართველოს კიარა, მსოფლიოს მოიცავს. მის მიერ გამოცემული ჟურნალი „ათინათი'' უკვე მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის ესპანურადაც. ჟურნალს, რომლის გამოცემა არცერთი დღით, არცერთი წუთით თუ წამით არ დარღვეულა. ჟურნალი, რომელიც დაუფინანსებლად არსებობს შემოწირულობით თუ რედაქტორისგან უდიდესი სიყვარულის ხარჯით. იმ სიყვარულისა, რომელიც შეუმჩნეველი ბოლო-ბოლო ვერ დარჩებოდა. რომელთა პარალელურად ეს შეუდარებელი რედაქტორი გამოსცემდა ასევე ანთოლოგიასაც.

პოეტი, ცნობილი მომღერალი, უმგრძნობიარესი შალვა ილურიძე ასე უმღერის თავისი საყვარელი ლექსებით, საყვარელ რედაქტორს გულნაზის: „ - გულო! - გულნაზო, ეს ორი სიტყვა, გული და ნაზი ჩავიწან სულში, დიდი პოეტი და დიდი ქალი, რომ ჩავიტიე პატარა გულში'', და რადგან სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, მოქნილკალმიანი ავტორი აკონკრეტებს სიყვარულის მიზანს: „შენს ძმას უყვარხარ ჩემო დაია, დღეს ამიყვავდა ჩემს ბაღში ნუში'', „დიდი პოეტი და დიდი ქალი, რომ ჩაგიტიე პატარა გულში''.

ქალბატონი გულნაზის ერის ტკივილით გამოწვეულ ვარამს ვინ დაინახავს იმაზე უფრო, რამდენადაც ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ლუარა სორდია, რომელიც ამად გულნაზზე ბრძანებს: „ - მწერალი ისტორიიდან გამოიხმობს გმირ წინაპართა სულს, (დავით აღმაშენებელი, თამარი, ზვიად გამსახურდია), ამხნევებს მესიანისტური იდეა ჩვენი ქვეყნის მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და იმედს უტოვებს, რომ ასეთი რჩეული ერი არ შეიძლება გადაშენდეს''.

საჩხერე-ჭიათურის გაზეთ „საშევარდნოს'' რედაქტორი მაია ტყემალაძე ამბობს გულნაზზე: „რაა სიცოცხლე?! - ხშირად უსვამს ამ კითხავს საკუთარ თავს და უკვე პასუხობს, რომ ამქვეყნიური ყოფა წამია, ერთი გაელვებაა და სწორედ ამ გაელვებისას უნდა დაშვრე სიკეთედ, მოყვასსა და ხალხის სამსახურად''... აკი მისი ჟურნალის ერთ-ერთი საუკეთესო სლოგანია: „ჟურნალი მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს...

პროფესორმა ვახტანგ თორაძემ კარგათდ იცის მარტო ბეჭდვითი სიტყვის ფასი კი არა, რიგითი სიტყვის იურიდიული პასუხისმგებლობაც კი, როცა სათქმელის დასასრულ ამბობს: „დასასრულ მინდა ავღნიშნო, რომ პოეტ გულნაზ ხარაიშვილის პოეზია მართლაც ახალი სიტყვაა XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურაში''.

ფილოლოგი, ჟურნალისტი, ჟურნალ „რაჭველების'' რედაქტორი ნინო რეხვიაშვილი გულნაზის პოეტურობას პოეზიის კარიბჭის შეღებად აფასებს: „ქალბატონო გულნაზ, თქვენ მახვილი კალმითა და სპეტაკი მანდილით ფართოდ შეაღეთ XXI საუკუნის პოეზიის კარიბჭე'', „კვლავაც მრავალი წელი ეღვაწოს თქვენს მადლიან კალამს, მრავალი შეგექმნათ, გეთქვათ და გეწეროთ, მუდამ მრავალჟამიერი ყოფილიყოს თქვენთვის''!

ფაზისის საერო აკადემიის წევრი კუკური ფიფია, ვერ ვიტყვი მოლოდინს აჭარბებს მეთქი,

მაგრამ აღარც უამისობაა, როცა ბრძანებს: „წავიკითხე თქვენი „მზის ათინათი'' (წიგნი) და ვიგრძენი, რომ თქვენში ღმერთია განსახიერებული, თქვენისთანა მაშტაბური სიყვარული მხოლოდ ღმერთს შეუძლია.'' (ასე, რომ გაზვიადებულად არ მიხსენებია, როცა ზემოთ აღვნიშნე მრავალი ღმერთს ადარებს მეთქი).

არც პოეტ ანა ქველიძეს ეშლება სათქმელი: „ქალბატონო გულნაზი! სიხარული და სიკეთე, რაც ისე უხვად არის შენში არ დაგკლებოდეს''...

კონკრეტულად ამბობს ვრცელი სათქმელის დასასრულს მწერალი გულნარა შოთაშვილი მასზე: „მისი ლექსებია მისი გულის სარკე და სულის გასაღები...

ვის გულ-ემოციას რა ხვდება... დამსახურებულ დასკვნას დებს დამსახურებული ფილოლოგი ნათია მოსიძე პოეტის რამდენიმე ნაშრომზე: „უდაოდ ჭეშმარიტებაა... ვაჟა ეგრისელისადმი მიძღვნილი პოემა და ჯემალ ხარებავას ვაჟიშვილის ან გარდაცვლილი ბათუ ხარებავაზე დაწერილი პოემა „მდუღარე ცრემლი''.

სანთელ-საკმევლის ჭეშმარიტების ძალაში დარწმუნებული, მსახიობი ლარისა ხაჭაპურიძის კალამი მეტყველებს: „რაც შეეხება თქვენს მიერ გაკეთებულ სიკეთეებს, გახსოვდეთ! სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს''.

დარიკო ონიანი მიმზიდველაურიან გულნაზზე ამბობს: „ქალბატონო გულნაზ? თქვენ ყოველგან სითბოს თესავთ, მხარში უდგეხართ პედკოლექტივს და იბრძვით სწავლა აღზრდის მაღალი მაჩვენებლებისათვის''.

2011 წელს გულნაზისადმი მიძღვნილ ვრცელ სტატიას „ღმერთს და კაცშუა მავალი'', ავტორი ამთავრებს: „დედისმიერი ნასწავლი ანთებული სანთლით, პირჯვრისსახვით ვლოცულობ, რომ კვლავ მრავალგზის შესძლებოდეს ქალბატონ გულნაზის კაცისა და ღმერთის, მკითხველისა და ავტორის რედაქტორ-დედისმიერი შუამავლობა. კვლავ მრავალი „ათინათით'' დაემშვენებინოს ჩვენი დიადი, წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანული ჯვრით დამოძღვრილი, სრულიად ნეტარი, ღვთის წილხვედრ-სათაყვანებელი, მსოფლიოს პატარა ლამაზი გულისცემა, მარადიული თაიგული... საქართველო''!

როგორც ლომაძის ცნობილი წიგნი „გზა მწვერვალისკენ'', თითქმის ასევე უვრცელესი წერილი „ბეწვის ხიდზე'' რეზიუმეა გულნაზ ხარაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, რომლის დასასრულ ვკითხულობთ: „ისღა დარჩენილა კვლავაც დედისმიერი ნასწავლი ანთებული წმინდა სანთლით და პირჯვრისსახვით ამ შუბლნათელ გულ-კალთა-წმინდა ქალბატონს ღმერთს და კაცს შუამავალ, ოქროს შანდალზე სიბრძნით ანთებულ წმინდა ნინოს ჯვრით დამოძღვრილ ენძელისფერ „ათინათით'', თანამედროვე, მაღალი გემოვნების მკითხველის საამებელ თუ თავის სათნო სათაყვანებელ ავტორთა ათგზის და ასგზის ღვთის საუფლემდე (თავად ქრისტეც ხომ შემომქმედი, პოეტი იყო) საქვეყნოდ აღზევებ-წარმოსაჩენად ვუსურვო - მუხლჩაუხრელად (ოქროსქალამანგაუცვეთლად), გონიერთა მანტიით დამშვენებულს, კვლავ შემართებით ევლოს თავისსავე არჩეულ, ერის, ისტორიის წინ პასუხსაგებ, ღვთისკურთხეულ - ბ ე წ ვ ი ს ხ ი დ ზ ე... ამინ! რაც აქროსტიკული ლექსით მთავრდება: „გულნაზ ხარაიშვილს'' გ-ულით დაგაქვს საქართველოს დიდება, უ-ნდა შენი... დავიღალოთ ფერებით, ლ-ამაზ ჰანგით რომ უგალობ ქვეყანას ნ-აზ გრძნობით და მინდვრის ყვავილფერებით. ა-ზარფეშა პოეტისა ღვთით გერგო, ზ-არებს რეკენ შენეულა რითმები, ხ-არ სამშობლოს ქალი - ლექსით მეხოტბე ა-ნას შემდეგ - პირველად რომ ითქმები. რ-არიგ გშვენის მასე წმინდა მანდილი, ა-ქროსტიკის ფერ-მადლშიც

არ იჭრები... ი-სევ ლექსის თბილი ფრთების კამარით შ-ენი სტროფის ბწკარით ღმერთთან იჭრე-ბი. ვ-იამაყებ, რადგან დღეისდღეობით ი-ვერიის წმინდა „ათინათი'' ხარ? ლ-ამაზ რითმის, ლექ-სთა ბაირაღებით, ს-აქართველოს დიდ ჩირაღდნათ ანთიხარ''.

(რადგან „ღმერთს და კაც შუამავლის'' და „ბეწვის ხიდის'' ავტორი ერთი და იგივე პიროვ-ნებაა მათი დასასრული თითქმის მონათესავეა, მაგრამ ისინი უკვე ისტორიაა და კორექტურა უსუსურია).

ქართველებს გენში მოგვდგამს დობილ-ძმობილობა. სხვა ერის იმდენად არ ვიცი, მაგრამ ჩვენში ეს ისე მტკიცე, უღალატო და წრფელია, აქ დადებული ფიცის გატეხვის თითქმის მინიმა-ლური შანსიც ნაკლებია.

ასეთ შეძენილ გრძნობით ნაამები ჟურნალისტი სიმონ ზაქარაია გულნაზზე ამბობს: „ნამ-დვილად პროფესიონალი ხელოვანია, ჩამოყალიბებული ქართველი პოეტი ქალი, რომელმაც ახალი ლექსებით ღირსეული ადგილი დაიკავა ქართველ პოეტთა შორის''.

ქალბატონ გულნაზის სულიერი ყავარჯნის, პოეტ ლამზირა შეყილაძის ვერცერთ ლექსს, ვერცერთ სიტყვას სხვათა მაგალითად, აქ ვერ მოვიყვან, ხოლო ჭეშმარიტ, ყველაზე მეტს, მის თვალებში ამოკითხულ, დიდ უძირო ფილოსოფიურ სიყვარულს კი, ჩემი უსუსური კალმით კია-რა, ვერა სამეცნიერო მეთოდით, აქ ვერ გადმოვაკოპირებ...

„რასაც წამისავმ ხელზეო, იმას მოგისვამ წვერზეო'', არავინ არაფერს გაჩუქებს თუ არა გაქვს გაცემული. გაცემული აქვს გულნაზის ხალხის უანგარო სიყვარული, რასაც სწორედ იმ-კის კიდეც. გაცემული აქვს მიძღვნილი (აქროსტიკული) ლექსები. რის გამოც გამონათქვამისა მაკვირვებს: „ადამინის თვალი დაუნახავიაო'', არ ყოფილა ასე თურმე. დაინახეს ზომიერ, შეა-ფასეს გულნაზის გული, აამეს ამად, სიყვარულზე სიყვარულით სიცოცხლეშივე უპასუხეს, და-უდგეს ლექს-ჯადოსან-საჩუქართა ძეგლები.

ასე, რომ თურმე სასწაულ შესაძლოა გულნაზისადმი მიძღვნილ ჯადოსან საჩუქართა აზომვაც და აწონაც. რისთვისაც საკუთარ გულ-ბარომეტრ-ინდიკატორად, საკუთარ ნაზ, ტკი-ვილიან გულს იყენებს. გული, რომელიც თავად მართლაც აუწონავი აქვს. რომელსაც თავად სიყვარული და პოეზია ჰქვია და რომლის გზა მწვერვალისკენ მიმავალი კი არაა, იქიდან იცქი-რება უკვე.

სამშობლოს თუ თვითეული ადამიანისადმი სიყვარულით გაჯერებული ლექსებიდან, რა-ტომღაც მისი ერთსტროფა შევარჩიე, რომელზეც არ მყოფნის ფილოსოფია მართლაც ვთქვა ერთის თუ ყველას პასუხად აქვს ამოკვნესებული პოეტს სანუკვარი სათქმელი, მაგრამ იგი მა-ინც ჩემი დოკუმენტია:

წითელი ვაშლი რომ მოგქონდა ჩემთვის მალულად
დღე აღარ გავა არ მახსოვდეს სულის არაკო!
ჰოდა ფიქრები მაინც შენთან გამოპარულა
ხომ არ დამიშლი ლექსებით რომ გელაპარაკო!

P.S.

ნაამბობი, 2015 წლის 8 მარტამდის მქონდა დაწერილი. ეს მაშინ, როცა ბედნიერი ვიყავი.

ქვეყნდება, როცა გულნაზივით განადგურებული დავრჩი, რაზეც ჯაჭვაძის მისდამი ნათ-ქვამი მახსენდება: „გული ღრიალებს, შენ რჩები ჩუმი, და ცოცხალ-მკვდარი დაიარები''.

შვილმკვდარი დედა ცოცხალ-მკვდარია თურმე.

ამ ტკივილის გარეშე რამხელა სიძლიერის იქნებოდა ამ ზენიტში, გულნაზისნაირი მოსიყვარულე, ტიტანი გულის პატრონი, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის...

კვლავ ჯაჭვაძის სიტყვები: „იცინი რადგან ხარობენ სხვები''...

სხვა რა გზაა, თუ არა სხვისი სიხარულით სიცილი, რითაც იოტი შვება იპოვება თურმე...

თურმე უნდა გავუფრთხილდეთ ბედნიერებას, რომელსაც ვერ ვგრძნობთ, ბედნიერებას, რომელსაც არ ვიცით როგორ გავუფრთხილდეთ. თანაც იმად, რომ ახალი, ვეღარავინ მიიჯაჭვოს, იმ სასაფლაომ, რომელიც საიქიოსა და სააქაოს შორის ოდესღაც ცოცხალ ჩვენნაირ ადამიანთა ჩონჩხით ნაგები, ძვლისფერი შუახიდია...

გულნაზ ხარაიშვილი – 65

„ყოველი ახალი ლიტერატურული ორგანოს დაბადება

ერის კულტურულ ცხოვრებაში მოვლენას წარმოადგენს.

ის ჩვენი ქვეყნის სიცოცხლის გახანგრძლივების უტყუარი ნიშანია. თუ თანამოზარეთა ჯგუფი, თავისი ნაღვაწის გამოსახატავად ახალ ჟურნალს, ან გაზეთს აარსებს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ჯგუფს პრეტენზია აქვს ორიგინალური სიტყვა უთხრას საზოგადოებას.

„ათინათი“ მშვენიერი სახელია, დარწმუნებული ვარ, იგი კიდევ ერთ შუქად მოემატება საქართველოს ლიტერატურულ სახელოვნებო დარგს.

გაძლებას, გაძლირებას, ახალი შემოქმედებითი გზების აღმოჩენას და ლიტერატურულ ცხოვრებაში დამკვიდრებას ვუსურვებ ჟურნალ „ათინათს“.

რეზო მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქართული
პოეზიის რაინდის ტიტულის მფლობელი

* * *

გულნაზ ხარაიშვილის 65 წლის იუბილე და მის მიერ დაარსებული და გამოცემული ჟურნალ „ათინათის“ 4 წლის იუბილე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა სარედაქციო საბჭომ, ჟურნალის ფურცლებზე აქტიურად მონაწილე მწერლებმა, ისტორიკოსებმა, ეკონომისტებმა, სხვადასხვა დარგის მეცნიერებმა და ხელოვნების დარგის მოღვაწეებმა.

იუბილე წარიმართა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობით მაყვალა გონაშვილისა და რეზო მიშველაძის თაოსნობით. ასევე გულნაზ ხარაიშვილის იუბილე იზეიმა ჟურნალის მრავალრიცხოვანმა მკითხველმა.

პოეტ გულნაზ ხარაიშვილის ცხოვრების ეს საპატიო საფეხური მაინც ორგანულადაა დაკავშირებული მის მიერ თბილისში 2011 წელს დაფუძნებული და გამოცემული ლიტერატურულ ჟურნალ „ათინათის“ მოღვაწეობასთან, რომელიც დღეს 4 წლის შემდეგ ამაყად დააბიჯებს, თითქმის მთელს საქართველოში.

რეზო მიშველაძე, გულნაზ ხარაიშვილი, მაყვალა გონაშვილი, სერგი ლომაძე, მამა გაბრიელი.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ახალი ჟურნალის გამოცემა უამრავ სირთულებთანაა დაკავშირებული, უფრო მეტიც, სქართველოში გართულებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობების მგამო, მრავალი, საკმაოდ ცნობილი და პოპულარული ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა დაიხურა. ამიტომ ხალხი სრულად ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდებოდა, რომ არა საკუთარი ინიციატივით გამოცემული რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი.

ახალი ჟურნალების დაარსება და მისი პერიოდული გამოცემა, როგორც ბატონმა რეზო მიშველაძემ ბრძანა „ქვეყნის სიცოცხლის გახანგრძლივების უტყუარი ნიშანია“.

ჟურნალ „ათინათის“ პირველი ნომრის მეორე გვერდზე, მის დაარსებასთან დაკავშირებით დაიბეჭდა რამდენიმე მისასალმებელი წერილი, რომელთა შორის უდაოდ გამოირჩევა დიდი მწერლის და შემოქმედის, შემდეგში ჟურნალის მეგობრის, პოეზიის რაინდის ბატონ რეზო მიშველაძის წერილი, რომელიც ამავე დროს მიზანმიმართული მოწოდებაცაა. ბატონი რეზოს მოსალოცი წერილი ამ სტატიის დასაწყისშია მოთავსებული. ახლა იმაზე უფრო ფართოდ, თუ როგორ შეასრულა ახალი ჟურნალის რედაქტორობა ყდის გარეთა მხარე – წმინდა ნინოს ხატი მისასალმებელ წერილში გამოთქმული სურვილები.

პირველი მოწოდება იყო ჟურნალის შენარჩუნება-გამძლეობა, რაშიც ალბათ უპირეველს ყოვლისა იგულისხმებოდა ჟურნალის აქტიური მოღვაწეობისათვის აუცილებელებლად საჭირო ფინანსების მოძიება, რაც მხოლოდ და მხოლოდ რედაქტორის პირად აქტივობაზე იყო დამოკიდებული. როგორც განვლილმა 4 წელმა გვიჩვენა ჟურნალის არც ერთ ნომერს ფინანსური კრიზისის გამო ჩავარდნა არ ქონია.

მეორე მნიშვნელოვანი მოწოდება გახლდათ, ჟურნალის „გაძლიერება“. ამ მოწოდების ფილოსოფიური არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი არსება, თუ იდეა იბადება, იზრდება და ვითარდება (რა თქმა უნდა დასასრულიც აქვს, მაგრამ ეს პროცესი ჩვენგან ძალიან შორსაა), რის გარეშე ყველაფერი სწყვეტს არსებობას. ამ კანონზომიერების მცოდნე რედაქტორი იღვწის მის გასაძლიერებლად.

მართალია, ჟურნალის პირველი ნომერიც საკმაოდ ორიგინაურად გამოიყურება, მაგრამ ვინც ყოველი ჟურნალის გამოცემას თვალ-ყურს ადევნებს აშკარად იგრძნობა მისი აღმასვლა, ეს ლამაზად გაფორმებული ჟურნალი, (იგი ეკუთვნის ცნობილ მხატვარს რეზო ადამიას) შინაარსობრივად უფრო მაღალ საფეხურზე ადის. ეს იქიდანანაც ჩანს, რომ ჟურნალის ფურცლებზე არ თაკილობენ თავიანთი შრომები დაბეჭდონ ცნობილმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა. ახალგაზრდა ჟურნალისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც „ახალი შემოქმედებითი გზების აღმოჩენის“ ძიებას შეეხებოდა, რაც ქართული ლიტერატურის სინამდვილეში უდაოდ ძნელია და ხშირ შემთხვევაში მიუწვდომელიც.

ისმის ლოგიკური კითხვა, თუ როგორ გაართვა ამ ურთულეს, მაგრამ ჟურნალისათვის მაცოცხლებელ იდეას თავი ქ-ნმა გ. ხრაიშვილმა. ჩვენდა საისმოვნოდ ეს ურთულესი პროცედურა რედაქტორმა წარმატებით გადაწყვიტა. თუ როგორ ამაზე ჩემი მცირე კომენტარები ქვემოთ.

პირველი არის ის, რომ ახალი ჟურნალის რედაქტორმა ქ-ნმა გულნაზ ხარაიშვილმა და მისმა სარედაქციო საბჭომ თავისი მუშაობა თავიდანვე წარმართა იმ მიმართულებით, რომ შეესწავლა, დაეხვეწა და თავის მუშაობაში გამოეყენებინა ის ძირითადი აპრობირებული, ტრადიციული მეთოდები, რომლებიც სხვა ჟურნალ-გაზეთების გამოცემაში წარმატებით გამოიყენებოდა.

რეზო მიშველაძე, გულნაზ ხარაიშვილი, მაყვალა გონაშვილი, სერგი ლომაძე

ამით მან თავისი ჟურნალი კანონზომიერ ჩარჩოში ჩასვა და ყოველ მიმდინარეობას თავისი ადგილი მიუჩინა. ჟურნალი გახდა მრავალპროფილიანი, როგორც ეს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიას შეეფერებოდა და მის პრეზიდენტს ქ. გ. ხარაიშვილს.

მეორე და უმთავრესი ის გახლავთ, რომ მან მის მიერ მოფიქრებული და შემუშავებული პროგრამის მიხედვით განახორციელა, მხატვრულად რომ ვთქვათ ჯვაროსნული ლაშქრობა საქართველოს რიგ რაიონებსა და ქალაქების სკოლებში, რათა ადგილზევე აღმოეჩინა ნიჭიერი მოსწავლეები თუ წერა-კითხვის მოყვარული ადამიანები, რომლებსაც შემდეგში რედაქტორმა ნორჩი ათინათელი და ნორჩი ლიტერატორები უწოდა. მათ მისცა საშუალება ჟურნალის ფურცლებზე თავიანთი ნიჭი გამოემჟღავნებინა ლექსებით, თუ მცირე მოცულობის პროზაული ნაწარმოებებით, ასევე ჟურნალისტური ჩვევებისადმი მიდრეკილების მქონე მოსწავლეებს შეუმუშავა, სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვით სკოლის მოსწავლეებს მიეცათ საშუალება ცნობილ პიროვნებებთან აეღოთ ინტერვიუ, რომლებიც შემდეგში იბეჭდება ჟურნალში. ამან დიდი ინტერესი აღუძრა ნორჩებს, რათა კიდევ უფრო გაეღრმავებინათ თავიანთი ჟურნალისტური მოღვაწეობა, რომლითაც ისინი უახლოვდებოდნენ თავიანთ პროფესიულ კოლეგებს.

გარდა ამისა სკოლებთან სერიოზულმა მუშაობამ აღმოაჩინა პატარა ვუნდერკინდები, რომლებიც შესანიშნავ ლექსებს წერენ. სხვებთან ერთად აღინიშვნის ღირსი არიან სოსო ხარატიშვილი ლაგოდეხიდან, თბილისის 167 საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე ირაკლი დარსალია, რუსთავის მე-20 საჯარო სკოლისმოსწავლეები ნანა და გიგა ღრუბელაშვილები და სხვა.

გარდა ამისა, როგორც თბილისში, ასევე რაიონების სკოლებში, კულტურის ცენტრებში, ბიბლიოთეკებში ტარდება გამორჩეული ნაწარმოებების პრეზენტაციები, რაც კიდევ უფრო ხლს

უწყობს ნიჭიერი მოსწავლეებსა და ახალგაზრდებთან სემოქმედებითი კავშირების დამყარებას. მუშაობის ამ მეთოდმა მოლოდინს გადააჭარბა, ჟურნალს უამრავი მასალა შემოუდის, დაინტერესებულთა რაოდენობა მატულობს, რამაც სიცოცხლე გაუხანგრძლივა ჟურნალსა და იგი ბევრად საინტერესო გახადა. რედაქტორმა ასეთი მუშაობით ორი ბრძოლის ველი მოიგო – ჯერ ერთი- ახალგაზრდა თაობა ადრეულ ასაკში შემოქმედებით გზაზე დააყენა. მეორე თავისი თავიც უკვდავყო მრავალი ათეული წლების განმავლობაში.

ჩემო ძვირფასო გულიკო, დიდხანს სიცოხლესა და ბედნიერებას გისურვებ შენს დაჭრილ გულთან ერთად, იარე ჩვეული წარმატებებით წინ დიდი შემოქმედებისაკენ.

სიმონ ზაქარაია, ონერ ძაძუა

გულნაზ ხარაიშვილს

ჩემო ქალბატონო გულნაზ, თქვეთან და თქვენს ღირსეულ და მრავლისმცოდნე ქართველი ხალხისთვის საპატიო ადამიანებთან შეხვედრას, ამჯერადაც გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ ვახერხებ...

მომიტევეთ.

სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ბევრს ავსა და კარგს შეხვდები.

ჩემო, კეთილშობილო, ქალბატონო გულნაზ, თქვენც ხომ ჩვეულებრისამებრ ხვედრის ერთერთი სათაყვანო პიროვნება ბრძანდებით...

მაგრამ? და მაინც მაგრამ, – ყველაზე ნამდვილად ვერ იტყვი, – მას სამშობლო იცნობს კარგ საქმეთა მკეთებელ და ღირსეულ მამულიშვილადო. თქვენ კი, ჩემო კარგო, გამორჩეული ბრძანდებით აქტიური ადამიანური პოზიციებითაც, მიზანსწრაფულობით, სამშობლოსადმი სიყვარულით... შეგიძლიათ დიდი ერთგულება და უააღრესად დიდი მეგობრობაც...

ჩემო, სწორედ, ამ უამრავ სიკეთეთა გამო, დიდად დაფასებული. საყვარელი, ადამიანი ხართ ამჯერადაც და იქნებით, ალბათ, მუდამ...

აკეთო ამდენი საქმე იოლი არ არის, თუმცა, „რჩეულთა ხვედრი მძიმეა, სახელი – მისი უკვდავი".

ძალიან მიხარია თქვენი ახალი წიგნის დაბადება. ისიც მიხარია, რომ ერთი ახალი წიგნი შეემატება ჩემი ოჯახის წიგნის თაროს.

გისურვებ კიდევ მრავალჯერ გეზეიმოთ დაბადების დღე და მრავლად გქონდეს ახალ-ახალი წარმატებები...

ამჯერად, კიდევ ერთი სურვილი და ვფიქრობ, – მთავარიც: ჩემო კეთილო ჯანმრთელად იყავი. კარგად გყოლოდეს შენთვის სანუკვარი ოჯახი და დიდ ხანს იხარე მათი გამრავლებითა და გაძლიერებით...

მიყვარხარ...

ციალა ხაჟალია-ანდრიაძე
2015 წლის 19 აპრილი

„გულნაზ ხარაიშვილს“ საიუბილეო საღამოსათვის მიძღვნილი მოკრძალებული ლექსი მთიელ ძმისგან

მინდა თქვენთვის რამე ისეთი თბილი და ჯერ არ თქმული რამ, დავწერო რომ ყველა პოეტს და ყველა მწერალს შეშურდეს ჩემი, მაგრამ ვერ გამომდის ჩემო თბილო და უსაყვარლესო დაიავ! – თქვენ თქვენი ხელოვნებით და მაღალი ზნეობრივი სულგრძელობით დიდი მწვერვალი გაქვთ დაპყრობილი და ამ მწვერვალზე ჩემი ნაწერ-ნაბღაჯნი ვერც კი მიიდგამს კიბეს რომ თქვენ და თქვენისთანა ადამიანებს მიაწვდინოს ხმა რომ ერთ საწყალ მთიელ ბალღს ძალიან, ძლიან უყვარხართ და დიდ პატივს გცემთ, მაგრამ იქნებ ჩემმა დიდმა მთებმა მაინც მოგაწვდინოთ ჩემი თქვენდამი მადლიერება და სიკეთე, თქვენ და თქვენისთანა ადამიანებისთვის მთებიც და ღრუბლებიც საუბრობენ, მზეც და მთვარეც ხომ თქვენთვის ანათებს, მთის ცივი ნიავიც ხომ დაგოგმანობს წმიდა მწვერვალებზე. ამიტომ გავბედე და დაგიწერეთ ეს პატარა მადლობის ბარათი და ეს ჩემი გულიდან ამოსულ-ახმოხეთქილი მთიელის ლექსი. – იცოცხლე და იდღეგრძელე დაიავ გულნაზო, გიცოცხლოს მოდგმა ჯიში და ჯილაგი, ასი წელ ჯანმრთელი გვყავდი სრულიად საქართველოს წმიდა გულის ადამიანებს. ამინ.

შენი ახალგორელი დევნილი ძმა

შალვა ილურიძე

ლოცვა ქსნის ხეობიდან

გულნაზ ხარაიშვილს
იუბილეზე

იბერიელთა დედაო
ჩადრისა მანდილოსანო,
მზის სხივო, ლექსის მჭედელო
ქალავ მისანთა მგოსანო...
ქართული ენის სიწმინდევ,
ჩიქილავ პატიოსანო.
ლექსით, ხმლით, მტრისა მკვეთელო,
ჯავშ-აბჯრიანო, მშვილდოსანო...
ამდენ ტვირთ-ჭირის მნახველო
მატარებელო და მძლოსანო,
წინაპართ კვალზე აფრინდი
მტრედო, გულ-თეთრა ფრთოსანო...
ქართველ ერისთვის იწვიხარ
სანთელო, სიწმინდისანო,
შენით ვამაყობთ იბერნი.
ხარაანთ ქალავ მგოსანო...
ზოგისთვის ტკბილი ბებო ხარ,
ზოგისთვის დედა მრწოსანო.
ზოგისთვის და ხარ, ზოგის ძმაც,
გულნაზო თვალ-სხივოსანო...
ჩემთვის წიგნი ხარ ვაჟასი,
დედაც ხარ, ღვთისმშობლისანო.
დაი ხარ, დაი უტკბესი,
დამრიგებელი ძმისანო.
შენი ლექსები იბერლებს
დაგვრჩება უკვდავისანო,
ნიჭიც და ხელიც გიკურთხოს,
დედაო შავ ჩადრისანო...
გულნაზი ხარაიშვილო,
სწერე კალამო ფრთოსანო.
შენ, გიდღეგრძელოს სამშობლო,
შენ, გიდღეგრძელოს ოჯახი,
შენ, გიდღეგრძელოს კალამი.
ტკბილ მოუბარო მგოსანო...

დღეთა მწვერვალი

გულნაზ ხარაიშვილი – 65

სამი წლის წინ დავწერე წიგნი, მხატვრულ-დოკუმენტური რომანის სახით, – „გზა მწვერვალისკენ“, რომელიც ეძღვნებოდა რჩეულ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს – ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს.

სამი წლის შემდეგ, ორიათასთხუთმეტი წლის პირველ მაისს (პირველიდან ხუთამდე აღნიშნავს ხოლმე საკუთარ მრგვალ იუბილეებს, მაისის დასაწყისში), ვნახე მწვერვალი გულნაზ ხარაიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობისა. ეს იყო შეჯამება, ეს გახდლათ სუპერიუბილე, დიდი ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში ჩატარებული, რომელიც დაემთხვა მისი ახალი და, თუ არ ვცდები, მეათე წიგნის – „დარდის პირამიდების“ გამოცემას.

წელს ხუთ დიდ იუბილეს მაინც შევესწარი, ხოლო ბატონ რეზო მიშველაძის, ქალბატონი მაყვალა გონაშვილისა და ქალბატონი გულნაზის დღეობანი სწორედაც საუკეთესო იყო მათს შორის. ხომ სწორედ ესეა დღევანდელი ლიტერატურის ტრიუმვირატი: ბატონი რეზო – ყველაზე გავლენიანი მწერალი-ლიტერატორი, და ორი ქალბატონი – მაყვალა და გულნაზი – ყველაზე გავლენიანი პოეტი-ლიტერატორები ქალთა შორის.

გულნაზ ხარაიშვილი, მაყვალა გონაშვილი, კახა ბაციკაძე, სერგი ლომაძე

და ამ დღეს, მაისის დასაწყისში, სწორედ ეს სამნი ისხდნენ პრეზიდიუმში (იუბილარი შუაში ჩაესვათ), პრეზიდიუმშივე ვიყავით წარმოდგენილნი მე და კახა ბაციკაძე. ამ ხუთეულს რომ ნიკო ხერკელაძე – მხატვარი-ლიტერატორი, და როსტომ ჩხეიძე დავამატოთ, რომელიც ნიკოსთან ირიბად შეჭიდულია დიდი მოურავის თემაზე, ჩვენ მივიღებთ კრებულს, იღბლად, ყველაზე გავლენიანი ლიტერატორებისას, დღესდღეობით.

მაშ, რეზო, გულნაზი და მაყვალა – ასე იყო წარმოდგენილი, მაისის იმ დღეს, მწერალთა კავშირისა და ზოგადქართული ლიტერატურის დღევანდელი დიდი ტრიუმვირატი.

და იუბილე დაიწყო.

აღარც ვიცი, ექნება თუ არა, კიდევ, ოდესმე, ჩვენი აკადემიის პრეზიდენტსა და მთელს ჩვენს აკადემიას ასეთი მწვერვალი. ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე, რამეთუ ქალბატონი გულნაზის, და, ასევე, ქალბატონი მაყვალას იუბილენი, არის საუკეთესო ყველა იმათს შორის, რომელნიც კი პოეტ-ქალთათვის, მოღვაწე-ქალთათვის გადაუხდიათ.

მაშ, ეს იყო ერთ-ერთი დიდი დღე, წლის დღე, ზეიმისა და ჩაფიქრებისათვის.

ამ საღამო-ღონისძიების გახსის პატივი მე მერგო წილად. შემდეგ მამა გაბრიელმა (წმინდა მამა გაბრიელის მოსახელემ და წმინდა მეუფე თადეოზის სულიერმა მემკვიდრემ) დალოცა ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა ყველა, როგორც უცნობი, ასევე – ცნობილნი. დიახ, ბევრი აღიარებული მოღვაწე იყო წარმოდგენილი დარბაზში.

მერე ისევ მე მერგო სიტყვა, და წამყვანობა სწრაფად გადავულოცე ქალბატონ მაყვალას (რომელმაც წარმატებით გაართვა თავი რთულ ამოცანას. მთელს ხანგრძლივ დისტანციაზე).

მერე იყო სხვადასხვა წოდება-ასაკის უამრავი გამომსვლელი, რომელთაგან ზოგი ლექსით წარსდგა მსმენელთა წინაშე, ზოგმაც სიტყვა წარმოთქვა მხოლოდ, ხოლო ანსამბლებმა – „ქსოვრელებმა“ და „ლომისმა“ თავიანთი დიდებული სიმღერები დააგუგუნეს. ყველა გამომსვლელს თავისი მკვეთრი, ჩამოქნილი აზრი ჰქონდა, და საღამოს, პრაქტიკულად, არა ჰქონია სუსტი წერტილი.

რომელი ერთი ორატორი ჩამოვთვალო!..

ის, რომ რეზო მიშველაძე ძლიერი ორატორია, საყოველთაოდაა ცნობილი...

რაც შეეხება კახას, მან მოკლე, მკვეთრი, ყოვლისდამტევი სიტყვა თქვა. შეფასება: ბრწყინვალე პოეტის ბრწყინვალე გამოსვლა...

რაც შეეხება სუპერფილოლოგს, ლუარა სორდიას, მთავარ მომხსენებელს, მან მიმოიხილა პოეტის ახალი წიგნი. აქ უფრო მთავარი სხვა რამეა: ლუარა აპირებს, რომ თვითონ შექმნას წიგნი გულნაზ ხარაიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. ეს იქნება რიგით მეორე სრული ნაშრომი ამ საკითხში. მივესალმები ქალბატნი ლუარას ამ გადაწყვეტილებას და დარწმუნებული ვარ, რომ იგი ჩემს ნაშრომზე უფრო სრულ, უფრო აღმატებულ წიგნს დადებს. ჩემი შრომა, ამ სფეროში, პირველი იყო (საერთოდ, მე და ჩემს მეგობრებს ბევრ რამეში გვეკუთვნის პირველობა თუ სხვადასხვა რეკორდები), ის გზის გამკვლევი იყო, ამიტომაც ფასობს, თუმცა უფრო აღმატებული გამოკვლევანი, როგროც ჩანს, აწი იქნება...

რომელი ერთი ჩამოვთვალო მეთქი. (ღონისძიების თითქმის დასასრულში გამოვიდა მხატვარი-ლეგენდა რეზო ადამია, რომელიც ეჭიდება, ფერებში, გალა-გრანელის თემებს. მეც ხშირად ვადარებ ამ ორ პოეტს და ჩემივე შედარებანი, ამ შედარებათა ნიუანსები, ათასჯერ გადავაფასე. დასკვნა კი მაინც ერთია: ბარათაშვილი, გალა, გრანელი, – დიდი ლირიკული ტრიუმვირატი, – პირველი, მეორე, მესამე ლირიკოსნი, თუმცა, ამავე დროს, სამივე – მხოლოდ პირველნი!)

რომელი ერთი გამომსვლელი გამოვარჩიო... არც ვინ... ყველა ბრწყინავდა!..

მაგრამ მაინც გამოვარჩევდი ერთ-ერთ მათგანს: ეს გახლდათ ქალბატონი ლიანა ოსიაშვილი. (იგი გამოარჩია, ასევე, ლამარა გერგედავამაც).

არა, არ ბრწყინავდა იგი. პირიქით: შავით შემოსილიყო, ძაძები ემოსა. არადა, ყველთვის მხიარული გვახსოვს, ფერადი, შემართული, ანთებული... ახლა კი... მას შვილი დაეღუპა ახლახანს... და

მაინც მოვიდა. არ მიატოვა ქალბატონი გულნაზი, არ გამოტოვა მისი იუბილე, მოვიდა, მიულოცა, თუმცა ლექსები კი მეტად სევდიანი წაკითხა შემაძრწუნებლად სევდიანი, მაგრამ ამ ლექსებმა დაამტკიცა სწორედ, რომ ლია არის ერთი რჩეული ოსტატთაგანი სიტყვისა. გულწრფელად ვაღიარებ: მხოლოდ ახლაღა გავიგე, რომ ის ნამდვილად არის რჩეულთაგანი, ჭეშმარიტი ოსტატი...

ქალბატონი გულნაზისადმი მიძღვნილ ექსპრომტებში გამოვარჩევდი მიმოზა ცანავას მიერ წაკითხულ ლექსს... გამოვიდა მარინა სხირტლაძეც თბილი და კლასიკური სიტყვებით.

საერთოდ, ყველა ხელოვანის შემოქმედება მრავალფეროვანია თავისებურად, და ყველა ხელოვანი სიახლეა თავისებურად, ხოლო ქალბატონი გულნაზის „დარდის პირამიდები“ ისეთი მკვეთრად ახალი სიტყვაა ქართველ ქალ პოეტთა ნამუშევრებს შორის, ბევრი ადრეული ქმნილებაც არის შეტანილი), რომ ეს წიგნი საერთოდ ერთ-ერთი საუკეთესოა ამავე სფეროში. ვიცი, მოვა დრო, და მასზე ცალკე გამოკვლევა დაიწერება, მაგრამ ჩვენ მივუბრუნდეთ იუბილის თემას (სხვათაშორის, იუბილის დროს შევხვდი განუყრელ მეგობრებს – ნიკო ხერკელაძეს და გელა ლარიაშვილს. მათთან ერთად, ასევე მერაბთან ერთად, რომელიც მათივე მეგობარია, მე და კახა ტელეობიექტივზე პოეტურ-ფილოსოფიურ-ისტორიულ გადაცემებში ვმონაწილეობთ).

იუბილეზე ფართოდ იყო წარმოდგენილი უახლესი თაობა:

საჯარო სკოლები. წარმოდგენილი იყო, ასევე, მშვენიერი მსახიობი გოგონა, რუსთავის ფორუმიდან, იქაური ფორუმის ლიდერის – ბატონი ნოდარის ქალიშვილი, და ტატო ხარატიშვილი – კახელი პოეტი-ვუნდერკინდი. წარმოდგენილი იყო გვანცა ხარაიშვილიც, რომელსაც ძალიან ძლიერ პოეტად მივიჩნევთ მე და კახა (მას, ისევე, როგორც ბევრ სხვას, „ზღვარის სკოლა“ აქვს გავლილი, და „აკადემიის სკოლაც“).

განსაკუთრებით ისახელა თავი 36-ე საჯარო სკოლამ, რომელმაც სულ პატარა ბავშვები მოიყვანა, წიწილებივით საყვარლები და ლამაზები. ეს ბავშვები სულ ზეპირად ამბობდნენ ქალბატონი

გულნაზის ლექსებს, უამრავ ლექსს, რითაც გააოგნეს ბატონი რეზო და ქალბატონი მაყვალა.

არ შეიძლება აღუნიშნავი დარჩეს ის, რომ აღმოსავლელებს იმ დღეს დასავლეთელნიც შემოგვიერთდნენ, რადგანაც გულნაზ ხარაიშვილი უკვე მთელი იმერეთის, მთელი ქართლის, და მთელი საქართველოს საკუთრებაა. ლიხსიქიდან გვეწვია საჩხერის და ჭიათურის წარმომადგენლობა. ისინი სტუმრები იყვნენ, ხოლო მასპინძლობა ჩვენ გავუწიეთ.

უმაღლესობა, ღონისძიებისა, ფაუსტური წამი ღონისძიებისა, იყო ის ეპიზოდი, როცა გამოირკვა, რომ მწერალთა კავშირს დაუარსებია ჩვენი გულნაზის ადრეწასული ძმის – ლეგენდარული ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემია, და მისი პირველი ოფიციალური მფლობელი გახდა თვით ქალბატონი გულნაზი (ნახევრად-ოფიციალურად, ეს პრემია, უფრო ადრე, ზოგ სხვასაც გადაეცა, ოღონდაც სხვა ეგიდით, და თვითონ გულნაზის მიერ. ერთ-ერთი ასეთი დაჯიდლოებულთაგანი, მაგალითად, იყო ლეო ბაბუხადია – ბეჟანის წიგნის პირველგამომცემელი.)

როცა ბატონმა რეზომ გულნაზ ხარაიშვილს ბეჟანის სახელობის პრემია გადასცა, დარბაზი ფეხზე წამოიშალა, ხოლო აპლოდისმენტებს საზღვარი არა ჰქონდა. ქალბატონი გულნაზი ჯერ არასოდეს ასულა ასეთ მწვერვალზე. (არ ვიცი, რამდენ ხანს დარჩება ასეთ თვალშეუდგამ სიმაღლეზე, ზენიტზე). იგი თავდახრილი იდგა და ტიროდა. ეს სიხარულის ცრემლები იყო. ერთ ეპიზოდში ზეასწია მისი უმცროსი ძმის სახელობის პრემია, და ყველას დაანახა ამაყად და სამოცდახუთი წლის ასაკში, როგორც იქნა, ამ ქალბატონმა თითმქის ყველაფერს მიაღწია, ყველაფერს, გარდა იმისა, რომ მარტო ხალხმა კი არა, სახელმწიფოს ზედა ფენებმაც დააფასონ იგი, მკვეთრად და ღირსეულად დააფასონ.

მსურს, რომ პოლიტიკურად მკვეთრად შეიცვალოს რაღაცეები. არადა, სინამდვილეში, მე და ჩემი მეგობრები, ხელოვნებისა და ფილოსოფიის მეტს ვერაფერს აღვიქვამთ სერიოზულად,და რომ ვერ შევხედეთ, დღემდე, სერიოზულად, პოლიტიკას, ამიტომაც ვერ ფასდება, სათანადოდ, ყოველ დონეზე, ისეთი დიდი ადმიანები, როგორიცაა, ვთქვათ, ქალბატონი გულნაზი – ერთ-ერთი დედოფალი, დედა-დედოფალი ქართული ლიტერატურისა, მთელი ქართული კულტურისა, ადამიანი, რომელსაც რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში რამოდენიმე ათასი ღონისძიება ჩაუტარებია!

და იგი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოქმედი, აქტიური, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე, ყველაგან, ყველა ფენაში უნდა იყოს სათანადოდ დაფასებული!..

ღონისძიება ხალხმრავლი იყო, მან ძალიან დიდხანს გასტანა, სადღაც, სამი-ოთხი საათი (ღონისძიებანი, საშუალოდ, ორ საათს გრძელდება), მაგრამ დამსწრეთა ნაწილი მაინც ბოლომდე დარჩა...

მაშ, მე და კახა, დილით, ტელევიზიაში ვიყავით, პირდაპირ ეთერში (საიდანაც მივულოცეთ სამაისო იუბილეები გულნაზ ხარაიშვილსა და მანანა დანგაძეს), შუადღისას იუბილეზე ვიყავით, დიდ, გრანდიოზულ იუბილეზე, ხოლო საღამოს „ვარდების ბაღში“ მდებარე რესტორან „ათინათში“ ვზეიმობდით, ყველასთან ერთად, ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორის იუბილეს. საოცარი დრო ვატარეთ რესტორანშიც, სადაც, სუფრის პარალელურად, სიმღერები, ცეკვები, სხვადასხვა დადგმები წარმოგვიდგინეს. აღტაცებულნი ვიყავით მე და კახა, ლამზირა შეყილაძე, ნაირა მარშანია, ქალბატონი გულნაზის რძალი და მისი ნიჭიერი შვილიშვილები, რეზო ადამია, რომელსაც მხატვართა კავშირის თავმჯდომარე უმშვენებდა გვერდს, ასევე – ხაშურის ბიბლიოთეკის მოქმედი

დირექტორი, რომელსაც, სუფრაზე, გვერდს უმშვენებდა გერმანული ენის ერთი რჩეული სპეციალისტი ქალბატონი, ხოლო მე დ აიმ ქალბატონმა ბევრი ვისაუბრეთ ევროპულ-ამერიკული კულტურის შესახებ, ვისაუბრეთ ცხოვრების ჭეშმარიტი აზრის შესახებაც (ამ საკითხზე სულ, სულ ვფიქრობ)... „ათინათში“ მოვინახულე გვანცაც და ნანაც ქალბატონი გულნაზის გზის გამგრძელებელნი... იქვე მოვინახულე ბატონი ჯუმბერ ხარაიშვილი, პოეტი თამარ ჯაჭვაძე და სხვები და სხვები (სხვათა შორის, ბატონ მანუჩარ მაჩაიძესაც მოვკარი თვალი იუბილეზე, თუმცა რესტორანში იგი, აღარ მინახავს)... სუფრას ბატონი რევაზ მიშველაძე თამადობდა.

მაშასადამე:

ქალბატონ მაყვალას მიჰყავდა ღონისძიება, ასე ვთქვათ, პირველი განყოფილება.

ხოლო ბატონ რეზოს მიჰყავდა სუფრა, ასე ვთქვათ, მეორე განყოფილება. მერე იგი წავიდა, ხოლო თამადობის მძიმე, მაგრამ სასიამოვნო ჭაპანი სხვამ იდვა კისრად, ბატონმა რეზომ კი იქამდე უკვე მოასწრო საკუთარი სათქმელის თქმა...

ხომ ბევრი პიროვნება დავასახელე, კიდევ უფრო ბევრი დაუსახელებელი დამრჩა. გულნაზის იუბილეს ესწრებოდა ხაშურის საკრებულოს თავჯდომარე, ბატონი ვაჟა შუბითიძე, რომელმაც შეაფასა ღვაწლი პოეტისა, აგრეთვე ხაშურიდან იუბილარის საპატივსაცემოდ ჩამოსული იყო ხაშურის ბიბლიოთეკის დირექტორი, მაკა დიდებულიძე...

გრანდიოზული დღე მიიწურა.

საუკუნის საუკეთესო იუბილეთაგანი დასრულდა, ერთ-ერთი უთბილესი, ულამაზესი დღეობა...

მერე მე და კახა მარტო ვისხედით ბაღში. გაწვიმდა. დადგა ღამე პოეტური წვიმისა. ჩვენ ვფიქრობდით ყველაფერზე. ახალგაზრდები არ იშლებოდნენ ბაღში, მიმოდიოდნენ აქეთ-იქით. ლიცლიცებდა ღამის ფანრები, წვიმა ათასფრად ბრჭყვიალებდა მათ შუქზე.

თბილისი (და ოზურგეთი) ჩემი ქალაქია. დიდი დიღომი, აღმაშენებელი, ვაკე და ყველა უბანი ჩემი უბანია.

და აღმაშენებელზე ვიყავით, მეფისუბანში ვიყავით, ხოლო მეფური იუბილე, თავისი ორივე გრანდიოზული განყოფილებით, ახალდასრულებული იყო.

და ჩვენ ვფიქრობდით იმათზე, ვინც ნახა ეს ზეიმი.

და ვფიქრობდით იმათზეც, რომელთაც ჩვენზე უფრო მეტად უყვარდათ სიცოცხლე, მაგრამ ვერ მოესწრნენ ამ დღეს, ვერ მიიღეს მონაწილეობა ასეთ ლამაზ ზეიმში.

ყველაზე, უფრო კი – მეუფე თადეოზზე ვფიქრობდი, სიკვდილ-სიცოცხლის ამ დიად მოძღვარზე, ბერ-პოეტზე (რუსთველიც ხომ ჯერ თუმცა რაინდი იყო, რაინდი-პოეტი, ბოლოს მაინც ბერი-პოეტი გახდა და ასე ჰპოვა დასასრული თუ – დიდი დასაწყისი). გავშეშდებოდით წამიერად, წაგვიღებდა, რა, ფიქრი, მერე ვფხიზლდებოდით, თბილი სევდით აღვსილნი.

მერე, გვიან, როდის-როდის წავედით სახლში, იქვე, აღმაშენებელზე, და შთაბეჭდილებებით აღვსილი, არც დაგვეძინა – ვუყვებოდით ახლო ადამიანებს ყველაფერს, ნანახ-განცდილს. ასე თეთრად გავათენეთ ის ღამე.

დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ქაბლატონი გულნაზი დაიძინებდა, ისიც გატეხდა ღამეს, თეთრად გაათენებდა მთელს ღამეს, შთაბეჭდილებებით დახუნძლული, ფიქრებით აღვსილი...

თბილისი. 2015წელი. მაისი.

სერგი ლომაძე

მივესალმები გულნაზ ხარაიშვილის საპატიო იუბილეს

დიდი ხალისითა და პატივისცემით ვულოცავ გულნაზ ხარაიშვილს ღირსეულ იუბილეს – დაბადებიდან 65 წლისთავს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ჩვეულ წარმატებებს მის მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობაში.

გულნახ ხარაიშვილი არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მწერალი, ჟურნალისტი. „ათინათის“ მთავარი რედაქტორი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მრავალპროფილიანი აკადემიის პრეზიდენტი, „ფაზისის“ აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და რუსთავის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

აღნიშვნის ღირსია მისი ორგანიზატორული ნიჭი ღირსსახსოვარი საღამოების მოწყობისა, სადაც იგი ღირსეულ პატივს მიაგებს ცნობილ მწერლებს, მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, გამორჩეულ ბიზნესმენებს. ამით ქალბატონი გულნაზი, საჭირო და აუცილებელ კონტაქტებს ამყარებს საზოგადოების ყველა ფენასთან, ინერტიულ მდგომარეობიდან გამოჰყავს საკმაოდ ნიჭიერი ნაწილი საზოგადოებასთან იგი ცოცხალ კავშირს ამყარებს საქართველოს მოსახლეობის ქალაქის, რაიონების სკოლის მოსწავლეებთან, სადაც მან აღმოაჩინა უდაოდ უნიჭიერესი მოზარდები, რომელთა ხელწერა ჟურნალ „ათინათის“ ფურცლებზე პერიოდულად იბეჭდება.

მისასალმებელია ასევე ნორჩი „ათინათელების“ ჟურნალისტური ჩვევების გამომუშავება, რითაც ისინი ბაძავენ თავიანთ პროფესიონალ კოლეგებს, დიდ ჟურნალისტებს. ნორჩები იღებენ ინტერვიუებს ცნობილი ადამიანებისდაგ და მას შესანიშნავად აანალიზებენ და შედეგებს აქვეყნებენ ჟურნალის ფურცლებზე.

განსაკუთრებული კმაყოფილებით ავღნიშნავ გულნაზის მიერ ახალი ლიტერატურულ-პოპულარული ჟურნალის „ათინათის“ გამოცემას, რომლის მთავარი რედაქტორიც თვითონაა. ყოველკვარტალური ჟურნალი „ათინათი“ ერთ-ერთი აქტიური და აქტუალურია მთელს საქართველოში. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ გულნაზ ხარაიშვილი როგორც რედაქტორი წელგამართული დგას, მოწოდების სიმაღლეზე და აკმაყოფილებს როგორც მრავალრიცხოვან მსურველებს ჟურნალში მონაწილეობის მიღებისა, ასევე მკითხველთა მზარდ მოთხოვნებს.

და ბოლოს დიდი კმაყოფილებით მინდა ავღნიშნო გულნაზ ხარაიშვილის პოეტურ ნიჭზე, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა მის კოლეგებსა და მკითხველებში, მის ნაწარმოებებს დიდი ინტერესით ვკითხულობ, ველი ბევრ სიახლეს. ამ დაუღალავი, ნიჭიერი და განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭის მქონე ქალბატონისგან, ჩვენი მეგობარი გულნარა ხარაიშვილისაგან.

წარმატებები და ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი მომავალი ცხოვრების მეგზური ქალბტონო გულნაზი.

„ფაზისის“ მეცნიერებათა საერო აკადემიის პრეზიდენტი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ***ნუგ ზარ ნადარაია***

გულნაზ ხარაიშვილი – 65

ქალბატონო გულნაზი! გულითა და სულით გილოცავთ დაბადების სამოცდამეხუთე წლისთავს! გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, სიცოცხლეს, რომელიც მთლიანად საზოგადოებრივ

საქმიანობას ეკუთვნის... იდეალებს და მათზე ზრუნვას ეკუთვნის... მოყვასთა სიყვარულს, ატირებულის ნუგეშისცემას, ღირსეულის დაფასებას და საკუთარ წუხილზე ამაღლებას და გამარჯვებას გვასწავლის. შენდობას და უაღრეს დიდსულოვნებას გვასწავლის.

თითოეული ადამიანი ხომ სახეა თავისი კუთხის, მიწის და ქვეყნის. თქვენი ბედისწერა ყველაზე მეტად ჰგავს თქვენს ქვეყანას და მის თანამედროვეობას. საკუთარ მიწას მოწყვეტილი,ლტოლვილადქცეული, უნუგეშო და უმფარველო, გულჩაკლული და აჩრდილადქცეული, მაინც ძლიერი და ვერმოტეხილი კი არა, ვერმოხრილი და ვერმოღუნული! მძიმე ტვირთით მხრებზე, ამაყად მოსიარულე, სიკეთის და სხვათა სალბუნის საძებნელად მუდამ მზადმყოფი.

გისურვებთ ჯანმრთელობას, რადგან ეს ჯანმრთელობაც გარშემომყოფთა სასიკეთოდ არ გენანებათ! გახარებას, რადგან ეს სიხარულიც გარეშესა და შინაურს უნაწილდება! გისურვებთ თქვენი ჯიშისა და შთამომავლობის გამრავლებას და დღეგრძელობას! ნაადრევად მზეგადასული შვილის დანატოვართა გაძლიერებას, ქართული ჯიშის სასახელოდ და სამარადჟამოდ.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ძნელბედობის ჟამს გამოჩნდით ჩემს ცხოვრებაში და რამდენი ნუგეში, სითბო და სიყვარული დავინახე თქვენში! მინდა რომ ასე, თქვენნაირად სითბოდ, სიყვარულად და სიკეთედ დიოდეს ყველა ქართველი, მარტო ძნელბედობისა და გაჭირვების ჟამს კი არა, მარადიულად, ყოველდღიურ რეალობაში...

გულნაზ ხარაიშვილი, ვახტანგ სხირტლაძე, თეონა სხირტლაძე, რეზო მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი

ამბობენ, ძნელბედობისას ქართველებს გვჩვევია თანადგომა და ნუგეში, მაგრამ...“ლხინში ავხირდები, განზე გაგიდგები”-ო! ამბობს მურმან ლებანიძე. თქვენ ლხინში თანადგომა უფრო მეტად შეგძლებიათ. ადამიანებს ერთმანეთი რომ შეაძულო, სიძულვილი უნდა იცოდე, ასევეა პირუკუც, რომ შეაყვარო დიდს და პატარას ერთმანეთი, თავად უნდა შეგეძლოს სიყვარული. ასე სიყვარულმოსხმულს განგევლოთ დარჩენილი, ერთი ამდენი გზა... და ის სიხარული, რასაც თქვენ სხვისთვის აკეთებთ, ბუმერანგივით დაგბრუნებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს, დღესა თუ ხვალე, აწ და მარადის, ვიდრე სამყარო იარსებებს და იარსებებს ადამიანთა მოდგმა დედა-მიწაზე!

კიდევ და კიდევ გილოცავთ, კიდევ და კიდევ გლოცავთ, კიდევ და კიდევ გეფერებით, ისევე თბილად, როგორი მოფერება და სითბოც თქვენ შეგიძლლიათ! დიდხანს იცოცხლეთ!

თამარ ჯაჭვაძე

გულნაზ ხარაიშვილს

ათინათის გული ხარ,
გულთბილი და სვიანი,
უტკბილესი ქალი ხარ,
მჭევრმეტყველი, წყლიანი.
შენი კრედო მადლია
და დაჰყვები გულის-ხმას.
მრავალძარღვულ სიტყვებით,
აფრქვევ ღვთიური ქარიზმას.
მიწას რბილად აბიჯებ,
გული რომ არ ეტკინოს
სხვებს ტკივილს უმსუბუქებ,
გულს რომ ვარდი ეფინოს.
დაფუსფუსებ დღე და ღამ,
დაღლა არც კი გემჩნევა,
ათინათის ფურცლებზე,
შენი გარჯა ემჩნევა.
ერის, გულის ვარდი ხარ,
ერის შვილი საჩინო,
შრომით თავს არ იზოგავ,
ერი წარმოაჩინო...
მრავალ დარდის პატრონო,
დარდით ვინ გაგაკვირვებს.
გმირულ გულის კარნახით
ებრძვი დროის ვამპირებს.
სამომავლო საქმეებს,
ვაჟკაცურად უძღვები,
გაზაფხულს და სამშობლოს
ყვავილივით უხდები.

გილოცავ 65 წლის იუბილეს, გისურვებ უამრავ ბედნიერებას
ლამზირა შეყილაძე
05.05.2015 წელი

მაია ტყემალაძე

„ქარებს მოჰყოლია ყვავილთა სურნელად...“

ის მართლაც, ხან ქარებს მოჰყვება ყვავილთა სურნელად, ან – შვლის ნუკრის სევდიან გამოხედვად, ან – ია-იების გულსაკლავ ამოოხვრად; ხან ლურჯად მოლივლივე ზღვის ტალღებიდან ირეკლება მსასოებელი ხმა: „იქ,მივიწყებულ საკურთხევლის მაღალ სარკმლიდან, ქარაფს მთვლემარეს მთვარემ ვერცხლის ჯაჭვი დაჰკიდა...“

უნუგეშოდ აკვნესდება უკიდეგანო მთის სიმაღლეზე დადგმული თეთრი ღრუბლების როიალი... ტკბილ-მწარე მოგონებები აჩრდილებივით აირევიან და ცის დასალიერში ჩაიკარგება მარადიული სიცოცხლის ექო...

მიმსვლელებს უღიმის სკვერი „უვიწყარა“. ეს პოეტის საყვარელი ყვავილის სახელია, თან დაუვიწყართან კავშირში რომაა, ამიტომ ჟღერს მტრის ტყვიით გულგანგმირული, უმშვენიერესი პოეტი ქალის უკვდავსაყოფად დაარსებული სკვერის სახელი – „უვიწყარა“, ძალიან ლამაზ-სევდიანად...

იმ სკვერში შეყვარებულმა ვაჟმა, პირველად, შეფარვით აკოცა გოგონას. შეკრთა მეწყვილე, დიდრონი თვალები მწყრალად შეანათა. ბიჭს უცებ გაახსენდა ლექსის სტრიქონები და ამოიჩურჩულა:

„იმ გაუვალ, უცხო გზებზე,
განა მართლა დამეკარგე, კარგო?..
ვძებნე, ვძებნე, ვერ მოვძებნე
გასაღები,ე, მაგ გულის სარგო...“

გოგონასაც გაახსენდა და დაუთბა მზერა:

„ვკრიფე, ვკრიფე, ვერ დავკრიფე,
განა მართლა ყვავილების ტყვე ვარ?..
უნებლიედ გულზე ხელი დავიკრიფე
და მზით მთვრალი ყვავილებში ვწევარ...“

ვაჟმა მყისვე შეაგება:

„ვწერე, ვწერე, ვერ დავწერე,
განა მართლა წვერი მოტყდა კალამს?.
გული შენზე ოცნებებით შევაჯერე
და არავის ფიქრი მომიპარავს...“

თითქოს გამოსტაცაო ბოლო სიტყვა და ახლა გოგონამ გააგრძელა:

„სხივი მწველი ბალახებში იმალება,
ქარი უმღერს ჩვენს აწმყოს და წარსულს,
ნუმც მომშლოდეს ქართულ ზეცის ბრწყინვალება,
საქართველოს პირმშვენიერ ასულს.“

„უკვდავება!“ – ამოიგალობა მთვარის ორეულზე თავმიდებულმა, თეთრი სუდარასავით თეთრი ვარდის კუკურმა და აფხაზეთიდან მოქოშინებული ქარისაგან მოტანილი ზღვის სურნელება ჩაისუნთქა.

ზღვის სურნელებას პოეზიის სურნელი ათბობდა.

„ნუმც მომშლოდეს ქართულ ზეცის ბრწყინვალება,
საქართველოს პირმშვენიერ ასულს.“

გაიმეორა მთვარის ორეულზე თავმიდებულმა თეთრი ვარდის კუკურმა უღვთოდ გამეტებული პოეტის სტრიქონები...

სწორედ „ქართულ ზეცის ბრწყინვალებას“ შეეწირა „საქართველოს პირმშვენიერი ასული“ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე...

„ეთერზე ვფიქრობდი...მომენატრა, ძალიან მომენატრა და უსაშველოდ მომინდა მისი მოფერება...ჰოდა, ამ ლექსით მოვეფერეო“ – აღმოთქვა თბილმზეგულა ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა და ტელეფონით წამიკითხა ჩვენი უსაყვარლესი პოეტის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძისადმი მიძღვნილი ლექსი.

ეთერ დაგიტირეს პოეტებმა
ეთერ ჯღამაძე-სამხარაძეს

მხოლოდ შენ გცოდნია სიყვარული,
მხოლოდ შენ გცოდნია ერთგულება.
ცაო არ ატირდე სიბრალურით,
ეთერ ჭიათურაში მეგულება.
ფიქრით შემომბღავლეს სონეტებმა,
გული ჩამითუთქა ბედისწერამ,
ეთერ დაგიტირეს პოეტებმა,
მეკი ეს სტროფები დამეწერა.
ჩემი ჭიათურის ნამის ცვარო,
ქალო, სიმართლისთვის ნატყვიარო,
იქნებ ზეცის სახლში გაიხარო
იქნებ ცაში მაინც მოგიარონ.
მხოლოდ შენ გცოდნია სიყვარული,
მხოლოდ შენ გცოდნია ერთგულება
ცაო, არ ატირდე სიბრალურით,
ეთერ ჭიათურაში მეგულება.

გულნაზ ხარაიშვილი

ლევან ბაბუხადია

მწვადი. . . („ტაჭკით“)

სათაურიდან გამომდინარე, პირდაპირ მწვადით დავიწყოთ.

მწვადი საქართველოში კი არა, მგონი, მსოფლიოს ყველა კუთხეშიც იციან, მაგრამ კახეთში რომ მწვადს ნახავ, ისეთს ნურავინ დაიჩემებს. თუმცა, თურმე იქაც არის გამორჩეული ადგილი – კაჭრეთი. ამიტომაც გაჩნდა და დამკვიდრდა ტერმინი „კაჭრეთის ჩემპიონი“.

– კარგი მწვადი კარგმა ხორცმა იცისო! – იტყვის ერთი.

– რქაწითელის წალამი მაინც სხვააო! – შეეპასუხებაა მეორე.

– ხელი მაინც მთავარიაო! – აღმოჩენასავით წამოიძახებს მესამე.

– მადლი?! – სახე გაებადრება მეოთხეს.

როგორ გინდა რომელიმე იმათგანს არ დაეთანხმო, მაგრამ, სანამ სათაურში გამოტანილ ახალ ტერმინსაც შემოგთავაზებთ, მანმადე ძალიან მინდა გაგაცნოთ ამ მოთხრობის გმირი – ვანო პაპა.

მაღალი, გამხდარი, ჭაღარა, კარგი მოსაუბრე, დროული კაცი. . .

ვგრძნობ, ეპითეტებით მის დახასიათებას ჯეროვნად ვერ შევძლებ და ისევ ამბავს მოგიყვებით:

კახეთში, კაჭრეთში, ვანო პაპასთან ვართ სტუმრად. მისმა შვილიშვილმა, ჩემმა უმცროსმა მეგობარმა ირაკლიმ მთხოვა, მოხუცების სანახავად მივდივარ ცოლ-შვილით და შენც გამომყევიო.

ადრე გაზაფხული იდგა. ცივი, ჟინჟლიანი ამინდი. საღამოხანი.

ნეტავ გენახათ, როგორ გაიხარეს მოხუცებმა, შაქრად დადნენ, დაფაცურდნენ, ღუმელი გააჩაღეს, ვახშმის სამზადისს შეუდგნენ.

ნინა ბებო ნამასწავლებლარი ქალი იყო, ლიტერატურა ძალიან უყვარდა და ადრე თურმე ლექსებსაც წერდა.

ვანო პაპაც განათლებული კაცი ჩანდა, ენაწყლიანი და ფიქრიანი. რა არ გადახდომოდა თავს. სამამულო ომშიც ებრძოლა, თანამდებობებზე ემუშავა და ციხეშიც მოხვედრილიყო. ლხინიც ბევრი ენახა და ჭირიც, მაგრამ მათი ყველაზე დიდი მოსაგონარი, მოუშუშებელი ტკივილი თავიანთი ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ. ერთი – ამ ჩემი მეგობრის მამა და მეორე – უცოლშვილოდ გადაგებული.

უცებ, ერთი შეხედვით ამ კერპ კაცს ცრემლი მოერია, მკლავში ხელი ჩამავლო და თბილი, ჩაღუღუნებული ოთახიდან აივანზე გამიყვანა. გრილი სიო თითქოს საშველად შეგვეგება. რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ მოხუცმა ხელი არ გამიშვა და ერთ-ერთი ოთახის კარი შეაღო. ოთახში მკრთალი ნათურა ენთო და მუზეუმის მსგავსი წესრიგი და სისუფთავე სუფევდა. კედლებზე ლამაზი, ჯანმაგარი ბიჭების გადიდებული სურათები ეკიდა. . .

ალბათ, იშვიათად თუ უნახავს ვინმეს, ყმაწვილივით ატროკებული, ჭარმაგი მამა როგორი სიამაყით ყვებოდა თავისი სასახელო შვილების გმირულ, შესაბამის ამბებს. . .

მეორე დღეს ადრიანად ავდექი, მამულში მივიარ-მოვიარე. ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობოდა. საბაღჩე ნაკვეთში ბარვა წამოეწყოთ, მაგრამ ალბათ, ნიადაგი ჯერ არ გამომშრალიყო და ნიჩაფი იქვე მიეტოვებინათ. მივედი და ბარვა გავაგრძელე.

მალე ირაკლიც გამოვიდა და კახეთში სტუმარს არ ამუშავებენო! – თვალების ფშვნეტით მითხრა. ცოტა გაკენწვლა მომინდა, მაგრამ სერიოზულად ვუთხარი: სანამ ამ ნაკვეთს არ დავბარავთ, ქალაქში არ მოვდივარ-მეთქი.

აბა, დავრჩენილვართ ერთი კვირაო! – გაიცინა, მაგრამ მალე იკადრა და მხარში ამომიდგა. სანამ ვანო პაპა გამოჩნდებოდა, კარგა გვარიანი მიწა გადავგუგნეთ.

ჩვენს შემხედვარე პაპას თვალებში სიხარული ჩაუდგა, მაგრამ ნიჩბები მაინც დაგვაყრევინა და წინა ეზოში გამოგვიყვანა.

– ამ ხეივანს ხომ ხედავთ, მეოთხე წლის ვაზია და როგორ გაიმართა. ამ ხნის კაცი ვარ და ამ ჯიშის ყურძენი არ მენახა, ქიზიყიდან ჩამოვიტანე. ნახე, რა რქა აქვს, თქვენ მტევანი უნდა ნახოთ, მსხვილი, ოქროსფერ-მოვარდისფრო მარცვალი იცის, გული გაგინათდება. ღვინოც მშვენიერი დგება, სურნელოვანი ბუკეტი აქვს, მსუბუქი, სასიამოვნო სასმელია. დღეს უნდა დავაჭაშნიკოთ. – ახალგაზრდული ხალისით საუბრობდა დროული კაცი.

(სხვათაშორის, ამ ვაზის რქები ვანო პაპამ მეც ამიჭრა. სამი ძირი გავახარე და სულ ველოლიავები. თუმცა იმერეთში ცოტა გაუჭირდა ამ დალოცვილს).

ამასობაში საუზმეზე მიგვიწვიეს. სულ მწნილეულ-ტკბილეულით გაევსოთ მაგიდა ნინა ბაბოს და ჩვენს ახალგაზრდა რძალს.

– ახლა ეს იყოს და მერმე მწვადი გავაკეთოთ. ბევრი ვიარე, მაგრამ კარგი ხორცი კი ვიშოვე! – სხვათა შორის თქვა სანაქებო მასპინძელმა. თურმე ამ ხნის კაცი უთენია ამდგარა და ეს ამოდენა სოფელი ფეხდაფეხ მოევლო, რომ სტუმრებისათვის საუკეთესო სამწვადე ეშოვნა.

გემრიელად ვისაუზმეთ, მხოლოდ თითო ჭიქა ცრემლივით სუფთა არაყი გადავკარით და მალევე წამოვდექი, თქვენი არ ვიცი, მე კი საბარავი მაქვს-მეთქი.

ჯერ უფრო მნიშვნელოვანი საქმე გავაკეთოთო! – შეუვალად თქვა პაპამ.

მზე გამოსულიყო და სასიამოვნოდ ათბობდა ცივ ჰაერს.

– მუხლი გავმართოთ, უბანში გავიაროთ, თვალს წყალი დავალევინოთო! – გვითხრა მასპინძელმა და წინ გაგვიძღვა. პატარა „კუკუშკინიც“ კაცივით ავიყოლიეთ. ნელა მივსაუბრობდით, ბაღ-ვენახებში გამოფენილ ხალხს ვესალმებოდით და მოკითხვებსაც ვიღებდით. მალე ვანო პაპას ვენახს მივადექით. მოხუცმა წნელის ჭიშკარი მარჯვედ შეხსნა და მამულში ამაყად შეგვიძღვა. გაუსხლავი ვაზის მოწითალო რქები ლამაზად ატოტვილიყო შპალებზე.

– გასხვლა ხომ არ გიგვიანდება? – მორიდებით შევეკითხე მევენახეს.

– გვიანი გასხვლით ვაზი არ იჩაგრება. მთავარია, მერე არ მოაკლო ხელი! ჯერჯერობით ამას კი ვწვდები, მაგრამ ერთი ნაჭერი ვენახი სხვას მივეცი დროებით! – უფრო შვილიშვილის გასაგონად თქვა პაპამ. მერე იქაურობა მიიარ-მოიარა და შინ წავიდეთო! – გამოგვიცხადა.

– საქმე?

– ვენახს რომ დავხედეთ, განა ეს საქმე არ არის?! – იქით შეგვეკითხა.

– არის პაპი, არის! – იმედის მომცემად თქვა შვილიშვილმა.

. . . . . .

ძვირფასო მკითხველო, ალბათ ატყობთ, ვჩქარობ. ერთი სული მაქვს, როდის მივალ მთავარ პროცესამდე და მითუმეტეს, სათაურში გამოტანილ ტერმინამდე.

შინ რომ მოვბრუნდით, შხაპუნა წვივამ დასცხო, გაწუწვას კი გადავურჩით, მაგრამ ხასიათი გაგვიფუჭდა.

– ჩაგვეშალა მწვადაობა! – დანანებით თქვა ირაკლიმ.

– რათა კაცო, თქვენ წვიმამ არ შეგაშინოთ! ისეთი მწვადი შევწვათ, მიზეზიანი ქალიც რომ ვერ დაგვიწუნებს.

– ქალებმა მწვადის რა იციან!

– იციან, შვილო, როგორ არ იციან. კარგმა ქალმა ყველაფერი იცის.

ამ დროს ნინა ბაბომ ვარდისფერი სამწვადე სინით გამოიტანა: – აასხით, რაღას უყურებთო!

– აი, თუ არ იცის. თქვენ კი ამბობდით, ბარი და ნიჩაფიო! – ჩაიღიმილა პაპამ.

წვიმამ გადაიღო. პაპამ სათონეში მიგვიჩინა ადგილი და მე და ირაკლიმ შამფურების ასხმა დავიწყეთ. თვითონ კი მშრალი, დიდი კონა წალამი გამოიტანა და ურიკაზე დადო. ჩვეულებრივი, თუნუქის ურიკა იყო, ცალბორბლიანი, ორი ხელით სატარებელი, აი, ზოგჯერ ტაჟკას რომ ეძახიან.

– ისე კარგად ეტევა ეგ დალოცვილი შამფურები ამ ურიკაზე, თითქოს ერთმანეთისთვის შეუქმნიათო! – ხმამაღლა შემოგვძახა ვანო პაპამ.

სტუმრებმა ერთმანეთს გადავხედეთ და მხრები ავიჩეჩეთ.

მოხუცმა ურიკა ფარდულს გარეთ დააყენა და წალამს ასანთი მისცა. ცეცხლი რომ ავარდა, ღობისკენ მიდგა და მეზობელს გასძახა: გოგი, მაინცდა მაინც სუნი უნდა ავარდეს, რო გადმოხვიდე?

– მაიცა, კაცო, ცეცხლი მაინც ჩანავლდეს! – გომურიდან გამოსძახა იმან.

– მოდი, ჯო, რჩევა მაინც მოგვეცი!

ცეცხლი ჩანავლდა. მოხუცმა ურიკა სიმრალეში შემოაყენა და ხელები მოითბო. მალე გოგიაც გადმოვიდა. მურგვივით ჩადგმული, შუახნის კაცი იყო. აი, დაწყობაში მოგეხმარებითო! – თქვა და სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი.

– შენ დაწყობაშიც მაგარი ხარ და ალაგებაშიც! – შეაქო პაპამ მეზობელი.

ის იყო, გოგიას რაღაც უხიაკი უნდა ეთქვა, რომ ირაკლი შეეკითხა:

– გოგი ძია, ვინ მოიგონა ეს მწვადის ქარხანა?

– ვინ მოიგონა, მაგაი, ვერ გეტყვი, მაგრამ პაპაშენი რომ მწვადს წვავს ამ ტაჭკაზე, უკეთესს ვერსად ნახავ!

– აბა, ვნახოთ, ვნახოთ! – ვიძახდით ჩვენ და ლამაზ შამფურებს გარდი-გარდმო ვაწყობდით ურიკაზე.

ცოტა ხანში სუნიც ავარდა. . .

პაპამ შამფურები შახმატურად გადააბრუნა – ოხ, ოხ! – თან კმაყოფილად კნუტუნებდა.

მე ალყა-ალყა ვჭრიდი წითელ, კახურ ხახვს და სიმწრის და სიამოვნების ცრემლები ერთად მცვიოდა.

– ვანო, ტაჭკა ხომ არ გავაქანაო? – შეეკითხა გოგია მწვადებთან მოფუსფუსე მოხუცს.

– გაქანება არა, მაგრამ დანიავება კი მოუხდება! – უპასუხა პაპამ და წამოიმართა.

გოგიამ უცებ მოძებნა ფართო, თხელი ფიცრის ნაჭერი და მწვადს ძალუმად დაუნიავა.

ღველფში ჩაღვენთილმა ცვარმა შიშხინი ატეხა და მძაფრი სურნელი გამოუშვა.

გოგიამ უცებ დასტაცა ურიკას ხელი, სახლისაკენ წაიყვანა და აყვირდა: „მწვადი ტაჭკით! მწვადი ტაჭკით!“ ურიკა კიბესთან გააჩერა და ხელები მსუნაგად მოიფშვნიტა.

იქვე, აივანზე ბებო იდგა, ხელში ღრმა ჯამი, კახური შოთი და ორი ცალი ბროწეული ეჭირა.

პაპამ შოთი შუაში გატეხა, ნახევარი შვილიშვილს გაუწოდა, ნახევარი თვითონ მოიმარჯვა, და შუიდან დავიწყოთო, – თქვა.

მე ალყა-ალყა ხახვი ჯამში ჩავყარე და რამდენიმე შამფური რომ ჩაცალეს მერე კიდევ დავუმატე.

– აბა, ბროწეული! – უთხრა პაპამ ირაკლის და დაცხიმიანებული პური გამოართვა. – აი, ეგრე, ჩაწურე, ჩაწურე! – დრო და დრო იძახდა. მერე მწვადით სავსე ჯამს ორივე ხელი დასტაცა, წინ გადაიხარა და ხელში ამოიბურთავა. მერე თითქოს ხელები დაეწვაო, ირაკლის მიაჩეჩა. – აი, ეგრე, უფრო ღრმად, ეგრე, ეგრე! – იძახდა კმაყოფილებით.

აქ დამთავრდა ეს სასიამოვნო რიტუალი. გემოზე რა გითხრათ, თუ თვითონ არ იგემე, ისე ვერავინ აგიხსნის.

. . . . . .

სხვა თუ არაფერი, ეს მაინც უნდა ავღნიშნო, რომ ტაჭკის მწვადზე ვანო პაპას ხეივნის ღვინო დავაჭაშნიკეთ. საოცრად მოუხდნენ ერთმანეთს. . .

ტკბილ-მწარე მოგონება

იმ საღამოს ჩემს ერთგულ მეგობრებს, ლექსოს და ბეჟანს ახალი ლექსი წავუკითხე.

„ვერ მოვაგენი ერთგულ მეგობარს და მარტოობას დავუმეგობრდი...“ – მახსოვს, ასეთი სტრიქონი იყო იმ ლექსში. ლექსოს მაშინვე შევატყვე, ეწყინა, მაგრამ რომ დავთვერით, მერე ამიხირდა, – ეგ როგორ დაწერე, აბა, ჩვენ ვინ ვართო?!

სტუდენტები ვართ, პოეტები, რომანტიკოსები, სენტიმენტალისტები. . .

მეგობრები კი ვართ, მაგრამ სული მაინც სხვაა-მეთქი – არასწორად ვიმართლებდი თავს.

თქვენს სულს მე ვერ შევეხები, მაგრამ ერთმანეთის სისხლს კი დაგალევინებთო! – თითქოსდა ხუმრობით თქვა ბეჟანმა, მაგრამ მართლა აიღო პურის საჭრელი, ბლაგვი დანა და ნეკა თითი გადაიფლათნა.

ლექსომ დანა არ გამოართვა და ხელი გაუწოდა, – თუ გინდა, მკლავი მომჭერიო.

რაღა უნდა მექნა, თავი დამნაშავედ ვიგრძენი. თვალები დავხუჭე და ბეჟანს ათრთოლებული ხელი მეც გავუწოდე. . .

ერთმანეთს ვაწეთ და ვაწოვეთ (ძალიან კარგი გაგებით) ჩვენი მჩქეფარე სისხლი. ისე სერიოზულად ვასრულებდი ამ წმიდა რიტუალს, ისიც არ გაგვკვირვებია, რომ მეგრელსაც ჩვენი ფერის სისხლი ჰქონდა.

არ ვიცი, ღვინის დალევამ უფრო იმოქმედა თუ სისხლის დაკარგვამ, – იმ ღამეს ასე გაუხდელებს, დასისხლიანებულებს გვეძინა ჩემს სტუდენტურ ლოგინში.

მერე კარგა ხანს დავდიოდით დარცხვენილები და ხელეშეხვეულები.

. . . . . .

გამოჩნდა ხანი. უნივერსიტეტი დავამთავრეთ. ლექსო მამისეულ, კუთხეში გადასახლდა და თვალსაწიერიდან დაგვეკარგა. ცოტა ხნის შემდეგ ბეჟანი საერთოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. . .

როგორღაც კი გადავიტანე ეს ტკივილები, მაგრამ მას შემდეგ სულ სევდა მერევა.

ვზივარ ახლა და ვწერ, მაგრამ არ ვიცი, რას ვშვრები, რას ვაკეთებ ამით, თავს ვიმშვიდებ თუ თქვენც გასევდიანებთ.

ყველაზე დიდი გამოგონება

– ახლა ეს სადღეგრძელო შეკითხვით უნდა დავიწყო და კარგად მომისმინეთ! – ინტრიგა ჩააგდო თამადამ შეზარხოშებულ სუფრაზე.

– ა, დაგჭირდა თუ არა ჩვენი დახმარება! – პირში ეცა კრიტიკის ხასიათზე დამდგარი ალექსანდრე.

– შეკითხვას დავსვამ და პირველი მე გავცემ პასუხს. ჩემს მოსაზრებას გეტყვით და სადღეგრძელოსაც მოვაყოლებ. თქვენ თქვენი თქვით. შეგიძლიათ დამეთანხმოთ ან სულაც სხვა სადღეგრძელო შემოგვთავაზოთ. პირობას გაძლევთ, ხმათა უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, პირველი მე შევსვამ იმ რიგგარეშე სასმისს.

– უყურე შენ?! – დაინტერესდა ალექსანდრეც და ყველანი გაისუსა.

წარმოუდგენლად ორი-გი-ნალ-ურ გარემოში გაშლილ არც თუ ღარიბულ სუფრას ექვსი მამაკაცი უსხდა. ღვინოც რჩეული ედგათ, თუმცა ზოგჯერ მდარეზეც არ ამბობდნენ უარს.

სანამ თამადა კითხვას დასვამს, უპრიანია, სუფრის წევრებს გადავავლოთ თვალი და რომ იტყვიან, ლაითად გავიცნოთ:

თავში ხსენებული, ყველაფრის მცოდნე ალექსანდრე; კაი პურის მჭამელი და ცოტას მსმელი ჯემალი; ორი ნუგზარი: ერთი უფროსი, მადლიანად დამსხმელი და ადრიანად გაჭაღარავებული „ნუგსტარი“ და მეორე ყველაზე უმცროსი, კაცობაში ახალფეხშედგმული „ნუგბარი“; სულში ჩასასმელი, ბავშვივით სუფთა კაცი, ცხონებული ვაჟა და თქვენი მონა-მორჩილი თამადა.

– რა არის ყველაზე დიდი გამოგონება? – მოულოდნელი შეკითხვა დასვა თამადამ.

– გააჩნია რა შემთხვევაში! – შუა თითი ასწია ალექსანდრემ.

– ქალი! – კითხვაზე უფრო მოულოდნელი პასუხი დააბრეხვა თამადამ და ფეხზე წამოიმართა.

სუფრაზე მსუბუქმა ქილიკმა გაიფარფატა, მაგრამ თამადის შეუვალმა ტონმა და არგუმენტირებულმა სიტყვამ სანიმუშო წესრიგი დაამყარა.

ახალს რას იტყოდნენ, მაგრამ ზოგჯერ იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ამბობ, როდის ამბობ და სად ამბობ.

ითქვა, რომ ქალი არის ღმერთის ყველაზე დიდი გამოგონება, სიცოცხლის საწყისი, მიმღები, გამღივებელი, მასაზრდოებელი, სითბო, ბუდე, ქარქაში... ქალი არის არა მარტო შვილების დედა, არამედ სიყვარულის დედაც.

– მაშინ უნდა გამოვრიცხოთ: შინაბერები, ქალიშვილები, „ნაჩალნიკი“ ქალები, მეზობლის ქალები და ა.შ. – სიცილით ჩააგდო ჯემალმა.

– მაშინ ცოლებიც ცალკე უნდა განვიხილოთ! – ოხუნჯობას აჰყვა ნუგსტარი. მაგრამ საკითხის ერთობ სერიოზულობის გამო საუბარი სხვა მხრივ არ წარიმართა.

სიტყვა ალექსანდრემ ითხოვა, იმ იმედით რომ მთავარ აზრს გააბიაბურებდა.

– კი ბატონო, ქალი არის კერია, წესრიგი, შიგთავსი, დედამიწა, მაგრამ კაცი არის ცა, სახურავი, სახლი, არსი, არა თუ მარტო ქალისა, არამედ ყველაფრისა.

– მაგრამ ღმერთმა ყველაფერი და მათ შორის კაცი შექმნა და მხოლოდ ქალი გამოიგონა. – სიტყვა ჩამოართვა თამადამ.

– ეს უკვე ლირიკაა! – იყვირა კრიტიკოსმა.

– მე თუ ვინმე მკითხავს, ლირიკა აღმატებული მეცნიერებაა!

– თუ ასეა, ხელები ამიწევია! ჭიქა ბოლომდე დაცალა ალექსანდრემ.

– სიდიდისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქალი მართლა ყველაზე კაი გამოგონებაა! – ჩააკუჭკუჭა ჯემალმა.

– ხალხო, ნებისმიერ კითხვას უამრავი პასუხი შეიძლება მოეძებნოს, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, ვინ სვამს კითხვას. თამადის მიერ დასმულ კითხვაზე: რა არის ყველაზე დიდი გამოგონება? ყველაფზე დიდებული პასუხია: ქალი. ასე რომ მე თამადის მხარეს ვარ! – ვერც ამჯერად დააღწია თავი ფილოსოფიას ვაჟამ.

– აბა, კაცები თუ ვართ, ქალებს გაუმარჯოს! – პოეტურად თქვა ნეგსტარმა და დაგემოვნებით მოწრუპა მადლიანი სითხე.

– მე სადღეგრძელოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთ საინტერესო ამბავს გეტყვით: ზუსტად ერთი საათი და ათი წუთია, რაც ამ თემას ვუტრიალებთ. ეს კი ქალების თუ არა, თამადის დამსახურება ნამდვილად არის – თქვა ნუგბარმა.

– ძალიანაც კარგი! – ჩაიღიმილა თამადამ და განსხვავებული მოითხოვა.

მაია მახარაშვილი

ნისლს შეფარებული ქალი

(ნოველა)

კეთილი და უწყინარი ბავშვი იყო სპეტაკი ზრახვებითა და თვინიერი ზნით.

ბავშვური მიამიტობა და უშუალობა გიჟმაჟი სიყმაწვილის ჟამსაც შეინარჩუნა, რადგან ვირტუალურ ვარდისფერ ნისლში ნებივრობა უყვარდა.

მიუხედავად ცხოვრების იკლიკანტურ ლაბირინთებში ხეტიალისას გზად შემხვედრი, ტალახით მოთხვრილი ბილიკებისა და ვარდისფერი ნისლით შემოსვის ჩვევისა, ზრდასრულ ასაკშიც არ დაუკარგავს გულწრფელობა, კეთილშობილება, სიკეთის ქმნისა და ვარდისფერ ნისლში ლივლივის დაუოკებელი სურვილი.

თავმდაბალი იყო და ადამიანები უყვარდა. პატივს სცემდა მათ პიროვნულ თვისებებს, ღირსებებსა და სისუსტეებს. არავის საქმეში არ ერეოდა და არავის განსჯიდა. ყველას მიმართ კეთილგანწყობილი იყო და წვრილმანი კონფლიქტებიც კი თრგუნავდა, ამიტომ ღვარძლიან და ავყია ადამიანებს უკანმოუხედავად გაურბოდა. ეს სისუსტის ნიშანი არ იყო, მას სიამაყე, შეუპოვრობა და სიჯიუტე არ აკლდა და„ხურდის დაბრუნებაც“ ხელეწიფებოდა, – უბრალოდ კაეშნის მოძალებისას ვარდისფერ ნისლში ცურვა ახალისებდა და შვებას ჰგვრიდა.

ზოგიერთი მას არაპრაქტიკულ და უცნაურ ადამიანად თვლიდა და ზურგს უკან დასცინოდა, რადგან ყველა ხვდებოდა, რომ უპრეტენზიო იყო და არავის არაფერს მოსთხოვდა და დაუშავებდა. და მაინც, მის პიროვნულ ხიბლს ბევრი ამჩნევდა და ბევრსაც შურდა, განგების მიერ მისთვის გამომეტებული ნიჭიერება და მცირეოდენი წარმატებაც კი ენანებოდათ, რადგან თვლიდნენ, რომ ეს არსაიდან მოსული, „ბეგ რაუნდის“ არ მქონე, მარტოსული და უთვისტომო „არსება“ ზენისაგან დასაჩუქრებას არ იმსახურებდა. თუმცა, მიუხედავად სხარტი აზროვნებისა და საკითხის არსში ღრმად წვდომის უნარისა, ვერაფრით მიმხვდარიყო, რა ჰქონდა შესაშური, რადგან ვარდისფერი ნისლის გავლენითა და რჩევით, სულიერ ფასეულობებს მატერიალურ კეთილდღეობაზე აღმატებულად მიიჩნევდა და ამდენად, თვითონ არავისი არაფერი შურდა, მცირედითაც კმაყოფილდებოდა, შურიანობა კი საკუთარი თავის უპატივცემულობად და ღირსების შელახვად მიაჩნდა.

ცხოვრების გზაზე ბევრი ტკივილი და უსამართლობა შეხვდა, ობლობაში გაიზარდა და არსებობისათვის ბრძოლა ბავშვობიდანვე მოუწია, მაგრამ გადარჩა, რადგან საკუთარი თავის ფასი იცოდა და თავდაცვის მიზნით, ადამიანურ ურთიერთობებს მის წარმოსახვაში არსებული ვარდისფერი ნისლით გულმოდგინედ ფილტრავდა.

მამა-პაპური ზნეობრივი ფასეულობების ერთგულს, სიბერის ეშინოდა და სურდა ეკლესიური ცხოვრების წესით ეცხოვრა, მაგრამ საკუთარ თავში სიზარმაცე ვერ დაეთრგუნა და ბო-

როტის ხრიკებს ვერ მორეოდა. არაეკლესიურობის გამო თავს დამნაშავედ გრძნობდა, მონასტერში მორჩილად ცხოვრებაც ბევრჯერ უნატრია, თუმცა მონაზვნობაზე ოცნებას ვერ ბედავდა, თავს ღირსად არ თვლიდა და ზეციური მადლის დაუმსახურებლად მიღების სურვილი დიდ მკრეხელობად მიაჩნდა. საკუთარ თავთან საკუთარი სისუსტის რცხვენოდა და უფლის მოწყალებისა და პატიების იმედად იყო.

უფლის იმედი და საკუთარი ძალების რწმენა ყოველთვის ჰქონდა, და ალბათ, უფალიც სწყალობდა, რადგან ყველა განსაცდელს უდტრვინველად გაუძლო, სიკვდილსაც მედგრად შეებრძოლა და წარმატებული ქალის მოვალეობებიც ღირსეულად შეიფერა და აღასრულა. გულწრფელად სწამდა, რომ ვარდისფერ ნისლთან მოთათბირების ჩვევა შემოქმედებით უნარს უღვივებდა, შინაგან წონასწორობას უნარჩუნებდა და უცაბედი თვალბედითი რყევებისაგან მტკიცედ იცავდა.

ცნობიერებით შემოქმედი იყო და ხელოვნების გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. არსებობის დედააზრად ხელოვნების მეშვეობით ხილული და გრძნობითი სივრცეების ჭვრეტა–შემეცნება, ხოლო შემეცნების საშუალებად – მოვლენებისა და საგნების ფილოსოფიურ ჭრილში განხილვა მიაჩნდა, თუმცა ვერ გაეგო რაში სჭირდებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ვარდისფერ ნისლს ხათრს ვერ უტეხდა, მის მოსაზრებებს განუხრელად იზიარებდა და მის მითითებებს უპირობოდ მისდევდა, რადგან ის საკუთარ სულიერ ნავსაყუდელად და საუკეთესო მრჩევლად მიაჩნდა. იცოდა, რომ ხასიათის ეს თანდაყოლილი და არც თუ პრაგმატული თვისება – მიმნდობლობა და მორჩილება – ბევრ გაუგებრობას უქადდა, მაგრამ შინაგანი სულიერი წყობა საკუთარ პიროვნებაში რადიკალური ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას არ იძლეოდა.

ბუნება სულიერ სიმშვიდეს ჰგვრიდა და ტყიან მთაში საკუთარი ხის ქოხის ფლობა მისი აუხდენელი ოცნება იყო. მოწიწებით შენატროდა და დიდ პატივს სცემდა მთიანეთის ნასოფლარების ადგილის დედის მცველ გმირებს, გუმანით გრძნობდა სულიერ სიახლოვეს იმ გამორჩეულად მამაც და მხნე ადამიანებთან, ვინც დაცარიელებულ სოფლებში წინაპართა გამომშრალ ძვლებსა და ნასახლარების მტვერს მედგრად დარაჯობენ და მარტოდმარტო ცხოვრებას ბედავენ. მიაჩნდა, რომ მთიელებს იმდენად სწყურიათ ბუნების წიაღში ვარდისფერ ნისლთან ერთად ყოფნა, რომ სხვა ადგილზე თავს ბედნიერად ვერც იგრძნობენ.

მარტოობისას ვარდისფერ ნისლს ეჩურჩულებოდა და ამ ქვეყნად ადამიანად მოვლინებისა და მომადლებული ნიჭიერების გამო, განგებას მმადლობდა. მთელი ცხოვრება დედა–სამყაროს შემეცნებას ლამობდა და მას ვარდისფერი ნისლის ფთილებთან ერთად, ხალისიანი და „ფრთაშეწყობილი“ნავარდით გარს დაუღლელად უვლიდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ვარდისფერი ფთილებით გარშემორტყმულმა, მომღიმარი სახითა და დიდი სისწრაფით უდარდელად ქროლვისას, მოულოდნელად იგრძნო, რომ ყრუ და სალ კლდეს მტკივნეულად შეეჯახა.

მას სახე დაუსისხლიანდა და სული შეეხუთა. გაოგნდა. ვერ მიხვდა რა ხდებოდა. მოფარფატე ფთილებს განცვიფრებული თვალებით უაზროდ უმზერდა და ძლივსღა შეამჩნია, რომ ვარდისფერი ნისლის ნაგლეჯებს ფერი მის დაუკითხავად უკვე დიდი ხანია ეცვალათ და მოია-

სამნისფრო–რუხი შეფერილობა მიეღოთ. გააცნობიერა, რომ მის ცხოვრებაში ახალი, მოლიპული და სირთულეებით აღსავსე ხანა დაიწყო და უფლის გარდა, აღარავისი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა. წამიერად შეეშინდა და მთელი არსებით შედრკა, თუმცა ვარდისფერ ნისლზე განაწყენება და ფარ-ხმალის დაყრა არც უფიქრია.

დამსახურებულად, თუ დაუმსახურებლად მიღებული დაუნდობელი დარტყმის მიზეზების გარკვევა და საკუთარი ნებსითი, თუ უნებლიე შეცდომების გააზრება გადაწყვიტა. ეგონა, სვანეთის სილამაზე გამოაცოცხლებდა და უკაცრიელ მთებში ვარდისფერ ნისლთან შეხვედრა–საუბარში ხელს ვერავინ შეუშლიდა. იმავე დღეს თვითმფრინავში ჩაჯდა და დედაქალაქიდან მესტიაში გადაფრინდა.

ფრენისას თვალწარმტაცი ხედების თვალიერებით ტკბებოდა და გულში ერთი და იმავე ფრაზას იმეორებდა: „სატახტოდან ცათმფრენით სვანეთს ჩავფრინდები!“ როგორც კი მიწაზე ფეხი დადგა, მიხვდა, რომ შეეძლო მთელი ცხოვრება მიუვალ მთებში გაეტარებინა. გაიფაქრა: „ამ სიდიადის შემხედვარე, ადგილობრივები აქაურ მშვენიერებას როგორ დათმობენ და ქალაქში როგორ იცხოვრებენ?“

კოშკების სიახლოვეს, მყუდრო ოჯახურ სასტუმროში დაბინავდა. დიდი ხანია არაფერი შეეთხზა და იმედოვნებდა ვარდისფერი ნისლი დაეხმარებოდა და ახალ ლექსებს დააწერინებდა. გონება სრულ დატვირთვას, ხოლო გული კი – ხალას შემოქმედებას (ანუ შეუჩერებლივ წერას) დაბეჯითებით მოითხოვდნენ. შეშლილივით აიკვიატა: „ეს მოაზროვნე თავი ამ ღვთაებრივ სილამაზეში უნდა გაისარჯოს და უსაქმურად არ უნდა გაჩერდეს“.

აივნიდან ფათერაკების მხილველ, გულზვიად და უხვნაკადულიან თეთნულდს უმზერდა და პარნასის მთა ახსენდებოდა: „თეთნულდსაც და პარნასსაც უსპეტაკესი თოვლის ქულაჯები მოსავთ, მაგრამ სამწუხაროდ, თეთნულდზე ცქრიალა მუზები არ სახლობენ“.

ხვდებოდა, რომ თვითონ პლანეტაზე მყარად მდგარი თეთნულდის „მკვიდრი მოსახლე“ არ იყო, თუმცა სათაყვანებელი ნისლის კალთაზედაც მყუდროდ ვერ დაევანებინა და ვერ გაეგო, ღირდა, თუ არა გაეგრძელებინა „მწიგნობრობის“ციცაბო ბილიკებით პარნასის ტყითა და თოვლით დახუნძლულ ქედზე აღმასვლა და ჭირვეულ მუზებთან კაზმული სიტყვებით ჭიდილი.

თავს ლიტერატორად და მით უმეტეს, პოეტად არ მიიჩნევდა – ხედავდა, რომ მისი ნაწერი თვისობრივად განსხვავდებოდა მისთვის მისაბაძ და ძვირფას მგოსანთა პოეზიისაგან, თუმცა მაინც წერდა, რადგან ფიქრობდა, რომ ყველა ხელოვანს თავისი მსხნელი ნისლი ჰყავს, ისინი მწერლობის უკიდეგანო ლაბირინთებში გზას ერთად იკვლევენ, შთაგონებასაც ერთად მიეახლებიან ხოლმე და ეს ტანდემი მარადიულად განუყოფელია.

– ასეთი მშვენიერი ქალბატონი მოწყენილი რატომ ხართ? – სასტუმროს ხანშიშესული დიასახლისის თბილი და მზრუნველი ხმა ექოსავით ჩაესმა.

ცრემლები წამოსცვივდა, – დედა გაახსენდა. თავისდა უნებურად ალაპარაკდა და მისთვის სრულიად უცხო სვან ქალს თავისი ცხოვრების შესახებ ყველაფერი მოუთხრო, ვარდისფერი ნისლიც არ დავიწყნია.

ყვებოდა როგორ ეხუთებოდა სული, ეჭიმებოდა ხერხემლიდან გამომავალი ნერვები, ეწვებოდა ხერხემალი და სტკიოდა ზურგი, როდესაც გაიგო, რომ დედა უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი და ვერაფერს უშველიდა. დედამისი დიდი ხანია ცოცხალთათვის უხილავ განზომილებაში გარდასახულიყო, მაგრამ საკუთარი უძლურობის აღქმის თანმდევი, მძაფრი ფიზიკური შეგრძნებები დღემდე მუდმივად თან სდევდა.

გაიხსენა ათი წლის უნახავი, ყოფილი მეუღლე, ქალაქის კოლორიტი, გამჭრიახი და ღირსებით აღსავსე კაცი, რომელიც აღმერთებდა და თავისუფლება ამიტომაც მიანჭა, რადგან მიხვდა, რომ ხელოვნებაზე შეყვარებული ქალისათვის ზოზინა ყოველდღიურობითა და ობობას ქსელის ძაფებზე მძივებივით ასხმული ყოფითი პრობლემებით შემოქმედებითი წვა და თვითრეალიზება არ უნდა შეეზღუდა.

ბოლოს დანანებით აღიარა, რომ შემოქმედებით კრიზისს განიცდის, ახალს ვერაფერს ქმნის, რადგან ვარდისფერი ნისლი სადღაც უგზო–უკვლოდ გაუჩინარებულიყო და მისი დაბრუნების იმედიც დიდი ხანია გადაწუროდა.

– მაპატიეთ, ზედმეტი მომივიდა,– უხერხულობა იგრძნო და თხრობა შეწყვიტა, სველი წამწამები ხელსახოცით შეიმშრალა და სევდიანი თვალები დიასახლისს მიაპყრო, – ვიცი, რომ თავი შეგაწყინეთ, მაგრამ ვინმესთან დალაპარაკება ძალიან მინდოდა, თქვენი გულისხმიერებითა და სიდინჯით დედაჩემს მაგონებთ და თავი ვეღარ შევიკავე.

– არაფერია, შვილო, – ღიმილით დაუყვავა დიასახლისმა, – თქვი რაც გინდა, მოგისმენ, დრო მაქვს.

– რჩევა მჭირდება... რა ვქნა, ნისლის რჩევებსა და მითითებებს მივეჩვიე და დამოუკიდებლად აზროვნება მიჭირს, არ ვიცი როგორ მოვიქცე, – დაირცხვინა, – იქნებ ზღვის ტალღებმა დამაკვალიანონ, მათთან მოსათათბირებლად ბათუმში ხომ არ წავსულიყავი?

– ნუ დარდობ, შვილო, არსად წასვლა არ გინდა. ყველაფერი გაივლის და შთაგონება თავად მოვა შენთან, ეგ შენი ნისლი კი პირიქით, – აღმაფრენისაგან საგულდაგულოდ გმალავს. გაუშვი, წავიდეს... რა იცი, იქნებ მისი დახმარება სხვა ნისლს შეფარებულს შენზე მეტად სჭირდება!

– მართლა?! ეს თავში აზრადაც არ მომსვლია! ესე იგი, მე ნისლთან შეკედლებულ–შეფარებული ვარ, არა? – შეწუხდა.

დიასახლისს საპასუხოდ არაფერი უთქვამს, თუმცა ამ ცხოვრებისეული სიბრძნით დამძიმებული, დარბაისელი მანდილოსნის ყინულოვანი ოკეანის სუნთქვასავით მოვარდნილმა, სუსხიანმა სიტყვებმა „ნისლსშეფარებული“ ქალი გამოაფხიზლა. იგი მიხვდა, რომ წარმოსახვითი ვარდისფერი ნისლი ქალის არაამქვეყნიური ცხოვრებისეული კრედოთი, გემოვნებითა და პრინციპების ნაზავით იყო გაჯერებული და ამიტომაც იყო „ნისლი“ და თანაც „ვარდისფერი“.

„რა სულელი ვარ, ვირტუალურ სამყაროში ვცხოვრობ და ქვეცნობიერმა პროტესტის ნიშნად, ახალი გზავნილების მოწოდებაზე უარი ამიტომაც გამომიცხადა,“ – საკუთარ თავს უბრაზდებოდასაკუთარივე არასერიოზულობითა და არაკეთილგონიერებით უკმაყოფილო.

მტანჯველი ფიქრებისაგან გათავისუფლებულსა და ემოციებით დაღლილს, მალე ჩაეძინა. ერთი საათი გაუნძრევლად ეძინა. ესიზმრა, რომ ყოველთვის მკაცრი და პირქუში თეთნულდი კეფით ცის თაღს სწვდებოდა და სიხარულისაგან სახეგაბადრული როკავდა, მის მძლავრ ქედზე და მკერდზე მოკალათებული ბებერი ნარგავები სიხარულით ხალისობდნენ და ფესვებიანად დახტოდნენ, ხოლო კუშტი ლოდები ერთმანეთს ჯირითში ეჯიბრებოდნენ.

მას სიზმრების არ სწამდა, მაგრამ ამჯერად მართლა გულწრფელად შეშფოთდა, რადგან ამომავალი მზის ქვეყნის 2011 წლის ტრაგედია გაახსენდა. „რა მშრომელი, მამაცი და გაწონასწორებული ხალხია ეს იაპონელები, სინატიფისა და სილამაზის განსაკუთრებული ხედვა და მეტად საინტერესო, თვითმყობადი მსოფლმხედველობა აქვთ. იმ ენით აუწერელ საშინელებასაც, დამანგრეველი მიწისძვრის სახით, როგორი სიმშვიდითა და ღირსებით შეხვდნენ... იმედია, უფალი საქართველოს შეიწყალებს და აქ ცუდი არაფერი მოხდება“, – ფიქრობდა დაზაფრული.

აბეზარი მწერებივით მწარედ მკბენარე ფიქრებისაგან თავდასაღწევად, რიკულებიან აივანზე გადმოდგა და თეთნულდის კალთებზე ფერადი ნაჭდევების თვალიერებას მოჰყვა. ნანახმა აღაფრთოვანა: „ეს ამაყი და მადლიანი მთა ხელთუქმნელი დიდებულებითაა აღვსილი, მის ძირში ალბათ, ვაზი ხარობს. ისტორიულად, შემოსევებისას მტრისაგან დასაცავად ერისათვის ყოველივე ძვირფასსა და სანუკვარს ჩვენი წინაპრები სვანეთს გადამალავდნენ ხოლმე. ვაზის ჯიშებიც ხომ ეროვნული საუნჯე და საქართველოს სიმბოლოა“. შემდეგ, თავისდა უნებურად, ფიქრმა ამომავალი მზის ქვეყნისაკენ წაიყვანა: „იაპონიის სიმბოლოები კი მთა ფუძიამა და ერის პოეტური შთაგონების წყარო საკურაა“.

უეცრად შინაგანად აფორიაქდა და სავსებით ნათლად შეიგრძნო, თუ რა დიდი სისწრაფით მოილტვოდნენ მისკენ ჯერ არგაჟღერებული ლექსის „გაუშალაშინებელი“ და მყიფე სტროფები. მიხვდა, რომ ქვეცნობიერი გონებას შეურიგდა, „ნისლსშეფარებული“ ქალის სურვილი გაითვალისწინა, ქმედითი დახმარება მოიწადინა და მას ნაფიქრალის გააზრებასა და შეჯერებაში შეეხიდა. სწორედ ამ ხმაშეწყობილი თანამშრომლობის შედეგად მისსავე თვალწინ იძერწებოდა ახალი ნაწარმოები. ქალი თეთნულდის საუკუნოვანი თოვლის გვირგვინით განსპეტაკებული მწვერვალისაგან გამოტყორცნილ ბგერებს გაფაციცებით აყურადებდა და ჩამოქნილი სტროფების ქაღალდზე გადმოტანას ჩქარობდა.

– ორი ლექსი დავწერე, – ხალისიანად აცნობა დიასახლისს, – ვიცი, რომ გაგიხარდებათ და იმიტომ გეუბნებით.

– ჩემო კარგო, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ შენ ამას შესძლებდი.

– ერთ მათგანი თეთნულდს მივუძღვენი, მეორე კი – იაპონიას.

– იაპონიას?! – განცვიფრდა დიასახლისი.

– ჰო, იაპონიას... თემა საიდან მოვიტანე, არა? – გაეღიმა, – ფიქრებმა თვითონ მიმიყვანეს მასთან.

– იაპონია მშვენიერი ქვეყანაა და ლექსიც საინტერესო იქნება. აბა, წამიკითხე!

– ჯერ თეთნულდზე წაგიკითხავთ.

– როგორც გენებოს!

„ნისლშეფარებულმა“ ხელნაწერი აკანკალებულ თითებში მოიქცია და დაბზარული ხმით ამოღერღა:

– თეთნულდს!

ნეკერჩხლის ტოტი მარჯნის დალალით
წითელ თოვლს აფრქვევს გულზვიად
თეთნულდს,
ცაცხვის სურნელით დამთვრალა ქარი,
მუხა და რცხილა ცეკვავენ ფერხულს,

მთის მწვერვალიდან გზავნილი ლექსი
გულს ცისარტყელად მომეფინება, –
აზრთა და გზათა გადაძახილებს
ვეროდეს შეცვლის დროთა დინება.

მზე მიხმობს თვისკენ, ფიქრთა თარეში
მაბნევს და მხიბლავს, ბილიკებს მითმობს.
გადმოვხვეწილვარ უცხო მხარეში, –
აქ ცა არც ისე ლურჯია თითქოს...

მაგრამ ეს ცაა, შლეგსა და ეულს
მამულს რომ ჩამწნავს სულით და ფესვით!
სტროფთა მდინარე განმკურნავს სნეულს,
თუ წვეთ-წვეთ შევსვავ სტრიქონებს პეშვით...

გავინაპირე, დავძლიე შიში!
ველარ შემაკრთობს ეკალთა სუსხი...
იქნებ წარვტაცე მძვინვარე თეთნულდს
სიბრძნის ტალღა და ჰანგები უხვი?!

– შვილო, აქ ცა ყველასადმი კეთილია და ამიტომაც ყოველთვის კვასკვასა ლურჯია!

– ალბათ!... იცით, თეთნულდი დამეხმარა! მისი დიდად მადლობელი ვარ.

– მიხარია, რომ საკუთარ თავს ამ ცის ქვეშ და ჩვენი თეთნულდის დახმარებით სძლიე,– ფართოდ გაიღიმა სვანმა ქალბატონმა.

– მეორე ლექსს ჰქვია „კვლავ აყვავდება მარჯნის საკურა“, – საპასუხოდ გაუღიმა და დინჯად განაგრძო ქალმა, –

ფუძიამასთან ყვავის საკურა,
ნიავზე ტოტებს კეკლუცად არხევს,
იეროგლიფად ყლორტი ჩაწნულა
და ღიმილს უძღვნის ნაზ კვირტთა ნამქერს.

ზღვა შეუმოსავს ნისლის კიმონოს,
გრიგალის ფრთებს შლის ავი დრაკონი,
მზის კუნძულებზე ზვირთად იღვრება
შლეგი ცუნამის შმაგი ამბორი.

პლანეტა შედრკა, ქვესკნელის ბიძგებს
ერთვის ქარიშხლის ძალუმი სუთქვა,
მიწის და ზეცის ტანჯვა და რისხვა
ყოველივეს ბრმად შთანთქავს და თუთქავს...

მადლით და ლოცვით აღვსილი ზენა
ღვთის რჩეულ ერებს განსაცდელს უვლენს, –
გრიგალი დაძრწის, ცას ფერფლად აფრქვევს
ნანგრევთა მტვერს და ზღვის მლაშე სურნელს.

ფერფლმა განბანა იაპონია...
ბრმად ჩაძირულა წარსულის ტბაში,
ქარს გაუფანტავს, ნისლს გაჰყოლია,
ცეცხლმა განწმინდა ცოდვათა ხავსი...

ვაჟკაცურად და დინჯი ღირსებით
ერი ქარიშხალს ტკივილით უსმენს,
გამქრალ ქალაქებს დასტირის და თან
ფესვებს საკურის იმედით უმზერს.

დაიყვავილებს მარჯნის საკურა,
შეეხიდება ჯებირთა ნანგრევს,
ჩაეხუტება მინდვრის სამყურას
და ეშხს შეჰმატებს გეიშის ნამღერს,

ფუძიამას და კაბუკის ნიღბებს
გაახალისებს ცისკრის ფერებად,
დაცანის კედელს დაეყრდნობა და
ამომავალ მზეს შეეგებება...

– შესანიშნავი ლექსებია და ამიერიდან კიდევ უკეთესებსაც შეთხზავ, – გაამხნევა მოხუცმა, – იქნებ სვანეთზეც დაგეწერა, ვიცი – გამოგივა.

– დიახ, სვანეთს გულძარღვიანი ლექსი მოუხდება და აუცილებლად დავწერ! მადლობა უფალს და თქვენ, ჩემო ტკბილმოუბარო ქალბატონო, მხსნელად მომევლინეთ. ახლა ჩემთვის ნათელია, რომ ჭეშმარიტ ხელოვანს არავისი და მით უმეტეს, ვარდისფერი ნისლის დახმარება არ უნდა სჭირდებოდეს. ბათუმში წასვლა და ზღვასთან მოთათბირებაც გადავიფიქრე! ვერტმფრენს დაველოდები და უკან, სატახტოში, ჩემს სახლში დავბრუნდები.

– ნება შენია, – კეთილად იღიმებოდა დიასახლისი.

– მაგრამ არასოდეს დამავიწყდებით და მუდამ თქვენი მადლობელი ვიქნები, – ხელგაშლილმა მოხუცისაკენ მორიდებით გაიწია.

– გაიხარე, შვილო,– გულში ჩაიკრა დიასახლისმა.

მესტიაში კიდევ ორი დღით დარჩა, საგანგებოდ ნაყიდი რვეული ახალი ლექსებითა და მოთხრობებით ააჭრელა, დიასახლისს თბილად დაემშვიდობა, თბილისში სტუმრად დაპატიჟა და ნისლთან განშორების მტკიცე გადაწყვეტილებით, ქალაქს გამოეშურა.

ვერტმფრენი ცად აიჭრა, მზის სხივებით აელვარებულმა, არწივისებრი ირაო მოხაზა და გეზი დედაქალაქისაკენ აიღო. მოულოდნელად, შხარაზე დავანებულმა შავმა ნისლმაც სწორედ იმავე დროს მოინდომა ცაში ჭექა–ქუხილიან ელვასთან ერთად თავაწყვეტილი სრბოლა და „საფრენი აპარატის“თავხედობამ გააბრაზა. მან ვერტმფრენს გზა ჯიქურ გადაუღობა და ხილვადი სივრცე კუპრისფერი უკუნეთით დაუხშო. უმწეო ცათმფრენმა ვარდნა დაიწყო...

ქალმა დაინახა როგორ მიფრინდა მასთან ვარდისფერი ნისლი, ხელში აიტაცა და კავკასიონის მთებზე ციმ–ციმ გადაატარა. ბოლო ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები, რომლებიც მას მკაფიოდ ჩაესმა იყო: „ნუ გეშინია, მე შენთან ვარ, კიდევ უამრავ ულამაზეს ლექსს შეთხზავ!“. გაეღიმა, მისთვის ძვირფას და სანუკვარ თეთნულდს დანისლული და ბედნიერებით აღვსილი მზერა უკანასკნელად მიაპყრო, და ძილმოწყურებულმა, ნისლის ფაფუკ კალთაზე ტკბილად და სამუდამოდ მიიძინა.

Майя Махарашвили

БЕЗ ПОТЕРЬ

(Новелла)

Пасмурным мартовским днем, группа женщин-прихожан с одного из живописных кварталов исторической части Тбилиси, собравшаяся у обрамленного цветущими кустами ранних роз, каменного ограждения старой православной церкви, пристально наблюдали за оживленной беседой со священиком пожилой миловидной грузинки.

– Посмотрите, только вчера отслужили панихиду за 40 дней со смерти ее единственной тети, а она уже и траур сняла, и во всю разоделась, и бесстыдно разгуливает по всему городу!

– Хотя бы о своем возрасте подумала! Не гоже ей носить цветистые платья.

– «Не судите, да не судимы будете!» Забыли?! – одернула единоверцев одетая во все черное, седовласая, опрятно и элегантно одетая старуха. – Это ее личное дело, да и не старая она.

– Но уважаемая, вы же почти всю жизнь носите траурные одежды?! – возмутилась от неожиданного замечания старухи симпатичная женщина средних лет в синей фетровой шляпе.

– Я–другое дело!Жизнь меня не пощадила, отняв восемнадцатилетнего сына, шестилетнего внука и молодого мужа... Я же выпорхнулаиз прошлого, – грустно улыбнулась старуха, – я ведь представитель поколения, для которого самопожертвование ради семьи, любовь к ближнему, терпимость к людям, уважение традиций, личное достойнство и честь – неотъемлемые части менталлитета и, как следствие, – норма жизни.

– Какое же это отношение имеет к одежде? – удивилась молодая девушка с пурпурным шелковым платком на голове.

– Девочка моя, – чеканя каждое слово, ответила старуха, – по церковным традициям, траур носят всего лишь 40 дней, а не всю жизнь, как я! Я родилась и выросла в советское атеистическое время, и поэтому мое мировоззрение несколько отличалось от нынешнего. В ту пору мне казалось, что поступаю правильно, с годами привыкла ходить в черном и до сих пор не представляю себя в цветной одежде.

– Значит, вы всю свою жизнь считаете ошибкой??!! – изумилась дама в шляпе.

– Нет, дорогая, вовсе нет! – засмеялась старуха. – Не всю жизнь! Просто это – одна из ошибок, допущенных за всю жизнь.

– Понятно, – неуверенно сказала дама в шляпе.

– Да ничего вам не понятно, – раздраженно ответила старуха, – разве можно измерить рану сердца от потерь близких и уменьшить боль души от одиночества и бессилия?! Тем более, цветом и покровом одежды?!

– Да, любовь к ушедшим и горечь потерь невозможно полноценно выразить внешне,– поддержала старуху со вкусом одетая молодая женщина, – ведь это – внутреннее чувство, а не материализованное вещество, или расфуфыренная кукла из театра марионеток!

– Говорят, время лечит и все плохое забывается, – задумчиво сказала старуха. – Это не так! Время помогает мозгу преодолеть себя и находить внутренние силы для подавления чувства собственного эгоцентризма, чтобы не совершать необдуманно отчаянных поступков, потерявшись в мыслях и растворясь в печали. Мозг становится неким тормозом для необузданных сердечных порывов и сдерживателем сумасбродных желаний.

– А что по-вашему душа? Какова же ее роль в осознанном существовании личности? – «пофилософствовала» дама в шляпе.

– Душа – это мерило сущности и совести человека, теоретический повелитель мозга и практический возмутитель сердца.

– Не понимаю! Что это значит? – снова удивилась молодая девушка с пурпурным шелковым платком на голове.

– Мозг и сердце не всегда внимают и покоряются душе, хотя и прекрасно понимают, что она всегда и во всем права!

– Почему?

– Да потому, что душа человека – бессмертная искорка от Всевышнего, дарованная нам, грешным, безвозмездно, она – высшее проявление Творца в этом бренном мире и венец многообразной Вселенной.

Все промолчали, не находя аргументов для возражения умудренной жизненным опытом, старой женщине, защищающей нелепо жестикулирующую незнакомку.

– Интересно, о чем эта особа так радостно разговаривает с Батюшкой? – попыталась сменить тему неприятного разговора молодая девушка.

– Она – человек пожилой и одинокий, только похоронила единственную родственницу, чему же ей так радоваться-то? – недоумевали женщины.

– Она – как еще не высохшее, но бесплодное и никому не нужное дерево, – заметила старуха, – но своей стойкостью и благоразумием она все еще может дарить людям умиротворяющую тень и животворную прохладу во время изнуряющего зноя и испепеляющего солнцепека жизни.

– О чем это вы? – снова ничего не поняла дама в шляпе.

– Она нашла в себе жизненные силы, Господь помог ей в этом, – не сомневаясь, сказала старуха, – потэому и улыбается.

– Откуда вам знать?! – возразила девушка в платке.

– Не вчера родилась, вижу!

– Как? – не унималась дама в шляпе.

– По ее сияющим глазам и широкой улыбке. Помните ее страдальческое лицо два месяца тому назад? Сейчас оно спокойно и одухотворенно.

– Ну, это спорный вопрос!

– Давайте, сами расспросим ее обо всем,– подкинула «мысль» дама в шляпе, – она попрощалась с Батюшкой и уже собирается уходить.

– Что вы, неудобно,– смутилась девушка.

– Ничего страшного! Встретим у ворот, поздороваемся, перекинемся парочкой ласковых слов и видать – сама все расскажет!

Каменные стены церкви, построенной в древнегрузинском стиле, незыблемые, как само мироздание, украшенные изящно завитыми узорами плодоносной лозы, излучали мощь, тепло и радушие. Вновь выбывшиеся из под земли, нежные ростки молодой травы салатового цвета и темно-зеленые с коричневатым оттенком, пышные комочки мха, переплетались с высохшими лепестками опавшихся бутонов ярких роз, словно гирлянды из полевых цветов, и беззаботно расстилаясь по двору, подобно игривым волнам океана, создавали странное впечатление парадоксальной совместимости радужной пестроты с грустным праздником, вызывая обнадеживающие мысли о вечности всеобщего обновления и единения времени.

Пробуждающиеся от зимнего безделья, кокетливо набухшие крохотные почки деревьев, тянулись к все еще пасмурному небу, ища благотворные лучи солнца, подобно младенцу с нетерпением тянувшемуся к теплой и сладкой материнской груди.

Пожилая грузинка, трепетно и пристально всматривалась в пречистые лики святых, словно ожидала от них сиюминутного ответа. Помолившись и вдыхая аромат благоухающего ладана, с благоговением перекрестилась пред иконой Богородицы. Затем, со связкой восковых свеч в руках, вышла из церкви и направилась к распахнутым воротам двора, внимательно посматривая на зажатые со всех сторон, потрескавшимся от корней растений асфальтом, зеленовато-коричневые дорожки из замшелых кусков грунта.

«Природа своего не упустит! И жизненная стезя, несмотря ни на что, всегда обновляется и продолжается»,– одобрительно покачивая головой, думала она.

– Доброго здравия! Как поживаете?

– Соболезнуем!

– Нам очень жаль!

– Мы глубоко уважали и высоко ценили вашу незабвенную тетю!

– Достойная была женщина, царство ей небесное!

– Каково вам будет одной?!

– Не горюйте, все образуется!

– Берегите себя!

Доброжелательные и дружеские, но трафаретно нудные возгласы малознакомых любопытных прихожанок сначала повисли в воздухе, а затем, выделывая витиеватые выкрутасы, с грациозной легкостью приземлились на голову пожилой женщине.

– Спасибо на добром слове, дорогие, – всех с вежливой улыбкой благодарила она.

– Господь вас не оставит! – приветливо сказала ей старуха.

– Господь всегда был со мной, помог и сейчас, – с сияющим лицом сообщила женщина.

–Дааа?! – опять трудно было понять происходящее «шляпнице».

– Дело в том, что вечером того грустного дня, когда я в одиночестве справила 40 дней моей тетеньки, неожиданно я получила очень радостное известие, которое развеяло мою печаль и от которого я помолодела ровно на 42 года!

– Чтооо?! – засомневалась в психической устойчивости пожилой грузинки дама в шляпе.

– В самом деле! Меня нашла моя давнишняя подруга из далекого, счастливого детства, с которой мы не общались аж 42 года! Мы двенадцатилетними девочками вместе с родителями отдыхали на одном из курортов Северного Кавказа, там и познакомились...Она иностранка, родом из Беларуси, но с корнями от святой земли Господа нашего, всемирной столицы, светлого города Иерусалима, хотя сейчас проживает с семьей в Мюнхене.

– А она хороший человек, ваша подруга, не каждый бы стал искать! – подметила молодая девушка.

– Да, она – славная! Ее младший сын гостил в Тбилиси, иэто он, по просьбе матери, после долгих поисков нашел меня! Другой молодой человек поленился бы! Я очень рада, что у нее прекрасная семья и в жизни все хорошо! Пока общаемся по Скайпу, но планируем обязательно увидеться воочию тоже.

– Поздравляю,–дружески потрепала женщину по плечу старуха,– отношения с друзьями детства всегда самые искренние, естественные и теплые. Дай Бог твоей подруге и ее семье счастья и благоденствия!

– Спасибо! – довольная улыбка не сходила с лица пожилой женщины.–Представляете, общаясь с ней, я вновь и вновь возвращаюсь в детство! Это мне прибавляет неиссякаемой бодрости и силы, будто годы отступают и я начинаю заново жить, чувствуя, как открывается «второе дыхание», словно у спортсмена! Видно подсознательно, чем ближе приближаешься к старости, тем больше хочется «шаловливо подскакивать» к детству!

– Жизнь – это своего рода марафон, дорогая,–с сожалением сказала старуха,– надо знать где и как стартовать удачно, по какой дорожке и с какой скоростью двигаться, чтобы к концу пути сохранить себя и прийти к финишу благополучно,с достоинством и главное, – без потерь.

– Верно подметили, уважаемая,– улыбнулась пожилая женщина, – и Батюшка мне сказал, что когда человек теряет одно, то по воле Господа, он тут же приобретает другое. Получается, что «приобретаемое» как бы компенсирует утрату.

– Видите ли, я всю жизнь преподавала курс теоретической физики в Университете, и могу достоверно сказать, что согласно одному из основных законов физики, энергия не улетучивается, не теряется и никуда не исчезает, она просто преобразуется из одной формы в другую, – перекрестилась старуха. – А человек ведь – хранилище биологической энергии со своим интенсивным излучением! Поэтому и его энергетика так синхронно и четко реагирует на среду своего обитания и посылает соответствующие импульсы в небо, к Всевышнему...

– И Всевышний помогает ему! – восторженно воскликнула девушка в платке.

– Да, деточка, – кивнула старуха, – Господь помогает всем, хотя очень часто мы, грешники, этого и не заслуживаем.

– Как же я люблю этот период, – сказала пожилая грузинка, полной грудью вдохнув живительный весенний воздух, вдоволь наполненный ароматом набухающих почек, сладким запахом молодойтравы и благоуханьем мелких бутончиков ранней розы, и тепло попрощавшись с моленницами, поспешила домой, в надежде вновь на время затеряться в сверкающих чистотой лабиринтах светоносного и доброго детства.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ტიტე მოსია

ᲚᲘ ᲑᲝᲡ ᲚᲘᲠᲘᲙᲘᲡ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕ ᲜᲐᲗᲔᲚᲨᲘ

ლი ბო (701-762) მოღვაწეობდა ტანის ეპოქაში – ჩინური კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის აყვავების პერიოდში, რომელსაც „ოქროს ხანას“ უწოდებდნენ. საკუთრივ ლი ბომაც ჩინური მწერლობის, კერძოდ, პოეზიის, ასაყვავებლად შთამბეჭდავი წვლილი შეიტანა. მან ცხოვრების ნარეკლიანი გზა განვლო. ცნობილია ახალგაზრდობის პერიოდში პოეტის გატაცება დაოსური იდეებით, მოძღვრებით, რამაც მთებში დაამკვიდრა დაოს ბერების გვერდით. ლი ბოს მიერ მოხვეჭილმა სახელმა და დიდებამ იმპერატორის სასახლეშიც შეაღწია. ამას მოჰყვა მისი მიწვევა დედაქალაქ ჩანიანში. აქ იგი რამდენიმე წელს დაჰყოფს. ლი ბოს პოეტური სული და ჰუმანური ადამიანური ბუნება ძნელად ეგუებოდა იმპერატორის სასახლეში გაბატონებულ ინტრიგებს, რამაც იგი კვლავ მთებში დააბრუნა. პოეტი კინაღამ მსხვერპლი გახდა უფლისწულებს შორის ატეხილი შუღლისა. ერთი სარდლის წყალობით იგი სიკვდილს გადაურჩა. ეს განაპირობა სიკვდილის განაჩენის გადასახლებით შეცვლამ. ლი ბო სწორედ გადასახლებაში გარდაიცვალა 61 წლის ასაკში, 762 წელს.[8]

ლი ბოს მცირე ფორმის მინიატურული ლექსები გაცისკროვნებულია გრძნობათა სინატიფით, ლაკონიზმით, დამცხრალი ემოციურობა ენასკვება ინტელექტუალურს. მათში დაწმენდილი ნაკადულივით მოედინება სწრაფვა და სურვილი სულის თავისუფლებისა, პიროვნული თავისუფლებისა. პოეტმა შეიგნო სულიერი შვება და იღწვის მისი სრული მოპოვებისათვის. ლი ბოს პოეზიის მიმართ უმტკივნეულოდ შეგვიძლია გავავრცელოთ ზოგადად აღმოსავლური მწერლობისთვის დამახასიათებელ თვისებებზე თ. ჩხენკელის ნათქვამი: „აღმოსავლეთისთვის ნიშანდობლივია რწმენა ადამიანში მიკროკოსმოსის დანახვისა. ფაქტიურად ამ რწმენაზეა დაფუძნებული აღმოსავლური პოეზია, რომელიც იმთავითვე გულისხმობდა სამყაროს არა მხოლოდ გრძნობად რეალისტურ ასახვას, არამედ რელიგიურ-ინტუიციურ ჭვრეტასაც:[9]

რელიგიურ-ინტუიციური ჭვრეტისთვის მისწრება იყო ქალაქისა და სოფლის გნიასისთვის თავის არიდება, სიმშვიდისათვის, სულიერი შვებისათვის მთებში გახიზვნა. მთებში გახიზნული ასკეტის სული უნდა დაუფლებოდა ექვს საფეხურს: სიმშვიდეს, თვითშეზღუდვას, თვითუარყოფას, მოთმინებას, დაუნჯებას და რწმენას. ლაო-ძის მიხედვით, სიმშვიდის მოპოვება შესაძლებელია პირველ რიგში ხორციელების უარყოფით: „ხორცი უმძიმესი ტვირთია, ხორცს რაჟამს დავრთგუნავთ: დიდ სიმშვიდეს დავეუფლებით“; ან კიდევ: „ვნებათა უარყოფას სიმშვიდე მოაქვს. სიმშვიდე კი სამყაროს თანხმიერებას შეიქმს“; „დაო დე ძინში“ ვკითხულობთ: „განერიდა მწუხა-

---

[8] ძველი ჩინური პოეზია, გვ. 234.
[9] აღმოსავლური პოეზია, **თ. ჩხენკელის** წინასიტყვა, გვ. 5.

რებას და მოიპოვა სიმშვიდე, მოიპოვა სიმშვიდე და მშვიდობა. დაეუფლა ერთიანობა და ზესოფლური თანხმობა"; „სათნოება მოქმედებისა – სიმშვიდეს მიელტვის, ყოველივე დიად თანხმობას ქმნის". ლაო-ძის თანახმად, კაცს მხოლოდ სიმშვიდეში ძალუძს ჭეშმარიტი ცოდნისა და დაოს წვდომა. გარესამყაროს მოვლენებისგან თავის დაღწევით და სიმშვიდის დაუფლებით ვუახლოვდებით ჭეშმარიტებას, მაშინ აღწევს აზრი თავის უმაღლეს ფორმას. ლაო-ძის მოძღვრების ერთ-ერთი იდეა არის მოთმინება და ამ გზით სიმშვიდის მოპოვება.[10] ეპიკურეს ფილოსოფიური მოძღვრებაც გამიზნული იყო სიმშვიდის შენარჩუნებისათვის. დიოგენეც სათნოებასა და ზნეობრივ თავისუფლებას ხედავდა სურვილებისა და ვნებებისაგან განთავისუფლებაში: „იყავით გულგრილნი კეთილდღეობისადმი და თქვენ გათავისუფლდებით შიშისაგან, რადგან კეთილდღეობისკენ სწრაფვის ძირი არის შიში.[11] სახარებაც ასე შთაგვაგონებს: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაᲫ" (მათე, 5,5). როგორც უკვე შევნიშნეთ, დაოსური იდეებით გატაცებული პოეტი ახალგაზრდობის ასაკშივე მთაში პოულობს თავშესაფარს, დაოს ბერების გვერდით. დაოს ბერები შთაგონებული იყვნენ ლაო-ძის მოძღვრებით – ხორციელების დათრგუნვას ადამიანი მიჰყავს სულის ამაღლებისკენ. სწორედ დაოსიზმის ფუძემდებელი ლაო-ძი იყო პირველი მქადაგებელი ჩინეთში ასკეტური ცხოვრების უპირატესობისა. კვლავ დავიმოწმოთ დ. კონისის სიტყვები: დაოსები ბუდიზმში ხედავენ თავიანთი ასკეტური იდეის შემდგომ განვითარებას. ლ. ალიმონაკიც კვლავ დავიმოწმოთ: „პირველი დაოსები, სოციალურ ყოფას რომ გარიდებოდნენ და საკუთარ თავში ეძიათ უზენაესი არსება, საზოგადოებისაგან განდგომას ამჯობინებდნენ და ამ გზით გამოხატავდნენ პასიურ ამბოხს არსებული სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. ასე დაედო დასაბამი ასკეტ-მწირთა ინსტიტუტს მთებში, ადამიანთა საზოგადოებისაგან განკერძოებით".[12] ლაო-ძის „დაო დე ძინი", როგორც ეს გამორკვეულია, სათავეს ინდური რელიგიებიდან იღებს. „ჩინური და ინდური სულის გაერთიანებით ლაო-ძის სურდა გაერღვია ეროვნული ჩარჩოები და შეერწყა ერთმანეთისათვის აღმოსავლური და დასავლური აზროვნების სფეროები" (ლ. ალიმონაკი). რაც შეეხება საკუთრივ ბუდიზმს, ჩინეთში მისი პირველი მქადაგებლები მეორე საუკუნეში (ძვ.წ.) იჩენენ თავს, ხოლო უსწრაფესად ვრცელდება I-II საუკუნეებში (ცხადია, ახ. წ.).

ჩვენს ხელთ არსებული ლი ბოს პოეტური ნიმუშების ქართული თარგმანების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განდეგილობის თემას არ უჭირავს მასშტაბური ადგილი. მარტოეულობას და განდეგილობას, როგორც იტყვიან, თითზე ჩამოსათვლელ ლექსებში ვპოულობთ, მაგრამ ეს არ ცვლის სურათს:

„მთად გახიზნული მსასოვარ
სიმღერას ვმღერი მარტოი.
აღარ შევკრთები აროდეს
აქ კაცთაგანის მოხილვით";
„თვალნი სიბნელეს სვამენ.
ო, ისევ მარტოეულმა
უნდა ათიოს ღამე".

---

[10] **ლაო-ძი,** დაო დე ძინი, გვ. 185, 202, 203, 181-182, 151, 285.
[11] იქვე, გვ. 155, 157.
[12] იქვე, გვ. 35.

ლი ბოს „მთად გახიზვნა“ სიმშვიდის მოპოვებითაა განპირობებული. საზოგადოების მიტოვება სიმშვიდის დასაუფლებლად სულისთვის ხორცის ტვირთის ჩამოხსნაცაა, როგორც ლაო-ძი იტყოდა:

„ხორცი უმძიმესი ტვირთია.
ხორცს რაჟამს დავთრგუნავთ,
დიად სიმშვიდეს დავეუფლებით“.
„ვნებათა უარყოფას სიმშვიდე მოაქვს.
სიმშვიდე კი – სამყაროს თანხმიერებას შეიქმს“.[13]

პლატონიც მიხედვითაც ხორციელი ცხოვრების უარყოფა არის გარანტი ვნებათა დათრგუნვისა. ლი ბო მიელტვის სიმშვიდის (არა მხოლოდ პიროვნული სიმშვიდის) შენარჩუნებას მიწასთან ერთად ზეცაშიც. მთის მწვერვალზე, პოეტი-განდეგილი მიტოვებულ ტაძარში მისვლისას ლამის მოციმციმე ვარსკვლავებს შეახებს ხელს და შიში იპყრობს: ვაითუ შეხების ხმამ, მიწიერმა ხმამ, სიმშვიდე დაურღვიოს ზეციერებას და ამით, ლაო-ძის სიტყვები რომ გავიმეოროთ, დაარღვიოს სამყაროს თანხმიერება“.

„ღამის სათევად მიტოვებულ ტაძარში მოველ,
ციმციმა ვარსკვლავთ მწირმა ხელი შევახო ლამის.
და აჩქამების მეშინია:
თავანის მცხოვრებთ
მიწიერმა ხმამ არ დაუფრთხოს სიმშვიდის წამი“.

ერთი ლექსის მიხედვით, ლი ბო დაიჰტაინის მთებში მიდის განდეგილი მეგობრის მოსანახულებლად, მაგრამ ვერ მიუსწრებს მას: „სად გაქრა ჩემი მეგობარი, ვინ მეტყვის მართალს? ბებერ ნაძვებთან გავირინდე მარტოეული“. ამ ლექსში გაწბილებული პოეტი-განდეგილის სევდა მიიკლაკნება ბუნების სურათის აღწერის ფონზე: „ძაღლები ყეფენ და მდინარე მოქრის თქრიალით. მიიქცა წვიმა და ატმებზე ლეშხი დატოვა. გადაეყრები ტყეში ირემს, მიჰქრის რქიანი, ოდენ ზარის ხმა არ მოისმის მაღლით რატომღაც. შორს, კვამლის მიღმა, იზნიქება ბამბუკის კალთა, მწვერვალთა შორის – დგას ჩანჩქერის სვეტი შვეული“. ლი ბო თავის განდეგილურ ყოფას უსვამს ხაზს შაციუდან დიდი ჩინელი პოეტის დუ ფუს შეხმიანებისას: „კვლავ უმეგობროდ და უოჯახოდ მარტოეულმა თავი დავხარე“.

ლი ბოს პოეზიაში განდეგილობის მოტივს უშუალოდ ერწყმის ბუნების სიყარული. მისთვის ბუნება არის სიმშვიდესთან ზიარების საშუალება. ეიმანი იტყოდა: „ხელოვნებაში ღრმად დაძირული ადამიანი მასთან შერწყმული და, მაშასადამე, ბუნებასთან და საკუთარ თავთანაც ერთსულია“. ამ „ერთსულობით“ არის განპირობებული ტანის ეპოქის ამ დიდი პოეტის შემოქმედებაში ბუნების თემის ფართომასშტაბიანი შემოჭრა. ლი ბოსთვის მახლობელია ბუდისტური შეგონება.: „ყოველგვარი არსებობა ტანჯვაა“. ამიტომ სიცოცხლის შეცნობა მის მოთმინებაშია, რაც ადამიანს სიკვდილს უადვილებს. „დაო დე ძინის“ სწავლებით: „ვინც შეიცნო სიცოცხლე და დაითმინა, მისთვის არ არსებობს სიკვდილი“. ბუნების წიაღში გახიზნული პოეტი არც ფიქრობს სიკვდილზე.

---

[13] **ლაო-ძი,** დაო დე ძინი, გვ. 203.

ზამთრის დღეს, მთებში მიტოვებულ ძველ სახლში დაბრუნებისას ლი ბო იტყვის: „მე კაცზე ვფიქრობ, ბუნებაზე ვფიქრობ დიახაც“. ამ სახლიდან წასვლას ურჩევნია „ბნელ სამარეში ნესტიანი მიწის წიაღად“ ყოფნა ერთი სიტყვით, მგოსანი არ არის ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ პიროვნულ თავისუფლებაზე ფიქრობს, საკუთარი სულის სიკეთეზე და შვებაზე დარდობს, არამედ ზოგადად კაცზე და ბუნებაზე ფიქრობს. იგი არ არის საკუთარ თავში ჩაკეტილი განდეგილი. მისთვის კაცი და ბუნება ერთნაირი შინაარსის შემცველი ცნებებია. კაცის სიკეთე ბუნებაზეა დამოკიდებული და, პირიქით, ბუნების სიკეთე ადამიანზე. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის ამგვარი გაგება ლი ბოს წარმოაჩენს ზნემაღალ პიროვნებად, ჰუმანისტად.

ლი ბოს ლირიკაში ბუნების სურათის წარმოსახვა დაკავშირებულია სულის თავისუფლების მოტივთან. პოეტი და ბუნება ერთმანეთის მესაიდუმლენი არიან. ხეები მგოსანს მეგობრად ესახება. იოანე ოქროპირის მიხედვით, მეგობარი – ეს არის ორ სხეულში ერთი სული. აქ კი ლი ბო ხის მეგობრად გამოცხადებით ხისა და მის ერთსულობაზე მიგვანიშნებს. ეს არის ბუნებასთან არა მხოლოდ დაახლოების, არამედ შერწყმის მაგალითი:

„შეხედე ხეებს–
ჩვენს ძველისძველ ნაცნობ-მეგობართ,
აყვავებულნი
ვით შვენიან ამ არემარეს“.

და არა მხოლოდ ამ არემარეს, თავად პოეტსაც შვენის ესთეტიკურად დამატკბობელი აყვავებული ხენი. ლუშანის მთებში ჩანჩქერს მომზირალი მგოსანი ლექსად გადმოგვცემს აღძრულ განცდებს:

„გავყურებ მთების ხერხემალზე
ჩანჩქერს და ისიც
მოქრის ღრუბელთა სიმაღლიდან
ღრუბლის გვარტომის...
და მეჩვენება:
ცით ჩამოდის ირმის ნახტომი“.

ერთ-ერთ ლექსში („იისფერი გლიცინია“) ლი ბო წრმოსახავს თუ როგორ ანეტარებს შვების მსურველ ადამიანს გაზაფხულის ყვავილთა სურნელი, რომელიც მომღერალ ჩიტებს იფარავს ფოთლის სამოსელით. პოეტს ახარებს აყვავებული ხე. მაგრამ ადარდებს წაქცეული ხეც: „წყალში წაიქცა ხე, გაუწყდა ფესვი დამპალი“. მგოსანს ყვავილებთან დარჩენა სწადია, როგორც ლხენის მომტანთან („მე მათთან მწადის დარჩენა, მიწყივ მალხენენ ისინი“). შვების მომგვრელია ტყეში ჩიტების ჟივილი („ტყე გაიხოშა და ჩიტები ჟივიან იქვე“). ნაძვის მახლობლად ნადირთა ბილიკიც ექცევა მხედველობის არეში („შორით ნადირის ბილიკს ვხედავ ნაძვის მახლობლად“). დაეხეტება ჭალაში: „დგანან ხრამნი და ქარაფნი, ღრენი სალნი და ფართონი. დავეხეტები ჭალაში – სად ნაკადული მოხვივის“. შეგვახსენებს მთებში მცხოვრებ განდეგილს იუან დან ციუს, რომელსაც მაღრიბის მთებში გალიაკი აუშენებია – ნაპრალთა შორის, უზრუნველად წოლილა უღრანში დღისით და ღამით. გარიდებული იყო შუღლსა და ყაყანს:

„ხმა ნაკადულის
და სიმღერა რიგი და რიგი
და ქართა ხმობა

ატკბობდა მუდამ“.

ლი ბოს მიაჩნია, რომ ასეთი ყოფით ადამიანი იხანგრძლივებს სიცოცხლეს.იგი უსმენს შუელი ბერის ძიუნის ჩანგზე სახიობას, რომელიც მთიდან ეწვია „ხმამშვენიერი ჩანგით“. მეგობართან ერთად მისი ძილი „მთოვარის ქვეშე მოივანებს“, მიაჩნიათ „მიწა ლეიბად და ზეცა – საბნად“. თანამედროვე პოეტ მენ ჰაო ჟანისადმი მიძღვნილ ლექსში მუხლს იყრის მეგობრის აჩრდილის წინაშე, სჯერა, რომ მისი სიტყვა, ანუ პოეზია, მუდამ იცოცხლებს. ამასთანავე, შენატრის მის საფლავს ბუნების წიაღში:

„მას ფიჭვთა შორის სძინავს,
სძინავს ღრუბელთა შორის.
იგი განიბნა მთოვარის
უცხო ნათელში ღვთაებრივ“.

მეგობარი სახელგანთქმული პოეტების – ლი ბოს და დუ ფუს ერთმანეთთან განშორებას („დუ ფუს ვაცილებ შიმინის მთებთან“) ბუნებაც განიცდის: „აქ შემოდგომის ტალღებს მოტირალს, მიდენის წყალი, ღამის მთევარი, ხოლო მწვერვალი ფირუზისფერი მოჩანს შორეთში – ნათლით ნამოსი“. დამწუხრებული ხეების შრიალი მგოსანსაც ამგლოვიარებს: „ახლორე ხენიც მწუხრით ბურვილან, ვზი, მგლოვიარე მათის შრიალით“.

შთამბეჭდავი ლექსია „შემოდგომის ნაპირის სიმღერები“. იგი ასე იწყება:

„სთველს არ ჩამოჰგავს შემოდგომის
ნაპირი. აწ ის
მწირსაც მიაქცევს გოდებაში.
ატირებს მწარედ, –
ვინ უგრძნოს ფიქრი,
ან ზრახვანი რომელმა აწყოს,
როს ამ მთებიდან იყურება
მავანი შორეთს?“

ჩანიანის მხარეს მზირალი გულგასენილი განდეგილი მოშხუილე ქაფიან მდინარეს ჩაეკითხება: „თუ გახსენდები, თუ მიგონებ, მდინარევ ჩემო? შენს პეშვს მივანდე ჩემი ტანჯვის ცრემლები მწარე, ჩემს მეგობართან მიიტანე მშობლიურ მხარეს“. ეს არის მწირის და მდინარის ადამიანური ურთიერთობის მკაფიო გამოძახილი. ისინი ეიმედებიან და ავსებენ ერთმანეთს. მწირს ავმა დღეებმა ტკივილით გადაუსერეს სული, რომელიც ყვავილებს გადააყოლებს გულს და ასე იშუშებს იარებს. მდინარის ღელვა ხშირად მოისმის ლი ბოს პოეტურ სამყაროში:

„მოყეფს მდინარე,
წყალს ბურუსი აწევს ნაპირზე“;
„და მხოლოდ მდინარე სწრაფი და ნათელი
მოღელავს მდინარე ფართო“;
„და მოქუხს მდინარე მთებისა, ჯანსაღი
მდინარე – ღვარი და თქორი“.

ერთ ლექსში მოთხრობილია ლი ბოს მიერ სამოგზაუროდ მიმავალი მეგობრის გაცილებაზე, სადაც ავტორი თავის მოყვარეს მარად მწვანე ფიჭვის ხეს ადარებს („განა ამაოდ გადარე

ფიჭვის ხეს, მარად მწვანოვანს“). ამით ხატოვნად არის მინიშნებული მეგობრობის გრძნობის მარად გაუხუნარობაზე.

ცა, მზე, მთვარე, ღრუბელი, ნისლი, მთა, მდინარე, ხე, ტყე... ხშირი და საპატიო „სტუმრები“ არიან ლი ბოს პოეზიისა, რაზეც ფრაგმენტული მსჯელობანი უკვე გვქონდა. ამჯერად ერთ ლექსზე შევჩერდები „მთვარიანში მარტოდ ვსვამ ღვინოს“. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ მგოსანი „გაშინაურებულია“ ცასთანაც. ღვინიანი დოქი ჩაუდგამს ყვავილთა შორის, გვერდით არავინ ჰყავს და მარტო შექცევია ღვინოს. თანამესუფრედ ციდან მთვარე მოუწვევია და მიწიდან საკუთარი ლანდი: „მთვარე, მე და ჩემი ლანდი ვქეიფობთ სამნი“. პოეტი მღერის და „მთოვარე ქრის წინაუკმო, ვროკავ და როკავს ჩემი ლანდი გრძელი და უხმო“. მათ გათენებამდე „სვეს“ ღვინო და „მოილხინეს“, ხოლო „დილით წავიდნენ, წაბარბაცდნენ თავიანთ გზაზე“. „მასპინძელი“ კი ისევ რჩება მარტო: „აწ, ისევ მარტომ უნდა ვჭვრიტო დღეთა წარხდომა“. ასეთი მშვენიერი ლექსი შექმნა ლი ბოს ფანტაზიამ. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ მარტოსულ მწირს მთვარეც თანაუგრძნობს და უწევს თანადგომას. ამ ლექსში ნათლად იკვეთება ცისა და მიწის კავშირი. ადამიანისა და ციური სხეულის ურთიერთობა, თანაც კეთილი ურთიერთობა, როგორც გარანტი სამყაროული თანხმიერებისა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩინელთათვის ღვთაებად, მეუფედ მიჩნეულია ცა, მაშინ ლი ბოსთვის ცას ღვთის სიმბოლური დატვირთვა ეძლევა, რაც ნიშნავს პოეტის კავშირს ღვთაებასთან. ძველი ჩინელები ცას ბედისა და ბედისწერის სიმბოლოდაც სახავდნენ. კონფუცისათვის ცა იყო უმაღლეს არსება, რომელიც განაგებს ადამიანთა ცხოვრებას, ამიტომ მას არ უნდა შეცოდო. ასე რომ „აღნიშნულ ლექსში ლი ბოს მიერ ციდან მიწაზე მთვარის გამოხმობა ეს არ არის უბრალო ფანტაზიის ნაყოფი, არამედ ეს არის ციური არსების თანაგრძნობა მიწიერი არსებისათვის. ღვინის სმა სიმბოლურად მიწიერ ყოფას განასახიერებს. ცის სხეული მთვარის სახით რომ ჩამოვიდა მიწაზე, აქაური თვისება შეიძინა. ღვინოც „დალია“, „დათვრა“, „ბარბაციც“ დაიწყო, დაკარგა ციური უბიწოება. ამ დღეში ჩააგდო ადამიანისათვის თანაგრძნობამ.

ძველი ჩინური პოეზიის ქართულ თარგმანებში იშვიათად შეხვდებით პოეტს, გაპიროვნების მხატვრულ ხერხს რომ არ მიმართავდეს. სათანადო საილუსტრაციო მასალებს გზადაგზა ვუთითებდით. ამ მხრივ, ლი ბოც მოწოდების სიმაღლეზე დგას, რაც მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს მის ლირიკას. ეს კიდევ უფრო ზრდის მის ესთეტიკურ ზეგავლენას მკვითხველზე. მხოლოდ ერთი ნიმუში მოვიძიეთ სულიერი საგნის თვისების უსულო საგანზე გადატანისა: „მოყეფს მდინარე, წყალს ბურუსი აწევს ნაპირზე“. რაც შეეხება გაპიროვნების მაგალითებს, იგი საკმაოდ დასტურდება ლი ბოს პოეზიაში. გვსურს სპეციალურად შევნიშნოთ, რომ ყველა ნიმუშში მხოლოდ უსულო საგნებისთვისაა მინიჭებული ადამიანური თვისებები ანუ უსულო საგნებზეა გადატანილი ადამიანური თვისებები: ტევრები ადამიანებივით კვნესიან, მდინარე ბავშვივით ქვებზე მიხტის, ფიჭვი უსტვენს და გალობს. შემოდგომის ტალღები ტირიან, მთვარე მთვრალი კაცივით ბარბაცებს. ხეებს მხატვარივით აფერადებს ხვიარა; ფოთლოვანი მღერის, ბამბუკის ტევრი ყლორტებს ისწორებს, ნისლი ადამიანივით იცინის (ვაჟას მიხედვით, იგი „ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის ნიშანი“), ყვავილნი ბავშვებივით კრთიან, მთები ადამიანს უმზერენ და ა.შ.

„ყვავილის კვამლით აფერადებს ხეებს ხვიარა...
იფარავს ფოთლის სამოსელით ჩიტებს მომღერალთ“...
„აქ შემოდგომის ტალღებს მოტირალს

მიდენის წყალი, ღამის მთევარი“;
„უსტვენს ის ფიჭვი, როს შეხვდება ქარიან ამინდს,
უსტვენს და გალობს საგალობელს დღისით და ღამით“;
„თითქოს შორეულ ტევრების ხმაში მესმოდა კვნესა“;
„ჩამოიფერთხა ფოთლოვანი და ფეხქვეშ მღერის“;
„ყლორტებს ისწორებს მოშრიალე ბამბუკის ტევრი“;
„ქარაფთა თავზე ბოლქვებად დამდგარი ნისლი იცინის.
კრთიან ყვავილნი, მეცნობა ჯანღთან ყვავილთა თანხმობა“;
„მე მთებს შევყურებ და მთებიც მიმზერენ, მდგარნი შტერადა“;
„დილით წავიდნენ (იგულისხმება მთვარე და ადამიანის ლანდი)
წაბარბაცდნენ თავიანთ გზაზე“.

როგორც ვნახეთ, უსულო საგნები, გაპიროვნების მეშვეობით, ადამიანებივით იქცევიან: აფერადებენ, ტირიან, ღამეს ათევენ, უსტვენენ, გალობენ, მღერიან, კვნესიან, ყლორტებს ისწორებენ, იცინიან, კრთიან, იმზირებიან, დაბარბაცებენ, აზროვნებენ, გრძნობენ. ამ სტრიქონებმა თორმეტ საუკუნეს გაუძლეს და შეინარჩუნეს პირვანდელი მხატვრული პენი და ესთეტიკური დატვირთვა. გაუხუნარია მათი მშვენიერება, მარადიულია მათი სიცოცხლე. გაპიროვნება ლი ბოს სჭირდება იმისათვის, რომ ბუნებასა და ადამიანს შორის განსხვავაებულობის კვალი წაშალოს, ბუნება უფრო დაუახლოვოს და შეაყვაროს ადამიანს. ბუნებამ და ადამიანმა თანაბრად იპოვონ ერთმანეთი, გაიზიარონ ერთმანეთის სიხარულიც და ტკივილიც.

ლი ბო მიმდევარია და დამცველი როგორც დაოსურ-ბუდისტური, ასევე კონფუცის მოძღვრებისა – ტანის ეპოქის სხვა პოეტების დარად. ეს არის, ერთის მხრივ, განდეგილობისკენ მიდრეკილება, მეორეს მხრივ, ცხოვრებასთან შეგუება თუ შერიგება, წუთისოფლის შეგრძნება ტანჯვის ობიექტად, ასევე ამქვეყნიური ცხოვრების ჭირ-ვარამის და სიხარულის გაზიარება, საწუთრო მიუღებელია, მაგრამ მისაღებიც, ცხოვრება წყვდიადია, მაგრამ ნათელიც: „ვინცა შეიცნო ნათელი თვისი, მანვე შეიცნო წყვდიადი თვისი“ („დაო დე ძინი“). გამომდინარე აქედან, ლი ბო ფიქრობს მამულზე. ოჯახზე, მეგობარზე...

„აღვაპყრობ თვალთ და
მთოვარეს ვხედავ,
ჩავქინდრავ თავს და
მამულზე ვფიქრობ“.
„უმთავრესია, მამული ჩვენი,
ჯილაგის სისხლი რისთვისაც ვღვარეთ“;
„მთასა და ბარში დასდევდა
მშობელ მხარეზე ურვა“.

დიდმა ჩინელმა მგოსანმა კარგად უწყის, რომ სამშობლოზე ოდენ ფიქრი და ურვა არაფრის მაქნისია. მთავარია მის გადასარჩენად პრაქტიკული მოქმედება, საჭიროების შემთხვევაში ომში თავგანწირულად ჩაბმა. ამიტომაც არის, მის ლირიკაში ომის თემამ დაიქუხა კიდეც („ომი ქალაქის სამხრეთ კედელთან“, „ომი საზღვრის სიახლოვეს“, „ომი კედლის სამხრეთით“). მამულისთვის მებრძოლს სჭირდება მჭრელი მახვილი („აჰა, კვლავ ომი, მახვილი კვალად საკბილოს ეძებს“), ღონიერი ცხენი („ცხენები ძოვენ ციური მთების ხასხასა ბალახს“). მეომარი არ ფიქ-

რობს სიკვდილზე, რაც ომში ყოველ ნაბიჯზეა დადარაჯებული, სიკვდილს წინასწარ არის შეგუებული:

„მიეშურება საომრად
ჯარი ურიცხვი მხნედა.
მაგრამ ამაო ყოფილა
მხედრის საქმე და გარჯა.
მოდის სიკვდილი, ცხენი და...
ყოველი ოხრად დარჩა“.

დაღუპული მხედრის გვამს ტრამალზე სვავნი ინაწილებენ სანადიმოდ. სარდალი ჯარის გარეშე სად თქმულა, გასაჭირის ჟამს მთვარია არა სიკვდილზე ჯავრი, არამედ ხმლის მოხმობა და მედგარი მერნის ყოლა, როგორც ამას „ოდითგან უბნობდნენ ბრძენთა ენანი“. მეომრის მშვიდობიანი ძილი ნატვარდ რჩება, რომ „გადამთიელი მომხვდურის ლანდი არ დაეცეს ჩვენს წყალს და ხიდებს“. დიდი ომი გადახდილია, ჯარს კიდევ მოუწევს ომებში ჩაბმა, მტრის საბოლოოდ შემუსვრამდე უკანდახევა არ იქნება. მეომრები თავგანწირვით იბრძვიან: „ღამით ლეიბად მიწა გვაქვს, სასთუმლად ვიგებთ უნაგირს... განა ამაოდ გვაბია წელზე მახვილი მსუნაგი: ჩვენი მახვილის წერაა ლოულანელი მთავარი“.

ლი ბო ომში მონაწილის ენით აღწერს ბატალურ სცენებს. მეომრებს შორის მიერეკება „ტრამალზე რაშების ქროლვა ქარული“:

„ცხენდაცხენ მიჰქრის პირქუში
ომისკენ მოყმე მრავალი.
დავემშვიდობეთ მთოვარის
ნათელში მიწას მამულის,
რომ ბარბაროსი შევმუსროთ
მუქარით ჩვენკენ მავალი“.

„ვეფხვის საყვირით“ სარდლებმა მეომრებს ბრძოლად გასვლა ამცნეს, რომელთაც ამოწვდილ მხალზე შეყინული ჭირხლი უცინის. მებრძოლს აქვე ახსენდება მეუღლე: „გვიან ვიხილავ მამულის ბჭეთ, მეუღლევ ჩემო. ნუ მოთქვამ ჩემზე და ნუ ტეხავ ღამეს ქვითინით“. ამას მოსდევს ომის სურათის აღწერა: მაცნე კოცონი დაანთეს, „ავარდა ალი ომისა“. ალი შორს გაიჭრა, „აბრიალდ თავანიც“: „ადგა ხელმწიფე სვიანი, გამართა მუხლი ლომისა, ფიქრით სპასალარს გადასწვდა, დალანდა ომში მავალი“, დაფდაფების ხმა დუმილის ღამეს ადნობს:

„მე ისევ ომში შევდივარ.
შევდივარ ცეცხლის ღადარში.
უნდა გავფანტო ღრუბელი
ჩამოწოლილი საავდროდ“.

სიკვდილი კვალზე მისდევს ჯარისკაცთა მოძახილს, „ომის მაცნეა დაფდაფების ოხვრა-გოდება“. ბრძოლის ველზე მზე-მნათობიც უბრად იხედება, მებრძოლთ „სდევს სიკვდილის ლანდი ფრთამალი“. ომის დროს სივრცე მკვდარია, გარინდულია ქუფრად ზეცაც, წითლად შეღებილია ტრამალი დაღვრილი სისხლით, დაცემულთა ცხედრებს „სვავები ფლეთენ და იბრუნებენ სულს“; „თუმცა სუყველას ელოდება შორეთს ოჯახი, მწუხრით ბურვილი... და აწ კვლავაც მოელოდება“.

ლი ბოს მიერ ომისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლში არ ჩანს ბრძოლის დასრულება. ეს, ალბათ, სიმბოლურად იმის მიმანიშნებელია, რომ ამქვეყნიური ცხოვრების წიაღში ადამიანი მუდმივ ომშია ჩართული – ეს იქნება შემოსეული მტრის წინააღმდეგ ომი, შინაური მტრის წინააღმდეგ თუ არსებობის შესანარჩუნებლად პერმანენტული ბრძოლა.

ომის დროს, როცა ადამიანი სიკვდილს უყურებს პირდაპირ თვალებში, მძაფრად იღვიძებს წარმავლობის განცდა. ამ მოტივს ვერც ლი ბომ აუარა გვერდი. აქვე შევახსენებ მკითხველს, რომ ყოფნა-არყოფნა, სიკვდილ-სიცოცხლის თემა, ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობის გრძნობები საერთო დამახასიათებელია ძველი ჩინური პოეზიისათვის, რასაც გზადაგზა შევეხეთ კიდეც. ლი ბოს რამდენიმე ლიექსში იჩენს იგი თავს "ძინლიანში ასული („ძინლიანს ავედი ფენიქსის ტერასზე") პოეტი იგონებს ფენიქსთა (მითოლოგიური ფრინველი, რომელიც სიკვდილის მოწევნისას თავისივე ნებით დაიფერფლება და კვლავ აღდგება მკვდრეთით. ფენიქსი დასახულია მუდმივი განახლებისა და აღორძინების სიმბოლოდ) კრებულს: „აქ იდგა მარადის ფენიქსთა კრებული, ახლა ტერასაა მარტო". ფენიქსთა კრებულსაც კი დრომ მოუღო ბოლო. ასე ვერაგია ჟამთასვლა. ძველ სასახლეში დამკვიდრდა ბალახბულახი, სასახლის სიახლოვეს ბილიკის ნაგლეჯიღა შერჩა:

„ძლივს მოჩანს ბილიკის ნაგლეჯი განთქმული
და ძველი სასახლის ახლოს,
სად ღამეთ ტეხავდა ლხინი და ნადიმი –
იქ ბალახბულახი სახლობს".

წყალსა და ბალახს გაუყვია „ყანჩის კუნძული შორი". იგივე დღე მოელის თითოეულ ცოცხალ არსებას, ადამიანით დაწყებულს: „იქნება დაფარონ ჩემი მზე ღრუბლებმა და შუქი, რომელსაც ვდევდი". სწორედ ამიტომ პოეტს „ესობა ეკალი სევდისა". „გადაფარულა ნაცრისფერი ხავსით ქვითკირი. ასხლტა ხოხობი ნანგრევიდან. ძველ სახურავზე დაიკაკვება მაიმუნი ბებრულ ქვითინით".

სასახლეთა მდგმურთ დიდი ხანია მიწა ჭამს, სალხინო პალატებში ირმები დაბალახობენ, მეფობის დიდება იავარიქმნა:

„მიწამ შეჭამა სასახლეთა რამდენი მდგმური,
გუსუს სალხინო პალატებში ირმები სძოვენ.
წარხდა დიდება მეფობისა, დრომ აგო შური,
მათ სამყოფლოში აწ სამკვიდრო ბინდებმა ჰპოვეს".

ლი ბო მეგობართან მიმართვისას იტყვის: „ჩვენც, მეგობარო, ამ სოფელში ვინ დაგვარჩინოს?" მთავარია ეს მწარე განცდა ღვინის სმაში ჩაიკლას, ოღონდ წინაპრების ზნე-ჩვეულებათა მოგონების შემდეგ.

კონფუცის მოძღვრებაზე აღზრდილი ლი ბო აღიარებს ბედის არსებობას: „ჩვენ ორივენი (იგულისხმება დუ ფუ და ლი ბო) სხვადასხვა მხარეს მივდივართ, მოგვდევს ბედი მდევარი"; „ყინული ხრავდა და წყევლიდა ბედს, მშიერი და მშვიდი".

ლუარა სორდია

„მარადიული დიდების წყარო“ – დანტეს და გალაკტიონის შთაგონება

დანტე და გალაკტიონი, როგორც რენესანსი წარმომადგენლები, თავიანთ უმაღლეს იდეალებს რწმენას, ქრისტიანობას უკავშირებდნენ და, ბუნებრივია, მათი შემოქმედება მდიდარია რელიგიური სახე–სიმბოლოებით.

ამ პოეტური გიგანტების სულის საზრდო, მკურნავი ძალა იყო ღმერთი, რომელსაც მოიხსენებდნენ მრავალგვარი ეპითეტით მოაზრებული წყაროს, ჭის, წყლის, შადრევნის, აუზის, ნამის, ცვრის სიმბოლური სახეებით.

წყარო, როგორც ღმერთის სიმბოლური სახელი, არსებობას იწყებს ბიბლიიდან, გვხვდება სასულიერო პოეზიაში, ღვთისმეტყველთა წიგნებში.

მივმართოთ ბიბლიას.

ესაია წინასწარმეტყველი ღმერთს მოიხსენებს, როგორც ნაკადულს და წყაროს: „გავხსნი ნაკადულებს ხმელ გორებზე და წყაროებს ტრამალებთან“ (ესაია წინასწარმეტყველი, 41, 18) (1, 104).

„მოგცემთ უფალი ჭირში პურს და სიმწარეში წყალს და აღარ დაიმალება თქვენი მოძღვარი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 30,20) (1,95).

იერემიას წინასწარმეტყველებაში ღმერთს ეწოდება „ცხოველმყოფელი წყაროსთვალი“ (იერემია, 17, 135) (1, 141).

ზაქარია წინასწარმეტყველთან ღმერთის სახელია „სიცოცხლის წყალი“ (ზაქარია, 14,8) (1,304).

ბარუქ წინასწარმეტყველთან ღმერთი სახელდებულია, როგორც „წყარო სიბრძნისა“ (ბარუქი, 3,12) (1,190).

დავით წინასწარმეტყველის მიხედვით, ღმერთი არის „წყარო ცხოვრებისა“ (ფს. 35, 10) (2, 558).

იოველ წინასწარმეტყველი ასე გვაუწყებს მაცხოვრის მოვლინებას: „იმ დღეს წყალი იდინებს იუდას ყოველ ხევში, წყარო გამოვა უფლის სახლიდან და აავსებს შიტიმის ხევს“ (იოველი, 4,3) (1, 275).

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში ღმერთს ეწოდება „განწმენდილი წყალი“: „გასხურებთ, განწმენდილ წყალს და გაგწმენდთ ყოველი უწმინდურებისაგან და ყოველი თქვენი კერპისაგან გაგწმენდთ თქვენ“ (ეზეკიელი, 36, 25) (1,229).

ამოს წინასწარმეტყველი ამბობს: „წყალივით იდინოს სამართალმა და იყოს სიმართლე დაუწყვეტელ ნაკადულივით“ (ამოს 5, 24) (1, 279).

უფლის სახელია „ცვარი“: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი, 14,3) (1,273).

სახარების მიხედვით, ქრისტე არის „ცოცხალი წყალი“ (იოანე, 4,10) (2,183) „საუკუნო სიცოცხლის წყარო“ (იოანე, 4,14) (2,183).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში ღმერთს გულისხმობს „სიცოცხლის წყლის წყარო“(იოანეს გამოცხადება, 17, 17) (2,500).

„სიცოცხლის წყლის მდინარე“, „ბროლივით ჭვირვალი“, „ღვთისა და კრავის ტახტიდან მოედინებოდა“ (იოანეს გამოცხადება, 28,1) (2,519).

ღმერთი არის „უსასყიდლო სიცოცხლის წყლის წყალი“ (იოანეს გამოცხადება, 20,17) (2, 521).

ნეტარი ავგუსტინეს „მადლის წყაროს, მოწყალების წყაროს, წმინდა წყაროს, ჭეშმარიტების წყაროს, საიდუმლო წყაროს“ სახეებში ნაგულისხმევია ღმერთი (აღსარება) (3,179, 194, 224, 404, 424).

წყარო საღმრთო სახელად გვხვდება „უძველეს იადგარში“, „სინურ მრავალთავში“, ძველ მეტაფრასტულ კრებულებში.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ქრისტე მოიხსენება, როგორც „ცხოვრების წყარო“, „მოწყალების წყარო“ (4, 118).

ქართულ ჰიმნოგრაფიაში საღვთო სიმბოლოდ გვევლინება „უკვდავების მდინარე“, „მადლის, მდინარე, „ოქროს მდინარე“, (მიქაელ მოდრეკილი), „წყარო ცხოვრებისა“ (იოანე მტბევარი, საბა სვინგელოზი, იოანე ქონქოზისძე).

„ცხოვრების წყაროს“ – ღმერთს ევედრებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი:“ „ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა“ (ჩემი ლოცვა).

მიუხედავად წინარე ტრადიციების მრავალფეროვნებისა, ვფიქრობთ, გალაკტიონის პოეზია ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ წყაროსთან.

აშკარაა, ძველი და ახალი აღთქმაა „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორის უმთავრესი შთაგონება.

პოემაში ღმერთს ეწოდება „მერადიული დიდების წყარო“(5,408), „მარადჟამული სათავის წყარო“ (5,371).

კრავის (ქრისტეს) სერობაზე წვეულნი ეწაფებიან „მარადჟამული სათავის წყაროს“: „ჰოი, ვინცა ხართ წოდებულნი სერობად კრავის, მიხედეთ აწი, თუ რამდენი მას უტანჯია და მოუკალით მას წყურვილი დაუცხრომელი, აკი თავად სვამთ მარადჟამულ სათავის წყაროს“ (5, 372).

ამავე სახის ვარიაციაა „მარადიული დიდების წყარო: „ბეატრიჩე მიუბრუნდა „მარადიულ დიდების წყაროს“ (5, 403).

პოემაში „მდინარის წმინდა წყლით“ ხდება თვალის ხელა, ხედვის განწმენდა, სრულყოილების მიღწევა: „... მე მაშინ განსაწმენდად თვალების ჩემის დავაცხრი უცებ იმ მდინარის წყალთა მათ წმინდას, რომელთა დენა აღმითქვამდა ეგზომ სრულყოფას“ (5, 471).

პოემაში წმინდა წყალთან ზიარებას მოსდევს მეორედ დაბადება, სასიკეთო ფერისცვალება: „მე გამოვედი წმინდა წყლისგან ხელახლა ქმნილი“ (5, 273).

„სიხარულის მდინარის“ წყალი მორწმუნეს ჰპირდება მოვლენათა ახლებური ხილვის უნარის მომადლებას, „სიხარული“ კი ქრისტეს სახელია: „აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს რომელიც მთელი ხალხისა იქნება“

ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“, (ლუკა, 2, 10 11) (2, 113).

„შადრევნის წყალიც“ რელიგიური სიმბოლოა. პარნასის ჩრდილში მყოფთ, შადრევნის წყალს დაწაფებულთ ღვთის უდიდესი ძალის წინაშე გაოცება და საკუთარი უძლურების შიში იპყრობთ: „ვის დაუყვია ამდენი დრო პარნარის ჩრდილში, ან მის შადრევნის ვის უსვია იმდენ ხანს წყალი, რომ მის გონებას სიძაბუნე არ დასჩნეობა“(5, 264).

ანალოგიური მნიშვნელობის სახელია „მარადჟამული ჭის წყალი“: „და წყალნი ესე, მარადჟამულ ჭიდან მოდიან“ (5, 197).

საღვთო მნიშვნელობის „დაგმანული ჭის“, „ცხოველი წყლის ჭის“ სახეები სათავეს იღებს სოლომონის ქებათა ქებიდან: „ბაღი ხარ დახშული, რძალო, დაო ჩემო,ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (სოლომონი, ქებათა ქება, 4, 12) (1,16).

„ბაღების წყარო, ჭა ცხოველი წყლისა და ნაკადულნი ლიბანიდან მომდინარენი“ (ქებათა ქება, 4, 15) (1,16).

„ღვთაებრივ კომედიაში“ განსხვავებულია საღვთო მნიშვნელობის წყალი და აზვავებული ზღვის წყალი.

პოეტის იდეალია არა აზვირთებული ზღვის წყალი, არამედ „უკეთეს წყალთა საუფლო“: „ამიერიდან სულის ჩემის ხომალდი მალი უკეთეს წყალთა საუფლოში ზეასწევს აფრას, ჩვენს უკან დარჩა ზღვა ასევე აზვავებული (5, 137).

ბიბლიის მიხედვით, „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57,20) (1,116).

დანტესთვის წმინდა მამათა ეპისტოლეებია „იმედის... ჩქერალის უხვი შხეფები“: „შენ ისე უხვად მომაფრქვიე ეპისტოლებით იმედის შენის ჩქერალისა უხვი შხეფები“ (5,378).

გალაკტიონის პოეზიაში მრავალ კონტექსტში გვხვდება რელიგიური გაგების წყარო სხვადასხვაგვარი ეპითეტებით.

პოეტის უფალი არის „იმედის და რწმენის წყარო“ (რა ვქნა?) (6,53), რომელსაც მშობლიურ გარემოში შეიგრძნობს მძაფრად: „მინდოდა წყაროს წყალი გემოთი და მშობლიურით სუნთქვა სიოთი“ (მე ერთადერთი მქონდა წუხილი) (6, 243).

გალაკტიონის ლირიკული პერსონაჟის იდეალია „ტრაფობით აღბეჭდილი სიცოცხლის წყარო“: „მე მსურდა გრძნობით დავწაფებოდილ სიცოცხლის წყაროს, ტრფობით აღბეჭდილს“ (მწუხარება) (6,7).

ლექსში „ტფილისი ღამით“ ასოცირებულია სინათლე და წყარო: „სინათლე ჩქეფს, როგორც წყარო“ (7,241).

უზენაესი აღიქმება, როგორც ცის შადრევანი: „ცა, შადრევნების მძიმე მტევნებით“ (ცა, თოვლით ფენილი) (7,111).

გვხვდება ცას შეკიდებული „ალუჩები და შადრევნები“ (ვინ არის ეს ქალი?) ერთგან ყურადღებას იქცევს ცამდე აღვლენილი შადრევნების ვედრება: „ცამდე ალბათ ბევრჯერ ადის შადრევნების ვედრება, დამტვრეული საფერადის სულით შემოთეთრება“ (შადრევნების ვედრება) (7,317).

„სიტყვათა შადრევანია“ ლექსში „ისევ მესხის გამოხედვა (7,433-435).

„საახალწლო ეფემერაში“ საუბარია „ბაღის მძიმედ აშადრევნებაზე (შდრ. „ქებათა ქების“ „ბაღების წყარო“ და გალაკტიონის „ბაღის აშადრევნება“.

„აშადრევნება ნეოლოგიზმი სხვაგან არის „ფერადია აშადრევნება“.

„ბაღის აშადრევნება“ გულისხმობს ხალხის რწმენასთან ზიარებას, რადგან ბაღი ხალხის მეტაფორაა ბიბლიაში: „იქნები მორწყული ბაღივით და წყაროსავით, რომლის წყლები არასოდეს შრება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 58, 11)(1, 117).

„იდუმალი მხარის“ შადრევნის დადუმება რწმენის უარყოფაზე მიანიშნებს: „იქ აღარ რეკავს ის შადრევანი, იმ იდუმალთა მხარეთ გამხელა“ (ოპერის თეატრთან) (6,367) (შდრ. რაინერ მარია რილკე: „მე გამიცხადდა შადრევნების არსი ფარული შადრევანთა ექო“).

ლექსში „შავი ზღვის პირად“ (ხუტომეული, ტ-2, გვ. 114, 1993), გვხვდება „ცეცხლის შადრევნის“ სახე (რომელიც საღვთო მნიშვნელობის ცეცხლის ვარიაცია უნდა იყოს, რადგან ცეცხლი ღმერთის სახელია): „ცეცხლის შადრევნებს გასცქეროდნენ თვალები შენი და შენთან ერთად თითქო მღეროდნენ მთანი და ტყენი“.

„საოცარი პოეტური ლიცენციაა: „შადრევანმა ათასმა ლაჟვარდები ათასმა“ (უცნაური სასახლე) (6, 290).

ლექსში „წმინდა გიორგი“ „ცვარი სვამს ზამბახების სავსე ფიალას“.„ზამაბახების ფიალა“ საღვთისმშობლო, „ცვარი“ კი საღვთო სახელია.

ბიბლიაში, „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთის სახელია „მარადჟამული ჭის წყალი“.

ვფიქრობთ, გალაკტიონის ლექსში „მთვარე ჭაში“ ჭა ღვთისმშობლის სახელია.

ათეისტური ეპოქის რეპრესიებზე, უდანაშაულოთა სისხლზე მიგვანიშნებს „სისხლის წყარო“ ლექსში „გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი“ (9,121-122).

სხვაგან „აუზის ოცნების“ შხეფებს შეიგრძნობს და ახალი დროის რუსთველის მოლოდინით ივსება პოეტი „...ცივი ოცნება შხეფავს აუზის, ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“ (ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის) (7,278).

„ღვთაებრივ კომედიაში“ „წმინდა წყლით“ ხდებოდა სულიერი განახლება, ნუგეშის (ღმერთის) გზაზე მავალი გალაკტიონი „ნატყვიარს“ წყლით (რწმენით) ირჩენს: „სხვა რომელ წყალით იმალება ნატყვიარები, გმადლობ, ნუგეშო, შენს გზაზე რომ დავიარები“ (სხვაგან სადაა?)(7,515).

ნუგეში, გზა საღმრთო სახელებია.

გალაკტიონი, როგორც ათეისტური ეპოქის შვილი, ამხელდა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის შინაარსს მტვრით გასვრილი წყლის სახით: „მტვრით გაისვარა წყალთა ლიკლიკი“ (ატმის ყვავილები) (7,45).

საუკუნის ტრაგედიები იწყებოდა ღმერთის გმობით, რაზედაც „ფერგამჭვირვალე და უანგარო წყაროს“ ამღვრევა მიგვანიშნებს პოემა „მშვიდობის წიგნში“.

„გადანახულ დროშებში“ (7,9) რწმენის წყაროს დაშრობა, გადამხმარი ბაღი ანუ უზენაესი საწყისებისგან დაშორებული, ორიენტირებადაკარგული ხალხია პოეტის წუხილის მიზეზი: „ვდგავარ კლდეზე – აქ ოდესმე ბაღი იყო სანეტარო, გადამხმარა ჩვენი ბაღი, ამომშრალა ჩვენი წყარო“.

ქრისტიანულ ინტონაციებს ცვლიდა აღმოსავლური თარის კაკანი, მისი სიმები კი წყაროს წყლის გაუჩინარებას ამცნობდა: „ო, დაჩუმდი, მოკაკანე თარო, ყოველ ქუჩის, ყოველ გზის და შარის, შენს სიმებში მე მომწყურდა წყარო, წყარო ჩანს და წყალი არსად არის“.

ურწმუნო ოფიციოზის სიცრუეს –„ყველაფერი არის ძლიერ კარგად“ – ენაცვლებოდა მწარე რეალობის მხილება: „ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“ (მთვარის ჩრდილი ბაღს ეფინა ქარგად (8,806).

ლექსში „ობელისკი“ (6, 175) შავი წყალი, შავი მერანი, სასაფლაო და ძერა გვაგრძნობინებს ეპოქის მწარე განაჩენს: „წყალი შავია, როგორც მელანი, შავ წყალზე შავი შედგა მერანი და სასაფლაოს მხარიდან ძერა თავს დასტრიალებს, ვით ბედისწერა“.

ეს „ბნელი ქარაგმა“ „თეთრი მხარის“ (თოვლიან–ყინულიანი იმპერიის) მიერ არის მოტანილი, როგორც თავსმოხვეული ობელისკი.

პეტრე მოციქული ასე ამხელდა ურწმუნოებს: „ესენი არიან დამშრალი წყაროები და ქარიშხლის მიერ დევნილი ღრუბლებ,ი მათთვის გამზადებულია საუკუნო წყვდიადი“ (პეტრე მოციქულის II წერილი, 1, 17) (2, 312).

ათეისტური ეპოქის მახასიათებელია გალაკტიონის დამშრალი წყარო: „სიცოცხლეო, მთლად დამიშრა იმედის და რწმენის წყარო“ (6,53).

1928 წ. უკვე კატეგორიული განაცხადი გაკეთდა ურწმუნობაზე: „არ არის ქვეყნად შვების სხივი, იმედის წყარო (სტიროდა ზეცა) (6,66).

შხამით მოწამლული წყარო ურწმუნოების ბაცილებით მოწამლულოი რელიგიაა:„ყოველი წყარო შხამია, შხამი შხამს გადაერია (შენ სცოდავ) (9,420).

ნამი საღმრთო სახელია: „ასე მითხრა უფალმა: მე მშვიდად გადმოვიხედავ ჩემი საუფლოდან ხვატის კაშკაშივით მოწმენდილზე, ნამის ღრუბელივით მკის პაპანებაში“ (ესაია წინასწარმეტყველი, 18, 4) (1,86).

გალაკტიონის პოეზიაში „ქრებოდა ნამი ყვავილის გულზე“, ანუ იკარგებოდა რწმენა (რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე) (6,32). ნამი არის ქრისტეს, ყვავილი–მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორა.

„ნაკადული“, „დაუწყვეტელი ნაკადული“ (ესაია წინასწარმეტყველი, ამოს წინასწარმეტყველი) საღმრთო სიმბოლოებქია.

ლექსში „თეთრ თოვლის ქვეშ) (6,6) გაზაფხულზეც იყინება ნაკადული, ცა, ქვეყნის გული: „თოვლის ფიფქით შეიმოსა ნაძვი ტოტებდახლართული და მღელვარე გაზაფხულზე გაიყინა ნაკადული. გაიყინა ცის ლაჟვარდი, გაიყინა ქვეყნის გული“.

გაყინული ნაკადული უარმყოფილი რწმენის სახეებია.

ცა (ცათა ცა, ღმერთების ცა) უსინათლო, მტვრიანი და გაცრეცილია, მავანნი უაზრო რომანსერებს მღერიან“, წყარო ხევში ვალალებს, გაქრა გიჟი ოცნება“ (რა დროს რომანსეროა?) (7, 216).

ლექსი „ლოცვისთვის“ გვამცნობს პოეტის ძალისხმევას ყვავილების ქარისგან გადარჩენისთვის და ისევ „ვარდებით ივსება აუზი“ (6, 162).

გალაკტიონი „მეფისტოფელის საუკუნეში“ ცხოვრობდა, მაგრამ უზენაეს საწყისებთან არასოდეს წყვეტდა კავშირს: „წავალ, გავყვები ამ სევდიან გზას ზღვათა ქუხილით, წყალთა ლიკლიკით და დავამკვიდრებ დაღლილ სიცოცხლეს შორს, სხვა ედემში, შორს, ჩემს ბედს იქით“ (ბედს იქით) (6,87).

გზა, წყალი, სიცოცხლე ღმერთის პარადიგმებია.

აშკარა, გალაკტიონს ქრისტიანულ რწმენაზე დამყარებით სურდა ადამიანური შეზღუდულობის ჩარჩოების გარღვევა, „სიცოცხლისთვის“ – ღმერთისათვის სამუდამო ადგილის მიჩენა თავის პოეზიაში, „სხვა ედემის“ უკვდავყოფა, რადგან სამოთხე, ედემი ღვთისმშობლის სახელებია (10, 124).

აშკარაა დანტეს და გალაკტიონის შთაგონების უმთავრესი წყარო ბიბლია და ღვთისმეტყველება იყო, ანალოგიური სახეეების არსებობა ამ შემთხვევაში გაპირობებულია ერთგვარი ინტერესებით, ერთგვარი იდეალებით.

ნათელია, გალაკტიონი გან:იოსი წინამორბედის ეპიგონი კი არ არის, არამედ საკუთარი გზით მავალი პოეტური ტიტანია, რომელიც სტიქიურად არასოდეს მიჰყვება უკვე გაკვალულ გზას. მსახურებს რა ერისა და კაცობრიობის მარადიულ პრობლემებს, ამავე დროს, ყოველთვის თავისი ეპოქის შვილია, ზედროულთან ერთად, ათეისტური საუკუნის უკეთურობებს წარმოაჩენს ზედმიწევნით ორიგინალურად, როგორც „სამუდამოდ ჯაჭვაწყვეტლი, ბორკილაყრილი“ ორფეოსი ქართული სიტყვისა.

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
4. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
5. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
6. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 2011
7. გალაკტიონ ტაბიძე ორ ტომად, ტ. I, თბ. 1988
8. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ.1977
9. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. III, თბ. 1993
10. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996

პოეზიის ტაძარი

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში

ვაჟა ეგრისელის პოეტური დებიუტი, მეოცე სა-უკუნის მეორე ნახევარი — ქართული ლიტერატურის რენესანსს დაემთხვა. უკვე შემდგარი იყო „ცხენთა შეჯიბრი“, დასაკუთრებული იყო „პოეტების მეფის“ დაფნის გვირგვინი, ჩვენი მწერლობის ნოყიერ ნია-დაგზე წარმატებით იღწვოდნენ სიტყვის რჩეულნი.

თუმცა ისევ ათეიზმის, ავადსახსენებელი სოციალისტური რეალიზმის დროშა ეპყრათ ქვეყნის იდეოლოგიის მესვეურებს. სახეზე იყო სააგიტაციოპროპაგანდისტული აჟღერება პოეზიის მაღალი მისი-ის დამვიწყებელთა მსუბუქი ქნარისა.

ჯერ კიდევ ისმოდა „ცისფერყანწელთა“ ხმა, ხელისუფლებისაგან უმიზეზოდ შერისხული რაინ-დის პაოლო იაშვილის მიერ მწერალთა კავშირის შენობაში გასროლილი ტყვიის გამაფრთხილებელი ექო...

იატაკქვეშეთში ტერენტი გრანელის პოეზიის ტაბლას მისხდომოდნენ ჭეშმარიტი სიტყვის მცნობ-ნი და სააშკარაოზე გამოსვლისათვის ემზადებოდნენ. ოფიციოზი, პარტიულობის პრინ-ციპიდან გამომდი-ნარე, ისევ ყადაღას ადებდა უცნობი სფინქსის რელიგიურ ლირიკას.

დიდების ჩოხებს ირგებდნენ ორმოცდაათიანელები (მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე). ქართული პოეზიის ყველაზე მაღალი ცა გალაკტიონს დაე-ფარა, მისი ბუმბერაზული ჩრდილიდან ამაოდ ცდილობდნენ გამოსვლას პატარა პოეტური თა-ნამესუფრენი.

დავიწყების, უგულებელყოფის ბურუსიდან გად-მოებიჯებინა რეპრესირებულ მიხეილ ჯა-ვახიშვილს, გახალხურებულიყვნენ მისი შედევრების პერსონა-ჟები, მაგრამ „ჯაყოს ხიზნების“ ავტორის საგულის-ხმო გაფრთხილება ქვეყნის მესვეურთათვის რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

გრიგოლ რობაქიძის დიდ სულიერ მემკვიდრეო-ბას ისევ უცხოობდნენ ჩვენი იდეოლოგიუ-რი მამები და იწყებოდა შორეული შვეიცარიის მზეს მიფიცხებული კლასიკოსის დაისი. ქართუ-ლი ცხრათვალა მზის მონატრებაში ილეოდა დიდი „კარდუს შთამომავალი“.

მრავალი ომი გადაეხადა ბიბლიური იაკობივით ღმერთთან მორკინალ კონსტანტინე გამსა-ხურდიას, მაგრამ ცალთვალა მატერიალიზმით გონდაბინდულ და ლიტერატურის პარტიულო-ბის არტახებით შებო-ჭილ ხელისუფლებას მაინც ვერ განელებოდა უც-ხოეთში განსწავლული დიდოსტატისადმი უნდობლობა და მისი დაფასების პრეროგატივას სხვა ქვეყნები იღებდნენ. მწერალი კი მაღალი სამრეკლოს ზარებს რეკავდა, დაუღალავად ერკინებოდა აპოკა-ლიფსურ მხეცთა ნაშიერებს.

მეფისტოფელის საუკუნეში სიყვარულის, სიკეთის, რწმენის დეფიციტი იგრძნობოდა.

არ ჩანდა ახალი სახელის, ახალი ავტორიტეტის გამოჩენის პერსპექტივა, „შავი ცეცხლი“ ფრთებს უტ-რუსავდა ალბატროსებს, არწივებს.

როგორც მერაბ კოსტავა ბრძანებს კონსტანტინე გამსახურდიასთან დაკავშირებით, „...წი-თელ გრიგალს თავდაუზოგავად მოაჭენებდა უშემზარავესი მხედარი, ცეცხლშემართული აზ-რთა მმუსვრელი წი-თელი ცენზურა, მისთვის უცხო, მიუღებელ აზრებს ხშირად თავებიანად რომ ათიბავდა მათსავე მატარებელთ“ (გამოსათხოვარი) (1,188).

პარტიულ ფუნქციონერებს, ხულიერ გნომებს, „ყრუ საუკუნეს“ დახშული ჰქონდა სმენა საღვთო ჰან-გების მოსასმენად, ისმოდა არა ლოცვა, გალობა, არამედ „დაცინვა, წყრომა და ირონია“ (გალაკტიონი).

„ათასის მხედველობის“, „ასი ათასის სმენის“ მქონე, უფსკრულისა და „გონიერი ზეცის“ მჭვრეტელი, „მაღალი და მაღლად მხედი“ არ სჭირდებოდა ცალთვალა ათეისტურ საუკუნეს. ასეთები დევნილნი, შერისხულ-ნი და ზვარაკად შეწირულნი იყვნენ.

სიმართლის მსახურთა გზაზე ციმბირის გულა-გი, საკონცენტრაციო ბანაკები, ფსიქიატრი-ული რეპ-რესიები ილანდებოდა.

დემონთა, დამსმენთა, ჯაშუშთა ლეგიონები დაე-რაზმათ მიწიერ თავადებს და იყო განუ-კითხავი ნადირობა აზრზე, სულზე, სიტყვაზე.

პოეზიის ცას ყვავ-ყორნები აბნელებდნენ, უზე-ნაესის მადლით მოსილნი კი აბუჩად იყვნენ აგდებულნი.

ერის სულიერი მამები იგავებით, სიმბოლო-ალეგორიებით, ენიგმებით ცდილობდნენ მიეწ-ვდინათ მკი-თხველისთვის სათქმელი.

საბჭოთა პერიოდი ურჩხულების აღზევებით გა-მოირჩა. ეს შინაგანი და გარეგანი მხეცები „პატივმო-ყვარეობის კუნძულზე“ მკვიდრობდნენ დევის, მგლის, დათვის, ნადირის, ლომის, ვეფხვის, ციკლოპის, ცერბერის, ქიმერის, უნასის, გველეშაპის სახით.

ჭეშმარიტების მსახურს აუცილებლად ელოდა სცილას და ქარიბდას შორის გავლა. თვა-ლუწვდე-ნელ მორევში ინთქმებოდნენ სუსტები, ღმერთი კი ისევ ეძებდა ახალ ნოეს, ახალ წარ-ღვნას ამზადებდა და დავიწყების უფსკრულში ისროდა სულგაყიდუ-ლებს, მათ ვერ შველოდათ ხელმწიფისაგან ნაბოძები ხალათი, ორდენმედლები ხდებოდა უსაფუძვლოდ აღ-ზევებულთა გა-დაფასება, ხელმწიფის ნავში მოკალა-თებულთა მხილება, ფუჭი დიდების მოიმედეთა გაწირვა უფლის მიერ.

მეოცე საუკუნე იყო ნიჰილისტების თარეშის, სულიერების, რწმენის იგნორირების, ქრის-ტეს „სიკ-ვდილის“ და ზეკაცის ძიების (ნიცშე), დედამიწის (ბუნებრიობის, სიკეთის) გარდაცვა-ლების (ჟიულ ლა-ფორგი), მზის „გახელილი თვალებით“ სიკვდილის, მზის ჩაქრობის (გალაკტი-ონი), ღვთაებრივი ცეცხლის განელების, ღმერთის „მოკვლის“ ეპოქა (გრიგოლ რო-ბაქიძე), ადა-მიანსა და ღმერთს შორის ხიდის ჩატეხის (კონსტანტინე გამსახურდია), მზის გაუჩინარების (ტე-რენტი გრანელი) ჟამი, დიდი და ბნელი ღამის გაბატონების მცდელობა, რათა წყვდიადის საში-ნელების შემგრძნობთ, უფრო მეტი ძალით ეძიათ სინათლე, ზეცა, მარადიული მზე.

გეზსამცდარი მარქსიზმ-ლენინიზმის ხომალდი საცაა კლდის ქიმს შეელეწებოდა.

პირს აბჩენდა უფსკრული, რათა მისით შეძრ-წუნებულს შეეგნოთ დაღუპვის საფრთხე და ელო-ცათ, ეღვაწათ გადარჩენისათვის.

გადასარჩენი იყო სულიერება, რწმენა, ეროვნუ-ლი იდეალები, ცხოვრების საზრისი.

გადამრჩენის მისია, როგორც ყოველთვის, ამჯე-რადაც მხატვრულმა სიტყვამ იტვირთა.

ამ რჩეულთ შეუერთა ვაჟა ეგრისელმა თავისი „ლომური ბუხუნი“, აქტუალური დევიზით შეძრა ურწმუნოებით გაუხეშებული, დაგვალული სულები: „ცა ჭკნება, ვით ტოტი ძახველის, დრო არის მზის გა-დასარჩენად, რამეთუ ყოველთა აღიღონ მახვილი...“

„მოთმინების ცივ ურემზე შებმული“ უცნობი პოეტი „ვეფხვური ნახტომისთვის“ ემზადებო-და, მას ეიმედებოდა თავისი „ლომური ქედი“, წმინდა სულით ეზრდებოდა „ქართული ფრთები“, უვალ გზებს გასცქეროდა, შორს გასაფრენ სივრცეებს ზვერავდა, რათა თამამად დაეპყრო „ცი-სა და მიწის თვალსაწიერი...“

ახალი მარულის მომლოდინე, უხილავ გზებს, დედამიწის ჰორიზონტებს, პოლუსებს, პლა-ნეტებს, კოსმოსს ზვერავდა და ოთხივე სკნელის მოხილვის სურვილით გვაოცებდა.

ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით მომადლებული, ავტორიტეტებთან შესაჭი-დებლად ემზა-დებოდა, ბომონებს და კერპებს უპირისპირდებოდა: „სასრულს მეორე ათასწლე-ულის, მგოსნებს ეჭვები რომ გაუჩინოს, პარნასის მაღალ მთაზე შეკრებილთ, მოვიდა ერთი, ვი-ღაც უჩინო და დაამსხვრია ბომონი და მისი კერპები“ (სასრულს მეორე ათასწლეულის) (2, 383). კერპების უარყოფა რწმენის სახელით ხდებოდა, ღმერთის ხელდასხმით, „მამა, ძე და სულიწმინ-და“ იყო მისი საესავი, ეროვნულ ტრიადას ენა, მამული, სარწმუნოება ერთგულებდა წინაპარი კლასი-კოსებივით.

აფასებდა, კუთვნილს მიუზღავდა წინამორბე-დებს, თანამედროვეთ...

გულგრილი იყო ვაიპოეტების ორდენ-მედლე-ბისადმი, ირონიით ჭვრეტდა მიწიერ თავადთა წაყ-რუების მომლოდინე არარაობებს: „ციდან ღმერთად მოვლენილებს, ვინ რას ერჩის ამ გენი-ებს, მაგრამ მტირალ ცეროდენებს ქინქლებივით იგერიებ, თუმც ჟანგი ჭამს მათ ორდენებს, მათ პოეტურ იმპერიებს“ (2, 126).

როცა ფრთები დაკეცა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მეფემ, მისი ტიტანური ტვირთი „ლომურ ქედზე“ შეიდგა კოლხეთიდან მოსულმა ქრისტეს მხე-დარმა და სასწაულებს ახდენს მისი ზღვარდაუდებელი პოეტური ფანტაზია...

„მზის სადღეგრძელოს“ „ცეცხლიანი აზარფეშე-ბით“ სვამდა გალაკტიონი, მის მემკვიდრეს კი უფა-ლი ავალებს ჯვარცმის გზით იაროს ამაღლებამდე, მზის სადღეგრძელო შესვას და მზის ეკლესიაში ილოცოს, „მზეზე იქორწილოს“. ასე ჩნდება „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის შემოქმედებაში „ჰიე-რატიული“, საღვთო ქორწინების იდეა.

გალაკტიონის შემდეგ ქართულ სიტყვას, სული-ერებას, რწმენას ახალი მეციხოვნე სჭირდებოდა. უფ-ლის ბაღის ახალ მცველს ელოდა ხალხი და უზენაესმა არჩევანი „კოლხური ფსალმუნების“ ავ-ტორზე გააკეთა: „ჯოჯოხეთის კი არა, კარი მარა-დისობის დანტესავით შეაღე. მიწიერს კი ღვთიური ისევ გმოსავს მშვენება. შენ ხარ ქრისტეს მებაღე, ლოცვებით მოყვავილე ბაღის მოსაშენებლად“ (ჯო-ჯოხეთის კა არა) (3, 366).

ვაჟა ეგრისელი „ქრისტეს ნათლული“, „ქრისტეს კვართით“ ნაშობი პოეტია.

გალაკტიონი „ახალ კართაგენს“ (918), „ახალი ლალის კართაგენს“ აგებდა (ეფემერა) (4, 302-303). ვაჟა ეგრისელს სიტყვის, რწმენის ახალი ტაძარი, ახალი სვეტიცხოველი ეიმედება საკუთარი სულისა და მარჯვენის ფასად და ის, პელაზგი ილოსივით, ახალ ილიონს, ახალ ტროას აშენებს: „შენ მზის შვილი ხარ და მზერა ცისკენ იმიტომ გაგირბის და შენ შენს ტროას აშენებ, ვითარც პელაზგი ილოსი. შენში ბობოქრობს ზვირთები პონტოს და მარმა-რილოსი“ (შენ მზის შვილი ხარ).

მისი ლექსების ცამდე აწვდილი სასახლე „ნა-გები არის სულ ბროლის და ოქროს მეტაფორებით...“

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორს გავლილი აქვს ჯვარცმის, მსხვერპლშეწირვის, სულისთვის ხორცის გაღების სტადიები და „მესიასავით ამაღლებული“, ინიციაციაქმნილი გასცქერის საუკუნეებს...

ვერ აკრთობს იჭვნეულთა მზერა, ქვეგამხედვარ-თა სისინი, იობივით მუდამ რწმენის ერთგულია, ვერას აკლებს „ლანდი მაცილის“, რადგან ეიმედება უფლის სამართლიანი მსჯავრი, სწამს, რომ ცაში მხოლოდ ღვთისმოსავნი დაიმკვიდრებენ ადგილს: „...დღის ბო-ლოს კი არსთა-განმრიგე და ლანდები სხივოსანთა, ქართული ცის სიანკარეს, მხოლოდ სულებს ღვთის-მოსავთა, სხვას არავის მიაკარებს“.

ყველა ბრძოლაში გამარჯვებულს, ოქროს ირე-მზე, ოქროს თევზზე მონადირეს, მებადურთა და მო-ნადირეთა გალობის შემქმნელს, ნიკეს აჩრდილი ევლინება.

თვალს არ აშორებს მეცხრე ცას, მზეს, მარადი-ულ ნათელს, რაც ბეწვის ხიდის გადასვლის, რუბიკონის გადალახვის ძალას აძლევს.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი მოგვევლინა, როგორც „ქართული სიტყვის რჯულმდებელი და სტრიქონებში მზის მთესავი...“

ვაჟა ეგრისელმა შექმნა ახალი „სიყვარულის იმპერია“, „მაშრიყიდან მაღრიბამდე“ გახმიანებული „ხმის ძლევამოსილი იმპერია“, რომელშიაც მთავარია „პირველი სიყვარული“ - ღმერთი: „ცხადია თუ ფა-რული ჩემთვის ორივ ერთია და შუა არ იყოფა პირველი სიყვარული ამ სოფლად იმ სოფლად“ (პირველი სიყვარული). „საყვარლის“ (ღმერთის) ნათელით კი მხოლოდ სულისთვის ხორცის გამღებნი გაბრწყინდებიან: „ვარსკვლავებით ნათესი ცაა უფლის საყანე. ხმა კრთის მთვარის მნათესი. სხვა კრძალვით და თაყვანით: ვინც ხორცს დასწვავს სულისთვის, ის იხილავს „საყვარელს“ (ვარსკვლავებით ნათესი ცაა – უფლის საყანე).

პლატონივით, ქართველ პოეტს აინტერესებდა „დაბლა დედამიწელი“ და „ციური ეროსი“ (ორი ეროსი).

ვაჟა ეგრისელი დანტესავით ცაში ეზიარა „ზე სიყვარულს ღვთაებრივს“ (სიყვარულის სალ კლდე-ზე).

სოლომონის „ქებათა ქების“, საერთოდ ბიბლიის, სახარების, იოანე პეტრიწის, აღმოსავ-ლური სუფიზმის წარმომადგენლების, დანტეს, რუსთველის, დავით გურამიშვილის, აკაკი წე-რეთლის, ვაჟა-ფშაველას დარად, კოლხი ქრისტეს მხედრისთვის „სიყვარული ღმერთია“ (უფრო ნეტარებაა), „სიყვარული აბრუნებს მზის და მთვარის ბორბლებს“ (გაზაფხულის დღეებმა), „სიყვარული ღმერთია, მზე სიყვარულს ამოჰყავს“ (ვარსკვლავთ მდინარეები).

რადგან „მამული ღმერთია“, სამშობლოს სიყვა-რულს უმთავრესი ადგილი უკავია პოეტის შემოქ-მედებაში: „ის პოეტია ცით მოვლენილი... დილის მზესავით იწვის, იზრდება და საქართვე-ლოს ტრფო-ბით გალეშილს არ უწერია გამოფხიზლება“ (ის პო-ეტია ცით მოვლენილი).

უპირველესი დევიზი ასეთია: „ქართული მზის პალოზე სიყვარულის უწყვეტი თოკით უნდა დაება, რადგან ცეცხლი გეწვია“ (ქართული მზის პალოზე).

„სიყვარული ღმერთია“ (იოანე, I, 4,8), ღმერთი სიბრძნეა და მხოლოდ სიყვარულის, სიბ-რძნის მიმდევარი ესათნოება უზენაესს: „ღმერთს უყვარხარ, რად-გან ქვეყანად ცხოვრობ სიყ-ვარულის სიბრძნით“ (წელი არის ოცდაათი).

განსაკუთრებული ძალისაა შეგონება: „... სიყვა-რულით, როგორც ქრისტემ, ბევრი მოიმო-წაფე“ (შა-ტილში და ღულის ჭალას).

ახალი აღთქმის მიხედვით, ღმერთი სიყვარული, სულიერი ფარია, სულიერი საჭურველი, ფარი და მახვილი (პავლე მოციქული, ეფესელთა, 14, 15, 16, 17).

იუდა-ფარისევლებისგან გამიჯნული პოეტისთვის „ფარია სიყვარული“: „ვიყავ და ვარ მინ-დობილი სიყვარულის ფარს ისევე, არც მღვდელი ვარ, არც ვიკარი და სათოფედ არ ვიკარებ იუ-დას და ფარისეველს“ (ვიყავ და ვარ).

სიმბოლოა „სიცოცხლის ხე“, „სიბრძნის ხე“. პოეტი მისგან „ნათალი“ სიტყვის ნაფოტით აგიზგიზ-დებდა კოცონს, ინათებდა ცას, რამ თანამდევი „ცალთვალა შური“ „ცხრათვალა სიყ-ვარულით“ დაემარცხებინა: „სიბრძნის ხიდან ნათალმა ქართულ სიტყვას ნაფოტმა შენ დაგინ-თო კოცონი და ცა აგითავთავა. მიტომ ხარ თავმომწონე, რომ გდევს შური ცალთვალა, სიყვა-რული ცხრათავა“ (სიყვარული ცხრათავა).

პოეტმა სიყვარულით შემოღობა თავისი სიტყ-ვის კარ-მიდამო, „სიყვარულის წმინდა ძა-ფით“ „დაა-გვირისტა“ სტრიქონები, „სიყვარულის და სიბრძნის ქვაზე“, „ციურ ქვაზე“ ალესა აქ-ტუალური, მარადიული აზრი: „ჟამთა ქარქაშში ჩაგებული სიტყვა ქართული რუსთაველივით სიყვარულის ქვაზე ავლესე და ახლა დილის მზისებრ ელვარებს. ჩემი სიმღერა მიუა-ლერსებს ზღვათა სიღრმეებს... და ცად აწვდილ მთათა მწვერვალებს“ (ჟამთა ქარქაშში).

მისმა ლექსებმა თაობებს დაუტოვა სიყვარუ-ლის გაკვეთილები, სიყვარულის სასწაულე-ბი...

„სიყვარული და სიბრძნის ნიჭია“, დანტეს რომ
დავესესხოთ, პოეტის უპირველესი „წადილი“, რაც
მხოლოდ ერთეულთ, წმინდა სულის მატარებელთ მიემადლებათ.

ვინც ღვთის სახლად აქცია თავისი არსება, მხოლოდ მას ხელეწიფება მილიარდების სიყვა-რული დაიტიოს: „ჩემი თვალები ღვთის სახლია, ხელის გული სამყაროს რუკა. მერიდიანები სუ-

ლის სიმებია და მილიარდების სიყვარულს განედების სიმებით ვუკრავ“ (ჩემი თვალები ღვთის სახლია).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში 150-მდე საღვთო და საღვთისმშობლო სახელი ფიქსირდება.

მხოლოდ მეოცე საუკუნემ აქცია ჭეშმარიტი პოეტური სიტყვის ზეციური წარმომავლობა საეჭ-ვოდ, თორემ პლატონიდან დაწყებული, კარგად იცოდნენ, რომ ნიჭი საღვთო მადლია.

სულიწმინდის ქნარი ეწოდებოდათ გამორჩეულ ჰიმნოგრაფს — სირიელ ეფრემს და მოციქულ პავ-ლეს.

სულიწმინდის კარნახით იქმნებოდა ბასილი დი-დის ჰომილიები, სულიწმინდის შთაგონებულად ითვ-ლება ახალი აღთქმა, ქრისტიან ღვთისმეტყველთა წიგნები.

სულიწმინდის მადლით ჭვრეტდნენ საიდუმლოს ბიბლიური წინასწარმეტყველნი, რადგან ნიჭთა გამ-ნაწილებელი არის სულიწმინდა.

პავლე მოციქულის მიხედვით, სიბრძნის სიტყვა, ცოდნის სიტყვა, რწმენა, განკურნებათა ნიჭი, სას-წაულმოქმედება, წინასწარმეტყველება, სულების გა-რჩევა, სხვადასხვა ენები და ენების განმარტება სულიწმინდის მადლია (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 1, 2, 7, 8, 9, 10).

„ნიჭი არის საღმრთო სულის მადლი“ (ეფრემ მცირე).

„საღმრთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერვა, შთაგონება“, წერდა გრიგოლ ნოსელი. იგი აიგივებდა სულს, მობერვას, შთაგონებას („პასუხი ექსუთა მათ დღეთათვის) (5, 278).

„ორფიკულ არგონავტიკაში“ უფალს „მომბერა-ვი“ ეწოდება, ხოლო „მობერვა“ შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეებში (6, 39).

ნეტარი ავგუსტინე ევედრებოდა უზენაესს, მოთ-მინებით ელოდა საღვთო ქარის მოვლინებას და ასეთ წუთებში სიხარულს ვერ ფარავდა: „აი, როგორც იქნა, შევისუნთქე მონაბერი შენმიერი ქარისა“ (7, 218).

მადლი ღმერთთან მიახლოებაა, სულიწმინდის გადმოსვლა ადამიანზე.

ღვთიური სულის მოფენაზე ლოცულობდა და-ვით გურამიშვილი.

„მახარობელი ნიავის“ სახით, ევლინებოდა აკა-კი წერეთელს სულიწმინდა („სულიკო“).

ვაჟა-ფშაველას „ქებათა ქებაში“ ციური ნიავია სულიწმინდის პერსონიფიკაცია, გალაკტიონ ტაბი-ძის პოეზიაში - „ფერადი ქარები“ და მისი ვარია-ციები, ტერენტი გრანელთან უხილავი ქარები, იდუ-მალ მხარეების გრიგალი. „მობერვის“ ცნებას ანა-ლოგიურ ჭრილში აცნობიერებდა ანა კალანდაძე.

კოლხური ფსალმუნების“ ავტორი არასოდეს იმეორებს წინამორბედთა სახეებს, იგი ამ შემთხვევაშიც რჩება ორიგინალური ხილვების დიდოსტატად.

ახალი აღთქმა შეგვაგონებს: „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწ-მიდისა, რომელიც ღვთისგან გაქვთ და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით“ (პავლე მოციქული, I კორინ-თელთა) (7, 19) (8,364).

პოეტს გათავისუფლებული აქვს ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანი სულიწმინდის ტაძარია: „რადგანაც ვართ მოსვლიდან სულიწმინდის ტაძრები, ამიტომაც ჩვენ გვმართებს, ჟამთა ორომტრიალში უფლის მად-ლით გაძლება“ (სულიწმინდის ტაძრები).

ლექსში „სული მწუხრით ნატკენი“ სულიწმინ-და ფიგურებს „ცისფერი ნიავის“ სახით: „...ახლა ვზივარ ზღვისპირად, ველი ცისფერ ნიავს და მის ღვთაებრივ მობერვას“ (2, 650).

ღვთის მადლით, ლოცვით და სულიწმინდის ქნარით გაბრძნობილი პოეტის „ეზო“ და „ჭიშკარი“ სიხარულით ყვავილობს: „სიხარულით მოყვავილე ჩემი ეზო და ჭიშკარი, სანამ აივსება

ნისლით, მანამ სულიწმინდის ქნარი, ღვთის მადლი და ლოცვა მიხსნის“ (სიხარულით მოყვავილე).

სიხარული და კარი მაცხოვრის, ეზო კი მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

„სიბრძნის ციდან მონაბერი ქარიშხლებით“ სუ-ლიწმინდის მადლით სიბრძნის ზღვაში“ ცურავს პოეტი და გრაალის მცველი ფრამეტანის თანა-მეინახე ხდება: „სიბრძნის ციდან მონაბერი, ქარიშ-ხალი მოგეძალა ნამეტანზე ნამეტანი. და გრაალის ზღვად კითხულობ, ვით ცის თაღზე ფრამეტანი“ (სიბრძნის ციდან მონაბერი).

„სიბრძნის ციდან მონაბერი ქარიშხალი“ სული-წმინდის სიმბოლოა, გრაალი ხან სულიწმინდის, ხან ღვთისმშობლისა და ამ უმაღლეს საწყისებთან თა-ნაზიარობას სიბრძნის ზღვით, სიბრძნის ოკეანით აუვსია პოეტის უკიდეგანო სული.

უზენაეს სიბრძნეს იუფლებს პოეტი დედა-ძის, სულიწმინდის მადლით: „სიყვარულით გადახურულ ჩვენს კარავთან, ჩამოდგება სანამ ბინდი და ჩვენს თვალებს სანამ ღამე მონისლავს, მანამ ქნარი გადაგვარჩენს სულიწმინდის, სიბრძნე სოლომონისა“ (სიყვარულით გადახურულ ჩვენს კარავთან).

ცნობილია, რომ „ქებათა-ქების“, „იგავებისა“ და „სიბრძნის“ ავტორი სოლომონი უფლისგან ნაბოძები სიბრძნით გამოირჩეოდა. ამ სიბრძნის კარი დაგმანეს სატანისტური ბოლშევიზმის ნაშიერებმა.

ათეიზმის ზეობის შემდეგ ისევ დადგა იდუმა-ლების კარების გახსნის, საღვთო სიბრძნესთან ზია-რების ჟამი და უფლის მცნებების ერთგულ, გონიერი ზეცისკენ სულის თვალით მზირალ პოეტზე გადმოვიდა მაცხოვრის მადლი, რათა სულიწმინდის ქნარი გამხდარიყო და უფლის ბაღი გაეშენებინა მიწაზე: „დრო და ჟამისგან გადარაზული, იდუმალების იღება კარი, სადაც დღეები მირბის და მორბის. მაცხოვრის მადლით, სულიწმინდის შენა ხარ ქნარი, ცისკენ გეწევა სიმაღლე ორბის“ (დრო და ჟამისგან გადარაზული).

„ნიავიც“ სულიწმინდის პერსონიფიკაციაა: „შე-ნი სული ნიავმა ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე არწია, ანანავა. მიტომ შენი სიტყვა ცვივა ციდან ციურ მანანად“ (შენი სული ნიავმა).

წმიდა ბასილ დიდი სულიწმინდას „მწიგნობარ ფალავანს“ უწოდებდა (9, 146).

დავით წინასწარმეტყველი ამბობდა: „ჩემი ენა კალამია სწრაფად მწერლისა“ (ფს. 44,2).

ვაჟა ეგრისელის ერთ ლექსში ცის ანგელოზე-ბის ლურჯი ფრთების ფათქუნი ისმის, რწმენის კოშკის გალავნის კარი იღება და „მწიგნობარი ფალავანის“ — სულიწმინდის მოვლინება გვამცნობს შემოქმედებითი ცეცხლის აალებას: „ციდან ანგე-ლოზები ლურჯი ფრთების ფათქუნით ჟამს ცისკ-რისას მოგვივლენ და კარს შემოუღებენ შენი რწმენის გალავანს და „მწიგნობარ ფალავანს“ (ციდან ანგელოზები).

მიწაზე „მწიგნობარი ფალავანის“ გამოჩენა მხო-ლოდ და მხოლოდ უფლისგან ხელდასხმულთა ხვედრია, სიბრძნის მომნიჭებელი სულიწმინდის პრეროგატივაა: „ღამით ელვა მთიებთან რიკტაფელას თამაშობს ნათლის დასამალავად. სულიწმინდა თა-ვად შობს ცად - მწიგნობარ ფალავანს“ (ღამით ელ-ვა მთიებთან).

სულიწმინდისგან გამორჩეული „მზითმოსილი“ სიტყვის ოსტატის ვალია, ადამის ძის ცოდვა წარ-ხოცოს დედამიწაზე, უზენაესის სიწმინდეს აზიაროს გზასაცდენილნი, გაამთელოს ცას და მიწას შუა ჩატეხილი ხიდი: „ვითარც ქნარმა სულიწმინდის მოსვლის დღიდან ადამის ძის, დიდი ცოდვა ზურგზე იდე და მზით — მოსილ სიტყვით გადე ცის და მიწის შუა ხიდი“ (ვითარც ქნარმა სულიწმინდის).

პოეტი ეძებდა „სულს და სულიერებას“ (მზეს, ღმერთს), სიბრძნეს თესავდა და სულის შეცნობას უსახავდა მიზნად თავის ლირიკას:

„დღისით მზით და ღამით მთვარით, გადახურულ ცისქვეშეთში, სიბრძნის თესლი მეც ვთესე. გიხმობთ სულის შესაცნობად, როგორც პავლე მოციქული ეფესელთ“ (დღისით მზისით და ღამით მთვარით).

სული ღმერთის სახელია: „ხოლო უფალი სუ-ლია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 4, 17) (8, 388).

ვაჟა ეგრისელი ბიბლიური წინასწარმეტყველი-ვით აფრთხილებდა თემანის ნაშიერთ, აგარის მოდგმას, რომ სიბრძნეს მხოლოდ უფლის მოყვარულნი ეზიარებოდნენ: „სიბრძნის გზა კი ერთია, უფლის ნაამაგარი და მას ვეღარ იპოვის ნაშიერი თემანის და ვერც მოდგმა აგარის“ (სიბრძნის გზა კი ერთია).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ეძებს არა „წუთისოფლის“, არამედ „უთვალთმაქცო უფლის სიბრძნეს“ (უხილავი და ფარული) და მას ევლინება „სხივი ნათელმხილველის“, მიემადლება „სიბრძნე ეზოტერული“ (ალბათ შენ ხარ პირველი).

ეზოტერული ცოდნის პირველ აკვანს ეგვიპტე-ში კი არა, კოლხეთში ხედავს პოეტი: „ტყუილად მისტირიან ეგვიპტურ მისტერიას, უღმერთობით სნეულნი. ეს შენ იცი პოეტო: კოლხეთიდან მოედო ახალშობილ სამყაროს ცოდნა ეზოტერული“ (ტყუილად მისტირიან).

პოეტი ფლობს „ცას მოსხლეტილ სიბრძნის ქვას“ (ირყევა სამყარო) მისი შემოქმედება - „სავანეა ფი-ლოსოფიური ქვით ნალესი“ (იდუმალებით სავსეა ეგვიპტე).

ამ სიბრძნის მახასიათებელია მხოლოდ ზღვა და ოკეანე, ხოლო მისი გამთავისებელი მარტო „ბუმბერაზისა“ და „გოლიათის“ სახელით შეიძლება მოინათლოს: „უხილავი საუნჯე სიბრძნის ზღვიდან ამოაქვს ბუმბერაზს და გოლიათს. პოეზიის ზღვა მოაქვს და წვავს სხვა აგონია“ (უხილავი საუნჯე).

„მილმიერსაც მივწვდი ფიქრით“

(გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებაში)

გულნაზ ხარაიშვილმა სიკვდილის თემას ორი პოემა და ერთი მოთხრობა უძღვნა.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სიკვდილი ყველაზე უფრო იდუმალი, ამოუცნობი, თავზარდამცემი, მარადიული პრობლემაა და ამ საიდუმლოებებით სავსე მოვლენის ამოცნობა უდიდეს სირთულეს წარმოადგენს, მილმურ სამყაროში ჭვრეტის განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს.

ცნობილი პოეტი ამბობს: „და რა კაცია, ვისაც წამით სიკვდილისათვის სიცოცხლეშივე ერთხელაც არ მოუკრავს თვალი“ (ვაჟა ეგრისელი).

სიკვდილის პრობლემის გაანალიზებას მიეძღვნა ეგვიპტური და ტიბეტური მკვდართა წიგნები, ამ მოვლენის სტადიების გაცნობიერებას ეხება „მზადება სიკვდილისათვის“, „გარდაცვალების ხელოვნება“, „ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ (რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1990 წ.).

ამ საკითხით დაინტერესებული მეცნიერები ირწმუნებიან, რომ სააქაოსა და საიქიოს შორის ჩინური კედელი არ არსებობს, პირიქით, მუდმივი კონტაქტია და ეს „კომუნიკაცია“ რეალურია,

ამიტომაც სიკვდილის საიდუმლოების გაცნობიერების საშუალებას იძლევა კლინიკური სიკვდილის გადამტანთა ნაამბობის შესწავლა და გაანალიზება.

„ცოცხალი მკვდრებთან ვსაუბრობ“, „სიყვრმითგან საიქიოსთან დამკვებებია კავშირი,“ აცხადებდა ვაჟა-ფშაველა.

აღნიშნავენ, რომ მიცვალებულები აფრთხილებენ ცოცხლებს, მიანიშნებენ მოსალოდნელ მოვლენებზე, გვეხმარებიან სიზმრებით, ხილვებით მომავლის განჭვრეტაში.

ცნობილია, რომ დანტეს გარდაცვალების შემდეგ ვერ იპოვეს „ღვთაებრივი კომედიის“ მეცამეტე თავი, რაც თავსატეხი გახდა. რვა თვის შემდეგ შვილს გამოეცხადა მამის აჩრდილი და მიასწავლა, სად ინახებოდა ხელნაწერი. მართლაც მიკვლეულ იქნა პოემის მეცამეტე თავი.

საყოველთაოდ ცნობილია, როგორ გამოეცხადა ჰამლეტს სიზმარში მამის აჩრდილი, რომელმაც სასახლეში დატრიალებული თავზარდამცემი საიდუმლო ამცნო.

სიტყვის მეუფენი ერთდროულად ხედავენ მიწას და ცას, ეფემერულს და მარადიულს, ხილულს და უხილავს, ამქვეყნიურს და მიღმურს.

„არ ვარ მეხოტბე მარტოოდენ სიცოცხლის გრძნობის, სიკვდილის გრძნობაც შემიქია, მიდიდებია“, აცხადებდა უოტ უიტმენი.

„და მეძახიან მშვიდ სამეფოში სიზმრები, მთები და წინაპრები“, წერდა გალაკტიონი.

„თითქოს მეძახის საიქიოდან მამა სამსონი, დედა ივლიტა“, გვიმხელდა ტერენტი გრანელი.

„მწამს, რომ არსებობს სულთა კავშირი მარადიული და დიდებული“ — ეხმიანებოდა დიდ წინამორბედებს ანა კალანდაძე.

ცოცხლების გვერდით ყოველთვის ღირსეულ წინაპრებს მოიაზრებდა გრიგოლ რობაქიძე.

„კიდევ კარგი რომ ჩემთვის, ირაკლი, გარდაცვლილები არ არსებობენ“ — ასეთი იყო შვილმკვდარი მერაბ კოსტავას რწმენა.

გულნაზ ხარაიშვილის პერსონაჟები გამუდმებით ემზადებიან მიღმურ სამყაროში გასამგზავრებლად, სწამთ სულის უკვდავება, ორი სამყაროს კავშირი.

პოეტს თითქოს ზეციდან მომადლებია სულის იდუმალი კრიპტოგრამის ამოკითხვა.

ამ ასპექტით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი პოემები: „მდუღარე ცრემლი“, „მკვლელობა საკუთარ სახლში“.

ყველა რელიგია იზიარებს შეხედულებას, რომ ადამიანის გარდაცვალებისას კვდება ფიზიკური სხეული, მაგრამ ასტრალური და მენტალური სხეული ცოცხლობს და აკისრია განსაკუთრებული მისია.

მიღმური სამყარო მრავალ პოეტს განუჭვრეტია სულის თვალით (დანტე, გოეთე, სასულიერო პოეზია, ვაჟა ფშაველა, ფეტი, სოლოვიოვი, ბლოკი, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ვაჟა ეგრისელი).

გულნაზ ხარაიშვილი უცდომელი ინტუიციით აშუქებს ამ თემას.

პოემაში „მდუღარე ცრემლი“ აღწერილია აფხაზეთელი ქართველი ჭაბუკის — ბათუ ხარებავას ნაადრევი სიკვდილი ომის პერიოდში.

ნაწარმოების ღირსებად მიგვაჩნია, პიროვნული ტრაგედიის პარალელურად, ომის ცეცხლში გახვეული აფხაზეთის ჩვენება, დაფიქსირებულია სისხლის, ცრემლის ტბა, სულისშემძვრელია

უცხოთა სიძულვილით სავსე ხმის მოსმენა, უცხოთა მიერ დანთებული გამანადგურებელი ცეცხლის აალება.

სოხუმში პალმის ადგილზე ბაბუაწვერა ამოსულა, გაუჩინარებულან თოლიები, ჭოტების და ბუს კივილი ავისმომასწავლებლად ეწვეთება სმენას, ყინავს სულში.

ვარსკვლავების მოწყვეტა მიგვანიშნებს ედემისმაგვარი მხარისთვის თავსდატეხილ უბედურებაზე.

აჩრდილისა და ტოროლას სახით ცხადდება ქართველი მიცვალებული და იმართება უხმო დიალოგი პოემის ავტორსა და ბათუ ხარებავას შორის. სულის „მეტყველებას“ აღწერდნენ დანტე („ღვთაებრივი კომედია“), გოეთე („ფაუსტი“), გალაკტიონი.

პოემის პერსონაჟის გამოცხადება მიღმური საუფლოდან პოეტის კალმის სასწაულთმოქმედებამ გამოიწვია. ავტორი მედიუმია ბათუასა და მის მშობლებს შორის.

ყველა რელიგიაში არსებობს ღვთაებრივი სასამართლოს იდეა, რომლის მიხედვითაც მიცვალებულის ცოდვები სასწორზე იწონება და ცოდვილი ჯოჯოხეთში, წმინდანი კი სამოთხეში მკვიდრდება, რათა თავის მარადიულ სავანეს, ზეცად დაუბრუნდეს.

სიწმინდემ და სიკეთემ ბათუ ანგელოზთა დასში დაამკვიდრა. მას ზეციური სულები ერის ტკივილს და ისტორიას აწერინებენ.

შემთხვევითი როდია ბათუს დანაბარები მშობლებთან, რომ ცრემლის, დარდის ნაცვლად, ილოცონ სამშობლოზე და მართალი ცხოვრებით თვითონაც სასუფეველს დაიმკვიდრებენ.

გულნაზ ხარაიშვილს აინტერესებს არა მხოლოდ ბუნებრივი სიკვდილით, ან ავადმყოფობით ჩვენგან წასულთა სატკივარი, იგი არაკაცთა, ბოროტთა მიერ ხელყოფილ ადამიანთა სულშიც იხედება და ქართული ზნეობის მიხედვით, ტრადიციული ჰუმანური მორალური გადასახედიდან განსჯის დანაშაულისა და სასჯელის პრობლემას.

ამჯერად, საკუთარ სახლში სადისტურად მოკლული ქართველი ვაჟკაცის — მერაბის ტრაგედიაა პოემის ცენტრში („მკვლელობა საკუთარ სახლში“). მაგრამ არც ეს პოემაა ერთთემიანი. მასში ჩვენი დროის სატკივარიც იჩენს თავს.

რუსთავში ინტენსიურია მშენებლობის პროცესი, მაგრამ უცხო ინვესტირების ხელშია ჩვენი სიმდიდრე, დაუსაქმებელია ქართველობა, ჩვენი ხალხი იძულებულია უცხოეთში მონობის ფასად იშოვოს ლუკმა-პური, გაყოფილია ოჯახები, ახალგაზრდობა საკუთარ ბუდეს ტოვებს და უცხოელთან ქმნის ოჯახებს, თუმცა საკითხავია, არის თუ არა ეს გადარჩენა, როცა გაუცხოებულია სამშობლო, ეროვნული სული, როცა იქმნება „ქართული სისხლის აჯაფსანდალი“.

პოემის ავტორის სიზმრებში, ხილვებშია გაცხადებული მთავარი სათქმელი. მთავარი პერსონაჟის, მოკლული მერაბის მოვლინება ხდება სიზმარში.

ცნობილია სიზმრის სახეები: განცდილის ამსახველი, კომპენსირებული, წინასწარმეტყველური, მომავლის მაუწყებელი, ახალ საქმეებზე პროგრამირებული სიზმარი, სიზმრის კავშირი სინამდვილესთან (ფროიდი, იუნგი, დ. უზნაძე, რ. ნათაძე).

სიზმარში უკაცრიელ ადგილზე აღმოჩენილ ავტორს ჭექა-ქუხილის, მეხის მუქარა აძრწუნებს. გამოდარების შემდეგ კი ფრინველებს არწივი აუწყებს სამწუხარო ამბავს და ისინი ორ ვაჟკაცს — ბათუს და მერაბს გლოვობენ. ამ ეპიზოდს საფუძველად უდევს საინფორმაციო ვე-

ლის არსებობის რწმენა, რომლის მიხედვითაც, ამ ველში ფიქსირდება წარსულის, აწმყოსა და მომავლის მოვლენები, ხოლო იქ გასვლა მხოლოდ ნათელმხილველთ, ნათელმსმენთ ხელეწიფებათ. ამასთან, ფრინველები, საერთოდ მრავალი სულიერი, მათ შორის ორგანული სამყარო, ამ ინფორმაციის მატარებელი და გადამცემია (ავისმომასწავებლად ითვლება ჩიტის გაუთავებელი ჭიკჭიკი, ძაღლის ყმუილი, ჭოტის კივილი).

ავტორს ნაადრევად გარდაცვლილი ძმის — პოეტ ბეჟან ხარაიშვილის ღანდიც ევლინება და ავალებს, დაწეროს პოემა. თან აუწყებს, რომ მერაბი სამოთხეშია, ბათუ ანგელოზთა დასს ხელმძღვანელობს...

გაუგებარ, აუხსნელ სიტუაციაში საკუთარ სახლში მოკლული მერაბის მოულოდნელ ტრაგედიას შეესატყვისება მისი სიტყვები: „იას ვთესავდი, ამოვიდა ეკალი დიდი“.

მისი სული ზეცაშია, რაც იმის დასტურია, რომ ღვთის სამართალი არასოდეს მრუდდება.

მერაბის სული შვილს ჩააგონებს, იყოს კეთილი, სხვათა შემბრალე, მათხოვრის გამკითხავი, მშრომელი, ეროვნული ტრადიციების დამცველი, მამა-პაპათა მიწა-წყლის ერთგული, სიყვარულის მთესველი: „ზვინივით დადგით სიყვარულის დიდი კოშკები“.

მოკლულის სული მარადიული მცველი იქნება ოჯახის, ქვეყნის: „ხან ღამე მოვალ, თქვენთან ფრთხილად მოსაფერებლად, ლოყაზე ამბორს დაგიტოვებთ ნატრულთ ბაგესი, ერთი შეხედვით, ცისარტყელას ბედის ვყოფილვარ, ამიტომ უცებ მოვედი და ცაში წავედი. დედა, მე ახლა ვარსკვლავებთან გავიფრთამალე, ამოფოფინდეს ჩემი ჯიშის ნორჩი ფესვები“.

მტერთან დამოკიდებულება ყველა დროის, ყველა ქვეყნის აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება.

ქართველ კაცს ამ მოვლენასთან ყოველთვის გამორჩეული მიმართება ჰქონდა, რასაც სახარებისეული სიბრძნე ასაზრდოებდა: „გიყვარდეთ თქვენი მტრები და სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს“ (ლუკა, 6,27).

ქართულმა ხალხურმა გენიამ მტრისადმი თანალმობის საკაცობრიო ნიმუში მოგვცა „ვეფხვისა და მოყმის“ ლექსის სახით, სადაც მოკლული შვილის დედა უმძიმესი მწუხარების მომენტშიც არ ივიწყებს თავის ნაშიერთან ბრძოლაში დაღუპული მოყმის დედის ტკივილებს და მზადაა, მასთან სამძიმრის სათქმელად მივიდეს: „იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა“.

გულნაზ ხარაიშვილი ამბობს: „ვეფხვისა და მოყმის ლექსი მე თან დამსდევს ძმასავით“, „ვცდილობ და ვიბრძვი მტერსაც არ ვძულდე“... დიდი, განუმეორებელი სიკეთისა და მიმტევებლობის ფონზე შუქდება გულნაზ ხარაიშვილის პოემაში მტერთან, მკვლელთან, ჯალათთან დამოკიდებულების იდეა. ავტორი მოკლულის სიტყვებით ცდილობს გამართლება არა, მაგრამ ახსნა მოუძებნოს ამ გაუგონარ ტრაგედიას და ფიქრობს, რომ ან შეშლილობის, ან არასწორი ინფორმაციის, ბოროტი ენის წაქეზებით შეეძლო მკვლელს ასეთი ულმობელი ნაბიჯის გადადგმა.

მერაბის სული ოჯახს ურჩევს, რომ შურისძიებაზე არც იფიქრონ. ბიბლიის მიხედვით, შურისძიება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის პრეროგატივაა.

ხალხური ლექსის მოყმის დედასავით მოითხოვს მოკლული, რომ მკვლელის დედას არ გააგონონ შვილის აუგი, რადგან წარმოუდგენლად მიაჩნია დედისგან იყოს ინსპირირებული ასეთი სისასტიკე.

ნუგეში ის არის, რომ მართალი მერაბი ზეცაშია, მკვლელი — ჯოჯოხეთში.

პოემაში ისევ ხიდი იდება ორ სამყაროს შორის, მერაბის აჩრდილი მარადიულად მოევლინება თავის ფუძეს: „ბევრჯერ მიხილავთ სიზმრის სახით ოთახში მავალს, იგრძნობთ ჩემეულ სითბოსა და გასძახეთ ექოს. რიგში ვდგავარ და კვლავ მოვყვები ქორწილის მაყარს, ოკეანესაც გამოვცურავ, თუ ძალა მეყო“.

მიცვალებულის შეგონება დიდი სიკეთის მუხტის მატარებელია: „გულში აინთეთ კვლავ სიკეთის დიდი სანთელი, ალმასისფერი ჩანჩქერებით იმედი მორთეთ. გაანაწილეთ სიყვარულის ქარვის მძივები. სევდას დავმალავ და ზეციდან მოგეფერებით“.

გულნაზ ხარაიშვილის პოეზიის მიხედვით, მიცვალებულის სული მიღმური სამყაროდან ევლინება და იფარავს ახლობლებს.

აჩრდილთა მოვლინებას თავისი მიზეზი და მიზანი აქვს.

მსოფლიოში ცნობილ დიდ მოგზაურს — ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ძვირფასი მეუღლის სული სდევდა ფათერაკიან გზებზე და მისი ტკივილის მოზიარე ხდებოდა.

ცხადსა და სიზმარში მრავალგზის მოვლენილი გარდაცვლილი დედის ლანდი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს შვილის ქცევებისადმი. გიორგი ლეონიძესავით სჯერა პოეტს, რომ დედის ცრემლები იას აღმოაცენებს: „ჩემო დედიკო, შენი ცრემლებით, ვიცი, მიწიდან იად ამოხვალ“.

იმდენად ორგანულია პოეტისათვის ორი სამყაროს მიმართების თემა, რომ ვერც პროზაში აღწევს მისგან თავს. მას მუდმივად ხედავენ ღირსეულთა აჩრდილები და მათი საშუალებით გვიმხელს თავის მორალურ კრედოს.

ცრემლიანი სტრიქონებით საუბრობს გულნაზ ხარაიშვილი ცნობილი მსახიობის, ნამდვილი ქართველი დედის — ლარისა ხაჭაპურიძის შვილის — დავით გამყრელიძის შესახებ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს დაიღუპა სამაჩაბლოში გაჩაღებული ომის ხანძრის კვალდაკვალ მიმავალი.

არსებითი, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ მრავლისმეტყველი დეტალებით ცდილობს ავტორი ამ უნიჭიერესი ქართველი ახალგაზრდის მაღალი ზნეობის წარმოჩენას.

იგი ძალზე კეთილი და გულმოწყალეა, მამის ახალი ტანსაცმელი მათხოვარს მისცა დაუნანებლად.

ზაფხულის არდადეგებზე მშობლიურ რაჭაში ჩადის, წინაპრების საფლავებს წმენდს, მათ ხსოვნას ერთგულ დარაჯად უდგას, ერთ ოთახში მოწიწებით უკიდია მიცვალებულთა სურათები, მეგობრები ეხვეწებიან, გვეშინია და ჩამოიღეო.

დათო პასუხობს: „ცოცხლების უნდა გეშინოდეთ, რადგან არ იცით, ისინი რას მოიმოქმედებენ. ეს სურათები კი იმ ადამიანების არის, რომლებმაც ამ ოჯახისთივს სიკეთეები აკეთეს და მე რა უფლება მაქვს, ეს დავივიწყოო“.

წინაპრების საფლავებისადმი, ზოგადად საფლავისადმი დამოკიდებულებაში არა მარტო ერის ფსიქოლოგია ვლინდება, საფლავის საშუალებით, დამარხვის წესის გარკვევით დგინდება

ამა თუ იმ ხალხის საცხოვრისი, საფლავი საბუთია, დადასტურებაა იმისა, სად და როგორ უცხოვრია ამა თუ იმ ეთნოსს. საფლავი პოლიტიკური დავის საგნადაც იქცევა ხოლმე.

საბერძნეთის მეფე მინოსის ვერაგი პოლიტიკური ჩანაფიქრის მიხედვით, ბოგანო ფრიქსე უფლისწულის იმიჯით უნდა მოვლენოდა აიეტის კოლხეთს, აქ უნდა ეცხოვრა, აიეტის შვილზე დაქორწინებულიყო, აქ უნდა მომკვდარიყო, აქაურ მიწაში უნდა დამარხულიყო, რათა მის საფლავს მერე იაზონის, არგონავტების ლაშქრობა მოჰყოლოდა და ჩვენი მიწის ანექსია მოეხდინა (ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“). აქ წინაპარი თანამემამულის საფლავი საბაბია ჩვენს ქვეყანაში ლაშქრობისათვის.

რევაზ მიშველაძის ნოველებში ქართველთა საფლავებზე უცხოთა დასაფლავება ხდება, რათა ეს ფაქტი ამ მიწებზე პრეტენზიების საფუძვლად იქცეს.

გულნაზ ხარაიშვილის პოემაში მართალი ჭაბუკის სული ზეცაში წავიდა. მისი აჩრდილი ხშირად ევლინება შვილმონატრებულ დედას და ანუგეშებს: „ქვეყნად ბოროტები მოგროვდნენ. მათ სიკეთეზე ვუქადაგებ, რადგან საშიშროებაა, ცა და დედამიწა არ წაიჩხუბონ, მაშინ ხომ კაცობრიობა ამოწყდება“.

„ჩემი სამშობლოს, ჩემი ძმებისთვის ზეციდან უნდა ვილოცო“.

როცა გულნაზ ხარაიშვილის ასეთ ნაწარმოებებზე ვფიქრობ, მაგონდება ბერდაიევის ცნობილი სიტყვები: „ერი არის მისტიური ორგანიზმი. მისტიური პიროვნება, ნოუმენი ისტორიული პროცესებისა. ერი არ არის მხოლოდ ცოცხალთა თაობა, არ არის თაობათა ჯამი. იგი არის რაღაც დასაბამიერი ისტორიული პროცესის მარადცოცხალი სუბიექტი. მასში არანაკლებად ცოცხლობენ და მყოფობენ წარსული თაობები, ვიდრე თანამედროვენი“ (ნიკოლოზ ბერდიაევი, ერი და კაცობრიობა, თბ. 1993, თარგმანი ზ. კიკნაძის, გვ. 8,15).

„... ერის ნებაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ცოცხალნი, არამედ გარდაცვლილნიც, მონაწილეობს დიდი წარსული და ჯერ გამოუცნობი მომავალი. ერში შედიან არა მხოლოდ ადამიანთა თაობები, არამედ ტაძართა, სასახლეთა და კარ-მიდამოთა ქვებიც, საფლავის ლოდები, ძველი ხელნაწერები და წიგნები. და იმისათვის, რომ მივწვდეთ ერის ნებას, უნდა ვუსმინოთ ამ ქვებს, წავიკითხოთ გაცრეცილი ფურცლები“ (იქვე, გვ. 29).

მერაბ კოსტავა მიმართავდა ნაადრევად, ტრაგიკულად დაღუპულ შვილს: „კიდევ კარგი რომ ჩემთვის, ირაკლი, გარდაცვლილები არ არსებობენ“.

გულნაზ ხარაიშვილმა შეძლო უცდომლად, ქართული სულით განეჭვრიტა მზეგადასულთა ქვეყანა და ამ გზითაც მიეწოდებინა მკითხველისთვის აქტუალური მორალური ჭეშმარიტებები...

გულნაზ ხარაიშვილი საგულდაგულოდ ეძებს უჩვეულო სიკეთის, მტერთან ბრძოლაში იარაღით გამოჩენილი გმირობისა და სულიერი რაინდობის მაგალითებს, ორი სამყაროს, ამქვეყნიური და მიღმური სფეროების შეხმიანების ფაქტებს და საგულდაგულოდ აუკვდავებს საუკუნეებისთვის მისაბაძ-საგულისხმო მოვლენებს.

ლექსს „გმირობას აღემატება, ბატონო რეზო, შენი საქციელი“ საფუძვლად დაედო რეალურად მომხდარი ამბავი.

1993 წელს რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაიღუპა რევაზ მიშველაძის ერთადერთი შვილი – აჩიკო. ეს იყო დიდოსტატი მწერლის, მეცნიერის, კრიტიკოსისა და პუბლიცისტის, მრავალტანჯული მამულიშვილის „გულის ახანჯვლა“, გაუძლისი ორმაგი ტრაგედია. სიცოცხლემ აზრი დაკარგა, ირგვლივ წკვარამი გამეფდა. მამის ცრემლის ნიაღვარი ედინებოდა საფიცარი ჭაბუკის კუბოს.

ამ დროს გაუგონარი ამბავი მოხდა. მწუხარებისგან გაოგნებულ მამას მეგობარი გამოეცხადა, რომელსაც მხედრიონელები სიკვდილით ემუქრებოდენენ, წუთებში შეიძლებოდა სისხლი დაღვრილიყო. ერთადერთი გამოსავალი არსებობდა: მხოლოდ ბატონ რეზოს ავტორიტეტს შეეძლო სასიკვდილოდ ალესილი ხმლის შეჩერება. ვიდრე შიშისგან დაბნეული მთხოვნელის სიტყვებს გაითავისებდა, ზეციურმა ხმამ ჩამოსძახა: ხალხის მშველელო, დროს ნუ კარგავ, ფრთამოტეხილი ხარ, მაგრამ გამაგრდი, ისევ მადლი დათესე, ამით ცის სავალ გზას გამიკაფავ, სასწორზეა მეგობრის ბედი და თუ მას გადაარჩენ, გმირს გიწოდებო. თავად უფალმა გამოგიგზავნა კაცი საშველად, „ნატყვიარ გულმაც უნდა შეძლოს სხვათა მიხედვა, ო, დაგელოცოს, დიდოსტატო, ოქროს მარჯვენა“, ჩაესმა ისევ და შვილის ხმა შეიცნო. მიხვდა, ცხოვრება ისევ გრძელდებოდა, რომ ისევ თავგანწირული მეომარი უნდა ყოფილიყო: „მეგობრისთვის თავგანწირვა მაჯისცემაა, ეს გმირობაა, დაამარცხო მართლაც სიკვდილი“.

ამ სიტყვებმა მწერლის გენეტიკური სიკეთე ქმედით ძალად აქცია, სძლია პირადულ მწუხარებას და განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი გადაარჩინა.

პოეტმა ქალმა* შეუპირისპირა ერთმანეთს ორნაირი გმირობა, სულის უკვდავების რწმენამ შეაძლებინა მოესმინა მზეგადასულის ხმა, რომლის გმირული სული ოჯახში, დიდბუნებოვანი მშობლების მიერ იყო მარადიულობისთვის ნაძერწი.

„სიკვდილი მოვკალი მეუფეო, შენი წყალობით“ (მეუფე, თადეოზს, მირიან იორამაშვილს), ამბობს პოეტი, რადგან ირწუნა სულის მარადიულობა, სიკეთის ნერგის ნაყოფის ფასი.

ლია წურწუმია

ქრისტიანობის როლი ქართული კულტურის თავისთავადობის გამოკვეთაში

რა მისცა ქრისტიანობამ საქართველოს? ამ კითხვაზე პასუხი ქართველი ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნების გარკვევით უნდა დავიწყოთ. აქ პასუხს ილია ჭავჭავაძეზე უკეთ ვერავინ გაგვცემდა. დიდი ილია წერს: „ქრისტეს რჯული ქართველებისთვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“. ილიას ეს სიტყვები საქართველოს ისტორიული გამოცდილებიდან უამრავი ფაქტით დასტურდება. ქართველი კაცი ცალ ხელში ჯვრითა და ცალ ხელში ხმლით იცავდა თავის მამულსა და რჯულს. გავიხსენოთ თორნიკე ერისთავი, X ს.-ის ცნობილი ქართველი მხედარმთავარი, ბერად აღკვეცილი. ასაკის მიუხედავად, ბერის სამოსი გაიხადა და, როცა ქვეყანას დასჭირდა, ისევ ხმალი აიღო ხელში.

სახელმწიფოებრივი და რელიგიურ-საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვების ყოველი მცდელობა ქართველთა ქვეყანას, ვახტანგ გორგასლის დროიდან მოყოლებული, უმძიმეს პირობებში უხდებოდა. გეოგრაფიული მდებარეობის გამო შუა საუკუნეებში საქართველო ორი კულტურულ-რელიგიური სამყაროს გზის გასაყარზე მუდმივ საშიშროებას განიცდიდა – ქრისტიანული ბიზანტიიდან და მაჰმადიანური აღმოსავლეთიდან. ეს საშიშროება აიძულებდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მხარში დადგომოდა საერო ხელისუფლებას, დაეცვა სახელმწიფოებრიობა. ამასთან ერთად, ქართველ ერს აძლევდა საშუალებას თავისებურად გარდაეტეხა თავის ეროვნულ ცნობიერებაში ქრისტეს მცნება და დაეკავშირებინა იგი ეროვნული სულის მოძრაობისათვის. სწორედ ქართული ეკლესიის წიაღში გაცნობიერდა ის ფაქტი, რომ უცხო რჯულის ქვეყნებით გარშემორტყმულ საქართველოს, აღმოსავლეთ საქრისტიანოს განაპირა მხარეში მდებარეს, განსაკუთრებული ქრისტიანულ-სულიერი მისია ეტვირთა – ყოფილიყო ქრისტიანობის ბურჯი, დამცველი აღმოსავლეთით. (ამ. მისიას ჯერ კიდევ VII ს.-ში იოანე საბანისძე უსვამდა ხაზს „აბო ტფილელის წამებაში“, როცა აღნიშნავდა, რომ ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს კარგად ჰქონდა შეგნებული საქართველოს როლი ქრისტიანობის დაცვაში. ამ დროს ქართველ ერს ქრისტიანობის მცველის მისიის შესასრულებლად უნდა გამოემუშავებინა მტკიცე სულიერი „მზაობა“ ე.ი. ფსიქოლოგიური მზადყოფნა, რისთვისაც საჭირო იყო ქართველთა ცნობიერებაში ეროვნული „მეობის“ ჩამოყალიბება და მის სულიერ თვისებად ქცევა. ამ ამოცანის შესრულება ქართულმა ეკლესიამ იტვირთა. ქართველმა საეკლესიო მამებმა არა მარტო საღვთისმეტყველო ქადაგებებით, არამედ პრაქტიკულ-პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობით ნიადაგი შეამზადეს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის. ეს კარგად ჩანს გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობაში ტაო-კლარჯეთში. გრიგოლ ხანძთელმა დიდი სამონასტრო მშენებლობითა და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით ხელი შეუწყო ტაო-კლარჯეტში საქართველოს გაერთიანების იდეის მომწიფებას, რაც შემდეგ წარმატებით

განახორციელა მეფე დავით აღმაშენებელმა. ეს ფაქტიც ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ერთიან ბრძოლაზე მიუთითებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე საქართველო ებრძოდა მაჰმადიანურ სამყაროს. ებრძოდა არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ რწმენითა და ცხოვრების წესით. ისლამის რჯულზე მოქცევა ქართველობისათვის ცხოვრების წესის, ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების დიამეტრულ ცვლილებას ნიშნავდა. ძირფესვიანად ცვლიდა მიწასთან დაკავშირებული ქართველი კაცის მსოფლმხედველობას. ამიტომ გახდა ისლამისგან დაცვა ქართული ფენომენისათვის სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა. „ნუ გათათრდები!“ - ეს მოწოდება ეროვნულობის დაცვის მიზნით მიმართული ერთგვარი ფარი იყო საუკუნეების მანძილზე ქართველი კაცისათვის.

მეორე ფენომენი, რომელმაც ქრისტიანობა შეგვინარჩუნა, ესაა დედაენა, დაიცვა იგი როგორც სარწმუნოებრივი და ეროვნული ერთობის სიმბოლო.

საერთოდ, ხალხების ისტორიაში არის ისეთი ისტორიული მომენტები, როცა ხდება „დედაენის აღმოჩენა“, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნისათვის დედაენის მნიშვნელობის გაცნობიერება-გააზრება. ასეთი მომენტი ქართველ ხალხს თავის ისტორიაში ბევრჯერ ჰქონია. ჯერ კიდევ ქრისტემდე, ძვ.წ. III ს.-ში, როცა დიდმა ფარნავაზმა ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნა ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებით დაიწყო. მის სახელმწიფოში „არ იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა“. ამ შემთხვევაში ქართული ენა სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტად ჩაშენდა და ეს ფუნქცია მას დღემდე აქვს შენარჩუნებული. ენის სახელმწიფოებრიობის მნიშვნელობა ქართულმა ეკლესიამ IX-X სს.-ში ისევ აღადგინა. წირვა-ლოცვის რიტუალების ქართულ ენაზე ჩატარება გიორგი მერჩულემ საქართველოს გაერთიანების ნიშნად ჩათვალა: საქართველოს ის ქვეყანაა, სადაც ლოცვა ქართულ ენაზე სრულდებაო. ქართული ენისა და ქრისტიანული რწმენის ორგანული კავშირის ბრწყინვალე მაგალითია „ქებაძ და დიდებაძ ქართულისა ენისაძ“.

ამრიგად, ჯვრისა და ხმლის გაერთიანებით, რწმენის, მამულისა და ენის დაცვით ქართველმა ხალხმა ქრისტიანობას – ამ კოსმოპოლიტიკურ რელიგიას – ეროვნული ელფერი მისცა და სომხური და ბიზანტიურისგან განსხვავებით, „ქრისტიანი“ ქართველი კაცის სინონიმად გახადა. ეს იყო ქრისტიანობის ინდივიდუალიზაცია ქართველი ხალხის მიერ, რაც კარგად მოჩანდა შუა საუკუნეებში ბიზანტიურ კულტურასთან ურთიერთობაში.

ბიზანტიური კულტურის რეგიონში შესვლით (მართლმადიდებლობის აღიარებით) ქართული ეკლესია მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროს დაუკავშირდა, მაგრამ ამას ის საშიშროებაც ახლდა, რომ ქართულ კულტურას თვითმყოფადი ხასიათი არ დაჰარგვოდა. სწორედ ქართული კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნება არის შუა საუკუნეებში ქართული ეკლესიის დამსახურება. სასულიერი ლიტერატურაში წინა პლანზე წამოიწია ქართული ქრისტიანობის ინდივიდუალურმა ხასიათმა ბიზანტიურ-ბერძნულთან მიმართებაში. გრ. ხანძთელს, იოანე ზოსიმეს, გიორგი მერჩულეს, მთაწმინდელს, ეფრემ მცირეს მოღვაწეობა აქეთ იყო მიმართული. ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ქართული კულტურის თვითმყოფადობის განმტკიცებისათვის ეწეოდნენ ისინი მთარგმნელობით მუშაობას, ქართულ სააზროვნო სივრცეს ამდიდრებდნენ მსოფლიო ქრისტიანული კულტურის მონაპოვარით. ამ მიზნით ეპაექრებოდა ანტიოქიის პატრიარქს გიორგი მთაწმინდელი, რომელიც ცდილობდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებელი და ჭეშმარიტი ხასიათი იმით დაედასტურებინა, რომ ქრისტიანობა საქართვე-

ლოში პირველად თვით იესოს მოწაფემ, ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა და ქართველები (კოლხები) მოაქცია ქრისტეს სჯულზეო.

ქრისტიანობამ სულიერება შესძინა შუა საუკუნეების ქართულ კულტურას. ამ დროს ქართული ჰაგიოგრაფია გაჟღენთილია ეროვნულ-პატრიოტული სულით, დაწყებული „შუშანიკის წამებიდან“, დამთავრებული „გრ. ხანძთელის ცხოვრებით“, ჰიმნოგრაფებს ერიოვნული ნაკადი შეაქვთ ლიტურგიკულ კრებულებში, თარგმანებში. ქართული კულტურის თვითმყოფადობის გამოსაკვეთად ცდილობდნენ დამოუკიდებელი, ორიგინალური გზების ძიებას, ბერძნული ტექსტები ითარგმნება არ სიტყვა-სიტყვით, არამედ თავისუფალი რედაქციით. ექვთიმე ათონელის თარგმანების მეტაფრასტული სტილი ამის მაგალითია. მაგრამ მთავარი ის უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობას საქართველოში შემოსვლისას წარმართულ საფუძველზე დამყარებული მაღალგანვითარებული კულტურა დახვდა, ამიტომაც ქრისტიანულმა რელიგიამ, მართალია, ბევრი რამ გაანადგურა, როგორც ახალმა ძველი, მაგრამ ასევე ბევრი რამ შეითვისა ქართული წინაქრისტიანული კულტურიდან. სწორედ ამან განსაზღვრა შუა საუკუნეების ქართული კულტურის სრულიად ორიგინალური, ეროვნული სახე. ძველი წარმართული კულტურის დიდ გავლენას ვხედავთ ქართულ ხუროთმოძღვრებაში, ზეპირსიტყვიერებაში, პლასტიკურ-რელიეფურ ხელოვნებაში, ორნამენტულ ხვეულებში ტაძრის კედლებზე, მუსიკალურ ფოლკლორში, ქართულ პროფესიულ საეკლესიო მუსიკაში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ახალი კულტურა პირწმინდად კი არ იკვეთდა ძველ ფესვებს, არამედ მათ ეფუძნებოდა და ქრისტიანულ ნიადაგზე გადაამუშავებდა. ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ ქართული წარმართული სიმღერის მრავალხმიანობის უნიკალურმა სისტემამ განაპირობა საეკლესიო საგალობლების მრავალხმიანობა, სულ მოკლე ხანში განდევნა ქართული ტაძრებიდან ბერძნულ-ბიზანტიური ერთხმიანი, მონოდიური ჰიმნები, თანდათან ჩამოყალიბდა ქართული მრავალხმიანი საგალობლები. მუსიკისმცოდნეთა აზრით, ძველი ქართული პროფესიული ვოკალური სამხმიანობა ანუ საეკლესიო საგალობლების მუსიკალური კულტურა საბოლოოდ XI–XII სს.-ში ჩამოყალიბდა. ამ მოსაზრების დამამტკიცებელ საბუთად მოაქვთ იოანე პეტრიწის თხზულებაში წარმოდგენილი ეროვნული წარმომავლობის მუსიკალური ცნებები: „მზახრი“, „ჟირი“, „ბამი“, „სიმი“, „ერთბამი“, „მორთვაძ“, „ერთობაძ შეყოვლებისაძ“ და სხვ.

ქართული მრავალხმიანობის მნიშვნელობა არსებითია ქართველის ეროვნული იდენტობის განსაზღვრისათვის. სწორედ ამას უსვამს ხაზს ქართველი ფილოსოფი, „XX ს.-ის სოკრატედ“ აღიარებული მერაბ მამარდაშვილი: „მე ქართველი ვარ, რადგან როგორც სულიერად, ისე მორალურად, მე ქართული მრავალხმიანი სტრუქტურის პროდუქტი ვარ... ამ მუსიკამ მე მშობა. მე ვგულისმობ ჩემი პიროვნულის იმ შემადგენელს, რასაც ეთნიკური ან ეროვნული ჰქვია... ამიტომ, როცა ქართველი მღერის ან უსმენს სიმღერას, მასში ყოველ ჯერზე იბადება ქართველი“.

ქართველი კაცის ასეთი დამოკიდებულება საკუთარი ტრადიციული მუსიკალური კულტურისადმი ბუნებრივია, რადგან ტრადიციული მრავალხმიანობა ეროვნული კულტურის რეპრეზენტატულობის ერთ-ერთი უძლიერესი ატრიბუტია, როგორც ეთნიკურ-ეროვნული იდენტობის გამომხატველი. მრავალხმიანობაში განსხეულებულია სულიერისა და ზნეობრიობის განსაკუთრებული სიმაღლე, ქართველმა ერმა თავისი კულტურით რომ აჩვენა მსოფლიოს.

შუა საუკუნეებში ქართული ეკლესია ბიზანტიურის თანატოლად მიიჩნევდა თავს და დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა დამოუკიდებლობის დაცვას ბერძნულ-ბიზანტიური ეკლესიისაგან. რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი განსხვავება ბიზანტიურისგან, რომელიც მხატვრულ-გა-

მომსახველობით ფორმებში შეინიშნება ქართული საეკლესიო მხატვრობასა და არქიტექტურაში, დღეს საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია მეცნიერებაში და ჩვენც რამდენიმე მაგალითით შეიძლება დავადასტუროთ: ქრისტეს მეორედ მოსვლის რწმენასთან დაკავშირებული ორი თემიდან („პანტაკრატორის“ გამოსახვით – ღმერთის ყოვლისშემძლეობის რწმენა და „ვედრებით“ – ადამიანური ცოდვების მიმტევებლობა) ქართულმა საეკლესიო მხატვრულმა აზროვნებამ „ვედრებას“ მისცა უპირატესობა და ფრესკებსა და რელიეფებში მთავარ კომპოზიციად აქცია. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ყინწვისის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის გუმბათის ყელი, რომლის მთელი რეგისტრი „ვედრების“ სცენას უჭირავს, ასევე საკურთხევლის კონქი (ყველაზე საპატიო ადგილი ეკლესიაში) „ვედრების“ სცენითაა დამშვენებული. მაშინ, როცა სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში იგი იშვიათია.

საგულისხმოა, რომ ბულგარეთში, სადაც „ვედრების“ თემა გავრცელებული არ იყო, იგი ბაჩკოვოს მონასტრის იმ სალოცველოში გვხვდება, სადაც ქართული მხატვრობაა დაცული.

„ვედრებისადმი“ განსაკუთრებულ ინტერესს ქართული საეკლესიო კედლის მხატვრობაში სახარებისეული სახეებისადმი ქართული ეროვნული პოზიციის ჰუმანისტრული მიმართულებით ხსნიან. ქართველი ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ ქართული ეკლესია არ იზიარებდა ქრისტესადმი შიშისა და ადამიანის არარაობად მიჩნევის ბიზანტიურ თვალსაზრისს. „ვედრების“ თემის პრიმატის აღიარებით ქართული ეკლესია პრინციპულად დაუპირისპირდა ბიზანტიურს.

ქრისტიანობამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა ქართველი კაცის ზნეობრივი ბუნებაც. ქრისტიანული რელიგიური რწმენა მიესადაგება ქართველის ბუნებაში დაუცხრომელ სწრაფვას ტრადიციებისადმი, ოჯახისადმი, სიცოცხლისადმი ქართველის ლაღი ხასიათი გამორიცხავდა რელიგიურ ფანატიზმს, რადგან ქართველი მზის, მიწის, სიყვარულის, სიცოცხლის წყურვილს თავდავიწყებით ეძლევა. იგი წარმართია ბუნების მოვლენებისადმი დამოკიდებულებაში, ხოლო ქრისტიანია, როცა თავისი ცხოვრების წესს ქრისტეს მცნებაში ასახულ ზნეობრივ ნორმებში მოაქცევს. ქრისტიანული მის ზნეობრივ სახე აკმაყოფილებდა, ამიტომაც შემუშავდა ჩვენში „ქართული ქრისტიანობის“ ცნება, რომლის შინაარსისათვის უცხოა მისტიკურობა, ფანატიზმი, ასკეტიზმი, სხვა კონფესიებისადმი მტრული დამოკიდებულება, ანტისემიტიზმი და ა.შ. სწორედ ეს განასხვავებს მას ევროპული ქრისტიანობისაგან.

შუა საუკუნეების „ქართული ქრისტიანობა“ მდიდარი შინაარსის დამტევი ცნება აღმოჩნდა, განსხვავებული ქრისტიანობის კოსმოპოლიტური გაგებისაგან, უმთავრესად ეროვნული ნიშნით. ამიტომ იყო, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ყოველთვის ისწრაფვოდა დამოუკიდებლობისაკენ ეკლესიათა შორის, მას შემდეგ, რაც 487 წ. ვახტანგ გორგასლის დროს პირველად გამოაცხადა ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია.

„ქართული ქრისტიანობის“ ცნება, როგორც შუა საუკუნეების ქართველთა რელიგიურობის მანიშნებელი, უკვე დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. კორნელი კეკელიძე პირველი მიუთითებს ამ ცნების თავისებურ შინაარსზე. ამ ცნების შინაარსი შემდეგი ნიშნებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. საეკლესიო-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ეროვნული ხასიათი – ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ერთიანი ძალით ბრძოლა სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.

2. ბაგრატიონთა დინასტიის ბიბლიური წარმოშობის იდეის დანერგვა, რომ ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან.
3. ეროვნულ წმინდანთა კულტის დანერგვა. წმ. გიორგის კულტის აღმატებულობა „ქართულ ქრისტიანობაში“.
4. ეროვნული კალენდრის შექმნა.
5. საეკლესიო მწერლობის გაძლიერებული ეროვნული ხასიათი, საკულტო წიგნების მოდიფიკაცია, სახელმწიფოებრიობის ინტერესების შესაბამისად.
6. საქართველოს, როგორც ღვთისმშობლის „წილხვდომის“ ქვეყნის, იდეის დანერგვა.
7. ბიზანტიიზმის, როგორც კულტურულ ღირებულებათა კრიტერიუმის, ათვისება და შემდეგ მისი დაძლევა (ექვთიმე მთაწმინდელთან, გიორგი ათონელთან, გიორგი ხუცესმონაზონთან, იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირეს თხზულებებში).
8. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის, როგორც წმინდანთა, კულტის შექმნა.
9. ქართული ქრისტიანობის ტოლერანტული ბუნება.

ამ ნიშნებიდან ზოგიერთზე უკვე ვისაუბრეთ, ახლა ყურადღება მინდა გავამახვილო ტოლერანტობის ნიშანზე, რაც ხელს არ უშლიდა ქართველ ქრისტიან მორწმუნეს, საკუთარი სჯულის განსაკუთრებულობის გაცნობიერების მიუხედავად, საოცარი ტოლერანტობა გამოევლინა სხვა რელიგიების მატარებელი ხალხებისადმი. ქართველი კაცის ბუნება ქრისტიანული რელიგიის ჰუმანური და შემწყნარებლური არსის სადაგი აღმოჩნდა. ქართველი კაცი ცეცხლითა და მახვილით ეგებებოდა თურქ-სელჩუკებს, სპარსებს, არაბებს, ხიზარებს, მაგრამ საოცარ შემწყნარებლობას იჩენდა ამ ხალხების სჯულის გამოვლენის კონკრეტული შემთხვევების დროს მშვიდობიანობის ჟამს. იგი თავისი ეკლესიის გვერდით ადგილს უთმობდა მეჩეთს, სინაგოგას და ამით პატივს სცემდა თავის მიწა-წყალზე შეხიზნული ხალხის რელიგიას. რა იყო ამის მიზეზი? ვფიქრობთ, ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ქართველისათვის სარწმუნოებრივი ფანატიზმი არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი. ტოლერანტობა მისი ბუნებიდან გამომდინარეობდა, მისი ზნეობრივი ნორმა იყო, სარწმუნოებრივი თავისუფლების აღიარება, რომელიც ქართველი ხალხის ბუნებიდან გამომდინარეობდა, დავით აღმაშენებელმა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად აქცია. მან დაამკვიდრა ეს ტრადიცია, როგორც სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ფორმა და დიდხანს გაჰყვა ქართულ საერო და საეკლესიო მმართველობას.

ამრიგად, რჯულშემწყნარებლობა „ქართული ქრისტიანობის“ ცნების შინაარსს განსაკუთრებულად ახასიათებს. ეს თავისებურება უჩვეულო იყო ევროპული ქრისტიანობისათვის. ევროპამ რომ ასეთი რამ არ იცის, ამას მოწმობს ისტორია. გავიხსენოთ საშინელი ომი კათოლიკობასა და მართლმადიდებლობას შორის შუა საუკუნეებში ან თვით კათოლიკობას შორის ძმათა ომი (ჰუგენოტებსა და პროტესტანტებს შორის). ქართული ეკლესია ლოიალურად იყო განწყობილი კათოლიკობისადმი. საქართველოში კათოლიკე მისიონერების საქმიანობა ხელს არ უშლიდა მას. საქართველოს ისტორიამ ბევრი შემთხვევა იცის მართლმადიდებლური საქართველოს კეთილგანწყობისა კათოლიკური ქვეყნებისადმი. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, როცა რუსუდან მეფემ პაპს, გრიგოლ XI-ს, დახმარება სთხოვა მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად და სანაცვლოდ ქართული ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთებას დაჰპირდა. ამ შემთხვევაში ეროვნული ინტერესები უფრო მაღლა დადგა სარწმუნოებრივ დამოუკიდებლობაზე. საქართველოსთან ურთიერთობა ჰქონდა ფრანცისკანელ და დომინიკელთა ორდენის წარმომადგენლობასაც. 1329 წ. პაპი

იოანე XI-ის ბრძანებით საქართველოში კათოლიკთა საეპისკოპოსოც კი დაარსდა (პირველი ეპისკოპოსი იოანე ფლორენციელი იყო). 1453 წ. თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ იგი გაუქმდა, მაგრამ ფრანკი მისიონერები აგრძელებდნენ საქართელოში საქმიანობას. ამრიგად, ქრისტიანული ეკლესია ყოველთვის უწევდა ანგარიშს საერო ინტერესებს.

ქართველი ხალხის რჯულთშემწყნარებლობა რელიგიური დოგმებისადმი ზერელე დამოკიდებულებით კი არ აიხსნება, არამედ ისტორიული ძნელბედობით გამოწვეული იმ მუდმივი საფრთხის განცდით, მეზობლებთან მტრული დამოკიდებულების შედეგად ქართველებს თავს რომ დაატყდებოდათ. მტრულად თუ მოყვრულად განწყობილ მეზობლებთან ქართველს მოქნილი პოლიტიკა ისტორიულად ჩამოუყალიბდა და მას შესანიშნავად იყენებდა. სამწუხაროდ, დღევანდელობამ ეს ისტორიული გამოცდილება დაივიწყა და ბევრი უბედურება, რაც თავს დაგვატყდა, ისტორიის გაუთვალისწინებლობის შედეგის არის. წარსულში ქვეყნის საერო თუ საეკლესიო ხელისუფლება ცდილობდა მეზობელ ქვეყნებთან სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ეთანამშრომლა. ამრიგად, რჯულთშემწყნარებლობა ქართველის ბუნების დამახასიათებელი უფროა, ვიდრე ქრისტიანობისა. მაგრამ, რადგან ქართველი კაცის ცნობიერებაში ქრისტიანობა ინდივიდალიზირებულია, როგორც ეროვნული, ამიტომ ქართველის ხასიათიდან გამომდინარე, ტოლერანტობა ქრისტიანული ზნეობის უმთავრეს პრინციპად იქცა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ სხვა რწმენისადმი შემწყნარებლობა ქართველ კაცს წარმართული სათავეებიდან გადმოჰყვა. გავიხსენოთ მცხეთის მოსახლეობის სიჭრელე ქრისტიანობის შემოსვლამდე, კერძოდ, ქართველთა მშვიდობიანი თანაცხოვრება ებრაელებთან ერთად ქრისტემდე. ამ თანაცხოვრებამ მშვიდობიანი ფორმა 26 საუკუნე შეინახა, რაც იშვიათია ებრაელი ხალხის ისტორიაში სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე ბინადრობისას. და ეს ხდება აღმოსავლეთში მაშინ, როცა რელიგიურმა ფანატიზმმა გადათელა დასავლეთი: ინკვიზიცია, რელიგიური ომების მთელი სერიალი XVI ს. ევროპაში პროტესტანტების დაპირისპირებულობანი, „ბართლომეს ღამე“ საფრანგეთში და სხვ.

ქართულ ეკლესიას არ ეცალა ყურადღება გადაეტანა რელიგიურ ფანატიზმზე, რადგან საქართველოში სოციალურ ვითარებაზე გადამწონი ყოველთვის იყო ეროვნული ვითარება. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ქრისტიანობის შენარჩუნებას სახელმწიფოებრიობის დაცვას უკავშირებდა. ჯვარი და მამული ერთ ცნებად იყო გაერთიანებულ ერისა და ბერის შეგნებაში. საერო ხელისუფლებამაც მოახერხა საეკლესიო ძალაუფლების ისეთი მოდელირება, რომ მის შიგნით არ მოხდა განხეთქილება. ნიკო ბერძენიშვილის, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, თქმით, ქართული კულტურა სამ საყრდენ სვეტს ეფუძნებოდა: ქრისტიანობას, „ქართლის ცხოვრებასა“ და „ვეფხისტყაოსანს“.

და ბოლოს: ქრისტიანობას „წიგნიერ“ რელიგიას უწოდებენ. მან ხელი შეუწყო საერთოდ განათლებისა და კულტურის გავრცელებას. ეს ქრისტიანობის იმ ზოგად პროგრესულობას გამოხატავს, რაც ყველა ქვეყანაში მისთვისაა დამახასიათებელი. ეკლესიასა და მონასტრებთან სპეციალური სკოლები იხსნებოდა, სადაც დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა იყო გაჩაღებული. ამ მხრივაც, საქართველოს ბევრი რამ აქვს საამაყო.

შუა საუკუნეების ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებით მოფენილი იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქრისტიანო. დავასახელოთ „შავი ანუ საკვირველი მთა“, სირიაში ანტიოქიის მახლობლად, სადაც მოღვაწეობდნენ XI ს.-ში გიორგი შეყენებული, გიორგი მთაწმინდე-

ლი, რომელმაც სწორედ აქ დაასრულა თავისი შრომების დიდი ნაწილი და აქედან გადავიდა ათონის მთაზე. ეფრემ მცირე, რომელმაც XI ს.-ში მთელი ეპოქა შექმნა ქართული კულტურის ისტორიაში, როგორც ფილოლოგმა და ფილოსოფოსმა. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ორი ფილოსოფიური მიმართულების – ნეოპლატონიზმისა და არისტოტელიზმის გავრცელება. მან პირველმა თარგმნა და ქართველებს გააცნო ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებანი, გააღვიძა ქართველთა ინტერესი ანტიკური ფილოსოფიისადმი. ეფრემ მცირემ თავისი ფილოსოფიური შეხედულებებით ხელი შეუწყო ქართული ნეოპლატონიკური სკოლის შექმნას.

ძლიერი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა არსებობდა პალესტინაში, სადაც ისტორიული ცნობებით V საუკუნეში პეტრე იბერმა იერუსალიმში „აღაშენა“ სახლი სასტუმროჰსა ქალაქსა შინა და განუსვენებდა მომკალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა“. ბეთლემში, პეტრე იბერის მიერ აშენებული მონასტრის ნანგრევებში, აღმოჩნდა უძველესი ქართული დამწერლობის ნიმუშები, რომლებიც უფრო ძველია, ვიდრე ბოლნისის სიონის წარწერები.

ქართველთა უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი არსებობდა სინას მთაზე, სადაც მოღვაწეობდნენ X ს.-ში იოანე მინჩხი, იოანე ზოსიმე, რომელსაც მიაკუთვნებენ ქართული ენის სახოტბო ჰიმნს „ქებაჰ და დიდებაჰ ქართულისა ენისაჰ“.

IX-XI სს.-ში ბიზანტიის იმპერიის სხვადასხვა პუნქტში ქართველმა საეკლესიო მამებმა დააარსეს მონასტრები. ილიმპოზე, ათონზე, პეტრიწონში, სადაც უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა იყო გაჩაღებული, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ივერიონი – ივერიის ღვთისმშობლის მონასტერი ათონზე. ივერიონის თეოლოგიურ-ლიტერატურული სკოლა ძირითადად ექვთიმე და გიორგი ათონელების სახელებს უკავშირდება. მათი თარგმანები, ორიგინალური საღვთისმეტყველო თხზულებანი სასულიერო მწერლობის ყველა ჟანრში, მთელს ეპოქას ქმნიან ქართულ თეოლოგიურ აზროვნებაში.

აღსანიშნავია პეტრიწონის მონასტრის კულტურულ-საგანმანათლებლო და ფილოსოფიური აზროვნების უდიდესი მიღწევები, რაც იოანე პეტრიწის სახელთანაა დაკავშირებული. იოანე პეტრიწმა ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანობის მორიგებით სამყაროს ისეთი ფილოსოფიური სურათი ააგო, რომელშიაც ადამიანს ამქვეყნიურობის სილამაზე დაანახა, რომელიც ღმერთმა შექმნა. ცისა და მიწის კავშირი ღმერთისადმი „ტრფიალებაჰთ“ ახსნა. ღმერთის მიერ შექმნილ მშვენიერ სამყაროში ადამიანის აქტივობის საფუძვლად სიკეთე გამოაცხადა. რუსთველის სიტყვები: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, – სწორედ პეტრიწის ნეოპლატონისტური ფილოსოფიის პოეტური თქმაა.

ქართული საეკლესიო და საერო ხელისუფლების ძალისხმევით აღორძინდა XI-XII საუკუნეებში აკადემიები – საფილოსოფოსო ცენტრები გელათსა და იყალთოში, სადაც მოღვაწეობდნენ იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, თეოფილე ხუცემონაზონი, იოანე ტაიჭისძე და სხვ.

კიდევ ბევრი საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრების დასახელება შეიძლება, ამ ცენტრებში გაწეულმა კულტურულ-სამეცნიერო, თეოლოგიურ-ფილოსოფიურმა მოღვაწეობამ XI-XII საუკუნეებში მოამზადა ნიადაგი ქართული რენესანსისათვის, როცა შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“, აშენდა ვარძია და სხვ.

ქეთევან ცაბაძე

იაპონიის სკოლამდელი და დაწყებითი განათლების სისტემა

ყველასთვის კარგადაა ცნობილი იაპონიის წარმატებები ინოვაციის სფეროში. ამდენად ვფიქრობთ საინტერესო იქნება მოკლედ დავახასიათოთ იაპონიის დაწყებითი განათლების სისტემა, რომელიც თავისთავად მთელი განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. იაპონიის განათლების სისტემამ ცენტრალური როლი ითამაშა ქვეყანაში ახალი ეპოქის გამოწვევების დასაძლევად, რაც მოიცავდა: მეიჯის პერიოდში (1868-1912 წ.წ.) იაპონელების მიერ დასავლური იდეების სწრაფ გათავისებას, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებას. განათლება მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან მოყოლებული ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო იაპონიის აღორძინებასა და სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაში. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კი იაპონური საზოგადოება კულტურული ნორმების შეცვლით, მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში წინსვლით, ეკონომიკის გლობალიზაციითა და რთული ბიზნეს გარემოს შექმნით ბევრი ახალი გამოწვევის წინაშე დადგა.

იაპონური განათლების გადამწყვეტი დანიშნულება გახდა ახალგაძრდების აღზრდა, რომლებიც თავს გაართმევენ ამ გამოწვევებს. დღეს იაპონიის მთავრობაში, საგანმანთლებლო წრეებსა თუ საზოგადოებაში დიდ განსჯის თემად რჩება თუ რა მიმართულება უნდა იქნეს არჩეული ამ დასახული მიზნის მისაღწევად. წერა-კითხვის ცოდნა იაპონიაში გარკვეული ფორმით არსებობდა ჯერ კიდევ ჩინური დამწერლობის შემოღებისა და ბუდიზმის შემოსვლისას მეექვსე საუკუნეში. 701 წელს ტაიჰოს კოდექსზე დაყრდნობით დაარსებულ იქნა დიდგვაროვანთა შვილების სასწავლებლები, როგორც დედაქალაქში, ასევე პროვინციებში.

კამაკურას პერიოდის დასაწყისისთვის (1185-1333 წ.წ.), სამურაების შვილების მზარდმა რაოდენობამ მიიღო ოფიციალური განათლება, მაგრამ მხოლოდ ედოს პერიოდში (1603-1868 წ.წ.) დამყარებულ 265-წლიან მშვიდობისას მოხერხდა განათლების თანაბრად გავრცელება ელიტასა და ჩვეულებრივ ხალხში. განათლება ედოს პერიოდში ძირითადად ეყრდნობოდა კონფუცისეულ წარმოდგენებს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩინელ კლასიკოსთა შრომების დაზეპირებასა და ცოდნას.

განვითარდა ორი ძირითადი სკოლა პირველი იყო ე.წ. სამფლობელოების სკოლები (ჰანკო), რომლის სრულმა რაოდენობამ 270-ს მიაღწია და თავდაპირველად განათლებას აძლევდა მხოლოდ სამურაის კლასის ბავშვებს. მეორე ტიპი გახლდათ ტერაკოია სკოლები, რაც განათლებას აძლევდა როგორც სამურაების, ასევე ჩვეულებრივ მოქალაქეთა შვილებს. აქ მოსწავლეები გადიოდნენ მორალურ წვრთნას, სწავლობდნენ კითხვას, წერასა და არითმეტიკას. ტერაკოიებს მართავდა ერთი მასწავლებელი ან ცოლ-ქმარი და ედოს პერიოდის მიწურულისთვის უკვე

ათიათასობით ამგვარი სასწავლებელი არსებობდა. იაპონიის წერა-კითხვის მცოდნეთა მაჩვენებელი 1868 წელს, ტოკუგავას შიოგიუნატის დამხობის დროისთვის, აღემატებოდა იმდროინდელი ეპოქის ევროპული ქვეყნების პროცენტულ მაჩვენებელს. ამ საგანმანათლებლო საძირკველის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ის სწრაფი მოდერნიზაცია, რასაც იაპონიამ მოგვიანებით მიაღწია. მეიჯის ლიდერები სწრაფად მოქმედებდნენ, რათა ახალი საგანმანათლებლო სისტემა შეექმნათ, რადაგანაც ის წარმოადგენდა მათი მცდელობების უმინიშვნელოვანეს ნაწილს - დაწეოდნენ დასავლეთს და წინ წამოეწიათ ეროვნული მთლიანობა. შემოიღეს სამსაფეხურიანი განათლების სისტემა დაწყებითი სკოლა, საშუალო სკოლა და უნივერსიტეტი. ამასთან დაწყებითი განათლების მიღება ქალ-ვაჟთათვის თანაბრად სავალდებულო გახდა. მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან მოყოლებული, 1947 წელს, საოკუპაციო ძალების ხელმძღვანელობით დადგენილ იქნა განათლების შესახებ ძირითადი კანონი და სასკოლო განათლების კანონი.

ამ უკანასკნელის მიხედვით განსაზღვრული სასკოლო სისტემა - ექვსწლიანი დაწყებითი განათლება, სამწლიანი უმაღლესი სკოლის ჯუნიორთა პროგრამა, სამწლიანი უმაღლსი სკოლის პროგრამა და ორ ან ოთხწლიანი საუნივერსიტეტო განათლება - დღესაც გამოიყენება. ამასთან, დაწყებითსა და ჯუნიორთა უმაღლეს სკოლაში დასწრება სავალდებულოა.

იაპონიაში არის საბავშვო ბაღები (დასწრება შესაძლებელია ერთიდან სამ წლამდე), ხუთწლიანი ტექნიკური კოლეჯები ჯუნიორთა უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთათვის, სპეციალური სატრეინინგო სკოლები ჯუნიორთა უმაღლესი და უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთათვის და ასევე სპეციალური სკოლები ფიზიკური ნაკლის მქონე პირებისთვის. უნივერსიტეტები მოიცავენ საბაკალავრო კოლეჯებს, ჯუნიორთა კოლეჯებსა და ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა სკოლებს.

სასკოლო კალენდარი: იაპონიაში დაწყებითი, ჯუნიორთა უმაღლესი და უმაღლესი სკოლების უმეტესობისთვის სასწავლო წელი იწყება პირველ აპრილს და იყოფა სამ ნაწილად: აპრილიდან ივლისამდე, სექტემბრიდან დეკემბრამდე და იანვრიდან მარტამდე. ზოგიერთ სკოლას აქვს ორსემესტრიანი გრაფიკი. 2002 წელს დასრულდა ექვსდღიანი სასწავლო კვირის ხუთდღიანზე თანდათანობით გადასვლა. ბევრი კერძო სკოლა კი განაგრძობს შაბათის გაკვეთილების ჩატარებას და ბოლო დროს, ზოგიერთმა საჯარო სკოლამ მოიპოვა განსაკუთრებული უფლება კვლავ შემოიღოს შაბათის გაკვეთილები, რათა მეტი დრო დარჩეს საჭირო საგნების გავლისთვის.

ძირითადი სასკოლო პროგრამები: განათლების, კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და ტექნოლოგიის სამინისტრო ამზადებს ძირითად სასწავლო პროგრამებს, რომელიც მოიცავს იაპონურ სკოლაში შესასწავლი ნებისმიერი საგნის ძირითად სქემასა და თითოეულ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლების მიზნებსა თუ სასწავლო მასალას. დაახლოებით ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ეს პროგრამები ექვემდებარება გადახედვას და გამოიყენება მთელი ქვეყნის სკოლებში.

სასკოლო სახელმძღვანელოები: ყველა დაწყებითი, ჯუნიორთა უმაღლესი თუ უმაღლესი სკოლა ვალდებულია გამოიყენოს განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროს მიერ შეფასებული სახელმძღვანელოები. ამ ოფიციალური ავტორიზაციის

სისტემის (შეიქმნა 1886 წელს) მიზანია განათლების სტანდარტიზაცია და რელიგიურ და პოლიტიკურ საკითხებზე სამართლიანობისა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნება.

1963 წელს შეიქმნა სავალდებულო განათლებისთვის აუცილებელი სახელმძღვანელოების უფასოდ გავრცელების სისტემა. სახელმძღვანელოები, რომელიც გამოიყენება იმ ცალკეულ რაიონში, სადაც მდებარეობს ესა თუ ის საჯარო სკოლა, შერჩეულია განათლების პრეფექტურული საბჭოს რეცენზიაზე დაყრდნობით მთავრობის მიერ სახელდებული კანდიდატების მიერ, რომლებიც შედიან განათლების ადგილობრივ საბჭოში. კერძო სასწავლებლებში კი სკოლის დირექტორს აქვს უშუალო პასუხისმგებლობა გააკეთოს არჩევანი.

სკოლამდელი განათლება. დაწყებით სკოლებამდე განათლებას გასცემს: საბავშვო ბაღები (იოჩიენ) და ბავშვთა მოვლის დაწესებულებები (ჰოიკუენ). საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში მიიღებიან ერთი წლიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები. მათი პროგრამები სამიდან ხუთ წლამდე ბავშვებისთვის იგივეა, რაც საბავშვო ბაღებში. ამ დაწესებულებების დაახლოებით 60% კერძოა. ხუთი წლის ბავშვებიდან საბავშვო ბაღებსა თუ დღის ბავშვთა მოვლის დაწესებულებებში იაპონიის ბავშვების 95 %-ი დადის. საგანმანათლებლო მიდგომა ბავშვებისადმი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან საბავშვო ბაღებში: არის დაწესებულებები, რომელთა სასწავლო გარემო მოკლებულია სტრუქტურას და არ გამოირჩევა ფორმალური სწავლებით და ისეთიც, სადაც გარემო უმაღლეს დონეზეა მოწესრიგებული და კონცენტრირებული არიან ბავშვის გონებრივ ვარჯიშზე.

დაწყებითი სკოლები. ექვსწლიან დაწყებით სკოლაში დასწრება სავალდებულოა. ასეთი სკოლების 99% წარმოადგენს საყოველთაო საჯარო დაწესებულებას. თითოეულ კლასისთვის დანიშნულია ერთი მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ყველა საგანს, როგორც წესი, მუსიკისა და ხელოვნების გამოკლებით. 2011 წლისთვის პირველ კლასში მოსწავლეების დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა იყო 35 და დანარჩენი კლასებისთვის - 40 ბავშვი. ძირითადად, კლასები არ იყოფა მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად, კლასების დაყოფა განპირობებულია ამა თუ იმ საგნის სირთულესთან, როდესაც მოსწავლეებმა უნდა მიაღწიონ წარმატებას მისი შესწავლისას. სასწავლო პროგრამა მოიცავს შემდეგ საგნებს: იაპონური ენა, სოციალური მეცნიერებები, მუსიკა, კულტურა და ხელოვნება, ფიზიკური განათლება და საოჯახო მეურნეობა.

სასწავლო მოთხოვნებში შედის ექსტრაკურიკულარული აქტივობები, მორალური განათლების კურსი, ინტეგრირებული განათლება, რაც თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს თემათა მთელ რიგ სპექტრს (საერთაშორისო ურთიერთგაგება, გარემო, ნებაყოფილობითი სამუშაო და სხვ.) კითხვა და წერა არის სასწავლო კურიკულუმის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, ორი იაპონური მარცვლოვანი დამწერლობის მხარდამხარ, მოსწავლეებს მოეთხოვებათ სულ მცირე 1006 იეროგლიფის,შესწავლა მეექვსე კლასის დამთავრებამდე.

განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროს 2008 წლის ფისკალური მონაცემებით, აკადემიურ გაკუშიუჯუკუ სკოლებს ესწრება საჯარო დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა 25.9% და საჯარო უმაღლესი სკოლების 53.5%. იაპონიის საგანმა-

ნათლებლო სისტემა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთთანამშრომლობას, ჯგუფურ დისციპლინასა და სტანდარტების

შესაბამისობას. ის პირნათლად ემსახურება ქვეყანას კვალიფიცირებული ინდუსტრიული სამუშაო ძალის მიწოდებაში, რამაც იაპონია გლობალურ ეკონომიკურ ხელისუფლად აქცია XX საუკუნეში. ამ სისტემის წარმატება იმაშიც აისახება, რომ იაპონელი ხალხის უმრავლესობა საშუალო კლასის წარმომადგენლად მოიაზრებს საკუთარ თავს და განათლებას მიიჩნევს როგორც გზას საკუთარი შვილების კეთილდღეობისკენ.

2006 წელს იაპონიის მთავრობამ მიიღო პირველი შესწორება 1947 წლის ძირითად განათლების კანონში. ეს შესწორება მოიცავდა პირობებს, რომელიც მოუწოდებდა განათლებას გაეღვივებინა სახალხო სულიერება, ტრადიციებისა და კულტურის პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული. სასწავლო გეგმის სახელმძღვანელო მითითები გადაიხედა და დაემატა ცვლილებები 2008 წელს საფუძვლიანი განათლების გასაუმჯობესებლად, ბაზისური ცოდნისა და სპეციალობების წახალისებითა და საკლასო საათების გაფართოებით. სასწავლო გეგმის ახალი სახელმძღვანელო გამოვიდა დაწყებითი სკოლებისთვის 2012 წელს და ჯუნიორთა უმაღლესი სკოლებისთვის - 2013 აკადემიურ წელს.

1949 წელს იუკავა ჰიდეკი გახდა პირველი იაპონელი ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელმაც მიიღო ჯილდო ფიზიკაში მეზოტრონების არსებობის წინასწარ განჭვრეტისთვის. მას მოჰყვა ესაკი რეონა, 1973 წლის ასევე ფიზიკის ჯილდოს მფლობელი, შემდეგ ტონეგავა სუსუმუ პრემიით ფიზიოლოგიასა და მედიცინაში 1987 წელს, ოე კენზაბურო პრემიით ლიტერატურაში 1994 წელს. უფრო მოგვიანებით, იაპონელებმა ერთმანეთის მიყოლებით მიიღეს ნობელის პრემია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. 2002 წელს, კოშიბა მასატოშიმ ტოკიოს უნივერსიტეტიდან მიიღო ნობელის პრემია ფიზიკაში, სუძუკი აკირამ ჰოკაიდოს უნივერსიტეტიდან და ნეგიში ეიიჩიმ ტოკიოს უნივერსიტეტიდან მიიღეს ჯილდოები ქიმიაში 2010 წელს. ასევე, იამანკა შინიამ კიოტოს უნივერსიტეტიდან მიიღი პრემია ფიზიოლოგია/მედიცინაში 2012 წელს, iPS უჯრედის განვითარებისთვის. მარტო 2008 - 2010 წლებში სულ ექვს იაპონელს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკასა და ქიმიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში მიღებული უმაღლესი ჯილდო.

საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნის და განვითარების აქტუალური საკითხები

რეალურმა ცხოვრებამ და განვიტარების მიმართულებებმა აჩვენა, რომ განათლების სისტემის არსებითი გარდაქმნა გარდაუვალი აუცილებლობაა, თუ გვინდა გლობალურ, შემტევ, მოქიშპე სამყაროში გადარჩეს ქვეყანაც და მისი მოქალაქეებიც.ამასთან მიგვაჩნია, რომ გარდაქმნების საყრდენი პრინციპი უნდა იყოს არა არსებულის უარყოფა და ნგრევა, არამედ საუკეთესო რესურსის, ტრადიციის, გამოცდილების გადარჩევა, დაწმენდა-გაფილტვრა და შევსება ყოველივე იმ პროგრესულით, რაც შეესაბამება ჩვენი ქვეყნის და მისი მოქალაქეების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს.

განათლების სისტემისსტრუქტურულ-შინაარსობრივი ცვლილების და განვითარების პროცესები რომ სწორი ვექტორით წარიმართოს, უპირველესი ამოცანაა დამუშავდეს განათლების სისტემის კონცეფცია – ახალი საგანმანათლებლო პარადიგმა – ქვეყნისგანვითარების სტრატეგიული მიზნებისადა საერთაშორისო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში.ამიტომ, საჭიროა ხელახლა გავიაზროთ და დღევანდელი და სამომავლო გადასახედიდან გავაცნობიეროთ რა არის განათლება, ვისთვის გვინდა განათლების სისტემა? რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს მან და როგორ? მნიშვნელოვანია სწორად იქნეს განსაზღვრული თუ რა შინაარსის მატარებელია ცნებები: განათლება, განათლების სისტემა, განათლების პროდუქტი, განათლების სისტემის მიზანი.

დასახელებულ ცნებათა განმარტება სხვადასხვა კუთხით შეიძლება. ეკონომიკური თვალთახედვით მათ ამგვარად განვმარტავდით:

განათლება არის ადამიანის მიერ ზოგადი და პროფესიული ცოდნისა და უნარების, ზნეობრივი ნორმებისა და ზოგადი კულტურის ათვისების, პირადი ნიჭის და უნარ–შესაძლებლობების განვითარების, თავისუფალი, ჰუმანისტური, სახელმწიფოებრივი თვითშეგნების მატარებელი მოქალაქის ფორმირების უწყვეტი პროცესი აღზრდის, სწავლა-სწავლების და წრთვნის გზით – განათლების სისტემის სივრცეში და/ან მის გარეთ.

განათლების სისტემა არის მართვის კონკრეტულ პოლიტიკასა და შესაბამის საკანონმდებლო-ნორმატიულ ბაზაზე დაფუძნებული საფეხურებრივი ინსტიტუციური სტრუქტურა, რომლის ყველა საფეხურზე გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებს შეუძლიათ დადგენილი სტანდარტების შესაბამისადგანსაზღვრული დონის, ხარისხის და მოცულობის საგანმანათლებლო მომსახურებით სარგებლობა.

განათლების სისტემის მიზანია მოამზადოს და გამოუშვას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროდუქტი სახელმწიფოს სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალური და ფუნქციური საჭიროებების, შიდა და საერთაშორისო ბაზრების, საზოგადოების და ცალკეულ პიროვნებათა საგანმანათლებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ხელი შეუწყოს ქვეყნის სტაბილურ, უსაფრთხო და მდგრად განვითარებას.

განათლების სისტემის პროდუქტი არის: ა) ყველა, ვინც სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღზრდისა და სწავლის პერიოდში დამაკმაყოფილებლად აითვისა კონკრეტული საგანმანათლებლო საფეხურის სასწავლო პროგრამის სრული ან არასრული კურსი და აქვს უფლება მიიღოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი ან აკადემიური ხარისხის სერტიფიკატი; ბ) განათლების სისტემის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შექმნილი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროდუქცია.

განათლების სისტემის ფუნქცია,არსი ისაა, რომ სისტემას შეეძლოს ისეთი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, რაც შეესაბამება სამი ძირითადი სუბიექტის ინტერესებს. ეს სამი სუბიექტია:

- მომხმარებელი (საოჯახო მეურნეობები);
- მწარმოებელი (ფირმები);
- სახელმწიფო (მთავრობა).

აქედან გამომდინარე, სისტემამ უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნები:

1. პიროვნების, ინდივიდის– ადამიანებს სურთ მიიღონ პირადი ნიჭის, უნარის, შესაძლებლობების და ინტერესების შესაბამისი უმაღლესი დონისა და ხარისხის განათლება, რაც უზრუნველყოფს მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების ღირსეულ პირობებს და სტატუსს საზოგადოებაში.

2. ეკონომიკის, მეურნეობის – ეკონომიკის ყველა დარგს, სახელმწიფო და კერძო ფირმას (ორგანიზაციას, წარმოებას, საოჯახო მეურნეობას და ა.შ.)ჭირდება კონკრეტული პროფესიისა და სპეციალობის, მაღალი კვალიფიკაციის მქონე შრომითი კადრები საჭირო პროდუქცისა და მომსახურების წარმოების, კაპიტალის მატების, ეკონომიკური ზრდის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მისაღწევად.

3. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი– ნებისმიერი მთავრობა დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ქვეყანას ქონდეს განათლების რაც შეიძლება მაღალი პოტენციალი და დონე; საზოგადოება დაინტერესებულია, რომ განათლების, სწავლა-აღზრდის სისტემა ეფეუძნებოდეს ერის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ ზნეობრივ-ეთიკურ ნორმებს, ითვალისწინებდეს ერის ფსიქო-ფიზიკურ, ეთნიკურ, ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ და სოციალურ თავისებურებებს, ტრადიციებს, ითვისებდეს თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის, განათლების და კულტურის მიღწევებს, ცივილიზაციის მონაპოვარს და თავადაც საკუთარი ღირსეული წვლილი შეჰქონდეს მასში.

ამ სამი სუბიექტის მოთხოვნები უსაზღვროა, რაც განათლების სისტემას აძლევს მრავალფეროვნების, ცვლის, განვითარებისა და პროგრესის სტიმულს; ხოლო სისტემის მიერ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაძლებლობები და რესურსები შეზღუდულია, რაც იძლევა სისტემის რაიცონალიზაციის, მისი შიდა და გარე ეფექტიანობის ზრდის მოტივაციას.

საბაზრო ეკონომიკის გამყარების, გლობალურ სამყაროსთან მზარდი ინტეგრირების პროცესში განათლების სფეროს გარე და შიდა გარემო იქნება მუდმივად ცვალებადი. ამდენად გადარჩენა და წინსვლა მხოლოდ სისტემის მოქნილობის, შემგუებლობის (ადაპტირების) და ტრანსფორმირების უნარზე იქნება დამოკიდებული. ამიტომ განათლების სისტემას უნდა მიეცეს დინამიკური ცვლის და მანევრირების შესაძლებლობა, რათა იყოს ეკონომიკასთან თავსებადი, სწრაფად და ადვილად მოახდინოს რეაგირება მუდმივად ცვალებადი ბაზრის მოთხოვნებზე, მოახერხოს საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარში ინტეგრირება და საკუთარი სეგმენტის– ნიშის მოპოვება, პარტნიორულ ურთიერთობებში ჩართვა, ცოდნის სამკუთხედის „განათლება-მეცნიერება-ინოვაციური ბიზნესი“ ფორმირება, ანუ ცოდნისმიერი, ინოვაციური ეკონომიკის სტიმულირება, კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო-ეკონომიკური და ცალკეული სხვა დარგების განვითარების პერსპექტივების განჭვრეტა და მათი საჭიროებების წინმსწრები რეჟიმით უზრუნველყოფა.

აღნიშნულის სარეალიზაციოდ საჭიროა ისეთი სისტემა, რომელსაც ექნება: მოქნილი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო სტრუქტურა;

- მარტივი და ოპერატიული, ახალი გამოწვევების შესატყვისი მართვის სტრუქტურა;
- განათლების სისტემის განვითარების და წინსვლის მასტიმულირებელი ინსტიტუციური

ბაზა.

განათლების სისტემის სტრუქტურა უნდა იყოს:

• იოლად ტრანსფორმირებადი– შეეძლოს საგანმანათლებლო მოთხოვნების ცვლილებაზე სწრაფი, თანადროული რეაგირება;

• მრავალსაფეხურიანი – ყოველი საფეხური იყოს დასრულებული და თავსებადი მომდევნო დონის საფეხურთან, რაც უზრუნველყოფს განათლების მემკვიდრეობითობას;

• ღია, გახსნილი – უზრუნველყოფილი იყოს სამეცნიერო-ტექნიკური, სტრუქტურული, შინაარსობრივი და სხვა სიახლეების დანერგვა ცალკეული დაწესებულებებისა თუ სისტემის მასშტაბით, საზოგადოებისთვის გამჭვირვალება;

• მრავალსახოვანი – განათლების დაწესებულებათა და ინსტიტუციების ტიპების, სწავლების სახეობების, ფორმების, პროგრამების, მეთოდების და ა.შ. ნაირგვარობა განათლების მრავალფეროვნებისა და არჩევანის უზრუნველსაყოფად;

• ავტონომიური – სისტემის ყველა დონეზე მართვის, ორგანიზაციის, დაგეგმვის, ფინანსების მოზიდვისა და განკარგვის, ადამიანთა რესურსების შერჩევისა და სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა შესაბამისი იურიდიულ-სამართლებრივი კომპეტენციის ფარგლებში;

• ინტეგრირებადი (ადვილად თავსებადი)– შეეძლოს ადგილობრივ და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ბიზნეს ორგანიზაციებთან აქტიური პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, ერთობლივ პროექტებსა და საქმიანობაში ეფექტიანი მონაწილეობა.

• უწყვეტი – იძლეოდეს ცოდნის მუდმივად შეძენის და განახლების შესაძლებლობას ნებისმიერ ასაკში,კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტი სისტემის (ე.წ. იფელონგ ეარნინგ)საფუძველზე:

• ყველასათვის ხელმისაწვდომი – აძლევდეს სასურველ განათლებას ყველა მოქალაქეს მიუხედავადდ ასაკისა, სქესისა, ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობებისა, სარწმუნოებისა და ა.შ., მათი სოციალურ-უფლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.

• *განათლების მართვის სტრუქტურა* – უნდა ჩამოყალიბდეს როგორც:

• დეცენტრალიზებული – სისტემის მართვის ყოველი დონე უნდა ფუნქციონირებდეს დამოუკიდებლად იმ ადმინისტრაციულ, უფლება-მოვალეობრივ და საფინანსო კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც იქნება დაზუსტებული და მკაფიოდ გამიჯნული კანონმდებლობით.

• ოპერატიული – უზრუნველყოფილი იყოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ჰორიზონტული (უშუალო) კავშირები მართვის ცალკეულ დონეებს შორის ინფორმაციის სწრაფად და დამახინჯების გარეშე ურთიერთგაცვლის მიზნით.

• დემოკრატიული– მართვის სისტემის თითოეული ინსტიტუციური ერთეულის საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს მართვის, ორგანიზაციისა და დაგეგმვის, ანუ მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, საზოგადოების ჩართვითა და აქტიური მონაწილეობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანთა სამოქალაქო და კონსტიტუციური უფლებების რეალიზაცია და დაცვა.

მნიშვნელოვანია, რომ სისტემის ფუნქციონირებადა მართვა ხორციელდებოდეს განათლების სფეროს კვლევის, ანალიზის, პროგნოზირების და დაგეგმვის თანამედროვე მეთოდებით აგებული პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძველზე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და გლობალური ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით.

საკანონმდებლო-ნორმატიულმა ბაზამ უნდა:

• შექმნას როგორც მთლიანად განათლების სისტემის, ასევე მისი ყოველი რგოლისა და საფეხურის ავტონომიური ფუნქციონირებისთვის აუცილებელისამართლებრივი საფუძვლები – საქართველოს კონსტიტუციასთან, ძირითად კანონებთან და შესაბამის საერთაშორისო კანონებთან ჰარმონიზაციის ბაზაზე.

• უზრუნველყოს სისტემის და მისი ცალკეული ელემენტის დინამიკური განვითარების სტიმულირება და ტრანსფორმირების შესაძლებლობები;

• შექმნას მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი და ჩვენი ქვეყნისთვის რაციონალური საგანმანათლებლო სტანდარტები;

• უზრუნველყოს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მოქალაქეთა სოციალური უფლებების დაცვა; დააწესოს პასუხისმგებლობისა და კომპენსაციების ზომები უხარისხო საგანმანათლებლო მომსახურებისთვის.

• საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად არეგულიროს საზღვარგარეთის ქვეყნების საგანმანათლებლო სივრცეებში ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და მოქალაქეების ინტეგრირებისდა თანამშრომლობის პროცესები დაანალოგიური პროცესები საქართველოში.

• შექმნას სტიმულები და ბერკეტები ეკონომიკური განვითარების ყველაზე ეფექტიანი და მძლავრითანამედროვე ფაქტორის ე.წ. ცოდნის სამკუთხედის ფორმირებისხელშესაწყობად - მეცნიერებასთან და ბიზნესთან განათლების ინტეგრაციისპროცესების გასააქტიურებლად.

• შექმნას ინტელექტუალური საკუთრების, განსაკუთრებით გამოგონებებისა და პატენტების დაცვის მექანიზმები.

საბოლოოდ, მოკლე თეზისების სახით წარმოვადგენთ უახლოესი 10-15 წლის მანძილზე საქართველოს განათლების სისტემის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების პოლიტიკისუმთავრეს სტრატეგიულ ამოცანებს. ესენია: საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურულ-შინაარსობრივი ტრანსფორმაცია, მისი სტაბილური ფუნქციონირების და დინამიკური განვითარების უზრუნველყოფა; გლობალიზაციის პროცესში განათლების სისტემის და მთლიანად ქვეყნის უსაფრთხო განვითარების მექანიზმების განსაზღვრა-ამოქმედება, მდგრადობის გარანტიების შექმნა. გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ქვეყნის განათლების სისტემის ინტეგრირება, ამ სივრცეში მისი თავისუფალი მანევრირების და განვითარების უზრუნველყოფა.

Ratiani lali

Assozierte Professorin Sucheumer Staatlichen Universität

XII. TÜRKISCHER INTERNATIONALER GERMANISTIK KONGRESS KOCAELI, -AUSWANDERUNGVORGANG IN GEORGIEN

Das Land der Internationalen Germanistik Kongresses war die Türkei, ein Land der Auseinandersetzungen, ein beliebtester Reiseziel europäischer Touristen mit über 63 Mill. Einwohnern, mit der Hauptstadt Instanbul-Brücke nach Asien, mit 7,3 Mill. Menschen unterschiedlicher Herkunft, wo kulturelle, sozielle und wirtschaftliche Gegensätze zu spüren sind.

Die Stadt Kochaeli war Veranstaltungsort der nächsten. **XII.**.Internationalen Deutschlehrertagung vom 12 /13/14 Mai 2014, die alle 2 .Jahre stattfindet.110 Teilnehmer aus 17 Ländern Deutschland, Spanien, Rumenien, Polen, Italien, Ungarn, Őesterreich, Südafrika, Georgien, Aserbaidschan, Korea, Marokko, Mazedonien, Slowenien, Schweden, Russland, Nigerien, Japan, aus der Schweiz kamen in diesem Sommer in Kochaeli zusammen, um Gedanken und Erfahrungen auszutauschen und sich beruflich weiterzubilden..Die Aufgabe der Kongressleitung und-organisation hat Germanistik –Abteilung der Kocahaeli-Universität übernomme.

Lehrende, Forschende und Studierende aus der ganzen Welt waren zur aktiven Teilnahme an der Tagung eingeladen. Neben Vorträgen, Podiumsdiskussionen und Ausstellungen erwarteten den Besuchern auch ein umfangreiches Rahmenprogramm.

Für diese weltweite Interesse kammen viele Faktoren zusammen, unter denen besonders zu nennen sind: die Verbindung von Theorie und Praxis, die sich auch dank dem geglückten Tagungskonzept effektiv entfalten kann; das Tagungsthema „Migration und die kulturelle Diversität“, dass mit den Schwerpunkten Deutsch als Fremdsprache, Deutsch als Zweitschprache und Deutsch als Muttersprache der heutigen Sprachrealitäten in einer zunehmend globalisierten Welt entspricht.

Der zentrale Ort der aktiven Arbeit und des fachwissenschaftlichen Austausches fand in den 4. Sektionen statt, die sich in acht Themenfeldern gliederten

Wir wurden herzlich folgenderweise begrüßt worden:“Sehr geehrte Kolleginnen und Kollegen wir würden uns freuen, Sie zum ***XII. Türkischen Internationalen Germanistik Kongress*** vom 12. bis 14 Mai

2014 an der Universität Kocaeli begrüßen zu dürfen. Veranstaltet von der Abteilung für Westliche Sprachen und Literaturen in Zusammenarbeit mit dem türkischen Germanistenverband (GERDER) steht die Veranstaltung unter dem Motto „**Migration und kulturelle Diversität**".Unser Themenschwerpunkt verteilt sich auf die Hauptgebiete Literatur-, Kultur-, Sprach- und Übersetzungswissenschaft sowie Deutsch als Fremdsprache (DaF). Im weiteren Programm sind verschiedene Lesungen und / oder Plenarvorträge geplant.Wir hoffen auf Ihre rege Teilnahme und freuen uns, Sie zahlreich in Kocaeli begrüßen zu dürfen!"

Der sogenannte „**cultural turn**" hat gegen Ende des 20. Jahrhunderts die Germanistik zu einer kulturwissenschaftlichen Orientierung gezwungen, die zu einer wesentlichen Bereicherung der Forschungsbereiche beigetragen hat. Diese „Bereicherung" oder „Modernisierung", die von Germanisten wie Walter Haug als Beginn der Auflösung des Faches Germanistik verstanden wurde, wurde vor allem von der Auslandsgermanistik vorangetrieben, da sie sich auch schon lange vor dieser Wende mit diesen Themen beschäftigte. Wir gehen davon aus, dass in einer durch Migration und Internationalisierung gekennzeichneten Welt, die die geographischen und kulturellen Grenzen in Frage stellt, das Problem der kulturellen und sprachlichen Vielfalt eine entscheidende Rolle spielt. Daher scheint es angebracht zu sein, dass die germanistische Sprach- und Literaturwissenschaft sich damit auseinandersetzt, inwieweit sie in der Lage ist, mit dieser neuen Situation umzugehen, und ob sie Anhaltspunkte liefern kann, die zumindest zu deren Beschreibung beitragen können.Aus diesem Grund widmet sich der *XII. Türkische Internationale Germanistik Kongress* dem Thema **der MIGRATION UND DER KULTURELLEN DIVERSITÄT.**

Immer war mein Wunsch in die Türkei zu fahren. Mein Wunsch ist in Erfühlung gegangen, vor 20 Jahren, als ich diesen Staat zum ersten Mal besichtigt hatte. Im Jahre 2014 hatte ich Glück als Forschende, als Vortragende an den Kongress an der Kochaeli Universität teilzunehmen. Ich freute mich in der Türkei wieder zu sein, die Schönheit dieses Landes zu geniessen, so viele Germanisten aufeinmal zu sehen und sie kennenzulernen.

Ich hatte an dem Themenfeld: Linguistik, an der Sektion C –, am Mittwoch 11.30-11.55, im Block B, Saal 2 an der Fakultät für Natur-und Literaturwissenschaften Universität Kochaeli, Institut für westliche Sprachen und Literaturen in Zusammenarbeit mit dem türkischen Germanistenverband teilgenommen. Präsentationsthema lautete: „**Auswanderungsvorgang in Georgien. "**

Ich hatte die Anwesenden rechtherzlich begrüsst und mich bei der Organisatoren der Tagung und Sektionsleiter für ihre unermüdliche Arbeit und Bemühungen bedankt, dass sie allen Lehrenden, Forschenden und Studierenden eine Möglichkeit gegeben haben, sich zu verschiedenen Thematen auszusprechen, unsere Meinungen und Erfahrungen umzutauschen und ein bischen Kritik auszuüben..

Bevor ich mich mit dem Thema meines Beitrages befasste, hatte ich eine kleine Abweichung gemacht, ein paar Worte über **Georgien** gesagt, dass ich das Land Georgien vertrete, das etwa 4 Mill. Einwohner zählt, wo über mehr als 80. Nationalitäten Schulter an Schulter arbeiten und leben.

Mein Auftritt:

Freut mich sehr so viele Germanisten auf einmal zu sehen und auf die Möglichkeit am Kongress in Kochaeli teilzunehmen und Sie recht herzlich begrüssen zu können. Ich möchte mich allerdings bei den

Tagungsveranstaltern (bei der Abteilung für westliche Sprachen und Literaturen in Zusammenhang mit dem türkischen Germanistikverband (GERDER) bedanken, dass man uns solch eine Chance gegeben hat an diesjährigem zwölften Türkischer Internationaler Germanistik Kongress, rund um die vorgeschlagenen Thematik (den Schwerpunkt), der unter dem Motto „Migration und kulturelle Diversität"stattfindet, zu versammeln, um unsere Erfahrungen umzutauschen, etwas Neues aus dem Bereich der Germanistik zu erfahren.

Georgien besteht aus Ost und West Georgien, zwei autonomen Republicken und einem autonomen Gebiet,Ost Georgien besitzt ein trockenes, kontinentales Klima, wenn in West Georgien ein Meeres, subtropisches Klima ist. Heute sind abchasische autonome Republick und Südosetisches Gebiet verloren gegangen durch schwere Kriege gegen Russland im 1989-1992 und 2008. Die Folge: viele Umgekommene, Verletzte, Vertriebene in der ganzen Welt, vernichtete Städte und Dörfer. Ein Schreckliches Gefühl, sich im eigenen Land als Vertriebene, Flüchtlinge zu fühlen. Mehr als 20. Jahre bin ich in meiner Heimatstadt nicht gewesen.Vor einem Monat haben die russische Truppen die Grenze verletzt, verschoben und versuchen sich der Hauptstadt zu nähern.

Weiter hatte ich Landkarte Georgiens und Grenzstaaten Türkei, Russland, Armenien, Aserbeidjan, Russland gezeigt und über die Hauptstadt **Tbilisi** / 1Mill. /Einwohner/erzählt, die 1500 Jahre alt ist, die 40 mal zerstört und dann wiederaufgebaut. wurde.

Ich erzählte weiter, dass beim Eingang in die Stadt einander gegenüber zwei gigantische Skulpturen: als Wahrzeichen unserer Stadt stehen. Das ist Denkmal unseres Königs **Wachtan Gorgasali aus 5. Jahrhundert**, seine gehobene Hand bedeutet: "Herzlich Willkommen in unsere Stadt". Dem König gegenüber, in einer Anhöhe steht das gigantische Denkmal **der Mutter Georgiens**-als zweites Wahrzeichen der Hauptstadt. In einer Hand hält sie eine Schale mit Wein gefüllt, als Symbol der Gastfreundlichkeit, in einer anderen Hand hält Sie eine Schwert, als Symbol der Verteidigung, weil vom ersten Jahrtausend her vor unserer Zeitrechnung bis zum heutigen Tagen Georgien von verschiedenen ausländischen Erobern überfallen. wurde..

Dann hatte ich über die **georgische Sprache und Schriftum** gesprochen. Georgische Sprache–eine der kompliziertesten Sprachen/mit ihrer Grammatik wer in der georgischen Grammatik gut beschlagen ist, hat keine Probleme mit dem Deutschen und dazu soll auch ein bischen russisch hinzugefügt werden. Die georgische Sprache ist in der Welt unter den 14 .Sprachen erwähnt, die ihr eigenes Schriftim haben. Es wird so geschrieben, wie es ausgesprochen wird, gehört zu den kartvelischen Gruppen der ibero-kaukasischen Sprachen. Wir Georgien nennen uns **Kartveli**, das Land Sakartvelo, was es in der Übersetzung Georgien bedeutet, Griechisch heisst Geo-Acker, sie nenenen uns Georgier, was es in der Übersetzung Ackerbauerland bedeutet, für Engländer und Französen sind wir Georgi, Georgier.

Stand der deutschen Sprache in Georgien: Es soll interessant sein eine Information darüber zu bekommen, wie sich Tradition der Deutschen-didaktik in der nicht deutsprachigen Welt, nähmlich in Georgien entwickelt, womit die deutsch-sprachige Länder in Kontakt treten.

Heutzutage haben die Kinder und die Jugendliche nahezu problemlos mehrere Sprachen gleichzeitig zu erwerben können. In Georgien hat man eine Möglichkeit einige Sprachen von der Kindheit her zu erlernen. Man weiss gut, dass frühe sprachliche Förderung im Kontext des Lernens eine entscheidende

Rolle spielt, dass die Sprachen aber auch später und im Alter noch gelernt werden können. Früher hatten die Studenten und die Schüler mehr Stunden Woche, sowohl in den Schulen als auch an den Hochschulen gehabt. Suchumer Universität, wo ich gegenwärtig tätig bin, ist zur Zeit einzige Hochschule, wo Deutsch intensiv gelernt wird /Wir haben jetzt 80 Studenten, 50-Germanisten, 30 – haben Deutsch als Nebenfach.

Lernen erfolgt ausser durch Instruktion, Imitation und vor allem durch Interaktion. Die deutsche Sprache hat sich im Zeitalter einer global diktierten Monolingualität entwickelt, verändert und den Platz als Erstsprache, Deutsch als Fremdsprache und Deutsch als Zweitsprache behauptet. Diese Entwicklungen werden neben und miteinander gebraucht und beeinflussen sich gegenseitig. Wir möchten nebem dem Englischen Deutsch, Französisch und andere Sprachen lerenen. Uberall hört man die Klage von den Lernenden, Lehrkräften darüber.

Motivation:Warum die Georgier Deutsch lernen, was motiviert die georgischen Studirende die deutsche Sprache als Erstsprache, als Fremdsprache, Deutsch als Zweitsprache nach Englischem zu lernen, welche Motivationsasprofile weisen DaF –Lernende auf und welche sind am meisten angegebenen Motivationsaspekte: Es sind verschiedene Gründe....Da Sprachen immer dichter aufeinander treffen, berühren sich, aufeinander einwirken, Blickrichtungen sich geändert haben, will man einfach weitere Lehre in Deutschland fortsetzen, um die Sprache zu vervollkommnen;.

Empirische Unterrichtsforschung erlaubt man sich nicht nur tiefere Einblicke in die Prozesse des Lernens, sie fordern vielmehr auf didaktische Handeln zu überblicken und leibgewordene Theorien über Bord zu werfen.

Was es aber Auswanderungsvorgang und Auswanderungsforschung als ein indisziplinäres wissenschaftlicnhes Arbeitsfeld angeht, befassen sie sich mit dauerhaften und grenzüberschreitenden Verlagerungen menschlicher Wohnorte. Der großen Bevökerungsbewegungen des 20. Jahrhunderts brachten die Auswanderungssforschung nach Anfängen im 19. Jahrhundert wachsendes Interesse ein.

Von einem Wanderungsvorgang oder einer Migration spricht man in der Regel dann, wenn die räumliche Mobilität eines Individuums oder einer Gruppe über eine administrative Grenze hinweg erfolgt und auf Dauer, jedoch zumindest auf einen längeren Zeitraum, angelegt ist.

Auswanderung/Wohnwortwechsel gilt als allgemeinmenschliches Phänomen und der Mensch wird als homo migrans angesehen. Ausgehen davon, entsteht eine steigende Mobilität der einzelnen Menschen im Rahmen der Globalisierung und in Zusammenhang mit Individualisierung und der Pluralisierung die es den Individuen zunehmend ermöglicht, territoriale, soziale und kulturelle Grenzen zu überschreiten.

Arten von Einwanderern können grob abgegrenzt werden: Akkulturierte Einwanderer, Bikulturelle Einwanderer, Unintergrierte Einwanderer.

Akkulturierte Einwanderer haben sich vollständig in die aufnehmende Kultur intergriert und assimiliert und die ursprüngliche Kultur aufgegeben. So gibt es in verschiedenen Ländern zahlreiche Personen, bei denen nur noch der Familienname auf eine fremdländische Herkunft hinweist. Die ursprüngliche Kultur und Sprache ist verloren gegangen. Im Personalbereich sind hier besonders Eigenheiten gegenüber der übrigen Bevölkerung zu berücksichtigen.

Bikulturelle Einwanderer haben sich vollständig in die neue Kultur integriert, doch die eigene Kultur und Sprache behalten. So kann man etwa bei chinesischen Immigranten hufig beobachten, dass diese die Sprache, die Regeln und Gesetze des Einwanderunglandes bestens beherrschen und sich beruflich sehr erfolgreich in der aufnehmender Kultur bewegen. Dennoch heiraten diese Gruppen häufig noch unter sich und kennen und respektieren auch noch nach Generationen5 die ursprüngliche Sprache und Kultur. Diese Personen haben durchaus Besonderheiten, die im Marketing(z.B. Ernährungsgewohnheiten und Feste) oder Personalbereich(z.B. berufliche Ziele, Werte und Motive) bedeutsam sind.

Unintegrierte Einwanderer halten an der importierten Kultur fest, ohne sich auf die neue Umgebungskultur einzulassen. Das Schlagwort „Parallelgesellschaft" beschreibt den Zustand . Häufig entwickelt sich die importierte Kultur ebenfalls nicht mehr weiter und entfremdet sich auch mit der Entwicklung im ursprünglichen Herkunftsland. Sowohl im Marketing (Ethno-Mäkte) als auch im Personalbereich (niedrige Qualifikation, schwere Integration in Teams, mangelnde Offenheit für Neues) sind die Auswirkungen auf das Verhalten und Erleben stark. Diese Situation hat deutliche Auswirkungen auf wirtschaftspsychologische Fragestellungen. Die Industriegesellschaften sind durch Immigration geprägt. Insbesondere multiethnische Nationen aber auch Länder mit sehr hohen Anteilen an Mighranten betroffen. In Georgien sind beispielsweise zunehmend Mitarbeiter mit asiatischen Hintergrund zu integrieren.

Man kann sagen, dass die **Untersuchung solcher Wanderungsvorgänge** ein Teilbereich der Erforschung räumlicher Mobilität ist. Unter räumlicher Mobilität versteht man jede Positionsveränderung eines Individuums zwischen verschiedenen Einheiten eines räumlichen Systems(Geographen, Ökonomen, Geschichts- und Sozialwissenschaftler. Räumliche Mobilität ist unabhängig von der Reichweite der Bewegung (große oder geringe Distanzen) und ihrer Frequenz (einmalig oder regelmäßig, selten oder häufig).

Statistisches Amt Georgiens 2012-2014:

Das Statistische Amt liefert Daten für Georgien: nach dem Stand des 2012 Jahres hat Georgien 4 Mill. 479 tausend Einwohner-186, 6% (3661, 2) der Bevölkerung sind Georgier, weitere 6,4 Prozent die Armenier, 2,1 Prozent die Russen, 0,9 die Osetier, 6,2 Aserbeidjanen, 1,3 prozent Abchasen, 0,5 Kurden, 0, 3 die Grichen(45 Tausend), 0,1 die Juden (25 Tausend). die Deutschen (20 Tausend).die sonstigen/weitere 0,4 Prozent eingebürgerte Personen mit Migrationshintergrund, 4 Prozent Ausländer. Jeder Fünfte stammt also nicht aus dem georgischen Kulturkreis. Die wichtigsten Herkunftsländer sind die Türkei(mit 1274), die Russische Föderation (65270, sowie Griechenland 9393), China (1217), Israel(15), USA (274), die Ukreine (1960), Armenien (220)

Georgien **Gesamtfläche 70 kw.. Km,**		**Georgier** 83 %		**Reisezwecke:**	
Bevölkerungs-zahl	4 Mill.479 tausend	Armenier	6,4 %	Touristen	753181
Hauptstadt-Tbilissi	mit 1,5 Mill. Einwohner	Russen	2,1 %	Erholung	183989-24 %
Ethnische Georgier	10 Mill. in der ganzen Welt 6 Mill. in der Türkei	Osetier	0,9 %	Transit	30534-4 %
2009	Rückkehr Georg. aus Russland	Aserbeidjanerj	6,2 %	Einkäufe	61069-8 %
2012 - 2013	18384 Gäste aus 97 Ländern	Abchasen	1,3 %	Beschäftigung	2527-2
		Kurden	0,5 %	Ausbildung	16442-2
		Griechen	0,3 %	Behandlung	5481-1 %
		Juden	0,1 %		
		Deutsche	1,0 %		
		Ausländer	3,2 %		

Personen und Migrationhintergrund sind geringer qualifiziert: fast 10 Prozent haben keinen allgemeinen Schulabschluss (dagegen Pesonen ohne Migrationshintergrund 1,5%) und 51 % keinen beruflichen Abschluss, wobei in allen Fällen diejenigen nicht berücksichtigt sind, die sich noch in Ausbildung befinden.Das niedrige Qualifikationsniveau wirkt sich natürlich direkt auf die Beschäftigungszahlen aus. Menschen mit Migrationshintergrund im Alter von 25 bis 65 Jahren sind seltener erwerbstätig (62% gegenüber 73%) als Personen ohne Migrationshintergrund und häufiger erwerbslos (13% gegenüber 7,5%) oder stehen dem Arbeitsmarkt überhaupt nicht zur Verfügung (25% gegenüber 19,5%). Ebenfalls wirkt die geringe Qualifikation auf die Arten der Beschäftigung aus Erwerbstätige mit Migrationshintergrund üben ihre Tätigkeit vor allem im Produzierenden Gewerbe sowie im Handel und Gastgewerbe aus. Hier sind zusammen 64 Prozent aller Menschen mit

Migrationshintergrund tätig. Hochqualifizierte Tätigkeit in Forschung und Management sind kaum vertreten.Die meisten Einwanderer behalten ihre Werte und Kultur. Einwanderer assimilieren sich häufig nicht, sondern behalten ganz eigene Lebensgewohnheiten. Wie überal sind nicht alle Personen gleich.



Die Form der Auswanderung verändert sich infolge der sozialen und technischen Entwicklungen. Die Auswanderung der letzten Jahrzehnten sind viel mehr als nur als Arbeiterwanderung, -flucht, Exil oder als politische Verfolgung zu betrachten. Der Sprachgebrauch der Arbeitermigranten sowohl in Georgien als auch in Deutschland und auch in anderen Ländern veranlasst besonders unter den Jugendlichen die Entwicklung einer Misch-Sprache, über die sich die Georgier, die Deutscher und v. a, beklagen. Man kann sagen, dass der Einfluss der Arbeiterauswanderer auf das Georgische, Deutsche und auf die anderen Sprachen nur beschränkt ist und fast alle Sprachen der Welt einen Ähnlichen Einfluss unterliegen.

ისტორია

წმიდანის უკანასკნელი ქადაგებანი

(ნაწყვეტი რომანიდან „წმიდა ნინო“)

რეზო ემელიანე ადამია



უფლისაგან შთაგონებულ და წმიდა ეკლესიურ მოძღვრებათა სრულყოფილი ცოდნის ჭეშმარიტ მწვერვალს რომ მიაღწევთ, ჩაფიქრებისა და დუმილის გარეშე უნდა იაზროთ, მაინც მუდმივი მოსწავლეები იქნებით მაცხოვრისა და ამქვეყნიურ თუ ციური სამყაროს მცნების უსაზღვროებისა. მე მინდა, ყოველმა თქვენგანმა ღრმად გაისულიეროთ, რომ კეთილმყოფლობა და ღვთისმოსაობა ზნემართალი პირადი შეწირვაა ზეციური მარად უცვლელი კანონებით, ხოლო უკეთურობა, შური, ღვარძლი და კაცთ მტრობა თვითმოშლა-განწირვაა საშინელი.

ქვეყნად სიკეთე და ბოროტება უსასრულო მიუწვდომლობაა. აუცილებელია ზნეობრივად ყოველთა მხსნელისეული წეს-კანონებით იმართებოდეთ. სიწმინდე-წამლეკავ ეშმაკეულს კი მუდმივად ზღუდავდეთ თქვენში და სრულიად ირგვლივ გარემოშიც.

ღვთივ გაჩენილ ადამიანს მტრობ?! იმავდროულად შენს თავსაც მრავალმხრივ ანადგურებ, რითაც უფლის წინაშე ორმაგ დანაშაულს სჩადიხარ და უსაზღვრო სივრცის მუდმივ მოხეტიალე მოგონებაში უარყოფით წარუშლელ პიროვნებად რჩები.

ყოველ თქვენგანს გიხაროდეთ, მაცხოვარი კეთილი მუდამჟამს თქვენთანაა, მაგრამ წინასწარ სულიერი შემართება-შემზადება გმართებთ ქვეყნიერების მხსნელთან განწმენდილი სულიერებით წარსადგენად და დღენიადაგ იფიქრეთ, რომ მხოლოდ პიროვნული ზნეცარიელი დახვედრა არ კმარა. ნურასოდეს გაიაზრებთ, რომ მორწმუნე მრევლზე უმეტესები ხართ. უფრო ის იკმარეთ, სოფლის და ქვეყნის წმიდათა-წმიდა ეკლესიური მოვალეობა რომ გაკისრიათ.

დიდი სიკეთე და პიროვნული წარმატებაა მართლმადიდებელ მრევლს თუ ეყვარებით, რითაც თქვენს შორის უსაზღვრო ნდობა და სიყვარული დაიბუდებს...

კაცთ სიძულვილი ბუნებითაც არ უნდა შეიძლოთ და ძირფესვიანად უნდა განდევნოთ, თუ მაგ სახის უზნეო თვისებებმა იჩინა თავი... ნურასოდეს შეედავებით თქვენს შორის მოვლენილ ნაღდ შემოქმედთ, ისინი ხომ, საეკლესიო იქნება თუ საერო მოღვაწე, ღვთიური სიბრძნით მოსაუბრე და ხელოვნების უკვდავი ნიმუშების შემქმნელები არიან. რითაც ერთ-ერთი კოსმოსური და მიწიერი უძვირფასეს ბრილიანტასხმული ყოველთა შემაკავშირებელი რგოლია სამარადისოდ ქვეყნის მაღალიდეური მთლიანობისა.

მძიმე წარმართული სითამამეა, მათ მიერ შექმნილი სიახლე ხელოვნების შედევრ კანონებზე თქვენეული შესწორებები რომ შეიტანოთ, ყოველ მათგანში რეალურად ხომ ზეგონებითი შემოქმედი უფალი ზის. ჭეშმარიტად ჩვენს შორის მარადიული მშვენიერებათა ზნეობის კანონებს მხოლოდ ისინი ქმნიან; ხოლო მათი სიახლე შემოქმედებითი მიღწევები მომავალში ეკლესიურ დოგმად არ უნდა გახადოთ, თუმცა ვერც გახდით, რადგან ცის სიშორიდან ვიღაც მოდის ახალი,

უძლიერესი შემოქმედი, უფლის სწავლებით და ზეცის საღი გონმაღალი წარმოსახვების მეოხებით. რომელნიც ისევ შედევრებს შობენ ეკლესიის და ერის სადიდებლად, თქვენგან კი მათი უარყოფა და ზეგამხედვარობა კერპთაყვანის-მცემლური უღმერთობაა და მეტი არაფერი. აქედან გამომდინარე, კეთილ– ადამიანური შეგონებით მინდა იცოდეთ, უფალთან ყველაზე ახლომდგომნი ყოვლად ნიჭსავსე შემოქმედი ადამიანები არიან...

ჩემო მოძღვარნო, მამანო და დედანო, თქვენგან რომელიმეში უფლის ნება-წყალობით შემოქმედი თუ გამოვლინდა, მაშინ უსაზღვრო სულიერ სიკეთეს მოუტანთ ღვთიურ სამსახურს და ხალხს, უთუოდ რომ ნებისმიერთათვის ამქვეყნიური მადლით სავსე უკვდავებაა საერთოში ამდაგვარი ფორმის გულმართალი ლოცვებით და რელიგიური თუ საერო შემოქმედებით თქვენ სიკვდილს და ეშმაკს ჩვენს სიახლოვეს უცილოდ წაშლით.

ძლიერნო სულიერნო და თანასწორნო! იცოდეთ და არ გაგიკვირდეთ, პატიოსან მატერიალურ სიღარიბეშია ღვთისმოსაობა. დიდად მდიდარი ხარ? შენ უკვე მიიტაცე უფლის და ქვეყნის დოვლათიც. ამ რთულ შემთხვევაში ნაწილობრივი მონანიება არსებობს, რათა გარკვეული შენირვები გასცეთ ეკლესიის სასიკეთოდ და ღარიბ-ღატაკთა გადასარჩენად. ასეთი ქველმოქმედება უთუოდ ნებისმიერი ცოდვილთა ხსნაა მრავალმხრივი...

ყოველნო! ზნეობრივად იფხიზლეთ და დღენიადაგ უფრთხილდით მცნება ჭეშმარიტებას, მოგეხსენებათ, ის თავად სიბრძნით სავსე კეთილი უფალია.

არასოდეს შეგეშინდეთ თქვენი პირადი გარდაცვალების, ყოველგვარი ფიქრების გარეშე ის უსასრულობის მარადიულობაა იმქვეყნიურთან მთლიანობით და ამქვეყნიური ურთულესი მოვლენა საოცრებაა...

სამყარო ორ უდიდეს და ურთულეს ღვთიურ კოსმოსურ ფორმა-წესრიგს ემყარება, ხილულს და უხილავს, მხოლოდ მაცხოვარმა იცის, მათგან რომელია მეტი ან ნაკლები. ირწმუნეთ, ყოველი ადამიანი ორივეს უტუარი სტუმარია...

გულითადად მსურს თავად დაბადებით შემოქმედნი ანდა დამოუკიდებელი, ფილოსოფიურად მოაზროვნე თუ არა ხართ, ხატმწერს, მგოსანს, ხუროთმოძ-ღვარს, მოქანდაკეს, კომპოზიტორს, მეცნიერს და მწერალს; მრავალმხრივი დუმილ-თავშეკავებით უნდა ჩაწვდეთ გაუგოთ და წმინდანის დონეზე თანაგრძნობა გაუწიოთ ამ შინაარსის სიკეთე და სიბრძნე არ შეგიძლიათ? მაშინ იყავით ჩვეულებრივი, გონებრივად მოწესრიგებული, ეკლესიური მოძღვრებებით ღვთისმსახური და კეთილსინდისიერად აკეთეთ თქვენზე დაკისრებული საქმე.

მთელი თქვენი მორწმუნეობრივი ცხოვრების პირადი და საერთო ბედნიერება ღმერთის, ქვეყნის და ადამიანების საყვარელ სამსახურში უნდა გაატაროთ მუდამჟამს, ჩემო კეთილნო, ქვეყნად სიკეთე მეტად ეძიეთ და განამტკიცეთ...

მინდა დავუბრუნდეთ მარად საფიქრალ სანუკველ უზენაეს ჭეშმარიტებას, ის ხომ ღვთიური ზნეობაა სანატრელი, როგორც უფალი და სამყაროა უკიდეგანოდ დიდი და მრავალ ზნე-აზროვნებით უსასრულო, ასევე ზენათელი ჭეშმარიტებაა უსაზღვროდ ღვთიური.

აუცილებელია იცოდეთ სიკეთე და სიყვარული, ვარსკვლავეთირად მტკიცედ გამთლიანებული ზეცის უძვირფასესი სულის ქსოვილია...

ნებისმიერი ნიჭმომადლებული ხელოვანის ღვთითკურთხეულ აზროვნებას, ხელოვნების ქმნილებათა სიახლეებს ეკლესიის, ქვეყნის და მომავლის მიზნობრივ საქმიანობას ნუ უგულებელვყოფთ, წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი აზროვნების სამომავლო განვითარებას საგრძნობლად შეზღუდავთ და გონებრივად ძალიან ჩამორჩებით, წარუმატებელი მოძღვარი კი ეკლესიისათვის არასრულფასოვანია...

მამებო და დებო! ეცადეთ, დამოუკიდებლადაც იაზროვნოთ, წიგნებს და, საერთოდ, მხოლოდ ნაწერებს ნუ დაეყრდნობით.

ღმერთთან ყოფნა და მორჩილება სრული გონნათელი და ბედნიერი შეწირვაა; თუ ეშმაკთან თანამშრომლობ, როგორც მოგახსენებთ, ეს უკვე უაზრო თავგანწირვით დაღუპვაა...

ახლა მინდა, შევუჩერდეთ ძირითად თემას და ამ ქვეყნის არსებათა უცნაურობებსაც შევეხოთ. იდუმალი სულდგმული გველი ისეთივე შეუცნობადია, როგორც გონმიუწვდომელი სასწაულებით სავსე სამყარო, მის უცხო თვისობრივ ბუნებას თუ დაუპირისპირდებით, თქვენთვის მძაფრი და ურთულესი ცხოვრებისეული მოვლენა იქნება, რადგან წვახანგრძლივი გამოუცნობი მძაფრი კოსმოსია მასში ჩასახული. უძველეს ფანატიკურ რელიგიებში რატომღაც ეს მიწიერი არსება წმინდანადაც იყო მიჩნეული, ჭეშმარიტ ქრისტიანობაში კი ამ ქვეწარმავალმა ძალიან ცუდი სახე და დანიშნულება მიიღო. საუბედუროდ, მის სხეულში ეშმაკი ჩაბუდდა და არასასურველ ურთიერთობათა სიმბოლოდ იქცა. სამწუხაროა, მაგრამ ასე მოხდა. ის ამქვეყნიური მწარედ ჩამაფიქრებელი სულდგმულია. უზენაესმა ასეთად გააჩინა და ბევრი რამეც წინასწარ მიუტევა. თავისებური მიუკარება საქციელით ცივსისხიანი, გულჩახვეული, მუდამ მდუმარე და მარტოხელა ქვეწარმავალია გველი, როგორც მოგახსენეთ, სატანამ მიითვისა ის საცოდავი, მაგრამ ბუნებაში მასაც აკისრია საკუთარი და სხვათაგან განსხვავებული თვისებები, ამავდროს მისი ხატული სილამაზე და ტანის სხივისმიერი ჰარმონიული მოძრაობა შეუდარებელია ცაზე და მიწაზე ბინადარ სულდგმულთა შორის...

გულით, გონებით და სულიერად ირწმუნეთ, რომ თქვენი გარდაცვალებით უძვირფასეს ამქვეყნიურობას, როგორც რეალურ სახეს ურთულესი პროცესებით ტოვებთ და გადადიხართ იმქვეყნიურობის ღვთიურ გაუცნობიერებლობაში, ძნელზე ძნელია ყოველივე ამის გათვითცნობიერება, ჩემო ღვთისმიერნო! და ამ შემთხვევაშიც დიდზე დიდი მოთმინება და მოწამეობრივი მორჩილება გმართებთ...

ყოველი ადამიანის მეობა ინდივიდუალობის იდუმალი უსასრულობაა, ძლიერი და ყოვლის მომცველი აზროვნებით ამ აუცილებელ სწავლებას ჩემეულად კი არ გადმოგცემთ, არა! მხოლოდ მაღალი ღმერთის, კეთილი იესო ქრისტეს შეგონებით ვქადაგებ თავად მე, მუდმივი მორჩილი მოსწავლე ბრძენთაბრძენი უფლისა!

ჩვენთაგან დიდი და მცირე, მდიდარი თუ ღარიბი, კეთილი და უკეთური, თვითშეწირვით გარდაუვალი, შეუვსებელი სივრცის გასაკვირი მოქმედება ტკივილნარევი და კოსმოსური სულიერად განსხვავებული მოძრაობაა. აქედან გამომდინარე, ჩემო სულიერო დებო და ძმებო, მთელი თქვენი ძვირფასი იცოცხლე დღე და ღამე ამ არსის ძიებაში იქნებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერასოდეს ვერ იპოვით მთავარს, რათა ის უცხო და მიუწვდომელი ღვთიური ფორმაა შეუცნობელი საიდუმლო-ზეციური ფერებით...

არასდროს არ უარყოთ და გარდაუვალ სიბერეს ნუ შეუშინდებით, ის დროის ასტრონომიული ათვლაა უტყუარი, თქვენივე ცოცხალი სხეულით, ჩვენი მზის სისტემის და სამყაროს მიუწვდომელი დრო კი ყველაფერს აბერებს, ციურ სივრცეში უზარმაზარ თუ მცირე პლანეტებსაც კი, მაგრამ კოსმოსური მთლიანობის ხსნა მათ უწყვეტ აღდგენითობაშია...

სულიერო ძმებო, დებო, ეკლესიისა და ქვეყნის იმედო მრევლო! ურთიერთთან მხოლოდ კეთილი და ღვთიური სიყვარულ-მიზნებით უნდა ვცხადდებოდეთ, როგორც ყოვლად უკეთილშობილეს მართლმადიდებელ მრევლთან, ასევე ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანებთან, მორწმუნის კეთილი სულ-გულით გებრალებოდეთ ათეისტები, შეუნდეთ და შეიწყნარეთ ეკლესიიდან უაზროდ განდგომილნი...

რეალური ცხოვრების ღვთიურ იმედად იქონიეთ, რომ მარტო არსად და არასოდეს არა ხართ...

თქვენში მუდამჟამს, თქვენდა საბედნიეროდ, დიდი სულიერი ღვთიური სიკეთეა ჩასახული. საერთო შედარებისთვის ამქვეყნად გიწევთ რთულზე რთული წუთისოფლობა, რომელშიც უზომო ჯაფაა გასაწევი მრავალშინა-არსიანი ცხოვრების განცდებით სავსე, მაგრამ ამქვეყნიური მოღვაწეობის ყოველმხრივი სირთულეების მიახლოებით გარკვევაში თქვენეული გულმართალი რწმენა და სულიერი სიწმინდეა თანამდგომი, ესეც მიზანთ უსასრულობაა დიდი...

დღევანდელ ამ სარწმუნოებრივ სწავლებაში რაც მე მოგახსენეთ, მხოლოდ გონებრივი სულიერ-გულისმიერი მაღალზნეობრივი და პატიოსანი შრომით მიიღწევა.

ადამიანი, კეთილნო სულნო ჩემნო, ცალ-ცალკე სხვადასხვა ფერის, ზომის და განწყობილების ციური პლანეტაა, მარადიული წვით და შინაგანი გარდაქმნებით. აქაც ღვთივიდუმალებაა უზომო...

გთხოვთ, ძლიერ შეისისხლხორცეთ, სათუთად შეინახეთ და გაუფრთხილდით თქვენს კოლხურ-იბერიულ გენს, ჯიშს, წარსულის ისტორიას და ზნე-ხასიათს. ასევე დიადური შემართება, სიყვარული და სულიერი სიმტკიცე, უმწიკვლო სიკეთე-თავმდაბლობა ყველგან და ყველაფერში უშიშარი მედგრობა და კაცთა შორის შუათანობაა ზეადამიანური ურთიერთობის ბეჭედი. ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, მარადის გქონდეთ უტეხი რწმენა, სიყვარული და მორჩილება ღვთისა, უძილო ღამეების და სიცოცხლის ფასადაც იღვაწეთ იბერიის და საკაცობრიო მომავლისათვის.

ქრისტიანობის და სამშობლოს მტერს შეებრძოლეთ ჯერ არნახული თავდადებით; გიყვარდეთ ნიჭიერნი, შეინდეთ უნიჭონი და თანაუგრძნობდეთ ხელმოცარულებს; განადიდეთ მშრომელი, გმირი და უფალს შეწირული ხალხი. ღმერთი სამებითაა და გულუხვობით თანაუგრძნობდეთ ყოველთა...

ეცადეთ, ნებისმიერ პიროვნებაში ეძიოთ ღვთიური სიყვარული, სიკეთე და სათნოება, სიღრმისეულად შეიცანით ძვირფასი რაცაა მათ ადამიანურ ბუნებაში და კეთილგონიერად პატივი ეცით. შეიგრძენით, რომ ჩემგან წარმოთქმულ ყველგვარ ამ სიბრძნეს ზეკეთილი უფალი გვასწავლის; შეეცადეთ, ყველაში და ყველასთან ბოროტება გააცნობიეროთ და შემდგომ უცილოდ მაცხოვრისეული სიბრძნე-სიკეთით დაუპირისპირდით. ეკლესიურად იმოქმედეთ, იაზრეთ და გირჩევთ, ცხოვრებით არასოდეს დაიღალოთ, ყოველისმხრივ ეცადეთ, გარდაცვალებამდე დღენიადაგ იშრომოთ და იღვაწოთ, გაჭირვებისას იყავით უდრეკნი და მხოლოდ წმიდათაწმიდა ღვთიურობით იცოცხლეთ.

ჩემი უკნასკნელი თხოვნაა, წინაპართა საფლავები არ დამიტოვოთ კურთხევის გარეშე...

უფლის, ღვთისმშობლის, ანგელოზთა შუქმფენი გამოცხადებების, ხილვების, წარმოსახვების, მუზების, გონიერი ფანტაზიების და ნათელი რელიგიური თუ საერო მიზნების კუთვნილებაში ნებისმიერი პიროვნებისას, უსულგულოდ და არამეგობრული თანადგომით ნუ ჩაერევით, რათა ამ შინაარსის ზემოვლენები მათში ღვთის შემწეობით მართლაც რომ არსებობენ.

კეთილო იბერიელებო და ურთიერთძმანო კოლხებო, ამით დავამთავროთ დღევანდელი საუბარი და გულითადად მინდა, უკანასკნელი არ გამოდგეს ჩემი გულღია კეთილი, გულგონიერი და სულით სახარებიესული ქადაგება, ყოველივე ეს ბოლოა თუ არა, უფალმა უწყის, რადგან სამყაროს საკვირველ მეხსიერებაში წარმოუდგენლად მიუწვდომელი ყოველთა გამაოცებელი საიდუმლოებაა განფენილი.

ამ მიმართვის შემდგომ წმიდა ნინო ნელი ნაბიჯით, დაღლილ-დაღონებული, ნაცრისფერი ქვის ამბიონიდან დინჯად ჩამობრძანდა, თლილი ქვა-კირით ახალაშენებულ მცირე ბაზილიკის

ეკლესიიდან მწვანილოვან ეზოში გავიდა, იქვე მდგარ უძველეს მუხის სკამზე ჩამოჯდა და დუმილნარევი სახით თვალცრემლიანი ჩუმად ატირდა. მხოლოდ ღრმად მორჩილმა დედა სიდონიამ მორიდებით გაბედა დამწუხრებულ სევდიან წმინდანთან მისვლა და ღაწვებზე ჩამოყრილი თმა გაუსწორა, თან მარჯვენა ხელის მტევნის ზურგით გაფითრებულ ლოყაზე ცრემლი შეუმშრალა. ცხელი იყოო, საოცრად მძიმე ფიქრებით დანისლულმა დედა სიდონიამ სამჯერ პირჯვარი გადაისახა, მართლაც უკანასკნელი გამოდგა წმინდანის ბერ-მონაზვნებთან და მრევლთან იმ დღის ტკივილნარევი და სულდამძიმებული ქადაგება.

გამთენიისას დამთრგუნველი განცდებით დამძიმებულ სივრცეში სრულიად იბერია-კოლხეთის პირველი უთვალსაჩინოესი მოციქულთა სწორი წმინდანი მშვიდ ძილად მიიცვალა, მის შემშრალ ბაგეთაგან ჩამავალ მზესავით უშორესი, უკანასკნელი, იდუმალი ჩურჩული ვერავინ ვერ გაარკვია: შემდეგ ითქვა, დედა მასწავლებლისგან უთუოდ საქვეყნო ლოცვა იყოო უკანასკნელი.

უძველესი კოლხური შინდისფერი აბრეშუმის სუდარაგადაფარებულ ღარიბულ სარეცელზე თითქოს ეძინაო, მილეულ გულ-მკერდზე ვაზის ჯვარდასვენებულ წმინდანს. მიცვალებულის ჯერ არნახული განწყობილება სუფევდა ცოცხალივით იმედსავსე ცხედრის ირგვლივ... დაბა ბოდბეს, კუხეთ-იბერიის და კოლხეთის ზღვისპირეთამდის მგლოვიარე დრო და სივრცე გულისჩამწყვეტი უზომო გოდება-მოთქმით გაივსო...

7.09.2015 წელი
ძველი სენაკი

როინ მეტრეველი

აღუვსებელი საწყაული ანუ ამაოება ამაოებათა

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ნ. ბარათაშვილი,
„ფიქრი მტკვრის პირზედ“

დღესდღეობით, XXI საუკუნის ათიან წლებში, მსოფლიო კვლავ შფოთავს. კვლავ უხვადა გვაქვს ომები, რევოლუციები; იხოცებიან ადამიანები. ბუნებაც გამძვინვარებულია – მიწისძვრებმა და ქარბორბალებმა უმძიმესი დაღი დაასვა ცხოვრებას; დიდია მსხვერპლი – ათასობით ადამიანი ეწირება სტიქიას, ინგრევა შენობები – უბინაოდ რჩებიან მისი ბინადარნი. ადამიანებში ისადგურებს პესიმიზმი, ფიქრი იმაზე, რომ მომავალი არ არსებობს. უნებლიედ ნიკოლოზ ბარა-

თაშვილის სტრიქონები გახსენდებათ: „არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება, რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება“.

ძლიერნი ამა ქვეყნისანი ივიწყებენ ისტორიის გაკვეთილებს. ეს კი ტრაგედიად უჯდება ხალხს. ევროპაში ომებისაგან XVII საუკუნეში 3,3 მილიონი კაცი დაიღუპა; XVIII საუკუნეში – 5,4 მილიონი. 1801-1914 წწ-ში – 5,7 მილიონი. პირველმა მსოფლიო ომმა 9 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მეორე მსოფლიო ომმა 40 მილიონზე მეტი. პოლიტიკურ ლიდერთა გეგმებმა საფუძვ-ლიანად გაანადგურა ევროპის კონტინენტი. ევროპა ვეღარ იჯერებდა, რომ შესაძლო იყო მშვიდობიანი მომავლის დადგომა. ფრანგი პოეტი პოლ ვალერი 1945 წელს წერდა: „ჩვენი იმედები ბურუსიანია, ჩვენი შიში კი სრულიად განსა-ზღვრული“. კვლავ მოვიხმობთ გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებს:

„თვითონ მეფენიც მებრძოლენი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...“

დღესდღეობით საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქ-ტობრი-ვად ოკუპირებულია რუსეთის რეგულარული ჯარების მიერ. რუსებმა გაანადგურეს ცხინვალი, მთელი სამაჩაბლო; ტრაბახობენ, რომ დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები მიწასთან გაასწორეს. დაბომბეს თბილისი, გორი, ზუგდიდი, ფოთი, ვაზიანი, მარნეული, რაჭის რამდენიმე სოფელი, სამეგრელოს სოფლები. გაიძარცვა მოსახლეობა – მათ პირადი ქონება და პირუტყვი წაართვეს. გაიძარცვა სკოლები, სხვადასხვა დაწესებულებები, დაინგრა მრავალი შენობა. ქვეყნის ოკუპაცია, რუსი ჯარისკაცების აღვირახსნილობის ფონზე, გაჭიანურდა.

1991 წლის მარტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატ-რიარქის უწმი-დესი და უნეტარესი ილია II წერდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი II-ს (რუსეთის პატრიარქმა 1991 წლის 23 მარტს წერილით მიმართა ილია II-სა და მორწმუნე ქართველებს ე. წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტის თაობაზე):

„Ваше святейшество, дорогой во Христе брат!

„...Вся трагедия и состоит в том, что на грузинской земле проливается именно грузинская кровь, грузины вынуждены оборонятся от тех людей, которых Грузия спасла, приняла как беженцев и которые вместо благодарности претендует на нашу территорию и угрожает отторгнутее от Грузии. Вся трагедия, Ваше Святейшество, в том, что на собственной территории грузины оказались беженцами; тысячи грузин из так называемой „Южной Осетии“, которую именуют по-грузински Шида Картли (Внутренняя Грузия), спасая свою жизнь, вынуждены бежать вдругие районы“.

ეს იყო 24 წლის წინ. 17 წლის შემდეგ ტრაგედია უფრო საშინელი სისას-ტიკით დატრიალდა. დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა – მოხუცები, ბავშვები, ქალები. თუ გავიხსენებთ XX საუკუნის ომების ევოლუციას, აქ აშკარად დაინახავთ, რომ პირველ მსოფლიო ომში დაღუპულთაგან 95 პროცენტი სამხედრო მოსამსახურე იყო, სამოქალაქო მოსახლეობა მხოლოდ 5 პროცენტი. მეორე მსოფლიო ომში ეს თანაფარდობა იყო შესაბამისად 52 და 48 პროცენტი, კორეის ომში 16 და 84 პროცენტი, ვიეტნამის ომში – 8 და 92 პროცენტი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ატომური ომის დროს სამხდერო მოსამსახურეთაგან მხოლოდ 1 პროცენტი დაიღუპება. 99 პროცენტი

კი მშვიდობიანი მოსახლეობა ემსხვერპლება. ამ კანონზომიერებას რუსეთის მიერ წარმოებული ომიც (ცინიკურად ჟღერს, როცა თავად რუსეთის ხელმძღვანელობა აურაცხელი ჯარისა და ტექნიკის შემოყვანის მიზეზად სამშვიდობო ჯარების დახმარებას სახავს) ემორჩილება. ასეულობით დაღუპული და ორი ათასამდე დაჭრილი მშვიდობიანი ადამიანი ამისი დასტურია. ამ რუსული თავდასხმის შედეგი საშინელი ტრაგედიაა. ტრაგედიამდე კი დანა-შაულებრივმა მოქმედებამ მიგვიყვანა.

* * *

მსოფლიო სოციალისტური სისტემის დანგრევამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინაშე დააყენა მეტად სერიოზული ამოცანა – განესაზღვრათ თავიანთი ადგილი მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში. ეს თავის მხრივ რთული პროცესია, რისთვისაც საჭიროა არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის, არამედ ადამიანთა მენტალიტეტისა და საზოგადოებრივი აზროვნების შეცვლა. მსოფლიო სოციალისტური სისტემის პირო-ბებში აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობებს გარ-კვეული ეკონომიკური სპეციალიზაცია ჰქონდათ და ჩართულნი იყვნენ მსოფლიო სამეურნეო სისტემაში. დღესდღეობით, როცა საბაზრო ეკონომიკის კანონები ბატონობს, როცა კონკურენცია და ბაზრისათვის ბრძოლა განსაზღვრავს ეკონო-მიკურ ცხოვრებას, ყველა ყოფილი სოციალსიტური ქვეყანა იძულებულია ეძებოს ეკონომიკური განვითარების ახალი გზები. ეს მეტად მტკივნეული პროცესი ნაკლებად პრობლემურია ბუნებრივი რესურსებით (კერძოდ, სასარგებლო წია-ღისეულით) მდიდარი ქვეყნებისათვის (აზერბაიჯანი, უზბეკეთი, თურქმენეთი). იმ ქვეყნებში კი, სადაც მინერალური ნედლეული არ მოიპოვება, საქმე უფრო რთულადაა. ასეთ მდგომარეობაშია ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმრავ-ლესობა და შავი ზღვის აუზის რესპუბლიკები.

ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ბუნებრივ რესურსს, როგორიცაა ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა. არ შეიძლება ეს ფაქტორი პანაცეად ჩაითვალოს და მთელი იმედები საზოგადოების კეთილდღეობისა მასზე დამყარდეს, თუმცა, არ შეიძლება არ ითქვას, რომ მსოფლიოს სავაჭრო არტერიებთან მოხერხებული მდებარეობა გარკვეული უპირა-ტესობაა ამა თუ იმ ქვეყნისათვის.

კავკასია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ბუნებრივი ხიდია აზიასა და ევროპას შორის. აქ გადის აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი უმოკლესი გზები. განსაკუთრებით მოხერხებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს საქართველოს, რომელიც მსოფ-ლიოში ყველაზე „შიდაკონტინეტური“ საზღვაო ქვეყანაა, ოკეანეში პირდაპირი გასასვლელით. საქართველო ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყ-ნებიდან ერთადერთი საზღვაო სახელმწიფოა; ქალაქები ფოთი და ბათუმი კი უმნიშვნელოვანესი საზღვაო პორტებია.

კავკასია მსოფლიოსათვის ისტორიულად იყო უმნიშვნელოვა-ნესი რეგიონი. იგი ყოველთვის იყო მსოფლიოს ხალხთა თვალსაწიერში, უკანასკნელმა ათ-წლეულებმა კი განსაკუთრებული ყუ-რადღების ცენტრად აქცია. ამის მიზეზი ის პოლიტიკური მოვლენებია, რომლებიც

კავკასიის თითქმის ყველა კუთხეში დატ-რიალდა. ეს რეგიონი ე. წ. „ცხელ წერტილად“ იქცა და საერთაშორისო ინტერესთა არეალში მოექცა.[14]

კავკასიამ, კავკასიელებმა მძიმე ბრძოლებით აღსავსე გზა გაიარეს. უძვე-ლესი დროიდან მოექცა კავკასია ევროპისა თუ აზიის სახელმწიფოთა თვალ-საწიერში. სხვადასხვა სახელმწიფოთა ე. წ. „კავკასიური პოლიტიკა“ რეგიონს მუდმივ საომარ მდგომარეობაში ამყოფებდა.

ოქროს საწმისის ხელში ჩასაგდებად მოსულმა ბერძნებმა კოლხებთან საზ-ღვაო ომი გადაიხადეს. კავკასიას არაერთხელ დაესხა თავს სკვითები და სარ-მატები. კავკასიის სახელმწიფოები იძულებით ჩაებნენ ბიზანტიასა და ირანს შორის ატეხილ ხანგრძლივ ომში. კავკასიის საგარეო პოლიტიკას საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა არაბებთან, სელჩუკებთან, ბიზანტიელებთან ბრძოლები. რეგიონისათვის დამანგრეველი იყო მონღოლთა შემოსევები, როცა მთელი კავკასია მონღოლთა მფლობელობაში მოექცა (XIII ს.). მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეო-ბაში ჩააყენა ჯერ ხორეზმშაჰ ჯალალედინის, შემდეგ თემურლენგის რვაგზის შემოსევამ.

კავკასიის რეგიონის, მისი მოსახლეობისათვის მეტად მძიმე აღმოჩნდა კონსტანტინოპოლის ოსმალთა ხელში გადასვლა (1453 წ.). XVI საუკუნიდან მოკი-დებული კავკასია ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომების ასპარეზად იქცა.

განსაკუთრებული საკითხია რუსეთის დამოკიდებულება კავკასიასთან. რუ-სეთს ადრიდანვე ჰქონდა „თვალი დადგმული“ ამ რეგიონზე. რუსებმა უზარმაზარი მსხვერპლი გაიღეს იმისათვის, რომ კავკასიაში გავლენა და მასზე ბატონობა მოეპოვებინათ. მათ მიაჩნდათ, რომ „Кавказ был ключем, без которого невозможно было овладеть обширными равни нами и запереть их от вторжений новых да новых племени народов“ (ვ. პოტო).

რუსული მატიანეები გადმოგვცემენ სვიატოსლავის ბრძოლის შესახებ ყუბანში, მსტისლავისა და ჩერქეზთა ბატონის ურთიერთშებრძოლებისა და სხვა ფაქტების შესახებ. კავკასიისათვის ბრძოლას აწარმოებდნენ რუსეთის მეფეები ივანე III, ივანე IV (მრისხანე). რუსეთი პრაქტიკულად იჭრება კავკასიაში. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიაში ფუძნდება რუსული ახალ-შენები და ციხესიმაგრეები (თერგის, სუნჯის). განსაკუთრებით უტევს კავკასიას რუსეთი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში რუსები მტკიცედ იკიდებენ ფეხს კავკასიაში. არსდება ქალაქები: ყიზლარი, მოზდოკი, ვლადიკავკაზი (დააკვირდით სახელწოდებას!), შეიქმნა კავკასიის გამაგრებული ხაზი. 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის გეორგიევსკში დაიდო ე. წ. „მფარველობითი ხელშეკრულება“, ტრაქტატი, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ არ შეასრულა და 1801 წელს შეიერთა ქართლ-კახეთის სამეფო. ეს ქვეყნის დაპყრობის ტოლფასი იყო, რადგან გაუქმდა მეფობა და საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა. რუსეთის ხელისუფლების ქმედება კიდევ უფრო შორს წავიდა – გააუქმეს ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, გააუქმეს კათოლიკოს-პატრიარქობა (საქართველოს ეკლესია V საუკუნიდან ავტოკეფალური და საკათალიკოსო იყო, XI საუკუნიდან – საპატ-რიარქო) და ნაცვლად საეგზარქოსო დააარსეს (1811 წ.). პირველი ეგზარქოსის (ვარლამ ერისთავი) შემდეგ ყველა მომდევნო რუსი იყო.

---

[14] იხ. რ. მეტრეველი, კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალი-ზაციური პროცესების კონტექსტში, თბ., 2007.

კავკასიელები ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის დამკვიდრებას მათ მიწა-წყალზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩრდილო კავკასიელი – დაღეს-ტნელი და ჩეჩენი მთიელების ბრძოლა რუსი მოძალადეების წინააღმდეგ. სამხრეთ დაღესტანში XIX საუკუნის 20-იან წლებში დაწყებული ანტირუსული მოძრაობა ფართოდ გაიშალა. მის სათავეში ღაზი მუჰამედი იდგა. მას წინააღმდეგობა გაუ-წიეს ავარელმა ხანებმა, რომლებიც მთაში ცარიზმის დასაყრდენს წარმო-ადგენდნენ. 1831 წელს, ღაზი მუჰამედმა გაანადგურა სამეფო ჯარის ნაწილები და დაიკავა გეოგრაფიული პუნქტები: პარაული, ტარკი, ყიზლარის ციხესიმაგრე. 1832 წელს შეიჭრა ჩეჩნეთის სიღრმეში, ილაშქრა ვლადიკავკაზზე და ალყა შემოარტყა ნაზრანს.

ჩრდილო-კავკასიელთა ბრძოლა რუსული რეჟიმის წინაღმდეგ ახალი ძალით გაიშალა შამილის მეთაურობით (1834 წლიდან). შამილი იმამი გახდა და ახალი ძალით მთელი 25 წლის განმავლობაში აწარმოებდა ბრძოლას. შამილმა მიური-დიზმი სამხედრო-პოლიტიკურ ძალად აქცია. იგი გახდა ჩეჩნეთისა და დაღესტნის შეიხი და მთელი აღმოსავლეთ კავკასიის აღიარებული პოლიტიკური ხელმძღვა-ნელი. შამილს იმედის თვალით უყურებდნენ ინგუშები, ბალყარელები, ყარა-ჩაელები, ასევე აბაძეხები, შაფსუღები, აფხაზები – ყველა ისინი ვისი შევიწროება და ნაყოფიერი მიწებიდან აყრაც რუსეთმა დაიწყო. შამილმა მთიან ყარაბაღში პოზიციები გაიმაგრა.

რუსი გენერლები კავკასიის დაპყრობისათვის მუხანათურ ხერხს მიმართავდ-ნენ, დასაყრდენს თვით კავკასიელების წიაღში ეძებდნენ და გულუხვად აჯილ-დოებდნენ ხანებსა და ბეგებს. რუსეთის ჯართან სისხლიანი შებრძოლებები ჰქონდათ აზერბაიჯანელებსაც. შამილის დაქვემდებარებაში მყოფი მასები რუსების სიძულვილის პროპორციულად იზრდებოდნენ. რუსებმა მოახერხეს შამილის დატყევება, თუმცა ბრძოლა ჩრდილო-კავკასიელებს მაინც არ შეუწყვეტიათ.[15] 1785 წელს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა შეიხი მანსური, 1878 წელს ნოღაელები და ყაბარდოელები აჯანყდნენ, მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა – რუსეთმა შესძლო თავისი გავლენის გაფართოება. XIX საუკუნეში რუსეთი ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად რუსეთმა შეიერთა აზერბაიჯანი, სომხეთი, დასავ-ლეთი საქართველო. რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიაში თავისი მფლობელობა დაამყარა. კავკასია დაიყო გუბერნიებად. 1844 წელს კავკასიაში რუსეთის მეფის ნაცვალი დაინიშნა. სამეფისნაცვლოს ცენტრი თბილისი იყო. მეფის ნაცვლები უხეშად ატარებდნენ კავკასიის დაპყრობის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა, ცხადია, კოლონიური იყო. არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ინტერესებს. რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას ვერ ეგუებოდნენ კავკასიის ხალხები. ამის ნათელი მაგალითია ის ომები, რასაც 1817-64 წლებში ჰქონდა ადგილი. რუსეთმა მოახერხა კავკასიის დაპყრობა და შეერთება. „Кавказ! Какое русское сердце не отзовется на это имя, связанное кровною связью и с исторического, и с умственною жизнью нашей родины, говорящее о неизмеримых жертвах и вто же время о поэтических вдохновениях“ – ეს კავკასიის ომების მკვლევარის ვ. პოტოს გულწრფელი სიტყვებია და აშკარად გამოხატავს იმ-დროინდელი რუსეთის დამოკიდებულებას კავკასიისადმი. ერ-თი სიტყვით, რუსეთისათვის კავკასია ყოველთვის სანუკვარი იყო. ეს ინერცია დღემდე გამოჰყვათ და დღემდე, მიუხედავად ახა-ლი ვითარებისა, არ ეთმობათ. რუსეთის კავკასიურ ომებზე მოგვითხ-რობენ ვ. პოტო და ნ.

---

[15] Ир. Гусейнова, История народов Кавказа, Баку, 2006 г., стр. 60-75.

დუბროვინი, საინტერესო მასალაა დაცული კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში, იმ დრო-ის ავტორთა შრომებში.

კავკასიისათვის განსაკუთრებულად მძიმე გამოდგა XX საუ-კუნეც. უმძიმესი სამამულო ომები და მეთერთმეტე არმია ფაქ-ტობრივად იპყრობენ რეგიონს, განსაკუთრებული სისასტი-კით ხდება საქართველოს ანექსია 1921 წელს.

ნიშანდობლივია, რომ კავკასიელთა ომები ძირითადად თავდაცვითი ხასი-ათისა იყო. მომ-ხდური მტრის მიზანი სხვადასხვანაირი იყო: ზოგჯერ ქვეყნისა და ერის ერთიანად ამოგდების სურვილი, ზოგჯერ ნადავლის მოპოვება, გავლენის გაძლიერება თუ სხვ. კავკასიას უდიდესი მსხვერპლის გაღება უხდებოდა: ადამი-ანების, ტერიტორიების, ნატურალური დოვლათის სა-ხით. იყო შემთხვევები დამარ-ცხებისა, ამა თუ იმ ტერიტორიის დაკარგვისა, ქვეყნის დანგრევა-განადგურებისა. მიუხედავად ამისა, კავკასიის სახელმწიფოები და ხალხები გადარჩნენ.

გადარჩნენ კი?

ჩეჩნეთში დატრიალებული „ცოდვის კალო“ და ბესლანის ტრაგედია – ამის დავიწყება შეუძ-ლებელია, არ გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ კავკასიის ხალ-ხების გადარჩენილობაზე. ამას აგვირგვინებს 2008 წლის აგვისტოში რუსეთის რეგულარული ჯარების მიერ გაუგონარი სისასტიკით (ადამიანთა, მათ შორის მოხუცების, ქალებისა და ბავშვების დახოცვა, მშვიდობია-ნი ქალაქების, სოფლე-ბისა და ზოგადად მოსახლეობის ძარცვა) საქართველოს დარბევა-ოკუ-პაცია.

აშკარად გამოჩნდა შეუსაბამობა საერთაშორისო ურთიერთობების იმპერიულ კულტურასა, რომელიც გათვლილია ძველი, ადამიანთა განვითარების დისპერსიულ ეტაპზე და XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის ხარისხობრივად სრულიად ახალ მდგომარეობაზე. ჯერ კიდევ არ-სებული სოციორეგულაციური კულტურა სრულიად არაადეკვატური აღმოჩნდა ერთიან ურთი-ერთდამოკიდებული გლობალურ სისტემად კაცობრიობის გარდაქმნის პირობებში.

კავკასიის ხალხთა ცარიზმისა და ტოტალიტარიზმის ორსაუკუნოვანმა ყოფ-ნამ თავისი და-ღი დაასვა მათ კულტურულ-ისტორიულ ცხოვრებას. როგორც კი დაინგრა საბჭოთა კავშირი, უმალ 30-მდე კონფლიქტის კერა წარმოიქმნა. ნაყო-ფიერი მიწების სიმცირე და შრომისუნარია-ნი მოსახლეობის სიჭარბე, ისტორიული ნაწყენობა, ურთიერთტერიტორიული პრეტენზიები და დეპორტაციის შედეგები კავკასიაში პერმანენტული არასტაბილურობის საფუძვლად იქცა.

კავკასიის რეგიონში წარმოქმნილი მძიმე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები ყოფილი „ცენ-ტრის“ მიერ იყო ინსპირირებული. იმისათვის, რომ რესპუბლიკებზე თავისი გავლენა შეენარჩუ-ნებინა, „ცენტრმა“ ზოგან „ინტერფრონტები“ შექმნა. ზოგან კი მოახერხა რესპუბლიკური ხე-ლისუფლებისათვის ავტონომიების დაპი-რისპირება. რუსეთის ცალკეული საპარლამენტო ჯგუფები აქტიურ ანტიქართულ საქმიანობას ეწევიან აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში. სამწუხაროდ ეთნო-კონფლიქტები ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა (2008 წლის აგვისტოს მოვლენებზე ზემოთ გვქონდა სა-უბარი). 1988 წელს დაიწყო და გრძელდება სომხეთისა და აზერ-ბაიჯანის კონფლიქტი მთიანი ყარაბახის გამო. ყოველივე ამან კავკასიის ქვეყნების ეკონომიკა დააზარალა, ასობით ათასი ადამიანი ლტოლვილად იქცა.

კავკასიელებმა უნდა გაითვალისწინონ წარსულის გაკვეთი-ლები, როცა 1918-21 წლებში სა-მი დამოუკიდებელი სახელმწიფო (საქართველო, სომხეთი, აზერბა-იჯანი) არსებობდა და, როცა

ინგლისმა, საფრანგეთმა და გერმანიამ აქ თავისი პროტექტორატის განხორციელება მოინდომეს. სწორედ შინა ომებისა და ეთნო-კონფლიქტების გამო მათ უარი თქვეს განზრახვაზე. ამ დროს რუსეთმა ყვე-ლაფერი გააკეთა სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისათვის.

ამ ეტაპზე განსაკუთრებული სიმძაფრით გამოიკვეთა ეროვნებათშორისი კონფლიქტების რეგულირება-მოგვარებაში საერთაშორისო საზოგადოების მონაწი-ლეობა. უკანასკნელ ხანს მსოფლიოს მოსახლეობამ თვალნათლივ დაინახა ყველა არსებული საერთაშორისო ორგანიზაციის, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის, მათ შორის აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მხარდაჭერა საქართველოს სუვერენული, დემოკრატიული სა-ხელმწიფოსადმი; შესაბამისად დაგმობილ იქნა რუსეთის აგრესია და მისი შედეგები (ქვეყნის ფაქტობრივი ოკუპაცია, ადამიანთა მსხვერპლი, ძარცვა და ნგრევა) საქართველოში.

* * *

დღეს, როცა საქართველო საერთაშორისო მასშტაბით აღია-რებული სახელმ-წიფოა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზა-ციის, ევროსაბჭოს წევრია და იღვწის ევროკავშირში შესვლისათვის, მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგას, ესაა: ქვეყნის ეკონომიკის დაწინაურება, კულტურული წინსვლა, ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა და სხვ. საქარ-თველოს სწრაფვა დასავლეთისკენ (ევროპა, აშშ) თვალნათელია.

რა ვითარებაა თვით დასავლეთში – ევროპასა და აშშ-ში?

XXI საუკუნემ თავისი კორექტივები შეიტანა მათი მდგომარეობის შეფასე-ბაში. დრომ გარკვეულად შეცვალა ვითარება. თუ 50-60 წლის წინ ამერიკის შეერთებული შტატების შემოსავალი 2-ჯერ აღემატებოდა დასავლეთ ევროპისას, იაპონიისას კი 5-ჯერ, ამჯერად იგი გაუთანაბრდა ევროკავშირში შემავალი ქვეყ-ნების შემოსავალს, იაპონიისას კი მხოლოდ 2-ჯერ აღემატება. აშშ-ს განუსაზღვ-რელი პოლიტიკური სიძლიერეც რამდენადმე შესუსტდა.

დღევანდელი ევროპა, რომლის საგარეო პოლიტიკა აქტიური და მიზანსწრა-ფულია, წარმატებული კონტინენტია. ევროპული ქვეყნების ეკონომიკა ამერიკის შეერთებული შტატებისას დაეწია. ევროპა დაეხმარა მთელ რიგ ქვეყნებს გადაელა-ხათ დიქტატორული რეჟიმები და აეშენებიათ დემოკრატიული საზოგადოება.

XXI საუკუნეში მიმდინარე პროცესების შეცნობისათვის აუცილებელია გა-დავხედოთ ადამიანთა მსოფლგაგებასაც. ისეთი ზესახელმწიფოებიც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, აღარ შეიძლება შეფასდეს ყოვლისშემძლედ. ამას ადასტურებს ისტორიის მსვლელობა, ანალიტიკოსებს XXI საუკუნე – ევროპის საუკუნედ მიაჩნიათ.[16] მათივე დაკვირვებით, ევროპის კავშირი ხასიათდება მოცუ-ლობის სიფართოვით და სიღრმით: ხვდებიან თუ არა მისი გავლენის ქვეშ, ქვეყნები იცვლებიან. ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე ევროპა შეფარებული იყო ამერიკული უსაფრთხოების საშუალებებზე და სწორედ ამ პერიოდში შექმნა დემოკრატიული თანასაზოგადოება. ევროპამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბაზრო ეკონომიკის გაფართოებას, ბევრი პარამეტრით მიმზიდველი გახადა ევროკავშირის წევრობა და ამ კავშირ-

[16] იხ. М. Ленорд, XXIвек-векЕвропы, М., 2006 г.

თან თანამშრომლობა. სახელმწიფოს მოწყო-ბის ევროპული მოდელი მოხერხებული გამოჩნდა ბევრი სახელმწიფოსათვის – იგი კეთლდღეობის გაზრდისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტად გამოჩნ-და.

თუკი მსოფლიო რუკას დავხედავთ, აშკარად შევიცნობთ ევროპული გავლე-ნის სფეროს სიფართოვეს, რომელიც ირლანდიის დასავლეთი სანაპიროდან ხმელ-თაშუა ზღვის აღმოსავლეთამდე, ჩრდილოეთის პოლარული წრიდან გიბრალტარის სრუტემდე ვრცელდება. სტატისტიკოსები ევროპის გავლენის სფეროში, ე. წ. „ევრო-სფეროში“, 2 მილიარდ კაცს, ანუ დედამიწის მოსახლეობის ერთ მესამედს ითვლიან.

ევროპის (ევროკავშირის) ძალა არ განიზომება სამხდერო ბიუჯეტის სიდი-დით, არც მაღალი კლასის რაკეტული ტექნოლოგიებით. იგი არ არის გამიზნული მცირე გამარჯვებების მოპოვებისა და ამით მიღწეულ ტკბობაზე. ეს ძალა საკმაო ხანია რაც არსებობს და მიმართულია სამყაროს გარდაქმნისკენ. ჰქმნის რა საერთო სტანდარტებს, რომლებიც მოქმედებენ ეროვნული ინსტიტუტების საშუალებით, ევროპა თავის გავლენას იმგვარად ავრცელებს, რომ არ ხდება მტრულად მოქმედების ობიექტი. ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, რომლის ყველა სამხედრო ბაზა, საელჩო თუ სხვა დაწესებულება ტერორისტების სამიზნედაა ქცეული, ევროპა მოკრძალებულად დგას ჩრდილში და საკუთარ საქმეს აკეთებს – აფართოებს თავისი გავლენის სფეროებს მთელს მსოფლიოში.

სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას ევროპელების ინტერესე-ბის სფეროშია არა მათი გეოპოლიტიკური მიმართულებები, არამედ ის თუ რა ღირებულებებს უჭერს მხარს ესა თუ ის სახელ-მწიფო, როგორია მისი კონსტიტუციონალური სისტემა და საკანონმდებლო ბაზა. ნიშანდობლივია, რომ ევროპა (ევროკავშირი) გავლენას არ ავრცელებს მუქარით, როგორც ეს ზესახელმწიფოებს ახასიათებთ. ევროპის სოციალური მოდელი უზრუნველყოფს ადამიანებისათვის დროსა და დასვენების საშუალებას, განასახიერებს ენერგიისა და თავისუფლების სინთეზს, აქედან გამომდინარე ლიბერალიზმს – სტაბილურობითა და კეთილდღეობით (ეს სოციალური დემოკრატიის წყალობაა).

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა ძლიერი ძალის წარმოქმნამ (ევროკავშირია მხედველობაში) არ გამოიწვია სხვა ქვეყნების წინააღმდეგობა. თითქმის ყველა მსხვილი სახელმწიფო (მაგალითად, ესპანეთი XVI საუკუნეში, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები XIX საუკუნეში, შემდეგ გერმანია, იაპონია, საბჭოთა კავშირი XX საუკუნეში, აშშ – XXI საუკუნეში) თავისი გავლენის საპირწონე ძალის შექმნის პროვოცირებას ახდენდნენ. ევროპა კი ისე გახდა ერთიანი და ძლიერი, რომ მეზობლების ამგვარი დამოკიდებულება არ გამოუწვევია. ნიშანდობლივია, რომ ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი ევროპის ეკონომიკური სიძლიერის ზრდაში ნაკლებ საფრთხეს ხედავენ, ვიდრე ერთმანეთის ეკონომიკის ცვლილებებში.

ინგლისელი მეცნიერი არნოლდ ტოინბი ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ცივილიზაციები შეეჯახებიან ერთმანეთს.[17] ცივი-ლიზაციური წინააღმდეგობები გამოჩნდა იმ კონფლიქტში, რომელიც დასავ-ლურ ცივილიზაციასა და დანარჩენ მსოფ-

[17] А. ДЖ. Тойнбы. „Столкновенияцивилизации“, вкн.: Цивилизацияпередсудомистории, М., 2003, с. 400-407. იხ. აგრეთვერ. მეტრეველი, გლობალიზაციისპერსპექტივადაისტორიოგრაფიისპრობლემები, თბ., 2006.

ლიოს შორის არსებობს. XX საუკუნესა და XXI საუკუნეში დასავლეთის ცივილიზაცია ევრო-ამერიკული გახდა. ამერიკის შეერთე-ბული შტატები პრეტენზიას აცხადებს მსოფლიში პოლიტიკურ და ცივილიზაციურ ჰეგემონობაზე. მიუხედავად ევროპული ქვეყნების მცდელობისა, შეინარჩუნონ თავისი ტრადიციები და ცხოვრების წესი, ამერიკანიზაცია მაინც მიმდინარეობს.

დღესდღეობით როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ევროპის ქვეყნების მნიშვნელოვანი პრობლემაა დემოგრაფიული ვითარება. შემცირებულია შობადობა და გაზრდილია უცხოელთა შემოჭრა (იმიგრაცია). ეს ორი ფაქტორი ცივილიზაციის განვითარებას ან უკან სწევს, ან ცივილიზაციებს დაცემით ემუქ-რება. დიდია სიკვდილიანობა. ევროპის არც ერთ სახელმწიფოში (მუსლიმური ალბანეთის გარდა) ადგილობრივი მოსახლეობის შობადობის დონე არ იძლევა ბუნებრივი მატების გარანტიას. ეს მდგომარეობა ევროპის მსხვილ ქვეყნებში ათწლეულების მანძილზე გრძელდება. ბევრ ქვეყანაში ადგილობრივი (მკვიდრი) მოსახლეობის რიცხვი მცირდება კიდეც. მიჩნეულია, რომ უცხოელ მიგრანტთა რიცხვის ზრდა, რაც კატასტროფული ინტენსიურობით ხდება, შეიძლება დასავ-ლეთის დეკონსტრუქცია და ცივილიზაციის დაღუპვა გამოიწვიოს.[18]

ბარბაროსთა შემოსევებმა რომის იმპერიის დაღუპვა განაპირობა (ა. ტოინბი). შექმნილი კრიზისი – დაშლილობა და ქაოსი, კათოლიკურმა ეკლესიამ განმუხტა. შეიქმნა რა ახალი რელიგიური თემი, მან დასაბამი მისცა ახალ კულტურასა და ცივილიზაციას. აქედან დაიწყო ქრისტანული სამყაროს ისტორია. XV-XVIII საუ-კუნეებში ქრისტიანულმა სამყარომ, ევროპის ქვეყნებმა ბევრი სიახლე შესძინეს მსოფლიოს. ევროპა XX საუკუნეში, პრაქტიკულად მთელ პლანეტას განაგებდა. და-სავლეთის წინსვლას დაქვეითება მოჰყვა. დაეცა ესპანეთის იმპერია, 1914-1945 წწ. დასავლური ცივილიზაციის ომი სასიკვდილო ჭრილობებით გასრულდა. 1918 წლისათვის დაეცა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის იმპერიები. მეორე მსოფლიო ომმა ბრიტანელებისა და ფრანგების ბატონობას მოუღო ბოლო. ომის დამთავრების შემდეგ ერთმანეთზე მიყოლებით დაიშალნენ დასავლეთის ფორ-პოსტები: სუეცი, პალესტინა, როდეზია, სამხრეთი აფრიკა, ჰონკონგი. ევროპას, აზიასა და აფრიკაში აღარაფერი დარჩა.[19]

1990-91 წწ-ში საბჭოთა კავშირი დაიშალა თხუთმეტ ცალკე-ულ სახელმ-წიფოდ. ამჟამად აფრიკელები, აზიელები, მუსლიმები, სხვადასხვა ქვეყნებიდან, ლათინურ-ამერიკელები, რომლებზეც დასავლეთი ერთ დროს ბატონობდა, საკმაოდ აქტიურად ავსებენ ყოფილი მეტროპოლიების მოსახლეობას.

მოსახლეობის სიკვდილიანობა, კულტურის დეზინტეგრაცია და უცხოელთა (იმიგრანტთა) შემოჭრაზე წინააღმდეგობის გაუწევლობა დასავლურ ცივილიზაციას მწვავე კრიზისით ემუქრება. თითქმის მთელ მსოფლიოში შეიქმნა პენსიონერთა სიჭარბე, რომლებიც მშრომელთა კმაყოფაზე არიან. ამ უკანასკნელთა რიცხვი ევროპაში თანდათან იზრდება. 1960 წელს 60 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა 20%-ს შეადგენდა, 2000 წელს კი 35%-ს გაუტოლდა. პროგნოზით 2020 წელს ეს მაჩვენებელი 47%-მდე გაიზრდება. 2050 წელს კი 70%-ს მიაღწევს.

---

[18] П. Бьюкенен, Накраюгибели, М., 2007, с. 14, С. Хантигтон, Столкнове-ниецивилизации, Полис, 1994,№ 1, стр. 34.

[19] П. Бьюкенен, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

აქედან გამომდინარე, ევროკომისიამ გათვალა, რომ 2040 წლისთვის წლიური მატება დაიკლებს დაახლოებით 2%-იდან 1,25%-მდე.

ცხადია, პროგნოზისტი დემოგრაფების მიერ გამოვლენილი ტენდენცია არ ნიშნავს გარდაუვალ კატასტროფას. ცნობილია, რომ დემოგრაფიული წინასწარმეტ-ყველებების უმრავლესობა არ გამართლდა. ასეთი ბედი ხვდა წილად თომას მალთუსის აპოკალიპტურ დასკვნას მოსახლეობის გეომეტრიული პროგრესით ზრდისა და მათი შიმშილით მასობრივად დაღუპვის შესახებ. არ არის გამორი-ცხული ცდომილება თანამედროვე პროგნოზებისაც. ამისი გარკვეული ნიშნები შეიმჩნევა კიდეც. ასე მაგალითად, წლების მანძილზე შობადობის კლების შემდეგ ინგლისში, საფრანგეთში, შვედეთში, დანიასა და ნორვეგიაში გარკვეული სასი-კეთო დემოგრაფიულ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. ამჟამად შობადობის ყველაზე დაბალი დონის ევროპულ ქვეყნებს: იტალიას, გერმანიასა და ესპანეთს საგანგებო ზომების გატარება უხდებათ (ძირითადად ფინანსური და საგადასახადო შეღავა-თები), რათა მოხდეს ცოლქმრული წყვილების სტიმულირება შვილიანობის რიც-ხობრივი გაზრდის მიზნით.

მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა რუსეთშიც. გამოკვეთილია მოსახლეობის შემცირების ტენდენცია. მხოლოდ 2005 წელს 750000 რუსი გარდაიცვლა, შემცი-რებული შობადობის ფონზე მოსახლეობა 143 მილიონამდე შემცირდა. როგორც ვარაუდობენ, შობადობის დაბალი დონისა და ადრეული სიკვდილიანობის პირო-ბებში, უახლოეს 10 წელიწადში მოსახლეობა კიდევ 10 მილიონით შემცირდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩინელი მუშები და ვაჭრები, ყოველწლიურად ათა-სობით კაცი, გადმოდის და იკავებს რუსეთის ტერიტორიას.

როცა ცივილიზაციათა დაპირისპირებაზეა ლაპარაკი, აქ განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ჩინეთი – უძველესი წარსულისა და ცივილიზაციის ქვეყანა, მზარდი მოსახლეობით. არ გამოვრიცხავთ (ცხადია, ჩვენ არა ვართ ორიგინალური), რომ XXI საუკუნეში ჩინეთი და ჩინური ცივილიზაცია მთელს მსოფლიოში წამყვანი გახდეს. დღესდღეობით ჩინეთში მნიშვნელოვან პრობლემად რჩება დემოკ-რატიის მდგომარეობა და ადამიანის უფლებების დაცვა. ქვეყანაში შეიმჩნევა სწრაფვა მერიტოკრატიული (განსაკუთრებულად განათლებულთა მმართველობა) სისტემის შექმნისაკენ კომუნისტური პარტიის შიგნით; მიიზიდეს წარმატებული ბიზნესმენებიც. ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ჩინეთი ემზადება დიდი რევოლუ-ციისათვის – დემოკრატიული რევოლუციისათვის (სახელმწიფო და საქალაქო დონეზე არჩევნების დაწესება).

აბრაამ ლინკოლმა თავის ერთ-ერთ „მიმართვაში“ დემოკრატია განსაზღვრა, როგორც ხალხის მმარველობა, რომელიც ხალხის მიერ ხორციელდება, ხალხისავე ინტერესებში. სახელმწიფო უნდა იყოს ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე და მისი პოლიტიკა ხალხის ნებას უნდა შეესაბამებოდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩინეთისთვის დემოკრატიული გარდაქმნების გატარება ხანგრძლივი პროცესი იქნება.

ჩინეთი შევიდა მსოფლიო ბაზარზე და მნიშვნელოვანი ადგილიც დაიკავა. იგი მშივდობისმოყვარულ პოლიტიკასა და მრავალმხრივი ურთიერთობების პრინციპს ემხრობა. როცა ჩინეთი ზესახელმწიფო გახდება (ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდება), იგი თავის გავლენას სხვა დიდ სახელმწიფოებზეც გაავრცელებს. აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გულწრფელად და დარწმუნებით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს დღესდღეობით სხვა ქვეყნებთან შედარებით პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობა აქვთ. მაგრამ 30 წლის შემდეგ ჩინეთის ეკონომიკას შესაძლებლობა აქვს აშშ-ს ეკონომიკას გაუთანაბრდეს,

შეიძლება უფრო წინაც წავიდეს. მაშინ ამერიკა ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში ლიდერობას შეინარჩუნებს, ბატონობას კი ვერა. კლინტონი დარწმუნებულია, რომ თუკი ამერიკა და ჩინეთი შეეჯახებიან (დაუკვირდით – ესეც ცივილიზაციათა შეჯახების მაგალითია), საკითხი საერთაშორისო სამართლის ნორმებით გადაწყდება და არა სამხედრო ძალით.

ფაქტი ერთია – ჩინეთი წინ მიიწევს და მსოფლიოსთვის არსებით, ანგა-რიშგასაწევ ძალას წარმოადგენს.

ალბათ მართებულია მეცნიერთა მოსაზრება, რომ დასავლეთს მოუწევს სხვადასხვა ცივილიზაციის არაერთი კონტრდარტყმის გადატანა. ამასთან დასავ-ლეთი უნდა შეებრძოლოს, ერთი მხრივ, ცივილიზაციურ ექსპანსიას, მეორე მხრივ, „ჩასახლებულთა“ (მიგრანტთა) ექსპანსიასაც. ევროპის ქვეყნებისა თუ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქები სავსეა აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსახლებულებით. თითქოსდა უწყინარი მიგრანტები (ასე მოჩანდნენ ერთ დროს) ევროპელებისათვის მიუღებელი გახდნენ, რადგან სერიოზული საფრთხე შეუქმნეს როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას, ასევე პოლიტიკურ კულტურულ ვითარებას.[20]

1960 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში აზიისა და ესპანურენოვანი ქვეყნებიდან ჩამოსული 5 მილიონი კაცი ცხოვრობდა. დღესდღეობით მათი რიცხვი 57 მილონს შეადგენს. ყოველწლიურად აშშ-ში შემოედინება 1-2 მილიონი კაცი, თანაც თითქმის მათი ნახევარი არ სცნობს ამერიკის კანონებსა და მის საზ-ღვრებს. არის არალეგალურ მიგრანტთა დიდი მასა (შეფასებით 12-დან 20 მილიონამდე). მიუხედავად ამერიკელთა წინააღმდეგობისა, ამერიკის ტრანსფორ-მირება მაინც ხდება. შპენგლერისა და ტოინბის წყალობით, კარგადაა ცნობილი ბზარშეპარული ცივილიზაციის ნიშნები: რწმენის დაკარგვა, მორალის დაქვეითება, ძველი ღირებულებების სიძულვილი, კულტურის კოლაფსი და ნების დამბლა. ამას ემატება კიდევ ორი გარემოება – მკვიდრი მოსახლეობა მცირდება და წინა-აღმდეგობა არ ეწევა უცხო ქვეყნებიდან მიგრანტთა შემოჭრას.[21]

ამერიკის ელიტარულმა საზოგადოებამ ღიად უსაყვედურა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, რომ მისი თაოსნობით 2006 წლის მაისში გამოცხადდა ამინისტია 12 მილიონი უკანონოდ შემოსული იმიგრანტისათვის. თავად პრეზიდენტს მოუნდა აღიარება, რომ აშშ-ში კანონდარღვევით შემოჭრისას 4,5 მილიონი უცხოელი დაიჭირეს, რომელთაგან 350000 კაცს კრიმინალური წარსული ჰქონდა (ჯ. ბუშის გამოსვლა ტაქსონში 2005 წლის ნოემბერში).

დღესდღეობით ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთაგან 36 მილი-ონი წარმომავლობით უცხოელია. აქედან 30% მექსიკელები არიან. საინტერე-სოა იმიგრაციის წარსულიც. 1820-იან წლებში აშშ-ში 150000 იმიგრანტი შევიდა, 1840-იან წლებში – 1,7 მილიონი, 1870-იან წლებში – 2,8 მილიონი, 1880-იან წლებში – 5,2 მილიონი, XX საუკუნის პირველ ათწლეულში – 8,8 მილიონი კაცი. ასე რომ, აშშ რეალურად მრავალენოვანი, მრავალრასული, მულტიეთნიკური და მულტი-კულტურული ქვეყანაა. ვერ სრულდება თეოდორ რუზველტის მოწოდება, რომ ამერიკელებს შეეცნოთ საკუთარი თავი და იმადვე დარჩენილიყვნენ. ამერიკელი პოლიტოლოგები ში-

---

[20] იხ. რ. მეტრეველი, გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, თბ., 2006; გ. ანთელავა, თანამედროვე ევროპა და თურქული მიგრაცია. თბ., 2004.

[21] П. Бьюкенен, На краю гибели, გვ. 13.

შობენ, ხომ არ მიდის ქვეყანა ბალკანიზაციისაკენ, რაც თავის მხრივ სახელმწიფოს განადგურებას მოასწავებდა.

ამერიკელი პოლიტოლოგი სემუელ ხანტინგტონი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ეპოქის უმნიშვნელო-ვანესი პრობლემა აშშ-სთვის მიგრაციაა. ამერიკელები მისტირიან იმ დროს, როცა მოსახლეობა უპირატესად ევროპული წარმოშობის ამერიკელები იყვნენ. 1960 წელს აშშ-ის მოსახლეობა 180 მილიონი იყო. აქედან 89% ევროპელი წარმოშობის ამერიკელები იყვნენ, 10% – შავკანიანები, აზიური წარმოშობისა და ესპანურ-ენოვანი მიგრანტები შედარებით მცირე იყვნენ. მოსახლეობის 97% ლაპარაკობდა ინგლისურ ენაზე. სტატისტიკოსები ძალიან მძიმე პროგნოზებს აკეთებენ: 2050 წელს ქვეყნის მოსახლეობა 1960 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზრდება – გახდება 420 მილიონი. ამჯერად ევროპული წარმოშობის ამერიკელები ეროვნული უმცირესობა იქნება (ეს მოვლენა დღესაც შეიმჩნევა კალიფორნიაში, ტეხასსა და ნიუ-მექსიკოში). ესპანურენოვანი მოსახლეობა 102 მილიონამდე გაიზრდება და საერთო რაოდენობის 24%-ს შეადგენს.

ამერიკელებს უხდებათ კონსტატირება იმ ფაქტისა, რომ მცირდება სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი და სასკოლო განათლების დონე დაბლა იწევს. ბავშვები ძლივს ეუფლებიან წერა-კითხვას; სტუდენტები ვეღარ უწევენ კონკურენციას ევროპელ და აზიელ თანატოლებს. ყოველივე ეს იმ ფონზე, როცა ზრდასრულ ამერიკელთა 45 პროცენტმა არ იცის წერა-კითხვა საშუალო სკოლის კურსდამთავ-რებულის დონეზეც კი. აქ სტატისტიკას იმიგრანტები „აფუჭებენ“. ამერიკელი იმიგრანტები, სხვა ქვეყნების იმიგრანტებთან შედარებით დაბალი დონისანი არიან.

იმიგრაციის საკითხების წამყვანი მკვლევარის ედვინ ს. რუბენსტაინის დაკ-ვირვებით, ცოდნის ტესტური შემოწმებისას თეთრ-კანიანმა და აზიური წარმოშობის ამერიკელებმა შეფასება „ხუთი“ მიიღეს; ესპანურენოვანი და შავკანიანი ამერი-კელები უკეთეს შემთხვევაში „ოთხი მინუსით“ შეფასდნენ. აშშ-ს განათლების სამინისტროს 2005 წლის ანგარიშში მინიშნებულია, რომ კოლუმბის ოლქში, სადაც სკოლის მოსწავლეები თითქმის მთლიანად იმიგრანტების, ან აფროამერიკელების შვილები არიან, ერთ მოსწავლეზე წლიურად 16.344 დოლარი იხარჯება. ეს ყველაზე მეტი დანახარჯია ქვეყნის მასშტაბით. სწორედ აქ 2005 წელს მერვე-კლასელების მხოლოდ 12% დაეუფლა კითხვას სასკოლო მოთხოვნილების დონეზე და 7% – მათემატიკას სკოლის პროგრამის ფარგლებში.

ერთი სიტყვით, დემოგრაფიულ პრობლემებთან ერთად იმიგრაციული პრობ-ლემები ამერიკის შეერთებული შტატების მძიმე ტვირთად რჩება. უდიდესი დარ-ტყმა იყო 2001 წლის 11 სექტემბერის ტერორისტული აქტი, რომელმაც კარდი-ნალური ცვლილება შეიტანა აშშ-სა და საერთოდ მსოფლიოს ხალხების ცხოვ-რებაში. თავის დროზე ცივი ომის დამთავრების (1990 წ.) შემდეგ გლობალი-ზაციური პროცესები დაჩქარდა, ძალთა გადანაწილება შეიცვალა. აქედან მოკიდე-ბული ძალის ვექტორი დასავლეთის ქვეყნებიდან აღმოსავლეთისაკენ გადაიხარა; საზოგადოების ძირითადი საზრუნავი საფრთხეებისგან (გენოციდი, ტერორიზმი, გლობალური დათბობა) ადამიანთა დაცვა გახდა; დაიწყო სწრაფვა რეგიონალური ინტეგრაციის სისტემის დამკვიდრებისათვის. დღესდღეობით ევროპას აქვს შანსი შექმნას მსოფლიო წესრიგის ახალი მოდელი, მაგრამ ეს ამერიკის გარეშე ვერ მოხერხდება. ამიტომ მასთან ერთად უნდა გამოინახოს ახალი კავშირის ბერკეტები. ევროპას სჭირდება ახალი ეპოქის შესაბამისად მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა, ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამცველი და ამ საქმის წარმატებაში

დაინ-ტერესებულ ამერიკასთან ერთად. მხოლოდ ერთობლივი სწრაფვით (ცხადია, სხვა ქვეყ-ნებთან ერთად) შეიძლება წარმატების მიღწევა.

XXI საუკუნის ათიან წლებში არსებული ვითარებისას, აღარ შეიძლება მსოფლიოს მოსახლე-ობის დიდ უმრავლესობას განაგებდეს მხოლოდ ევროპისა და ამერიკის ინტერესების უზრუნ-ველმყოფი სისტემა. ამ საუკუნეში სიმძიმის ცენტრი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან აღმო-სავლეთისა და სამხრეთისკენ გადაადგილ-დება. არ გამოვრიცხავთ, რომ ეკონომიკის გლობა-ლიზაციის პირობებში, საუკუნის შუა წლებში, ჩინეთმა ეკონომიკის თვალსაზრისით გაასწროს კიდეც ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჩინეთს ამჟამად უცხოური ვალუტის რეზერვი 440 მი-ლიარდი დოლარი აქვს (შესყიდული აქვს აშშ-ს ობლიგაციები 5 მილიარდი დოლარის ოდენო-ბით); აღსანიშნავია, რომ ინდოეთსაც 100 მილიარდი დოლარი აქვს სარე-ზერვო ფონდში. თუ ხანგრძლივ პერსპექტივას განვიხილავთ, როცა ჩინეთი და ინდოეთი უფრო გაძლიერდებიან და უფრო აქტიურ როლს შეასრულებენ მსოფ-ლიოს არენაზე, ამერიკა იძულებული გახდება კვლავ დააფასოს საერთაშორისო სამართლისა და მსოფლიოს ინსტიტუტების არსებობის აუცილებ-ლობა. აშშ კვლავ დარჩება ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ მსოფლიოში, მაგრამ მისი წილი მსოფ-ლიოს ძალებში შემცირდება, თანაც თანაბარი შესაძლებლობების ქვეყნების პოლიტიკას ვეღარ განსაზღვრავს.

არნოლდ ტოინბი მიუთითებდა, რომ ცივილიზაცია მაშინ იღუპება, როცა მას არ ძალუძს თა-ვისი ეპოქის კრიზისის დაძლევა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ დასავლეთის ცივილიზაციის ეგ-ზისტენციალური კრიზისი – ესაა კულტურის კოლაფსი და დემოგრაფიული პრობლემები (მო-სახლეობის კლება).[22] ამასთან ე. წ. მესამე სამყაროს მოსახლეობა ყოველ თვრამეტ თვეში 100 მილიონს მატულობს. ცხადია, მესამე სამყარო მთელი ძალით იჭრება ისტორიაში. აღარავის უკ-ვირს, როცა დასავლეთელი ადამიანები ნატრობენ უინსტონ ჩერჩილისა და შარლ დე გოლის ევ-როპას; ენდრიუ ჯეკსონის, თეოდორ რუზველტისა და დუაიტ ეიზენ-ჰაუერის ამერიკას.

კაცობრიობა მოუთმენლად ელოდა XXI საუკუნეს. არც ეს საუკენე გამოდგა სიმშვიდის მომ-ტანი. კვლავ ჰყვავის ტერო-რიზ-მი, იღუპებიან ადამიანები, მძვინ-ვარებს ომები. ხალხთა მა-სებში განახლდა მოლოდინი „მეორედ მოსვლისა“, განკითვხის დღისა და საშინელი სამსჯავ-როსი. ხშირად მოიხსენიება იოანეს „გამოცხადება“ (იოანეს „გამოცხადების“ ჭეშმარიტებაში დღეს დარწმუნებულია ყველაზე დიდი რაოდენობა ადამინებისა, ვიდრე ოდესმე ყოფილა), სა-ხელდებიან სხვადასხვა წინასწარმეტყველები (ნოსტრადამუსი და სხვ.). თავი იჩინა ესქა-ტო-ლოგიური პრობლემების გააქტიურებამ.[23]

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ყოველგვარი წინასწარმეტყველებანი მიუხედავად ზოგიერთი მოვლენის დამთხვევისა, არ შეიძლება იყოს სწორი. უფალი იესო ქრისტე გვაფრთხილებს, რომ „მეორედ მოსვლის“ დღე იცის მხოლოდ მაღალმა ღმერთმა და სხვამ არავინ. ადამიანები ფიქ-რობენ ცხოვრების ამაოებაზე.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ამ საერთო, გლობალურ კონტექსტში განსაკუთრებუ-ლად წარმოჩნდა საქართველო. ამ უძველესი ისტორიისა და ცივილი-ზაციის ქვეყანას XXI საუ-

---

22 П. Бьюкенен, Накраюгибели, გვ. 288.

23 იხ. Д. Уилсон, Историябудущего, М., 2007.

კუნემ უმძიმესი „სიურპრიზები“ მოუმზადა. 2008 წლის აგ-ვისტო საბედისწერო გახდა სახელ-მწიფოსათვის. ეს პატარა წერტილი მსოფ-ლიოს რუკაზე საერთაშორისო ცხოვრების ცენტრში მოექცა. მეტად აქტიური მასმედიის წყალობით საქართველო მსოფლიოს ყურადღების არეალში შევიდა.

საქმე ისაა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში ინსპი-რირებულ იქნა ეთნოკონფლიქტები და საქართველოსაც XX საუკუნის 90-იან წლებიდან მოუხდა ამ პრობლემასთან შეჯახება. იგივე პრობ-ლემები გადმოვიდა XXI საუკუნეში. საქმეს რუსეთი ართულებდა ტრადიციულად. იგი ვერ თმობს თავის ჰეგემონობას პოსტსაბჭოთა სივრცეში და საომარ ისტე-რიასაც არ ერიდება. გავიხსენოთ ჩეჩნეთის აურაცხელ მსხვერპლიანი მოვლენები, ბესლანის ტრაგედია. მძევალთა გადასარჩენად გაცემულმა რუსეთის ხელისუფ-ლების ბრძანე-ბამ 334 ადამიანის, მათ შორის 186 ბავშვის სიცოცხლე შეიწირა, 700-ზე მეტი მძიმედ დაიჭრა; დაღესტნისა და ინგუშეთის სისხლიანი ამბები.

საქმე ისაა, რომ XX საუკუნის მიწურულიდან კავკასიის ქვეყ-ნები და საზო-გადოებები პოს-ტსაბჭოთა ანუ პოსტიმპერიულ ეპოქაში იმყოფებიან. საბჭოთა იმპე-რიამ ამოწურა თავისი თავი და დაინგრა. ახალმა ისტორიულმა ვითარებამ ახალი პრობლემები დააყენა: საზოგადოებაში ყა-ლიბდება ახალი მენტალური სტრუქტუ-რები, გამომუშავდება ახალი კულტურული და ფსიქო-ლოგიური ფაქტო-რები.

კავკასიის ხალხების ასიმილაცია ძალზე მცირე მასშტაბით ან პრაქტიკულად არ ხდება. აქ მოსახლე ხალხები, განსაკუთრებით ქართველები და სომხები, რომლებსაც რუსეთის იმპერიაში შესვლამდე სახელმწიფოებრიობისა და ცივილი-ზაციის ხანგრძლივი ისტორია აქვთ, მნიშვნე-ლოვნად მცირე ასიმილაციურ მიდრე-კილებას იჩენენ, ვიდრე ის ეთნოსები, რომლებიც პირვე-ლად მოხვდნენ მდგრადი, რეგულარული ხელისუფლების (რუსეთის სახელმწიფო) პირობებში.

იმპერიულიდან პოლიტიკურ ერად გარდაქმნის პროცესი ახალი ეროვნული იდენტურობის სტრატეგიის შემუშავების ფონზე რთულად მიმდინარეობს. კავკასიის რეგიონში ინტეგრაციუ-ლი პროცესების პარალელურად მწვავე ეთნოსეპარატის-ტული მოვ-ლენებიც ფიქსირდება. მეცნიერები ადასტურებენ ჩრდილოეთ კავკასიაში დერუსიფიკაციისა და რუსების გამოდევნის ტენდენციებს. რუსეთის იმპერიისა თუ საბჭოთა პერიოდში რუსი ეროვნების ხალხის დასახლება ჩრდილო კავკასიაში ინტენსიური იყო, თანაც ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ასიმილი-რება ხდებოდა. ამასთან რუსეთის ოლქები კავკასიიდან მოსახლეობის მიგრაციისათვის დაკე-ტილი იყო. ტრადიციული კულტურები, როგორც წესი, თვითჩაკეტილები არიან, ამ კულტურის მატარებლები არ ისწრაფვიან ურბანიზებული იმპერიული ცენტ-რებისაკენ.[24] უკანასკნელ ხანს ეს ვითარება შეიცვალა. კავკასიელები ზეწოლის გზით რუსულ მოსახლეობას თავიანთი ოლქე-ბიდან „გამოდევნიან“, თვითონ კი რუსეთში მიდიან და სახლდებიან უპირატესად დედაქალაქში, ან სხვა მსხვილ ქალაქებში. ბოლო პერიოდში, კავკასიიდან მნიშვნელოვანი მიგრაცია შეიმჩნევა. ეს რუსეთის ხელისუფლებისათვის სერიოზული პრობლემაა, რადგან რუსი ეროვნე-ბის ბიოლო-გიური აღწარმოება შემცირებულია. რუსეთი, ცხადია ცდილობს მარ-თოს დემოგრაფიული პერ-

---

[24] И. Г. Яковенко, ПостсоветскаяРоссия: логикаразворачиванияэтнокультурныхпроцессоввсветеконцаимпериииглобализации, вып. 6. М., 2004, стр. 78, 84.

სპექტივა. დემოგრაფიული სტატისტიკა მიანიშნებს იმ სერიოზულ კრიზისზე, რომელიც დღეს-დღეობით რუსეთშია და რომლიდან გა-მოსვლაც მნიშვნელოვან რისკებთანაა დაკავშირებული. ამიტომ არ არის გასაკვირი ის უხეში ნაბიჯები, რასაც რუსეთის ხელისუფლება მიმართავს. აზერბაიჯანე-ლების, ჩეჩნებისა და ქართველების დეპორტაცია, რომელიც საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევით გატარდა, ამის ნათელი მაგალითია.

* * *

სრულიად განსაკუთრებული საკითხია ე. წ. სამხრეთ ოსეთისა (სამაჩაბლო) და აფხაზეთის საკითხი რუსულ პოლიტიკაში. ამ ორი სეპარატისტული ერთეულის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მიერ პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ორგანიზაციამ (ევროკავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნატო და სხვ.) და თითქმის ყველა სახელმწიფომ დაგმო. განსაკუთრებულად გაუმართლე-ბელი არის საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია რუსეთის მიერ. უხეშად დაირღვა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები – მოხდა ადამიანის უფლებების ხელყოფა, დაიღუპა დიდი რაოდენობით მშვიდობიანი მოსახლეობა, დაანგრიეს სახლები, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები. რუსე-თის ხელისუფლება ცდილობს გაამართლოს თავისი საქციელი. საკუთარმა მოსახლეობამ ნაწილობრივ შესაძლოა კიდეც იწამა რუსეთის საქართველოში შეჭრის სამართლიანობა. ეს დიდი დამსახურებაა რუსული მასმედიისა, რომელიც ცალმხრივად აშუქებს მოვლენებს. ყალბდება ისტორია, რაშიც დიდი „ამაგი“ მიუძღვით, როგორც ზოგიერთ აფხაზ და ოს, ისე რუს ავტორებს.

რეალურად საქმე სხვაგვარადაა.

დავიწყოთ იქედან, რომ ტერიტორიები, რომელიც ოსებსა და აფხაზებს უჭირავთ, ისტორიულად ქართულია. საქართველოს საზღვრების საკითხი საფუძ-ვლიანად გამოიკვლია ივანე ჯავახიშვილმა (იხ. მისი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919). ისტო-რიულ წყაროებზე დაყრდნობით, აშკარად მტკიცდება, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვარი თეთრ წყლებზე ან ჩაღან უსუნზე გადიოდა (ჟამთააღმწერელი). უფრო ზუსტად ეს საზღვარი თეთრ წყლებსა და შამახიის მთის ძირას (თეთრი წყალი შამახიას მთის დასავლეთ ფერდობს ჩამოუდის) მდებარეობდა. საკუთრივ საქართველოს ეთნიკური საზღვარი კი, რო-გორც ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, უფრო დასავლეთით – გიშის წყალზე გადიოდა. დასავლეთი საზღვარი „ყოველი იმერი სამეფო“ იყო, ე. ი. მთელი დასავლეთი საქართველო სრულიად საქართველოს სახელმწიფო შემადგენლობაში შედიოდა. ასე რომ, სახელმწიფო საზღვარი დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევდა. სამხრეთით საზღვარი ქურდვაჭრის იქეთა (აღმოსავლეთი) მხარეა (ბასილი ეზოსმოძღვარი), რომელშიც იგულისხმება კაენისა (მდ. აღსტევის ხეობაში) და კაიწონის (მდ. ქურდვაჭრის – დებედის მარჯვენა მხარეს) ციხეები. უფრო ზუსტად, ესაა გარ-დაბანი, ე. ი. ტერიტორია, რომელიც ქურდვაჭრის (მდ. დებედა) ხევსა და მდ. აღსტევს შორის მდებარეობდა (ჟამთააღმწერელი). საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავ-ლეთმდებარე საზღვრისპირა მხარედ წყაროები შამქორს ასახელებენ (ჟამთა-აღმწერელი). ესაა გელაქუნის ტბასა და მდინარე მტკვარს შორის მოქცეული ტე-რი-ტორია. ქვეყანას სამხრეთითვე ესაზღვრებოდა აირარატის პროვინცია, მდ. რახსი და

ნახჭევანი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“). თამარის-დროინდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი სპერია („ჯავახეთით სპერამდის“).

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედის გასწვრივ ჩრდი-ლო-დასავლეთით ნიკოფსიამდე მიდიოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით შამახიის მთამ-დე ვრცელდებოდა („ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“). კავკასიონის მიღმა მდება-რეობდა საქართველოს ყმადნაფიცი (ვასალური) ქვეყნები: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი (ბასილი ეზოსმოძღვარი).

დავით IV აღმაშენებლის ტიტულატურაა – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა“. აქ დიდი მეფის მფლობელობაში შემავალი ქვეყნებია დასახელებული. დავით აღმაშენებელი თავის ანდერძშიც ხაზგასმით მიანიშნებს, მისი „მოგებული“ მამული გადაჭიმულია „ნიკოფსიიდგან დარუბანდის ზღუდამდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“. დავით აღმაშენებლის ტიტულატურის ანალოგიურია მეფე თამარის ტიტულატურაც. აქაც რეალურადაა ასახული საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე და გეოგრაფიული სიდიდე.

იქნებ არც იყო საჭირო დეტალურად საქართველოს ისტორიული საზღვრე-ბის შესახებ ვრცელი საუბარი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ისტორიის გაყალბების ყოველ-გვარი მცდელობა მტრულად განწყობილი პირებისა, უსუსურია და სინამდვილეს არ შეეფერება. ეს კარგად იცოდნენ თვით აფხაზმა და ოსმა მეცნიერებმაც.

აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი დიმიტრი გულია საგანგებოდ აღნიშნავდა: „Абхазия которая всегда была неотьемлемой частью Грузии, жила снею напротяжении всей истории одной жизнью, органически участвовала в созидании грузинской культуры и государственности и играла существенную роль в борьбе за свободу и независимость страны, вборьбе за объединение отдельных грузинских племен и областей вединое мощное национальное грузинское государство“ (Д. Гулия, Омоейкниге „История Абхазии“). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აფხაზე-თის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი ზურაბ ანჩაბაძე როგორც თავის მონო-გრაფიულ ნაშრომში „Изистории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), ისე ქართული ენციკლოპედიისათვის დაწერილ განმაზოგადებელ სტატიებში, ხაზგას-მით აღნიშ-ნავდა, რომ „აფხაზთა სამეფო“ „ერთ-ერთი ადრინდელი ფეოდალური ქართული სახელმწიფოა“ (ქსე, ტ. II, სტ. „აფხაზთა სამეფო“). ამ თვალსაზრისით სხვა აფხა-ზი ავტორების დასახელებაც შეიძლება. შეგნებულად არ მოვიხმობთ იმ ქართველ მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, მ. ლორთ-ქიფანიძე და სხვ.) მოსაზრებებს, რომელთაც არაერთი გამოკვლევა მიუძღვნეს აფხაზეთის ისტორიას. ნიშანდობლივია, რომ ამ დროს საურთიერთობო ენა საკუთრივ აფხაზეთში ქართული იყო. ქართულ ენაზე მიმდინარეობდა საკანცელა-რიო საქმიანობა, წირვა-ლოცვა. ერთი სიტყვით, ქვეყნის ყველა კუთხის (მათ შორის აფხაზეთის) სახელმწიფო ენა ქართული იყო.

რაც შეეხება ოსებს, ვფიქრობთ სადავო არ არის, რომ ისინი ჩრდილო კავკასიაში (ახლანდელი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე) გარკვეული საუკუნეების წინ დასახლდნენ სკვითურ-სარმატულ ტომებთან ერთად (ნიშანდობლივია, რომ ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჩრდილო აღმოსავლურ ჯგუფს). X-XII საუკუნეებში ოსეთის სამეფოს ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთანაც (XI-XII სს-ში ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო). თემურ-ლენგის შემოსევებმა ოსების გაერთია-

ნებას ბოლო მოუღო და ისინი გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს (უნგრეთში, ბალკანეთის ქვეყნებში და სხვ.). ოსების ერთი ნაწილი შეეცადა ქართლში გადმოსვლას და დამკვიდრებას, მაგრამ ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოხერხდა და იძულებულნი გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. XVII-XVIII სს-ში ოსები საქართველოს მთისწინა და ბარის ზოლში (ქართლის ჩრდილო განაპირა ტერიტორიაზე) ჩამოდიან და სახლდებიან. მცირე ნაწილი (კუდაროს ოსები) იმერეთის სამეფოში ჩასახლდა.

ქართლში დამკვიდრებული ოსები არაგვისა და ქსნის ერისთავებისა და მაჩაბლების სამფლობელოში მოხვდნენ. ისინი ფეოდალებს ქართველი ყმა-გლეხების მსგავსად ემსახურებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ ოსები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მომხდური მტრის წინააღმდეგ. შემონახულია ცნობები, რომ ოს ყმა-გლეხებს ყურადღებით ეკიდებოდა ერეკლე II. იგი საგანგებოდ სწერდა ზაზა მაჩაბელს, რომ მის მსახურებაში მყოფი თორმეტი ოსისათვის დროულად მიეწოდებინა საკვები და კეთილად მოჰკიდებოდა მათ.

გაკვირვება გამოიწვია რუსეთის პრემიერ-მინისტრის (იმხანად ეს თანამდებობა ეკავა მას) ვლადიმერ პუტინის ჩ–ისადმი მიცემულ ინტერვიუში გამოთქმულმა კატეგორიულმა განცხადებამ, რომ რუსეთის შემადგენლობაში არსებობდა ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი (ერთიანი ოსეთი), რომ ი. სტალინმა ოსეთი გაჰყო და სამხრეთი ოსეთი საქარ-თველოს გადასცა, სადაც ავტონომიური ოლქი შეიქმნა; რომ ი. სტალინისავე ძალის-ხმევით აფხაზეთის ტერიტორია საქართველოს გადაეცა: აქ შეიქმნა აფხაზეთის ავტონო-მიური რესპუბლიკა. ჩვენ ვერ მოვთხოვთ ბატონ ვ.პუტინს კავკასიის ისტორიის უზადო ცოდნას, მაგრამ ისინი კი ვინც პრემიერ-მინისტრს ამგვარი ინფორმაცია მიაწოდა, შორს არიან ჭეშმარიტებისაგან. როცა სახელმწიფოს მეთა-ური ამგვარ განცხადებებს აკეთებს, მას მეტი დაფიქრება სჭირდება; არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ფაქტებს გადამოწმებაა საჭირო. სამწუხაროდ ბოლო პერიოში რუსეთ-ოსეთის ისტორიის ბევრი ფაქტის გაყალბება ხდება (იხ. ან. თოთაძე, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბ., 2006 წ.).

საკმარისია გავეცნოთ ოსი ისტორიკოსის პროფესორ გ. თოგოშვილის გამო-კვლევებს, მის სტატიებს ქართულ ენციკლოპედიაში, განსაკუთრებით სპეციალურ ტომში „საქართველოს სსრ“. თავი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სამხრეთი ოსეთი“ (1981 წ., გვ. 337-339), რომ რეალურად წარმოვიდგინოთ სამხრეთ ოსეთის ისტორია. ამ თვალთახედვით საინტერესოა, ვ.აბაევის, ბ. ფლიევის, ო. თედე-ევას, ზ. გაგლოითის, პ. დოგუზოვისა და სხვ.ნაშრომები. აი, რას წერს ოსური მეცნიერების პატრიარქი ვასილ აბაევი: „Главный Кавказский хребет – естественная граница между Грузиейи Осетией, а всякая попытка размыть эту границу повлечет за собой состояние перманентного конфликта между грузинами и осетинами... надо прежде всего покончить с разговорами об отторжении Южной Осетии от Грузии. Ни одно грузинское правительство с этим никогда не согласится и будет право, потому что это будет означать нарушение территориальной целостности Грузии.

Кто хочет мира между южными осетинами и грузинами, должен навсегда отвергнуть идею при соединения Южной Осетии к Северной. Кто хочет мира между Грузиейи Россией, также должен оставить эту идею. Такова реальность („Независимая газета, 1992 г., 22. I., №13). აი, ჭეშმარიტი ოსი პატრიოტის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრება. კომენტარი ზედმეტად მი-

მაჩნია. სამწუხაროა, რომ ამგვარი სიბრძნე არც ოსმა და არც რუსმა ფუნქციონერებმა არ გაითვალისწინეს. ალბათ წინ მძიმე შედეგს უნდა ველოდეთ.

ბოლო პერიოდში რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელ-დება აბსურდული მტკიცება – თითქოს 1774 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, რუსეთს შეუერთდა არა ისტორიული ოსეთის ერთი ნაწილი, არამედ მთელი ოსეთი. აქ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილსაც გულისხმობენ, სადაც შემდგომში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა. 2004 წლის 10 ივლისს რუსეთის დუმამ უპასუხისმგებლო, შეიძლება ითქვას, აბსურდული განცხადება გააკეთა, თითქოს და 1774 წელს ოსეთი ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. აქედან გამომდინარე საჭიროდ ჩაითვალა, რომ რუსეთმა დაიცვას ოსი მოქალაქეების უფლებები. აქ საქმე გვაქვს ისტორიის ელემენტარულ უცოდინარობასთან. აღვნიშნოთ, რომ იმ დროს გეოგრაფიული ცნება „ოსეთი“ არ არსებობდა. ცხადია, არც ასეთი სახელმწიფო არსებობდა. თვით ოსებსაც, რომ-ლებიც ქართლის მთიანეთში ცხოვრობდნენ, თავი ხიზნებად მიაჩნდათ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსი ჩინოვნიკები ცდილობენ დაამკვიდრონ ხელოვნური ტერმინები „ჩრდილოეთი ოსეთი“ და „სამხრეთი ოსეთი“. XIX საუ-კუნემდე კი არავითარი საბუთი არ მოიპოვება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდა. რეალურად 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილო კავკასიის სამი ხეობის – ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ოსური თემები. მეოთხე თემი – დიგორი ყაბარდოს გამ-გებლობაში იყო და რუსეთს 1781 წ. შეუერთდა. რაც შეეხება შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც შემდგომში ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ ქართლისა და ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა განუყოფლად. 1783 წლის გეორგიევ-სკის ტრაქტატზე თანდართული მასალები საშუალებას გვაძლევს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი და მისი უკიდურესი ჩრდილოეთი პროვინცია დვა-ლეთი ქართლ-კახეთის შემადგენლობაში შედიოდა (ერთხანს (XVII საუკუნე) გიორგი სააკაძე იყო დვალეთის მოურავი).[25] რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირების (1801 წ.) შემდეგ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი დვალეთითურთ ერთხანს იმერეთის გუბერნიაში შედიოდა, შემდეგ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. 1858 წ. კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგუ-ლებით დვალეთი „კავკასიის ლინიის“ ოსეთის ოკრუგს გადასცეს. ამგვარად, ჩრდილოეთ ოსეთს მიურეთეს მხოლოდ დვალეთი და არა შიდა ქართლის ის მიწა, სადაც შემდგომში ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონო-მიური ოლქი ჩამოყალიბდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918 წ.) შემდეგ (ოქ-ტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაც დაანგრია) დვალეთი კვლავ საქარ-თველოში შემოვიდა. 1920 წლის 7 მაისის რუსეთსა და საქართველოს დემოკ-რატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა საქარ-თველო-რუსეთის საზღვარი – იგი კავკასიის მთავარ ქედზე გადიოდა. ამდენად სრულიად ცხადია, რომ შიდა ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი – დვა-ლეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო.

რუსეთს მიზნად ჰქონდა დასახული შიდა ქართლის შეერთება და ყოველ-გვარად ცდილობდა ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტური სიტუაციის შექმნას. საბჭოთა რუსეთმა

[25] რ. მეტრეველი, რაჭა, შტრიხები წარსულიდან, თბ., 2013, გვ. 167-172.

ოსეთში და შიდა ქართლში შეიარაღებული აჯანყე-ბების ინსპირირება მოახერხა. მათი მიზანი იყო „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მისი საქართველოსგან ჩამოცილება და რუსეთისთვის მიერთება. შემდეგ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ჩაიგდებდნენ ხელთ. 1920 წელს საბჭოთა რუსეთმა და ბოლშევიკებმა აჯანყებულ ოსებს ყოველ-მხრივ შეუწყვეს ხელი ე. წ. სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოც-ხადებას და ეს ტერიტორია საბჭოთა რუსეთის ნაწილად გამოაცხადეს. ეს აქტი ყველა ნორმის დარღვევით გატარდა: დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, იგნორირებულ იქნა ქართველი მოსახლეობის აზრი და ნება. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920 წლის 23 მარტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „I. Организовать ревком в Южной Осетии... 2. объявить Советскую власть... 3. Немедленно сформировать вооруженный отряд. 4. Войти в связь с северной Осетией... враспоряжении Ревкома отпустить 100 тысяч рублей (сто тысяч рублей). არის ასეთი მიმართვაც: „Москва, ЦКРКП(Б), товарищу Ленину и Чичерину. Согласно приказу Кавказского Краевого комитета от 23 марта, подтвержденному особыми Курьерами того же Комитета... 8 июня в Южной Осетии провозглашена Советская власть“ არსებობს სხვა მასალები, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, თუ ვისი კარნახით გააჩაღეს ოსებმა ძმათამკვლელი ბრძოლა. ამდენად საქართველოს ე. წ. „ნაციონალ-შოვინისტური“ მთავრობის დადანაშაულება ოსი ხალხის „გენოციდში“ რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა.

ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელდა საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური პარტიის მზაკვრული გეგმა – 1921 წლის თებერვალში საქართველო გასაბჭოვდა. რაც ფაქტობრივად ანექსიის (უკვე მეორედ) ტოლფასი იყო. ამით საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. ნიშანდობლივია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთს ბოლშევიკებმა ყოველგვარი სამართლებ-რივი საფუძვლის გარეშე, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სტატუსი მისცეს (1922 წ. აპრილი). რაც შეეხება ოსების ისტორიულ სამშობლოს – ჩრდილოეთ ოსეთს, მას ორი წლის შემდეგ (1924 წლის ივლისი) მისცეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და იგი რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. ე. წ. სამხრეთ ოსეთში შევიდა მეტ-ნაკლებად ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რაიონები და ხელოვნურად მიმატებული ქართული ქალაქი ცხინვალი (1900 წლის „Кавказскийкалендарь“-ის მიხედვით XX საუკუნის დად-გომისას ცხინვალში ცხოვრობდნენ, ქართველები, ქართველი ებრაელები და სომხები) და მის ირგვლივ მყოფი რამდენიმე ქართული სოფელი. ეს გარკვეული ძალადობით მოხდა და ქართველი მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამო-იწვია (მასალები იხ.წიგნში: „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტო-რიიდან“, თბ., 1991, გვ. 56-73). ავტონომიური ოლქის შექმნამ იმ რეგიონის ქართული მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში ეროვნულ უმცირესობად აქცია, რაც თავის მხრივ ადამიანის და ერის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში დარღვევა იყო.

აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ოსებს საქართველოს შემადგენ-ლობაში ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ 1990-91 წლებში საქარ-თველოში 100 ზოგადსაგანმანათლებლო ოსური სკოლა იყო, აქედან 90 ე. წ. სამხრეთ ოსეთში იყო. აქ სწავლა ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. დამოუკიდებელ საგნებად გადაიცემოდა ოსური ენა და ოსური ლიტერატურა. ცხინვალში ფუნქცი-ონირებდა პედაგოგიური ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო, მუსიკალური, სამხატვრო სასწავ-ლებლები; პრო-

ფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და სხვ. 1979 წლის მოსახ-ლეობის აღწერის მიხედვით ე. წ. სამხრეთი ოსეთი უმაღლესგანათლება მიღებულთა რაოდენობით ყოველ ათას სულ მოსახ-ლეზე საბჭოთა კავშირში მეორე ადგილზე იყო. 1927 წელს შეიქმნა მხარეთმცოდნეობის ინსტი-ტუტი, რომელიც შემდგომში გარდაიქმნა სამხრეთ ოსეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტად (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში). ცხინვალში მომზად-და და გამოიცა ოსეთის ისტორიის (დოკუმენტები და მასალები) მრავალტომეული, „სამხრეთ ოსეთის ისტორიის“ ორტომეული, „ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ოთხ ტომად, „ოსუ-რი ლიტერატურის ისტორიის“ მრავალტომეული, ოსური ზღაპრების სამტომეული, ოსური სიმ-ღერების კრებული (ნოტებითურთ). აქ ფუნქციონირებდა სახელმწიფო ეროვნული თეატრი, მხა-რეთმცოდნეობის მუზეუმი, სამხატვრო გალერეია, საჯარო ბიბლიოთეკა; მწერალთა , მხატვარ-თა, კომპო-ზიტორთა კავშირები, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ეროვნული ანსამბლი. მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა რადიომაუწყებ-ლობა. გამოიცემოდა გაზეთები, ჟურნალები, მხატვრული ლიტერა-ტურა. 1988 წელს ავტონო-მიურ ოლქში ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბ-ლიკასთან შედარებით ყოველ 10 ათას ოსი ეროვნების მოსახლეზე 5-ჯერ მეტი წიგნი გამოიცა, 3-ჯერ მეტი ტირაჟით. როგორც ვხედავთ, ოსებს საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ხალხი ყველანაირ საშუალებას აძლევდა ეროვნულ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

რაც შეეხება რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილო ოსეთის ავტონო-მიურ რესპუბლი-კას, იქ ვითარების დასახასიათებლად მოვიტანთ მცირე ამონარიდს ჩრდილო ოსეთის ავტონო-მიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ა. გალაზოვის პუბლიკაციიდან: „Мне всегда искренне жаль молодых людей моей национальности, когда, несмотря на знание иностранных языков и мировой цивилизации, они чувствуют себя неуютно домав силу незнания элементарных основ осетинской культуры... Национальную молодежь, к примеру, лишили ее родного языка. До прошлого года в Северной Осетии фактически не было ни одной школы с осетинским языком обучения“ (გაზ. „Правда“, 1989, 11–XI). აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

ბატონმა ვ. პუტინმა ზემოხსენებულ ჩ-ისადმი მიცემულ ინტე-რვიუში აფხაზეთის საქარ-თველოსათვის გადაცემის შესახებ, ცხა-დია, მცდარი ვერსია წამოაყენა. საქმე ისაა, რომ რუსე-თის მიერ საქართველოს შეერთების დროს (1801 წ.) აფხაზეთის სამთავრო ოსმალეთის გავლე-ნის ქვეშ იმყოფებოდა. 1812 წლის ბუქარესტის ზავის მიხედვით, ოსმალეთმა რუსეთის სასარ-გებლოდ დათმო აფხაზეთი. მოგვიანებით აფხაზეთის სამთავრო სოხუმის ოკრუგის სახით ქუ-თაისის გუბერნიაში შევიდა. XX საუკუნის დასაწისში სოხუმის ოკრუგის ჩრდილო დასავლეთი ნაწილი (აქ გაგრაც შედიოდა) შავი ზღვის გუბერნიას გადასცეს (1904 წ.). 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს შეთანხმებით (ხელშეკრულებით) საქარ-თველოს საზღვარი რუსეთთან მდინარე ფსოუზე გავიდა და შესაბამისად აფხაზეთის სამთავროს მნიშვნელოვანი ნაწილი სა-ქართველოს სახელმწიფოს შემად-გენლობაში დარჩა.

მას შემდეგ, რაც საქართველო გასაბჭოვდა (1921 წ.), აფხაზეთი საქართვე-ლოს შემადგენ-ლობაში იყო და აქვე დარჩა. ასე რომ, ამ ტერიტორიის ვინმესგან (რუსეთისა თუ ი. სტალინის-გან) გადმოცემის საჭიროება არ არსებობდა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება აფხაზეთს სა-ქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებდა.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, მიუხედავად ყბადაღე-ბული დაუსა-ბუთე-ბელი მტკიცებებისა (რასაც რუსი ფუნქციონირები ეწაფებიან) ისტორიულად ყოველთვის იყო საერ-თო ქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწი-ფოებრივი სივრცის ორგანული ნაწილი (იხ. З. Папаскири, Осоциально-государственномоблике Абхазии/Грузия, თბ., 2003). 1918 წლის 11 ივნისს აფხაზეთის სახალხო საბ-ჭოსა და საქართველოს დე-მო-გრაფიული რესპუბლი-კის ხელმძღვანელობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი გაერთიან-და დანარჩენ საქართველოსთან ავტონომიის უფლებით. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა აფ-ხა-ზეთის ახლადარჩეულმა სახალხო საბჭომ 1919 წლის 20 მარტს. 1920 წლის 16 ოქტომბერს მი-ღებულ იქნა აფხაზეთის ატვონომიის კონსტიტუცია, რომელმაც ხაზგასმით დააკანონა აფხაზე-თის ავტონომიური სტატუსი საქართველოს დემოკრა-ტიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. ეს დებულება თავის მხრივ გაამაგრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუ-ციამ, რომელიც საქართვე-ლოს დაფუძნებელმა კრებამ მიიღო 1921 წლის 21 თებერვალს. სა-ქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის 16 დეკემბერს განსაკუთრებული „სამოკავშირეო ხელშეკრუ-ლებით“ აფხა-ზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში ე. წ. „სახელშეკრულებო რესპუბლიკად“, თუმცა რეალურად იმთავითვე განიხილებოდა, როგორც საქართვე-ლოს ავტონომიური ერთეული. 1931 წელს აფხაზეთი გარდაიქმნა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (ასსრ) სა-ქართველოს შემადგენლობაში.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან აფხაზეთში დაიწყო სეპარატისტული მოძრაობა, რო-მელსაც საბჭოთა ხელმძღვანელებიც ახალისებდნენ. ეს მოძრაობა განსაკუთრებით გამძაფრდა 80-90-იან წლებში, როცა სეპარატისტებმა ძმათამკვლე-ლი კონფლიქტის ინსპირირება შეს-ძლეს. 1993 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედე-რა-ციის რეგულარული სამხედრო დანაყოფე-ბის მხარდაჭერით საქართველოსთან შეიარაღებული დაპირისპირებისას „გამარჯვება“ მოიპო-ვეს. ბოლო 20-25 წლის მანძილზე საქართველოს ხელისუფლება ვეღარ აკონტროლებდა აფხა-ზეთისა და ცხინვალის რეგიონს, ისინი ფაქტობრივად გასული იყვნენ საქართველოს იუ-რის-დიქციიდან.

სწორედ უკანასკნელი 25 წლის მოვლენები გვიჩვენებენ, რომ რუსეთი ყველა-ფერს აკეთებს იმისათვის, რომ ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, კერძოდ საქართველოში, ხელოვნუ-რად შექმნას მუდმივი საომარი რეჟიმი. რუსეთის პრობ-ლემა ისაა, რომ მას აღარა აქვს უფლება იყოს დომინანტი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. მისთვის ძნელია დაიჯეროს, რომ ეს რეს-პუბლიკები დამო-უკიდებელი სახელმწიფოებია. დღეს პოლიტოლოგები საყოველთაოდ აღია-რებენ, რომ რუსულ ელიტას სხვებზე დომინირების, ერთხელისუფლებიანობის ინსტიქტი ამოძ-რავებს. ისინი ცხოვრებას განიხილავენ იმ ადამიანის პოზიციიდან, რომელსაც სხვისი დაჩაგვრა შეუძლია. რაც შეეხება კავკასიას, მისი ტრადიციები და კულტურა თავისუფლების სიყვარული-თაა გაჯერებული. ჯერ იყო და რუსეთის არმიის შენართები უშუალოდ მონაწილეობდნენ სა-ქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთის კონფლიქტისას. რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ეს თავად აღიარა საქართველოში ვიზიტის დროს, საქართველოს მეცნიერებათა აკა-დემიაში სიტყვით გამოსვლისას.

რუსეთის სწრაფვა საქართველოში დამსჯელი ექსპედიციის მოვლენისა და ქვეყანაზე გავ-ლენის გავრცელების სურვილი აშკარად გამოჩდა ზემოხსენებული 2004 წლის 10 ივლისის რუსე-

თის დუმის განცხადებაში, სადაც თითქოს რუსი მო-ქალაქეების დაცვის მიზნით, საქართველოს „დასჯით“ დაემუქრნენ. თვით რუსი პოლიტოლოგი-ანალიტიკოსები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთი არ წავიდოდა ჩეჩნეთში ომის ესკალაციასა და საქართველოში სამბრძოლო მოქმე-დების გადა-ტანაზე. არ გამართლდა ექსპერტთა მოლოდინი. ჩეჩნეთში სისხლისმღვრელი ომი გააჩაღა რუსეთმა. პოლტოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს ომი აუცილებელი იყო მაშინ პრეზიდენ-ტობის კანდიდატის ვლადიმერ პუტინისათვის, რომლის რეიტინგი 2 პროცენტს უდრიდა. გასა-მარჯვებლად რაღაც უნდა გაკეთებულიყო. მიზანში ჩეჩნეთი იქნა ამოღებული. რუსულ ელიტას მუდამ სჭირდება საგარეო საფრთხის შექმნა, რათა რუსმა ადამიანმა არც ისე ხშირად იფიქროს ამ ელიტის კორუმ-პირებულობაზე და ქვეყანაში დემოკრატიული წყობის შექმნაზე (დეივიდ სა-ტერი – აშშ-ის ჰუვერისა და ჰადსონის ინსტიტუტების მეცნიერი-მკვლევარი).

ომისაკენ სწრაფვას განსაკუთრებით გამოხატავდა რუსეთის პრეზიდენტის 2002 წლის 11 სექტემბრის განცხადება, რომლის ძირითადი მომენტი იყო თეზისი, რომ თუ საქართველოს ხე-ლისუფლება კვლავაც დააპირებს „игнорировать резолюции ООН и не положат конец бандитским вылазкам с территории Панкиского ущелья“, რუსეთი ჩათვლიდა თავს უფლებამოსილად თავი ია-რაღით დაიცვას, ე. ი. მიმართოს შეიარაღებულ იძულებით ზომებს. გაუთვითცნობიერებელ პი-როვნებას, ვინც ამ განცხადებას გაეცნობა, ჩეჩნეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი ეგო-ნება, საიდანაც ხდება მეზობელ რუსეთზე „бандитские вылазки“ .

რას ნიშნავს „самооборона“ საერთაშორისო სამართალშიც გაერთიანებული ერების ორგანი-ზაციის წესდების 51-ე მუხლი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოებს აქვთ უფლება ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვისა (самооборона). ამასთანავე მკაცრად გასათვალისწინებელია, რომ შეია-რაღებული ძალის გამოყენება თავდა-ცვისათვის მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ესაა ერთი სახელმწიფოს აგრესიაზე საპასუხო მოქმედება მეორე სახელმწიფოსი, პოლიტიკური დამოუკიდებ-ლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით. ყოველი შემთხვევი-სათ-ვის ასეთი აგრესორი არ შეიძლება საქართველო ყოფილიყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „წო-ნით კატეგორიებში“ ასტრონომიული სხვაობაა რუსეთის სასარგებლოდ. რაც შეეხება ჩეჩნეთს, ესაა ერთ-ერთი ეროვნული რესპუბლიკა, რომელიც რუსეთის ფედერაციაში შედის და რომლის ხალხიც უთანასწორო ბრძოლაში იცავდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ასეთ შემთხვე-ვაში, ცხადია, გაეროს წესდების 51-ე მუხლის გამოყენებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ჩეჩნეთის სამხედრო კომპანიის საქართველოზე გავრცელება, როგორც ჩანს, რუსეთის უმაღლესი გენერალიტეტის მიზანს შეადგენდა. მიზანი კი საქართველოს ქალაქებისა და სოფ-ლების დაკავება და მოსახლეობის გაძარცვა იყო. დავუშვათ, რომ პანკისის ხეობიდან მართლაც გადადიოდნენ რუსეთში თუნდაც ბანდიტები. ვთქვათ, ისინი წინააღმდეგობის გარეშე ჰკვეთ-დნენ საქართველოს საზღვარს, მაგრამ როგორ გადადიოდნენ რუსეთში, იქ ხომ რუსეთის მე-საზღვრეები იდგნენ. როგორ ჰკვეთდნენ საზღვარს რუსეთისათვის არასასურველი პირები? აქ ხომ არ ვეძებოთ დამნაშავეები.

ვლადიმერ პუტინის 2002 წლის 11 სექტემბრის განცხადება საერთაშორისო ექსპერტების განხილვის საგანი გახდა. ნიშანდობლივია აშშ-ის მთავრობის ოფი-ციალური წარმომადგენლის ბერლინში დ.ევანსის განცხადება: „ვაშინგტონში თვლიან, რომ პუტინი თავის გენერლებს მთლად ვერ აკონტროლებს. სრულიად შესაძლებელია, რომ რუსეთის პრეზიდენტის მრისხანე განცხადება საქართველოს შესახებ – ამ სისუსტის კიდევ ერთი გამოვლინებაა“.

რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის განცხადება ფაქტობრი-ვად ულტიმატუმი იყო (დაწვრილებითი შეფასება იხ. Л. Ма-та-радзе, О силе возомнившей себя добродетелью и притязающий на вседозволенность, „Свободная Грузия“ 2002 г., 31. X). ეს იყო მო-თ-ხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ძალის გამოყენების მუ-ქარა. ამგვარი მუქარა კი აგრესიის ქრესტომატიული ნიმუშია (აგრესია მხოლოდ ძალის გამო-ყენება კი არა, არამედ მუქარაცაა ამ ძალის გამოყენების შესახებ). პრეზიდენტის განცხადებას დასავლეთის პრესის დაუფარავი კრიტიკა მოჰყვა და არა მხოლოდ დასავლეთისა. რუსეთის საერთო ეროვნულმა კომიტეტმა „ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარებისათვის“ გამოაქვეყნა თავისი მიმართვა: „Любая попытка вторжения в Грузию станет абсолютной катастрофой для России... Удар по Грузии станет тягчайшим преступлением против российской истории и государственности. Это будет удар в сердце самой России, страшные последствия которого придется искупать еще многим поколениям“.

სხვადასხვა ფაქტორების გამო საქართველოს „დასჯის“ მისია გადაიდო. მაგრამ არც ისე დიდი ხნით. დროის მსველობა და ვითარება აჩვენებდა, რომ რუსეთი პატივს არ სცემდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მის (ისე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების) სუვერენტიტეტს. იგი კვლავ ფიქრობს, რომ ყველა-ფერი კრემლმა უნდა გადაწყვიტოს და მზადაა მკაცრად დასაჯოს, ვინც ევროკავშირის ან ნატოსკენ გაიხედავს, ამის ნათელი მაგალითია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებთან უკანასკნელ ხანს დადებული საგანგებო ხელშეკრულებები. ასეთია რუსული რეჟიმის ხასიათი. როცა ასეთი ხელისუფლება კარგად შეიარაღებული და სამხედრო მზადყოფნაშია, მისი ფუნდამენტალისტური მენტალიტეტიდან გამომდინარე, საშიში ფაქტორია. თანაც ტრადიციული დიდმპყრობელური ფსიქოლოგია ზნეობრივი ნიადაგისგან შორსაა.

ნიშანდობლივია, რომ ახლადარჩეული პრე-ზიდენტის დ. მედ-ვედევის ბრძანებით შემოვიდა რუსეთის ჯარი საქართველოში და ხალხის ხოცვა-ჟლეტა და ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა. ამას ხაზი გაუსვა თვით ვ. პუტინმაც – აგვისტოს ომისდროინდელ პირველივე ინტერვიუში ხმამაღლა მიუთითა მემ-კვიდრეზე – ომი პრეზიდენტ დ. მედვედევის ბრძანებით დაიწყოო. შედეგი? შედეგი კატასტროფულია. ამაზე ალბათ ბევრი დაიწერება. დღეს ერთი რამის თქმა ღიად შეიძლება – **ეს იყო რუსეთის მიერ წინაწარ გათვლილი და კარგად დაგეგმილი ოპერაცია. საქართველო მკაცრად „დაისაჯა“.**

რუსეთის მმართველი ელიტის აზრი საკმაოდ გულწრფელად გადმოსცა დუმის დეპუტატმა სერგეი მარკოვმა. საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ კო-რესპონდენტის კითხვაზე, თუ როდის დამთავრდება ომი კავკასიაში, ს. მარკოვმა უპასუხა: „კავკასიაში ომები დამთავრდება მხოლოდ მის შემდეგ, რაც ამ რეგიონში რუსეთის სრული და განუყოფელი დომინირება დამყარდება“ (იხ.„საქართველოს რესპუბლიკა“, 2008 წ., 9/IX). ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია.

* * *

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი“ – გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს სტრიქონი მარადიული შეკითხვის ბადალია. დღეს, როცა მომხდური მტრისგან დანგრეულ და გადამწვარ სოფლებს ვუყურებთ, როცა ჩვენს თვალწინ ათასობით საკუთარი საცხოვრისიდან აყრილ და საკუთარ სამშობლოში ლტოლ-ვილად ქცეულ ათასობით ადამიანს ვხედავთ, როცა

ტკივილებთან ერთად დამარცხებით გამოწვეულ შეურაცხყოფის გრძნობა არ გვტოვებს, ადამიანი მტკიცედ რწმუნდება ამაოების ბიბლიური განსაზღვრის ჭეშმარიტებაში.

„ნუმცა დაგემართოთ ამგვარი რამ, გზად ჩამვლელნო! მოიხედეთ, შეხედეთ, თუ ყოფილა სატკივარი ჩემი სატკივრის მსგავსი, მე რომ მჭირს, უფალმა რომ შემყარა თავისი რისხვით!“ – ეს იერემია წინასწარმეტყველის გოდებაა (I–12). საოცრად ეხმიანება ქართველი კაცის დღევანდელ განწყობას.

გვიხდება კონსტატირება სამწუხარო ფაქტის, რომ XXI საუ-კუნეში, ამ ე. წ. იმედის საუკუნეში, ადამიანი ისეთივე ხარბია და ბოროტი, როგორიც წინა საუ-კუნეებში იყო. ძალმომრეობას კვლავ ფართო გზა აქვს. ცხოვრებაც „აღუვსებელ საწყაულად“ დარჩა და იმავ მიწისთვის ბრძოლა, „რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“ გააფთრებით მიმდინარეობს. მოკვდავთა ვალია, კარგად შეიმეცნოს და გაითავისოს ეკლესიასტეს სიტყვები: **„ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა“.**

ნიკო ხერკელაძე

აღდგომა

ისტორიის ნაცრემლარ გზაზე მშვიდათ ჩასძინებიათ საუკუნეებს, მაგრამ წარსულის ნალხენი და მგლოვიარე დღენი, შემორჩენილ საგანძურში მშვენივრობს.

ადამიანად წუთისოფელში არსებობა, სხვისათვის სიკეთედ ყოფნაა, და სამწუხაროდ ადამიანად არსებობა. ცოდვებთანაც არსებობაა, ბოლოს ეს ნასიკეთარ ნაცოდვილარი სხეული დედამიწამ უნდა ჩაიხუტოს. ღმერთის თვალს მზეს, სულ ხომ ელაღება, ესიყვარულება დედამიწისათვის მზერა, მზე ამოუსვლელი ცა უმზეო ცაა, მთვარე ამოუსვლელ ცაზე ვარსკვლავები არ კაშკაშებენ. უმთვარო ცა ხელოვნთათვის მუზადაკარგული ცაა.

დედამიწაზე ომების მოყვარე ხალხთა მოქმედება ცრემლადქცეული ხალხთა ისტორია, ზნემაღალ ადამიანთა საქმეებს, ისტორიის სიმყუდროვეში მშვიდათ სძინავთ, სამშობლოს არ მოყვარე ადამიანებს ტანისამოსი სულ ახალ-ახალი აცვიათ, მაგრამ სული აქვთ გახუნებული. დასაბამიდან დედამიწაზე, სინათლე და სიბნელე, სულ ჩახუტებულნი ჩურჩულებენ, ან სულ დღე იყოს ან სულ ღამე, მაგრამ არაფერი გამოდის,იმის გამო რომ ღვთისაგან დადგენილი მოვლენაა, დღე-ღამის მონაცვლეობა დროს ქმნის, მაშ საიდან გავიგებდით წასულ დროსა და წაუსვლელ დროს.

მაცხოვარ იესოს წამების მაცქერალი ჭირისუფალი მზე, დღემდე ცრემლებს იწმენდს და ეს ნაცრემლარი, წვიმად ქცეული გლოვით დედამიწა ხალხთა ცოდვებისაგან კრისტალდება.

დედამიწა სიცოცხლის შინაარსის მატარებელია, მას არ უყვარს თავის სხეულზე ომები, არც ის ქვეყნები უყვარს, რომელნიც ომის მოსურვენი არიან,დედამიწა გლოვობს როცა ადამიანები ერთმანეთს ანადგურებენ. როგორ სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ქვეყნის ადამიანები, ომე-

ბის გარეშე ვერ ძლებენ,ამით დედამიწას აბრაზებენ. ომის მოსურნე ადამიანები როცა გარდაიცვლებიან და მათი სხეული მიწამ უნდა ჩაიხუტოს,ამით დედამიწას გული ერევა და ამ რისხვას მიწისძვრებით გამოხატავს.

დედამიწა შეურაწყოფილი მადლი, უფლისაკენ,ზეცის შემყურეა და ისევ შველას ითხოვს. რა უსაზღვროა სამყარო, დედამიწა იქიდან წერტილივით მოჩანს და უფალი იესო ქრისტე სწორედ დედამიწაზე მოევლინა ქვეყნიერებას.თუ სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობისთვის და მათ შორის ქართველებისთვის სამშობლო დედამიწაზეა, სწორედ მაცხოვრისათვისაც სამშობლო დედამიწაა,ამდენად იგი ადამიანია და უპირველესად კი მამაღმერთის ძე დედა კი მარიამ ღვთისმშობელია. სული ღვთის ნაჩუქარია,ასეთი სული არ აღმოაჩნდათ იესოს მწვალებლებს, თუ ჰქონდათ ძალიან მცირე, როგორც პილატეს, მე ხელები დამიბანიაო,როცა ამბობდა თითქოს ხელების დაბანვა მისგან ცოდვებისაგან გათავისუფლებას ნიშნავდა.

მაცხოვრის წამების შემყურე გოლგოთის ღამემ, ცრემლები წვიმებად ჩამოადინა,იესოს სიკეთისაგან ბოროტება იმართებოდა მაშინაც და დღესაც, გოლგოთაზე რუხ მწუხარებას სიჩუმე დარაჯად ედგა, მაცხოვრის ზნეობრივ სიმყუდროვეში არასოდეს არ ჩაქრება კელაპტრები,მამა ღმერთის თვალი მზეა და ძე ღმერთი იესო ერთმანეთის ნათებაშია გატოლებულნი.

ადამიანთა მაღალი ზნეობის სისპეტაკეს და მარადიულ გზას იესოს თვალი მფარველობს, სულამომქრალთა გამრუდებულ დროში ისევ ცოდვისშვილები ითხოვენ შველას. იესო ისევ ყველას შემწყალეა. ფიქრგაცვეთილი გონება,სიკეთეს ვეღარ აკეთებს,დღეს ჩვენი პატრიარქი ილია მეორე როგორ ლამაზად ამბობს “აკეთე სიკეთე და სიხარული მუდამ იქნება შენთან”

იესო ქრისტე ჯვარზე გააკრეს სატანაჩასახლებულმა სხეულებმა და კარებ გაბზარულმა დრომ. შურით ნაავდრალ იმ დროის ადამიანთა ჯგუფს თვალები დაელამებული ჰქონდათ. სინათლესა და სიკეთეს ვერ არჩევდნენ და ამ საფუძველზე დავიწყებული მადლი მტირალი დადის.

მაცხოვრისაგან დანათლულ, ქვეყანაზე უდიადეს სიკეთის მატარებელ მადლს, ხალხი სულ ებრალება მაგრამ ვერაფერს ვერ შველის, ამიტომ სანუგეშოდ ისევ მაღალ ღმერთს შეჰყურებს, მიწაზე მას ზნეამომქრალი ადამიანები,ადგილის წართმევას ცდილობენ,დასჯას უპირებენ, განაპირებას, ყველა გზის გადაკეტვას.

ხალხი დარდით დღესაც მდუმარეა, მაცხოვარი, თან ცრემლით და სისხლით დანამული მოთმინების გვირგვინი ადგას თავზე.

სულ რამდენიმე დღეში,უფლის მადლი, ზოგიერთვისთვის უმადურობად იქცა, ხოლო, ჯვარცმა დაკარგული უმადურობა ქრისტეს აღდგომად.

გმინვადქცეული ცის მუქი სილურჯე, ელვის შუბმა გახია, მსოფლიო ცოდვას მამა ღმერთი დედამიწას ნაკადულებად ჩამოსტიროდა,ხოლო მარიამ ღვთისმშობლის ბალახზე ნაცრემლარი ნამი ჯვარზედ გაკრულ მაცხოვარს ესამძიმრებოდა.

ამაღლება გვემისა და წამების, შემდეგი მოვლენაა იესოს ნიჭიერება და სიკეთე შურის სამიზნე იყო.

ჯვარზე გაკრული იესოს სული, მისავე სხეულს,ისევე ხალხისათვის ლოცვებად ამაღლებდა. იესოს მოძღვრება მოციქულებს, ტკბილ ნანასავით შენარგები ჰქონდათ,უმეცრებისაგან ჯვარზე გაკრული იესო, სიყვარულის მანტიაშია გახვეული, მაგრამ იმ დროს მის თავზე ეკლიანი გვირგვინისაგან ნადინარი სისხლის წვეთები არ ჩერდებიან და დღეს ჩვენს ძვირფას ხატებზე

მირონებად ჩამოედინებიან და ქართველებისათვის ყოველი ჩაქუჩის ლურსმანზე დანარტყამი, იესოს სამსჭვალზე დანარტყამს გვახსენებს.

დადიოდა ორიათასი წლის წინ,იესო დედამიწაზე და უმადურთა უგუნურებას დასტიროდა და ეს ნაცრემლარი გზა ადამიანთა გულებისაკენ მიდიოდა, მაშინაც , დღესაც და მომავალშიც იესოს არსებობა და სიკაშკაშე ისე იბრწყინებს, როგორც ბადრი მთვარე უკიდეგანო ღამეში.

ჰო დედამიწაა დედამიწა ყველა ციურ სხეულთაგან ნაფერები,ყველა ეპოქის ადამიანთა,ფიზიკური არსებობის საფუძველი,მერე მათი გარდაცვალების თავის მკერდში ჩამხუტებელი, ქართველებმა ამ სასიცოცხლო პლანეტას დედამიწა დაარქვეს,ესაა უმთავრესი, იმიტომ რომ დედამიწა დედობის განცდაში ასოცირდება და მერეა მიწა, რომ ისევ ქართველებმა დაბადების ადგილას ამ განსაზღვრულ მიწა-წყალს,განკუთვნილად მოქცეულს საზღვრებში დედა სამშობლო დაარქვეს. ქართველ ხალხს მთელი გრძელი ისტორიის მანძილზე, სხვა მეზობელი ქვეყნებისაგან ერთი გოჯი მიწაც რომ არ მიუთვისებიათ.

ისე როგორც ძალით შერთულ ქალს მეუღლეობა ვერ დაერქმევა,როგორც ნაძალადევ და ანგარებულ მეგობრობას მეგობრობა არ ჰქვია, ისე სხვისგან მიტაცებულ, ოკუპირებულ მიწის მონაკვეთს სამშობლო ვერ დაერქმევა.

როგორ დიდებულია რომ

მიწიდან ამოდიოდა მწვანე ბალახი, მათ დროებით ეძინათ. სასაფლაოებზე ყველგან ცრემლია დაღვრილი, განა ცოტაა ბევრი და მძიმე, მიწას მაგიური ძალით ,რომ აპოხიერებს, ამა წუთისოფლის ვაება ადამიანთა ცრემლებში კრისტალდება. სხვა ამოუცნობი ძალა ეძლევა,ეს მოუშორებელი ვარამი ცრემლად ქცეული ნამტირალევი დედების გულიდან გამოჟონილი. — როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობდა “ადამიანში ყველაზე ლამაზი თვალებიაო. ამ თვალებიდან ყველაზე ლამაზად სული იყურება, დამწუხრებული სული სწორედ თვალებითა ტირის ცრემლად მოედინება, სად მიდის ამდენი გლოვით ნადენი ცრემლი? ჰო მიწაში, აბა სად წავა. იების ფესვები ცრემლითაა ნასაზრდოები და მიწაზე ისევ ცრემლებად ამოტირებული, ნაცრემლარი მიწიდან, იებად ამოფრქვეულა. საფლავების სამარადჟამო, მოლიცლიცე მწუხარების ნამი პატარა იები, სასიამოვნო ფერებით, იესო ქრისტეს ჯვარცმის იერ-სახე, სურნელი და როგორი, მიწიდან ამოსდევთ აბა საიდან, ღვთის ძალაა ღვთისა,ამ სპეტაკ ფერებად და სურნელებად რომ ამონარნარდებიან მიწის გულიდან. თან გაზაფხულად რომ მოდიან, ერთმანეთს ჩახუტებულნი, ჩუმად არიან, სულ ჩუმად, მათაც ლამაზ პეპლებივით მცირე სასიცოცხლო დრო აქვთ, რატომ არის იები ყვავილთა მეფე ეს იმიტომ რომ აღდგომას უკავშირდება თავის სურნელითა და ფერთა წითელი სინაზით, რომელიც იესოს ფერდში შუბის ძგერებით გადმოდინდა,ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად აღსდგა. ყოველი გაზაფხული ქრისტეს აღდგომაა და მიცვალებულთა სააღდგომო ხსენება.

წვანან ისევ, წვანან სასაფლაოებზე, მძიმე ნაცრისფერი ლოდები და წითელი კვერცხების გაგორებას ელოდებიან.

10 ნოემბერი. 2015წელი თბილისი.

ამალია საზანდრიშვილი

აკაკი გასიტაშვილი
მოგონებათა ფურცლები

აკაკი გასიტაშვილზე დაწერილი წიგნი რომ ერთგვარად სრული ყოფილიყო შევეცადე მეტი დატვირთვა მისი არქივისათვის მიმემართა.

მოგონებათა ერთ ნაწილს ავტორი პირდაპირ უწოდებს „მოგონებათა ფურცლებს.“

ბატონი აკაკი ამით უფრო მეტად გაგვახსენებს თავს. გულწრფელობა ხომ მისი ცხოვრების ფარი და მახვილი იყო!

აი, ეს მოგონებანიც!

XX საუკუნე და 60-იანი წლები ძვირფასია საქართველოს იმ ახალგაზრდობისათვის, რომლებმაც გმირული შრომით აქტიური წვლილი შეიტანა ყამირის ათვისებაში.

მე მინდა მოგითხროთ ჩემი და ჩემი აღსაზრდელების შესახებ. (გვესაუბრა ბატონი აკაკი გასიტაშვილი).

მაშინ სურამის მექანიზაციის სასწავლებელში ვმუშაობდი უფროს ოსტატად. „შრომითი რეზერვების“ მთავარმა სამმართველომ არჩევანი ჩვენზე შეაჩერა, მოსწავლეთა შერჩევას შევუდექით, განვუმარტავდით ყამარის ათვისების დიდ მნიშვნელობას, არც ის დაგვიმალია, რომ იქ უჩვეულო პირობეებში მოუხდებოდათ შრომა და ცხოვრება.

42 კაციანი რაზმი ჩამოვაყალიბეთ. მათი ხელმძღანელობა მე დამევალა. ჩვენთან ერთად მოდიოდა აგრეთვე საწარმოო სწავლების ოსტატი ისაკ ნიკოინი.

მუშაობა კუსტანაის ოლქის კარაბალიკის რაიონის ბუსკულის კოლმეურნეობაში მოგვიწია.

თვალწინ გადაგვეშალა ყამირის უკიდეგანო სივრცეები. გვეგონა, სოფლის ახლოს მოგვიწევდა ყოფნა, მაგრამ ბუსკულიდან 25 კილომტერზე გადაგვისროლეს.

ჯგუფი ორად გავყავი და სატრაქტორო ბრიგადებში გავანაწილე. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო მოგვემზადებინა კალოები, ტექნიკა. შემდეგ კი უდანაკარგოდ აგვეღო მოსავალი.

ვცხოვრობდით სახელდახელოდ გაწყობილ კარვებში. პირველ ხანებში ახალგაზრდებს უჭირდათ მიჩვეოდნენ ცხოვრების საველე პირობებს, მაგრამ პარტიის კარაბალიკის რაიკომის მდივნის ნურ მუხამედოვისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის დახმარებით ორ-სამ დღეში მოვაწყეთ საველე სამზარეულო. მოსწავლეთაგან გამოვყავით მზარეული.

წესრიგში მოვიყვანეთ ტექნიკა. იმ დროისთვის მუშაობდნენ უმთავრესად მისაბმელი კომბანიები „სტალინეც-ნ“ და ახლადშექმნილი თვითმავალი კომბაინები „ს-4“. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მოითხოვდა კონსტრუქციულ დახვეწას და ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან სხვადასხვა ტექნიკური მიზეზით. ჩვენი ძალებით ბრიგადებს შევუკვეთეთ 4 კომბაინი და 6 ტრაქტორი. ბუსკულის კოლმეურნეობის სახნავ-სათესი ფართობი 25 ათას ჰექტარს შეადგენდა. თითოეულ ბრიგადაზე გაპიროვნებული იყო 4-5 ათასი ჰექტარი. ადვილი წარმოსადგენი იქნება იმ სამუშაოთა მოცულობა, რომელიც უნდა შეგვესრულებინა მოკლე დროში. ყამირზე თავდადებული შრომით სახელი გაითქვეს ჩვენი სასწავლებლის მოსწავლეებმა მოსიძემ. ინასარიძემ, შონიამ, ვაშაძემ და

სხვებმა. რვა ახალგაზრდა დაჯილდოვდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშნით „ყამირი მიწების ათვისებისათვე“ ხოლო 18 კაცს სიგელები გადაეცა.

სამკერდე ნიშნით მეც დამაჯილდოვეს (რომელიც ყამირზევე გადმომცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. შევარდნაძემ), ხოლო ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის კარგი ორგანიზაციისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს „შრომითი რეზერვების“ მთავარმა სამმართველომ დამაჯილდოვა საპატიო სიგელით, დამამტკიცეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილედ.

ახლა, როდესაც ხელთა გვაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ.ი. ბრეჟნევის წიგნი „ყამირი“, თვალწინ კვლავ მიცოცხლდება 1956 წლის ის დღეები. ამ მოგონებებით შემოჯარული ჩემს მოსწავლეებს მოვუთხრობ ყამირის გმირულ ეპოპეაზე საბჭოთა ხალხის ურღვევ ძმობასა და მეგობრობაზე, კომუნისტური პარტიის უდრეკ ნებაზე, რამაც შესაძლებელი გახადა ადამიანის სამსახურში საუკუნოვანი უსიცოცხლო სტეპების ჩაყენება. და ვერ ვმალავ სიამაყეს, რომ ამ დიდ საქმეში ჩემი და ჩემი მოსწავლეების, ქართველი კაცის წვლილიც ურევია.

სურამის მექანიზაციის სასწავლებელის მოსწავლეები ყამირზე

ყამირზე მშვენიერი საწარმოო პრაქტიკა გავიარეთ, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინეთ.

ჩემმა აღსაზრდელებმა იციან, რომ ყამირის პირველი დიდი მოსავლის აღების მონაწილე ვარ. ყამირზე ხალხის უკვდავ გმირობას მიეძღვნა ლექსების ციკლი „ყაზახეთის ველებზე“ ავტორი ი.ნონეშვილი. მკითხველს ალბათ კარგად ახსოვს ამ ციკლის ლექსები „ბიჭო, იქნებ, პაპა იყო შენი“, „აქლემები“, „ქება ადამიანს“ და სხვები.

ერთ-ერთ ლექსში ავტორი წერდა:

„გეყო დასვენება, სასვენო მიწავ,
ბევრჯერ დახვიქულო, ბევრჯერ დამეხილო,
გეყო დასვენება, სასვენო მიწავ,
უნდა წვრილშვილივით ყანა დაგეხვიოს“.

მართლაც ყამირის ათვისება იყო ხალხის მეგობრობის დიდი გამოცდა, რაც პედაგოგების ენით რომ ვთქვათ, ფრიადზე (ათიანზე) ჩატარდა.

აკაკი გასიტაშვილი

მოგონებანი
„სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“...

ასე გვმოძღვრავდა ბატონი აკაკი გასიტაშვილი ჩვენი სასწავლებლის ყველა მოსწავლეს, ყველა თანამშრომელს, დიდი იყო თუ პატარა.

ერთხელ ჩვენი სასწავლებლის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ვისხედით ჩვენი ჯგუფის მოსწავლეები და ვკითხულობდით ჟურნალ-გაზეთებს.

უცებ კარები გაიღო და ფეხაკრეფით შემობრძანდა ბატონი აკაკი გასიტაშვილი. ჩვენ ყველანი ფეხზე ავდექით, მან მადლობა გვითხრა, მოგვეფერა და ისიც დაჯდა და მოიმარჯვა გაზეთი, დაიწყო კითხვა. ჩვენც ჩვენი დაწყებული საქმე გავაგრძელეთ.

როცა კითხვას თავი დავანებეთ ბატონ აკაკისა და ჩვენს შორის გაიმართა საუბარი. ბატონმა აკაკიმ ერთ-ერთი შეკითხვის პასუხად ასე გვითხრა: „მოხდა ისე, რომ ბევრ თქვენგანს, ზოგს იძულებით, ზოგს ნებაყოფლობით არგუნა ღმერთმა სამშობლოს გარეთ ცხოვრება. შვილებო, მთავარია, რომ თქვენ არ მოწყდეთ ქართულ სულიერებას და მშობლიურ ფესვეზე გაიზარდოთ“. არ დაგავიწყდეთ, „ვისი გორისა ხართ“ არ გაცვალო სალი კლდეები, სხვა ქვეყნის სამოთხეზე. სულერთია სად ისწავლი– რუსეთში თუ ამერიკაში, გერმანიაში თუ სხვა ქვეყანაში, მთავარია, სამშოლოს დაუბრუნდე და შეძენილი ცოდნა მის კეთილდღეობას მოახმარო“. ბატონ აკაკი გასიტაშვილის დამოძღვრა ჩემი ცხოვრების თანამდევი გახდა.

ქარელის №40 სპტს დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყეთ ჩემ საყვარელ საქართველოში, ჩემს სოფელში.

ლეილა ქოთუაშვილი
ნათია წიქარიშვილი

ავტორისაგან

ეს წიგნი საჩუქარია იმათთვის, ვისთვისაც ძვირფასია აკაკი გასიტაშვილის სახელი. ასეთები კი ათობით და ათასობით არიან.

ეს წიგნი ხსოვნაა იმ უდიდესი ღვაწლისა, რაც კი აკაკი გასიტაშვილმა ჩვენი ქვეყნისთვის გასწია.

ეს წიგნი მისი მოწაფეების გულის მალამოა.

დრო მიდის და საყვარელი მასწავლებლის სიკვდილით გამოწვეული ვარამი არ ნელდება, ტკივილი არ ცხრება. წუხილი არ ყუჩდება.

უდედმამობა ძნელია, მაგრამ არც უმასწავლებლობა ყოფილა ადვილი!

ჩვენ ამ წიგნით ვცადეთ ბატონი აკაკი გასიტაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგი ფაქტი გაგვეხენებინა.

ისეთ მასწავლებელს, მეგობარს, მზრუნველს, დამრიგებელს, მამას, როგორიც ბატონი აკაკი იყო, დავიწყება არ უწერია, ბატონმა აკაკიმ ძვირფასი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

მინდა დაგარწმუნოთ რომ– ბატონ აკაკის რამდენი ადამიანიც იცნობდა, იმდენი მოგონებების თქმა და დაწერაა შესაძლებელი.

ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მათგანის მოგონებას გთავაზობთ.

ჩინებულთაგან რჩეული

„მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულნი“... სახარების ამ ფრაზით მინდა დავიწყო სიტყვა ბატონ აკაკი გასიტაშვილზე, კაცზე, რომელიც ჩინებულთან რჩეული იყო.

ბატონი აკაკი ჩემი დირექტორი გახლდათ ქარელის №40 პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში. გამოირჩეოდა ღრმა ერუდიციით. იყო ობიექტური შემფასებელი ყველგან და ყველაფერში. ჩვენ, ყველა თანამშრომელს, დიდი რიდი და მოკრძალება გვქონდა მისი. ვერაფერს გამოაპ-

რებდი. ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელო ცვლილებასაც კი გრძნობდა და მიგვანიშნებდა ხოლმე.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სანახავად მივედით სამი თანამშრომელი. გული ჩამწყდა ფერი დაკარგოდა, გამხდარიყო, რაღაც საოცარის მოლოდინი ეტყობოდა, მაგრამ არ დაუჩივლია.

პატარა ოთახში მხოლოდ მისი საწოლი იდგა. ყველა კედელზე ჭერამდე დაკიდული თაროები წიგნებით იყო სავსე. სხვა სიმდიდრის შეძენაზე ბატონ აკაკის არასოდეს უზრუნვია. იგი ხომ უჩუმრად, ხმაურის გარეშე ეზიდებოდა მასწავლებლობას და საზოგადო მოღვაწეობის მძიმე ტვირთს, ხოლო გასამრჯელოდ ამაგით მოხვეჭილი სიყვარული და პატივისცემაც ჰყოფნიდა.

კაცის ცხოვრება სენევას აზრით, იგავ-არაკივით შინაარსით იზომება და არა სიგრძით.

ბატონი აკაკის მრავალ ღირსებით გამორჩეული სიცოცხლე და ცხოვრება თავად იქცა მამულიშვილური ცხოვრების საზომად.

სიცხოცხლესაც დასასრული აქვს, რამეთ ყველა კაცი მოკვდავია.

მე მისი სიკვდილი ისე მაქვს წარმოდგენილი რომ, ის მადლობას უხდიდა ყველას და ყველაფერს, და ალბათ მასაც ყველამ ასე უპასუხა, რომ ალალი იყოს ხანგრძლივი და შინაარსიანი ცხოვრებით გაჯერებული წლები, ირგვლივმყოფთა სიყვარულიც და მოწიწებაც...

ეს ყველაფერი აქ დარჩა, ჩვენთან, მისთანა კაცებს რომ გაუთენოს ახალი დილა, მან კი მხოლოდ თავისი სპეტაკი სული გაიყოლა თან წასვლისას მჯერა, დაგვლოცავდა, მოძღვარს რომ შეშვენის ისე: „იქმენინ ნათელი!“

№40 სპტს

იზო მებაღიშვილი

სულხან მახათაძე

ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები ჭიათურის მუნიციპალიტეტში

ჭიათურის მუნიციპალიტეტი – წარმოადგენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს იმერეთის მხარეში. ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაიონულ ცენტრს წარმოადგენს ჭიათურა, რომელიც მდებარეობს ჭიათურის პლატოსა და მდინარე ყვირილის ვიწრო ხეობაში, ზღვის დონიდან 350-500 მეტრზე, გომი–საჩხერე–ზესტაფონის საავტომობილო გზაზე თბილისიდან 220 კილომეტრის დაშორებით. ჭიათურას ლამაზი და მიმზიდველი ადგილმდებარეობა გააჩნია, რადგანაც მისი ცენტრალური დასახლება მდინარე ყვირილას ორივე ნაპირზეა და თითქმის ყველა მხრიდან მაღალი,

ციცაბო კლდეებით შემოსაზღვრულ ქვაბულშია მოქცეულია. ქალაქს საფუძველი ჩაეყარა 1879 წელს, როცა აკაკი წერეთლის ინიციატივით დაიწყო მანგანუმის მადნის მოპოვება და დღემდე ჭიათურა "შავი ოქროს მომპოვებელ ქალაქად" არის ცნობილი. თუმცა, იქამდე, XIX საუკუნის 50-იან წლებში იმერეთში ქვანახშირისა და რკინის საბადოების შესასწავლად გერმანელი აკადემიკოსი ჰერმან აბიხი ჩამოსულა. ჭიათურის სოფელ ნავარძეთში მისთვის გლეხებს მარგანეცის საბადოს ნიმუშები უჩვენებიათ. აბიხმა საბადოს მეცნიერული შესწავლა დაიწყო და საბადოს მოკლე აღწერა მეფისნაცვლის კანცელარიაშიც შეიტანა. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში საბადოს გამოკვლევით არავინ დაინტერესებულა.

1879 წლის ბოლოსვე მადნის მოპოვებაზე მუშაობა აკაკი წერეთელმაც მიატოვა, თუმცა XIX საუკუნის 80-იან წლებში მაგანუმის მრეწველობის განვითარების ტემპი გაძლიერდა. 1895 წელს შორაპან-ჭიათურას შორის „შავი ოქროთი" დატვირთული პირველი მატარებელი გამოჩნდა. მაგრამ მთავრობამ რკინიგზაზე მაღალი ტარიფები დააწესა, შესაბამისად, ურმებითა და აქლემებით მადნის გადაზიდვა კვლავ დიდხანს გრძელდებოდა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, კერძოდ:

- მანგანუმი – ჭიათურა, მერევი, კალაური, შუქრუთი, ზედა რგანი, თაბაგრები, ხალიფაური
- მინერალური წყლები – მელუშეეთი, ზოდი
- მარმარილო – მოხოროთუბანი, სალიეთი, ჯოყოეთი
- ქვა – ქვედა ბერეთისა
- კვარციანი ქვიშა – ჭიათურა, დარკვეთი, კაცხი, შუქრუთი, ზედა რგანი [1]

დღემდე მხოლოდ წიაღისეულის მოპოვება კვებავს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკას, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული საწარმოები ვერ მუშაობენ იმ დატვირთვით როგორადაც ყოფილ საბჭოთა კავშირში. გამომდინარე აქედან, დასაქმების სფეროს დეფიციტის გამო, ბოლო წლებში, ხშირია მოსახლეობის გადინება ან დედაქალაქისკენ ან ევროპის რომელიმე ქვეყანაში, 2015 წლის მონაცემებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 46 680 კაცს, აქედან 298 ადამიანი საზღვარგარეთ არის წასული სამუშაოდ, ხოლო დედაქალაქისკენ გადინების სტატისტიკური მონაცემების დადგენა საკმაოდ ძნელია, რადგანაც სეზონურ გადინებას აქვს ადგილი – ზამთარში დედაქალაქში ცხოვრებით ირჩენენ თავს, ხოლო ზაფხულში ისევ სოფლებს უბრუნდებიან მიწის დამუშავების მიზნით.

გარდა ამისა, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიდამოები მჭიდროდ დასახლებული მხარეა. არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ მოსახლეობა აქ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე გაჩნდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლია აღმოჩენილი, მათ შორის: სამგლე კლდე, სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, ხერგულის კლდე, დარკვეთის ეხი, კაჟნარი, ნიგოზეთის მღვიმე, ბეხნარი, კაჟები, მღვიმევის მღვიმე, თარო კლდე, ასევე მღვიმეები პერევისაში, ხალიფაურში, სვერში.

გამოქვაბულები მიეკუთვნებიან მუსტიესა და აშელის კულტურებს, პალეოლითის, ბრინჯაოსა და ნეოლითის ხანებს.

ამასთან, ჭიათურის მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი ძეგლებით, რომელთაც წიაღისეულის მოპოვებასთან და გადამუშავებასთან შედარებით, ყოველთვის ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნების ძეგლია კაცხის სვეტი, რომელიც

კირქვის სვეტისებრი დენუდაციური „მოწმე“ – შთენილი კლდე ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხში მდებარეობს, მდინარეების კაცხურისა (ყვირილის მარჯვენა შენაკადი) და ღვითორის (ბუჯის მარცხენა შენაკადი) წყალგამყოფზე.

სვეტის სიმაღლე 40 მეტრია. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ კაცხის სვეტი თავდაპირველად მონოფიზიტ განდეგილთა სამყოფელს წარმოადგენდა, თუმცა ეს მოსაზრება საყოველთაოდ არაა გაზიარებული, სათანადო არგუმენტაციის არქონის გამო. სვეტის ზედა ბაქანზე დგას ორი მცირე ზომის ეკლესია (დღეისათვის ისინი ნანგრევების სახითაა შემორჩენილი). ასეთ ადგილებში სამლოცველოების აგებას მკვლევრები უკავშირებენ მესვეტეობას, რომელიც VI საუკუნეში გავრცელებული იყო წინა აზიასა და, უპირველეს ყოვლისა, სირიაში, რომელთანაც ქრისტიანულ საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. ერთი ეკლესია (V ს.) მშრალადაა ნაშენი ადგილობრივად მოპოვებული, უხეშად დამუშავებული ქვით, აფსიდი კლდეშია გამოკვეთილი. მეორე (VI ს.) ნაგებია ქვემოდან აზიდული კარგად გათლილი კვადრებით, აქვს კრიპტა (ქვედა სართული – სამარხი). არავინ იცის ზუსტად როდის შეწყდა რელიგიური ცხოვრება კაცხის სვეტზე, მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილის დროს აქ ბერები აღარ მოღვაწეობდნენ.

კაცხის სვეტის არქიტექტურული ძეგლები 1944 წელს ალექსანდრე ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მთასვლელთა ჯგუფმა ინახულა. ბოლო პერიოდამდე კაცხის სვეტზე ასვლა, ალპინისტური აღჭურვილობის გარეშე, შეუძლებელი იყო.

2007 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით დაიწყო სვეტზე არსებული ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. დღეისათვის კაცხის სვეტზე ასვლა შესაძლებელია ყველა მსურველისთვის. აღდგენილია სვეტის ძირსა და თავზე არსებული სამლოცველოები, რაც სვეტზე ამჟამად მოღვაწე ბერი მაქსიმეს დამსახურებაა.

2007 წელს კაცხის სვეტზე არსებულ ნანგრევებში მამა მაქსიმემ აღმოაჩინა კირქვის მცირე ქვათლილი (ზომები 41X21 სმ), რომელზეც ათსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერაა ამოკაწრული. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XIII საუკუნით თარიღდება. წარწერაში მოხსენიებულია ვინმე ფრიად ცოდვილი გიორგი, რომელსაც „სამი სახლაკი“ აუშენებია „ძელი ცხოვრებაზე“ – ანუ სვეტის თავზე დამკვიდრებულ დაყუდებულთათვის.

კაცხის სვეტის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "[კაცხის] ციხის აღმოსავლეთით არს კლდე ხრამსა შინა ამოყვანილი ვითარცა სუეტი, ფრიად მაღალი მის კლდის თხემზე არს ეკლესია, არამედ ვეღარარა აღავლის კაცი, არც უწყიან ხელოვნება აღსვლისა".

ამჟამად სვეტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით ტურისტული ინფრასტრუქტურული ბაზის მოწყობა. პროექტი ითვალისწინებს ჩამოსული ვიზიტორებისთვის ავტოსადგომების, კაფეების და და მოსასვენებლების მოწყობას . პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულდეს მომავალი წლის ზაფხულში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი, ასევე, მდიდარია მღვიმეებითა და გამოქვაბულებით:

- რელიგიური მნიშვნელობის ისტორიული ძეგლები: კაცხის ტაძარი, მღვიმევის მონასტერი, პერევისის წმინდა გიორგის ეკლესია, უსახელოს მთავარანგელოზის ეკლესია, რგანის წმინდა გიორგის ეკლესია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე შემორჩენილია ეკლესიები ზედუბანში, ნავარძეთში, მეჩხეთურში, ზედა ბერეთისაში, სვერში.
- საერო ისტორიული ძეგლები: ნავარძეთის ციხე, კაცხის ციხე, სვერის ციხე, დიდველის

ციხე, ციხე-დარბაზი ხრეითში და კარიანთ კლდე (ექსტრემალური ტურიზმის განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ადგილი)

საინტერესოა მღვიმევის დედათა მონასტერი – მონასტერი მდინარე ყვირილის ხეობაში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მღვიმევის მახლობლად.

მონასტერში მოხვედრა ჭიათურიდან უფრო ადვილადაა შესაძლებელი. ჭიათურიდან მონასტერში მიდის ვიწრო და საკმაოდ გრძელი კიბე, რომლის გავლის შემდეგაც შესაძლებელია გვირაბში შესვლა. გვირაბი ხელოვნურადაა გაყვანილი, საკმაოდ გრძელია და მისი გადახურვა შემაგრებულია საყრდენი თაღებით.

სამონასტრო კომპლექსი მრავალი ნაგებობისაგან შედგება. მთავარი ტაძარი მაცხოვრის სახელობისაა. ის წამოადგენს ორნავიან ბაზილიკას, რომლის ნავებიც ერთმანეთისაგან მასიურ სვეტებზე დაყრდნობილი თაღებითაა გამოყოფილი. ნაგებობის ფასადი შემკულია ძალზე მდიდრული ჩუქურთმებით. აქ გვხვდება: სარკმლის გარშემო შესრულებული ჩუქურთმები, მონუმენტური ჯვრები, ერთმანეთზე გადაბმული რომბები, კარნიზის ჩუქურთმები და სხვ. მაცხოვრის ტაძრის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა ხის კანკელია, რომელიც მთლიანადაა მოხატული. კანკელის კარი შემკულია ჭედური ფირფიტებით, ხოლო მის ზედა ნაწილში განლაგებულია მაცხოვრისა და თორმეტი მოციქულის კომპოზიცია, მისი (მაცხოვრის) ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი. ტაძარში შემორჩენილია კედლის ფრესკული მხატვრობაც, მათ შორის XIII საუკუნეში ამ მონასტრის დამაარსებლის, რატი რაჭის ერისთავის, მისი მეუღლისა და ძმის, ნიანია კახაბერისძის პორტრეტები. ცენტრალური ტაძრის უკან მდებარეობს მღვიმევის მღვიმე, სადაც დიდ დღესასწაულებზე წირვა ტარდება.

მონასტრის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა მცირე ზომის დარბაზული ეკლესიაა. მისი ჭერი და დასავლეთის კედელი ბუნებრივი კლდეა. ამ ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე გამოკვეთილია ვერძის თავის ბარელიეფი, ხოლო სამხრეთის კედლის გარეთა მხარეს გვხვდება ფრესკული მხატვრობა. მონასტრის სხვა არქიტექტურული ნაგებობია: სამრეკლო და მონაზონთა სენაკები. მღვიმევის მონასტერში ინახებოდა უნიკალური ჭედური ხატები და ხეზე კვეთის ბრწყინვალე ნიმუში, ვაზის კარი. დღეისათვის ეს ნაკეთობები საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული. მღიმევის მონასტერი თავისი მდებარეობით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ძეგლია საქართველოში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში შესაძლებელია რამდენიმე საინტერესო ექსტრემალური ტურისტული მარშრუტის მოწყობა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორებისათვის. ბუნებრივი და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების ექსტრემალური გეოგრაფიული მდებარეობის შეფასების საფუძველზე შემუშავდა რამდენიმე ტურისტული მარშრუტი, როგორც თითოეული ტერიტორიული მართვის ორგანოს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ფარგლებში. ცალკე გამოიყო ძირითადი მარშრუტი, რომელსაც განსაკუთრებული პუპულარიზაცია ჩაუტარდება. ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სტუმართმასპინძლობის ტრადიციები კარგ პირობას ქმნის ამ რეგიონში ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთათვის.

ტურისტმა შეიძლება მოინახულოს ექსტრემალური მდებარეობით გამორჩეული მღვიმეები, რომლებიც ერთმანეთან ახლოს მდებარეობენ, ქალაქ ჭიათურიდან დაახლოებით 10-15 კმ მოშორებით მდებარეობენ და თბილისიდან მანძილი დაახლოებით 200 კმ-ია.

სოფელი სვერი მდებარეობს ჭიათურის პლატოზე საძალიხევის მარცხენა მხარეს. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება საძალიხევის ხეობა. სამხრეთით – სოფელი ტყემლოვანა, აღმოსავლეთით – მდ. საძალიხევის ხეობა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სოფელი გუნდაეთი, აგრეთვე სოფელი ნიგოზეთი. სოფელი სვერი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ საშუალოდ 4-5 კმ-ზე, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 3,5-4 კმ-ზე ვრცელდება. სოფლის ყველაზე დაბალი ადგილია, უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. საძალიხევის ხეობა სოფ. პერევისისა და სოფ. ცხრუკვეთის საზღვართან, სიმაღლე 420 მ. ზ. დ. ხოლო მაქსიმალური სიმაღლე 766 მ. უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. საკანაპურას, მდ. ხელმოსმულას და მდ. მლაშეღელეს წყალგამყოფ სერზე.

სვერის ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია სვერის ციხე, რომელიც არაბების VII საუკუნის შემოსევის პერიოდს მიეკუთვნება და მდინარე საძალიხევის პირასაა აგებული. ციხის მშენებლობის სტილი და ადგილმდებარეობა გვიჩვენებს, რომ მას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ლიხ-იმერეთ-ქართლის თავდაცვის საქმეში. ეს ციხე იმ გზას დარაჯობდა, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში შემოდიოდა ჭერათხევზე, ულევზე და შორაპანზე გავლით. ამიტომ სკანდის, ჩხარის და შორაპნის ციხესთან ერთად, იგი სასაზღვრო ციხედ ითვლებოდა დასავლეთ საქართველოსათვის. წერილობით წყაროებში სვერის ციხე პირველად XI საუკუნეში მოიხსენიება. 1068 წელს სპარსეთის შაჰი ალფარსლანი შემოესია ქართლს, ააოხრა იგი. შემდეგ სპარსეთის დამსჯელი რაზმი გადმოსულა არგვეთს, ..სადაც მიუწიეს და დაარბიეს ვიდრე სვერის ციხემდეო– გადმოგვცემს მემატიანე. სვერის ციხე განსაკუთრებით გვიან გაძლიერებულა. მკვლევართა აზრით, იგი ადრინდელი ფეოდალური ხანის ციხეა. თარიღად მიიჩნევენ 735 წელს (ვახუშტი ბაგრატიონი, XVIII ს.) 1590 წელს სვერის ციხე ქართლის მეფემ – სიმონ I-მა დაიკავა. 1661 წლს იმერეთში ლაშქრობისას ქართლის მეფე – ალექსანდრე V დაეუფლა. 2 წლის შემდეგ აბაშიძეებმა დაიბრუნეს. ხრესილის ბრძოლის (1763 წელს) შემდეგ ციხესიმაგრე ემორჩილებოდა იმერეთის სამეფოს. 1763 წელს ციხე ოსმალებმა აიღეს და დაანგრიეს. იმერეთის აჯანყების (1801 წ.) დროს ციხე რუსეთის ჯარმა დაიკავადა ციხე დაანგრიეს მთავარმართებელ ტორმასოვის ბრძანებით. ამის შემდეგ სვერის ციხესიმაგრემ დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა.

კოტიასკლდის (სვერის ქვაბკარის) მღვიმე – სოფ სვერიდან 1.5 – 2 კმ მანძილზე, მდ. საძალიხევის აუზში. გამომუშავებლია ზედაცარცულ კირქვებში, მღვიმე იწყება გადმოხურული კარნიზით (სიმაღლე 5 მ, სიგანე 15 მ), ჭერის სიმაღლე 10 მ-ის შემდეგ 1,5 მ-დე მცირდება და სიღრუვე გვირაბის ფორმას იძენს. მღვიმეში გამოიყოფა მომცრო დარბაზები, განშტოებები, მოკლე საფეხურები, ძაბრები, ჭები. ეს უკანასკნელი დროებითი ნაკადების შემოსვლის ადგილებშია გაჩენილი. შესასვლელიდან 100 მეტრზე მღვიმე 2,5-მ-მდე ვიწროვდება, ხოლო ჭერის სიმაღლე 8-9 მ-მდე მატულობს. 135-ე მეტრზე გვირაბი კიდევ უფრო ვიწროვდება და 10 მ სიღრმის ჭას აწყდება. ჭის მიღმა, დაბალი (20-25 სმ) და კალციტის ფორმებით გამოჭედილი ვიწრო გასასვლელის შემდეგ, მღვიმე 15-20 მ-ით გრძელდება. მღვიმის აბსოლუტური სიმაღლე 640 მ. ზღვის დონიდან, ხოლო მდინარის დონიდან 50 მეტრია, სიღრმე 280 მეტრამდეა, სიგანე 1-10 მ, ფსკერის ფართობი 1890 მ2, საერთო მოცულობა 10400 მ3.

ქიმიური ნალექები 10 მეტრიანი ჭის მიღმა დერეფანში უხვად არის შემორჩენილი; მექანიკურიდან – ნგრევის ადგილობრივი კირქვის ნამსხვრევები, გვხვდება თიხის ნაფენები, შესასვლელთან ჰაერის ტემპერატურა 20.50. შეფარდებითი სინოტივე – 36% იყო, სიღრმეში 140 მეტ-

რზე კი 9,80 და 97% – შესაბამისად. მღვიმის ბოლო მონაკვეთში შემოდის 4ლ/წმ დებიტის მქონე ნაკადი და მუხლისებური განშტოების ფსკერზე ნაპრალში იკარგება. ბინადრობენ ობობები, მწერები, რგოლოვანი ჭიები, ადვილი გასასვლელია, გამოკვლეულია გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოექსპედიციის (ზ. ტატაშიძე, კ. წიქარიშვილი, ო. ერქომაიშვილი) მიერ 1957 და 1976 წელს.

ორთვალაკლდის (წილთოს III) მღვიმე – სოფ. პერევისის მიდამოები, მდ. საძალიხევის აუზი, მდინარე წილთოს მარჯვენა ფერდობზე გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში, მღვიმეს ორი შესასვლელი გააჩნია, რომლებიც უსახელო მთის ციცაბო ფერდობზე, ერთმანეთისაგან 30 მ-ის მოშორებით მდებარეობენ. აღმოსავლური განშტოება შესასვლელიდან 65-ე მეტრზე დასავლეთიდან შემომავალ გვირაბს უერთდება, ფსკერი თანდათანობით დახრილად მიემართება და გვირაბი 10 მ-მდე ფართოვდება. ბოლოში 40 მ სიგრძის, 6-7 მ სიგანის და 7-8 მ სიმაღლის დარბაზს ავითარებს, რომელიც გამომშრალი თიხის ჰორიზონტული ფსკერით ხასიათდება. მღვიმის შესასვლელის სიმაღლე ზღვის დონიდან 530 მ, ხოლო მდინარის დონიდან 90 მ, ფსკერის ფართობი 800 მ2, საერთო მოცულობა 2400 მ3. ქიმიური ნალექებით ღარიბია; მექანიკურიდან – ნგრევისა და გამოფიტვის ადგილობრივი და ზედაპირიდან ჩამოტანილი მასალა (ღორღი, ლოდები), თიხის სქელი ნაფენები.

მღვიმე მშრალია. ბოლო დარბაზში შემოჭრილი დროებითი ნაკადები იქვე პონორებში იკარგება და ქვედა ჰორიზონტში პოულობს გამოსავალს. მღვიმეში ღამურათა რამდენიმე სახეობაა წარმოდგენილი. ისტორიული დროის ნაგებობა, წინა ორი დიდი გვირაბის კედლებს ეტყობა ხელოვნური დამუშავების კვალი, აღმოჩენილია ქვევრები და კერამიკის ნამტვრევები, მღვიმე ადვილი მისადგომია, გავლა ადვილია, გამოკვლეულია გეოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ 1959 და 1990 წელს.

შვილობისას მღვიმე – სოფ. ბუნიკაურის მიდამოებში, მდ. თაბაგრებისწყლის მარჯვენა ფერდობზე. გამომუშავებულია ზედაცარცულ, ლითოლოგიურად ერთგვაროვან ტურონ-სენონის ასაკის კირქვებში, სუბჰორიზონტული, წყლიანი, გვირაბის ტიპის გამჭოლი მღვიმე, რომელშიც აშკარად გამოიყოფა წინა, შედარებით მშრალი კალაპოტქვეშა და შორეული წყლიანი მონაკვეთები. ძირითადი დერეფანი ერთფეროვანია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაპრალების გადაკვეთის ადგილებში გამოყოფილ ცალკეულ დარბაზულ გაფართოებებს. მღვიმის შუა მონაკვეთში დერეფანი იმდენად ვიწროვდება, რომ გავლა მხოლოდ ფორთხვით არის შესაძლებელი. სიღრმეში იგი კიდევ უფრო ვიწროვდება და გაუვალი ხდება. მღვიმის წინა ნაწილში გამოიყოფა „მშრალი გვირაბი'', „როლისა'' და „გადასასვლელის მიღმა მდებარე დარბაზები'', უკანა ნაწილი ხვრელისებურია. კარგადაა გამოხატული მეანდრები და ეროზიული საფეხურები: გამოიყოფა ორი დონე და პატარა კანიონები. გვხვდება სტალაქტიდები, სტალაგმიტები, ფარდები, მოფარდაგებანი; ღვარების მიერ შემოტანილი მასალა, წმინდა მარცვლოვანი ალუვიონი. მღვიმის ბოლო ნაწილში საგრძნობია ჰაერის ნაკადის მოძრაობა. მიწისქვეშა ნაკადი გზადაგზა აჩენს წყლით სავსე ორმოებს, წვიმის დროს დონე მატულობს. მღვიმურ ნაკადს მოსახლეობა სასმელად იყენებს. მღვიმეში მოგზაურობა რთული არ არის მღვიმეში კარგად არის გამოხატული მეანდრები და ეროზიული საფეხურები. მღვიმის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან 730 მ. მდინარე თაბაგრებისღელეს დონიდან 40 მ, ფსკერის ფართობი 1360 მ2, საერთო მოცულობა 3600 მ3. სიღრმე, საპროექტო სიგრძე 1000 მ, სიგანე 1-6 მ, ხოლო სიმაღლე 0,5-4 მეტრია, ქიმიურ ნალექებიდან გავრცელებულია სტალაქტიტები, სტალაგმიტები, კალციტის მოფარდაგებანი;

მექანიკურიდან ნგრევის ადგილობრივი და ღვარების მიერ შეტანილი მასალა, წმინდა მარ-ცვლოვანი ალუვიონი. მღვიმის ნეოტრალურ ზონაში ჰაერის ტემპერატურა 12,30, გაედინება 7-10 ლ/წმ დებიტის მქონე ნაკადი, რომლის ტემპერატურა 11,5 –ია, გზადაგზა 1 მ სიღრმის ტბებსა და გუბურებს ივითარებს. მღვიმეში ბინადრობენ ობობები, მწერები და სხვ. მღვიმე ადვილი გა-სავლელია, გამოკვლეულია ზ. ტატაშიძის, ერქომაიშვილის, კ. წიქარიშვილის მიერ 1975 წელს.

ყოველივე ამასთან ერთად ჭიათურისთვის „სავიზიტო ბარათს“ წარმოადგენს საბაგირო გზები, რომელიც ტრადიციული სატრასნპორტო საშუალებაა. ქალაქის სპეციფიკური რელიე-ფიდან გამომდინარე ტრანსპორტის ეს სახეობა ხშირ შემთხვევაში შეუცვლელია. საბაგირო გზით რამდენიმე ასეული მეტრით გადაადგილებით მივიღებთ ისეთ შედეგს რისთვისა ავტომო-ბილით რამდენიმე კილომეტრის გავლაა საჭირო. ამდენად ტრანსპორტის ეს სახეობა ჭიათურის პირობებში მასობრივი გამოყენებისა იყო ტრადიციულად და მომავალშიც მასობრივი გამოყენე-ბის იქნება აუცილებლად, ვინაიდან ქალაქის რელიეფი სტატიკური მოცემულობაა, რომელიც ვერ შეიცვლება.

ქალაქ ჭიათურაში საბაგირო გზების დაპროექტება და აგება დაიწყო გასული საუკუნის 50-იან წლებში. პირველი კაპიტალური სამგზავრო საბაგირო გზა აშენდა 1953 წელს (ე.წ. ოცდახუ-თის საბაგირო), რომელიც ემსახურებოდა სტალინის სახელობის მაღაროს მუშებს და მაღაროს მიმდებარედ დასახლებულ მაცხოვრებლებს. მის შემდგომ წლებში ჭიათურაში საბაგირო გზების მშენებლობების ბუმი დაიწყო და 80–იანი წლების ბოლოს ჭიათურა საბჭოთა კავშირის მასშტა-ბით პირველ ადგილზე იყო საბაგირო გზების რაოდენობით და მათი საერთო რაოდენობა იყო 41. აქედან 21 იყო სახალხო და 20 იყო სატვირთო.

ამჟამად ფუნქციონირებს 24 საბაგირო გზა, საიდანაც 9 არის სატვირთო, ხოლო 15 სამ-გზავრო. მოქმედი საბაგირო გზების საერთო სიგრძე 12242 მეტრია. ამ მხრივ თუ შეიძლება ით-ქვას ჭიათურას ანალოგი არ ჰყავს მსოფლიოში და ტურისტული თვალსაზრისითაც მეტად სა-ყურადგებოს და საინტერესოს წარმოადგენს.

ამჟამად მთავრობის მხარდაჭერით და საფრანგეთის მთავრობის დახმარებით დაგეგმილია ოთხი მიმართულებით (ცენტრალური სადგურიდან -სანატორიუმი, ნაგუთის,ლეჟუბნის და მუხა-ძის) ნახევარსაუკუნოვანი საბაგირო გზების განახლება . ეს არის 13 მლ ევროს ღირებულების პროექტი თანამედროვე“ გონდოლებით“ აღჭურვილი, რომელსაც განახორციელებს ფრანგული კომპანია „პომაგალსკი„. ახალი საბაგირო გზები ექსპლუატაციაში შევა 2016 წლის შემოდგომაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურა გამორჩეულია თავისი ისტორიულ– კულტურული, თუ ბუნებრივი სიმდიდრით, რომელიც ტურისტულ პოტენციალს წარმოადგენს ჭიათურის მუნიცი-პალიტეტის რეალობაში, ტურისტების რაოდენობის სიმცირითა და კლებადობის ტენდენციით ხასიათდება, კერძოდ:

1. 2010 წელს – 290 ვიზიტორი ესტუმრა ჭიათურის მუნიციპალიტეტს;
2. 2011 წელს –295 ვიზიტორი;
3. 2012 წელს –285 ვიზიტორი;
4. 2013 წელს – 215 ვიზიტორი;
5. 2014 წელს – 174 ვიზიტორი.

მაშასადამე, კვლევამ აჩვენა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტი არ არის განებივრებული ტურისტების ნაკადით და არც დასაქმებულთა რიცხოვნობით, პირიქით – დღითიდღე იზრდება

უმუშევართა რიცხოვნება, მხოლოდ "შავი ოქროს მიწისქვეშა ქალაქი" ვერ აკმაყოფილებს დასაქმების მაძიებელთა მოთხოვნებს, გარდა ამისა, ზამთრის პერიოდში მკაცრი კლიმატის გამო ნებისმიერი სოფლიდან "შავი ოქროს" მაღაროსკენ ტრანსპორტით გადაადგილებაც რთულია, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეტი ყურადღება გამახვილდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლასა და რეკლამირებაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნაში, კერძოდ:

1. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი დაიყოს ორ ჯგუფად – სამლოცველო და ექსტრემალური დანიშნულების ტურისტულ ობიექტებად;
2. შემუშავდეს ტურისტული მარშრუტების ციფრული რუკები;
3. დამზადდეს ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე სარეკლამო ბუკლეტები, ბანერები, ვიდეორგოლები ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მღვიმეების, გამოქვაბულების, ტაძრების, დედათა მონასტრების, კაცხის სვეტის და ა.შ. შესახებ;
4. სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით მოხდეს ჭიათურის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება, როგორც ტურისტების, ისე ინვესტორების მოზიდვის მიზნით;
5. ჭიათურის გამგეობამ ხელი შეუწყოს საოჯახო ტიპის სასტუმროების კეთილმოწყობას (თეთრეულით, ინტერნეტითა და ელექტროტექნიკით).

აღნიშნული აქტივობების განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას, თუნდაც, საოჯახო ტიპის სასტუმროების დაარსებით ადგილობრივი ოჯახების ბაზაზე, გიდის ფუნქციის შესრულებით და სხვა.

ნუგზარ ნადარაია

ფაზისი – კოლხური ცივილიზაციის გვირგვინი...

საუკუნეების მანძილზე, ისტორიული ფაქტებით დადგენილი ჭეშმარიტების, პოლიტიკური კონიუქტურის ზეგავლენით, სუბიექტივიზმისაგან დაცვა, ყოველ პატრიოტს ღირსებასა და სიამაყესთან ერთად, ქვეყნისა და ერის წინაშე განუზომელ პასუხისმგებლობას აკისრებს. იგი, პირველ რიგში, მომავალი თაობისადმი ჩვენს მზრუნველ გულშემატკივრობას შეეხება. რამეთუ ყოველი მომდევნო თაობა წინამორბედისაგან მემკვიდრეობით გადაიბარებს მამულის შემდგომი აღორძინება-აღმშენებლობის საზრუნავს. ამ თვალსაზრისით, თანამედროვენი, თუ რამეს ვერ შევმატებთ სამშობლოს, ის მაინც შევუნარჩუნოთ შთამომავლობას, რაც ჩვენმა წინამორბედებმა გადმოგვაბარეს. რამდენადაც, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პარალელურად, სულიერებისა და განსაკუთრებით ზნეობის რეგრესის საუკენეში გვიხდება ცხოვრება. რაზედაც თავის ქადაგებებში გულისტკივილითა და ობიექტურობით მიუთითებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღმაშენებელი. ჩვენი ამოცა-

ნაა, ღვთის ნებითა და მადლით, ობიექტურ ფაქტებზე (წყაროებზე) დაყრდნობით ისტორიული ჭეშმარიტების ძიება-დადგენა, მისი დაცვა და პროპაგანდა კი ფაზისის აკადემიის უპირველესი საზრუნავია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი სამეცნიერო კონფერენცია აღნიშნულის კონკრეტული გამოხატულება და დადასტურებაა. მივმართოთ ისტორიულ წყაროებსა და ფაქტებს, ისტორიის მსოფლიო მასშტაბის მკვლევართა ნააზრევსა, თუ ჩვენდამი ყურადსაღებ ნაანდერძებ — ჭეშმარიტებას, რომელშიაც ეჭვისშეტანა დიდი ცოდვაა და ამდენად დაუშვებელია.

ფაქტი 1. ცნობილ ბერძენ ისტორიკოსებს შორის მნიშვნელოვანია სტრაბონის „გეოგრაფია“, რომელიც 17 წიგნად არის შედგენილი: „სტრაბონის (I საუკუნე) დახასიათებით ფაზისი დიდი სავაჭრო ქალაქი იყო. აქ თავდებოდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც მოდიოდა ინდოეთიდან, ჩინეთიდან და რომელსაც კასპიის ზღვით, ალბანეთით და მდინარე მტკვრით, შემდგომ კი შორაპანზე გავლით, შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიჰქონდა საქონელი“[26]. „ცნობილია, რომ მდინარე ფაზისი (რიონი) შორაპნამდე სანაოსნოდ გამოსადეგი იყო და მისი მეშვეობით ხორციელდებოდა სატრანზიტო საქონლის გადაზიდვა. რასაც ვერ გავიზიარებთ მდ. ჭოროხზე, მისი ჩქარი დინებისა და მაღალი მთებიდან ქვა-ღორღის შავ ზღვაში ჩამდინარების მიზეზით. „ინდური საქონელი მდ. ამუ-დარიით ჩაჰქონდათ კასპიის ზღვაში და იქიდან მტკვრით ამოჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში, აქედან კი მდინარე მტკვარითა და ხმელეთით — სურამის უღელტეხილით ეზიდებოდნენ დასავლეთ საქართველოში, სადაც საქონელი მდინარე რიონით, შავი ზღვის სანაპირო ქალაქ ფაზისს, ანუ ფოთს აღწევდა, რომელიც იმ დროისთვის ფრიად მნიშვნელოვან ნავსადგურად იქცა. პონტოს ზღვაში შემავალ მდინარესა და ქალაქს, ორივეს ფაზისი ერქვა[27]. მდინარის ზღვასთან შესართავთან მდებარეობდა ტბა (პალიასტომი). მდინარე რიონი, როგორც ცნობილია, სათავეს რაჭის მაღალმთიანეთში იღებს, იმ მთას, საიდანაც გამომდინარეობს მდინარის სათავე, წყარო-შენაკადი, დღესაც ფასის მთა ეწოდება, ხოლო თანამედროვე რაჭველები და სვანები დღესაც კოლხეთის მაღალმთიანეთის მკვიდრებად მიიჩნევენ ამ უმშვენიერეს მხარეებს. გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე მიანიშნებს ფაზისზე, სადაც პატარა ტანის, მაგრამ კარგად მეწველი და ადგილობრივ პირობებს შეგუებული ძროხები ჰყავთო (დღევანდელი კვარაცხელიას ცნობილი ჯიში). ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში მოღვაწე არისტოფანე ახსენებს ულამაზეს ფრინველს ფასიანის, რომელიც ფაზისიდან პირველად ათენში ჩაუყვანიათ. ფრინველს ბუნებრივია, სახელი ქალაქ ფაზისის გამო შეარქვეს. ეს ფრინველია — ხოხობი, რომელიც დღესაც ბინადრობს ფოთში, ჭალადიდის დაბლობზე. დასახელებული ისტორიული ფაქტები ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის მიერ რეგიონებში გამსვლელი სესიების ჩატარებისას დღესაც დასტურდება. მხედველობაში გვაქვს აკადემიის რეგიონული განყოფილებების გამსვლელ სესიებზე წარმოდგენილი სამეცნიერო შრომები (მეცნიერ მკვლევარები: რეზო პაპუაშვილი, გოგიტა ჩიტაია, სილოვან გვასალია, მამა ავთანდილი გიორგობიანი და სხვები).

დიდი ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში — „მატერიალური კულტურის ისტორია“ (ტ. 1, გვ.

---

[26] იხ. ს. ყაუხჩიშვილი - რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ თბ. 1963, გვ. 66.
[27] ვლ. გაგუა - კოლხეთის (ფაზისის) აკადემია გვ. 16.

115). აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი კი ნაშრომში „რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ“, აღნიშნავენ, რომ ძველი კოლხები როგორც ჩანს საკმაოდ განვითარებულნი ყოფილან ტექნიკური სამშენებლო აზროვნების თვალსაზრისით. სტრაბონი დეტალურად აღწერს კოლხურ შენობებს კრამიტის ქანობიანი გადახურვით. ტყეების ჭარბად არსებობის საფუძველზე საძირკვლად იყენებდნენ დიდი ზომის ხის მორებს და კედლებსაც კრავდნენ და სანათურებიც ამ ხის ძელებით ამოჰყავდათ. შენობების სახურავი კი დაქანებული ქანობით ეწყობოდა, ჭარბი ნალექის სახურავიდან სწრაფად ჩამოსაღვრელად. ფაქტი დადასტურებულია ყულევის არქეოლოგიური გათხრების (ხელმძღვანელი პროფესორი რეზო პაპუაშვილი) შედეგად მოპოვებული ნივთმტკიცებებით, დაცულია იქვე ყულევის ისტორიულ — არქეოლოგიურ გამოფენა საცავში.

წერილობითი წყაროებით დადასტურებულია, აგრეთვე, ძველ ციხე-სიმაგრეებში სამსაფეხურიანი წყალსადენის, საყოფაცხოვრებო ნაგებობების არსებობა, რაც თვალნათლივ დასტურდება და დღესაც შემონახულია ნოქალაქევის (ციხე-გოჯის) არქეოლოგიური გათხრებისა და მეცნიერული შესწავლის შედეგად, რაზედაც ნათლად მიანიშნებს ქუჯი ეგრისელის მკვლევარი ლევან სანიკიძე წიგნში „საქართველოს სიქველე და სირცხვილი“, ასევე სამეცნიერო-არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი აკადემიკოსი პარმენ ზაქარაია წიგნში „საქართველოს ციხე-კოშკები“.

დასავლეთ საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში ძლიერი კოლხეთის სახელმწიფოს არსებობას ადასტურებს „კოლხური თეთრი“, ვერცხლის მონეტის მოჭრა ხარის, შემდგომ ლომის გამოსახულებით. მონეტა დღესაც დაცულია თბილისის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. ამასთან, ბერძნულ წყაროებში არის ცნობები, აქ მდინარე რიონის (ფაზისის) აუზში ხიდების, დაბლობის მასივზე, განსაკუთრებით, ზღვისპირას იპოდრომებისა და თეატრონების მშენებლობის ტექნიკის შესახებ და მრავალი სხვა ნაგებობების არსებობის თაობაზე.

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის აზრით ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში ფაზისში (ფოთში) დუღდა ცხოვრება, იგი კულტურულ-რელიგიურ, საგანმანათლებლო - ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა, რაზედაც ნათლად მეტყველებს ცნობილი ბერძენი ვაჭრის თემის - დაგორის დიდი ხომალდით ჩამოსვლა კოლხებთან სავაჭროდ, აღებმიცემლობისა და ნატურით საქონლის გაცვლის ფორმით. საყურადღებოა ბერძნული წარწერა (დაცულია თბილისის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში). ვერცხლის ფიალაზე „მე ვარ აპოლონ წინამძღვლისა, „ფაზისელისა“, რომლის ფსკერზე დახვეული გველია თავაწეულად გამოსახული. ვერცხლის ფიალა ეკუთვნის ფაზისში აგებული აპოლონის ტაძრის — ახალშენების მფარველ ღვთაებას. ბერძნული წყაროების მიხედვით დასავლეთ საქართველოს, როგორც ცნობილია, თავდაპირველად ერქვა აია, შემდგომ კი კოლხიდა, ლაზეთი, ეგრისი. ბერძნები, როგორც აღვნიშნეთ, ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში ეწვივნენ ამ ქვეყანას სააღებმიცემო ნიშნებით ვაჭრობისათვის. იმდროინდელი ბერძენი მოგზაურები და ლოგოგრაფოსები კამოს მილეთელი, ჰეკატე მილეთელი, სკილაკს კარიანოელი, აღწერენ ფაზისს (ფოთს), დიოსკურიას (სოხუმს), კავკასიის მთებს, მდინარე ფაზისს (რიონი), ჰოპოს (ცხენისწყალი). ახასიათებენ აქ მცხოვრებ ქართველურ ტომებს: კოლხებს, კორაქსებს, კოლებს, მოსხებს, მაკრონებს, მარებს, მოსინიკებს, ხალიბებს, ეხებიან ფლორისა და ფაუნის თავისებურებებს.

როგორც ცნობილია, კოლხური კულტურა ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში იღებს სათავეს. სულმნათ კლიმენტი შელიას აზრით კი იგი 5 ათასი წლისაა... კოლხიდა კარგად იყო ცნობილი გარე სამყაროსთვის, განსაკუთრებით კი ბერძნებისთვის. იგი გამოირჩეოდა მაღალგანვითარებული ბრინჯაოს, რკინისა და ოქროს წარმოებით, მხატვრული ხელოსნობით, შემდგომში ხდება რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღების დამზადება. ყველასათვის კარგად არის ცნობილი კოლხური ცულები, თოხები, წალდები, ნამგლები, შუბები და სხვა ნაკეთობები და მათი იდენტური ყალიბები ვანის ნაქალაქარის, ცაიშის, ყულევის, გერგეტას, ჭალადიდის, სენაკის და მდ. რიონის აუზში მდებარე ტერიტორიებზე არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მოპოვებული ნივთმტკიცებებით, რომელიც იქვე მდებარე გამოფენებსა და მუზეუმებშია დაცული. ადასტურებულია ოქროს მოპოვებისა და გადადნობის დიდი მემკვიდრეობა – აფეთქებული „საყდრისი-ყაჩაღიანი“-ს საბადო.

<u>ფაქტი 2.</u> როგორც ცნობილია, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. 10. გვ. 555) აღნიშნულია, რომ „საქართველოს გაქრისტიანების ხელშემწყობ ფაქტორთა შორის არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ქრისტიანულ გარემოსაც, როგორც მკვლევარი ბატონი კოტე სარაჯიშვილი აღნიშნავს, შავი ზღვის ქვეყნების ქრისტიანულ მრევლში ბერძნებთან ერთად ქართული მოსახლეობაც იგულისხმებოდა. ქართული წარმართული რელიგია უკვე აღარ შეესაბამებოდა საზოგადოების განვითარების ახალ ფეოდალურ გეზს. სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის ნიადაგზე ქართველთა შემდგომი კონსოლიდაცია საჭიროებდა იდეოლოგიის (რწმენის) მძლავრ საშუალებასა და გამომხატველობას, რომელიც გამოდგებოდა არსებული თემობრივი ურთიერთობების უფრო მტკიცედ შეკავშირებისა და სხვა ახალი მონათესავე თემების შემოსაერთებლად. ასეთი რელიგია და რწმენა კი მხოლოდ ქრისტიანობა იყო და არის საბედნიეროდ! მართლაც, ქრისტიანობა არა მხოლოდ პოლიტიკურად და ორგანიზაციულად განამტკიცებს ქვეყანას, არამედ კატალიზატორია ხალხებში კულტურისა და განათლების, ეროვნული მწერლობისა და მთარგმნელობის განვითარებისათვის. ქრისტიანობა ყველა სხვა რელიგიასთან შედარებით უფრო პროგრესულ და მეცნიერულად დასაბუთებულ, ფაქტობრივ მოძღვრებას წარმოადგენს. „ქრისტიანობამ დადებითი გავლენა მოახდინა ქართველთა ზოგადი ფსიქოლოგიურ-ეროვნული ფენომენის თვისებების ფორმირებაზე. საერთო საეკლესიო ქართულმა ენამ, საერთო-საკულტო წეს-ჩვეულებებმა, კულტურითა და რწმენით შეაკავშირა ქვეყნის სხვადასხვა კუთხე. სამშობლოს ცნება სათემო-კუთხურ ფარგლებს გასცდა და უკვე გავრცელდა მთელ იმ ტერიტორიაზე, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ტარდებოდა“[28].

„ბერძნული წყაროების მიხედვით შავი ზღვის სანაპიროზე არსებობდა: ბიჭვინთის, სებასტოპოლის (სოხუმის) და ლაზიკის (ფაზისის) ეპარქიები. მოგვიანებით მათ მიუღიათ ავტოკეფალიები. ლაზიკის ეპარქიებს სათავეში ედგა ფაზისის მიტროპოლიტი, რომელსაც ექვემდებარებოდა: როდოპოლისის, საისინთა, პეტრას და ზიგანევთა (გუდაყვა) ეპარქიები. სებასტოპოლის (სოხუმის) ეპარქია უფრო პატარა იყო და მას დაქვემდებარებული ეპისკოპოსები არ ჰყავდა. ფაზისის მიტროპოლიის ცენტრი იყო ქალაქ ფაზისში (ფოთში). აქ ჰქონდა თავისი ეპარქია ლაზიკის ეპარქიის მიტროპოლიტს. მას ექვემდებარებოდა ოთხი ეპისკოპოსი: როდოპოლისის (ვარციხის) ეპისკოპო-

[28] იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 10. გვ. 555; იხ. 3 იქვე გვ. 198

სი, სავარაუდოდ, პირველმოსაყდრედ ითვლებოდა. პეტრა არის ლაზიკის ცნობილი ციხე-სიმაგრისა და ადმინისტრაციული ცენტრის პეტრას სახელი. მკვლევართა აზრით, საირინი არის დღევანდელ ცაისში (ზუგდიდის რ-ი). კოლხეთის ეს ოთხივე სამიტროპოლიტო მეათე საუკუნემდე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შედიოდა. მეათე საუკუნის პირველ წლებში (901-907) ლაზეთის ეპარქია თავისი ოთხი საეპისკოპოსო კათედრით (როდოპოლისი, ცაიში, პეტრა ზიგანევი-გუდაყვა) არ ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის პარტიარქს. იგი მცხეთის საკათალიკოსოს დაუკავშირდა... არცერთ შემდგომ ნოტიციაში (Xმ, Xა, X, Xთ) რომელიც თარიღდება X საუკუნიდან, ძველი ეპარქია ლაზიკისა, რომლის მიტროპოლია ფაზისში (ფოთში) იყო, კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ საყდართა შორის არ ჩანს“[29].

<u>ფაქტი 3.</u> ქრისტიანობა, როგორც ყველა სხვა სარწმუნოებასთან შედარებით პროგრესული და ფაქტობრივად რეალური, ღვთითკურთხეული მრწამსი, მეცნიერულ მონაცემებსა და საფუძვლებს დამკვიდრებული მოძღვრება, სწორედ ფაზისში (ფოთში), კულტურის, განათლების, სულიერებისა და ეკონომიკის აღორძინებულ შავიზღვისპირეთის ამ მნიშვნელოვან ცენტრში, გზას უკვალავდა კოლხეთის (ფაზისის) აკადემიის დაარსებასა და საუკუნეების მანძილზე (III-XIII ს.ს). მის წარმატებულ ფუნქციონირებას, სადაც ღებულობდნენ აღზრდასა და განათლებას ქრისტიანობისა და სახელმწიფოებრიობის თვალსაჩინო მოღვაწეები. აღნიშნულის უტყუარი დადასტურებაა ბიზანტიელი ორატორისა და ფილოსოფოსის თემისტიოსის (317-388 წწ) ცნობა ფაზისში (ფოთში) უმაღლესი სკოლის არსებობის შესახებ. დიდი ივანე ჯავახიშვილი ბიზანტიოლოგის ლატიშევისეულ ნაშრომზე დაყრდნობით წერს: „ელინური სწავლა-განათლებისთვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა კოლხეთში და ქვეყანა ელინური კულტურისა და „მუზათა სადგურად უქცევიათ“. კოლხებს იმ დროისათვის სადღესასწაულო ყრილობებშიც კი უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მჭერმეტყველებით“.[30] ასევე ცნობილია თემისტიოსის რჩევა სწავლის მოსურნე ახალგაზრდისადმი, რომელიც თხოვდა მას დახმარებოდა ათენში ან კონსტანტინოპოლში უმაღლესი განათლების მიღებაში. (თემისტეს 27-ე სიტყვა) - მე თავად უმაღლესი განათლება მივიღე არა ათენში და კონსტანტინეპოლში, არამედ ფაზისში. ამდენად კოლხეთის (ფაზისის) აკადემია ბიზანტიის ანალოგიურ სასწავლებლებთან შედარებით ყველაზე დაწინაურებული გახლდათ იმ დროისათვის (III-VIII სს). აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მტკიცებით: თემისტე სრულიად ნეიტრალური პირია და აქ სუბიექტივიზმი უნდა გამოირიცხოს, რადგან იგი სრულებითაც არ არის დაინტერესებული კოლხეთში სწავლა-განათლების, აღზრდისა და რიტორიკაში წრთვნის განდიდებით.[31] ისტორიულ წყაროებში ისიც არის ცნობილი, რომ თემისტიოსის მამასაც ევგენიოსს (III ს.) კოლხეთის აკადემიაში მიუღია უმაღლესი განათლება და ამით მამა-შვილი ორთავენი ამაყობდნენ. ფაზისის (კოლხეთის) აკადემიაში არა მხოლოდ ცხენზე ჯირითს, შუბისა და ბადროს ტყორცნას ასწავლიდნენ, მეზობელ ბარბაროსთა მსგავსად, არამედ წრთვნიდნენ რიტორიკულ ხელოვნებაში, ფილოსოფიაში, ისწავლებოდა ქრისტიანული მოძღვრება, საბუნებისმეტყველო დარგები, სავაჭრო საქმე, ამზადებდნენ სახელმწიფო სამართლის მოღვაწეებს... ე.ი. აკადემია „მუზების ტაძარს“ წარმოადგენდა. თემისტიოსი სიამაყით აღნიშნავს „მე რიტორიკის ნაყოფი

[29] იხ. ბიზანტიური მწერლობის ცნობები საქართველოს შესახებ. ს. ყაუხჩიშვილის თბ. 1952 წ. გვ. 128-130.
[30] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია გვ. 253
[31] შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია ტ. 1, თბ. 1956. გვ. 96

მოვწყვიტე პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან დაისადგურა და სადაც ვეზიარე „მუზებისა და სიბრძნის ტაძარში“.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე — ქრისტეს დაბადებამდე კოლხეთის შავიზღვის (პონტოს ზღვა) სანაპიროზე არსებობდა ქალაქები: პიტიუნტი (ბიჭვინთა), დიოსკურია (სოხუმი), ფიზისი (ფოთი) და პეტრა (ციხისძირთან). მათ შორის, უპირველესი და მნიშვნელოვანი სანაოსნო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და ეკონომიკური ცენტრი ქალაქი ფაზისი იყო. სხვა ქალაქები უმნიშვნელო და ნაკლებად ცნობილია ბიზანტიურ-ბერძნულ წყაროებში და რომ ფაზისის გარდა კოლხეთში სხვაგან რაიმე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი არსად არ არსებობდა. ამას უტყუარად ადასტურებს ბერძენი მოაზროვნეების მამა-შვილის ევგენიოსისა და განსაკუთრებით თემისტიოსის ღრმად ფილოსოფიური, ისტორიული წყაროები, რომლებიც დაცულია ათენის ანტიკური ხანის ხელნაწერთა სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. ამიტომ სხვა ალტერნატივის ძიება, მათ შორის, პოლიტიკური კონინკტურითა, თუ ბიზნესის ინტერესებით ყოვლად გაუმართლებელია და უსაფუძვლოდ უნდა მივიჩნიოთ. რატომ უნდა ვეძიოთ შევთხზად და ვამტკიცოთ ისტორიული კოლხეთისადმი ისეთი უპატივცემულო, შეურაცხმყოფელი მოსაზრებები, რომლებიც არცერთ ისტორიულ წყაროებში არ არის მინიშნებული და არსად არ საბუთდება. მოურიდებლად ვეტყვი ამ სენითა, თუ პოლიტიკური და ბიზნესის ინტერესების დამკვეთებს, პირველ რიგში, ვაი მეცნიერებს, რომ არც საქართველო, არც ქართველი ერი და არც მისი ისტორია დღეიდან არ იწყება და ვერც შეიქმნება სუბიექტივიზმის ზეგავლენით, რადგან მას ვერ და არ მიიღებს სახელმძღვანელოდ ქართველი ერი და მართლმადიდებლური დედა ეკლესია. ცნობილი მეცნიერი რ. შტაინერი ნაშრომში - ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება (თბ. 1994 წ. გვ. 49) აღნიშნავს: „სწორედ ხსენებულ სკოლაში შეძლეს ქრისტეს იმპულსის აღქმა და ისეთ ნათელხილვას მიაღწიეს, რომ წმინდა პავლეს საუკეთესო მიმდევრებიც გახდნენ, თავის თავში გასაკუთრებულად გაითავისეს რა ქრისტიანობა.

ზემოთ ნააზრევიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ ისტორიულად უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით შემუშავებულ დასკვნებს:

1. საუკუნეების მანძილზე ისტორიული ფაქტებით დადგენილი ჭეშმარიტების, პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენით, სუბიექტივიზმისაგან დაცვა ყოველ პატრიოტს ღირსებასა და სიამაყესთან ერთად ქვეყნისა და ერის წინაშე განუზომელ პასუხისმგებლობას აკისრებს. იგი, პირველ რიგში, მომავალი თაობებისადმი ჩვენს მზრუნველ გულშემატკივრობას შეეხება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი სამეცნიერო კონფერენცია აღნიშნულის კონკრეტული გამოხატულება და მტკიცებულებაა. დამეთანხმებით, რაც დამსახურებულად მხოლოდ მისასალმებელია და საბედნიეროდ უსაფუძვლო რევიზიას არ ექვემდებარება.

2. ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ ცნობილი „დიდი აბრეშუმის გზა“, ანუ საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც ევროპასა და აზიას აკავშირებდა, მოდიოდა ჩინეთიდან, ინდოეთიდან და რომელსაც კასპიის ზღვით ალბანეთითა და მდინარე მტკვრით სურამის უღელტეხილის გავლით, შორაპნიდან მდინარე რიონისა (ფაზისის) ჩამდინარე შენაკადების მეშვეობით საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის (პონტოს ზღვა) სანაპირო ქალაქ ფაზისს (ფოთს), აქედან კი ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და მიმდებარე ქვეყნებს უკავშირდებოდა. ამდენად, ფაზისი (ფოთი) იმდროისათვის მნიშვნელოვანი სანაოსნო-სავაჭრო, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკონომიკური ცენტრი გახლდათ, მაღალგანვითარებული ტექნიკურ-

სამშენებლო აზროვნებით, მეტალურგიით, მწერლობითა და რელიგიურობით, ჩვენი წელთაღრიცხვიდან კი - ქრისტიანობით. ფაზისი კარგად იყო ცნობილი გარე სამყაროსათვის. ქვეყანას (დასავლეთ საქართველო), რომელშიც მდებარეობდა ფაზისი და ასე ძლიერად ჩქეფდა სიცოცხლე ერქვა აია, შემდგომში კი - კოლხიდა, ლაზეთი, ეგრისი. ბერძნები ძველიწელთაღრიცხვის VII საუკუნეში ეწვივნენ ამ ქვეყანას, რასაც თავადვე ბერძნულ ისტორიული წყაროებით ადასტურებენ. კოლხეთის კულტურა ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისში იღებს სათავეს და ფაზისი (ფოთი) მისი გვირგვინია, ამიტომ დასახელებული ცივილიზაციის ცენტრის (გვირგვინის) ძიება ვანში, ბათუმში, თუ სოჭში ეს დიდი და გამოუსწორებელი ცოდვა და მკრეხელობაა... სამეგრელო იყო და არის ერთიანი განუყოფელი დედა-საქართველოს ხერხემალი, ფოთი (ფაზისი) კი – მისი ზურგის ტვინია. იგი გუბაზ მეფის, ქუჯი ეგრისელის სიბრძნე და შორსმჭვრეტელი დიპლომატია, გიორგი ჭყონდიდელის (გ. ბედია) მწიგნობრობა და უღალატობა, ცოტნე დადიანის რაინდობა, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული სულისკვეთება, სახალხო ექიმ იოსებ ჟორდანიასა და დეკანოზ მამა ილია კარტოზიას კეთილმოყვარეობა მოყვასის სიცოცხლის გადასარჩენად საკუთარის უანგაროდ გაწირვის მზადყოფნით, ზვიად გამსახურდიას, ჟიული შარტავას და სხვა მრავალთა გმირობა და ზნეობა. ღვთივკურთხეულია ჯიში და მოდგმა ღვთისმშობლის წილხვედრი ქართველი ერისა და სრულიად საქართველოსი. ამინ!

3. ქრისტიანობა, მეცნიერულ მონაცემებსა და საფუძვლებს დამკვიდრებული მოძღვრება, სწორედ ფაზისში (ფოთში) კულტურის, განათლების, სულიერებისა და ეკონომიკის აღორძინებულ შავიზღვისპირეთის ამ უმნიშვნელოვანეს ცენტრში გზას უკვალავდა კოლხეთში ფაზისის აკადემიის დაარსებასა და საუკუნეების მანძილზე (III-VIII სს) მის წარმატებულ ფუნქციონირებას. აკადემიაში მზადდებოდა სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე-წინამძღოლნი, მეცნიერული რიტორიკის დიდოსტატები. მათ შორის, აღსანიშნავია მეფე გუბაზის, ფარტაზის, აიეტის, და წათეს საჯარო გამოსვლები საქართველოს ბიზანტიასა და სპარსეთს შორის პოლიტიკური ორიენტაციის თაობაზე, რაც აქტუალურობას დღესაც ინარჩუნებს. სახალხო რიტორიკის ეს შედევრები დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში. რუის-ურბნისის ცნობილი საელკესიო კრების წყაროებთან ერთად — დიდი დავით აღმაშენებლისა და ასევე დიდი გიორგი ჭყონდიდელის (გიორგი ბედია) ღვაწლის ამსახველი მატეანით.

ქართველი კაცისათვის, სამშობლოს თავდადების მოვალეობასთან ერთად, ღირსების გრძნობის ჩანერგვა-განმტკიცებაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ქართულ მართლმადიდებლურ სამოციქულო, ავტოკეფალურ — დედა ეკლესიას, წმინდა სინოდს, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღმშენებლის მეთაურობით. ადამიანმა, ღვთის შვილმა მიწიერი კეთილდღეობა არ უნდა მიიღოს ღირსებაზე უარის თქმით, მითუმეტეს, უღირსთა ავანტურული მხარდაჭერით, რადგან ასეთი ქმედება წყევლისა და ღალატის ტოლფასია, როგორც პიროვნებისთვის, ასევე ერისა და მთლიანად ქვეყნისთვის. საზოგადოება, რომელიც ღირსების, ჭეშმარიტების მადლს მოკლებულია განწირულია გადაგვარებისა და დაღუპვისათვის... სწორედ ამ ტრადიციების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ კოლხეთის (ფაზისის) აკადემია პირველი უმაღლესი სასწავლებელია ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე, რაც დიდ საბჭოთა და პედაგოგიკურ ენციკლოპედიებშიც არის აღნიშნული და დადასტურებული. ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია გახლავთ დედა აკადემია იყალთოს, გელათის, ეროვნული და სხვა, სადღეისოდ, ფუნქციონირებადი დარგობრივი აკა-

დემიებისა. ეს ფაქტი, გარდა იმისა, რომ საამაყოა, დიდ პასუხისმგებლობასა და მოვალეობასაც გვაკისრებს. ასევე შემთხვევითობად არ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ ფოთში (ფაზისში) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II აღმშენებელის ლოცვა-კურთხევით მსოფლიოში სახელგანთქმულმა ქართველმა მეცნიერებმა აკადემიკოსებმა: ილია ვეკუამ, ალექსანდრე ბარამიძემ, ნიკოლოზ მუსხელიშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, აკაკი შანიძემ, ვიქტორ კუპრაძემ, ევგენი ხარაძემ, ანდრია აფაქიძემ, ცოტნე მირცხულავამ, ეგნატე ფიფიამ, გიორგი ჯიბლაძემ, კოტე ჩაჩავამ, გიორგი ჩიტაიამ, პავლე ინგოროყვამ, პარმენ ზაქარაიამ, პროფესორებმა დავით ხახუტაშვილმა, ილია ტაბაღუამ, ვენორი ქვაჩახიამ და სხვებმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამსვლელ სესიაზე ფოთში, ქალაქის საზოგადოების მოთხოვნითა და მხარდაჭერით, ოფიციალურად აღადგინეს III-VIII საუკუნეებში წარმატებით ფუნქციონირებადი ფაზისის (კოლხეთის) მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობა, რომელიც საბედნიეროდ დღესაც მოქმედებს და ზრუნავს თავისი სამოქმედო პროგრამით, წესდებითა და უფლება-მოვალეობებით. ფაზისის აკადემიის უმთავრესი ამოცანაა შეისწავლოს კოლხეთის ისტორია, კოლხურ-იბერიული ე.ი. ქართული ცივილიზაცია და პროპაგანდა გაუწიოს მას ფაზისის აკადემიის ყოველწლიურ ჟურნალ „ცოტნეიდელის“ მეშვეობით. სადღეისოდ თუ როგორ ვასრულებთ ამ საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანას ეს თქვენთვის მოგვინდვია, ჩვენო მშობლიურო, საფიცარო ფოთელებო. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის სამეცნიერო ცენტრებთან ერთად აქვე სისტემატურად ყური უნდა დავუგდოთ სამეგრელოს დედაქალაქის – ზუგდიდის პოზიციას, გულდასმით მოვუსმინოთ და გავითვალისწინოთ იგი პრაქტიკულ საქმიანობაში.

მართლაც, ღირსების გრძნობა საიმედო დასაყრდენი და გადამრჩენია ერისა, ამიტომაც საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ ამ უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის წარსული ისტორიულ, ლიტერატურულ, ფოლკლორულ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით და მხოლოდ მათ საფუძველზე გამოვიტანოთ დასკვნები. ესეც ხომ ღირსების საქმეა და ჩვენი საშვილიშვილო მოვალეობაა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია აყენებს საკითხს ქვეყნისა და ადგილობრივი საქალაქო, რაიონული, სამხარეო თვითმმართველობის სადირექტივო ორგანოების, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის წინაშე ქ. ფოთს დაუბრუნდეს ისტორიული სახელი ფაზისი, ხოლო ფოთისა და ხობის ეპარქია იწოდებოდეს ფაზისის სამიტროპოლიტოდ მასში დაქვემდებარებულ ისტორიულ ეპარქიებთან ერთად (ჩატარდა კენჭისყრა, წინადადებები მიღებულ იქნა ერთხმად მხარდაჭერის ოვაციის თანხლებით). მისასალმებელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტისა და აკადემიის პრეზიდიუმის მხარდაჭერის პოზიცია ამ ისტორიული გადაწყვეტილებების მისაღებად.

გიორგი ბეჟიტაშვილი

„სამშობლოსათვის გულანთებული პატრიოტი“

მარიამ (მარო) კონსტანტინეს-ასული მაყაშვილი დაიბადა 1902 წლის 25 აგვისტოს კონსტანტინე (კოტე) მაყაშვილისა და ცნობილი მწერლის, ეკატერინე გაბაშვილის ასულის - თამარის ოჯახში. მარო მათი პირმშო იყო.

1921 წელს, როდესაც ტფილისს წითელი მე-11 არმია მოუახლოვდა, ქართველი ახალგაზრდების ყველაზე გულმხურვალე, რჩეული ნაწილი კოჯორ-ტაბახმელასაკენ დაიძრა, რათა საკუთარი მკერდით შეეკავებინა სამშობლოსაკენ მიმართული მტრის ტყვია.

გამონაკლისი ამ მხრივ არც მაყაშვილების ოჯახი ყოფილა: ჯერ უფროსი ვაჟი, შალვა გაემართა ბრძოლის ველზე. სულ მალე კი, მშობლების ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, მაროც მის გზას დაადგა. მარო ამ დროს უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი იყო.

17 თებერვალს ჩაეწერა „წითელ ჯვარში„. 20 თებერვალს, მის გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ შეიწირა მისი ლამაზი სიცოცხლე. ამ ამბის გამგები კოტე მაყაშვილი ერთ ღამეში გაჭაღარავებულა თურმე.

1921 წლის 23 თებერვალს, დღის 12 საათზე, ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ მდებარე სამხედრო ტაძრის გალავანთან დაკრძალეს კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებში გმირულად დაღუპული იუნკრები.

მარო მაყაშვილის ცხედარი ყველაზე თვალსაჩინო და გამორჩეულ ადგილას დაუკრძალავთ. (1931 წელს მისი და დანარჩენი იუნკერების საფლავები სამუდამოდ დაიკარგა, მთავრობის სასახლისათვის საძირკვლის მშენებლობის დროს. ავტ. შენიშვნა).

მთელი ტფილისი და საქართველო გლოვობდა არა მარტო უდროოდ დაღუპული შვილების, არამედ იმ საფრთხის გამოც, რომელიც ქვეყანას კარს მოსდგომოდა.

მოგვიანებით, ზაქარია ფალიაშვილს "დაისის“ მთავარი გმირისთვის მარო სწორედ მაყაშვილების ასულის პატივსაცემად დაურქმევია. მისი სათნოება, ღვთისმოსაობა, კეთილშობილება ქართველ შემოქმედთათვის შთაგონების წყარო გამხდარა. მას ხშირად იხსენიებდნენ ნინოს, თამარის, ქეთევანის გვერდით, "ქართველ ჟანა დარკსაც“ ეძახდნენ მანამ, სანამ საქართველოში ბოლშევიზმი მოიკიდებდა ფეხს და კოჯორ-ტაბახმელას გმირების ხსენებაც კი საშიში არ გახდებოდა.

მარო მაყაშვილის დღიური – ასე იწყება მარო მაყაშვილის დღიური, საქართველოს დროშაც მაროს დაუხატავს და ყდის მარჯვენა ზედა კუთხეში მიუწერია: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია

გაზაფხული

დიდი ძილის შემდეგ ამოჰყო მზემ თავი, თვალები დაისრისა, ზარმაცად გადმოხედა დედამიწას და გაიფიქრა:

„ნეტა რას აკეთებენ იქ, დიდიხანია, არ ჩამიხედნია“. დედამიწამაც იგრძნო სითბო და ნელ-ნელა გადიხადა თვისი თბილი საბანი. აჩუხჩუხდნენ რუები, აღელდნენ ხეები, მოუთმენლად ელოდნენ თავიანთ კეკლუც კაბებს. ცამაც გადიფარა ცისფერი სარტყელი. გაცოცხლდა ბუნება და გააცოცხლა სულდგმულიც. ჭიაღუამ აიდგა ფეხი და მუშაობას შეუდგა. ფრინველები თანდათან იკრიბებიან შორეული ქვეყნებიდან და ერთმანეთში ჭორიკანობენ. საღამო მშვენიერი არის. მთვარე მფლობელი ღამის სივრცისა დაბრძანდება თავის ციმციმა ამალით. სიჩუმეა. სიოც განაბული სთვლემს ტოტებში. ზოგან წამოიკვნესებს ბულბული და ისევ მალე წყდება მისი ჰანგი. ყვავილები ერთმანეთს ეკონებიან. მთვარემ გადაავლო ყველაფერს თვალი, დარწმუნდა რომ ყველგან მშვიდობაა, გამოესალმა აქაურობას და ისევ მიიძინა. მის მაგივრად მზემ გაუცინა კვლავ გაღვიძებულ დედამიწას. სოფლები ახმაურდნენ. ყველა ჩქარობდა წასულიყო ყანაზედ და მოეთოხნა პური, რომ წლის სარჩო შეეძინათ. ყველა ფუსფუსებდა, უმეტესად დედაკაცები. კაცები აქა-იქ სჩანდნენ, ისიც ან ძალიან ახალგაზრდები ან ბებრები. ყველა მირბოდა მდელოებისაკენ. ამ ფუსფუსში ბევრს ცრემლი ადგებოდა თვალთ. რა ამბავი იყო? აი, რა მუშა ხელი გამოილია. რამდენმა ყმაწვილმა ბიჭმა შესწირა თავი მამულს და რამდენი სხვა ქვეყანაში იყო და თავისი სამშობლო გასაუბედურებლად დაუგდო. ამ ომმა ბოლო მოუღო მუშაობასაც და ბედნიერებასაც. რამდენმა დედამ ცრემლებთ გაგზავნა თავისი შვილი სასიკვდილოდ. რამდენმა დედამ ღამეები ლოცვაში და ტირილში გაატარა. საბრალო არსებანი. გაზარდეს რა წვალებით და ეხლა რა დღე დაადგათ. ნუთუ მაგისთვის შესწირა დედამ თავისი სიცოცხლე? რომ ვიღაცა გარეული ადამიანისთვის შესწიროს შვილი. სამშობლო, საქართველო აღარ იყო. მტერი სამშობლოს კი არ აწუხებდა, სამშობლოც უცხო პატრონს, რომელსაც მტერი უნდა მოეგერიებინა და საბრალო ქართველი წაასხა. სად არის სამართალი? ერეკლე, ერეკლევ რაზე დაგვღუპე? მათალია, შენც სხვა გზა არ გქონდა, მაგრამ რუსს რათ მიგვეცი? იმიტომ, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე ვიტანჯოთ? რათ? რა დაგიშავა საბრალო ერმა, ღმერთო?

გაზაფხლია, მოალერსე, მომღიმარი, მაგრამ ეს არავისზედ არ მოქმედობს. მათი ფიქრები სულ სხვაგან არის. ან შვილებთან, ან ქმრებთან და ძმებთაბ, რომელნიც იქნება განგმირულნი გდიან ბრძოლის ველზედ. მოხუცებული კაცები მიიზლაზნებოდნენ მინდორისკენ. გადაგდებული თოხებით და ხორბლით. უკანაც ბავშვები მისდევდნენ წყლით და პურით, მთელი დღის საგზლით. სიმღერა აღარ ისმის. სად არის ურმული და ჰოროველა? ყოველი ხორბალი ცრემლებით ითესება. მისი მთესველი იმას არ ევედრება ღმერთს, რომ კარგი მოიყვანოს ყანა და შიგ ღვთის თვალი დატრიალდეს და თავთავმა მიწაზედ დახაროს სიმძიმისგან თავი. არა! ის ლოცულობს მისი შვილი ან მახლობელი მშვიდობით დაბრუნდეს ბრძოლიდან და მაგაზედ მეტი მას არა უნდა რა. შინაც დედაკაცი მხიარული არ არის. მოწყენით და ოხვრით ასრულებს თავის მოვალეობას. მისი ჭკუა დაბნეულია და ხანდისხნან იმას აკეთებს, რაც საჭირო არ არის. ბავშვსაც კი ესმის ესეთი მდგომარეობა.

„დედა, ნუ გეშინიან, მამილო მალე მოვა, და თუ არ მოვიდა, ღვთის ნებაა, მე მალე გავიზრდები და ნახავ, როგორ შეგინახავთ“. მაგრამ ამ სიტყვებზედ ბავშვსაც სტკივა გული. დედას ამხნევებს, თითონ კი იტანჯება. სოფლის ქუჩები მთელი დღე ცარიელია. ან ყველა მინდორშია, ან სახლში ჩაკეტილი. ბალღობა ზოგიერთ ალაგას აბუზულად და მოწყენით ლაპარაკობენ. ზო-

გიერთნი კი, სულ პატარები, დალასლასებენ ან ყვირიან ან ჩხუბობენ. აი, ესენი არღვევენ სიჩუმეს. სახლში შეხვალ, იქ ცრემლებით არწევს დედა ბავშვს და ეუბნება: „შე საბრალო, იქნება მამაშენის ნახვა ვერ დაგცალდეს“ და ამაზედ უფრო ამოუჯდება გული საბრალოს. მხუცებული დედა კი იგონებს თავის შვილის ყოველ ნაბიჯს და დასტირის, იქნებ ჯერეთ ცოცხალს. თუ ძველად სამშობლო თავისუფალი ყოფილიყო, ნუთუ დედა არ შესწირავდა სიხარულით შვილს თავის მამულის დასაცავად. ეხლანდელი დედა დაემსგავსებოდა უწინდელს თუ კისრს უღელი არ ჰქონდა. ოჰ, მონობა რა ცუდი ყოფილა. შენ გინდა და სხვა გიშლის. რუსეთმა რაც კი კარგი გვქონდა, ჩვენი კულტურა სულ დასცა და ახალიც არაფერი შემოიტანა ენის გარდა. ამისთანა მფარველი რომ ღმერთს არ გაეჩინა, უფრო კარგი იქნებოდა. ეს მეტად ცუდი იყო გლეხებისათვის, რომლებსაც თავს დაადგნენ და ტყავს აძრობდნენ. ამ რუსობამ გლეხებიც კი ძლიერ გააფუჭა და სინდისი დაუკარგა, ნამუსიც. ეხლა თავისუფლება გამოვაცხადეთ, კვლავ დამოუკიდებლები ვართ. ამისდა მიუხედავათ გლეხი სულით და ხორცით დაეცა, დაივიწყა რწმენაც და პატიოსნებაც. იმის მაგივრათ, რომ ყველანი ერთად იცავდნენ ამ მონობისგან განთავისფლებისგან, აქ გლეხი გამხეცდა და თავის მოძმე ქართველს ჰკლავს. საზღვარი არ არის. ადამიანი დაიღუპა, გაფუჭდა. აი, რუსობამ რა შედეგ მოუტანა ჩვენს ერს. ნუთუ დადგება ის დრო, როდესაც ძველებურად აუძგერებს ყველას გულს. ღმერთო, მალე, მალე მოვიდეს ის დღე და ქედმოხრილნი მარტო შენი მონები ვიყვნეთ.

რა იქნა ძველი ჩვენი განათლება, სწავლა და კულტურა? მანდილი გადააფარა ალბათ ყველაფერს ოხრათდარჩენილმა რუსმა. ოჰ, როგორ მძულან, მეტადრე ეხლა ამ ომის დროს და მერე ვკითხულობ ყაზბეგის წიგნს, სადაც რუსეთის მთავრობის მოქმედებაა! ეგ ერთი ერია მგონი, ესეთი უღმერთო, უბედური, გაუნათლებელი და ღმერთისაგან დაწყევლილი. ღმერთო, მოგვიმართე ხელი.

1918 წლის 20 მაისს. 10 საათი საღამოსი. თბილისი

****

დღეს დაგვიდგა უბედური დღე. დღეს შემოვიდა გერმანელის ჯარი და ქართველები ე.ი. ჯარი სიმღერით დაუხვდა. ჩვენც წავედით სანახავად. რა სურათი წარმოგვიდგა თვალწინ: ჩასუქებული, ჩასხმული, მხარბეჭიანი გერმანელები ხიშტებით ხელში შუა ქუჩაში იდგნენ რიგრიგად და ხალხი მათ გარს შემოხვეოდა, მათ ისეთი შეხედულება ჰქონდათ, თითქოს უნდა ადამიანი შუაზე გაეგლიჯათ. წარბშეხრილნი და გამგელებულნი პარადი იყო. მე ასეთი გრძნობა მქონდა, ვითომ ვიღაცა ახლობლს ასაფლავებდნენ. მღეროდნენ ქართველები, მაგრამ გულში რა ჰქონდათ? სევდა და დაღონება. მოვიშორეთ ერთი ბატონო. მონობისგან გავთავისუფლდით, ახლა კი ახალი უღელი დავიდგით. ღმერთო, ზეციერო, რა დაგიშავა ამ პატარა ერმა, რომ მთელ თავის ჯავრს ჩვენზედ იყრი?

იმ საშინელ დღეს მიდიოდა ორი ჯარი – ქართველები და გერმანელები. ხალხი ბუზებივით ირეოდა. ზოგი იცინოდა, მხიარულობდა, ზოგი კი სდუმდა და სევდას ეძლეოდა. ჩემზე ამან ისე იმოქმედა, რომ ტირილიც კი მინდოდა. აი რისთვის ვიბრძოდით, აი ნაყოფი წარმოუდგა ახლა ყველას. რა საზარელი შეხედულება აქვთ: ჩასხმულები, მხარბეჭიანები, გოჭივით ჩასუქებული ცხვირ-პირი და სასტიკი გამომეტყველება. ჩემს უკან მოდიოდა ორი რუსი. ერთმა მათგანმა სთქვა, როცა ქართული სიმღერა გაიგეს: пой ласточка, пой, и могилу себе рой! აი რუსების უკანასკნელი გამომშვიდობება, ამ სიტყვებით მოგვეგებნენ. ეს აზრი დაგვილოცეს მათ.

1918 წელი, 12 ივნისი

***

ჩვენ წინ გაიარა პაოლო იაშვილმა. მასთან ჩემი შორეული ნათესავი იყო. მე დავუკარი მას თავი. პაოლომ შეამჩნია ისე მიყურებდა, რომ ძალიან გამიკვირდა ბოლოს, ერთ კუთხეში დავდექით. ჩვენ პირდაპირ დადგნენ პაოლო, ტიტე ტაბიძე და ორი პოეტი, არ ვიცი მათი გვარები. მე ვდგევარ და ვწითლდები. ყველანი მე მიყურებენ ელიჩკამ ხომ გამიწყალა გული – „იჰ, მარო, ნუ ღელავ, ნუ წითლდები“ პაოლოს უკითხავს ჩემზედ, ვინ არის ესო. ნინა მაყაშვილი ეუბნება: „ეს კოტე მაყაშვილის ქალიაო. „კოტესი!“ გაუკვირდათ, ყველანი მობრუნდნენ, დამიწყეს ყურება. პაოლომაც. მე გავწითლდი, მოვავლე ხელი ქეთოს და გავიქეცით

1918 წლის 12 ივნისი

***

რა ვიცი, თითქოს ჯერ კარგად ეპყრობიან გერმანელები ქართველებს. გუშინ ლაპარაკობდნენ, თითქოს სომხები რაღაცას სთხოვდნენ გერმანელის უფროსს, მაგრამ მან მიაძახა: ჯერ ქართველებს და იქნება თქვენცაო. ქართული და გერმანული ჯარი ბრძოლაში იყო და ორი ქალაქი დაიხსნა. თანდათან იქნება დისციპლინას შეგვაჩვიონ. ჩვენ ხალხში ეგ საჭიროა. ეკონომია და ყველაფრის გაზომვა უნდა შევითვისოთ, თუ გვინდა, რომ ვიარსებოთ. იქნება გერმანელებმა მაინც კარგ გზაზე დაგვაყენონ.

ყოველი სოციალისტის ლაპარაკში ეხლა ნაციონალურ – პატრიოტული ელემენტიც შეიპარა. ყველამ იგრძნო, რომ საქართველოში სოციალისტობა შეუძლებელია. მაგრამ სოციალისტებს არ უნდათ, რომ სხვებმა ჩააჩუმონ ისინი და მაინც მაგ პარტიას აღმერთებენ. აი რა ხდება ეხლა საქართველოში, რომელიმე ქართველი მეფე ამას წარმოიდგენდა? ამაზედ ფიქრიც კი ეშინოდათ. ოჰ! თამარ, სად არის შენი ბრწყინვალე დრო და ან შენი – დავით აღმაშენებელო.

იქნება სხვები ამას არ ხედავენ, მაგრამ მე ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სრულად ეღირსება ამ ბედშავს ერს თავისუფლება. მაშინ იქნება აუწერელი ბედნიერება. ყოველი ადამიანი მას აღტაცებით მიეგებება, როგორც მშობელს. მაშინ მზეც მხიარულად გაანათებს და გაათბობს არეს და მთვარეც გაანათებს ძველ კვალს, რომელიც სიმართლისკენ მიდის.

ეხლა მინდა ცოტა ჩემ თავზეც ვილაპარაკო. მე იმიტომ გადმოვიტანე ჩემი დღიური აქ, რომ ძველი მეზიზღება. იქ არასასიამოვნო (ეხლა) ჩემთვის ამბები და ჩემი გრძნობები არის. მერე იმაში წერაც არ მიმიწევს, რადგანაც სულ დაჯღაბნულია. ერთი ფურცელი არ არის რომ რამე წაშლილი არ იყოს, კარგიც ვქენი. ძველი ყველაფერი დავივიწყე და ახალ გრძნობას მივეცი.უფრო ცუდი სულ წავჯღაბნე ისე, რომ მარტო შავი ხაზები დარჩა დაწერილ სიტყვებს მაგივრად. როცა ვშლიდი, აი სწორედ მაშინ სურვილი მქონდა დღიური მთლად დამეხია, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან იქ ბევრი სხვა რამ მქონდა ისტორიული და უფრო საინტერესო. და ამიტომ, ისე დავარჩინე.

1918 წელი. 16 ივნისი

***

ამას წინად მეხუთედ შემხვდა „ის”. არ ვიცი არც მისი სახელი და არც გვარი. ძალიან მომწონს. კარგი სახე აქვს. ძალიანაც მინდა გავიცნო. როგორც შევხვდები ხოლმე, ისიც მიყურებს. არ ვიცი, რისთვის. იმიტომ, რომ ვწითლდები, თუ ღმერთო, გამაგებინე, ვინ არის ამას წინად თეთრ ჩოხაში ვნახე, შესანიშნავი იყო რაღაც მემართება. ახლა ძალიან შემემჩნა მარტოობა. მინდა დედა მალე ჩამოვიდეს, მოწყენით ვარ

1918 წელი. 28 ივნისი

***

მინდა საზღვარგარეულ ძალიან და ძალიან. წავალ უსათუოდ. სწავლის შემდეგ ერთ წელიწადს ვიმსახურებ, მოვაგროვებ ფულს და გავუადვილებ ჩემს მშობლებს ამითი ძალიან მინდა პარიზში და იტალიაში. ნუთუ რამე შემიშლის ხელს?

20 მარიამობისთვე

***

თუ გავთხოვდები, ქმრის კისერზედ არასგზის არ ვიქნები. ჩემთვის ვიმუშავებ და ჩემთვის ფულს შევიძენ. რა სამართალია, სხვისი ამაგით ცხოვრება. მე მაგის წინააღმდეგი ვარ.

17 ენკენისთვე

***

ეჰ! რა დროს პირად გრძნობაზეა ლაპარაკი. ამ დღეებში წყდება საქართველოს ბედ-იღბალი. გათავდა მსოფლიო ომი. ვიფიქრეთ, პატარა და დიდი მტრები ეხლა მოისვენებენო. არა! ახლა პატარებმა, უმნიშვნელო, უსინდისო და კიდევ სხვა ერმა – სომხებმა გამოუცხადეს ომი! მერე ვის? ქართველებს. ლაჩრები. რამდენი სიკეთე ვუყავით, ათასობით ლტოლვილი, გლეხები, შიმშილს და სიკვდილს გადავარჩინეთ, მეზობლებათ და მეგობრებათ ვთვლიდით გუშინ ულტიმატუმი წამოუყენა სომხის მთავრობამ ერივანისა – ქართველებს. ახალქალაქი, ახალციხე, ჯავახეთი დაგვიცალეთო, თბილისი ნეიტრალურ ქალაქად გახადეთო. შორიდან გულადები, უნამუსოები ეხლა ისე დავეცემით და გავლაჩრდებით, რომ ესენი ავასრულოთ? სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ. ქართველი ძალიან მომთმენია, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. მსხვერპლი დიდი იქნება. აი, რა არის საშიში, ღმერთო! ნუთუ მაგისთანა უსინდისო ხალხზე შენი კურთხევა წამოვა! არა მგონია, არა! მაშ დაიცადეთ, მგონი, დაგავიწყდათ ქართველების მუშტის გემო!!! ძალა რომ მქონდეს მე რა არის უმაღლესი და ულამაზესი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობისა.

10 ოქტომბერი, 1918 წელი

***

თბილისი თანდათან ივსება ინგლისელების ჯარით ხან ფრანგები გვეწვევიან, ხან გერმანელები, ხან სომხები. ახლა ინგლისელები. რას გააკეთებენ აქ, არ ვიცი თანდათან რაღაც მეპარება მე გულში. რაღაც ახალი გრძნობა, ტკბილი, სასიამოვნო. ერთ ვინმეს რომ დავინახავ ხოლმე, გული ძგერას დამიწყებს და სისხლი თავში ამივარდება. მე არ ვიცნობ მას. არ ვიცი მისი სახელი, ამგვარი ნეტავ ვინ არის? მაგრამ მგონია, გავიგებ მალე.

17 დეკემბერი

***

მდგომარეობა უცვლელია. დენიკინი ჯარით არც ახლოვდება, არც მიდის. კრებები გაუთავებელია. ამ დღეებში მობილიზაცია მოხდებაო. ოჰ! როდის უნდა ამოვისუნთქოთ თავისუფლად. როდის აყვავდება წალკოტივით ჩვენი ქვეყანა. რათ ვუნდივართ ჩვენ სხვებს დაგვანებონ თავი აბა, რას ვერჩით დენიკინს, რა უნდა ჩვენგან? არა. ქართველი ერი მხნე და გულადი არის, არავის დაანებებს თავის სამშობლოს. სამშობლოსადმი სიყვარული უდიდესია, სხვა ყველა გრძნობაზე მაღლა სდგას, შეებრძოლება მტერს სისხლის უკანასკნელ წვეთამდის. შეებრძოლება და ან სიკვდილი, ან გამარჯვება.

4 იანვარი, 1919 წ.

“გუშინ სასწავლებელში გვქონდა დიდი საღამო-ბალი. ჯერ მანამ ეს გაიმართებოდა, დიდ ფუსფუსში ვიყავით, ვღელავდით და გვეშინოდა, რომ ცუდათ ჩაივლისო, მაგრამ ჩვენი მოლიდინი არ გამართლდა. 7 საათზე ხალხმა დაიწყო თავის მოყრა. სანამ კონცერტი დაიწყებოდა, რაღაც უცხო ხალხი იყო, მოსწავლეები და წვრილფეხობა. სასიამოვნო არ იყო. თამარა ილინიშნამ მე, ქეთო და ვავა საჩაიეს ოთახში დაგვაყენა. ბუფეტი შესანიშნავი იყო. ბევრი რამის გემოც ვნახეთ. 9 საათზე არტისტებიც მოვიდნენ: ვანო სარაჯიშვილი, ინაშვილი, სპიტკო. გავიცანით ინაშვილი. წინად უფრო მომწონდა, როცა ახლო გავიცანი არ მომეწონა. რას ნიშნავს ახლო? აი, როცა დაველაპარაკე, ახლო ვნახე მისი სახე. შორიდან უკეთესია. თავისი სურათები გვაჩვენა დემონში გადაღებული. პირველმა სპიტკომ იმღერა, რადგანაც კომერციულ სასწავლებლის საღამოზედაც იყო მიწვეული. სწორედ იმ საღამოს თითქო ჯიბრზე კომერსანტებმაც გამართეს ბალი. კონკურენცია იყო ჩვენ და მათ შორის. საკონცერტო განყოფილება ძალიან კარგი იყო.

12 საათზე ცეკვა გაიმართა. ბევრი ვითამაშე, ძალიან დავიღალე კიდეც. თვალებიუ მიჭრელდებოდა, როცა მაგდენ თავებს ვხედავდით. კორიდორებში გამოვედით დასასვენებლად, როცა გოგა, მე, ქეთო, გუგული და ბევრი სხვა ჩვენი ჯგუფისა შევედით პატარა სასტუმრო ოთახში და ცალკე ცეკვა გავმართეთ. იქვე როიალი იდგა, გუგული მამაცაშვილი უკრავდა. ჩვენ კი ყველაფერს ვცეკვავდით, ტანგოსაც კი. მერე ჩაჩნური მათამაშეს, ყველას ძალიან მოეწონა. მუსიკა მშვენიერი იყო. ხალხი ძალიან ბევრი იყო და კინაღამ ჩხუბი არ მოუვიდათ ზოგიერთ სამხედრო პირებს, მაგრამ გააშველეს.

11 საათზე პაულო იაშვილი მოვიდა. მივესალ;მეთ და ყვავილები მივეცით. შემდეგ კოპალიც მოვიდა და ვახშმისთვის სულ კარგი ხალხი დარჩა. პირველ საათზე თუ ორის ნახევარზე ვახშამზე დასხდნენ. პაულო პულუმბაშათ იყო. აუქციონზე შამპანური ორ ათასად გაჰყიდა. ძალიან ყვიროდა და დაიღალა. ესტრადაზე მე და ქეთო აგვიყვანა და იქ გვეჭირა ბოთლი. სხვები ფულს აგროვებდნენ. კაბარეს დროს პაულომ და კოპალმა ლექსები წაიკითხეს. სახაზინო თეატრიდან მოიპატიჟეს მოცეკვავეები და მომღერლები. ძალიან კარგი იყო. ჩემ მაგიდიდან ბლომად ავიღე ფული. ძალიან ბევრნი მოვიდნენ კომერციულ სასწავლებლის საღამოდან ჩვენ ვახშამზე.

4 საათზე ხალხო წავიდ-წამოვიდა. თამარ ილინიშნამ ძლივს გააბრძანა ზოგიერთი მთვრალი სამხედრო პირი. მერე დავრჩით მე, ელო, ტასო, ნიცა, ბეჟანიშვილი და რცხილაძე. თითქმის მთელო მეექვსე კლასი, ზოგიერთნი VI-ა-ადან, პაულო, ლელი, კოპალი, ყველა მასწავლებლები, დირექტორი, გამგე თავის მახლობლებით, 8 აფიცრებამდინ, სუნანა, მედია, აფხაზი ნიკუშა და სხვ. გავმართეთ ცეკვა. მუსიკა წავიდა და როიალზე უკრავდით. აქ უფრო კარგად გავატარეთ დრო, მე პირველად ვიყავი საღამოზე და ისე ნასიამოვნები არასოდეს არ დავრჩენილვარ. მათამაშეს ჩაჩნური. პაულო და კოპალი არ მშორდებოდნენ. იცინოდნენ და მიხაროდა, რომ ჩემ მიერ დაპატიჟებულნი კარგად ატარებდნენ დროს. ხუთ საათზე ვახშამი გაგვიშალეს. ერთი უშველებელი საერთო მაგიდა. ქეთო 4 საათზე წავიდა. მეც მეუბნებოდა, მაგრამ ამხანაგებმა დამარჩინეს. ჩვენი გერმანულ ენის მასწავლებელი ძალზე დაითვრა და ყველას ქათინაურებს ეუბნებოდა. საცინელი იყო ციმთვრალეში და ცეკვაში. ბ-ნი ლეოც ჩამოვიდა ზუგდიდიდან ჩვენ საღამოზე. ძალიან გაგვეხარდა და ისიც გახარებული იყო. როცა ცოტ გადაჰკრა, აღარ გვშორდებოდა, გვეხუმრებოდა და ოხუნჯობდა. ვახშმის დროს დირექტორმ მოგვილოცა ჩვენ და გვისურვა ბედნიერება. მან სთქვა: მე მინდა, რომ თქვენ ცხოვრებაში თქვენი აზრით და ჭკუით იყოთ და არავის, არავის არ მიბაძოთ, მაგაზე საშინელება არაფერი არ არის. მერე პაულომ და კოპალმა დალიეს, ალავერდი ჩემთან იყო.

დაუკრეს ჩაჩნური, ვიცოდი, რომ მათამაშებდნენ. გავიქეცი და დავიმალე სხვა ოთახში.

ყველკანი გამომეკიდნენ “ კნიაჟნა”, „კნიაჟნა”! სულ ერთია, არ დაგანებებთ თავსო, მანამ არ ითამაშებთ. რა მექნა, მეც დავსთანხმდი. ტასო და რცხილაძე აქ ძალიან დაითვრნენ. ტასო ძლივს იჯდა სკამზე. ხან მე დამადებდა მხარზე თავს, ხან ელოს. მეც სანაძლეოზე ვჭყიპავდი. რცხილაძე ხომ კინაღამ მოკვდა. სულ გასულელდა და რაღაცეებს ბუტბუტებდა. ოჰ, რამდენი ვიცინეთ.

8 საათზე სახლში დავაპირეთ წასვლა. არ გვიშვებდნენ, მაგრამ მაინც წავედით. მე-6 კლასი და დანარჩენი წინ წავიდნენ. ვაჟები, მე, სუნანა და მედია ერთად გამოვედით. აი, აქ იყო, რაც იყო. სახლამდინ არ მომიკუმია პირი, გიჟივით ვიცონოდით. სასწავლებლიდან რომ გამოვედით, პაულომ მოტეხა ერთი დიდი ტოტი ხისა, შუა ქუჩაში დადგა და ყვირილი დაიწყო, გაიღვიძე, მინისტრო ევგენი გეგეჭკორო! გეგეჭკორი იქვე სდგას (ცხოვრობს). ქუჩაში ვინც კი არ შეხვდებოდა ხელს ართმევდა, ქუდს უხდიდა და ჰკოცნიდა კიდეც. ერთი „ტაჩკა“ დაინახამ შიგ ჩაჯდა და ყვირის მცხეთაში მივდივარო, იმ დღეს კურთხევა იყო კათალიკოსის ლეონიდის. იქიდან ჩამოაბრძანეს, ისე ვხმაურობდით, რომ ყველა ფანჯარაში იყურებოდა ღამის საცვლებში. პაულო და კოპალი ქუდს უხდიდნენ და კოცნას უგზავნიდნენ. პირველნი სირცხვილისგან იმალებოდნენ. შეგვხვდა ერთი დროგი ჭარხლით. პაულომ მისცა მედროგეს 5 მანეთი და 4 დიდი ჭარხალი ამოაცალა და გადმოგვიგდო, ერთი საჩაიეში შეიტანა და უთხრა, სადილისთვის ჭარხლის სუფი გამიკეთეთო. მეორე მუშას ჩაუჩხირა პირში. ორი ვირი მოდიოდა, ზედ შეაჯდა და გარეკა.

ტრამვაი გაივლიდა დ თავს უკრავდნენ ყვირილით: „Здравствуй душечка. Оля, Маруся, Таня!..“ კოპალი და ერთი ავიატორი ციციშვილი აჰყვა. როცა სახაზინო თეატრს მიუახლოვდით მუსიკის ხმა მოგვესმა. დავინახეთ ქართული ჯარი ქართული დროშით მიმავალი მცხეთაში. კოპალმა და პაულომ ორი უშველებელი თაიგული იები გვიყიდეს. მე და სუსანას ყველაზე დიდები მოგვცეს. დავდექით შუა გზაში და ჯარი რომ მოგვიახლოვდა, ყველას დაურიგეთ პატარ-პატარა თაიგულები და მერე თავზე ვაშას ძახილით გადავაყარეთ. ჯარი შედგა და ქართული სიმღერა დასძახეს. პაულომ ექსპრომტები უთხრა. მერე ჯარს უკან მარშით გავყევით. ხალხი გვიყურებდა და უკან მოგვდევდა ცქერით. ყველა ფანჯრებიდან გვიცქერდნენ. 9 საათი იყო. ხალხი ძალიან ბევრი იყო. დავეწიეთ დანარჩენ მოწაფეებს დაყველა ერთდ წავედით. პაულომ, ციციშვილმა და კოპალმა დაინახეს ერთი მზარეული, რომელიც ფანჯარაში იდგა. რკინის ღობე ჰქონდა გაკეთებული. როგორც ნადირის, ისე ბრაზება დაიწყეს, თითს აჩვენებდნენ. ეღრიჭებოდნენ. იმანაც ველარ მოითმინა და წყალი შეასხა. ერთი თათრის დუქანში შევიდა პაულო, აიღო დიდი ვაშლი და მთელ ქუჩაში მიყვირის, მარო, მაყაშვილის ქალო, ვაშლი, ვაშლი დაიჭირეო და გადმომიგდო. მე ძლივს დავიჭირე. მერე აიღო რაღაცა და მეუბნება, რა მაქვსო თქვენთვის, რაო! მე მივედი და ხახვი ჩამიდო ხელში.

ჩაგვაცივდნენ მცხეთაში უნდა წამოხვიდეთო თქვენ და სუნანაო ავტომობილით”

1919 წელი. 23 თებერვალი. ***

1919 წ. მთვარის შუქზე ვწერ ჩემს დღიურს, სასიამოვნოა

გუშინ, არ ვიცი, რათ, მგალობლიშვილებთან ამივარდა საშინელი ქვითინი, ისეთი, რომ თითქმის 1 საათი ვტიროდი. ამომიჯდა გული. ვეკითხები ჩემ თავს, რა არის, მაგრამ იგი სდუმს და პასუხს არ მაძლევს. რა მიზეზია, არ ვიცი

30 ივლისი საყვარელო მამა! მე ჯერჯერობით კარგად ვარ. სულ ერთი პოზიციისგან 112 ვერსზე ვართ, მეორისგან 5 თუ 7-ზე. მტერი ჯერ შორს არის, ძალიან სცხებენ ჩვენები. ძალიან აღფრთოვანებულები არიან. ცოტა თხილი და თუ შესაძლებელია, რამე ტკბილეული გამოგზავნეთ თავს გაუფრთხილდით. გკოცნით ბევრს. ისე არა ცივა. მოკითხვა ყველა ჩვენებს. ნუ გეშინიანთ. გავიმარჯვებთ სახელოვნად.

შენი მარო

მარო მაყაშვილის მშობლები

რესპუბლიკის ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი აუწყებს საზოგადოებას, რომ ვერაგ მტერთან ბრძოლის პირველი მსხვერპლი ქალის, თავგანწირულად და გმირულად თავის მოვალეობის აღსრულების დროს მოკლულის, მოწყალების დის, უნივერსიტეტის სტუდენტის

მარო მაყაშვილის

დაკრძალვა მოხდება სამხედრო ტაძრის გალავანში ოთხშაბათს, 23 ამა თვისა, დღის 12 ს.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი

საერთაშორისოანგარიშსწორების ძირითადი ფორმები

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შეუქცევადმა ტენდენციამ, საქონელწარმოების, საქონელმიმოქცევისა და მომსახურების ინტერნაციონალიზაციამ გამოიწვია საერთაშორისო ანგარიშსწორების აუცილებლობა. საერთაშორისო პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კონტრჰაგენტებს შორის ანგარიშსწორების ფორმების, ვადებისა და გარანტიების ზუსტად განსაზღვრა.

საერთაშორისო ანგარიშსწორება არის ფულად მოთხოვნილებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადასახადების მოწესრიგება, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოებს, იურიდიულ და ფიზიკური პირებს, აგრეთვე საოჯახო მეურნეობებს შორის ჩამოყალიბებული ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ბაზარზე.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გარიგებათა სავალუტო-საგადასახადო ურთიერთობები და პირობები ითვალისწინებს შემდეგი ელემენტების გამოყენებას: გადახდის ფორმები, ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტა, საგადასახდელო ვალუტა, ანგარიშსწორების ფორმები (წინამდებარე სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ ანგარიშსწორების ფორმებზე).

ანგარიშსწორების ფორმები – ეს არის საერთაშორისო პრაქტიკაში ისტორიულად ჩამოყალიბებული საგადასახდელო და საქონელგანკარგულებითი დოკუმენტების გაფორმების, გადაცემის, დამუშავებისა და გადახდათა განხორციელების ხერხები.

კონკრეტული ფორმის არჩევა, რომლითაც განხორციელდება ანგარიშსწორება საგარეოსავაჭრო კონტრაქტის მიხედვით, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ძირითადად გამოყენემულია შემდეგი ფორმები: საბანკო გზავნილები (გადარიცხვა), ჩეკი, ინკასო, აკრედიტივი, ღია ანგარიში, თამასუქი.

საერთაშორისო ანგარიშსწორება რეგულირდება ნაციონალური საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით, აგრეთვე საქმიანი ბრუნვის წესებითა და ჩვეულებებით. საერთაშორისო ანგარიშსწორების უნიფიკაციის აუცილებლობა განპირობებულია საბანკო ოპერაციების უნივერსალურობით. ამიტომ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ (პარიზი XX საუკუნის დასაწყისი) შემუშავებულია უნიფიცირებული წესები და ჩვეულებანი დოკუმენტალური აკრედიტივებისათვის და ინკასოს მიხედვით. მსოფლიო ბანკების უმეტესობა მიუერთდა ამ წესებს. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში სათამასუქო და საჩეკო მიმოქცევის უნიფიკაცია რეგლამენტირებულია წესებით (ჟენევის კონვენცია, 1930-31 წწ.). ყველაფერი ეს წარმოადგენს ბაზას ქვეყნების უმრავლესობის ნაციონალური კანონმდებლობისათვის.

საბანკო გზავნილები (გადარიცხვა) – წარმოადგენს ერთი ბანკის დავალებას მეორისადმი, გადაუხადოს გადარიცხვია მიმღებს განსაზღვრული თანხა. საბანკო გზავნილების ეკონომიკუ-

რი დასაბუთებულობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გზით ხდება საქონლის (მომსახურების) გადახდა: მათ მიწოდებამდე (საავანსო გადასახდელები), თუ იმპორტიორის მიერ მათი მიღების შემდეგ (ღია ანგარიშის ფორმით ანგარიშსწორება).

ანგარიშსწორების მონაწილეებს წარმოადგენენ: გადარიცხვის გამცემი (მოვალე); გადარიცხვის გამცემის ბანკი, რომელმაც მიიღო დავალება; ბანკი, რომელიც ახორციელებს გადარიცხვის თანხის ჩარიცხვას გადარიცხვის მიმღებისათვის; გადარიცხვის მიმღები.

განვიხილოთ საბანკო გზავნილების სქემა:

1. კლიენტი – გადარიცხვის გამცემი აფორმებს განცხადებას გადარიცხვაზე სამ ეგზემპლარად (მხოლოდ პირველ ეგზემპლარს ეწერება ხელი უფლებამოსილი პირის მიერ);
2. განცხადებაში მითითებული მონაცემების შესაბამისად ბანკი ადგენს საგადასახდელო დავალებას საზღვარგარეთელი ბანკი-კორესპოდენტისადმი;
3. იმპორტიორის ბანკი აგზავნის თავისი სახელით საგადასახდელო დავალიანებას ექსპორტიორის ბანკში;
4. ექსპორტიორის ბანკი რიცხავს ფულად თანხას მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

ბანკი ახორციელებს კლიენტურ გადარიცხვებს გადარიცხვის გამცემის ხარჯზე უცხოელი მიმცემისათვის (ბენეფიციარისათვის), ბანკი – გადამხდელისათვის მის მიერ გადახდილი თანხის ანაზღაურების ხერხის მითითებით. გადარიცხვის მიმღების ბანკი ხელმძღვანელობს კონკრეტული მითითებებით, რომლებსაც მოიცავს საგადასახდელო დავალება. საგადასახდელო დავალებები გადაიცემა ბანკებს შორის საბანკო ინფორმაციის გადაცემის ტელესაკომუნიკაციო საშუალებების გზით (სვიფტი, სპრინტი, ტელექსი).

საიმპორტო ოპერაციებისას გადარიცხვაზე განცხადებაში მიეთითება შემდეგი მონაცემები: გადარიცხვაზე განცხადების ნომერი და თარიღი; უცხოური ვალუტის გადარიცხვის თანხა (ციფრებითა და სიტყვიერად) და გადახდის ვალუტა; შეტყობინების გადაცემის ხერხი (ფოსტა, ტელეგრაფი, ელექტრონული საშუალებები); გადარიცხვის მიმღების სრული დასახელება, მისი რეკვიზიტები; გადარიცხვის მიმღების ბანკის რეკვიზიტები; გადახდის დანიშნულება (კონტრაქტის ნომერი და თარიღი); გადახდის სასწრაფოობა (რაზე დამოკიდებულებითაც ბანკი იღებს საკომისიოს გადარიცხვისათვის).

საბანკო გზავნილების ჩატარებისას, საკომისიო, როგორც წესი, გადაიხდევინება იმპორტიორის ბანკის მიერ. ის დაკავდება გადარიცხვის გამცემდან ამ უკანასკნელის მიერ ბანკში გადარიცხვებზე განცხადების წარდგენისას. კლიენტი–იმპორტიორისაგან განცხადების მიღების შემდეგ, ბანკი თავისი სახელით გადაგზავნის საგადასახდელო განცხადებას ექსპორტიორის ბანკში. შემდგომ ექსპორტიორის ბანკი ჩარიცხავს ფულად სახსრებს ექსპორტიორის ანგარიშზე.

საბანკო გზავნილებით ანგარისშწორების შესახებ დასკვნის გაკეთებისას, აუცილებელია ავღნიშნოთ ანგარიშსწორების მოცემული ფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებით მომენტს მიეკუთვნება ოპერაციათა განხორციელების სისწრაფე, სიმარტივე და სიიაფე, მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია გადახდის გარანტიის არარსებობა და შესაბამისად, ანგარიშსწორების მოცემული ფორმის არასაიმედობა.

ჩეკი. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ფართოდ გამოიყენება ჩეკები. იმ შემთხვევაში, როცა მყიდველი იხდის ჩეკის დახმარებით, მას შეუძლია გააკეთოს შემდეგი არჩევანი:

ა.დამოუკიდებლად წამოაყენოს ჩეკი (კლიენტის ჩეკი);

ბ.დაავალოს ჩეკის გამოწერა ბანკს (საბანკო ჩეკი);

წარმოადგენს რა საბრუნავ დოკუმენტს, ჩეკი გადადის ხელიდან ხელში, ერთი მფლობელიდან მეორესთან და ასეთნაირად ყველაზე ხანმოკლე ვადაში იძლევა შესაძლებლობას, დაიფაროს რამდენიმე მფლობელის საგადასახდელო ვალდებულებები, ცვლის რა საბანკო გადარიცხვას და აგრეთვე ნაღდ ფულს.

საერთაშორისო დონეზე საჩეკო მიმოქცევაში გამოსაყენებლად ჩეკის რეკვიზიტები და საჩეკო ნომრები უნიფიცირებულია ერთგვაროვან საჩეკო კანონში, რომელიც 1934 წ. იქნა დამტკიცებული ჟენევის კონვენციით. სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და საქმიანი ბრუნვის ჩვეულებებზე დამოკიდებულებებით საჩეკო კანონმდებლობის ცალკეული დებულებები შესაძლოა განსხვავდებოდეს.

საჩეკო ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები:

ჩეკის გამცემი – ასრულებს საჩეკო წიგნაკის შენახვის წესებს, აწოდებს გადამხდელ ბანკს თავისდროულად, ანუ გადახდის მომენტისათვის, დაფარავს, თავისდროულად, აცნობებს ბანკს ჩეკების დაკარგვისა და გაყალბების მისთვის ცნობილი შემთხვევების შესახებ, რათა თავისდროულად შეეწინააღმდეგონ ასეთი ჩეკების განაღდებას და ა.შ.

ბანკი – გამყიდველი – ანაღდებს მასზე წაყენებულ ჩეკებს დაფარვის ხარჯზე ან კრედიტში (ოვერდრაფტი ჩეკის გამცემის ანგარიშის მიხედვით) ჩეკის სათანადო მფლობელისათვის. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო ანგარიშით ჩეკის განაღდებისათვის პასუხისმგებლობას ატარებს არა გადამხდელი ბანკი, არამედ – ჩეკის გამცემი.

ჩეკების სახეობები. წარმოადგენს რა გადახდის ინსტრუმენტს, ჩეკი უპირატესად უნდა იყო ქაღალდი წარმომდგენზე. მაგრამ პრაქტიკა სხვა გზით მიდის: ჩეკების უმეტესობა გამოიწერება განსაზღვრულ პირზე, რაც ამცირებს ჩეკის მიხედვით სახსრების არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ მიღების რისკს.

სახსრების მიმღების მითითების ხერხის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ ჩეკებს:

ც. სახელობითი – გამოწერილი განსაზღვრულ პირზე (მაგალითად, „გადაუხადეთ მხოლოდ ხარაიშვილს"). ამ დათქმით იკრძალება ჩეკის შემდგომი გადაცემა ინდოსამენტით სხვა პირისათვის;

დ. ორდერული – გამოწერილი განსაზღვრულ პირზე, სხვისთვის გადაცემის უფლებით;

ე.წარმომდგენისა – ჩეკები, რომლებიც შეიცავენ ნიშანს „გადაუხადეთ ამ ჩეკის წარმომდგენელს,"აგრეთვე გამოწერილი საერთოდ მიმღების მითითების გარეშე. მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ჩეკი მიმღების მითითების გარეშე ბათილად ითვლება.

გადახდის ხერხის მიხედვით განასხვავებენ საანგარიშსწორებო და კროსირებულ ჩეკებს.

საანგარიშსწორებო ჩეკი. გადახდა ასეთი ჩეკის მიხედვით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჩეკის თანხის ჩარიცხვის გზით მიმღების ანგარიშზე ბანკში (ნებისმიერში ან იმაში, რომელიც მითითებულია ჩეკზე). ასეთ ჩეკს აქვს შეზღუდული ბრუნვადობა, რამეთუ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ პირებთან ანგარიშსწორებისათვის, რომლებსაც აქვთ ანგარიში გადამხელ ბანკში, ანგარისსწორებისათვის თავად გადამხდელთან.

კროსირებული ჩეკი. (ინგლ. Cross - გადახაზვა) – ჩეკი, რომლის პირის მხარე გადახაზულია ორი პარალელური ან განივი ხაზით. კროსირების მიზანია – შემცირდეს რისკი, დაკავშირებული შეცდომით იმ პირისათვის გადახდის შესაძლებლობასთან ჩეკის მიხედვით, ვზღუდავთ რა ჩეკის შესაძლო მფლობელთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ წარადგინონ ის გასანაღდებლად, მხოლოდ საბანკო დაწესებულებელით. ასეთნაირად, კროსირებულ ჩეკის მიხედვით ბანკი ვალდებულია განახორციელოს გადახდა მხოლოდ ბანკისათვის ან თავისი კლიენტის ანგარიშზე.

ინკასო. ოპერაცია ინკასო შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ექსპორტიორის (კრედიტორის) დავალება თავისი ბანკისადმი, მიიღოს იმპორტიორისაგან (გადამხდელისაგან, მოვალისაგან) უშუალოდ ან სხვა ბანკის საშუალებით გარკვეული თანხა ან იმის დასტური, რომ ეს თანხა გადახდილი იქნება დადგენილ ვადაში. ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ახდენს ოპერაციების მოცემული სახეობის რეგლამენტირებას, არის „ინკასოს უნიფიცირებული წესები," შემუშავებული საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ (უკანასკნელი რედაქცია 1993 წ.), რომლის შესაბამისადაც, საინკასო ოპერაციები ხორციელდება ბანკების მიერ იმპორტიორისაგან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე.

განასხვავებენ მარტივ (წმინდა) და დოკუმენტალურ ინკასოს. ინკასოს ცნებიდან გამომდინარეობს, რომ ორივე შემთხვევაში ეს არის გადასახდელის გადახდევინების ოპერაცია: წმინდა ინკასოს დროს – მხოლოდ ფინანსური დოკუმენტების მიხედვით, დოკუმენტალური ინკასოს დროს – ფინანსური დოკუმენტების ინკასო, რომელსაც ახლავს კომერციული დოკუმენტები, ან მხოლოდ კომერციული დოკუმენტების ინკასო. ამასთან, ბანკები არ ატარებენ რაიმე ვალდებულებას დოკუმენტების განაღდების მიხედვით, რამეთუ ისინი მოცემულ ოპერაციებში შუამავლის როლში გამოდიან. წარმოქმნილი უთანხმოება საქონლის რაოდენობასა და ხარისხთან მიმართებაში ან ანგარიშსწორების მოცემული ფორმისას წყდება უშუალოდ იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის.

ინკასოს დროს გამოიყენება ტრატა. ტრატა ეს არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კრედიტორის (ტრასანტის) უდავო ბრძანებას მსესხებელისადმი (ტრასატისადმი), მითითებულ ვადაში ფულის განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ თამასუქში დასახელებული მესამე პირისათვის (რემიტენტისათვის) ან წარმომადგენლისათვის.

საინკასო დავალება, რომელსაც იძლევა ექსპორტიორი, უნდა მოიცავდეს სრულ და ზუსტ ინსტრუქციებს (ბანკები, რომლებიც მონაწილეობენ გარიგებაში, მოქმედებენ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში). აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც უნდა იყოს საინკასო დავალებაში, მიეკუთვნება: ინკასოს თარიღი და ნომერი; გადასახდელის და/ან აქცეპტის თანხა (გადახდის და/ან აქცეპტის ვალუტის მითითებით); გადახდის ვადა; ტრასანტი; ტრასანტის ბანკი; ინფორმაცია აუცილებელი დოკუმენტების შესავსებად; საქონლის აღწერა; გადაზიდვის მეთოდი; გაგზავნის ადგილი; გაგზავნის თარიღი; დანიშნულების ადგილი.

ანგარიშსწორების საინკასო ფორმის განხილვა საშუალებას გვაძლევს, ავღნიშნოთ, რომ ის გაცილებით უფრო საიმედოა, ვიდრე ანგარისსწორება საბანკო გზავნილებით. მაგრამ ის საკმაოდ ძვირია (ბანკებში გამოიყენება ფიქსირებული ტარიფები მოცემული ოპერაციების მიხედვით; როგორც წესი ეს არის ფიქსირებული პროცენტი 8-10 %, კომერციული ბანკის სატარიფო პოლიტიკაზე დამოკიდებულებით) და საკმაოდ რთული საანგარიშგებო ფორმაა.

აკრედიტივი არის ბანკის ვალდებულება მყიდველი-იმპორტიორის მითითებით განახორციელოს მისი ანგარიშიდან მიწოდებული საქონლის ღირებულების ექსპორტიორზე გადახდა ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით.

საერთაშორისო ანგარიშსწორებისას ფულადი აკრედიტივის განაღდება წარმოებს მასში მითითებული ვალუტის მიხედვით, ან ქვეყნის ვალუტით, სადაც აკრედიტივი წარედგინება.

არსებობს *სასაქონლო აკრედიტივიც.* იგი უპირატესად გამოიყენება საგარეო ვაჭრობაში საქონლის გამყიდველ-მყიდველებს შორის ანგარიშსწორებისას. მყიდველი თავის ბანკს აძლევს დავალებას სასაქონლო აკრედიტივის გახსნის თაობაზე, სადაც მითითებული უნდა იყოს: მომწოდებლის დასახელება, მისამართი, თანხა, აკრედიტივის მოქმედების ვადა, გასანაღდებელი საქონლის (მომსახურების) სახე, მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები და სხვა.

ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმას საფუძვლად უდევს იმისი აუცილებლობა, რომ მომწოდებელი მყიდველისაგან დროულად მიიღებს რეალიზებული საქონლის ღირებულებას. როგორც წესი, სავაჭრო ხელშეკრულების შესაბამისად, ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმის პირობებში მყიდველი მოვალეა საქონლის მიწოდებამდე გადაიტანოს განსაზღვრული თანხა ექსპორტიორის მიერ მითითებლ ბანკში. საქონლის დროულად გაგზავნის შემდეგ ექსპორტიორს შეუძლია მიიღოს გახსნილი აკრედიტივიდან კუთვნილი თანხები.

მსოფლიო პრაქტიკაში საერთაშორისო სააკრედიტივო ანგარიშების ორი ფორმა არსებობს; გამოთხოვილი და გამოთხოვის გარეშე.

გამოთხოვილ აკრედიტივთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ნებისმიერ დროს შეიძლება აკრედიტივის თანხისა და პირობების შეცვლა ან აკრედიტივის ანულირება.

გამოთხოვის გარეშე აკრედიტივი არის ემიტენტის მტკიცე ვალდებულება იმის შესახებ, რომ აკრედიტივის თანხა არ უნდა შეიცვალოს და გაუქმება არ მოახდინოს დაინტერესებული მხარეების გარეშე. საერთაშორისო ანგარიშსწორების პრაქტიკაში აკრედიტივის ეს ფორმა ფართოდ არის გავრცელებული.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთერთობების პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული ანგარიშსწორება ღია ანგარიშით. ამ შემთხვევაში საქონლის ექსპორტიორი (გამყიდველი) იმპორტიორს (მყიდველს) სასაქონლი დოკუმენტებს აწვდის უშუალოდ, ბანკის გარეშე, ხოლო მყიდველი გამყიდველს ღია ანგარიშზე შესაბამისი თახის ჩარიცხვას ახორციელებს შეთანხმების მიხედვით დადგენილ ვადებში საქონლის მიწოდების პერიოდულად.

ანგარიშსწორება ღია ანგარიშით საბანკო კრედიტის გამოყენების ფორმაა. ამ ფორმას ექსპორტიორები ნაკლებად ეტანებიან, იგი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ საექსპორტო ამონაგები დროულად იქნეს მიღებული. თანაც ექსპორტიორის კაპიტალის ბრუნვადობის შენელებას აქვს ადგილი, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებულია გამოიყენოს ბანკის კრედიტი. ექსპორტიორებისათვის ანგარიშსწორება ღია ანგარიშით ყოველთვის როდია არახელსაყრელი. მაშინ, როდესაც კონტრაქტები მონაცვლეობით გამოდიან მყიდველ-გამყიდველის როლში, იმპორტიორის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ექსპორტიორის მხრივ, სხვა თანაბარ პირობებში საქონლის მიწოდების შეჩერებას იწვევს.

აღნიშნული სახის ანგარიშსწორებისას საქონლის რეალიზაციის შემდეგ, ექსპორტიორი მისი ღირებულების თანხას დავალიანებაში გაატარებს, ხოლო იმპორტიორი აღებულ კრედიტს

ექსპორტიორის ანგარიშზე გაატარებს, საქონლის გადახდის შემდეგ უნაღდო საბანკო გზავნილების ფორმით.

ანგარიშსწორების ღია ანგარიშით დავალიანების დაფარვის წესს განსაზღვრავს კონტრაგენტებს შორის შეთანხმება. ამ ანგარიშით დავალიანებათა საბოლოო მოწესრიგება წარმოებს ბანკების მეშვეობით ანგარიშთა სხვა ფორმების გამოყენებით (საბანკო გზავნილების, ჩეკებისა და თამასუქების წარდგენის გზით).

ღია ანგარიშით ანგარიშსწორება ფართოდ ვითარდება მაშინ, როდესაც მყიდველსა და გამყიდველს შორის ნდობის ატმოსფეროა. ეს უპირატესად ხორციელდება საქონლის რეგულარული მიწოდების პირობებში. ანგარიშსწორების ამ ფორმის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აქ საქონლის მოძრაობა ფულის მოძრაობას წინ უსწრებს. ეს ფორმა ფაქტობრივად გამოიყენება იმპორტიორის დაკრედიტების მიზნით, რაც საბოლოო ჯამში, ექსპორტიორთან ნდობის გამომხატველია.

საერთაშორისო ანგარისსწორებაში ფართოდ გამოიყენება თამასუქი.

თამასუქი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იურიდიული ან ფიზიკური პირის წერილობით უპირობო ვალდებულებას, გადაუხადოს თამასუქის მფლობელს ვადის დადგომისას განსაზღვრული თანხა, რომელიც მითითებულია თამასუქში. საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებისას იყენებენ გადასაგზავნ და კომერციულ თამასუქს.

გადასაგზავნი თამასუქი ისეთი თამასუქია, რომელიც წარმოდგენილია ექსპორტიორის მიერ იმპორტიორზე. თანამედროვე პირობებში მრავალი გარიგება ხორციელდება თამასუქების მეშვეობით. მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ეკონომიკური კრიზისების დროს ფართო განვითარებას პოულობს კომერციული კრედიტი. მას ხელს უწყობს ის, რომ ასეთი კრედიტების ორმხრივი ვალდებულება არ ცხადდება და გარეშე პირთაგან დაფარულია.

თამასუქის გამოყენება ეკონომიკურ ცხოვრებაში ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. 1930 წ. სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე მიღებული იქნა ერთიანი, უნიფიცირებული კანონმდებლობა თამსუქის შესახებ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ ქვეყნებს არ გააჩნდეთ განსხვავებული საკანონმდებლო აქტები.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ფართოდ იყო გავრცელებული კომერციული თამასუქი, შემდგომ პერიოდში მან დაკარგა თავისი მნიშვნელობა და გზა გაუხსნა საბანკო თამასუქს, რომელთაგან მნიშვნელოვანია საბანკო ტრატა. ტრატა ისეთი სახის თამასუქია, რომალსაც იურიდიული პირი გამოწერს ბანკის სახელზე და ეს უკანასკნელი აქცეპტს.

ვალერი მოსიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
სეუ-ს პროფესორი, ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი

მედეა ჭელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,

პირველი მონეტები მსოფლიოში

კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას მოუვიდა მეტად კონსტრუქციული აზრი – ერთი საქონლის გაცვლა მეორეზე. აღმოჩნდა, რომ ამ გზით, პრინციპში, შესაძლებელია მეზობელთან კონსენსუსის მიღწევა. და დაიწყო გაცვლა: ტყავის-ნიჟარებზე, კენკრის-ბუმბულზე და ა.შ. თავდაპირველად ადამიანები ნივთებს ყოველგვარი პრინციპის გარეშე ცვლიდნენ, მაგრამ დროთა განმავ¬ლობაში ზოგიერთმა მათგანმა შენიშნა, რომ ზოგიერთი საქონელი უფრო ლიკვიდურია, ვიდრე სხვა. ისინი, ვისაც ბევრი ლიკვიდური საქონელი გააჩნდა, ბევრად კარგად, მაძღრად და მხიარულად ცხოვრობდნენ, ვიდრე ისინი, ვისაც არალიკვიდური საქონელი ან ისეთი საქონელი გააჩნდა, რომელიც არავის სჭირდებოდა. ასე, ძველ დროში გაჩნდნენ პირები, რომლებსაც სხვებზე მეტი შეძლება ჰქონდათ.

დროთა მანმავლობაში გაირკვა, რომ ყველაზე ლიკვიდური ქონება ოქრო და ვერცხლია. ხოლო ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნისთვის ადამიანები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გაცვლითი ოპერაციების საწარმოებლად უფრო კომფორტული იქნებოდა, თუ ეს ოქროსა და ვერცხლის ნაჭრები ერთი და იგივე წონის, და შეძლებისდაგვარად, ზომის და ფორმის იქნებოდა. ასე, ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში გაჩნდა ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები, რომლებიც ფორმითა და ზომით მუხუდოს მარცვლებს წააგავდა.

და აი, ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში ერთმა ადამიანმა აიღო ოქროს მარცვალი, დადო სამჭედლოზე, რომელზეც წინასწარ გამოსახა რაღაც ნახატი და ურო დაარტყა, რის შედეგადაც ოქროს ნაჭერზე გამოისახა იგივე ნახატი. სწორედ ასე გაჩნდა მსოფლიოში ყველაზე ძველი მონეტა. ეს ისტორიული მოვლენა მოხდა დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 687-654 წლებში, ლიდიის სამეფოში, რომელიც მდებარეობდა დღევანდელი თურქეთის დასავლეთ ნაწილში. იმ დროში ლიდიის მმართველი იყო მეფე ჰიგესი და ამიტომაც ამ მონეტას დაერქვა ჰიგესის სტატერი.

ვინაიდან, ოქროთი და ვერცხლით პირველი სავაჭრო ოპერაციები ხორციელდებოდა მათი აწონვით, პირველი ფულადი ერთეულები (ტალანტი და სტატერი) სახელს იღებენ აწონვის პრო-

ცესთან დაკავშირებით: ტალანტი – ეს არის სასწორის ფიალა, ხოლო სტატერი – სასწორის ხარიხა. ტალანტი იყო სააღრიცხვო-ფულადი ერთეული და წონის ერთეული, რომელსაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა სავაჭრო ოპერაციებში განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნდა (დაახლოებით 16-დან 60 კილოგრამამდე).

მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის მომდევნო პერიოდში ძველბერძნული ფულადი ტალანტი დაახლოებით 25,9 კილოგრამს უტოლდებოდა. სტატერი კი ძველებური მონეტაა, რომელიც გამოიყენებოდა ძირითადად ძველ საბერძნეთში და ლიდიაში ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის შუა პერიოდამდე. სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას ის სხვადასხვა რაოდენობის ოქროს შეიცავდა.

მაგალითად, ჰიგესის სტატერი შეიცავდა დაახლოებით 14 გრამ ელექტრუმს. ელექტრუმი არის თვითნაბადი ოქროს ნაირსახეობა, რომელიც შეიცავს 15-50% ვერცხლს და რომელიც ძველ ლიდიაში ძალიან ბევრი იყო. მაგრამ "ხარბმა" ძველმა ლიდიელებმა ელექტრუმის ძებნაში ყველა ახლომდებარე მთა გადათხარეს, ასე რომ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის ლიდიაში უკვე არანაირი ელექტრუმი აღარ არსებობდა. ყველაზე ცნობილი ლიდიური სტატერი (ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნე) წარმოადგენდა ბრტყელ ფირფიტას, რომლის ერთ მხარეს გამოსახული იყო ლომის თავი (ლიდიის სიმბოლო), ხოლო მეორე მხარეს გაუგებარი ჩაღრმავებები ჰქონდა (სავარაუდოდ დარტყმებისაგან).

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის ბოლოსთვის ადამიანებმა ისწავლეს ელექტრუმის დაყოფა ვერცხლად და ოქროდ. სწორედ ამ დროს გაჩნდა პირველი მონეტები მაღალი სინჯის ოქროსგან – დარიკები, რომლებსაც ჭრიდნენ სპარსეთის მეფე დარიოს I მეფობის (მეფობდა ძველი წელთაღრიცხვის 522-486 წწ.) დროს. თუმცა არსებობს აზრი, რომ მაღალი სინჯის ოქროსგან პირველი მონეტა მოიჭრა ჯერ კიდევ ლიდიის მეფის კრეზის დროს (მეფობდა ძველი წელთაღრიცხვის 560-546 წწ.), მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ დარიკებმა მოაღწიეს. დარიკებს ჭრიდნენ 980 სინჯის ოქროსგან და იწონიდა 8,4 გრამს. დარიკის ავერსზე გამოსახული იყო მეფე მშვილდოსნის სახით, ხოლო რევერსზე ჩანდა დარტყმის კვალი.

ძველ ხალხს ოქროს და ვერცხლის მონეტები უფრო მოეწონათ, შესაბამისად თანდათანობით მათ სავაჭრო მიმოქცევიდან გამოდევნეს მათი წინამორბედები, რომლებზეც გამოსახულებები არ იყო. ასე წარმოიშვა ყველაზე ძველი მონეტები მსოფლიოში, რომლებმაც კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცეს ძველი ადამიანის გონებრივ განვითარებას.

ანტიკური მონეტები . ძველი საბერძნეთი. ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ანტიკური ქვეყნის, ძველი საბერძნეთის ფულადი სისტემაც ემყარებოდა წონის ერთეულებს, რომლებიც ერთდროულად ასრულებდნენ როგორც წონის, ისე სააღრიცხვო ერთეულის ფუნქციებს. ძველი საბერძნეთისთვის, უპირველეს ყოვლისა, ასეთებს წარმოადგენდნენ ტალანტი, მინა, დრაქმა, ობოლი, ლეპტა, ჰალკი, რომლებიც ექვემდებარებოდნენ შემდეგ საბაზისო შეფარდებებს, თუმცა გააჩნდათ მრავალი ადგილობრივი გადახრები: 1 ტალანტი = 60 მინა = 3000 სტატერი = 6000 დრაქმა; 1 სტატერი = 2 დრაქმა (დიდრაქმა) = 12 ობოლი = 96 ჰალკი. მონეტების სახით იჭრებოდა მხოლოდ სტატერები, დრაქმები, ობოლები, ჰალკები, მათი ფრაქციები (მაგალითად, ჰექტა=1/6 სტატერი) და მათი ჯერადები (მაგალითად, ტეტრადრაქმა – 4 დრაქმა). ტალანტი და მინა წარმოადგენდნენ მხოლოდ სააღრიცხვო ცნებებს.

ტალანტი (ძვ. ბერძ. τάλαντον, ლათინურად ტალენტუ – „წონა", „ტვირთი") წარმოადგენდა ძველი საბერძნეთის უმაღლეს წონით ერთეულს და ნასესხები იყო ბაბილონიდან. ბაბილონის ტალანტი, რომელიც ერთი ვერსიით, თავდაპირველად აღნიშნავდა კამეჩის, ხარის წონას, იყოფოდა 60 მინად, ხოლო მინა, თავის მხრივ – 60 შეკელად. სემიტური ხალხების მიერ ბაბილონიდან ტალანტი აღებულ იქნა როგორც წონითი ერთეული და გავრცელება ჰპოვა ხმელთაშუა ზღვის აუზში. როგორც წონის და სააღრიცხვო ერთეული, ტალანტი ნახსენები აქვს ჰომეროსს. ისევე როგორც ბაბილონის ტალანტი, ის იყოფა 60 მინად, მაგრამ მინა უკვე შედგებოდა 100 ნაწილისგან – დრაქმებისგან, ხოლო დრაქმა – 6 ობოლისგან. ამრიგად, 1 ტალანტი უტოლდებოდა 60 მინას, 6000 დრაქმას, 36 000 ობოლს.

სიტყვა მინა (ძვ. ბერძ. μνᾶ, ლათინურად მინა, მნა) წარმოდგება ასირიულ-ბაბილონური სიტყვისგან „მანა"- დათვლა. დრაქმა (ძვ. ბერძ. δραχμή, ლათინურად დრაცჰმა) – ძველბერძნული სიტყვისგან „პეშვი"ან „ხელით დატაცებული". სახელწოდება მიეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც ფულადი გაცვლის საშუალებას წარმოადგენდა ლითონის 4-წახნაგიანი წკირები – ობოლები, რომელთა 6 ცალი, მუჭაში მოქცეული, ქმნიდა დრაქმას. ბროკჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში სიტყვა „დრაქმის" წარმოშობის სხვა ვერსიაა მოცემული: ასირიული სიტყვიდან „დაგარ-მანა", რაც აღნიშნავს „მინას მესამოცედი", ვინაიდან თავდაპირველად დრაქმა შესაძლოა შეიცავდა მინას არა 1/100-ს, არამედ 1/60-ს.

აუცილებელია ვახსენოთ ძველი საბერძნეთის კიდევ 3 საბაზისო ფულადი ერთეული: სტატერი, ჰალკი და ლეპტა. სტატერი (ძვ. ბერძ. στατήρ – „სასწორის ხარიხა", „სასწორი") – როგორც წესი, აღნიშნავდა უპირველეს ყოვლისა დრაქმის ორმაგ (ზოგჯერ სამმაგ) წონას, ანუ უტოლდებოდა 1/50 მინას ან 2 დრაქმას. ჰალკის სახელწოდება (ძვ. ბერძ. Χαλκός) მომდინარეობს ძველბერძნული სიტყვისგან, რაც „სპილენძს" ნიშნავს ან ქალაქის სახელწოდებიდან – ჰალცის, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სპილენძით ვაჭრობაში. ლეპტა (ძვ. ბერძ. Λεπτόν – „კანგაცლილი", ანუ პატარა, წვრილი) – თავდაპირველად წარმოადგენდა წონის ყველაზე მცირე ერთეულს, რომელიც შემდგომში გახდა ყველაზე წვრილი სპილენძის მონეტა. ათენში 1 ობოლი უტოლდებოდა 8 ჰალკს, ხოლო 1 ჰალკი – 7 ლეპტას. დაახლოებით ახ. წ. I საუკუნეში ჰალკი უკვე უტოლდებოდა 2 ლეპტას.

ძველი საბერძნეთის ფულადი სისტემის დამახასიათებელი ნიშანი იყო ერთიანი სამონეტო ერთეულის (ერთიანი სისტემის) არარსებობა (მონეტების დადგენილი ოდენობა, რომელიც უნდა მოიჭრას კონკრეტული ლითონის გარკვეული ოდენობიდან) და მრავალი სტანდარტის არსებობა, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ მონეტაში ძვირფასი ლითონის შემცველობით და/ან საბაზისო სამონეტო ლითონად ოქროს ან ვერცხლის გამოყენებით. ალექსანდრე ზოგრაფი გამოყოფს არანაკლებ 15 ასეთ სტანდარტს. ყოველ პოლიტიკურად ავტონომიურ ერთეულს უფლება ჰქონდა მოეჭრა საკუთარი მონეტა და ამისათვის იყენებდა საკუთარ ნორმებს (ძველი საბერძნეთის და მისი კოლონიების ფულის გამოშვების ცენტრების საერთო რაოდენობა აღემატებოდა 2000-ს), ამიტომ შესაძლებელია მხოლოდ ყველაზე გავრცელებულ სამონეტო ერთეულზე საუბარი. ათენის აღზევების დროიდან ასეთს წარმოადგენდა ატიკური სამონეტო ერთული, რომელიც ათენში სოლონის კანონმდებლობით დამკვიდრდა დაახლოებით ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში და განდევნა ეგინური სამონეტო ერთეული. ჯერ კიდევ არქაულ ეპოქაში

ატიკური ნორმა გავრცელდა ჩრდილოეთ საბერძნეთში, აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სიცილიაში. ძვ. წ. IV საუკუნეში ფილიპე II-მ იგი შემოიღო მაკედონიის იმპერიაში ოქროს მონეტებისთვის, ხოლო ალექსანდრე მაკედონელმა – ვერცხლის მონეტებისთვის. შედეგად ატიკური ნორმა გაბატონდა მონეტების ჭედვის საქმეში ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

ძველი რომი და რომის რესპუბლიკა. რომის რესპუბლიკის სამონეტო სისტემა ხასიათდებოდა ფულად მიმოქცევაში:

• პრაქტიკულად დაუმუშავებელი ბრინჯაოს ზოდების (ეს რუდე) და გამოსახულებებიანი ბრინჯაოს ზოდების (ეს სიგნატუმ) გაბატონებით – დაახლოებით ძვ. წ. 312 წლამდე;

• ჩამოსხმული ბრინჯაოს მონეტების (ეს რავე) გაბატონებით – ძვ. წ. 312-268 წწ.;

• სრულწონიანი ბრინჯაოს (ასი და მისი წარმოებულები) და ვერცხლის მონეტების გაბატონებით – ძვ. წ. 268-89 წწ.

ძველი რომის პირველ ფულს წარმოადგენდნენ პრაქტიკულად დაუმუშავებელი ბრინჯაოს ზოდები (ეს რუდე), შემდეგ კი გამოსახულებებიანი ბრინჯაოს ზოდები (ეს სიგნატუმ). ზოგჯერ პირველი რომაული მონეტების წარმოშობას უკავშირებენ მეფე-რეფორმატორის სერვიუს ტულიუსის (ძვ. წ. 578-535 წწ.) სახელს, მაგრამ წიგნის „რომის მონეტები" ავტორის ჰეროლდ მეტინგლის აზრით, რომში მონეტების გამოშვება დაიწყეს ძვ. წ. 289 წლამდე მცირე ხნით ადრე, როდესაც შემოღებულ იქნა მონეტარიუმების ინსტიტუტი (ჩინოვნიკები მონეტების მოჭრის საქმეში), უფრო ზუსტად კი ძვ. წ. 312 წლისთვის. ეს მონეტები, რომელთა საერთო სახელწოდებაა „მძიმე ბრინჯაო" (ლათ. ეს რავე) იყო ბრინჯაოს ასი (ლათ.ასს, ასევე ლათინურიდან აეს – სპილენძი, ბრინჯაო, ან ლათინურიდან ასსულა – ერთეული, მთლიანი), ასევე მისი წარმოებულები: სემისი (1/2 ასი), ტრიენსი (1/3 ასი), კვადრანსი (1/4), სექსტანსი (1/6), უნცია (1/12) და სხვა. თავდაპირველად ასი იწონიდა 1 ლიბრას (სს ლიბრალის), მაგრამ შემდეგ მისი წონა მუდმივად მცირდებოდა: ძვ. წ. 289 წელს – 1/2 ლიბრამდე, ძვ. წ. 268 წელს – 1/6-მდე, ძვ. წ. 217 წელს – 1/12-მდე, ხოლო ძვ. წ. 89 წელს – 1/24 ლიბრამდე.

ძვ. წ. 268 წელს სპილენძის (ბრინჯაოს) მონეტების პარალელურად რომმა დაიწყო ვერცხლის დენარების გამოშვება, რომელიც 4 სკრუპულას (4,55 გრ) იწონიდა. გამომდინარე იმ დროს დადგენილი შეფარდებიდან სპილენძისა და ვერცხლის ფასებს შორის (120:1), 1 დენარი გაუთანაბრეს 10 ასს.

ძვ. წ. 217 წელს ერთდროულად ასის მასის შემცირებასთან ერთად 1/12 ლიბრამდე, რომმა მოახდინა დენარის დევალვირება 3 C სკრუპულამდე. შედეგად მისი ღირებულება გაუტოლდა 16 ასს, და ეს შეფარდება (1/16) შენარჩუნდა ავგუსტუსის რეფორმებამდე. ოდნავ მოგვიანებით (ძვ. წ. 209 წელს) მიმოქცევაში პირველად, მაგრამ მხოლოდ ხანმოკლე დროით, გამოშვებულ იქნა ოქროს მონეტები წონით 6, 3, 2 და 1 სკრუპული.

რომის რესპუბლიკის უკანასკნელი ფულის რეფორმა გატარდა ძვ. წ. 89 წელს პლავიუს პაპირიუსის კანონის თანახმად. ასის წონის შემცირებით 1/24 ლიბრამდე, მაგრამ ვერცხლის მონეტების წონის შენარჩუნებით, და ასევე დენარის შეფარდების შენარჩუნებით ასის მიმართ (1/16), რომმა ფაქტიურად სპილენძის მონეტები გადააქცია საკრედიტო ფულად.

რომის იმპერია. სამონეტო სისტემაში არსებითი ცვლილებები განხორციელდა ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ. წ. 27 წ. – ახ. წ. 14 წ.) დროს, როდესაც იწყება ოქროს აურეუსის სისტემატური მოჭრა. იგი გაუტოლდა 25 დენარს. ამავე პერიოდში განხორციელდა სპილენძის ნომინალების

სისტემის გადახედვა: სესტერციუმი (4 ასი) და დუპონდიუმი (2 ასი) იჭრება აურიჰალკისგან, ხოლო ასი და კვადრანსი – ბრინჯაოსგან. ამგვარად, რომის სამონეტო სისტემამ მიიღო შემდეგი სახე: 1 აურეუსი = 25 დენარი = 100 სესტერციუმი = 400 ასი = 1600 კვადრანსი.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო იმპერატორ ნერონის დროიდან დაიწყო მონეტების გაფუჭება – აურეუსის და დენარი წონა და სინჯი ფარულად შემცირებას იწყებს. ამან შეარყია მოსახლეობის ნდობა ფულადი სისტემის მიმართ. იმპერატორმა კარაკალამ სცადა მდგომარეობის გამოსწორება და მიმოქცევაში გაუშვა ვერცხლის ანტონიციანი, რომელიც გაცვლისას შეადგენდა 2 დენარს, მაგრამ ამ ზომასაც მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტი ჰქონდა: III საუკუნის ბოლოსათვის ვერცხლის მონეტები პრაქტიკულად სპილენძისგან იჭრებოდა, ზოგჯერ მხოლოდ ზედაპირი იფარებოდა ვერცხლით. ოქროს მონეტებიც მსგავს დუხჭირ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ იმპერატორმა კონსტანტინე I დიდმა შეძლო, რომელმაც მაღალსინჯიანი ოქროს სოლიდის გამოშვება დაიწყო წონით 4,55 გრამი (1/72 ფუნტი) და შემოიღო ახალი სტანდარტი ვერცხლის მონეტებისთვის, მიაბა რა ვერცხლის მონეტების ღირებულება ფუნტი ოქროს ღირებულებას: ვერცხლის მილიარისიუმი ღირდა 1/1000 ფუნტი ოქრო, ხოლო სილიქვა – 1/1728 ფუნტი ოქრო. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ეს სისტემა მემკვიდრეობით გადავიდა ბიზანტიის იმპერიაში.

ბერძნული კოლონიები, ელინური სახელმწიფოები და რომის პროვინციები. რომის და მისი პროვინციების ფულადი სისტემების უნიფიკაციის პროცესი მიმდინარეობდა რომის დამპყრობლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. რომაელებიც და თვითონ პროვინციებიც აკორექტირებდნენ საკუთარი მონეტების წონას რომის სტანდარტებთან მიახლოების მიზნით. ხანგრძლივი დროის განმავლობაში რომი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა დაპყრობილ ტერიტორიებზე თავისი სამონეტო სტანდარტების დანერგვას. ის მონეტებიც კი, რომლებიც იჭრებოდა რომში, მაგრამ განკუთვნილი იყო პროვინციებში მიმოქცევისთვის, იჭრებოდა ადგილობრივი გარეგნული იერით და ადგილობრივი სამონეტო ერთეულით.

ამ დროს მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მდგრადი თანაფარდობის შენარჩუნება ძირითად პროვინციულ მონეტებს, რომლებიც როგორც წესი წარმოადგენდნენ სტატერის ან დრაქმის ჯერადს ან ფრაქციას, და რომის ძირითად მონეტას – დენარს შორის. ეს უკანასკნელი თავდაპირველად დრაქმაზე რამდენადმე უფრო მძიმე იყო, შემდეგ კი უფრო მსუბუქი (უფრო ზუსტად, ერთ დრაქმებზე უფრო მძიმე და სხვა დრაქმებზე უფრო მსუბუქი), მაგრამ როგორც წესი, მას უთანაბრდებოდა გარკვეული შენიშვნებით, რაც გამომდინარეობდა ძველბერნული სამონეტო ჭედურობის მრავალგვარი სტანდარტებიდან. ასე, მაგალითად, უფრო მძიმე ტეტრადრაქმა (4 დრაქმა), რომელიც იჭრებოდა სირიის ანტიოქიაში, უტოლდებოდა 4 დენაიუმს; შედარებით მსუბუქი მცირეაზიული ტეტრადრაქმები და ფინიკიური დისტატერები – 3 დენარს; თავისი არსით ბილონური პტოლემეოსების ტეტრადრაქმა (ალექსანდრინერი) – 1 დენარს.

ახ. წ. II საუკუნეში სიტყვები „დენარი" და „დრაქმა" თავისი არსით სინონიმებად იქცნენ, წარმოადგენდნენ ერთ ფულად ერთეულს, რომელსაც დასავლეთში ეწოდებოდა დენარი, ხოლო აღმოსავლეთში – დრაქმა.

სესტერციუმი და უფრო დაბალი ღირსების მონეტები განკუთვნილი იყო, პირველ რიგში, მეტროპოლიაში მიმოქცევისთვის, პროვინციებში ისინი იშვიათად და შემთხვევით თუ მოხვდე-

ბოდნენ. წვრილი გაცვლითი მონეტებით მათი შიდა ბაზრების მომარაგება ადგილობრივი სამონეტო დაწესებულებების საქმეს წარმოადგენდა.

ისრაელი და იუდეა. დიდი ხნის განმავლობაში ებრაელი ხალხისთვის სიკლი (შეკელი) წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოების მონეტების დასახელებას (მაგალითად, ტირის სტატერების ან პტოლემეოსების ტეტრადრაქმების), ასევე სააღრიცხვო ფულად ერთეულს, რომელიც გამოიყენებოდა, მაგალითად, მნიშვნელოვანი სატაძრო (წმინდა) გადასახადის გამოსათვლელად. იუდეაში ახ. წ. I საუკუნის დასაწყისისთვის ჩამოყალიბებული ზომებისა და წონის სისტემა, რომელსაც ზოგჯერ თალმუდურს უწოდებენ, მომდინარეობდა შემდეგი ძირითადი თანაფარდობებიდან: 1 ტალანტი = 60 მინა = 1500 წმინდა (ბიბლიური, მძიმე, ორმაგი) სიკლი (შეკელი) = 3000 უბრალო (მსუბუქი, ნახევარი) სიკლი (შეკელი). ყველა ჩამოთვლილი ერთეული წარმოადგენდა მხოლოდ სააღრიცხვო ცნებებს.

შესაძლოა, პირველ საკუთარ მონეტებს წარმოადგენს ძვ. წ. IV საუკუნეში დაწყებული (ამ დროს იუდეა იმყოფებოდა სპარსეთის იმპერიის ძალაუფლების ქვეშ) დრაქმების და ობოლების მიბაძვების გამოშვება ღაზაში, აშდოდში, აშკელონში, ტირეში და სიდონში. მათი დამახასიათებელი თავისებურებაა – არამეული წარწერა იეხუდი, ანუ იუდეა. თუმცა შეუძლებელია ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, ეს მონეტები იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამზადებული მონეტები მის კონტროლს დაქვემდებარებული პროვინციებისთვის (რაც საკმაოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენდა ანტიკურ ეპოქაში), თუ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო საკუთარი სამონეტო რეგალია.

ეჭვგარეშეა, რომ ძველ იუდეაში მონეტების დამოუკიდებელი მოჭრა დაიწყო სიმონის გამეფებიდან ცოტა ხანში, რომელიც ჰასმანური დინასტიის პირველი წარმომადგენელი იყო (ძვ. წ. II საუკუნის შუა ხანები).

საკუთარი მონეტის მოჭრა, რომელსაც დაერქვა „პრუტი" (ან „პერუტი"), დაიწყო დაახლოებით ძვ. წ. 140 წელს და მცირე შესვენებებით იჭრებოდა ახ. წ. 95-96 წლებამდე (უფრო ზუსტი დათარიღება შეუძლებელია, ვინაიდან ამ ტიპის მონეტებზე, მცირე გამონაკლისების გარდა, გამოშვების წელი არ აღინიშნებოდა). სპილენძის პრუტებს, რომელთა წონა თავდაპირველად ეფუძნებოდა ძველბერძნულ სტანდარტებს (უთანაბრდებოდა ჰაკლს), ხოლო შემდეგ უახლოვდებოდა ძველ რომაულ სტანდარტებს, უშვებდნენ პრაქტიკულად ჰასმანური დინასტიის ყველა მეფეები, ირودიადების დინასტიის წარმომადგენლები, რომის პრეფექტები და პროკურატორები.

თუმცა ყველაზე ღირებულს ებრაელებისთვის წარმოადგენდა სიკლები (შეკელები): სააღრიცხვო მსუბუქი სიკლი დიდრაქმის (ფინიკიური სტატერის სტანდარტის) ექვივალენტური იყო, ხოლო მძიმე სიკლი – ტეტრადრაქმის (ფინიკიური დისტატერის). იუდეის ფულად სისტემაში მათი ადგილი აიხსნება ადგილობრივი წმინდა გადასახადის გადახდის რეგლამენტით, რომელიც ებრაელების ეგვიპიდან გამოსვლის დროიდან ამოიღებოდა მთელი ზრდასრული მოსახლეობიდან იერუსალიმის ტაძრის საჭიროებისთვის და რომელსაც მიეძღვნა ტრაქტატი შეკალიმი (წარმოადგენს თალმუდის ნაწილს). ამით აიხსნება პირველი დამოუკიდებელი გამოშვების საკუთარი იუდეური ვერცხლის სიკლების (შეკელების) მნიშვნელობა 66-71 წლების პირველი იუდეური აჯანყების დროს. მეორე და უკანასკნელი გამოშვება განხორციელდა ბარ-კოჰბის აჯანყების დროს (ახ. წ. 132-135 წწ.).

ბიზანტიის იმპერია. ბიზანტიის სამონეტო სისტემა დასაწყისში აგრძელებდა გვიანი რომის იმპერიის ტრადიციებს, თუმცა ანასტასიუსის რეფორმების შემდეგ (491-518 წ.წ.) სპეციფიკური ხასიათი შეიძინა. ერთ-ერთი მთავარი თავისებურება იყო ოქროსა და ბრინჯაოს (ზოგჯერ მოვერცხლილი) მონეტების გაბატონება ვერცხლის მონეტების უმნიშვნელო გამოყენების პირობებში. მიუხედავად მრავალი სპეციფიკური ნიშნებისა, ბიზანტიაში ძირითად სავაჭრო მონეტებს წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ რომის იმპერიაში გამოჩენილი ოქროს სოლიდი და ვერცხლის მილიარისიუმი. სოლიდმა შეინარჩუნა სტანდარტული მონეტის მნიშვნელობა თითქმის კონსტანტინეპოლის დაცემამდე 1453 წელს, თუმცა იმპერიის არსებობის ბოლო ასწლეულში ოქრო, როგორც სამონეტო ლითონი, თითქმის აღარ გამოიყენებოდა. მილიარისიუმის მნიშვნელობა შემოიფარგლება IX-XI საუკუნეებით.

ბარბაროსული სახელმწიფოები და არაბეთის ხალიფატი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ტომების ადრეფეოდალური სახელმწიფოების ისტორია ისტორიულ ლიტერატურაში მიეკუთვნება შუასაუკუნეებს, ნუმიზმატიკური თვალსაზრისით მათი მონეტები ანტიკური მონეტების მემკვიდრეები არიან. პირველ მონეტებს იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც წარმოიქმნენ და გაქრნენ ხალხების დიდი გადასახლების (IV-VII საუკუნეები) შედეგად, ან ხალხებისა, რომლებმაც უშუალოდ არ განიცადეს ბერძნული ან ბერძნულ-რომაული კულტურის გავლენა, ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში ეწოდებათ „ბარბაროსული მიმბაძველობა". ეს, როგორც წესი, არის ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან არასრულყოფილი, უხეში შეცდომებით შესრულებული ძველბერძნული, ძველრომაული და ბიზანტიური მონეტების ასლები. ძირითადი „ბარბაროსული" მონეტებია ოქროს შილინგი და ვერცხლის დენარი (დემიე, დენარო, დინერო, დინეირო). ოქროს შილინგი – ეს არის სოლიდის გერმანული სახელწოდება, რომელიც გახდა შილინგის წინამორბედი, ხოლო ვერცხლის დენარი – ეს არის ვერცხლის სილიქვის ადგილობრივი სახელწოდება, რომლის ღირებულება გამოიხატებოდა სააღრიცხვო დენარებში. ერთიც და მეორეც იჭრებოდა მიროვინგების დროიდან (481-751 წწ.), მაგრამ გააჩნდათ მხოლოდ ლოკალური, ადგილობრივი მნიშვნელობა.

არაბეთის ხალიფატი. ისევე როგორც ევროპის ბარბაროსული სახელმწიფოების, არაბეთის ხალიფატის სამონეტო სისტემაც ქრონოლოგიურად განეკუთვნება შუასაუკუნეებს, თუმცა არაბული მონეტების ძირითადი ტიპები ახლოსაა ანტიკურებთან. ეს სამონეტო სისტემა ჩამოყალიბდა ორი თავიდან მეზობელი, შემდეგ კი დაპყრობილი იმპერიების – ბიზანტიის და სასანიდების იმპერიების ფულადი სისტემების ბაზაზე. ბიზანტიის იმპერიაში ძირითად მონეტას წარმოადგენდა ოქროს სოლიდი, ხოლო მეორეში – ვერცხლის დრაქმა, რომელიც დაახლოებით შეესაბამებოდა ძველბერძნულ დრაქმას და გვიანი პერიოდის რესპუბლიკურ დენარს. ამ ორმა, წონით თითქმის თანაბარმა (4 გრამზე ოდნავ მეტი), მაგრამ სხვადასხვა ლითონისგან დამზადებულმა მონეტებმა არაბებთან ლოკალური სახელწოდებები შეიძინეს (სოლიდი გახდა დენარი, ოქროს დენარი, ხოლო დრაქმა – დირჰემი) და წარმოადგენდნენ ხალიფატის საკუთარი მონეტების წინამორბედებს (საკუთარი დირჰემის მოჭრა დაიწყეს 692-696 წლებს შორის, ხოლო დენარის – 696 წელს). დენარი და დირჰემი ნახსენებია ყურანში, რაც გახდა დამატებითი ფაქტორი მუსულმანურ სამყაროში ამ მონეტების ფართოდ გავრცელებისათვის. ევროპაში XI-XIII საუკუნეებში დენარის მიბაძვით იჭრებოდა ესპანური და პორტუგალიური მარავედები და ასევე ესპანური დობლები.

ანტიკური მონეტები. სააღრიცხვო ფულადი ერთეულები . ველბერძნული მონეტები: ტალანტი; მინა; სტატერი და მისი ფრაქციები: ჰექტა; დრაქმა და მისი წარმოებულები: ტეტრადრაქმა; დიდრაქმა; ობოლი და მისი წარმოებულები: პენტობოლი; ტეტრაობოლი; ტრიობოლი; დიობოლი; ტრიჰემიობოლი. ჰალკი და მისი წარმოებულები: დიჰალკი; ჰემიჰალკი; ლეპტა და მისი წარმოებულები: დილეპტონი; ტრილეპტონი.

სპარსული მონეტები: დარიკი (ოქროს სტატერი); სიგლოსი (სიკლი, ვერცხლის სტატერი).

ძველი რომის ფულის ადრეული ფორმები: ეს რუდე; ეს სიგნატუმ; ეს გრავე.

რომის რესპუბლიკის მონეტები: ლიბრა – სააღრიცხვო ფულადი ერთეული; ვიქტორიატი (დრაქმა) და მისი წარმოებულები: ორმაგი ვიქტორიატი (კვადრიგატი, დიდრაქმა); ნახევარვიქტორიატი (1/2); დენარი და მისი წარმოებულები: ქვინარიუმი (1/2); სესტერციუმი (1/4); ასი და მისი წარმოებულები: დეკუსიუმი (10); კვინკუსიუმი (5); კვადრუსიუმი (4); ტრიპონდიუმი (3); დუპონდიუმი (2); დეუნქსი (11/12); დექსტანსი (10/12); დოდრანსი (9/12); ბესი (8/12); სეპტუნქსი (7/12); სემისი (6/12); კვინკუნქსი (5/12); ტრიენსი (4/12); კვადრანსი (3/12); სექსტანსი (2/12); უნცია და მისი წარმოებულები: სესუნცია (1 C); სემუნცია (1/2); კვარტუნცია (1/4).

რომის იმპერიის და ბიზანტიის მონეტები: ანტონინიანი; არგენტიუსი; სილიქვა; მილიარისიუმი; აურეუსი; სოლიდი (ნომიზმა, ბეზანტი) და მისი წარმოებულები: სემისისიუმი (სემისიუმი) (1/2); ტრემისისიუმი (ტრემისიუმი, ტრიენსი) (1/3); ფოლისიუმი; მაიორინი; ნუმია; ცენტენიონალიუმი.

ბერძნული კოლონიების, ელინისტური მონარქიების და რომის პროვინციების მონეტები: ტეტრადრაქმა: ალექსანდრინერი (ალექსანდრიული ტეტრადრაქმა); კისტოფორი (კისტოფორული ტეტრადრაქმა); ასარიუმი (ასარიონი); ლიტრა და მისი წარმოებულები: ჰემილიტრონი (1/2); ტეტრასი (1/3); ჰეკსასი (1/6); ონკია (1/12); სინდიკის მონეტები.

იუდეის და ისრაელის მონეტები: კიკარი; მანე; პერესი, ფარესი (ნახევარმინა); სიკლი (შეკელი) და მისი წარმოებულები: ნეცეფი (5/6); პიმი (4/6 = 2/3); ბეკა (3/6 = 1/2); ჰერა; სელა; ზაზი (ზუზი); მაახი (ჰერა); ისარი; პრუტა.

სხვა მონეტები: ბიატეკი; კოლხური მონეტები; კელტური მონეტები.

ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზი და შედეგი ეკონომიკაზე

რეზიუმე. საქართველოში არსებობს მრავალი საკითხი, რომელიც საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, განსაკუთრებით თუ განვიხილავთ ბოლო 2-წლიან პერიოდს ადვილი შესამჩნევია თემა „ლარის გაუსურებაზე". რომელიც ხშირად გვესმის, როგორც სატელევიზიო გადაცემებიდან აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებიდან და თითოეული ადამიანის სასაუბრო თემაც სწორედ ესაა. სწორედ ამიტომ განვიხილავ აღნიშნულ საკითხს.

საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად გაუფასურდა. გაუფასურება განსაკუთრებით მაღალი ტემპით 2014 წლის 20 ნოემბრიდან დაიწყო და 6 დეკემბერს 1.95 ლარს მიაღწია, თუმცა კომერციულ ბანკებსა და ვალუტის გადასაცვლელ პუნქტებში 1 აშშ დოლარის კურსი 2,40 ლარს შეადგენს, ლარის კურსი მნიშვნელვნად გაუფასურდა ევროს მიმართაც, ერთი

ევროს ფასი 2.71 ლარამდე გაიზარდა. მსგავსი ტენდენცია იყო სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართაც, გარდა რუბლისა.

საქართველოს განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. სწორედ ამიტომ საჭიროა დაბალანსებული ნაბიჯების გადადგმა, რათა საქართველომ არ გადაუხვიოს განვითარების გზიდან.

მიუხედავად წინ გადადგმული დიდი ნაბიჯებისა, აუცილებელია განხილვა ქვეყნის ეროვნული ვალუტის, რომლის გაუფასურება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და დღითი დღე უფასურდება. განსაკუთრებით ლარმა 2014 წლის 20 ნოემბრიდან დაიწყო გაუფასურება და 6 დეკემბერს ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა ერთი დოლარის მიმართ 1.95-ს მიაღწია. თუმცა კომერციულ ბანკებში და ვალუტის გამცვლელ პუნქტებში ერთი დოლარის კურსი 2 ლარს აჭარბებდა. ასეთი ტენდენცია ძალიან შემაშფოთებელია, განსაკუთრებით იმის ფონზე, როდესაც აღნიშნულ ვითარებას ეროვნული ბანკი ფინანსთა სამინისტროს აბრალებს და პასუხისმგებლობას სრულად იხსნის, ხოლო ფინანსთა სამინისტროც ეროვნულ ბანკს აკისრებს პასუხისმგებლობას და ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ მონეტარულ პოლიტიკაზე, სწორედ საქართველოს ეროვნული ბანკია პასუხისმგებელი.

„ლარის გაცვლითი კუსრი ყალიბდება ე.წ თავისუფალი ცურვის შედეგად. ეს გულისხმობს, რომ ლარის კურსს დოლარის მიმართ ადგენს სავალუტო ბაზარი. რომელიც შედგება კომერციული ბანკებისაგან და იმ კორპორაციებისა თუ ინდივიდებისაგან, რომელთა ინტერესში უცხოური ვალუტის ყიდვა გაყიდვა შედის. ეროვნული ბანკი არ არის ვალდებული, ლარის კუსრის სტაბილურობა უზრუნველყოს, ის ვალდებულია ქვეყანაში მაღალი ინფლაციის ტემპი არ დაუშვას, კერძოდ, სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასები არ გაიხარდოს 6%-ზე მეტად . აქედან გამომდინარე, თუ ეროვნული ბანკი ჩათვლის ლარის კურსი იმდენად გაუფასურდა დოლართან მიმართებით, რომ შესაძლოა სამომხმარებლო პროდუქციის ფასებზე აისახოს, ის ახორციელებს სავალუტო ინტერვენციას". - აცხადებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ძნელია ერთი შეხედვით არ დაეთანხმო, მაგრამ უფრო ღრმად რომ განვიხილოთ აღნიშნული საკითხი ბევრ შეუსაბამობას აღმოვაჩენთ, მაგალითად მაშინ როდესაც პირდაპირაა მოცემული ეროვნული ბანკის ბერკეტები სავალუტო კურსის რეგულირების:

1. რეფინანსირების სესხები;
2. ღია ბაზრის ოპერაციები;
3. სავალუტო აუქციონი;
4. სავალუტო ინტერვენცია - (ყიდის დოლარს და ყიდულობს ლარს).

ლარის კურსის გამყარებისთვის სწორედ აღნიშნული ბერკეტების გამოყენება იქნებოდა მიზანშეწონილი, მაგრამ ეს რასაკვირველია დროებითი მოვლენა იქნებოდა, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ლარი დასტაბილურდებოდა მაგრამ პირვანდელ მდგომარეობას არ დაუბრუნდებოდა. რასაკვირველია კითხვის ნიშნის ქვეშაა ერვნული ბანკის მიერგატარებული პოლიტიკა, მაგრამ ლარს გაუფასურება მხოლოდ ამ ერთი მიზეზით არ მომხდარა. მაშინ კიდევ რა იყო ის ფაქტორები რომელმაც გამოიწვია ლარის გაუფასურება!?

ლარის კურსი უფასურდება, როდესაც ქვეყანაში ლარის მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დოლარის მოცულობა და ამასთან, ეკონომიკური ზრდის ტემპი არ არის იმდენად მაღალი, რომ ლარის მოცულობის მნიშვნელოვნად ზრდის აუცილებლობა იყოს. მსგავსი მოვ-

ლენა 2013 წლის ნოემბერ- დეკემბერში დაფიქსირდა. მაღალი დეფიციტური სახელმწიფო ხარჯების (700 მლნ-მდე ლარის) გამო სწრაფად გაიზარდა ლარის მოცულობა, დოლარის მოცულობა კი არ გაზრდილა.

ლარის კურსი უფასურდება იმ შემთხვევაშიც თუ ლარის მოცულობა არ არის მნიშვნელოვნად გაზრდილი, მაგრამ მცირდება საქართველოში შემომავალი დოლარის ნაკადები. სწორედ ასეთი მოვლენა იკეთება ბოლო თვეებში საქართველოში. დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია 2014 წლის საქონლის ვაჭრობის მაჩვენებლები. 2013 წელთან შედარებით ექსპორტი გაზრდილია 5 % -ით. იმპორტი კი 11%- ით. სავაჭრო ბალანსი გაუარესდა 593 მლნ-დოლარით და 4.6 მილიარდ დოლარს მიაღწია. ეს ნიშნავს, რომ საქონლით ვაჭრობის შედეგად საქართველოდან 4.6 მილიარდი დოლარით მეტი გავიდა ვიდრე შემოვიდა.

აღნიშნული ტენდენცია, ანუ ქვეყნიდან დოლარის გასვლა უნდა დაებალანსებინა სხვა ალტერნატიულ წყაროებს მაგალითად ფულად გზავნილებს. ფულადი გზავნილები ის თანხაა, რომელსაც საზღვარგარეთ დასაქმებული ქართელები საქართველოში გზავნიან. გზავნილების საქართველოსთვის უცხოური ვალუტის მნიშნელოვანი წყაროა. ბოლო წლებში ამ გზით წლიურად 1.2-1.4 მილიარდი დოლარი შემოდიოდა 2014 წელს კი 2013 წელთან შედარებით 5 მლნ-ით მეტია შემოსული, მაგრამ ივლისიდან აღნიშნული ნაკადების კლება იკვეთება.

რაც შეეხება შემოსავლებს ქვეყანაში, ძირითადად შემოსავლების წყაროა ინვესტიციები, რომელმაც აშკარა კლება განიცადა ბოლო წლებში შესაბამისად ამ მხრივადაც დოლარის შემოდინება არ მომხდარა. ასევე აღანიშნავია ბიზნეს სექტორის წვილიც, რადგან საქართველოში გაცილებით მეტი უცხოური ბიზნესია ვიდრე ქართული- საზღვარგარეთ, ქვეყნიდან გამავალმა ნაკადებმაც ბევრად გადააჭარბა შემომავალს.

დოლარის ნაკადების შემცირებაში თავისი წვლილი შეიტანა სახელმწიფო ბიუჯეტმაც. მთავრობამ ვერ მოახერხა ბიუჯეტით გათვალისწინებული უცხოური შეღავათიანი კრედიტების სრულად ათვისება 9 თვის გეგმას დაახლოებით 60 მილიონი დააკლდა.

აგრეთვე მნიშვნელობანი ტენდენციები გამოიკვეთა ფულადი აგრეგატების ცვლილების კუთხით.

აგრეგატები	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
მონეტერული აგრეგატი (3)	4 098,9	4 421,7	4 763,6	6 199,0	7 097,8	7 903,7	9 836,6	11 189,8
მონეტერული აგრეგატი (2)	2 263,0	1 999,2	2 330,5	2 960,3	3 783,2	4 069,2	5 418,4	5 911,3
მონეტერული აგრეგატი (1)	1 947,6	1 752,5	2 019,4	2 510,0	3 137,9	3 336,9	4 307,5	4 460,8
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (0)	1 152,1	1 082,6	1 229,4	1 373,0	1 439,0	1 550,0	1 899,6	1 942,6
სადეპოზიტო ვალდებულებე-	1 110,9	916,7	1 101,1	1 587,3	2 344,2	2 519,1	3 518,8	3 968,7

ბი (ეროვნულ ვალუტაში)								
სადეპოზიტო ვალდებულებ-ბი (უცხოურ ვა-ლუტაში)	1 835,9	2 422,5	2 433,1	3 238,8	3 314,6	3 834,6	4 418,2	5 278,5
0-ის წილი 2-ში, პროცენტი	50,9	54,1	52,8	46,4	38,0	38,1	35,1	32,9
2-ის წილი 3-ში, პროცენტი	55,2	45,2	48,9	47,8	53,3	51,5	55,1	52,8
ლარები მიმოქ-ცევაში	1 310,5	1 290,7	1 457,9	1 618,2	1 753,6	1 918,1	2 351,6	2 462,1

მართალია მცირედით მაგრამ მაინც ბოლო 3 წელიწადში ფულადი აგრეგატები იმატებს თუმცა ზრდის ტემპი ჩამორჩება უცხოური კრედიტების შემოდინების ტემპს განსაკუთრებით აღსანიშნავია სარეზერვო ფულისა და 2 აგრეგატის დინამიკა, რომელთა ერთიანობაში ანალიზისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლარის გაუსურებაზე დიდი გავლენა მოახდინა საგარეო ვალმა, როდესაც დიდი მოცულობით დავიწყეთ ვალების გადახდა, რის გამოც საგარეო ვალების ზრდის ტემპი გაჩერდა ლარსაც ნელ-ნელა საყრდენი გამოეცალა. არსებობს პრობლემის გადაჭრის ორი გზა, პირველი ლარის სტაბილურობის მხარდაჭერა კვავ საგარეო ვალებით და კრედიტებით, რაც წლების მანძილზე ხდებოდა და მეორე ეროვნული ვალუტის სტაბილურობის მიღწევა ეკომომიკური ზრდით, რომელიცწლების მანძილზე არ ხდებოდა.

გარდა შიდა ფაქტორებისა, ლარის კურსზე დოლარის მიმართ აისახება გლობალური ტენდენციებიც. მოგეხსენებათ, აშშ ახორციელებს ე.წ. „რაოდენობრივი შერბილების" პოლიტიკიდან ეტაპობრივ გამოსვლას, რაც გულისხმობს იმას, რომ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანი მიღწეული იქნა, გაუმჯობესდა ქვეყნის ეკონომიკური პარამეტრები, მოხდა ეკონომიკის სტიმულირება. ამ ეტაპზე კი აშშ ახორციელებს ამ პოლიტიკიდან გამოსვლას, ეს გულისხმობს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას, რაც დოლარის გამყარებაზე ახდენს გავლენას. ამის საპირისპიროდ, ევროზონაში აშშ-სთან შედარებით გაცილებით არასახარბიელო ეკონომიკური სიტუაციაა და ამჯერად ევროპის ცენტრალური ბანკი ახდენს პოლიტიკის ლიბერალიზაციას ეკონომიკის წახალისების მიზნით. ამ ორი ურთიერთსაპირისპირო მოვლენის შედეგიცაა დოლარის გაძლიერება საერთაშორისო ასპარეზზე.

საბოლოო ჯამში შევაფასეთ ვითარება თუ რა მიზეზების გამო მოხდა ლარის გაუსურება, მაგრამ რა შედეგი მოჰყვა ლარის გაუსურებას ეკონომიკაზე!? შედეგი მრავალია მათ შორის:

1. ვალუტის კუსრსის მნიშვნელოვნად მეორყეობა ნიშნავს არასტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს.

2. ბიზნესს იზიდავს სტაბილური აცვლითი კურსი, რადგან ამ დროს არ არსებობს სავალუტო რისკები.

3. საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების 60% არის დოლარში. ლარში ეს არის 7.1 მილიარდი ლარის სესხი. ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირი, ვისაც დოლარში აქვს სესხი დაზარალდა კურსის გაუფასურების შედეგად, რადგან სესხის დასაფარად მათ დოლარის შესყიდვა უხდებათ.

4. საქართველოს საგარეო ვალის 74% არის საგარეო ვალი. ლარის გაუფასურების შედეგად საგარეო ვალიც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

5. კურსის გაუფასუების შეჩერებას შეეწირა 80 მილიონი დოლარის უცხოური ვალუტის რეზერვები. ვალუტის რეზერვი კი ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გარანტიაა.

6. სამომხმარებლო ფასების ზრდა.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა უცილებელია გამოსავლის პოვნა, ამ მხრივ კი ერთმანეთმანეთზე გადაბრალება არ უნ მოხდეს ხელიფლებისა და ეროვნული ბანკის მიერ, რადგან ლარის გაუფასურება მხოლოდ ერთი სექტორის ბრალი არა. ფაქტობრივად ყველამ იქნება ეს ეროვნული ბანკი, ეკონომიკის სამინიტრო, ფინანსთა სამინიტრო, თუ ა.შ., ყველამ გარკვეული წილი შეიტანა ლარის გაუფასურებაში, ხოლო მთავრობამ კი დაშვებულ შეცდომებზე სწავლა უნდა შეძლოს, მათ შორის გაითვალისწინოს რომ:

- მაღალი ბიუჯეტის დეფიციტი, მით უმეტეს ამ დეფიციტის წლის ბოლოს რამოდენიმე თვეზე გადანაწილება სახიფათოა როგორც ლარის კურსისათვის ასევე მთლიანად ეკონომიკისათვის.
- ეკონომიკაში რეგულაციების გამკაცრებით და სახელმწიფოს როლის გაძლიერებით ვერ მივიღებთ ექსპორტის ზრდაზე ორიენტირებულ ეკონომიკას.
- უნდა გაძლიერდეს რეფორმები, საქართველოს მომდევნო წლებში სულ უფრო მეტი ინვესტიციები დასჭირდება მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.
- უნდა გამოსწორდეს უცხოელების მიწის მიყიდვის გართულება, სავიზო რეჟიმის გამკაცრება შერბილდეს.

აღნიშნული ფაქტორების გამოსწორება შედარებით დაასტაბილურებს ვითარებას, სავარაუდოდ კი ლარი არ დაუბრუნდება პირვანდელ კურსს, მაგრამ ახალ წონასწორობის წერტილზე გაჩერდება. თუმცა ეს დროებით სტაბილურობა იქნება, რადგან თუ ფუნდამენტურად არ გადაიხედა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, აგრეთვე შესწავლილი უნდა იქნეს ეროვნული ბანკის მოქმედებების ადეკვატურობა, თუ ეს არ მოხდა საიდანაც გამომდინარეობს ფაქტობრივად ლარის გაუფასურების სტატისტიკური მიზეზები, ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა მუდმივი საფრთხის ქვეშ იქნება.

დასკვნა

ამრიგად საქათველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად ბოლო 2 წლის განმალობაში წამოჭრილია ლარის გაუფასურება. ეს მართლაც ასეა, ეროვნული ვალუტა მართლაც ბოლო წლების დინამიკას თუ განვიხილავთ მკვეთრად გაუფასურდა. გაუსასურება მხოლოდ ერთმა ფაქტორმა არ გამოიწვია, იკვეთება უამრავი მიზეზი, რომელებიც პირდაპირ, თუ ირიბად ახდენენ გავლენას ლარის სტაბილურობაზე, იქნება ეს შიდა თუ გარე ფაქტორები.

მაგრამ საგულისხმოა ერთი ფაქტორი დღეს უფრო ბევრი ბერკეტი გვაქვს ვიდრე ადრე იმისათვის რომ ვითარება გამოვასწოროთ, მათ შორის გასათვალისწინებელია ასოციების ხელშეკრულების დადებითი მხარეების გათვალისწინება და გამოყენება პრრაქტიკაში. მიმეზების ძებნამ მრავალ ფაქტორამდე მიგვყვანა, მაგრამ გარდა მიზეზის აღმოჩენისა საჭიროა უკვე ამ მიზეზების გამოსწორება.

გამოყენებული ლიტერატურა

- საბანკო საქმის საფუძვლები-ვ.მოსიაშვლი,. მ.ჭელიძე. თბ., 2013.
- http://ipress.ge/new/2379-laris-gaufasurebis-realuri-mizezebi.
- http://forbes.ge/news/623/laris-gaufasurebis-Sedegebi.
- http://geostat.ge/?action=page&p–id=316&lang=geo.
- file:///C:/Users/User/Downloads/publish–ir–february–2015.pdf

ვანო შუშტაკაშვილი

ოფშორული ცენტრების შექმნის მიზნები და ზოგადი მახასიათებლები

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ერთიანი განმარტება ოფშორული ზონების შესახებ არ არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ოფშორის განმარტება დამოკიდებულია იმ პიროვნებაზე ვის მიმართაც ეს კითხვაა მიმართული, უფრო ზუსტად მის დამოკიდებულებაზე ამ ფენომენის მიმართ.

საერთოდ ტერმინი „ოფშორი" (ოფფ სჰორე - ნაპირებს მიღმა) პირველად ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში გამოიყენეს, ისეთი ორგანიზაციის მიმართ, რომელმაც სახელმწიფოებრივი კონტროლისგან თავის არიდების მიზნით საქმიანობა საგადასახადო იურისდიქციის საზღვრებს გარეთ გადაიტანა. თანამედროვე პირობებში კი ეს ტერმინი უფრო ფართო გაგებით გამოიყენება და მოიცავს როგორც ფირმებს, რომლებიც იყენებენ სხვა ქვეყნებს თავიანთი საფინანსო საქმიანობის დაგეგმვისას, ასევე ზონებს (სახელმწიფო ან ტერიტორია), სადაც უცხოური კომპანიებისთვის სპეციალური სავალუტო, საგადასახადო და ორგანიზაციული შეღავათები მოქმედებს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა (თეზ) – ოფშორული ზონის ეკონომიკური ცნებაა, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ ტერიტორიას განსაკუთრებული იურიდიული სტატუსით დანარჩენ ტერიტორიებთან შედარებით და ლგოტურ ეკონომიკურ პირობებს ადგილობრივი თუ უცხოელი მეწარმეებისთვის. ასეთი ზონების შექმნის მთავარი მიზანი სახელ-

მწიფოს ან ცალკეული ტერიტორიების განვითარების გზაზე სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა და ასევე საგარეო ვაჭრობის, ზოგადეკონომიკური, სოციალური, რეგიონული და სამეცნიერო–ტექნიკური საკითხების მოგვარებაა. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოაცხადოს თავისი ტერიტორიის ცალკეული ნაწილები, რომელთა ფარგლებშიც სამეურნეო და სამეწარმეო საქმიანობისთვის საბაჟო, სავალუტო, საგადასახადო და სხვა ლგოტური პირობები დაწესდება.

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში, გერმანიიდან დიდი ოდენობით კაპიტალი გაედინებოდა და ფულის დიდი ნაწილი მეზობელ შვეიცარიაში ილექებოდა. გერმანიის ხელისუფლება ცდილობდა ამ პროექტისთვის ხელის შეშლას, მაგრამ კანონდამრღვევებს რეგულაციები არ აშინებდათ. ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ რაიხსტაგმა მიიღო კანონი გერმანიის ეკონომიკის ღალატის შესახებ. ის ყველა გერმანელსა და გერმანიაში მცხოვრებ უცხოელს ავალდებულებდა უცხოეთის ბანკებში ფულადი ანგარიშების დეკლარირებასა და რეგისტრაციას. კანონის შეუსრულებლობა მკაცრად - პატიმრობით ისჯებოდა. რა თქმა უნდა, შვეიცარიელ ბანკირებს ეს ხელს არ აძლევდათ და 1934 წელს შვეიცარიაში მიიღეს კანონი საბანკო საიდუმლოების შესახებ - ბანკებს არ ჰქონდათ უფლება, მათი კლიენტების ვინაობა და შენატანის მოცულობა გაემხილათ. ბანკის თანამშრომლები ვალდებული იყვნენ, საიდუმლო კლიენტების შესახებ სამსახურიდან წასვლის შემდეგაც შეენახათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხე ემუქრებოდათ. ასე გაჩნდა პირველი ლეგალური მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი იყო საგულდაგულოდ დაგემალა ფული, მისი წარმომავლობის მიუხედავად. იმავდროულად იქმნებოდა ამ ფულის სარფიანად განკარგვის მექანიზმიც - ცნობილი, როგორც "საგადასახადო სავანე".

ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც დაბალი გადასახადებით იზიდავდა ქვეყანაში კაპიტალს, კვლავაც შვეიცარია იყო. 1930 წელს ბერმუდის კუნძულებზე მიიღეს კანონი უცხოური კომპანიების რეგისტრაციის გამარტივების შესახებ. 50-იანი წლების ბოლოს უკვე ოფშორის ცნება გაჩნდა, 60-იან წლებში კი მსოფლიოში ე.წ. ოფშორული იურისდიქციების მთელი ქსელი განვითარდა. ლუქსემბურგი, კაიმანის კუნძულები, სინგაპური, მენის კუნძული, კონფიდენციალურ საბანკო მომსახურებასთან ერთად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებსაც სთავაზობდნენ.

მოკლედ, გაჩნდა მთელი ინფრასტრუქტურა, რომელიც მარტივად გაძლევდა შესაძლებლობას, ოფშორულ ბანკებში დიდძალი ფული შეგენახა, მიუხედავად მისი წარმომავლობისა. აქვე ამ ფულით შეიძლებოდა კომპანიის ან კომპანიების დაფუძნება და მათი მეშვეობით უკვე "პატიოსნად" ბიზნესის კეთება ნებისმიერ ქვეყანაში. კანონდარღვევისა და მომხვეჭელობისკენ მიდრეკილ ადამიანებს ეს დიდ პერსპექტივებსუქადდა. ისტორია ცხადყოფს, რომ ასეთი სქემით ძირითადად კორუმპირებული ხელისუფალნი მოქმედებდნენ.

ბოლო პერიოდში მიმდინარე საერთაშორისო საფინანსო ბაზრისა და კაპიტალის მობილობის მნიშვნელოვანმა ზრდამ, ფინანსური ნაკადების და სამეწარმეო რესურსების გადანაწილება არა მარტო ცალკეულ ქვეყნებს შორის გამოიწვია, არამედ გარკვეულ ქვეყნის ჯგუფებს შორისაც. კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია უკვე დიდი ხანია ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ასევე შეიძლება ითქვას ისიც, რომ მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს, რომლის განვითარებაც დროის საკითხია და შეუძლებელია მისი კონკრეტულ ჩარჩოებში მოქცევა, ან უფრო მეტიც, მისი შეჩერება.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია აიძულებს ქვეყნებს შეძლონ საკუთარი ინტერესების დაცვა და შენარჩუნება მთელი ამ პროცესის განმავლობაში. თვითდამკვიდრების ამ ბრძოლაში, ერთ-ერთ მეტნაკლებად ეფექტურ საშუალებად ითვლება საგადასახადო შეღავათების არსებობაც. ერთი ქვეყნის მხრიდან ამ მექანიზმის ამოქმედება თავისთავასდ იწვევს საპასუხო ქმედებას მეორე სახელმწიფოსგან. რასაც საბოლოოდ საგასადახადო გლობალიზაციის გაღრმავებამდე მივყავართ.

ორგანიზაციული და ფუნქციონალური ნიშნით კლასიფიკაციის გარდა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები მათი შექმნის მიზეზისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელობის დონის თვალსაზრისითაც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მაგალითად, განვითარებული და ამასთან დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყნები თავისუფალ ზონებს რეგიონალური პოლიტიკის რეალიზების მიზნით ქმნიან. ამის ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს თუნდაც დიდი ბრიტანეთის მიერ შექმნილი ზონები, რომლებიც ამ ქვეყნის ძირითადი ტერიტორიიდან მოშორებითაა (მაგალითად, ვირჯინიის კუნძულები) განლაგებული და რუსეთის ფედერაციის პერიფერიებზე შექმნილი ზონები, სადაც ცენტრალურ მთავრობას ზოგადად მარეგულირებელი და მაკოორდინირებელი ფუნქციების განხორციელება უჭირს.

რაც შეეხება განვითარებად და პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებს, მათთვის თავისუფალი ეკონომიკური ზონები ღია ეკონომიკის პრინციპების დანერგვის პოლიგონებს წარმოადგენენ. ასეთ ქვეყნებს უცხოური კაპიტალის ნაკადებისათვის თავისი ეკონომიკის სრული გახსნა, განსაკუთრებული სავაჭრო, თუ საინვესტიციო პოლიტიკის გატარებამთელი ტერიტორიისა და ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით ხშირად არ სურთ, ან არ შეუძლიათ. ამიტომ ისინი ეკონომიკის ლოკალურ "გახსნას" ზონების ჩამოყალიბების მეშვეობით ახორციელებენ. ამას თუნდაც ჩინეთის მაგალითი ადასტურებს, სადაც ზონების შექმნის პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და პრაქტიკულად საბაზრო ურთიერთობების გამოყენების ექსპერიმენტს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების მნიშვნელობის განხილვის დროს არ შეიძლება ყურადღება ისეთ საკითხზე არ გამახვილდეს, როგორიცაა ზონების გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ამასთან საყურადღებოა, რომ განვითარებად ქვეყნებში ზონების ზეგავლენის დონე ეროვნულ ეკონომიკაზე საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ასეთი გავლენის საკითხი პრაქტიკულად არც კი განიხილება.

დღეისათვის სერიოზული უცხოელი ინვესტორებისათვის საგადასახადო და ადმინისტრაციული შეღავათები სულაც არ წარმოადგენს ინვესტიციების ჩადების მიმზიდველობის ერთადერთ ფაქტორს. მათთვის თავისუფალ ზონაში განვითარებული ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, წარმოებრივი და სასაწყობო შენობა-ნაგებობები, წყალმომარაგება, ენერგომომარაგება და სხვ.), ხოლო მის გარშემო დიდი მასშტაბის მქონე გასაღების ბაზრის არსებობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა ყოველთვის დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამდენად, შეღავათებისა და მუშახელის სიიაფის მიუხედავად, ზონების ფორმირების საწყის ეტაპზე იქ წარმოებული პროდუქცია საკმაოდ მაღალი დანახარჯებით გამოირჩევა და უცხოელი ინვესტორების დაინტერესებისათვის აუცილებელია სხვადასხვა ფაქტორის ერთდროული და ურთიერთ დაკავშირებული არსებობა.

ამის მიღწევა, ერთი შეხედვით, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს გაცილებით უფრო ადვილია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეკონომიკური პოლიტიკის სწორიმიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის, და მათი თანმიმდევრულირეალიზაციის მეშვეობით, ვიდრე ლოკალურად.

სპეციალური ეკონომიკური ზონები ექსპორტზე ორიენტირებულ ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც იქმნება ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ექსპორტის გაფართოების, სავალუტო მოგების ზრდის, ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და რა თქმა უნდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნით.

იმ ქვეყნების მიზანი, რომელთა ტერიტორიაზეც იქმნება ოფშორული ზონა, შეიძლება სხვადასხვა იყოს, რაც დამოკიდებულია მისი ეკონომიკური განვითარების დონეზე, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ქვეყნის სხვა მახასიათებლებზე. მაგალითად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისთვის, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისას აქტუალურია მკვიდრი მოსახლეობისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მაშინ როდესაც განვითარებადი ქვეყნებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიების მოზიდვა, ასევე ინფრასტრუქტურის, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარება და კვალიფიციური მუშა ძალის რაოდენობის გაზრდა.

ასევე ნიშანდობლივია ისიც, რომ ოფშორული ზონები, როგორც წესი გარკვეულ ტერიტორიებზე იქმნება, რომელიც ძირითადად კუნძულზეა განთავსებული და ბუნებრივი გზით არის იზოლირებული. ეს ზონები ძირითადად ღარიბია ბუნებრივი რესურსებით და ნაკლებად გამოსაყენებლია სოფლის მეურნეობის საწარმოებლად. სწორედ ამის გამო, ამ ტერიტორიებისთვის განსაკუთრებული სტატუსის და შეღავათების მინიჭება წარმოადგენენ მათი ეკონომიკური განვითარების წყაროს.

დღეს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები დიდ ყურადღებას უთმობენ თეზ-ებს, რაც ეჭვ გარეშეა სავალუტო კონტროლის არ არსებობითაა გამოწვეული. თეზ-ების შექმნით სახელმწიფოები სხვა ქვეყნის რეზიდენტებისგან იღებენ დამატებით ფინანსურ შემოსავლებს, ანვითარებენ ინფრასტრუქტურას, ქმნიან სამუშაო ადგილებს და ა.შ. ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი ინვესტიციები ეყრდნობა შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

1.ეკონომიკური მიზნები (უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; ეკონომიკაში სავალუტო შენატანების ზრდა სავალუტო შენატანების ხარჯზე და ა.შ.);

2.სოციალური მიზნები (რეგიონული ერთეულების განვითარების დაჩქარება; მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების დონის ზრდა; მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა მსოფლიო მოთხოვნებისა შესაბამისად და ა.შ.);

3.სამეცნიერო-ტექნიკური მიზნები (მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა).

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში გაძლიერდა ინტეგრაციის პროცესები, რომლებიც მოითხოვენ ეროვნული ეკონომიკების ლიბერალიზაციას, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნების აქტიურ მონაწილეობას, ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებას და ა.შ. სადაც მნიშვნელოვან ელემენტად მიჩნეულია თეზ-ები.

თეზ-ი ეს არის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც საქონელი ეროვნული ეკონომიკის გარეთ არსებული ობიექტია.

თანამედროვე პრაქტიკაში თეზ-ების ორი მიდგომა არსებობს: ტერიტორიული და რეჟიმული. ტერიტორიული მიდგომის დროს განსაზღვრულ ტერიტორიაზე შეღავათები ვრცელდება საქმიანობის ყველა სახეობაზე, ხოლო რეჟიმული მიდგომის დროს შეღავათები გამოიყენება მხოლოდ გარკვეული სახეობის სამეწარმეო საქმიანობის მიმართ.

თავისუფალი ზონების დიდი ნაწილი განლაგებული კუნძულებზე და დაშორებულნი არიან განვითარებული ქვეყნების მთავარი ფინანსური ცენტრებისაგან.

ამავდროულად, სახელმწიფოები თეზ-ების შექმნით ხელს უწყობენ ინვესტორების მხრიდან გადასახადებისგან თავის არიდებას და ხშირ შემთხვევაში "შავი ფულის" გათეთრებას, რითაც ზარალდება მრავალი სახელმწიფო და ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკა. მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით მსგავსი ზონების გამო განვითარებადი ქვეყნები ვერ იღებენ დაახლოებით 50 მლრდ დოლარისგადასახადებს. ეს არის არალეგალურად მოპოვებული ფულის მასა - "შავი ფული", რომელიც ნაღდი სახით არსებობს ეკონომიკის ლეგალურ სექტორში, მისი წარმოშობის წყაროს გაუხსნელად. ის დოკუმენტებით არ აღირიცხება, ამიტომ იგი თითქოს საერთოდ

არ არსებობს, თუმცა იგი რეალურად არსებობს და თავის ფუნქციებსაც ასრულებს. თავისი არსიდან გამომდინარე, შავი ფული სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, შავი ფული მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტში 2-5%-ს შორის მერყეობს.

ფულის გათეთრების სქემაში ძირითადად მონაწილეობენ ინვესტორი, შემსრულებელი და საკრედიტო ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ნაღდი და უნაღდო

ანგარიშსწორებები. მისი ყველაზე გავრცელებული ფორმა კი ფიქციური ხელშეკრულებებია, რომლებიც ფორმდება სამუშაოთა განხორციელებასა დამომსახურების გაწევისას. ამ დროს ფულის გათეთრების სქემაში მონაწილე შემკვეთი თავის ანგარიშზე არსებულ უნაღდო ფულად სახსრებს აქცევს ნაღდ ფულად და მის ჩამოწერას ახერხებს, რაც ხორციელდება სხვადასხვა აქტივების შეძენითა და მომსახურებების გაწევით.

წარმოდგენილი სქემა ნათლად გვიჩვენებს იმ პრობლემას, თუ რა მარტივი ხერხით არის შესაძლებელი საკმაოდ მძიმე დანაშაულის ჩადენის განხორციელება. ასეთი შემთხვევებს კი ძირითადად ისეთ ქვეყნებში აქვს ადგილი, სადაც არასრულყოფილი კანონმდებლობის პრობლემა არსებობს.

განვითარებული ქვეყნების საკრედიტო სისტემის ზოგადი დახასიათება

საკრედიტო სისტემა არის ფინანსურ საკრედიტო დაწესებულებათა კომპლექსი, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის განვითარებისათვის. იგი საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა რგოლის ფუნქციონირებაში, რამდენადაც უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზაციას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას მეურნეობრივ საქმიანობაში.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა შედგება სხვადასხვა რგოლისაგან, რომლებიც ასრულებენ თითოეულისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ფუნქციებს ფულადი საშუალებების აკუმულაციისა და განაწილების პროცესში.

საკრედიტო სისტემის ცალკეულ რგოლებს შორის ფუნქციების განაწილება ობიექტურად განპირობებულია მათი საქმიანობისათვის მეთოდებისა და საშუალებების განსხვავებულობითა და კვლავწარმოების პროცესში კაპიტალის სხვადასხვა როლით.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა მოიცავს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების სამ ძირითად ჯგუფს:

1. ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;
2. საბანკო სექტორი (კომერციული ბანკები);
3. სპეციალური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

ცენტრალურ ბანკს გამორჩეული ადგილი უკავია საკრედიტო სისტემაში. იგი, როგორც წესი, სახელმწიფო საკუთრებაშია და გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით მინიჭებულ აქვს საგანგებო ფუნქციების შესრულება.

საბანკო სექტორში შედის:

1. **კომერციული ბანკები**, წარმოადგენენ საკრედიტო სისტემის ძირითად რგოლს. ისინი პრაქტიკულად ყველა სახის საბანკო ოპერაციებს ახორციელებენ. კომერციული ბანკების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფუნქციებს წარმოადგენენ: ანაბრების მიღება, სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციების დაკრედიტება, მათ შორის ანგარიშწორების განხორციელება და სხვ. (უფრო დაწვრილებით კომერციულ ბანკებზე IX თავში).

2. **შემნახველი ბანკები** (აშშ-ში ურთიერთშემნახველი ბანკები, გერმანიაში – საშემნახველო სალაროები), როგორც წესი, ადგილობრივი დანიშნულების საშუალო საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ეროვნულ ასოციაციებში ერთიანდებიან და ჩვეულებრივად სახელმწიფოს მიერ კონტროლირდებიან, ხშირ შემთხვევაში მის საკუთრებას წარმოადგენენ. შემნახველი ბანკების **პასიური** ოპერაციები მოსახლეობიდან მიმდინარე და სხვა ანგარიშებზე ანაბრების მიღებას მოიცავს. აქტიური ოპერაციები წარმოდგენილია სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტებით, საბანკო სესხებით, სახელმწიფო და კერძო ფასიანი ქაღალდების შეძენით. შემნახველი ბანკები ასევე საკრედიტო ბარათების გამოშვებას ახორციელებენ;

3. **საინვესტიციო ბანკები** (დიდ ბრიტანეთში – საემისიო სახლები, საფრანგეთში – საქმიანი ბანკები), სპეციალიზირდებიან საემისიო-სადამფუძვნებლო ოპერაციაბზე. იმ საწარმოების ან სახელმწიფოს დავალებით, რომელთაც გრძელვადიანი დაბანკებები სჭირდებათ და აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებას ახორციელებენ. საინვესტიციო ბანკები დაბანდების მოცულობის, პირობის, ემისიის ვადის, ფასიანი ქაღალდების ტიპის შერჩევის განსაზღვრას, აგრეთვე მათი განთავსებისა და მეორადი მიმოქცევის ორგანიზაციის ვალდებულებებს იღებენ საკუთარ თავზე. ასეთი სახის დაწესებულებები, თავიანთ ხარჯზე შეძენისა და გაყიდვის ან ამისათვის საბანკო სინდიკატების შექმნის ორგანიზებით, აქციებისა და ობლიგაციების მყიდველზე სესხის გაცემით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შეძენის გარანტორები არიან;

4. **იპოთეკური ბანკები**, ისეთი სახის დაწესებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც გრძელვადიანი კრედიტების გაცემას უძრავი ქონების (მიწა, შენობა, ნაგებობა) გირაოს ქვეშ ახორციელებენ. ამ ბანკების პასიური ოპერაციების გამოყენებაში გამოიხატება;

5. **საბანკო ჰოლდინგი**, რომელიც წარმოადგენს სხვა კომპანიების აქციების პაკეტისა და სხვა სახეობის ფასიანი ქაღალდების მფლობულ და ამ ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების გან-

მხორციელებელ კომპანიას. გარდა სუფთა ჰოლდინგებისა, რომლებიც მხოლოდ აღნიშნულ ოპერაციებს ახორციელებენ, ასევე შერეული ჰოლდინგებიც არსებობენ, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში სამეურნეო საქმიანობასაც ახორციელებენ.

6. **სამიწათმოქმედო ბანკები** (ძირითადად სპეციალიზაციას ახდენენ აგრარულ სექტორში);

7. **სპეციალური სავაჭრო ბანკები და სხვ**.

თანამედროვე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფართო განვითარება ჰპოვა სპეციალურმა არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებმა, რომლებიც აკრედიტებენ მეურნეობრივი საქმიანობის განსაზღვრულ დარგებსა და სფეროებს. მათ საქმიანობაში დომინირებს ერთი ან ორი ძირითადი ოპერაცია, ამიტომ სპეციფიკური კლიენტურა ჰყავთ. თანამედროვე საკრედიტო სისტემის ამ მესამე ჯგუფს განეკუთვნება:

8. **სადაზღვეო კომპანიები**, რომელთა შემოსავალი იქმნება დაზღვევის პოლისების რეალიზაციის გზით. ეს კომპანიები თავიანთ სახსრებს სამრეწველო კომპანიების აქციებში, ობლიგაციებსა და დახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში ათავსებენ. დაზღვევის კომპანიები გრძელვადიან სესხებს აძლევენ საწარმოებსა და სახელმწოფო ხელისუფლების ორგანოებს. დაზღვევის ობიექტის მიხედვით ეს კომპანიები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: სიცოცხლის დაზღვევა და ქონების დაზღვევა. დაზღვევის კომპანიების შემოსავალი, როგორც წესი ბევრად აღემატება პოლისების მფლობელთათვის განკუთვნილ გადასახადებს;

9. **საპენსიო ფონდები**, რომელსაც ძირითადად ქმნიან კერძო კომპანიები და სახელმწიფო დაწესებულებები მუშებისა და მოსამსახურეების მოხუცებულობის დროს პენსიებით უზრუნველყოფის მიზნით. კერძო საპენსიო ფონდები იქმნება მუშებისა და მოსამსახურეების, აგრეთვე მეწარმეთა ფულადი შენატანების საფუძველზე. საპენსიო ფონდები ერთმანეთისაგან განსხვავდება ორგანიზაციის, მართვისა და აქტივების სტრუქტურის მიხედვით. საპენსიო ფონდებში კაპიტალის დაგროვების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ფორმირება ძირითადად წარმოებს მეწარმეთა და მუშა-მოსამსახურეთა საწევრო შენატანებისაგან. იმის გამო, რომ საპენსიო ფონდები ძირითადად ფლობენ გრძელვადიან ფულად სახსრებს, ისინი ამ სახსრებს აბანდებენ სახელმწიფო და კერძო ფასიან ქაღალდებში;

10. **ფინანსური კომპანიები**, განსაკუთრებული ტიპის საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ფუნქციონირებენ სამომხმარებლო კრედიტის სფეროში. მათ მიეკუთვნება ინსტიტუტები, რომლებიც საცალო საბითუმო ვაჭრობაში საქონლის გაყიდვას აკრედიტებენ. ამ კომპანიების ფართოდ გაშლილი ქსელი არსებობს აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიაში. ფინანსური კომპანიები ორი სახისაა: საქონლის ნისიად გაყიდვის დაფინანსების და პირადი დაფინანსების სახის. ორივე შემთხვევაში კომპანია სესხებს გასცემს ერთიდან სამ წლამდე ვადით.

11. **საქველმოქმედო ფონდები**. მათი განვითარება დაკავშირებული იყო მთელ რიგ მიზეზებთან. ჯერ ერთი, ქველმოქმედება მეწარმეობის ორგანული ნაწილი გახდა; მეორე, საქველმოქმედო ფონდების შექმნას პრაქტიკული მიზეზები გააჩნდა – მოსახლების მდიდარი ფენა გაურბოდა გადასახადების გადახდას და საკუთარი ფულადი სიმდიდრის ნაწილს გასცემდა საქველმოქმედო მიზნებისათვის. კერძო პირები და კორპორაციები საქველმოქმედო ფირმების შექმნით აფინანსებენ: უნივერსიტეტებს, სკოლებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ხელოვნების, კულტურის, საეკლესიო დაწესებულებებს და სხვ.

12. **საკრედიტო კავშირები**, იგივე კოოპერატივებია, რომელსაც აარსებენ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები პროფესიული ან რელიგიური პრინციპების მიხედვით. მათი კაპიტალი იქმნება საპაიო შენატანების საფუძველზე განსაკუთრებული სახის აქციების შეძენის ფორმით. მას იყენებენ მოკლევადიანი დაკრედიტებისათვის.

თანამედროვე საკრედიტო სისტემაში შემადგენელი რგოლების როლი სხვადასხვაა, მაგრამ საბანკო სექტორის მნიშვნელობა ძალიან დიდია და იგი საკრედიტო რესურსების მობილიზაციის მიხედვით პირველ ადგილზეა. ამ სექტორში გადამწყვეტია კომერციული ბანკები, რომლებიც უპირატესად აკრედიტებს მრეწველობასა და ვაჭრობას. განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო სისტემის სრულყოფა დიდად არის დამოკიდებული საბანკო სექტორის ფუნქციონირების მრავალფეროვნებაზე. მოკლედ განვიხილოთ მსოფლიო მაღალგანვითარებული ქვეყნების საბანკო სტრუქტურა.

იტალიის საბანკო სისტემა. იტალიის საბანკო სისტემა უძველესია მსოფლიოში. მრავალი ცნება და ტერმინი, რომელიც დღესაც ფართოდ გამოიყენება მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში, იტალიური წარმოშობისაა, მაგ., „ლომბარდი", „ინდოსამენტი". შუა საუკუნეების იტალიაში განვითარებული საბანკო ურთიერთობები არსებობდა. მსოფლიოს ხუთი უძველესი ბანკი იტალიაში წარმოიქმნა: „ბანკო და ნაპოლი" (1539 წ.), „ინსტიტუტო ბანკარიო სან პაოლო დი ტურინო" (1563 წ.), „ბანკო დი რიელტო" (1587 წ.), „ბანკო დი სანტო სპირიტ" (1605 წ.), „მონტე დეი პაში და სიენა" (1624 წ.). იტალიის თანამედროვე საბანკო საქმე, კონცენტრაციის პროცესის შედეგად მრავალფეროვანია და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების საბანკო საქმესთან შედარებით, მრავალი განსაკუთრებულობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იტალიის საბანკო საქმე უძველესია მსოფლიოში, პირველი ცენტრალური ბანკი 1893 წ. შეიქმნა, თუმცა მას არ მიუღია ბანკნოტების ემისიის მონოპოლიური უფლება. ეს მოხდა შედარებით გვიან – 1926 წ.[32] ამით პირველად შეიქმნა პირობები ცენტრალური ბანკის საქმიანობის აქტიური რეგულირებისათვის.

იტალიის თანამედროვე საბანკო სისტემის ძირითადი კონტურები ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 20-30-იან წლებში. XX საუკუნის 30-ინი წლების მძლავრი ეკონომიკური კრიზისის დროს, მნიშვნელოვნად დაზარალდა მთლიანად საკრედიტო სისტემა, რის შედეგად ხელისუფლება იძულებული გახდა მოეხდინა საბანკო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილის ნაციონალიზაცია. ამავე პერიოდში შეიქმნა საკრედიტო სისტემის ორი მნიშვნელოვანი ორგანო:

1. „სესხებისა და დაკრედიტების სამინისტროთაშორისო კომიტეტი";
2. ცენტრალური საემისიო ბანკი– „იტალიის ბანკი".[33]

1936 წლამდე იტალიის ცენტრალური ბანკი კერძო სააქციო საზოგადოება იყო. ნაციონალიზაციის შემდეგ ამ ბანკის აქციები სხვადასხვა საკრედიტო ინსტიტუტებისა და სადაზღვევო კომპანიების ხელში აღმოჩნდა. ბანკის სათავეში დგას მმართველთა ცენტრალური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის მმართველი და 12 წევრი. მმართველთა ცენტრალური საბჭო ცხოვრებაში ატარებს სამინისტროთაშორისო კომიტეტის გადაწყვეტილებებს. ცენტრალური ბანკის საქმიანობის კონტროლისათვის ხაზინის მინისტრთან შექმნილია სპეციალური კომისია, რომლის განკარგულებაშია სარეზერვო სამსახური.

---

[32] http://www.globfin.ru/articles/banks/ithyst.htm
[33] http://www.globfin.ru/articles/banks/ithyst.htm

თანამედროვე პირობებში იტალიის ცენტრალური ბანკის პოლიტიკა ცვლილებებს განიცდის ევროკავშირის ერთიანი ეკონომიკური ტენდენციების შესაბამისად, იგი ფაქტობრივად გახდა ევროპის ცენტრალური ბანკის[34] ინტერესების გამტარებელი ქვეყანაში. ამასთან, ევროპის ცენტრალური ბანკის (ეცბ) ქარტიის შესაბამისად, იტალიის ცენტრალურმა ბანკმა მას (ეცბ-ს) გადასცა სავალუტო რეზერვების ნაწილი. უნდა აღინიშნოს, რომ „იტალიის ბანკის" მიერ სავალუტო რეზერვების გამოყენება შიდა საკრედიტო სისტემაში თუ საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული უნდა იყოს ეცბ-სთან, რაც გათვალისწინებულია ევროპის სავალუტო კავშირის შეთანხმებით ფულადი და სავალუტო პოლიტიკის სფეროში.

რაც შეეხება კომერციულ ბანკებს, იტალიაში ფუნქციონირებს ბანკები, რომლებიც დაკავებულნი არიან მხოლოდ მოკლევადიანი ან მხოლოდ საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების გაცემით. განვითარებული ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, ამგვარი გამიჯვნა იტალიაში კანონმდებლობით იქნა შეტანილი 1929-1933 წ.წ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. კრიზისამდე იტალიის მრავალი ბანკი მოკლევადიანი ანაბრების საფუძველზე საშუალო და გრძელვადიან კრედიტებს იძლეოდა, რამაც კრიზისის პერიოდში უმსხვილესი გაკოტრების ტალღა გამოიწვია და სიტუაცია არ დარეგულირდა სახელმწიფო ჩარევის გარეშე. თუმცა პრაქტიკაში მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან ოპერაციებს შორის გამიჯვნა არც ისე მკაცრია. იტალიის კომერციულ ბანკებს შორის ბოლო პერიოდში შეიმჩნევა უნივერსალიზაციის ტენდენცია.

კომერციული ბანკების სისტემის თანამედროვე სტრუქტურა ძლიერ დიფერენცირებულია და მისი კლასიფიკაციისათვის გამოიყენება მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმი, რომელიც *ასახვას პოულობს საბანკო სტატისტიკაში. ინსტიტუტებს შორის რომლებიც დასაქმებულნი არიან მოკლევადიანი დაკრედიტებით, გამოყოფენ შემდეგ 6 ძირითად ჯგუფს*: 1. **სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტები**; 2. **ეროვნული (ნაციონალური) ინტერესების ბანკი**; 3. **არასახელმწიფო კომერციული ბანკები**; 4. **შემნახველი სალაროები. 5. სარეწაო და სასოფლო-სამეურნეო სალაროები**. 6. **სპეციალიზებული საკრედიტო ინსტიტუტები.**

თანამედროვე პირობებში იტალიის საბანკო სისტემა განიცდის გაფართოებასა და განვითარებას. მისთვის დამახასიათებელია საბანკო და საკრედიტო სისტემის განსახელმწიფოებრიობა (დენაციონალიზაცია), რაც თავისთავად იწვევს ბანკების სპეციალიზაციის გაღრმავებას, კომერციული ბანკების რიცხოვნების ზრდას, ოპერაციების მოცულობისა და სტრუქტურის მრავალფეროვნებას.

შვეიცარიის საბანკო სისტემა. იტალიასთან, საფრანგეთთან და ინგლისთან შედარებით, საბანკო საქმე შვეიცარიაში შედარებით მოგვიანებით განვითარდა. XIX საუკუნის დასაწყისამდე საბანკო ოპერაციები ხორციელდებოდა კერძო პირების მიერ, რომელთა საქმიანობა ტრადიციულად დაკავშირებული იყო ვაჭრობასთან, მეწარმეობასთან, ტრანსპორტთან და რომლებმაც მხოლოდ მოგვიანებით დაიწყეს საბანკო ოპერაციების დამხმარე სახის წარმოება. ამ პრაქტიკის ერთადერთი გამონაკლისი იყო უძველესი შვეიცარიული ბანკი– ე.წ. „საპროცენტო კომისია",

[34] (ინგლ. European Central Bank) – ევროკავშირისა და ევროზონის ცენტრალური ბანკი. დაფუძნდა 1998 წლის 1 ივნისს. შტაბ-ბინა მდებარეობს გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში. მის შტატში შეყვანილია ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენელი. ბანკი სრულიად დამოუკიდებელია ევროკავშირის ყველა დანარჩენ ორგანოსგან.

რომელიც 1755 წელს შეიქმნა, როგორც ციურიხის სახელმწიფო ბანკი. შემდეგ მისგან კერძო ინ-სტიტუტის სახით, წარმოიქმნა „ანკ ლოი ი აგ“, რომელიც ამჟამადაც არსებობს უნივერსალური ბანკის სახით. ის ძირითად ყურადღებას უთმობს იპოთეკურ და სავაჭრო საბანკო ოპერაციებს. ცენტრალური ბანკის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ე.წ. **კანტონალური ბანკების ანუ შვეიცარიის ოლქების ბანკების დაფუძნება.** პირველი ასეთი ბანკი ბერნში შეიქმნა 1834 წ. შემ-დგომ მისი მსგავსი ბანკების წარმოქმნა ყველგან დაიწყო.

შვეიცარიის საბანკო სისტემის თვისებურებაა ბანკებსა და საინვესტიციო კომპანიებზე მკაცრი კონტროლი. საბანკო სფეროს კონტროლის სისტემას აქვს სამსაფეხურიანი სტრუქტუ-რა[35]:

ა. ფედერალური საბანკო კომისია;

ბ. ნაციონალური ბანკი;

ც. შვეიცარიის ბანკების ასოციაცია (კომიტეტი).

გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტორი, რომ შვეიცარიაში მხარს უჭერენ უნივერსა-ლობის პრინციპს. იმ დროს, როცა მრავალ ქვეყანაში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის (1929-1932 წ.წ.) შედეგად, კანონმდებლობით გამოიყო დეპოზიტური სასესხო ოპერაციები ინვესტიცი-ურისაგან, შვეიცარიაში ცვლილებების გარეშე დარჩა საბანკო საქმიანობის უნივერსალურობის ტრადიციული პრინციპი, რომლის მსგავსი პრაქტიკულად მხოლოდ გერმანიაში თუ გამოიყენე-ბა. ის საშუალებას იძლევა კლიენტებს წარუდგინოს შეუზღუდავი საბანკო მომსახურება, ხოლო ბანკებისათვის უზრუნველყოს შემოქმედების სივრცე, კრედიტების დიფერენციალური გაცემი-სა და საგადასახადო ბრუნვის ყოვლისმომცველი მომსახურეობისათვის, აგრეთვე ყველა საბან-კო მოთხოვნის პრაქტიკული დაკმაყოფილებისათვის ფულადი სახსრების უზარმაზარი რეზერ-ვის შექმნით.

შვეიცარიაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება **საბანკო საიდუმლოებას**. *მისი შეუსრულებლობა ისჯება ფულადი ჯარიმით 50 000 შვეიცარიული ფრანკით, ან თავისუფლების აღკვეთით 6 თვემდე ვადით*[36]. ამასთან კავშირში, შვეიცარიაში ფართო გავრცელება ჰპოვა **ნო-მერულმა ანგარიშმა**. შვეიცარიელი საბანკო ექსპერტების აზრით, ნომერული ანგარიშების ათეული წლის პრაქტიკის განმავლობაში, ანგარიშების მოცემული სახე ეხსნებოდათ მხოლოდ დადგენილი წარმოშობის პირებს და ცნობილ სახელებს, თუნდაც ისინი ბანკის მუშაკთა გარკვე-ული რიცხვისთვის ცნობილი ყოფილიყვნენ. ნომერული ანგარიშების პრაქტიკული გამოყენება ხორციელდება ინკოგნიტოდ, ე.ი. რიცხვითი კომბინაციის ან კოდის საშუალებით. მის მიხედვით ხდება ფულის მოხსნა და დარიცხვა ანგარიშზე. შვეიცარული გაგებით, ნომერული ანგარიში არ ითვლება ანონიმურად, ეს მხოლოდ საიდუმლოების უმაღლესი ფორმაა.

რაც შეეხება საბანკო საიდუმლოებას, შვეიცარიის ბანკირები თვლიან, რომ ის არააბსო-ლუტურია.მაგ.: შვეიცარიაში, განსაზღვრულ შემთხვევებში, გათვალისწინებულია სამოქალაქო, საოჯახო, მემკვიდრეობითი და საკონკურსო (ე.ი. შეჯიბრებადობის ან იურიდიული პირების ხელმოკლეობის) უფლებების საბანკო საიდუმლოება. სისხლის სამართალში ე.წ. ვალდებულე-

[35] http://www.banki-delo.ru/2011/01/Швейцария – страна банков. Швейцарская банковская система.

[36] http://www.banki-delo.ru/2011/01/Швейцария – страна банков. Швейцарская банковская система

ბას – მისცეს ჩვენებები – წინ უსწრებს საიდუმლოების ვალდებულება. შვეიცარიის ბანკების ხელისუფლება სავალუტო და საგადასახადო დარღვევების გამოვლენისას სხვა ორგანოებთან ყველა სამართლებრივი შეთანხმების მიუხედავად, ძიებას არავითარ იურიდიულ დახმარებას არ უწევს (უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში შვეიცარიის ბანკებმა დაიწყეს ნაწილობრივი თანამშრომლობა ინტერნაციონალურ პოლიციასთან).

შვეიცარიის საბანკო სისტემა ტრადიციულად დაყოფილია **სამ ძირითად კატეგორიად**[37]**:**

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება უმსხვილები ბანკები, მათ შორის გამორჩეულია: ***ნიონ ბანკ ოფ შწიტზერლანდ, შწისს ბანკ ცორპორატიონ*** და ***შწისს ცრედიტ ბანკ.***

მეორე კეტეგორიაში შედიან კანტონალური, ადგილობრივი და შემნახველი ბანკები.

მესამე კატეგორიაში გაერთიანებულია კერძო ბანკები (ე.წ. სხვა ბანკები).

აშშ-ის საბანკო სისტემა. განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემებთან შედარებით აშშ-ის საბანკო სისტემა რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომ-ლებიც ვლინდება როგორც ცენტრალური, ასევე კომერციული ბანკების საქმიანობაში. აშშ-ში საბანკო საქმე წარმოიქმნა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ (1776 წ.). ამ დროიდან არსებობს საკუთრივ აშშ-ის ვალუტა– დოლარი. 1781 წ. აშშ-მა სცადა ცენტრალური ბანკის დაფუძნება– ჩრდილო-ამერიკის ბანკის, რომელმაც სულ რამდენიმე წელი იარსება. 1791 წ. შეიქმნა ახალი ბანკი– აშშ პირველი ბანკი, ინგლისური ბანკის ნიმუშის მიხედვით, რომელმაც მიიღო კონგრესის უფლებამოსილება 20 წლით. მისი ფუნქციონირების დასაწყისიდან დაიწყო გაცხარებული კამათი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლებსა და მიწათმოქმედებს და სამხრეთ შტატების წარჩინებულებს შორის. კონცესიის ვადის დასრულების შემდეგ 1811 წ. აშშ-ის პირველმა ბანკმა მოქმედება შეწყვიტა. ამისათვის მრავალი მიზეზი არსებობდა. 1812-1814 წწ. ომმა შეაჩერა კაპიტალიზმის განვითარება და გააძლიერა ცენტრალური ბანკის დაფუძნების მომხრეთა პოზიციები. მთავრობის გადაწყვეტილებით 1816 წ. შეიქმნა აშშ-ის მეორე ბანკი 20 წლის კონცესიით, პირველი ნაციონალური ბანკის ორგანიზაციის მსგავსად. მან ისეთივე ფუნქციები მიიღო: ფედერალური მთავრობის დაკრედიტება, სამთავრობო პოლიტიკის გატარება გადასახადების აკრეფისას, ობლიგაციების გაყიდვისას, თავისი კაპიტალის ფარგლებში ბანკნოტების ემისიისას და სხვა ბანკების მიერ ბანკნოტების გამოშვებისას, კონტროლი დეპოზიტურ ოპერაციებზე და მრეწველობისა და ვაჭრობის დაკრედიტება. ბანკი სრული გაგებით ცენტრალურ ბანკად არ ითვლებოდა, რადგან ასრულებდა კომერციული ბანკის რიგ ფუნქციებს, რის შედეგადაც მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა და 1836 წელს კონცესია არ გაგრძელდა.

ამის შემდეგ დადგა ე.წ. ***საბანკო ანარქიზმის პერიოდი,*** რომელიც სამოქალაქო ომის (1861-1865 წწ.) ბოლომდე გაგრძელდა. ამ პერიოდში მრავალი ბანკი გამოჩნდა, რომლებიც ბანკნოტების ემისიას ახორციელებდა. მიმოქცევაში დაგროვდა დაუბალანსებელი ფულის უზარმაზარი მასა. დიდი გავრცელება მიიღო ფულადი ნიშნების გაყალბებამ. არსებული შეფასებით 1860 წ. მიმოქცევაში არსებული თანხების ნახევარზე მეტი ყალბი აღმოჩნდა. 1861 წ. მიმოქცევაში იყო დაახლოებით 7 ათასი სხვადასხვა ბანკნოტა. ცალკეულ შტატში საბანკო საქმე თავისებურად რეგულირდებოდა. სამოქალაქო ომის პირობებში, მოიპოვა რა პოლიტიკური ძალა, არსებობისათვის ბრძოლა-

[37] http://www.banki-delo.ru/2011/01/Швейцария – страна банков. Швейцарская банковская система

ში გაიმარჯვა სამრეწველო კაპიტალმა. 1863 წელს მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი კანონი – ნაციონალური საბანკო აქტი, რომელმაც ბოლო მოუღო საბანკო ანარქიას.

შემდგომ ათწლეულში საბანკო საქმეში საერთოდ ძალზედ გაიზარდა კონცენტრაციის ხარისხი და მომწიფდა აუცილებლობა საბანკო სტრუქტურის სწრაფად ცვლად სინამდვილესთან შესაგუებლად. განსაკუთრებით იგრძნობოდა ცენტრალური ბანკის უქონლობა, რომელსაც შეეძლო კომერციული ბანკების სისტემური რეფინანსირების უზრუნველყოფა და ფულადი მიმოქცევის რეგულირებაში მთავრობისადმი დახმარების აღმოჩენა მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ. უმსხვილესი კრიზისი 1907-1908 წწ. აშშ ცენტრალური ბანკის შექმნის ახალი ცდების სტიმულს იძლეოდა. ხანგრძლივი სამუშაოების შემდეგ 1913 წ. გამოვიდა კანონი ცენტრალური ბანკის შექმნის შესახებ, რომელიც ცნობილია, როგორც ფედერალური სარეზერვო აქტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა **ფედერალურ სარეზერვო სისტემას (ფსს).**

სხვა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით დაგვიანებული ცენტრალური ბანკის თავისებური ორგანიზაციული სტრუქტურის დაწესებამ განსაზღვრა აშშ-ის ეკონომიკური და პოლიტიკური განსაკუთრებულობები.

ფსს ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ მრავალჯერად დაზუსტებული კანონისა და 1980 წ. მიღებული დეპოზიტური დაწესებულებებისა და მონეტარული კონტროლის (lჩ) დარეგულირების შესახებ კანონის ზემოქმედების ქვეშ ჩამოყალიბდა. აშშ-ის ფულადი და საბანკო სისტემის ღერძს ფსს-ის მმართველთა საბჭო წარმოადგენს. საბჭოს შვიდი წევრი კონგრესის თანხმობით აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ინიშნება. მათ უფლებამოსილების ვადები 14 წლის ხანგრძლივობით უდგინდებათ, მაგრამ ამასთან, ყოველი ორი წლის შემდეგ საბჭოს ერთი წევრი იცვლება. ეს იმისათვის კეთდება, რომ საბჭოს თანმიმდევრული მოქმედების შესაძლებლობა მიეცეს, კომპეტენტური წევრები ჰყავდეს, იყოს დამოუკიდებელი და ავტონომიურობით სარგებლობდეს. საბჭოს შემადგენლობის დანიშვნას და არა არჩევას საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მმართველი პარტიის პოლიტიკისაგან გამოცალკევების მიზანი აქვს.

საბანკო პოლიტიკის საფუძვლების ფორმირებაში მმართველთა საბჭოს ორი მნიშვნელოვანი ორგანო ეხმარება: **ღია ბაზრის კომიტეტი** და **ფედერალური საკონსულტაციო საბჭო.**

აშშ საბანკო სისტემის კიდევ ერთი მნიშვნელობანი შემადგენელი ნაწილია – 12 ფედერალური სარეზერვო ბანკი, რომლებიც წარმოადგენენ:

ა) ცენტრალურ ბანკებს;

ბ) კვაზისაზოგადოებრივ ბანკებს;

გ) ბანკების ბანკს.

ამრიგად **აშშ-ში 12 ცენტრალური ბანკია.** აღნიშნული ამ ქვეყანაში გეოგრაფიულ მასშტაბებს, ეკონომიკურ მრავალფეროვნებას და კომერციული ბანკების დიდი რაოდენობის არსებობას განასახიერებს. სწორედ ცენტრალური ბანკების მეშვეობით ხორციელდება მმართველთა საბჭოს მიერ ძირითადი პოლიტიკური დირექტივების განხორციელება. ყველაზე მნიშვნელოვანს მათ შორის ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი წარმოადგენს.

თორმეტი ფედერალური სარეზერვო ბანკი კვაზისაზოგადოებრივს წარმოადგენს. ისინი ასახავენ კერძო საკუთრებისა და საზოგადოებრივი კონტროლის სიმბიოზს. მათი მესაკუთრეებია შესაბამისი შტატების კომერციული ბანკები. ფსს-ში შესვლისთანავე კომერციული ბანკები ვალდებული არიან თავიანთი რაიონების ფედერალური სარეზერვო სისტემის სააქციო კაპი-

ტალში მონაწილეობის უფლება შეიძინონ. პოლიტიკის პრინციპები, რომელსაც ფედერალური სარეზერვო ბანკები ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოს – მმართველთა საბჭოს მიერ დგინდება. ამერიკული ეკონომიკის ცენტრალური ბანკები კერძო საკუთრებაში იმყოფებიან, მაგრამ ისინი სახელმწიფოს მიერ იმართება. ისინი ხელმძღვანელობენ არა მოგების მიღებისაკენ მისწრაფებით, არამედ ისეთი პოლიტიკის განხორციელებით, რომელიც მმართველთა საბჭოს თვალსაზრისით მთლიანობაში ეკონომიკის მდგომარეობას გააუმჯობესებს.

იაპონიის საბანკო სისტემა. იაპონიაში საბანკო საქმის განვითარება იწყება XVII საუკუნიდან, რაც განპირობებული იყო ობიექტური აუცილებლობით, მომსახურება გაეწია ვაჭრობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფად მზარდი დარგების განვითარებისათვის. 1617 წელს, პირველად იაპონიაში, კერძოდ კი ოსაკაში გამოშვებულ იქნა ქაღალდის ფული, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ვერცხლით. საბანკო სექტორის სწრაფი ზრდა იაპონიაში დაემთხვა *ე.წ. მეიძის ეპოქას (1868-1912 წ.წ.).* ამ პერიოდში ჩამოყალიბდა უმსხვილესი საბანკო ინსტიტუტები, რომლებიც სპეციალიზდებოდნენ საქმიანობის სხვადასხვა სახეობებზე. 1880 წელს შეიქმნა იოკოჰამას ვერცხლისა და ოქროს ბანკი. 1882 წელს ფუნქციონირება დაიწყო იაპონიის ცენტრალურმა ბანკმა.[38]

იაპონიის ცენტრალური ბანკი შეიქმნა 30 წლის ვადით. შემდეგ ეს ვადა გაგრძელდა კიდევ 30 წლით. ბანკს მიეცა ბანკნოტების ემისიის მონოპოლიური უფლება. ადრე არსებულ „ნაციონალურ ბანკებს" უნდა შეეწყვიტათ ბანკნოტების ემისია და თანდათან ამოეღოთ მიმოქცევაში არსებული ბანკნოტები. *იაპონიის ბანკების მიერ 1895 წ. გამოშვებული ბანკნოტები ვერცხლის მონეტებზე იცვლებოდა.* სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიბაძვით 1897 წ. იაპონიამ დაადგინა ოქროს სტანდარტი. ეს პირველ ყოვლისა ხელს უწყობდა იაპონიის საგარეო ვაჭრობის განვითარებას. 1917 წ, როცა აშშ-მა საბოლოოდ შეწყვიტა ბანკნოტების ოქროთი უზრუნველყოფა, იაპონიამაც მსგავსი ღონისძიებები გაატარა. 1930-1931 წ.წ. ისევ გაჩნდა იაპონიის ბანკნოტების ოქროზე გაცვლის შესაძლებლობა. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის (1929-1932 წ.წ.) პიკის პერიოდში იაპონიამ საბოლოოდ გააუქმა ოქროს სტანდარტი.

იაპონიის ბანკის ფუნქციები განსაზღვრულია 1942 წ. სპეციალური კანონით, რომელიც 1979 წ. რამდენადმე მოდერნიზებულ იქნა. ბოლო მოეღო ცენტრალური ბანკის უფლებამოსილებათა ვადების დანიშვნას და ამ უკანასკნელმა უვადო სტატუსი მიიღო. ბანკის ძირითადი კაპიტალი განისაზღვრა 100 მლნ იენის სიდიდით, რომლის 55% სახელმწიფოს, ხოლო 45% კერძო აქციონერებს (კერძო პირებს, საფინანსო ინსტიტუტებს, სადაზღვევო კომპანიებს) ეკუთვნოდა. აქციონერებს გარანტირებული ჰქონდათ დივიდენდი 4%-ის მოცულობით, რომელიც ბანკის მაღალი მოგების შემთხვევაში შესაძლოა გაზრდილიყო 5%-მდე. მოგების დანარჩენი ნაწილი შედიოდა სახელმწიფო ბიუჯეტში.

იაპონიის ბანკის ფუნქციები ძირითადად შეესაბამება სხვადასხვა ქვეყნების მსგავსი ბანკების ფუნქციებს, მაგრამ ამ ფუნქციებს ზოგიერთი განსაკუთრებულობა აქვთ. მაგ., იაპონიის ბანკს მონოპოლია აქვს ბანკნოტების ემისიაზე. ემისიის მოცულობა დგინდება ფინანსთა სამინისტროს მიერ მთავრობასთან შეთანხმებით. იაპონიის ბანკს უფლება აქვს (თუ იგი ამას საჭი-

[38] http://www.globfin.ru/articles/banks/japan.htm

როდ ჩათვლის) გამოუშვას ბანკნოტები დადგენილი ლიმიტის ზევით, რისთვისაც იგი ემისიურ პროცენტს იხდის ამ აქციების შედეგად მიღებული წლიური მოგების 3%-ის ოდენობით.

იაპონიის საბანკო სექტორში წამყვან როლს **საქალაქო ბანკები** ასრულებდნენ, რომელთა წილი საერთო ანაბრებში მუდმივად იზრდება. ეს მსხვილი ბანკები წამყვან როლს ასრულებენ დაკრედიტებაშიც, უპირატესად აკრედიტებენ სამრეწველო კონცერნებს, თანაც როგორც წესი, ყოველი ცალკეული კრედიტის სიდიდე 100 მლნ იენს აღემატება, რომელიც ზოგჯერ ბანკის საკუთარი კაპიტალის 20-30% შეადგენს. საქალაქო ბანკებზე მოდის იაპონიის ბანკების საზღვარგარეთული ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი. იაპონიის უმსხვილეს ბანკებს შორის აღსანიშნავია: „საკურა", „ფუძი ბანკ", „მიცუბისი ბანკ", „სუმიპომო ბანკ", „დაიტე ქანგე ბანკ", „ტოკაი ბანკ". მათი შტაბ-ბინების უმეტესობა განთავსებულია ტოკიოსა და ოსაკაში.

იაპონიის საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად, ცალკეული კრედიტების მაქსიმალური სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკუთარი კაპიტალის 40%-ს. იაპონიის საქალაქო ბანკები უნივერსალურად არ ითვლება.

რეგიონალურ ბანკებს საქალაქოსაგან განსხვავებით კაპიტალისა და ოპერაციების მცირე მოცულობა აქვთ. ისინი შეზღუდულია პრეფექტურების ჩარჩოებით. რეგიონული ბანკები ახორციელებენ, პირველ ყოვლისა, მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტებას და ნაწილობრივ ღებულობენ შემნახველ ანაბრებს. ისინი მონაწილეობენ საზღვარგარეთულ ოპერაციებშიც, აქვთ ფილიალები და წარმომადგენლობა საზღვარგარეთ.

ამჟამად იაპონიაში **გრძელვადიანი დაკრედიტების** სამი მსხვილი ბანკი არსებობს – „ინდუსტრიალ ბანკ ოფ ჯეპენ", „დორგ-ტერმ კრედიტ ბენკ ოფ ჯეპენ" და „ნიპონ კრედიტ ბენკ". ისინი დაფუძნებულ იქნა 1952 წლის სპეციალური კანონით. პირველი ორი ბანკი თავის კაპიტალს ძირითადად აბანდებს უმსხვილეს საწარმოებში. „ნიპონ კრედიტ ბენკ" წარმოადგენს იპოთეკურ ბანკს, რომელიც სპეციალიზებულია მცირე და საშუალო საწარმოების ოპერაციებზე.

ზემოთ განხილული ბანკების ტიპებს გარდა იაპონიაში ფუნქციონირებს „სხვა საფინანსო ინსტიტუტები", რომლებიც ნაწილობრივ საბანკო ფუნქციებს ახორციელებენ. საფინანსო ინსტიტუტები შეიძლება იყოს კერძო და სახელმწიფო, მრავალრიცხოვანი განყოფილებებითა და მათ გარეშე. ყველა ეს ბანკის მსგავსი ინსტიტუტებია, რომლებიც მცირე საწარმოებს, აგრეთვე მუშებსა და მოსამსახურეებს ლოკალურ კრედიტებს აძლევენ, ღებულობენ თავიანთი წევრების ანაბრებს და არაწევრების შემნახველ ანაბრებს.

იაპონიის საბანკო სისტემაში ასევე მნიშვნელოვანი რგოლია საკრედიტო კოოპერატიული ინსტიტუტები: საკრედიტო ასოციაციები, საკრედიტო კოოპერატივები, საკრედიტო-შრომითი კოოპერატივები.

იაპონიაში ასევე ფუნქციონირებს მრავალი საფინანსო სახელმწიფო ინსტიტუტი, სადაც სახელმწიფო წარმოდგენილია მაღალი წილობრივი მონაწილეობით (50% და მეტი). ცნობილ სახელმწიფო ბანკებად ითვლება იაპონიის განვითარების ბანკი და იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკი. პირველი შეიქმნა 1951 წ. იგი იძლევა გრძელვადიან კრედიტებს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის განვითარებისათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის მსხვილი კაპიტალის რეორგანიზაციისას ის წამყვან როლს თამაშობს. როგორც სახელმწიფო ბანკი, იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო-მონოპოლისტურ რეგულირებაში. ექსპორტ-იმპორტის ბანკი შეიქმნა 1950 წ. მისი პირველადი ფუნქცია იყო მხოლოდ მზა სასაქონლო პრო-

დუქციის დაფინანსება. ამჟამად იგი უფრო მეტად აფინანსებს მოწყობილობების ექსპორტს და ტექნიკურ დახმარებას, აგრეთვე გარანტიას იძლევა საგარეო ვაჭრობაში სხვადასხვა ფინანსურ ვალდებულებებზე. ნაციონალური მეწარმეები კრედიტებს ღებულობენ საექსპორტო მოწოდებაზე, ტექნიკურ მიღწევებზე, უცხოური ინვესტიციებისათვის. საზღვარგარეთულ პარტნიორებს ეძლევათ იმპორტული ბანკთაშორისი და სახელმწიფო კრედიტები. სახელმწიფო საექსპორტო კრედიტები ნაწილობრივ გაიცემა საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, რომელიც იაპონიაში ჩვეულებრივ დადგენილ განაკვეთზე უფრო დაბალია.

იაპონიაში არ არის დიდი რაოდენობის საკანონმდებლო მითითებები ბანკებისათვის და ამაში მდგომარეობს საბანკო საქმის განსაკუთრებულობა. აქ კომერციული ბანკების სისტემა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ე.წ. მიმმართველი მითითებებით ე.ი. ფინანსთა სამინისტროს ზეპირი მითითებებით, თუმცა ამ მითითებებს კანონის ძალა არ აქვთ.

ჯუმბერ ხარაიშვილი

მსოფლიო ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე გლობალური ფინანსური ვლილებები

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების შემდეგ ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკურ გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობდა. 1950-იან წლებში სამრეწველო კორპორაციები შიდა ბაზრების აღორძინებით იყვნენ დაკავებულები. 1960-იან წლებში წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებულმა ფირმებმა სწრაფად მზარდი საერთაშორისო ვაჭრობისა და უცხოური ბაზრების ზემოქმედების ქვეშ დაიწყეს გაფართოება. 1970-იან წლებში სხვადასხვა ფორმის ბიზნეს ორგანიზაციის საწარმოები, სახსრების საწარმოო სიმძლავრეებში და უცხოეთის გამანაწილებელ ცენტრებში ჩადებით, მრავალეროვნულები გახდნენ.

მსოფლიო ვაჭრობა და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები 1980 წლიდან სწრაფი ზრდის შედეგად გახდა მიზეზი იმისა, რომ მრავალმა მსხვილმა ფინანსურმა ფირმებმა, აგრეთვე წარმოებაში და ვაჭრობაში დასაქმებულმა ფირმებმა, საკუთარი განვითარების პერსპექტივების მსოფლიო მასშტაბამდე გაფართოებასთან დაკავშირება დაიწყეს. „გლობალური სტრატეგიები მოგების მისაღებად“ - ასეთი იყო იმ პერიოდის ტიპიური ლოზუნგი. ბიზნესისა და ფინანსების აღნიშნულ გლობალიზაციას საფუძველში ჩადებული ჰქონდა შემდეგი: ტექნიკური პროგრესის მიღწევა, ისეთების, როგორიცაა კომპიუტერები და ტელეკომუნიკაციები; ეკონომიკაში და ფინანსებში სახელმწიფოს ჩარევის მოცულობის შემცირება

მრეწველობა განვითარებულ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი და იაპონია; კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების ზრდა, ანუ ისეთების, როგორიცაა საბანკო სესხები, საერთაშორისო ობლიგაციებისა და ღია ტიპის საინვესტიციო ფონდების პორტფელური კაპიტალდაბანდებების გამოშვება.

აღნიშნული ტენდენციები, რომლებიც საქონელის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანის მოძრაობას ითვალისწინებენ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობებს წარმოადგენენ. ბიზნესის გლობალიზაცია და მსოფლიო ფინანსებში მზარდი მოთხოვნილება 1980-იანი და 1990-იანი წლებისათვის დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშან-თვისება გახდა და აღნიშნულმა ტენდენციებმა თავიანთი მნიშვნელობა XXI საუკუნის დასაწყისშიც შეინარჩუნეს.

მსოფლიო ფინანსების მასშტაბით, ჩვენ საქმე შემდეგ ოთხ მნიშვნელოვან ასპექტთან გვაქვს:

პირველ რიგში, მსოფლიო ფინანსები გარემოს, საერთაშორისო ფინანსური ბაზრების, საერთაშორისო საბანკო საქმიანობის, კორპორაციების საერთაშორისო ფინანსების, ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვისა და მათ შორის კავშირების მოცვით, ფინანსური სფეროს მსოფლიო მასშტაბით ანალიზის გაკეთების შესაძელბლობას იძლევა.

მეორე მხრივ, მსოფლიო ფინანსები მსოფლიო დონეზე ფინანსური ოპერაციების ურთიერთქმედების ახსნას ახორციელებენ, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად ხორციელდება იგი: მსხვილ ინდუსტრიულ ქვეყნებში, ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში, განვითარებად ქვეყნებში თუ საბაზრო განვითარების გზაზე არც ისე დიდი ხნის წინ გადასული გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ისეთები, როგორიცაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები თუ ჩინეთი.

მესამე, მსოფლიო ფინანსები მაკრო და მიკრო დონეზე ფინანსური საქმიანობის სრულ ანალიზს იძლევა. მიკროდონეზე კორპორაციების ფინანსების, ფინანსური ბაზრების, საბანკო ოპერაციების, პორტფელური ფასიანი ქაღალდების მართვის დეტალურ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს ფინანსური საქმიანობა ყურადღებით შეისწავლება მაკროდონეზე, რამდენადაც მსოფლიო ფინანსური საქმიანობისა და ფინანსური ბაზრების მართვის არსის გაგებისათვის უფრო საერთო წარმოდგენის შედგენა არის საჭირო.

მეოთხე, მსოფლიო ფინანსები საერთაშორისო ფინანსური ოპერაციებისა და მისი მუდმივი ცვლილების პროცესის უწყვეტადობას ითვალისწინებს. ბოლო წლებში საერთაშორისო ფინანსური ოპერაციები გახდა დინამიური ძალა, რომელიც ცალკეული ქვეყნების ფინანსური სისტემისა და ამ ქვეყნების ფინანსურ სისტემებს შორის კავშირების გარდაქმნას ახორციელებენ. მსოფლიო ფინანსების სფერო ახალი ფინანსური მეთოდების შემუშავების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. თავის მხრივ, აღნიშნულმა რეგიონულ ფინანსურ სისტემაზე მოახდინა ზემოქმედება და რეგიონული ფინანსური ბაზრების ინტეგრაციას შეუწყო ხელი. მაგალითად, ევროობლიგაციის ბაზრის განვითარებამ ზემოქმედება იქონია არა მარტო ფასიანი ქაღალდების ევროპულ ბაზარზე, არამედ აშშ-ისა და იაპონიის შიდა ფინანსურ ბაზრებზეც.

მოცემული თავის შემდეგი ნაწილები წარმოდგენას იძლევა მსოფლიო ეკონომიკური გარემოსა და მსოფლიო ფინანსებს შორის ურთიერთკავშირების შესახებ. მსოფლიო ეკონომიკური გარემოს ცვლილებებმა მთავრობების, საქმიანი წრეებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წინაშე სერიოზული ამოცანები წამოაყენეს.

1930-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის „დიდი დეპრესიის“ მტკივნეული გაკვეთილების შემდეგ აშშ-მა თავისთავზე ომის შემდეგ დანგრეული ეკონომიკის აღდგენის საქმეში დასავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის ლიდერის როლი აიღეს. ამერიკული მთავრობის აღნიშნულმა ძალისხმევამ ევროპაში მარშალის გეგმის და აზიაში განსაკუთრებით იაპონიაში და ჩინეთში დახმარების სხვადასხვა პროგრამების ფორმა მიიღეს. გარდა ამისა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მიზნით, რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციები იქნა ჩამოყალიბებული, მათ შორის: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) 1944 წელს, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგსბ) 1945 წელს, გენერალური შეთანხმება ტარიფებთან და ვაჭრობასთან მიმართებაში (გშტვ) 1945 წელს და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) 1949 წელს.

ომის შემდგომ წლებში 1950 წლიდან 1990 წლის პერიოდში, მსოფლიო გარემომ და ეკონომიკურმა სტრუქტურამ უდიდესი ცვლილებები განიცადეს. საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანმა ზრდამ და საერთაშორისო კაპიტალის სწრაფმა მოდინებამ, სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის მზარდმა ტემპმა და კომუნისტური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ აღმოსავლეთ ევროპაში რეგიონალური თანამშრომლობა და მსოფლიო ინტეგრაცია დააჩქარეს. აღნიშნული მიღწევების შედეგად ბანკების, კორპორაციებისა და ინვესტორების წინაშე მრავალი ამოცანა იქნა დასახული და სხვადასხვა პერსპექტივები წარმოჩნდა.

ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკური გარემოში: – ზემოთ აღნიშნულმა ომისშემდგომმა ცვლილებებმა მსოფლიო გარემოს ფორმირების ახალი ეტაპი განსაზღვრეს, რომელიც დღესაც გრძელდება. საერთაშორისო ფულადი სისტემის ევოლუციის შესახებ წარმოდგენას თავი 3-ში განვიხილავთ, ამ თავში კი მოკლე ისტორიული ექსკურსი გვაქვს შემოთავაზებული იმისათვის, რომ ბოლო 35 წლის განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკური გარემოს მომცველი ცვლილებების შეფასება იყოს შესაძლებელი. გარემოებებს შორის, რომლებმაც მსოფლიო ეკონომიკაში და ფინანსურ გარემოში სერიოზული ცვლილებები გამოიწვიეს, იყო შემდეგი[39]:

- ევროდოლარების ბაზრის წარმოშობა 1957 წელს ლონდონში ბრიტანული მთავრობის მხრიდან ფუნტი სტერლინგზე კონტროლის განხორციელების საპასუხოდ;
- ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის (ЕЭС) ჩამოყალიბება 1958 წელს, რომელიც დასაწყისში როგორც საერთო ბაზარი, იყო ცნობილი, დღეს კი მას ჩვეულებრივად ევროპულ კავშირს (ЕС) უწოდებენ;
- ამერიკული კორპორაციების მხრიდან უცხოეთში საქმიანობის გაფართოების სურვილი (50-იანი წლების შუა პერიოდიდან). იაპონური და ევროპული კორპორაციების მიერ მსოფლიო ბაზარზე, აგრეთვე ამერიკულ და უცხოეთის მრავალეროვნულ კორპორაციებს შორის როგორც საერთაშორისო არენაზე, ასევე აშშ-ში მზარდი კონკურენციის შედეგად საქმიანობასთან მიმართებაში მზარდი მნიშვნელობის მინიჭება;
- შორეულ აღმოსავლეთში ბიზნესისათვის ახალი საქმიანი შესაძლებლობების გამოჩენა, რაც 60-იანი წლებიდან დაწყებული იაპონიის სწრაფი ეკონომიკური ზრდით იყო გამოწვეული;

---

[39] გ. ცაავა, ფინანსური ინჟინერია. თბ., 2013.

• მსოფლიო ფინანსური კრიზისი 1971 და 1973წ., რომელმაც ბრეტონ-ვუდსის სისტემის კრახი და ფიქსირებული სავალუტო კურსების სისტემიდან მცურავ სავალუტო კურსებზე ფორმალური გადასვლა გამოიწვია.

• მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაზე 1974 წლისა და 1979 წლის ნავთობის პირველმა და მეორე კრიზისებმა სერიოზული ზეწოლა მოახდინეს; ამ პერიოდში ნავთობის ქვეყანა-ექსპორტიორების ორგანიზაციამ (ОПЕК) მნიშვნელოვნად გაზარდა ფასები ნავთობზე;

• მსოფლიო სავალო კრიზისის დასაწყისი 1982 წელს და ვალების მომსახურების პრობლემების გამო, რომლის წინაშე განვითარებადი ქვეყნები აღმოჩნდნენ.

• იაპონიის წამყვან საერთაშორისო ფინანსური ძალად და მსოფლიო კაპიტალის წყაროდ გარდაქმნა 1980-იან წლებში?

• 1987 წლის თებერვალში 7 ქვეყანამ („დიდი შვიდეული“) პარიზში ლუვრსკის შეთანხმებას მიაღწიეს. მათ მერყეობის ვიწრო ჩარჩოებში აშშ-ის შესუსტებული დოლარის მხარდაჭერა დაგეგმეს დოლართან მიმართებაში თავიანთი ვალუტების გაცვლითი კურსის ხელოვნურად მხარდაჭერის განხორციელების გზით. მათ ასევე საკუთარ ქვეყნებში შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასაც ჰქონდათ განზრახული;

• 1987 წელს ევროპულმა ეკონომიკურმა თანამეგობრობამ (ЕЭС) უნიფიცირებული ევროპული ბაზრი შექმნა, რომელიც დასავლეთ ევროპის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად შეცვლას ითვალისწინებდა.

• 1989-1992 წლებში აღმოსავლეთევროპულმა კომუნისტურმა ქვეყნებმა, კომუნისტურიდან მრავალპარტიულ მთავრობებზე, ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით, საკუთარი პოლიტიკური სისტემა შეცვალეს. აღნიშნულმა ცვლილებებმა მსოფლიო პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე და ფინანსებზე ღრმა ზემოქმედება მოახდინეს;

• 1992 წლის შემდეგ უნიფიცირებული ევროპული ბაზრის წარმოქმნისა და 1993 წლის ნოემბერში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოამერიკული შეთანხმების ძალაში შესვლის შედეგად, აგრეთვე 1993 წელს აშშ-ში აზიურ-წყნაროკეანური ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ კონფერენციამ 90-იან წლებში რეგიონალური განვითარება დააჩქარეს.

მსოფლიო ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებები: გამომდინარე იქიდან თუ როგორ ხორციელდება საქონლის წარმოება და გასაღება (გაყიდვა) იგი მსოფლიო ეკონომიკური სტრუქტურაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს. უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სახით, მსოფლიო წარმოებაში და ვაჭრობაში ბუნება და მიმართულებები წლიდან წლამდე არსებითად არ იცვლება. მაგრამ გრძელვადიანი პერსპექტივების გათვალისწინებით აღნიშნული მიმართულებების ცვლილებებმა მსოფლიო ფინანსური ნაკადების სიდიდეზე და სტრუქტურაზე სათანადო ზემოქმედება მოახდინეს.

ორი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში აღნიშნული იქნა 4 ძირითადი სტრუქტურული ტენდენციები:

1. სანედლეულო და მრეწველობა განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ცვლილებები;

2. მრეწველობა განვითარებული ქვეყნების შრომატევადიდან მეცნიერებატევად წარმოებაზე გადასვლა;

3. მსოფლიო ვაჭრობაში კაპიალის საერთაშორისო მოძრაობის მნიშვნელობის ამაღლება;

4. მრავალევრონული კორპორაციების საქმიანობის, მათ შორის ერთობლივ საწარმოებში საერთაშორისო ინვესტირების დივერსიფიკაციის ხარისხის ამაღლება და შეთანხმებები პარტნიორობის შესახებ.

ტრადიციულად სანედლეულო და მრეწველობა განვითარებულ ქვეყნებს შორის მჭიდრო კავშირები არსებობდა. ურთიერთდამოკიდებულების მოდელი იყო შემდეგი: სანედლეულო ქვეყნები საკუთარი პროდუქციის ექსპორტირებას ახორციელებენ მრეწველობა განვითარებულ ქვეყნებში და ექსპორტიდან შემოსავლებს მზა ნაკეთობების იმპორტისათვის იყენებენ. აღნიშნული ტენდენციები შეიცვალა სანედლეულო საქონელზე ფასების მკვეთრად შემცირების შედეგად ნავთობპროდუქტების გამოკლებით. 70-იანი წლების შუა პერიოდში დასავლეთევროპული ინტელექტუალების ჯგუფმა, რომლებიც რომის კლუბის სახელწოდებით არის ცნობილი, 1987 წლისათვის მსოფლიო მასშტაბით ბუნებრივი რესურსების უმეტესობის გლობალური დეფიციტი იწინასწარმეტყველეს. აღნიშნულ მოსაზრებებზე დაფუძნებით, მრავალმა სანედლეულო ქვეყნებმა საკუთარი სავალუტო შემონატანების გადიდების მიზნით ნედლეულის ძირითადი სახეობების მიწოდებასთან დაკავშირებით კარტელების შექმნა მოიაზრეს, თუმცა ОПЕК-ას მაგალითის დანერგვის აღნიშნული მცდელობა ვერ განხორციელდა. 1986 წელს გაერომ, 1971-1981 წლების პერიოდში ნედლეულის ძირითად სახეობებზე ფასების საშუალო ინდექსის საწყისი სიდიდის სახით (100%) აღებით, მოცემული მაჩვენებელი საწყისისაგან 50%-ის დონეზე განსაზღვრა. ნედლეულის ძირითად სახეობებზე ფასებში ხანგრძლივი შემცირება შეიძლება მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებების ხარჯზე იქნას გადატანილი. 70-იან წლებში ფასების გადიდების მოლოდინმა, განსაკუთრებით მსოფლიო მეტალურგიულ მრეწველობაში, ინვესტიციებისა და საწარმოო სიმძლავრეების ზრდამდე მიგვიყვანა. ცვლილებებმა ტექნოლოგიებში ასევე უარყოფითად იმოქმედა მოთხოვნაზე. მაგალითად, სატელეკომუნიკაციო კომპანიები ამჟამად კაბელის დასამზადებლად ოპტიკურ ბოჭკოებს იყენებენ, მაშინ როდესაც ადრე მხოლოდ სპილენძის მავთული გამოიყენებოდა. ტექნოლოგიების განვითარებამ ასევე ბევრ ქვეყანაში მარცვლეულისა და კვების პროდუქტების შიდა წარმოების გადიდებას შეუწყო ხელი, რამაც კვებითი პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის შემცირებამდე მოგვიყვანა.

მეორე ცვლილება მსოფლიო ეკონომიკური სტრუქტურაში გახდა ნაკლებად კვალიფიცირებული მუშაკების ხარჯზე (ანუ შრომატევადიდან მეცნიერებატევად წარმოებაზე გადასვლა) დასაქმების სტრუქტურაში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების წილის გადიდება. მრეწველობა განვითარებულ ქვეყნებში ავტომატიზაციის, კომპიუტერიზაციისა და რობოტიზაციის ზრდამ „თეთრი საყელოიანების“ დასაქმების უფრო მაღალი დასაქმება გამოიწვია „ლურჯი საყელოებისაგან“ განსხვავებით. ინფორმაციების გაცვლის სიმარტივე ასტიმულირებს სამეწარმეო საქმიანობას, მცირე ბიზნესს და პირად ინიციატივას. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებისათვის მაღალკვალიფიციური და განათლებული მუშაკებია საჭირო. შედეგად მუშახელზე დანახარჯები (პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში) ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე იყო ადრე. აღნიშნულის ნაცვლად, მთლიანობაში წარმადობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციები (შესაძ-

ლებლობები და შრომითი გამოცდილება, დამატებით შემოსავლის მომტანია) უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

მესამე და უმნიშვნელოვანესი ცვლილება გახდა ის, რომ მსოფლიოში კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის უფრო მეტი ზრდა განხორციელდა, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობაში. მსფ-ის საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის მონაცემების შესაბამისად მსოფლიო ექსპორტმა 1981 წელს 2000 მლრდ დოლარის დონეს მიაღწია, იგი 1982-1983 წწ. მცირედით შემცირდა, მაგრამ 1991 წელს მისი მოცულობა კვლავ მნიშვნელოვნად 3447 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. სხვადასხვა ქვეყნების ხვედრითი წილის ცვლილების გარდა მსოფლიო ექსპორტის სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. მაგრამ აღნიშნულ პერიოდებში კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული გადიდება ევროვალუტების, საერთაშორისო ობლიგაციების ბაზრებზე და უცხოური ვალუტების ბაზარზე აისახა. ევროვალუტის ბაზრის სიდიდე 1155 მლრდ დოლარიდან 1981 წელს გაიზარდა 3660 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. გარდა ამისა, უცხოური ვალუტის ყოველდღიური ბრუნვა სამ წამყვან საერთაშორისო ფინანსური ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1986-1992 წწ. საშუალო ყოველდღიური უცხოური ვალუტის ბრუნვა ლონდონში 90-დან 303 მლრდ დოლარამდე, ნიუ-იორკში – 50-და 192 მლრდ დოლარამდე, ხოლო ტოკიოში 48-დან 128 მლრდ დოლარამდე გაიზარდა.

მეოთხე მნიშვნელოვანი ცვლილება ეკონომიკურ სტრუქტურაში გახდა მრავალეროვნული კორპორაციებისა და სხვადასხვა ქვეყნების MHK-ს ერთიანი საწარმოების მზარდი მნიშვნელობა. თავისი არსით, მრავალეროვნულმა კორპორაციებმა საკუთარი ორგანიზაციული, საწარმოო და მარკეტინგული სტრუქტურები უცხოეთის ქვეყნებზე გაავრცელეს, და ამით ქვეყნებს შორის საქონელის, მომსახურების, კაპიტალისა და ტექნოლოგიების მოძრაობას შეუწყვეს ხელი. ერთობლივი საწარმოების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს კორპორაცია GM-Toyota-ს ინვესტიციები ავტომობილების წარმოებისათვის აშშ-ში ამერიკელმა მეწარმეებმა კომპიუტერების წარმოებასთან დაკავშირებით ერთობლივი საწარმოების შექმნით მნიშვნელოვნად გაზარდეს დასავლეთ ევროპის ბაზრებზე შეღწევადობის კოეფიციენტი.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაცია საქართველოში

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს განსაზღვრავს *„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“,* რომელიც არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებ-

ლობას (საქართველოს კანონი– „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი", თბილისი, 2009 წ. 18 დეკემბერი № 2440– IIს)[40].

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობას.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის", „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" თანახმად, *სახელმწიფო ბიუჯეტი* არის – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა[41].

სახელმწიფო ბიუჯეტისგან განსხვავებით დამტკიცებას (ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ) არ საჭიროებს *საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი,* რომელიც არის საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტებია:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი – ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი – აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხე-

[40] http://mof.ge/show–law.aspx?id=711
[41] http://mof.ge/show–law.aspx?id=711

ლისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

დ) დამტკიცებული ბიუჯეტი – შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი;

ე) წლიური ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შესაბამისი საბიუჯეტო წლისთვის დამტკიცებული ბიუჯეტი.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპებია[42]:

ა) ყოვლისმომცველობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;

ბ) გამჭვირვალობა – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის;

გ) ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;

დ) დამოუკიდებლობა – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) ერთიანობა – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;

ვ) უნივერსალობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ზ) კონსოლიდირება – ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშე-

[42] http://mof.ge/show–law.aspx?id=711

ბის მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში.

საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. საბიუჯეტო პროცესი არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისთვის – საქართველოს მთავრობა;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისთვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისთვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე, დამტკიცებაზე და ბიუჯეტის კონტროლზე უფლებამოსილია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისთვის – საქართველოს პარლამენტი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისთვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისთვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

ნაერთი ბიუჯეტის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისთვის პასუხისმგებელია:

ა) საქართველოს ნაერთი ბიუჯეტისთვის – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტისთვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო.

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, აგრეთვე ორგანიზაციულ კლასიფიკაციას. ორგანიზაციული კლასიფიკაცია, თავის მხრივ, მოიცავს გადასახდელებს ორგანიზაციების, პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით და განისაზღვრება ბიუჯეტით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა, საქართველოს კონტროლის პალატასთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ასევე ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ *პროგრამული* და *კაპიტალური ბიუჯეტები:*

– *პროგრამული ბიუჯეტი* არის მხარჯავი დაწესებულების მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორთა ერთობლიობა.

– *კაპიტალური ბიუჯეტი* არის საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტი.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად საქართველოში იქმნება შემდეგი ფონდები:

1. *სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდები.* სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები. ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით.

საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხებს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. თუ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

ნოდარ ხარაიშვილი

მსოფლიო ბანკის ჯგუფის სამიანობის ძირითადი მიმართულებები

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე (ნიუ-ჰემფშირი, აშშ) 28 სახელმწიფოს მიერ ხელმოწერის შედეგად შეიქმნა მსოფლიო ბანკი. მისი მთავარი მიზანი იყო მსოფლიოს მასშტაბით უღარიბესი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების გზით, სიღარიბესთან ბრძოლა და ეკონომიკური ზრდის წახალისებისა და მხარდაჭერის მეშვეობით ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ 4.7 მილიარდი ადამიანიდან, რომელსაც მსოფლიო ბანკის პროგრამები დღეს ემსახურება, სამი მილიარდის ხელფასი დღეში 2 დოლარზე, ხოლო 1.3 მილიარდისა კი - 1 დოლარზე ნაკლებია, ცხადი ხდება, რომ მსოფლიოში სიღარიბის აღმოფხვრამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ფაქტია ისიც, რომ ყოველწლიურად მსოფლიოში 40 მილიონამდე ბავშვი იღუპება ისეთი დაავადებებისგან, რომელთა მორჩენაც შესაძლებელია.

ბრეტონ-ვუდსში ჩამოყალიბებულ მიზნებს დღეს მსოფლიო ბანკის ჯგუფი ემსახურება, რომელშიც შედის[43]:

[43] www.una.org.ge

1. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD);
2. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA, შეიქმნა 1960 წ.);
3. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC, შეიქმნა 1956 წ.);
4. მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო (MIGA, შეიქმნა 1988 წ.).

განვიხილოთ, თუ როგორ ნაწილდება ფუნქციები თითოეულ მათგანს შორის.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) უმთავრესი მიზანი კაპიტალის საერთაშორისო დინების ხელშეწყობა და ომისგან განადგურებული სახელმწიფოების აღდგენაში დახმარების გაწევა იყო. დღეს ეს ორგანიზაცია იმ განვითარებად ქვეყნებზე გასცემს სესხებს, რომელთა მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შედარებით მაღალია. ბანკის სესხების 90% საერთაშორისო საფინანსო ბაზრებიდან ფინანსდება. 2007 წელს ბანკისგან სესხი 42 ქვეყანამ 141 პროექტზე მიიღო, რაც ფინანსურად 14.5 მლრდ აშშ დოლარში გამოიხატა. ბანკის საფინანსო ვალდებულებების 26% კი გრძელვადიანი ეკონომიკური რეფორმების პროექტების დაფინანსებას უკავშირდებოდა. ბანკის სესხები განთავსებული იყო ისეთ დარგებში, როგორებიცაა ნავთობისა და გაზის მრეწველობა, ინდუსტრია და მადნეულის მოპოვება, ტრანსპორტი, სასმელი წყლითა და სანიტარული პირობებით უზრუნველყოფა, საფინანსო სექტორი.

თანამედროვე ეტაპზე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (რგსბ) საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- განვითარებადი ქვეყნებისთვის გრძელვადიანი სესხების და კრედიტების მიცემა საწარმოო მიზნით, სოფლის მეურნეობის და სასოფლო რეგიონების, ენერგეტიკის განვითარებისთვის; შესაბამისი მთავრობების დავალიანებათა დაფარვაზე გარანტიების გაცემა, სესხების გაცემა კონკრეტული პროექტებისთვის;
- სესხების გაცემა განვითარებად ქვეყნებში ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, გზატკეცილების და რკინიგზების, ელექტროკავშირის, ქალაქის პორტების, ენერგეტიკული დანადგარების შესაქმნელად, ასევე განათლების, ჯანდაცვის განვითარებისთვის კადრების მოსამზადებლად.
- განვითარებადი ქვეყნებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რომელიც იყოფა შემდეგ სახეებად: ა) ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება როგორც სესხების და კრედიტების შემადგენელი ნაწილი - უვადო სესხები და კრედიტები ტექნიკურ დახმარებაზე; ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება ფონდის მეშვეობით პროექტების მომზადებისას; ბ) ტექნიკური დახმარება, რომელსაც უწევს რგსბ, მაგრამ არ აფინანსებს – იგი ასრულებს ადმინისტრაციული ორგანოს როლს. აქ ჩართულია რგსბ-ის ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტები; გ) ტექნიკური დახმარება ადმინისტრაციული ბიუჯეტის ხარჯზე.

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) ფორმალურად რგსბ-სგან დამოუკიდებელია, ამასთან რგსბ-ის პრეზიდენტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (გსა) პრეზიდენტია, ე.ი. ფაქტობრივად რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი აკონტროლებს განვითარების საერთაშორისო ასოციაციას. გსა-ის შემადგენლობაში შედის 159 ქვეყანა, რომელთაგან 26 განვითარებადია. გსა ფინანსურ დახმარებას შეღავათიანი პირობებით მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებზე გასცემს, რომელთაც სესხების მომსახურება თავად არ შეუძ-

ლიათ. ასოციაციის სესხები, რომელთაც „კრედიტებს" უწოდებენ, იმ ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი, რომელთა მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 925 აშშ დოლარზე ნაკლებია. შერჩევისას ასევე გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: ა) ქვეყანაში დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური სტაბილურობა უნდა იყოს, რომ განვითარების მიზნით გაცემულმა გრძელვადიანმა კრედიტებმა გაამართლოს; ბ) ქვეყანა სერიოზულ სიძნელეებს უნდა განიცდიდეს საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებით; გ) ქვეყნის პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს კრედიტები 35-40 წლით გაიცემა და მათზე საბანკო პროცენტი არ დაერიცხება[44], მეტად მცირე მომსახურების ხარჯების გარდა. კრედიტის დაბრუნება მისი გაცემიდან 10 წლის შემდეგ იწყება.

ფინანსური რესურსების უდიდეს ნაწილს გსა დონორი ქვეყნებისგან იღებს. ყოველ მესამე წელს ფონდების შევსება ხდება. 2007 წელს ასოციაციამ 50 ქვეყანაზე 6 მლრდ აშშ დოლარზე ოდნავ ნაკლები გასცა ისეთ სფეროებისთვის, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, საწყისი განათლება, საკმაოდ სერიოზული ინვესტიციები განხორციელდა გარემოს დაცვით და ქალთა უფლებებთან დაკავშირებულ პროექტებში.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) როლი განვითარებადი ქვეყნების კერძო ბიზნესის დახმარებასა და მის განვითარებაში მდგომარეობს. საერთოდ კორპორაცია რამდენიმე როლში გვევლინება. ერთის მხრივ, ის ცდილობს მოახდინოს კერძო ინვესტორების მობილიზაცია კონკრეტული პროექტებისთვის და ამ პროექტების დაფინანსებაში მცირე როლი თავადაც იტვირთოს. ამავე დროს, კორპორაცია მოქმედებს, როგორც ბიზნეს-ორგანიზაცია და ამ ინვესტორებთან ერთად მომგებიანი წარმოების დაარსებისას რისკს ინაწილებს. რაც შეეხება პირდაპირ ინვესტიციებს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (სსკ) მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში ახორციელებს, თუკი ის რაღაც განსაკუთრებულ მიზანს ემსახურება. ასეთ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ქვეყანაში საწყისი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

სსკ ფონდებს ძირითადად საფინანსო ბაზრებიდან სესხების აღების გზით აყალიბებს, რაც მისი ფინანსური სიძლიერისა და საერთაშორისო რეპუტაციის გამო გაადვილებულია. სტრუქტურულად სსკ მსოფლიო ბანკის ჯგუფში ცალკე ფუნქციონირებს. 2007 წელს კორპორაციის დირექტორთა საბჭომ 6.7 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების 276 პროექტი დაამტკიცა.

მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს (MIGA) მიზანი განვითარებად ქვეყნებში უცხოური კერძო კაპიტალის მოდინების ხელშეწყობაა. უპირველესი საფრთხე, რაც კერძო ინვესტორებს აშინებთ - პოლიტიკური რისკია, ანუ მათ არ აქვთ გარანტია, რომ მმართველი რეჟიმის შეცვლა ან სხვა მსგავსი მოვლენა ინვესტიციებს არ დააკარგვინებს. მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო (მსგს) კერძო ბიზნესის ინვესტიციებს არაკომერციული (ანუ პოლიტიკური) რისკისგან აზღვევს. მსგს-ს კაპიტალი 1 მლრდ აშშ დოლარს უახლოვდება და 145 წევრი ქვეყნის შენატანებისგან შედგება, და კიდევ 19 ქვეყანა სააგენტოში გაწევრიანებას ელოდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სააგენტოს საქმიანობამ 40 განვითარებად ქვეყანაში 40 მლრდ აშშ დოლარის ექვივალენტური კერძო უცხოური ინვესტიცია მიიზიდა, მისი საქმიანობა საკმაოდ წარმატებულად უნდა ჩაითვალოს.

---

[44] www.una.org.ge

დასკვნის სახით, *მსოფლიო ბანკის* საქმიანობა შეიძლება მოკლედ შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

1. მსოფლიო ბანკის მიზანი, ახალი საერთაშორსო ბაზრების გახსნისა და ეკონომიკის განვითარების გზით, ცხოვრების ხარისხის ზრდა და ადამიანთა კეთილდღეობის განვითარებაა, განსაკუთრებით მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებში;

2. მსოფლიო ბანკის საქმიანობა ემყარება რწმენას, რომ სოციალური განვითარების წინაპირობას ეკონომიკური სტაბილურობა წარმოადგენს. შესაბამისად, ბანკი ცდილობს საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე მოიპოვოს სახსრები ყველაზე დაბალი შესაძლო საპროცენტო განაკვეთით და ეს სახსრები, სესხების სახით, წევრ-ქვეყნებზე გასცეს;

3. მსოფლიო ბანკი სესხებს გასცემს განვითარებადი ქვეყნების მთავრობებზე ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად. სესხები ინფრასტრუქტურის განვითარებას, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებსა და სახელმწიფოების ეკონომიკური სტრუქტურის მოდერნიზაციას ხმარდება.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

მისი განკარგვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. თუ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

2. *წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი.* მისი განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. თუ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს შეუძლია დაამტკიცოს სა-

ქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებული საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო ან საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს საქართველოს მთავრობას განსახილველად წარუდგენს არა უგვიანეს ყოველი წლის 15 სექტემბრისა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განახლებულ დოკუმენტს წარუდგენს არა უგვიანეს 25 სექტემბრისა.

სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებლის 25%-ს.

საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებულ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

დ) სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობას (მათ შორის, მუნიციპალიტეტების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობას);

ვ) სახელმწიფო ვალის და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების ზღვრულ მოცულობას;

ზ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;

თ) ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებულ მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;

ი) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას;

- ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას;

- ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;

გ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება. საქართველოს პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს იხილავენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტები, საპარლამენტო ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა, პარლამენტის წევრები.

საკომიტეტო განხილვების დროს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ან მის მოადგილესთან ერთად წარადგენს შესაბამისი სამინისტროს მინისტრი ან მისი მოადგილე.

საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს, ასევე საქართველოს კონტროლის პალატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნებს საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 22 ოქტომბრისა უგზავნის საქართველოს მთავრობას. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე დასაგეგმის შემდგომ *სამ საბიუჯეტო წელზე* გამოთქმული შენიშვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა.

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 5 ნოემბრისა ხელმეორედ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი განიხილება პლენარულ სხდომაზე.

პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვის შესახებ მოხსენებას წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან საქართველოს მთავრობის რომელიმე წევრი პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით მიღებული დავალებით. საქართველოს პარლამენტი ასევე ისმენს საქართველოს კონტროლის პალატის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები საქართველოს მთავრობას ეგზავნება არა უგვიანეს 15 ნოემბრისა. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტებს პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 30 ნოემბრისა წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის არა უგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია შეტანილ იქნეს საქართველოს მთავრობის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს

კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია ასევე შეტანილ იქნეს პლენარულ სხდომაზე მისი განხილვისას იმ შემთხვევაში, თუ გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი.

თუ საქართველოს პარლამენტი დეკემბრის მესამე პარასკევამდე ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 31 დეკემბრისა.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის დათხოვნისას საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს 1 თვისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მომზადებას და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის ინფორმაციის სახით წარდგენას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებას და მართვას. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) მაკროეკონომიკურ მიმოხილვას;

გ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

დ) სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისთვის;

ე) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, გარდა იმ ფონდებისა, რომლებსაც წლიური საბიუჯეტო კანონი ითვალისწინებს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სახით;

ვ) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;

ზ) ინფორმაციას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მათ შორის, საბიუჯეტო წლის ბოლოსთვის დაუფარავი სახელმწიფო ვალების და მუნიციპალიტეტების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერების თაობაზე);

თ) მხარჯავი დაწესებულებების[45] მიერ წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების აღწერას;

ი) ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

საქართველოს კონტროლის პალატა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენის დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ამ ანგარიშის თაობაზე. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვისა და საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენების მოსმენის შემდეგ საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 15 ივნისისა იღებს დადგენილებას ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

თუ საქართველოს პარლამენტი არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს 1 თვეში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

ვაჟა შუბითიძე

გლობალიზაცია და მისი რეფორმირების აუცილებლობა

გლობალიზაციის თავგადაკლული მომხრეები და საბაზრო ეკონომიკის ბოლშევიკები (ჯოზეფ სტიგლიცის – მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტის – ტერმინია და გულისხმობს ბენდუქიძის მსგავს ლიბერასტებს, რომლებიც თვლიან, რომ თურმე მთავრობა ბიზნესში და საბაზრო ეკონომიკაში საერთოდ არ უნდა ჩაერიოს) გლობალიზაციის პროცესს ისე წარმოაჩენენ, თითქოს სე იყოს ობიექტური, ლამის ღმერთის ნების განმახორციელებელი მოვლენა, რომელშიც ადამიანს პაიკის როლი აქვს მიკუთვნებული და არაფრის შეცვლა არ შეუძლია. სინამდვილეში ეს ასე არ არის. გლობალიზაცია მართლაც უზარმაზარი ძალაა, რომელმაც ადამიანთა ნაწილის ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალა. ამასთან ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილის და 25–30 ქვეყნის ცხოვრება შეიცალა უკეთესობისაკენ. იმის გამო, რომ ეს პროცესი არასწორად (ან შეგნებულად არასწორად) იყო მართული, ათეულ მილიონობით ადამიანისთვის მან ვერ მოიტანა დადებითი შედეგი, ასეულ მილიონობით ადამიანისათვის კი ცხოვრება უარესობისაკენ შეიცვალა.

გლობალიზაცია ამ სახით გარდაუვალი აუცილებლობა სულაც არ არის და მისი შეცვლა შეიძლება, თუ განვითარებული ქვეყნები ამის სურვილს და ნებას გამოამჟღავნებენ. უნდა მოხდეს მისი იმ სახით რეფორმირება (გლობალიზაცია ადამიანური სახით), რმ მან სიკეთე მოუტა-

[45] მხარჯავი დაწესებულება – ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის საბიუჯეტო ორგანიზაცია.

ნოს არა მარტო მდიდარ ადამიანებსა და განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ღარიბ და განვითარებად ქვეყნებსაც (150–მდე ქვეყანა, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც). ამრიგად, გლობალიზაცია, როგორც ასეთი, არც კარგია და არც ძალიან ცუდი. სწორად და სამართლიანად წარმართვის შემთხვევაში მას სიკეთის და პროგრესის დიდი პოტენციალი გააჩნია. ქვეყნებს, რომლებმაც გლობალიზაცია საკუთარი წესებით, საკუთარი ტემპით განვლეს (ჩინეთი, სამხრეთ კორეა, პოლონეთი და სხვ.) ძალიან სერიოზული შედეგები ჰქონდათ (მიუხედავად კრიზისებისა), ვიდრე ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობას.

რატომ ვერ იქცა გლობალიზაცია პროგრესისა და სიკეთის მომტან ძალად ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში და ვინ წარმართავს ამ პროცესს?

როგორც ჯოზეფ სტიგლიცი წერს თავის ცნობილ წიგნში („გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“, თბ. 2012), გლობალიზაციის პროცესში „პირველადი ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა მომხდარიყო ხალხებისა და ქვეყნების დაახლოება, რაც ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციების ხარჯის შემცირებას და ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მოშლას უნა მოჰყოლოდა. ამის შემდეგ საქონლის, სერვისის, კაპიტალის, ცოდნისა და ადამიანების (შედარებით ნაკლებად) მოძრაობაც გაადვილდებოდა“ [1.15] გლობალიზაციის პროცესს ძირითადად მართავენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი (შეიქმნენ 1944 წელს ბრეტონ ვუდსში, ნიუ–ჰემფშირში) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (ჩამოყალიბდა 1944 წელს) და მათ უკან მდგომი მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიები და განვითარებული ქვეყნების შვიდეული.

ამ ორგანიზაციის შექმნა იმის აღიარებასაც ნიშნავდა, რომ ბაზარი, საბაზრო ეკონომიკა ხშირად წარუმატებლად მუშაობს, რომ მან შესაძლოა, წარმოშვას დიდი კრიზისები, უმუშევრობის დიდი ტალღები და ხშირად არ შეუძლია, საჭიროების დროს ქვეყნები იმ დახმარებით უზრუნველყოს, რომელიც ეკონომიკის აღორძინებას შეუწყობს ხელს. ამ ორგანიზაციის შექმნის იდეა ეფუძნებოდა რწმენას, რომ ეკონომიკური სტაბილურობისათვის აუცილებელია კოლექტიური ქმედება გლობალურ დონეზე, ისევე, როგორც გაეროს შექმნა დაეფუძნა რწმენას, რომ პოლიტიკური სტაბილურობისათვის აუცილებელია ერთობლივი ქმედება (თუმცა ბოლო ხანებში აშშ–მა და რუსეთმა გაეროს გვერდის ავლით განახორციელეს სამხედრო ქმედებანი სხვადასხვა ქვეყანაში).

დროთა განმავლობაში საერთაშირისო სავალუტო ფონდი მნიშვნელოვნად შეიცვალა. თავიდან ის მოქმედებდა პრინციპით, რომ საბაზრო ეკონომიკა ხშირად წარუმატებლად მუშაობს, თუმცა კი 1980–იანი წლებიდან იგი საბაზრო ეკონომიკის ერთპიროვნულ უპირატესობას ქადაგებს.

არიან სხვა გლობალური ორგანიზაციებიც, რომლებიც სავალუტო ფონდს არ ემხრობიან ამ მიმართულებით, მაგალითად, შრომის მსოფლიო ორგანიზაცია თვლის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი სათანადო ყურადღებას არ უთმობს მომუშავეთა უფლებებს, აზიის განვითარების ბანკი, სავსებით მართებულად, „კონკურენტულ პლურალიზმს“ ქადაგებს, რომლის მიხედვითაც განვითარებად ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია განვითარების სხვადასხვა სტრატეგიის შესახებ. მათ შორისაა „აზიის მოდელი“ – ეს არის საბაზრო ეკონომიკის სისტემა, როდესაც ბაზრის ჩამოყალიბების, ფორმირებისა და ზედამხედველობის პროცესში მთვარ როლს მთავრობა თამაშობს (სუბურო ოკიტა), რაც გულისხმობს, მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობას. ამ პროცესში საკუთარი თანამშრომლების სოციალურ კეთილდღეობაზე კომპანიებს სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრებათ – ეს ყველაფერი კი ძალიან განსხვავდება ამერიკული, ვაშინგტონში მომუშავე ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული მოდელისაგან. ამ-

რიგად, თავიდან სავალუტო ფონდის მიერ აღიარებული კეინსიური ორიენტაცია – საბაზრო ეკონომიკის წარუმატებლობის შემთხვევაში ახალი სამუშაო ადგილების წარმოშობის პროცესში მთავრობის როლის მნიშვნელობა – 1980 წელს თავისუფალი ბაზრის ერთპიროვნული უპირატესობის იდეამ ჩაანაცვლა – ეს იყო ე. წ. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ ნაწილი. შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკსა და აშშ–ს ხაზინას შორის მოხდა განვითარებადი ქვეყნებისათვის „სათანადო“ პოლიტიკის შემუშავების შესახებ – ეს იყო ახალი, რადიკალურად განსხვავებული მიდგომა ეკონომიკური განვითარების და სტაბილურობის საკითხისადმი, რამაც არ გამართლა უმრავლეს ქვეყანაში. თავის დროზე ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის განკუთვნილი ეს მოდელი და პოლიტიკა წინასწარი აპრობირების და შესწავლის გარეშე გაატარეს აზიის, აფრიკის და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, რამაც უმძიმესი შედეგები მოიტანა. ზოგ შემთხვევაში ვაშინგტონის კონსენსუსის პოლიტიკა, რომელიც ტარდებოდა განვითარებად ქვეყნებში, შეუფერებელი იყო იმათთვის, ვინც განვითარების ადრეულ სტადიაზე იმყოფებოდა ან სადაც გარდამავალი პერიოდი ახალი დაწყებული იყო (როგორც მაგალითად, საქართველოში) ასევე არა გაამართლა ბაზრების და ვაჭრობის ლიბერალიზაციამ. განვითარებადი ქვეყნები აიძულეს, იმპორტისათვის გაეხსნათ თავისი ბაზრები. შემოტანილი პროდუქცია კი დიდ კონკურენციას უწევდა ადგილობრივ ნაწარმს (საქართველოში ახლაც ასეა), ძირავდა ადგილობრივ პროდუქციას და კატასტროფული შედეგები მოჰქონდა და მოაქვს.

სისტემატურად მცირდებოდა სამუშაო ადგილები, ღარიბი ფერმერები კონკურენციას ვერ უწევდნენ აშშ–დან და ევროპიდან (თურქეთიდან და ირანიდანაც კი) შემოტანილ, საკუთარი მთავრობის მიერ სუბსიდირებულ საქონელს. უფრო მეტიც, სავალუტო ფონდის მოთხოვნას – განვითარებად ქვეყნებს შეენარჩუნებინათ მკაცრი მონეტარული პოლიტიკა – მაღალი საპროცენტო განაკვეთის შენარჩუნებას იწვევდა (და იწვევს), რაც საუკეთესო პირობებშიც კი ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნას შეუძლებელს ხდიდა. იმის გამო, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაცია მანამდე მოხდა, ვიდრე უსაფრთხოების სისტემა ამოქმედდებოდა, ისინი, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს, სიღარიბისათვის იყვნენ განწირულნი (არადა, როცა დასავლეთის ქვეყნებმა ღარიბ ქვეყნებს სავაჭრო ბარიერების გაუქმებისაკენ უბიძგეს (აიძულეს), შეინარჩუნეს ბარიერები საკუთარ ქვეყნებში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ განვითარებად ქვეყნებს არ შეეძლო და დღემდე არ შეუძლიათ საკუთარი პროდუქციის ექსპორტი აშშ–სა და ევროკავშირში, რისთვისაც ძალზე რთული ბარიერები იყო დაწესებული.

ამგვარად, ლიბერალიზაციამ ბევრ შემთხვევაში დაპირებული ზრდის ნაცვლად, გაჭირვების მატება გამოიწვია და გააუარესა მდგომარეობა.

1970–იან წლებამდე ევროპული ქვეყნები კრძალავდნენ კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას. დიდი უსამართლობაა, აიძულო განვითარებადი ქვეყნები ცუდად განვითარებული საბანკო სისტემით, ბაზრის გახსნის რისკზე წავიდნენ. „ცხელი ფულის“ (ესაა ფული, რომელიც ქვეყანაში შედის და გადის ზოგჯერ ერთ დღე–ღამეში. ხშირად გაურკვეველია ვალუტა მყარდება თუ გაუფასურდება) უკონტროლო შემოდინება და გადინება ქვეყნიდან, რაც ხშირად ბაზრის ლიბერალიზაციას მოსდევს, როგორც წესი, ეკონომიკისათვის გამანადგურებელია.

სწორედ ჯოზეფ სტიგლიცი, რომ „განვითარებადი ქვეყნები პატარა ნავებს გვანან. ბაზრის სწრაფმა ლიბერალიზაციამ, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი წარმართავდა, ისინი ზღვაზე საცურაოდ მანამდე გაუშვა, სანამ კორპუსში ხვრელები ამოივსებოდა, კაპიტანი

სწავლებას გაივლიდა და მაშველ ჟილეტებს მოიმარაგებდა. საუკეთესო სიტუაციაშიც კი მაღალია ალბათობა, რომ ნავი გადაბრუნდება, როცა დიდი ტალღა დაეჯახება [1,26–27].

სავალუტო ფონდის (რომელშიც მხოლოდ აშშ–ს აქვს ვეტოს უფლება) მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის წაყენებული „პირობითობები" – სინამდვილეში ეს იყო მკაცრი და მბრძანებლური მოთხოვნები, რომლებიც სერიოზულად ლახავდნენ და ხელყოფდნენ ამ ქვეყნების ეროვნულ სუვერენიტეტს და რომლებსაც მათ თავს ახვევდნენ განვითარებული ქვეყნები ამ ფონდის მუშაკთა („ეკონომიკური მკვლელები", როგორც მათ უწოდებდა ჯონ პერკინსი) მეშვეობით.

საბჭოთა კავშირის და სოციალისტური სისტემის კოლაფსმა სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს ახალი ასპარეზი გაუხსნა. თავიდან სავალუტო ფონდი წარმართავდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (გვახსოვს მისი წარმომადგენელი შადმან ვალავი, რომელიც ქართველ მეწარმეებს ურჩევდა ვენახის აჩეხვას და ღვინის და ლუდის წარმოებაზე უარის თქმას). როცა ფონდის ფინანსები საკმარისი აღარ იყო, საჭირო გახდა ამ საქმეში მსოფლიო ბანკის ჩარევაც, რომელსაც დაეკისრა უმცროსი პარტნიორის როლი. სავალუტო ფონდის ფუნქციებში შედიოდა მაკროეკონომიკური საკითხები, საბიუჯეტო დეფიციტი, სავალუტო პოლიტიკა, ინფლაცია, სავაჭრო დეფიციტი, საზღვარგარეთიდან სესხის აღების პროცესი.

როგორც ჯოზეფ სტიგლიცი მიუთითებს: „საერთაშორისო სავალუტო ფონდმა იმპერიალისტური მიდგომა აირჩია; იმის გამო, რომ ნებისმიერ სტრუქტურულ საკითხს გავლენის მოხდენა შეეძლო ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე, ან ბიუჯეტსა და დეფიციტზე, ორგანიზაციაში ჩათვალეს, რომ ნებისმიერი საკითხი (მათ შორის საკადრო – ვ. შ.) მათი კომპეტენციის სფეროში ექცეოდა" [1.22]. სავალუტო ფონდსაც და მსოფლიო ბანკსაც შეეძლო განვითარებადი, მოვალე ქვეყნებისათვის სხვა, ალტერნატიული გზებიც შეეთავაზებინა, იმ სირთულეების შესახებ გაეფრთხილებინა, რაც განვითარებასა და გარდამავალ პერიოდს ახლავს თან. ეს დემოკრატიული პროცესების განვითარებას შეუწყობდა ხელს, მაგრამ დიდმა შვიდეულმა და, განსაკუთრებით აშშ–მა, სავალუტო ფონდის მეშვეობით მათ თავს მოხვია ე. წ. „შოკური თერაპია", რამაც სოციალური კოლაფსი გამოიწვია ამ ქვეყნებში.

დაარსებიდან 70 წლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავისი მისია ვერ(არ) შეასრულა – არ გაკეთდა ის, რაც უნდა გაეკეთებინა – ფული გამოეყო ქვეყნებისათვის, რომლებიც ძალზე მძიმე ეკონომიკურ სირთულეებს განიცდიდნენ. ბევრი მათგანის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, 120–მდე ქვეყანამ კრიზისი განიცადა.

ფონდის მიერ ინიცირებულმა კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაციამ გლობალურ არასტაბილურობას შეუწყო ხელი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი გამოიწვია, რომელიც 2007 წლიდან დღემდე გრძელდება. მიუხედავად მუდმივი დაპირებისა, რომ სიღარიბე შემცირდებოდა, სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რიცხვი 300 მილიონით გაიზარდა. გაიზარდა ცხოვრების და შემოსავლის დონის სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის არა მარტო ღარიბ, არამედ მდიდარ ქვეყნებშიც კი – ანუ გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა. ბჟეზინსკის მონაცემებით, თუ „1990 წელს აშშ–ში საწარმოთა დირექტორების ხელფასები 70–ჯერ მეტი იყო საშუალო ამერიკელის ხელფასზე, 2013 წლისათვის ეს განსხვავება 325–ჯერაა გაზრდილი. ამით საზოგადოებაში სამართლიანობა გაითელა, ეს კი სტაბილური სახელმწიფოს ფუნდამენტია" [2.15]. გლობალიზაციამ და საბაზრო ეკონომიკამ ვერ მოიტანა დაპირებული შედეგები რუსეთსა და უკრაინაში, საქართველოსა და სხვა ქვეყნებში, რომლებიც კომუნიზმიდან საბაზრო ეკონომიკა-

ზე გადადიოდნენ. ამ ქვეყნებს დასავლეთი დაპირდა, რომ ახალი ეკონომიკური სისტემა მათ უპრეცედენტო კეთილდღეობას მოუტანდა, ამის ნაცვლად მათ უპრეცედენტო სიღარიბე იხილეს.

უზარმაზარი განსხვავება არსებობდა რუსეთსა (რომლის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყო მართული) და ჩინეთს შორის, რომელმაც ეს პროცესი დამოუკიდებლად წარმართა. 1990 წელს ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი რუსეთის შიდა პროდუქტის 60% შეადგენდა. ათი წლის შემდეგ სურათი რადიკალურად შეიცვალა. რუსეთში მოხდა სიღარიბის დონის არნახული ზრდა, ჩინეთში კი – არნახული შემცირება.

სავალუტო ფონდი ამ ქვეყნებში მაკროეკონომიკის ნაცვლად ისეთი სტრუქტურული საკითხებითაც დაინტერესდა, როგორიცაა პრივატიზაცია, დასაქმების ბაზარი, საპენსიო რეფორმა. ფონდის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ისინი არ კარნახობენ სესხის პირობებს მსესხებელ ქვეყანას და ყველაფერი მოლაპარაკების გზით ხდება. მაგრამ ეს ცალმხრივი მოლაპარაკებაა, რადგან ყველა ბერკეტი ფონდის ხელშია ძირითადად იმის გამო, რომ მსესხებელი ქვეყნები ძალიან გაჭირვებაში იმყოფებიან.

ქვეყნებს მკაცრად გაწერილი გეგმა ჰქონდათ – კონკრეტული მიზნებისთვის 30, 60 ან 90 დღეში უნდა მიეღწიათ. ზოგჯერ ხელშეკრულებები იმასაც კი განსაზღვრავდა, რა კანონები უნდა მიეღო ამ ქვეყნის პარლამენტს ფონდის დავალების დროულად შესასრულებლად.

ვაშინგტონის კონსესუსის სამმა ძირითადმა მიმართულებამ – მკაცრმა ფისკალურმა პოლიტიკამ, პრივატიზაციამ და ბაზრების ლიბერალიზაციამ სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც მკვეთრად უარყოფითი შედეგი მოიტანა.

ფონდს აინტერესებდა სტაბილიზაციის საკითხი, მაგრამ სამუშაო ადგილების წარმოქმნის საკითხი – არა, აინტერესებს გადასახადების დაწესება და ამის უარყოფითი შედეგები, მაგრამ არა – მიწის რეფორმა. ფონდი ფულს გამოყოფს დასახმარებლად, მაგრამ კრძალავს ფულის დახარჯვას განათლებასა და ჯანდაცვაზე, დაზარალებულთა კომპენსაციაზე და ა. შ.

ვაშინგტონის კონსესუსის რეფორმებმა ქვეყნები რისკის წინაშე დააყენა და შედეგად ყველაზე დაუცველი ადამიანები დაზარალდნენ. ცუდად დაგეგმილმა რეფორმებმა სამუშაო ადგილების გაუქმება გამოიწვია მანამდე, სანამ ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა. ზედმეტი ოპტიმიზმის გამო ასევე არ მოხდა საჭირო ინსტიტუციების, მათ შორის დაზღვევის ქსელის და სხვა შექმნა. ამ ქვეყნების სამომავლო პერსპექტივაც არაა იმედისმომცემი. ფაქტიურად განადგურდა საშუალო ფენაც, გამეფდა ელიტარული კორუფცია საქართველოში (2003–2012) და ტოტალური კორუფცია – სხვა ქვეყნებში.

დღეისათვის აშკარაა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე რეალურ გადასვლას გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ეს სავალუტო ფონდს ან ჩვენ წარმოგვედგინა.

საჭირო იყო არა „შოკური თერაპიის“ გატარება, არამედ გრადუალისტური (ანუ ეტაპობრივი) მიდგომა ზომიერი ტემპებით და გარკვეული შემზადების მერე. რუსეთმა, სადაც რეფორმებს ამერიკელი ექსპერტები წარმართავდნენ სავალუტო ფონდიდან, უფრო დიდი დანაკარგი განიცადა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს –1940–45 წლებში საბჭოთა კავშირში წარმოებამ 24%-ით იკლო, 1990–99 წლებში კი 60%–ით შემცირდა, მთლიანმა შიდა პროდუქტმა კი 54%–ით დაიკლო.

ამით ისარგებლეს ოლიგარქებმა და ასეულ მილიარდობით ფული გაიტანეს უცხოეთში. მაშინ, როცა სიცოცხლის ხანგრძლივობამ თითქმის მთელ მსოფლიოში მოიმატა, რუსეთში, უკრაინაში, საქართველოში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 3–5 წლით შემცირდა. არასწორად და

ნაჩქარევად განხორციელებულმა პრივატიზაციამ წარმოების ზრდის ნაცვლად ქონების განიავება და ეკონომიკის დაღმასვლა გამოიწვია ბევრ ქვეყანაში. კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაციამ სწრაფი და უზარმაზარი ინფლაცია გამოიწვია. წარმატებულმა ქვეყნებმა: მაგალითად, პოლონეთმა, სამხრეთ კორეამ და სხვ. იგნორირება გაუკეთეს სავალუტო ფონდის რჩევას და გარდამავალ პერიოდში პოლონეთმა ინფლაციის დონე 20%–ზე შეინარჩუნა. ფონდის სანიმუშო მოწაფეებმა (ჩვენსავით) ჩეხეთმა ინფლაცია 2 %–მდე დაწია, რის შედეგადაც ეკონომიკური სტაგნაცია მიიღო. ძალიან ცუდად და უსამართლოს, კორუფციულად ჩატარდა პრივატიზაცია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. ცული პრივატიზაციის ყველაზე ნათელი მაგალითი მოგვცეს რუსებმა ელცინის და მისი გარემოცვის სახით. ელცინის მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა „სესხები ყველასათვის“. 1995 წელს რუსეთის მთვარობამ ცენტრალური ბანკის ნაცვლად კერძო ბანკებს მიმართა. ამ ბანკების მფლობელები ძირითადად მთავრობის წევრების მეგობრები იყვნენ. ეს ბანკები სესხებს საკუთარ თავს, საკუთარ მეგობრებს ან მთავრობის წევრებს აძლევდნენ. სესხის პირობად მთავრობა საკუთარი საწარმოს წილს დებდა გირაოს სახით. შემდეგ მთავრობამ საკუთარ სესხებზე დეფოლტი გამოაცხადა (ერთადერთმა ივანიშვილმა არ იკადრა ეს რუსეთში მაშინ), კერძო ბანკებმა კომპანიები სიმბოლურ ფასად ჩაიგდეს ხელში (თუმცა მთავრობამ ფორმალურად აუქციონიც ჩაატარა), რამდენიმე ოლიგარქი ერთ ღამეში მილიარდელი გახდა. ამ პრივატიზაციას ლეგიტიმაცია არ ჰქონდა. ამის გამო ოლიგარქები ცდილობდნენ, დაუყოვნებლივ გაეტანათ ფული ქვეყნიდან, სანამ ახალი მთავრობა (პუტინი) მოვიდოდა და მათი ძალაუფლება ეჭვქვეშ დადგებოდა (ჯ. სტიგლიცი). ამიტომაც აარჩევინეს 1996 წელს ხალხს ხელახლა ელცინი. საბაზრო ეკონომიკის ნაცვლად რუსეთსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) ველური აღმოსავლეთი მივიღეთ. „შოკურ თერაპიაში“ შოკი უფრო მეტი აღმოჩნდა და თერაპია – ბევრად ნაკლები. კლინტონის მთავრობა, რომლის შეხედულებები ხშირად ემთხვეოდა სოციალ–დემოკრატების პოზიციებს გარდამავალი სისტემის ქვეყნებში, მოკავშირეებად იმ ხალხს ირჩევდა, რომლებიც მარჯვნივ იხრებოდნენ (მილტონ ფრიდმანის და რადიკალური საბაზრო რეფორმების მომხრეები) და ძალზე მცირე ყურადღებას უთმობდნენ სოციალურ პრობლემებს. თუ ჩინეთის ეკონომიკა ყოველწლიურად 10%–ით იზრდებოდა, რუსეთის ეკონომიკა ყოველწლიურად 5,6%–ით იკლებდა. შედეგად ჩინეთში სიღარიბის უპრეცედენტო შემცირება მოხდა, რუსეთში კი – მისი უპრეცედენტო ზრდა. პოლონეთმა, ჩინეთის მსგავსად, უარი თქვა პრივატიზაციის ნაჩქარევად განხორციელებაზე და არც ინფლაციის დონის დაწევა არ დააყენა სხვა მაკროეკონომიკურ პრობლემებზე წინ. სამაგიეროდ ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, რომლებსაც სავალუტო ფონდი უმნიშვნელოდ მიიჩნევდა, როგორიც იყო რეფორმების განხორციელებისათვის საჭირო დემოკრატიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რაც უმუშევრობის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნებას, უმუშევრებისათვის დახმარების გამოყოფასა და პენსიების ინფლაციის შესაბამისად გაზრდას გულისხმობდა. მთავრობამ ასევე იზრუნა იზრუნა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზეც. ჩინეთმა რეფორმების განხორციელება სოფლის მეურნეობიდან დაიწყო. განახორციელა კოლმეურნეობების სისტემიდან „ინდივიდუალური პასუხისმგებლობის“ სისტემაზე გადასვლა და შესაბამისად, ნაწილობრივი პრივატიზაცია ჩატარდა. ადამიანებს არ შეეძლოთ, მიწა თავისუფლად ეყიდათ ან გაეყიდათ. სწორად მიუთითებს ჯოზეფ სტიგლიცი, რომ ამ ქვეყნების წარმატების მიზეზი ისიც არის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი „შინაურების“ მიერ იყო დაგეგმილი, ანუ იმ ადამიანების მიერ, ვინც ამ ქვეყანაში

ცხოვრობდა და კარგად ესმოდა ქვეყნის პრობლემები და საჭიროებანი (ნიკო ნიკოლაძე 120 წლის წინ ამბობდა ამას, რომ „ჩვენი ქვეყნის გონებრივი განვითრებისათვის უდიდესი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას იქიდან ჩამოყვანილ ძიძას ვაბარივართ და ისიც თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას“). ჩინეთში, პოლონეთსა და უნგრეთში არ მიმართავთ მზა რეცეპტებისათვის. ეს ქვეყნები პრაგმატულად უდგებოდნენ საკითხს, მათ პოლიტიკას არ განსაზღვრავდა იდეოლოგია და სახელმძღვანელოებში ამოკითხული წესები. მიუხედავად იმისა, განვითარების რომელ ეტაპზეა ქვეყანა, მთავრობის როლი ძალზე მნიშვნელოვანია. ზედმეტად სუსტმა ან ზედმეტად აქტიურმა მთავრობამ შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას სტაბილურობას და განვითარება შეაფერხოს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში დღესაც სჯერათ, რომ მათი „რეკომენდაციები“ სწორია და შეცდომებს არასოდეს უშვებენ. ფონდი რომ უფრო პატიოსანი, გამჭირვალე, გულახდილი და თავშეკავებული ყოფილიყო, დღეს განვითარებად ქვეყნებში უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა. მაგრამ ფონდი ემსახურება ყველაზე განვითარებული ქვეყნების, პირველ რიგში აშშ–ის, ინტერესებს და ეს ყველამ იცის. უკვე დღეს ბევრი ფიქრობს, რომ სავალუტო ფონდს ქვეყნების მთავრობები მიზანმიმართულად შეჰყავს შეცდომაში და რომ ფონდს პასუხი უნდა მოეთხოვოს აუცილებლად. მართალია, გლობალიზაცია ცვლის სოფლის და ქალაქის ყოფას და იერს, მაგრამ მის წარმმართველებს შეგნებულად და შეუგნებლად (ეს სულერთია) ერების ტრადიციების, კულტურული იდენტობის და ღირებულებების შეცვლის საფრთხისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, რამაც ქვეყნები ეროვნული იდენტობის დაკარგვის წინაშე დააყენა. ყველა ქვეყანას არ სურს ამერიკელი ან რუსული ცხოვრების წესით ცხოვრება, არ უნდა გაქრენ ცაზე პატარა ვარსკვლავები და მათ ადგილას ერთი დიდი, მახინჯი ვარსკვლავი ჩამოყალიბდეს, არ უნდა გაქრეს პატარა ენები და მხოლოდ ინგლისურად ილაპარაკოს ყველამ, ისევე როგორც ერთსქესიანთა ქორწინებები არ უნდა უმრავლეს ქვეყნებს. აშშ განვითარებად ქვეყნებს აქტიურად უქადაგებს „ქამრის შემოჭერის“ პოლიტიკას, თუმცა ამას თავად არ აკეთებს. თუ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყანა თვლის, რომ სამუშაო ადგილების დაცვის მიზნით პროტექციონიზმს უნდა მიმართოს, მაშინ ასეთი პროტექციონიზმის დაწესებისათვის უფრო სერიოზული მიზეზი აქვს საქართველოს, სადაც უმუშევრობის დონე ძალზე მაღალია და სოციალური დაცვის სისტემა ძალზე სუსტი.

თუ პროცესები ასე განვითარდა, მოსალოდნელია მსოფლიოს აჯანყება განვითარებული ქვეყნების წინააღმდეგ, რადგან ასეთი ფორმით გლობალიზაცია არა მარტო განვითარებას ვერ უზრუნველყოფს, არამედ კიდევ უფრო მეტ სიღარიბესა და უბედურებას მოიტანს. საჭიროა გლობალიზაციის პროცესის რეფორმირება და პატარა ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება.

მომავალშიც წარმატებას მიაღწევენ ის ქვეყნები, რომლებიც თავად განაგებენ თავის ბედს და ყოველთვის სხვის ჭკუაზე არ დადიან, ბაზარს თვითრეგულაციაზე არ უშვებენ.

საჭიროა შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება გრძელვადიანი, სამართლიანი და დემოკრატიული ზრდისათვის მთავრობის მხრიდან. ეს არის განვითარების წინაპირობა. განვითარება კი სულაც არ ნიშნავს რამდენიმე ათეული ადამიანის გამდიდრებას და რამდენიმე უსარგებლო ბიზნესის გაჩენას, რომლის შემოსავლითაც საეჭვოდ გამდიდრებული ელიტა სარგებლობს, განვითარება არ ნიშნავს „პრადას“ ან „ბენეტონის“ შემოსვლას ქვეყანაში, ან „მერსედესებისა“ და „ტოიოტა ლენდ კრუიზერის“ გაყიდვას ქვეყანაში.

ის, რომ ვაკეში შესაძლებელი გახდა „გუჩის“ ჩანთის ყიდვა, სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს საბაზრო ეკონომიკა გააჩნია. განვითარება საზოგადოების ტრანსფორმირებას, გაჭირ-

ვებული ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას, ჯანდაცვის და განათების ხელმისაწვდომობას ნიშნავს ყველასათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოზეფ სტიგლიცი. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბ. 2012
2. ზ. ბზეჟინსკი. ამერიკამ საგარეო პოლიტიკაში ზომიერების გრძნობა დაკარგა. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, თბ. 22–28 თებერვალი, 2012 წ, №7
3. ჯონ პერკინსი. ეკონომიკური მკვლელის აღსარება, თბ. 2007
4. გოგი თოფაძე. საქართველოს ნეოკოლონიალიზმის ყულფში, თბ. 2003 წ.

ონერ ძაძუა



საოჯახო მეურნეობების ფინანსების ფორმირების თავისებურებები ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში

საოჯახო მეურნეობები ქვეყნის ეკონომიკური სისტემის საწყისი და მეტად მნიშვნელოვანი რგოლია. მის ფორმირებაზე, განვითარებაზე, სრულყოფაზე, ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაზე ზრუნვა იყო, არის და იქნება სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, თუნდაც იმიტომ, რომ მას უდიდესი როლი აკისრია როგორც საზოგადოების ფორმირების, ასევე ეკონომიკის ფინანსური სისტემის ჩამოყალიბებისა და წარმატებულად ფუნქციონირების საქმეში.

საოჯახო მეურნეობების განვითარების საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ფინანსური ასპექტების კვლევას რიგი ნაშრომები მიუძღვნეს დასავლელმა ცნობილმა მეცნიერ-ეკონომისტებმა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ საკითხების კვლევამ შეიძინა გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში. პოსტკომუნისტურ ეკონომიკურ სისტემაში საოჯახო მეურნეობების ადგილი, როლი, მნიშვნელობა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს როგორც ეკონომიკური, ასევე ფინანსური თვალსაზრისითაც, თუმცაღა პოსტსაბჭოთა სივრცეში კვლევები ამ საკითხზე ნაკლებ დაინტერესებით გამოირჩევა მეცნიერ-ეკონომისტების მხრიდან, რაც, ცხადია, დროულ რეაგირებას საჭიროებს. ამ პრობლემის კვლევაში ქართულმა ეკონომიკურმა და განსაკუთრებით კი ქართულმა ფინანსურმა მეცნიერებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას.

საოჯახო მეურნეობა საზოგადოებისა და ეკონომიკური სისტემის საწყისი და განსაკუთრებული რგოლია, რაც უმეტესწილად მისი მნიშვნელობითაა განპირობებული. საზოგადოებასთან მიმართებაში იგი მისი სრულყოფილად ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორია, ეკონომიკასთან მიმართებაში საოჯახო მეურნეობის როლი ქვეყნის შრომითი პოტენციალის, სამეურნეო სუბიექტებისა თუ ბიზნეს-ერთეულების შრომითი რესურსების ფორმირება-განვითარებაში ვლინდება. ხოლო ფინანსური ურთიერთობების ჩამოყალიბების კუთხით მას ასევე განსაკუთრებული როლი აკისრია ფინანსური დანაზოგების ფორმირება-გამოყენების თვალსაზრისით, რომლებიც ცივილიზებულ ეკონომიკურ სივრცეში საკრედიტო და საინვესტიციო რესურსების ფორმირება-გამოყენების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

მაკროეკონომიკური ანალიზის პოზიციებიდან საოჯახო მეურნეობა ესაა ფიზიკური პირების ჯგუფი, რომელიც ერთობლივად ღებულობს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში საოჯახო მეურნეობის როგორც, ეკონომიკური კატეგორიის, სხვადასხვა განმარტება გვხვდება. ერთნი მას განმარტავენ როგორც ერთი ადამიანის, ანდა ადამიანთა ჯგუფის გაერთიანებას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ნათესაური კავშირებით (შეიძლება არანათესაური კავშირებითაც), აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ერთობლივად ქმნიან საარსებო რესურსებს და ღებულობენ გადაწყვეტილებებს მათი გამოყენების თვალსაზრისით.

სხვათა მოსაზრებით, საოჯახო მეურნეობა ეს არის ერთი ან მეტი ადამიანი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ერთ საცხოვრებელ ადგილას, ეწევიან ერთობლივ მეურნეობას, უზრუნველყოფენ თავიანთ თავს ცხოვრებისათვის საჭირო აუცილებელი რესურსებით, მთლიანად ანდა ნაწილობრივ აერთიანებენ და ხარჯავენ თავიანთ სახსრებს. საოჯახო მეურნეობა, ეს არის ერთმანეთთან ნათესაური ურთიერთობებით ანდა ქორწინებით დაკავშირებული ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ცხოვრობენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, ერთად ეწევიან, ერთად ახდენენ ფინანსური და არა მარტო ფინანსური რესურსების ფორმირებას და ასევე ერთად მონაწილეობენ ამ რესურსების ხარჯვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

გაეროს სტატისტიკური და ეკონომიკური კომისიის რეკომენდაციების თანახმად ოჯახად ითვლება ცოლ-ქმრული წყვილი ბავშვების გარეშე და ნებისმიერი ასაკის ბავშვებთან ერთად, ანდა ერთ-ერთი მშობელი ნებისმიერი ასაკის ბავშვებთან, რომელიც არ არის ქორწინებაში და არ ჰყავს საკუთარი ბავშვები.

საოჯახო მეურნეობები განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში, კერძოდ:

1) აყალიბებენ საზოგადოების შრომით პოტენციალს სამუშაო ძალის, შრომითი რესურსების კვლავწარმოებას;

2) ბაზარზე გამოდიან სამეურნეო სუბიექტებისა და ბიზნეს ერთეულების მიერ წარმოებული პროდუქციის, გაწეული მომსახურების, შესრულებული სამუშაოს მომხმარებლების, მყიდველების სახით;

3) სამეურნეო სუბიექტებსა თუ ბიზნეს-ერთეულებს აწვდიან რიგ საწარმოო რესურსებს;

4) ზოგავენ ეკონომიკაში შექმნილ შემოსავალს და ამით შეიძენენ რეალურ და ფინანსურ აქტივებს;

5) ფინანსური აქტივების შეძენით ისინი ქმნიან საკრედიტო და საინვესტიციო რესურსებს,

რითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფინანსური რესურსების საზოგადოებრივი კვლავწარმოების საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსურ მეურნეობაში ისმის საკითხი დამოუკიდებელი ეკონომიკური კატეგორიის, "საოჯახო მეურნეობის ფინანსების" შინაარსის განმარტების შესახებ. ამ საკითხთან მიმართებაში მეცნიერ-ეკონომისტებს შორის არსებობს სულ მცირე, ორი მიდგომა. პირველი მიდგომა ძირითადად თეორიული ხასიათისაა და მნიშვნელოვანწილად პოსტსაბჭოთა ფინანსურ სკოლას ეკუთვნის. ამ მიდგომის თანახმად საოჯახო მეურნეობების ფინანსები ესაა ფულადი სახსრების ფონდების შექმნისა და გამოყენების ფინანსური ურთიერთობების სისტემა, საოჯახო მეურნეობის წევრთა მატერიალური და სოციალური პირობების უზრუნველყოფისა და მათი კვლავწარმოების მიზნით. ანდა საოჯახო მეურნეობების ფინანსები ეს არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა იმ ფულადი სახსრების შექმნის, განაწილების და გამოყენების პროცესში, რომლებშიც ერთვებიან საოჯახო მეურნეობების ცალკეული წევრები თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობით. ფინანსური ურთიერთობები ყალიბდება როგორც საოჯახო მეურნეობების შიგნით, ასევე გარე ეკონომიკურ ერთეულებთან მიმართებაში.

პირველ შემთხვევაში ეს ურთიერთობები ყალიბდება საოჯახო მეურნეობის ცალკეულ მონაწილეთა შორის მიზნობრივი დანიშნულების ფულადი ფონდების შექმნისათვის, რომლებიც შემდგომში იხარჯება მიმდინარე მოხმარების, მატერიალურ აქტივებში ინვესტირების, დანაზოგების შექმნის მიზნით. დანაზოგები შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (განათლება, ჯანდაცვა, სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში განთავსება და ა.შ.).

საოჯახო მეურნეობები ფინანსურ ურთიერთობას ამყარებენ სხვა საოჯახო მეურნეობებთან, დამქირავებლებთან, დასაქმებულებთან, ბანკებთან, სხვა არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციებთან (სადაზღვევო და საპენსიო ფონდებთან) და სახელმწიფოსთან. უმეტეს შემთხვევაში ეს ურთიერთობები ურთიერთშემხვედრი მიმართულებით ყალიბდება და დიდ როლს ასრულებენ საერთოდ ფინანსური ურთიერთობების მთლიან სისტემაში.

მეორე მიდგომა ემყარება ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. ამ მიდგომის კონტექსტში საოჯახო მეურნეობების ფინანსები ეს არის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ერთიანობა, ასევე მათი ეფექტიანად მართვის ხერხები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. აქ საოჯახო მეურნეობების ფინანსების ნაცვლად იყენებენ ცნებებს: "მოსახლეობის ფინანსები", ანდა "ოჯახების ფინანსები", რაც მთლად კორექტულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

საოჯახო მეურნეობების ფინანსური ურთიერთობები ყალიბდება კვლავწარმოების პროცესის მეორე სტადიაზე, მშპ-ს განაწილების პროცესში. საოჯახო მეურნეობების წევრები სამუშაო ძალის, როგორც საწარმოო ფაქტორის მესაკუთრეები არიან და წარმოების პროცესში მონაწილეობის შედეგად წარმოებული მშპ-ს ნაწილს იღებენ. ისინი ასევე მონაწილეობენ მშპ-ს ხელახალი გადანაწილების პროცესში, საგადასახადო სისტემის მეშვეობით ფორმირებული საბიუჯეტო რესურსების ნაწილი წარიმართება საპენსიო და სადაზღვევო, ფონდებში სოციალური ტრანსფერტების სახით და საოჯახო მეურნეობების ფინანსურ წრებრუნვაში ერთვება.

საოჯახო მეურნეობების ფინანსები ეროვნულ ეკონომიკაში რიგ ფუნქციებს ასრულებს. მათგან აღსანიშნავია: რესურსის შემქმნელი ფუნქცია, რაც საოჯახო მეურნეობათა მიერ მიღებული ფინანსური რესურსების ფორმირებასა და შემდგომში მათი განაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში ვლინდება.

გამანაწილებელი ფუნქცია. საოჯახო მეურნეობები შექმნილ ფინანსურ რესურსებს ანაწილებენ ამ მეურნეობების ცალკეულ მონაწილეებს შორის და ამით ისინი მთავარ როლს ასრულებენ მშპ-ს განაწილების პროცესის ბოლო სტადიაზე. განაწილების ობიექტია საოჯახო მეურნეობის განკარგულებაში არსებული შემოსავალი, ნომინალური ფულადი შემოსავლის ნაწილი, რაც დარჩა საოჯახო მეურნეობის განკარგულებაში გადასახლებისა და სავალდებულო გადასახდელების გადახდის შემდეგ და ნაწილდება საოჯახო მეურნეობის სუბიექტებს ანუ მის ყველა მონაწილეს შორის. საოჯახო მეურნეობების ფინანსების გამანაწილებელი ფუნქცია მის ცალკეულ მონაწილეთა არსებობისათვის სტაბილური პირობების შექმნასა და შენარჩუნებაში მდგომარეობს. საოჯახო მეურნეობები ხომ სამუშაო ძალის მწარმოებლები არიან, რომლის უწყვეტი კვლავწარმოება, თავის მხრივ, საზოგადოებრივი წარმოების პროცესის უწყვეტობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

მარეგულირებელი ფუნქცია. საოჯახო მეურნეობების ნორმალური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მისი წევრები ურთიერთგაგებას მიაღწევენ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეკონომიკურ ინტერესთა შეთანხმება საოჯახო მეურნეობების მონაწილეთა შორის მათი რეგულირებით მიიღწევა, რაც განკარგვას დაქვემდებარებული შემოსავლის იმ ნაწილის შესაძლო ცვლილებას ნიშნავს, რაც მოდის მის თვითოეულ წევრზე. აღსანიშნავია ისიც, რომ საოჯახო მეურნეობათა დონეზე ფინანსური ურთიერთობების განვითარების რეგულირება ძირითადად თვითრეგულირების გზით ხდება, რამდენადაც საოჯახო მეურნეობათა ცალკეულ მონაწილეების დამოუკიდებლობა ამ პროცესში არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ.

საოჯახო მეურნეობის ფინანსების მნიშვნელოვანი ფუნქცია საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში არის მისი საინვესტიციო ფუნქცია. მისი არსი იმაში მდგომარეობს რომ საოჯახო მეურნეობა არის ეროვნული ეკონომიკისათვის ფინანსური რესურსების ერთ-ერთი მიმწოდებელი. ამ ფუნქციის შესრულების მატერიალური საფუძველია შემოსავლების ზრდა საოჯახო მეურნეობებში. ხშირად საოჯახო მეურნეობათა საინვესტიციო ფუნქციას მხოლოდ შემოსავლების კაპიტალიზებულ წილთან ანუ სახსრების სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში და რეალურ წარმოებაში დაბანდებასთან აიგივებენ, თუმცა ეს მიდგომა ცალმხრივია. სინამდვილეში მოხმარების წილის ზრდა ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის ხელშემწყობი ფაქტორია. სამომხმარებლო ხარჯების შემცირება, რა ფაქტორითაც არ უნდა იყოს იგი გამოწვეული, ბუნებრივია, აფერხებს წარმოების განვითარებას.

მაკოორდინირებული ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ საოჯახო მეურნეობის ფინანსები გამოდიან ფინანსური სისტემის დამაკავშირებელ რგოლებად, რომლის ფუნქციონირების მიზანია საოჯახო მეურნეობების ცალკეულ მონაწილეთა მოთხოვნების ფინანსური უზრუნველყოფა.

საოჯახო მეურნეობების ფინანსების მიერ შესრულებული ფუნქციები განსაზღვრავენ მისი, როგორც ეროვნული საფინანსო სისტემის შემადგენელი ელემენტის სპეციფიკას. ყველა ეს

ელემენთაგანი გარკვეულწილად გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესზე. ფინანსური სისტემის ყველა სფეროში ფულადი სახსრების ფონდების შექმნისა და გამოყენების პროცესს აქვს თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. საოჯახო მეურნეობების ფინანსების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსური ურთიერთობების ეს სფერო უმნიშვნელო წილით რეგლამენტირდება სახელმწიფოს მიერ. საოჯახო მეურნეობა დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს შემოსავლების წყაროების, ფულადი ფონდების შექმნის საჭიროებებისა და ხერხების, მისი სიდიდისა და მიზნობრივი დანიშნულების, შექმნილი ფონდების გამოყენების შესახებ. სხვა სიტყვებით საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს თითქმის არ გააჩნია საოჯახო მეურნეობათა ფინანსურ ურთიერთობებზე პირდაპირი (ადმინისტრაციული) ზემოქმედების ინსტრუმენტები.

ამასთან სახელმწიფოს უნარი შესწევს ირიბი ზემოქმედება მოახდინოს საოჯახო მეურნეობების ფინანსურ ურთიერთობებზე სხვადასხვა საგადასახადო-საბიუჯეტო მეთოდების გამოყენებით. საოჯახო მეურნეობათა შემოსავლები იქმნება მშპ-ს ღირებულების მრავალჯერადი განაწილებისა და გადანაწილების შედეგად მათი და სახელმწიფო ფინანსური ურთიერთობების რეალიზაციის პროცესში.

ფიზიკური პირების მიერ გადახდილი გადასახადების განაკვეთების გადიდება იწვევს შემოსავლების შემცირებას. მეორეს მხრივ ამ გზით მობილიზებული ფინანსური რესურსები ბიუჯეტის გზით მიდის ჯანდაცვის, განათლების სოციალური უზრუნველყოფის სფეროს დასაფინანსებლად. შედეგად კი იზრდება საოჯახო მეურნეობებში რეალური შემოსავლების დონე.

საოჯახო მეურნეობების ფინანსების მიერ შესრულებული ფუნქციები განსაზღვრავენ მათ მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში, რაც იმაში მდგომარეობს. რომ საოჯახო მეურნეობების ფინანსები უზრუნველყოფს სამუშაო ძალის კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობას, არის საინვესტიციო რესურსების წყარო და ქმნის ეკონომიკურ საფუძველს ეროვნული მეურნეობის აღმავალი განვითარებისათვის.

საოჯახო მეურნეობების, როგორც ქვეყნის ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი რგოლს როლი და მათ მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიმართულებებშიც ვლინდება. მათი, როგორც ეკონომიკური ერთეულების საქმიანობის ძირითადი მიზანია მისი ცალკეული მონაწილეების მოთხოვნათა შედარებით სრულად დაკმაყოფილება. ამ მიზნის მისაღწევად საოჯახო მეურნეობები სხვადასხვა ფინანსურ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომელთა დაჯგუფება შეიძლება ორი მიმართულებით: 1) შემოსავლის წყაროების სტრუქტურისა და სიდიდის ფორმირების გადიდების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები და 2) მომავალი შემოსავლების სტრუქტურის ფორმირების მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილებათა პირველი ჯგუფი გავლენას ახდენს საოჯახო მეურნეობათა შემოსავლების საერთო დონეზე, ხოლო მეორე ჯგუფი - შემოსავლების მოხმარებისა და დაზოგვისათვის განკუთვნილი ნაწილების ფორმირებაზე და ასევე მომავალ პერიოდში საოჯახო მეურნეობების მიერ მისაღები შემოსავლების დონეზე, რომლებიც მიიღება დივიდენდების, პროცენტებისა და ა.შ. სახით. ესაა ფინანსური გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება შემოსავლების მოხმარებული და დაზოგილი ნაწილის სიდიდის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ასევე გადაწყვეტილები შემოსავლების ფინანსურ აქტივებში განთავსებასთან და დამატებითი წყაროების მოზიდვასთან დაკავშირებით.

საოჯახო მეურნეობებში ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი არსებითად განსხვავდება სახელმწიფოს ანდა კომერციული სტრუქტურების, ბიზნეს-ერთეულების სფეროში ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმისაგან. საოჯახო მეურნეობებში მიზნებზე ორიენტირებული ფინანსური გადაწყვეტილებები ფორმალიზებულ პროცესებთან არ არის დაკავშირებული. საოჯახო მეურნეობების მიზნები ხშირად ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე განისაზღვრება. მათ შორის დგინდება მყარი, არაფორმალური კავშირების სისტემა, რომელშიც განისაზღვრება თვითოეული მათგანის როლი, საოჯახო მეურნეობებში არ ადგენენ კონკრეტული ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების გეგმას, რაც ასევე ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების არაფორმალური ხასიათის დასტურია. ეს იმიტომ, რომ საოჯახო მეურნეობებში, სამეურნეო სუბიექტებსა და ბიზნეს ერთეულებში მიღებული ფინანსური გადაწყვეტილების ხასიათისაგან განსხვავებით, ფინანსური გადაწყვეტილებები მიიღება არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური ასპექტების გათვალისწინებით.

საოჯახო მეურნეობები ფინანსურ გადაწყვეტილებებს ღებულობენ სხვადასხვა რისკების გათვალისწინებით. საოჯახო მეურნეობათა ფინანსების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები, მიუხედავად მათი თვალსაჩინო აქტუალობისა, პრაქტიკულად შეუსწავლელი და ეკონომიკურად გამოკვლეულია. საოჯახო მეურნეობების ფინანსების ეკონომიკური რისკი არის იმ სიტუაციების აღმოცენების ალბათობა, რომლის პირობებშიც ეცემა მათი, როგორც ეკონომიკური ერთეულის და ასევე მისი ცალკეული წევრების ცხოვრების დონე. საოჯახო მეურნეობა თავისი ეკონომიკური საქმიანობის პროცესში აწყდება შემდეგ ძირითად რისკებს: 1) შემოსავლების დაკარგვის რისკი; 2) გაუთვალისწინებელი ხარჯების აღმოცენების რისკი; 3) დანაზოგების დაკარგვის რისკი. ამ რისკების გამომწვევი ფაქტორები კი შეიძლება აღმოცენდეს როგორც საოჯახო მეურნეობების შიგნით, ასევე მის გარეთაც. გარე ფაქტორებიდან აღსანიშნავია დამქირავებელი ეკონომიკური სუბიექტის სამეურნეო საქმიანობის გაუარესება, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება, საოჯახო მეურნეობების წევრთა საკუთრებაში არსებული სამეურნეო ბიზნეს-ერთეულების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, დივიდენდური და საპროცენტო შემოსავლების შემცირება და ა.შ. ასევე შემთხვევითი ფაქტორები (ჯანმრთელობის გაუარესება, გარდაცვალება, ქონების დაკარგვა, სტიქიური უბედურება და ა.შ.).

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ საოჯახო მეურნეობების ფინანსებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ეროვნული ეკონომიკის ფინანსურ სისტემაში და მისი გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირების საქმეში დიდ როლს ასრულებს.

სოფლის მეურნეობა

სიმონ ზაქარაია **ონერი ძაძუა**

ბიოსფეროში შექმნილი სიცოცხლისათვის საშიშ პრობლემების არსში დღეს ყველა უნდა ერკვეოდეს, ამავე დროს მის გასაუვნებლად ყველა უნდა ზრუნავდეს

„ცალკეული დეგრადირებული ეკოსისტემების გაჯანსაღება, ხვალინდელი სიცოცხლის გადრჩენის საწინდარია“

თ. დავითაია

საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან დედამიწის უმეტეს ნაწილში ჰაერის გაჭუჭყიანება-გაბინძურეებამ ტოქსიკური აირებითა და სხვადასხვა მიზეზით წარმოქმნილი მტვრის მინარევებით დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა. საუბედუროდ ეს არასასიამოვნო პროცესი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, წლითიწლობით უფრო მწვავდება და ზოგ ქვეყანაში უკვე საგანგაშოდ აღიქმება. მაგალითად, ახლახან დიზელსაწვავის ხმარება ავტომანქანების საექსპლუატაციოდ, როგორც შედარებით უფრო მეტი საფრთხის შემცვლელი, ქალაქ ლონდონში ადმინისტრაციამ ხმარებიდან ამოიღო.

ატმოსფეროს ჰაერის გაჭუჭყიანების მიზეზები მეცნიერებამ ორ ჯგუფად დაჰყო: პირველია ბუნებრივი მოვლენები – მიწისძვრები, ვულკანები, მეწყერები, ქარიშხლები, გვალვები, წყალდიდობები, კოსმიური მტვერი და სხვა. აქვე ცალკე მინდა ავღნიშნო ულტრაისფერი სხივების უარყოფით ზეგავლენის შესახებ ატმოსფეროში მიმდინარე მოვლენებზე. მეცნიერებისათვის ცნობილია, რომ ულტრაისფერი სხივები სინათლესთან ერთად ვრცელდება სამყაროს ყველა მიმართულებით, მაგრამ როცა იგი დედამიწის მიმართულებით სტრატოსფეროს გაივლის (რომლის სიმაღლე 55 კმ) ამ სივრცეში ულტრაისფერი სხივები ჟანგბადის ფენასთან შეხებით წარმოშობენ ოზონის სარტყლის მტკიცე შრეს, რის შემდეგ განთავისუფლებული მზის სხივები აღწევენ დედამიწაზე. მაგრამ ზოგჯერ სხვადასხვა კოსმიური მიზეზების გამო, ულტრაისფერი სხივების გარკვეული ნაწილი მზის სხივებთან ერთად მაინც ხვდება დედამიწაზე, მისი მაღალი კონცენტრაციის დროს ხდება ტემპერატურის ამპლიტუდის მნიშვნელოვანი რყევები, რაც თავის მხრივ ხდება მიზეზი ძლიერი ქარიშხლებისა, ხშირი და უხვი ნალექების, რაც წყალდიდობებს იწვევს.

ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მეორე მიზეზს განეკუთვნება ხელოვნური ანუ მეცნიერული ენით ანთროპოგენური, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის სამეურნეო საქმია-

ნობასთან. ესენია – ნავთობპროდუქტების ტანკერებით გადაზიდვისას მომხდარი დიდი ავარიები, ატომური ელექტროსადგურების ფუნქციური მოშლა, ატმოსფეროს ჰაერში დიდი რაოდენობით მოხვედრილი სამრეწველო ხასიათის ტოქსიკური აირები და მტვერი და სხვა.

...და მაინც ატმოსფეროს ჰაერის გლობალური დაბინძურების უმთავრესი წყაროა ატვტომანქანების, თვითმფრინავების, ტრაქტორების და სხვა სახის ტრანსპორტის შიდაწვის ძრავებში მოხმარებული საწვავის გამონაბოლქვი, მისი მტვერი და ჭვარტლი, რომლის კონცენტრაციამ დღეს ჩვენს გარშემო ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშ ზღვარს მიაღწია.

ამჟამად მთელს მსოფლიოში 400 მილიონზე მეტი მარტო მსუბუქი ავტომანქანაა. ყოველი მანქანა 1000 კმ. მანძილის გავლის დროს წვავს ჟანგბადის იმ რაოდენობას, რომელიც ერთ ადამიანს ერთი წლის განმავლობაში ესაჭიროება. დროის ამ მონაკვეთში მანქანის ძრავი ჰაერში გამოყოფს ერთ ტონამდე შხამიან გაზს ნახშირორჟანგს.

ერთი სიტყვით ატმოსფეროში ტექნიკური აირები ხვდება საავტომობილო ტრანსპორტის შიდაწვის ძრავებიდან გამოდევნილი გამონაბოლქვებისაგან. ძრავში საწვავის მიწოდებისას ატმოსფეროში არაიდეალურად განაწილებული ჟანგბადის ოდნავი ნაკლებობაც კი იწვევს საწვავის არასრულ წვას, რაც გამონაბოლქვის მომწამლავ თვისებებს კიდევ უფრო აქტიურს ხდის. ასეთ გამონაბოლქვებში ნახშირბადის მონოოქსიდები 5-6%დან 12 - % მატულობს. საუბედუროდ, ასეთი აირები სასუნთქ ორგანოებიდან ფილტვებში ხვდება, სადაც იგი სწრაფად უერთდება ჰემოგლობინის შემადგენლობაში შემავალ რკინის იონებს და წარმოიქმნება კარბოქსიჰემოგლობინი, ეს უკანასკნელი აქვეითებს სისხლიდან უჯრედებში ჟანგბადის შეღწევის უნარს, რაც იწვევს მის ნაკლებობას ანუ ჟანგბადის შიმშილს. ორგანიზმში ეს პროცესები ხდება მოწამვლის მიზეზი, რაც ვლინდება გულის რევაში, სუნთქვის გახშირებაში, თავის ტკივილში და სხვა.

რამდენადაც ნავთობპროდუქტები შეიცავენ გოგირდისა და აზოტის შემცველ ნივთიერებებს, მათ წვისას $ჩ_2$ ერთად წარმოიქმნება გოგირდისა და აზოტის ოქსიდები, განსაკუთრებით ძლიერია აზოტის ოქსიდები, რომელიც ადამიანის ორგანიზმში იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის ნაწილობრივ მოშლას, ზოგიერთი ფერმენტის აქტივობის დაქვეითებას, ასთმას და სხვა. ამასთან ერთად ძალიან უარყოფითად მოქმედებს მცენარის ფოთლებში მიმდინარე ფოტოსინთესებზე.

კიდევ უფრო საშიში და დიდი საფრთხის შემცვლელია გაუმართავი ძრავისა და უხარისხო საწვავის არასრული წვივით გამოწვეული გამონაბოლქვები. ეს პროცესები კიდევ უფრო მწვავდება ქალაქებში, ჭარბი ავტომანქანების მოძრაობის დროს, როცა იქმნება ხშირი საცობები. ავტომანქანების სიჩქარის შენელება, ხშირი შეჩერება, ისევ აჩქარებითი სვლა, აორმაგებს საწვავის მიწოდებას, პარალელურად მატულობს გამონაბოლქვების. არასრული წვის გამო უფრო ტოქსიკური ხდება აირები. ასეთ გამონაბოლქვი დაუწვავ ნახშირწყალბადების გარდაქმნით წარმოიქმნება განსაკუთრებით საშიში პოლიციილური არომატული ნახშირწყალბადი ბენზპირენი. ეს უკანასკნელი აღიარებულია, როგორც ავთვისებიოანი სიმსივნის გამომწვევი.

ხშირ შემთხვევაში, როცა ტოქსიკური აირების კონცენტრაცია ჰაერში მატულობს, ამ ნივთიერებების ურთიერთ შერევით, უფრო ძლიერდება მათი მომწავლელი მოქმედება. ასეთი აირების შეერთების პროცესს სინერგია ეწოდება. რაც უფრო საშიში ხდება გარემომცველი ცოცხალი სამყაროსათვის.

ავტომანქანების რაოდენობის განუსაზღვრელი მატება დიდ ქალაქებში, რა თქმა უნდა ავტო-

მატურად ზრდის გამონაბოლქვში ნახშირწყალბადების, აზოტისა და გოგირდის ოქსიდების რაოდენობას, რითაც ძლიერდება მათი ტოქსიკური მოქმედება. ამ პროცესს ქიმიურად სმოგი ეწოდება. სმოგის სიხშირე ადამიანებში იწვევს ნერვულ სტრესს, არის სიკვდილის შემთხვევებიც.

ზემოთ მოყვანილი რთულ ატმოსფერულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ქალაქებში ფაბრიკა-ქარხნების, მასშტაბური წისქვილკომბინატების, მატარებლის მოძრაობისას რკინისა და საცხებ-ზეთების მტვერი და მრავალი სხვ.

უნდა ითქვას, რომ მოყვანილი ფაქტების სიძლიერე, მათი მომაკვდინებელი მოქმედებები უდაოდ დამოკიდებულია საზოგადოების განვითარების დონეზე. რიგ ქვეყნებში შეგნებული აქვთ, მანქანების გამონაბოლქვს ჯანმრთელობისათვის თუ რა სავალალო შედეგის მოტანა შეუძლია, ამიტომ ქალაქებში აუცილებლობის გარდა შაბათსა და კვირა დღეს ქუჩაში მანქანების გამოყვანას ერიდებიან. ხშირია ველოსიპედდებით სარგებლობა.

გულისწყრომას იწვევს ის ფაქტიც, რომ საზღვარგარეთ, თითქმის უმრავლეს ავტომანქანებს ძრავის გარეთ, გამონაბოლქვის მომწავლელი აირების გამწმენდი აპარატები აქვთ დაყენებული. ეს მას ქარხნიდან მოჰყვება, ხოლო საქართველოში ასეთი გამწმენდი თითქმის მოხსნილი აქვთ, ეს აისახება ალბათ ჯანმრთელობის მაღალი და განვითარების დაბალი დონით.

საბოლოოდ იმის თქმა გვინდა, რომ ატმოსფეროს გაბინძურებული ჰაერის გასაუვნებლად, უფრო მეტიც, მის გასაჯანსაღელად ყველაზე ეფექტური საშუალებაა მცენარეთა მწვანე საფარის გაშენება იქ, სადაც ეს არის შესაძლებელი, უნდა დავამატოთ ის ფაქტებიც, რომ დღეს ჩვენი ქალაქები, რაიონული ცენტრები, სოფლის დასახლებული პუნქტები, სკოლები, საავადმყოფოები თუ სხა საზოგადოებრივი ყოფის ადგილები მხოლოდ შესაძლებლობის 30-40%-ით არის გამწვანებული.

მცენარეული საფარის, მათი სახეობების დიდ ეფექტურობაზე შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

თინათინ ხოხობაშვილი

მდინარე დურუჯის მეწყერული და სელურ პროცესების განვითარების გზა

ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების საერთო ღონისძიებაში, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე ეგზოგენურ გეოლოგიური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის სწორი ორგანიზების უზრუნველყოფას.

ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საქართველოს ტერიტორია, რომლის რთული ბუნებრივ-ლანდშაბტური პირობები მეწყრული და სელური პროცესების განვითარების მეტად ხელსაყრელ პროცესს ქმნიან. აღნიშნულის მტკიცებულებას წარმოადგენს. 2015 ეწლს 13 ივნისს საქართველოს ტერიტორიაზე ქ. თბილისში მდინარე ვერეს მეწყერულმა და სელურმა პროცესებმა მიაღწიეს განვითარების ისეთ მაშტაბების, რის მოულოდნელ აქტუვაციას, მოყვა დიდი სტიქიური უბედურება, რამაც იმსხვერპლა ორი ათეული ადამიანის სიცოცხლე, რომ აღარაფერი ვთქვათ საცხოვრებე-

ლი ბინების გრევაზე ასევე, რამდენიმე ასეულობით მილიონ მატერიალურ ზარალზე, ზოოპარკის ცხოველებისა და ფრინველების დახოცვაზე,(რომლებიც წარმოადგენდნენ წითელი ნუსხის სახეობებს). აქედან გამომდინარე მეწყერული და სელური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის სწორი ორგანიზება უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლავთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩემთვის საინტერესო გახლდა გამოგვეკვლივნა აღმოსავლეთ საქართველოს მდინარე დურუჯის დღევანდელი მდგომარეობა, მეწყერული და სელური პროცესების წინააააღმდეგ ბრძოლის გზები.

მდინარე დურუჯი სათავეს იღებს კავკასიონის კალტაზე. არსებობს შავი და თეთრი დურუჯი. შავი დურუჯი იწყება მთა შავი კალთიდან, თეთრი დურუჯი - მთა ნინიკას ციხის სამხრეთ კალთაზე. სიგრძე 27 კმ. აუზის ფართობი 103 კმ.2. მდინარე დურუჯი ძირითადად საზრდოვობს ატმოსფერული ნალექებით. მისი საშუალო წლიური ხარჯი შეადგენს 1,06 მ2/წ.[3.ვიკიპედია].

6. კეცხოველის მონაცემებით საქართველოს მთიანი ზონის, უტყეო და გამეჩხერებული ადგილებიდან ყოველწლიურად წყალს გააქვს 36 მლნ. ტონაზე მეტი ნიადაგი და ქვა-ღორღი. გამომდინარე აქედან, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას [1] , რომ მდინარე დურუჯი ზედა წელის მთიანი ტერიტორიის ორ მესამედზე მეტი მოქცეულია რელიეფის დახრილობის 20-45* საზღვრებში. ადვილი გასაგები გახლავს თუ როგორი კოლოსალური საშვალება ეძლევა მთის მდინარეების უტყეო და გამეჩხერებულ ადგილებში სელმაფორმირებელი კერების შექმნას. საქართველოს მთაგორიანი რელიეფისათვის მეწყერებისა და სელური პროცესების განვითარების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტია: რთული გეოლოგიური აგებულება და დაბალი საინჟირნო-გეოლოგიური თვისებების მქონე ქანების დიდ ფართობზე გავრცელება, ახალგაზრდა ტექტონიკური მოძრაობები, ჰიფსომეტრულ სიმაღლეთა დიდი სხვადასხვაობა და ეროზიული დანაწევრების მაღალი კოეფიციენტი ფიზიკურ-გეოლოგიური ელემენტების დიდი კონსტრატულობა როგორც ვერტიკალურ ზონალობაში, ისევ სივრცობლივ განლაგებაში [2]. და, რაც მთავარია, ამ პროცესების წარმოქმნა-განვითარებაში რთული რელიეფისა და გეოლოგიური პროცესების, ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ბუნებრივ- ლანდშაბტური გარემოს ბალანსირი მდგომარეობის დარღვევა ადამიანის ზედმეტი ჩარევით და მთაგორიანი ტერიტორიების ინტენსიური ათვისება თითქმის ყოველგვარი აგროტექნიკური და საინჟირნო ღონისძიების ჩატარების გარეშე.

ჩვენსმიერ ჩატარებული კვლევეიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მდინარე დურუჯის ანთროპოგენული ჩარევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები ვლინდება: მიდარე დურუჯის, მიმდებარე ტყის მასივების ანთროპოგენული განადგურება, რაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს მეწყერის წარმოქმნას და უხვ ნალექის ჩადინებას მდინარის კალაპოტში. დუ რუჯის ზემო დინებაში პერიოდულად იქმნება ტიპიური სტრუქტურული ღვარცოფი. მთებიდან გამოაქვს კოლოსალური რაოდენობის ტალახად გცეული მყარი მასალა და დიდ საფრთხეს უქმნის ქ. ყვარელს. ასევე გამოვლენილია ანთროპოგენული ზემოქმედებით მდინარის კალაპოტის მკვეთრი შევიწროვება.

მდინარე დურუჯის ზედა წელი 30-35 მ. სიგანეს, სიმაღლე 15- 20 მ. ხოლო მდინარის შუა წელში ზღვის დონიდან 750მ. სიმაღლეზე ვიწროვდება. მისი სიგანე 15-25. სიმაგლე 4-5მ. ქვემო წელი კი ქ. ყვარლის ტერიტორიაზე საგრძნობლად განიერია. მდინარე დურუჯის შუაწელის შევიწროვებამ შესაძლებელია ჩაკეტოს მდინარის კალაპოტი.

ჩატარებული სამუშაოების ბაზაზე შედგენილია თანამედროვე ეგზოგენული გეოლოგიური პროცესების რეგიონალური ხასიათის საინჟინრო-გეოლოგიური რუკები, დადგენილია ამ პროცესების ფორმირებისა და განვითარების ძირითადი უბნები, რომლებიც საჭიროებენ უფრო დეტალურ საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის პროცესების საწინააღმდეგო გადაუდებელი ღონისძიებათა ჩატარებას, რათა თავიდან იქნას აცილებული სტიქიური მოვლენები. (მკითხველს ბოდიშს ვუხდით თეზისის მოკლე სახით წარმოდგენისთვის)

მდინარე დურუჯის მეწყერული და სელური პროცესების განვითარების გზა

რეზიუმე

გამოვიკვლიე აღმოსავლეთ საქართველოს ქ.ყვარლის მდინარე დურუჯის დღევანდელი მდგომარეობა, მეწყერული და სელური პროცესების წინააააღმდეგ ბრძოლის გზები. ჩატარებული სამუშაოების ბაზაზე შედგენილია თანამედროვე ეგზოგენული გეოლოგიური პროცესების რეგიონალური ხასიათის საინჟინრო-გეოლოგიური რუკები, დადგენილია ამ პროცესების ფორმირებისა და განვითარების ძირითადი უბნები, რომლებიც საჭიროებენ უფრო დეტალურ საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის პროცესების საწინააღმდეგო გადაუდებელი ღონისძიებათა ჩატარებას რათა თავიდან იქნას აცილებული სტიქიური მოვლენები.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ბუნების დაცვა VI. მეცნიერება. თბილისი 1979
2. ნ.კეცხოველი. საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი 1960
3. ვიკიპედია.

სამართალი

ლაშა ხარებავა

ქართული სახელმწიფოებრივობას და სამართალს უძველესი ისტორია აქვს

ტრადიციებისაგან განსხვავებით, სამართლებრივი ნორმები თავიდან ზეპირი ფორმით, შემდეგ კი წერილობით წყაროებში ფიქსირდება და სახელმწიფოებრივად სანქციონირებულ, მკაცრად ჩამოყალიბებულ უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს შეზღუდვებსა და აკრძალვებს შეიცავს. სამართლის ძეგლად ღიარებულია "მოსეს სამართალი", რომელიც წარმოადგენს გამონაკრებს "მეორე სჯულიდან".ეს კანონები ჩვენი ეროვნული სამართლის ერთერთი უძველესი წყაროა, ისინი ძველთაგანვე მოქმედებდნენ საქართველოში (ქართული სამართლის წერილობით წყაროებზე ცოტა ქვემოთ გვექნება მსჯელობა).

ისტორიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის თაობაზე. ნაწილი თვლის, რომ სამი ათასი წლის წინათ ქართველი ხალხის შორეულ წინაპრებს უკვე ჰქონდათ სახელმწიფო.

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი პოლიტიკური გაერთიანების სახით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა დიაოხი, რომლის ტერიტორია დღევანდელ ქალაქ არზრუმის მისადგომებამდე ვრცელდებოდა. დიაოხმა თავის პოლიტიკურ სიძლიერეს მიაღწია ქრისტესშობამდე მეთორმეტე საუკუნის ბოლოს და მესოპოტამიის ძლიერ სახელმწიფოს, ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰეგემონის როლში მოგვევლინა.

ქრისტესშობამდე მეექვსე საუკუნეში ვანის ტბის მიდამოებში არსებული ძლიერი ურარტუს სახელმწიფო განადგურდა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულიყო ახალი პოლიტიკური გაერთიანებანი, რადგანაც მაშინდელი საქართველოს მოსახლეობა და მისი მეურნეობა იმდენად იყო დაწინაურებული,რომ სახელმწიფო ორგანიზაციისთვის საჭირო ნიადაგი უკვე არსებობდა. ძველ ბერძნულ წყაროებში აღწერილია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული კოლხეთის სამეფო, რომელიც ვრცელდებოდა აფხაზეთიდან სამხრეთისაკენ შავი ზღვის გასწვრივ.მის ტერიტორიაზე მდებარეობდა ქალაქები ტრაპიზონი და კერასუნტი, ჩრდილოეთით მდებარე ქალაქები ფასიდი,დიოსკურია და პიტიუნტი. კოლხეთის დედაქალაქი იყი აია, რომელიც მდინარე ფაზისზე იყო გაშენებული.

ბერძნული წყაროები დასავლეთ საქართველოს კოლხეთად მოიხსენებს, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა მას ეგრესს უწოდებდა.,კოლხეთის სამეფო კულტურულად და პოლიტიკურად დაწინაურებული ქვეყანაა. ამას ადასტურებს ვანსა და საქარრველოს სხვა ადგილებში ნაპოვნი არქეოლოგიური მასალები.

კოლხეთის სხვა ქვეყნებთან კავშირურთიერთობაზე, მის გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე მიუთითებს ბერძნული ახალშენების არსებობა შავი ზღვის სანაპიროზე. ჩვ . წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნიდან ამ ახალშენთა დაარსების ძირითადი მიზანი სავაჭრო ურთიერთობა

იყო, რითაც ორივე მხარე დიდ სარგებლობას იღებდა. სიმდიდრის დაგროვება ხელს უწყობდა საირიგაციო სისტემის განვითარებას, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებელი პირობა იყო. მაშინდელი ქალაქები პიტიუნტი (ბიჭვინთა- გაგრის ტერიტორიაზე), დიოსკურია(სოხუმის მახლობლად), ფაზისი (ფოთის მახლობლად), ტრაპიზონი,გინეოსი(ოჩამჩირე) კარგად გამაგრებული და მარმალილოსაგან ნაშენი შენობებით აღინიშნება. ქვეყნის სიძლიერეზე ლაპარაკობს საკუთარი ფულის, "კოლხური თეთრის" არსებობა, ხარისა და ქალღმერთის გამოსახულებით, რომელიც სხვადასხვა ზომისა იყო. ზემოთ დასახელებული ქალაქი- პოლისების გარდა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ასევე ადგილობრივი ქალაქური ტიპის დასახლებები (პოლიტიკური ერთეულები). მაგალითად, ვანი და დაბლაგომი, კუტაია ანუ ქუთაისი.

იმ დროის ამსახველი წყაროების ანალიზი იძლევა საშუალებას, დავასკვნათ,რომ სოციალურად, ქონებრივად კოლხეთის საზოგადოება უთანასწორო იყო. მაშინდელ სამარხებში ვხვდებით ძალიან მდიდრდბს, საშუალო და ღარიბ საფლავებს.

ამ პერიოდში ძალას იკრებს აქემენიდების (სპარსელების) სახელმწიფო, რომელმაც თითქმის მთელი ამიერკავკასია დაიმორჩილა, დაპყრობილი ტერიტორიები ოლქებად იყო დანაწილებული. მეცხრამეტე ოლქში შედიოდნენ მათ მიერ დაპყრობილი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრები მესხები,ტიბარენები, მოსინიკური და სხვა ტომები, რაც შეეხება კოლხებს, მათ სხვა დაპყრობილ ხალხთან ერთად ხარკი იკისრეს სპარსელების სასარგებლოდ და ხუთ წელიწადში ერთხელ ტყვეებსაც უგზავნიდნენ. ჰეროდოტეს მონაცემებით, სპარსელები დაპყრობილ ქვეყნებს ხარკს ართმევდნენ, ძირითადად ოქრო- ვერცხლს,კოლხები დამპყრობლებთან ურთიერთობას ახალგაზრდების გაგზავნით აწესრიგებდნენ (ას გოგოს და ას ბიჭს). მკვლევარები სამართლიანად აყენებენ ეჭვის ქვეშ კოლხების ამ მოქმედებას, რადგანაც ოქროთი მდიდარ ისეთ ქვეყანაში,როგორიც კოლხეთი იყო, რატომ მიმართავდნენ ხარკის ამ განსაკუთრებულ სახეს? რამდენიმე არგუმენტთან ერთად, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ერთიც:

კოლხებს ახასიათებენ ძალიან მამაც,ახოვან და ფიზიკურად სრულქმნილ ხალხად და არ არის გამორიცხული,რომ ამის მიზეზი ესეც იყოს, ე.ი. "სხვათა ჯიშის გასაკეთილშობილებლად". ძვ წელთაღრიცხვით 400 წელს ბერძენმა სარდალმა და მწერალმა ქსენოფონტემ თავისი თვალით ნახა და აღწერა სამხრეთ-ქართული თემების, ხალიბების, მოსინიკების,ტაოხებისა და სხვათა ყოფაცხოვრება. მიუხედავად ავბედობისა,მისი აღწერიდან კარგად ჩანს სურსათ- სანოვაგის, საქონლის, სასოფლო-სამეურნეო და საბრძოლო იარაღების სიმრავლე.

ამ ქვეყნებში ქონებრივი უთანასწორობა აშკარა იყო. მდიდარი მშობლების შვილები ძალიან გამოირჩეოდნენ ღარიბებისაგან. ამ თემებს ჰყავდათ თავიანთი მთავრები, რომლებიც კოშკებში ცხოვრობდნენ და მათ შეიარაღებული ადამიანები იცავდნენ. ქსენოფონტეს ცნობით, კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი გულადი მეომრები არიან, თავისუფლებისმოყვარე და ამაყი ადამიანები,ქალი და კაცი ერთად იცავენ საკუთარ მიწას.

მსგავსად კოლხეთისა,აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაშიც მოხდა ქონებრივი და სოციალრი უთანასწორობის გაღრმავების პროცესი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია უამრავი სარწმუნო მასალა, რომლებიც მიუთითებენ ღრმა ქონებრივ უთანასწორობაზე. სამარხებში ნაპოვნი ნივთები მეტყველებენ დაწინაურებულ კულტურასა და ხელოვნებაზე. ამ დასკვნების გაკეთების უფლებას გვაძლევენ ქსნის ხეობაში სოფ. საძეგურთან აღმოჩენი-

ლი სამარხები. ანალოგიური სამარხები აღმოჩენილია ყაზბეგში და სოფ. წინწყაროსთან, უკანასკნელ პერიოდში ბოლნისსა და დმანისში.

ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მიწაწყალზე არსებული დიდი ტომობრივი გაერთიანებები. ისინი უპირისპირდებოდნენ როგორც ერთმანეთს, ისე მეზობლად მცხოვრებ ტომებსაც. შესაძლებელია, ადგილობრივი გაერთიანებების(პოლიტიკური) ურთიერთქიშპობით ისარგებლა სამხრეთ-დასავლეთის ქართულმა გაერთიანებამ, რომელმაც დაიმორჩილა ისინი და ცენტრალიზებული ხელისუფლების ცენტრად აქცია ბუნებრივად, სტრატეგიულად და ეკონომიკურად ერთ-ერთი ძალზე მოსახერხებელი პუნქტი მცხეთა,— აღნიშნულია ქართლის ცხოვრებაში. სტრაბონის "გეოგრაფიიდან" ცნობილია, რომ ქ.შ.მდე 1 საუკუნეში მცხეთაში მოდიოდა გზები სომხეთიდან და ალვანეთიდან, ხოლო მცხეთიდან გადიოდა გზა ჩრდილოეთ კავკასიასა (არაგვისა და დარიალის ხეობების გავლით) და დასავლეთ კოლხეთისაკენ. ამ გაერთიანებებში წამყვან როლს თამაშობდა მცხეთა,რომელიც თავისი სტრატეგიული მდებარეობით ბუნებრივი ციხე- სიმაგრე იყო.

ქართლის სამეფოს დამაარსებლად, გადმოცემით მოიაზრება ფარნავაზი,რმელსაც ქართლის მიწიდან განუდევნია უცხოელი დამპყრობლები ქუჯი ეგრისელის აქტიური დახმარებითა და თანადგომით. "ქართლის ცხოვრაბის" ერთ-ერთი პირველი ავტორის ლეონტი მროველის მიერ გადმოცემულ ქუჯის წერილში ფარნავაზისადმი (ქ.შ.მდე მეოთხე საუკუნე) ჩანს ქართულეროვნული ცნობიერების მაღალი დონე და პოლიტიკური სიმწიფე, რაც დღესაც მისაბაძია.

უცხო დამპყრობლებმა გააუქმეს მცხეთის მამასახლისობა, ამოხოცეს მთელი საგვარეულო. ფარნავაზს მცხეთის მამასახლისის შემთხვევით გადარჩენილ მემკვიდრეს, მიეცა საშუალება, შეეკრიბა ჯარი და დაეწყო ბრძოლა ქვეყნის გათავისუფლებისათვის,მაგრამ მის ძალის ხმევას შედეგი არ მოჰყვებოდა, თუ ამ ბრძოლაში დასავლეთ საქართველოს მაშინდელი მმართველი ქუჯი ეგრისელი მხარში არ ამოუდგებოდა. მას თხოვნით მიმართა ფარნავაზმა და ქუჯის პასუხმაც არ დააყოვნა: "მე შენთან ვარ მთელი ჩემი ჯარით ამ მძიმე ჟამს და შენ იყავ მეფე, მე კი შენი მსახური,ოღონდ კი ქვეყანა იყოს ბედნიერი".

აზონის დაცემისა და ფარნავაზის გამეფების შემდეგ ფარნავაზმა "დაი თვისი მისცა ქუჯის ცოლად". "და მისცა ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა ერისთავად მუნ"

განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს ძველი ქართული საისტორიო წყაროები, კერძოდ, ქართლის სამეფოს წარმოშობის, ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეების სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ლეონტი მროველისეული ვარიანტი.

ლეონტი მროველი, რუისის ეპისკოპოსი, ფრიად განათლებული საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მწიგნობარი,ისტორიკოსი მე-11 საუკუნეში მოღვაწეობდა. იყო საერო, საისტორიო, საეკლესიო და აპოკრიფული მწერლობის ჩინებული მცოდნე, კარგად ფლობდა ბერძნულსა და სპარსულ ენებს.

ლეონტი მროველის თეორიით, ქართველები წარმომავლობით ბიბლიურ მამამთავრებს ენათესავებიან, მათი მამამთავარი იყო თარგამოსი, შვილი თარშისა,შვილიშვილი იაფეტისა. იაფეტი, სემი და ქამი ნოეს შვილები იყვნენ. თარგამოსს ჰყავდა შვილები: ჰაოს, ქართლოს, მოვაკან, ლეკოს, ჰეროს, კავკასოს, ეგროს. თარგამოსის თითოეული შვილიშვილი კავკასიის სხვა-

დასხვა ხალხის ეთნარქი იყო. ქართლოსი საქართველოში დამკვიდრდა. მას ჰყავდა ხუთი შვილი: მცხეთოს, გარდაბოს, კახოს, კუხოს და გაჩიოს.

ლეონტი მროველის მოსაზრებებს არ იზიარებს დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი. თავის შრომებში: "ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები", და "საქართველოს სახელმწიფო და სოციალური წყობილება",იგი წერს, რომ ლეონტი მროველის თეორიით მეფობის წარმოშობის შესახებ საქართველოში ისე გამოდის, რომ უკვე ქართველთა პირველი მამამთავარი ქართლოსი იყო თავისი ძმების "გამგე და უფალი" დამ ის მემკვიდრეთა ყოველ თაობაში უხუცესი შვილი უზენაესი უფლებით სარგებლობდა. მხოლოდ როდესაც მცხეთოსი გარდაიცვალა და მის მაგიერ მისი უფროსი ძე,უფლოსი უნდა გამეფებულიყო, მას აღარ დაემორჩილნენ და დაიწყო არეულობა. ამ დროს, ლეონტი მროველის სიტყვით, ქართლში მოისპო მეფის ხელისუფლება. უმეფობა გაგრძელდა ვითომც ფარნავაზამდე, რომელმაც მეფის ხელისუფლება კვლავ აღადგინა და საქართველოში მტკიცე სახელმწიფო წეს-წყობილება შექმნა".ივანე ჯავახისვილის აზრით,ეს თეორია და სქემა, რომელსაც ლეონტი მროველი გვთავაზობს, თითქოს მეფობა დასაწყისთაგანი დაწესებულება ყოფილა, ერთ ცოლქმრიანი ოჯახის საფუძველზეა აღმოცენებული და პირმშოობისა და მემკვიდრეობის კანონზე დამყარებული. იგი სინამდვილის ანარეკლს კი არ წარმოადგენს, არამედ იმ დროს აღმოსავლეთში გაბატონებული თეორიების მიხედვით არის ლ. მროველისაგან შეთხზული დაყ ალბ ეფრემ ასურის თხზულების " განძთა ქვაბის" მიმბაძველობას წარმოადგენს.

ქართულ სახელმწიფოებრიობას და სამართალს უძველესი ისტორია აქვს, ბუნებრივია, პარალელურად იქმნებოდა ქართული სამართლებრივი კულტურა, რომლის შესწავლითაც დაინტერესებული იყო არა ერთი უცხოელი მკვლევარი, მათ შორის ი.კარსტი, დარესტი, ფ.ჰოლდაკი, მ. კოვალსკი და სხვები, რომლებმაც შეისწავლეს და შესაბამისი შეფასება მისცეს სხვადასხვა პერიოდის ქართულ სამართლებრივ კულტურას.

სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ზრუნვა სამართლებრივი კულტურისა და ცოდნის ამაღლებისათვის სკოლიდან უნდა დაიწყოს, გაგრძელდეს უმაღლეს სასწავლებლებსა და მოსახლეობაში. მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდოიბა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასა და მრავალგვარ სამართლებრივ ურთიერთობაში , ამიტომ სახელმწიფოსა და სამართლის ძირითადი ცნებების ათვისება, სამართლის ამა თუ იმ დარგით ახალგაზრდობისთვის დადგენილ უფლება- მოვალეობათა შინაარსში გარკვევა ხელს შეუწყობს ყოველმხრივ განვითარებულ პიროვნებად მათ ჩამოყალიბებას, პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებასა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავებას . ასევე მნიშვნელოვანია ზრუნვა მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, რადგანაც საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ძირითადად კერძო ინიციატივასა და ავტონომიურობის საფუძვლებს ემყარება, საზოგადეობის მხრივ მაღალი სამართლებრივი კულტურის გამოვლენას მოითხოვს. საზოგადოების თითოეულმა წევრმა უნდა იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობები სახელმწიფოსა და სამართლებრივ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივებში.

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა

რამდენიმე თეორემა ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების განშლადობის შესახებ

ვთქვათ, R არის ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე, რომელზეც განსაზღვრულია 2π პერიოდული ფუნქცია $f: R \to R$. დავუშვათ $f \in L[-\pi;\pi]$, მაშინ f ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივს აქვს სახე:

$$f \sim \frac{a_0}{2} + \sum_{n=1}^{\infty}(a_n cosnt + b_n sinnt),$$

ხოლო მის შეუღლებულ ტრიგონომეტრიულ მწკრივს ექნება სახე:

$$f \sim \sum_{n=1}^{\infty}(-b_n cosnt + a_n sinnt),$$

სადაც,

$$a_k = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(t) cosktdt, \; b_k = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(t) sinktdt. \quad k \in N.$$

მაშინ ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივის კერძო ჯამს ექნება სახე:

$$S_m(t; f) = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(y+t) D_m(y) dt,$$

სადაც

$$D_m(y) = \frac{1}{2} + cosy + \cdots + cosmy = \frac{sin\left(m+\frac{1}{2}\right)y}{\frac{2\sin y}{2}},$$

რომელსაც დირეხლეს ბირთვი ეწოდება.

$\{\chi_m(t)\}_{m=1}^{\infty}$ -ით ავღნიშნოთ ორთონორმირებული ჰაარის სისტემა, სადაც $t \in [0;1]$.

ჰაარმა დაამტკიცა, რომ თუ $f(t) \in L[0;1]$, მაშინ ფურიე-ჰაარის მწკრივი

$$\sum_{m=1}^{\infty} a_m(f)\chi_m(t),$$

კრებადია თითქმის ყველგან $[0;1]$ შუალედზე $f(t)$ ფუნქციისკენ, სადაც

$$a_m(f) = \int_0^1 f(y)\chi_m(y)dy$$

მტკიცდება შემდეგი

ლემა 1. არსებობს 2π-პერიოდული $\{\varphi_n(t)\}_{n=1}^{\infty}$ ფუნქციათა მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:

1.ფუნქცია $\varphi_n(t) \geq 0$, როცა $t \in [0; 2\pi]$, ხოლო ინტეგრალი

$$\int_0^{2\pi} \varphi_n(t)dt = 2 \qquad (n = 1,2, \dots);$$

2. $\varphi_n(t)$ ფუნქცია $[0; 2\pi]$ შუალედში გააჩნია შემოსაზღვრული ვარიაცია.

3. ყოველ $\varphi_n(t)$ ფუნქციისთვის შეიძლება შერჩეულ იქნას ისეთი დადებითი რიცხვი M_n , სიმრავლე $E_n \subset [0; 2\pi]$ და q_n მთელი რიცხვი ისეთი, რომ

$$\lim_{n\to\infty} M_n = \infty; \ \lim_{n\to\infty} mes\, E_n = 2\pi$$

ყოველი t წერტილისთვის E_n სიმრავლეში არსებობს $p_n(t)$ ნომერი ისეთი , რომ

$p_n(t) \leq p_n$ და $\left|S_{p_n(t)}(t, \varphi_n)\right| > M_n \qquad (n = 1, 2, \dots),$

სადაც $S_p(t, \varphi_n)$- ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამია.

ამ ლემის საფუძველზე მტკიცდება

თეორემა1. (ა.კოლმოგოროვ) არსებობს $\Phi(t) \in L(0; 2\pi)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი განშლადია თითქმის ყველგან.

თეორემა 2. არსებობს

$$\sum_{m=1}^{\infty} a_m \chi_m(t) \text{, სადაც } \sum_{m=1}^{\infty} a_m^2 < \infty$$

მწკრივი, რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ -ზე.

თეორემა 3. $L^2(0,1)$ სივრცეში, ნებისმიერი $\{f_i\}_{i=1}^{\infty}$ ბაზისისთვის არსებობს $F \in L^2(0,1)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს მწკრივი

$$F(t) = \sum_{k=1}^{\infty} \alpha_k f_k(t) \quad (\alpha_k = (F, \psi_k)),$$

რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ -ზე. სადაც $\{\psi_k\}$, არის $\{f_k\}$ სისტემის შეუღლებული სისტემა.

ლიტერატურა

- П. Л. Ульянов А. Н. Колмогоров и расходящиеся ряд Фурье Успех матю наук. т.38 вып. 4(232) 1983 г.
- Л. В. Жижиашвили некоторые вопросы теории тригонометрических рядов Фурье и их сопряженных Издательство Тбилисского университета 1993г.

ხელოვნება

რეზო ადამია მხატვარი-პროზაიკოსი



ტოლერანტობა – შემწყნარებლობა

ყოველი სრულყოფილი რელიგია ატარებს კოსმიურ უხილავსა და მაღალ ზნეობრივ წმიდათა წმიდა სულიერ სიმდიდრეს, რათა მათი სამყაროს უმთავრესი უფლისმიერი ჭეშმარიტებაა ჩაქსოვილი, რომელიც ზეცის შორეული საგანძურიდანაა გადმოსული. დროთა ჯამში კაცობრიობის რელიგიებმა თუ რამე ცვილებები მიიღეს ისევ სამყაროს უმდიდრესი წესრიგიდან იქნება მოწოდებული და არა ადამიანებისაგან. ამრიგად ქვეყნიერების ნებისმიერი რელიგია კაცობრიობას მოძღვრავს ზეციურის საერთო სიკეთეს და სიყვარულს აქედან გამომდინარე ჩვენ-ჩვენი კანონიკური ალალმართალი სარწმუნოებანი უნდა შევისისხლხორცოთ უნაკლოდ...

უსასრულო კოსმოსის მმართველმა ძალამ უფალმა, ადამის მოდგმის გაჩენის დღიდან ადამიანებს თანდათანობით შეაგნებინა რწმენა ღმერთისა და წარმოშვა რელიგიური აზროვნებათა მარადიული სივრცე, რომელიც სიკეთის სიყვარულის ურთიერთ დანდობის უფლისმიერი სულიერი და გონებრივი აზროვნების ზეინტელექტ ჭეშმარიტების სრული შეგნების წყაროა.



სურათზე მარჯვნიდან საუკუნის უდიდესი ბალერინა ნინო ანანიაშვილი და მხატვარ-პროზაიკოსი, რეზო ემელიანე ადამია.

2015 წელი 12 თებერვალი, პაატა ბურჭულაძის საიუბილეო დღეებში ჩამოსული იყო დიდი ფრანგი მსახიობი ალენ დელონი. იუბილარმა გენიალურ მსახიობს საჩუქრად გადასცა რეზო ადამიას მიერ 2014 წელს შესრულებული თეთრი მთავარანგელოზის „მიქაელის“ ხატი. ალენ დელონის მაღალი აღფრთოვანება და სიხარული ფოტოზეა აღბეჭდილი.

ეშმაკი დროის უსარულობიდან მოდევნებული უკიდეგანოდ ბოროტებას თესს და მის მიერ გადაბირებული ადამიანების უსუსრი გონებით და სასტიკი ხელით უთვალავჯერ სისხლის მორევში აცურავა პლანეტა ჩვენი, მოსპო მრავალი ცივილიზაცია და უნიჭიერესი ერნი. ის ისევ განაგრძნობს ჩვენ უწყინარ პლანეტაზე ტანჯვის მომგვრელ ქმედებებს...

ამით კოსმიური უკეთილშობილესი სივრცე უთუოდ გაკვირვებული და შეწუხებულია...

ზეციურმა კეთილმა ძალამ ყოველი ერის და სარწმნოების აღმასარებელი, ნათესაურად შეგვაკავშიროს და ურთიერთ დნდობის, თანადგომის, ღვთიური გაგების, სივყვარულისა და მიტევების გზით გაგვაერთიანოს ნებისმიერი რელიგიური ინდივიდუალობის შენარჩუნებით.

საკუთარი რელიგიურს სიყვარულისა და მორჩილობითი ტოლფასოვნობით, პატივი მივაგოთ ყველა სხვა სარწმუნოებას და ავიცდინოთ საშინელი ეშმაკისეული ბოროტების ქვეყნიერების დამღუპველი გზა რათა ზეციურად ვალდებულნი ვართ, სამყაროს ზნეობიდან გამომდინარე დავასვენოთ დედამიწა ადმიანთა სისხლის უწყვეტი ნაკადებისაგან. მომავალი საუკუნეები უახლესი მესამე ათასწლეულის ჩათვლით ჩამოვაყალიბოთ ღვთიურ-კოსმიურ ჭეშმარიტებათა ნათელ ეპოქებად. დაახოლებით ამ ფორმის ზნეობისაკენ მიგვითითებს ჩვენი ჭეშმარიტებისაკენ მავალი შეხსენებისა და მოწოდების სურათი „ტოლერანტობა“ (შემწყნარებლობა) რათა თანაბრად პატივი ვცეთ სამყაროს წესრიგ კანონისაგან ბოძებულ ადამიანთა მხსნელ რელიგიებს...

ჟანა ხვიჩია

თექაზე შესრულებული ხელთქმნილებები



გიორგი ნოქარიშვილი

სოფიკო ხერკელაძე

დაიბადა 1984 წლის 4 აგვისტოს. ქალაქ თბილისში მხატვრების ოჯახში.
2001 წელს დაამთავრა 192-ე საშუალო სკოლა.
1997 წლიდან, 2001 წლამდის სწავლობდა სამხატვრო ლიცეუმში.
2001 წელს „თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მისაღებ გამოცდაზე ჩაირიცხა უმაღლესი ქულებით.
2002 წელს მოიპოვა მხატვარ დავით ციციშვილის სახელობის სტიპენდია.
2005 წელს გახდა, საქართველოს პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიანტი.
2007 წელს, წარჩინებით, წითელ დიპლომზე დაასრულა სწავლა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მისი სადიპლომო ნამუშევრის თემა იყო „ტანსაცმელის ფორმისა და ფერის ჰარმონიულობა ადამიანის სხეულზე“.
2007 წელს, მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის სახელობის გალერეა „მუზა“-ში, გამართულ გამოფენაში. ტანსაცმელის ჩვენება, როგორც ქართული ბრენდი.
2008 წელს გახდა, თბილისში იტალიის საელჩოს სტიპენდიანტი
2009 წელს, სამაგისტრო მისაღები გამოცდები ჩაატარა იტალიის ქალაქ მილანის, ბრერას სამხატვრო აკადემიაში.
2012 წლიდან არჩეულია ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად.
2013 წელს დაამთავრა და დიპლომი დაიცვა ქალაქ მილანის ბრერას სამხატვრო აკადემიაში.
მისი სადიპლომო თემა იყო „გეომეტრიული ფორმების განვითარება მოდის სამყაროში“.
ბრერას სამხატვრო აკადემიის, კომისიის წევრების აკადემიური შეფასებით, სოფიკო ხერკელაძის სადიპლომო ნამუშევარმა მიიღო 110 უმაღლესი ქულა, ანუ (ლოდე)
კომისიის წევრები
1 – ლიბერატორე – **ფრანჩესკა** - პროფესორი
2 – მაურიციო – **კავეცალე** - პროფესორი
3 – ლივიო – **კრისპოლეტი** - პროფესორი
3 – ნანიე – **სტრადა** – პროფესორი
2013 წელს სოფიკო ხერკელაძემ ქალაქ მილანში დიზაინერთა გამართულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა, სადაც I ადგილი მოიპოვა.

„მშვიდობა მსოფლიოს“. 2013

შორენა ზაქუტაშვილი

ესპანეთი
პაეია

„პაეია“ ასე ჰქვია ესპანურ საფირმო ტრადიციუიულ კერძს (რომლის სახელის დამახსოვრებაც თავდაპირველად ყველა ჩამოსულს უჭირს).მისი წარმომავლობა ვალენსიიდან მოდის.მისი ძირითადი ინგრედიენტებია ბრინჯი და ზღვის პროდუქტები; ლოკოკინები,კრევეტი და მრავალი სხვა, მზადდება ტაფაზე და სახელიც აქედან მოდის, პაეიერა ტაფას ნიშნავს. მიუხედავად იმისა რომ საინტერესოდ გამოიყურება ვინც პირველად გასინჯავს ან შეუყვარდება და ან აგარ გაეკარება,რადგან სპეციფიური ზღვის პროდუქტების გემო აქვს. ესპანელებისთვის პაეია ისეა როგორც ჩვენთვის ხინკალი, ასე რომ თუ ვინმეს არ მოეწონება მათთვის შეურაცჰყოფის დონეზეა, როგორც ჩვენთან ხინკლის სახლები ასევე მათთანაც არსებობს სპეციალური პაეიის სახლები, სადაც ამზადებენ სხვადასხვა ინგრედიენტებით,აფორმებენ მრავალფეროვნად და მიმზიდველად,ასევე აწყობენ პაეიის დღეებს,სადაც უზარმაზარი ტაფის გარშემო მონდომებით ტრიალებენ მზარეულები რათა შთაბეჭდილებები მოახდინონ ტურისტებზე და არა მარტო ტურისტებზე. ეს მართლაც საიტერესოა.

გაგა გულიაშვილი

ჩვენ გაგვაჩინა მაღალმა ღმერთმა

საკუთარ ტექსტზე შექმნილი სიმღერების ჩამონათვალი: „იმერეთო ჩემო ღმერთო“, „მოდის ახალი წელი“, „დიდება უფალო შენდა“, „ჰიმნი კალვათაზე“, „ჩვენ ვართ ასეთი, სწორედ ასეთი როგორსაც გვხვედავთ, მაგრამ ჩვენ ყველა გაგვაჩინა მაღალმა ღმერთმა“ (საქართველოს ყრუთა კავშირი საჩხერის ფილიალი დღის ცენტრისათვის შექმნილი სპეციალური ჰიმნი. იგი შესრულდა საპატრიარქოში და დაგვლოცა უწმინდესმა და უნეტარესმა).

ტექსტის ავტორია მაია თოდაძე, მუსიკა გაგა გულიაშვილისა, ცენტრის დირექტორია ქალბატონი თამარ ზაბახიძე. ეს სიმღერა შესრულდა აკაკის საიუბილეო დღესთან მიძღვნილ კონცერტზე, სადაც საქართველოს მთავრობა, სასულიერო პირები და უამრავი სტუმარი ესწრებოდა.



ფიზკულტურა და სპორტი

ჯუმბერ ლეჟავას „ჯანმრთელობის ფორმულა“

ჯუმბერ ლეჟავას მიერ შემუშავებული
ჯანმრთელი ცხოვრების წესი — წოლბჯენიდან
მკლავებზე აზიდვების მეთოდიკა

ბოლო ხანებში მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ჯანმრთელი ცხოვრების წესს. ძალიან ბევრი ფიქრობს, გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა, **მაგრამ ბევრს კიდევ ჰგონია, რომ იგი ამას ვერ შეძლებს, რადგან უჭირს ცხოვრებისეულ „სიკეთესთან“ - სიგარეტთან, ნარკოტიკებთან, ლოთობასთან, სიზარმაცესთან განშორება.**

აქამდე გავრცელებული იყო აზრი, რომ თუ გინდა იყო ჯანმრთელი, უნდა ივარჯიშო აერობიკით, იარო ფიტნეს კლუბში, ირბინო ძუნძულით (ჯოგინგი), იცურაო, შეიძინო სპეციალური სავარჯიშო ტრენაჟორები და სხვ.

უპირველესად, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვაზე და მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღებისათვის უნდა იზრუნოს სახელმწიფომ. მან უნდა იფიქროს ნებისმიერი დასახლებული პუნქტის ჰიგიენურ მდგომარეობაზე, პარკების სიმრავლეზე, ჭარბი და მავნე გამონაბოლქვის აკრძალვაზე, ლოთებისა და ნარკომანების მკაცრ აღრიცხვაზე და მათ სათანადო მკურნალობაზე, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე თამბაქოს მწეველთა მიმართ.

ძალზე საშურია, რომ სახელმწიფომ ლოკალურ ტერიტორიებზე (დაბა, სოფელი, ქალაქი) შექმნას გზების ისეთი სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება ველოსიპედების უსაფრთხო გადაადგილება, რაც, ხელს შეუწყობს მათ მასობრივ გამოყენებას და ჯანმრთელი ცხოვრების წესის ერთ — ერთი სახის — ველოსიპედის გამოყენების დანერგვას.

ვფიქრობ, საგზაო კანონში ველოსიპედით მოსიარულეთათვის აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს უსაფრთხო მოძრაობის შესაბამისი წესები.

ახლა შევეხოთ აერობიკის, ფიტნესის, ჯოგინგისა და ცურვის კლუბებში ვარჯიშებს. რათქმაუნდა ამ კლუბებში ვარჯიში ადამიანს მოუტანს ჯანმრთელობას, მაგრამ ეს გარკვეულ პრობლემებსაც წარმოქმნის, კერძოდ, სატრანსპორტო, ადგილმდებარეობით, ფინანსურ, აღჭურვილობით უხერხულობებს და ა.შ. გარდა ზოგადად ჩამოთვლილი პრობლემებისა ჩნდება სხვა, მთელი რიგი სიძნელეები - კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილი ვარჯიშები გათვლილია საკმაოდ გაწელილ დროზე და ყოველივე ქმნის ნერვულ ატმოსფეროს, რადგან ბევრი ადამიანი, თავისი ბუნებით მაქსიმალისტია და მიაჩნია, რომ შედეგის მიღწევისათვის საკმარისია მცირე დრო. ამ შემთხვევაში მთავარია ფიზიკური მდგომარეობის არამოჩვენებითი გაუმჯობესება, არამედ რეალური შედეგის დაფიქსირება, რაც მხოლოდ ხალისიანი, ბიოლოგიურად გათვლილი ვარჯიშის დროს მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კლუბებში ვარჯიში, უმეტეს შემთხვევაში ხელმისაწვდომია მცირე რაოდენობის, მატერიალურად შეძლებული ოჯახებისათვის ან პირებისათვის, რომლებსაც თავისუფალი დროის დიდი მარაგიც აქვთ, რაც, ცხადია, გამორიცხავს, ჯანმრთელი ცხოვრების წესის“ მასობრივ ხასიათს.

მითითებული მასობრივი ხასიათი თითქოს ტრენაჟორების ინდივიდუალურად შეძენის ხარჯზეც შეიძლება, მაგრამ ესეც, თქმა არ უნდა, კვლავაც და კვლავაც შესაბამის ხარჯებთან და სათანადო თავისუფალ ფართთანაცაა დაკავშირებული, რისი შესაძლებლობა ბევრს არ გააჩნია.

რაც შეეხება ჩამოთვლილ ვარჯიშთა ცალკეულ სახეობებს, მაგალითად ჯოგინგს (ძუნძულს), ესეც ყოველთვის არ მიგვაღწევინებს სასურველ შედეგს, რადგან ბევრს ძუნძულით ვარჯიშისას არა აქვს ბუნებრივი გარემო პირობები, ვგულისხმობთ ელემენტალურ სუფთა ჰაერს, რომელიც ნაკლებადაა ახორხლილ კორპუსთა გარემოცვაში. სპეციალურ სუფთა ჰაერიან გარემოში მოხვედრისათვის კი საჭიროა თავისუფალი დრო და სპეციალური ტრანსპორტი. ზემო ხსენებული და სხვა პრობლემები ახლავს აერო იკით ხალხის მასობრივ დასაქმებასაც, კერძოდ, სპეციალური სავარჯიშო ადგილის უქონლობა, მუსიკალური ცენტრების სიმცირე და ა.შ.

ჩემი მიზანი იყო, მომეხსნა ცხოვრებისეული ფაქტორებით წარმოქმნილი ყველა ზემოთ ნახსენები პრობლემები და მომეძებნა ისეთი ვარჯიში, რომლის გამოყენებასაც შეძლებდა ყველა მსურველი სქესისა და ასაკის მიუხედავად. გააზრებული მეცადინეობის შედეგად, დარწმუნებული ვარ, მივაგენი ფიზიკური გაჯანსაღების უნივერსალურ საშუალებას, რაშიც მეთოდიკის წაკითხვისას დარწმუნდებით.

***

ჯანმრთელი ცხოვრების წესი გიცავთ თქვენ ექიმებთან ხშირი ვიზიტისაგან და გიგრძელებთ სიცოცხლის ხანგრძლივობას. რატომღაც ამაზე ბევრი გვიან იწყებს ფიქრს. ჩემი რჩევაა, ჯანმრთელობის დაცვა მუდამ გახსოვდეთ. ჯანმრთელობა და ადამიანის სულიერი და ფიზიკური სილამაზე გარკვეულწილად ურთიერთკავშირშია. ცხოვრების ამგვარი წესის შემადგენელი ნაწილებია: **სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიშები, დროული ძილი, სუფთა წყალი და სუფთა ჰაერი.** ფიზიკურ ვარჯიშად შევარჩიე წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვები, რაც თქვენ დაგიცავთ ზედმეტი წონისაგან, გაგიმაგრებთ კუნთებს, გექნებათ მოხდენილი სხეული და შინაგანი ორგანოების გაჯანსაღებითა და ხშირ შემთხვევაში განკურნვით გახდებით ჯანმრთელი.

წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის ჩემს მიერ შემუშავებული მეთოდიკა — უდაოა, დაეხმარება ნებისმიერი სქესის, ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური კონდიციის მქონე ადამიანს ჯანმრთელობის განმტკიცებაში და სხეულის სრულყოფაში.

მკლავებზე აზიდვებში, პირადად, დამყარებული მაქვს მსოფლიოსა და გინესის 14 რეკორდი. ველოსიპედით მარტოდმარტომ ვიმოგზაურე მსოფლიოს 238 ქვეყანაში, ყველგან მქონდა საჩვენებელი გამოსვლები არამარტო მასობრივი თავშეყრის ადგილებში (პარკები, სკვერები, პორტები, აეროპორტები, სტადიონები და ა.შ.), არამედ სხვადასხვა დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, სკოლებში, სპორტულ ორგანიზაციებში და სხვა. ყველგან დიდი გამოხმაურება მქონდა. ამის შესახებ წერდა მსოფლიო პრესა და გადასცემდა თითქმის ყველა ქვეყნის ნაციონალური ტელევიზია.

ქალისა და მამაკაცის დატვირთვები განსხვავებულია. ორივე სქესი მიილტვის ჯამრთელობისკენ, სხეულისა და მასის სრულყოფისაკენ. ჭარბწონიანმა დღეში ერთხელ მაინც უნდა **ივარჯიშოს გადაღლამდე**. ნორმალური მასისამ და გამხდარმა კი დღე- ში ერთხელ მაინც, **დაღლამდე**. (ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს **„გადაღლამდე, დაღლამდე"; გადაღლა ნიშნავს — ძლიერ გაოფლიანებას**, ხოლო **დაღლამდე — ნიშნავს ორგანიზ მის კარგად გახურებას**). თითოეულმა მოვარჯიშემ ყოველდღიურად ყურადღება უნდა მიაქციოს გულის ნორმალურ მუშაობას, პულსის რაოდენობას და დააკვირდეს არტერიული და თავის ქალას შიდა წნევებს. ბავშვების ვარჯიში უნდა აკონტროლოს მშობელმა. მამრობითი და მდედრობითი სქესის ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის აზიდვების რაოდენობები ინდივიდუალურია.

ვარჯიშის დაწყების წინ უნდა ვხედავდეთ მიზანს. ეს არის **წონის დარეგულირება**, **სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა, სხეულის სრულყოფა,** ადამიანის შინაგანი ორგანოებისა და მეფური დაავადებების განკურნვა. უწყვეტი ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად მივიღებთ სამივე (ჯანმრთელობის შეძენა, სხეულის სრულყოფა, სხვადასხვა შინაგანი ორგანოების განკურნვა) შედეგს. ვინაიდან ადამიანს ბევრი ფაქტორი უშლის ხელს სისტემატიური ვარჯიშისათვის, მაინც გამოვყოფ მათში ერთს**. ეს არის სიზარმაცე**. ამიტომ თავდაპირველად ადამიანების ასეთმა ჯგუფმა სიზარმაცის დასაძლევად უნდა გამოიმუშაოს ნებისყოფა. ნებისყოფის გამომუშავებას სჭირდება ისეთივე ვარჯიში, როგორც აზიდვების ვარჯიშს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გონიერება და ნებისყოფა არის მიზნის მიღწევის საფუძველი. გონიერებაში ვგულისხმობ მიღწეულის სწორ ანალიზს, რათა დატვირთვები ვცვალოთ ანალიზის შესაბამისად.

სამივე ჯგუფის ვარჯიშის შესრულებისათვის, როგორც აღვნიშნე, დიდი მნიშვნელობა აქვს **ნებისყოფის გამომუშავებას**. თუ ჩვენ ვისწავლით სურვილის მიღწევისათვის მოქმედების მართვას, ჩვენ მივაღწევთ ყველაფერს. ეს ნიშნავს წინააღმდეგობისგან თავის დაღწევას, როცა კი არ უნდა წარმოიქმნას ის. ჩვენს შემთხვევაში ნებისყოფის გამომუშავებისათვის წინააღმდეგობას წარმოადგენს სისტემურად მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის შესრულება. ასეთი წინააღმდეგობა თავიდან უნდა დავძლიოთ დღეში ნ-რაოდენობაჯერ — ყოველდღე, ყოველ კვი რა და შეიძლება ყოველ თვეც. ასეთი შრომით თქვენ დაიწყებთ ვარ ჯიშების სურვილით და არა იძულებით შესრულებას, რაც ნიშნავს, რომ **თქვენ იძულებითი შრომით გამოიმუშაოთ ნებისყოფა, სურვილით ვარჯიშების შესრულებისათვის**, რაც ვარჯიშს ბევრად ეფექტურს ხდის ჯანმრთელობისათვის და საერთოდ დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამის შემდეგ თქვენი ლექსიკონიდან საერთოდ შეგიძლიათ ამოიღოთ "მე ამის გაკეთება არ შემიძლია", რაც არის საფუძველთა საფუძველი ნებისმიერ საქმეში წარმატების მიღწევისათვის. მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის ეფექტურობისათვის სამივე ჯგუფის

სურვილისათვის **უნდა დავიცვათ რაოდენობრივი მცირედი მატების პრინციპი. ეს ნიშნავს, - დღეს ნუ აიზიდებით შესაძლებლობის მაქსიმუმით. დღეს აიზიდე საშუალო რაოდენობით და ყოველდღე აზიდვების რაოდენობას უმატეთ თითო-თითო აზიდვა. ასეთი პრინციპით მიდგომა მოგცემთ სასურველ ჯანმრთელობას და მიზნის სრულად მიღწევის საშუალებას. ე.ი. მასას, ფორმას და ჯანმრთელობას. გირჩევთ, ყოველთვის მკლავებზე აიზიდოთ იმდენჯერ, რომ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ თქვენ თქვათ: „ვგრძნობ თავს ძალიან კარგად, შემიძლია მეტჯერაც ავიზიდო, მზად ვარ უფრო რთული რეჟიმებით აზიდვებისთვისაც**“. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ გაზარდოთ სერიაში ერთჯერადი აზიდვების რიცხვი.

ვარჯიშის დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გარდა სხეულის სრულყოფისა, უნდა მივაღწიოთ ჯანმრთელობასაც, ამიტომ იგი უნდა შევასრულოთ ყოველთვის სურვილით და სწორად. კონტროლის გამძაფრება გამოწვეულია იმითაც, რომ გული მუშაობს დატვირთვის არაბუნებრივ რეჟიმში. ეს პროცესი მიმდინარეობს გარკვეული დროით, რისგამოც იგი განსაკუთრებულად იტვირთება. ამიტომ ყოველთვის უნდა ვიფიქროთ და ვაკონტროლოთ, რომ არ გადავღალოთ იგი. გადაღლის შემთხვევაში შეიძლება ეს ვარჯიში გახდეს დაავადების მიზეზი. ამას კი იწვევს ვარჯიშის იძულებითი შესრულება. თუკი არ იჩქარებთ და არ მოინდომებთ მოკლე დროში რაოდენობრივად ბევრი აზიდვის შესრულებას და აზიდვებს შეასრულებთ მხოლოდ სიამოვნებამდე, მაშინ მიიღებთ სასურველ შედეგს.

სანამ ვარჯიშს დაიწყებდეთ ყურადღება უნდა მიაქციოთ სავარჯიშო ადგილს და გარემოს. ვარჯიშის დროს ადგილი უნდა იყოს მკვრივგრუნტიანი, ხოლო ჭარბი

რაოდენობის სუფთაჰაერიან ოთახში.

რომ ვივარჯიშოთ, აუცილებელია გავაღოთ ფანჯარა ან კარები, ან სულაც, უნდა ვივარჯიშოთ ჰაერზე. საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ არ ვივარჯიშოთ ხალიჩით დაფარულ იატაკზე, რადგანაც იგი ყოველთვის შეიცავს მტვერს და მიმართული ღრმა ჩასუნთქვის დროს მტვერი ადვილად ხვდება ჩვენს ფილტვებში. რაც შეეხება მკვრივ გრუნტიან სავარჯიშო ადგილს, სასურველია იგი ვარჯიშის წინ მოვწმინდოთ სველი ტილოთი. კარგია თუკი სასუნთქ ზედაპირზე დავაგებთ პატარა ტილოს ან დავდებთ პატარა ფიცარს.

ვარჯიშისათვის მზადებას ვიწყებთ გაღვიძებისთანავე. ვიღვიძებთ ერთი და იგივე დროს. ეს უნდა დაარეგულიროთ დილის საქმიანობის დაწყების დროის მიხედვით.

გაღვიძების შემდეგ გვახსოვდეს, რომ ვარჯიშის დროს უნდა ვისუნთქოთ პირით, მაჯების, იდაყვებისა და მხრების მოძრაობის ტემპის მიხედვით. ვისვენებთ 5 წუთს და გავიაზრებთ დღის სამუშაო გეგმას.

ნორჩი ათინათელების თვალით დანახული ცნობილი ადამიანები

ანანო ხუჭუა
ქ. სამტრედიის № 11 საჯარო
სკოლის V-გ კლასის მოსწავლე

ინტერვიუ ბატონ რეზო მიშველაძესთან

მოგესალმებით ბატონო რეზო, მე გახლავართ , ანანო ხუჭუა, ქ. სამტრედიის № 11 საჯარო სკოლის (დირექტორი ლენა ხაჟალია) V-გ კლასის(დამრიგებელი ლალი პირტახია) მოსწავლე და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა

მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი.

– ბატონო რეზო, თქვენ ახლახან გამოუშვით 25 ტომი პროზაული ნაწარმოებების, რამდენი წელი მუშაობდით ამ უნიკალური ტომების შექმნაზე?

ალბად მთელი სიცოცხლე, სხვათაშორის მწერლის მუშაობა, რაიმე სტრატეგიულ გეგმას არ ემორჩილება, შეიძლება ერთ წელიწადში დაწერო ძალიან ბევრი და მერე ორი და სამი წელი ვერ შეძლო გადააჭარბო აი იმ ერთი წლის ლიტერატურულ ნამუშევარს. ეს, ანანო, გოლგოთისებური სამუშაოა, გითხრა სიმართლე, მე ახლაც ვმუშაობ, ამ წუთში, რომ მოხვედი შენ, პატარა გოგო , ჩემთან და მე შეკითხვებს მაძლევ, შეიძლება ეს ჩემს რომელიმე ნოველაში გაკრთეს ერთ-ერთ პარაჟად, ასე რომ რაც წერა დავიწყე, და ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ. მე ისეთი ხნიერი ვარ, რომ მეშინია ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ 75 წლის გავხდებოდი, წერა კი დავიწყე არც მეტი, არც ნაკლები 15 წლის ასაკში. ე.ი. ჩემი 60 წლის ნაწვალებ-ნაჯახირები არის ის 25 ტომი, რომელიც დევს ახლა , ჩემი მკითხველის თაროზე. სულ მეშინია, რომ ძალიან ხომ არ შევაწუხე ჩემი საქართველო ამდენი წიგნით.

– 2015 წელს, თბილისში, ექვსი აკადემია გაერთიანდა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაატარეს თქვენი იუბილე, კმაყოფილი დარჩით თუ გაქვს რაიმე შენიშვნები?

როცა საკუთარ იუბილეს გიტარებენ, ადამიანები შეწუხდებიან, გაირჯებიან,

მე ვიცი, ეს რასთან არის დაკავშირებული, მე თვითონ სხვების უამრავი შემოქმედებითი საღამო და იუბილე ჩამიტარებია ჯერ დარბაზის შოვნა, მერე გამომსვლელების მოძიება, მერე რაც ასევე არანაკლებ მთავარია, დამსწრეთა შეგროვება. მე უდიდეს პატივისცემად მივიღე და სულ მგონია იმ დიდებული ადამიანების ვალს ვერ გადავიხდი. მოგახსენებთ ექვს გაერთიანებულ აკადემიაზე, როგორც თქვენ თქვით, რომლებმაც ამხელა პატივი დამდეს, განსაკუთრებით ორი მთავარი ფიგურა ჩანდა აი , ამ ჩემი იუბილის კალმანზე როგორც ინიციატორი და როგორც

მტავარი მოქმედი გმირი -ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, ჩემი ძვირფასი მეგობარი, დიდებული პოეტი და საზოგადო მოღვაწე. მის ჟურნალზე როცა გინდათ ცალკე ვილაპარაკოთ, თუ გნებავთ დღესაც და ასეთივე ძალიან ღვაწლმოსილი კაცი საქართველოსთვის ბატონი ნუგზარ ნადარაია, აი ესენი შეებნენ უღელში ჩემს იუბილეს და ძალიან კარგად ჩაატარეს.

– რამდენიმე თვის შემდეგ რუსთაველის თეატრში თქვენ საპატივცემულოდ განმეორებით ჩატარდა თქვენი იუბილე, რომელიც მოიცავდა თქვენს განვლილ ცხოვრებასა და დღევანდელობას. რითი იყო განსხვავებული წინა ღონისძიებისაგან და რას იტყვით ამის შესახებ?

ჯერ განსხვავებული იმით იყო, რომ ვორონცოვის დარბაზში ანუ საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში, ეს პირველი იუბილე, ჩაატარა ექვსმა აკადემიამ, რაც შეეხება რუსთაველის თეატრში ჩატარებულ იუბილეს, რომელიც 10 ივლისს გაიმართა იგი ჩატარდა მწერალთა კავშირის, კულტურის სამინისტროს და თბილისის მერიის ინიციატივით, აი ეს განსხვავება იყო , მეორე განსხვავება კი ის იყო,რომ პირველად უჩვენეს ამ იუბილეზე ერთსაათიანი ფილმი „რევაზ მიშველაძე“. ეს ფილმი გადაიღო ძალიან კარგმა რეჟისორმა კახა კახაბრიშვილმა. სცენარის ავტორი იყო ასევე ჩემი მეგობარი , დიდებული პოეტი ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. რა თქმა უნდა,მე ორივე იუბილით აღფრთოვანებული ვარ .ვისარგებლებ შემთხვევით და ანანო, ახლა, შენ რომ გელაპარაკები, აქედანაც , მადლობას მოვახსენებ ორივე იუბილის ორგანიზატორებს, ღმერთმა გადამახდევინოს მათი პატივისცემა.

– თქვენი ესეები იბეჭდება ჟურნალ „ ათინათში“, პასუხობს თუ არა ეს ჟურნალი დღევანდელ მოთხოვნებს?

ეს მართლა არის შესანიშნავი თემა, იმიტომ, რომ ჩვენ ხანდახან პატივს არ მივაგებთ ხოლმე, ლიტერატურის ორგანიზატორებს, აი, ჩვენ უფრო მხატვრულ ნაწარმოებზე ვამახვილებთ ყურადღებას და ახლა, ესეც აღარ არის,იმიტომ, რომ ლიტერატურული კრიტიკა არ არსებობს, მოკვდა. რაც შეეხება „ათინათს“, მე,როცა შეიქმნა იგი და შექმნა ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა, იმ სათავეებთან ვიდექი. ამ ჟურნალის დაბადებას ვუსურვე დიდი შემოქმედებითი გზა.

თვითონ „ათინათის“ სახელის დარქმევაშიც, მივიღე მონაწილეობა ძალიან კარგი სახელია, ისეთი ალტერაციულია ხალხმა აიტაცა და ხშირად იმეორებენ ათინათი, ათინათი...აქაც გულნაზისთან ერთად, პატარა მონაწილეობა მაქვს მიღებული. რაც შეეხება თვითონ ჟურნალს, დრო ჩვენი, ანანო, ძალიან მკაცრი დროა ლიტერატურის მიმართ, შენ შეიძლება არ იცი, მაგრამ გაუგულგრილდა მკითხველი მწერლობას. წიგნები თითქმის აღარ იყიდება ჟურნალების ტირაჟი კატასტროფულად დაეცა და ასევე გაზეთებიც. განსაკუთრებით ლიტერატურული პრესის

და რაც ჩემთვის ძალიან გულსატკენი გახლავთ ის იყო, რომ ახალგაზრდებმა წაიყრუეს ლიტერატურის მიმართ. აი, შენ, მოხვედი ჩემთან და სულ შიშით შეგცქერი თვალებში, ეს აქ მოიყვანა მისმა მამიდამ და ბიძამ, ჩამოუწერეს ეს შეკითხვები ფურცელზე თუ თვითონ აქვთ ჩემირამე წაკითხული მეთქი და მოვალეობას კი არ იხდის , მართლა აინტერესებს რეზო ბიძიასამ ნოველაში რა ვიგულისხმე, ეს როდის დავწერე. წინა ორ შეკითხვაში შენ გამოამჟღავნე, რომ იცი სად მოხვედი , რომ მე ვარ პროზაიკოსი რეზო მიშველაძე და მაქვს 25 ტომი დაწერილი, ბევრმა ესეც არ იცის, თითქოს ძალიან პოპულარული მწერალი ვარ , მაგრამ ქუჩაში რომ გახვიდე და ამ კომპიუტერით გაბრუებულ ახალგაზრდებს ჰკითხო რეზო მიშველაძე ვინ არისო, ზოგმა შეიძლება თვალებში შემოგხედოს და პირდაპირ გითხრას ფეხბურთელიაო ან პოლიტიკოსიაო და ასე შემდეგ. გულნაზი ხარაიშვილმა იპოვა გზა მწერალთა და მკითხველთა გაერთიანებისა. თუ მკითხველმა არ გადაშალა ჟურნალი შენ წერე და იკითხე რამდენიც გინდა მარტო მწერალმა. ბავშვმა ისიც უნდა ნახოს, ნეტავი მე ხომ არ ვარ შიგა, ნეტა, მე რომ პატარა დღიური გავგზავნე რედაქციაში, დაბეჭდა გულნაზი დეიდამ? მე, ხშირად მიწევს ყოფნა, ხან სკოლებში, ხან რაიონებში ვარ,ხოლმე სტუმარი. შევალ სკოლაში ,მაგიდაზე ჟურნალი „ათინათი“ დევს, შევალ რომელიმე საკრებულოში მაგიდაზე ისევ „ათინათია“, ამასწინათ ვიყავი ხაშურში იქ, ვაჟა შუბითიძეა საკრებულოს თავმჯდომარე და დავინახე მის მაგიდაზე „ათინათი“ იდო, გამეხარდა, მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ ანანო, გულნაზ ხარაიშვილმა დიდი საქმე გააკეთა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მან რეფორმა მოახდინა ქართული ლიტერატურის პერიოდიკაში. შექმნა ჟურნალი ყველა თაობის წასაკითხი, როცა ცოცხალია ჟურნალი და ცოცხალ პროცესს ასახავს, სრულიად ბუნებრივია სხვადასხვა დამოკიდებულება ლიტერატურისადმი, მაგრამ მე ყველაფერი მომწონს, რაც „ათინათში“ იბეჭდება, მივესალმები და ყველანაირად ვეცდები, რომ სული ვუბერო ამ კარგ ჟურნალს. მადლობელი ვარ, ჩემი ძვირფასი მეგობრის ქალბატონი გულნაზის.

– 2015 წელს 25 ტომის შემდეგ, თქვენ გამოუშვით ახალი წიგნი: „აწ და მარადის“. თქვენს წინა სიტყვაში ასე წერთ: „მაპატიოს მკითხველმა, რომ ჯეჯჯერობით მე, 75 წლის კაცი, ვერც იმის პირობას ვიძლევი მეტს აღარ ვიზავ მეთქი“, ანუ კიდევ გაქვთ წიგნი გამოსაცემი?

იცინის, შენ წარმოიდგინე ჯერჯერობით არ დავჩაჩანაკებულვარ, დაჩაჩანაკებას ვეძახი მე მეხსიერება რომ გაგიფუჭდება, რომ შთაგონება აღარ გწყალობს და ნელ-ნელა ესეც კარგი თვისებაა. ზოგიერთ მოხუცს ესეც არ გააჩნია წერის ???იშტაზე მოდის ღრმა სიბერეში, გავსებული მაქვს უჯრები 75 წელს გადაცილებული და 80 წელს მიტანებული „ახალგაზრდა“ პოეტების და პროზაიკოსების ნაწარმოებებით. შე კაი კაცო, 30 წელი ვერ წერდი ვერაფერს და რა შეატყვე შენს თავს, რომ მაინცდამაინც 80 წლისა დაწერ ლექსს. მინდა გითხრა სიმართლე, საწერი მაქვს უამრავი, ჩემი უბის წიგნაკი სავსეა სიუჟეტებით, ჩვენი ცხოვრება ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაძლევს თემას, სიუჟეტს, საბაბს, რომ გაცდენად არ ვთვლი შენს მოსვლას ჩემო ანანო, პირიქით, ძალიან მიხარია, რომ გაგიცანი ასეთი პატარა და ლამაზი გოგო, თორე ისე, ყოველთვის ვერიდები ტელეფონზე პასუხს, ყოველთვის ვერიდები არასაჭირო შეხვედრებზე წასვლას, გინდა ჩემი იყოს, გინდა სხვისი, დელიკატურ უარს ვეუბნები. ახლა, რატომღაც არ ვიცი, ენაცვალოს ჩემი თავი სუყველას, მაგრამ გამოსცემს პატარა წიგნს და პრეზენტაციის გამართვა უნდა, არც მეტი არც ნაკლები ოპერის თეატრში, გაუთავებელი ზარი, ბატონო რეზო, ხომ მოხვალთ, ბატონო რეზო ხომ მოხვალთო. მე ვინ ოხერი ვარ, რომ არ მივიდე მაგრამ, გულში კი სადღაც მეთანაბ-

რება, ჯერ დაამტკიცე შე კაი ადამიანო, რომ მწერალი ხარ, ჯერ მკითხველმა გაგიცნოს, პირდაპირ პრეზენტაციებით და შეხვედრებით ნუვიწყებთ მეთქი. ეს, ისე ჩინოვნიკმა, მწერლების თავკაცმა გაჟონა ჩემს პასუხში, ვზივარ, ვწერ ნოველებს და ვერც კი გავიგე იმ 25 ტომის შემდეგ ეს პირველი წიგნია, გაჩუქებ ამას მერე შენ, არც ერთი ეს ნოველა არ არის შეტანილი ჩემს 25 ტომში. ახლაც, რამდენიმე ნოველა დაუმთავრებელი მაგიდაზე მიდევს. ერთი დავამთავრე და გამოვაქვეყნებ იმ ნოველას ჰქვია „ბოლო ღამე." დიდხანს მაწვალებდა ეს სიუჟეტი და დავწერე. აი ახლა, საქართველოს ბედი მაწუხებს ძალიან და გაკრთება ჩემს ნოველებში ეს დვრიტა ქვეყნის გასაჭირის აღწერისას. თემა არ მაქვსო, ხანდახან რომ შემომჩივლებს ახალგაზრდა მწერალი, მეცინება ხოლმე... გადი სახლიდან და ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდები თემას, თემა არ არის ლიტერატურისთვის, დაანგრია ვერემ ყველაფრი, სანამ გონზე მოვიდოდა დაბნეული ხელისუფლება, „აბა რითი ვუშველოთ, აბა წყალწაღებული სახლი, კარი, ყველაფერიო..." გამოვიდა 40 000 ახალგაზრდა, ჩემი სტუდენტები, თქვენი ამხანაგები, ზოგი სკოლის მოსწავლეები დადგნენ ხელები, მაჯები წყალში,ჭუჭყში ჰქონდათ ამოსვრილი.. დილიდან- საღამომდე უჭმელები მუშაობდნენ.. ეს გმირობაა.. იმ ერთ ბავშვზე რომ დაწერო, რომელიც მივიდა იქ და თავის გარდაცვლილ ამხანაგს დაეძებდა, ან რომ დაწერო იმაზე, რომ ზოოპარკიდან გაქცეული დათვი, რომლის ბელებიც წყალმა წაიღო და თვითონაც წყალმა წაიღო, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა და დანგრეულ კედელზე ჩაჭიდებული დგას და ჩასცქერის ამ სტიქიას, მოდის წყალი, რომელიც მოანგრევს ყველაფერს.. დათვი ჩასცქერის, ამ დროს გაისმა სროლის ხმა, ესროლეს.. მე არ ვიცი ვინ იყო ლიკვიდატორი, პოლიციელი თუ ზოოპარკის თანამშრომელი.. რა იყო შე კაი კაცო, რა საჩქარო იყო მისი მოკვლა?! მე ისე შემეცოდა ის დათვი, რომელიც ჩასცქეროდა წყალს, გული შემეკუმშა, როცა დააგდო ტყვიამ ძირს, ადამიანური პოზიციიდან გეუბნები, ანანო, განა მხეცი მხეცი არ არის?! მაგრამ იქნებ თქმა იმისა, რომ უკანასკნელი ღონე ვიხმაროთ, რომ ის დათვი როგორმე თავის ვოილერში შევაბრუნოთ და ნუ ვიჩქარებთ მის მოკვლას, ეს ქადაგება საჭიროა ჩვენი გაციებული საზოგადოებისთვის.. ჩვენ გულგრლები გავხდით ერთმანეთის მიმართ, მე ხანდახან გაოცებული ვარ ისე გულგრილად ჩაუვლიან მათხოვარს, რომელსაც ცალი ხელი არ აქვს, ცალი ფეხი არ აქვს.. ქუდი უდევს წინ და მოწყალებას თხოულობს, ზოგი ისე უხეშად მიმართავს: „- აღარ გამოილიეთ, ხომ მოგეცით გუშინ?!" და ყვირილს უწყებს მათხოვარს.. ღმერთმა უფრო შემბრალე გახადოს საზოგადოება. მე სანამ პირში სული მიდგას სულ ვიქადაგებ ადამიანთა სიყვარულს, სათნოებას, შველას გაჭირვებულთა მიმართ, ესაა ბაბუ მწერლის საქმე. შენ წერ რამეს?

– მე უფრო სკოლაში, თავისუფალ თემებს ვწერ, ასევე მიყვარს ჩანახატების წერაც.

ქართულში ვისი ნაწარმოებები ისწავლე? მარკ ტვენის ტომ სოიერი

ქართველის?

იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებები, აკაკი წერეთელი..

დიდებულია მარკ ტვენი, მაგრამ შენ ქართველი მწერალი უნდა შეაყვარო ბავშვს და მაინც, მაინც ტომ სოიერის შეყვარებით იწყებ? კი ეს გაურიე უფრო მაღალ კლასში ფრთხილად, მაგრამ, ჯერ ბავშვის აზროვნება დაამკვიდრე თანამედროვე ქართულ მწერლობაზე, ჩვენ დიდებული ქართული მწერლობა გვაქვს, რატომღაც ჰგონიათ, რომ უფრო ნაკლებად იმოქმედებს კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის და თუ გნებავთ ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება მოზარდის ფსიქიკაზე ვიდრე ტომ სოიერის თავგადასავალი.

– ბატონო რეზო, როგორც გავიგე თქვენი ყველაზე ახლო მეგობარი ბატონი სოსო სიგუა არის, რას იტყვით მის შესახებ?

მე ცხოვრებაში ბევრი მეგობარი მყავდა, ისე ბევრი არა, რომ ხელის თითებზე ვერ დაეტიოს არ ვარ ის კაცი, რომელიც ცხოვრებაში მეგობრებს შეიძენს, კარგავს და მეგობრების ძებნაშია, მე მეგობრებს არასოდეს არ ვეძებ, იმიტომ, რომ მეგობრობა ძალიან სათუთი რამ არის, შეიძლება უცებ მეგობარმა გული გატკინოს და მერე მთელი ცხოვრების მანძილზე სანანებელი გაგიხდეს. ადამიანს რომელსაც შენი მეგობრობა ანდე მთელი ცხოვრების მანძილზე დიდი ტვირთი აქვს და შენც მის მიმართ განსაკუთრებული ერთგულება, განსაკუთრებული სიფაქიზე, განსაკუთრებული თუ გნებავთ მომთხოვნელობა გაკავშირებს. აი ვინ იყვნენ ჩემი მეგობრები: შოთა ნიშნიანიძე, ლევან სანიკიძე, ზაურ ბოლქვაძე, გურამ ფანჯიკიძე, მორის ფოცხიშვილი, რეზო ჩხეიძე, სოსო ბუხაიძე და გივი გამსახურდია. ახლა, ესენი ყველა, ვინც ჩამოვთვალე წავიდნენ ცხოვებიდან და მე 75 წლის კაცი თითქოს წყალდიდობის მერე მესერზე შერჩენილი დავრჩი. ჩემს მეგობრად ცოცხალთა შორის ეს არის სოსო სიგუა, მაყვალა გონაშვილი, მურმან თავდიშვილი, თეიმურაზ ლანჩავა, ავთანდილ ნიკოლაიშვილი, ნუგზარ ნადარაია, ოთარ ჭუმბურიძე, მურმან ჯგუბურია, გულნაზ ხარაიშვილი, იგორ კვესელავა ნომადი ბართაია. აი, ესენია დღეს ჩემი მეგობრები. მე არ მინდა წრე გავზარდო მეგობრების თორემ სხვების დასახელებაც შეიძლება. მეგობარი ის არის ვისაც შენს სიცოცხლეს ანდობ, სულს ანდობ, მისგან ყოველთვის ჰქრის თანადგომის, სიყვარულის და ერთგულების ნიავი, რომელმაც იცის შენი ფასი და შენ იცი მისი ფასი. ერთ-ერთი გამორჩეული მათ შორის ჩემი სოსოა. მეგობრის მიმართ მადლობას არ ამბობენ ხოლმე, მეოგბრობა ვალდებულებაა, მაგრამ მე აღფრთოვენებული ვარ იმ წერილებით, რაც სოსოს დაუწერია ჩემზე.

– თქვენ დიდი მწერალი ხართ, ამავე დროს ძალიან კეთილი, ხომ ვერ გაიხსენებთ თქვენგან გაკეთებულ რაიმე სიკეთეს?

ჩემგან გაკეთებული სიკეთეების ჩამოთვლა მეტიჩრობად არ ჩამეთვალოს, კაცი იმისათვის არის გაჩენილი ამ ქვეყანაზე, რომ თუ საშუალება გაქვს სიკეთე უნდა აკეთო, სულ სანანებლად დაგრჩებათ ცხოვრებაში, იცოდე, ანანო, შენ დიდი ცხოვრება გელის, რატომ არ გაუწოდე ხელი ამ კაცს როცა უჭირდა, რატომ ვერ გამოვიჩინე ის ყურადღება რასაც ის ჩემგან ითხოვდა. შოთა ნიშნიანიძეს ერთი ლექსი აქვს დაწერილი სულ პატარა უყურადღებობაზე. ერთი ლოთი ძმაკაცი მოვიდა ჩემთანო, ჭუჭრუტანაში გავიხედეო და შამპანიურის ბოთლი უჭირავს ხელში, არადა ვზივარ ვმუშაობო და თამრიკოს, ჩემ ცოლს ვუთხარი, უთხარი რომ არ ვარ სახლშიო, გააღო თამრიკომ კარი და არ არის შოთაო, მიუგო სტუმარს, კარგი გადაეცით ვენაცვალე ჩემს შოთას მე იგი ძალიან მიყვარს, მინდოდა მასთან ახლა ერთი ჭიქა ღვინო დამელიაო, ჩემი საფიცარი შოთა, ჩემი საყვარელი შოთაო, ასეთი ბუტბუტით ჩაიარა კიბე. ამის მერე ხუთი წელი გავიდა შოთა წერს ლექსში და დღესაც მახსოვსო.. შენთან მოსული ერთგულება ბოთლით ხელში შენ უკან როგორ გააბრუნე რაღაც ერთი ჭირიანი ლექსის გულისთვის, როგორ არ გაუღე კარი. ამიტომ მე იქიდან დავიწყებ, რომ ჩემთვის არ არსებობს ტელეფონის არ აღება, ტელეფონზე არ პასუხი, ადამიანი მწერალთა კავშირში მოდის და დღეს ვერ მიგიღებ, ხვალ მოდის თქმა, ღმერთმა დამიფაროს კაცი რიგში როგორ ჩავაყენო, მე ვინ ოხერი ვარ კაცო, მოდი თუ რამე შემიძლია როგორ დაგზარდები, სადაც გინდა იქ დაგირეკავ, რა მიმართვასაც გინდა, რა ქაღალდზეც გინდა, რაც ჩემს უფლებებში შედის როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარისა. ძალიან დიდი ტვირ-

თია ცხოვრება ანანო და ძალიან მძიმე ტვირთია, ზოგს უმართლებს, ზოგს არა. რამდენი ნიჭიერი ადამიანი ვიცი მთელი ცხოვრების მანძილზე ჩრდილში მირჩენილი რომ არის და რამდენი ნარკომანი ვიცი თავს რომ წინ წევს ყელყელაობს და იძახის მე, მე და თავის ნაწერებს გააგზავნის, ქვემოთ რომ მიაწერს ამისა და ამის ლაურეატი, ამისა და ამის.... რად უნდა ლექსს ტიტული რაში სჭირდება, თუ კარგი ლექსია ისედაც წავიკითხავ და ტიტულს მერე მე თვითონ ვიტყვი შენსას. რა ტიტული ჰქონდა ტერენტი გრანელს ახლა რომ ვაღმერთებთ?! ღმერთმა არც იმის ნიჭი მისცა, რომ თავისი თავი ვინმეზე წინ დაეყენებინა, ეძებნა რაღაც შეხვედრები, აუდიტორიები, აბა პრეზენტაციები და აბა პრემიები. ტერენტი გრანელმა თავისი მძიმე წუთისოფელი გალია ისე, რომ მთელი დაფასება, დღეს, რომ ჟურნალისტები უკუგებას ეძახით არ მიუღია, აბა ახლა ნახე, ერთადერთი ლექსი თუ აქვს ახალგაზრდა მკითხველს თავის უბის წიგნაკში ამოწერილი, ტერენტი გრანელისაა, აი ასე იზრდება დღითიდღე მისი პოპულარობა. ისე, როგორ გითხრათ, კი წერენ სხვები ჩემ სიკეთეებზე, ხანდახან რომ წავიკითხავ კითხვა მებადება მართლა მე გავაკეთე? მართლა მე წავყევი ვაჟა აბაკელია მის დასაცავად სახელმწიფო კანცელერიაში, მაშინ როდესაც მკვდარი ჩემი შვილი მესვენა და პანაშვიდზე ვიდექი მეთქი? მე მივუყვანე შალვა მინაშვილს სოფელში მცხოვრებ უღარიბეს მწერალს, რომელსაც ლუკმა-პურიც რომ არ გააჩნდა, მოულოდნელად ხბო, უშობელი, რომელიც სამ თვეში დამაკდა და ოჯახი შიმშილით სიკვდილისაგან გადაარჩინა და ასეთი ბევრი რამ.. „მადლი ჰქენი ქვაზე დადე გამოივლი წინ დაგხვდება.“იმას ვერ გეტყვი ცხოვრებაში ძალიან ბევრი გაკეთებული ჩემი მადლი წინ დამხვდა მეთქი, უფრო ხშირად პირიქით არის, დათა თუთაშხია ბრწყინვალედ ამბობს ამაზე, ვისაც ჩავაცვი იმან გამხადაო, მაგრამ არ უნდა ეძებდე შენ, თუ კაცი კაცად ვარგიხარ მე შენ ამხელა პატივი გეცი კაცს არასოდეს არ უნდა უთხრა, თუ ვერ გაიგო მან შენი კეთილი გული, ღმერთმა ხელი მოუმართოს, წუთისოფელი გაასამართლებს.

– რამდენი დედმამიშვილი ხართ?

ოთხი

– რას იტყვით მათ შესახებ?

უფროსი არის ჩემი და ნათელა მათემატიკოსია, დღეს შვილიშვილები და შვილთაშილები ჰყავს, მეორე მე ვარ, რეზო მიშველაძე, რომელსაც ახლა 10 თვის წინ შემეძინა შვილთაშვილი, მასაც რეზიკო დაარქვეს. ჩემი მომდევნო არის მხატვარი გოგი მიშველაძე, და ასევე შვილიშვილი ჰყავს, მეოთხე არის ბორისი ფიზიკოსია, მას ჰყავს აგრეთვე შვილიშვილები და შვილთაშვილებიც. ჯერ-ჯერობით არც ერთი არ ჩამოგვაგდო წუთისოფელმა და ბედნიერი ვარ ,რომ დედაჩემმა და მამაჩემმა გაგვზარდეს და ცხოვრებაში ხომ ყველაფერი გვასწავლეს ფულის შოვნის გარდა. ოთხივენი ვართ ღარიბები და ხედავთ ჩემს სახლს, არც არასოდეს გვიწუწუნია, რაც მოვიპოვეთ ჩვენი შრომით, აი ეს არის. დედა მყავდა საჩხერიდან, მერჯევიდან, გვარად გველესიანი. მამა იმერელი აზნაური იყო, ჩვენ ძველი აზნაურები ვართ, მერე ბაბუას ბაბუამ დაამთავრა ხონის სასულიერო სასწავლებელი, მარტვილში გაამწესეს მღვდლად ბაბუაჩემის ბაბუა ალექსი მიშველაძე, ბაბუაჩემი მასწავლებელი იყო. მარტვილშივე დაიბადა მამაჩემიც, ჩვენი სოფელი თარგამეულია, ე.ი. თარგამოსეული, პირველი ქართული სოფელი სამეგრელოში, მარტვილთან ახლოს. იქ სულ იმერლები ვცხოვრობთ, ხონისგან ძალიან შორს არ არის, სიხარულიძეები, ნაროუშვილები, მიშველაძეები, აი ეს სოფელი, რამდენიმე გვარტომით მეგრელი ცხოვრობს. მე

შვიდ წლამდე სამეგრელოში, თარგამეულში ვიზრდებოდი და მერე ქუთაისში გადმომიყვანეს, ოჯახი გადმოვედით ქუთაისში და ქუთაისშივე დავამთავრე სკოლა.

– თქვენთან უამრავი სტუდენტი სწავლობდა გასულ წლებში და დღესაც, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულს ხომ არავის გაიხსენებთ?

ეგ შეკითხვა, დაიმახსოვრე, არასოდეს არ უნდა მისცე მასწავლებელს, მე მასწავლებელი ვარ ლექციებს ვკითხულობ, მე რომ ჩემი სტუდენტები ერთმანეთისგან გავარჩიო ამით დიდ ცოდვას ჩავიდენ, ამიტომ თუ მასწავლებელი ტაქტიანია, არასოდეს არ გამოარჩევს თავის მოსწავლეებს, არავინ არ იცის ბავშვები ვინ ვისზე უფრო ნიჭიერია, თუ მას შეუძლია ეს გაკვეთილი კარგად დაიზეპიროს , კარგად მოყვეს და ფრიადი მიიღოს, ეს იმას არ ნიშნავს ,რომ იგი ნიჭიერია იმ მეორე ბავშვზე, რომელსაც შეიძლება საშემოდგომო გამოყვა, ჩვენ არ ვიცით , არსებობს შეყოვნებული გამოხატვა ნიჭისა, არის ზეპირად დამახსოვრების უნარი, ახლა მე გეტყვით, მუხრან მაჭავარიანს, რომელსაც შედგენილი აქვს ქართული ენის ლექსიკონი , ე.ი. რამხელა საქმე აქვს ქართულ გრამატიკაში გაკეთებული, პროფესორმა იოანე ქავთარაძემ ორი დაუწერა გრამატიკაში და რეზო ინანიშვილი ასავე ბრწყინვალე პროზაიკოსი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით უნივერსიტეტიდან გარიცხეს მეორე კურსიდან, ქართულში მიღებული ორიანის გამო, აბა მითხარი, ახლა ან ერთი ან მეორე , იქ ჯგუფში ვინც დარჩა, იმათზე ნაკლებები რით იყვნენ, თუ ათასჯერ უკეთესი არა?! ამიტომ მე დიდ სიფრთხილეს ვიჩენ ათასი კუთხიდან ვზომავ, შეიძლება ეს არ იცის კარგად, მაგალითად, როდის დაიბადა ეგნატე ნინოშვილი, მაგრამ შეიძლება თვითონ წერს მშვენიერ მოთხრობებს და ლექსებს ან შეიძლება აგერ, სხვა საქმეში ისეთი ნიჭი გამოამჟღავნა. ჩვენ გამოცდაზე მასწავლებლებს არ გვაქვს იმის ძალა, რომ ზუსტად გავიგოთ ბავშვის ცოდნა, შენ არ გეგონოს ,რომ შენმა მასწავლებელმა ზუსტად იცის შენი ცოდნა, მან შენ ერთი გაკვეთილი გამოგკითხა, გკითხა ეს, ეს, მაგრამ არ უკითხავს ეს, რომელიც შეიძლება არ იცოდი, ამიტომ ნუ ვიქნებით, ჩემო ძვირფასო კოლეგებო, მასწავლებლებს მივმართავ, აჩქარებულები ბავშვის შეფასების დროს.

– რას აფასებთ მოზარდში?

მოზარდი სხვადასხვა ასაკის კატეგორიაა, მოზარდია ძალიანი პატარაც, სკოლაში რომ შევა მეოთხე კლასამდე, რომელიც პატარა ბავშვია და მას ბავშვთან ერთიერთობის საზომებით უნდა მიუდგე, მერე უკვე უფროს კლასებში რომ გადადის იქ უკვე სხვა მოთხოვნები და სხვა თვისებებია. საერთოდ მე სტუდენტში (სკოლას ისე კარგად არ ვიცნობ და გამიჭირდება თქმა)ვაფასებ უპირველეს ყოვლისა გულისხმიერებას, ზრდილობას. აი, ექსკურსიაზე რომ წაიყვან სტუდენტს და ეხუმრები რაღაცას სუფრაზე ზიხარ და მერე დღეს უნივერსიტეტის დერეფანში თუ შეგხვდა და მხარზე ხელი გადაგდო, უი, ეს ჩემი ძმაკაცი ყოფილაო, ეს მიმაჩნია უზრდელობად, უტაქტობად. ჩვენ სტუდენტები რომ ვიყავით, მოწიწებით შევცქეროდით ლექტორს, როგორ გავუთამამდებოდით, რომელიც სუფრაზე დაგვიჯდა და გიტარაც დაუკრა, ექსკურსიაზეც წაგვიყვანა, მაგრამ იქ მთავრდებოდა ჩვენი სიახლოვე ლექტორთან, მერე იწყებოდა უნივერსიტეტი და იწყებოდა აუდიტორია.ვაფასებ სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, ეს ცოტა მისუსტდა ამ ბოლო დროს, მე ერთ ამბავს გეტყვი, სულ ახალი ამბავია, რუსებმა 1,5 კმ-ით გორთან საზღვარი გადმოწიეს, მცოცავი ანექსია ჰქვია, მცოცავი ოკუპაცია, გადმოწევენ, გაავლებენ ეკლიან ღობეს, მავთულხლართებს, კიდევ გადმოწევენ, კიდევ გაავლებენ და ასე ნელ-ნელა იპყრობენ საქართველოს.. მე გამიკვირდა ახლა მსოფლიომ რომ არ ატეხა განგაში ამაზე..

კაი, ვთქვათ საქართველო მსოფლიოს არ აინტერესებს, მაგრამ შე კაცო, შენი ნავთობსადენი რომ მოექცა რუსის ღობეში როგორ არ ატეხე ხმაური შენ რომ ამერიკა ხარ?! რომ ამბობ საქართველოს მეგობარი ვარო. მე ღამე არ მეძინა, შუაღამეზე ვურეკავდი ჩემს მეგობრებს, 2-ჯერ დავლიე დამამშვიდებელი, ვიფიქრე გული არ გამიჩერდეს-მეთქი.. ეს ხომ საშინელებაა, გართმევენ ტერიტორიას და შენ უძლური ხარ შეებრძოლო რუსების ტანკებს. მეორე დღეს ჩავრთე ტელევიზორი და ვნახე, რომ ვაკის პარკი სავსეა ახალგაზრდებით და ჩემს ცოლს ვეუბნები: უი, გაიღვიძეს ახალგაზრდებმა, ნახე რამხელა საპროტესტიო აქციაა რუსეთის წინააღმდეგ, ოკუპაციის წინააღმდეგ ვაკის პარკში-მეთქი.დავაკვირდი ტელევიზორს, გამოდის ახალგაზრდა ბიჭი და ამბობს: „ბილეთი.. სამი დღეა აქ ვათენებ და ბილეთი არ მომცეს, როდის გაიყიდება?!! „ რა ბილეთი, რა ბილეთი შე ტუტუცო, საქართველოს იპყრობენ ნაბიჯ-ნაბიჯ, სადაცაა გულნაზის ულამაზეს სოფელსაც წაიღებს რუსი და შენ ფეხბურთის ბილეთისთვის ვაკის პარკში წევხარ?! ე.ი. შენ გამორიცხული ხარ ყველაფრისგან, მშობლიური გრძნობისგან, სამშობლოს ტკივილისგან, რომ შენს მიწა-წყალს, რომელიც შენ უნდა დაიცვა მტკაველ-მტკაველ გართმევენ, მთავარი პრობლემა თურმე შენთვის ფეხბურთის ბილეთის საკითხი ყოფილა. ანანო, ახლა შენ რომ ამას გელაპარაკები, თითები მიცივდება.. ძალიან გული დამწყდა ამაზე. ე.ი. გადაგვარდა ახალგაზრდობა, გადაგვარდა...

– ბატონო რეზო, თქვენ მწერალი ხართ, თუ დაგიწერიათ ლექსი?

კი, როგორ არა. აი, ჩემს ფილმში რომ იყო გადაღებული ჩემი ერთადერთი ლექსი, რომელიც სახელმძღვანელოებში შეიტანეს, საბავშვო ანთოლოგიებშიც იყო შეტანილი და კიდევ ბევრგან.. ეს ერთადერთი ლექსი მაქვს დაწერილი, როცა მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი. საბავშვო ლექსი დაწერეო იოსებ ნონეშვილმა, მაშინ ის ჟურნალ „დილას“ რედაქტორი იყო, მე ლექსს არ ვწერ ბატონო იოსებ-მეთქი ვუთხარი, სცადე, სცადეო მითხრა და დავწერე. აი, ასეთია ეს ლექსი:

„ჩემი ბატის ჭუჭული სასეირნოდ გავუშვი,
გაისწორა ბუმბული, გადაეშვა აუზში,
გაცურა და გავიდა, განა ბევრი იწვალა?
მხოლოდ ერთი დღის არის, ცურვა როდის ისწავლა? „

– რამდენი წლის არის თქვენი შვილიშვილი უმცროსი რეზო მიშველაძე?

ჩემი პატარა რეზიკო 1 წლის არის ახლა, აქ არ არის თორემ გაგაცნობდი

– თქვენ იუბილეზე ვნახე

კი ჩემს იუბილეზე სცენაზე გამოვიყვანე და რომ მეგონა ბავშვი ტირილით დააქცევს მეთქი ყველაფერს, როგორ იყო განაბული, გაჩერებული გავოცდი. თვითონ მიკროფონსაც ლუღლუღით ხელი წაავლო,

თქვენი შვილი, აჩიკო მიშველაძე, შეეწირა ტერიტორიულ მთლიანობას, თქვენში თუ არის ის რწმენა, რომ შვილს შეხვდებით ცათა სასუფეველში?

მე მორწმუნე ვარ ჩემო სიცოცხლე, ვფიქრობ, რომ იმ ქვეყნად შევხვდები ჩემს შვილს, მაგრამ ჩემი ამ ქვეყნად არსებობით მე იმ ქვეყნად აჩიკოსთან შეხვედრის მორალური უფლება უნდა მოვიპოვო. მე ამ ქვეყნად ჩემი ბრძოლით, ჩემი ნაწერებით არ უნდა დავტოვო ხინჯი ვინმეს თვალში, რომ პირნათლად წარვსდგე იქ, ჩემი სამშობლოსათვის შეწირული შვილის წინაშე.

– რას იტყვით ბეჟან ხარაიშვილზე, რომლის სახელიც მიენიჭა 30 წლის გარდაცვალების შემდეგ საჩხერის რაიონის ჭალვანის საჯარო სკოლას?

ბეჟან ხარაიშვილი უნიჭიერესი ბიჭი იყო, ის უნივერსიტეტში მაშინ სწავლობდა, როცა მე ახალი ფეხადგმული დოცენტი ვიყავი. საღამოს დასწრებულზე სწავლობდა და მხოლოდ ერთი სემესტრი ვუკითხავდი. გამორჩეული ბიჭი იყო, თან მე უფროსი ვიყავი, მაგრამ მეც მაშინ ახალგაზედა ლექტორად ვითვლებოდი და იყო საოცრად მოკრძალებული, იმდენად მოკრძალებული, რომ გამომყვა ერთხელ ლექციიდან და ბატონო რეზო, ახალგაზრდა მწერალთა წრეს თქვენ ხელმძღანელობთ და შეიძლება ჩავეწეროო მომმართა, წერ რამეს მეთქი მე ვუთხარი, ლექსებს ვწერო ხანდახან. მე ვუთხარი ჩაეწერემეთქი, წინასწარ ხომ არ არის რაიმე შემოწმება საჭიროო, ეს ჩემი ლექსები ღირსი იქნება თუ არა იმისა, რომ მე ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრი ვიყოო, იმიტომ, რომ მაშინ ახალგაზრდა მწერალთა წრეს დიდი სახელი ჰქონდა. თითქმის ყველა მწერალი ამ წრიდან არის წამოსული. მე ვუთხარი რა შემოწმება უნდა ჩემო ბეჟან, რაკი ლექსებს წერ ე.ი. შენ ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრი უნდა იყოთქო, ჩათვალე შენ, რომ ამ საათიდან, მე სიაში გწერ, რომ ავალ ჩემს კაბინეტში, დანარჩენს ცხოვრება გვიჩვენებს მეთქი. ოსტატობა უცებ არ მიიღწევა, ნელ-ნელა დიდი შრომით და რუდუნებით მოდის. ყველა ის პოეტი, რომელსაც შენ იცნობ და გიყვარს დიდი შრომისა და დიდი შთაგონების შედეგად გახდა დიდი პოეტი. სამწუხაროდ მე არ ვიცოდი, მას არ მოუტაია რვეული ჩემთვის, თუ ასეთი საინტერესო პოეტი იყო. მას კიდევ ერთი თვე ვუკითხავდი და ჩათვლა რათქმაუნდა დავუწერე. ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა მხოლოდ იმით, რომ სისტემატიურად ვერ ესწრებოდა სხდომებს და ვეუბნებოდი შენი ლექსები როდის განვიხილოთმეთქი. შემოქმედება რათქმაუნდა ბევრი არ დარჩა, მაგრამ რაც დარჩა აუცილებლად დაიდება მაღალ ლიტერატურულ თაროზე ქართული პოეზიისა.

– თქვენი მეუღლე ქალბატონი ნათელა რა პროფესიის ბრძადება?

ჩემი მეუღლე ბიოლოგია, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხარისხი, დაცვა, შრომებიც აქვს გამოქვეყნებული. ძალიან გავაწვალე მე იგი ჩემი ცხოვრებით, რადგან ყველაფერი მომიძღვნა მე მთელი თავისი სიცოცხლისა.

შეიძლება ითქვას, რომ პირადი ცხოვრება, მისი მეცნიერული კარიერა . კარგა ხანს სკოლაში მუშაობდა ისე,რომ მისი მოსწავლეები დღესაც მოდიან მასთან სტუმრად, მაგრამ იმდენად მოკრძალებული ქალია, ყველაფერ ამაზე თითქმის უარი თქვა. სკოლასაც ადრე დაანება თავი. მე არ ვიცი ვარ თუ არა იმის ღირსი,რომ ჩემმა მეუღლემ ამხელა ყურადღება გამოიჩინა ჩემდამი. შეიძლება ითქვას, ჩემი პირადი მდივანიც არის. ჩემს დაწერილ ნოველებს პირველად ის კითხულობს. კაცი ცოლს არ უნდა აქებდეს, მაგრამ მაღალი ლიტერატურული გემოვნების ქალია. ერთად გამოვცადეთ უბედურება, რომელმაც გაანახევრა ჩვენი სიცოცხლე. აჩიკოს წასვლამ და ახლა რეზიკოს მოსვლამ ცოტა გამოგვახედა თვალში,თუ არა ყოველთვის იყო ეს ჩემი სახლი მეგობრების თავშეყრის ადგილი. მე თვითონ მუსიკალური კაცი ვარ, ხუმრობა მიყვარს,თამადობა მიყვარს, სიმღერა მიყვარს. ვუკრავ ფანდურზე, გიტარაზე, როიალზე და სულ იყო აი აქ შეხვედრები. აჩიკოს წასვლის შემდეგ, სიწყნარემ და მინორმა, სევდამ დაისადგურა ამ ოთახში. რა ვიცი მე ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ და რა ვიცი იქნებ ისევ შეტრიალდეს.

– წელს თქვენს იუბილეს დაემთხვა ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის 65 წლის იუბილე, რას ხედავთ ამ ქალბატონში არის თუ არა იგი ეროვნული?

ძალიან ეროვნული და პატრიოტია, მე ვილაპარაკე მის ჟურნალზე, საერთოდ ძალიან იშვიათად ხდება, რომ მე მივდიოდე და პირველ სიტყვას ვამბობდე ვინმე ჩემი მწერალთა კავშირის წევრის იუბილეზე, იმიტომ, რომ ხანდახან ვფიქრობ საზოგადოებას ჩემი აზრი თავზე არ მოვახვიო. სიამოვნებით მივედი გულნაზის იუბილეზე, მოვეფერე როგორც შემეძლო, იმიტომ ,რომ ჭეშმარიტად ეროვნული პოეტია, დიდი სიყვარულის ღირსია, ამიტომ ძალიან მიყვარს მეც და ქართულ საზოგადოებასაც. შეუფასებელია მისი შრომა იმიტომ, რომ ერთმა ქალმა გამოსცეს ჟურნალი, ამდენი პატარა მეგობარი ყავდეს, ყველა რაიონის გამგებელი გიცნობდეს, საზოგადო მოღვაწე რასაც ჰქვია, აი, ეს ნამდვილად არის გულნაზ ხარაიშვილი.

– რას უსურვებდით ჟურნალ „ათინათს“?

ჟურნალ „ათინათს“ ვუსურვებდი აყვავებას, კიდევ უფრო ტირაჟის გაზრდას, რომ მოიცვას მთელი საქართველო. საქართველოში არის ისეთი კუთხეები, სადაც „ათინათს“ არ შეუღწევია, ეს არის ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი, აჭარის მაღალმთიანი სოფლები. ყველა უნდა მოვიცვათ, ყველგან უნდა ჩავიდეს „ათინათი“. თბილისიდან ახლოს მდებარე ქალაქები განებივებული არიან ლიტერატურული პრესის ყურადღებით. მე მიმაჩნია, რომ „ათინათმა“ მთელი საქართველო უნდა მოიცვას და მე ყველანაირად დავეხმარები ამ საქმეში.

ბატონო რეზო! თქვენთან შეხვედრით აღფრთვანებული ვარ, დიდი მადლობა ქალბატონ გულნაზს, რომ მომცა საშუალება გამეცნო ბატონი რეზო მიშველაძე, ეს დღე დაუვიწყარი იქნება ჩემთვის, დიდი მადლობა, რომ დამითმეთ დრო.

ანანო, ჩემთვისაც სასიამოვნო იყო შენი გაცნობა,წარმატებას ვუსურვებ თქვენს ჟურნალს, თქვენს სკოლას და პირადად შენ. უფალი გფარავდეს!

ირაკლი დარსალია
თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის V[1] კლასის მოსწავლე

ინტერვიუ სამხატვრო აკადემიის რექტორ გიორგი გუგუშვილთან

მოგესალმებით, მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება თქვენთან, სამხატვრო აკადემიის რექტორთან, შეხვედრისა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის შესახებ ინფორმაციებს ინტერნეტსივრციდან გავეცანი და ამის შემდეგ გამიჩნდა სურვილი ინტერვიუს ჩაწერისა.

მართალია, თვითონ მე ვერ ვხატავ, მაგრამ ხელოვნების ამ დარგს ძალიან ვაფასებ და მიყვარს.

მე ვარ ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ჟურნალისტი, ირაკლი დარსალია, თბილისის 167-ე საჯარო სკოლის V[1] კლასის მოსწავლე.

ბატონო რექტორო, მსურს რამდენიმე კითხვით მოგმართოთ:

სამხატვრო აკადემიის შენობა ძალიან ლამაზია, მაინტერესებს მისი დიზაინის შექმნაში მიიღეს თუ არა მონაწილეობა სტუდენტებმა?

სამხატვრო აკადემიას აქვს დიზაინის ფაკულტეტი. სასწავლო პროცესი ხანდახან მოიცავს ინტერიერის, ექსტერიერის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სტუდენტები პროექტირების ცალკეულ დეტალებში მონაწილეობენ, რადგან აკადემიის რეაბილიტაცია და რესტავრაცია პროფესიონალური და ფუნდამენტალური საქმიანობაა, რომელიც სტუდენტებისთვის ნაადრევია.

სამხატვრო აკადემიაში ბევრი საინტერესო გამოფენა ტარდება, ერთ-ერთი, სახელწოდებით: „თურქმენეთი - მშვიდობისა და კეთილმეზობლობის ქვეყანა“ ბავშვების მონაწილეობით ჩატარებულა.

ეს საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის იყო ხელმისაწვდომი, თუ მხოლოდ სამხატვრო სასწავლებლების აღსაზრდელებისთვის?

თურქმენეთის საელჩოს ინიციატივა იყო გამოფენის მოწყობა, რა თქმა უნდა, ეს ხელს უწყობს ორი ერის პატარების დამეგობრობას. თბილი დამოკიდებულება იგრძნობოდა. ეს იყო თბილისის ყველა საჯარო სკოლისთვის, მონაწილეობდნენ სამხატვრო სკოლების აღსაზრდელებიც, კონკურსი გამოაცხადა თურქმენეთის საელჩომ, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად. სამხატვრო აკადემია ამაში მონაწილეობდა, როგორც დამხმარე რგოლი. ჩვენ უმცროსი ასაკის მოსწავლეების გამოფენების ჩატარებას ვერ ვასწრებთ, აკადემიის სასწავლო პროცესის გამო. ვიმეორებ, ეს იყო კონკურსი ყველასათვის.

წიგნის „ქართული ასომთავრულის“ ავტორთან, რამაზ პატარიძესთან, შეხვედრა უდაოდ საინტერესო იქნება. ესწრებიან თუ არა ცნობილი ადამიანების ლექციებს სამხატვრო აკადემიაში?

სოციალური ქსელის, ფეისბუქის გვერდზე და აკადემიის ვებსაიტზე გვაქვს ყველა მსურვე-

ლისთვის ლექციათა ციკლი. ლეგენდარული პიროვნებაა ბატონი რამაზ პატარიძე, მე ხშირად ვესწრები მის ლექციებს. ასეთი დონის მეცნიერები, სამწუხაროდ, ცოტა გვყავს. მის ლექციებზე დასწრება ყველას შეუძლია.

სწავლობენ თუ არა სამხატვრო აკადემიაში სტუდენტები, რომელთაც აქვთ საერთაშორისო აღიარება?

სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ბევრ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობენ, ისინი იმსახურებენ პრიზებს, რაც ძალიან სასიამოვნოა. დიდ ქვეყნებთან მონაწილეობენ და წარმატება დიდი პრესტიჟია ჩვენი სასწავლებლისთვის, მაგრამ გარწმუნებთ, რამდენიმე ისეთი პრიზი გვაქვს მიღებული, რომ ბევრ ქვეყანას შეშურდებოდა. სასიამოვნოა, რომ, სტუდენტებთან ერთად მათი პედაგოგებიც მონაწილეობენ.

გვიამბეთ თქვენზე, ორიოდე სიტყვით.

მე ვარ პროფესიონალი მხატვარი, რაც ნიშნავს იმას, რომ მაქვს სათანადო განათლება მიღებული, თავის დროზე. რამდენიმე საფეხური გავიარე, საჯარო სკოლა, სასწავლებელი, სამხატვრო აკადემია, ასპირანტურა და ა.შ.

რა გეგმები გაქვთ სამხატვრო აკადემიის განვითარებაზე?

პირველ რიგში, შენობას რეაბილიტაცია სჭირდება, ეს არის 150 წლის დროინდელი ნაგებობა. იგი ნგრევის პირასაა მისული, ეს გამოიწვია ბუნებამ და დრომ. სამხატვრო აკადემია 1922 წლიდან არსებობს, მისი პირველი რექტორი იყო გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც, სხვათა შორის, მაშინ მთავრობას სწერდა: „გვიშველეთ აკადემია ინგრევა“. წარმოიდგინეთ, დღეს არის 2015 წელი...

„ათინათი“ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის მრავალპროფილიანი ჟურნალია, რომელშიც შემოქმედ მოსწავლეთა ორი ჯგუფი: „ნორჩი ათინათელები“ და „ნორჩი ლიტერატორები“ მონაწილეობენ.

რას უსურვებთ მათ?

ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას სახელი დიდ პატივს იმსახურებს,. კარგია, რომ მის აკადემიასთან ისეთი ახალგაზრდები თანამშრომლობენ, როგორიც თქვენა ხართ. მომავალ თაობას ვუსურვებ წარმატებას და იმ იდეების პატივისცემის განხორციელებას, რომელიც ამ ბრწყინვალე ადამიანმა, მსოფლიო მოგზაურმა, გულში ატარა და სხვებსაც გაუზიარა.

და, ბოლოს, მინდა მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი მიღებისათვის.

თქვენთან შეხვედრა ორი პიროვნების დახმარებით შევძელი. ესენი არიან: ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ჟურნალ „ათინათის“ საბავშვო განყოფილების რედაქტორი, ლამარა გერგედავა და ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი.

გმადლობთ, გისურვებთ წარმატებებს.

ირაკლი დარსალია

ინტერვიუ ზურაბ გაბუნიასთან, სამხატვრო აკადემიის მხატვარ-ფერმწერთან

იცნობდით თუ არა ჯუმბერ ლეჟავას?

არ მარტო ვიცნობდი, ვმეგობრობდი, მისი მოგზაურობის შემდეგ, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა, პირადად და მის ოჯახთანაც.

გვიამბეთ თქვენზე ორიოდე სიტყვით.

ვარ მხატვარ-ფერმწერი, სამხატვრო აკადემიაში ვმუშაობ 1989 წლიდან. დღემდე ვხელმძღვანელობდი სხვადასხვა ჯგუფებს, ზაფხულის პრაქტიკებს. მყავდა სამი გამოშვება სტუდენტებისა, აკადემიაში, ამჟამად, ვხელმძღვანელობ მუზეუმსა და საგამოფენო დარბაზს.

ბატონო ზურაბ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიასთან არსებული ჟურნალი „ათინათი“ გამოდის 3 თვეში ერთხელ, იცნობთ თუ არა ამ ჟურნალს?

ჟურნალის პრეზენტაციას ვესწრებოდი, სხვადასხვა ნომრები არ მქონია, მაგრამ ძალიან გამიხარდა, რომ ის გამოდის და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიას ეკუთვნის.

მოგწონთ თუ არა რედაქტორის კურსი, ის, რომ ჟურნალი მრავალაპროფილიანია?

რა თქმა უნდა, მომწონს, განა მარტო მომწონს, ეს ძალიან დიდი საქმეა, რასაც თქვენ აკეთებთ.

რომელ წელს დაამთავრეთ სასწავლებელი?

მე ჯერ ნიკოლოზის სამხატვრო სასწავლებელი დავამთავრე, 1968 წელს და ჩავირიცხე სამხატვრო აკადემიაში, რომელიც 1973 წელს დავამთავრე.

გქონდათ თუ არა გამოფენები?

სწავლის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე წელი ჯგუფურ გამოფენებში ვღებულობდი მონაწილეობას და 1983 წლიდან უკვე ჩავერთე გამოფენებში.

ამბობენ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ხატავდაო, მართალია თუ არა ეს?

ჯუმბერი ხატავდა და კონსულტაციებს გადიოდა ჩემთან ერთად, მას დახატული აქვს თავისი მეუღლის პორტრეტი.

ჯუმბერს ყველა უყვარდაო, მაგრამ მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, თურმე, თქვენ იყავით, როგორ ახსნით ამას?

ჩვენ გვაკავშირებდა ერთი რამ, როდესაც იგი 9 წლიანი მოგზაურობიდან დაბრუნდა, მაშინ გავიცანი. ბატონმა, აწგარდაცვლილმა გივი მიზანდარმა, მაშინ ის მოიწვია სამხატვრო აკადემიაში, პროფესორებთან შესახვედრად. დიდ დარბაზში მოვიდა ჯუმბერი, მან თავისი მოგზაურობის შესახებ ორი საათი ილაპარაკა და კიდევ დაიგეგმა შემდგომი შეხვედრა. მთელი აკადემია აღფრთოვანებული იყო. პირადად რომ გავიცანი, იმის შემდეგაც დაიგეგმა ბევრი შეხვედრა. მე მასთან ერთად ვმოგზაურობდი, ვეხმარებოდი და ამიტომაც გავხდი მისი მეგობარი.

ჟურნალი „ათინათი“ განყოფილებების მიხედვითა დაყოფილი: პოეზია, პროზა, ლიტერატურის მცოდნეობა, ისტორია. ჟურნალში იბეჭდება ბევრი რამ. ხომ არ გექნებათ სურვილი თქვენს სტუდენტებს გააცნოთ იგი?

დიახ, რა თქმა უნდა, გავაცნობ.

იცით თუ არა ჯუმბერის შესახებ ის, რაც არავინ იცის?

მინდა გითხრათ, რომ როდესაც ჯუმბერი 1000 აზიდვას აკეთებდა, ძალიან იღლებოდა არა და 6000, 7000-ს დაუღალავად აკეთებდა,. თურმე მას სისხლძარღვის შევიწროვება ჰქონია. მან ექიმებს არ დაუჯერა არ გაიკეთა ოპერაცია და, სამწუხაროდ, გარდაიცვალა იგი.

გმადლობთ საინტერესო შეხვედრისათვის.

ინტერვიუ ჩაიწერა თბილისის 167-ე საჯარო სკოლის V1 კლასის მოსწავლემ ირაკლი დარსალიამ

ილია ძმანაშვილი
ქალაქ თბილისის № 36 საჯარო სკოლის
V ბ კლასის მოსწავლე

ინტერვიუ ქალბატონ მაია კვინიკაძესთან

ქალაქ თბილისის № 36 საჯარო სკოლის V ბ (ხელ. ლელა ლომაძე) კლასის მოსწავლე ილია ძმანაშვილი, აგრეთვე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნორჩი ათინათელი.

მოკლედ მოგვიყევით თქვენს შესახებ.

მე გახლავართ თბილისის № 36 საჯარო სკოლის დირექტორი მაია კვინიკაძე, დავიბადე 1965 წელს ხარაგაულის რაიონში, იქვე 1982წელს დავამთავრე საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც 1987 წელს დავამთავრე.

– რამდენიმე სიტყვა თქვენი ოჯახის შესახებ

მყავს მეუღლე:ზურაბ ღონღაძე პროფესიით ინჯინერი და ორი შვილი მარიამი და გიორგი. მარიამი იურისტია, გიორგი მომავალი ექიმი აგრეთვე მყავს პატარა შვილიშვილი- დაჩი, ერთადერთი კაცი,რომელიც ბებიას აგიჟებს.

– რამდენი დედმამიშვილი ბრძანდებით? რას იტყვით მათ შესახებ?

ორი დედმამიშვილი ვართ. ჩემი ძმა ექიმია, ქირურგი. რძალმა სხვათაშორის 36 საჯარო სკოლა დაამთავრა, იგი იყო ამ სკოლის კომკავშირის მდივანი.

– ქალბატონო მაია, რამდენადაც ვიცი თქვენ რამდენიმე სპეციალობას უთავსებთ ერთმანეთს, როგორ ახერხებთ?

ადრე ვუთავსებდი ჩემო კარგო, ახლა უკვე ველარ, რადგან, იმდენად რთულია სკოლის ხელმძღვანელობა, რომ სხვა საქმისთვის დრო არ მრჩება.

– ყველაზე მეტად რომელი პროფესია მოგწონთ და რატომ?

ყველა პროფესია მისაღები და მოსაწონია, მაგრამ ძალიან მიყვარს პედაგოგობა, არანაკლებ ჟურნალისტობა.

– რამდენადაც ვიცი თქვენ სხვა სკოლის დირექტორიც ბრძანდებოდით, მოგწონთ თუ არა ჩვენი სკოლა?

ძალიან, განსაკუთრებით ბავშვები.

– ერთი წელია, რაც ჩვენს სკოლას ხელმძღვანელობთ, ვხედავ, ფოიეში ლამაზი კუთხე - სამლოცველო გაკეთდა, კიდევ რას დაამატებდით?

რაღაც-რაღაც სიურპრიზებს ამ ზაფხულზეც გავაკეთებ. შეიძლება ბევრით ვერ გაგაკვირვოთ, მაგრამ მეორე კლასებს ექნებათ ახალი მერხები და ახალი საკლასო ოთახები. ყველა კლასში მინდა მოვაწესრიგო იატაკები.

– ქალბატონო მაია, ჩვენს სკოლაში მომავალში თუ გაქვთ რაიმე დაგეგმილი?

ბევრი რაღაცის გაკეთებას ვფიქრობ, მაქვს დაგეგმილი, პირველ რიგში ყველა საკლასო ოთახი მოვაწესრიგო, ძალიან ლამაზი სკოლა უნდა გვქონდეს, მერე კი, ისე უნდა შევცვალოთ სწავლის ხარისხი, რომ ყველაზე ძლიერი ბავშვები ჩვენს სკოლას ამთავრებდნენ.

– რა დაბრკოლებებს შეხვედრიხართ ხელმძღვანელობის პერიოდში?

ხელმძღვანელობა ძალიან რთულია, იმიტომ, რომ ბავშვებთან, ახალ თაობასთან ურთიერთობა ძალიან კარგიცაა და ძალიან რთულიც. ყველა ბავშვი ინდივიდუალურია და ყველა ბავშვს თავისებური მიდგომა სჭირდება, სწორედ ამიტომაა ხელმძღვანელობა რთული.

– ქალბატონო მაია, თქვენ ძალიან თბილი ბრძანდებით, ამ მოკლე ხნის მანძილზე როგორ შეძელით ამხელა სიყვარულის დათესვა?

რა ვიცი, ჩემო ძვირფასო, ეგ თქვენ უნდა თქვათ. მე ვცდილობ მაქისმალურად ყველა ბავშვი ყურადღების ცენტრში მყავდეს, ვხემძღვანელობ ყოველთვის ერთი პრინციპით:“ ჩემი სკოლის ყველა მოსწავლე ჩემი შვილია“ და ამიტომ როცა საჭიროა ხანდახან მკაცრიც ვარ.

– რას უსურვებდით თქვენს მოსწავლეებს, მომავალ თაობას?

პირველ რიგში ჯანმრთელობას, შემდეგ იღბალს და კარგ

სწავლას, რომ წარმატებული იყოთ და იპოვოთ თქვენი ადგილი ცხოვრებაში.

– ქალბატონო მაია, I ბ კლასში მიწვეული იყო პოეტი გულნაზ ხარაიშვილი, რას იტყვით ამ ღონისძიების შესახებ?

ძალიან კარგი ღონისძიება იყო, მე პირადად აღფრთოვანებული დავრჩი პირველკლასელების შესაძლებლობებით, ძალიან ლამაზი საღამო გამოვიდა, ძალიან თბილი, სიყვარულით სავსე, სიყვარული იგრძნობოდა ბავშვების მხრიდან და ასევე ქალბატონი გულნაზის მხრიდანაც. ძალიან კარგად ჩაიარა ამ საღამომ.

– ჩემს პედაგოგებს შორის ყველაზე ძალიან მიყვარს ციური მასწავლებელი, მაინტერესებს თქვენი აზრი მის შესახებ.

შენი დაწყებითი კლასის მასწავლებელი იყო ხო?

– დიახ!

კი, იგი ძალიან კარგი მასწავლებელია, მოწესრიგებული, ლამაზი პირველ რიგში, რაც მთავარია ძალიან უყვარს თავისი მოსწავლეები და მაქსიმუმს აკეთებს, რათა თავის ბავშვებს გაულამაზოს ცხოვრება, არაფერზე უკან არ იხევს, თავისი დროის შესაძლებლობების მაქსიმუმს ხარჯავს.

– ქალბატონო მაია, როგორც ვიცი ეს ბავშვები მიწვეულები იყვნენ დიდი მწერლის, ბატონ რეზო მიშველაძის იუბილეზე, თქვეენნი აზრით მწერლის ეს დიდი ყურადღება რითი იყო გამოწვეული?

ჩემო კარგო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალიან დიდი სითბო დაინახა ამ ბავშვებში, ბავშვების ნიჭიერება, ურთიერთპატივისცემა,... ეს საღამო იყო სწორედ ამის დასტური.

– გსმენიათ ალბათ ჟურნალ „ათინათის“ შესახებ. რას ფიქრობთ ამ ჟურნალზე?

ეს ჟურნალი ჩემი სამაგიდო ჟურნალია, იგი ყველა სკოლაში კი არა, ყველა სასწავლო დაწესებულებაში უნდა იყოს და ყველა უნდა კითხულობდეს, ნახონ რა სიახლეებია, იგი თითქმის ყველა დარგს ემსახურება.

– გაქვთ თუ არა სურვილი ჟურნალი, რომელიც სამ თვეში ერთხელ გამოდის იყოს სკოლის ბიბლიოთეკაში?

კი რა თქმაუნდა, ჩვენ დავიწყეთ თანამშრომლობა ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორთან. ეს ჟურნალი იქნება ბიბლიოთეკაში და ახალ ნომრებსაც შევიძენთ. ყველა უნდა კითხულობდეს ამ ჟურნალს. ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი იმედია კიდევ მობრძანდება ჩვენს სკოლაში, ჩვენი თანამშრომლობა როგორც უკვე ავღნიშნე, კიდევ გაგ-

რძელდება, ახლა უკვე სხვა კუთხით შეიძლება მოვიწვიოთ იგი. ძალიან კარგი ქალბატონია, რომლის დაკარგვაც ნამდვილად არ შეიძლება, რომელთანაც ურთიერთობა გარკვეული სკოლაა თქვენთვის ჩემო კარგო. ახალი სასწავლო წლიდან ვაპირებთ ლიტერატურულ საღამოზე მოვიწვიოთ ბატონი რეზო მიშველაძე.

– ხომ არაფერს დაამატებდით?

არაფერს,ჩემო ილია, გარდა იმისა, რომ ძალიან სასიამოვნო იყო შენი გაცნობა ამ ამპლუაში, არ შეაჩერო ეს ტემპი და შენი თანაკლასელებიც აიყოლიე.

– დიდი მადლობა ინტერვიუსთვის

დიდი მადლობა, გისურვებ წარმატებებს!

ილია ძმანაშვილი

ინტერვიუ ქალბატონ ციური ხუჭუასთან

ქ.თბილისის №36 საჯარო სკოლის (დირექტორი მ. კვინიკაძე) 5-ბ კლასის (ხელ-ლი ლ.ლომაძე) მოსწავლე ***ილია ძმანაშვილი*** ესაუბრება ამავე სკოლის პედაგოგს ქალბატონ ციური ხუჭუას

– მე ვარ ჯუმბერ ლეჯავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილინი საერთაშორისო აკადემიის „ნორჩი ათინათელი“ ქალბატონო ციური, თქვენ ჩემი დაწყებითი კლასების მასწავლებელი ბრძანდებოდით, მინდა უფრო მეტი გავიგო თქვენს შესახებ.

დიახ, მე დიდი ხანია გიცნობ, მიხარია, რომ ჩემი აღზრდილი ხარ, ნიჭიერი, გაინტერესებს ჟურნალისტიკა, მადლობა, რომ ჩემთან ისურვე გასაუბრება. მე ვარ ციური ხუჭუა, დავიბადე 1957 წლის 26 სექტემბერს, ქ. სამტრედიაში. დავამთავრე პირველი საშუალო სკოლა. გარდა იმისა, რომ ვარ დაწყებითი კლასების მასწავლებელი, მაქვს მეორე სპეციალობა, ვარ ეკონომისტი, მაღალ კლასებს ვასწავლიდი სამოქალაქო ეკონომიკას და გლობალური ბიზნეს ეთიკას, მრავალი პროექტის ავტორი, ერთ-ერთმა პროექტმა მოსწავლეთა კომპანიამ „ფრენჩაიზი“ (მონაწილეობდა ჩვენი სკოლის XI კლასი) თბილისის სკოლებს შორის I ადგილი დაიკავა, განათლების სამინისტროს დაფინანსებით ფინალში მონაწილეობის მისაღებად გავემგზავრეთ ბათუმში. საერთაშორისო ორგანიზაციის „ჯუნიორ ეჩივმენტის“ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ქვეყნის მასშტაბით საფინალო კონკურსი II ადგილით დავასრულეთ.

– ძალიან სასიხარულოა, რომ ჩემი საყვარელი მასწავლებლის გულისხმიერებითა და თავდადებული შრომით დიდი მოგზაურის ჯუმბერ ლეჯავას სახელობის აკადემიის წარმომადგენლები ესტუმრნენ ჩვენს სკოლას რას იტყვით ამის შესახებ?

კი, ილია, ეს ნამდვილად ასე იყო. აპრილის თვეში 1-ბ კლასის მოსწავლეებმა ჩემი ხელმძღვანელობით, ერთ მცირე, პატარა, მაგრამ დიდი სითბოთი სავსე ოთახში, მოვიწვიეთ, შესანიშნავი ქალბატონი – პოეტი გულნაზ ხარაიშვილი თავის მეგობრებთან ერთად. გავმართეთ პოეზიის საღამო სახელწოდებით: „ლექსი მამშვიდებს, ლექსი მშია, .ლექსი მწყურია...“

– კმაყოფილი ხართ ამ ღონისძიებით?

ძალიან, იცი ილია, ჩემმა პატარებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს, ჩემი იმედები გაამართლეს, გააზრებულად წარმოადგინეს ეს საღამო. აღფრთოვანებული იყო მოწვეული სტუმრებიც: ლამზირა შეყილაძე, ნაირა მარშანია ჯუმბერ ხარაიშვილი, სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე, ლევან ბაბუხადია, და თვით ყველასათვის უსაყვარლესი პოეტი გულნაზ ხარაიშვილი.

– როგორი შთაბეჭდილება დატოვეს ბავშვებში მოწვეულმა სტუმრებმა?

ეს საღამო, დღემდე ჩემი პატარებისათვის, დაუვიწყარ საღამოდ იქცა, მათთვის, ქალბატონი გულნაზი, პირველი მოწვეული პოეტია და იგი სამუდამოდ დარჩება მათ ნორჩ გულებში.

– თქვენი აზრით, ამ ღონისძიებით ბავშვებს რაიმე შეემატა?

რა თქმა უნდა ბევრი რამ, ბავშვი, რომელიც სკოლისათვის ემზადება, ორიენტირებულია ისწავლოს წერა-კითხვა, ეს რა თქმა უნდა აუცილებელია, მაგრამ, არა უპირველესი, ბავშვმა, ჩემი აზრით, თავიდანვე უნდა გამოიმუშაოს ინტელექტის. ურთიერთპატივისცემის, მეგობრობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარგ პიროვნებად ჩამოყალიბების უნარ-ჩვევები.

– ქალბატონო ციური, მაინტერესებს რამ განაპირობა ქალბატონი გულნაზისა და მისი აკადემიის წევრების მოწვევა?

ჩემო ილო, მართალი გითხრა ამ აკადემიის შესახებ ადრე არ მსმენია. ქალბატონი გულნაზი აკადემიის წევრებთან ერთად გავიცანი, სამების ეკლესიაში ჩემი ერთ-ერთი მშობლის ჟანა ხვიჩიას შემოქმედებით საღამოზე.

საღამოს ქალბატონი გულნაზი ხელმძღვანელობდა. ერთი შეხედვით თბილი, კეთილი, მზრუნველი ქალბატონის მიმართ დადებითად განვეწყვე. სურვილი გამიჩნდა უფრო მეტი გამეგო მის შესახებ. ქალბატონი ჟანას დახმარებით გავეცანი მის შემოქმედებას, ჟურნალ „ათინათს“. გადავწყვიტე ჩვენს სკოლაში მომეწვია, პოეტი ქალბატონი – გულნაზ ხარაიშვილი აკადემიის წევრებთან ერთად, რომელიც აპრილის თვეში შედგა.

– ღონისძიების შემდგომი პერიოდი როგორ განხორციელდა?

ღონისძიებას, როგორც გითხარი პოეტი გულნაზ ხარაიშვილი და აკადემიის შვიდი წევრი ესწრებოდა. საღამოს დამთავრების შემდეგ, ყველამ გააკეთა მოკლე შეფასება, ყველა აღფრთოვანებულიყო ჩემი პატარებით, გაოცებულიყო თვით ქალბატონი გულნაზი, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ამ ღონიაძიების შესახებ, იქვე, აკადემიის წევრებს შესთავაზა: „ ამ ბავშვებმა უნდა გახსნან ჩემი საიუბი-

ლეო საღამო 1 მაისო," ამ გადაწყვეტილებას ყველა ერთხმად დაეთანხმა. შემდეგ ჩემი პატარა „ვურდენკინდები", ქალბატონმა გულნაზმა, თავისი ლეგენდარული ძმის ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნის საღამოზე მიიწვია, რომელიც გაიმართა გრ. ფერაძის სახელობის უნივერსიტეტში, რომლის რექტორი ბატონი ვახტანგ ფერაძეა.

ასევე მიწვეული ვიყავით დიდი მწერლის ბატონ რეზო მიშველაძის საიუბილეო საღამოზე. გვქონდა ქალბატონ მაყვალა გონაშვილის მიწვევა დედა-ენის ძეგლთან, სადაც ქ.თბილისის მერიის ორგანიზებით, გაიმართა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. პატარებმა მოკლედ წარმოადგინეს ლიტერატურული მინი პროგრამა.

– ქალბატონო ციური, როგორც ბრძანეთ, მიწვეულები იყავით გრ.ფერაძის სახ.უნივერსიტეტში, სადაც იმართებოდა ბეჟან ხარაიშვილის საღამო, რა პრიზები გადმოეცათ ბავშვებს?

არა მარტო ბავშვებს, ჯუმბერ ლეჟავას სახ. აკადემიის პრეზიდენტის გულნაზ ხარაიშვილის მიერ სიგელები გადაეცა №36 საჯარო სკოლის 1-ბ კლასის მოსწავლეებს: თიკა აფრასიძეს, მარიამ ბარბაქაძეს, მეგი გაფრინდაშვილს, გიორგი გვარჯალაძეს, თორნიკე დოთიაშვილს, ქეთი ვაჩეიშვილს, გიორგი იარაჯულს, მარიამ კაკიაშვილს, ანი კალმახელიძეს, დავით ლობჟანიძეს, ელენე მახარაძეს, ლიკა მინდიაშვილს, ელენე ჟუნანაშვილს, შალვა რაზგოევს, ლიზი სარდლიშვილს, ანი ტეფნაძეს, გიორგი უგრეხელიძეს, ნატალი ფომენკოს, გიორგი ქორაიას, ლევან ძნელაძეს, მატათა ხვიჩიას, ლუკა ჯოჯუას, ლიზი სოხაძეს, ვანიკო ბეროზაშვილს, და ლიკა გაბისონიას. ჩვენი სკოლის დირექტორს ქალბატონ მაია კვინიკაძეს და მე. დიდი მადლობა ქალბატონ გულნაზს.

– ბავშვთა დაცვის დღეს თქვენი ბავშვები, როგორც უკვე აღნიშნეთ, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელების მიერ მიწვეულები იყავით სკვერში – დედაენის ძეგლთან, რით იყვნენ თქვენი ბავშვები განსხვავებული სხვა ბავშვებისაგან?

სწორედ ამ ღონისძიებაზე, მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ გადმომეცა მაყვალა მრევლიშვილის სახელობის დიპლომი, რომელიც მართლა მოულოდნელი იყო ჩემთვის, დიდი მადლობა ქალბატონ მაყვალა გონაშვილს. ბავშვებმა სცენაზე გამარათეს ამ დღისადმი მიძღვნილი მოკლე ლიტერატურული საღამო.

– როგორც გავიგე, 1-ბ კლასის რამდენიმე მოსწავლე იმყოფებოდა ქ.სიღნაღში ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებთან შესახვედრად, რამ განაპირობა ამ პატარების მუზეუმით დაინტერესება?

დიახ, სიღნაღში ორი მოსწავლე იმყოფებოდა: თიკა აფრასიძე და გიორგი უგრეხელიძე, გარდა იმისა რომ აინტერესებდათ ქალაქი, სადაც პირველად მიდიოდნენ, მუზეუმი, სურვილი გამოთქვეს გამოეცადათ თავიანთი შესაძლებლობები ჟურნალისტიკაში. მათ ინტერვიუ აიღეს სიღნაღის ეროვნული მუზეუმის დირექტორთან და მუზეუმის თანამშრომლებთან. „პატარა ჟურნალისტებმა" შესენიშნავად გაართვეს თავი მათ მოვალეობას. გააოცეს როგორც მუზეუმის თანამშრომლები, ასევე, იმ მომენტში იქ მყოფი ქართველი თუ უცხოელი დამთვალიერებლები. ისინი ენაცვლებოდნენ ერთმანეთს პოეტ გულნაზ ხარაიშვილის ლექსების წარდგენაში. ბოლოს მუზეუმის დირექციამ სურვილი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში წვეოდა იმ სასწავლო დაწესებულებას, სადაც ისინი სწავლა-განათლებას ღებულობენ.

– რას იტყვით ჟურნალ „ათინათზე"?

ძალიან მომწონს, ამ ჟურნალის საშუალებით, უფრო მეტ, ახალ იფორმაციას ვღებულობ. იგი აერთიანებს თითქმის ყველა დარგს და რაც მთავარია ჟურნალის რედაქტორი, ჩემი აზრით, აყალიბებს და ემსახურება თაობათა კავშირის შეკვრას

– აპირებთ თუ არა ჟურნალ „ათინათთან“ ურთიერთობის გაგრძელებას ?

რასაკვირველია, არა მარტო მე, ჩემი მოსწავლეები, მშობლები, სკოლის დირექტორი, აქტიურად ვთანამშრომლობთ ჟურნალის რედაქტორთან, ვფიქრობ

ჩვენი თანამშრომლობა უფრო ღრმა ფესვებს გაიდგამს.

– ქალბატონო ციური, რით დაიმსახურეს პირველკლასელმა მოსწავლეებმა პოეტის, რედაქტორის, გულნაზ ხარაიშვილის 65 წლის იუბილეზე , თავიანთი პროგრამის გატანა?

ჩემო ილია, ჯერ დავიწყებ იქედან, რომ პირველშეხედვისთანავე ქალბატონმა გულნაზმა ჩემში ძალიან დიდი სითბო და ნდობა დატოვა, რომელიც შემდეგ უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ქალბატონი გულნაზის სახით შევიძინე კარგი ადამიანი, კარგი დამრიგებელი და კარგი მეგობარი. რაც შეეხება ქალბატონი გულნაზის იუბილეზე ჩემი მოსწავლეების მონაწილეობას, ეს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იმ დღესვე დაიგეგმა, მათი ნიჭიერებიდან გამომდინარე, მშობლების თანადგომითა და ჩემი დაუღალავი შრომით, ერთიანი ძალისხმევით, შეუცვლელი პროგრამით წარსდგნენ ქალბატონი გულნაზის 65 წლის იუბილეზე.

– რას იტყვით თქვენი ოჯახის შესახებ?

მყავს მეუღლე – კონსტანტინე ესებუა, პროფესიით – ინჟინერ-ეკონომისტი.

შვილი – მეგი ესებუა, განათლების მაგისტრი, ფიდეს ოსტატი ჭადრაკში. ამჟამად მუშაობს თბილისის №62 საჯარო სკოლაში, კერძო სკოლა „სადუნში“ და თბილიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრაზე მოწვეულ ლექტორად.

– ქალბატონო ციური, ძალიან მიყვარხართ და ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი.

ჩემთვისაც სასიამოვნო იყო. გისურვებ ჯანმრთელობასა და წარმატებებს.

– მადლობთ.

თიკა აფრასიძე
თბილისის №36 საჯარო სკოლის 1-ბ
კლასის მოსწავლე

ინტერვიუ იზა ყანჩაშვილთან

თბილისის №36 საჯარო სკოლის 1-ბ
კლასის მოსწავლე თიკა აფრასიძე

მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნორჩი ათინათელი.

– გთხოვთ მესაუბროთ თქვენს შესახებ...

სასიამოვნოა შენი გაცნობა, მე გახლავარ იზა ყანჩაშვილი სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ინგლისური ენის სპეციალისტი, ექსკურსია-მძღოლი.

– რას მეტყვით თქვენს საქმიანობაზე?

მე ძალიან მიყვარს ჩემი საქმიანობა იმიტომ, რომ ვხვდები უამრავ სპეციალისტს, განსაკუთრებით მიყვარს, როცა მოდიან უცხოელი სტუმრები , მათ ვაცნობ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ვაწვდი ინფორმაციებს მშობლიური ქვეყნის კუთხეების შესახებ და ასე ვაყვარებ მათაც ჩვენს ქვეყანას.

– ქალბატონო იზა, მუზეუმის თანამშრომელი ბრძანდებით, მაინტერესებს რომელ წელს დაარსდა ეს მუზეუმი?

ჩვენი მუზეუმი 1950 წლიდან დაარსდა. 2007 წლიდან კი მოხდა მისი განახლება და ახლა მუზეუმი ამ სახით არის წარმოდგენილი.

– ამ მუზეუმის ექპონატებიდან რომელს გამოყოფდით? რომელია ყველაზე ღირებული?

მე ამ მუზეუმიდან უპირველესად „ოქროს ლომის„ ქანდაკებას გამოვყოფდი, აგრეთვე, ბრინჯაოს ეტლის და აუცილებლად სამხატვრო გალერეაში ჩვენ გვაქვს უნიკალური ნამუშევრები, ნახატები, რომელიც ეკუთვნის ნიკო ფიროსმანს.

– რამდენად ხშირად სტუმრობენ უცხოელები?

ძალიან ხშირად, განსაკუთრებით გაზაფხულიდან, მათი რაოდენობა ძალიან ბევრია.

– რა შთაბეჭდილებებს აზიარებენ ისინი ჩანაწერთა წიგნში?

ჩანაწერთა წიგნში მათი შთაბეჭდილებები მრავალფეროვანია, ყველა ჩანაწერში ჩანს აღტაცება და აღფრთვანება საქართველოს, ჩვენი მუზეუმის , ჩვენი ბუნების, და სტუმართმოყვარე ქართველი ხალხის მიმართ.

– ქალბატონო იზა, გსმენიათ ალბათ ქართველი მოგზაურის ბატონი ჯუმბერ ლეჟავას შესახებ, იყო თუ არა იგი ამ მუზეუმის დამთვალიერებელი?

რა თქმა უნდა იგი რამდენჯერმე ესტუმრა ჩვენს მუზეუმს, მაგრამ მე არ მქონია იმის პატივი, რომ ბატონ ჯუმბერისათვის გამეწია ექსკურსიამძღოლობა.

– დავდივარ ეკლესიაში, ვკითხულობ ლოცვებს, ხშირად შეუსრულებია ღმერთს ჩემი თხოვნა, თქვენი აზრი ამ თემასთან დაკავშირებით?!

თიკა, მეც ხშირად დავდივარ ტაძარში, ვესწრები წირვა-ლოცვებს, უფალი იმდენად მოსიყვარულეა, ისე უყვარს ყველა ქრისტიანი, მე ყოველთვის მიგრძვნია მისი მადლი, ჩემი სათხოვარისა და სურვილების შესრულება.

– როგორც ვიცი სიღნაღი ისტორიული ქალაქია, მე პირველად ვარ ამ ქალაქში, რას მეტყვით მის ღირსშესანიშნაობებზე?

სიღნაღი მართლაც ისტორიული ქალაქია, დიდი ისტორიის მქონე ქალაქი, უამრავი ეკლესია-მონასტერია, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ წმინდა ნინოს, ქართველთა გამაქრისტიანებლის ბოდბის მონასტერი, სადაც განსვენებულია თვითონ წმინდა ნინო, წმინდა ნიკოლოზის, წმინდა მარიამის, წმინდა გიორგის ტაძრები....

– იცი, ქალბატონო იზა, მიყვარს დამოუკიდებლობა-თავისუფლად ყოფნა, მაშინაც კი, როცა ჩემს თოჯინებთან დედობანას ვთამაშობ, თავს ვერ ვგრძნობ დამოუკიდებლად; თქვენ რა ასაკიდან იგრძენით თავი დამოუკიდებლად?

არ მახსოვს ზუსტად, მაგრამ ალბათ შენზე ცოტათი უფროსი ვიყავი, ასე რვა-ცხრა წლის.

– გაიხსენეთ თქვენი ბავშვობა, როგორი ბავშვი იყავით?

მართალი გითხრა არ ვიყავი ცელქი ბავშვი, მაგრამ ზომიერად არც ცელქობა მაკლდა.

– დამთვარიელებლებთან დაკავშირებით რაიმე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდით?

დიახ, ასე ვთქვათ , მოხდა ასეთი კურიოზული ამბავი: მაშინ, როცა ჩვენს მუზეუმში ჯერ კიდევ არ იყო დამონტაჟებული ვიდეო თვალი , გვიწევდა დამთვალიერებლების კონტროლი, ასე ვთქვათ უკან დევნა, ერთხელ, როდესაც ჩვენს მუზეუმს უცხოელი დამთვალიერებელი ეწვია, ჩვენ მის მეთვალყურეობას შევუდექით, მან ეს შეგვამჩნია, იუკადრისა და პროტესტის ნიშნად დატოვა მუზეუმი, ჩვენ რა თქმა უნდა შევაჩერეთ და ავუხსენით თუ რაში იყო საქმე, მან დაგვიჩოქა და პატიება გვთხოვა, რის გამოც, ჩვენ უფრო მეტად, უხერხულად ვიგრძენით თავი.

– გარდა იმისა რომ, ის არის საერთაშორისო ჟურნალი, კიდევ რა გსმენიათ ჟურნალ „ათინათის“ შესახებ?

ჟურნალ „ათინათზე“ მე არაჩვეულიბრივი წარმოდგენა და შთაბეჭდილება მაქვს, ჯერ რა თქმა უნდა, იმიტომ რომ, ის ემსახურება ძალიან კარგ და კეთილშობილურ საქმეს, ეს ჟურნალი სავსეა რწმენით, რაც ძალიან სჭირდება დღევანდელ ახალგაზრდობას, ჩვენს ერს, რომ გავძლიერდეთ , უფრო მეტად მართლმადიდებლობაში, რწმენაში, გარდა ამისა ჟურნალში იბეჭდება არაჩვეულებრივი სტატიები სხვადასხვა მეცნიერების, მწერლების, პროექტების შესახებ, რომლებსაც ჩვენ, ალბათ უფრო ნაკლებად ვხვდებით სხვაგან და სწორედ „ათინათი“ ამ კეთილშობილურ მისიას ემსახურება.

– იცნობთ თუ არა მის რედაქტორს?

დიახ, ვიცნობ და ბედნიერად ვთვლი თავს, რადგან მქონია ამ არაჩვეულებრივ ქალბატონთან ურთიერთობა. მინდა ავღნიშნო, რომ ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი გავიცანი

ერთ-ერთი ღონისძიების დროს, როდესაც გაიხსნა, ახალგაზრდა მხატვრის, ქეთი გორდეზიანის ნამუშევრების გამოფენა.

– რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

ზოგადად მუზეუმში მუშაობა ძალიან მრავალფეროვანი და განუსაზღვრელია, მე არა ვარ ისტორიკოსი, მაგრამ ვარ მუდმივ ძიებაში, ვეცნობი და ვსწავლობ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, რადგან უფრო მეტ დამთვალიერებელს მივაწოდო უფრო მეტი ინფორმაცია, რომ ისინი დაინტერესდნენ და შეუყვარდეთ ჩვენი ქვეყანა.

– ქალბატონო იზა, გმადლობთ, რომ დრო დაგვითმეთ, საინტერესო იყო თქვენთან საუბარი.

ასევე ჩემთვისაც, ჩემო პატარა, იდენად სასიამოვნო იყო შენი გაცნობა, რომ სურვილი გამიჩნდა ვეწვიო იმ სასწავლო დაწესებულებას, სადაც შენ ღებულობ სწავლა-განათლებას.

– გმადლობთ.

თიკა აფრასიძე

ინტერვიუ მაყვალა გონაშვილთან

– ქალბატონო მაყვალა, რას გვიამბობდით თქვენს შესახებ.

– რა შემიძლია გითხრათ, ვარ ქალ-ვაჟის დედა, მეუღლე, პოეტი, პროფესიით ჟურნალისტი. დავამთავრე თბილისის 77-ე სკოლა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. პირველ კურსზე სწავლისთანავე ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა, საბავშვო გადაცემათა რედაქციაში რედაქტორად, სადაც სამი ათეული წელი ვმუშაობდი, ვარ ოცზე მეტი პოეტური და თარგმნილი კრებულის ავტორი, ჩემი ლექსები თარგმნილია და წიგნებად დასტამბულია ინგლისურ, იტალიურ, გერმანულ, უკრაინულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

სულ ახლახანს მოსკოვში გამოვიდა ჩემი ლექსების ახალი კრებული „დაგვიანებული შეხვედრა“. ვარ საბავშვო პიესებისა და ზღაპრების ავტორიც.

– როდის დაწერეთ პირველი ლექსი.

– 6 წლის ასაკში დავწერე პირველი ლექსი. ბებიასთან ვიყავი სტუმრად. ლექსი ასე მთავრდებოდა:

მივქრივარ, ჩემს რაშზე ვზივარ,
მივაპობ მთებსა და ველებს,

მივქრივარ, იქ, სადაც სიკვდილი არ არის,
მივქრივარ იქ, სადაც სიცოცხლე ჩქეფს.

არ ვიცი, იმ ასაკში სიკვდილ-სიცოცხლეზე რამ დამაწერია ლექსი. შემდეგ მეორე კლასში სწავლის პატარა ჩანახატები დავწერე და „პიონერში“ გავაგზავნე. მალე ჟურნალი მივიღე საჩუქრად ჩემი მინიატურებით. ყველაზე დიდი სიხარული კი ჩემთვის იყო ჟურნალ „ცისკარში“ რედაქტორთან, ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანთან სტუმრობა.

მაშინ მეცხრე კლასში ვიყავი, ბატონ ჯანსუღს რედაქციაში ასფურცლიანი რვეულით ხელში ვეწვიე. ლექსები იქვე წაიკითხა, პოეტი ყოფილხარო მითხრა, ხელი ჩამომართვა და რვეულს დააწერა, დაიბეჭდოს უახლოეს ნომერში. ჩემი პირველი წიგნის წინასიტყვაობაც ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს ეკუთვნის. მე მისგან მთელი ცხოვრებით დავალებული ვარ და ჩემი უსაყვარლესი უფროსი კოლეგა და მეგობარია. და განა მარტო ჩემი?! ის სიკეთის რაინდია. ჩემი თაობა (და არაერთი თაობა დიდადაა დავალებული მისგან).

– ის დღე იყო თქვენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე?

– ყველაზე ბედნიერი არა, ერთ-ერთი ბედნიერი დღე. ყველაზე ბედნიერი დღეები ქალისთვის ის დღეებია, როცა შვილი იბადება. ჩემი შვილების დაბადების დღეები ყველაზე მნიშვნელოვანი დღეებია ჩემს ცხოვრებაში. გამიგია ზოგიერთ წარმატებულ ქალბატონზე, არ დაოჯახდა, შვილი არ გააჩინა კარიერისთვისო, ნუთუ არსებობს შვილის ღიმილზე უფრო მნიშვნელოვანი ჯილდო, სახელი, პრემია?

– და რა არის შვილების ღიმილის მერე თქვენთვის მნიშვნელოვანი?

– პოეზია, ჩემი საქმე, მწერალთა დიდი ოჯახი. მადლობელი ვარ უფლის, რომ ცხოვრების გზაზე მრავალ საინტერესო, ქვეყნისთვის სასიქადულო მამულიშვილთან შეხვედრა და მეგობრობა მერგო ჯილდოდ. XX საუკუნის დიდი ქართული მწერლობისა და ხელოვნების წიგნი ნელ-ნელა ჩემს თვალწინ დაიხურა. ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ჩხეიძე, ზურა ქაფიანიძე, რეზო ინანიშვილი, მიხეილ ქვლივიძე, ნოდარ დუმბაძე, გოდერძი ჩოხელი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ოდესმე უსათუოდ დავწერ მათზე მოგონებებს.

– რას გვისურვებთ მომავალ თაობას?

– უპირველესად მშვიდობიან სამყაროში გეცხოვროთ. გიყვარდეთ სამშობლო და მშობელი ენა, რომელსაც დღესაც უამრავი განსაცდელი აქვს. და რაც მთავარია, დღეს ძალიან იმძლავრა ავენაობამ და უსიყვარულობამ.

უფალი სიკეთე და სიყვარულია. სიყვარულის გზით იარეთ...

შალვა რაზგოევი
თბილისის №36 საჯარო სკოლის 1-ბ კლასის მოსწავლე

ინტერვიუ ანა ერისთავთან

ქალბატონო ანა მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, თბილისის 36-ე საჯარო სკოლის მოსწავლე შალვა რაზგოევი.

გიყვართ ბავშვები?

რასაკვირველია, ბავშვები ძალლიან მიყვარს ბავშვი ხომ ხვალინდელი დღის გაგრძელებაა.

თქვენ ბიბლიოთეკის დირექტორი ბრძანდებით, გყავთ მკითხველები?

მკითხველები მყავს რა თქმა უნდა, უფრო მეტად აბიტურიენტები აქტიურობენ, იწერენ საასურველ ლიტერატურას.

როგორც ვიცი თქვენ პოეტი ხართ, თუ წერთ საბავშვო ლექსებს?

ლექსებს, ვწერ როგორც მოზრდილებისათვის, ასევე ბავშვებისათვის, ლექსი ჩემი სულის ამოძახილია.

რას იტყვით ჟურნალ „ათინათის“ შესახებ?

ჟურნალი „ათინათი“ საკმაოდ საინტერესო ჟურნალია, მასში თაობებია გაერთიანებული, ახალი მეთოდით დანერგილი ჟურნალით, მჯერა, რომ საქართველოს ყველა კუთხე დაინტერესდება.

რას გვისურვებ პატარებს?

პატარებს ვუსურვებ ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას, მათთვის ყოველი დღე იყოს მშვიდობიანი თბილი და მიზანდასახული.

ნანა სხირტლაძე
ქ. რუსთავის №11-ე საჯარო სკოლის
მე-11 კლასის მოსწავლე

ინტერვიუ ხაშურის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორთან, ქალბატონ მაკა ...

მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჯურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, ქ. რუსთავის №11-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, ნანა სხირტლაძე.

ქალბატონო მაკა, რა პროფესიის ბრძანდებით და რამდენი ხანია მუშაობთ ბიბლიოთეკაში?

პროფესიით ვარ ინჟინერი, დავამთავრე საქართველოს ტეკნიკური უნივერსიტეტი. ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობებზე: საპარლამენტო წარმომადგენლობაში, ვიყავი სკოლის დირექტორი, ბავშვთა სახლის დირექტორი,შემდეგ დიდი სიხარულით დავიწყე მუშაობა ბიბლიოთეკაში, რადგან კითხვა და ბიბლიოთეკა ბავშვობიდან მიყვარდა, და ჩემი საყვარელი ადგილი იყო ბიბლიოთეკა. 3 წელი ვიმუშავე ახალგაზრდული პროგრამების მენეჯერად და შემდეგ, გასული წლის ივნისიდან ვარ ბიბლიოთეკის დირექტორი.

რამდენი ბიბლიოთეკაა ხაშურის მუნიციპალიტეტში?

პასუხი: 2011 წლამდე ხაშურში იყო 26 ბიბლიოთეკა, შემდეგ მოხდა რეორგანიზაცია და დღეს არის სულ 3 ბიბლიოთეკა: ხაშურის ცენტრალური, ხაშურის საბავშვო და სურამის ბიბლიოთეკები.

ყავს თუ არა მკითხველი დღეს ბიბლიოთეკას?

ბიბლიოთეკა ფლობს კულტურის, განათლების, ინფორმაციის და ცოდნის უდიდეს საგანძურს, რომელიც ესაჭიროება ყოველ ჩვენგანს, ჩვენს ქვეყანას და მის ყოველ მოქალაქეს. ეს ცოდნა, ინფორმაცია განსაკუთრებით გვესაჭიროება დღეს - პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოკრატიული გარდაქმნების პერიოდში.ბიბლიოთეკამ დღეს შეითვისა თანამედროვე ფუნქცია - გარდა იმისა, რომ ბიბლიოთეკაში ხდება წიგნით მკითხველის მომსახურება, ასევე მკითხველი აქ პერიოდული პრესით, ინტერნეტით და სხადასხვა საშუალებით იღებს საჭირო ინფორმაციას. დღეს ბიბლიოთეკას ყავს საკმაოდ ბევრი მკითხველი: მოსწავლეები, სტუდენტები, პენსიონერები, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ასაკის მაცხოვრებლები. ჩვენთან მათ ხვდებათ თანამედროვე გარემო – აღჭურვილი ახალი წიგნებით, პერიოდული გამოცემებით, ტექნიკით, ინტერნეტზე თავისუფალი დაშვებით. კითხვა; რომელი სფერო უფრო აინტერესებს მკითხველს?

ჩვენთან მოთხოვნა არის ძალიან მრავალფეროვანი. მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა არის ძალიან პოპულარული, გასულ წელს მაგალითად ყველაზე მოთხოვნადი წიგნი იყო დათო ტურაშვილის წიგნი „ჯინსების თაობა“, წელს კი გიორგი კეკელიძის „გურული დღიურები“-ა ძალიან კითხვადი. სტუდენტებს ჭირდებათ სხვადასხვა დარგობრივი სამეცნიერო, იურიდიული, სპეციფიური ლიტერატურა, რითიც სარგებლობენ კიდეც ჩვენი ფონდებით.

გაქვთ მდიდარი ფონდი?

იცით, ჩვენი ბიბლიოთეკა მოიცავს საკმაოდ მდიდარ წიგნად ფონდებს

– ცენტრალურიში გვაქვს 46 492 წიგნი, საბავშო 16 308 და სურამში 25 089.

ახალი ლიტერატურა თუ გაქვთ?

ვცდილობთ შავავსოთ ახალი წიგნებით ჩვენი ფონდები.მკითხველის მოთხოვნა დიდია ახალ წიგნებზეც და თანამედროვე ლიტერატურაზე.

წელს პრეზიდენტის ინიციატივით საქართველოს მასშტაბით განხორციელდა პროექტი: „წიგნი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“. და ჩვენ გადმოგვეცა 500 ლარიანი ვაუჩერი ახალი წიგნების შესაძენად თითოეული ბიბლიოთეკასათვის, ასე, რომ ეს დიდი საჩუქარი იყო ჩვენი მკითხველებისათვის, განსაკუთრებით პატარებმა გაიხარეს ამ საჩუქრით.

რა სიახლეებით სარგებლობენ მკითხველები თქვენთან?

ჩვენთან არსებობს თავისუფალი სივრცე ნებისმიერი მსურველისათვის: ადამიანს შეუძლია თავისუფალ დროს მოვიდეს ბიბლიოთეკაში და ჩაერთოს სხვადასვა პროგრამებში. ჩვენთან მოქმედებს კლუბები: „კითხვის კლუბი“, „მეცნიერების მოყვარულთა კლუბი“, „პატარა მკითხველთა კლუბი“, „ზღაპრის მოყვარულთა კლუბი“, „ქალთა კლუბი“ და ასევე რამდენიმე მიმდინარე პროექტი ხორციელდება, რაც ძალიან მოწონს მოსახლეობას და ამიტომ ჩვენთან მუდმივად ხალხმრავლობაა.

რაც შეეხება თანამედროვე ტექნოლოგიებს, ჩვენი ბიბლიოთეკა ჩართულია ელექტრონული ბიბლიოთეკის „ოპენბიბლიო“ - ს პროგრამაში, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს, სახლიდან გაუსვლელად მოიძიოს და დაჯავშნოს წიგნი . ასევე ჩვენთან ტარდება უფასო ტრენინგები კომპიუტერის და ინგლისური ენის შესასწავლად.

ამჟამად რა პროექტი მიმდინარეობს?

ამ ეტაპზე ტარდება მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებისათვის ინტელექტუალური პროექტი „რა, სად, როდის?“ და ასევე საგნობრივი ტურები 9 საგანში, სადაც გამოვლინდება გამარჯვებული გუნდი და "წლის ინტელექტუალური მოსწავლე“.

ვინ სტუმრობენ თქვენს ბიბლიოთეკას?

ბიბლიოთეკაში იმართება წიგნის პრეზენტაციები, გამოფენები, კონფერენციები, საიუბილეო საღამოები, საჯარო ლექციები, პოეზიის საღამოები, კინოჩვენებები და სხვა ტიპის კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები. ჩვენთან ხშირად ჩამოდიან ცნობილი ადამიანები: მწერლები, პოეტები, გამომცემლები. ამ ბოლო პერიოდში გამომცემლობა „დიოგენე“ გვეწვია და წიგნის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. მოსახელობა ძალიან კმაყოფილი დარჩა, მათ დიდ ფასდაკლებით შეიძინეს სასურველი წიგნები.

ხშირად ვაწყობთ ჩვენს ქალაქში მცხოვრები ავტორების წიგნის პრეზენტაციებს.სულ რამდენიმე დღის წინ მოეწყო ახალგაზრდა პოეტი ქალის, ხათუნა ჩიტაძის წიგნის „ნამზეურების“ წარდგინება.

რა გეგმები გაქვთ?

ჩემი დიდი სურვილია სოფლებში აღდეგს ბიბლიოთეკები, და სოფლის მკვიდრს გაუჩნდეს კულტურული ცხოვრებისათვის ელემენტარული პირობა – მივიდეს საზოგადოებრივ ცენტრში, თანამედროვე ბიბლიოთეკაში და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია: წიგნით, პერიოდული პრესით, ინტერნეტით. იმედია, ახალი ხელისუფლების პირობებში მოგვეცემა ამისი საშუალება და კულტურულ დაწესებულებებს დიდი ყურადღება მიექცევა, რადგან წიგნის გარეშე არ არსებობს განათლება, განათლებული ადამიანის გარეშე, კი თავისუფალი საზოგადოება. ჩვენს ქვეყანას კი დღეს ჭირდება განათლებული, წესიერი, ზნეობრივი ადამიანები.

- წარმატებებს გისურვებთ და ბევრ მკითხველს!

ნანა სხირტლაძე

ინტერვიუ მხატვარ ნიკო ხერკელაძესთან

ხელოვნების სახესხვაობის დარგებიდან, რომელია ყველაზე ხანდაზმული?

სახვითი ხელოვნებაა ყველაზე ძველი, მრავალი საუკუნეების წინ, მაშინ როცა ადამიანებმა მეტყველება არ იცოდნენ. გამოქვაბულის კედლებზე ქმნიდნენ ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებებს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ის რომ, ეს მაშინდელი გრაფიკა იყო ბევრი იმ დროის, პირველყოფილ მხატვართა ნამუშევრები დღესაც საინტერესო სანახაობრივ ინტერესს იწვევს.

– ხელოვნებაში, ან ხელოვანთა საზოგადოებაში, უმთავრესი პრიორიტეტი, რა ნიშან-თვისებებს მიენიჭება?

– ხელოვნებაში, და საერთდ ხელოვანთათვის ნიჭი, უპირველესად უფლისაგან ბოძებულია, ხშირად ჯილდოდ და ხშირად სასჯელადაც, სადაც და ვისთანაც მაღალი ნიჭიერებაა, უფლისაგან ნიშანდებული იქ მაღალი შრომისმოყვარეობაცაა. სწორედ ასეა, როცა პიროვნებას მაღალი ნიჭიერება დაჰყვება, უფალი ამოუწურავ შრომისუნარიანობასაც დაანათლავს ხოლმე.

– რა არის ნიჭის თვითმყოფადობა, როგორი ახსნა აქვს ამას?

– აქ პასუხი მოკლე და ამომწურავია, ნიჭი არის ის რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავისთავს ჰგავს, და არავის არა ჰგავს სხვას.

– მაინც რა არის ხელოვნება და მისი დანიშნულება?

– ხელოვნება კაცობრიობის ისტორიაში, ტრადიციული, ეროვნული, სიმბოლურად არსებული, ემოციური მეხსიერებაა.

– ხელოვნებას უნდა ახასიათებდეს თუ არა ეროვნული ნიშან-თვისებები?

– ეს ძალზედ აუცილებელი მოვლენაა მსოფლო შემეცნების მოვლენებაში, მტკიცედ დამკვიდრებულია აზრი, მხატვრობაში ეროვნულობის წარმოსაჩენად. მაგ: იტალიური მხატვრობა, ფრანგული მხატვრობა, გერმანული მხატვრობა, ესპანური მხატვრობა და სხვა ასევეა მწერლობაშიც, მისი ნიშან-თვისება ყოველთვის იმ შინაარსის მატარებელია, სადაც იშვა მწერალი, ჩვენს სამშობლოს აქვს უდიდესი ისტორიული განძი, ქართული მწერლობისა. ასევეა სახვით და მთელ რიგ ხელოვნების დარგებში. რასაც ქართული მხატვრობა ჰქვია, წელან ნიჭიერებაზე ვისაუბრეთ, რომელიც მხოლოდ თავისთავს ჰგავს, ქართული მხატვრობაც მხოლოდ თავის თავს უნდა ჰგავდეს და არა. სხვა ეროვნების მხატვრობას.

– რა არის ხელოვნების უმთავრესი მისია მოვალეობა?

– აქაც ისევ ნიჭთან გვაქვს საქმე, ნიჭი არ მოასვენებს (ხელოვანს) მხატვარს, თავის მისიას აუცილებლად შეასრულებინებს, მხატვარს გამუდმებით უნდა ელოდებოდეს პალტრა და ფუნჯები. ამიტომ მას უფლება არა აქვს, უმიზნოდ დაკარგოს დრო. პალიტრა მხატვრისა, ქალივითაა, სულ ფერაობა უნდა, თუ ხშირად არ მოეფერები გაბუტვა იცის. მერე შერიგება ძნელდება.

– როგორ გამოხატავთ, თქვენს დამოკიდებულებას ფერთან ანუ საღებავებთან?

– ქართველი ხალხის ნათქვამია „ფერი ფერსაო მადლი ღმერთსაო. ე.ი. ქართველი ადამიანი ფერით აზროვნებს, ყველა-ფერია ან არა ფერია, ადამიანების თვისებაა, ვინც უყვართ მათთან ურთიერთობა არა ბეზრდებათ, არც იღლებიან და მუდმივ ენერგიით არიან დამუხტულნი. ასეა მხატვრობაშიც ხატვის პროცესში, ვინც მალე იღლება ის ნიჭიერებაშიც მოიკოჭლებს.

– როგორი შეხედულება აქვს მხატვარს, მის გარშემო სამყაროსთან?

– მხატვარი, თავის გარშემო მიმდინარე მოვლენებს, თავის გრძნობათა ქურაში გაატარებს, გაანალიზებს, ჩამოაყალიბებს, და შემდეგ ამ ნაზავს, ტილოზე გადაიტანს და მაყურებელს სთავაზობს.

– რა არის მხატვრისათვის საგამოფენო დარბაზი?

– მხატვრებისათვის, საგამოფენო დარბაზები არის სცენა, სადაც თავიანთი ნიჭიერება მაყურებელს უნდა წარუდგინოს. მხატვრის ნამუშევრები გამოფენილი, გალერეაში მაყურებელზე ზეგავლენას ახდენენ, კარგმა ნახატმა მაყურებელი მაგნიტივით უნდა მიიზიდოს, გააჩეროს, დააფიქროს, ე სკი დასტურია იმისა რომ ნახატში მხატვარმა დიდი მუხტი ჩადო.

ამიტომ მხატვარი პალიტრასთან ხშირად უნდა იჯდეს, ფიქრობდეს, ხშირად უნდა იყოს მუნჯი. და ხშირად უნდა ეჭიროს მას ხელში ფუნჯი.

– ხელოვნების როლი, მსოფლიო, ხალხთა თანაცხოვრების საქმეში?

– მსოფლიო ხელოვნების გარეშე წარმოუდგენელია, სახვითი ხელოვნება ის რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა გალერიები და მუზეუმები, მუსიკალური და თეატრალური ხელოვნება რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა თეაატრები და ოპერები, მსოფლიო მწერლობა რომ არ ყოფილიყო არ იქნებოდა საჯარო ბიბლიოთეკები. რომ არა ხელოვნება, ომები უფრო მეტი იქნებოდა მსოფლიოში.

– თქვენი ნახატებიდან რომელს გამოარჩევდით?

– მხატვრისათვის ყველა ნახატი შვილივით საყვარელია. მაგრამ ამჯერად შემოგთავაზებდით ორ ნახატს, ეს არის „ღაღო სადალაქოში“, „თამარ მეფის ვარძია“.

ღაღო სადალაქოში

თამარ მეფის ვარძია

მერი ბერაძე
თბილისის №146 სკოლის მოსწავლე



ინტერვიუ ონერ ძაძუასთან

მე ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“, ნორჩი ათინათელი, თბილისის №146 სკოლის მოსწავლე მერი ბერაძე.

გთხოვთ გამაცანით თქვენი პიროვნება.

მე ვარ ონერი ძაძუა, ადამიანი, რომელიც მუდმივად არი სიახლის ძიებაში და შრომობს დაუღალავად.

როგორი ადამიანი გინდათ რომ იყოთ ცხოვრებაში?

მინდა ვიყო მართალი ადამიანი, რომ პირველ რიგში ადამიანებს დავამახსოვრდე ჩემს მიერ გაკეთებული კეთილი საქმით.

როცა პატარა იყავით, რა გინდოდათ რომ გამოსულიყავით?

ბავშვობაში ყველაზე მეტად მინდოდა რომ ვყოფილიყავი იურისტი.

რა პროგნოზები გაგაჩნიათ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით?

მე მეჯერა, რომ დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს და საქართველო გაბრწყინდება.

რას აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?

ყველაზე მეტად ადამიანში ვაფასებ სიკეთეს და ერთგულებას.

ცხოვრებაში რისი სურვილი გაქვთ, რაგინდათ რომ გქონდეთ?

მინდა მქონდეს საკუთარი სახლი, სადაც ჩემი ხელით გავაკეთებ ლამაზ ბაღს.ასევე მინდა, რომ მე, ჩემი ოჯახი და ჩემი საყვარელი ადამიანები ვიყოთ ჯანმრთელნი და ბედნიერნი.

რა უნდა ახსოვდეს თითოეულ ადამიანს, ანუ თქვენ?

რომ ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი და მოვასწრო ყველაფერი.

თქვენი პიროვნება რომელი ზღაპრის გმირს შეგიძლიათ მიასმგავსოთ?

არ დავფიქრებულვარ და არც მახსენდებაკონკრეტულად რომელიმე გმირი, ალბათ ნებისმიერი ზღაპრის კეთილი პერსონაჟი.

თქვენი აზრით გამარჯვება რის გარეშე არ არესებობს?

ბრძოლის გარეშე არ არსებობს გამარჯვება.

რას აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?

იუმორის გრძნობას

როდის გავიწყდებათ, რომ დაღლილი არა ხართ, როცა გონებრივად მუშაობთ, თუ როდესაც ფიზიკურად ასრულებთ რაიმე სამუშაოს?

უფრო გონებრივი მუშაობისას. თუ გადაღლილივარ, ან რამის გამო ყურადღება მაქვს გაფანტული, ელემენტარული რაღაცეები: ტელეფონი, მანქანის ან სახლის გასაღები შეიძლება დამავიწყდეს.

ნიჭი რომელსაც გინდათ რომ ფლობდეთ?

ალბათ გარკვეული დოზით ყველა ადამიანში დევს ყველა სახის ნიჭი. ვერ გეტყვით, რომ რაიმე განსაკუთრებული ნიჭით გამოვირჩევი, მაგრამ ალბათ თუ ძალიან მოვინდომებ რამე გამომივა. შეუძლებელი ამ ქვეყნად არაფერია, თუმცა ყველაზე კარგად რა თქმა უნდა ის გამომდის, რაც ყველაზე მეტად მიყვარს და რაზეც ბევრს ვმუშაობ.

როგორ ფიქრობთ, თქვენში რა თვისება არის ყველაზეკარგი?

მომავლის რწმენა.

რის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრება?

ის, რის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია არის ჩემი ოჯახი და მეგობრები.

ბატონო ონერ, თქვენ გახდით 60 წლის, იუბილესთან დაკავშირებით თქვენზე დაიწერა რამე?

დიახ, ჩემ პიროვნებაზე დაწერა ბატონ **სიმონ ზაქარაიამ. აი, რას სერს იგი:**

❊ ❊ ❊

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შორის კარგად ცნობილ მეცნიერს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, 40-მდე სა-

მეცნიერო შრომისა და რამდენიმე გამოგონების ავტორს, სოხუმის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პროფესორს, უდაოდ მისაბაძი და უღალატო მეგობარს ბატონ ონერ ლეონტის-ძე ძაძუას.

ბატონი ო. ძაძუა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ტრაგიკული კუთხიდან – აფხაზეთიდანაა. იგი დაიბადა 1955 წელს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში. ისტორიული და არქეოლოგიური მასალების სიმრავლე უდაოს ხდის, რომ ოტობაია სხვა ზღვის სანაპირო სოფლებთან ერთად, როგორიცაა ანაკლია, ფიჩორი, გაგიდა, გუდავა (ზიგანეოსი) და სხვა წარმოადგენს უძველეს იმ კოლხური ცივილიზაციის ორგანულ ნაწილს, რომელსაც ბერძნული და რომაული მეცნიერული თუ მითოლოგიური წყაროები უხვად და დიდი სიამაყით იხსენებენ თავის ერისა და ქვეყნის ისტორიასთან ერთად.

სოფელი ოტობაია განთავსებულია საკმაოდ დიდ სივრცეზე, იგი მდებარეობს ენგურის დინების მარჯვენა სანაპიროზე, რაც ქმნის მეტად მშვენიერს, რბილ სუბტროპიკულ კლიმატს. აქ უძვლესი დროიდან ხარობს ციტრუსოვნები, ფეიხოა, იაპონური ზღმარტლი და სხვა ზომიერი კლიმატის ხეხილოვნები და ბოსტნეული. ოტობაია მაინც გამორჩეულად თხილის ქვეყანაა, რომლის ხარიხსი მსოფლიო სტანდარტისაა.

პეტერბურგის (მაშინდელი ლენინგრადი) ვავილოვის სახელობის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტში ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 3 წლის განმავლობაში მუშაობამ მომიწია ოტობაიას ახალჩამოყალიბებულ ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობის ჯერ დირექტორის მოადგილედ, შემდეგ კი დირექტორად. ეს იყო გასული საუკუნის 70-იანი წლები, მაშინ ონერი და –მისი და-ძმა სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ბატონმა ლეონტი ძაძუამ და ქალბატონმა თინა ბენდელიანმა, როგორც სოფელ ოტობაიის მოსახლეობის მტკიცე ტრადიციის მქონე ოჯახმა ხუთი შვილი აღუზარდეს სამშობლოს (იყო 7-8 და 10 შვილიანი ოჯახებიც). ბატონი ლეონტი დიდებული ვაჟკაცი, ჩვენთან აგრონომად მუშაობდა, იყო უნაკლო, სპეტაკი და საქმის მცოდნე მეგობარი, ამიტომაც ვმეგობრობდი კიდევაც მასთან.

ლეონტი ძაძუამ აბსუა, ურდო ტომების მიერ სოფლის ოკუპაციას მის აოხრებას, ათასობით მოსახლეობის და ახლობლების გაჟლეტვის, გადარჩენილი ოჯახების გახიზვნას ვერ გაუძლო და დაიღუპა. ქალბატონი თინა დღესაც ოკუპირებულ ოტობაიაშია და თავის ორ ვაჟკაცთან – გურამსა და რაულთან ერთად ყურადღებას არ აკლებს ღირსეული მეუღლის საფლავსა და გადარჩენილ ოჯახის სხვა წევრებს.

სოფელი ოტობაია, სადაც 1000 (ათასი) კომლზე მეტი ცხოვრობდა, მუდამ ორი საშუალო სკოლა ფუნქციონირებდა, ამიტომ მოსწავლე ახალგაზრდობის სიმრავლით გამოირჩეოდა.

სწორედ ამ მშობლიურ სოფელში დაამთავრეს საშუალო სკოლა ონერიმ და მისმა და-ძმებმა.

1973-77 წწ. ო. ძაძუა სწავლობდა და წარმატებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტი..

მან, როგორც მოწესრიგებულმა ახალგაზრდამ, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1978-1979 წწ. სამხედრო სავალდებულო სასმსახურ გაიარა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1979-84 წ.წ. ო. ძაძუა ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის თანამშრომელია, ხოლო 1984-89 წწ. იყო ამავე ინსტიტუტის ასპირანტი.

1991 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და იმდროინდელმა მოსკოვის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა მას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ონერი ძაძუა მონაწილეა მრავალი საკავშირო გამოფენისა მოსკოვში, მისი ერთ-ერთი გამოგონება დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

1979-1991 წლებში იყო ზემოხენებული საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის სხვადასხვა თანამდებობებზე, ხოლო 1992 წლიდან, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

1994-96 წლებში ო. ძაძუას ნიშნავენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების განყოფილების უფროსად.

2008-2010 წ.წ. ონერ ძაძუა გადაჰყავთ სააქციო საზოგადოება „ქართლი გაზი“-ს გენერალურ დირექტორად.

2010 წლიდან ონერი ძაძუა, სქართველოში მოქმედი შპს „საქართველოს ნერგები“-ს ჯერ კონსულტანტი, ხოლო შემდგომ მთავარი სპეციალისტია.

დიდი სიამოვნებით მინდა ავღნიშნო ის ჭეშმარიტი ფაქტი, რომ ბ-ნ ონერი ძაძუა არის დაუზარელი, კვალიფიციური და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება, როელიც მუდამ მოწოდების სიმაღლეზეა.

2014 წლიდან იგი არჩეულია „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის – აკადემიკოსად.

ჰყავს მეუღლე – ლირა პატარაია, იგი მედიცინის მუშაკია, აფხაზეთის ომის მონაწილე, ვეტერანი, ქალიშვილი სოფიკო ძაძუა, პროფესიით იურისტია, სიძე გიორგი ივანიშვილი თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი, საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ნაკრების წევრი, რამდენიმე საჯარო სკოლისა და თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ფრენბურთელთა გუნდის მწვრთნელია. ოჯახის გამახარებელი – ონერის შვილიშვილი დაჩი ივანიშვილი, მალე 2 წლის გახდება.

ონერ ძაძუას, მისი მეგობრები და თანამოაზრენი ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, როგორც მეცნიერებაში ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიურად მუშაობას და რაც მთავარია თავისი კუთხე- მამულში აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნებას.

იცნობდით თუ არა ბატონ ჯუმბერ ლეჯავას?

ვიცნობდი, როგორც მსოფლიო მოგზაურს, ქართველ ჩოხოსანს.

რას იტყვით თქვენ სიძეზე?

სიძეზე? სიძე ჩემი შვილია, ასეთმა ახალგაზრდებმა უნდა იმრავლონ საქართველოში. მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. ერთი დღეც რომ არ ვნახო მენატრება

რას იტყვით თქვენს შვილიშვილზე დაჩიზე?

დაჩი უცნაური ბავშვია, ნიჭიერია და ზომაზე მეტად მოაზროვნე. მისი უცნაური საქციელი ხშირად დასაფიქრებელია, ვფიქრობ დაჩი ნიჭიერ ახალგაზრდად უნდა ჩამოყალიბდეს.

დაჩის ბებია ზრდის თუ დედა?

ჩემი შვილი იურისტია ქალბატონი სოფიკო, ამოტომ დაჩის ბებია ზრდის. სხვათაშორის არ ჩხუბობენ ბებია და შვილიშვილი, მეგობრები არიან

როგორი პიროვნება იყო ბატონი ჯუმბერი?
განათლებული, კარგი პორტსმენი, ერის სიამაყე, ქართული ტრადიციების მატარებელი.
რას უსურვებდით მომავალ თაობას?
მომავალ თაობას ვუსურვებდი ეცხოვრათ ერთიან, გაბრწყინებულ საქართველოში.

ტარიელ ხარატიშვილი
ლაგოდეხის რაიონის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე

მამა აკაკაკი, დამლოცეთ!

1. თქვენამდე მეუფე კონსტანტინეს ნაფეხურებს გამოვყევი. ამ დიდებულ ტაძარში სწორედ უდიდესი სასულიერო მოღვაწის მადლმა მომიყვანა. იგი მამათქვენია. რას გვეტყვით მეუფეზე, როგორც ხორციელ მამაზე?

ჩვეულებრივ, როგორც ყველა ოჯახის მამა, როგორიც უნდა იყოს მამა, როგორც საქართველოში იყო მიღებული ესეთი მამა იყო. ცდილობდა შვილებს ჰქონოდა მყარი სარწმუნოება. იყო ძნელბედობა, სარწმუნოების დევნა, მაგრამ იგი არ უშინდებოდა. საერო სამსახურში იყო და ლოცულობდა, ეკლესიაში დადიოდა, ყოველგვარ ქრისტიანულ წესებს იცავდა. ბავშვებს გვინერგავდა უფლის სიყვარულს, განსაკუთრებული იყო მისი მზრუნველობა ამ თვალსაზრისით.დიდი განათლება ჰქონდა მიღებული, სასულიერო საკითხებში ძალიან ღრმად ერკვეოდა. ალბად სარწმუნოება რომ ჰქონდა ასეთი ძლიერი, ღმერთი მას მფარველობდა და მისმა ძლიერმა რწმენამ განაპირობა, რომ მისი შვილებიც ყველანი მორწმუნენი გავხდით. ასეთი იყო, როგორც ხორცეული მამის ჩვენთან ურთიერთობა.

2. ერთი სტიქაროსანი ყვება, ერთხელ, თურმე, სამეუფო წირვის დროს, ხელთბანვის რიტუალისას, მეუფისთვის შემთხვევით, ადუღებული წყალი დაუსხამს. მეუფეს მშვიდად შეუხედავს და მომღიმარს, მშვიდადვე, მხოლოდ ეს უთქვამს:, „მმდუღრავ, შვილო?“ სტიქაროსანი შეწუხებულა და წყალი ისევ მოუტანია. ჩაიდანში ისევ ადუღებული წყალი ყოფილა, მეუფის ხელებს კვლავ უწვნევია დამწვრობის ტკივილი, სიმშვიდე მაინც არ დაუკარგავს... როგორ მიიღწევა ასეთი სულიერი სიმაღლე?

ნამდვილი სარწმუნოება ეს არის სწორედაც. თუ ადამიანს აქვს ძლიერი რწმენა, სასწაულიც შეიძლება მოხდეს.

ადამიანი ყველანაირად უნდა ცდილობდეს აღრმავებდეს თავის სარწმუნოებას, სარწმუნოება ეს არის უფლისთვის თავდადება, უფლის სიყვარული. მოციქული ამბობს სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. დიდი ძალა ეძლევა იმას, ვისაც აქვს უფლის სიყვარული, ასეთ სარწმუნოებას ჰქვია სასწაულებრივი სარწმუნოება. თუნდაც მაგ მაგალითიდან გამომდინარე: მორწმუნე ადამიანს, ასეთი სიმშვიდე, მოთმინება და განსჯის უნარიანობა აქვს. ის იმასაც ჭვრეტს რატომ, რა მიზეზით მოხდა და მისი სიმშვიდე არანაირ ძალას არ შეუძლია დაარღვიოს.

3. როგორი შვილი იყო მამა აკაკი?

როგორც ყველა ბავშვი, რაღაც თავისებურებებით, უარყოფითი და დადებითი თვისებებით. ცდილობდა ყოფილიყო დამყოლი, დამჯერი, ჰქონდა სიცელქეც. იჩენდა გულმოდგინებას, საგნების ათვისება შეეძლო, მაგრამ სიზარმაცე და სიცელქე იპყრობდა. ჰქონდა გართობისკენ მისწრაფებები და მე ძალიან ვნანობ, რომ არ გამოვიჩინე თავის დროზე სიბეჯითე, ამიტომ სხვა ბავშვებსაც ვურჩევთ, გართობა არაფრის მომტანი არ არის. როცა გადახედავ შენს წარსულ ცხოვრებას და სიმწიფის ასაკს მიაღწევ, სერიოზულ საქმეში შეხვალ, მერე ხედავ, რომ დრო ფუჭად დაგიკარგავს, ესეც ცოდვაა, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლები დრო დავკარგოთ უქმად.

4. რამ განაპირობა, რომ სასულიერო პირი გამხდარიყავით?

მე არ მქონდა გადაწყვეტილი, რომ სასულიერო პირი გავმხდარიყავი, მე ვფიქრობ, რომ ალბათ ღმერთმა მომძებნა. ერთხელ ვიყავი სიონის ტაძარში, იქ მედავითნესთან დავდექი „მე-3 ჟამნის“ საკითხავში „მიწყალე“ არის და ვთხოვე თუ შეიძლება „მიწყალეს“ მე წავიკითხავ-მეთქი, კი, შეიძლებაო და ისე საოცრად კარგად გამომივიდა „მიწყალეს“ თქმა, კიდევ ვთხოვე, რომ წამეკითხა და ასე მიჰყვა მეორე, მესამე დღეს. ასე მთელი არსებით, ანგარიშმიუცემლად ჩავები ამ საქმეში, მთელი ჩემი გულმოდგინება მივმართე ამისკენ და თვე-ნახევარში ავითვისე მედავითნის და მგალობლის საეკლესიო ტიპიკონი, რომელსაც წლობით სწავლობენ და ასე მოხდა ჩემი სულიერებაში ჩამოყალიბება.

5. მეტეხის ტაძარი! მრავალი განსაცდელის მომსწრე და საუკუნეთა მოიმედე! რას ნიშნავს თქვენთვის იყოთ მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი.

მე ვფიქრობ, რომ ღმერთმა ასე მოინდომა და ღვთის მადლით მოხდა. ძალიან მახარებს, რომ მეტეხის ტაძრის ღვთისმსახური ვარ. ეს მეტად დიდი ისტორიის ტაძარია. იგი აშენებულია წმინდა მეფის ვახტანგ გორგასლის მიერ, სხვა ტაძრებთან ერთად. საქართველოს ისტორიაში ამ ტაძარს ახსოვს მრავალი ჭირ-ვარამი, მრავალი შემოსევა. ამ ტაძრის დატვირთვა იქიდან გამომდინარეობს, რომ თუ ამ ტაძარში ღვთისმსახურება აღდგებოდა და თავის სიმაღლეს მიაღწევდა, ძნელბედობა წყდებოდა. ჯერ თბილისში ხდებოდა ცხოვრების მოწესრიგება, სიმშვიდის დასადგურება, შემდეგ მთელ საქართველოში გადადიოდა. ეს არის ღვთისმშობლის შობის და ამავე დროს ღვთისმშობლის დიდების ტაძარი. მეტეხის ტაძარი სამეფო კარის ტაძარი იყო და წმინდა მეფე თამარი ფეხშიშველი შესულა ტაძარში და ღვთისმშობლის ხატთან ულოცავს ძნელბედობის ჟამს.

6. თქვენზე ამბობენ, მამა აკაკი დღიან-ღამიანად სულ ლოცვაშიაო. ვიცი, რომ ბევრ ადამიანს ლოცვაზე დოგმა უჭირს, ამ დროს ყურადღება ეფანტება, რა არის ამის მიზეზი და როგორ შეიძლება ლოცვის შეყვარება.

მე თვითონაც ვმუშაობ ამ საკითხებზე, ძალიან მაწუხებს ეს ყოველივე, მე არ ვარ დიდი მლოცველი. მაგრამ ვცდილობ. ვურჩევ სხვებსაც, მოსინჯონ რა მოხდება ლოცვით, ვილოცოთ არა მოვალების თვალსაზრისით, არამედ ეს ლოცვა გავითავისოთ. წმინდა მამები ამბობენ, ყოველი ლოცვა არის უფალთან საუბარი, განა საინტერესო არ არის უფალთან საუბარი? მეტი რაზე უნდა იფიქროს ადამიანმა? ეს მე რომ მესმის, ვცდილობ, ხშირად ვესაუბრო უფალს. უნდა ვცდილობდეთ ხშირად ვესაუბროთ უფალს, გულწრფელად უთხრა შენი სათქმელი. კაცთმოყვარე უფალი შეისმენს ყოველივეს. უფალი ხომ ამბობს: მამებო, ხომ იცით თქვენი შვილის საჭიროება და თხოვნას უსრულებთ, თუ კი ზეციურ მამას შესთხოვთ განა ის უკეთესად არ შეგისრულებთო. ასეთნაირად უნდა მივიდეთ უფალთან და როდესაც უფალს მუდმივად ესაუბრები და წარსდგები მის წინაშე, ასე შეიძლება ლოცვის შეყვარება, ასე შეიძლება გავხდეთ დიდი მლოცველები და მეც თქვენთან ერთად ასე გავხდები დიდი მლოცველი.

7. თქვენ უამრავი ადამიანი გაგიკურნავთ კვეთებულის ლოცვით. თუ შეიძლება გაგვიმარტეთ რას ნიშნავს და რა შემთხვევაში ხდება კვეთებულის ლოცვის წაკითხვა?



დავიწყოთ იქიდან, რომ ადამიანს, რომელიც რწმენით არის, ებრძვის ბოროტი ძალა, ის ცდილობს დაიპყროს ადამიანები, თუ ადამიანი ეცდება მაინც მოვიდეს ეკლესიაში, კიდევ უფრო მეტ წინააღმდეგობას უქმნის. აქ, რა თქმა უნდა, ხდება გონების დაბნელება. ბევრ ცოდვაში ჩავარდნა. არის სხვა მიზეზებიც. ეს ცოდვები ადამიანში ჯდება და ძლიერდება. ასევე ღვთის მეშვეობითაც არის, რომ ადამიანი გონს მოეგოს. იგი ხდება ბოროტისგან დამონებულ მდგომარეობაში და თუ ის მაინც ცდილობს მოვიდეს ტაძარში, დადგეს და ილოცოს, მას ესმის თავისი მდგომარეობა ე. ი. ღმერთი მაინც გონებას უნათებს. მიუხედავად ამ წინააღმდეგობებისა, მოდის ტაძარში და დგება. ამ დროს იკითხება ზუსტად ეს ლოცვა, რომელსაც ჰქვია: „შერისხვა და განდევნა ყოველთა არა წმინდათა სულთა და ბოროტ ძალთა კვეთებულსა ზედა“ ამიტომ ეწოდება კვეთებული, ადამიანმა თუ შეიგრძნო, რომ მას „კვეთებული“ ანუ „ეშმაკი“ ებრძვის, ეს ნიშნავს, რომ მას ღვთისგან მიეცა ებრძოლოს ბოროტ სულს, ღმერთი შეუძლებელს არ მოუვლენს, ამ ბრძოლით გაიმარჯვებს კიდეც. ასეთ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება, რომ ხშირად აღსარება თქვას, ხშირად ეზიაროს. შემდეგ უკვე ამ ძალით ხდება ბოროტი ძალის შერისხვა და განდევნა. ხდება ადამიანის გათავისუფლება, იგი ხდება მორწმუნე, რადგან ასეთი გამოცდილება მიეცა. ასეთი ადამიანი შეიძლება წმინდანის რანგშიც ამაღლდეს. ასეთი ძალა აქვს კვეთებულის ლოცვებს. შეიძლება ეს მთელი ცხოვრების მანძილზეც გაგრძელდეს. ასეთი ადამიანი ნაკლებსაც ცოდავს, ასეთი ადამიანის

ბოროტს ეშინია და ბოროტის შემოსევა შეწყდება. იმიტომ, რომ მასზე არის მადლი ქრისტესი, იგი არის ქრისტეს მფარველობაში. ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ ლოცვას.

8. რა არის იმის მიზეზი, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელის წილხვედრი ქვეყანა დღეს ეგზომ დაუძლურებულია? მრავალთა კითხვაა, სად არის საშველი, და მართლაც, სად არის საშველი?

დიდი მადლია, ჩვენი ქვეყანა რომ არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი. ეს ზოგს სხვანაირად ესმის, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრია დაგვიცავს და დაგვიფარავს ღვთისმშობერლი. ნურას უკაცრავად, ასე არ შეიძლება. ეს არა პრივილეგიაა ჩვენთვის, არამედ უფრო მეტი მორწმუნეობა გვმართებს ღვთის წინაშე. დანარჩენი თვითონ დედა ღვთისმშობელმა იცის. საჭიროა მარხვა, ლოცვა, საღვთო სჯულის წესების დაცვა, ეკლესიურად ცხოვრება გულმოდგინებით აღვასრულოთ. მივიღოთ ისეთი სახე, როგორიც ჰქონდა ღვთისმშობელს, განსაკუთრებით ქალებს, დედებს, გოგონებს ეხება არ აყვნენ ამ უხილავი უცნობი სულისგან შემოგდებულ სიგლახეებს. თუნდაც გარეგნულად. ჩაცმულობითაც უნდა გამოვირჩეოდეთ. რა თქმა უნდა, ღვთისმშობელი ლოცულობს ჩვენთვის და ევედრება მაცხოვარს იესო ქრისტეს, მაგრამ შეიძლება მისი ლოცვა-ვედრება საკმაო არ აღმოჩნდეს თუ ჩვენი ლოცვა-ვედრებაც არ დაეხმარა. ამ შემთხვევაში აღსრულდება საქართველოს გაბრწყინება, რაც ნიშნავს ამდენი განსაცდელის შემდეგ მტკიცედ სარწმუნოებაში დოგმას. უფალს უთქვამს აღსრულების ჟამს გამობრწყინდეს შენი წილიო ანუ შენი წილხვედრი მიწა გაბრწყინდესო, მაგრამ საჭიროა მორწმუნეობა ღვაწლი ხალხისა.

9. თქვენთვის ფრინველი თუ სხვა არსება, ღვთის სათნოდაა ქცეული. ცნობილია თქვენი მოაზროვნე თუთიყუში „ჩიკო“ მისგან ლოცვების დაზეპირება და ხშირ-ხშირად წარმოთქმა მხოლოდ ინსტიქტი იყო? ხომ არ გყავთ ჩიკოს შემცვლელი?

შემცვლელი, სამწუხაროდ, არ გვყავს, ჩემი აზრი ასეთია: როდესაც ღმერთმა შექმნა ადამიანი, მას შეუქმნა ცხოველები და ფრინველები. მათ შორის იყო ურთიერთობა. ადამიანის ენა ესმოდათ, ამისი მაგალითია თუთიყუში ჩიკოც, ლოცვები უყვარდა, მამაო ჩვენოს ვინც იტყოდა, პირში უყურებდა, ყურადღებად გადაიქცეოდა და რომ დაამთავრებდა, ოდნავ ნისკარტით ტუჩებზე შეეხებოდა, კიდევ თქვიო, ეს საოცრება იყო. ფრინველებს და ცხოველებს მოსწონთ ადამიანებთან ურთიერთობა, განსაკუთრებით მორწმუნე ადამიანებთან, ცნობილია ბევრი ფაქტი წმინდანების ცხოვრებიდან. მეუდაბნოე მამებთან მიდიოდნენ ვეფხვები, ლომები და სხვა ცხოველები და ემსახურებოდნენ მათ. აქედან მტკიცდება, რომ ფრინველები და ცხოველებიც უფალს ადიდებენ და ემსახურებიან მას. ე. ი. უფალმა ადამიანი შექმნა, როგორც მეფე ყოვლისა ქმნილებისა. ეს არის ჩემი აზრი ჩიკოზე, იგი საოცარი ფრინველი იყო, მასზე გადაღებულია ფილმიც, ვინც შეიძინა თუთიყუშები, ყველა არქმევდა ჩიკოს.

10. როგორ ფიქრობთ, რა არის დღევანდელი საქართველოს ყველაზე მწვავე პრობლემა?

ურწმუნოება, გენაცვალე, დროზე გონს მოვეგოთ. ეს ყველაფერი დაშვებულია ღვთისგან. თუ კი მორწმუნენი ვიქნებით, უფალი მყისვე ყველაფერს შეცვლის საუკეთესოდ, ამისი ღირსნი ჩვენ უნდა გავხდეთ.

11. რა გამოიყვანს საქართველოს და ქართველ ერს ამ უმძიმესი სულიერი და მატერიალური მდგომარეობიდან, რომელშიც ჩავარდნილები ვართ? რა არის გამოსავალი?

სინანული, საყოველთაო მოქცევა, ძლიერი გოდება ჩვენი ცოდვებისა გამო, სურვილი, სწრაფვა ისეთნაირად ღმერთს თაყვანსა ვცემდეთ, როგორც ჩვენი დიდი წინაპრები და დავიმსახუროთ ზეციური საქართველო, რომელსაც უწმინდესი ხშირად ახსენებს. ხშირად აღსარების თქმა, ზიარება, შეინანიეთ, ახლოს არს სასუფეველი. უფალი გვეუბნება. სასუფეველი არა მაღლა და დაბლა, სასუფეველი თქვენ შორის არის, აი, ამ გულში არის სასუფეველი, ამ სასუფეველში აქედანვე უნდა დავიწყოთ დამკვიდრება.

მამა აკაკი, დიდი მადლობა, დრო რომ დამითმეთ.

უფალმა დაგლოცოთ.

მადლობა უფალს და მადლობა ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, რომელიც ხშირად მჩუქნის ცხოვრებაში დაუვიწყარ წუთებს. მამა აკაკისთან ინტერვიუს დროს მიღებული განცდის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია, ეს თუ თვითონ არ განიცადე.

ტარიელ ხარატიშვილი



ინტერვიუ იყალთოს გამგებელთან ბატონ გოჩა ქააძესთან



მე გახლავართ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი ლაგოდეხის რაიონის ნომერ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე, ტატო ხარატიშილი.

- **გთხოვთ გამაცანით თქვენი პიროვნება**

- მე გახლავართ გოჩა ქააძე, ჩემში ეროვნული სული ისე ღრმად არის გამიჯნული, რომ ყოველთვის ვიყავი იქ სადაც უნდა იყოს თითოეული ქართველი, თავისი ერისა და ხალხის სამსახურში.

- **დაოჯახებული ხართ?**

- დიახ, და მყავს ოთხი ვაჟიშვილი, აქედან ორი ტყუპები არიან.

- **რას უსურვებთ მომავალ თაობას?**

- პირველ რიგში უფროსებისადმი პატივისცემას რაც ამ პერიოდისათვის, თანდათან შენელდა. ახალგაზრდებს ყოველთვის უნდა ახსოვდეს თავისი წინაპრის განვილილი გზა, უნდა იცოდნენ, რომ მათი მხრებითაა მოტანილი ის, რაც დღეს გვაქვს. კიდევ ვუსურვებ ჯანსაღი ცხოვრების აღქმასა და წინ გამარჯვებისაკენ შეუპოვრობას.

- **იცნობდით თუ არა ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?**

- პირადად არ ვიცნობდი ამ ლეგენდარულ პიროვნებას, მაგრამ ვიცი ის რაც მან შეძლო და გააკეთა ჩვენი ქვეყნისათვის.

- მოგწონთ თუ არა ჟურნალ „ათინათის“ სტილი და მეთოდები იქ გაშუქებულ თემებზე რა აზრის ხართ?

- ჟურნალი „ათინათი“, კარგი წამოწყებაა, რეალურად თბილი მეცნიერული, ისტორიული და სხვადასხვა თემებია გაშუქებული ჟურნალში.

- თუ ნებას დამრთავთ რამოდენიმე კითხვით თქვენ თანამშრომლებთან ვისაუბრებ.

- რათქმაუნდა ჩემი თანამშრომლები ყოველთვის მზად არიან მომავლი თაობის სულში შეიხედონ, თავისი გამოცდილებით დააპურონ.

- იყალთოს გამგებლის მოადგილე ბატონი ვახტანგ ნარუსლიშვილი



- როგორც გამგებლის მოადგილე, მჯერა, რომ ძალიან დატვირთული იქნებით, რას მეტყვით თქვენი საქმიანობის შესახებ?

- რასაკვირველია ეს ასეც უნდა ხდებოდეს. ვალდებულება დიდი მაქვს და ვცდილობ პირნათელი ვიყო ჩემი ხალხის წინაშე.

- რას მეტყვით ბატონ გოჩა ქააძეზე?

- ბატონი გოჩა, არის უაღრესად დიდი პიროვნება, იმ თვალსაზრისით, რომ მას წვლილი მიუძღვის ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში, თუმცა შედეგები საქართველოში კრახით დამთავრდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბატონ გოჩას იქ თავისი წვლილი არ შეეტანოს.

- არის თუ არა იყალთოში ბიბლიოთეკა?

- იყალთოში ძალიან კარგი ბიბლიოთეკა გვაქვს, რომელიც ჩვენი გამგეობის შენობაშია განთავსებული, მიზანშეწევნილად მიმაჩნია, რომ თვითონ გაერთიანების დირექტორისაგან, თამარ ყურაშვილისაგან აიღოთ ინტერვიუ.

- კარგით დიდი მადლობა ამ შემოთავაზებისათვის. ქალბატონო თამარ, თუ გყავთ ცნობილი პიროვნებები გაერთიანებულები ბიბლიოთეკაში?

- ძალიან ბევრი, იყალთო ისეთი სოფელია, არ შეიძლება, რომ არ გყავდეს.

- რა საშუალებებით ხდება ახალი წიგნების შეძენა ბიბლიოთეკაში?

- დეკემბრის თვეში პრეზიდენტმა ბიბლიოთეკებს აჩუქა 500 ლარიანი ვაუჩერები, რითაც შეძენილი იქნა ახალი ლიტერატურა.

- რამდენი თანამშრომელი გყავთ?

- სულ გაერთიანებაში 26 თანამშრომელია.

- თქვენი სამომავლო გეგმები?

- გვინდა უფრო გავზარდოთ ფონდი, დახმარებასაც გვპირდებიან ადგილობრივი ხელისუფლებიდან.

- ქალბატონო თამარ, თუ გყავთ დაკომპლექტების განყოფილებაში თანამშრომელი და რა ფუნქციას ასრულებს ეს განყოფილება, ამართლებს თუ არა დღევანდელ მოთხოვნებს?

- განყოფილების ხელმძღვანელობს ირინა მგალობლიშვილი, არაჩვეულებრი ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც ზრუნავს ბიბლიოთეკისათვის თანამედროვე ლიტერატურეს შევსებაზე.

- **გყავთ თუ არა ბუღალტერი და რას იტყვით მასზე?**

- ჩვენი გამგეობის და ბიბლიოთეკების გაერთიანების ბუღალტერია ნინო მელიქიშვილი. არაჩვეულებრივი, თბილი და გულისხმიერია თანამშრომლებისა და თავისი საქმისადმი.

- **ქალბატონი ნინო ეს დიდი პატივია, რომ მთელი იყალთოს გამგეობის თანამშრომლებმა ჩემთვის დრო გამონახეთ. რას იტყვით ჟურნალ „ათინათის“ შეძენაზე?**

- ჟურნალი „ათინათი შედის თელავის 21 ბიბლიოთეკაში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის თელავის გამგებელს ბატონ ალექსანდრე შათირიშვილს, მან გადმოგვირიცხა თანხა და შევიძინეთ ეს მეტად საინტერესო ჟურნალი, რომელშიც მართლაც სითბო და სიკეთის მარცვლებია ჩაბნეული.

- **ვინ არის იყალთოს ბიბლიოთეკის გამგე?**

- ბიბლიოთეკის გამგე არის ლეილა დედაბრიშვილი აქ ბრძანდება და თქვენთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავ პასუხს თვითონვე გაგცემთ.

- **რამდენი წელია რაც ბიბლიოთეკაში მუშაობთ?**

- 1992 წლიდან ვმუშაობ ბიბლიოთეკის გამგედ.

- **რამდენი ეგზემპლიარია თქვენს ბიბლიოთეკაში წიგნები?**

- ბიბლიოთეკაში არის 12 017 წიგნადი ფონდი.

- **თუ შეიმჩნევა მკითხველების შემცირება კომპიუტერულ ხანაში?**

- იქიდან გამომდინარე, რომ კომპიუტერმა ძალიან ფართოდ გაშალა თვისი ფრთები, იყალთოში არსებული სკოლის პედაგოგები ცდილობენ, რომ მოსწავლეები დააინტერესონ კლასგარეშე ლიტერატურით, რაც შეეხება გამგეობაში მომუშავე ყველა თანამშრომელი ყველა-

ფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხელი შემიწყონ ღონისძიებების დანერგვაში, ახლახანს ჩავატარეთ, ლადო გელაშვილის საიუბილეო საღამო, ღონისძიების მომზადების აქტიური მონაწილე გახლდათ ქალბატონი ირმა ბაკურაძე-ლაჩაშვილი თვითმართველობის თემის გაერთიანების დირექტორის მოადგილე, ხოლო ბატონი გოჩა ქააძე და ბატონი ვახტანგი ყველანაირ პრობლემებს აგვარებენ ღონისძიების ჩატარების დროს.

- დიდი მადლობა, რომ მიმიღეთ და ჩემთვის საინტერესო კითხვებზე პასუხი გამეცით. ღმერთი გფარავდეთ!

ტარიელ ხარატიშვილი

ინტერვიუ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორთან ბატონ ელგუჯა მამუკელაშვილთან



– ბატონო ელგუჯა, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, ლაგოდეხის რაიონის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე ტატო ხარატიშვილი. გთხოვთ გამაცანით თქვენი პიროვნება

– მე გახლავართ ელგუჯა მამუკელაშვილი. დედა ძალიან პატარა ვიყავი როდესაც გარდაიცვალა. გამოვიცვალე ბევრი დედინაცვალი. ვიყავით სამი დედმამიშვილი. უფროსი ძმა საინტერესო პიროვნება იყო. შემოიარა მსოფლიო, იყო კანადაში, ავსტრიაში, იგი დაიღუპა ფოთში და იქ არის დაკრძალული. მყავს უმცროსი და მათემატიკის მასწავლებელი იყო წითელწყაროს რაიონში. მყავს დიშვილები, ძმიშვილები, შვილები და ასე გრძელდება ცხოვრება.

– რას ურჩევდით მოსწავლე ახალგაზრდობას?

– პირველი და აუცილებელი თავისი კუთვნილი სიცოცხლის დრო გონივრულად გამოიყენონ თუ ამას შეძლებენ ყველა დაბრკოლებას და რთულ პრობლემას გადახელავენ. აუცილებლად წიგნი უნდა იყოს მომავალი თაობის მეგობარი. კარგია კომპიუტერი და ახალი ტექნიკა მაგრამ წიგნი შეუცვლელია

– იცნობდით თუ არა დიდ მოგზაურს ჯუმბერ ლეჟავას?

– დიდ მოგზაურს მე პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მის მიერ განვლილ გზას კარგად ვიცნობ ჯუმბერ ლეჟავა იყო განუმეორებელი ფენომენი, რაც შეეხება ბატონი ჯუმბერის სახელობის პრეზიდენტს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს კარგად ვიცნობ. მას ლექსიც მიუძღვენი: გავიცანი გულნაზი, უნაზესი სულის ქალი მზე და მთვარე არის ვარდად ამოსული. გვაქვს შემოქმედებითი ურთიერთობა: ვფიქრობ ეს ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდება.

– გაქვთ თუ არა სურვილი ჟურნალი „ათინათი“ შედიოდეს თელავის უნივერსიტეტში?

– დიდი სურვილი მაქვს ჟურნალი „ათინათი“ თავისი ღირებულებებით დაინერგოს უნივერსიტეტში, ამ კუთხით ანთოლოგია და ჟურნალი „ათინათი“ უკვე წარვადგინე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ეს საკითხი ადმინისტრაციისგან აუცილებლად მოგვარდება.

– თქვენი სამომავლო გეგმები?

– ეს ძალიან საინტერესო შეკითხვაა, ჩემი სამომავლო გეგმა ერთ-ერთი ბოლო ნაშრომის დამთავრებაა, დღემდე გამოქვეყნებული მაქვს 36-ი მონოგრაფია. აქედან ისტორიის 11-ი სახელმძღვანელოა. ერთ ჩემს ნაშრომს ეწოდება „ცოდვა“. ჩემს ბოლო ნაშრომს ეწოდება „ნაბიჯი წყვდიადში“ რადგან ისტორიული მოვლენები სადღაც წყვდიადშია. ის თავებად არის დაყოფილი. ერთ-ერთი თავი არის, როდის გაჩნდა პირველი სიცოცხლე დედამიწაზე.

– დიდი მადლობა ბატონო ელგუჯა დიდი სიამოვნებით წავიკითხავ თქვენს ყველა ნაშრომს, უღრმესი მადლობა ამ სითბოსათვის რაც ჩემთვის გამოიმეტეთ. თქვენი წიგნები ჩემი სამაგიდო წიგნები იქნება, ისეთი შთაბეჭდილებით აღსავსე მივდივარ. აქედან ასე მგონია ჩემთვის უცნობი ბაბუა გავიცანი. გმადლობთ რომ არსებობთ და კიდევ დიდი მადლობა ქალბატონ გულნაზის, რომ მაძლევს საშუალებას თქვენნაირი დიდი პიროვნებები რომ გავიცნო. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, თქვენი გეგმების განხორციელებას.

ელენე გულიაშვილი

ინტერვიუ სიმონ ზაქარაიასთან

მოგესალმებით, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო მრავალპროფილიან აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი. ქ. თბილისის 53-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ელენე გულიაშვილი

გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი პიროვნება

ბ-ნი სიმონი: ნება დამრთე, რომ მე თქვენს შეკითხვებს უფრო მეტი დრო და სივრცე დავუთმო. მე ვარ სიმონ ზაქარაია აფხაზეთიდან, ქალაქ სოხუმიდან, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ეთიკისა და უფლებების დაცვის საბჭოს წევრი.

1970 წლიდან ვმუშაობდი სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ, უფროს მეცნიერ მუშაკად, შემდეგ კი დირექტორად.

მოკლედ მოგვახსენეთ თქვენი მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ.

ბ-ნი სიმონი: 1967-70წწ. ვსწავლობდი ლენინგრადის მცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც წარვადგინე საკანდიდატო დისერტაცია თემაზე - „კოლხეთის დაბლო-

ბის ჭარბტენიანი ნიადაგების დაშრობა-ათვისების საკითხი“. თემა მუშავდებოდა დიდი ქართველი მეცნიერის ალექსანდრე მოწერილიას ხელმძღვანელობით.

სოხუმის სამეცნიერო ორგანიზაციაში ვიკვლევდი კავკასიის მაღალმთიან სუბალპურ და ალპურ მთებში ველურად გავრცელებულ ეთერზეთოვან და სამკურნალო მეცენარეებს, ფეხით გვაქვს შემოვლილი უშბას, მამისონის, როკის უღელტეხილები.

ალბათ საინტერესო იქნება თქვენთვის, თუ რა სირთულეებში გვიხდებოდა სიარული და ცოცვები მთებში. ზოგჯერ ურთულეს ხრამზე, ძალიან ვიწრო საცალფეხო ბილიკზე გავდიოდით, სადაც ხრამის სიღრმე ასეულობით მეტრი იყო, უდაოდ მეტად სახიფათო და საშიში.

1977 წლიდან მეცნიერულ კვლევებს ვაწარმოებდი მსოფლიოში ერთი-ერთი ყველაზე დიდ და ულამაზეს გიგანტურ მცენარე ევკალიპტებზე, რომლებსაც მრავალმხრივი გამოყენება აქვს. იმ პერიოდში ჩვენი ინსტიტუტი ექვემდებარებოდა სიმფეროპოლის საკავშირო ინსტიტუტს. როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე საბჭოთა კავშირში დიდი მოთხოვნილება იყო ევკალიპტის ეთეროვან ზეთზე, თუმცა ამის ბაზა მაშინ ფაქტიურად არ არსებობდა. თითქმის 10 წლის მეცნიერული და პრაქტიკული კვლევისა და მუშაობის შემდეგ, შევქმენი ევკალიპტის ამონაყარი კულტურის მტკიცე ბაზა, საიდანაც მიღებული იქნა რამდენიმე ტონა ევკალიპტის უძვირფასესი ეთეროვანი ზეთი. ამით გადაწყვეტილი იქნა ევკალიპტის ეთეროვანი ზეთების წარმოების პრობლემური საკითხი დადებითად.

ჩემს მიერ შერჩეულ და წარმოებაში ევკალიპტის სახეებში ზეთის გამოსავალი მწვანე მასისაში 20%-ს (ნაცვლად 4-5%) მიაღწია, რაც მთელს მაშინდელ კავშირში ბრწყინვალე შედეგად ითვლებოდა. ამ, უდაოდ კვლევის მაღალი შედეგების დასაბუთების თვალსაზრისით სიმფეროპოლის სათაო ინსტიტუტში შეიქმნა ავტორიტეტული კომისია ჩემი 12 წლიანი მეცნიერული მოღვაწეობის გადასამოწმებლად. კომისიამ ერთი თვის მუშაობის შემდეგ მთლიანად დაადასტურა ჩემი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობის შედეგები და იგი ფირზე იქნა გადაღებული კიევის დოვჟენსკის კინოსტუდიის მიერ - ცნობილი რეჟისორის ივანოვის ხელმძღვანელობით. ჩემი ანგარიშის წარდგენის შემდეგ ინსტიტუტის დიდ საბჭოში დაადგინეს ჩემი მონაწილეობის აუცილებლობა ევროპის ორ სიმპოზიუმში, როგორც მეცნიერული კვლევის საუკეთესო შედეგისა.

მაგრამ მოხდა ის, რაც ყველასათვის ცნობილია, დაირღვა და დაინგრა საბჭოთა სისტემა და ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

თუმცა ევკალიპტებზე მუშაობა მე დღემდე არ შემიწყვეტია, გერმანულმა ფირმამ საქართველოში გაერთიანება ჩამოყალიბა „ ეთერზეთმრეწვი“ მე მათ ხობის რაიონის სოფელ ხეთაში გაუშენე 20 ჰექტარზე ევკალიპტის ამონაყარი კულტურა, საიდანაც მიღებული იქნა 500 ტონამდე მწვანე მასის მოსავალი ეს არის საუკეთესო ბაზა ეთეროვანი ზეთების წარმოებისათვის, მათ სოფელ ონარიაში გერმანიიდან ჩამოიტანეს ქარხანა და დაამონტაჟეს, მიღებული იქნა ერთი ტონა ძვირფასი ეთეროვანი ზეთი, ასევე ევკალიპტებით გავამწვანე კურორტი ანაკლია და განმუხური.

ბ-ნო სიმონ როგორ ახერხებთ ჟურნალ-გაზეთებზე და წიგნებზე მუშაობას?

ბატონი სიმონი: 1994 წელს, როდესაც თბილისში ჩამოვედი, მისი ცნობა ძნელი იყო, ოდესღაც ინდუსტრიული ქვეყანა, კუპონების სათამაშო კუკლას კონსტრუქციას ჰგავდა. ვინ და ვინ არ მართავდა ქვეყანას. მე და ჩემმა ერთმა მეგობარმა, გურამ მელაძემ გამოვუშვით ნამდვილად კარგი ლიმონათი, რომელსაც შაქრისაგან ვაკეთებდით და არა სახარინისაგან, რომელიც წამ-

ლავს ადამიანს.

პარალელურად ჩემი ქვეყნის უბედურ ცხოვრებაზე დაუფარავად ვწერდი სტატიებს, გაზეთების ფურცლებზე. ქართული ენის თანდაყოლილმა სიყვარულმა და ბევრმა კითხვამ ჟურნალისტურ მუშაობისაკენ წამბიძგა და აქტიურად ვმონაწილეობდი პრესაში. ჟურნალისტთა ერთ-ერთ ყრილობაზე ამირჩიეს ეთიკისა და უფლებების საბჭოს წევრად.

აფხაზეთის მეცნიერებათა კაადემიაში არჩევის შემდეგ მიმიწვიეს გაზეთ „დიოსკურიას“ პასუხისმგებელ მდივნად, სადაც 10 წელი ვიმუშავე, მთავარ რედაქტორად იყო პოეტ-აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი. შემდეგ ჩამოვაყალიბეთ გაზეთი „ქალდეა “ იგი დღესაც იბეჭდება, მე ისევ პასუხისმგებელი მდივანი გახლავართ. პარალელურად ვწერდი წიგნებს, რომელიც ძირითადად აფხაზეთში მიმდინარე ომს ეხებოდა. გამოვეცი ლექსების კრებული „მონატრება“, „დევნილები გოგლგოთას გზაზე“, „სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდები“ „ესე... პუბლიცისტიკა, ქრონიკა...“, „შეუბღალავი მანდილი“. ამჟამად გამოსაცემად მაქვს გამზადებული ორი წიგნი „ფესტოსის დისკოს ამოკითხვა“ და ჩემი უსაყვარლესი წიგნი „გზა უფლისაკენ“

თქვენს ოჯახზე რას იტყვით?

ს. ზაქარაია: მყავს მეუღლე, ორი შვილი და ათი შვილიშვილი

ჩემი მიწიერი შვილი პაატა მღვდელია – მამა პავლე. ქალიშვილი ოჯახით ამერიკაში – ვაშინგტონში ცხოვრობს. ჩემს შვილებს სკოლა ოქროს მედალზე ჰქონდათ დამთავრებული სოხუმში. ეს ტრადიცია, თბილისში დაბადებულ შვილიშვილებს არ დაურღვევიათ და ქალაქის საჩვენებელი სკოლა თამარიმ და ქეთევანმა ოქროს მედალზე დაამთავრეს, ისინი გრანტით სწავლობენ უნივერსიტეტში.

გთხოვთ გვიამბოთ დედათქვენის შესახებ

ბ-ნი სიმონი: დედაჩემი დაქვრივდა 19 წლის. მამაჩემი 24 წლის ქერჩის ომში, ჯარში დაიღუპა. დედა იყო ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგი, საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი. ჩვენს სოფელში რეფი- შეშელეთის ყველა ოჯახში ტრადიციული იყო დედაჩემის სადღეგრძელო, როგორც უმწიკლო ქვრივი ქალბატონის. მიუხედავად იმისა, რომ დედაზე ძნელია წიგნის დაწერა მე მაინც დავწერე ასეთი წიგნი და მას ვუწოდე „შეუბღალავი მანდილი“. დედაჩემი გარდაიცვალა 92 წლის ასაკში.

ჩემი შვილები და შვილიშვილები მირჩევდნენ ეკლესიაში სიარულს და მე შაბათ-კვირას დღესაც დავდივარ და ვლოცულობ. ჩემი მიწიერი შვილი პაატა – მამა პავლე მოძღვარია.

რას იტყვით ჟურნალ „ათინათზე“?

ს. ზაქარაია: მე და გულნაზ ხარაიშვილი ვმუშაობდით ერთად, როგორც და-ძმას ისე გვიყვარს ერთმანეთი, იგი ჩემი დადნაფიცია, მე მას მუდამ საიმედოდ ვუდგევარ გვერდით.

ჟურნალი „ათინათი“ ერთ-ერთი საუკეთესოა დღეს საქართველოში.

ელენე გონგლიაშვილი
ქარელის პირველი საჯარო
სკოლის მე-2 კლასის მოსწავლე

ინტერვიუ ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბ-ნ გიორგი კობახიძესთან

– მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, ქარელის პირველი საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლე ელენე გონგლიაშვილი

– ***რამდენი სკოლა ფუნქციონირებს ქარელის რაიონში?***

– ჩვენს რაიონში 35 საჯარო და ერთი კერძო სკოლაა.

– ***ენის სიწმინდის საკითხთან დაკავშირებით რაიონში ჩატარდა ღონისძიებები, კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგებით?***

– ჩვენი რესურსცენტრის ორგანიზებით ჩატარდა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია „რა ენა წახდეს...“, რომელშიც საკმაოდ აქტიურად ჩაერთვნენ ჩვენი სკოლების მოსწავლეები. მათ საკმაოდ საინტერესო ნაშრომები წარმოადგინეს. კომისიის მიერ შეირჩა სამი თემა, რომელთა ავტორებსაც გადაეცათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

– ***ჯანმრთელი ცხოვრების წესს იცავენ თუ არა ქარელის რაიონის სკოლები და რა კუთხით?***

– სკოლები მეტნაკლებად ცდილობენ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ყოველწლიურად იმართება საფეხბურთო, საკალათბურთო თუ სხვა სახის შეჯიბრებები.

– ***იცნობდით დიდ მოგზაურს, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?***

– სამწუხაროდ, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, ამ ნამდვილად პატივსაცემ ადამიანს, პირადად არ ვიცნობდი, თუმცა ყოველთვის თვალყურს ვადევნებდი მის მოღვაწეობას.

– ***იცნობთ თუ არა ჟურნალ „ათინათს“?***

– ჩემთვის ცნობილია ამ ჟურნალის არსებობა.

– ***გაქვსთ თუ არა სურვილი, სკოლის ბიბლიოთეკაში შედიოდეს ჟურნალი „ათინათი“?***

– ზოგადად, სასურველია სკოლის ბიბლიოთეკა იყოს მრავალფეროვანი. რაც შეეხება ამა თუ იმ კონკრეტული დასახლების ჟურნალის სკოლის ბიბლიოთეკაში არსებობას, ამას წყვეტს თვითონ სკოლის ადმინისტრაცია.

– ***ბავშვობის ასაკში რომელი დარგით იყავით გატაცებული და დასახულ მიზანს თუ მიაღწიეთ?***

– ბავშვობაში დაინტერესებული ვიყავი ბიოლოგიით და გადაწყვეტილი მქონდა ამ მიმართულებით გამეგრძელებინა სწავლა, თუმცა მოგვიანებით ეს აზრი შევიცვალე. ახალგაზრდულ

ასაკში გამიტაცა კალათბურთმა. ამ მხრივ დიდი წარმატებისთვის არ მიმიღწევია, თუმცა ამ გატაცების გამო ცხოვრების ჟანსაღ წესს მივეჩვიე.

– თქვენი აზრით, კომპიუტერმა, რომელიც დაწყებითი კლასიდან ისწავლება, დადებითი გავლენა მოახდინა აღსაზრდელებზე თუ უარყოფითი?

– კომპიუტერს დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია, თუ მას მიზანმიმართულად და სწორად გამოვიყენებთ. თუმცა მისი გამოყენებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. კომპიუტერმა არ უნდა მოგვწყვიტოს რეალურ სამყაროს და არ უნდა იქცეს ჩვენს საუკეთესო მეგობრად.

– რა დარგის სპეციალისტი ბრძანდებით?

– ფილოსოფიურ მეცნიერებათა მაგისტრი, გერმანისტიკის, სკანდინავისტიკისა და პედაგოგიკის სპეციალობით.

– სად მიიღეთ უმაღლესი განათლება?

– უმაღლესი განათლება მივიღე გერმანიაში, ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტში.

– დაოჯახებული ხართ?

– დიახ, დაოჯახებული ვარ.

– ვინ იყო თქვენი პირველი კლასის მასწავლებელი და როგორ გაიხსენებდით მას?

– პირველ კლასში ქალბატონი ლეილა ქობულაშვილი მასწავლიდა - ძალიან სათნო და ლამაზი ქალბატონი.

– როგორი მოსწავლე იყავით?

– სკოლაში ყოველთვის საუკეთესო შეფასებებს ვიღებდი, თუმცა დისციპლინით არ გამოვირჩეოდიდა ვერასოდეს ვჯდებოდი ჩარჩოებში.

– რას უსურვებთ მოსწავლე ახალგაზრდობას?

– ახალგაზრდებს, პირველ რიგში, მშვიდობას ვუსურვებ. ვუსურვებ ჰქონდეთ სწავლის და განვითარების ყველა პირობა და მათი შრომა დაფასებულიყვეს. ვუსურვებ ისეტ საქართველოში ცხოვრებას, სადაც პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, სიკეთე, ურთიერთთანადგომა, მოყვასის სიყვარილი ცხოვრების წესი იქნება.

დიდი მადლობა ინტარვიუსთვის

გიორგი უგრეხელიძე
თბილისის №36 საჯარო სკოლის
I ბ კლასის მოსწავლე

ინტერვიუ
სიღნაღის ეროვნული მუზეუმის გიდთან

მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახლეობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშირისო აკადემიის ნორჩი ათინათელი და ქალაქ თბილისის №36 საჯარო სკოლის I ბ კლასის მოსწავლე გიორგი უგრეხელიძე

– გთხოვთ მესაუბროთ თქვენს შესახებ

მე ვარ მარიამ გულიაშვილი, სიღნაღში დაბადებული, ამჟამად ვმუშაობ სიღნაღის მუზეუმში ვარ გიდი. ანუ როდესაც დამთვალიერებელი მუზეუმში შემოვა და დაათვალიერებს გამოფენას, მე მას ვუხსნი, რომ უფრო ადვილი გასაგები იყოს მათთვის ჩვენი მხარის ისტორია, ჩვენი ხალხის ისტორია, თუ საიდან მოვდივართ, როგორი უძველესი კულტურა გვაქვს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ მასალებს ვაჩვენებთ და ამით ვადასტურებთ რომ ჩვენ ვართ უძველესი კულტურისა და ისტორიის მატარებელი ქვეყანა. რომ მერე პატარა ბავშვებმა კარგად იცოდნენ, რომ ისინი არიან ძალიან საამაყო ქვეყნის, საქართველოს შვილები.

– რას იტყვით თქვენი საქმიანობის შესახებ?

ეს არის გიდის სპეციალობა, ანუ ექსკურსია-მძღოლი, ანუ შენ როდესაც შემოდიხარ მუზეუმში შენ ხარ მუზეუმის ექსპოზიციის ანუ გამოფენის დამთვალიერებელი და მე ვარ შენი წინამძღოლი, მე უნდა გაგიძღვე და ყველა იმ სურათზე, რომელიც დაგაინტერესებს აგიხსნა ყველა შენ შეკითხვას გავცე პასუხი.

გიორგი უგრეხელიძისაგან დასმული კითხვები და მისი სითამამე იმდენად მოეწონა ამერიკელ მოქალაქეს, რომ ხელში აიტაცა და მასთან ერთად სურათები გადაიღო

– ქალბატონო მაია რა შეგიძლიათ გვითხრათ მუზეუმის შესახებ?

ძალიან კარგი შეკითხვაა, კარგია, რომ გაინტერესებს ეს ცნობები. მუზეუმი საერთოდ არის უძველესი პერიოდიდან, უძველეს საბერძნეთში, რომელიც ცივილიზაციის პირველ კერად ით-

ვლება, იყო პირველი მუზეუმები, ანუ, ამას მუზების ტაძარს უწოდებდნენ, აქ თავს იყრიდა ყველაზე საუკეთესო რაც იყო, შემდგომ პერიოდში, როდესაც ქვეყნებს მეფეები მართავდნენ და ჩვენთან საქართველოშიც ივნენ ისეთი ადამინები, ვისაც აინტერესებდათ ქვეყნის კულტურა, ძველ ნივთებს, ჩანაწერებს, სურათებს შეკრებდნენ ხოლმე, თვითონ მოიძიებდნენ ან ყიდულობდნენ და მოჰქონდათ და ინახავდნენ მუზეუმში, სადაც ხდებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის დამადასტურებელი დოკუმენტების თავმოყრა. ასეთივე არის ჩვენი მუზეუმიც. ჩვენი მუზეუმი 1950 წლიდან არსებობს და მას შემდეგ წლების მიხედვით ვითარდება და უფრო მეტი მასალებიც ემატება მუზეუმს.

– ბევრია უცხოეთიდან ჩამოსული დამთვალიერებელი?

გიორგი უგრეხელიძე

ინტერვიუ
სიღნაღის ეროვნული მუზეუმის დირექტორთან

მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახლეობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშირისო აკადემიის ნორჩი ათინათელი და ქალაქ თბილისის №36 საჯარო სკოლის I ბ კლასის მოსწავლე გიორგი უგრეხელიძე

გვესაუბრეთ თქვენს შესახებ

დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ფილოლოგიის განხრით და მას შემდგომ ვმუშაობ ჩვენს მუზეუმში. პირველად როდესაც მუზეუმში მოვედი ვიყავი გიდი, ასე მივყევი ნაბიჯ-ნაბიჯ.. მერე ვიყავი ფონდის მუშაკი, შემდგომ ვიყვაი ფონდის მცველი და დღეს უკვე ვხელმძღვანელობა მუზეუმს, ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტი გატარებული მაქვს მუზეუმში. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე თუკი საზოგადოებისათვის სასარგებლო რაიმე გამიკეთებია ეს ყველაფერი დაკავშირებულია ჩვენს მუზეუმთან, ეს ყველაფერი დაკავშირებულია ჩვენს ისტორიასთან, ჩვენი ისტორიის შენახვასთან. ანუ, ჟამთა აღმწერლობასთან და მე ჩემი საქმიანობით ძალინ ამაყი ვარ, რამეთუ ჩვენ ვინახავთ ჩვენი ერის ისტორიას.

– ქალბატონო მარიამ, როგორც გავიგ თქვენ მუზეუმის დირეტორი ბრძანდებით, რა შეგიძლიათ გვითხრათ მუზეუმის შესახებ?

მე როდესაცმ უშობა დავიწყე ამ მუზეომში იგი მხარეთმცოდნეობის მუზეუმად იწოდებოდა, დღეს ჩვენ წარმოვადგენთ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, მისი სტრუქტურული ერთეული ვართ და მე შემიძლია გითხრათ რა შეიცვალა მას შემდეგ რაც ჩვენ შუვუერთდით ეროვნულ მუზეუმს, ჯერ ეს ერთი ეს შენობა, რომელშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით და რომელშიც წარმოდენილი გვაქვს ჩვენი კოლექცია, ევროპის სტანდარტების დონეს შეესაბამება, აქ მოდიან მსოფლიო თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები და აღფრთოვანებულები რჩებიან. ჩვენ მუზეუმში წარმოდგენილი გვაქვს სხვადასხვა პროფილის ექსპოზიციები და აგრეთვე გამოფენები,

გვაქვს არქეოლოგიური ექსპოზიციები, რადგან გრანდიოზული არქეოლოგიური ფონდი გვაქვს, არქეოლოგია იცი ხო შენ რა მეცნიერებაა? არქეოლოგია არის მეცნიერება, რომელლიც შეისწავლის უძველების ადამინების მატერიალური და კულტურული ცხოვრების ნამარხ ნაშთებს. კახეთში არსებობდა არქეოლოგიური კვლევითი ცენტრი. იყო ასეთი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან არსებული არქეოლოგიის ეროვნული კვლევის ცენტრი და მასთან მუდმივად მოქმედი ექსპედიცია, ამ ექსპედიციის ბაზა იყო სიღნაღში, მთელი 30 წლის განმავლობაში, სიღნაღში იყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრი და ბაზა, იქ მუშაობდნენ მეცნიერები, რომლებიც მთელი კახეთის მასშტაბით აწარმოებდნენ არქეოლოგიურ გათხრებს, ყველაზე მნიშველოვანი მასალა რაც ამ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ჩვენს მუზეუმშია მოტანილი და დაცული ძალიან ძვირფასი და სერიოზული მასალა გვაქვს დაცული და შესაბამისად საშუალება მოგვეცა გაგვეხსნა არქეოლოგიური ექსპედიცია ამ ნივთების და მონაპოვრების წყალობით გვაქვს არქეოლოგიური ექსპოზიცია. კიდევ ჩვენ გვაქვს ეთნოგრაფიული დარბაზი, ანუ ეთნოგრაფიული ექსპოზიცია, იქ XVIII-IX სს. დროინდელი ძალინ მნიშვნელოვანი მასალა გვაქვს წარმოდგენილი, ეს მასალა ასახავს ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, სიღნაღელი კაცის, სიღნაღელი ოჯახის ცხოვრებას, იქ ასევე წარმოდგენილი გვაქვს საბრძოლო იარაღები, ვაჭრობა-ხელოსნობისათვის დამახასიათებელი ნივთები, ექსპონატები, რომლებიც გდმოგვცემენ თუ როგორი განვითარებული იყო სიღნაღი, სიღნაღი IX საუკუნეში მიეკუთვნებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მძლავს სავაჭრო ცენტრს. აგრეთვე მე ძალინ ამაყი ვარ, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ჩვენი შეერთების შედეგად ჩვენ გვაქვს ნიკო ფიროსმანის მუდმივმოქმედი გამოფენა 14 ორიგინალით.აი ეს დარბაზი 14 ორიგინალით არა მარტო ჩვენი მუზეუმისთვის არამედ მთელი სიღნაღისთვის, სრულიად კახეთისთვის და ასევე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოსთვის წარმოადგენს სავიზიტო ბარათს, უამრავი სტუმარი, უამრაი სტუმარი რომელიც ჩვენთან მოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, მოდის რომ ფიროსმანის ნახატები ნახოს. იმიტომ, რომ ფიროსმანის ისეთი მშობლიურია, ისეთი გენიალურია, სენ იცი, ხომ ფიროსმანი არის პირველი ქართველი მხატვარი, ფიროსმანი იყო პირველი, ვინც პირველმა ფუნჯი მოუსვა და დახატა.

– ამ წელს დაგეგმილი გვაქვს შეხვედრა რეზო მიშველაძესთან, გვეწვევით?

ჩემთვის დიდი პატივია და თუ მომიწვევთ აუცილებლად გესტუმრებით.

– მე პირველად ვარ სიღნაღშ, მას სიყვარულის ქალაქს ეძახიან, რას დაამატებდით?

მოდი ჯერვ ვთქვათ, რატომ ეძახიან სიღნაღს სიყვარულის ქალაქს, ხომ გაინტერესებს?

– დიახ.

საერთოდ ძალინ მომწონს მე ეს აზრი, ტენდენცია, რომ ყველა ქალაქებს თავისი მიმართულება და პროფილი რომ მოუძებნეს, რადგან უცხოეთშია ასეა ჩემო კარგო და სიღნაღსაც სიყვარულის ქალაქიო ამიტომ დაარქვეს. ჩვენთან არის ახალგაზრდების ბედნიერების, ქორწინების სახლი, რომელიც მუშაობს 24 საათიან რეჟიმში, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან რომ დარეკონ და ჩამოვიდნენ, თუნდაც შუა ღამით, სიღნაღის ქორწინების სახლში ახალგაზრდებს შეუძლიათ მოაწერონ ხელი და გააფორმონ თავიანთი ქორწინება და გაბედნიერდნენ. უამრავი წყვილი მოდის სიღნაღში და ეს მათი ცხოვრების ისტორიას რჩება. კიდევ ერთ დავამატებ, რომ გარდა სიყვარულის ქალაქისა, სიღნაღს კიდევ შემიძლია ვუწოდო კულტურის ქალაქი, იმიტომ, რომ აქ გვაქვს ეროვნული მუზეუმი და სიღნაღი IX საუკინიდან მოყოლებული არის კულტურის მძლავრი ცენტრი აღმოსავლეთ საქართველოში. აქ IX საუკუნიდან მოყოლებული თეატრი არსებობდა, ასევე სიღნაღი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ სიღნაღიდან ხედი ალაზნის ველზე წარმოადგენს ლანშაპტური კულტურის ცენტრს და მე როგორც ვიცი კულტურის სამინისტროში მუშავდება პროექტი, რომ სიღნაღიდან ხედი ალაზნის ველზე უნდა შეიტანონ მსოფლიო მნიშვნელობის ლანდშაპტურ ძეგლთა ნუსხაში.

– რაიმე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდით თქვენ საქმიანობასთან დაკავშირებით?

მე მოგიყვები ერთ კურიოზს, რომელიც ძალიან ხშირად ხდება ჩვენს მუზეუმში, დამთვალიერებელი როდესაც ათვალიერებს ფიროსმანის ნახატებს, მუდმივად აქვთ იმის სურვილი, რომ რაც შეიძლება ახლოს მივიდნენ და ხელით შეეხონ, გადაიხრებიან და ამ დროს აკრძალულ ზონაში ხვდებიან, რის შედეგადაც სიგნალიზაცია ირთვება და საკმაოდ შეშინებულები რჩებისნ დამთვალიერებლები და ირგვლივ მყოფი ადამინებიც.

–იცნობთ თუ არა ჟურნალ „ათინათს?“

მე გადმოცემით ვიცოდი ამ ჟურნალის შესახებ, მაგრამ ცოტა ხნის წინ მქონდა ბედნიერება ეს ჟურნალი დამეკავებია ხელში და გავცნობოდი, ჩემ ცხოვრებაში დიდი პატივი იყო ასევე ჟურნალის რედაქტორის გულნაზ ხარაიშვილის გაცნობა, ჩვენი ნაცნობობა ერთი კვირის წინ შედგა, გამოფენის გახსნაზე. მე ვთვლი, რომ ჩვენ პროფესიულად თუ მეგობრულად გავაგრძელებთ ურთიეთობას ჩვენი ცხოვრების მანძილზე. მე ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის ვცდილობ, რომ თუკი ვინმესთან ასეთი ნაცნობობა მქონია, არ შემეწყვიტა, ძალინ დიდ მადლობას ვიხდი თუნდაც ამ ჟურნალებისთვის, ეს გამოცემა ფაქტობრივად წარმოადგენს ერთ-ერთ კულტურულ ფუნდამენტს ქართველი ხალხისთვის და ქართველი ახალგაზრდებისათვის. ასე, რომ ჯურნალ „ათინათს“ და ათინათელებს გისურვებთ ძალიან დიდ წარმატებას. ყოველთვის ასე გეზრუნოთ ქართველი ხალხის კულტურული დონის ამაღლებაზე. ძალინ დიდი მადლობა ჩემგან და მუზეუმის ყველა თანამშრომლისგან ჟურნალ „ათინათს“.

– დიდი მადლობა რომ დაგვითმეთ დრო

მადლობთ, რომ ჩამობრძანდით და დაინტერესდით ჩვენი მზეუმის კულტურული ცხოვრებით.

მარიამ ხვედელიძე

ინტერვიუ მოძღვართან – მამა მირიანთან

მარიამ ხვედელიძე, რომელმაც ჩაწერა ინტერვიუ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან – მამა მირიანთან, პატარა, ნიჭიერი გოგონაა, რომელსაც გასაოცარი ხმა აქვს (შეიძლება ითქვეს – ფენომენალური), და მღერის სხვადასხვა ღონისძიებებზე. საერთოდაც, იგი ყოველმხრივ აქტიური ბავშვია. ეს ინტერვიუ, დიდებულ მოძღვართან, ზღვისპირა ქალაქში – ურეკში ჩაწერა მარიამმა, ურეკში, სადაც რამოდენიმე წლის წინ დაფუძნდა მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი.

– მამაო, როდის აშენდა ეს ტაძარი?

– ეს ეკლესია (ტაძარი) აშენდა ორიათასრვა წელს. იგი მთავარანგელოზ გაბრიელის სახელობისაა, და რადგანაც ორშაბათია ანგელოზის დღე, ამიტომაც აქ წირვა ორშაბათს არის. კვირას საღამოსაა ლოცვა. საერთოდ, იცი ალბათ, რომ ორშაბათი ანგელოზის დღეა, სამშაბათი – ნათლისცემისა, ოთხშაბათი – ღვთისმშობლისა, ხუთშაბათი – მთავარ მამათა პარასკევი – ჯვრის თაყვანისცემისა, შაბათი – მიცვალებულთა, ხოლო კვირაა დღე ბრწყინვალე აღდგომისა.

– მამაო, მოგვიყევით რაიმე თქვენი წარსულის შესახებ, როგორც ამ ეკლესიის წინამძღვარი.

– აბა რა გითხრა, ერთი ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, ცოტა ზარმაციც, მაგრამ მაინც კარგად ვსწავლობდი. ეტყობა, ნიჭი მქონდა. წარმოიდგინე, ზარმაცი-მეთქი, ვთქვი, და სკოლა მაინც კი ოქროს მედალზე დავამთავრე. მერე პირველივე გამოცდაზე უმაღლესი ნიშანი მივიღე, ასე ჩავირიცხე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ცხოვრებაში ბევრ აღმასვლასთან ერთად ბევრი ჩავარდნაც მქონია, მქონდა, როცა მძიმე დრო იყო. მოკლედ, ბევრი რამ გამოვიარე. მე ჩაბმული ვიყავი ეროვნულ მოძრაობაში და გურია-აჭარის რეგიონში ერთ-ერთი აქტიური ფიგურა ვიყავი, გახლდით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

– სასულიერო გზა როდის და როგორ აირჩიეთ?

– ეს რთული თემაა, მთლად ასეც არაა, რომ შენ აირჩევ და... არის ხაზი, რომელსაც მიყვები, ხოლო თუ დიდია შენი სურვილი, ნებისყოფა, მიზანსაც აღწევ ხოლმე... ორიათასექვსში მეუფე იოსებმა მაკურთხა, მიტროპოლიტმა. მე სასულიერო სემინარიაში ჩავაბარე.

ორიათასშვიდში ჯერ დიაკვნად მაკურთხეს, ხოლო მერე – მღვდლად.

– როგორ უნდა გაძლიერდეს რწმენა ადამიანში და როგორ უნდა გაძლიერდეს თვით ადამიანი სარწმუნოებაში? აი, მაგალითად, თქვენ როდიდან გაძლიერდით სარწმუნოებაში?

– ო, ეს კიდევ უფრო რთული საკითხია, და ასე ევერ ვიტყვი, თუ როგორ და როდიდან ძლიერდება ადამიანი. ეს ყოველივე ნელი პროცესია, ამას ერთბაშად ვერ აცნობიერებ, ღმერთი ნელა შემოდის სულში, მისი ნათლით ნელ-ნელა ივსება სული ადამიანისა. უნდა ელტვოდეს პიროვნება გზას უფლისას და უფალიც აუცილებლად მონახავს მას. მწყემსი კეთილი არასოდეს დაკარგავს თავისი სამწყსოდან ერთ ვინმესაც კი.

– მამაო, რამდენად რთულია აღსარების პროცესი საერთოდ, და დაგიმალავთ თუ არა ოდესმე საკუთარი მოძღვრისათვის ერთი ცოდვა მაინც?

– აღსარების პროცესი მეტ-ნაკლები სირთულის არის. ადამიანს სცხვენია საკუთარი ცოდვების გამო, და კარგია, როცა იგი მიმხვდარია, რომ ცოდვა ჩაიდინა (უბედურებაა, თუ ის ვერც აცნობიერებს ამას): როცა აცნობიერებს და სცხვენია, ესე იგი, ნანობს, შეეცდება, რომ ცოდვა აღარ ჩაიდინოს. უნდა გადალახო სირცხვილი იმ მხრივ რომ პირველივე აღსარებაზე წრფელი იყო და მართალი. თავიდან, რა თქმა უნდა, უფრო რთულია ეს პროცესი. მერე და მერე, როცა ეჩვევი სულიერ მოძღვარს, როცა უფრო და უფრო იზიარებ ჭეშმარიტ გზას, აღსარების პროცესი ძველებურად რთული აღარ არის. პირადად მე რაც შემეხება, თავიდანვე გულწრფელი ვიყავი ამ მხრივ, ჩემი მოძღვრისათვის ტყუილი არასოდეს მიკადრებია.

– რას იტყვით სასწაულთა შესახებ და თქვენ თუ შეგმთხვევიათ ასეთი რამ.

– მე არც შენ გაკადრებ ტყუილს, ჩემო მარი, და პირდაპირ გეტყვი, რომ სასწაული არასდროს ყოფილა ჩემს ცხოვრებაში. ვფიქრობ, რომ ეს კარგია. სასწაული არ უნდა იყოს საჭირო იმისათვის, რომ ირწმუნო. ხომ გახსოვს ურწმუნო თომა. მან მხოლოდ მაშინ ირწმუნა, როცა იხილა მკვდრეთით აღმსდგარი იესო, როცა იხილა სასწაული, და ამაზე მიანიშნა, სწორედ, ქრისტე-ღმერთმა. დიახ, ვისაც არ უხილავს და მაინც სწამს, გაცილებით უფრო მყარია მისი რწმენა. უფრო გულწრფელი და მართალი.

– მამაო, ურეკი ზღვისპირა ქალაქია, ამიტომაც უცხოელნი შედარებით ბევრნი არიან აქ, მე მაინტერესებს, ისინიც– უცხოელნიც თუ შემოდიან ამ ეკლესიაში?

– აქ ყველა მოდის: ქართველიც და არაქართველიც. საერთოდ, ღვთის ტაძარი ყველასია, – ღმერთს ხომ ყველა ადამიანი უყვარს, ღმერთი ხომ თავად არის სიყვარული. აქ, ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ეკლესიაში, შემოდიან სხვა სარწმუნოებათა მიმდევარნიც კი, და მათთვისაც, რა თქმა უნდა, ღიაა ჩვენი ეკლესიის კარი. უფალი ყველას უწილადებს თავის სინათლეს, თუმცა, აი, ის უკვე სხვა საქმეა, თუ ვინ როგორ აღიქვამს ვინ რა დონით იღებს ამ შუქს. ადამია-

ნი თავისუფალი არსებაა. იგი თვითონ ირჩევს საკუთარ გზას. თუმც ერთი კი არის: საფრთხილოა ეს არჩევანი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ არჩვანს.

– მამაო, ძალიან მაინტერესებს, ხომ არ წაგიკითხავთ ჟურნალების – "ლამპრის" ან "ათინათის" ნომრები: მე დაახლოებული ვარ ამ ჟურნალებთან და ასე ხაზგასმით ამიტომ გეკითხებით.

– საერთოდ, სასულიერო პირნი ინტერესიანი ხალხია, ამიტომაც ჩვენ ყველაზე კარგად ვიცით კითხვის ფასი, ხოლო როცა კითხვა გიყვარს, თავისთავად ბევრ რამეს ეცნობი. მე ვიცი ჟურნალების – "ლამპრისა" და "ათინათის" შესახებ და წაკითხულიც მაქვს მათი ცალკეული ნომრები. მომწონს ეს ჟურნალები. მომწონს თუნდაც ის, რომ მათში კარგადაა შერწყმული საერო სასულიეროსთან. დიახ სასულიერო ხედვას ისინი არასოდეს ივიწყებენ. მთლიანობაში, კარგად გააზრებული ჟურნალებია.

– დიდი მადლობა, მამაო, რომ დრო გამონახეთ ჩემთან სასაუბროდ. ძალიან მომეწონა თქვენი პასუხები ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე.

– პირიქით: მადლობა შენ, რომ ასეთი კარგი კითხვები დასვი. პასუხთა სილამაზეს, ხშირად, სწორედ კითხვათა სილამაზე იწვევს...

მარიამ ხვედელიძე

ინტერვიუ
საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელთან ბატონ გიორგი ფარეშიშვილთან

– ბატონო გიორგი, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ "ათინათის" პატარა ათინათელი, თბილისის № საჯარო სკოლის მეექვსე კლასელი მარიამ ხვედელიძე. ბევრი მსმენია თქვენს პიროვნებაზე. მინდა რამდენიმე კითხვა დაგისვათ, რომ უკეთ გავაცნო ჩვენი ჟურნალის მკითხველს თქვენი პიროვნება. დავიწყოთ თავიდან:

– როგორი მოსწავლე იყავით სკოლის ასაკში?

– ჩემო მარი,მე ვსწავლობდი თელავის პირველ საშუალო სკოლაში.ესაა პირველი სკოლა საქართველოში, რომელიც თვით ერეკლესა და ანტონ კათალიკოსის დაარსებულია, ამიტომ ვამაყობ, ამ სკოლის აღზრდილი რომ ვარ. კარგი მოწაფე ვიყავი,მაგრამ მეცადინეობა,საერთოდ

სწავლის პროცესი,ჩემთვის თუმცა უბედურებასთან არა,მაგრამ არც ბედნიერებასთან ასოცირდებოდა. სიმართლე ისაა,რომ ბავშვები სწავლაზე დიდად არ გიჟდებიან,ისინი გვიან იგებენ სწავლა-ცოდნის ფასს. მყავდა კარგი მასწავლებლები,რომელთაგან განსაკუთრებით დამამახსოვრდა ლია ლეკიშვილი-დაწყებითი კლასების პედაგოგი.ჩვენს სკოლას კი დარეჯან ჯანკოტიძე ხელმძღვანელობდა. დიახ,საკმაოდ კარგად ვსწავლობდი და არც ყოფა-ქცევით ვიყავი ცუდი. თუმცა,რა თქმა უნდა,ბავშვობაში სიცელქე ყველას ახასიათებს და სხვებთან ერთად "შატალოზეც" წავსულვარ,ზოგი სხვა რამეც დამიშავებია,თუმცა ყოველივე ეს გარკვეულ ჩარჩოებს არასოდეს გასცდენია. საერთოდ,სკოლის პერიოდს,ჩემს მასწავლებლებს,ყოველთვის თბილად ვიგონებ. თან ისიც უნდა დავამატო,რონ ჩემს ნამდვილ პიროვნებად ჩამოყალიბებაში,მასწავლებლებთან ერთად,რაღა თქმა უნდა,ჩემმა მშობლებმაც შეიტანეს უდიდესი წვლილი.

– რამდენი დედმამიშვილი იყავით ოჯახში?

– მე, სამწუხაროდ, და-ძმა არა მყოლია. დედისერთა ვარ. შეიძლება ამიტომაც,მშობლებისგან ყოველთვის განსაკუთრებულ მხარდაჭერას ვგრძნობდი.

– ხელოვნება თუ გიყვართ?

– ძალიან. პოეზია,პროზა,მუსიკა ჩემი დიდი გატაცებებია. ადრე თვით ოთარ რამიშვილთანაც კი დავდიოდი ქალაქური სიმღერების შესასწავლად (აკუსტიკური გიტარის თანხლებით),დასრულებული მაქვს ფორტეპიანოს შვიდწლედიც,სხვადასხვა ანსამბლთანაც კი მიმუშავია და ის,რომ სასულიერო სემინარიის ასოცირებული პროფესორი ვარ,ბევრი სხვადასხვა საქმით დაკავებული,სულაც არ ნიშნავს იმას,რომ ხელოვნებასთან კავშირი გავწყვიტე. საერთოდაც ასეა: ხელოვნება ქართველი კაცის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი არის.

– კონკრეტულად პოეზიაზე რას იტყვით და ვინ არის თქვენი საყვარელი პოეტი?

– პოეზია უდიდესი ხელოვნებაა. ბევრი პოეტის შემოქმედებას ვარ ნაზიარები,და ეს არაა გასაკვირი: საქართველოს ხომ ხშირად ეძახიან პოეტთა ქვეყანას. თანამედროვე ხელოვანთაგან ტარიელ ხარხელაურსა და მანანა ჩიტიშვილს გამოვარჩევდი.

– რას მეტყვით მეუფე თადეოზის შესახებ, რომელიც ჩვენი ჟურნალის დიდი მეგობარი იყო?

– მეუფეს კარგად ვიცნობდი, მასთან და მისი ოჯახის წევრებთან მიწევდა ურთიერთობა, და მათდამი უდიდესი პატივისცემით ვიყავი განწყობილი.თვითონ მეუფე თადეოზი იყო ისეთი პიროვნება, რომ საოცრად ხიბლავდა ადამიანებს. ასევე ვიყავი მეც მოხიბლული მისი პიროვნული სიდიადით. იგი რჩეული სასულიერო მოღვაწე იყო და ვერ გეტყვი თვლიდა თუ არა თავს პროფესსიონალ პოეტად თუ მოყვარული კალმოსნის თვალით უყურებდა მხოლოდ სტრიქონებს, მაგრამ ათეულობით წლების განმავლობაში რომ ეჭიდებოდა რითმას და ბევრი შესანიშნავი ლექსიც შეთავაზა მკითხველს, ეს ყველასთვის ცნობილია. ამ ღვთივკურთხეულ კაცს სხვადასხვა სულიერ- შემოქმედებითი სივრცეების გაერთიანება შეეძლო საკუთარ თავში და ყველგან წარმატებებს აღწევდა. ხოლო როცა წავიდა, უზარმაზარი სევდა-სიყვარული დატოვა აქ, ჩვენს შორის.

– თუ იცნობდით ჯუმბერ ლეჟავას?

– მიუხედავად იმისა , რომ მოხუცებულობამდე ჯერ ბევრი,ბევრი მიკლია, უკვე მაინც უამრავი რამ ვნახე ამ ცხოვრებაში და მქონდა ბედნიერება იმისა,რომ უამრავი დიდებული ადამიანი გამეცნო. ბატონ ჯუმბერსაც ვიცნობდი და ბევრი რამ ვიცი მისი გასაოცარი ცხოვრების შესა-

ხებ. აი აქ დიდი ტაძრის ამ დარბაზში,სადაც უამრავი სხვადასხვა სახის ღონისძიება ჩაგვიტარებია, ჯუმბერ ლეჟავა არაერთხელ მოსულა და თვითონაც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ამ ღონისძიებებში.

– რას იტყვით გულნაზ ხარაიშვილის შესახებ?

– ქალბატონ გულნაზს ჩემს უფროს მეგობრად ვთვლი. ძალიან თბილი ადამიანია, ამიტომაც ადვილია მასთან ურთიერთობა. იგი უკონფლიქტო, მაგრამ შეუპოვარი პიროვნებაა და უკვე იმდენი ღონისძიება აქვს დაგეგმილ-შესრულებული, რომ საყოველთაო გაოცებას იწვევს. ახლა ამას მისი წიგნებიც დაამატეთ, მისი აკადემიაც, ჟურნალიც...

– სწორედ ჟურნალ "ათინათის" შესახებ მინდოდა მეკითხა: როგორ შეაფასებდით, ხომ არა გაქვთ შენიშვნები?

– მარი შენი ყოველი კითხვა კარგად არის მოფიქრებული. საინტერესო კითხვებია. საინტერესოა თქვენი ჟურნალიც.იგი ამ პრინციპით არის აგებული: ბეჭდავს სხვადასხვაგვარ მასალას,სხვადასხვა დონისას, ხარისხისას, მკითხველს ყველაფერს აწვდის, მთელს სამყაროს, ხოლო არჩევანის საშუალებას მასვე (მკითხველსავე) უტოვებს, მის გემოვნებას ენდობა, თან კი ცდილობს განუვითაროს გემოვნება... მომწონს ასეთი მიდგომა საკითხისადმი.

– გიყვართ ბავშვები?

– ძალიან. მე მიმაჩნია, რომ ცუდი ბავშვი არ არსებობს, თავისებურად ყველა მათგანი კარგია. სემინარია-უნივერსიტეტების გარდა მე სკოლებთანაც მაქვს შეხება,ასე რომ ბავშვებთან ურთიერთობის გვარიანი ისტორია მაქვს.ჩემი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შემიძლია ვთქვა, რომ ადამიანის მთელს ცხოვრებაში ყველაზე უფრო ნათელი და საინტერესო პერიოდი მისი ბავშვობაა სწორედ.

– ბატონო გიორგი,რას ურჩევთ მომავალ თაობას?

– უფლის სიყვარულს... მაგრამ უზენაესის სიყვარული ჩვენს ირგვლივმყოფთა სიყვარულით იწყება. თუ შენი მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები არ გიყვარს, უფალს ვერ შეიყვარებ. ასეა სამშობლოც, – თუ ის სახლ-კარი არ გიყვარს, სადაც ცხოვრობ, ის ქუჩა, უბანი, ის ქალაქი ან სოფელი, ვერც სამშობლოს აღიქვამ და შეიყვარებ მთლიანობაში... მცირედით იწყება დიდის,დიადის შეყვარება, ხოლო არაფერია ღმერთსა და სამშობლოზე უფრო დიადი...

ბექა ჩაბალოშვილი
თბილისის 55-ე საჯარო
სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

ინტერვიუ მამა ანდრეასთან

– მოგესალმებით მამა ანდრეა! მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ ,,ათინათის" ნორჩი ათინათელი. თბილისის 55- სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ბექა ჩაბალოშვილი.

– ძალიან სასიამოვნოა. მე ვარ უბრალოდ ცოდვილი მღვდელი ანდრეა.

– მამაო რომელი რაიონიდან ბრძანდებით?

– წარმოშობით ზემო იმერეთიდან ვარ,საჩხერის რაიონიდან.უფრო სწორედ ჩემი წინაპრები არიან იქიდან. მე დავიბადე და გავიზარდე რუსთავში. თამამად შემიძლია ვთქვა ,რომ ჩემი სოფელი ჭალა რომელიც მდინარე ყვირილას ხეობაშია საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. ასე რომ მაქვს ბედნიერება ყოველ ზაფხულს ამ სოფელში ჩავიდე და დავისვენო.

– რომელ სკოლაში სწავლობდით?

– რუსთავის 21-ე საშუალო სკოლა დავამთავრე.მანამდე სხვა სკოლაშიც ვსწავლობდი

– რამდენი შვილი გყავთ? გვიამბეთ მათ შესახებ.

– მყავს ოთხი შვილი. ორი გოგონა და ორი ვაჟი.გოგონები უფროსები არიან. სტუდენტები არიან და სამხატვრო აკადემიაში სწავლობენ. ბიჭები სკოლის მოსწავლეები არიან. სხვათაშორის სტიქაროსნები არიან და ამ ტაძარში მსახურობენ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ეკლესიურად იცხოვრონ და ვზრდი ღვთისა და ერის სადიდებლად. ვცდილობ ბავშვები იმ ტრადიციებით და რწმენით აღვზარდო რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერისთვის, იმიტომ რომ ჩვენ პატარა ერი ვართ. ამდენი საუკუნეების მანძილზე ამდენ განსაცდელს გავუძელით. მე ვცდილობ , რომ არ მოვწყდე ჩვენი წინაპრების ფესვებს და ტრადიციებს. მინდა პატარა ხიდის როლი შევასრულო ჩემს წინაპრებსა და შთამომავლობას შორის. რამდენად გამომდის ეს უკვე სხვა საკითხია.

– მამაო,რომელ ეკლესიაში მსახურობდით?

– ქალაქ რუსთავის აღდგენა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. უამრავი ხალხი ცხოვრობდა. სიცოცხლე დუღდა, მაგრამ ქალაქში არ იყო ტაძარი, რომ მორწმუნე ადამიანი შესულიყო და სანთელი დაენთო. მაგრამ საბედნიეროდ ჩვენდა გასაკვირად კომუნისტების პერიოდში, მოგვიანებით აშენდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი. მე მშენებლობის დროს მივედი და ფაქტიურად ტაძარს აღარ მოვშორებივარ. შემდგომში როცა მაკურთხეს და გავხდი სასულიერო პირი თვრამეტი წელი ამ ტაძარში ვიმსახურე. ამის შემდეგ სიონის ტაძარი აშენდა. სხვათაშორის ეს განსაკუთრებული ტაძარია. რამოდენიმე საუკუნე იქნება რაც ამ წესით ტაძარი აღარ აშენებულა საქართველოში. აქ არ არის გამოყენებული არც ერთი გრამი ცემენტი და რკინა, მხოლოდ ქართული წასით ქართული დუღაბი და ქვა. როდესაც ეს ტაძარი იკურთხა მე აქ გადმომიყვანეს. ჩვენი წინამძღვარია მამა დიმიტრია.

– მამაო როგორი უნდა იყოს თითოეული დამიანი?

– რა გითხრათ შვილო, არ არსებობს რაღაც სტანდარტი თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი. ვერც ჩარჩოებში ჩასვამ მას. ყოველი ადამიანი არის განუმეორებელი მოვლენა, ეს ნიშნავს რომ მისი მსგავსი არ დაბადებულა და არც დაიბადება . ღმერთმა მისცა მას გონება, გაარჩიოს თეთრი და შავი, კეთილი და ბოროტი. თვითონ აკეთებს არჩევანს, რა გზას დაადგეს. თუკი შენ გინდა

მიხვდე ზეციურ მამასთან მაშინ უფლის გზაზე უნდა იარო. ღმერთმა მოგვცა რჯული სადაც თავის მცნებებს გვასწავლის. რჯული რომც არ წავიკითხოთ ყველას გვაქვს შინაგანი სინდისი. ამ სინდისის ხმას მოვუსმინოთ, გვიყვარდეს მოყვასი და ვაკეთოთ სიკეთე.!!

– მამაო,როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ახსარებამდე? რა უნდა გააკეთოს მან?

– უფალმა ჩვენი ცოდვები თავის თავზე აიღო და ჩვენ ნათელით შევიმოსეთ, მოვინათლეთ. მაგრამ როგორცშენი სუფთა ტანსაცმელი შეიძლება შეცდეს და რაღაც ღვთისსაწინააღმდეგო გააკეთოს ან გაიფიქროს. დროის უკან დაბრუნება შეუძლებელია, ამიტომ მან უნდა მოინანიოს. ის მოდის სასულიერო პირთან და ღვთის წინაშე ამბობს აღსარებას. მღვდელი მას შენდობის ლოცვას უკითხავს. აღსარებით და სინანულით მას ყველა ცოდვა და ისევ განიწმინდება და მიეტევება. მომზადებისთვის კი დღეს უამრევი ლიტერატურა არსებობს. მან აღსარებისწინ წასაკითხაი ლოცვები უნდა წაიკითხოს აუცილებლად . აღსარებას და ზეარებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სულიერ ცხოვრებაში.

– იცნობდით თუ არა ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?

– პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მისი დიდი გულშემატკივარი ვიყავი. მახსოვს როგორ აიღოსტარტი მან რუსთავიდან. საოცარი პიროვნება იყო არათუ იმ თვალსაზრისით რომ,შინაგანი ძალით გაუმკლავდა არათუ დაავადებას, არამედ გინესის რეკორდიც კი მოხსნა. მთელი მსოფლიო ველოსიპედიტ შემოიარა ჩემთვის ერთერთი უდიდესი მოგზაური და უდიდესი პიროვნება იყო.

– იცნობთ თუ არა ჟურნალ ათინათს და მის რედაქტორს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს?

– ვიცნობ. მაქვს ამის ბედნიერება. რედაქტორი ქალბატონი გულნაზი ჩემი მეუღლის ნათესავია.

– მამაო გიყვართ პოეზია?

– ძალიან მიყვარს. როგორ შეიძლება ქართველმა ადამიანმა წაიკითხო ვაჟა , აკაკი , ილია გალაქტიონი და არ შეგიყვარდეს. ბოლოს და ბოლოს ვეფხისტყაოსანის ქვეყანა ვართ. ქართული ენა უნიკალური ენაა. ჩვენი მეფე იტყოდა ხოლმე არ არსებობს ისეთი რამე რაც არ ჩამოასხას ქართულმა ენამო. თუმცა დროის უკმარისობის გამო ვერ ვიტყვი რომ ხშირად ვკითხულობ.

– რას უსურვებთ მომავალ თაობას?

– მომავალ თაობას მე ძალიან დიდი პატივს ვცემ, ძალიან დიდი იმედი მაქვს მათი, ვუსურვებ, რომ ყოველთვის ღმერთის გზაზე ევლოთ და მის მიმართ რწმენა და სიყვარული არ დაკარგონ.

თორნიკე ჩაბალოშვილი
თბილისის 55-ე საჯარო
სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ინტერვიუ როინ მეტრეველთან



მოგესალმებით ბატონო როინ! მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ ათინათის ნორჩი ათინათელი. თბილისის 55-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ჩაბალოშვილი თორნიკე.

– კედევ ერთხელ მოგესალმებით ბატონო როინ! გთხოვთ გვიამბეთ თქვენი ბავშვობის შესახებ? როგორი ბავშვი იყავით?

– ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი.ჩემი ბავშვობა დაემთხვა დიდ სამამულო ომს და ომის შემდგომ პერიოდს. ამ დროს ქვეყანაში იყო რთული ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება. ეს ყველას ცხოვრებაზე კვალს ამჩნევდა და თავისთავად ჩვენს ბავშვობაზეც აისახებოდა.ყველა ოჯახს პრობლემები ჰქონდა.დღეს ბავშვობა ლაღი და თავისუფალია. მახსოვს მაშინ სკოლაში რომ შევედი ომის შემდეგ პერიოდში,ჩემს კლასში 30 მოსწავლიდან 29-ს მამა არ ჰყავდა.' ყველას ძალიან უჭირდა. მე მქონდა ესეთი შემთხვევა: ბიძაჩემმა ირანიდან ჩამომიტანა ახალი, ძალიან ლამაზი ფეხსაცმელები .ამ ფეხსაცმლის ჩაცმა მომერიდა სკოლაში,იმიტომ რომ ძალიან გამორჩეული ვიქნებოდი კლასელებისგან.არადა სახლში მაძალებდნენ ჩაცმას ავდექი ერთ საღამოს ჩავიცვი ეს ფეხსაცმელი და ფეხბურთის სათამაშოდ წავედი და იქამდე ვითამაშე სანამ ეს ფეხსაცმელები გარკვეულ კონდიციამდე არ მივიყვანე და ნახმარს არ დავამსგავსე. ამის მერე ჩემს თავს უფლება მივეცი ფეხსაცმელები სკოლაში ჩამეცვა.

– რამდენი დედმამიშვილი იყავით გვიამბეთ მათ შესახებ?

– სამწუხაროდ მე დედისერთა ვარ. მაგრამ მყავდა ბევრი ბიძაშვილი რომელთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა.

– ბატონო როინ ამბობენ, რომ სკოლის წლები ადამიანის ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდია. თქვენ რომელ სკოლაში სწავლობდით და რას გაიხსენებდით სიამოვნებით ამ წლებიდან?

– სკოლაში ძალიან მაღალი დონის პედაგოგები გვყავდა და მოთხოვნილებაც მაღალი იყო.ჩვენს სკოლაში ძალიან ბევრი წარჩინებული მოსწავლე იყო.სკოლებში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო მხატვრული თვითშემოქმედება,ვდგავდით პიესებს და კონცერტებს. ნებისმიერ წრეზე შეგეძლო სიარული. მე ვსწავლობდი მუსიკალურ სკოლაში,შვიდწლედი მაქვს დამთავრებული.მიუხედავათ იმისა, რომ სკოლაში ფრიადოსნი ვიყავი,მაინცდამაინც წარმატებული არ ვიყავი მუსიკაში.მაგრამ აქ იყო მშობლების მოთხოვნაც და ალბათ ჩემი პასუხისმგებლობაც მათ მიმართ.მუსიკალურმა განათლებამ ბევრ რამეში შემიწყო ხელი.პირველი ჩემი სტატია მოსწავლე-

ობის დროს გამოვაქვეყნე მოცარტის შესახებ.1956 წლის 27 იანვარს.მოცარტი მაშინ 200 წლის გახდა.ჩემი სტატია საქალაქო გაზეთში დაიბეჭდა.

– სკოლაში სწავლის პერიოდიდან რომელი საგნები უფრო გაინტერესებდათ?

– სკოლაში ძირითადათ კარგი პედაგოგები მყავდა.არის ხოლმე რომ ზოგი ძალიან გიყვარს,ზოგი ნაკლებად,ზოგი ძალიან ავია,ზოგი კი საგანს ძალიან გაყვარებს,ის რომ მე ისტორიკოსობა გადავწყვიტე განაპირობა იმანაც, რომ არაჩვეულებრივი ისტორიის მასწავლებელი მყავდა.სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე.იმ დროს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ოქროს მედალოსანს გასაუბრებით ღებულობდნენ.მე ყველგან გზა მქონდა ხსნილი.ავირჩიე უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი. სიმართლე გითხრათ არავინ ჩემს გარშემო და არც ჩემს ოჯახში ამას დიდი აღტაცებით არ შეხვდნენ, თუმცა ბიძაჩემი ირწმუნებოდა რომ ყველა დარგში შეიძლება კაცმა იმუშაოს და წარმატებას მიაღწიოს.ასე გავხდი პროფესიით ისტორიკოსი

– ბატონო როინ რამდენი წიგნის ავტორი ხართ ? გვიამბეთ თქვენს ნამუშევრებზე და ზოგადად თქვენს შემოქმედებაზე.

– მე ვარ ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე,ისტორიკოსი,მედიევისტი,კავკასიოლოგი.მეცნიერების დოქტორი(1974წ)პროფესორი (1977წ),საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი(1993წ).ვარ პირველი ქართული ეროვნული ენციკლოპედიის ერთ-ერთი გამომცემელი და რედაქტორი.

1985-88 წწ. ვიყავი ა.ს.პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, 1988 წლიდან - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 1991-2005 წწ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. (1997-2005წწ) 2005 წლიდან 2013 წლამდე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. 2013 წლის ოქტომბრიდან დღემდე მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზინდეტი ვარ.

ასევე გახლავართ კალიფორნიის (აშშ, სან-ფრანცისკო) ხელოვნების,მეცნიერებისა და განათლების საერთაშორისო აკადემიის წევრი(1996წ). უმაღლესი განათლების საერთაშორისო აკადემიის (რუსეთი, მოსკოვი) წევრი (1997), ევროპის მეცნიერების და ხელოვნების აკადემიის (ავსტრია, ზალცბურგი) ნამდვილი წევრი (2009წ) 1996-2004 წწ. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის რექტორთა საბჭოს თავჯდომარე. საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი (1996წ), სახალხო დიპლომატიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, (არჩეული ვარ უვადოდ 2008 წ) ახალგაზრდა დიპლომატთა საერთაშორისო ასოციაციის საპატიო წევრი. პოლიტიკურ მეცნიერება-

თა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი(2013წ).ეროვნულ და სოციალურ ურთიეთობათა აკადემიის აკადემიკოსი(2004წ) .1991 წლიდან ჟურნალ „მაცნეს“ რედაქტორი(ისტორიის სერია), წელიწდეულების „ქართული დიპლომატია“ (გამოცემულია 16 ტომი) და „კავკაზიკის“ (გამოცემულია 7 ტომი) მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადამიასთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარე (1995წ). ჟურნალ „გეორგოკა“-ს (გერმანია-საქართველო) სარედაქციო კოლეგიის წევრი(1997წ). საერთაშორისო ჟურნალის „კავკასია და გლობალიზაცია“ (ქ.სტოქჰოლმი, ინგლისურ ენაზე) სარედაქციო კოლეგიის წევრი (2009წ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე(1996წ) .მონიჭებული მაქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში (1988წ). ი.ჯავახიშვილის სახელობის საუნივერსიტეტო (1999წ) და სააკადემიო(2010წ) პრემიები. ა.წერეთლის სახელობის პრემია (2000წ). შოთა მესხიას სახელობის პრემია(2012წ).2002 წლიდან – საქართველო-ისრაელის მეგობრობის საერთაშორისო პერეზიდენტი ვარ. 2003 წელს დავჯილდოვდი საერთაშორისო აკადემია (სარეიტინგო) „ფორტუნა“-ს წმინდა გიორგის მედლით,ღირსების ორდენით (1999წ), ფრიტოფ ნანსენის მედლით (2000წ). ექვთიმე თაყაიშვილის დიდი მედლით (2003წ), ფილიპე გოგიჩაიშვილის მედლით(2003წ). 2001 წელს - საქრთველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჯილდოთი - ოქროს ჯვრით, 2011 წელს – საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. ვარ თბილისის (1999წ), ქუთაისის (1996), ბორჯომისა (2000წ) და იყალთო (1991წ) საპატიო მოქალაქე, თბილისის საპატიო მასწავლებელი (1999წ), ა.წერეთლის სახელობის ქუთაისის, მ.ნალბანდიანის სახელობის გიუმრისა (2000წ) და დონის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტების საპატიო პროფესორი.

ვიკვლევ საქართველოსა და კავკასიის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის, საზოგადოებრივი აზრისა და დიპლომატიის ისტორიის საკითხებს. გამოქვეყნებული მაქვს 200-ზე მეტი ნაშრომი, რომელთა შორის 10 მონოგრაფიაა. ვარ საქართველოს ისტორიის უმაღლესი და საშუალო სკოლების სახელმძღვანეოლობის ავტორი.

– იცნობდით თუ არა ბატონ ჯუმბერ ლეჟავას? როგორ აფასებთ მის სპორტულ მიღწევებს.?

– ძალიან კარგად ვიცნობდი. მე პირადი ურთიერთობა მქონდა მასთან. ის საოცარი ადამიანი იყო. ფიზიკურ ძალასთან ერთად გონებრივადაც უნდა იყო ამ უზარმაზარი საქმისთვის მოწოდებული, რომ მსოფლიოს ველოსიპედით შემოუარო. მე მაშინ უნივერსიტეტის რექტორი ვიყავი და ამ მოგზაურობის დროს პრესცენტრი უნივერსიტეტში გვქონდა, ანუ ინფორმაციებს მისგან და მის შესახებ ჩვენ ვიგებდით. ის უნიკალური ადამიანი იყო.

– იცნობთ თუ არა ჟურნალ „ათინათს“?

– ჟურნალ „ათინათს“ ვიცნობ, ვკითხულობ და ძალიან მომწონს. აქ ისეთ ავტორებს ვკითხულობ რომლებსაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ. ამდენად ეს ჟურნალი ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია და დადებითად ვარ განწყობილი. ის უნდა გაძლიერდეს და კიდევ უფრო გაიზარდოს.

– ბატონო როინ რას უსურვებდით მომავალ თაობას?

– მომოვალ თაობას ვუსურვებდი ძალიან დიდ სიბრძნეს. ეს სიბრძნე იცით რაში მდგომარეობს? თავისუფალი დრო რომ გამოიყენოთ რაციონალურად. მე შემიძლია გითხრათ რომ კარგად ისწავლოთ, მაგრამ ამას ყველა გეტყვით. ეს არის თქვენი ახალგაზრდების პირდაპირი მოვალეობა: ცოდნას დაეუფლოთ მაღალ დონეზე. მაგრამ თავისუფალი დროის გონივრულად გა-

მოყენება ეს არის აუცილებელი თქვენთვის, სკოლის და უმაღლეს ასაკში.თუ წასაკითხი გაქვს რამე მაშინ უნდა წაიკითხო, თუ გასაკეთებელი გაქვს რამე მაშინ უნდა გააკეთო იმიტომ რომ ასეთი დრო აღარ დაბრუნდება. სიმართლე რომ გითხრათ, მე არ მომწონს ზედმეტად კომპიუტერული ახალგაზრდობა. მე კომპიუტერის წინაარმდეგი არ ვარ მაგრამ ძირითადი და მნიშვნელოვანი მაინც წიგნია. წიგნიერი ახალგაზრდობა მომავლიანი ახალგაზრდობაა. ამიტომ გირჩევთ მთელი თქვენი თავისუფალი დრო წიგნს დაუთმოთ. ზოგადად მომავალ თაობას წარმატებებს გისურვებთ, გისურვებთ რომ თქვენი დასახული მიზნისთვის ღირსეულად მიგეღწიოდ.



– ჩვენი საუბრის ბოლოს რამე კურიოზს ხომ არ გაიხსენებდით თქვენი ცხოვრებიდან?

– სკოლაში ვსწავლობდი. მაშინ მე -7 კლასში ვიყავი. ჭიდაობაში შეჯიბრი იყო. ჩემს სკოლას ერთი წონითი კატეგორია დააკლდა. შემოვიდა ფიზკულტურის მასწავლებელი და მითხრა: გაიხადე შენ უნდა იჭიდაოო. ჩემი წონის კაცი ყოფილა. ვიჭიდავე და დავამარცხე მოწინააღმდეგე. ცხრა წონითი კატეგორია იყო. ჩემმა სკოლამ აქედან ორი მოიგო. მეორე დღეს კლასში დირექტორი შემოვიდა და იკითხა:

– ერთი გამაგებინეთ რამდენით წავაგეთ და ის გამარჯვებულები ვინ არიანო?

ყველამ ჩემი გვარი უთხრა და მახსოვს მეორე ბავშვი წიქორიძე იყო გვარად. ორივე ფრიადოსნები ვიყავით. დირექტორისთვის იმდენად წარმოუდგენელი და კურიოზული იყო ჩვენი ჭიდაობაში გამარჯვება, რომ არ დაიჯერა და თქვა: არა კაცო ჭიდაობაზე გეკითხებიბით სწავლაზე კი არაო.

– ძალიან დიდი მადლობა, ბატონო როინ ამ საინტერესო საუბრისათვის.

თორნიკე გოგინაშვილი
თბილისის 54 საჯარო
სკოლის 7 კლასის მოსწავლე

ინტერვიუ ქალბატონ ცისანა მჭედლიძესთან

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის ცისანა მჭედლიძის და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ პროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ჟურნალისტი თბილისის 54 საჯარო სკოლის 7 კლასის მოსწავლე თორნიკე გოგინაშვილის ინტერვიუ.

ამჟამად რითი ხართ დაკავებული?

ვარ მხატვართა ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ამიტომ უფრო დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია მხატვრების წინაშე და ვცდილობ მათ არ გავუმტყუნო იმედები. ასევე ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის აკადემიკოსი და „ფაზისის“ სასულიერო სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი, ასევე ვთანამშრომლობ ჟურნალ “ ათინათთან“.

რას წარმოადგენს მხატვართა კავშირი და რამდენი წევრი გყავთ?

მხატვართა კავშირი არის მხატვრების გაერთიანება ერთი იდეისა და საერთო საქმის გარშემო. გაერთიანებულია 2000 - ზე მეტი წევრი. კავშირი ეწევა ქართული მხატვრობის პოპულარიზაციას, აწყობს გამოფენებს, ბეჭდავს ალბომებს, წიგნებს და კატალოგებს, აწყობს საღამოებს, აჯილდოვებს დამსახურებულ მხატვრებს.

რამდენი წიგნის რედაქტორი ბრძანდებით და რას შეეხება ეს წიგნები?

რედაქტორი ვარ 2 წიგნის ქართველი მხატვრები და რამდენიმე კატალოგის. ყველა გამოცემა ემსახურება ქართული მხატვრობის პოპულარიზაციას.

გიყვართ ბავშვები? რას აკეთებთ მათთვის?

რათქმაუნდა ბავშვები ჩვენი ქვეყნის მომავალია. მხატვართა კავშირში გავხსენი ბავშვთა და მოზარდთა სექცია, სადაც გაერთიანებულია ასობით ხატვის მოყვარული ბავშვი, მათთვის ხშირად ვაწყობთ გამოფენებს კავშირის საგამოფენო დარაზში. შევქმენი პრეცენდენტი ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში წელიწადში ერთხელ ყოველ გაზაფხულზე, ქალაქის რომელიმე სკვერში ეწყობა აქცია „მე მიყვარს ხატვა“, ბავშვები ფენენ თავიანთ ნამუშევრევს და კავშირის მიერ მიტანილი მასალებით ხატავენ, ასევე მხატვრები უტარებენ მათ მასტერკლასს.

ვიცი ამის შესახებ, შარშან მეც მქონდა გამოფენილი ჩემი გამოძერწილი ნამუშევრები. ძალიან მომეწონა აქცია და კიდევ დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას.

როგორი უნდა იყოს ბავშვი?

ბავშვი უნდა იყოს ცელქი, ხალისიანი და შრომისმოყვარე.

რას უსურვებდით ბავშვებს?

დემოკრატიულ, თავისუფალ ,გაერთიანებულ და გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებას.

ალექსანდრე ლეთოდიანი
თბილისის 167-ე სკოლის მოსწავლე



ინტერვიუ 167-ე სკოლის დირექტორთან ქალბატონ ელენე ფუტკარაძესთან

– მოგესალმებით ქალბატონო ელენე, მოხარული ვარ, რომ თბილისის 167-ე სკოლის მოსწავლეს, ალექსანდრე ლეთოდიანს, მომეცა საშუალება ჩემივე სკოლის დირექტორთან მქონოდა ინტერვიუ.

– ჩემთვის დიდი პატივია, რომ ჩემი სკოლის წარჩინებული მოსწავლე მოდის ინტერვიუს ასაღებად.

– ქალბატონო ელენე ბავშვობაში თუ გიოცნებიათ დირექტორობაზე?

– უნდა ვაღიარო, რომ ადრეულ ბავშვობაში იურისტობა მინდოდა. მაგრამ ერთხელ, გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავის იუბილეზე, ვიყავი ქალაქ გეორგიევსკში ექსკურსიაზე. იმდენად მომეწონა იქ ერთ-ერთი სკოლა, მოწესრიგებული კლას- კაბინეტებით, ლაბორატორიებით, რომ მაშინვე გავიფიქრე, გავმხდარიყავი მეც სკოლის დირექტორი და ასეთი სასწავლებელი მქონოდა. ახლა, ეტაპობრივად, ნელ-ნელა, შევეცდებით არა თუ ისეთი, არამედ უკეთესი სკოლა გვქონდეს.

– გთხოვთ, მიამბოთ თქვენი პროფესიული გამოცდილების შესახებ.

– ჩემი პროფესიული გამოცდილება იწყება იმით, რომ 1986-1991 წლებში ვიყავი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი. 1992 წლიდან დავიწყე მუშაობა განათლების სისტემაში. თავდაპირველად ვმუშაობდი 149-ე საჯარო სკოლაში, სადაც ვიყავი რელიგიისა და კულტურის მასწავლებელი, შემდეგ დირექტორის მოადგილე 1996 წლიდან. 2005-2007 წლებში გახლდით ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. ასე რომ, ამ კუთხით მაქვს ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილება. შემდეგ, რამდენიმე თვე, 2007 წლის აგვისტო-ნოემბერში, ვიმუშავე 172-ე სკოლაში დირექტორის მოადგილედ. ამ სასწავლებელში, ორივე შემთხვევაში, კონკურსის წესით მოვხვდი. 2014 წლის სექტემბრიდან 167-ე სკოლაში ვარ.

– ამაყობთ თუ არა, რომ დღეს თქვენ 167-ე საჯარო სკოლას ხელმძღვანელობთ?

– სიამაყისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ვაღიარებ, რომ ჩემთვის ეს არის დიდი პატივი, იმიტომ, რომ ეს არის ერთ-ერთი წარმატებული სკოლა და ჩვენ შევეცდებით, რომ ჩემი წინა კოლეგების დაწყებული გზა გავაგრძელოთ და კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გავხადოთ 167-ე საჯარო სკოლა. ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენი წინამორბედი კოლეგების გამოცდილებას

– რა გეგმები გაქვთ დასახული მომავლისათვის?

– აი, რაც ცოტა ხნის წინ აღვნიშნე, რომ სკოლა კონკურენტუნარიან გარემოში არის. ის გლდანის მეორე მიკრორაიონში მდებარეობს, ჩვენთან ახლოს ძალიან წარმატებული სკოლებია: 114-ე სკოლა, 136-ე სკოლა, 160-ე სკოლა და ჩვენი პოზიცია და სურვილიც ისეთია, რომ ტოლი არ დავუდოთ მათ. ყოველნაირად შევეცდებით, რა თქმა უნდა კოლეგების დახმარებით, პედაგო-

გების დახმარებით, ბავშვების მოტივაციის ამაღლებით, რომ სასწავლო პროცესის საშუალო მაჩვენებელი ავამაღლოთ და წავიდეთ თანდათან უკეთესი მაჩვენებლისაკენ. მართალია ამას დასჭირდება დრო, ეს ასე სწრაფად არ განხორციელდება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თქვენთან ერთად, ჩვენ ამას შევძლებთ.

– მე ნორჩი ლიტერატორი ვარ, ჩვენივე სკოლის ლიტერატურულ- შემოქმედებითი წრის წევრი, ნორჩი ჟურნალისტი, რას გვისურვებთ მოსწავლეებს?

– ძალიან მიხარია, თქვენ ნამდვილად მეამაყებით, იმიტომ რომ თქვენი ლიტერატურული წრის ერთ-ერთი გულშემატკივარი მე გახლავართ. ასევე, სკოლა მონაწილეობს ჟურნალ „ათინათის“ გამოშვებაში. ჩვენ, შესაძლებლობის ფარგლებში, ვიძენთ ხოლმე ამ ჟურნალებს და საჩუქრად გადავცემთ წრის აქტიურ წევრებს. მინდა, რომ კიდევ უფრო მეტი წარმატება გქონდეთ და ჟურნალი „ათინათი“ გამოიცემოდეს არა მარტო თბილისში, არამედ მთელი საქართველო მოიცვას, იმიტომ, რომის არის ძალიან საინტერესო, იქ არის არა მარტო თქვენი თაობა, არამედ ჩემი კოლეგებიც წერენ, ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეებიც თანამშრომლობენ, მინდა, რომ მას წარმატება ჰქონდეს. ასევე ხაზს გავუსვამ, რომ მე ვარ ძალიან დიდი ახლობელი და გულშემატკივარი ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილისა, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, როგორც ჭეშმარიტ მანდილოსანს, როგორც ღირსეულ ქალბატონს, დედას, ბებიას და მინდა, რომ ის წარმატებული ადამიანი იყოს.

– დიდი მადლობა, რომ უპასუხეთ ჩემს ყველა შეკითხვას.

– მადლობა თქვენ, რომ მობრძანდით ჩვენთა. წარმატებას გისურვებთ მთელი გულით და ყოველივე საუკეთესო მისურვებია.

ლიკა გოგინაშვილი

ინტერვიუ ვალერი მოსიასვილთან

მოგესალმებით ბატონო ვალერ, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, თბილისის №51-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე ლიკა გოგინაშვილი

მაინტერესებს თქვენი ბავშრობის წლები, რას მიამბობთ ამის შესახებ.

ბავშვობის წლები, როგორც უმეტესობას მეც კარგად და სასიამოვნოდ მაგონდება, უდარდელი, უზრუნველი, აქტიური, თავგადასავლებით დატვირთული და საკმაოდ

საინტერესო. ბავშობის წლებიდან ყველაზე მეტად მაგონდება ჩემი მეგობრები, რომელთან ერთადაც ვთამაშობდი ფეხბურთს, დავდიოდი მდინარეზე. ასევე კარგად მაგონდება სკოლის წლები, რამდენადაც მთელი რვა წლის განმავლობაში კლასში ხუთი მოსწავლე, ხუთივე ვაჟი ვიყავით და დღემდე ერთმანეთთან დიდი სიყვარული და მეგობრობა გვაკავშირებს.

ჩემი ბავშვობის გახსენებისას არ შემიძლია არ გავიხსენო დედულეთი, კერძოდ საჩხერის რაიონი, სოფელი ხვანი, მართლაც შეუდარებლად ლამაზი, მდიდარი ბუნმებრიუვი სილამაზით და მოსახლეობით. სწორედ აქ მდინარე ძირულაზე ვისწავლე ცურვა, აქ დავიჭირე პირველად ხელში ანკესი. აქ ამ სოფელში ჩემს ბიძაშვილებთან გატარებულმა წლებმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში და დიდი როლი ითამაშა, ჩემი როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ოჯახში რამდენი დედ-მამიშვილი ხართ?

ოჯახში სამი დედმამიშვილი ვიყავით, მე უფროსი გახლდით. ჩემი ბავშვობის წლები თავისთავად უკავშირდება ჩემს დებს. ერთმანეთთან ბუნებრივია დიდი სიყვარული და პატივიცემა გვაკავშირებდა დადღემდე გვაკავშირებს. მიუხედავად იმისა რომ ერთმანებს კარგად ვეწყობოდით, ფაქტობრივად ყოველგვარი ბავშვური კონფლიქტისა და უთანხმოების გარეშე გავატარეთ ბავშვობა, ცხოვრების გადამწყვეტ ეტაპზე სამივემ განსხვავებული პროფესია ავირჩიეთ. მე ფინანსისტი გავხდი, ჩემი დებიდა ერთი დაწყებითი განათლების პედაგოგია, მეორე გეგრაფი, თუმცა ეს სულაც არ გვიშლი ხელს საერთო მინტერესი და ფასეულობები გვქონდეს.

რა პროფესიის ბრძანდებით?

თუ მხედველობაში გაქვთ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, მაშინ მე ამ პერიოდს დავყოფდი ორ ნაწილად. პირველი, როცა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა გავაგრძელე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, კერძოდ 1996 წლიდან, სადაც გავაიარე გზა უფროსი ლაბორანტის თანამდებობიდან წამყვანი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე, ამ წლებმა გარდატეხა შეიტანა ჩემს ცხოვრებაში და მეტწილად განაპირობა, ჩემი როგორც პროფესიონალი მეცნიერ-ეკონომისტის ჩამოყალიბება და ფაქტობრივად განსაზღვრა ჩემი ცხოვრების შემდგომი ვექტორი. ამავე პერიოდში დავამთავრე საპირანტურა და დავივავი ეკონომიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მეორე პერიოდი სამსახურებრივ კარიერაში იწყება 2000 წლიდან, როცა უკვე დავიწყე ლექციების კითხვა და გავიარე გზა ასისტენტობიდან სრულ პროფესორობამდე. ეს ეტაპი გრძელდება დღემდე.

ამჟამად რითი ხართ დაკავებული?

ამ ეტაპზე მეტწილად დაკავებული ვარ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ლექციების კითხვით, რომელსაც ვუთავსებ ადმინისტრაციულ თანამდებობასაც, რამდენადაც ეს საკმაოდ საინტერესო საქმიანობაა და მეხმარება ჩემი შესაძლებლობების რეალიზებაში. თუმცა, როგორც კი თავისუფალი დრო მაქვს ვუბრუმნდები ჩემს საყვარელ საქმიანობას, რაც გამოიხატება ზოგადად ეკონომიკის, და კონკრეტულად ფინანსების სფეროში კვლევით საქმიანობაში. ვწერ სტატიებს, სახ-

ვადასხვა სალექციო კურსს სტუდენტებისთვის. არ მავიწყდება საზოგადოებრივი საქმიანობაც, ვთანამშრობლობ რამოდენიმე ჟურნალთან, ენციკლოპედიასთან, სტუდენტების თხოვნით ვატარებ საჯარო ლექციას და ტრენინგს ჩემი კომპეტენციის ფარგლებში.

რას მიამბობთ თქვენი მშობლების შასახებ?

ჩემს ასაკში ძნელია ისაუბრო მშობლებზე და იყო მიუკერძოებელი. როგორც ყველას მეც ვფიქრობ რომ ჩემი მშობლები იყვნენ გამორჩეულები თავიანთი შრომისმოყვარეობით, სათნოებით, პატიოსნებიტ და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მე და ცემმა დებმა ცხოვრებაში მეტნაკლებად წარმატებას მივაღწიეთ, მათი დამსახურებით შევძელით მიგვეღო ღირსეული განათლება და რაც მთავარია ვყოფილიყავით საზოგადოების ღირსეული წევრები. სწორედ მშობლების დაუღალავი და რუტინული შრომის შედეგია, რომ ერთ პატარა სოფელში გაზრდილმა ოჯახის სამივე წევრმა შევძელით და მივიღეთ უმაღლესი განათლება და ჩვენს სფეროში გარკვეული წარმატყებას მივაღწიეთ.

დაოჯახებული ხართ?

დიახ ვარ დაოჯახებული. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

თქვენი შვილები კარგად სწავლობენ?

რაც შეეხება შვილებს ჯერ სკოლის მოსწავლეები. კარგი მოსწავლეები არიან, თუმცა როგორც ყველა მშობელს კიდევ მეტის სურვილი და მოლოდინი მაქვს მათგან. მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ, რომ ისინი გაიზარდონ შრომისმოყვარე, პატიოსანი, თავისი ქვეყნის პატრიოტები, შეძლოთ ღირსეული სიტყვა თქვან ცხოვრებაში, მოახდინონ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება. ის თუ რამდენად მივაღწევთ ამას, დრო გვიჩვენებს.

რა პროფესიისა თქვენი მეუღლე?

ჩემი მეუღლე, ქეთევან ცაბაძე სპაციალობით პედაგოგია, აქედან გამომდინარე გარკვეული თანხვედრაა პროფესიულ ასპარეზზე. ჩვენ დაოჯახებამდეც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვიცნობდით ერთმანეთს და როცა მივხვდით, რომ ერთნაირი ფასეულობები და მისწრაფებები გვქონდა გადავწყვიტეთ დაოჯახება. ბავშვებთან გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, მას უფრო მეტად უწევს დროის გატარება და მეც ვცდილობ შეძლებისდაგვარად დავეხმარო, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენს შვილებს გახდნენ საზოგადოების ღირსეული წევრები.

რამდენი წიგნის ავტორი ხართ?

ამ ეტაპზე ვარ ათი წიგნი ავტორი, რომელთაგან ორი მონოგრაფიაა, სამი დამხმარე სახელმძღვანელო და დანარცენიც სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის.

თქვენი წიგნებით სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში. რას იტყვით ამის შესახებ?

მადლობთ ასეთი შეკითხვისთვის. ჩემი წიგნები, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე განეკუთვნება ზოგადად ეკონოკის სფეროს, უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით ფინანსებსა და საბანკო საქმეს. ძირითადად გადმოცემულია მიმდინარე ეტაპის აქტუალური საკითხები, რომელიც საინტერესოა როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე საზოგადოების შედარებით ფართე ფენებისთვის, რამდენადაც ეკონომიკისა და ბიზნესის სექტორი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში დაინტერესების მაღალი ხარისხით ხასიათდება.

რომელი რაიონიდან ბრძანდებით?

გავიზარდე საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს რეგიონში – შიდა ქართლში, კერძოდ კი ქარელის რაიონის სოფელ საციხურში, რომელიც მდებარეობს დასავლეთ ფრონის ხეობაში და

სწორედ ამ ხეობამ და ადგილობრივმა მოსახლეობამ დიდი როლი ითამაში ჩემი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში, აქ ვისწავლე მეგობრისა და მოყვასის სიყვარული, შევიძინე ადამიანური ფასეულობები. და თუ რამ პოზიტიური მაქვს სწორედ დიდწილად ამ რეგიონიდან მაქვს. აქედან გამომდინარე ჩემთვის ძალიან მძიმეა არსებული სიტუაცია, როცა ჩემი მშობლიური კუთხე, საქართველოსთვის ჯერ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობას წარმოადგენს.

იცნობდით ჯუმბერ ლეჟავას?

მქონდა პატივი და რამდენჯერმე პირადად შევხვდი ბატონ ჯუმბერ ლეჟავას. რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა, რამდენადადც ეს იყო მართლაც შესანიშნავი პიროვნება, მსოფლიო დპნის მოგზაური და მკვლევარი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს პოპულარიზაციაში მსოფლიოს მასშტაბის. ბატონი ჯუმბერ ლეჟავა და მისი ცხოვრების განვლილი გზა არის იმის ნათელი მაგალითი, თუ რას შეიძლება მიაღწიო ადამიანმა დაუღალავი სრომით და მონდომებით, რომ წარმატებისკენ სწრაფვა და დიდადი გეგმების რეალიზება არასდროს, არც ერთ ასაკში არ არის გვიან.

თქვენი მასალები რომელ ჟურნალში იბეჭდება?

მიმდინარე ეტაპზე ვთანამშრომლობ რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალთან. მათ შორის ჩვენს საყვარელ „ათინათთან“, რომელთანაც რადენიმეწლიანი ნაყოფიერი და შედეგის მომტანი პარტნიორული ურთიერთობა მაკავშირებს. ასევე ვარ საერთაშორისო სამცნიერო ჟურნალის „სეუ&მეცნიერება“ მთავარი რედაქტორი, რომლის ფურცლებიდან ვცდილობთ გავესაუბროთ ჩვენს მკითხველს, მივაწოდოთ მრავალმხრივი, კვალიფიციური და ობიექტური ინფორმაცია. ეტაპობრივად ვაქვეყნებ სტატიებს ისეთ ჟურნალებში, როგორიცაა – „ეკონომიკა“, „ბიზნეს ინჟინერინგი“ და სხვ.

რას იტყვით ჟურნალ „ათინათის“ შესახებ?

როგორც მოგახსენეთ ჟურნალ ათინათთან საკმაოდ ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებული ტანამშრომლობის არც თუ ისე მცირე დრო მაკავშირებს, შესაბამისად ვფიქრობ ეს ჟურნალი მართლაც კარგ საქმეს აკეთებს და ერთგვარი ნოვატორია და ამკვიდრებს ახალ სტილს სამეცნიერო ჟურნალებს შორის, როცა პროფესიონალ, თავისი სფეროს ცნობად ადამიანებთან ერთად საშუალებას აძლევს ახალ თაობას მოსინჯოს შესაძლებლობები და ჩამოყალიბდეს თავისი საქმის კარგ მცოდნედ. ჟურნალს ვუსურვებ კიდევ უფრ მარავალფეროვან რუბლიკას, ტირაჟის სიხშირეს და რაც მთავარია ღირსეულ და ობიექტურად შემფასებელ მკითხველს.

გიყვართ ბავშვები?

ბავშვები, ასე ვთქვათ ჩემი სისუსტეა და შესაბამისად ძალიან მიყვარს. დღესაც როგორც თავისუფალი დრო გამიჩნდება და ამის საშუალება მაქვს სიამოვნებით ვთამაშობ ბავშვებთან ერთად ვსაუბრობ მათთვის საინტერესო თემებზე, ვაძლევ დარიგებებს და მინდა გავულამაზო ბავშვოპის წლები.

თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ბავშვი?

ალბად გამიჭირდება გამოვყო ერთი ან თუნდაც ორი და სამი თვისება, რომელიც ჩემი აზრით კარგი იქნება ბავშვებისთვის, რამდენადაც მინდა ახალ თაობას ქონდეს ღირსებებისა და პოზიტივის მთელი კომპლექსი. თუმცა მაინც გამოვყოფდი ზოგიერთ მათგან, ვფიქრობ კარგი იქნება და აუცილებელიცაა ბავშვები, ჩვენი საყვარელი მომავალი თაობა იყოს შრომისმოყვარე, კაცთმოყვარე, მეგობრული, სათნო, ალტრუისტი, განათლებული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მცოდნე და მატარებელი, თავისი ქვეყნის პატრიოტი.

თქვენი განვლილი წლებიდან რას გაიხსენებდით ყველაზე საინტერესოდ?

სიმართლე გითხრათ ამ საკითხზე ჯერ არ დავფიქრებულვარ, თუმცა განვლილ წლებს თუ გადავხედავ იყო წარმატებებიც, წარუმატებლობას, პოზიტიური პერიოდი და ნეგატიური პერიოდიც. მთლიანობაში დიდი ალბათობიტ დიდს არაფერს სევცვლიდი. ეს არ ნიშნავს რომ სეცდომები არ დამიშვია, მაგრამ როგორც ჩანს იმ ხარისხის შეცდომა არ დამიშვია დიდად დამმახსოვრებოდა ან დამჩნეოდა ჩემს განვლილ გზას. ჩემს თავს ვსაყვედურობ, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე ვიყავი ნაკლებ აქტიური და მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების მომლოდინე. ამ გადასახედიდან შემიძლია ვთქვა რომ იმ ეტაპზე სასურველი იყო მეტი ატიურობა გამომეჩინა, რაც პოზიტიურა წაადგებოდა, როგორც ჩემს კარიერას, ასევე საზოგადოების იმ ნაწილს ვისთანაც მქონდა საქმიანი ურთიერთობა.

რას უსურვებთ მომავალ თაობას?

მომავალ თაობას ვუსურვებ, რომ ეს იყოს თაობა ერთ-ერთი გამორჩეული ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, შეძლონ როგორც ყველამ ერთად, ასევე თითოეულმა ცალ-ცალკე მოახდინონ თავიანთი შერსაძლებლობების მაქსიმალური რელიზება, საზოგადოებაში ინტეგრაცია ქვეყნისა და მსოფლიოს მასშტაბით, რამდენადაც გლობალიზაციის მიდინარე ეტაპზე წარმატების მიღწევა სეუძლებელია, მსოფლიო თანამეგობრობაში აქტიური თანამშრომლობის გარეშე. ყოველივე ეს კი შეუძლებელია დროის შესატყვისი განათლების მიღების გარეშე, რამდენადაც ინტელექტის მაღალი დონე უნდა გახდეს და გახდება კიდეც მათი და შესაბამისად მთელი საზოგადოების კეთილდრეობისა და წარმატების ბაზისი, საწინდარი. მომავალი თაობა, ეს საზოგადოების ის სეგმენტია, რომელზეც თვით საზოგადოების, ქვეყნის პერსპექტივა და მომავალია დამოკიდებული.

ნორჩი ლიტერატორები

ლელა მესხი
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის ლიტერატურულ-შემოქმედებითო წრის ხელმძღვანელი

ჩემი პატარა მეგობრები...

ჩვენ გვჯერა, რომ ლიტერატურის სიყვარული მშობლიური მიწიდან ამოზრდილი ნერგია და სამშობლოს ზეციდან დაშვებული ერთ-ერთი ნათელი სხივი...

ჩემი პატარა მეგობრები, ნორჩი ლიტერატორები, ეროვნულ ფესვებს, საიმედო საყრდენს, მერე კი... შეიძლება მუზების შთაგობენით თუ ვერა, პატრიოტიზმითა და ლიტერატურის სიყვარულით გულანთებულნი მაინც ივლიან ქვეყნიერებაზე...

მარიამ ტყებუჩავა
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-VI² კლსის მოსწავლე

მეუფე თადეოზის ხსოვნას!

სამწუხაროა, რომ დიდი ადამიანი აღარ არის...

მეუფისადმი მიძღვნილ საღამოზე წავიკითხე მისი ლექსი „ისევ მოვა გაზაფხული“.

მართლაც, ბევრჯერ მოვა გაზაფხული და მონატრება მოგვეძალება ჩვენს უსაყვარლეს მეუფეზე.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მას!..

ტატო ლაგვილავა
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-VI² კლასის მოსწავლე

მეუფე თადეოზის ხსოვნას!..

მეუფე თადეოზი იყო შესანიშნავი პიროვნება და საინტერესო პოეტი. მასზე ბევრი მსმენია. მეამაყება, რომ ეს ადამიანი ცხოვრობდა ჩვენს შორის...

განსაკუთრებით მიყვარს მისი ორი ლექსი: „ისევ მოვა გაზაფხული“ და „სონეტი ქართულ მიწას“.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მეუფე თადეოზს!..

გაზაფხული

აი, გვესტუმრა ნანატი გაზაფხული... მზიანი და თბული დღეებია, გული სიხარულით გვევსება, ფრინველები დაბრუნდნენ თბილი ქვეყნებიდან, ია და ენძელაც თავს იწონებს მშვენიერი გაზაფხულით...

ყველას გილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას!..

გისურვებთ ბედნიერებასა და ყოველივე სიკეთეს!..

ეკატერინე ქვარაია
თბილისის №167-ე საჯაროსკოლის
მე-VIკლასისმოსწავლე

გაზაფხული

გაზაფხლი ჩემთვის ყველაზე გამორჩეული წელიწადის დროა. ბუნების ზეიმი იწყება.

მცენარეები ხარობენ, ნათელი დღეებია, ხეები ჟანგბადს გვაწვდიან, ეს ჯანმრთელობისთვის აუცილებელია.

ჩემი აზრით, გაზაფხულის დადგომა ყველას უხარია...

გილოცავთ!... მოდის გაზაფხული ენძელებით და იებით, სიმწვანითა და სურნელებით...

მარიამ კეკელია
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-VI კლასის მოსწავლე

დედებს!...

ყველა დედას ვულოცავ გაზაფხულის დადგომას, მინდა მუდამ გაზაფხულს გავდნენ, ამ კეთილ ფერიას...

დედის ბედნიერება ჩვენზეცაა დამოკიდებული, ბედნიერია დედა, რომელსაც კარგი შვილი ჰყავს, ამიტომაც ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ დედა ბედნიერი იყოს...

მსოფლიოს დედებო, მრავალ გაზაფხულს დაესწარით!...

ანა ასაბაშვილი
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-VI კლასის მოსწავლე

„ათინათი"

ძალიან მომწონს ჟურნალი „ათინათი". მე ხომ მისი ნორჩი ავტორი ვარ... ჩემთვის ეს დიდი პატივია...

მინდა მადლობა გადავუხადო ჟურნალი „ათინათის" დამფუძნებელსა და რედაქტორს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს...

ჩემი მხრიდან შევეცდები ყველას იმედები გავამართლო და „ათინათის" ფურცლებმა იამაყოს ჩემით!

გვანცა ალავერდაშვილი
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-VI კლასის მოსწავლე

ღმერთთან სიახლოვე . . .

მე მწამს, რომ არსებობს იესო და ღმერთმა შექმნა სამყარო ... როცა უფალი მიგზავნის განსაცდელს, ვხვდები, რომ ეს იმ დანაშაულის სასჯელია, რომელიც მაქვს ჩადენილი და ვცდილობ, მაშინვე მოვინანიო...

ცოდვების მონანიებაში მეხმარება იესოს მსახური მამაო...

მე და ჩემმა კლასელებმა გადავწყვიტეთ გაგვეკეთებინა ხატების კუთხე, რათა კლასში დაგვემყარებინა სიმშვიდე . . . ამან ნამდვილად გაამართლა...

ჩემი ოცნებაა, ერთი კვირით მაინც ვიცხოვრო მონასტერში და დავეხამრო ღვთის მსახურებს...

ესეები

ირაკლი დარსალია
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
V კლასის მოსწავლე

ირაკლი დარსალიას ესეები
გააფორმა ნორჩმა მხატვარმა
ანა სართანიამ

დაუმსახურებელი წყენა

წყენას განმარტავენ, როგორც უკმაყოფილების განცდას, წერენ, რომ ეს ზედმეტი ბარგია. ის ორგვარია: დამსახურებული და დაუმსახურებელი. მას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითია ის, რომ სამართლიანი წყენის დროს ადამიანი ხვდება თავის საქციელს და ცდილობს მის გამოსწორებას.

უარყოფითია, როცა უსამართლო წყენისას ადამიანი დიდი ხანი ინახავს მას. ვფიქრობ, ეს ჯოჯოხეთური გრძნობაა.

საზღვარგარეთის ლიტერატურიდან, მარკ ტვენის „ტომ სოიერის“, თავგადასავლიდან, ჩვენ ვიცით, რომ ტომი გაანაწყენა სიდიმ, მან დეიდა პოლის გაუმხილა ტომის დანაშაული, საშაქრის გატეხვის თაობაზე, ტომმა ძმას, ჩემი აზრით, დაუმსახურებლად მიაყენა წყენა.

არჩილ სულაკაურის ნაწარმოებში, „ბიჭი და ძაღლი“, ბიჭსა და მის მეტოქეებს შორის წინააღმდეგობაა, ამით, დაპირისპირებულნი, დაუმსახურებლად აყენებენ წყენას გიგას. ჩემი აზრით, ასეთ ქმედებას უარყოფითი შედეგი მოსდევს.



სულხან-საბა ორბელიანის ალეგორიულ იგავ-არაკში „კუ და მორიელი“, მორიელმა მადლიერების ნაცვლად აწყენინა კუს, რომელსაც ის გადაჰყავდა ერთი ნაპირიდან მეორისკენ. ჩემი აზრით, მორიელისგან ეს უსამართლო ქმედებაა, უმადურობის გამოვლენაა.

ამგვარად, წყენა არის ადამიანის უკმაყოფილების განცდა, არა აქვს მნიშვნელობა, ის დადებითი იქნება თუ უარყოფითი. მისი არსებობა სასურველი არაა. დამსახურებულმა წყენამ ადამიანი უნდა გამოასწოროს, დაუმსახურებელმა კი ზიანი არ უნდა მიაყენოს სხვას.

ზნეობა

წერენ, რომ ზნეობა იმ წესებისა და ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ყოფაქცევას, ამა თუ იმ საზოგადოებაში. არსებობენ ადამიანები, რომლებიც არიან ზნეობრივები და უზნეობები.

ერთხელ შევნიშნე, რომ ჩემი მეგობრის დედა ქუჩაში მიდიოდა და თავისი შვილი პროდუქტების წამოღებაში დაეხმარა. ასეთ ადამიანს ზნეობრივს უწოდებენ.

შინისაკენ მივდიოდით მე და ჩემი ნაცნობი, შევნიშნეთ, რომ მოხუცს ფული დაუვარდა. მან მითხრა არ მისცეო, მე კი დავუბრუნე. ადამიანს, რომელიც ნაპოვნ ნივთს არ დაუბრუნებს პატრონს, ჩემი აზრით, უზნეოს უწოდებენ.

ზღაპარს ვკითხულობდი, სადაც მოთხრობილია ორ ღარიბ ძმაზე. ერთს გაუჭირდა, მეორე კი დაეხმარა, როდესაც მეორეს გაუჭირდა მან მიატოვა, ჩემი აზრით, პირველი ძმა ზნეობრივია, მეორე კი უზნეო.

ამგვარად, ზნეობა არის ადამიანის კარგი თვისება.

გულგრილობა

გულგრილობა სულის მძიმე ავადმყოფობაა, წამიკითხავს, ის დანაშაულია. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ერთი თბილი სიტყვა არ უთქვამთ სხვისთვის და მერე უკვირთ, რატომ მეძახიანო გულგრილს.



ჩემი ნაცნობის ძმას ფეხი აუცურდა, ზურგით დაეცა, მე დავეხმარე, მაგრამ მისი ძმა სიცილით კვდებოდა, იგი გულგრილია.

ერთხელ საბანაოდ ვიყავი. პატარა ბავშვი ღრმა ადგილას შევიდა და ვერ გამოდიოდა. ყველა უყურებდა, მაგრამ არავინ შესულა, ისინი გულგრილები არიან.

კინოს ვუყურებდი, სადაც სასტიკად სცემდნენ ერთმანეთს. კაცმა ჩაუარა ამ ჩხუბს ისე, რომ არაფერში ჩაერია. იგი გულგრილია.

ამგვარად, გულგრილობა არის სხვისი გასაჭირის გაუთვალისწინებლობა.

ბუნება

ბუნება არის გარემო, რომელიც შენ გარშემოა. იგი ორგვარია: სუფთა და დაბინძურებული.

ჩემი საცხოვრებელი გარემო არის სუფთა, ჩემი აზრით, იმიტომ, რომ ჩვენ, უბნელები, სისუფთავეს ვინარჩუნებთ.

გალში არის ღელე, რომელიც ძალიან ჭუჭყიანია, იქ კარგი და დიდი ჯიშის თევზებია, მინდა, რომ იგი სუფთა იყოს.

საქართველოს ბუნება მშვენიერებით განუმეორებელია. წითელ წიგნშია შეტანილი ზოგიერთი ცხოველი და ხე. საქართველოს ბუნება სუფთაა.

ამგვარად, ბუნება არის სიცოცხლის წყარო და უნდა გავუფრთხილდეთ მას.

ღმერთის მცნებები და ადამიანები

უფლის მცნება არის წესი და კანონი, რომელიც ადამიანებმა უნდა დაიცვან, რათა ცხოვრება დედამიწაზე იყოს უფრო კარგი, მაგრამ ზოგი ადამიანი ამ წესებს არ ემორჩილება.

ერთ-ერთი მცნება მოგვიწოდებს: „არა კაც ჰკლა“, რომელსაც ზოგჯერ, არ ასრულებენ. რომელი რელიგიის აღმსარებელიც არ უნდა იყო, უფლება არ გაქვს, სიცოცხლე მოუსწრაფო სხვას, ის ხომ ღვთის საჩუქარია; უფლის საჩუქრის ხელყოფას არაჰუმანური საქციელი ჰქვია.

ამგვარად, მცნებები არის უფლის კანონები, რომელიც ყველამ უნდა შეასრულოს.

ნიკოლოზ მარჯანიძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

დედამიწა

დედამიწა, ალბათ, ერთადერთი პლანეტაა, რომელზედაც სიცოცხლე სუფევს... მისი უდიდესი ნაწილი წყალს უკავია, დანარჩენი ხმელეთს, გარდა დედამიწისა, კიდევ რვა პლანეტაა კოსმოსში, მაგრამ, იქ, ადამიანები, მგონი, არ ცხოვრობენ...

დედამიწა ულამაზესია კოსმოსის გადმოსახედიდან, მას უამრავმა სხეულმა ჩაუარა გვერდით, მაგრამ არ განადგურებულა. მზე ათბობს, მზის სხივი ჩვენთან რომ მოვიდეს, რვა წუთი სჭირდება, ის დედამიწის ირგვლივ შემოვლას 365 დღეს, 5 საათს, 48 წუთსა და 46 წამს ანდომებს. დედამიწას მილიარდობით მცხოვრები ჰყავს...

დედამიწით ვარსებობთ... ის სიცოცხლეს, მშვენიერებას გვაგრძნობინებს...

მარიამ ტყეშელაშვილი
ქ.თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-5 1 კლასის მოსწავლე

ბ უ ნ ე ბ ა

ბუნება სიცოცხლის წყაროა. მას აუცილებლად უნდა გავუფრთხილდეთ!... დანაგვიანებული გარემო ადამიანის ჯამთელობაძე ძალიან ცუდად მოქმედებს. მსოფლიო შეშფოთებულია ამ ფაქტის გამო და შეიქმნა გარემოს დაცვის ორგანიზაცია. კარგი იქნებოდა ყველა ჩვენგანს შეეტანა წვლილი გარემოს დაცვაში...

ეს არ არის დღევანდელი პრობლემა. ძველი დროიდან მოდის, ამიტომაცაა ნათქვამი „ტყე შეუნახე შვილებსა მამა ხარ, შენი ვალია," სწორედ ამ დევიზით უნდა ვიცხოვროთ...

დემნა ლომიძე
ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის VI კლასის მოსწავლე

ოჯახი...

ოჯახი ჩემთვის ბედნიერებაა, მის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია...

ჩვენ ერთმანეთის სიყვარულით ვცოცხლობთ, ბევრი გასაჭირი გამოიარეს ჩემმა მშობლებმა, სანამ მათ მოვევლინებოდი, მაგრამ სიყვარული აძლიერებთ ადამიანებს და სიძნელეების გადალახვაში ეხმარება...

გიყვარდეთ ერთმანეთი! სიყვარული მტკიცე ოჯახის საწინდარია...

ვალერ ხაზალია
ქ. თბილისი 167-ე
საჯარო სკოლის მოსწავლე

ჩემი სკოლა...

მე თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ვარ, მეამაყება ჩემი სასწავლებელი... აქ მეგობრული და გამოცდილი მასწავლებლები მუშაობენ...

ვფიქრობ ჩემი კლასი ერთ-ერთი გამორჩეულია მთელ სკოლაში. დამრიგებელი არამარტო ქართულ ენასა და ლიტერატურას, არამედ ცხოვრებას გვასწავლის... მას სურს ვიყოთ კეთილშბილები, უდმივად მოწესრიგებულები...

მსურს გავამართლო ყველა ჩემი მასწავლებლის იმედები და მომავალში მერქვას ამ სკოლის ღირსეული კურსდამთავრებული...

ალექსანდრე კალანდია
ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე - 6[2] კლასის მოსწავლე

წიგნი

წიგნი ჩემი მეგობარია, მისი საშუალებით ვეცნობი მწერლისა თუ პოეტის შედევრებს. ძალიან მიყვარს ენციკლოპედიების კითხვა...

წიგნი გვაცნობს საინტერესო ინფორმაციებს... გვამოგზაურებს მთელს სამყაროში, მას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება ...

ოცდამეერთე საუკუნე კომპიუტერულმა ტექნიკამ მოიცვა, მაგრამ ჩემთვის წიგნი უპირველესია....

თეკლა კაკაურიძე
ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე – V კლასის მოსწავლე

წიგნი

წიგნი ჩვენი ცოდნის და განათელების წყაროა... ის ადამიანის ყოველდღიური მეგობარია ...

წიგნი გვაძლევს დიდ ცოდნას. მისი მეშვეობით ვეზიარებით ყოველივე საუკეთესოს. უწიგნური ადამიანი დაჩაგრულია, მწიგნობარი კი ყოველთვის იპოვის საკუთარ ადგილს საზოგადოებაში...

ჩემი სურვილია ყველა ადამიანმა იმეგობროს წიგნთან...

მია მეტრეველი
თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის VII კლასის მოსწავლე

წიგნი

წიგნი ერთ-ერთი საგანმანათლებლო საშუალებაა. ძალიან მომწონს „ეგვიპტოლოგია“, რომელიც მის ემილი სენდს ეკუთვნის. ავტორის დღიურში აღწერილია ძველი ეგვიპტის ისტორია და მისი სურვილია ისირისის სამარხის პოვნა...

ჩემთვის ეს წიგნი გამორჩეულია, რადგან შევისწავლე ძველი ეგვიპტის ისტორია, მისი იმპერატორების ბიოგრაფია...

წიგნი ცოდნის დედაა, ის ადამიანს უამრავ ცოდნას აძლევს...

ლიზი ლომსაძე
ქ.თბილისის 167-ე
საჯარო სკოლის მოსწავლე.

წიგნი

წიგნი ადამიანის განმავითარებელია... არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ბევრი წიგნი აქვთ წაკითხული და საინტერესო ინფორმაციებს ფლობენ...

ჩემი საყვარელი წიგნია რევაზ ინანიშვილის „შორი, თეთრი მწვერვალი“. თითოეული ნოველა საინტერესოა, ბევრ სიკეთეს ვეზიარე... ჩემი სურვილია ყველა ადამიანს უყვარდეს ის ძვირფასი განძი, რომელსაც წიგნი ჰქვია...

ს ა რ ჩ ე ვ ი

<u>უფლის საგალობელი</u>
ქრისტე პანტოკრატორი (ხატმწერები **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**) **5**
ხარება (ხატმწერი **ხატია ლარიაშვილი**) **6**
პეტრე და პავლე (ხატმწერები **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**) **7**
წმინდა გიორგი (ხატმწერი **ხატია ლარიაშვილი**) **8**
მაია ტყემალაძე
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ნ ა ჟ უ რ ი **9**
გულნაზ ხარაიშვილი
შეხვედრა მამა აკაკისთან **13**

<u>პ ო ე ზ ი ა</u>

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)
აღსაყდრებისათვის 20
* * * ვინ აპატიებს შეცდომას დიდ კაცს? 21
სვეტიცხოველი 21
გარეჯი 21
გაზაფხულია... ვაზის ცრემლით ატირებული 21
* * *სურნელოვანი ყვავილი ველის... 21
* * *განაგდე შიში 21
მდაბალი მამა გაბრიელი (ბეგლარ კულუმბეგაშვილი)
მეუფე თადეოზს 22
დამილოცნიხაართ 22
* * *ვიღაცა შთაგონებას მოუცავს 22
* * *უსიყვარულოდ სიცოხლეც კი ფასს კარგავს მუდამ... 22
ავი სიზმარი 23
სამადლობელი დედაღვთისმშობელს 23
მაყვალა გონაშვილი
ღვთისმშობლის მონოლოგი 24
ვალი 24
მანამდე ისე შორი გზებია 25
მერაბს 25
ვაჟა ეგრისელი
მიწა 26
* * * არც ოქრო... 26
* * *ცივია ახლა ეს მოგონება... 26
დედა, ყოფნა რა იქნებოდა
და მერე გვიან... 26
ციხე და ციტადელი 27
ქვევრები 27
დედა 27

თეიმურაზ ლანჩავა
* * * სიმშვიდით მომავალს იბევებდე 28
* * ხომ არ გძულვარ, ხომ არ წუხარ... 28
* * * ზეცა გამოისხამს ყვავილს... 28
* * * დამიხატეს გაზაფხული 29
* * *ტორტმანებს შენი ბროლივით მკერდი 29
* * *მომისამძიმრეთ, სამშობლოში 29
იამზე ჭელიძე
სად არის ჩემი სიხარული და სულის შველა 30
სული ამტკივდა, ისევ ბინდია 30
დაიმახსოვრე 30
მწარე ღიმილი ისევ ფრთებს მასხამს 31
სული დააპურე პოეტო, შენი ხმა სამყაროს მოედოს 31
ისევ იმედი მე მაცმევს სამოსს 31
ალექსანდრე გოგინაშვილი
„საქართველო წმინდანების ადგილია“ 32
„ვედრება“ 33
მაია მახარაშვილი
ჩემს თბილისს 34
Письмо грузинки к истинным братьям с Кавказа 35
Отзвук лучезарного детства 35
ნაირა მარშანია
სულის სიმღერა 36
შეიყვარე უფალი! 36
ვარდი გათელილი 36
მოღალატენო გპატიობთ რადგან... 36
ბედისწერა 37
მე მოვალ შენთან 37
ჭაღარა 37
გარდავიცვლები... 37
შალვა ილურიძე
უხილავი ცოდვა 38
ჩემო სამშობლო 38
უმუხთალო წუთისოფელო 38
თავთხის პური 38
როგორ არ მინდა 39
მკვლელი ხარ მკვლელი სიკვდილო 39
მანანა დანგაძე
ჩემი ბავშვობის ქალაქს 40
*** მზეო, სიყვარულით ანთებულო... 40
გვიანია 41
უშანგი მოსიაშვილი

მოკლეა წუთისოფელი....42
შურიან კაცს....42
სამშობლოს....42
შეგონებები....43
ლამაზ ქალს....43
მუდამ ვფიქრობ....43
აბულ-მესხი — დავით აბულაძე
წუთისოფლის სამდურავი....44
საქართველო....44
მიზანი....44
ელენე აბულაძე
ადამიანი....45
მანანა ზაზიკაშვილი
ღიმილს ვერ გადავეჩვევი....46
სწორი გზა....46
შენ ხარ....46
რა უცნაურად მიყვარხარ....46
სულ ტყუილად ვშიშობდი....46
ნიკო ბაღაშვილი
ცაში შევკრავ კამარას....47
ხელოვანი კაცი....47
როგორ არ შემყვარებოდი....47
არ მავიწყდები....47
ყველა ჯადოქარს დავჯაბნი....47
კუდაანთ ტყეში....47
მარინა ყიფიანი
* * *ზვირთნაპკურები, ზვავდაფიფქული...48
არ დაჩოქილო ქვეყანავ....48
არ დაგვიკარგავს, არაფერი არ დაგვიკარგავს....49
მაია ტყემალაძე
ათასწლოვან ტაძარს....50
ბ ო დ ბ ე....51
წ ი თ ე ლ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ ი....51
მზეგული ტყეშელაშვილი
რა სჯობია....52
შვება იგრძენი?....52
ასე მგონია....52
ძალა ერთობაშია....53
ისევ გნახავ!....53
მარაბდელებს....53
ფაცურია მარინა МАРИНА ПАЦУРИЯ-ШАТИРИШВИЛИ....54
МОЛИТВА....54
ТВОЙ ОБЛИК....54

«ШОТАОБА»....55
ანა ერისთავი
* * * ქართლის ზეცაზე... 56
* * * ფეხშიშველა ხარ... 56
* * *უფალო, ნათლით ამავსე... 56
* * *უფლის ნაკურთხია... 56
* * *უდაბნო არწყულა 56
უფლისადმი 57
წმინდა მარიამს....57
წიწამურთან 57
წმინდა ნინოს საგალობელი....57
გვანცა ხარაიშვილი
* * *დამარწიე... 58
* * * შენს სხეულზე დავარწიე... 58
* * *სირბილის დაწყებამდე უნდა შეჩერდე... 59
* * *მეგობრებს... 59
ბეჟან ხარაიშვილი
ზამთრის სურათი 60
ხატობაში 60
გაზაფხული 60
* * * ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადე?! 60
შემოდგომით 61
არაგვს....61
ნატვრა 61
* * * სამოცს გადასცდაო... 61

<u>ჯგუფ „ ზღვარის“ შემოქმედება</u>

კახა ბაციკაძე
ზეცისკენ 62
ფსკერი....62
წყვდიადის ეფემერა....63
მარადიული მებრძოლი 63
გიორგი ზუხბაია
სინათლის სიმეტრია 64
ის არასოდეს შეწყვიტავს წერას... 64
ნისლიანი ტყე....64
ყვავილი-ბავშვი 65
შემოდგომა 65
სერგი ლომაძე
გული 66
პოეტი....66
სიცოცხლემისჯილი....67

მისტიკური გალერეა 67
თამარ გავაშელაშვილი
უკეთესი აბა რა დამრჩენია? 68
სიყვარულისთვის 68
წავალ შენიდან გულში დაჭრილი 69
ვერ ვხვდები მიზეზს 69
არ მოვითხოვ შენგან შეწყალებას 69
თამარ ჯაჭვაძე
მხატვარი 70
ერთიანი საქართველო 70
საყვედური ვეფხვსა და მოყმეს 71
მადლობელი ვარ 71
რუსუდან კალანდაძე
გრაალის ვარდები 72
უკანასკნელი ფოთოლი 72
პეტრე ჯაჯანიძე
კაცხის მაცხოვარი 73
გრიგოლ აბაშიძეს 73
მიხეილ თუმანიშვილი
პოეტი – პარტიზანი 74
ნაილი ხარაიშვილი
ცისკრისეული გაელვება 76
სასაფლაოზე 76
იმერული პეიზაჟი 77
ღამის ქალაქი 77
მეგონა 77
ლამზირა შეყილაძე
* * * განა შენ ჩემზე დიდი ხარ 78
მრევლის სულსა და გულს ანეტარებ 78
მე რა ვიცოდი 78
მეტკბილმწარები 79
დღემეხვალიე 79
დარდით დაღლილი 79
თინათინ ხაბურზანია
როდის დაბრუნდებით 80
ხსოვნის კედლებში 80
გიჟმაჟი წვიმის ბიჭები 81
უმწეოთა სასადილოში 81
გულნაზი ხარაიშვილი
ფიქრი 82
აღსდექ გიორგი 82
ქარო 82

იყო წვიმები 83
ფიქრის ფესვები 83
წვიმა....83
მეგონა....83
პოეზია 83
მოვიწადინე 84
ნდობათა ჯაჭვები 84
მხატვრის სული 84
არაფერია....84
* * *ნაზამთრალ ვერხვივით გადაშიშვლდა დროის იმედი 84
* * * არა მგონია ყოჩივარდების ხიბლით გავბრიყვდე 84
ჩემო საქართველო 85
სიბრძნის მდინარე....85
ქარო 85
სიმშვიდის ბაღი 85
ნანა მესხი
Любимой Абхазии 86
Рисую 86
Всем близским 86

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი
მარ ბაჯიევი — მანასი (პოემა)....87
კახა სამყურაშვილი
მადლიერება....91
* * * დეკემბერია მთლად მილეული 91
გვალვა 92
სამი მეთევზე 92
გამოუთქმელი გაგებით....93
სათვალის ფული 93
* * * მოსვენებაა ის ფორიაქი.. 94
გორიჯვრისაკენ 94

<u>ბავშვები ჩვენი მომავალია</u>

ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)
სამშობლოს მონატრება 95
ლია ბეჟანიშვილი
გულმოკლული ციყვი 103
დედოფალას დღეობა....103
საჩუქარი 103
აცა-ბაცა ბაჭია 103
კვერები....103

მკერავი ნატალი 104
ყოჩაღები 104
ყოჩაღი ვასილი 104
თვალბრიალა ქეთი 104
მკვეხარა 104

ლალი კახიძე
მტრედები (ზღაპარი) 105
კაკტუსი (ზღაპარი) 106
ღირსეული ექიმი 107
კარტოფილი 108
ოქროსხელება ზურიკელა 109
მგელი და კრავი (ზღაპარი) 111
მეფე და მეზღაპრე (ზღაპარი) 112

ფილოსოფია, ფსიქოლოგია

დათო ყანდაშვილი
რა არის დრო და სივრცე? საიდან შემოვიდა ეს საზომები და რისთვის? 114
ნანა ყანდაშვილი
ჩემო ძვირფასებო (ახალი დაბადება) 115
«Я» и «я» 118
ელგუჯა მამუკელაშვილი
დრო, სივრცე და უპასუხო კითხვები 119
დრო აჩენს და დრო კლავს ყოველივეს! 119
დალი ზერაგია
ბავშვთა მიმართ ძალადობა 123

პ რ ო ზ ა

რევაზ მიშველაძე
ჯოჯოხეთი 126
ჰუმანიტარული დახმარება 131
აეროპორტის მოსაცდელში 133
მაკე ძროხა და მაკა 134
სამაგიერო 135
კოჭლი მტრედი 139
ბეჟან ხარაიშვილი
წამალი (მოთხრობა) 141
ციალა ხაჟალია-ანდრიაძე
27 სექტემბერი – დაუვიწყარი ტკივილი 151
ჯიხაიში – დიდი მოგზაური და მისი ფესვები 174
თინათინ ჯაჭვაძე
* 161
რედაქტორისაგან 165

თინათინ კაპანაძე
ძილგატეხილი საქართველო 166
ქარის მონათხობი....166
შორენა ზაქუტაშვილი
გადავარჩინოთ ქართული სული!!! 167
ონერ ძაძუა
ღვთიური სიყვარულის ძალა, ანუ შორეულ კანადაში ქართველი ემიგრანტების
მართლმადიდებლური მრწამსის აღზევება.... 171
გზა მშვიდობისა მოძღვარო! 171
გულნაზ ხარაიშვილი
ღამის სიზმარო....173
უსამართლოა ბედისწერა....174
დაჩი ივანიშვილის თავგადასავალი....176
გვანცა ხარაიშვილი
ვის უნდა საქართველოში?....179
Partly-Hell Job 180
კახა სამყურაშვილი
მზის სხივები, აკაკი და საიუბილეო წელი 182
ნუნუ გოგოლაძე
აკაკის იუბილე ბოდბეში 184
სერგი ლომაძე
ფერადი აპრილი – ოცდამეთექვსმეტე საჯარო სკოლაში 189
თბილისელი და საჩხერელი ვუნდერკინდებიბეჟან ხარაიშვილის ხსოვნის საღამოზე 191
ხაშური, როგორც დიდქართველური კულტურის ქალაქი....195
სტატია-რეცენზიანუგზარ ხუციშვილის წიგნის შესახებ....202
„ლამპარი“ 206
აკაკის იუბილე ბოდბეში 210
ელგუჯა ნოზაძე – 75 215
სტუმრად ბატონ ელგუჯა ნოზაძესთან....218
ქალბატონ მაყვალა გონაშვილის ტრიუმფი....223
დიდი იუბილე პროზის რაინდისა....227
უდიადესი 231
აღზევება ბატონ სულიკო სამხარაძისა....234
დიდი დღემუხრანსა და მცხეთაში....236
საქართველოს მხატვართა კავშირის გამარჯვება....240
სტუმრობა ბატონ ბახვა სამხარაძესთან იმერეთში....243
უკვდავება მეუფე თადეოზისა....247
სერგი ლომაძე
დიდებული ადამიანის იუბილე....252

ანა ბოდბელი
იისფერფრთება აპრილის ქარში....255

თამარ თედიაშვილი
ღვთაებრივი ტრიადა 257
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე
ჯადოსნური საჩუქრები 260
გულნაზ ხარაიშვილი – 65.....268
„გულნაზ ხარაიშვილს“ საიუბილეო საღამოსათვის მიძღვნილი მოკრძალებული ლექსი
მთიელ ძმისგან 273
ლოცვა ქსნის ხეობიდან.....273
დღეთა მწვერვალი 274
მივესალმები გულნაზ ხარაიშვილის საპატიო იუბილეს 279
გულნაზ ხარაიშვილი – 65 279
მაია ტყემალაძე
„ქარებს მოჰყოლია ყვავილთა სურნელად“... 282
ლევან ბაბუხადია
მწვადი. . . („ტაჭკით“).....284
ტკბილ-მწარე მოგონება 287
ყველაზე დიდი გამოგონება.....288
მაია მახარაშვილი
ნისლს შეფარებული ქ ა ლ ი 290
М а й я М а х а р а ш в и л и
Без потерь 197

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ტიტე მოსია
ლი ბოს ლირიკის ღვთაებრივ ნათელში 301
ლუარა სორდია
„მარადიული დიდების წყარო“ – დანტეს და გალაკტიონის შთაგონება 310
პოეზიის ტაძარი 315
„მიღმიერსაც მივწვდი ფიქრით“ 322
ლია წურწუმია
ქრისტიანობის როლი ქართული კულტურის თავისთავადობის გამოკვეთაში.....329
ქეთევან ცაბაძე
იაპონიის სკოლამდელი და დაწყებითი განათლების სისტემა საქართველოს განათლების
სისტემის გარდაქმნის და განვითარების აქტუალური საკითხები.....336
Ratiani lali
XII. Türkischer Internationaler Germanistik Kongress Kocaeli, -Auswanderungvorgang in Georgien 344

ისტორია

რეზო ემელიანე ადამია
წმიდანის უკანასკნელი ქადაგებანი 351
როინ მეტრეველი
აღუვსებელი საწყაული ანუ ამაოება ამაოებათა..... 355

ნიკო ხერკელაძე
აღდგომა 378
ამალია საზანდრიშვილი
აკაკი გასიტაშვილი მოგონებათა ფურცლები 381
სურამის მექანიზაციის სასწავლებელის მოსწავლეები ყამირზე
მოგონებანი „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“.....382
ავტორისაგან 383
ჩინებულთაგან რჩეული 383
სულხან მახათაძე
ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები ჭიათურის მუნიციპალიტეტში 384
ნუგზარ ნადარაია
ფაზისი – კოლხური ცივილიზაციის გვირგვინი... 391
გიორგი ბეჟიტაშვილი
„სამშობლოსათვის გულანთებული პატრიოტი“ 399
გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი 400

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საერთაშორისოანგარიშსწორების ძირითადი ფორმები.....407
ვალერი მოსიაშვილი, მედეა ჭელიძე
პირველი მონეტები მსოფლიოში 413
ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზი და შედეგი ეკონომიკაზე 420
ვანო შუშტაკაშვილი
ოფშორული ცენტრების შექმნის მიზნები და ზოგადი მახასიათებლები 425
განვითარებული ქვეყნების საკრედიტო სისტემის ზოგადი დახასიათება 429
ჯუმბერ ხარაიშვილი
მსოფლიო ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე გლობალური ფინანსური ვლილებები 439
საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაცია საქართველოში ...444
ნოდარ ხარაიშვილი
მსოფლიო ბანკის ჯგუფის სამიანობის ძირითადი მიმართულებები548
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი.....551
ვაჟა შუბითიძე
გლობალიზაცია და მისი რეფორმირების აუცილებლობა.....455
ონერ ძაძუა
საოჯახო მეურნეობების ფინანსების ფორმირების თავისებურებები ტრანსფორმირებადი
ეკონომიკის პირობებში.....462

სოფლის მეურნეობა

სიმონ ზაქარაია, ონერი ძაძუა
ბიოსფეროში შექმნილი სიცოცხლისათვის საშიშ პრობლემების არსში დღეს ყველა
უნდა ერკვეოდეს, ამავე დროს მის გასაუვნებლად ყველა უნდა ზრუნავდეს 468

თინათინ ხოხობაშვილი
მდინარე დურუჯის მეწყერული და სელურ პროცესების განვითარების გზა 470

სამართალი

ლაშა ხარებავა
ქართული სახელმწიფოს სამართლის უძველესი ისტორია 473

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა
რამდენიმე თეორემა ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების განშლადობის შესახებ 477

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

რეზო ადამია მხატვარი-პროზაიკოსი
ტოლერანტობა – შემწყნარებლობა 469
ჟანა ხვიჩია
თექაზე შესრულებული ხელთქმნილებები 480
გიორგი ნოქარიშვილი 481
სოფიკო ხერკელაძე 483
შორენა ზაქუტაშვილი
ესპანეთი (პაეია) 484
გაგა გულიაშვილი
ჩვენ გაგვაჩინა მაღალმა ღმერთმა 485

ფიზკულტურა და სპორტი

ჯუმბერ ლეჟავას „ჯანმრთელობის ფორმულა“ 486

ნორჩი ათინათელების თვალით დანახული ცნობილი ადამიანები

ანანო ხუჭუა
ინტერვიუ ბატონ რეზო მიშველაძესთან 490
ირაკლი დარსალია
ინტერვიუ სამხატვრო აკადემიის რექტორ გიორგი გუგუშვილთან 500
ირაკლი დარსალია
ინტერვიუ ზურაბ გაბუნიასთან, სამხატვრო აკადემიის მხატვარ-ფერმწერთან 502
ილია ძმანაშვილი
ინტერვიუ ქალბატონ მაია კვინიკაძესთან 503
ილია ძმანაშვილი
ინტერვიუ ქალბატონ ციური ხუჭუასთან 506
თიკა აფრასიძე
ინტერვიუ იზა ყანჩაშვილთან 510

თიკა აფრასიძე
ინტერვიუ მაყვალა გონაშვილთან....512
შალვა რაზგოევი
ინტერვიუ ანა ერისთავთან 514
ნანა სხირტლაძე
ინტერვიუ ხაშურის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორთან, ქალბატონ მაკა 515
ნანა სხირტლაძე
ინტერვიუ მხატვარ ნიკო ხერკელაძესთან....517
მერი ბერაძე
ინტერვიუ ონერ ძაძუასთან....519
ტარიელ ხარატიშვილი
მამა აკაკაკი, დამლოცეთ!....523
ინტერვიუ იყალთოს გამგებელთან ბატონ გოჩა ქააძესთან 527
ინტერვიუ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორთან ბატონ ელგუჯა მამუკელაშვილთან....530
ელენე გულიაშვილი
ინტერვიუ სიმონ ზაქარაიასთან 531
ელენე გონგლიაშვილი
ინტერვიუ ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბ-ნ გიორგი კობახიძესთან 534
გიორგი უგრეხელიძე
ინტერვიუ სიღნაღის ეროვნული მუზეუმის გიდთან 535
ინტერვიუ სიღნაღის ეროვნული მუზეუმის დირექტორთან....537
მარიამ ხვედელიძე
ინტერვიუ მოძღვართან – მამა მირიანთან 540
ინტერვიუ საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელთან ბატონ გიორგი ფარეშიშვილთან....542
ბექა ჩაბალოშვილი
ინტერვიუ მამა ანდრეასთან....544
თორნიკე ჩაბალოშვილი
ინტერვიუ როინ მეტრეველთან 547
თორნიკე გოგინაშვილი
ინტერვიუ ქალბატონ ცისანა მჭედლიძესთან 551
ალექსანდრე ლეთოდიანი
ინტერვიუ 167-ე სკოლის დირექტორთან, ქალბატონ ელენე ფუტკარაძესთან 553
ლიკა გოგინაშვილი
ინტერვიუ ვალერი მოსიაშვილთან....554

ნორჩი ლიტერატორები

ლელა მესხი
ჩემი პატარა მეგობრები....559
მარიამ ტყებუჩავა
მეუფე თადეოზის ხსოვნას!

ტატო ლაგვილავა
მეუფე თადეოზის ხსოვნას!.. 560
გაზაფხული 560
ეკატერინე ქვარაია
გაზაფხული 560
მარიამ კეკელია
დედებს!... 561
ანა ასაბაშვილი
„ათინათი“.....561
გვანცა ალავერდაშვილი
ღმერთთან სიახლოვე 561

ე ს ე ე ბ ი

ირაკლი დარსალია
დაუმსახურებელი წყენა.....562
ზნეობა 563
გულგრილობა 563
ბუნება.....564
ღმერთის მცნებები და ადამიანები.....564
ნიკოლოზ მარჯანიძე
დედამიწა
მარიამ ტყეშელაშვილი
ბ უ ნ ე ბ ა 565
დემნა ლომიძე
ოჯახი... 566
ვალერ ხაზალია
ჩემი სკოლა.....566
ალექსანდრე კალანდია
წიგნი 567
თეკლა კაკაურიძე
წიგნი 567
მია მეტრეველი
წიგნი 568
ლიზი ლომსაძე
წიგნი 568

მთავარი რედაქტორი — **გულნაზ ხარაიშვილი**

ტექნიკური რედაქტორი — **ლუარა სორდია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ნანა სხირტლაძე**

გამომცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge